საქართველოს
არქეოლოგია

*

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი — 1959

ა ვ ტ ო რ ე ბ ი:

ა. აფაჩიძე
ნ. ზ. ბერძენიშვილი
გ. გოგეჯიშვილი
ა. კალანდაძე
გ. ლომთათიძე
ო. ჯაფარიძე
ნ. ხოშტარია

წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს საქართველოს არქეოლოგიის მთლიანი კურსის გამოცემის პირველ ცდას. მას გამოიყენებს ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტობა და, ამასთანავე, ფართო მკითხველი საზოგადოებრიობაც.

არქეოლოგიის სისტემატური, მთლიანი კურსი ჯერ არ შეუქმნიათ საბჭოთა არქეოლოგებს. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ართულებდა წიგნის შემდგენელთა მუშაობას. ავტორები ფიქრობენ, რომ ამითაც უნდა აიხსნას რიგი ნაკლოვანებებისა, რომელიც ნაშრომში შეიძლება აღმოჩნდეს. მიუხედავად ამისა, „საქართველოს არქეოლოგია" წარმოდგენილი სახითაც დიდ დახმარებას გაუწევს უველას, ვინც დაინტერესებულია ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის ნივთიერი ძეგლებით.

„საქართველოს არქეოლოგია" შექმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტთან თანამშრომლობით. წიგნის ცალკეული პარაგრაფები ეკუთვნით: ა. აფაქიძეს (შესავალი და (§ 12), ნ. ზ. ბერძენიშვილს (§§ 2, 3), გ. გობეჯიძეს (§§ 6, 7, 9, 10), ა. კალანდაძეს (§§ 1, 8), გ. ლომთათიძეს (§§ 13, 14, 15), ო. ჯაფარიძეს (§§ 4, 5, 7), ნ. ხოშტარიას (§ 11).

წიგნის საილუსტრაციო მასალა მომზადებულია ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ფოტოლაბორატორიაში. ფოტო-მასალა მოამზადეს: ვ. თულაშვილმა და ი. პახომოვმა, ხოლო ნახაზები შეასრულეს მხატვრებმა: ა. ამბრიაშვილმა, ნ. თოფურიძემ, ვ. კანდელაკმა და კლ. კვეესმა.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში

ძველი ქართული ნივთიერი კულტურის ძეგლების დაცვისა, აღმოჩენა-შესწავლისა და შეგროვებისადმი მეცნიერულ ინტერესს იჩენდნენ საქართველოში ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან. ასეთი ინტერესი და აღმოჩენილ ნივთიერ ძეგლთა მეცნიერული გააზრების ცდა მკაფიოდ ჩანს ცნობილი ქართველი მეცნიერის ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი ს ნაშრომებში. მომდევნო ხანებში კიდევ უფრო გაზრდილა ეს ინტერესი და სამეფოს მეთაურთა ზრუნვის საგანიც კი გამხდარა ჩვენში აღმოჩენილი სიძველეები. ამ მხრივ დამახასიათებელია თ ე ი მ ურ ა ზ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს ცნობა იმის შესახებ, რომ უპოვნიათ „მეფობასა შინა ი რ ა კ ლ ი მ ე ო რ ი ს ა ს ა კერპთ-მსახურებისა ჟამსა შინა დაფლულნი მკვდარნი და ფულნი პირთა შინა დებულნი მათნი და რომელნიმე რკინისა საჭურველთაგანნი დაშთომილნი განუხრწნელად, იცვებოდეს სალაროსა შინა მეფის ირაკლისასა ტფილისს და მოსელასა შინა აღა მაჰმადხან ყაჯრისა წაწყმედილ იქმნნეს“.

ქართველ მოღვაწეთა ასეთ ინტერესს და ერეკლე მეორის სასახლეში სიძველეთსაცავის შექმნას შედეგად მოჰყვა ცნობილ ნაქალაქართა გათხრა-გამომზეურებისა და მათ ადგილას მიწაში ჩამარხულ სიძველეთა გამოვლინების ცდები, ე. ი. ჩაისახა გათხრითი არქეოლოგია. ამ მხრივ XIX საუკუნეში ყურადღებას იპყრობს ეგრისის სამეფოს ძველი დედაქალაქის (არქეოპოლისი) ნანგრევეთა შესწავლის ცდა სამეგრელოს მთავრის დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი ს მიერ და მის სასახლეში ძველ ნივთთა საცავ-საგანძურის შექმნა. ამასთანავე, გათხრითი არქეოლოგიის თვალსაჩინო საფეხურად უნდა მივიჩნიოთ ამ ერთი საუკუნის წინ (1852 წ.) დ. მ ე ღ ვ ი ნ ე თ უ ხ უ ც ე ს ი ს შ ვ ი ლ ი ს მიერ ჩატარებული ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ნაქალაქარის — უფლისციხის არქეოლოგიური გათხრები. დ. მეღვინეთუხუცესისშვილი ჯერჯერობით პირველი ქართველი მკვლევარი ჩანს, რომელმაც საგანგებოდ მოჰკიდა ხელი მშობლიური ძეგლების შესწავლას და ერთერთი უძველესი ნაქალაქარის გათხრაც კი სცადა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარი საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიების შემდგომი გაძლიერების ხანაა. კიდევ უფრო იზრდება იმ ქართველ მოღვაწეთა ჯგუფი, რომლებიც ჩვენი ერის კულტურული მეჭკვიდრეობის უძველეს ძეგლთა შესწავლას თავის პირდაპირ მოვალეობად და პატრიოტულ საქმედ მიიჩნევენ. ასეთები იყვნენ, მაგალითად, მ. ჭილაშვილი, პ. იოსელიანი, რ. ერისთავი, დ. ბაქრაძე, ილია ჭავჭავაძე, ე. თაყაიშვილი და სხვები. ეს იყო დასაწყისი ქართული არქეოლოგიური მეცნიერებისა, რომელსაც გასულ საუკუნეში უპირატესად მიწისზედა ძეგლების შესწავლითა და კვლევა-ძიებით ფარგლავდნენ.

გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლები საქართველოს სიძველეების შესწავლისა და გამომზეურების საქმეში თავისებურ ეტაპსა ჰქმნის; იწყება არქეოლოგიური თხრა მცხეთის მიდამოებში, მუშაობას იწყებს „კავკასიის არქეოლოგიური კომიტეტი", კავკასიის მუზეუმი და ხორციელდება საქართველოს სამხედრო გზის გადაკეთებასთან დაკავშირებული არქეოლოგიური ზედამხედველობა. ამ დროიდან სამთავროს სამაროვანი საქვეყნოდ ცნობილი ხდება.

საქართველოს არქეოლოგიისათვის მნიშვნელოვანი იყო გადაწყვეტილება თბილისში V არქეოლოგიური ყრილობის მოწვევის შესახებ. ყრილობის მოსამზადებელი კომიტეტის საქმიანობამ, ხოლო შემდეგ, 1881 წელს თბილისში გამართულმა ყრილობამ შესამჩნევად შეუწყო ხელი საქართველოს სიძველეების შესწავლას. ინტერესი კიდევ უფრო გაძლიერდა, ამ დარგში მოღვაწეთა ჯგუფიც გამრავლდა. მეხუთე ყრილობის მონაწილეთა შორის იყვნენ ცნობილი მოღვაწეები და მეცნიერები: ა. უვაროვი, დ. ანუჩინი, ი. ტოლსტოი, რ. ვირხოვი, ვ. ტიზენჰაუზენი, დ. ბაქრაძე, ა. ცაგარელი, ი. ოქრომჭედლიშვილი, ა. ხახანაშვილი და სხვ. ამ დროისათვის მცხეთა უკვე აღარ წარმოადგენდა ერთადერთ ადგილს საველე სამუშაოებისათვის. გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში საქართველოს სხვა არქეოლოგიურმა ძეგლებმაც მიიქციეს ყურადღება. მაშინ უკვე სახელმოხვეჭილი არქეოლოგი ჰენრიხ შლიმანი 1883 წელს რუსეთის არქეოლოგიურ კომისიას სთხოვდა შავი ზღვის საქართველოს სანაპიროების გათხრის ნებართვას. ჰენრიხ შლიმანის დიდი ინტერესის მაჩვენებელი ისიცაა, რომ გათხრების დაფინანსებას ის თვითონ კისრულობდა. როგორც ცნობილია, არც V ყრილობისა და არც შლიმანის სურვილები არ განხორციელებულა. საქართველოს სიძველეების მეცნიერული შესწავლა ნაკლებად აინტერესებდათ მეფის ხელისუფალთ და ადგილობრივ მოხელეებს. ეს საქმე არ გამხდარა სახელმწიფოს ზრუნვის საგანი. ისევე როგორც სხვა დარგებში, აქაც, სიძველეთა შესწავლის საქმეშიაც, მკაფიოდ ჩანდა მმართველი წრეების კოლონიალური ინტერესები. მიუხედავად ამისა, თუ მაინც თვალსაჩინო რამ კეთდებოდა, ამას ქართველი ხალხი უნდა უმადლოდეს პლატონ იოსელიანის, დიმიტრი ბაქრაძის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ექვთიმე თაყაიშვილის, ივანე ჯავახიშვილის და სხვა სახელოვან მოღვაწეთა თავდადებასა და დაუშრეტელ ენერგიას.

როგორც ვნახეთ, ორ საუკუნეზე მეტი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს სიძველეებმა მეცნიერთა ყურადღება მიიქცია, მაგრამ ძეგლთა გათხრა-შესწავლის გეგმაზომიერად წარმართვა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების ფარ-

თოდ გაშლა შესაძლო გახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. საბჭოთა ხანაში არქეოლოგია ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი ისტორიული მეცნიერება.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე წლებში შეიქმნა შესაფერისი არქეოლოგიური უჯრედები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებაში. დასაწყისში არქეოლოგიური სამუშაოები უმთავრესად საქართველოს მუზეუმში იყრიდა თავს. პირველ არქეოლოგიურ სამუშაოებში მონაწილეობდნენ: ივ. ჯავახიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, გ. ჩიტაია, ს. მაკალათია, ს. იორდანიშვილი და სხვ. მუზეუმში არქეოლოგიური მუშაობა ფართოდ გაიშალა მას შემდეგ, რაც უცხოეთიდან დაბრუნდა და საქართველოს მუზეუმის „წინაისტორიულ არქეოლოგიის განყოფილებას“ სათავეში ჩაუდგა გ. ნიორაძე.

საველე-არქეოლოგიურ მუშაობასთან ერთად გ. ნიორაძე ახერხებს პირველი მონოგრაფიული ნაშრომების გამოქვეყნებას („კარსნისხევის სასაფლაო“, „ზემო ავჭალის სამარე“, „ქვემო სასირეთის განძი“ და სხვ.), რამაც ხელი შეუწყო მეცნიერული კვლევა-ძიების კიდევ უფრო გაშლას, არქეოლოგ-სპეციალისტთა ახალი კადრის გამოზრდას. ამ ხანებში გ. ნიორაძე ამთავრებს ძველიქვის ხანის ცნობილი სადგომის — დევის ხვრელის გათხრას და აქვეყნებს პირველ ქართულ მონოგრაფიას ძველიქვის ხანის ძეგლების შესახებ საქართველოში.

ამრიგად, გ. ნიორაძის მიერ და მისი ხელმძღვანელობით განხორციელებული საველე სამუშაოები, აგრეთვე გამოქვეყნებული მონოგრაფიები აშკარად მოასწავებდნენ, რომ საქართველოში უკვე გაჩნდნენ მკვლევრები, რომლებმაც თავიანთი კვლევის სპეციალურ საგნად არქეოლოგია აირჩიეს, სამეცნიერო სარბიელად კი ქართველი ერის უძველესი ნივთიერი კულტურის შესწავლა გაიხადეს. საფუძველი ჩაეყარა იმ ხარვეზის ამოვსებას, რომელსაც ასე მტკივნეულად და სამართლიანად გრძნობდა აკად. ივ. ჯავახიშვილი.

ამას მოყვა იმხანად გაშლილ მშენებლობებთან თუ მიწის სამუშაოებთან დაკავშირებული არქეოლოგიური აღმოჩენები. ამ ახალმშენებლობებმა არქეოლოგიის განვითარებაში მართალია მეტად თავისებური, მაგრამ დიდად მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს.

ერთერთი ასეთი მშენებლობა დაიწყო „დიდი მცხეთის“ ტერიტორიაზე. ქართველი ხალხი შეუდგა პირველი ელსადგურის — ვ. ლენინის სახელობის ზემო-ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას. გათხრის დროს აღმოჩენილი ძეგლები (ქვის სამარხები, კრამიტის სამარხები, ქვევრსამარხები და სხვ.) გადადიოდა საქართველოს მუზეუმისა და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების განკარგულებაში. ამ ძეგლებს სწავლობდნენ: გ. ჩიტაია, ს. მაკალათია, ს. იორდანიშვილი და შემდეგ გ. ნიორაძე. სხვა ადგილებში 1936 წლამდე განხორციელებულ სამუშაოთაგან აღსანიშნავია გათხრები სოფ. წიწამურში (გ. ნიორაძე, გ. ჩიტაია), ზემო ავჭალაში (გ. ნიორაძე), საგურამოში (ე. პჩელინა), ფლავისმანში (ს. მაკალათია), დმანისში (გ. ნიორაძე), აფხაზეთში (მ. ივაშჩენკო, ს. ზამიატნინი, ლ. სოლოვიოვი), იყალთოში (გ. გოზალიშვილი),

ქვემო სასირეთში (გ. ნიორაძე), ნოქალაქევში (შნაიდერი, ლ. მუსხვლიშვილი, გ. გოზალიშვილი), კიკეთში (ე. პჩელინა) და სხვ.

ამასთანავე, რესპუბლიკურ და სხვა რაიონულ მუზეუმებში სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობით იყრიდა თავს „შემთხვევით აღმოჩენილი" ძეგლები, რომლებიც მეტ-ნაკლებად ახასიათებდნენ ადგილობრივ ნივთიერ კულტურას ძველიქვის ხანიდან ფეოდალურ ეპოქამდე.

ასეთი იყო ქართული საბჭოთა არქეოლოგიის განვითარების პირველი ნაბიჯები. ეს ხანა შესანიშნავია არა მარტო მრავალრიცხოვანი აღმოჩენებით, არამედ იმითაც, რომ ამ პერიოდში გამოვიდა მნიშვნელოვანი ნაშრომები საქართველოს არქეოლოგიის ბევრ საკვანძო საკითხზე. ამ მხრივ აღსანიშნავია: გ. ნიორაძის, ს. მაკალათიას, ა. იესენის, ე. პჩელინას, ი. სმირნოვის, გ. ჩუბინაშვილის, მ. ივაშჩენკოსა და ა. ბოლტუნოვას ნაშრომები, რომლებშიაც პირველად გამოქვეყნდა ძველი ქართული ნივთიერი კულტურის მრავალი ძეგლი.

ქართული საბჭოთა არქეოლოგიის განვითარებაში ახალი გარდატეხა მოხდა 1936 წელს, როდესაც ჩამოყალიბდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი. ამ ფილიალის სისტემაში ყოფ. კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტის საფუძველზე შეიქმნა ქართველთმცოდნეობის საკვლევაძიებო ცენტრი — ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი (ენიმკი). მან ქართველთმცოდნეობის სხვა დარგების მკვლევრებთან ერთად, თავი მოუყარა საქართველოს არქეოლოგიაში მომუშავე სპეციალისტებს ახლად შექმნილ არქეოლოგიის განყოფილებაში, რომელსაც შეუერთდა საქართველოს არქეოლოგიური ინსტიტუტი. ენიმკის არქეოლოგიის განყოფილებას შექმნის დღიდანვე პროფ. გ. ნიორაძე ჩაუდგა სათავეში. ამიერიდან ეს განყოფილება იქცა საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიების ცენტრად; აქ გაშლილი საველე სამუშაოების ბრწყინვალე შედეგებმა მსოფლიო სახელი მოუპოვა საქართველოს არქეოლოგიას. აღმოჩენილი მასალები მჭიდროდ დაუკავშირდა ქართველი ხალხის წარმოშობის, ქართული კულტურის ავტოქთონობის, საქართველოსა და წინა აზიის უძველესი ისტორიის პრობლემატიკას და ამ გზით ქართული არქეოლოგიის ყველაზე მნიშვნელოვანი უკანასკნელი მონაპოვარიც კი გამოყენებულ იქნა არაერთი ბუნდოვანი საკითხის გასაშუქებლად. ეს სამუშაოები ხორციელდებოდა ცნობილი ქართველი ისტორიკოსების — ივანე ჯავახიშვილისა და სიმონ ჯანაშიას საერთო ხელმძღვანელობით.

ამ დროისათვის უკვე წამოიზარდნენ სპეციალისტ-არქეოლოგთა ახალი კადრები — ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას და გ. ნიორაძის მოწაფეები, რომლებმაც სპეციალური მომზადება მიიღეს უნივერსიტეტსა თუ აკადემიის ასპირანტურაში, აგრეთვე, სამეცნიერო-პრაქტიკულ მუშაობაში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმის ხაზით.

ამრიგად, ენიმკისა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებათა ფართო საველე სამუშაოების განსახორციელებლად იქმნებოდა შესაფერისი სამეცნიერო ტექნიკური ბაზა, მზადდებოდნენ სპეციალისტ-არქეოლოგთა კადრები. ასეთი იყო ის საფუძველი, რომელმაც 1936 — 1937 წლისათვის შესაძლო გახადა საველე არქეოლოგიური მუშაობის გეგმაზომიერი გაშლა.

მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩვენი არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის საქმეში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხელოვნების სამმართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილებამ, პირველ რიგში იმ რაიონებში, სადაც ახალ მშენებლობებთან დაკავშირებით ან სხვა მიზეზების გამო ქართული კულტურის პირველხარისხოვან ძეგლებს დაღუპვა ემუქრებოდა. ასეთი იყო მაგალითად, დიდი გათხრები წალკის რაიონში, ხრამის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით; ექსპედიცია სოფ. კლდეეთში, სამთავროს (მცხეთის) ექსპედიციის პირველი კამპანია და ა. შ.

ქართული საბჭოთა არქეოლოგიის განვითარების ამ ახალმა მეორე საფეხურმა, საყოველთაო სახელი მოუხვეჭა ქართული კულტურის ძეგლებს უმთავრესად თრიალეთისა და მცხეთის მიდამოებში წარმოებული გათხრებისა და იქ აღმოჩენილი ნივთიერი და წერილობითი ძეგლების წყალობით. ამათ გარდა, 1936 წლიდან სამამულო ომის დაწყებამდე დიდმნიშვნელოვანი აღმოჩენები იყო საქართველოს მრავალ კუთხეში. ზოგი მიწის სამუშაოებთან დაკავშირებით, მეტწილად კი სათანადო სამეცნიერო .დაწესებულებათა გეგმის შესაბამისად. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო, მაგალითად, რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმის მიერ, შოთა რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით ჩატარებული გათხრები ბოლნისში (ივ. ჯავახიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ლ. მუსხელიშვილი), რომლის მრავალ, დიდად მნიშვნელოვან მონაპოვართაგან გამოირჩევა 492 — 493 წლის ქართული ასომთავრული სამშენებლო წარწერა. ესაა დღემდე ცნობილი ყველაზე უძველესი ქართული წარწერა.

რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმმა მნიშვნელოვანი საველე სამუშაოები ჩაატარა დმანისის ნაქალაქარის შესასწავლად (ლ. მუსხელიშვილი, შ. ხიდაშელი, ვ. ჯაფარიძე); გიორგი მესამის მიერ XII საუკუნის შუა ხანებში აშენებული გეგუთის სასახლის დასაზვერად და გასათხრელად (ლ. მუსხელიშვილი და სხვ.); სხალტბა-შიო მღვიმის წყალსადენის ტრასის გასარკვევად-გასათხრელად (შ. ხიდაშელი) და ა. შ.

მნიშვნელოვანი სამუშაოები განახორციელა აგრეთვე ენიმკისა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციებმა დაბლაგომში (ბ. კუფტინი, ნ. ბერძენიშვილი, ნ. ხოშტარია), ალაზნის ველზე (გ. ნიორაძის გათხრები არხილოს კალოსთან), საფარლოში — დმანისთან (გ. ნიორაძე, გ. გობეჯიშვილი), კოლხეთის დაბლობზე — ნაოხვამუს ბორცვზე (გ. ნიორაძე, ს. მაკალათია, ა. იესენი, ა. ბოლტუნოვა), ზუგდიდთან — ოდიშში (ა. კალანდაძე), ჩხოროწყუში (ნ. ხოშტარია), ზემო რაჭაში (გ. გობეჯიშვილი), ბაკურციხეში (ა. აფაქიძე) და სხვ.

არქეოლოგიურ გათხრებსა და აღმოჩენებს მაშინა აქვს მეცნიერული ღირებულება, როდესაც სპეციალისტები ძეგლების კვლევასა და გამოქვეყნებას არ აგვიანებენ, როდესაც ახლად აღმოჩენილი ძეგლი ისტორიულ წყაროდ იქცევა ხოლმე. ამ მხრივ აღსანიშნავია ის დიდი მუშაობა, რომელიც შოთა რუსთაველის ეპოქის ნივთიერი კულტურის ძეგლთა გამომზეურებისა და შემდეგ გამოფენისათვის განხორციელდა აკად. ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. ეს

იყო პირველი და ერცელი მეცნიერული პუბლიკაცია შუა საუკუნეების ქართული არქეოლოგიური ძეგლებისა.

დიდი საგამოფენო მუშაობა გასწიეს არქეოლოგებმა 1941 წლის თებერვლისათვის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავზე. საზეიმო დღეებში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შენობაში გაიხსნა აკად. სიმონ ჯანაშიას ხელმძღვანელობით მოწყობილი გამოფენა „თრიალეთი და მცხეთა — უძველესი ქართული კულტურული კერები". ეს იყო თრიალეთისა და მცხეთის შესანიშნავი არქეოლოგიური მონაპოვრის პირველი არაბეჭდური გამოქვეყნება. მას მალე მოჰყვა თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის ბორის კუფტინის მონოგრაფია — „Археологические раскопки в Триалети", რომლისთვისაც ავტორს, პირველს საბჭოთა არქეოლოგთაგან, სტალინური პრემია მიენიჭა.

თრიალეთის სამარხ-გორაკებში (ე. წ. ყორღანებში) ამ ოციოდე წლის წინ მთელი ბრწყინვალებით იჩინა თავი შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებმა. ხრამჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით 1936 — 1940 წლებში წარმოებულმა არქეოლოგიურმა თხრამ (ბ. კუფტინი, მ. ივაშჩენკო) ეს ქართული თემი წარმოაჩინა, როგორც ქართული კულტურის ერთერთი უძველესი კერა, რომელმაც ოქრომჭედლობისა და ტორევტიკის უნიკალური ძეგლები შესძინა მეცნიერებას, რითაც ერთბაშად გაუთქვა სახელი ქართული კულტურის 3500 წლის წინანდელ ძეგლებს. აღმოჩენილმა ძეგლებმა სრულიად მოულოდნელად ცხადყვეს, რომ მდ. ქციის ხეობაში უკვე მაშინ არსებულა აქაურ მკვიდრთა მაღალი კულტურის კერა, თანადროული ხეთური იმპერიისა და მიტანის სამეფოს ხანისა. ასეთი მოსაზრების მტკიცე საფუძველსა ქმნიან წალკაში აღმოჩენილი ძვირფასი თვლებით მოჭედილი ოქროს თასი — სასმისი, ოქროთი გაწყობილი აქატის კულონი მსგავსი ძველი შუმერული ქალაქის ურუკის ქურუმ-ქალის აბაბაშტის (ძვ. წ. III ათასწლეულის) კულონისა; ვერცხლის სარწყული, რომლის მთელი ზედაპირი დაფარულია სქემატურად გადმოცემულ ტყის ფონზე გამოხატული ცხოველთა ჭედური გამოსახულებებით; ორ ფრიზად გაყოფილი ჭედური გამოხატულებებით შემკულზედაპირიანი ვერცხლის თასი. ზედა ფრიზი გამოსახავს საკულტო პროცესიას, რომელშიაც 23 ადამიანი მონაწილეობს. ყოველი მონაწილე სავსებით ერთნაირად არის შემოსილი — ტანზე მელიის კუდით დასრულებული კვართი, თავზე — ნიღაბი და ფეხებზე — მკვეთრად გამოსახული ჭვირტიანი ფეხსაცმელი. თვითეულ მათგანს ხელში სასმისი უჭირავს. მთელი პროცესია სავარძელში მჯდომ ქურუმისა თუ ღვთაებისკენ მიემართება. ბრინჯაოს და ოქრო-ვერცხლის განსაცვიფრებელ ნივთებთან ერთად თრიალეთის სამარხ-გორაკთა გათხრამ მოგვცა შავად მოხატული და დიდი ხვიებით შემკული მოზრდილი დერგები, რომელთა აღმოჩენამ ცხადი გახადა, რომ ეს, თითქოს ტიპიური ბერძნული ორნამენტი ბერძნული კულტურის წარმოქმნამდე გაცილებით ადრე ყოფილა საქართველოში გავრცელებული. ამან კი საფუძველი მისცა მეცნიერებს ეს მოტივი ბერძნების მიერ აღმოსავლეთიდან ნასესხებად მიეჩნიათ.

თრიალეთის სამარხ-გორაკთა გათხრამ ჩვენს ისტორიულ მეცნიერებას ძველისძველი საზოგადოებრივი ვითარების ამსახველი სურათები გამოუვლინა.

საკმარისია ითქვას, რომ შუაბრინჯაოს ხანაში მოსახლეობის უმრავლესობიდან ყოველმხრივ გამოირჩევიან გვარისა თუ ტომის ბელადები, რომლებიც ცალკე და საგანგებო ნაგებობებში იკრძალებიან მდიდრული სამარხეული ინვენტარის თანხლებით. ეს სურათი არსებითად განსხვავდება იმისაგან, რასაც უფრო ადრინდელ სამარხებში ვხვდებით. მაგალითად, ს. მაკალათიას მიერ სოფ. ტყვიავში გათხრილ სამარხ-გორაკში სამარხის ცენტრში დაკრძალულ ბელადსა თუ წინამძღოლს მხოლოდ ლახტის თავითა და მცირეოდენი თიხის ჭურჭლით თუ გამოვარჩევთ სხვა მიცვალებულთაგან.

ტყვიავისა და თრიალეთის სამარხ-გორაკების გათხრისას შემჩნეული განსხვავება იმის მაჩვენებელია, რომ თრიალეთში ჩვენ ამ დროისათვის გვაქვს სოციალური განვითარების ისეთი საფეხური, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება პირველყოფილი თემური საზოგადოების სოციალური დიფერენციაციის შემდგომ, ხანგრძლივ პროცესს, რამაც გაცილებით ადრე მიიყვანა ქართველი ტომები კლასებად დანაწილებული საზოგადოების წარმოქმნამდე.

ზემოთ აღნიშნული ცხადსა ხდის, თუ რაოდენ დიდი როლი შეასრულა ორიალეთის არქეოლოგიურმა კვლევამ ქართული კულტურის უძველესი ფესვების კვლევის საქმეში. ყოველივე ამასთან ერთად, თრიალეთის აღმოჩენათა მნიშვნელობას აძლიერებს ისეთი ძეგლების გამოვლენა, რომლებიც შუაბრინჯაოს ხანის აყვავებულ კულტურას წარმოშობით აკავშირებს მის წინამორბედ— ადრებრინჯაოს ხანის კულტურასთან.

სამამულო ომის წინა წლებში წარმოებულმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ მკაფიოდ გვიჩვენა, რომ საქართველოს ყველა კუთხე ინახავს ხალხის კულტურული მემკვიდრეობის უძველეს ძეგლებს; მაგრამ ჯერჯერობით მაინც შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე საყურადღებო და მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღო იბერიის (ქართლის) ძველი დედაქალაქის მცხეთის ტერიტორიაზე აკად. ივ. ჯავახიშვილის და აკად. ს. ჯანაშიას ხელმძღვანელობით 1937 წლიდან განხორციელებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა.

მცხეთა შემთხვევით არ ყოფილა არჩეული არქეოლოგიური კვლევა-ძიების ობიექტად. საისტორიო წყაროები საკმაოდ მკაფიოდ მიუთითებდნენ, რომ აღმოსავლურ-ქართული სამეფოს ძველი დედაქალაქი წარმოადგენდა საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ადრინდელ კერას, ერთერთ უმნიშვნელოვანეს ადგილს, სადაც მოსალოდნელი იყო საქართველოს მიწა-წყალზე მოსახლე ტომთა ცხოვრების დამახასიათებელი ნივთიერი ძეგლების აღმოჩენა. წერილობით წყაროებთან ერთად საამისო საფუძველს ქმნიდნენ გასული საუკუნის არქეოლოგიური აღმოჩენები.

ამ გარემოებამ მცხეთა 1937 წლიდან აქცია ერთერთ უმნიშვნელოვანეს არქეოლოგიურ ობიექტად, სადაც, მეტ-ნაკლები ხარვეზებით, უკანასკნელ ხანებამდე გრძელდება საველე კვლევა-ძიება. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის განვლილი ოცი წელი შეიძლება სამ ეტაპად დაიყოს. ამათგან ყველაზე ინტენსიური მუშაობის ხანა 1937 — 1941 წლებზე მოდის; სამამულო ომის პირველ წლებში მუშაობა შეწყდა. 1943 წელს განახლდა საველე სამუშაოები; მაგრამ შედარებით მცირე მასშტაბით; კიდევ უფრო გაფართოვდა მუშაობა მომდევნო, განსაკუთრებით 1945 — 1947 წლებში; 1948 წელს მცირე

მასშტაბის სამუშაოები განხორციელდა სამთავროს ველსა და ბაგინეთზე. ესაა მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე მუშაობის მეორე ეტაპი.

მესამე ეტაპი დაიწყო 1951 წლიდან, როდესაც განახლდა სამუშაოები მცხეთის ძველ ხიდთან, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მიწის სამუშაოების დროს აღმოჩენილი აკლდამის შესასწავლად. აქ გათხრები წარმოებდა 1951 — 1952 წლებში; ხოლო მომდევნო წლიდან თანდათან გაიშალა მუშაობა წიწამურ-კამარახევისა (1953 წ.), სარკინე-ქალაქის (1954 — 1956 წწ.) მიდამოებში და სამთავროს ველზე (1957 წ.).

ეს პირველ ეტაპთან შედარებით მცირე მასშტაბის სადაზვერვო თუ გათხრითი სამუშაოები 1957 წელს გადაიზარდა კვლავ დიდი მასშტაბის საველე კვლევა-ძიებაში მცხეთის გარეუბნის — სამთავროს შემდგომ შესასწავლად.

მცხეთისა და მის მიდამოებში ოცი წლის მანძილზე წარმოებულმა საველე სამუშაოებმა ჩვენს საისტორიო მეცნიერებას ბევრი მეტად მნიშვნელოვანი ძეგლი გამოუმზეურა. „დიდი მცხეთის" ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ აქ, ძვ. წ. II და I ათასწლეულთა მიჯნაზე უკვე ბინადრობდა საკმაოდ ხშირი, კულტურულად დაწინაურებული მოსახლეობა. შემდეგში განვითარებამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ „მცხეთა ბრინჯაო-რკინის ხანაშიც ქალაქი უნდა ყოფილიყო, ამასთანავე საკმაოდ დიდი და მჭიდროდ დასახლებული" (ივ. ჯავახიშვილი). ეს ითქმის პირველ რიგში იმ მასალების მიხედვით, რომელიც მოგვცა ძვ. წ. VIII — VII საუკუნეების მცხეთამ. ამ ხანიდან აშკარად ჩანს ხელოსნობისა და გაცვლა-გამოცვლის შემდგომი დაწინაურება, რამაც განსაკუთრებულ გაცხოველებას, როგორც აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები მიუთითებენ, მცხეთის დედაქალაქობის ხანაში მიაღწია. ყოველივე ამასთან ერთად ძველი ისტორიის საკითხების კვლევისას დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი არქეოლოგიური მასალებით დადგენილ კავშირს წინა აზიის, შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროების, ჩრდილო კავკასიასა და სხვა ქვეყნებთან. როგორც ირკვევა, ასეთი ურთიერთობა დიპლომატიური, კულტურული, საავაჭრო-საალებმიცემო თუ სამხედრო ღონისძიებათა გზით ხორციელდებოდა და ამიტომ საკვლევი ბუნებრივია, რომ ქართლის სამეფოს დედაქალაქის წიაღში უცხოური წარმოშობის ნივთებიც მრავლად შემონახულა. აღმოჩენილ ძეგლთა შორის საკმაო რაოდენობით მოიპოვება სამეფოს კულტურულ-ეკონომიური ცხოვრების განვითარებული დონის მაჩვენებელი ნივთები; ძეგლები, რომლებიც ქალაქის მშენებლობის მაღალ დონეზე მიუთითებენ და ქალაქის მხატვართუხუცესისა და არქიტექტორის თანამდებობის არსებობას ადასტურებენ; განვითარებულ საქალაქო სანიტარულ ნაგებობათა ქსელისა და საქალაქო საწარმოთა ნაშთებს ამყარებენ; ქმნიან მკაფიო წარმოდგენას რთულ საფორტიფიკაციო ნაგებობათა მთელი სისტემის არსებობაზე და ა. შ. ამ რიგისაა მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გათხრილი ძველი დედაქალაქის აკროპოლისი ბაგინეთის მიდამოებში, თავდაცვითი ნაგებობანი წიწამურის სერზე, არმაზისხევისა და ბაგინეთის აბანოები და წყალსადენის ქსელი, სარკინე ქალაქის ნანგრევები რკინის გამოსაწურ სახელოსნოთა ნაშთებითურთ, მავზოლეუმის ტიპის ნაგებობანი მცხეთის ძველ ხიდთან და ბაგინეთზე, არმაზისხევისა და ბაგინეთის სარკოფაგები და მრავალი

სხვა, რომელთა შესახებ მკაფიო წარმოდგენის შემუშავება შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც საველე სამუშაოები დაიწყო მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ.

არქეოლოგიურმა გათხრებმა მდიდარი მასალა მოგვცა ანტიკური ხანის აღმოსავლურ-ქართული ქალაქის ისტორიისათვის. გაირკვა საზოგადო სახე ქალაქისა, რომლის ცენტრს შიდაციხე ან აკროპოლისი წარმოადგენდა. ისიც ცხადი გახდა, რომ ძველ ქალაქ მცხეთას დიდი მიწა-წყალი ეჭირა და ფაქტიურად იგი რამდენიმე (მეტ-ნაკლებად ადრე დაწინაურებული) უბნის გაერთიანებას წარმოადგენდა; ასეთი უბნებია, მაგალითად, შიდაციხე, საპიტიახშო, ავჭალის კარი, წიწამური, კოდმანი, სარკინე ქალაქი, კარსან-მუხათგვერდის მიდამო, ჯვრისა და ჯაჭვის მხარე და ა. შ. ყველა ამ ნამოსახლარის გაერთიანების მეთაევე ქართლი იყო, რომლის სახელი დედაქალაქმაც მიიღო და, ჩანს, სამეფომაც. როგორც ირკვევა, შედარებით გვიან იქცა ჰეგემონად საკუთრივ მცხეთა.

დედაქალაქის ცხოვრების და, საერთოდ, ქართლის სამეფოს სახელმწიფოებრივი წყობის შესასწავლად შეუდარებლად დიდი მნიშვნელობა აქვს არმაზისხევთან 1940 წელს აღმოჩენილ წარწერებს. მათი მეშვეობით შევიტყვეთ, რომ არსებულა განვითარებული სამოხელეო ინსტიტუტები: დიდი მეფისა, ეზოის მოძღვრისა, პიტიახშისა და ა. შ. ამრიგად, არა მარტო ის გაირკვა, რომ ახ. წ. დასაწყისიდან ქართლის მეფეებს ყოლიათ პიტიახშები, არამედ ახალი დასაბუთება მიეცა „ქართლის ცხოვრების“ იმ ადგილს, სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ფარნავაზმა (ძვ. წ. IV — III სს.) „განაწესნა ერისთავნი რვანი და სპასპეტი“.

მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის საერთო დახასიათება არ არის ახლა ჩვენი მიზანი, მაგრამ უკვე აღნიშნულიც ცხადსა ხდის, თუ რა დიდი წვლილი შეიტანა ამ ღონისძიებამ საბჭოთა არქეოლოგიაში საზოგადოდ და საქართველოს არქეოლოგიაში განსაკუთრებით.

ამ ექსპედიციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სპეციალისტ არქეოლოგთა ახალი კადრების გამოზრდისათვის. საკმარისია ითქვას, რომ ქართველ საბჭოთა არქეოლოგთა ყველა წამყვანმა მუშაკმა მცხეთის არქეოლოგიური თხრისას გაიარა პრაქტიკული, საველე მუშაობის უმნიშვნელოვანესი სკოლა. ასეთები არიან ნ. ხოშტარია, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, გ. გობეჯიშვილი, ო. ჯაფარიძე, ტ. ჩუბინიშვილი, ე. ჯაფარიძე, დ. ქორიძე, ა. აფაქიძე და სხვ.

ისტორიის ინსტიტუტმა დიდი მუშაობა ჩაატარა აღმოჩენილ ძეგლთა შესწავლისა და გამოქვეყნების მიმართულებით. ამ მხრივ განსაკუთრებული ადგილი უკავია ოთხი ავტორის (ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე) კოლექტიურ ნაშრომს — „მცხეთა“ I, რომელშიაც განხილულია „არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები“. ეს ნაშრომი ქართულად 1955 წელს გამოვიდა, რუსულად — 1958 წელს. იგი პირველი წიგნია აკად. ს. ჯანაშიას თაოსნობით დაარსებული სერიისა „მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები“.

მცხეთაში აღმოჩენილი წარწერები დიდი ხანია მეცნიერთა ყურადღების ცენტრში მოექცა. უკვე 1941 წელს გამოქვეყნდა გიორგი წერეთლის ცნობილი

ნაშრომი „არმაზის ბილინგვა“, რომელშიაც ავტორმა ტექსტის ამოკითხვასა, თარგმნასა და ანალიზთან ერთად გააშუქა საქართველოს ძველი ისტორიის, სახელმწიფო წყობის თვალსაზრისით დიდად მნიშვნელოვანი საკითხები; ამასთანავე, გიორგი წერეთელმა სწორედ ამ ძეგლების კვლევის საფუძველზე დააყენა საკითხი ეროვნული საისტორიო წყაროების ერთი წყების რეაბილიტაციის აუცილებლობის შესახებ. შემდგომი წლების საველე კვლევა-ძიებამ არაერთი ახალი მასალა გამოავლინა გ. წერეთლის დებულების სასარგებლოდ. არმაზის წარწერებისადმი მიძღვნილმა, აკად, ა. შანიძის, პროფ. ს. ყაუხჩიშვილის, პ. ინგოროყვას და განსაკუთრებით კი გ. წერეთლის ნაშრომებმა არმაზის ეპიგრაფიკული ძეგლები საერთაშორისო სამეცნიერო სარბიელზე გაიტანა; ამ ძეგლებს უკვე ათეულობით გამოკვლევა მიეძღვნა.

ასეთი დიდი შედეგები მოგვცა ქართლის (იბერიის) ძველი დედაქალაქის — მცხეთის ტერიტორიაზე განხორციელებულმა გათხრებმა უკანასკნელი 20 წლის მანძილზე.

თრიალეთი და მცხეთა, როგორც ცნობილია, კვლავაც რჩებიან არქეოლოგიური კვლევა-ძიების თვალსაჩინო და მნიშვნელოვან ობიექტებად, მაგრამ ამ ორი კერით შემოფარგვლა, რა თქმა უნდა, მაინც ცალმხრიობა იქნებოდა. ეს ადრეეე იყო გათვალისწინებული და ამ ოციოდე წლის წინ ფართო საველე კვლევა-ძიება გაიშალა საქართველოს მრავალ თემში, საფუძველი ჩაეყარა სხვადასხვა ხანის ვითარების დამახასიათებელ ძეგლთა გეგმაზომიერ თხრას. ასე, მაგალითად, შესაძლებელი გახდა არქეოლოგიური დაზვერვებისა და გათხრების ჩატარება: სამხრეთ ოსეთში (ბ. კუფტინი, ე. პჩელინა, გ. გობეჯიშვილი, ო. ჯაფარიძე, ა. კალანდაძე, ვ. ლუბინი), აფხაზეთში (ს. ნ. ზამიატნინი, მ. მეშჩანინოვი, ბ. კუფტინი, ა. ლუკინი, ა. ბაშკიროვი, ლ. სოლოვიოვი, მ. ივაშჩენკო, ნ. ა. ბერძენიშვილი, ა. კალანდაძე, მ. თრაფში, ა. აფაქიძე და სხვ.), რიონის სათავეებში (გ. გობეჯიშვილი), კოლხეთის დაბლობის ცენტრალურ ნაწილში (ა. იესენი, ს. მაკალათია, გ. ნიორაძე, ა. ბალტუნოვა, ნ. ხოშტარია, ა. ჭანტურია, ბ. გოგოლიშვილი და სხვ.), ალაზნის ველზე (გ. ნიორაძე, ა. აფაქიძე), თბილისში (გ. ნიორაძე, ო. ჯაფარიძე, გ. ლომთათიძე, დ. ქორიძე, ი. გძელიშვილი), რუსთავში, თეთრიწყაროს ნადარბაზევსა და უჯარმაში (გ. ლომთათიძე), სამგორის ველზე (გ. ნიორაძე), დმანისთან (გ. ნიორაძე), ვანში (ნ. ხოშტარია), ეშერში (ო. ჯაფარიძე), ტყვიავსა და დვანში (ს. მაკალათია), გელათში, სკანდენსა და შორაპანში (ს. ყაუხჩიშვილი), გრემში (ა. მამულაიშვილი), ვაშნარში (გ. გობეჯიშვილი), ხოვლეში (ნ. ა. ბერძენიშვილი), ურბნისში (გ. ლომთათიძე, პ. ზაქარაია), თეთრწყაროში (ი. გძელიშვილი, გ. გობეჯიშვილი), თორი-ლიკანის მიდამოებში (ლ. რჩეულიშვილი), საგვარჯილეში (ნ. ზ. ბერძენიშვილი), კლდეეთში (დ. ლომაძე, გ. გობეჯიშვილი, ს. მენთეშაშვილი, გ. ლომთათიძე, დ. კაპანაძე), საგარეჯოში (ვ. გოზალიშვილი, მ. ივაშჩენკო, ნ. კილაძე) და ა. შ.

ზემოჩამოთვლილ ადგილებში მოპოვებულია მდიდარი მასალა ქვედა პალეოლითიდან დაწყებული ე. წ. გვიანფეოდალურ ხანამდე; ე. ი. სპეციალისტების ხელთაა საქართველოს ახლანდელ მიწა-წყალზე ადამიანის ცხოვრების მანიშნებელი მრავალი ნივთიერი ძეგლი თითქმის მთელი ხუთასი -ათასი წლის მანძილზე.

ასე შორს მოიტოვა საბჭოთა ხანის არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ ისტორიოგრაფიის არც ისე ძველი საფეხური, როდესაც ქართული კულტურის ხანგრძლიობას კავკასიაში, სულ დიდი, ორი ათასი წლით განსაზღვრავდნენ. საერთოდ, კავკასია გვიან დასახლებულ ტერიტორიად ჰქონდათ წარმოდგენილი და ამის გამო აქ არა თუ ქვედა პალეოლითის, არამედ ბრინჯაოს ხანაზე უფრო ადრინდელი ეპოქის ძეგლების აღმოჩენასაც არ მოელოდნენ.

მაგრამ საბჭოთა პერიოდში გაშლილმა საველე-არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში უკვე მოხაზა მეტ-ნაკლებად სრული სურათი ადამიანის უწყვეტი ცხოვრებისა ძველიქვის ხანიდან. ასე მაგალითად, სადღეისოდ, საქართველოში აღმოჩენილია ქვედა პალეოლითის ხანის ადამიანის ორმოცამდე ნაბინავარი (იაშთხვა, კოლხიდა, ბირცხა, ჭუბურხინჯი, გალი, მოქვი, ილორი, აჩიგვარა, რუხი, ლაშე-ბალთა, მორგო, ყორნისი, ჯიჯოითი და სხვ.), ასევე ერავლადაა ზედა პალეოლითური ხანის ნაბინავრები (დევისხვრელი, საკაჟია, საგვარჯილე, გვარჯილას-კლდე, თარო-კლდე, ხელგულის-კლდე და ა. შ.).

30-იან წლებამდე თითქმის არაფერი იყო ცნობილი ახალიქვის ხანის ძეგლების შესახებ საქართველოში. ახლა უკვე აღმოჩენილია არაერთი ნეოლითური სადგომი და შესაძლებელი ხდება იმდროინდელი მოსახლეობის ცხოვრებისა და მეურნეობის შესახებ წარმოდგენის შემუშავება. საქართველოს ნეოლითურ სადგომთაგან უნდა აღინიშნოს: სოფ. კისტრიკი (გუდაუთასთან — ა. ლუკინი), ურთა (ნ. ხოშტარია), ოდიში (ზუგდიდთან — ა. კალანდაძე), საგვარჯილე (ნ. ზ. ბერძენიშვილი), აგრეთვე, სოფ. საკაოს და ზნაურის რუსთავის, თეთრამიწის, ანასეულის, აბელიის და სხვ. მასალები.

მიუხედავად იმისა, რომ ახალიქვის ხანის სადგომთაგან მხოლოდ ორია მეცნიერულად გათხრილი (ოდიში და საგვარჯილე), აღმოჩენილი მასალის შედარებამ სხვა სინქრონულ ძეგლებთან და, პირველ რიგში, ოდიშის მასალასთან, შესაძლო გახადა საქართველოს ნეოლითის საერთო ხასიათისა და ზოგიერთი თავისებურების გარკვევა. ყურადღებას იქცევს მაგალითად, სიმცირე ქვის ცულებისა, რომელთაც სატარე ნახვრეტი აქვთ. მიუხედავად ამისა, აღმოჩენილი მასალის მიხედვით შეიძლება მტკიცება, რომ აქ დადასტურებულია ნეოლითისათვის დამახასიათებელი ყველა სიახლე: იარაღის დამზადება გახეხვით, გათლითა და გაპრიალებით; იარაღის გახვრეტა და მისთვის ტარის დაგება. ყველაფერი ეს განუყრელად არის დაკავშირებული იარაღის ფორმის შეცვლასთანაც და საბოლოოდ მისი ახალ-ახალი დანიშნულების გაჩენასთან. სხვაგვარად შეუძლებელია აიხსნას ცულების, წერაქვების, კვერ-ცულების, თოხების, სახვრეტების, სანაყების, დანების, ხელსაფქვავების, საჭრისებისა და სხვ. აღმოჩენა საქართველოს ნეოლითურ სადგომებში.

ნეოლითური ხანის მასალები მკაფიოდ მიუთითებენ მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების შემდგომ დაწინაურებაზე, მეთუნეობის, რთვისა და ქსოვის საქმის შემდგომ განვითარებაზე.

ამ მასალების მეცნიერული ანალიზი შუქსა ჰფენს მაშინდელი საზოგადოებრივი წყობილების ფორმებს. ახალიქვის ხანაში საქართველოს მიწა-წყალზე მკაფიოდ ყოფილა ჩამოყალიბებული გვაროვნული საზოგადოების უძველესი

საფეხური — მატრიარქატი, რომელმაც, როგორც ჩანს, ნეოლითშივე დაასრულა განვითარება და გზა დაუთმო გვაროვნული საზოგადოების ახალ საფეხურს — პატრიარქატს.

ამრიგად, თუ ამ ოციოდე წლის წინ ჩვენ თითქმის არაფერი ვიცოდით ახალქვის ხანის შესახებ საქართველოს მიწა-წყალზე, ახლა შესაძლო ხდება იმდროინდელი ვითარების საკმაო სრული სურათის დახატვა და წარმოდგენა გვექმნება არა მხოლოდ ნივთიერ კულტურის, არამედ სოციალური ცხოვრების, საზოგადოებრივი წყობილების შესახებაც.

დაახლოებით 6000 წელი გვაშორებს ჩვენ იმ დროს, როდესაც საქართველოს მიწა-წყალზე მოსახლე ადამიანისათვის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ჯერ კიდევ ქვის იარაღი იყო. ამ დროიდან კი, როგორც არქეოლოგიური აღმოჩენები გვიჩვენებენ, კაცობრიობის ისტორიაში იწყება გარდატეხა — ადამიანი ეცნობა და იყენებს ლითონს; იწყება ლითონის ხანა. ჩანს, პირველი ლითონი, რომლისგანაც იარაღი გააკეთა ადამიანმა, საქართველოშიაც სპილენძი იყო. მართალია, სპილენძის იარაღმა ვერ განდევნა ქვა, მაგრამ მისი აღმოჩენით საფუძველი ჩაეყარა სპილენძის ხანას, განვითარდა ახალი, ქვის ხანის კულტურისაგან დიდად განსხვავებული, ლითონის პირველი გამოჩენის დროისათვის დამახასიათებელი კულტურა — საქართველოს ენეოლითური კულტურა. ამ ხანასთან არის დაკავშირებული მიწათმოქმედების ახალი აღმავლობა. უნდა ვივარაუდოთ, რომ უკვე ენეოლითში გადასულა ფართო მასშტაბით მიწათმოქმედება მამაკაცის ხელში, რამაც თავის მხრივ უთუოდ განაპირობა მეურნეობის ამ დარგის განვითარებისათვის აუცილებელი აღმოჩენა — ლითონის იარაღის დამზადება.

ამ ხანის ძეგლების კვლევას საქართველოში თითქმის ნახევარი საუკუნის ისტორია აქვს, მაგრამ ქართველ ტომთა სოციალურ-კულტურული განვითარების ამ საფეხურის — სპილენძ-ბრინჯაოს ხანის ადრინდელი ეტაპის ძეგლების გამომზეურება და გამოკვლევა ასე ფართოდ ქართული საბჭოთა არქეოლოგიის ერთერთი უმთავრესი მონაპოვარია უკანასკნელი 20 წლის მანძილზე (გ. ნიორაძე, ბ. კუფტინი, ლ. სოლოვიოვი, გ. გობეჯიშვილი, ნ. ხოშტარია, ო. ჯაფარიძე, ალ. ჯავახიშვილი, ს. ნადიმაშვილი, დ. ქორიძე და სხვ.).

უკანასკნელი წლების არქეოლოგიური აღმოჩენები ცხადსა ხდის, რომ სპილენძ-ბრინჯაოს ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომები ყოფილან არა მარტო დიდი კულტურული მონაპოვრის მფლობელნი, არამედ მისი შემქმნელნიც. განვითარებული მეტალურგია და დაწინაურებული მიწათმოქმედება მიიტანა მსოფლიო კულტურის საგანძურში საქართველომ ჯერ კიდევ იმ ხანაში.

არქეოლოგიური აღმოჩენები მცხეთაში (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია), თრიალეთში (ბ. კუფტინი, მ. ივაშჩენკო), აფხაზეთში (ა. კალანდაძე, მ. თრაფში, ო. ჯაფარიძე), საჩხერეში (ე. თაყაიშვილი, ბ. კუფტინი, ო. ჯაფარიძე) და განსაკუთრებით კი რაჭაში — მდ. რიონის სათავეებში (გ. გობეჯიშვილი) მკაფიოდ მიუთითებენ აქ მოსახლე ქართველ ტომთა სამიწათმოქმედო და სამთამადნო-მეტალურგიული საქმიანობის დაწინაურებაზე. ამის მაჩვენებელია მრავალრიცხოვანი სამეურნეო იარაღი, ენდემურ მარცვლეულთა ნაშთები, ლითონის

მოსაპოვებლად გაჭრილი მაღაროები, მადნეულის ძარღვთა ამოსატეხ-ამოსაჩორკნი ხელსაწყოები, სპილენძისა და ბრინჯაოს ზოდები, ტიგელთა ნარჩენები, იარაღთა ჩამოსასხმელი ყალიბები, თვით ჩამოსასხმელ-მეტალურგიული სახელოსნოს ნანგრევები და მრავალი სხვა დამახასიათებელი ძეგლი, რომელთა გამომზეურება ქართული საბჭოთა არქეოლოგიის თვალსაჩინო მიღწევაა.

საქართველოს არქეოლოგიის ახლანდელი დონე საშუალებას გვაძლევს თვალი მივადევნოთ მომდევნო ხანასაც, როდესაც აღმოჩენილ იქნა რკინის უპირატესობა და ეს ლითონი გახდა საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი გარდატეხის მაჩვენებელი. როგორც არქეოლოგიური აღმოჩენები მიუთითებენ, ჩვენში ამ სამი ათასი წლის წინ კარგად იცნობდნენ რკინას და მისდევდნენ მის მოპოვება-დამუშავებას. ბრინჯაოს ხანის მეტალურგიული ტრადიცია მომდევნო პერიოდშიაც ჩანს შენარჩუნებული და განვითარებული. ამას მკაფიოდ აღნიშნავენ იმ დროიდან მოღწეული წერილობითი წყაროებიც.

ანტიკური ხანის ძეგლების შესწავლისას თვალსაჩინო ადგილი ეკავა ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების კვლევას დასავლეთ საქართველოში. ამ მხრივ აღსანიშნავია ვანში (ნ. ხოშტარია), დაბლაგომში (ნ. ა. ბერძენიშვილი, ბ. კუფტინი, ნ. ხოშტარია), ქობულეთ-ფიქვნარში (ნ. ხოშტარია), ურეკში (ნ. ხოშტარია), ყულევსა და ფოთში (ნ. ხოშტარია, გ. გობეჯიშვილი), სოხუმში (ა. კალანდაძე, მ. თრაფში), ბიქვინთაში (ა. აფაქიძე, მ. ინაძე, ი. ციციშვილი, თ. მიქელაძე, ო. ღამბაშიძე, რ. რამიშვილი და სხვ.) განხორციელებული არქეოლოგიური სამუშაოები. მეტად მნიშვნელოვანი შედეგია მიღებული ანტიკური ხანის ძეგლების შესწავლის მიმართულებით რაჭა-ლეჩხუმში (ბრილი, შოშეთი, კვაშხიეთი და სხვ.) ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გ. გობეჯიშვილის ხელმძღვანელობით.

უკანასკნელი 20 წლის მანძილზე სათანადო სამეცნიერო დაწესებულებათა ყურადღების ცენტრშია მოქცეული ფეოდალური ხანის არქეოლოგია. ამ მიმართულებით მუშაობა გაცხოველდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" დაწერის 750 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო-საზეიმო მზადებასთან დაკავშირებით. იმხანად საველე სამუშაოები ცნობილ ნაქალაქარებსა და სხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვან პუნქტებს შეეხო (დმანისი, ბოლნისი, გუდარეხი, სამშვილდე, გეგუთი და ა. შ.). შემდეგში, განსაკუთრებით სამამულო ომის დაწყების დროიდან, თითქმის შეწყდა ფეოდალური ხანის ძეგლთა თხრა და განახლებულ იქნა ის უკანასკნელი ათი წლის მანძილზე. ამ სამუშაოთა განახლება დაუკავშირდა ერთი მხრივ მშენებლობებს (თბილისი, რუსთავი, ვაშნარი), მეორე მხრივ ისტორიის ინსტიტუტის ახალ პრობლემატიკას. მოეწყო ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიციები, რომლებმაც ნაყოფიერი საველე-სადაზვერვო სამუშაოები ჩაატარა აფხაზეთში, ქვემო და ნაწილობრივ შიდა ქართლში, ივრის ხეობაში. ამ ბოლო წლებში ფეოდალური ხანის ნასოფლარების შესწავლა ქართული საბჭოთა არქეოლოგიის დიდად საყურადღებო უბანია და ამ მხრივ უკვე ფრიად მნიშვნელოვანი შედეგებია მიღებული (ი. გძელიშვილი, ლ. რჩეულიშვილი).

ნაყოფიერი და პერსპექტიულია უძველეს ნამოსახლართა, კერძოდ, ნამოსახლარ გორაკთა არქეოლოგიური შესწავლა, რომელსაც ამჟამად აკად. ნ. ა. ბერძენიშვილი ხელმძღვანელობს.

არქეოლოგიურ სამუშაოებს საბჭოთა საქართველოში არაერთი სამეცნიერო დაწესებულება აწარმოებს. ასეთებია: ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი და აგრეთვე, აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. ამათ გარდა, აღსანიშნავია კულტურის ძეგლთა დაცვის სამმართველოს და თბილისის, გორის, თელავის, სოხუმის, ბათუმის, ფოთის, ზუგდიდის, სტალინირის, რუსთავის, თეთრიწყაროს, ცაგერის, ქუთაისის და სხვ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმების მუშაობა ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის ნივთიერი ძეგლების კვლევა-ძიების საქმეში.

ასეთია მეტ-ნაკლებად სრული სურათი არქეოლოგიური კვლევა-ძიებისა საქართველოში. როგორც ვხედავთ, საველე-არქეოლოგიურმა მუშაობამ ფართო ხასიათი მიიღო უკანასკნელი 20—25 წლის მანძილზე. ნივთიერი კულტურის აღმოჩენილი ძეგლები საფუძველს გვაძლევენ გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ადამიანთა ცხოვრების შესახებ, ქვის ხანიდან ფეოდალურ ეპოქამდე. ამასთანავე, ხერხდება თვალის გადევნება საზოგადოებისა და მისი ნივთიერი კულტურის განვითარების უმთავრეს საფეხურთა მონაცვლეობაზე.

საქართველოს მიწის წიაღი განსაკუთრებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა იმ მხრივაც, რომ აქ იპოვეს ადამიანის მსგავს მაიმუნთა ერთერთი ახალი სახეობის — „უდაბნოელი მაიმუნის" ნაშთები, ე. ი. გამოირკვა, რომ საქართველო ერთი იმ ქვეყანათაგანია, სადაც, შესაძლოა, მიმდინარეობდა მაიმუნის გაადამიანების პროცესი.

საკუთრივ ადამიანის ნაკვალევი კი, სახელდობრ, ადამიანის მიერ გაკეთებული და გამოყენებული იარაღი წინაგვაროვნული საზოგადოების ხანას, არქეოლოგიურად ქვედა პალეოლითს ანუ ძველი-ქვის ხანის ადრინდელ საფეხურს მიეკუთვნება. ეს არის ჯერ-ჯერობით უძველესი — აშელის ხანის კაჟის იარაღები. აშელის ხანა, როგორც ვარაუდობენ, 90 — 100 ათას წელს გრძელდებოდა, ე. ი. ყველაზე ხანგრძლივი პერიოდია ადამიანთა მოდგმის ისტორიაში. აშელის ხანის ათიოდე ნაბინავარია აღმოჩენილი საქართველოში. უფრო მდიდარია და მრავალრიცხოვანი აშელის მომდევნო ხანის, ე. წ. მუსტიეს ეპოქის მასალები. უკვე ოცზე მეტი გამოქვაბული თუ ფარდულია აღმოჩენილი, სადაც მუსტიესდროინდელ ადამიანს დიდძალი იარაღი, ფაუნისა და ფლორის ნაშთები დაუტოვებია. მუსტიეს ხანის დასასრულისათვის ეყრება საფუძველი ადამიანთა საზოგადოების ერთერთ უმნიშვნელოვანეს უჯრედს — გვარს.

ამრიგად, აშელისა და მუსტიეს ხანის იარაღთა აღმოჩენა გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის წინაგვაროვნული საზოგადოების შესახებ საქართველოში

და მიგვითითებს განვითარების ახალი საფეხურის — გვაროვნული საზოგადოების ჩასახვაზე. ამ ხანის დასაწყისი ჩვენი დროიდან 100 ათასი წლით არის დაშორებული და როგორც ვარაუდობენ, დაახლოებით 50 ათას წელს გრძელდებოდა.

არქეოლოგიური აღმოჩენები მიგვითითებენ, რომ ამ 50.000 წლის წინ საქართველოში გ ვ ა რ ო ვ ნ უ ლ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ჩამოყალიბებულა. არქეოლოგიურად ეს არის ზ ე დ ა პ ა ლ ე ო ლ ი თ ი ს ხ ა ნ ა, რომელიც 40—50 ათას წელიწადს გრძელდებოდა. ეს არის საწარმოო ძალთა ახალი განვითარების ხანა, რასაც ადამიანთა საზოგადოების თვალსაჩინო გამრავლება ემთხვევა და უკვე შეიძლება ვარაუდი მრავალრიცხოვანი ნამოსახლარებისა. ხაამისო საფუძველს გვაძლევს ზედა პალეოლითის მრავალრიცხოვანი ძეგლები, აღმოჩენილი საქართველოს ტერიტორიაზე. ქვის ხანის ძეგლთაგან ყველაზე უკეთ შესწავლილი და ყველაზე მრავალრიცხოვანი საქართველოში ზედა პალეოლითის ძეგლებია.

გვაროვნული საზოგადოების ახალი ეტაპი იწყება ამ 10—12 ათასი წლის წინ, როდესაც კიდევ უფრო მკაფიოდ შეიმჩნევა საწარმოო ძალთა განვითარება, უფრო სრულყოფილი ხდება ქვის იარაღი. შესაბამისად დაწინაურებული ჩანს ნადირობა, მეთევზეობა, შემგროვებლობა და საფუძველი ეყრება მიწის დამუშავებასა და ცხოველთა მოშინაურებას, ე. ი. იწყება მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. შენიშნულია ხელოსნობის (მეთუნეობა, ქსოვა და სხვ.) განვითარებაც. რაკი შემგროვებლობა, მიწათმოქმედება და მესაქონლეობა თანდათან დაწინაურდა, ქალის როლიც შესაბამისად გაიზარდა და ის გვარის მეთაურად იქცა, ჩამოყალიბდა გვაროვნული საზოგადოება — მ ა ტ რ ი ა რ ქ ა ტ ი ს სახით.

ეს არის ნ ე ო ლ ი თ ი ანუ ა ხ ა ლ ი ქ ვ ი ს ხანა. გვაროვნული საზოგადოების შემდგომი განვითარება უკვე ნეოლითის ბოლოსათვის შეიმჩნევა. მიწათმოქმედება და მესაქონლეობა მამაკაცთა შრომას მოითხოვდა და თანდათანობით მეურნეობის ეს დარგები მათ საქმედ უნდა ქცეულიყო. ეს, რა თქმა უნდა, ასუსტებდა მატრიარქატს და ქმნიდა მამამთავრულ წესზე დამყარებულ გვარს — პ ა ტ რ ი ა რ ქ ა ტ ს. ასეთი ვითარება გრძელდებოდა ძვ. წ. მეოთხე ათასწლეულამდე, როდესაც საქართველოში მცხოვრებ ადამიანთა საზოგადოებას ლითონის უპირატესობა აღმოუჩენია და მისი გამოყენება დაუწყია.

ამ დროიდან, ე. ი. ძვ. წ. IV ათასწლეულიდან უნდა ვიანგარიშოთ ს პ ი ლ ე ნ ძ ი ს ხ ა ნ ა (ე. წ. ენეოლითი) საქართველოში. ამ დროს ჩ ა მ ო ყ ა ლ ი ბ ე ბ უ ლ ი პ ა ტ რ ი ა რ ქ ა ტ ი — მამამთავრული წყობაა გვარისა. საქართველოს ენეოლითური კულტურა მეურნეობისა და ხელოსნობის დიდად დაწინაურების მომასწავებელია. როგორც ჩანს, საწარმოო ძალთა სწრაფი განვითარება ამოკლებს სპილენძის ხანის ხანგრძლიობას. ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში ენეოლითს ბ რ ი ნ ჯ ა ო ს კ უ ლ ტ უ რ ა ენაცვლება.

საქართველო ბრინჯაოს კულტურის ერთერთი კლასიკური ქვეყანაა. არქეოლოგიური აღმოჩენები ადასტურებენ, რომ ჩვენებური ბრინჯაოს კულტურა სპილენძის (ენეოლითური) ხანის კულტურის ნიადაგზეა აღმოცენებული და განვითარებული. ჩანს, ამის გამოც არის ასე მკაფიოდ ჩამოყალიბებული ადრე-

ბრინჯაოს, შუაბრინჯაოს და გვიანბრინჯაოს საფეხურები, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.

საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის ძეგლების აბსოლუტური ხნოვანება ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებითა და II ათასწლეულის პირველი ნახევრით განისაზღვრება, შუაბრინჯაოს ხანისა — ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებითა და მისი მეორე ნახევრით; გვიანბრინჯაოსი — ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებით და I ათასწლეულის პირველ საუკუნეებით, ე. ი. ძვ. წ. XII — VIII სს.

ამ ხანებში ყალიბდება დასავლურ-ქართული და აღმოსავლურ-ქართული ბრინჯაოს კულტურა.

ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებში თავს იჩენს რკინა, ე. ი. იწყება ადრეული რკინის ხანა, მაგრამ აღმოჩენები გვიჩვენებენ, რომ იმ დროს ჯერ კიდევ ძალიან ფართოდ არის გავრცელებული ბრინჯაოს იარაღ-სამკაული.

ძვ. წ. VIII საუკუნიდან ბრინჯაო და სპილენძი უმთავრესად სამკაულების სახით გვხვდება, იარაღი რკინისა კეთდება, ე. ი. იწყება რკინის ფართო ათვისების ხანა.

რა თქმა უნდა, საზოგადოებრივ ცხოვრებაშიაც მნიშვნელოვანი ცვლილებებია მომხდარი. საქართველოში ინტენსიურად მიმდინარეობს ეთნოგენეზის პროცესი და ისახება უძველესი სახელმწიფო წარმონაქმნები. ძვ. წ. VI — IV — ახ. წ. III — IV საუკუნეები არის ქართული ადრემონათმფლობელური სამეფოების ხანა, რომელსაც პირობით ანტიკურ ხანას ეუწოდებთ. ამ ეპოქის არქეოლოგიური ძეგლები ეგრისის (კოლხეთის) და ქართლის (იბერიის) სამეფოების ტერიტორიიდან მომდინარეობს და მეტწილად დაწინაურებულ საქალაქო ცხოვრებას ახასიათებს.

ახ. წ. IV და მომდევნო საუკუნეები ქართული ფეოდალიზმის ხანაა. ამ ხანის არქეოლოგიურ ძეგლთა შორის გამოიყოფა სამი უმთავრესი ჯგუფი: ა) ადრეფეოდალური (IV — X სს); ბ) შუაფეოდალური (XI — XIII სს) და გ) გვიანფეოდალური (XIII — XIX სს). ფეოდალური ხანის მასალები გვიჩვენებენ განვითარებულ საქალაქო ცხოვრებას (ხელოსნობა, ვაჭრობა, კულტურა და ხელოვნება) და წარმოდგენას გვიქმნიან ფეოდალური ხანის ნასოფლართა შესახებ.

ამრიგად, ქვედა პალეოლითი, ზედა პალეოლითი, სპილენძის ხანა (ენეოლითი), ბრინჯაოს ხანა, ადრეული რკინის ხანა, ადრემონათმფლობელური ქართლის და ეგრისის ნივთიერი კულტურა, ფეოდალური ხანის კულტურა — ასეთია უმნიშვნელოვანესი საფეხურები, რომელთა მეტ-ნაკლებად სრული დახასიათებისათვის საქართველოში წარმოებული გათხრითი მუშაობის შედეგად მრავალრიცხოვანი და ფრიად მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლებია აღმოჩენილი. ქვემოთ მოცემულია ცდა ამ საფეხურთა შესაბამისი არქეოლოგიური მასალის დახასიათებისა და, ამ გზით, ქვეყნის ცხოვრების წარმოდგენისა.

თ ა ვ ი I

ქვის ხანის არქეოლოგიური ძეგლები

§ 1. ძველა პალეოლითი

მესამე გეოლოგიური ეპოქის შუა ხანებში დიდი კავკასიონი სარმატიის ზღვის ზედაპირზე ამოზიდულ დიდ, მერიდიანულად წაგრძელებულ კუნძულს წარმოადგენდა მაშასადამე, ზღვის ქვეშ იმყოფებოდა ამიერ და იმიერ კავკასიის უმეტესი ნაწილი, ისევე როგორც საქართველოს მთელი ტერიტორია, მაღალი მთიანეთის გამოკლებით. ამ ეპოქის გასულს კი ხმელეთი იმდენად ამოიზიდა, რომ კასპიისა და შავი ზღვები სამხრეთის მხრიდან ერთიმეორეს მოსწყდნენ, მათ შორის კავკასიის ყელი გაჩნდა. მესამეული და მეოთხეული ეპოქების მიჯნაზე ამიერკავკასიასა და, კერძოდ, საქართველოში ფრიად ხელსაყრელი პირობები შექმნილა, რათა წარმოშობილიყვნენ უმაღლესი ფორმის მაწოვრები და მათ შორის, ბოლოს, ადამიანიც. პალეოანთროპოლოგია ამტკიცებს, რომ უძველესი ადამიანები უნდა წარმოშობილიყვნენ ადამიანისმსგავს მაიმუნთა ერთი ან რამდენიმე უძველესი სახეობისაგან, რომლებიც ახლა, რა თქმა უნდა, გადაშენებულია. ასეთ სახეობებს ეკუთვნიან *დ რ ი ო პ ი თ ე კ ი*, *რ ა მ ა პ ი თ ე კ ი*, *ა ვ ს ტ რ ა ლ ო პ ი თ ე კ ი* და სხვ., რომელთა ნაშთებს მეცნიერებამ უმეტესწილად თბილი და ცხელი ქვეყნების მიწის წიაღში მიაკვლია.

დასაშვებია, რომ ერთერთ ასეთ სახეობას *უ დ ა ბ ნ ო პ ი თ ე კ ი* ანუ *უ დ ა ბ ნ ო ე ლ ი მ ა ი მ უ ნ ი ც* წარმოადგენდა. ეს სახელწოდება წარმოდგება საგარეჯოს რაიონის (საქართველოს სსრ) დავით გარეჯის უდაბნოსაგან, რომლის მიდამოებში იყო აღმოჩენილი ამ მაიმუნის ორი ყბის ნაშთითურთ. ეს აღმოჩენა მიუთითებს, რომ საქართველოში და, საერთოდ, კავკასიაშიც შესაძლოა უძველესი ტიპის ადამიანის ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა. ცხადია, რომ ადამიანის წარმოშობის ეს პროცესი ხანგრძლივი იყო და იგი, ალბათ, ასეული ათასი წლების მანძილზე გრძელდებოდა.

ადამიანისმსგავს მაიმუნთა ფიზიკური და გონებრივი განვითარებისა და საბოლოოდ მათი ადამიანებად გადაქცევის პროცესში არსებითი როლი შეასრულა მიწაზე ცხოვრებამ, ორ ფეხზე ამართულად სიარულმა, ხორცეულ საჭმელზე გადასვლამ, მეტყველებამ და შრომამ. ეს უკანასკნელი კი, უნდა ვიფიქ-

როთ, დაიწყო ხელსმოყოლილი საგნების (ხე, ქვა და სხვ.) მოხმარებით, მათი პირველადი დამუშავებით და, მაშასადამე, პირველი იარაღების დამზადებით. რაკი ამ არსებამ შეძლო „პირველი კაჟი დანად გადაექცია" (ენგელსი), ამით იგი უკვე შეუდგა გამიზნულ შრომას. შრომა კი „ადამიანის მთელი სიცოცხლის ძირითადი პირობაა და მასთან იმდენად, რომ ჩვენ გარკვეული აზრით უნდა ვთქვათ: შრომამ შექმნა თვით ადამიანი" (ენგელსი). ამ მომენტიდან დაიდო საზღვარი ადამიანისმსგავს მაიმუნთა ჯოგსა და უძველეს ადამიანთა პრიმიტიულ საზოგადოებას შორის.

ადამიანთა პირვანდელი საზოგადოების ჩამოყალიბებიდან დღემდე გასულ ხანას მეცნიერები დაახლოებით 500000 წლით ანგარიშობენ. ამ ხნის განმავლობაში ადამიანმა განვითარების უდიდესი გზა განვლო. კერძოდ, საზოგადოებაში გაერთიანებულმა ადამიანებმა გაიარეს პ ი რ ვ ე ლ ყ ო ფ ი ლ-თ ე მ უ რ ი, მ ო ნ ა თ მ ფ ლ ო ბ ე ლ უ რ ი, ფ ე ო დ ა ლ უ რ ი, კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი ფორმაციები, ხოლო საბჭოთა კავშირის ხალხები, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოსახლენი, და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მცხოვრებნი ახლა ცხოვრობენ სოციალისტურ ფორმაციაში და წარმატებით აშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას.

პირველყოფილ-თემური ფორმაცია თავის მხრივ იყოფა ორ საფეხურად: წ ი ნ ა გ ვ ა რ ო ვ ნ უ ლ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა და გ ვ ა რ ო ვ ნ უ ლ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა, გ ვ ა რ ო ვ ნ უ ლ ი თ ე მ ი.

წინაგვაროვნული საზოგადოება წარმოადგენდა ადამიანთა პირველს მეტნაკლებად მსხვილ ჯგუფურ გაერთიანებას, რომელიც წარმოების, განაწილებისა და მოხმარების კოლექტიურ პრინციპზე იყო დამყარებული. სწორედ წარმოების უნარი არის ის ახალი თვისობრივი მოვლენა, რითაც ადამიანები არსებითად განსხვავდებიან ცხოველთაგან. „ადამიანთა საზოგადოების არსებითი განსხვავება ცხოველთა საზოგადოებისაგან ისაა, რომ ცხოველები უკეთეს შემთხვევაში აგროვებენ, მაშინ როდესაც ადამიანები აწარმოებენ" (ენგელსი). მაგრამ იმისათვის, რომ ეწარმოებინათ, ადამიანებს უნდა ჰქონოდათ წარმოების საშუალებანი. ამ საშუალებებში პირველი ადგილი, ცხადია, შრომის იარაღებს უჭირავთ. პირველყოფილი ადამიანი იარაღებს ქვის, ხისა და ძვლისაგან აკეთებდა. უნდა ვიფიქროთ, რომ თუ პირველ ხანებში ადამიანი ბუნებაში მზამზარეულად შეხვედრილი ჯოხით კმაყოფილდებოდა, მალე საჭირო გახდა მისი მოჭრა და წამახვილება, რასაც ადამიანმა მიაღწია ბუნებრივად წამახვილებული ქვის გამოყენებით. ამგვარად, ქვა თავადაც იყო იარაღი და სხვა იარაღის წარმოების საშუალების როლშიაც გამოდიოდა. პირველყოფილი ადამიანის საწარმოო ცხოვრებაში ქვის ასეთი მნიშვნელობის გამო, საზოგადოების განვითარების ამ უძველეს და უზარმაზარ პერიოდს მეცნიერებმა ქ ვ ი ს ხ ა ნ ა უწოდეს. ქვის საუკუნე ან ქვის ხანა იყოფა ორ ძირითად პერიოდად — ძ ვ ე ლ ი ქ ვ ი ს (პ ა ლ ე ო ლ ი თ ი ს) ხანად და ა ხ ა ლ ი ქ ვ ი ს (ნ ე ო ლ ი თ ი ს) ხანად. ძველიქვის ხანას, თავის მხრივ, ყოფენ ქვედა ანუ ადრეულ პალეოლითად და ზედა ანუ გვიან პალეოლითად. ქვედა და ზედა პალეოლითს შორის ზოგი მეცნიერი სულ უკანასკნელ ხანებამდე გამოყოფდა შუა პალეოლითსაც. იგი მოდიოდა ძირითადად მუსტიეს ეპოქაზე, როდესაც ცხოვრობდა ნეანდერტალელი —

უძველეს ადამიანთა და გონიერ განათხარ ადამიანთა დამაკავშირებელი რგოლი, მაგრამ ახლა ასეთი შუალედი ეპოქის გამოყოფას საბჭოთა არქეოლოგების უმეტესობა არ ცნობს საჭიროდ.

საფრანგეთში ძველქვის ხანის განვითარების მიხედვით პალეოლითს უფრო წვრილ საფეხურებადაც ყოფენ. ეს საფეხურებია: შ ე ლ ი, ა შ ე ლ ი, მ უ ს ტ ი ე, ო რ ი ნ ი ა კ ი, ს ო ლ უ ტ რ ე, მ ა დ ლ ე ნ ი და ა ზ ი ლ-ტ ა რ დ ე ნ უ ა ზ ი. ამგვარი დაყოფა დღესაც ყველაზე ვარგის სამუშაო სქემად არის აღიარებული.

ზოგიერთი მეცნიერი შესაძლებლად მიიჩნევს შელის ეპოქას წინ წაუძღვაროს „ე ო ლ ი თ ი ს“ (ქვის განთიადის) ეპოქა. მაგრამ მეცნიერთა უმრავლესობა უარყოფს ეოლითების უტყუარობას და სათანადო ეპოქის გამოყოფასაც ზედმეტად თვლის. სამაგიეროდ როგორც უცხოეთში, ასევე ჩვენშიც მიღებულია ე. წ. „წ ი ნ ა შ ე ლ უ რ ი“ ეპოქა, რომლის ასაკობრივი შეფარდება სხვა განაყოფებთან მის სახელწოდებაში გამოსჭვივის. იმის გამო, რომ წინაშელური ქვის იარაღები არ იძლევა მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებულ ჯგუფებს, ზოგნი ამ ეპოქას მეტად ზოგად სახელს ა რ ქ ე ო ლ ი თ ს უწოდებენ.

ზემოთ მოტანილი პერიოდიზაციის პირველი სამი დანაყოფი, სახელდობრ: შელი, აშელი და მუსტიე, შეადგენს ადრეულ ანუ ქ ვ ე დ ა პ ა ლ ე ო ლ ი თ ს. იგი ყველაზე ხანგრძლივი პერიოდია ადამიანის განვითარების ისტორიაში და რამდენიმე ასიათას წელსაც ითვლის. ქვედა პალეოლითის დასაწყისში უნდა ეცხოვრათ უძველეს ადამიანებს — პ ი თ ე კ ა ნ თ რ ო პ ს (მაიმუნადამიანს) და ს ი ნ ა ნ თ რ ო პ ს (ჩინელ ადამიანს). ამ პერიოდის შუა და ბოლო საფეხურზე კი ჩამოყალიბდა ძველი ადამიანის ტიპი — ნ ე ა ნ დ ე რ ტ ა ლ ე ლ ი. შედარებით თბილი ჰავა, ცხოველებით მდიდარი და მცენარეული საკვებით უხვი ტყეები და ველ-მინდვრები იმ დროს ხელსაყრელ პირობებს ქმნიდნენ ადამიანის ფართოდ გავრცელებისათვის.

იმასთან დაკავშირებით, რომ გარდასულ გეოლოგიურ ეპოქათაგან ადამიანის წარმოქმნა და მისი შემდგომი ცხოვრება მხოლოდ მ ე ო თ ხ ე უ ლ თ ა ნ არის დაკავშირებული, ამ პერიოდს უკანასკნელ ხანებში სულ უფრო ხშირად ა ნ თ რ ო პ ო გ ე ნ ი ს ან ა ნ თ რ ო პ ო ზ ო ი ს პერიოდს უწოდებენ. მეოთხეულ ან ანთროპოგენურ პერიოდში გამოჰყოფენ ძველმეოთხეულს ანუ პ ლ ე ი ს ტ ო ც ე ნ ს და ახალმეოთხეულს, ჰ ო ლ ო ც ე ნ ს, ანუ თანამედროვე გეოლოგიურ პერიოდს. ძველმეოთხეულს, რომელზედაც თითქმის მთელი პალეოლითი მოდის, სხვაგვარად ყ ი ნ ვ ა რ ე უ ლ პერიოდსაც უწოდებენ. ასეთი სახელწოდება იქიდან მოდის, რომ ამ პერიოდის ადამიანის ყოფაცხოვრებასა და მის გარემო პირობებზე დიდ გავლენას ახდენდა პოლარული ყინვარები, მათი პერიოდული მოძრაობანი და ამით გამოწვეული ცვლილებები ბუნებაში.

ყინვარეული მოვლენების განვითარება შეიმჩნეოდა კავკასიონის მთიანეთშიც, მაგრამ აქაური გაყინვარება არ ყოფილა ძლიერი, რის გამოც მას არსებითი ხასიათის ცვლილება კავკასიის ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოში არ შეუტანია.

როგორც ცნობილია, პენკისა და ბრიუკნერის მიერ ალპების მაგალითზე შემუშავებული იყო თეორია ოთხი ყინვარეული პერიოდის შესახებ. ესაა გიუნცის, მინდელის, რისისა და ვიურმის გაყინვარებანი. ამათგან საბჭოთა კავშირში გიუნცის გაყინვარების კვალი არსად არ არის დადასტურებული, დანარჩენი პერიოდების ნაკვალევი კი საკმაოდ არის წარმოდგენილი და ბევრ ადგილასაც არის მიკვლეული, მათ შორის ჩვენს ქვეყანაშიაც.

დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლში მინდელის ხანაში უკვე ჩამოყალიბებული იყო 100 — 110 მ სიმაღლის ტერასები, რომლებზედაც ვხვდებით აშელის ტიპის იარაღებს. ამდროინდელ ცხოველთა წარმომადგენლებია: სამხრეთის სპილო, ბრტყელშუბლა სპილო, ეტრუსკული მარტორქა, გარეული ცხენი, ბიზონი, ელასმოთერიუმი, გამოქვაბულის დათვი და სხვ.

მინდელ-რისის ყინულთშორისი ეპოქის პირველი ნახევარი თბილი, თითქმის სუბტროპიკული ჰავით ხასიათდებოდა. მეორე ნახევრიდან კი იწყება თანდათანობით აცივება.

რისის ეპოქა ყველაზე ხანგრძლივი იყო და ხასიათდებოდა ყინულების მაქსიმალური გავრცელებით. ამ დროს კავკასიონსაც საკმაოდ მძაფრი გაყინვარება განუცდია. ცხოველთაგან აღსანიშნავია გამოქვაბულის ლომი, დათვი და აფთარი; დიდრქიანი ირემი, ბეწვიანი მარტორქა, მამონტი. ამ უკანასკნელს სხვაგვარად ყინულოვანი პერიოდის სპილოსაც უწოდებენ.

საქართველოს შავიზღვისპირეთში რისისა და რის-ვიურმის ეპოქაში ყალიბდება 60—80 და 32—40 მეტრის სიმაღლის ტერასები, რომლებზედაც მოიპოვება მუსტიეური იარაღები. საბოლოო მორენებს ვხვდებით წებელდასა და მდ. კოდორის ხეობაში ზღვის დონიდან 350 — 400 მეტრის სიმაღლეზე. ისევ გვხვდება ტროგონტერიუმი და მერკის მარტორქა. ამ უკანასკნელის ნაშთები, სხვათა შორის, აღმოჩენილია წინანდალში (კახეთი) 14 მ სიღრმეზე. კახეთისავე ტერიტორიაზე — გურჯაანსა და შირაქში აღმოჩენილია სამხრეთის სპილოს კბილები და ზოგიერთი ძვლებიც.

ვიურმის გაყინვარება უკანასკნელი და თანაც სუსტი იყო. ამ დროის კავკასიონის ყინვარეულ ცენტრად იალბუზსა თვლიან. შავი ზღვის სანაპიროზე ჩამოყალიბებულია 20 მ სიმაღლის ტერასები, რომელთა ზედაპირზე მოიპოვება ქვედაპალეოლითური იარაღები.

ცხოველებიდან განაგრძობენ არსებობას მამონტი, დიდრქიანი ირემი, ჩრდილოეთის ირემი, ლემინგი, გამოქვაბულის ცხოველები (ლომი, დათვი, აფთარი) და სხვ.

ქვედაპალეოლითური ნაშთები სხვაგანაც და ჩვენშიაც დღემდე მოღწეულია კაჟის, ობსიდიანის (ვულკანური მინის) და სხვა მაგარი ქვებისაგან (ბაზალტი, ანდეზიტი, კვარცი, იასპი და ა. შ.) ნაკეთები იარაღების სახით.

ქვედა პალეოლითი მოიცავს შელის, აშელისა და მუსტიეს ეპოქებს. საქართველოში მოპოვებული უძველესი იარაღები კი, როგორც ქვემოთ დაურწმუნდებით, აშელის ეპოქას განეკუთვნება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ წინაშელურ პერიოდებში აქ ადამიანს არ ეცხოვროს. და თუ ამის შესახებ ცოტა რამ ვიცით, ეს ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევა-ძიების არასაკმარი-

1



2



3

4



5

6

7

სობით აიხსნება. მიუხედავად ამისა, საქართველოში აღმოჩენილი აშელური და მუსტიეური იარაღები პალეოლითელი ადამიანის ნაკვალევის ერთერთ ყველაზე უძველეს მოწმობას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ამ ბოლო ათეულ წლებში სომხეთში წარმოებულმა ძიებამ მნიშვნელოვნად გააფართოვა ჩვენი წარმოდგენა ამიერკავკასიის ძველიქვის ხანის შესახებ.

სომხეთში აღმოჩენილი პალეოლითური მასალებიდან ყველაზე უადრესია სატანი-დარის იარაღები, რომელთა შორის, ტლანქად ნაკეთები მჭრელი იარაღების გვერდით, საკმაოდ ბეჭრსა და კარგად გამოკვეთილ შელურ ხელცულებს ვხვდებით; უფრო მრავალრიცხოვანია აქაცა და აგრეთვე არზნიში აშელური და მუსტიეური იარაღ-ხელსაწყოები. ამგვარად, სომხეთის პალეოლითური ძეგლები, ერთი მხრივ, უტყუარ საბუთს გვაწვდიან სომხეთის პლატოზე ძველიქვის ხანის ადამიანის ცხოვრების დასადასტურებლად, ხოლო, მეორე მხრივ, საშუალებას გვაძლევენ მჭიდროდ დავუკავშიროთ ერთიმეორეს ყირიმ-კავკასიისა და ანატოლია-სირია-პალესტინის ეს დღემდე თითქოს გათიშული კულტურული რაიონები.

ქვედაპალეოლითელი ადამიანის ნაბინავრებისა და შრომის იარაღების გავრცელებით ჩვენს ქვეყანაში დღემდე ორი ძირითადი რაიონი გამოირჩეოდა: შავი ზღვის სანაპირო (უმთავრესად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებში) და ისტორიული შიდა ქართლის ტერიტორიის ნაწილი (სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი — სტალინირის, ზნაურისა და ჯავის რაიონები). ამათ შორის მოქცეული რაიონი კი, კერძოდ, ჭიათურისა და ქუთაისის მიდამოები ცნობილია კარსტული გამოქვაბულებით და მათში აღმოჩენილი ზედაპალეოლითური ნაშთების შემცველი კულტურული ფენების სიმძლავრით.

მაგრამ სულ უკანასკნელ წლებში წარმოებულმა კვლევა-ძიებამ მნიშვნელოვნად გააფართოვა ჩვენს ქვეყანაში ქვედაპალეოლითური ძეგლების გავრცელების არეალი.

ზემო რაჭაში და სამხრეთ ოსეთის მთიანეთში აღმოჩენილ იქნა შუაქვის — მეზოლითის ხანისა და, რაც მთავარია, აშელ-მუსტიესდროინდელი ნივთიერი კულტურის ძეგლები. ასე რომ, ამიერიდან შეგვიძლია ვიმსჯელოთ ცენტრალური კავკასიონის სამხრეთი კალთების საკმაოდ მდიდარ კულტურულ რაიონზე, რომელიც მთლიანად შეიცავს ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ნივთიერი ძეგლებით კარგად ცნობილ ისტორიულ შიდა ქართლს. მეორე მხრივ, ისტორიული ქვემო ქართლის მიწა-წყალზე ცნობილი გახდა სრულიად ახალი რაიონი— მდ. მდ. ხრამ-დებედის აუზი და ავეიდაღის მთის მასივი, სადაც მიკვლეულ იქნა კულტურულად და ფაუნისტურად კარგად დათარიღებული გამოქვაბულები. ბოლოს, ქუთაის-ჭიათურის რაიონში (საკუთრივ მდ. ყვირილას ხეობაში), რომელიც უმეტესად ზედა პალეოლითით იყო ცნობილი, თავი იჩინა ქვედაპალეოლითურმა ძეგლებმაც.

შავი ზღვის სანაპიროს თითქმის ყველა პუნქტი, სადაც მოიპოვება პალეოლითური ძეგლები, განფენილია საკმაოდ ფართო ზოლში გაგრიდან მდ. ენგურის შესართავამდე. სანაპიროს ეს ზოლი (სიფართე დახლოებით 25 კმ) წარმოადგენს ზღვის ტერასების გავრცელების რაიონს. კულტურული ნაშთები უმ-

თავრესად ამ ტერასების ძველ ალუვიონურ ან ხშირად დელუვიონურ ნალექებში იჩენს თავს. პალეოლითური ძეგლების გავრცელების ამ თავისებური გეოლოგიური პირობებით შავიზღვისპირეთის პალეოლითი განსხვავდება როგორც გლაციალური რაიონების (მათ შორის, რუსეთის დაბლობის) პალეოლითისაგან, სადაც კულტურული ნაშთები მეტ-ნაკლები კომპაქტური მასის სახით დელუვიონური დანალექების ქვეშაა მოქცეული, ასევე კავკასია-ყირიმის ძეგლებისაგან, სადაც ეს უკანასკნელნი უმეტესწილად გამოქვაბულთა ფენებში გვხვდება. ასეთი თავისებურების გამო აქაური პალეოლითი მოკლებულია ფლორისა და ფაუნის მონაცემებს, ე. ი. ერთგვარ პალეონტოლოგიურ დასაბუთებას. ანალოგიურ პირობებშია დაგროვებული პალეოლითური ძეგლები შიდა ქართლში, აგრეთვე სომხეთში. ასეთსავე სურათს გვაძლევს ქვედაპალეოლითური იარაღების სტრატიგრაფია ცენტრალურსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში, პალესტინაში, ჩრდილო საფრანგეთში, ბელგიასა და სამხრეთ ინგლისშიაც კი.

დასავლეთ საქართველოში შავიზღვისპირეთის ქვედაპალეოლითური სადგომები ორ ქრონოლოგიურ ჯგუფად იყოფა: ა) ა შ ე ლ უ რ ი ეპოქის სადგომებად, რომლებიც 10 პუნქტშია აღმოჩენილი, და ბ) მ უ ს ტ ი ე უ რ ი ეპოქის სადგომებად, რომლებიც 23 ადგილას არის დადასტურებული.

აშელური ეპოქის სადგომები მიკვლეულია შემდეგ პუნქტებში: სოფ. კ ო ლ ხ ი დ ა, სოფ. ქ ი უ რ დ ა რ ა, ქ ვ ე დ ა ი ა შ თ ხ ვ ა, ქ. ს ო ხ უ მ ი, ბ ი რ ც ხ ა (მთა), გ ვ ა რ დ ა (მთა), ა ფ ი ა ნ ჩ ა (მთა), სოფ. ო თ ა ფ ი, ქ. გ ა ლ ი, სოფ. ჭ უ ბ უ რ ხ ი ნ ჯ ი. მუსტიეური სადგომები კი სოფ. კ ე ლ ა ს ურ ში, სოფ. ბ ო გ ო ვ ე შ თ ა ში, ქ. ო ჩ ა მ ჩ ი რ ე ში, ბ ზ ი ფ ი ს გამოქვაბულში, სოფ. კ ა ლ დ ა ხ ვ ა რ ა ში, სოფ. ლ ი ხ ნ ე ში, ქ. გ უ დ ა უ თ ა ში, სოფ. ე შ ე რ ა ში, ლ ე ჩ ქ ო ფ ში, ი ა შ თ ხ ვ ა ზ ე, მ ო ქ ვ ე ში, ი ლ ო რ ში, ა ჩ ი გ ვ ა რ ა ში, ქ. გ ა ლ ში და სხვ. აქვე უნდა იქნეს დასახელებული აგრეთვე სადგომი რ უ ხ ი I (ზუგდიდის რაიონი).

სხვადასხვა ეპოქის სადგომები გვხვდება სხვადასხვა გეოლოგიურ პირობებში და უკავშირდება სხვადასხვა ხნოვანების ძველ ზღვიურ და მდინარეულ ტერასებს. სანაპირო ზოლში სულ 5 ზღვიური ტერასაა, რომლებიც დაახლოებით უნდა შეესაბამებოდნენ შავი ზღვის ზედაპირის ხუთ სხვადასხვა დონეს, რომლებზედაც იგი ხუთ სხვადასხვა ეპოქაში უნდა მდგარიყო.

ამჟამად ჩვენთვის საინტერესო პერიოდის მასალები მოიპოვება: ა) ა შ ე ლ ი ს ა — V ტერასის თიხნარებში; ეს ტერასა ზღვის დონიდან 80—100 მ სიმაღლეზეა; ბ) მ უ ს ტ ი ე ს ი — უმთავრესად III ტერასის ალუვიონურ თიხნარებში; ტერასა ზღვის დონიდან 32 — 40 მ სიმაღლეზე მდებარეობს.

ზემოაღნიშნულ 10 პუნქტში მოპოვებული და აშელით დათარიღებული კაეის ინვენტარის ძირითად მასას წარმოადგენს უხეში, მასიური, ფართო და უსწორო მოყვანილობის ანატკეცები, რომლებიც ჩამოტეხილია დისკოსებრი ნ უ კ ლ ე უ ს ი დ ა ნ. ზოგიერთი მათგანი შემდგომი დამუშავებით უქცევიათ წ ვ ე ტ ა ნ ად ან ს ა ფ ხ ე კ ა დ. გარდა ამისა, ქიურდარაში, იაშთხვაში, გალში, ჭუბურხინჯში და სხვ. აღმოჩენილია ადრეული პალეოლითისათვის

მეტად დამახასიათებელი და იმდროისათვის თითქმის უნიკალურია ი ა რ ა-ღ ე ბ ი, ე. წ. ხ ე ლ ცუ ლ ე ბ ი.

აშელურ-კლექტონურ პერიოდში ჩვეულებრივ გვხვდება დიდი, მასიური ანატკეცები, რომლებზედაც შემორჩენილია საგრძნობლად ამოზნექილი დარტყმის ბორცვი. დარტყმის მოედანი ძალიან ფართოა და ანატკეცის მუცლის მხარესთან ბლაგვ კუთხეს ქმნის. ზოგიერთ იარაღებზე შემორჩენილია ნუკლეუსის გათლის კვალი. საერთოდ ამ პერიოდში არ იციან იარაღის მეორადი დამუშავება, აქ უფრო მეტად იარაღის უხეშ გათლას მიმართავენ. გარდა ამ ნიშნებისა, კაჟის იარაღები გამოირჩევიან ლრმა, თეთრი ან მოყვითალო პატინით.

აშელურ სადგომებს შორის ყველაზე მდიდარი და მრავალფეროვანია ი ა შ თ ხ ვ ა. იგი მდებარეობს ქ. ხოხუმის ჩრდილოეთით 3-3,5 კმ მანძილზე, მთა იაშთხვას ძირობზე მოთავსებულ V (80 — 100 მ სიმაღლის) ტერასაზე. აქ, სიმინდისა და თამბაქოს ყაყანეებში, მრავლად მოიპოვება როგორც ქვედა, აგრეთვე ზედაპალეოლითური იარაღები, მათი ნამზადები და ანატკეც-ანამტვრევები. ყველაზე უძველესი (აშელური) ნივთიერი კულტურის ნაშთები განფენილია დელუვიონურ თიხნარსა და მის ქვეშ მდებარე ხვინჭოვანი ფენის ზედა ჰორიზონტში.

იაშთხვას სადგომის კაჟის ინვენტარში გამოირჩევა შემდეგი სახეები: ფართო და მასიური ა ნ ა ტ კ ე ც ე ბ ი; დიდი ტლანქი, დისკოსებრი მოყვანილობის ნ უ კ ლ ე უ ს ე ბ ი; მასიური ს ა ფ ხ ე კ ე ბ ი; ორმხრივ გათლილ-გაჩორკნილი ხ ე ლ ცუ ლ ე ბ ი, რომელთა შორის ვხვდებით ტიპიურსაც და უსწორო მოყვანილობისასაც; ტ ლ ა ნ ქ ი მ ჭ რ ე ლ ი ი ა რ ა ღ ე ბ ი; უხეში, ჯერ კიდევ საბოლოოდ ჩამოუყალიბებელი, წ ვ ე ტ ა ნ ე ბ ი. უკანასკნელ სამ ჯგუფში შემავალი იარაღებისათვისაც დამახასიათებელია მეტად უხეში, ორმხრივი გათლა-გაჩორკნა. გარდა ამისა, იარაღთა უმრავლესობა მთლიანი კაჟრისაგან არის გამოთლილი (ტაბ. I).

იაშთხვას აშელური ეპოქის იარაღთაგან ყველაზე დამახასიათებელი მაინც ე. წ. ხ ე ლ ცუ ლ ე ბ ი ა. ხელცული ჯერ კიდევ ბ უ შ ე დ ე-პ ე რ-ტ ი ს ა დ ა გ. მ ო რ ტ ი ლ ი ე ს მიერ იყო აღიარებული შელური ეპოქის უნივერსალურ იარაღად. დღევანდელი არქეოლოგიური მეცნიერებაც ტოვებს მას შელი-აშელის იარაღების ერთერთ წამყვან ფორმად, მაგრამ გასული საუკუნის მეცნიერები მას განიხილავდნენ, როგორც ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი იარაღის თითქმის ერთადერთ ტიპს. დღეს კი არანაკლები ყურადღება ეთმობა ხელცულის თანმხლებ ინვენტარსაც, რომლის რაოდენობრივი ზრდა და მსგავსი ჯგუფების სიხშირე მეტ-ნაკლებად მყარი ნიშნების მქონე ტიპოლოგიური სერიების გამოყოფის საშუალებას იძლევა. ასეთ სერიებს წარმოადგენენ იაშთხვას სადგომზე აღმოჩენილი იარაღები. იაშთხვას ხელცულები, ისე როგორც აშელის ეპოქის მსგავსი იარაღები, ორმხრივ ნათალია, მაგრამ შელურისაგან განსხვავებით, ნაკლებ მასიური და უფრო თხელი; მათ თლის შედეგად დარჩენილი ფაცეტებიც მეტი აქვთ. აღსანიშნავია აგრეთვე ე. წ. ქ უ ს ლ ი ს ნაკლებ მასიურობა (ტაბ. I, 1, 7).

ხელცული რომ საქართველოს შავიზღვისპირეთის ადრეული პალეოლითისათვის შემთხვევითი მოვლენა არ არის, ამის მაჩვენებელია მსგავსი იარაღების

აღმოჩენის ფაქტი ჭ უ ბ ურ ხ ი ნ ჯ ს ა და გ ა ლ შ ი. პირველ პუნქტში, V ტერასაზე მოპოვებულ არქაული იერის იარაღებს შორის გამოირჩევა მუქი ვარდისფერი კაჟისაგან ნაკეთები ხელცული, რომელსაც ზედაპირზე სქელი პატინა გადაჰკრავს. უფრო ბეჯითად ნაკეთებია ქ. გალში ნაპოვნი ხელცული. იგი III ტერასაზე აღმოჩნდა სხვა იარაღებთან ერთად და მუსტიეს ეპოქაში ნუკლეუსად გამოყენების კვალს ატარებს (ტაბ. I, 2).

მუსტიეური ეპოქის ნაშთები უძრავ, პირვანდელ მდგომარეობაში გვხვდება IV ტერასის ალუვიონის ძირზე, III ტერასის დელუვიონში და ნაწილობრივ II ტერასის ძველ ალუვიონში. ყველაზე უკეთ ეს ნაშთები დაცულია კელასურსა და ოჩამჩირეში, თუმცა საკმაოდ ბევრია სოფ. ანასტასიევკასთან, აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე, აჰბიუქის მთის მახლობლად და ბევრ სხვა ადგილას.

კ ე ლ ა ს უ რ შ ი, ამავე სახელწოდების მდინარის მარცხენა ნაპირზე, მრავალრიცხოვანი მუსტიეური იარაღები იყო მოპოვებული. მათ შორის მუსტიეური წვეტანები რიცხობრივადაც მეტია და უფრო ბეჯითი დამუშავებითაც გამოირჩევა.

ა ჩ ი გ ვ ა რ ი ს ჩაის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე, მდ. ოქუმის მარცხენა ნაპირზე, 40 მ სიმაღლის ტერასის ალუვიონში ბლომად აღმოჩნდა ერთიანად პატინიზებული იარაღები მუსტიეური დროისა. იქვე აღმოჩნდა ერთი ჩინებული ნაკეთობის ხელცული, რომლის შეთხელებული სამუშაო პირი და საერთოდ იარაღის დახვეწილი პროპორციები საფუძველს იძლევა ისიც მუსტიეს ეპოქას მივაკუთვნოთ.

არანაკლები მნიშვნელობის იარაღებია მოპოვებული ო ჩ ა მ ჩ ი რ ე შ ი ც. აქ, სოხუმ-ოჩამჩირის გზატკეცილის ნაპირას, III ტერასის ფერდობზე შეგროვებულია მუსტიეს ეპოქისათვის დამახასიათებელი იარაღები: წვეტანები, საფხეკები, სამკუთხედის მოყვანილობის ლამელები, დისკოსებრი ნუკლეუსები და სხვ. იარაღის გასაკეთებელ მასალად აქ გამოუყენებიათ მუქი-წითელი ტუროონული კაჟი, რომელიც დროთა განმავლობაში მოყვითალო-ყავისფერი პატინით დაფარულა. იარაღთა გარკვეული ნაწილი აღმოჩენილი იყო ხსენებული ტერასის თიხნარში.

შავი ზღვის სანაპიროზე მოპოვებულ მუსტიეურ მასალებს შორის განსაკუთრებული ადგილი უნდა მიეკუთვნოს ა ჰ ბ ი უ ქ ი ს მთის მახლობლად აღმოჩენილ კაჟის ინვენტარს, რომელიც იაშთხვასა და აჰბიუქის გამყოფ პატარა დაბლობზე (სოხუმიდან 6 კმ), გზის გასწვრივ იყო აკრეფილი.

აქ აღმოჩენილი იარაღებისათვის დამახასიათებელია სწორი, დახვეწილი ფორმები. ანატკეცები და ლამელები თხელი და ბრტყელია. დარტყმის სიბრტყე მათ ყოველთვის ბეჯითად რეტუშირებული (შემოკეთებული) აქვთ. იარაღებადვე იყენებდნენ, როგორც ჩანს, წესიერ-ოვალური მოყვანილობის, განივკვეთში ოსპისმაგვარ ნუკლეუსებსაც. ამ მიდამოებში შეგროვებული მასალა ერთგვაროვანია; მასში არ ურევია არც არქაული და არც ზედაპალეოლითური იარაღები. თავისი შემადგენლობით იგი ყველაზე მეტად ყირიმის ერთერთი ჯამოქვაბულის (შეითან-ყობის) მასალას უახლოვდება.

აჰბიუქში, კელასურსა და ოჩამჩირეში მოპოვებული მასალის შესწავლა საშუალებას გვაძლევს იგი ილის მუსტიეური სადგომისა (ჩრდილო კავკასია) და ყირიმის გამოქვაბულთა სათანადო პერიოდის კაჟის ინვენტარს დავუახლოოთ.

თუმცა საქართველოს ამ მხარეში მოპოვებული მუსტიეური იარაღები გენეტიკურ კავშირშია უფრო ძველი პერიოდის იარაღებთან, მაგრამ განსხვავებაც საკმაოდ მნიშვნელოვანია: მუსტიესდროინდელი ლამელები ნაკლებ მასიურია, ჩამონატეხზე წარმოქმნილი ბორცვი უფრო პატარა და ნაკლებ ამოზნექილი. გათლა-ჩამოთლის ტექნიკა თანდათან დავიწყებას ეძლევა. იარაღი უკვე საბოლოოდ რეტუშის მეოხებით ყალიბდება. იარაღთა უმთავრესი მასა დისკოსებრი ნუკლეუსიდან არის ჩამონატკეცი და მეტ-ნაკლებად სამკუთხედისებრი მოყვანილობის ფირფიტებისგან დამზადებული. ძალიან იშვიათად გვხვდება ხელცული, მაგრამ ახლა იგი დაპატარავებულია, თხელი და გაცილებით ფაქიზად ნაკეთები.

აქაური აშელურ-კლექტონური და ადრემუსტიეური სადგომები უნდა მიეკუთვნებოდეს წინარისულ პერიოდს, განვითარებული მუსტიესდროინდელი სადგომები კი მოდის რისის პირველ ნახევარზე, რისის თვით მაქსიმალურ გაყინვარებამდე.

ქვედაპალეოლითური ძეგლებით მდიდარი გამოდგა ისტორიული შიდა ქართლი. აქ, კერძოდ, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ძველქვის ხანის ნივთიერი ძეგლების მოპოვება დაკავშირებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტისა და სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საერთო არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობასთან, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა 1951—1953 წლებიდან (ა. კალანდაძე, ვ. ლუბინი). ექსპედიციების მუშაობის შედეგად აღნიშნულ ტერიტორიაზე მიკვლეულია რამდენიმე აშელური და მუსტიეური ხანის სადგომი. აშელური სადგომი აღმოჩენილია სოფ. ლაშე-ბალთაში (ზნაურის რ.), მუსტიეური კი სოფ. წონას გამოქვაბულში, მორგოში (ჯავის რ.), ჯიჯოითსა (სტალინირის რ.), ყორნისში (ზნაურის რ.) და სხვ.

ლაშე-ბალთა მოთავსებულია ამავე სახელწოდების სოფლის მახლობლად, მდ. მეტეხის ფრონეს ტყე-ველიან ზონაში. ლანდშაფტის ჭრავალგვარობას, მდინარეთა და ტბების სიახლოვეს და ბუნებრივი რესურსების სიმდიდრეს გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ამ მიდამოების პირველყოფილი ადამიანით დასახლების დროს.

ქვედაპალეოლითური ნაკეთობანი მეტწილად თავმოყრილია ორ პაწია გამშრალ ხევში, რომლებიც მეტეხის ფრონეს მარჯვნიდან ჩამოუდის. ისინი აქაიქ ჩართულია ქვიან-ხვინჭოვან ფენაში, რომელიც თიხნარითაა შედუღაბებული. ამ ფენის სიმძლავრე სხვადასხვა ადგილას სხვადასხვანაირია და მერყეობს 1,0—2, 10 მ ფარგლებში. მას ზემოდან აწევს დაახლოებით 1,30—3,40 მ სიმძლავრის ფენები. აქ აღმოჩენილი აშელური ეპოქის თითქმის ყველა ნაკეთობა ძლიერ ნაგორებია, რაც გვაფიქრებინებს, რომ ისინი უფრო მაღლა მდებარე ტერასიდან უნდა იყოს ჩამოტანილი. აღსანიშნავია, რომ მსგავსი პალეო-

ლითური ნაკეთობანი დასავლეთ საქართველოშიც და სომხეთშიც 80 — 100 მ სიმაღლის ტერასებთან არის დაკავშირებული.

იარაღის საკეთებელ მასალად აქ გამოყენებულია ანდეზიტი, იასპსა და ქალცედონში გარდამავალი კაჟქვიერი, უხეში ქანები. აქაურ იარაღთა ზედაპირი ერთიანად გამოხუნებულია და დაფარულია საკმაოდ სქელი პატინით. ლაშე-ბალთის ქვედაპალეოლითური მასალა შეიცავს ხელცულებს, უხეშ მჭრელ იარაღებს, ანატკეცებსა და ნუკლეუსებს. მათ შორის წამყვან როლს ორმხრივ გათლილ-დამუშავებული იარაღები ასრულებენ. ეს უკანასკნელი გარემოება თითქოს იმთავითვე განსაზღვრავს ამ იარაღთა ხნოვანებას ძველი პალეოლითით. ნაკეთობათა ძირითად ჯგუფს ხელცულები შეადგენენ, რომელთა უმრავლესობას ნუშისგულისებრი მოყვანილობა აქვს. აქვე გვხვდება გულისებრი, ოვალური და სამკუთხედისებრი მოყვანილობის ხელცულებიც. ხელცულების დასამზადებლად გამოყენებული ყოფილა როგორც მთლიანი, ასევე შუაზე გაპობილი კაჭარიც. ფორმა-მოყვანილობისა და ზომა-წონის მხრივ, შედარებითი მრავალგვარობისდა მიუხედავად, ყველა ხელნაჯახი მასიურია და დამუშავების პრიმიტიულ კვალს ატარებს. უფრო მასიურსა და პრიმიტიულად დამუშავებულ ნაკეთობათა ჯგუფს შედგენს „უხეში მჭრელი იარაღები“, რომლებიც რაოდენობრივად მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ხელცულებს (ტაბ. I, 5).

მონაპოვრის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ნუკლეუსები და მისთანანი, რომელთა უმეტესობას დისკოსებრი მოყვანილობა აქვს. არის ნუკლეუსები, რომლებიც ფორმით კუბს უახლოვდება; არიან უსწორო ფორმისანიც. რამდენიმე ნუკლეუსი სწორკუთხა მოყვანილობისაა გამორეული და მოასწავებს გარკვეულ სიახლეს ქვის იარაღების დამუშავებაში.

აქ მოპოვებული ხელცულების პრიმიტიული იერი, მათი დამუშავების უხეში ხერხები, მასიურობა, მკვეთრად დაკლაკნილი მჭრელი პირი, მსხვილი ქუსლი ზოგიერთ ცალზე და მეორადი, გამათანაბრებელი რეტუშის გამოუყენებლობა უფლებას იძლევა ეს ნაკეთობანი აშელის პირველი ნახევრით დათარიღდეს.

ასეთ დათარიღებას, ბევრ სხვა მომენტთან ერთად, მხარს უჭერს კუბისებრი მოყვანილობის ატიპიური ნუკლეუსების აღმოჩენა, როგორც ლაშე-ბალთის, აგრეთვე ადრეული აშელით დათარიღებული იაშთხვის მასალებში.

ლაშე-ბალთის იარაღები თავიანთი არქაული იერით უახლოვდებიან სატანიდარის იარაღებს, თუმცა ხნოვანებით, როგორც ჩანს, რამდენადმე ჩამორჩებიან ამ უკანასკნელთ.

მუსტიეს ხანისადმი მიკუთვნებულ სადგომთაგან ზემოთ დასახელებული გვქონდა მორგო, ჯიჯოითი, ყორნისი და წონას გამოქვაბული. ამათგან პირველი და მეოთხე შეიძლება ჩაითვალოს შიდა ქართლში ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე სადგომებად. მორგოს სადგომი მდებარეობს შუა მთიანი ზოლის სამხრეთ ნაწილში, ამავე სახელწოდების სოფლის სამხრეთ-დასავლეთ მხარეზე. ძველებური ნაკეთობანი, პირველყოფილი ადამიანის იარაღხელსაწყოთა სახით, ამ მიდამოებში გვხვდება ზღვის დონიდან 1 500 მ სიმაღ-

ლეზე. მათ ნაგორების კვალი არ ეტყობათ, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ისინი გვხვდება თავიანთ პირვანდელ განლაგებაში.

აქ აკრეფილ მასალაში გამოირჩევა მოგრძო ანატკეცები, მეტ-ნაკლებად სწორად ჩამოყალიბებული მსხვილი ლამელები (ფირფიტები). დარტყმის მოედნის გაფორმებითა და ზოგიერთი სხვა დეტალით ეს ნაკეთობანი ახლოს დგას აფხაზეთის ტერიტორიიდან ცნობილ მუსტიეურ სადგომთა შესატყვის მასალებთან.

ჯიჯოითის სადგომიც შუამთიანი ზოლის სამხრეთ ნაწილშია, სოფ. ზემო რუსთავის (სტალინირის რ.) ჩრდილოეთით 3 კმ მანძილზე, ჯერმუხის მთასა და ზარიკლდეს შორის, ზღვის დონიდან 1 500 მ სიმაღლეზე. აქაურ ტყეებში ბლომად არის შემორჩენილი მესამეულის ფლორის რელიქტური ელემენტები და საკვებად გამოსადეგი ბევრი მცენარეული სახეც მოიპოვება.

იარაღთა ჯგუფი თუმცა მცირერიცხოვანია, მაგრამ მასში მეტ-ნაკლებად კარგად ჩამოყალიბებულ-გამოკვეთილი იარაღები (საფხეკები, წვეტანები) და ანატკეცები გამოირჩევა. კულტურული ნაშთები უმთავრესად დაკავშირებულია ხვინჭოვან-კენჭოვან ფენასთან, რომელიც თიხნარითაა შეცემენტებული და რომელსაც ზემოდან ახალიქვის ხანის კაჟის ინვენტარის შემცველი ნიადაგის ფენა აწევს.

მუსტიეური კულტურისათვის დამახასიათებელ იარაღ-ხელსაწყოთა აღმოჩენის მესამე მნიშვნელოვანი პუნქტი მიკვლეულია სოფ. ყორნისთან. იგი მდებარეობს მდ. ყორნისის ფორნეს მარცხენა ნაპირზე, სოფ. სოფ. ყორნისისა და ბეყმარის გამყოფ პატარა ქედის ჩრდილო-დასავლეთ ბოლოზე. აბსოლუტური სიმაღლე გორაკისა, რომლის ზედაპირზედაც იყო შეგროვებული კულტურული ნაშთები, 1300 — 1350 მ აღწევს. აქ შეგროვებულია რამდენიმე ათეული მსხვილი ანატკეცი და ანამტვრევი, რომელთაგან ზოგიერთი უშუალოდ კაჟის კაჭრიდანაა ახეთქილი, სხვები კი მეტ-ნაკლებად სწორად ჩამოყალიბებული ნუკლეუსებიდან. ყველას ეტყობა დარტყმის სიბრტყე, დარტყმის შედეგად მიღებული ბორცვი და ნიეარისებრი ნაკვალევი (ტაბ. II, 1, 3).

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია დისკოსებრი ნუკლეუსები, რომელთაგან პირველყოფილი მეიარაღე ხელჩაქუჩის მოხერხებული, თანმიმდევრული დარტყმით აატკეცდა ხოლმე სასურველი ფორმისა და ზომის ანატკეცებსა თუ ლამელებს. ამასთანავე, ანატკეცი მოყვანილობით უმრავლეს შემთხვევაში უახლოვდება სამკუთხედს ან ოვალს. ამგვარად, ანატკეცი წარმოადგენდა ნამზადს, პირველ შემთხვევაში წვეტანისათვის, მეორე შემთხვევაში კი მასიური საფხეკისათვის. მეტად საინტერესოა დისკოსებრი ნუკლეუსი, რომლის დამუშავებულ ზედაპირზე გარკვევით შეინიშნება საჭირო მოყვანილობის ანატკეცის მიღების შედეგად დარჩენილი 7—8 სიბრტყე (ტაბ. II, 9, 10).

ყორნისის კაჟის ინვენტარში შემავალი ფართო ორფერდა ლამელისებრი ანატკეცები წარმოადგენენ ნამზადებს მუსტიეური ტიპის წვეტანებისა და მსხვილი საფხეკი იარაღებისათვის. ყორნისის მასალების ერთი ჯგუფის შესწავლა გვანიშნებს გარკვეულ წინსვლას კაჟის დამუშავების პროცესში, რაც სრულიად კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენს ზედა პალეოლითზე გარდამავალი ხანისათვის. იარაღების დასამზადებელ მასალად აქ გამოყენებულია

მკვრივი, წვრილმარცვლოვანი კირქვიერი კაჟი, რაც ყორნისს ანათესავებს იაშთხვის, ოჩამჩირისა და გალის მუსტიეურ სადგომებთან.

ამავე კულტურულ რაიონს ეკუთვნის მდ. ჯეჯორის ხეობაში, ქვაისის მახლობლად მდებარე კ უ დ ა რ ო ს ა. და წ ო ნ ა ს გ ა მ ო ქ ვ ა ბ უ ლ ე ბ ი, რომელთა ულრმესი კულტურული ფენები, წინასწარული შესწავლის მიხედვით, აშელ-მუსტიესდროინდელ მასალებს იძლევა. აღნიშნულ გამოქვაბულთა უმრავლესობის აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან 1 500 — 1 600 მ უდრის, ხოლო წონას გამოქვაბულის სიმაღლე 2 100 მეტრსაც კი აღწევს. ეს უკანასკნელი სხვა გამოქვაბულებზე ბევრად დიდიცაა (უდიდესი სიგრძე 90 მ, სიგანე — 12 — 13 მ, ხოლო სიმაღლე 15 მ უდრის). იგი პირით მიქცეულია სამზეურისკენ, ამიტომ შედარებით მშრალია და ადვილი მისასვლელი. მის ერთერთ ძირა ფენაში აღმოჩენილი იარაღები მუსტიეს ხანას მიეკუთვნება. ესენია კირქვიერი კაჟისა და ბაზალტისგან ნაკეთები წვეტანები და საფხეკები (ტაბ. II, 4, 5), რომლებიც იარაღის მთავარ წამყვან სახეებს წარმოადგენდნენ. ისინი აქაურ მონადირეებს წარმატებითაც გამოუყენებიათ, რასაც მოწმობს კულტურულ ფენებში აღმოჩენილი დიდძალი ოსტეოლოგიური მასალა, გამოქვაბულის დათვის, ლომის, მგლის, ირმის და სხვ. ცხოველთა ძვლების სახით.

ასეთ სიმაღლეებზე მოთავსებულ გამოქვაბულებში აშელურ-მუსტიეური ნაშთების აღმოჩენას დიდი მნიშვნელობა აქვს უძველესი და ძველი ადამიანების ჩვენში გავრცელებისა და, კერძოდ, კავკასიონის მთიანეთში მათი განსახლების დროისა და პირობების შესწავლისათვის.

ამ ბოლო ხანებში უაღრესად საინტერესო იარაღებია ნაპოვნი სოფ. კ ა ც ხ ი ს მიდამოებში (ციათურის რ.). აქ აღმოჩენილთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ჩინებულად ნათალი აშელური ხელცული (ტაბ. I, 6) და ზოგი თანმხლები ინვენტარი.

კარგად ჩამოყალიბებული მუსტიეური იარაღები ნაპოვნია აგრეთვე ძ ე ვ რ ი ს გამოქვაბულში და სოფ. ჭ ი ლ ო ვ ა ნ ი ს ღია სადგომზე. გარდა ამისა, ჭილოვანის მიდამოებში მოპოვებულ უადრეს მასალებს შორის გამოირჩევა ნუკლეუსების, ანატკეცებისა და ტლანქი მჭრელი იარაღების სერია, რომლის თარიღი კიდევ უფრო იქით, ისტორიის სიღრმეში უნდა გადაიწიოს. მუსტიეური იარაღების დახვეწილობით გამოირჩევა ჯრუჭულეთში მოპოვებული მასალა (ტაბ. II, 7, 8).

ამჟამად ჩვენთვის საინტერესო პერიოდის შესწავლისათვის უაღრესად მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის ქვემო ქართლის კულტურულ გარემოში მიკვლეული წ ო ფ ი ს სადგომი (მარნეულის რ.). აქ, ტიპიურ მუსტიეურ ინვენტართან ერთად (ტაბ. II, 6), მოპოვებულია დამახასიათებელი ფაუნა, რომელშიაც ბეწვიანი მარტორქის, გარეული ცხენის, კეთილშობილი ირმის, დაღისტნური ჯიხვისა და სხვათა გვერდით გვხვდება კავკასიის პალეოლითისათვის დღემდე უცნობი ფორმა — ოქოტონა.

დაახლოებით ამით შემოიფარგლება ჩვენი ცნობები საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე ცნობილ ქვედაპალეოლითურ ძეგლთა გავრცელების, ხნოვანების, შეზობელი ქვეყნების ძეგლებთან მათი ურთიერთდამოკიდებულებისა და სხვ. შესახებ.



1

2

3

4

8

7

6



5



9



10

საქართველოს პალეოლითური ძეგლების გავრცელების შესწავლა-გათვალისწინება საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ ზღვის სანაპიროებისა და წყალგამყოფი დაბალი ქედების ათვისება პირველყოფილ ადამიანთა ცალკეული ჯგუფების მიერ*. ყოველ ასეთ ჯგუფში დროებით გაერთიანებული უნდა ყოფილიყო დაახლოებით 20—30 კაცი. თითოეული პირველყოფილი ჯგუფის მიერ „ათვისებული" ესა თუ ის პუნქტი წარმოგვიდგება მდინარის შესართავთან, ტყის პირზე გამართული დროებითი ბანაკის სახით, სადაც ღამის სათევად, მტაცებელთაგან თავდასაცავად, ნანადირევის შესანახავად, აგრეთვე შეფარებულში სამუშაო ფართობის უზრუნველსაყოფად, საკარაუდოა, ხის ტოტებისაგან მოწყობილი თავშესაფრები ჰქონოდათ.

იმ დროს ადამიანს ალბათ ნაკლებად იზიდავდა ზღვა, რომლის გამოყენება თავისი სამეურნეო მიზნებისათვის მას ჯერ კიდევ არ შეეძლო. მაშინდელი ადამიანი, როგორც ჩანს, უფრო ეტანებოდა მდინარეებს, რომელთა შესართავში უხვად პოულობდა არა მარტო მტკნარ წყალს, არამედ საკმარის საკვებსაც, თევზისა და წყლის სხვა წვრილ ცხოველთა სახით.

მინდელ-რისის ყინვართშორისი პერიოდის საკმარისად თბილი ჰავა შესაძლებლობას აძლევდა ადამიანს მთელი წლის განმავლობაში დარჩენილიყო ერთსა და იმავე რაიონში და ნაკლებად ეზრუნა მუდმივ საცხოვრებელ ბინაზე. ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებას თვით განვითარებულ მუსტიემდე არ უნდა ჰქონოდა ადგილი, და ეს პირობები, ალბათ, ბევრად არ განსხვავდებოდა იმ ბუნებრივი გარემოსაგან, რომელშიაც წინამუსტიეურ ადამიანს უხდებოდა ცხოვრება. ამიტომ, მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩრდილოეთის ნახევარსფეროს დიდმა გაყინვარებამ თავისი გამოძახილი კავკასიის გაყინვარებაში ჰპოვა, რბილ, სუბტროპიკულ კლიმატს შეჩვეული ადამიანები იძულებული გახდნენ უფრო მეტად ეზრუნათ შედარებით მუდმივი და საიმედო თავშესაფრის შოვნაზე, ვიდრე საჭირო იყო ეს შელისა და აშელის ეპოქაში. ამიერკავკასიაში მოპოვებული მასალების მოწმობით, ეს უნდა მომხდარიყო არა უადრეს მუსტიეს ეპოქისა, რომელსაც მიეკუთვნება, ზოგიერთ გამონაკლისს გარდა, აქაურ გამოქვაბულთა უძველეს კულტურულ ფენებში აღმოჩენილი იარაღ-ხელსაწყოები. სწორედ ამ პერიოდთან უნდა იყოს დაკავშირებული პირველყოფილი გვარის თანდათანობითი ჩამოყალიბების დასაწყისი. ამ დროს ადამიანთა შეგნებაში, უნდა ვიფიქროთ, ფეხს იკიდებდა კოლექტიური თანაცხოვრებისა და მოპოვებული სარჩო-საბადებლის საერთოობის დაურღვევლობის პრინციპი. ამ პრინციპის დაცვის ერთერთ ყველაზე არსებით საშუალებას მუსტიეს პერიოდიდან წარმოადგენდა კერა შუა ცეცხლით. კერის ნაშთები კი შებოლილი ქვების, ნაცრის, ნახშირისა და სხვ. სახით მრავლადაა აღმოჩენილი მუსტიესდროინდელ კულტურულ ფენებში. კერას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონია შემდგომ პერიოდში, გვიანპალეოლითში, პირველყოფილი საზოგადოების შემადგენელი ძირითადი ერთეულის — გვარის წარმოქმნა-განმტკიცების დროს.

---

* როგორც ზემოთ დავრწმუნდით, არც კავკასიონის მთიანეთის საშუალო ზოლი ყოფილა ამ დროს უკაცრიელი.

თუ ყურადღებით გადავაელებთ თვალს დასავლეთ ევროპისა და საბჭოთა კავშირის (კერძოდ, კავკასია-ყირიმის რაიონის) ქვედა პალეოლითურ მასალებს, ვნახავთ, რომ გამოქვაბულისაკენ ლტოლვა ადამიანს განსაკუთრებით მუსტიეს ეპოქიდან ეტყობა. ასეთივე სურათია ამიერკავკასიაში და, კერძოდ, დასავლეთ საქართველოში, სადაც იმდროინდელი სადგომები უკეთებიათ მდინარეთა შესართავებთან (აფხაზეთი), დაბალ, წყალგამყოფ ქედებზე (შიდა ქართლი) და ნაწილობრივ, როგორც ჩანს, კარსტული წარმოშობის გამოქვაბულებში (სოჭაადლერისა და ქუთაის-ჭიათურის რაიონებში, კავკასიონის მთიანეთში, აგრეთვე ქვემო ქართლის მიდამოებში). მაშასადამე, ამ პერიოდისათვის საქართველო საკმარისად მჭიდროდ დასახლებული ყოფილა.

მუსტიეს ხანიდან შესამჩნევად დაწინაურებულა მონადირეობა. თუ ადრე, შელი-აშელის ეპოქაში, მსხვილ მხეცებზე ნადირობა ადამიანის სუსტად შეიარაღების გამო იშვიათი მოვლენა უნდა ყოფილიყო, ამ ეპოქის ადამიანის ნასუფრალში ხშირად ვხვდებით ბიზონის, ცხენის, გიგანტური ირმის ძვლებს. არაფერს ვამბობთ გამოქვაბულის დათვის, აფთრის და სხვათა შესახებ, რომელთა ძვლები სათანადო ადგილებში ძალიან ხშირია. სქელკანიან ცხოველთა ჯიშიდან ჯერ კიდევ ბოგინობს გადაშენების გზაზე შემდგარი ტროგონთერიუმის სპილო, რომლის ნაშთებს, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით მუსტიეში.

ქვედა პალეოლითის საზოგადოება შედგებოდა მცირერიცხოვანი, მეტად არამყარი და დროებით შეკავშირებული ჯგუფებისაგან. მათი ადგილსამყოფელი დროებითი სადგომები და ღია ცისქვეშეთი იყო. ამ დროის ადამიანები უკვე ფლობდნენ წარმოების საშუალებათა ისეთ არსებით ელემენტს, როგორსაც შრომის იარაღ-ხელსაწყოები შეადგენდნენ. ეს იარაღები, როგორც ენახეთ, უმთავრესად ქვისგან მზადდებოდა. ქვათა შორის ამჯობინებდნენ კაჟს, რომლის თვისებებს უკვე კარგად იცნობდნენ. კაჟის სიმცირის ან უქონლობის შემთხვევაში მიმართავდნენ სხვა ქანებს: ანდეზიტს, ბაზალტს, იასპს, რქეულას, ობსიდიანს და სხვ. იარაღის ტიპები არ იყო მრავალფეროვანი: ხ ე ლ ც უ ლ ი, უ ხ ე ში მ ჭ რ ე ლ ი ი ა რ ა ღ ე ბ ი, ხ ე ლ ჩ ა ქ უ ჩ ი და სხვ. ამის გამო მათი ფუნქციაც ნაკლებ დიფერენცირებული იყო. ქვის დამუშავების ხერხებიდან მხოლოდ კაჟრის ორმხრივ გათლა-გაჩორკნას იცნობდნენ. უფრო მოგვიანებით (მუსტიეს ხანაში) ქვის დამუშავებას მნიშვნელოვანი წინსვლა ეტყობა. ახლა იარაღებს აფორმებენ უმთავრესად კაჟის დისკოსებრი ნუკლეუსიდან ჩამოტეხილ ანატკეცებზე, რომელთაგან გამოჰყავთ „წვეტანები" და საფხეკები. ზოგიერთ კარგად ჩამოყალიბებულ წვეტანას, საფიქრებელია, ტარიც დაეგებოდა და ნადირობისას სატყორცნ-საძგერებელი იარაღის დანიშნულებას ასრულებდა. ტასმანიელებისა და ზოგი სხვა ჩამორჩენილი ხალხის ყოფაზე დაკვირვებით მეცნიერები ამტკიცებენ, რომ წვეტანა უმთავრესად მამაკაცის იარაღი იყო, საფხეკი კი ამდენადვე სადიაცო იარაღს წარმოადგენდა. სწორედ ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ამ ხანაში უკვე ჩასახულია შრომის განაწილება სხვადასხვა სქესის წარმომადგენელთა შორის: მამაკაცი უმთავრესად მონადირეა, დედაკაცი — საკვების შემგროვებელი. ამავე პერიოდში ივარაუდება შრომის განაწილება სხვადასხვა ასაკის წარმომადგენელთა შორისაც: საზოგადოების საშუალო და მოწიფული თაობა თუ უმეტესწილად ნადირობასა და სარჩო-

საბადებლის მოპოვებას მისდევდა, მოხუცთა თაობა ამ საქმიანობისათვის საჭირო იარაღ-საჭურველს ამზადებდა. შრომის ასეთი ბუნებრივი (ასაკობრივ-სქესობრივი) დანაწილება შედეგი უნდა ყოფილიყო მონადირეობის შედარებით სისტემატური ხასიათისა და გაპირობებული იყო საერთოდ მეურნეობის წინსვლის ინტერესებით.

მეურნეობა ამ დროს მარტივი იყო. იგი შეიცავდა ძირითადად ორ დარგს — შეგროვებასა და მონადირეობას. მეცნიერთა უმრავლესობა ამ პერიოდის ადრეული ეტაპისათვის პირველ რიგში აყენებს შეგროვებას, ხოლო მონადირეობა დაქვემდებარებულ დარგად მიაჩნია. ზოგიერთნი კი, პირიქით, ნადირობას, შეგროვების თანაბრად, უძველესი ადამიანების ადრიდანვე ჩამოყალიბებულ საქმიანობად თვლიან. საუმეულზე მოთხოვნილებას ადამიანი იკმაყოფილებდა ხილეულისა და ძირნაყოფების შეგროვებითა და, პირველ ხანებში მაინც, წერილ ცხოველებზე ნადირობით. მუსტიეს ეპოქაში კი ადამიანი იმდენად დახელოვნებულა ნადირობაში, რომ მსხვილი ნადირიც (დათვი, ლომი, მარტორქა, მამონტი, ჩრდილოეთის ირემი და სხვ.) წარმატებით უხოცნია.

მეურნეობის დაწინაურებას დიდად შეუწყო ხელი ცეცხლმა, რომლის მოპოვება (ხეხვითა და სხვა საშუალებებით) ადამიანმა ამ პერიოდის გასულს ისწავლა. ადამიანის მიერ ცეცხლის ხელოვნურად გაჩენის ათვისებას, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა პირველყოფილი ჯგუფის მატრიარქატულ-გვაროვნულ თემზე გადასასვლელად, როგორიც ადამიანის მიერ რკინის დამუშავების ათვისებას პირველყოფილ-თემური წყობილებიდან მონათმფლობელურზე გადასვლისათვის.

სწორად ამართული სიარული ცნობიერებისა და მეტყველების განვითარების ერთერთი არსებითი წინაპირობათაგანი იყო. გონიერებისა და მეტყველების წარმოშობა განუყრელად დაკავშირებულია იარაღის წინასწარგანზრახვით დამზადებასთან და ძველი ადამიანების კოლექტიურ ცხოვრებასთან. ბგერითი მეტყველება შრომიდან და შრომასთან ერთად არის წარმოშობილი და განვითარებული როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობის იარაღი.

ამჟამად ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ადამიანთა მოხეტიალე მცირე ჯგუფებს ჯერ კიდევ არ გააჩნდათ სოციალური თანაცხოვრების ისეთი ერთეულები, როგორიცაა ოჯახი და გვარი. გვარებში ადამიანთა კოლექტივების გაერთიანების პროცესი დროის მიხედვით დაკავშირებულია ზ ე დ ა პ ა ლ ე ო ლ ი თ თ ა ნ, რომლის დასაწყისიდან ყალიბდება თვისობრივად განსხვავებული სოციალური ორგანიზაცია მატრიარქატულ-გვაროვნული თემის სახით.

§ 2. ზედა პალეოლითი

ქვედაპალეოლითელი ადამიანი ქვის იარაღების დამუშავებაში თუ მხოლოდ გათლით და ატკეცით ტექნიკას იყენებდა, ზედაპალეოლითელი მასთან ერთად უკვე დაუფლებულია წნევით ტექნიკას, ე. ი. წნევის საშუალებით კაჟიდან ან ობსიდიანიდან თხელი ფირფიტის ჩამოტეხვას და ამავე წესით ლამელის ნაპირებზე ან მის მთელს ზედაპირზე ფაქიზი რეტუშის გაკეთებას. ამ დროს იშვიათად გვხვდება დისკოსებრი ნუკლეუსები. ზედა პალეოლითში ისინი მო-

გრძოა და თანაც მიცემული აქვთ პრიზმისებრი ან პირამიდისებრი მოყვანილობა. ნუკლეუსიდან ატკეცილი ლამელებიც მოგრძოა და ვიწრო. იარაღებს სამუშაო პირი რეტუშით აქვთ შემოსწორებული ან მომრგვალებული. ასეთია, მაგალითად, ს ა ფ ხ ე ქ ე ბ ი. ზედაპალეოლითელმა ადამიანმა კარგად იცოდა ს ა ჭ რ ი ს ე ბ ი ს, ს ა ხ ვ რ ე ტ ე ბ ი ს, ს ა დ გ ი ს ე ბ ი ს, დ ა ნ ე ბ ი ს, შ უ ბ ი ს და ი ს რ ი ს პირების, აგრეთვე ე. წ. მ ი კ რ ო ლ ი თ ე ბ ი ს და მცირე ზომის კაჟის ც უ ლ ე ბ ი ს კეთება.

ცხოველის ძვლისა და რქისაგან უმზადებიათ ხ ე ლ შ უ ბ ე ბ ი, ჭ ვ ი ლ თ ე ბ ი, ს ა ხ ვ რ ე ტ ე ბ ი, ნ ე მ ს ე ბ ი და სხვ.

ზედა პალეოლითის სადგომებში აღმოჩენილი ტყავის დასამუშავებელი ძვლის იარაღები და ნემსები მოწმობენ, რომ ამ დროიდან ადამიანი მეტი მონდომებით ზრუნავს ტანის შემოსვაზე. ცხოველის ტყავისაგან იკერავს წამოსასხამს და ამით იცავს ტანს სიცივისაგან.

მეოთხეულის უკანასკნელი (ვურმული) გაყინვარების ეპოქაში მკაცრი სიცივეებისაგან თავის დასაცავად ადამიანი იძულებულია თავშესაფარი მოძებნოს. იმ ქვეყნებში, სადაც არსებობდა ბუნებრივი გამოქვაბულები, ადამიანს უპირატესად ეს გამოქვაბულები გამოუყენებია საცხოვრებლად, ხოლო სადაც ბუნებრივი გამოქვაბულები არ არსებობდა, თვითონ უკეთებია სადგომი — მიწურები, ნახევრად მიწურები და კარვის მსგავსი ნაგებობები. სწორედ ასეთმა სადგომებმა და ბუნებრივმა გამოქვაბულებმა ქვედა პალეოლითის ბოლო პერიოდისა (მუსტიე) და ზედა პალეოლითის მრავალი ნაშთი შემოგვინახა, მდიდარია ზედაპალეოლითური სადგომებით ამიერკავკასია და განსაკუთრებით კი საქართველო. ამ რიგის სადგომების შესწავლას საქართველოში უკვე კარგახნის ისტორია აქვს.

1914 — 1916 წლებში რ. შმიდტმა და ლ. კოზლოვსკიმ მდ. წყალწითელას მარცხენა ნაპირას მდებარე გამოქვაბულში ზ ე დ ა პ ა ლ ე ო ლ ი თ ი ს შესანიშნავი მასალები მოიპოვეს.

სტ. კრუკოვსკიმ 1916 წელს ჭიათურის ჩრდილო-დასავლეთით, ჭერულის ხეობაში, სოფ. დიდი რგანის პლატოზე მიაგნო გამოქვაბულ გვარჯილას-კლდეს. გვარჯილას-კლდეში ქვის იარაღთა სხვადასხვა კომპლექსებთან ერთად აღმოჩნდა ძვლისა და რქის შესანიშნავი იარაღები და პალეოზოოლოგიური ნაშთებიც. მომდევნო წელს სტ. კრუკოვსკის ჭიათურის მიდამოებში ნაწილობრივ სხვა გამოქვაბულებიც გაუთხრია (თარო-კლდე, ბნელი-კლდე, ხელგულის-კლდე და სხვ.), სადაც აგრეთვე მდიდარი ზედაპალეოლითური მასალა მოუპოვებია.

საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ ძველიქვის ხანის ნაშთების ძიებას საბჭოთა არქეოლოგები ჩაუდგნენ სათავეში და ამ რიგის მრავალი ძეგლის აღმოჩენასთან ერთად მანამდე უცხოელ არქეოლოგთა მიერ მოპოვებული მასალებიც მეცნიერული კვლევის სფეროში შემოიტანეს.

1926 წელს პროფ. გ. ნიორაძემ ხარაგოულთან, მდ. ჩხერიმელას მარჯვენა ნაპირზე, ხანდების კლდეში დაიწყო გათხრა გამოქვაბულ დ ე ვ ი ს ხ ვ რ ე ლ ი ს ა. აქ მოპოვებული მასალის შესწავლის საფუძველზე პროფ. გ. ნიორაძემ

გაარკვია, რომ დევისხვრელში ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობდა ზედაპალეოლითელი ადამიანი.

ამ აღმოჩენის შემდეგ ქვის ხანის ძეგლების კვლევა-ძიება ინტენსიურად წარიმართა და უკანასკნელი 30 წლის მანძილზე პირველყოფილი ადამიანის ნაბინავარი ადგილები საქართველოში ათეულობით გამოვლინდა. აღმოჩენის რაოდენობით, აგრეთვე ძეგლების შესწავლის თვალსაზრისითაც, საქართველოს ქვის ხანის ნაშთებიდან ყველაზე უკეთესად ზედა პალეოლითი გამოიყურება.

1934 — 1936 წლებში ზედა პალეოლითის ნაშთები აღმოაჩინა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ანტროპოლოგიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ექსპედიციამ ჭიათურის მახლობლად სოფ. ღვიმევში და შავი ზღვის საქართველოს სანაპიროზე.

1936 წელს პროფ. გ. ნიორაძემ გათხარა მდ. წყალწითელასთან აღმოჩენილი გამოქვაბული, რომელსაც მოსახლეობა „საკაჟიას" უწოდებს. მან იქ ზედა პალეოლითის მეტად მდიდარი მასალა მოიპოვა. იქვე აღმოჩნდა მეოთხეულის ცხოველთა ნაშთები. საკაჟიაში მოპოვებულ მასალებში შემონახული იყო აგრეთვე პალეობოტანიკური ნაშთები (ნახშირის სახით) და ამ ნაშთების შესწავლის შემდეგ მეოთხეულის მცენარეთა რამდენიმე სახეობაც დადგინდა.

1936 წელს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ა. კალანდაძის ხელმძღვანელობით სოფ. ოდიშის პლატოზე (ზუგდიდის რ.) ნეოლითურ კომპლექსთან ერთად ზედა პალეოლითის (მეზოლითის) ნათშებსაც მიაკვლია.

1936 წელს ზედა პალეოლითის ნაშთები აღმოაჩინა თრიალეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფ. ბ. კუფტინი. მდ. ხრამის მარცხენა ნაპირზე, სოფ. ბარმაქსიზის მახლობლად ექსპედიციამ გათხარა პირველყოფილი ადამიანის ნაბინავარი გამოქვაბული, სადაც ობსიდიანის მრავალრიცხოვან პალეოლითურ ნაშთებთან ერთად მოიპოვა მეოთხეულის ცხოველთა ნაშთებიც. მდ. ხრამის მარჯვენა შენაკადის, ყარაბულახის ხეობაში, სოფ. ბაშქიჩეთიდან 15 კმ დაშორებით, ზურტაკეთთან 1945 წელს აღმოჩენილია პალეოლითის (მეზოლითის) მცირე რაოდენობის კომპლექსი და პალეოზოოლოგიური ნაშთები.

1941 წელს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრამ მიავლინა ექსპედიცია ჭიათურის რაიონში ს. ზამიატინის მიერ აღმოჩენილი კლდოვანი ფარდულის გასათხრელად. ექსპედიციამ აქაც ზედა პალეოლითის ნათშები აღმოაჩინა.

საქართველოში პირველყოფილი ადამიანის ნივთიერი კულტურის შესწავლის თვალსაზრისით მეტად საინტერესო გამოდგა სოფ. ძევრში (თერჯოლის რაიონი) მდ. ძევრულასა და შავი წყლის სამმხრივ ჩაკეტილ კარსტულ ხეობაში, ე. წ. კვანურის მთის ზედა ცარცის კირქვების მასივში მდებარე გამოქვაბული ს ა გ ვ ა რ ჯ ი ლ ე, სადაც ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1951 — 1952 წწ. ზედა პალეოლითის რამდენიმე კულტურული ფენა გათხარა. გამოქვაბულის იატაკის და მის წინ მდე-

ბარე ფერდობის სამ დიდ უბანზე გამოვლინდა ძირითადად ოთხი კულტურული ფენა:

I — ძველიქვის ხანის (ხუთი ფენა);

II — ახალიქვის ხანის;

III — ენეოლითური და

IV — გვიანი დროის (პირველი საუკუნეებისა და გვიანფეოდალური ხანის სამარხეული ფენა).

სტრატიგრაფიულად ყველაზე ქვედა ფენაში (13 მ სიღრმეზე) აღმოჩნდა ზედა პალეოლითის ყველაზე უფრო ადრინდელი საფეხურისათვის დამახასიათებელი კაჟის იარაღები. იქვე აღმოჩნდა მუსტიეური ელფერის იარაღებიც. ამიტომ აღნიშნული ფენის ნაშთები ქვედა პალეოლითიდან ზედა პალეოლითში გარდამავალ საფეხურს უნდა მივაკუთვნოთ.

საგვარჯილეს ძველიქვის ხანის ყველაზე უფრო ზედა ფენებში შეიმჩნევა ზედა პალეოლითის ფინალური ეპოქის — ე პ ი პ ა ლ ე ო ლ ი თ ი ს ნაშთები. ამ ფენებს შორის მოქცეული ოთხი კულტურული ფენაც ზედა პალეოლითს მიეკუთვნება.

ზედა პალეოლითის კულტურულ ფენებში ძვლის მრავალ იარაღთან ერთად გვხვდება მეოთხეულის ცხოველთა ძვლოვანი მასალაც. გარდა ამისა, ზედა პალეოლითის თითქმის ყველა კულტურულ ფენაში აღმოჩნდა იმ დროის კერა და მინერალური საღებავების ნაშთები. საყოფაცხოვრებო საგნების გვერდით საგვარჯილეში აღმოჩენილია პალეოლითის ხელოვნების იშვიათი ნიმუშები. ამ ნაშთებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ზღვის ლოკოკინის (ტურიტელას) ნიჟარებიდან გაკეთებული ყელსაბამი (ტაბ. IV, 22). ყოველ ნიჟარას ეტყობა კაჟის იარაღით გაკეთებული ნახვრეტი (ტაბ. IV, 18). იმავე ფენებშია აღმოჩენილი ცხოველის გახვრეტილი კბილი და სხვა ავგაროზები (ტაბ. IV, 19, 21).

1952 წელს ისტორიის ინსტიტუტმა ძველიქვის ხანის შესწავლის მიზნით არქეოლოგიური ექსპედიცია მიავლინა სამხრეთ ოსეთში. ამ ექსპედიციამ სოფ. ჯერმუხში და სელოს მთაზე ზედა პალეოლითის ნაშთებს მიაკვლია 1 500 მეტრის სიმაღლეზე.

1953 წელს განხორციელდა საკონტროლო საცდელი გათხრა სტ. კრუკოვსკის მიერ 1916 წელს აღმოჩენილი გვარჯილასკლდის გამოქვაბულისა, აგრეთვე შესაძლებელი გახდა ამ ოთხი ათეული წლის წინ მოპოვებული ზედა პალეოლითის ნაშთების აღმოჩენის პირობების დაზუსტებაც. ამასთან, ექსპედიციამ გვარჯილასკლდეში ზედა პალეოლითის კიდევ მრავალი ნაშთი მოიპოვა.

საქართველოს ზედა პალეოლითის მდიდარი მასალა შესაძლებლობას გვაძლევს პირველყოფილი ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა მხარე გამოვავლინოთ, თვალი მივადევნოთ ძველიქვის ხანის წარმოების ტექნიკაში მომხდარ ცვლილებებს და ამასთან ერთად ერთგვარი წარმოდგენა შევიმუშაოთ იმ დროის მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარებაზეც.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ზედაპალეოლითელი ადამიანი უპირატესად ბუნებრივ გამოქვაბულებს იყენებდა. ასეთი გამოქვაბულებით მდიდარია ის რაიონები, სადაც კირქვის მძლავრი ქანებია წარმოქმნილი. ეს კირქვიანი ქანები წყლის ხანგრძლივი

მოქმედების გამო ხშირად იშლება; განსაკუთრებით ადვილად იშლება ისეთი ქანები, რომლებიც ცარცის ან სხვა ამგვარი ჯიშის ფენას შეიცავენ. ამ გზით მთის გულში, ზოგჯერ მის გარეთა კლდეებშიც სხვადასხვა მოცულობის კარსტული გამოქვაბულები წარმოიქმნება. მიწისქვეშა კარსტული გვირაბების სიგრძე ზოგჯერ რამდენიმე კილომეტრს აღწევს. დიდი ზომის გამოქვაბული ჩვენში ცნობილია ქუთაისის მახლობლად სათაფლიის მთაში, ქვერონასა და ძევრულას ხეობებში, მღვიმევის კლდეში, თვით ქუთაისში და სხვ.

საქართველოში გამოვლენილ პირველყოფილ ადამიანთა მიერ გამოყენებული ბუნებრივი გამოქვაბულები ძირითადად ორი ტიპისაა: გვირაბისნაირი გამოქვაბულები (დევისხვრელი, საკაჟია) და კლდოვანი ფარდულები (მღვიმევი, ბარმაქსიზი, საგვარჯილე და სხვ.). როგორც ჩანს, ზედა პალეოლითის დასაწყისში უფრო გვირაბისნაირ გამოქვაბულს იყენებდა ადამიანი, მომდევნო პერიოდში კი — კლდოვან ფარდულებს. საქართველოში ზედაპალეოლითელ ადამიანს გამოქვაბულის გარეთ, ღია ცის ქვეშაც უცხოვრია. ასეთ ნამოსახლარებში ზედა პალეოლითის ფინალური ეპოქის ნაშთებია აღმოჩენილი (ოდიში, ჯერმუხი). ამრიგად, თუ თვალს გავადევნებთ პირველყოფილ საცხოვრებელ ადგილებს, იმ დროის საქართველოში კლიმატური პირობების შეცვლის ფაქტი შეიძლება აქაც დავინახოთ.

საქართველოს ზედაპალეოლითურ სადგომებში თითქმის ყველგან არის აღმოჩენილი მეოთხეულის ცხოველთა ნაშთები. შედარებით მცირე რაოდენობითაა ცნობილი მცენარეულის ნარჩენები. ამ რიგის ნაშთებს დიდი მნიშვნელობა აქვს ერთის მხრივ პირველყოფილ ადამიანთა ცხოვრების ზოგიერთი მხარის შესასწავლად, ხოლო მეორეს მხრივ მეოთხეულის ლანდშაფტის, კლიმატური პირობებისა და იმ დროის პალეოგეოგრაფიის აღსადგენად.

ზედა პალეოლითის მცენარეთა ნაშთები მხოლოდ ნახშირის სახით გვხვდება კულტურულ ფენებში, უმეტესად კერის ფარგლებში. კერის ნაშთები აღმოჩენილია მაგალითად საკაჟიასა და საგვარჯილეში.

საკაჟიაში ზედა პალეოლითის სხვა ნაშთებთან ერთად აღმოჩენილია მუხის, რცხილის, ძახველისა და მსხლის ნახშირი. მაშასადამე რცხილა, მუხა, მსხალი და ძახველა აქაურ კლიმატურ პირობებს უძველესი დროიდან შეგუებია.

საქართველოს იმდროინდელ კლიმატურ პირობებზე, მასთან დაკავშირებულ ფლორასა და ფაუნაზე წარმოდგენას გვაძლევს მეოთხეულის მდიდარი პალეოზოოლოგიური მასალა; ესაა ზედაპალეოლითელი ადამიანის მიერ თავის საცხოვრებელ ადგილზე მოტანილი ნანადირევი ცხოველების ნაშთები. ამ რიგის ნაშთების შესწავლის საფუძველზე გარკვეულია, რომ საქართველოს რელიეფის, ჰავისა და მცენარეულობის სხვადასხვანაირობის გამო მრავალფეროვანი ყოფილა ცხოველთა სამყაროც. ძირითადად თბილი და ზომიერი ჰავის ცხოველების ნაშთებთან ერთად აღმოჩენილია ჩრდილოეთისა და ალპიური ზონის ცხოველთა ძვლოვანი მასალაც.

საქართველოს ზედა პალეოლითის სადგომებში აღმოჩენილი ალპიურ ცხოველთა (გარეული თხა, ქურციკი და სხვ.) მრავალი ნაშთი საფუძველს აძლევს პალეონტოლოგებს ტყის ზედა ზოლის საზღვარი ივარაუდონ უფრო ქვემოთ, ვიდრე დღეს არის; ეს კი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ვურმის გაყინვარე-

ბის დროს ჩვენში ცივი კლიმატური პირობები არსებობდა. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამოქვაბულ საგვარჯილეში გ რ ძ ე ლ ბ ე წ ვ ი ა ნ ი მ ა რ ტ ო რ ქ ი ს ნაშთის აღმოჩენა. ამ ცხოველს საერთოდ ყინვარეული ეპოქის ფაუნის ჯგუფს მიაკუთვნებენ. ცივი ჰავის მოყვარულ ცხოველთა (ჩრდილოეთის მაჩვი, ჩრდილოეთის თაგვი, გარეული თხა) ნაშთებია აღმოჩენილი გვარჯილას-კლდის ქვედა კულტურულ . ფენებში, დევისხვრელში. საქართველოს თითქმის ყველა პალეოლითურ სადგომშია ნაპოვნი გარეული თხის ნათშები.

საქართველოს ზედა პალეოლითის სადგომებში დადგენილი ცხოველებიდან, რომლებიც დღეს საქართველოში სრულიად აღარ გვხვდება, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საკაჟიაში აღმოჩენილი ლოსის ნაშთები. ლოსსაც უყვარს ცივი კლიმატური პირობები და ცხოვრობს ადამიანისათვის ძნელად მისადგომ ჭაობიანსა და ტყიან ადგილებში. მაშასადამე, საკვირაოდოა, რომ ზედა პალეოლითის დროს საქართველოში ჰავა დღევანდელზე უფრო ცივი უნდა ყოფილიყო.

ვურმის გაყინვარების ეპოქაში საქართველოს ტერიტორიაზე გაშლილი ველების მოყვარულ ცხოველებსაც უცხოვრიათ. ამის მანიშნებელია საკაჟიას, მღვიმევის, ბარმაქსიზის, ზურტაკეტის და საგვარჯილეს პალეოლითურ სადგომებში აღმოჩენილი გარეული ცხენის ნაშთები, აგრეთვე თითქმის ყველა სადგომში ნაპოვნი მსხვილი რქოსანი ცხოველების ზუბრის ანუ დომბას და განათხარი ხარის ძვლოვანი მასალა. საქართველოს ზედაპალეოლითელ ადამიანს ისეთ მტაცებელ ცხოველებზედაც კი უნადირია, როგორიცაა გამოქვაბულის ლომი, გამოქვაბულის აფთარი, მგელი და სხვა; ამ ცხოველთა ნაშთები გვხვდება მღვიმევსა და საკაჟიაში.

ამრიგად, საქართველოში აღმოჩენილი მეოთხეულის ცხოველთა ნაშთები მოწმობენ, რომ ზედა პალეოლითში რამდენადმე თბილი ჰავის მოყვარულ ცხოველთა სამყაროში შემორეული ყოფილან ალპიური და ნაწილობრივ არქტიკული ცხოველების წარმომადგენლებიც, რაც უნდა აიხსნას ვურმული ყინვარების გავრცელების ზეგავლენით და შედარებით სუსხიანი კლიმატის არსებობით. დღეს საქართველოში სრულიად აღარ გვხვდება ციმბირული მაჩვი, ლოსი, გამოქვაბულის დათვი, გამოქვაბულის ლომი და გამოქვაბულის აფთარი.

პალეოზოოლოგიურ მასალას მნიშვნელობა აქვს პალეოლითის ძეგლთა შედარებითი დათარიღებისათვის, ვინაიდან მეოთხეულ პერიოდში კლიმატური პირობების შეცვლას გამოუწვევია ფლორისა და ფაუნის გადაადგილება, სახეთა შენაცვლება. პალეოზოოლოგიური მასალა როგორც რაოდენობრივად, აგრეთვე სახეობათა შემადგენლობითაც ყველა პალეოლითურ სადგომში ერთნაირად არაა წარმოდგენილი; ერთსა და იმავე გეოგრაფიულ ზონაში მოქცეული ზედა პალეოლითის სადგომების ცხოველთა ნაშთები ყოველთვის ერთნაირი არ არის; მაგალითად, მღვიმევი და გვარჯილას-კლდე ორივე ჭიათურის რაიონში მდებარეობს, ორივეში ზედა პალეოლითის ნაშთებია აღმოჩენილი, მაგრამ იქ აღმოჩენილი პალეოზოოლოგიური ნაშთები ერთიმეორისაგან განსხვავდება; მღვიმევში მრავლადაა წარმოდგენილი გარეული ცხენის ნაშთები, გვარჯილას-კლდეში კი იგი სრულიად არ გვხვდება. სამაგიეროდ ამ უკანასკნელში აღმოჩენილია ისეთი ცხოველთა ნაშთები, როგორიც სრულიად უცნობია მღვი-


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27

მევის სადგომისათვის და ა. შ. ეს გარემოება შეიძლება იმით აიხსნას, რომ საქართველოს ზედა პალეოლითის ყველა სადგომი ქრონოლოგიურად ერთსა და იმავე საფეხურს არ მიეკუთვნება. სწორედ ამაზე მიუთითებს იმავე სადგომებში აღმოჩენილი პალეოლითური მასალაც, რომელიც საშუალებას გვაძლევს ქრონოლოგიურად ერთიმეორეს დავაცილოთ აღმოჩენილი კომპლექსები და ძველიქვის ხანის განვითარების თანმიმდევრობა შევნიშნოთ.

საქართველოს ზედაპელეოლითურ კომპლექსებში ძირითადი განსხვავება შრომის იარაღების კეთების ტექნიკასა და ამ იარაღთა ფუნქციონალურ დანიშნულებაში გამოიხატება. ამის საფუძველზე საქართველოს ზედა პალეოლითის ძეგლები სამ საფეხურად იყოფა: ა დ რ ი ნ დ ე ლ ი, გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ უ ლ ი და გ ვ ი ა ნ ი.

ზედა პალეოლითის ადრინდელი საფეხურის ძეგლები. საქართველოს ზედა-პალეოლითურ კომპლექსთა ერთი ნაწილი მიეკუთვნება ქვედა პალეოლითიდან ზედა პალეოლითში გარდამავალ ხანას. ასეთია, მაგალითად, ჭიათურის რაიონის სოფ. ვ ა ჭ ე ე ბ ი, ხ ე ლ გ უ ლ ი ს-კ ლ დ ი ს გამოქვაბულში აღმოჩენილი ნაშთები. ზედა პალეოლითის სხვა ძეგლებთან შედარებით ეს მასალა არქაულ, მუსტიეური ხანისთვის დამახასიათებელ ელფერს ატარებს. იარაღები უბრალო და ტლანქ ანამტვრევებზეა ნაკეთები, რეტუში მათ გვერდების გასწვრივ ცალპირად მიუყვება (ტაბ. III, 3); კაჟის იარაღს ხშირად მხოლოდ განიერ სამუშაო პირზე აქვს გაკეთებული რეტუში. კაჟის იარაღთა კომპლექსებში გვხვდება განვითარებული მუსტიეური ეპოქისათვის დამახასიათებელი სამკუთხა წვეტიანი იარაღები (წვეტანები), რომლებსაც აშკარად ეტყობათ დარტყმის სიბრტყეზე ნუკლეუსიდან გამოყოფილი ფაცეტები. ასეთი სამკუთხა წვეტანების, ნიკარისებრი სიბრტყის დიდ ნაწილზე წარმოქმნილია დარტყმის ბორცვი დამახასიათებელი ფაცეტით. მასალაში მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი ზედა პალეოლითისათვის დამახასიათებელი სიგრძივი ანატკეცები — ლამელები და მოგრძო ფორმის იარაღები. ამ რიგის იარაღებიდან აღსანიშნავია საფხეკები (ტაბ. III, 2), რომლებიც აგრეთვე კაჟის ტლანქი ანამტვრევისაგანაა ნაკეთები. ნუკლეუსებიც უხეშია და მათ ჯერ კიდევ არა აქვთ ზედა პალეოლითისათვის დამახასიათებელი სწორი და პრიზმისებრი მოყვანილობა. ხელგულის-კლდის მასალაში სრულიად არ გვხვდება ძელის იარაღები.

ასეთივე არქაული ელფერის კომპლექსს წარმოადგენს შავი ზღვის სანაპიროზე — ს ო ხ უ მ თ ა ნ (ი ა შ თ ხ ვ ა ში) და ო ჩ ა მ ჩ ი რ ე ში აღმოჩენილი კაჟის იარაღები, რომელთაც მუსტიეურ ეპოქას მიაკუთვნებენ. მართალია ამ კომპლექსში შემონახული იარაღების დიდი რაოდენობა სამკუთხა წვეტანებისაგან შედგება, მაგრამ იქვე აღმოჩენილი ირგვლივ რეტუშიანი მოგრძო ლამელები და ზოგიერთი საფხეკი შესაძლებელს ხდის, რომ ეს ნაშთებიც ზედა პალეოლითის ადრინდელ საფეხურს მივაკუთვნოთ.

ქვედა პალეოლითიდან ზედა პალეოლითში გარდამავალი საფეხურის საინტერესო კაჟის ინვენტარია აღმოჩენილი ს ა გ ვ ა რ ჯ ი ლ ე ს ქვედა უძველეს კულტურულ ფენაში. ამ მასალაში გამოირჩევა სამკუთხა წვეტიანი იარაღები დამახასიათებელი დარტყმის სიბრტყითა და ბორცვით (ტაბ. III, 1).

აღნიშნულ კომპლექსებში ჯერ კიდევ არ ჩანს იარაღთა დიფერენცირებული ტიპები. უმეტეს შემთხვევაში მათი იარაღად ხმარება იმით ირკვევა, რომ კაჟის ანატკეცს ან ანამტვრევს წვერი თუ გვერდები აქვს დამუშავებული. მათი გამოყენება მეურნეობაში მარტივი უნდა ყოფილიყო, ე. ი. ასეთი წვეტიანი იარაღით შეიძლებოდა გახვრეტა ან უკეთეს შემთხვევაში გაჭრა რომელიმე რბილი საგნისა; სხვა, უფრო რთული სამუშაოს შესრულება (დაჩეხვა, დამტვრევა, გაფხეკა და სხვა) პატარა სამკუთხა იარაღით ძნელი წარმოსადგენია. მიუხედავად ამისა აღნიშნული კაჟის ინვენტარი მაინც ზედა პალეოლითს მიეკუთვნება, ვინაიდან იქვე გვხვდება კაჟის ანამტვრევებიდან ნაკეთები ს ა ფ ხ ე კ ე ბ ი, უხეში ფორმის ს ა ჭ რ ი ს ე ბ ი, მოგრძო ფორმის და გვერდებდაბლაგვებული კაჟის ფ ი რ ფ ი ტ ე ბ ი (ლამელები) და სხვა, ზედა პალეოლითის ადრინდელი საფეხურისათვის დამახასიათებელი იარაღები.

ამავე საფეხურის მდიდრული კომპლექსია აღმოჩენილი გამოქვაბულ დ ე ვ ი ს ხ ვ რ ე ლ შ ი. აქ უკვე აშკარად ჩანს ზედა პალეოლითისათვის დამახასიათებელი ტექნიკაც და კაჟის იარაღთა ტიპებიც. დევისხვრელში მრავლადაა მოპოვებული კაჟის და ობსიდიანის ისეთი იარაღები, რომლებიც მათი გამოყენების სხვადასხვა ფუნქციაზე მიუთითებენ; მაგალითად: საფხეკების სხვადასხვა ჯგუფთან ერთად აღმოჩენილია საჭრისები და კომბინირებული იარაღები (საჭრის-საფხეკები, სახვრეტ-საფხეკები და სხვა), სახვრეტები, დუბლირებული იარაღები (ორპირიანი საჭრისი ან საფხეკი) და მიკროლითები. ამ ჯგუფის იარაღების აღმოჩენა უკვე მოწმობს ქვის იარაღების დამუშავების შედარებით მაღალ ტექნიკას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ე. წ. გ რ ა ვ ე ტ ი ს ტ ი პ ი ს დ ა ნ ე ბ ი. სწორედ ასეთი იარაღების აღმოჩენა დ ე ვ ი ს ხ ვ რ ე ლ შ ი ამ გამოქვაბულს ქვედა პალეოლითის ძეგლებიდან საკმაოდ შორს აყენებს და უფრო აახლოებს მას ზედა პალეოლითის ძეგლებთან. ამასვე მოწმობენ დევისხვრელში აღმოჩენილი ძვლისა და რქის იარაღებიც (ტაბ. III, 5). მათი არსებობა ქვის ხანის წარმოების ტექნიკის აგრეთვე მაღალ დონეს მოწმობს. მიუხედავად ამისა, დევისხვრელის მასალებს ზედა პალეოლითის განვითარებულ საფეხურს მაინც ვერ მივაკუთვნებთ, ვინაიდან იქ ნაპოვნი ე. წ. შ ატ ე ლ პ ე რ ო ნ ი ს ტიპისა და ხელცულის ფორმის იარაღები ამ კომპლექსის ადრინდელობის აშკარა მაჩვენებელია. სამართლიანად აღნიშნავდა პროფ. გ. ნიორაძე, რომ ამ იარაღთა დამუშავების ტექნიკა უფრო ძველი დროისაა, ვიდრე ეს ზედა პალეოლითს შეჰფერისო. გარდა ამისა, ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ დევისხვრელის კაჟის იარაღთა შორის იშვიათია დახვეწილი ფორმები, ე. ი. იარაღად განკუთვნილი კაჟის ლამელები და ანამტვრევები წინასწარ არ არის კარგად დამუშავებული; ხშირია შემთხვევა ბუნებრივად ან შემთხვევით მიღებული კაჟის ანამტვრევებზე კონტურის გასწვრივ რეტუშის გაკეთებისა, რაც იმას მოწმობს, რომ ქვის იარაღის ფუნქცია ყოველთვის არ იყო წინასწარ გათვალისწინებული. ჯერ კიდევ აშკარად არ ჩანს კაჟის დამუშავების ისეთი ტექნიკა, რომ ზედა პალეოლითის განვითარებული საფეხურისათვის დამახასიათებელი იარაღები გაეკეთებინა ადამიანს. მეტად მარტივია ძვლის იარაღების დამუშავების ტექნიკაც. ყურადღებას იქცევს წაბლისფერი დათვის ერთი კბილი, რომელსაც ფესვი ისე აქვს შემოხაზულ-ჩაღრმავებული,

რომ ადამიანს შეეძლო მისი ჩამოკიდება ყელზე; შესაძლოა მას ავგაროზის დანიშნულება ჰქონოდა.

დევისხვრელთან ახლო კავშირშია ჭიათურის რაიონის სოფ. შუქრუთში აღმოჩენილი გამოქვაბული თარო-კლდე. ამ გამოქვაბულშიც დიდი რაოდენობითაა მოპოვებული მოგრძო ლამელებიდან გაკეთებული საფხეკები, გრავეტის ტიპის და მცირე ზომის დანები, ირგვლივ რეტუშიანი წვეტანები, მრავალფაცეტიანი ნუკლეუს-საფხეკები და სხვ. იქვეა აღმოჩენილი ძვლის მარტივი ფორმის სადგისები (ტაბ. III, 4). ზედა პალეოლითის ამ რიგის მასალასთან ერთად თარო-კლდეში გვხვდება შეტად არქაული ფორმის იარაღებიც: ორმხრივ დამუშავებული ხელცულის ფორმის იარაღი, სამკუთხა წვეტანები, რომელთაც დამახასიათებელი ბორცვი და ფაცეტები აქვთ, ტლანქი შუალა საჭრისები და სხვ. ყველაფერი ეს იძლევა საფუძველს იმისათვის, რომ თარო-კლდის მასალებიც ზედა პალეოლითის ადრინდელ საეფხურს მიეკუთვნოს.

ამ ხანის პალეოლითური სადგომებიდან მხოლოდ დევისხვრელშია აღმოჩენილი მეოთხეულის ცხოველთა ნაშთები. ასეთებია მაგალითად: გამოქვაბულის დათვი, განათხარი ხარი, ჩრდილოეთის ირემი,* შველი, ირემი, გარეული თხა, გარეული ღორი, მგელი და ჩრდილოეთის თაგვი. როგორც პროფ. გ. ნიორაძე აღნიშნავს, ეს ფაუნა იმაზე მიუთითებს, რომ დევისხვრელელი ადამიანის დროს ჰავა დღევანდელზე უფრო ცივი ყოფილა, რასაც მოწმობს ჩრდილოეთის ირმის, გარეული თხის და ჩრდილოეთის თაგვის ნაშთების აღმოჩენა ფაუნისტურ მასალაში.

ზედა პალეოლითის განვითარებული საფეხურის ძეგლები. ჭიათურის რაიონის სოფ. მღვიმევის კლდოვან ფარდულში აღმოჩენილი მასალა კაჟისა თუ ძვლის იარაღების დამუშავების ტექნიკითა და ნაირსახეობით ზედა პალეოლითის უფრო მაღალი საფეხურის ძეგლებს უკავშირდება, ვიდრე დევისხვრელი, თარო-კლდე და ხელგულის-კლდე. ის რაც ზედა პალეოლითში კაჟის წარმოების ტექნიკის მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენს (ადამიანის მიერ წინასწარ შერჩეული კაჟის კაჭრის დამუშავება, ე. ი. კაჭარზე თავის გადამტვრევა და ამრიგად დარტყმის სიბრტყის მომზადება; ამ პროცესის შემდეგ იწყება კაჭრის „გათლა", ე. ი. კაჭრიდან გვერდების ჩამომტვრევა-ატკეცა და ასეთი წესით კაჟის „გულის", ნუკლეუსის გამოღება-გაკეთება) დამახასიათებელია მღვიმევის მასალისათვის. ასეთი პროცესების შედეგად მიღებული კაჭრის თავები, გვერდების ანამტვრევები და ნუკლეუსები მრავლადაა მოპოვებული მღვიმეში; დიდი რაოდენობით გვხვდება ნუკლეუსებიდან ატკეცილი სხვადასხვა ზომის ლამელებიც; ლამელების ერთი ნაწილიდან გაკეთებულია იარაღები. აქ იარაღების გასაკეთებლად ობსიდიანიცაა გამოყენებული. ყველაფერი ეს კი იმას გვიდასტურებს, რომ ადამიანი უკვე დაუფლებულია კაჟის დამუშავებას; მან კარგად იცის ნუკლეუსიდან იარაღისათვის საჭირო, წინასწარ გააზრებული და გარკვეული ფორმის ლამელის ატკეცა.

---

* ჩრდილოეთის ირმის მხოლოდ ერთი ძვალია აღმოჩენილი, ისიც რუდიმენტული და ამიტომ ამ ცხოველის ნაშთების არსებობა საქართველოში ჯერ კიდევ საეჭვო ჩანს.

კაკისა და ობსიდიანის იარაღების კომპლექსში თავისი სიმრავლით ყურადღებას იპყრობენ ძირითადად მოგრძო ლამელებისაგან ნაკეთები საფხეკები. იშვიათად ვხვდებით უხეშ და უფორმო საფხეკებს. კოლექციაში აგრეთვე მრავლად მოიპოვება საჭრისები, მათი უმრავლესობაც მოგრძო ფორმისაა. საჭრისები, რომლებიც ზედა პალეოლითიდან შემოდის ხმარებაში და რომელთა ფართო გამოყენება იწყება შედარებით მოგვიანო საფეხურზე, მღვიმევში მთელი სერიებითაა წარმოდგენილი, რაც იმას მოწმობს, რომ მათი დანიშნულებაც მრავალნაირი იყო. იქვე მოიპოვება კაკის სახვრეტები, ე. წ. გ რ ა ვ ე ტ ი ს ტიპის იარაღების დიდი ჯგუფი, მ ი კ რ ო ი ა რ ა ღ ე ბ ი და სხვ. (ტაბ. III, 7 — 14).

მღვიმევის მასალებში კარგადაა წარმოდგენილი ძვლის ძირითადად ორი ტიპის იარაღები: ს ა დ გ ი ს ე ბ ი და ხ ე ლ შ უ ბ ი ს პ ი რ ე ბ ი. ზოგი მათგანი ლულოვანი ძვლის ჩვეულებრივი ნატეხიდანაა გაკეთებული, ზოგი კი უფრო კარგად არის გათლილი და მთლიანად დამრგვალებულია. არის ცალწვეტა და ორწვეტა სადგისებიც. აღსანიშნავია, რომ ძვლის ამ იარაღზე უკვე ჩნდება წინა საფეხურზე სრულიად უცნობი ხაზოვანი სამკაული. ზოგ მათგანს მკრთალი, ფაქიზად ამოკაწრული ზოლები აქვს, ზოგს ღრმა, ქედეულზოლებიანი სპირალი მიუყვება. მღვიმევის ასეთი იარაღები უფრო დიდი ზომისაა ვიდრე სადგისები (ერთი მათგანის სიგრძე 16 სმ აღწევს). ასეთ მსხვილ ძვლის იარაღებს ირიბად ჩამოთლილი ფუძე აქვთ, რომლის საშუალებითაც იარაღს ალბათ ტარზე დაამაგრებდნენ ან შიგ ჩასვამდნენ. არქეოლოგიურ ლიტერატურაში ამ ტიპის ძვლის იარაღებს ხელშუბის პირებს უწოდებენ. მღვიმევის ძვლის იარაღებიდან აღსანიშნავია აგრეთვე მ რ ა ვ ა ლ წ ა ხ ნ ა გ ა ს ა დ გ ი ს-ს ა ხ ვ რ ე ტ ე ბ ი და ნ ე მ ს ი ს ე ბ უ რ ი ი ა რ ა ღ ე ბ ი. აქ მოტანილი მასალიდან ჩანს, რომ მღვიმევის გამოქვაბულში მოსახლე ადამიანი კარგად ყოფილა გაწაფული ძვლის დამუშავებაშიც. მას უკვე სცოდნია ძვლის გაჭრა, გაფხეკა-გათლა, იარაღზე სიმეტრიული წვეტების გამოყვანა და მარტივი ზოლებით შემკობაც კი.

მღვიმევში აღმოჩენილი ძვლის მრავალი ნატეხი და დაუმთავრებელი იარაღები მოწმობენ, რომ ადამიანი იქვე, თავის საცხოვრებელ ადგილზე ამუშავებდა ძვალს.

მღვიმევში ნაპოვნია აგრეთვე მეოთხეულის ცხოველთა ნაშთებიც. დადგენილია ცხოველთა შემდეგი სახეები: გარეული ცხვარი, გამოქვაბულის ლომი, მგელი და დათვი.

ქვის ხანის ტექნიკის განვითარების თვალსაზრისით მომდევნო ძეგლს წარმოადგენს გ ა მ ო ქ ვ ა ბ უ ლ ი ს ა კ ა ე ი ა. საკაეიაში აღმოჩენილი ძვლისა და კაკის იარაღების ცალკეულ ჯგუფებს თუმცა ახლო კავშირი აქვთ და შეიძლება ითქვას, რომ მღვიმევის იარაღთა ტიპებს იმეორებენ, მაგრამ ამ ორ ძეგლს შორის განსხვავება მაინც შეიმჩნევა. აქ აღმოჩენილი იარაღები საერთოდ კარგი ნაკეთობისაა და მათი ტიპობრივი შემადგენლობაც უფრო მრავალნაირია. საკაეიას მასალებში ს ა ჭ რ ი ს ე ბ ი ს 10 ჯგუფია წარმოდგენილი, რომლებიც სხვადასხვა ქვეჯგუფს შეიცავენ. ასევე დიდძალი და თანაც მრავალფეროვანია ს ა ფ ხ ე კ ე ბ ი და კაკის მიკროიარაღების ჯგუფები. გარდა ამისა, საკაეიაში აღმოჩენილია საქართველოსათვის უნიკალური კაკის იარაღები — დ ა ფ-

ნის ფოთლისა და ტირიფის ფოთლის მსგავსი შუბის პირები (ტაბ. III, 6, 7). იქვეა მოპოვებული კაჟის ისრის პირი, რომელსაც შესანიშნავად გამოყვანილი სატარე ღერო (ყუნწი) აქვს (ტაბ. III, 8). ასეთი ტიპის იარაღების აღმოჩენა იმ დროისათვის უკვე საკმაოდ განვითარებული მონადირეობის მაჩვენებელია.

საკაჟიაში აგრეთვე კარგადაა წარმოდგენილი ცხოველის ძვლისა და რქის იარაღები (ტაბ. III, 27). ძვლის სადგისებთან და ხელშუბის პირებთან ერთად აღმოჩენილია ირმის რქისაგან გაკეთებული თოხისნაირი იარაღები — სათხარები (ტაბ. III, 11). ასეთი იარაღებიც პირველად საკაჟიას გამოქვაბულში აღმოჩნდა. ზედა პალეოლითში რქისა და ძვლის თოხისნაირი იარაღი გამოიყენებოდა საკვები მცენარეულის (ფესვებისა და ბოლქვების) მოსათხრელად, ე. ი. იმ დროს ადამიანი უკვე აკეთებდა მიწის საჩიჩქნ სპეციალურ იარაღს, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა ზედა პალეოლითის მეურნეობის შესწავლის თვალსაზრისით.

კაჟის იარაღების დამუშავების ტექნიკის მხრივაც საყურადღებო მასალას იძლევა გამოქვაბული საკაჟია. აქ წარმოდგენილი მასალის დასამუშავებლად გამოყენებულია ზედა პალეოლითის განვითარებული საფეხურისათვის ცნობილი წესები: დარტყმა, ატკეცა და წნევა. წინა საფეხურის კაჟის ინვენტართან შედარების დროს სწორედ ამ მხრივაც შეიმჩნევა განსხვავება. საკაჟიას კოლექციაში მოიპოვება ისეთი იარაღები, რომლებსაც ორივე მხრივ (ზურგისა და მუცლის ზედაპირზე) თხელი და განიერი ფაცეტების თანმიმდევრული ატკეცით გაკეთებული აქვთ ე. წ. მცოცავი რეტუში. ქვის იარაღების ასეთი ტექნიკით დამუშავება ზედა პალეოლითის საკმაოდ განვითარებულ საფეხურზე იწყება. ამ ხერხს „სოლუტრეულ რეტუშს“ უწოდებენ.

საკაჟიაში აღმოჩენილია მეოთხეულის ცხოველთა მეტად მდიდარი მასალა. აქ დადგენილია ცხოველთა შემდეგი სახეები: ცხენი, ბიზონი, ირემი, ლოსი, ქურციკი, ჯიხვი, გამოქვაბულის ლომი და აფთარი, გამოქვაბულის დათვი, გარეული ღორი და სხვ.

ზედა პალეოლითის განვითარებული საფეხურის ძეგლთა რიცხვს მიეკუთვნება გვარჯილას-კლდის გამოქვაბულში აღმოჩენილი მასალები. თუმცა ამ ნაშთებში საკაჟიასთან შედარებით უფრო კარგად დამუშავებული კაჟისა და ძვლის იარაღებია წარმოდგენილი, მაგრამ თვით იარაღების დამუშავების წესებისა და ძირითადი მასალის მიხედვით საკაჟია და გვარჯილას-კლდე მაინც ერთ ეპოქას უკავშირდებიან. გვარჯილას-კლდის მასალებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ძვლის იარაღების კომპლექსი (ტაბ. III, 24, 20). ძვლისა და რქის სადგისებთან და ხელშუბებთან ერთად აღმოჩენილია ჭვილთი, ძვლის ნემსები, ცხოველთა გახვრეტილი კბილები და სქემატური გამოსახულებებით შემკული ძვლის სამკაული (ტაბ. IV, 21).

გვარჯილას-კლდეში დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ფაქიზად ნაკეთები კაჟის მიკროიარაღები. ამ იარაღების ერთი ნაწილი (სეგმენტისნაირი) შეიძლება რომელიმე რთული იარაღის, მაგალითად ხელშუბის პირის შესადგენ დეტალს (ჩასართს) მიეკუთვნოს. ასეთი ტიპის მიკროიარაღები — ჩასართები

საქართველოს ზედა პალეოლითის სადგომებში თითქმის ყველგანაა აღმოჩენილი. როგორც ჩანს, მონადირეობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ზედაპალეოლითელი ადამიანისათვის, რომელიც ერთის მხრივ სპეციალურ იარაღებს—ისრის პირებს და ხელშუბის პირებს აკეთებდა, მეორეს მხრივ კაჟის მიკროიარაღებით რთული სახის იარაღს ადგენდა (ტაბ. III, 17, 26). შესაძლოა მონადირეობასთან იყოს დაკავშირებული გვერდდაბლაგვებული კაჟის იარაღები.

საქართველოს ზედაპალეოლითურ კომპლექსებში თითქმის ყველგან გვხვდება მინერალური საღებავების ნარჩენები და ცხოველთა გახვრეტილ-ამოღარული კბილები. ეტყობა ამ დროს ადამიანმა უკვე იცოდა ტანის შეღებვა-გალამაზება და ავგაროზების ტარება.

ზედა პალეოლითის გვიანი საფეხურის ძეგლები. ამ საფეხურზე იარაღთა დამუშავების მხრივ დიდი გაუმჯობესება აღარ მომხდარა. მთავარი ის არის, რომ კაჟის იარაღები დაპატარავებას განიცდიან და ამავე დროს მათ გეომეტრიული ფორმები აქვთ მიღებული (სამკუთხედის, ტრაპეციის, რომბის, სეგმენტის). ქვის იარაღებიდან აღსანიშნავია დანებად გამოყენებული უბრალო ანატკეცები, დანა-საპრისი, დანა-საფხეკი და სხვ. მეტად ღარიბია ძვლის იარაღებიც.

გვიანდელი საფეხურის ძეგლებიდან პირველ რიგში აღვნიშნავთ მდ. ხრამის მარცხენა ნაპირზე, ბ ა რ მ ა ქ ს ი ზ ი ს გამოქვაბულში აღმოჩენილ ნაშთებს. ბარმაქსიზში ზედა პალეოლითის სხვა იარაღებთან ერთად აღმოჩენილია გეომეტრიული ფორმის მიკროლითები, რომელთა შორის სამკუთხედის ფორმები სჭარბობს. დიდი რაოდენობით გვხვდება ზურგდაბლაგვებული მცირე ზომის იარაღები. საფხეკები უპირატესად მრგვალი ფორმისაა (ტაბ. IV, 14). საპრისები ნაკეთებია მოგრძო და თხელი ლამელებისაგან (ტაბ. IV, 1). იარაღებს რეტუში მხოლოდ ნაპირებზე აქვს გაკეთებული (ტაბ. IV, 2). იშვიათად ვხვდებით ისეთ იარაღს, რომელსაც ზედაპირი რეტუშით ჰქონდეს დამუშავებული. ბარმაქსიზის მონაპოვრის უდიდეს ნაწილს ობსიდიანის მოგრძო დანები და სახვრეტები წარმოადგენენ (ტაბ. IV, 3, 4, 5). მცირე რაოდენობითაა კაჟის იარაღები. სრულიად არ მოიპოვება ძვლისა და რქის იარაღები. შეოთხეულის ცხოველთაგან მხოლოდ გარეული ცხენის ნაშთებია აღმოჩენილი.

ამავე ეპოქის შესატყვისი ნაშთები აღმოჩნდა ზუგდიდის რაიონის სოფ. ო დ ი შ ს ზედა კულტურულ ფენაში და სამხრეთ ოსეთში, ჯ ე რ მ უ ხ ი ს მ თ ა ზ ე. ამ სადგომებიდან უმთავრესად კაჟის მიკროიარაღებია ცნობილი (ტაბ. IV, 9, 11, 12, 13).

ზედა პალეოლითის გვიანდელ საფეხურს მიეკუთვნება აგრეთვე მდ. ხრამის მარჯვენა შენაკადის, მდ. ყარაბულახის ველზე, ზურტაკეთში აღმოჩენილი ობსიდიანის იარაღების კომპლექსები და ძვლის იარაღი (ტაბ. IV, 10). ამ ოთხივე სადგომის ნაშთები წინა პერიოდის მასალებთან შედარებით ღარიბია ტიპობრივადაც. ასეთი ცვლილება შემდეგი გარემოებით აიხსნება: საყოველთაოდ ცნობილია, რომ ზედა პალეოლითის გვიანდელი საფეხურის პირველყოფილ ადამიანთა ცხოვრება დაემთხვა ეურმული ეპოქის შემდგომ დროს. ეს არის თანა-

მედროვე გეოლოგიური ეპოქის (ჰოლოცენის) დასაწყისი, როდესაც ყინვარები საგრძნობლად შემცირდა და თბილმა კლიმატმა თანდათანობით ჩრდილოეთითაც იწყო განვითარება. ბუნებრივი პირობების შეცვლის გამო, დროთა განმავლობაში ცივი სტეპების მკაცრი ლანდშაფტი — ტუნდრა, ტყემ შეცვალა. ამ დროს შუა ევროპიდან სავსებით გადაშენდა მამონტი და ციმბირის მარტორქა. მოისპო მეოთხეული დროის არქტიკული და ალპიური ცხოველები. ასეთმა ბუნებრივმა პირობებმა გავლენა მოახდინა პირველყოფილი ადამიანების ყოფა-ცხოვრებაზეც. ზედა პალეოლითის გვიანდელი საფეხურის ნაშთებში შეიმჩნევა, რომ ამ დროს მონადირეობას უკვე აღარა ჰქონდა ისეთი დიდი მნიშვნელობა, როგორიც წინა საფეხურზე. საქართველოს ამ საფეხურის სადგომებშიაც მცირე რაოდენობით გვხვდება ცხოველთა ნაშთები, ასევე ღარიბადაა წარმოდგენილი ძვლის იარაღებიც. როგორც ჩანს, ადამიანმა საარსებო საშუალებების მოპოვების ახალი გზები გამონახა. შედარებით კარგ ბუნებრივ პირობებში მცხოვრებ ზედაპალეოლითელ ადამიანს შრომის ახალი დარგი გაუჩენია. ასეთად მიიჩნევენ ზედა პალეოლითის ბოლო ხანაში შემგროვებლობის გაფართოებას და ცოტა უფრო მოგვიანებით, ცხოველთა მოშინაურებას. ყველაფერი ეს ადამიანთა ცხოვრების შემდგომი, მკვეთრი წინსვლის მაჩვენებელია. ამის შემდეგ იწყება პალეოლითისაგან მრავალმხრივ განსხვავებული კულტურის ახალი საფეხური — ნ ე ო ლ ი თ ი ანუ ა ხ ა ლ ი ქ ვ ი ს ხ ა ნ ა.

საქართველოს ზედა პალეოლითის ნაშთების ასეთი ქრონოლოგიური დალაგება სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი მომავალში უცვლელად დარჩება. უნდა ვიფიქროთ, რომ შემდგომი ახალი აღმოჩენები, ერთის მხრივ, თუ ცალკეულ საფეხურში შემავალი ძეგლების რაოდენობას გაზრდის, მეორეს მხრივ, თვით საფეხურთა თანმიმდევრობასაც დააზუსტებს. მაგალითად, დღესდღეობით ჩვენს მასალებში ღარიბადაა წარმოდგენილი ზედა პალეოლითის გვიანდელი საფეხურის კომპლექსები და ე. წ. სოლუტრეული ეპოქის ნაშთები.*

პირველყოფილი ხელოვნება და რელიგია. ზემოთ ჩვენს მიერ განხილული ქვის ხანის ნიეთიერი კულტურის ნაშთები შესაძლებლობას გვაძლევენ წარმოდგენა ვიქონიოთ არა მხოლოდ იმ დროის საწარმოო ძალებზე და წარმოების ტექნიკაზე, არამედ თვით ადამიანთა ყოფის ზოგიერთ სხვა მხარეზეც. მიუხედავად იმისა, რომ პირველყოფილი ადამიანის ცხოვრების უდიდესი ნაწილი საარსებო საშუალების მოპოვებას ხმარდებოდა, ზედა პალეოლითიდან უკვე ცნობილი ხდება პირველყოფილი ხელოვნების ნიმუშები, და, როგორც ცნობილია, ამ დროიდან ადამიანი ზრუნავს უკვე თავისი ტანის მორთულობაზეც; ტატუირებასთან ერთად იგი ტანს ბუნებრივი საღებავებითაც იღებავს.

---

* საქართველოს ზედა პალეოლითის სამი საფეხურის მასალებს თუ შევადარებთ დასავლეთ ევროპის პალეოლითისათვის მიღებულ ქრონოლოგიურ ეპოქებს, შემდეგ სურათს მივიღებთ: ხელგულის-კლდე, საგვარჯილე (ქვედა კულტურული ფენა), იაშთხვა, ოჩამჩირე დაუკავშირდება მუსტიეური ეპოქიდან ორინიაკში გარდამავალ ეპოქას; დევისხვრელი და თარო-კლდე — ადრე ორინიაკს; მღვიმეეი — ადრესოლუტრეულ ეპოქას; საკაჟია — განვითარებულ სოლუტრეულ ეპოქას; გვარჯილას-კლდე — განვითარებულ მაგდლენის ეპოქას; ბარმაქსიზი, ზურტაკეთი, ოდიში და ჯერმუხი — აზილ-ტარდენუალურ ეპოქას.

საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ზედაპალეოლითელ ადამიანთა ნადგომ გამოქვაბულებში თითქმის ყველგან არის აღმოჩენილი ბუნებრივი საღებავები (ყვითელი და მიხაკისფერი ჟანგმიწა) და რიყის ბრტყელი ქვები, რომლებზედაც დარჩენილია იმავე საღებავების კვალი. ჩანს, აღნიშნულ გამოქვაბულში მცხოვრებმა ადამიანებმა უკვე იცოდნენ ქვაზე საღებავის გალესვა და ასეთი საღებავით ტანის მოხატვა. ამავე დროს პირველყოფილი ადამიანი სხეულის სხვაგვარ მორთულობაზეც ზრუნავს. მაგალითად გამოქვაბულ საგვარჯილეში აღმოჩენილია ზღვის ლოკოკინების გახვრეტილი ნიჟარები (ტაბ. IV, 22) და წერტილოვანი ორნამენტით შემკული ალებასტრის საკიდები (ტაბ. IV, 20), რომლებიც ზედაპალეოლითელი ადამიანისათვის შესანიშნავი სამკაულები უნდა ყოფილიყო. ასეთ სამკაულებს პირველყოფილი ადამიანი ალბათ მაგიურ მნიშვნელობასაც ანიჭებდა.

პირველყოფილი ადამიანები თავისთვის საჭირო საარსებო საშუალებებს ბუნებისაგან მზამზარეულად კი არ იღებდნენ, მათ მძიმე ბრძოლა უხდებოდათ ბუნებასთან. საწარმოო ძალების დაბალმა დონემ, პრიმიტიული იარაღებით ბუნებასთან ბრძოლის სიძნელეებმა, ადამიანს შეუქმნეს წარმოდგენა, რომ თითქოს ბუნებაში არსებობენ მისთვის იდუმალი ძალები, რომლებიც ადამიანისადმი კეთილად ან მტრულად არიან განწყობილნი. მტრულად განწყობილი ბოროტი სულებისაგან ადამიანს თავი უნდა დაეცვა მათდამი თაყვანისცემით; თაყვანი უნდა ეცა აგრეთვე კეთილად განწყობილი სულებისათვის. მეცნიერები ფიქრობენ, რომ სწორედ ასეთი შეუცნობელი ძალებისადმი, კეთილი და ბოროტი სულებისადმი თაყვანისცემა — ანიმიზმი იყო რელიგიის უძველესი ფორმა, რომლის საწყისებს ზედა პალეოლითიდან ვარაუდობენ. რელიგიის თავდაპირველ ფორმას წარმოადგენს ტოტემიზმიც. თაყვანისცემის საგანი ხდებოდა ის ცხოველი ან მცენარე, რომელშიც ადამიანი აიგივებდა თავის თავს და რომლისგან დამოკიდებულიც ეგონა თავისი არსებობა. ტოტემი ჰყავდათ ცალკეულ გვარებს და თითოეულ ადამიანს ინდივიდუალურად. ეთნოგრაფიულ მასალებზე დაკვირვებით მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ტოტემიზმი უნივერსალური ისტორიული მოვლენა იყო. დღეს იგი მხოლოდ კულტურულად ჩამორჩენილმა ხალხებმა შემოინახეს.

ბუნების შეუცნობელი მოვლენებისაგან თავის დასაცავად პირველყოფილ ადამიანს სხვადასხვა წეს-ჩვეულებები გამოუმუშავდა. იგი იკეთებდა საკიდებს — ავგაროზებს — თითქოს ჯადოსნური ძალა მქონე ნივთებს, რომლებსაც ყოველთვის თან ატარებდა. ასეთი ნივთები, როგორც აღვნიშნეთ, აღმოჩენილია დევისხვრელში, საკაჟიაში, გვარჯილას-კლდეში და საგვარჯილეში. ამ ნივთებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ცხოველის გახვრეტილი კბილები (ტაბ. IV, 17, 20). ზედაპალეოლითელი ადამიანი იმ ცხოველის კბილს ან სხვა ძვალს იკეთებდა ამულეტად, რომელსაც მისი არსებობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ცხოველის ერთი ნაწილის ავგაროზად გამოყენება, თანტარება, პირველყოფილი ადამიანის წარმოდგენით, როგორც ჩანს, მთელი ცხოველის დამორჩილებას ნიშნავდა.

საგვარჯილეში აღმოჩენილია აგრეთვე ძელისაგან კარგად გამოთლილი თევზის გამოსახულება (ტაბ. IV, 15). ეს ნივთი გახვრეტილია და ეტყობა საკი-


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
2
21
22

დად იყო გამოყენებული. საგვარჯილეში აღმოჩენილი ამ რიგის ნივთები საქართველოს ზედა პალეოლითის უნიკალურ ნიმუშებს წარმოადგენენ.

ცნობილია, რომ ზედაპალეოლითელ ადამიანს უკვე უჩნდება აუცილებელი საჭიროება და სურვილიც ისეთი საგნების შექმნისა, რომლებიც მის ესთეტიკურ მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებენ. ეს საგნები იმავე დროს მჭიდრო კავშირში არიან პირველყოფილ ადამიანთა პრაქტიკულ ცხოვრებასთან, მათ სხვადასხვა მეურნეობრივ საქმიანობასთან. ამიტომაც პალეოლითის ხელოვნებას გარკვეული თვალსაზრისით პირველყოფილ ადამიანთა არსებობისათვის ბუნებასთან ბრძოლის ერთერთ საშუალებად თვლიან. პირველყოფილი ადამიანი, ერთის მხრივ, თუ სხეულის გასალამაზებლად იღებავდა ტანს, მეორეს მხრივ, დარწმუნებული იყო იმაში, რომ შეღებილი ტანით რიტუალური სცენების შესრულებით, იგი ბუნების გარკვეულ ძალას იმორჩილებდა. მაგალითად საგვარჯილელმა ადამიანმა ძვლისაგან თევზი თუ მეთევზეობის პროცესების უკეთ წარმართვისათვის გამოკვეთა, მეორეს მხრივ, უნდა ვივარაუდოთ, რომ მან თავისი სულიერი განცდა და მის გარეშე არსებულ ბუნებრივ მოვლენებთან თავისი დამოკიდებულება ჩააქსოვა იმავე ნივთში. ასეთივე დანიშნულება უნდა ჰქონოდა პალეოლითის ხელოვნების სხვა ნიმუშებსაც, რომლებიც დღეს არც თუ ისე მცირე რაოდენობით მოგვეპოვება საქართველოს ზედა პალეოლითის განვითარებული და უფრო გვიანდელი საფეხურის ძეგლებს შორის.

ზედაპალეოლითელი ადამიანი უკვე იჩენს ერთგვარ ზრუნვას მიცვალებულისადმი. მიცვალებულს ასაფლავებენ თავიანთ საცხოვრებელ ბინაზე, კერის ახლოს და ალბათ მასთან დაკავშირებულ წესებსაც ასრულებენ. ხშირია შემთხვევა, რომ მიცვალებულისათვის ჩაუტანებიათ ის ნივთები, რომლებსაც იგი სიცოცხლეში ატარებდა, რაც დაკავშირებული იყო იმ პრიმიტიულ რწმენასთან, რომ ადამიანი სიკვდილის შემდეგაც განაგრძობს ცხოვრებას და ამიტომ საჭაო ნივთები საიქიოსაც დასჭირდება.

საქართველოს ზედა პალეოლითის მიცვალებულთა დამარხვის წესზე ვერაფერს ვიტყვით, ვინაიდან ასეთი ნაშთები ჩვენში ჯერჯერობით არ არის აღმოჩენილი. როგორც აღვნიშნეთ, იმ დროის ადამიანის ნაშთები მხოლოდ მცირე ფრაგმენტების სახით იყო შემონახული დევისხვრელში და საკაჟიაში.

პირველყოფილი-გვაროვნული საზოგადოება საქართველოში. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ მეოთხეულის გაყინვარებათა მკაცრმა კლიმატურმა პირობებმა აიძულა ადამიანი საცხოვრებელი ადგილი გაეჩინა. ისიც ითქვა რომ იქ, სადაც საამისო ბუნებრივი პირობები იყო ადამიანმა გამოქვაბულში დაიწყო ცხოვრება. ხოლო სადაც ასეთი გამოქვაბულები არ არსებობდა, ხანგრძლივ საცხოვრებლად მიწურებს ან ნახევრად მიწურებს იკეთებდა. ეს ცხოვრება გულისხმობს ადამიანთა გარკვეული ჯგუფის ერთად ყოფნას. პირველყოფილ ადამიანს თავისი მარტივი იარაღით მტაცებელ ცხოველზე ნადირობა ან მათგან თავის დაცვა და საარსებო საშუალებების მოპოვება მარტოხელად არ შეეძლო. საჭირო იყო ადამიანთა გაერთიანებული მოქმედება. „ქვის იარაღები და მშვილდ-ისარი, რომელიც შემდეგ გაჩნდა, გამორიცხავდნენ ბუნების ძალებთან და მტაცებელ ცხოველებთან მარტოხელად ბრძოლის შესაძლებლობას. ტყეში რომ

ნაყოფი შეაგროვონ, წყალში რომ თევზი დაიჭირონ, რაიმე საცხოვრებელი ბინა რომ ააშენონ, ადამიანები იძულებულნი არიან ერთად იმუშაონ, თუ არ სურთ გახდნენ შიმშილით სიკვდილის, მტაცებელ ცხოველთა ან მეზობელ საზოგადოებათა მსხვერპლნი" (ი. სტალინი). ასეთ ნიადაგზე გაერთიანებულ ადამიანთა საერთო ძალით მოქმედება ერთი ისეთი ელემენტი იყო, რომელმაც ადამიანი ცხოველობიდან გამოიყვანა (ფ. ენგელსი).

ქვედა პალეოლითის ბოლოს უკვე ჩნდება შრომის საფუძველზე გაერთიანებულ ადამიანთა პირველყოფილი ჯგუფები მაგრამ კავშირი ამ ჯგუფების წევრთა შორის ჯერ კიდევ სუსტი იყო.

ვურმის მკაცრმა კლიმატურმა პირობებმა და არსებობისათვის საჭირო საკვების ბუნებრივმა მარაგმა ადამიანის ერთ ადგილზე ხანგრძლივი დაბინავება აუცილებელი გახადა. დროთა განმავლობაში ბუნებრივი გამოქვაბული და ზოგ ადგილას კი მიწური, ადამიანის ხანგრძლივ საცხოვრებელ ბინად გადაიქცა. ასეთმა ბინადარმა ცხოვრებამ თავის მხრივ ხელი შეუწყო ადამიანთა უფრო ახლო ურთიერთობაში ყოფნას, მათ შორის მჭიდრო კავშირს, რასაც ბოლოს-დაბოლოს პირველყოფილი გვარის წარმოქმნა მოყვა შედეგად.

ფ. ენგელსის განმარტებით „გვარი წარმოიშობა ველური მდგომარეობის შუა საფეხურზე, ხოლო თავის აყვავების ხანას, რამდენადაც ჩვენი წყაროების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, ბარბაროსობის ქვედა საფეხურზე აღწევს". დღეს უკვე მიღებულია მეცნიერთა მიერ, რომ ველურობის შუა საფეხურს ზედა პალეოლითის ადრინდელი ეპოქა მიეკუთვნება. სწორედ ამ ეპოქიდან იწყება ადამიანის მკვიდრი ბინადარი ცხოვრება და ამავე ეპოქას უკავშირდება ის დიდი ტეხილები, რომლებიც ქვედა პალეოლითის დასაწყისში მოხდა. ამავე ეპოქაში ივარაუდება გვარის წარმოქმნაც.

ქვედა პალეოლითიდან ზედა პალეოლითში გადასვლა განვითარების ხანგრძლივი პროცესია. პირველყოფილი ადამიანის ისტორიაში ახალი ეპოქის დადგომა პირველ რიგში წარმოების იარაღების გაუმჯობესებაში გამოიხატა. ამ დროს ადამიანი ბუნებრივი მარაგის ათვისებისათვის საჭირო შრომის იარაღებს გაუმჯობესებული ტექნიკით ამუშავებს, თანაც იარაღები უკვე დიფერენცირებულია, ე. ი. სხვადასხვა დანიშნულება აქვთ, მაგალითად, ნადირობის, თევზის ჭერის და შეგროვებითი. ზედაპალეოლითელი ადამიანი აკეთებს ისრის პირებს, ხელშუბის პირებს, ჭვილთებს და მიწის საჩიჩქნ იარაღებს.

ზედაპალეოლითელ ადამიანს უკვე აქვს მკვიდრი საცხოვრებელი ბინა და მეურნეობისათვის საჭირო იარაღ-ხელსაწყოები. ამდენად, პირველყოფილ საზოგადოებაში ზედა პალეოლითი ისეთ ისტორიულ ეტაპს წარმოადგენს, როდესაც კაცობრიობის კულტურის განვითარებაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა წინ. ამ დროს მოხდა ადამიანის სულ უფრო და უფრო მკვეთრი გამოყოფა ცხოველთა სამყაროდან. ნეანდერტალელის პრიმიტიული ქორწინების ფორმა, ენდოგამურ (ჯგუფის შიგნით ჩაკეტილი) სისხლის ნათესაობაზე დამყარებული, შეიცვალა ქორწინების ექსოგამური (გვარის შიგნით შეუღლების აკრძალვა) ფორმით. შეუღლების უფლება გვარის ჩაკეტილ ფარგლებს გასცილდა. აიკრძალა შეუღლება ერთი დედის შვილებს შორის, ამის საფუძველზე სხვადასხვა გვარის ადამიანები შევიდნენ ურთიერთკავშირში. დროთა განმავლობაში შე-

ულლების უფლება აიკრძალა უფრო შორეულ სისხლით ნათესავებს შორისაც. (ბიძაშვილებს შორის დედის ხაზით). ამან თავის მხრივ დიდი გავლენა მოახდინა ადამიანთა მოდგმის ფიზიკურ განვითარებაზე. რადგანაც გვარის შიგნით შეუღლება აიკრძალა, ამიტომ ერთი გვარის მამრობითი ნაწილი სხვა გვარში რჩებოდა, მდედრობითი ნაწილის შთამომავლობა კი ამავე გვარში. ყოველი გვარი აერთიანებდა დედის ხაზით სისხლით მონათესავე ადამიანებს. ამრიგად, პირველი გვარები ჩამოყალიბდა როგორც დედით ნათესაობაზე დამყარებული გაერთიანებები, რის გამოც ამ ეპოქას მატრიარქატულ ეპოქას უწოდებენ. მატრიარქატის ეპოქა უნივერსალური მოვლენაა კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. იგი ყველა ხალხმა განვლო.

ჯგუფობრივი ცოლქმრობის პირობებში დედა, როგორც გვარის გამგრძელებელი, რეალურ მოვლენას წარმოადგენდა. მოდგმის გაგრძელება პირველყოფილ ადამიანთა თვალთახედვით მხოლოდ ქალს შეეძლო. ამის საილუსტრაციოდ კარგ მასალას იძლევა დასავლეთ ევროპისა და საბჭოთა კავშირის ზედა პალეოლითის ძეგლებში აღმოჩენილი ძვლისაგან ნაკეთები შიშველი დედაკაცის ქანდაკებები, რომლებზედაც განსაკუთრებით არის გამოხატული ქალობის მანიშნებელი ორგანოები.* გარდა ამისა, პირველყოფილ მატრიარქატულ საზოგადოებაში ქალის უფლება გაზარდა იმ დროის მეურნეობაში ქალის როლის განსაკუთრებულმა მნიშვნელობამ.

პირველყოფილ საზოგადოებაში ქალის როლის გაზრდა კი იმ სამეურნეო საქმიანობის დაწინაურებას უნდა გამოეწვია, რომელიც ზედა პალეოლითში ძირითადად ქალს ჰქონდა დაკისრებული.

მეურნეობა ზედა პალეოლითში. საქართველოს ზედა პალეოლითის ძეგლებში აღმოჩენილი მდიდარი პალეოზოოლოგიური მასალა მოწმობს, რომ ამ დროს მონადირეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონია. მონადირეობის განვითარებული ფორმით არსებობაზე მიგვითითებს აგრეთვე ზედა პალეოლითის ეპოქაში ხელშუბისა და ისრის პირების გაჩენა. ამ მხრივ განსაკუთრებით კარგ მასალას იძლევა ზემოთ განხილული საკაჟიას ქვის იარაღების კომპლექსი. მაგრამ მხოლოდ მონადირეობა მაინც ვერ უზრუნველყოფდა პირველყოფილ ადამიანს საჭირო საარსებო საშუალებით, საკვები მარაგით, ვინაიდან ერთხელ თუ ნანადირევის დიდ მარაგს მოიპოვებდა, მეორედ ნადირობას შეიძლება უშედეგოდ ჩაევლო. ამიტომ მონადირეობასთან ერთად დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა შემგროვებლობას. საკაჟიაში აღმოჩენილი თიხისნაირი იარაღები გვაუწყებენ, რომ საქართველოს ზედა პალეოლითელი ადამიანი შემგროვებლობისათვის უკვე სპეციალურ იარაღს აკეთებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თიხისნაირ და წერაქვისნაირ ძვლის ან რქის იარაღებს ზედაპალეოლითელი ადამიანი საკვები მცენარეულობის ფესვების ამოსათხრელად იყენებს. ასეთი იარაღები უკვე კარგად არის ცნობილი საბჭოთა კავშირში აღმოჩენილ ზედაპალეოლი-

* აღსანიშნავია, რომ კოსტენკი I-ში ასეთი ქანდაკება ნაწილ-ნაწილ დამტვრეული და კულტურულ ფენაში მიმობნეული აღმოჩნდა. არქეოლოგების აზრით ქანდაკება დამტვრეული უნდა იყოს მოსული მტრის მიერ — მტერს გაუნადგურებია გვარის უფროსი, მისი მფარველი.

თელი ადამიანის ნაბინავარ ადგილებში. ამ ტიპის დიდი ზომის იარაღი შეიძ-ლება გამოყენებული ყოფილიყო პალეოლითის დროის კარვების თუ მიწურების გასაკეთებლად საჭირო ორმოების ამოთხრის დროს. მცენარეულის ფესვების შეგროვება ან კარვის დადგმა ძირითადად ქალს უნდა ჰქონოდა მინდობილი, ვინაიდან ზედა პალეოლითის დასაწყისიდან ბუნებრივი შრომის დანაწილება (სქესობრივ-ასაკობრივი) უკვე გულისხმობდა მამაკაცის მონადირეობას, ე. ი. მის მეტწილად გარეთ ყოფნას, ხოლო დედაკაცის უმეტესად სახლში დარჩენას, შვილებზე ზრუნვას. დღევანდელ პრიმიტიულ ხალხთა ცხოვრებაზე დაკვირვებით მეცნიერებას მდიდარი მასალა მოეპოვება ქვის ხანის ადამიანთა ცხოვრებისა, მათი მეურნეობის ფორმების მიახლოებით აღსადგენად. ირკვევა, რომ თანამედროვე პრიმიტიულ ხალხებში ქალი ხშირად მთელი წლის მარაგს შოულობს ველური მცენარეების სეზონური შეგროვებით.

არ არის გამორიცხული, რომ მცენარეულობით მდიდარ ტერიტორიაზე საქართველოს ზედაპალეოლითელ ადამიანს შეძლებოდა წლის გარკვეულ სეზონში მცენარეულის დიდი მარაგის შეგროვება, მაგალითად, წაბლის, წიწიბოს, რკოსა და სხვა მცენარეულის ნაყოფისა. ამდენად, თუ მაშინ მონადირეობა საეგებისო იყო, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ზედაპალეოლითელ ადამიანს შემგროვებლობა ყოველთვის კარგ შედეგს მოუტანდა.

ცნობილია, რომ სამხრეთ ქვეყნების ზედა პალეოლითის გვიანდელ ეპოქაში შემგროვებლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ხოლო ზედა პალეოლითის მომდევნო ეპოქაში — ნეოლითში, უკვე ისახება პირველყოფილი მიწათმოქმედება. ქვის ხანის ძეგლების ხანგრძლივი კვლევისა და თანამედროვე პრიმიტიულ ხალხთა ყოფა-ცხოვრების შესწავლის შედეგად მეცნიერთა მიერ გარკვეულია, რომ ქვის ხანის გვიანდელ ეპოქებში (ზედა პალეოლითი, ნეოლითი) ჯერ შემგროვებლობას და შემდეგ პირველყოფილ მიწათმოქმედებას ქალი ედგა სათავეში. მეცნიერთა მიერ აგრეთვე აღიარებულია, რომ დედის ხაზით სისხლით მონათესავე გვარების შექმნამ ქალს უპირატესობა მისცა პირველყოფილ საზოგადოებაში.

პირველყოფილ საზოგადოებაში ქალის უფლების გაზრდის საფუძველს წარმოადგენს აგრეთვე მისი თანდათანობით დაწინაურება მეურნეობაში. „იყო დრო მატრიარქატისა, — წერს ი. სტალინი, — როცა დედაკაცები წარმოების ბატონ-პატრონად ითვლებოდნენ. რით ავხსნათ ეს? იმით, რომ მაშინდელ წარმოებაში, პირველყოფილ მიწათმოქმედებაში დედაკაცი უმთავრეს როლს თამაშობს, მაშინ, როდესაც მამაკაცები ტყე-ტყე დაძრწოდნენ ნადირის საშოვნელად“. მაშასადამე, მატრიარქატული წყობის ჩასახვის ერთერთ ფაქტორს და შეიძლება მთავარ საფუძველსაც მეურნეობის სწორედ ის დარგი წარმოადგენდა, რომელსაც იმ დროს ქალი ედგა სათავეში.

საქართველოში აღმოჩენილი ზედა პალეოლითის მდიდარი მასალა უკვე შესაძლებლობას გვაძლევს, რომ იმ დროს ჩვენში მეურნეობის სხვადასხვა ფორმების არსებობაზე ერთგვარი წარმოდგენა ვიქონიოთ. ზემოთ განხილული ნაშთები მოწმობს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებულმა პირველყოფილმა ადამიანმა ზედა პალეოლითიდან, მონადირეობასა და მეთევზეობასთან ერთად, შემგროვებლობაც დაიწყო. შემგროვებლობას განსაკუთრებული

შნიშვნელობა უნდა ჰქონოდა საქართველოში მსახლობელი პირველყოფილი ადამიანის ცხოვრებაში. იმდროინდელი ბუნებრივი პირობები უთუოდ ხელს უწყობდა მეურნეობის ამ დარგს, განსაკუთრებით ზედა პალეოლითის განვითარებულ ეპოქაში. საკაჟიაში აღმოჩენილი მუხის, მსხლის და ძახველის ნაშთები იმას მოწმობენ, რომ პალეოლითელი ადამიანი ამ მცენარეთა ნაყოფს საკვებადაც იყენებდა. სხვა მცენარეთა ნაყოფითაც არ იქნებოდა „ხელმოკლედ" საქართველოს ტერიტორიაზე. მცხოვრები პირველყოფილი ადამიანი. გარდა ტყის ამ მცენარეთა ნაყოფისა, საქართველოს ზედაპალეოლითელი ადამიანი საკვები მცენარის ფესვებს და სხვა ძირხვენებსაც რომ აგროვებდა, ამის მაუწყებელი უნდა იყოს საკაჟიაში აღმოჩენილი სათხრელი ჯოხის წვერი. ამრიგად, საქართველოს ზედა პალეოლითის ნაშთები უკვე იძლევიან იმის საშუალებას, რომ პირველყოფილ ადამიანთა მეურნეობის ფორმების შესახებ ერთგვარი წარმოდგენა ვიქონიოთ. ზედა პალეოლითის შემდგომ ეპოქებში მონადირეობასთან ერთად უკვე განვითარებული ფორმით გვეელინება შემგროვებლობა და მეთევზეობა. პირველყოფილი ადამიანი შემგროვებლობისა და მეთევზეობისათვის სპეციალურ იარაღსაც კი აკეთებს. ამდენად, მეურნეობის ამ დარგში მას უფრო მეტი წარმატება უნდა ჰქონოდა. მეურნეობის განვითარებამ და წარმოების ტექნიკის წინსვლამ მოამზადა თვით ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების შემდგომი შეცვლის საფუძველი.

საქართველოს ზედა პალეოლითის ხანის გამოქვაბულებში აღმოჩენილი მძლავრი კულტურული ფენები და ზოგიერთ მათგანში დადგენილი კერები იმაზე მიუთითებენ, რომ ამ დროს ადამიანი ქვედა პალეოლითთან შედარებით უფრო ხანგრძლივ ბინადარ ცხოვრებას ეწევა.

საქართველოში აღმოჩენილი ზედა პალეოლითის სამივე საფეხურის მდიდარი მასალა ტექნიკის განვითარების მაღალ დონეს მოწმობს. ქვის იარაღები დამუშავებულია სხვადასხვა ხერხით. ქვის იარაღებთან ერთად ადამიანი ფართოდ იყენებს და კარგადაც ამუშავებს ცხრელის ძვალსა და რქას.

ამრიგად, საქართველოში ქვედაპალეოლითელ ადამიანთა პრიმიტიული ჯგუფებიდან დროთა განმავლობაში უნდა ჩამოყალიბებულიყო დედის უფლებაზე დამკვიდრებული პირველყოფილი გვაროვნული საზოგადოება, რომლის ყველაზე ადრინდელი საფეხური ზედა პალეოლითში ჩაისახა. დედის უფლებაზე დამყარებული პირველყოფილი გვაროვნული საზოგადოების განვითარების შემდგომი საფეხური ახალიქვის ხანას (ნეოლითს) მიეკუთვნება.

§ 3. ახალიქვის ხანა

საქართველოს ტერიტორიაზე ნეოლითური ხანის სამი სადგომია გათხრილი, სამივე დასავლეთ საქართველოში. არქეოლოგიური დაზვერვით თუ შემთხვევით მოპოვებული ნეოლითური ნაშთები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდანაცაა ცნობილი. აღმოჩენილი მასალები არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ახალიქვის ხანის ერთიმეორისაგან მკვეთრად განსხვავებული საფეხურები გამოვყოთ. განსაკუთრებით ძნელდება ნეოლითის დასასრულის, მისი ზედა საზღვრის

დადგენა. მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ნეოლითის ზედა საზღვარს III-4 ათასწლეულის აქეთ ვეღარ გადმოვიტანთ, ვინაიდან ამ დროიდან ჩვენში უკვე კარგადაა წარმოდგენილი ენეოლითური კულტურის ძეგლები. რაც შეეხება ნეოლითის ქვედა საზღვარს, მისი შესატყვისი ნაშთები აღმოჩენილია ზუგდიდის რაიონის სოფ. ოდიშში. ამიტომაც, ძეგლების ქრონოლოგიური თანმიმდევრობის თვალსაზრისით საქართველოს ნეოლითური ნამოსახლარების განხილვას ამ ძეგლით დავიწყებთ.

სოფ. ოდიში მდებარეობს 6 კმ დაშორებით ქ. ზუგდიდიდან, მის ჩრდილოაღმოსავლეთით, მდ. ჯუმის მარჯვენა ნაპირის საკმაოდ შემაღლებულ ზეგანზე (273 მ ზღვის დონიდან). აქ, 1936 — 1937 წლებში გათხრების დროს გამოვლენილ იქნა მძლავრი კულტურული ფენები, რომლებიც მეზოლითისა და ნეოლითის ნაშთებს შეიცავდნენ. მეზოლითის დროის ნაშთებიდან აღსანიშნავია ე. წ. გეომეტრიული მოხაზულობის კაჟის მიკროიარაღები, რომელთა შორის წამყვანია ტრაპეციის მსგავსი მიკროლითები (ტაბ. IV, 9). ასეთ იარაღებს ფართოდ იყენებდა პირველყოფილი ადამიანი სხვა, უფრო რთული იარაღის პირის გასამართავად. ზედმიწევნით დადგენა, თუ როგორი იარაღის პირის გასამართ დეტალებს წარმოადგენდნენ ეს პაწაწინა კაჟის ფირფიტები, არ ხერხდება. მიუხედავად ამისა, კოლექციაში ასეთი მცირე ზომის და ფაქიზად გამოყვანილი პაწია იარაღების არსებობა იმას მოწმობს, რომ ადამიანმა უკვე იცოდა რთული იარაღის შედგენის ხერხები. ოდიშის ეს კომპლექსი რომ მეზოლითის განვითარებულ ეტაპს, ან ადრენეოლითს უნდა მიეკუთვნოს, ამის საფუძველს წარმოადგენს იქვე აღმოჩენილი ოვალურთავბოლოიანი და ორმხრივ-მსხვილი ფაცეტების ამოტკეცით გამოყვანილი დიდი ზომის ქვის იარაღები — მაკროლითები. ეს იარაღები დამუშავების ტექნიკით და, აგრეთვე, ტიპოლოგიურადაც ადრენეოლითის, ე. წ. კამპანიის ტიპის ქვის იარაღებს ემსგავსებიან (ტაბ. V, 3). ოდიშის ქვის იარაღების აღნიშნული ჯგუფი ნეოლითის არქაულ ტიპს მიეკუთვნება. ამავე კომპლექსთანაა აღმოჩენილი განვითარებული მეზოლითის კაჟის იარაღები, როგორიცაა: მრგვალი ფორმის პატარა-პატარა საფხეკები, აგრეთვე მცირე ზომის კაჟის თხელი ლამელისაგან ნაკეთები საჭრისები და სხვ. (ტაბ. V, 1, 5).

შედარებით უფრო მდიდარი მასალა აღმოჩნდა ოდიშის ნეოლითური ხანის კულტურულ ფენაში. ამ ფენაში წაპოვნია კაჟისა და რიყის ქვისაგან ნაკეთები სხვადასხვა დანიშნულების იარაღები და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ქვის იარაღთა შორის გვხვდება გახეხილ-გაპრიალებული ცალებიც: ქვის ცულები, საჭრეთლები, სატეხები და სხვ. (ტაბ. V, 2, 4, 6, 9). აქვეა აღმოჩენილი შედარებით უფრო ტლანქი წერაქვისნაირი პირწამახული კაჟის იარაღები, (ტაბ. V, 3), თოხისნაირად გამოყვანილი, პირგანიერი, რიყის ქვის იარაღები, დიორიტისგან ნაკეთები გრდემლები, ხელსაფქვავები და ხორბლის ან სხვა მარცვლეულის სასრესები. განსაკუთრებით საყურადღებოა ორი გატეხილი იარაღი, რომლებზეც შერჩენილია ხვრეტის ცდის კვალი. ეს ნატეხებიც კარგადაა გაპრიალებული (ტაბ. V, 9).

ოდიშის ქვის იარაღების ერთი ნაწილი სამუშაო პირების მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა: ა) ოვალურ სამუშაო პირიანი და ბ) წვეტიანი იარაღები. პირველი ჯგუფის იარაღებს მიეკუთვნება თოხისნაირი იარაღები, მეორეს კი წერაქვისნაირი იარაღები. თოხისნაირი იარაღით ნეოლითელ ადამიანს შეეძლო მიწის გაწმენდა-გასუფთავება და შემდეგ მოთხრა. წვეტიანი იარაღით კი მიწის მოჩიჩქნა-მოთხრა, ე. ი. მეტად პრიმიტიული წესით მიწის დამუშავება. სწორედ ოდიშში აღმოჩენილი ქვის იარაღების ამ კომპლექსების შემწეობით გახდა შესაძლებელი საქართველოში მიწათმოქმედების საწყისები ნეოლითის დროიდან გვევარაუდნა. ასევე, ხორბლეულის საკვებად გამოყენების მაჩვენებელია ოდიშში აღმოჩენილი ქვის ხელსაფქვავები: გეომეტრიული ფორმის მიკროლითები და ხელსაფქვავები, მართალია, ყოველთვის არ გამოგვადგება მიწათმოქმედების არსებობის დამადასტურებელ ფაქტებად, მაგრამ, როდესაც ამ იარაღებთან ერთად ჩნდება მიწის მოსათხრელი ან მოსაჩიჩქნი იარაღებიც, იარაღთა ასეთი კომპლექსი უკვე განსაკუთრებული მნიშვნელობის ხდება მიწათმოქმედების საწყისების ძიებისას. ამ მხრივ უთუოდ დამახასიათებელია ის გარემოებაც, რომ ოდიშის კაჟის იარაღთა შორის ძლიერ მცირე რაოდენობით გვხვდება ისრის პირები. როგორც ჩანს, ძველებურად დიდი მნიშვნელობა აღარ უნდა ჰქონოდა მონადირეობას.

თიხის ჭურჭელი აქ მცირე ზომის ნატეხებითაა წარმოდგენილი. ამიტომაც თვით ჭურჭლის ფორმის აღდგენა გაძნელებულია. აღმოჩენილი ნატეხებიდან ირკვევა, რომ ზოგიერთ ჭურჭელს ყურის მაგიერ პირის მახლობლად ნახვრეტი ჰქონია გაკეთებული, რომლის საშუალებითაც შეიძლებოდა ჭურჭლის ჩამოკიდება და საჭირო შემთხვევაში თან ტარება. ნაწილს პირთან გარდიგარდმო ჭდეული ხაზები ამჩნევია და პირიც ირგვლივ დაკბილული აქვს. ზოგ ნატეხზე კი შემორჩენილია ყურის მაგიერ მიძერწილი პატარა შვერილები. ოდიშის ჭურჭლის თიხა უხეში ნაკეთობისაა და ცუდათაც არის გამომწვარი. თიხაში ურევია კვარცის ნატეხები და ქარსი. აქა-იქ ნატეხებზე შემორჩენილია ჭდეულ-ხაზებიანი ორნამენტი. შემკულობის ზოგიერთი მოტივი თავთავს მოგვაგონებს (ტაბ. V, 7). ოდიშის არქაული თიხის ჭურჭლის ასეთი სახეებით შემკობა კიდევ ერთხელ მოწმობს საქართველოში მარცვლოვანი მცენარის კულტურის უძველესი დროიდან მომდინარეობას.

ოდიშის მეზოლით-ნეოლითის კულტურულ ფენებში მოპოვებული ქვის იარაღების კომპლექსი უფრო იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ ოდიშელი ადამიანის ძირითად სამეურნეო საქმიანობად პირველყოფილი მიწათმოქმედება ჩავთვალოთ. სამწუხაროდ, ოდიშის კულტურულმა ფენებმა ვერ შემოგვინახა ძვლოვანი მასალა. ამიტომაც ვერ გვექმნება წარმოდგენა ამ მიდამოების მაშინდელ ცხოველთა სამყაროზე; ოდიშის მასალებისათვის აგრეთვე უცნობია ძვლის იარაღები, რაც ამ ხნის ძეგლებისათვის არცთუ ისე უჩვეულო მოვლენას წარმოადგენს. აღნიშნული ვითარება და ის გარემოება, რომ ოდიშში ძალიან ცოტაა მონადირეობის იარაღები, იქნებ იმის მაუწყებელია, რომ მონადირეობას უკვე აღარ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, და მეურნეობის მთელი სიმძიმე მიწათმოქმედებაზე იყო გადატანილი.

ნეოლითის დროის ადამიანთა მეორე ნამოსახლარი აღმოჩენილია 1941 წელს, შაკი ზღვის სანაპიროზე, გუდაუთის მახლობლად, კ ი ს ტ რ ი კ შ ი. მთელი კომპლექსი (13500 ერთეული). შედგება რიყის ქვის, კაჟის და ობსიდიანის იარაღებისაგან. შედარებით მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ნაშთები. ძვლის იარაღი მხოლოდ ერთი ცალია; იგი ცუდად დამუშავებულ მარტივი ფორმის სადგისს წარმოადგენს. ქვის იარაღებისათვის საჭირო ძირითადი მასალა კისტრიკელთ იქვე, ზღვის ნაპირზე უგროვებიათ.

კომპლექსში 30 სახის სხვადასხვა დანიშნულების ქვის იარაღია. ისევე როგორც ოდიშში, კისტრიკის მასალებშიც მეტად ღარიბადაა წარმოდგენილი გახვრეტილი ქვის იარაღები. გახვრეტილია მხოლოდ სალესი ქვები, თანაც ზოგიერთი მათგანი არც კია ბოლომდე გახვრეტილი. ჩანს კისტრიკელმა ადამიანმა ქვის დამუშავების ტექნიკის ეს ხერხი უკვე იცოდა, მაგრამ მისი გამოყენება ეძნელებოდა.

აქ აღმოჩენილი კაჟის და ობსიდიანის იარაღები გამოყენების თვალსაზრისით ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ა) დიდი ზომის, ტლანქად დამუშავებული წვეტიანი იარაღები და ბ) გეომეტრიული მოხაზულობის მცირე ზომის იარაღები. რიყის ქვის იარაღები კი მრავალსახოვანია. ამ იარაღებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ქუსლწაკვეთილი და შუაზე ამოზურგული ქ ვ ი ს თ ო ხ ე ბ ი. უეჭველია, რომ ასეთი მოყვანილობის იარაღები სწორედ მიწათმოქმედებისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. მეურნეობის ამავე დარგს უკავშირდება ზემოთ აღნიშნული წვეტიანი იარაღები.

კისტრიკის ნეოლითურ კომპლექსში მრავლად არის წარმოდგენილი ხის დასამუშავებლად განკუთვნილი ქვის იარაღები: მეტად ფაქიზი ნაკეთობის საჭრეთლები, ცულები, სატეხები, სათლელები და სხვ. (ტაბ. V, 10), მაგრამ მისთვის უცნობია კაჟის, ისრისა და შუბის პირები, აგრეთვე ფაუნისტური მასალა. ჯაერთოდ კისტრიკისა და ოდიშის მასალებში იარაღთა ტიპების მიხედვით შეიმჩნევა მსგავსება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ კისტრიკის მასალები შეიძლება უფრო განვითარებულ ნეოლითს მიეკუთვნოს, ვიდრე ოდიშის ნეოლითური ფენის კომპლექსები.

ახალიქვის ხანის მრავალი ნაშთია აგრეთვე მოპოვებული ქუთაისის მახლობლად მდებარე გორაზე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა თ ე თ რ ა მ ი წ ა ს უწოდებს. თეთრამიწაზე ნეოლითური ხანის ნაშთებს პირველად მიაკვლია ქუთაისში მცხოვრებმა პედაგოგმა პ. ჭ ა ბ უ კ ი ა ნ მ ა, 1924 წელს. მას გორის ზედაპირზე, თითქმის ათი წლის განმავლობაში, მრავალი ნაშთი შეუგროვებია და ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმისათვის გადაუცია. ეს მასალა ახლაც აღნიშნულ მუზეუმშია დაცული, ხოლო მცირე ნაწილი ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. აქ არის რიყის ქვისა და კაჟის იარაღები, კერამიკული ჭურჭლის ნატეხები, ქვისაგან ნაკეთები სამაჯურის ნატეხები და სხვა.

ქვის იარაღების დიდი ნაწილი მიწათმოქმედებაში გამოყენებულ იარაღთა კომპლექსს მიეკუთვნება. კარგადაა წარმოდგენილი აგრეთვე ხის დასამუშავებელი ქვის იარაღები (ტაბ. V, 16). განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ თეთრამიწელს მეტად ფართოდ აქვს გამოყენებული კაჟი. ოდიშისა

1

2

3

4

5

6

7

8

9

10


11

12

14


13

15

16

17

და კისტრიკის კომპლექსებთან შედარებით, თეთრამიწიდან კაჟის ისრის პირების დიდი რაოდენობაა წარმოდგენილი.

თეთრამიწის ნამოსახლარის ნეოლითური ნაშთები შრომის იარაღთა დანიშნულების მიხედვით დაყოფილია სამ ძირითად ჯგუფად:

ა) შინახელოსნობის იარაღები: საჩეხები, შესანიშნავად გახეხილ-გაპრიალებული მცირე ზომის საკრეთლები და ხის სათლელი იარაღები, გრდემლები, ფილთაქვები და სასრესები.

ბ) მიწათმოქმედების იარაღები: რიყის ქვისაგან ნაკეთები თოხისნაირი (ტაბ. V, 13) და წერაქვისნაირი იარაღები, ხელსაფქვავები, კაჟის წალკატები; აგრეთვე კაჟისაგან ნაკეთები ნამგლის პირის გასამართი დაკბილული მიკროლითები (ღულები) (ტაბ. V, 11).

გ) მონადირეობის იარაღები: კაჟის ისრის პირები და შუბის პირები. ეს ჯგუფები იარაღთა მთელ სერიებს შეიცავენ (ტაბ. V, 15, 17).

როგორც ტიპოლოგიური ჯგუფების მიხედვით, აგრეთვე ამ ჯგუფებში შემავალ იარაღთა რაოდენობით ირკვევა, რომ თეთრამიწის გორაზე მომძღავრებულ მოსახლეობას უცხოვრია. ნაშთების ასეთი სიუხვე იმის მაუწყებელია, რომ ამ მიდამოებში ნეოლითელი ადამიანი შემთხვევით კი არ მოსულა, არამედ აქ მას ხანგრძლივი საცხოვრებელი ჰქონია, სადაც თვითვე დაუმზადებია საჭირო ქვის იარაღები. ამას მოწმობს შემონახული მრავალი ანამტვრევ-ანატკეცი, რაც ქვის იარაღების იქვე დამუშავების დროს წარმოქმნილა.

აქაურ ადამიანს რბილი ქვიშაქვისაგან უმეტესად შინახელოსნობის იარაღები უკეთებია (სალესები და საპრიალო იარაღები, სამკაულები); ხოლო ისეთი მაგარი ქვის ჯიშიდან, როგორიცაა ბაზალტი, დიორიტი და კირქვა, უმთავრესად სამიწათმოქმედო (ხელსაფქვავები, წალკატები) და ხის დასამუშავებელი იარაღები (სატეხები, საკრეთლები, სათლელები). იარაღების ადგილობრივ დამუშავებას მოწმობს იქვე აღმოჩენილი დაუმთავრებელი ისრის პირები. დიდი მონდომებითაა ნაკეთები კაჟის ისრის პირები, ხის დასამუშავებელი ხელსაწყოები — სათლელები და საკრეთლები. რაც შეეხება მიწათმოქმედების იარაღებს, ესენიც ისეთი დიდი რაოდენობით და კარგადაა ნაკეთები, რომ თეთრამიწელის მიწათმოქმედობა საეჭვო აღარ უნდა იყოს.

თეთრამიწის მასალებს, ოდიშის ნეოლითური ფენის ნაშთებთან შედარებით, განვითარების მეტი ელფერი დაჰკრავს. მათ განსაკუთრებით აახალგაზრდავებს იქვე აღმოჩენილი მუქი ნაცრისფერი ფიქლისაგან ნაკეთები სამაჯურის ფრაგმენტები.

ნეოლითური ნაშთები აღმოჩენილია აგრეთვე თეთრამიწიდან ჩრდილოეთით 5—6 კმ მდებარე სათაფლიის მთაზე*. ეს მთა ზღვის დონიდან 487 მ მდებარეობს. მის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზე პ. ჭაბუკიანმა მოიპოვა თეთრამიწის მასალების მსგავსი ნეოლითური ნაშთების შედარებით მცირე კომპლექსი.

---

* 1933 წელს, სათაფლიის მთის ჩრდილო კალთაზე, ბუნებრივად გაშიშვლებულ მურგელოვანი კირქვის შრეზე პ. ჭაბუკიანმა შენიშნა ჩაღრმავებული სამთითა ანაბეჭდები. ეს ანაბეჭდები შეისწავლეს მეცნიერებმა და გამოარკვიეს, რომ ისინი დღეს უკვე გადაშენებულ დინოზავრების ნაფეხურებს წარმოადგენდნენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თეთრამიწისა და სათაფლიის ნეოლითური ნაშთები შემთხვევითაა მოპოვებული, რის გამოც ჯერჯერობით გაძნელებულია მათი ხნოვანების ზედმიწევნით განსაზღვრა. ორივე ძეგლი განვითარებულ ნეოლითს უნდა მიეკუთვნებოდეს. საკაჟიას შემდეგ ქუთაისის მიდამოებში პირველყოფილ ადამიანთა ცხოვრება არ უნდა შეწყვეტილიყო, ამიტომ მოსალოდნელია აქ ზედა პალეოლითიდან ნეოლითში გარდამავალი ეპოქის ძეგლების აღმოჩენაც.

ზემოთ განხილულ ნამოსახლართა მიხედვით ირკვევა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ნეოლითელი ადამიანი ბუნებრივად შემაღლებულ ადგილებს ზეგნებს, ბორცვებს ან გორებს უფრო ეტანებოდა. საცხოვრებლად იყენებდა აგრეთვე ბუნებრივ გამოქვაბულებსაც. ასეთ ნაბინავარს წარმოადგენს გამოქვაბული ს ა გ ვ ა რ ჯ ი ლ ე, სადაც პალეოლითის სხვადასხვა საფეხურის ფენებთან ერთად აღმოჩნდა ახალიქვის ხანის საკმაოდ მძლავრი კულტურული ფენა.

ნეოლითის ნაშთების სიმრავლე იმაზე მიუთითებს, რომ პირველყოფილი ადამიანები საგვარჯილეს ძველიქვის ხანის მომდევნო ეპოქაშიც დიდხანს იყენებდნენ საცხოვრებლად. ძველიქვის ხანის ზედა, უკანასკნელ ფენაზე უშუალოდ დაფენილი აღმოჩნდა ადგილ-ადგილ მორუხო-მონაცრისფრო და ზოგან სილანარევი ნაცროვანი ფენა. ამ ფენის სისქე ზოგიერთ ნაწილში 3 მეტრამდე აღწევდა და ნაშთებსაც მრავლად შეიცავდა. მათი უმრავლესობა ახალი ქვის ხანის საკმაოდ განვითარებულ საფეხურს უნდა მიეკუთვნოს.

საგვარჯილეს ნეოლითურ ფენაში, კაჟის დიდძალ ნაშთებთან ერთად აღმოჩენილია ცხოველთა ძვლისაგან ნაკეთები იარაღები (სადგისები, სახვრეტები, მახათები, ნემსები, ანკესები და სხვ.), თიხის ჭურჭლის მრავალი ნატეხი, რიყის ქვისაგან დამზადებული გახეხილ-გაპრიალებული იარაღები, ცხოველის რქისაგან ნაკეთებ იარაღთა მეტად საინტერესო კომპლექსი (თოხისნაირი და წერაქვისნაირი იარაღები), სამკაულები და სხვა. ფენათა თანმიმდევრობით თხრის შედეგად, ექსპედიციამ საგვარჯილეს ნეოლითური ფენის ზედა ჰორიზონტებში ენეოლითის ეპოქისათვის დამახასიათებელი ნაშთებიც გამოავლინა. თვითნახადი სპილენძის ოთხწახნაგა სადგისები და მცირე ზომის, აგრეთვე სპილენძის, ანკესები, რაც შეეხება საკუთრივ ნეოლითის ფენას, ე. ი. მის ქვედა ჰორიზონტებს, აქ დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი შინახელოსნობისა და სხვა საყოფაცხოვრებო საგნები. მაგალითად, ხის დასამუშავებელი იარაღებიდან აღსანიშნავია ცულები, საჭრეთლები, სათლელები. რიყის ქვისაგანაა ნაკეთები სალესი ქვები და გრდემლები. საყოფაცხოვრებო საგნებს მიეკუთვნებიან ძვლის ნემსები, მახათები და სადგისები (ტაბ. VI, 6), ქვისა და თიხის კვირისტავები. საგვარჯილეს ნეოლითელი ადამიანი რომ ტანს უკვე მის მიერვე დამზადებული ქსოვილით იმოსავდა, ამას მოწმობენ აქ მოპოვებული კვირისტავები, ნემსები და მახათები.

გამოქვაბულში აღმოჩენილი სამკაულებიდან აღსანიშნავია სხვადასხვა მასალისაგან ნაკეთები სამაჯურები და საკიდები (ტაბ. VI, 3, 8). ზოგი მათგანი ნეოლითელი ადამიანის მიერ ხელოვნურად ნაკეთებ სამკაულთა იშვიათ ნიმუშს წარმოადგენს. ასეთებია: თიხისაგან მეტად ფაქიზად ნაძერწი და შავად გამომწვარ-გაპრიალებული სამაჯურები, ახლა ფრაგმენტების სახით შემონახული

ჯაეის იარაღებიდან წამყვანი ადგილი უკავია სხვადასხვა მოყვანილობის ისრისა და შუბის პირებს. ზოგი მათგანი თავმომრგვალებულია, ზოგი — გვერდქიმიანი და ა. შ. (ტაბ. VI, 7, 11, 12).

საგვარჯილეში, ისევე როგორც საქართველოს სხვა ნეოლითურ ძეგლებში, მცირე რაოდენობით აღმოჩნდა გახვრეტილი ქვის იარაღები. სამაგიეროდ კარგადაა წარმოდგენილი გახვრეტილი რქის იარაღები. ასეთი იარაღები საქართველოს ნეოლითური ხანის ძეგლებიდან მხოლოდ საგვარჯილეში არის აღმოჩენილი (ტაბ. VI, 1).

ყურადღების ღირსია მეტად ფაქიზად ნაკეთები ძვლის ანკესი და რქის ჰარპუნი (ტაბ. VI, 5, 10). თიხის ნაკეთობათაგან უნდა აღინიშნოს თიხის ქანდაკება (ტაბ. VI, 2). საგვარჯილეს გამოქვაბულში ადამიანთა ხანგრძლივი ცხოვრების მანიშნებელია ნეოლითის კულტურულ ფენაში აღმოჩენილი დიდძალი მასალა და თვით ფენის სტრატიგრაფია. მთელი ეს ფენა, რომლის სიმძლავრე ზოგ ადგილას თითქმის 3 მეტრამდე აღწევდა, ნახშირისა და ნაცრისაგან შედგებოდა. ზოგან ეს ნაცროვანი ფენა მოტკეპნილი იყო, სადაც გვხვდებოდა კერის უფრო მძლავრი ნაშთები.

არქეოლოგიური დაზვერვით ნეოლითური დროის ნაშთები გამოვლენილია ზუგდიდის რაიონის სოფ. ურთაში და ურთას გორაზე. ურთაში, კაეისა და ქვის სხვა ინვენტართან ერთად მოპოვებულია ორმხრივ მსხვილი ფაცეტების (ქერქლების) ამოტკეცით გამოკოპიტებული მიწათმოქმედების იარაღები — მაკროლითები. ამ მასალაშიც გვხვდება წალკატისნაირი იარაღები და ოვალურ სამუშაო პირიანი ქვის იარაღები. აქვეა მოპოვებული გახეხილ-გაპრიალებული ქვის იარაღები.

არქეოლოგიური დაზვერვის შედეგადაა მოპოვებული ნეოლითური ხანის ქვის იარაღები თეთრწყაროში, სოფ. აბელიაში და ალაზნის ველზე.

ნეოლითური ხანის ნაშთები ცნობილი გახდა აგრეთვე სამხრეთ ოსეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ლ ა შ ე-ბ ა ლ თ ა შ ი მოპოვებული ძეგლებით. მსგავსი მასალა აღმოჩენილია გურიაში (ს. ანასეული), რაჭაში (ს. საკაო), ზემო ალვანში და სხვ. მართალია, ეს ნაშთები ერთეულების სახითაა წარმოდგენილი, მაგრამ მათ მაინც დიდი მნიშვნელობა აქვთ, ვინაიდან მათი მეოხებით ხსენებულ ადგილებში ნეოლითი უკვე მიკვლეულია. გარდა ამისა, არქეოლოგიური თხრით გამოვლენილი ნეოლითური ძეგლები შემთხვევით მოპოვებულ ნაშთებთან ერთად ქმნიან ისეთ შთაბეჭდილებას, რომ ნეოლითელი ადამიანი საქართველოში უფრო ფართო ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო გავრცელებული, ვიდრე ზედაპალეოლითელი.

მასალებიდან ჩანს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ნეოლითელი ადამიანი დროებითი მობინადრე კი არ ყოფილა, არამედ ერთ ადგილზე დიდხანს უცხოვრია და ადგილობრივი ბუნებრივი გარემოც კარგად გამოუყენებია არსებობისათვის. თუ იგი, ერთის მხრივ, ზეგანსა და გორაზე ცხოვრობდა, მეორეს მხრივ, ზღვის სანაპიროს გაშლილ ადგილებსაც ეტანებოდა, ხოლო საჭირო შემთხვევაში კი ბუნებრივ გამოქვაბულებს მიმართავდა.

ზედა პალეოლითის შემდეგ ჩვენში ადამიანი, როგორც წესი, უკვე სტოვებს გამოქვაბულს და დიდ მდინარეთა ხეობების ზეგნებსა ან გორებზე სახლდება.

ამაეე დროს, მონადირეობის და მეთევზეობის განვითარების დონე ყველგან ერთნაირი არ ჩანს; ერთ ადგილას თუ მონადირეობაა დაწინაურებული, მეორე ადგილას შემგროვებლობა, მეთევზეობა და ა. შ. გვიანნეოლითიდან ჩვენში, ისევე, როგორც სხვა სამხრეთ ქვეყნებში, მეურნეობის ზემოაღნიშნულ დარგებთან ერთად იწყება მიწათმოქმედების განვითარება და ცხოველთა მოშინაურება.

მიწათმოქმედება. ძველქვის ხანის ადამიანთა არსებობა ბუნებრივად მზა პროდუქტების მარაგზე იყო დამყარებული. მართალია, საკაჟიას გამოქვაბულში მცხოვრებმა პალეოლითელმა ადამიანმა მიწიდან საკვები მცენარის ძირის ამოსათხრელად, მცენარის ფესვების შესაგროვებლად, სპეციალური იარაღი გააკეთა, მაგრამ ამ იარაღით მას მხოლოდ ბუნებრივი მარაგის უკეთ ათვისება შეეძლო. საკაჟიელმა ადამიანმა ჯერ კიდევ არ იცოდა საკვები მცენარის მოშინაურება. მას არ შეეძლო მიწის სარგებლიანობის გაზრდა, მისი დამუშავება. ზედა პალეოლითის გვიანდელი ძეგლები, მეზოლითის დროიდან გამოყენებული კაჟის მიკროიარაღებიც კი, რომლებიც ნამგლის პირის გასამართავ დეტალებს წარმოადგენდნენ, არ მიეკუთვნებიან ისეთ იარაღებს, რომლებიც იმდროინდელ მიწათმოქმედებაზე გვაძლევდნენ წარმოდგენას. ასეთი ნამგლით უკეთეს შემთხვევაში ველური მცენარის „მომკა" შეიძლებოდა. ეს იარაღი განვითარებული შემგროვებლობის მანიშნებელია, მაგრამ მეზოლითის ძეგლებში მათ არსებობას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან სამხრეთ ქვეყნებში სწორედ ასეთი შემგროვებლობიდან განვითარდა მიწათმოქმედება. გეომეტრიული მოხაზულობის კაჟის იარაღები იმ დროიდან შეიძლება დავუკავშიროთ მიწათმოქმედებას, როდესაც ამა თუ იმ ძეგლში ამ რიგის იარაღებთან ერთად სხვა იარაღებიც იჩენს თავს. ასეთებია მიწის დასამუშავებელი ქვის თოხისნაირი და წერაქვის ან წალკატისნაირი იარაღები. ქვის იარაღთა ასეთი კომპლექსები კი სწორედ ნეოლითის დროიდან ხდება ცნობილი.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს ნეოლითური ხანის ძეგლებიდან ყველაზე ადრინდელს ოდიშის ნამოსახლარი წარმოადგენს და სწორედ პირველად აქ აღმოჩნდა სამიწათმოქმედო იარაღები. ოდიშში კაჟის მიკროიარაღებთან ერთად გვხვდება ქვის მაკროლითები (კამპინიის ტიპის). უფრო მოგვიანო დროის ფენიდან კი დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი წერაქვისა და თოხისნაირი იარაღები. იქვეა აღმოჩენილი ხელსაფქვავები. მიწათმოქმედების ასეთივე იარაღებს შეიცავს კისტრიკის, თეთრამიწის, ურთის, სათაფლიისა და სხვ. კომპლექსები.

საქართველოში აღმოჩენილი ნეოლითური ხანის მიწათმოქმედების იარაღებიდან ყურადღებას იპყრობს საგვარჯილეს ამ რიგის ნაშთები. აქ მოპოვებულ ცხოველის რქისაგან ნაკეთებ უუაგახვრეტილ იარაღებს ნახვრეტი ისე აქვს გაკეთებული, რომ ტარი მჭიდროდ დაეგოს. ასეთი იარაღები ტარის დაგების შემდეგ უფრო ეფექტურად გამოიყენებოდა მიწის მოსათხრელად.

საგვარჯილეში აღმოჩენილი რქის იარაღები ორგვარია: თიხისნაირი და წერაქვისნაირი. მართალია, მათი ძირითადი დანიშნულება მიწის მოთხრა იყო, მაგრამ იარაღთა სამუშაო პირების განსხვავება მოწმობს, რომ მიწის მოთხრის დროს ისინი სხვადასხვანაირად გამოიყენებოდა. წერაქვისნაირი იარაღით მიწის

ზედაპირზე მცირე სიღრმის და ეიწრო კვალის გავლება-გაკაწვრა შეიძლებოდა, თიხით კი უფრო განიერი კვალის გატანა, თუმცა ამ კვალის სიგანე 5—7 სმ არ აღემატებოდა. ასეთი პირვიწრო იარაღებით მიწის მხოლოდ ზედაპირული დამუშავება ხერხდებოდა.

ცნობილია, რომ ძველად მიწის დამუშავება მისი ზედაპირული მოჩიჩქნით ხდებოდა. წვეტიანი იარაღით მიწის დამუშავება საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც დიდხანს შემონახულა. ამ რიგის ეთნოგრაფიული მასალიდან აღსანიშნავია „კავწერა" და „კავი". ამგვარი იარაღების დანიშნულებას მიწის გაწერა — აქექვა შეადგენდა. კავწერას მსგავსია სახნისის „საწერა". საწერა მიწას ღრმად კი არ თხრის, არამედ სერავს, ფათრავს და მასზე „ნაწერას" სტოვებს. „საწერა" და „კავწერა" მიღებულია ზმნისაგან „წერა", ე. ი. მიწის გაწერისაგან. ამრიგად, ჩანს, ჩვენში მიწის გაწერა ძველად წვეტიანი იარაღით უწარმოებიათ.

წერაქვისნაირი იარაღის მიწათმოქმედებაში უძველესი დროიდან გამოყენებას უნდა მოწმობდეს საქართველოს მთიანეთში უკანასკნელ ხანებამდე შემონახული მიწის სამუშაო იარაღი ქ ა რ ჩ ი, რომელიც წერაქვის მსგავს ეიწროპირიან იარაღს წარმოადგენს. ქარჩით საყანე მიწის „ქარჩვა" ხდება, ე. ი. მყარი, უბირი მიწის დაშლა და მისი დასათესად შემზადება. ამრიგად, მიწის დამუშავების ზემოხსენებული წესებისა და ეიწროპირიანი მიწის სამუშაო იარაღების დიდხანს შემონახვა ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შესაძლებლობას გვიქმნის, რომ საქართველოს ნეოლითურ ძეგლებში გამოვლენილი წვეტიანი რქის იარაღებიც სამიწათმოქმედო საქმიანობას დავუკავშიროთ.

ჩვენში პირველყოფილი მიწათმოქმედების სისტემის უძველესი დროიდან არსებობას უნდა მოწმობდეს აგრეთვე ქართულ ენაში შემონახული სიტყვა „ეწერი". ეწერი საგანგებოდ მომწვარ მიწას ეწოდება. ცნობილია, რომ ძველად მიწის მოწვის სისტემას მიწათმოქმედებაში ფართო გამოყენება ჰქონდა. მოწვის საშუალებით ასუფთავებდნენ დასამუშავებლად განკუთვნილ მიწას. ჯაგნარს ან ტყეს ცეცხლს მოუკიდებდნენ და ამრიგად გაწმენდილ მიწას უკეთ ამუშავებდნენ. ამავე დროს მოწვის ასეთი საშუალება ხელს უწყობდა მიწის განოყიერებას. რაჭაში ამგვარად მომწვარ მიწას ეწერი ეწოდება. საფიქრებელია სიტყვა ეწერი წარმომდგარი იყოს გაწერისაგან. ტყე-ჯაგნარიან მიწას ჯერ მოწვამდნენ და შემდეგ გაწერდნენ, ე. ი. პრიმიტიული წესით მოხნავდნენ. არსებობს მოსაზრება, რომ გაწერის წესით დამუშავებულ მიწას უნდა რქმეოდა გაწერილი. ამ უკანასკნელიდან მიღებულად მიაჩნიათ სიტყვა გეწერი. ხოლო გეწერი ეწერის შინაარსით საქართველოს სხვადასხვა კუთხეშია დამოწმებული. ეწერის ასეთი კავშირი სიტყვა გაწერასთან იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ ძველად მიწათმოქმედებაში წვეტიან იარაღს ფართო გამოყენება ჰქონია. ცხადია, მიწის დამუშავების ამ სისტემიდან სრულიად გამორიცხული არ იყო თოხის გამოყენება.

ზემოთ აღნიშნული მოწვის საშუალებით მიწის დამუშავება, მართალია ნეოლითთან შედარებით საკმაოდ მოგვიანო ხანას მიეკუთვნება, მაგრამ თვით ამ სისტემის უფრო ძველი დროიდან არსებობას მოწმობენ საგვარჯილეში და-

საქართველოს სხვა ნეოლითურ ძეგლებში აღმოჩენილი რქისა თუ ქვის წვეტიანი სამიწათმოქმედო იარაღები.

საქართველოში პირველყოფილი მიწათმოქმედების სისტემის არსებობას საკარაუდებელს ხდის აგრეთვე სიტყვა „მარგველა". მარგვლა მარგილით მუშაობას ნიშნავს. „მარგილი" კი წვერწამახვილებულ, წაწვეტილ ხის იარაღს ჰქვია, ხოლო თვით სიტყვა „მარგი ბოსტანს დაკვალულს" ეწოდება (საბა). მარგი და მარგველა ერთად გაგებული ბოსტანში მარგილით კვალის გატანას უნდა ნიშნავდეს, ე. ი. ბოსტანში წვერწამახვილებული იარაღით მიწის დამუშავებას.

საქართველოში უძველესი დროიდან მიწათმოქმედების განვითარებას ხელი შეუწყო ალბათ საკვებ მცენარეთა ადგილობრივმა სიმდიდრემაც. ცნობილია, რომ საერთოდ ამიერკავკასია და, კერძოდ, საქართველო კულტურულ მცენარეთა ერთერთ უძველეს კერას მიეკუთვნება. საქართველოში არსებობს ხორბლის სხვადასხვა ჯიში. ამ ჯიშების თითქმის ნახევარი ენდემურია. ასეთებია მახა, დიკა და ზანდური. მათ შერჩენილი აქვთ ველური ხორბლის ნიშნები. ამ სამივე ხორბლის ჯიში ფართოდ არის გავრცელებული საქართველოში. მაგალითად, დიკა ხარობს როგორც ბარში, ისე მთაში, როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში. აღმოსავლეთ საქართველოში დიკას მოყვანა შეიძლება ზღვის დონიდან 750—800 მ სიმაღლეზე, ხოლო დასავლეთში 900—1000 მ. დიკას ასეთი ამტანიანობა და ენდემურობა იმას მოწმობს, რომ ეს მცენარე საქართველოს კლიმატურ პირობებს ძველთაგანვე კარგად შეგუებია და მისი კულტივირება ადგილობრივი ველური ჯიშის მარცვლოვანი მცენარიდან მომხდარა.

პურეულ მცენარეთა უძველეს ჯიშს მიაკუთვნებენ აგრეთვე ასლს. ასლის ჯგუფში შედიან მახა და ზანდური. ბერძენი ისტორიკოსის ქსენოფონტეს ცნობით (ძვ. წ. V—IV სს.) მოსინიკებს ასლის ორი წლის მოსავალი შენახული ჰქონიათ ბეღლებში. ამ ცნობიდან ირკვევა, რომ იმ ხორბლეულ ჯიშებს, რომლებიც დღესაცაა შემონახული საქართველოში, ქართველთა წინაპრები IV საუკუნეში უკვე დაუფლებული ყოფილან. ქართველი ტომების მეურნეობის უძველეს მარცვლოვან მცენარედ თვლიან აგრეთვე ფეტვს. ფეტვის კულტურის უძველეს დროიდან მომდინარეობას მოწმობს ეთნოგრაფების მიერ ზემო სვანეთში მოპოვებული ფეტვის თავთავის გამომხატველი რიტუალური კვერი. სვანეთში შემონახულია აგრეთვე ფეტვის კულტურასთან დაკავშირებული სხვადასხვა დღეობების სახელწოდებები, რაც სვანების მეურნეობაში მისი განსაკუთრებული მნიშვნელობით არის ახსნილი. ეთნოგრაფები ფეტვის ასეთ მნიშვნელობას ამ მარცელოვანი კულტურის უძველესი დროიდან მომდინარეობით ხსნიან. ფეტვი ფართოდაა გამოყენებული როგორც დასავლეთ, აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოში. მიწის ზედაპირული მოჩიჩქნითაც კი ფეტვი კარგ მოსავალს იძლევა და ამდენად დასაშვებია, რომ მისი მოშინაურება უფრო ადრე მომხდარიყო, ვიდრე სხვა ხორბლეულისა, რომლის მოყვანა მიწის ღრმად მოთხრა-დამუშავებას მოითხოვდა. ეს მოსაზრება მტკიცდება ანაკლიის მახლობლად, დიხა-გუძუბას ბორცვის ზედა ფენებში (ნეოლით-ენეოლითი) ფეტვის ნაშთების აღმოჩენით.

მარცვლოვან მცენარეთა ნაშთები აღმოჩენილია აგრეთვე სტალინირის -ნაცარგორაზე და ურბნისის ენეოლითური დროის კულტურულ ფენებში.

ამრიგად, უკანასკნელ წლებში არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ ხორბლეულ მცენარეთა ნაშთები, ეთნოგრაფიული მონაცემები და ქართული ენობრივი მასალა იმის მანიშნებელია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მსახლობელ ტომებს ხორბლეულ მცენარეთა მოყვანა უძველესი დროიდან უნდა დაეწყოთ. ამის ერთერთი ხელისშემწყობი პირობა იქნებოდა საქართველოს სიმდიდრე ადგილობრივი ხორბლეული მცენარეულით. რაც შეეხება ამ მცენარეთა მოყვანის პირველყოფილ წესებს, პირველყოფილი მიწათმოქმედების შრომის პროცესებს, ამაზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიახლოვებით წარმოდგენას გვაძლევს საქართველოს ნეოლითურ ძეგლებში აღმოჩენილი მიწათმოქმედების არქაული იარაღები.

მესაქონლეობა. საქართველოს ტერიტორიაზე მსახლობელი ნეოლითელი ადამიანი რომ მიწათმოქმედებას მისდევდა, ეს კარგად ჩანს იმ დროის ძეგლებში აღმოჩენილ იარაღთა კომპლექსებიდან. რაც შეეხება მეცხოველეობას, ამ მეურნეობის საწყისების შესახებ შედარებით მცირე ნაშთები მოგვეპოვება. საქართველოში დღემდე გამოვლენილი ნეოლითური ძეგლებიდან ცხოველთა ნაშთები (ძვლების სახით) მხოლოდ საგვარჯილეშია აღმოჩენილი. ეს მასალა მეცნიერებმა შეისწავლეს და დაადგინეს, რომ საგვარჯილეში გარეულ ცხოველთა ნაშთებთან ერთად შემონახული ყოფილა მოშინაურებულ ცხოველთა ძვლებიც.

გარეული ცხოველებიდან დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ირმის ძვლები. ძვლების მიხედვით საგვარჯილეში დადგენილია აგრეთვე შვლის და წავის ნაშთები, ე. ი. ამ დროს ნეოლითელი ადამიანი მონადირეობასაც მისდევდა.

საგვარჯილეში განსაკუთრებით საინტერესო მასალებია მოპოვებული ნეოლითის დროიდან ჩვენში ცხოველთა მოშინაურების საწყისების დასადგენად. ირკვევა, რომ საგვარჯილელი ადამიანი მონადირეობასთან ერთად უკვე იწყებს მეცხოველეობას. ამის საფუძველს წარმოადგენს იქ აღმოჩენილი შინაური ცხოველთა ძვლები, რომლებიც მიეკუთვნებიან ხ ა რ ს, ღ ო რ ს, ც ხ ვ ა რ ს და თ ხ ა ს. საგვარჯილელ ადამიანს მოშინაურებული ჰყოლია აგრეთვე ძ ა ღ ლ ი. ძაღლის მოშინაურებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს იქვე აღმოჩენილი ისეთი ცხოველის ძვლები, რომლებიც ძაღლსა და ტურას შორის გარდამავალი ცხოველის სახეს მიეკუთვნებიან. ეს მასალა საფუძველს აძლევს მეცნიერთ, რომ საგვარჯილეში ძაღლის მოშინაურების საწყისები ადგილობრივად ჩათვალონ.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს ნეოლითური ძეგლებიდან ცხოველთა ნაშთები მხოლოდ საგვარჯილემ მოგვცა. ეს ძვლოვანი მასალა მოშინაურებულ ცხოველთა სახეების ისეთ მდიდარ კომპლექსს გვაწვდის, რომ განვითარებული ნეოლითის დროიდან ჩვენში ცხოველთა მოშინაურების დაწყება უკვე ეჭვმიუტანელი ხდება. ამ ნაშთების შესწავლის საფუძველზე ხერხდება იმ ბუნებრივი სამყაროსა და საერთო გეოფიზიკური პირობების აღდგენა, რომელშიც ცხოვრობდა საქართველოს ნეოლითელი ადამიანი.

მონადირეობა. ზედა პალეოლითიდან ტრადიციულად გადმოსული მონადირეობა ნეოლითში თითქოს ერთგვარად კარგავს თავის მნიშვნელობას. როგორც მეურნეობის ძირითადი ფორმა, მაგრამ ამ მეურნეობისათვის საჭირო იარაღები მაინც განიცდიან განვითარებას. ნეოლითიდან ცნობილი ხდება მეტად გულდასმით ნაკეთები კაჟის ისრის და შუბის პირები. უკვე აღვნიშნეთ, რომ მეზოლითისაგან განსხვავებით, ნეოლითური კაჟის ამ რიგის იარაღები უფრო დიდი ზომის და მრავალნაირია. ამ დროიდან გვხვდება კარგად გამოყვანილი ღეროიანი ისრის პირები, ბოლომომრგვალებული შუბის პირები, ქუსლამოღარული, გვერდქიმიანი და სხვა ტიპის ისრის პირები.

საქართველოს ნეოლითურ ძეგლებში მონადირეობის იარაღების მთელი სერიებია აღმოჩენილი. მაგალითად, თეთრამიწაზე, სათაფლიაზე და საგვარჯილეში. ამ იარაღებთან ერთად საგვარჯილეში მოპოვებული გარეულ ცხოველთა ნაშთები მოწმობენ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მსახლობელი ნეოლითელი ადამიანები ჯერ კიდევ მასობრივად მისდევდნენ მონადირეობას, მეცხოველეობა თავის საწყის ფორმებში ვერ უზრუნველყოფდა მათ საჭირო ხორცის საკვებით.

მეთევზეობა. მეურნეობის ამ დარგის ნივთიერი კულტურის ნაშთები საქართველოს ნეოლითური ძეგლების სხვადასხვა კომპლექსებშია წარმოდგენილი. საგვარჯილეს ნეოლითურ ფენაში აღმოჩენილია მეტად ფაქიზი ნაკეთობის ბოლომოკაუჭებული ძვლის ა ნ კ ე ს ებ ი. იქვეა აღმოჩენილი მცირე ზომის ქვის საწაფები და ცხოველის ძვლისაგან ნაკეთები ჭ ვ ი ლ თ ი (ჰარპუნი). საქართველოს სხვა ნეოლითურ ძეგლებიდან ანკესი და ჰარპუნი არ მოგვეპოვება, მაგრამ სამაგიეროდ თითქმის ყველგან გვხვდება ბ ა დ ი ს ს ა წ ა ფ ე ბ ი. ჩანს, ბადით თევზაობას ხშირად მიმართავდა იმ დროის ადამიანი.

მიმოხილული მასალიდან ირკვევა, რომ საქართველოში დასახლებული ნეოლითელი ადამიანები დაუფლებული ყოფილან მეურნეობის შემდეგ ფორმებს: მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ს, მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ა ს, მ ო ნ ა დ ი რ ე ო ბ ა ს და მ ე თ ე ვ ზ ე ო ბ ა ს.

დღემდე გამოვლენილი ნეოლითური ძეგლები მოწმობენ, რომ მეურნეობის აღნიშნულ დარგებს ყველა ნეოლითელი ადამიანი ერთნაირად არ ყოფილა დაუფლებული. მაგალითად, კისტრიკელებისათვის ძირითად მეურნეობას მიწათმოქმედება და მეთევზეობა წარმოადგენდა. ოდიშელი უფრო მიწათმოქმედებას ეტანებოდა. თეთრამიწელი და სათაფლიელი აგრეთვე მიწათმოქმედი იყო, მაგრამ ამასთან ერთად მისდევდა მონადირეობასაც. ხოლო რაც შეეხება საგვარჯილეს ნეოლითელ ადამიანს, იგი მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობასთან ერთად მისდევდა მეთევზეობას და მონადირეობას. მიუხედავად ამისა, საგვარჯილეში მოპოვებული სამეურნეო ინვენტარიდან თავისი სიმრავლით მაინც სამიწათმოქმედო იარაღები გამოირჩევა. ამავე მეურნეობის იარაღები კარგადაა წარმოდგენილი აგრეთვე საქართველოს სხვა ნეოლითურ სადგომებშიც. მაშასადამე, ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი მ ს ა ხ ლ ო ბ ე ლ ნ ე ო ლ ი თ ე ლ ა დ ა მ ი ა ნ თ ა ძ ი რ ი თ ა დ ი მ ე ურ ნ ე ო ბ ა მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ი ყ ო.

1



2



3



4

5

6

7

11

10

8

9

12

საქართველოს ნეოლითურ ძეგლებში აშკარად შეიმჩნევა, იმ დროს უკვე საგრძნობლად განვითარებული შრომის სხვა იარაღებიც. მაგალითად, ნეოლითელ ადამიანებს მასობრივად უმზადებიათ შინამოსაქმეობის იარაღები, თიხის ჭურჭელი, სამკაულები, საკულტო საგნები და სხვა. ნეოლითიდან მოღწეული იარაღ-ხელსაწყოები და სხვა ინვენტარი იმდენად მრავალნაირი და ისეთი გამოცდილი ხელითაა ნაკეთები, რომ ამ დროიდან საქართველოში უკვე სავარაუდებელია ოჯახში თუ გვარში ერთი რომელიმე საქმიანობით დაინტერესებულ და ამ საქმიანობაში გაწაფულ-დახელოვნებულ ადამიანთა ჯგუფების არსებობა. მაგალითად, იყვნენ ალბათ ადამიანები, რომელთაც ეხერხებოდათ ქვის იარაღების დამზადება, ხის მასალის დამუშავება, ძერწვა და სხვა, ე. ი. ხდებოდა ცალკეული დარგების მიხედვით მათი დახელოვნება. გვარის ან ტომის შიგნით შრომის ასეთი დანაწილება კიდევ უფრო გაზრდიდა შრომის ნაყოფიერებას და ეს უკანასკნელი კი ხელს შეუწყობდა იმ დროის ადამიანთა მატერიალურ უზრუნველყოფას.

ამრიგად, საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი სადგომები დღეს-დღეობით არც თუ ისე მრავალრიცხოვანია, მაგრამ ისინი მაინც შესაძლებელს ხდიან, რომ ჩვენში ნეოლითის მომძლავრებული კულტურის არსებობა ვივარაუდოთ. ზედა პალეოლითთან შედარებით ნეოლითში ადამიანთა ყოფა-ცხოვრება მრავალმხრივ დაწინაურდა. ამან გავლენა მოახდინა ნეოლითელ ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებაზე და ადრინდელი გვაროვნული წყობილების შემდგომ განვითარებაზე.

ნეოლითური ნაშთები, ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში და ქართულ სიტყვიერ მასალაში შემონახული ფადმონაშთები ქმნიან იმის შესაძლებლობას, რომ ჩვენში დედის ხაზით წარმომავალი საზოგადოების არსებობაზე ვიქონიოთ წარმოდგენა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს ნეოლითურ სადგომებში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი სამიწათმოქმედო იარაღები. ამავე დროს ეს იარაღები აშკარად მოწმობენ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მსახლობელ ადამიანთა მიწათმოქმედებაც შაშინ მტილური (ბაღჩური) უნდა ყოფილიყო. სავარაუდებელია, რომ ჩვენშიც ასეთ მეურნეობას სათავეში ქალი ედგა და, ამდენად, ქალის უფლება დაწინაურებული იქნებოდა იმ დროის საზოგადოებაში. ქალის განსაკუთრებული როლის მანიშნებელი უნდა იყოს საგვარჯილეს ნეოლითური ფენის ზედა ჰორიზონტში აღმოჩენილი თიხიდან გამოძერწილი ქალის ქანდაკება (ტაბ. VI, 2). ეს ქანდაკება წარმოადგენს შიშველი ქალის ზედა ტანს, რომელზედაც შეიმჩნევა წრისებრ მოხაზული მკერდი. ქანდაკებას თავი მომტვრეული აქვს, ხოლო ქვედა ნაწილი ისეა შემოსწორებულ-შემომრგვალებული, რომ შეიძლება ის თავის დროზე სადგარში იყო ჩადგმული, ისევე, როგორც ეს კარგადაა დამოწმებული ტრიპოლიეს კულტურის ერთ-ერთ ნამოსახლარზე (კოსტიშის თიხის ქანდაკება). საფიქრებელია, რომ საგვარჯილეს თიხის ქანდაკება მიწათმოქმედების ნაყოფიერების ქალღმერთს წარმოადგენდა. საგვარჯილეს ქანდაკების მსგავსი გამოსახულება თიხისა აღმოჩენილია სტალინირის ნაცარგორაზე და ურბნისში — ხიზანაანთ გორაზე — ენეოლითურ ფენებში. ამ უკანასკნელებსაც ნაყოფიერების ქალღმერთად მიიჩნევენ. ამრიგად, საქართველოს უძველესი დროის ნამოსახლარებზე ისეთი ნაშთე-

ბიც გვხვდება, რომლებიც პირველყოფილ საზოგადოებაში ქალის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიგვითითებენ.

ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დედისეული გვარის სტრუქტურული გამომხატველი ელემენტები თუმცა უკვე წაშლილია, მაგრამ ქართულ წარმართულ ზნე-ჩვეულებებში ისეთი გადმონაშთებია შემონახული, რომლებიც მოწმობენ ჩვენში უძველესი დროიდან ქალის დიდ მნიშვნელობას მიწათმოქმედებაში. მაგალითად, სოფ. ქსოვრეთში (თეთრიწყაროს რაიონი) დამოწმებულია შემდეგი წესჩვეულება: გვალვის დროს სოფლის ქალები გამშრალ ხეებში წაიღებენ სახვნელ იარაღს — აჩაჩას, და იქ წყალს „ხნავენ". მათი წარმოდგენით ამ წესით შეიძლება წვიმის მოყვანა და მოსავლიანობისათვის ხელის შეწყობა. მიუხედავად იმისა, რომ დღეს მხვნელი მამაკაცია, აღნიშნულ წესს ქალები ასრულებენ. ეს ადათი იმის გადმონაშთად მიაჩნიათ, რომ ძველად ჩვენში მიწათმოქმედება ქალის საქმიანობას შეადგენდა. ამაზევე მიუთითებს ქართულ ენაში შემონახული ტერმინი „გუთნისდედა"; იგი იმის მანიშნებელია, რომ ძველად ამ მეურნეობის გამძღოლი „დედა", ე. ი. ქალი იყო. ტერმინი „გუთნისდედა", ან როგორც ძველად იტყოდნენ „ერქვნისდედა" იმ ვითარებაში უნდა შექმნილიყო, როდესაც ტერმინი „დედა" ნიშნავდა აგრეთვე ცნებას „პირველს", „მთავარს", „უფროსს", „ხელმძღვანელს", ამ შემთხვევაში მიწათმოქმედების უფროსს, მის ხელმძღვანელს. „დედა" რომ უფროსს, მთავარს ნიშნავდა, ამის მანიშნებელია აგრეთვე სიტყვები: „დედაბოძი", „დედაციხე" და ა. შ.

გვარის ცნების გამომხატველ თავდაპირველ ტერმინად ქართულში „სახლი" ითვლება. „სახლი" წარმოადგენდა ერთ ჭერქვეშ გაერთიანებულ მატრიარქატულ ოჯახს, საზოგადოების ძირითად სოციალურ ერთეულს. მის სათავეში რომ ქალი იდგა, ამას მოწმობს აგრეთვე ქართულ ენაში შემონახული ცნება „დიდ-სახლისი".

ჩვენში, უძველეს დროს დედამთავრული წყობილების არსებობა შეიძლება დავიდასტუროთ ზოგიერთ წერილობით წყაროში შემონახული ტერმინებითაც. მაგალითად, მე-5 საუკუნის ძეგლებში გვხვდება ტერმინი „მამა-მძუძე". ამის მიხედვით ირკვევა, რომ ძველად ყოფილა ხანა, როდესაც ბავშვი ღვიძლი მამის საგვარეულოში არ იზრდებოდა და ძუძუსაც სხვა გვარში სწოვდა. იმ გვარის სახლის უფროსს, სადაც ბავშვი ძუძუს სწოვდა, იზრდებოდა, „მამა-მძუძე" ეწოდებოდა და არა „დედა-მძუძე", მიუხედავად იმისა, რომ ბავშვს ძუძუს დედა აწოვებს. მამა-მძუძეს სახლიდან ბავშვი უკვე მოზრდილი უბრუნდებოდა ღვიძლი მამის სახლს. მამა-მძუძეობა აშკარად მოწმობს, რომ ამ დროს სრულიად გაქრალია მატრიარქატული (დედამთავრული) წყობილება და ბავშვი არა დედის, არამედ მამის საკუთრებაა. აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „მამა-მძუძეობის წესი ცოლქმრობის ამაზე უწინარეს ხანისა და ისეთი წესის არსებობას გვაგულისხმებინებს, როდესაც მარტო ბავშვი კი არ იზრდებოდა თავის მამის საგვარეულოსა და სახლის გარეშე, არამედ როდესაც თვით მისი დედაც, ქმრის ცოლი ჯერ კიდევ ქმრის საგვარეულოსა და სახლში შესული არ იყო და ცოლად ქცევის შემდგომაც ისევ თავის საგვარეულოს წიაღში რჩებოდა". გარდა ამისა თვით ტერმინი მამა-მძუძე მეცნიერთ იმის ანარეკლად

შიაჩნიათ, რომ უნდა ყოფილიყო აგრეთვე დედა-მძუძეც, რაც ჩვენში დედა-მთავრული ოჯახის ფორმების არსებობაზე მიუთითებს.

ჩვენს მიერ ზემოთ განხილული არქეოლოგიური მასალები, ეთნოგრაფიული მონაცემები და ქართულ მეტყველებაში შემონახული ენობრივი ნაშთები იძლევიან იმის შესაძლებლობას, რომ საქართველოში მიწათმოქმედების ჩასახვა ნეოლითის დროიდან ვივარაუდოთ და მეურნეობის ამ დარგის თავდაპირველ ხელმძღვანელად ქალი მივიჩნიოთ. იმავე მასალიდან ირკვევა, რომ საქართველოში ნეოლითის დროიდან უკვე უნდა ჩამოყალიბებულიყო დედის ხაზით წარმომავალი პირველყოფილი გვაროვნული საზოგადოების განვითარებული ეტაპი.

პირველყოფილი გვაროვნული საზოგადოების შემდგომ ეტაპზე, მიწათმოქმედებასთან ერთად მნიშვნელოვნად დაწინაურდა მეცხოველეობა. ამ უკანასკნელის განვითარებამ და მემინდვრეობის წამოწყებამ ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების ახალი ფორმები შექმნეს. დადგა დრო, როდესაც ოჯახის ახალი ორგანიზაცია მამის გვარზე დამკვიდრდა.

თ ა ვ ი II

ენეოლითური ხანის არქეოლოგიური ძეგლები

§ 1. ენეოლითური კულტურა

ქვის ხანიდან ლითონის ხანაზე გარდამავალ პერიოდს ენეოლითი ეწოდება (ენეოს — ლათ. სპილენძი, ლითოს — ბერძნ. ქვა). ხშირად ამ პერიოდს ხალკოლითს, ე. ი. სპილენძ-ქვის ხანასაც უწოდებენ.

პირველი ლითონი, რომლის გამოყენება ადამიანმა დაიწყო, სპილენძი იყო. ადამიანმა სპილენძის თავისებურებას მიაგნო. ის მიხვდა, რომ დარტყმის შედეგად შესაძლებელია სპილენძის ზოდს სასურველი მოყვანილობა მიეცეს. ამრიგად დაიწყო ადამიანმა სპილენძის დამუშავება, მისი ცივად ჭედვა. რა თქმა უნდა, საკმაოდ დიდი დრო უნდა გასულიყო, ვიდრე ადამიანი ლითონის მეორე თავისებურებას გაიგებდა; ვიდრე მის გამოდნობას მიაგნებდა.

იმ ხანიდან, როდესაც ადამიანი იწყებს ლითონის გამოდნობას, საფუძველი ეყრება მეტალურგიას. მეტალურგიის წარმოშობას საწარმოო ძალთა განვითარებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. დამთავრდა ქვის ხანის ხანგრძლივი პერიოდი და დაიწყო განვითარების ახალი ეტაპი — ლ ი თ ო ნ ი ს ხ ა ნ ა. ამ საფეხურზე ლითონის ჩამოსხმა იარაღის დამზადების ძირითადი მეთოდია. ენეოლითური პერიოდი მთავრდება სწორედ ამ მეთოდის შემოსვლასთან ერთად.

ლითონის ხანის ადრეულ საფეხურზე ქვის იარაღს ჯერ კიდევ გაბატონებული მდგომარეობა ეკავა. ლითონის პირველ ნივთებს, რომლებიც სპილენძისაგან იყო ნაკეთები ცივად გამოჭედვის წესით, ჯერ კიდევ არ შეეძლო ქვის იარაღის შეცვლა. სპილენძი რბილი ლითონია და იარაღისათვის ნაკლებად გამოსადეგი. იგი ქვის მაგიერობას ვერ გასწევდა. ქვის იარაღის საბოლოო განდევნა ვერც ბრინჯაოს იარაღმა შეძლო, რომელიც სპილენძთან შედარებით გაცილებით უფრო მაგარი და გამძლე იყო. ქვის საბოლოო შეცვლა შესაძლო გახდა მხოლოდ რკინის მეტალურგიის შემოსვლის შემდეგ.

ენეოლითის ხანაში იარაღის საკეთებლად ძირითადად ისევ ქვაა გამოყენებული. ლითონის ნივთები კი მეტისმეტად იშვიათია და, რა თქმა უნდა, მათ არც შეეძლოთ შესამჩნევი გარდატეხა მოეხდინათ ადამიანთა ცხოვრებაში. ამის

ჯამოა, რომ ხშირად მეტად ძნელდება ხოლმე ნეოლითური და ენეოლითური კულტურების ერთმანეთისაგან გამოყოფა. ცხადია, იქ, სადაც პირველი ლითონის ნივთები გარედან შემოდიოდა, მათ არც შეეძლოთ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა ტექნიკის განვითარებაზე. ამიტომაც კულტურა ისევ ძირითადად ნეოლითურ ელფერს ატარებს. მაგრამ იმ ქვეყნებში, სადაც საკმაო რაოდენობით მოიპოვებოდა სპილენძი და ადრევე დაიწყო მისი დამუშავება, შეუძლებელია, რომ ლითონის გაჩენას გარკვეული ზეგავლენა არ მოეხდინა პირველყოფილი საზოგადოების განვითარებაზე.

უკანასკნელ ხანებში წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად შესაძლებელი გახდა საქართველოში და, საერთოდ, ამიერკავკასიაში საკმაოდ ადრეული ხანის მძლავრი და მეტად თავისებური ენეოლითური კულტურის დადგენა. ლითონის დამუშავების ადრეულ საფეხურზე ჩვენში აშკარად შეინიშნება გარკვეული დაწინაურება მეურნეობის თითქმის ყველა დარგში. ცხადია, კულტურის ამგვარ დაწინაურებაში სხვა ფაქტორებთან ერთად მნიშვნელოვანი წვლილი ლითონის გამოყენებასაც უნდა შეეტანა.

საქართველოს და საერთოდ კავკასიის ენეოლითური კულტურის შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა თრიალეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას. თრიალეთში აღმოჩენილი ძეგლების შესწავლისა და ადრევე მოპოვებული მასალის მასთან შედარება-შეჯერების შედეგად შესაძლებელი გახდა მძლავრი ენეოლითური კულტურის გამოყოფა. თავდაპირველად ამ კულტურას მისი გავრცელების რაიონის მიხედვით მტკვარ-არაქსის ენეოლითი უწოდეს. მაგრამ, როგორც ამ უკანასკნელ ხანებში გაირკვა, ამ ტიპის ძეგლების გავრცელების რაიონი საგრძნობლად სცილდება მტკვრისა და არაქსის აუზებს და ეს სახელწოდება ახლა უკვე აღარ ჩანს მთლად ზუსტი.

საქართველოში ენეოლითური ხანის ძეგლები საკმაოდ მრავლადაა წარმოდგენილი. ყველაზე უკეთ იგი წარმოდგენილია შიდა ქართლიდან.

ენეოლითური ხანის ძეგლები აღმოჩნდა 1920 წ. კიკეთის მახლობლად. აქ არქეოლოგმა ე. პჩელინამ გათხარა ერთი დაზიანებული სამარხი, რომელშიც აღმოჩნდა მიცვალებულის ძვლები, კერამიკის ფრაგმენტები, ნაცარი, ბათქაშის ნატეხები და სხვ. აშკარად შეიმჩნეოდა ცეცხლის კვალიც. სამარხში თიხის 9 მეტისმეტად თავისებური ჭურჭლის გარდა სხვა ვერაფერი ვერ იპოვეს.

კიკეთის სამარხში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლიდან განსაკუთრებით საინტერესოა ორი ფრაგმენტი: ერთი შედარებით დიდი მოვარდისფრო ჭურჭლისა, რომლის ყელზე გამოსახულია პირისპირ მდგარი ორი სირაქლემის მსგავსი ფიგურა; მეორე მოზრდილი, შავი თიხის ჭურჭლის ნატეხი, შემკული „სათვალისებრი“ სპირალით. ამ ჭურჭლებს ბევრი საერთო აქვს თრიალეთის ენეოლითის ხანის კერამიკასთან.

1948 წელს იმავე ადგილას ბ. კუფტინმა შვიდი ენეოლითური სამარხი გათხარა. სამარხებს ზემოდან ფენა-ფენა შემოწყობილი ჰქონდა ნაგლეჯი ქვეშის წყება. საკუთრივ სამარხი წარმოადგენდა საკმაოდ მოზრდილ ორმოს, რომელშიაც მიცვალებული ესვენა გვერდზე, ხელ-ფეხ მოკეცილი. ზოგ სამარხში ორი-სამი მიცვალებული აღმოჩნდა; მიცვალებულის თავ-ფეხთან და მუცლის არეში ეწყო თიხის ჭურჭელი.

კიკეთის სამარხებში გვხვდება მოწითალო ფერის ჭურჭელი. განსაკუთრებით ბევრია აქ სხვადასხვა ზომის ბადიები, ზოგი მათგანი ცალყურაა, ზოგს კი ყურის ადგილას შვერილები აქვს. აღმოჩენილია აგრეთვე ერთი მოზრდილი, მაღალი და ფართოყელიანი ჭურჭელი და სათვალისებრი სპირალური სახეებით შემკული რამდენიმე ფრაგმენტი.

1930 წ. დ ი დ უ ბ ე შ ი მიწის სამუშაოების დროს სხვადასხვა პერიოდის მასალა აღმოჩნდა. აღმოჩენის ადგილი შეამოწმა და შეისწავლა პროფ. გ. ნ ი ო რ ა ძ ე მ. როგორც ჩანს, აქ ენეოლითური ხანის ნამოსახლარი უნდა ყოფილიყო. მასალა ძირითადად კერამიკითაა წარმოდგენილი. თიხის ჭურჭელი საკმაოდ მრავალფეროვანია. გვხვდება პირფართო, მუცელგამობერილი ქილისმაგვარი ჭურჭელი. ჩვეულებრივად მათ ორი პატარა ზომის ნახევარსფეროსებრი მოყვანილობის ყური აქვს მხრიდან ყელზე გადასვლის ადგილას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი მაღალყელიანი ჭურჭელი, რომელსაც მუცლის ზედა ნაწილზე არასიმეტრიულად განლაგებული სამი ყური აქვს. მსგავსი ჭურჭელი ჩვენში ცნობილია თრიალეთიდან და ქულბაქებიდან. გვხვდება აგრეთვე ჯამები, ბადიები და სხვ. საყურადღებოა შავი ჭურჭლის ერთი ნატეხი, რომელსაც კარგად ემჩნევა ქსოვილის ანაბეჭდი. დასასრულ, აღსანიშნავია აქ ნაპოვნი პატარა ზომის ტლანქად ნაძერწი კერის მოდელი. ამგვარი მოდელები ცნობილია შენგავითის (სომხეთი) ენეოლითური ხანის ნამოსახლარიდან, სადაც იგი ნაპოვნი იყო ერთერთი მრგვალი ნაგებობის ცენტრში, მოზრდილი კერის გვერდით.

დიდუბის ნამოსახლარზე მოპოვებული თიხის ნაწარმი ხელითაა ნაძერწი: ზოგი ტლანქად, ზოგიც უფრო ფაქიზად. ჭურჭელი სრულიად სადაა.

გარდა კერამიკისა, აქ აღმოჩნდა ქვისა და ძვლის დამუშავებული იარაღიც. ქვის იარაღიდან აღსანიშნავია: სამკუთხა, ფოთლისებრი მოყვანილობის ყუნწმოტეხილი ისრის პირი, კაჟის დანისმაგვარი იარაღი და კირქვის ორმხრივ დამუშავებული იარაღი. ძვლის ნივთებიდან ნაპოვნი იყო რამდენიმე სადგისი და ორი კონუსისებრი კვირისტავი.

უთუოდ საყურადღებოა ამ ნამოსახლარზე ნაპოვნი ობსიდიანის მოზრდილი ნატეხი, რომელიც 7 კგ. იწონის. მას აშკარად ეტყობა დარტყმის კვალი. ჩანს, მისგან იარაღისათვის ლამელებს ამტვრევდნენ. აქ მრავლად აღმოჩნდა ობსიდიანის ანატკეცები. ობსიდიანი თბილისის მიდამოებში არ მოიპოვება. შეხაძლოა იგი მოჰქონდათ თრიალეთიდან, სადაც ობსიდიანი, როგორც ცნობილია, მრავლად არის.

ნამოსახლარის ფენაში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა სხვადასხვა ცხოველთა ძვლები. შინაურ ცხოველთა ძვლებიდან აქ მხოლოდ მსხვილფეხა საქონლის ნაშთებია ნაპოვნი. მონადირეობა, ჩანს, ჯერ კიდევ დიდ როლს ასრულებდა, რაზედაც მიუთითებს გარეულ ცხოველთა ძვლები (თხა, ჯეირანი, შველი და სხვ.). მდინარის პირას მცხოვრები მოსახლეობა ალბათ მეთევზეობასაც მისდევდა. ამას მოწმობს აქ ნაპოვნი გახვრეტილი ქვები, რომლებიც ბადის საწაფები უნდა ყოფილიყო.

1936 წ. მოკიდებული რიგი წლების მანძილზე მუშაობდა თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიცია ბ. კუფტინის და მ. ივაშჩენკოს ხელმძღვანელო-

ბით. ექსპედიციამ სხვა პერიოდის მასალებს შორის გამოაელინა აგრეთვე ძლიერი ენეოლითური ფენა.

ამ ხანის მასალა წარმოდგენილია როგორც ნამოსახლარი ადგილებიდან, ისე სამარხეული კომპლექსებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფ. ბ ე შ თ ა-შ ე ნ ი ს მახლობლად ციკლოპური ციხე-სიმაგრის ნანგრევების ქვეშ აღმოჩენილი ენეოლითის კულტურული ფენა. გარდა ამისა, მეტად საყურადღებო მასალა იყო ნაპოვნი სოფ. ო ზ ნ ი ს თ ა ნ.

სოფ. ბეშთაშენში გამოვლენილია ოთხკუთხოვანი ნაგებობის ქვის საძირკველი, რომლის შიგნით აღმოჩნდა თიხატკეპნილი „თორნე". კულტურული ფენა მრავლად შეიცავდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებს. ამ ფენაში აღმოჩნდა კაჟის დაკბილული ნამგლის პირები და კაჟის სამკუთხა მოყვანილობის ყუნწიანი ისრის პირები, რომლებსაც ჯერ კიდევ ნეოლითური ტექნიკის კვალი ემჩნევა. აქვე აღმოჩნდა დიდი ოვალური ხელსაფქვაი და თიხისგან გამოძერწილი ხარის პატარა ქანდაკება, რომელიც ძალიან ახლო დგას ქიულ-თაფაზე აღმოჩენილ ამგვარსავე თიხის ქანდაკებებთან. ნაპოვნია აგრეთვე დაახლოებით 1,65 მ დიამეტრის მქონე კერა. კერის ძირზე აღმოჩნდა თიხის სამი დაპირქვავებული ჭურჭელი და ხელსაფქვავის ქვა.

სოფ. ოზნის ენეოლითური ხანის ნამოსახლარზე გამოვლენილია მრგვალი სადგომის საფუძველი — ნახევარწრიული მოყვანილობის ქვის წყობა.

საყურადღებოა აქ ნაპოვნი კერამიკული კერის ფრაგმენტები. ამ ტიპის კერა დამახასიათებელია ამიერკავკასიის ენეოლითისათვის. კერები დაახლოებით 1,0 მ დიამეტრისა და 0,25 მ სიმაღლისაა. შიდა პირზე მას სამი შვერილი აქვს, ალბათ ჭურჭლის უკეთ შემაგრების მიზნით. მსგავსი კერები განსაკუთრებით მრავლად აღმოჩნდა შიდა ქართლის ენეოლითურ სადგომებში. ვხვდებით მათ, აგრეთვე, შენგავითში (სომხეთი).

ბეშთაშენის კერამიკულ კომპლექსში ძირითადად ორი ჯგუფის ჭურჭლის გამორჩევა შეიძლება. ორივე ჯგუფის თიხის ჭურჭელი ხელითაა ნაძერწი და გულმოდგინედ დამუშავებული. პირველი მათგანი შედარებით უფრო ტლანქია და მასიური. ჭურჭლის ძირი ჩვეულებრივ ბრტყელია. ხშირად გვხვდება დიდი, ცილინდრულყელიანი ჭურჭელი, რომელსაც ორი ნახევარსფეროსებრი ყური აქვს. ამ ჯგუფის ჭურჭელი ზოგჯერ სრულიად სადაა, ზოგჯერ კი შემკულია რელიეფური სახეებით. თრიალეთური კერამიკის ეს ვარიანტი განსაკუთრებით ახლო დგას კიკეთის, დიდუბის და ზოგიერთი სხვა ადგილის კერამიკასთან.

მეორე ჯგუფის კერამიკა ხასიათდება უფრო მაღალი ტექნიკით; ჭურჭელი შესანიშნავადაა დამუშავებული, ძირი უმეტესად ვიწრო და შვდრეკილი აქვს, ყურები — ნახევარსფერული მოყვანილობისა, შემკულია „ჩაღარულ-ამოღარული" სახეებით. ამ ჯგუფის კერამიკა როგორც მოყვანილობით, ისე შემკულობით უახლოვდება სომხეთის ენეოლითური ხანის ნამოსახლარებზე აღმოჩენილ კერამიკას (შენგავითი, შრეშ-ბლური, მალაქლუ და სხვ.).

აღსანიშნავია სოფ. ოზნში ნაპოვნი დიდი (დაახლოებით 1,0 მ სიმაღლის), მოწითალო ჭურჭელი, შემკული კიკეთის ჭურჭლის მსგავსად, სათვალისებრი სპირალით. მეტად საინტერესოა აქ აღმოჩენილი ორი სქელკედლიანი ჯაში. ერთი მათგანი იმითაა შესანიშნავი, რომ გარეთა კედელზე რაღაც განსაკუთრე-

ბული ხუთი ნიშანი აქვს გამოყვანილი. თითოეული ეს ნიშანი წარმოადგენს რთულ გეომეტრიულ ფიგურას. ამათგან ორი ნიშანი საკვლევით ერთნაირია. ბ. კუფტინი ფიქრობდა, რომ აქ შესაძლებელია ნიშნებით აზრის გადმოცემის ცდასთან გვქონდეს საქმე და ამ ნიშნებს ის ამსგავსებდა პროტო-ელამურ დამწერლობას.

ოზნის ენეოლითურ ფენაში ნაპოვნი იყო ლითონის რამდენიმე ნივთი: ბიპირამიდული ფორმის სპილენძის მოკლე სადგისი, ოთხწახნაგა სადგისი და სპილენძის ნატეხი. ამ პერიოდის ლითონის ნივთები თრიალეთის მხოლოდ ამ ადგილიდან არის ცნობილი.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ თრიალეთში, გარდა ენეოლითური ხანის ნამოსახლარებისა, აღმოჩნდა ამ პერიოდის ორი სამარხი. ერთი მათგანი პატარა ქვისსამარხს წარმოადგენდა, მეორე კი ჩვეულებრივი ორმოსამარხი იყო. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე იწვა, ძლიერ მოხრილი. სამარხებში აღმოჩნდა ტიპიური ენეოლითური ჭურჭელი.

უკანასკნელ ხანებში მძლავრი ენეოლითური კულტურა იქნა გამოვლენილი ისტორიული შიდა ქართლის ტერიტორიაზე. აქ, როგორც ჩანს, ენეოლითური სოფელი ძირითადად განლაგებული ყოფილა დაბლობ ადგილას; ქართლის ველი სამიწათმოქმედოდ უთუოდ მეტად ხელსაყრელი იყო. ამიტომაცაა, რომ მასზე მიწათმოქმედი ტომების საკმაოდ ხშირი ნამოსახლარი გვხვდება.

ენეოლითური ხანის კულტურის ძეგლები ზემო ავჭალაში ჯერ კიდევ 1923 — 1924 წწ. აღმოჩნდა, ზაჰესის მშენებლობის დროს. აქ მოპოვებული მასალა შეიცავს რამდენიმე ფართოყელიანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტს, ერთ მასიურ ჯამს, სწორკუთხა სადგარს შუაში ნახვრეტით, სავსებით ისეთივეს, როგორიც ტყვიავის ერთერთ ყორღანში აღმოჩნდა. გარდა ამ სადგარისა, ამავე კოლექციაში ინახება კიდევ ორი სადგარი — ბრტყელი, ერთ მხარეზე ორი რქისებრი შვერილით და მეორე — მომრგვალებული, შუაში ნახვრეტით. ვარაუდობენ, რომ ამ ტიპის სადგარები დაკავშირებულია ხარის კულტთან და კრეტა-მიკენის მასალაზე მოცემულ გამოსახულებათა ანალოგიურად შესაძლებელია სადგარის ხვრელში მოთავსებული იყო წმინდა ხის ტოტი ან მისი იმიტაცია („ჩიჩილაკის" მსგავსი).

1953 წლიდან სოფ. ურბნისში სისტემატურ სამუშაოებს აწარმოებს აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელმაც სხვადასხვა პერიოდის მეტად საყურადღებო ძეგლები გამოავლინა. ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ბორცვი „ხიზანაანთ გორა". აქ აღმოჩენილია ძირითადად ორი კულტურული ფენა, რომელთაგან ქვედა ენეოლითური ხანისაა, ზედა კი ანტიკური. გაწმენდის შემდეგ გამოჩნდა რაღაც ნაგებობის თიხატკეპნილი იატაკი. აქვე იპოვეს ბათქაშის ნატეხები. შესაძლოა იგი თიხით შელესილ ხის ნაგებობას წარმოადგენდა. მთელ იატაკზე მიმობნეული იყო კერამიკის ფრაგმენტები. აღმოჩნდა უმთავრესად ვარდისფერი ჭურჭლის ნატეხები. შავი ფერის ჭურჭელი შედარებით იშვიათია. გვხვდება მოზრდილი ჭურჭელი, ჯამები, სასმისები და სხვ. აღსანიშნავია ორი ნატეხი, რომელსაც შემორჩენილი აქვს რელიეფური ორნამენტი, ეგებ ირმის

რქები და ფეხები. რელიეფური სახეებით შემკული ჭურჭელი შიდა ქართლის ენეოლითში მეტად იშვიათია. ნაპოვნი იყო აგრეთვე ქსოვილიანი კერამიკა. საყურადღებოა, კათხის ფორმის თიხის ჭურჭელი, რომელიც, შესაძლოა, უკვე გამდნარი ლითონის ჩამოსასხმელად იხმარებოდა. გარდა ამისა, იქვე აღმოჩნდა თიხის ქანდაკებები: ერთი ნატეხი რაღაც ცხოველის გამოსახულებისა და ქალის პატარა ზომის ქანდაკება მკვეთრად გამოსახული მკერდით.

ქვის ნივთებიდან გამოირჩევა შესანიშნავი ყუნწიანი ისრის პირი, დაკბილული ნამგლის პირი და კვირისტავები. განსაკუთრებით საყურადღებოა აქ აღმოჩენილი ქვის პატარა ცული, რომელიც ფორმით თითქოს ლითონის ყუადაქანებული ცულის განმეორებაა. მრავლად აღმოჩნდა სხვადასხვა ფორმის ქვის ხელსაფქვავები.

თიხატკეპნილ იატაკზე და თიხის ჭურჭლებში ნაპოვნი იყო მარცვლეულის ნაშთები. აღმოჩნდა აგრეთვე ცხოველების ძვლებიც.

ურბნისის ნამოსახლარი, როგორც ჩანს, ენეოლითის უკვე საკმაოდ განვითარებულ სტადიას მიეკუთვნება, უფრო სწორად, შესაძლოა უშუალოდ ლითონის ხანაზე გარდამავალი დროისა იყოს. ამიტომაც აქ ნაპოვნი კათხისმაგვარი ჭურჭელი, როგორც ფიქრობენ, მართლაც გამდნარი ლითონის ჩამოსასხმელად უნდა ყოფილიყო გამოყენებული, რაც ლითონის ჩამოსხმის დასაწყისის მომასწავებელი იქნებოდა.

1954 წლიდან ურბნისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გათხრები დაიწყო ბორცვ ქვაცხელაზე, სოფ. ურბნისიდან სამიოდე კილომეტრის დაშორებით. აქაც ძირითადად ორი ფენა გვხვდება. ზედა — გვიანი ანტიკური ხანისა, ქვედა კი — ენეოლითისა. ეს ფენა საკმაოდ ძლიერი ჩანს. განსაკუთრებით მრავლად აღმოჩნდა კერამიკა, რომელშიაც რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა. გვხვდება დიდი ზომის, პირფართო ჭურჭელი ნახევარსფეროსებრი ყურით, ბადიები, სასმისები, კარგად ნაკეთები პატარა ზომის ჭურჭელი კონუსისებრი, შედრეკილი ძირით, მსგავსი სომხეთის ენეოლითური მასალიდან ცნობილი ჭურჭლებისა (შენგავითი). აღსანიშნავია დიდუბისა და თრიალეთის ჭურჭელთა მსგავსი სამყურა ჭურჭელი. ამავე ფენაში აღმოჩნდა შედარებით თხელკედლიანი, ვარდისფერი და შავპრიალა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, რომელთაც ზედაპირი შემკული აქვთ გრაფიკულ-გეომეტრიული ჩაღარული ორნამენტით. ამგვარი კერამიკა შიდა ქართლის ენეოლითისათვის დღემდე უცნობი იყო, მხოლოდ რამდენიმე ნატეხი ცნობილია თრიალეთიდან და აგრეთვე მალაქლუს (სომხეთი) მასალებიდან. მსგავსი სახეებით შემკული ჭურჭელი წარმოდგენილია თრიალეთისა და საჩხერის ადრეული ბრინჯაოს ხანის მასალებში. ქვაცხელების ენეოლითურ ფენაში აღმოჩნდა აგრეთვე ე. წ. ქსოვილიანი კერამიკის რამდენიმე ნატეხი. აქვე იყო ნაპოვნი რამდენიმე ფრაგმენტი რელიეფური ორნამენტით შემკული ჭურჭლისა. აქაური კერები სავსებით ისეთივეა, როგორიც შიდა ქართლის ახლა უკვე კარგად ცნობილი სხვა ენეოლითური სადგომებისა.

ნამოსახლარზე აღმოჩნდა არქაული ფორმის ხელსაფქვავები, კაჟის დაკბილული ნამგლის პირები, ქვის და ძვლის კვირისტავები, ძვლის საკინძისმაგვარი ნივთი, რომელიც იქნებ თიხის ჭურჭელზე ორნამენტის გამოსაყვანად იყო განკუთვნილი. საყურადღებოა აქ ნაპოვნი სპილენძის პატარა რგოლი.

კულტურულ ფენაში ნაპოვნია მარცვლეულის დამწვარი ძნის ნაშთი. ცხოველების ძვლები აქ შედარებით მცირეა. გვხვდება ძროხის, თხის, ცხენის და სხვ. ძვლები.

1946 წ. ენეოლითური ფენა აღმოჩნდა სოფ. დიდ ახალსოფელში (ქარელის რაიონი). აქ გამოვლენილი იყო რამდენიმე „ბუდე", რომელიც დამწვარი თიხის, ნაცრის და ნახშირის გარდა შეიცავდა აგრეთვე შავი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებს, ობსიდიანის დამუშავებულ ნატეხებს, ცხოველთა ძვლებს და სხვ. კერამიკა უახლოვდება ბეშთაშენის, დიდუბისა და განსაკუთრებით კიკეთის ენეოლითურ ჭურჭელს.

გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა პროფ. ს. მაკალათიას ხელმძღვანელობით 1938 — 1940 წწ. არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა სოფ. ტყვიავში. აქ გაითხარა სამი ყორღანი. ყორღანების ყრილი ძირითადად რიყის ქვისა იყო. პირველ ყორღანში მიცვალებულები სხვადასხვა დონეზე ჩნდებოდნენ, სულ ნაპოვნი იყო 42 სამარხი. მიცვალებულები დამარხული იყვნენ სხვადასხვა წესით: მოხრილი, გულაღმა, ფეხებმოხრილი, გვერდზე მწოლარე და სხვ. ინვენტარი სამარხში ან სრულიად არ იყო, ანდა მეტისმეტად ღარიბული.

დანარჩენ ყორღანებში თითო სამარხი აღმოჩნდა. მეორე ყორღანში ნაპოვნი იყო ოთხწახნაგა სპილენძის სადგისი, სპილენძის ბრტყელი დანის პირი და თიხის შავი ჭურჭელი. ყორღანის ქვაყრილში იპოვეს თიხის სწორკუთხა გახვრეტილი სადგარი ზემოავჭალის ტიპისა და ქვის მსხლისებრი ლახტის თავი.

მესამე ყორღანში აღმოჩნდა მხოლოდ სპილენძის სამი ხვია.

ტყვიავის ყორღანები გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევენ იმდროინდელი დასაფლავების წესის შესახებ, მით უმეტეს, რომ შიდა ქართლიდან სადღეისოდ ძირითადად ნამოსახლარებია შესწავლილი. ტყვიავის ყორღანებიც, როგორც ჩანს, ენეოლითის საკმაოდ გვიანდელი საფეხურისა უნდა იყოს. აქ ერთის მხრივ გვხვდება ტიპიური ენეოლითური ფორმები, მეორეს მხრივ კი ნივთები, რომლებიც ბევრ საერთოს პოულობენ ბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის მასალასთან. თიხის ჭურჭელი სავსებით ენეოლითურია. აქ აღმოჩენილი სწორკუთხა სადგარი ისეთივეა, როგორიც ზემო ავჭალის ენეოლითურ ფენაში აღმოჩენილი სადგარი. სპილენძის სადგისი მეტად პრიმიტიულია და უფრო ახლოსაა ოზნის ენეოლითურ სადგისთან, ვიდრე თრიალეთის ერთერთ ადრეული ბრინჯაოს ხანის ყორღანში აღმოჩენილ სადგისთან და სხვა. მაგრამ ამასთან ერთად აქ გვხვდება ისეთი მასალაც, რომელიც თითქოს რამდენადმე მაინც უფრო ახალგაზრდა უნდა იყოს. დანის პირი უახლოვდება თრიალეთის ერთერთ უძველეს ყორღანში აღმოჩენილ დანის პირს და აგრეთვე დანის პირებს საჩხერიდან. ამავე პერიოდისა უნდა იყოს საფეთქლის ხვიებიც. მათ ვხვდებით თრიალეთის, საჩხერის, აფხაზეთის დოლმენებისა და სხვა ადრე ბრინჯაოს ხანის მასალაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ტყვიავის ლახტის თავი, რომელიც უახლოვდება თრიალეთის ჰემატიტის ლახტის თავს ერთერთი უძველესი ყორღანიდან. ამრიგად, საფიქრებელია, რომ ტყვიავის ყორღანები ერთგვარ გარდამავალ საფეხურს წარმოადგენენ ენეოლითიდან — ადრეულ ბრინჯაოს ხანაზე.

შიდა ქართლის ენეოლითური ხანის ძეგლებიდან საყურადღებოა მის ჩრდილო ზოლში, თანამედროვე სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ძეგლები. აქ ამ პერიოდის ძეგლები ძირითადად გვხვდება მთისპირა ზოლში.

1945 — 1948 წწ. სისტემატური არქეოლოგიური სამუშაოები წარმოებდა სტალინირის ნაცარგორაზე. პირველმა ფენამ მოგვცა ენეოლითური ხანის მასალა. აქ აღმოჩნდა ამ პერიოდის ხუთი სამარხი. ყოველ სამარხში თითო მიცვალებული ესვენა, ძლიერ მოკუნტული, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე მწოლარე. სამარხეული ინვენტარი არც თუ ისე მდიდრული იყო: ქუსლამოღარული კაჟის ისრის პირი, ქვის გახვრეტილი კვერი, ობსიდიანის ნატეხები, სპილენძის მცირე სამსჭვალი, რომლითაც გაჭექილი უნდა ყოფილიყო კვერის ტარი, და ორი პაშია რგოლი— საყურე. მხოლოდ ერთ სამარხში აღმოჩნდა ხელით ნაძერწი თიხის ჭურჭელი. ერთერთ სამარხში მიცვალებულისათვის ჩაუტანებიათ ბატკანი და ფრინველი.

გარდა სამარხებისა ამავე ფენაში აღმოჩნდა ძლიერ დაზიანებული ნამოსახლარის ნაშთი. იგი შეიცავდა ძირითადად ობსიდიანის ნატეხებს, სხვადასხვა ცხოველების ძვლებს და თიხის ჭურჭლის ნატეხებს.

როგორც ჩანს, ნაცარგორა პირველად სამოსახლო ბორცვი ყოფილა. აქ აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი მორუხო-მოვარდისფროა, ხელით ნაძერწი. გვხვდება უმთავრესად ფართოპირიანი ქოთნები და ქილები, რომელთაც მიძერწილი აქვს ნახევარსფეროსებრი ყურები. ზოგჯერ ჭურჭელი მარტივი ორნამენტითაა შემკული.

სტალინირის მიდამოებში კიდევ ორგანაა დამოწმებული ენეოლითური ხანის ძეგლი. აქ, ზღუდრის გვერდასთან გზის გადარეცხვის შედეგად გამოვლინდა ტიპიური ენეოლითური კერამიკა. ამათგან განსაკუთრებით საინტერესოა ერთი ჭურჭლის ფრაგმენტი, რომელსაც აშკარად ეტყობა ქსოვილის კვალი. აღსანიშნავია აგრეთვე აქ ნაპოვნი ასიმეტრიული ისრის პირი, რომლის მსგავსი აღმოჩენილია ნაცარგორაზე და ოჩამჩირეში.

ბ. კუფტინის მიერ ჩატარებულმა მუშაობამ სათანადო შედეგი ვერ გამოიღო იმის გამო, რომ ენეოლითური ფენა უკვე თითქმის მთლიანად გადარეცხილი იყო. მაგრამ მაინც იპოვეს ტიპიური ენეოლითური კერამიკის რამდენიმე ფრაგმენტი და, როგორც ჩანს, საკმაოდ მოზრდილი მრგვალი კერის ნატეხები.

სოფელ ოსპრისთან, ბორცვ ქულბაქებზე აღმოჩენილია ენეოლითური ხანის ნამოსახლარი. კულტურული ფენა აქ ძალზე არეული იყო. მრავლად ჩნდებოდა ენეოლითური კერამიკის ფრაგმენტები, ბათქაშის ნატეხები, მსხვილფეხა ცხოველების ძვლები და სხვ. თიხის ჭურჭელი მეტწილად მოწითალო ფერისაა. აღსანიშნავია აქ ნაპოვნი ორი სამყურა, ბადიისებრი და ქილისმაგვარი ჭურჭელი; ტოლჩები, დისკოიდალური ხუფები და სხვ. განსაკუთრებით საყურადღებოა თიხის მოზრდილი კერა და რელიეფური ორნამენტით შემკული ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტი.

არაკერამიკული მასალა ქულბაქებზე მეტად მწირი აღმოჩნდა: კაჟის რამდენიმე ნამგლის პირი და ერთიც მოგრძო საფხეკისმაგვარი იარაღი.

ქულბაქების ქვევით, მისგან დაახლოებით 200 — 300 მ დაშორებით ზღუდრის გვერდას პირდაპირ, ოსპრისის ხევის მარჯვენა ნაპირზეც ნაპოვნი იყო

ენეოლითური ხანის მასალა. ამ მიდამოს ადგილობრივი მოსახლეობა „კ უ ლ ი ხ ვ ე მ ს“ უწოდებს. კულტურული ფენა აქ არ იყო ძლიერი. ძირითადად თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები ჩნდებოდა, უპირატესად მოწითალო ფერისა, ქულბა-ქების ტიპის. თიხის ჭურჭელი დალეწილი იყო, მეტად დაზიანებული იყო მრგვალი კერის ნაწილებიც. კერები არც თუ ისე დიდი ზომისა იყო. ერთერთ შედარებით უკეთ დაცულ კერას შიგნითა და გარეთა პირი წითლად გაპრიალე-ბული ჰქონდა. ჩანს, იგი გადასატანი კერა უნდა ყოფილიყო. საყურადღებოა, რომ ამ კერების მახლობლად ჩნდებოდა ხოლმე თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, საქონლის ძვლები და სხვ. აღსანიშნავია აქ ნაპოვნი დაზიანებული რაღაც რქი-სებრი სადგარი, ალბათ ხარის კულტთან დაკავშირებული. აქვე აღმოჩნდა გარე-ული ღორის ერთი კბილი — საკიდი. შესაძლოა ამ ადგილას ენეოლითელ ადა-მიანთა დროებითი სადგომი ყოფილიყო.

სტალინირის მახლობლად, მისგან დაახლოებით 7 კმ დაშორებით, სოფ. ქვასათალში ბრინჯაოს ხანის სამაროვნის გათხრების დროს აღმოჩნდა აგრე-თვე ენეოლითური ფენა. ნაპოვნი იყო ტიპიური ენეოლითური კერამიკა.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ენეოლითური თიხის ჭურჭელი აღმო-ჩნდა დმანისში, ფეოდალური ნაქალაქარის გათხრის დროს, ოღონდ, სამწუხა-როდ, ეს ფენა საგანგებოდ არ შეუსწავლიათ.

გაცილებით უფრო სუსტადაა სადღეისოდ წარმოდგენილი ენეოლითური კულტურა დასავლეთ საქართველოდან. ამ პერიოდის მხოლოდ სამი ძეგლია ჯერჯერობით ცნობილი: დაბლაგომი, საგვარჯილე და ოჩამჩირე.

1936 წ. დ ა ბ ლ ა გ ო მ შ ი, ნაციხვარის აღმოსავლეთ ფერდობზე აღმო-ჩნდა ენეოლითური ხანის ფენა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ ფენაში კე-რამიკა. იგი ხელითაა ნაძერწი, სქელკედლიანია და ვარდისფერი სარჩული აქვს. უმეტესად გვხვდება მაღალი და ფართოყელიანი მოზრდილი ჭურჭლის ფრაგ-მენტები. ზოგიერთ ჭურჭელს მხრიდან ყელზე გადასვლის ადგილას აქეთ-იქით თითო ნახევარსფერული მოყვანილობის ყური აბია, ზოგს კი ყურის ნაცვლად— თითო ან ორი შვერილი. დაბლაგომის ჭურჭელს ბევრი საერთო აქვს დიდუბის, კიკეთის, თრიალეთის და სხვა ენეოლითურ კერამიკასთან, როგორც დამზადების ტექნიკის, ისე ფორმის მხრივ.

საყურადღებოა დაბლაგომში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ორი ფრაგ-მენტი. ორივეს შუაზე 1,0 სმ დიამეტრის ნახვრეტი აქვს. ეს ნატეხები უნდა ეკუთვნოდეს საკმაოდ მოზრდილ ჭურჭელს, რომელსაც მუცლის ზედა ნაწილზე თითო ნახვრეტი ჰქონია. შესაძლოა, იგი მართლაც სადღვებელი ყოფილიყო.

უნდა აღინიშნოს, რომ თიხის სადღვებელი ჩვენში კარგადაა ცნობილი გეიანგბრინჯაოს ხანიდან მოკიდებული, უფრო ადრეული ხანის მასალებიდან ზემოაღნიშნულის გარდა სადღეისოდ ჯერჯერობით უცნობია.

დაბლაგომში ნაპოვნია ქილისებრი ფორმის ტლანქად ნაძერწი ჭურჭელი, რომელსაც ძირზე აშკარად ეტყობა ჭილობის ანაბეჭდი. ამგვარი ანაბეჭდებიანი ჭურჭლის ფრაგმენტები ცნობილია დიხა გუძუბადან და ოჩამჩირის ენეოლი-თური ხანის სადგომიდან.

ნაციხვარზე აღმოჩენილი ქვის იარაღიდან აღსანიშნავია რამდენიმე ხელ-საფქვავის ქვა, კაჟის ორი იარაღი; ერთი ფოთლისებრი მოყვანილობის შუბის

პირი, რომელსაც ჯერ კიდევ კარგად ეტყობა ნეოლითური ტექნიკის კვალი (იგი ახლო დგას თეთრამიწაზე აღმოჩენილ ამგვარსავე იარაღთან), მეორე — წაგრძელებული ფორმის ორმხრივ დამუშავებული დანისმაგვარი იარაღი უნდა იყოს.

ამ ნამოსახლარზე აღმოჩნდა ცხოველების ძვლები, შედარებით მრავლადაა მსხვილფეხა საქონლის ძვლები, ნაპოვნია აგრეთვე წვრილფეხა საქონლისა და ღორის ძვლებიც.

ნაციხვარის ნამოსახლარზე აღმოჩენილი კერამიკული კომპლექსი ახლო დგას ცენტრალურ და სამხრეთ ამიერკავკასიაში გამოვლენილ ენეოლითური ხანის მასალასთან. აქაც გვხვდება თიხის ჭურჭლის თითქმის საკვლებით ისეთივე ფორმები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაბლაგომის ენეოლითურ მასალაში აშკარად შეინიშნება აგრეთვე გარკვეული მსგავსება კოლხეთის დაბლობზე გამოვლენილ ადრეული ხანის ნამოსახლარებთან, რომლებიც ერთგვარად თავისებურ ხასიათს ატარებენ და საგრძნობლად განსხვავდებიან ამიერკავკასიის სხვა ენეოლითური ძეგლებისაგან. მაგრამ, როგორც ნაციხვარის ენეოლითური მასალიდან ჩანს, უფრო მჭიდრო ურთიერთობა აქვთ აღმოსავლეთ საქართველოს ენეოლითურ კულტურასთან.

1951 — 1952 წწ. სოფ. ძევრის მახლობლად გამოქვაბულ ს ა გ ვ ა რ ჯ ი ლ ე შ ი, ძველი და ახალიქვის ხანის მასალასთან ერთად, ზედა ფენებში აღმოჩენილი იყო ენეოლითის ხანის ძეგლები. ენეოლითური ფენა უშუალოდ მოსდევდა ნეოლითურს.

ენეოლითურ ფენაში მრავლად აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნატეხები. კერამიკა აქ თავისებურია; თიხის ცომის დამუშავებისა და გამოწვის ტექნიკის მიხედვით რამდენიმე ჯგუფი გამოირჩევა. ზოგიერთ ჭურჭელს ენეოლითური კერამიკისათვის დამახასიათებელი ნახევარსფეროსებრი ყური აქვს. კერამიკა სრულიად სადაა. კარგადაა წარმოდგენილი აგრეთვე ქვის, ძვლისა და რქის იარაღები. ეს იარაღები ჯერ კიდევ ახლო დგას ნეოლითის ფენაში აღმოჩენილ ამგვარსავე იარაღთან, თუმცა მაინც შეინიშნება უკვე ერთგვარი გაუმჯობესება. კაჟის იარაღიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ისრისა და შუბის პირები. ესენი ნეოლითურთან შედარებით მოზრდილებია; თანაც ახლა უფრო ნაკლებად გვხვდება ყუნწიანი ისრის პირები, სამაგიეროდ უფრო მეტია ქუსლიანი და ქუსლამოღარული შუბისა და ისრის პირები, რომლებიც ნეოლითში სრულიად არ გვხვდება. ერთგვარი განსხვავება შეიმჩნევა აგრეთვე რქის იარაღშიც. რქის თოხები ახლა უფრო მცირე ზომისაა და უფრო კოხტად ნაკეთები, ვიდრე ნეოლითური.

ლითონისა სულ რეა ნივთი აღმოჩნდა: სადგისები და ანკესები. საყურადღებოა, რომ ეს უკანასკნელნი თითქმის საკვლებით ისეთივე ფორმისა არიან, როგორც საგვარჯილეს ნეოლითურ ფენაში ნაპოვნი ძვლის ანკესები.

ო ჩ ა მ ჩ ი რ ი დ ა ნ დაახლოებით 5 კმ დაშორებით სამშენებლო სამუშაოების დროს, იმ ადგილას, სადაც მდ. ჯიქიმურა ზღვას ერთვის, სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა მეტად საყურადღებო მასალა. აქ, სამ ბორცვზე განლაგებულ ძველ ნამოსახლარზე ორი კულტურული ფენა გამოვლინდა. ზედა ანტი-

ეურ ხანას ეკუთვნოდა, ქვედა ფენა კი დაახლოებით ზღვის დონეზე იყო და შეიცავდა თიხის ჭურჭლის ნატეხებს, ხელსაფქვავის ქვებს, ძვლის იარაღს, დიდი რაოდენობით ცხოველების ძვლებსა და სხვ.

ამ ფენაში მოპოვებული კერამიკა სამწუხაროდ ძლიერ დალეწილია. უპირატესად გვხვდება ქილისებრი ფორმის ჭურჭლის ნატეხები. შედარებით იშვიათია ღრმა ჯამები, ცალყურა თუ უყურო სასმისები, ქოთნისმაგვარი ჭურჭელი და სხვ. ჭურჭლის ყური ჩვეულებრივად პატარაა, მრგვალი, ზოგჯერ ბრტყელი. უფრო მოზრდილ ცალებს ხშირად ყურის ნაცვლად შვერილები აქვს. გვხვდება ჭურჭელი, რომელსაც ძირზე ატყვია ჭილობის ანაბეჭდი. საერთოდ ეს ჭურჭელი მეტად ტლანქია, ხელით ნაძერწი, სქელკედლიანი. იგი გამომწვარია ღია ცეცხლზე, სუსტად და არათანაბრად, ორნამენტი იშვიათია. უპირატესად გვხვდება მარტივი სამკაული — სწორი თუ ირიბი ჭდეული ხაზები, სამკუთხედები და სხვ.

შედარებით მრავლად აღმოჩნდა ამ ნამოსახლარზე ქვისა და ძვლის იარაღი. ქვის იარაღი უმთავრესად კაჟისა და რიყის ქვისაგანაა ნაკეთები. გვხვდება ცულები, თოხები, საწაფები და სხვ. კაჟის ქვისა აღმოჩნდა საჭრისები, საფხეკები, სახვრეტები, ისრისა და შუბის პირები, ნუკლეუსები, ხერხისა და ნამგლის პირები და სხვ. ძვლის იარაღებიდან აღსანიშნავია სადგისები, სატეხი, გახვრეტილი რქის თოხი და სხვ.

როგორც ნამოსახლარზე მოპოვებული მასალიდან ჩანს, მიწათმოქმედება აქ საკმაოდ დაწინაურებული უნდა ყოფილიყო. ამას მოწმობს ნამოსახლარზე მოპოვებული სამიწათმოქმედო იარაღები: კაჟის ნამგლის პირები, ქვისა და რქის თოხები, ხელსაფქვავის ქვები და სხვ. მიწათმოქმედების გვერდით, ჩანს, ვითარდებოდა აგრეთვე მესაქონლეობაც. კულტურულ ფენაში მრავლად აღმოჩნდა საქონლის ძვლები. ამათგან ყველაზე ჭარბადაა ძროხის ძვლები. აქაც, ალბათ, უპირატესად მსხვილფეხა საქონლის მოშენებას მისდევდნენ. კარგადაა წარმოდგენილი აგრეთვე ღორის ძვლებიც. მეღორეობისათვის ამ პერიოდში კარგი პირობები უნდა ყოფილიყო. ტყიანი ადგილები ამისათვის უთუოდ ხელსაყრელ პირობებს ქმნიდნენ. წვრილფეხა საქონლის ძვლები აქ შედარებით მცირე აღმოჩნდა. მეცხვარეობის განვითარებისათვის, ჩანს, კოლხეთში იმ დროს სათანადო პირობები არ იყო. ტყიანი ლანდშაფტი საამისოდ ნაკლებად ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო.

გარდა ამისა, აქვე მრავლად იყო ნაპოვნი გარეული ცხოველების ძვლები, უპირატესად გარეული თხისა და ირმის. კოლხეთის ტყიან და მაღალმთიან ადგილებში მონადირეობისათვის ხელსაყრელი პირობები ყოფილა. მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა აგრეთვე მეთევზეობასაც; დიდი რაოდენობით აღმოჩნდა აქ ბადის საწაფები, ზოგან თევზის ძვლებიც.

ოჩამჩირის ენეოლითურ ნამოსახლარზე მოპოვებული მასალა ფარკვეულ მსგავსებას იჩენს კოლხეთის დაბლობის ადრეული ხანის სხვა მასალებთან. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ანაკლიის მახლობლად გათხრილ დიხა გუძუბას ქვედა ფენაში მოპოვებული მასალა, თუმცა ეს უკანასკნელი შესაძლოა რამდენადმე უფრო ახალგაზრდა იყოს.

ამრიგად, ენეოლითური ხანის ნამოსახლარები საქართველოს ტერიტორიაზე საკმაოდ დიდი რაოდენობითაა გამოვლენილი. დასახლებისათვის, როგორც

ჩანს, ირჩევდნენ იმდროინდელი მეურნეობისათვის ხელსაყრელ ადგილებს. ენეოლითური ნასოფლარები გვხვდება დაბლობში, დიდი მდინარეების მახლობლად; აგრეთვე საკმაოდ მაღლობ ადგილებზე, პლატოებზე, სადაც სამიწათმოქმედოდ კარგი პირობები უნდა ყოფილიყო. ამ პერიოდის ნასოფლარებს ძირითადად ისეთ რაიონებში ვხვდებით, სადაც მიწათმოქმედობისათვის ახლაც კარგი პირობები ჩანს.

ქართლის ბარი დღესაც უმთავრესად სამიწათმოქმედო რაიონს წარმოადგენს. წალკის პლატოზე, რომელიც ზღვის დონიდან დაახლოებით 2000 მეტრზე მდებარეობს, უთუოდ ხელსაყრელი პირობები იყო მიწათმოქმედებისათვის. მართლაც, აქ ძველთაგანვე თითქმის თანაბრად ვითარდებოდა როგორც მესაქონლეობა, ისე მიწათმოქმედება.

ეტყობა ამ პერიოდში საგვარეულო სოფლები ზოგჯერ არც თუ ისე დაშორებული იყო ერთმანეთისაგან. განსაკუთრებით კარგად ჩანს ეს ამ უკანასკნელ ხანებში შიდა ქართლში მიკვლეული მასალებიდან. ურბნისში სამიოდე კილომეტრის მანძილზე ორი საკმაოდ მძლავრი ენეოლითური ნასოფლარი აღმოჩნდა. სტალინირის მახლობლად აგრეთვე რამდენიმე ადგილას იქნა დამოწმებული ამ პერიოდის ძეგლები: სტალინირში, ქვასათალში, ტყვიავში და სხვ. უშუალოდ სტალინირის მიდამოებში ენეოლითური ხანის მასალა აღმოჩნდა სამგან: ნაცარგორაზე, ზღუდრის გვერდზე და ქულბაქებზე. ძველი ნამოსახლარების ამგვარი სიხშირე შესაძლოა იმით იყოს გამოწვეული, რომ სოფლის მახლობლად მდებარე მიწების გამოფიტვის გამო ესა თუ ის მიწათმოქმედი გვარი ან ტომი იძულებული ხდებოდა მიეტოვებინა ძველი სოფელი და ყოველ ორ-სამ ათეულ წელიწადში მთლიანად ახალ ადგილზე გადასულიყო. ამის მოწმობა უნდა იყოს თითქოს ის, რომ სადღეისოდ ცნობილ ენეოლითურ ნასახლარებზე არსად არ ჩანს ხანგრძლივი დასახლების კვალი. ამ პერიოდის საგვარეულო სოფელი არც თუ ისე დიდი იყო. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ხიზანაანთ გორისა და ქვაცხელების მაგალითზე. საფიქრებელია, რომ აქ სულ რამდენიმე საოჯახო სახლი უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, ბორცვები მეტად მჭიდროდ იყო დასახლებული და სახლები ერთიმეორესთან ძალიან ახლოს განლაგებული. შენგავითში (სომხეთი), სადაც ამ პერიოდის ნამოსახლარი შედარებით უკეთაა შესწავლილი, სახლები ერთმანეთისაგან დაახლოებით ოციოდე ნაბიჯით ყოფილა დაცილებული. უნდა აღინიშნოს, რომ შენობების ამგვარი სიმჭიდროვე საერთოდ დამახასიათებელი იყო ადრეული ხანის სამიწათმოქმედო სოფლებისათვის.

ამ პერიოდში საცხოვრებელ შენობებს მიწის ზემოთ აგებდნენ. მიწურები და ნახევრად მიწურები ამიერკავკასიის ენეოლითური კულტურისათვის სრულიად უცნობია. ზომიერი ჰაერის პირობებში ამგვარი საცხოვრებლით სარგებლობის საჭიროება სრულიად არ იყო. შენობის ასაგებად იყენებდნენ ხეს, ქვას, თიხას. ბეშთაშენის ენეოლითურ ნამოსახლარზე აღმოჩნდა ოთხკუთხა ნაგებობის ქვის საფუძველი. სოფ. ოზნში ამავე პერიოდის ფენაში ნაპოვნია მრგვალი ნაგებობის საფუძვლის ნაწილი, რომელზედაც საფიქრებელია ძველი მეგრული ფაცხის მსგავსი ხის ნაგებობა იყო ამოყვანილი. ქვის საფუძვლის მიხედვით შეიძლება დაახლოებით გამოვიანგარიშოთ ამ ნაგებობის სიმაღლე (2, 75 მ).

ქვის წყობის გვერდით, მის გარეთ, აღმოჩნდა ისეთივე მრგვალი კერის ფრაგმენტები, როგორიც დამოწმებულია შენგავითის მრგვალ შენობებში.

ამიერკავკასიის ენეოლითური ნამოსახლარის შესახებ შედარებით უკეთეს წარმოდგენას გვაძლევს შენგავითი. აქ ჯერ კიდევ გათხრებამდე კარგად მოჩანდა ზედაპირზე დაახლოებით 7 მ დიამეტრის ქვის მრგვალი წრეები, რომლებიც ერთიმეორისაგან 20—30 ნაბიჯით იყო დაცილებული. როგორც გაირკვა, ქვის ეს მრგვალი წყობა წარმოადგენდა მრგვალი სახლის საფუძველს, რომელსაც მიდგმული ჰქონდა ოთხკუთხა ნაგებობა. შენობები სხვადასხვა ზომისა იყო. ერთერთი მათგანის მრგვალი ნაწილის დიამეტრი უდრიდა 6 მ; შენობის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელში კარი იყო, რომელიც მას ოთხკუთხა ნაგებობასთან აკავშირებდა. ასეთივე ოთხკუთხა ნაგებობა მრგვალ ოთახს სხვა მხრიდანაც ჰქონდა მიდგმული. ერთერთი შენობის მრგვალი ოთახის დიამეტრი უდრიდა 7,5 მ, ამავე შენობის სწორკუთხა ნაგებობისა კი 14×7 მ. შენგავითის შენობის კედლები ამოყვანილი იყო ალიზით. სწორკუთხა ნაგებობანი გადახურული უნდა ყოფილიყო ბანურად, მრგვალს კი კონუსისებრი სახურავი უნდა ჰქონოდა.

აქვე შევნიშნავთ, რომ მრგვალი საცხოვრებელი კარგად იყო ცნობილი ადრეულ ხანაში მესოპოტამიასა და ხმელთაშუა ზღვის კულტურულ სამყაროში. არპაჩიას ბორცვის ადრეულ ფენებში აღმოჩენილ მრგვალ შენობებს აგრეთვე სწორკუთხა ნაგებობები ჰქონდა მიდგმული.

როგორ იყო მოწყობილი საცხოვრებელი შიგნით, ჯერ კიდევ ძნელი სათქმელია. როგორც ჩანს, ზოგჯერ მრგვალი შენობების ცენტრში იდგა მრგვალი, დაახლოებით 1,0 მ დიამეტრის თიხის კერა. ამგვარი კერები ჩვეულებრივად მიწაზე იდგმებოდა და შესაძლებელი იყო მათი გადატანა. ზოგჯერ კერა მიწაში იყო ჩადგმული, როგორც ეს სოფ. ოზნში აღმოჩენილი კერის მაგალითიდან ჩანს. გარდა მრგვალი კერისა, საცხოვრებელში იყო აგრეთვე რამდენიმე ქვისაგან შემდგარი ჩვეულებრივი კერა. ამგვარი კერის მახლობლად ხშირად ჩნდება ხოლმე თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, ხელსაფქვავის ქვები, როდინი და სხვ.

საცხოვრებლის იატაკზე, მოზრდილ ჭურჭლებში ხშირად პოულობდნენ სხვადასხვა მარცვლეულის ნაშთებს. მრავლად გვხვდება აგრეთვე საცხოვრებლის შიგნით ცხოველთა ძვლებიც. როგორც ჩანს, საცხოვრებელი არა მარტო თავშესაფარი ყოფილა, არამედ აქვე ინახავდნენ სანოვაგესაც. შესაძლოა, საცხოვრებლის შიგნით ჯერ კიდევ არ იყო სანოვაგის შესანახად ცალკე გამოყოფილი სათანადო ადგილი.

კერამიკა. ყველაზე ჭარბად ენეოლითური მასალებიდან წარმოდგენილია კერამიკა. ამ პერიოდის თიხის ჭურჭელი ხასიათდება ძერწვის არქაული წესით; ნაკეთებია ხელით, უმორგვოდ. იგი გამოირჩევა მეტად მდიდარი, მრავალფეროვანი და თანაც თავისებური ფორმებით. თიხის ჭურჭლიდან უპირატესად გვხვდება: ჯამები, დერგები, ქილები, ქოთნები, ფიალები, ბადიები და სხვ. (ტაბ. VII, 1, 2). საყურადღებოა მოშავო-მოვარდისფრო მაღალი და ფართოყელიანი ჭურჭელი ჩვეულებრივად ყელისა და მხრის საზღვარზე მიძერწილი ორი ნახევარსფერული პატარა ყურით. ზოგიერთი ხასიათდება კარგად მოკრიალებული ზედაპირით, ზოგჯერ ვარდისფერი სარჩულით. აღსანიშნავია შედარე-

1





2



3 4



7

5



6

8

ბით თხელკედლიანი შავი ფერის ვიწრო და შედრეკილძირიანი ჭურჭელი, ხშირად გეომეტრიული სახეებით შემკული. მეტად თავისებურია ენეოლითური კერამიკის შემკულობა. გვხვდება რელიეფური ორნამენტი, უპირატესად კი სპირალური შემკულობა. ზოგჯერ რელიეფურად გამოყვანილი რაღაც ფიგურები, ხშირია სხვადასხვა გეომეტრიული სახეები და სხვ.

ენეოლითური კერამიკა თავისი გავრცელების ფართო ტერიტორიაზე თითქმის უცვლელად ინარჩუნებს მისთვის დამახასიათებელ თავისებურებას; თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ცალკეული ჯგუფისათვის მაინც შეიძლება გამოიყოს საკუთარი, სპეციფიკური სახე. შიდა ქართლის ამ პერიოდის თიხის ჭურჭელი, რომელიც ძირითადად თითქმის ყველა იმ ნიშან-თვისებით ხასიათდება, რომლებიც საერთოდ ენეოლითური კერამიკისათვისაა დადგენილი, მაინც ერთგვარ თავისებურ სახეს ატარებს; კერძოდ, მისთვის ნაკლებად დამახასიათებელი ჩანს ორნამენტაციის ის მოტივები, რომლებიც ამ პერიოდის კერამიკას ახასიათებს. იგი თითქმის სრულიად სადაა.

ადრეული საფეხურის კერამიკული მასალა სხვასთან შედარებით უთუოდ უფრო მეტის მთქმელია. იგი უკეთ ავლენს ამა თუ იმ კულტურას, თუ ცალკეულ კულტურათა ლოკალური ვარიანტებისათვის დამახასიათებელ თავისებურებას. მისი სწორი ანალიზი მეტად მნიშვნელოვან მონაცემებს იძლევა ისეთი საკითხების გადასაჭრელად, როგორიცაა კულტურის წარმომავლობის საკითხი, ლოკალური ჯგუფების გამოვლენა და სხვ. სამწუხაროდ, ჩვენი ენეოლითური კერამიკა სადღეისოდ ჯერ კიდევ საფუძვლიანად შესწავლილი არ არის. ჯერ-ჯერობით გამოვლენილია ამ კულტურის მხოლოდ თიხის ნაწარმის თავისებური ნაწილი და ცალკეული ჯგუფებისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი რამ.

ქვის იარაღი. ენეოლითურ ფენებში უმთავრესად გვხვდება კაჟის, ობსიდიანის და ობსიდიანის იარაღი. იგი კარგადაა დამუშავებული, მაგრამ ძირითადად ჯერ კიდევ ატარებს ნეოლითური ტექნიკის კვალს. ენეოლითში ისევ ცოცხლობს ქვის იარაღის ის ფორმები, რომლებიც ნეოლითში შეინიშნება. კაჟის იარაღებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ისრის პირები (ტაბ. VII, 6, 8). ამათგან უპირატესად გვხვდება ყუნწიანი ისრის პირები, რომლებიც მოყვანილობით ჯერ კიდევ ახლო დგანან ნეოლითურ ისრის პირებთან, კერძოდ, თეთრამიწის ამგვარსავე იარაღთან.

გარდა ამისა, აღსანიშნავია აგრეთვე კაჟის დაკბილული ფირფიტები (ტაბ. VII, 5). ამგვარი იარაღი ხშირად გვხვდება ენეოლითურ ფენებში. ერთი ნაწილი ამ იარაღისა უთუოდ კაჟის ნამგლის პირებს წარმოადგენდა, მეორე კი ალბათ კაჟის ხერხის პირები უნდა ყოფილიყო. ჩვენში კაჟის დაკბილული ფირფიტები უკვე ნეოლითიდანაა ცნობილი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ კაჟის ნამგალს ჩვენში უკვე ნეოლითის მიწურულიდან იცნობდნენ.

კაჟის ქვის სხვა იარაღთაგან მრავლადაა დანები, სახვრეტები, საჭრისები და სხვ. ხშირია აგრეთვე ობსიდიანის იარაღიც. იგი ზოგან კიდევაც სჭარბობს კაჟის იარაღს. გვხვდება ობსიდიანის დანები, სახვრეტები, საჭრისები, ისრის პირები და სხვ.

ამ პერიოდის ქვის იარაღიდან საყურადღებოა ლახტისა და კვერის თავები. კვერის თავი ნაპოვნია ნაცარგორის ერთერთ სამარხში. სადღეისოდ ამგვარი

კვერის თავი ამიერკავკასიაში ცნობილია მხოლოდ შენგავითიდან. ამ ტიპის იარაღი აღმოჩენილია წინა აზიის საკმაოდ ადრეული ხანის ფენებში: ალიშარის ბორცვზე, თეფე-გავრაზე, ტროაში და სხვ.

ლახტის თავიც ჩვენში სადღეისოდ მხოლოდ ერთი ცალია აღმოჩენილი ტყვიავის ერთერთ ყორღანში. თავისი ფორმით ეს ლახტის თავი უახლოვდება თრიალეთის ადრეული ბრინჯაოს ხანის ყორღანში ნაპოვნ ჰემატიტის ლახტის თავს. ლახტისმაგვარი რამდენიმე იარაღი აღმოჩნდა შენგავითის ნასოფლარზე. ქვის ლახტის თავები საერთოდ კარგად იყო ცნობილი წინა აზიის ენეოლითური ფენებიდან (ალიშარის ბორცვი, თეფე-სიალკი და სხვ.).

აღსანიშნავია თრიალეთში აღმოჩენილი ტლანქად დამუშავებული ქვის იარაღი — ე. წ. „კულპის" ტიპისა, რომელსაც ტარის უკეთ დამაგრების მიზნით ზედა ნაწილზე ღარი შემოუყვება. მსგავსი იარაღი ამიერკავკასიაში ცნობილია შრეშ-ბლურის, ელარის, კილიგდაღისა და სხვ. ენეოლითური ნასახლარებიდან. ამგვარი იარაღი ცნობილია აგრეთვე მცირე აზიიდან, კერძოდ, ალიშარის ბორცვის პირველი ფენიდან.

თითქმის ყველა ენეოლითურ ნამოსახლარზე ნაპოვნი იყო ხელსაფქვავის ქვები, უპირატესად „ნავისებური" ფორმის. გვხვდება აგრეთვე როდინის ქვები, სანაყები, გახვრეტილი ქვები, საწაფები და სხვ.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ აღმოსავლეთ საქართველოში და საერთოდ ცენტრალური ამიერკავკასიის ენეოლითური სადგომების ფენებში დღემდე თითქმის სრულიად უცნობია ქვის ცულები, მიწის დასამუშავებელი ქვის თოხები, სატეხები, საჭრეთლები და სხვ. როგორც ცნობილია, ამ ტიპის იარაღები კარგადაა წარმოდგენილი ჩვენში უკვე ნეოლითურ ფენებში. რა არის მიზეზი იმისა, რომ ენეოლითში ეს იარაღები თითქმის აღარა გვხვდება, ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობთ, ამას ვერ მივაწერთ ლითონის შემოსვლას. ლითონი ჯერ კიდევ უმნიშვნელო როლს ასრულებდა და, რა თქმა უნდა, მას არ შეეძლო ქვის სამეურნეო იარაღის განდევნა. ამის მიზეზი უფრო მეურნეობრივი ხასიათის ცვლილებებში უნდა ვეძიოთ.

ხულ სხვაგვარ სურათს იძლევა დასავლეთ საქართველოს ენეოლითური მასალა. საგვარჯილის და ოჩამჩირის ენეოლითური ნასოფლარების ფენებში მრავლად აღმოჩნდა რიყის ქვის ცულები, თოხები და სხვა იარაღიც, რომლებიც თითქმის სრულიად არ განსხვავდება ნეოლითის ამგვარივე იარაღისაგან. როგორც ჩანს, აქ სამეურნეო ცხოვრებაში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ უნდა მომხდარიყო და ენეოლითში კვლავ გამოირჩევა იგივე იარაღი, რომელიც ჯერ კიდევ ნეოლითში იყო ცნობილი.

რქისა და ძვლის ნივთები. ძვლის და რქის იარაღი შედარებით იშვიათად გვხვდება. ძვლის იარაღიდან აღსანიშნავია სახვრეტები და სადგისები (ტაბ. VII, 7). საგვარჯილის ენეოლითურ ფენაში ნაპოვნი ძვლის ანკესები სავსებით ისეთივეა, როგორიც აქაური, ნეოლითური ძვლის ანკესები. ცნობილია აგრეთვე ძვლის ისრის პირები და კვირისტავები. რქის იარაღებიდან აღსანიშნავია რქის თოხები. ეს იარაღი ჩვენში სადღეისოდ ცნობილია მხოლოდ ოჩამჩირიდან და საგვარჯილიდან. საგვარჯილეში რქის თოხისმაგვარი იარაღი კარგადაა წარმოდგენილი აგრეთვე ნეოლითურ ფენაში. თავის დროზე, ჩანს, იგი მიწის დასამუ-

შავებლად საკმაოდ მოხერხებული უნდა ყოფილიყო და ამიტომაცაა, რომ მიწათმოქმედების ადრეული საფეხურის ერთერთ დამახასიათებელ იარაღს წარმოადგენს.

ლითონის ნივთები. ლითონის ნივთები ენეოლითური ნამოსახლარებიდან ჯერ კიდევ მეტად იშვიათია. ოზნის ნასოფლარის ფენებში ნაპოვნია ორი სადგისი და ერთი დანისებრი ფირფიტა; ნაცარგორის ამ პერიოდის ერთერთ სამარხში ორი წვრილი მავთულის რგოლი და ერთიც სპილენძის მანჭვალი; ტყვიავის ყორღანში აღმოჩენილია ოთხწახნაგა სადგისი, პატარა დანისებრი იარაღი და ერთი რგოლი. ოთხწახნაგა სადგისი აღმოჩნდა აგრეთვე ურბნისში, „ხიზანაანთ გორაზე". სადღეისოდ ყველაზე მეტი ლითონის ნივთი მოგვცა საგვარჯილის ენეოლითურმა ფენამ. აქ ნაპოვნია ლითონის რვა ნივთი: სადგისები და ანკესები (ტაბ. VII, 3, 4). ყველაზე ხშირად ამ პერიოდის მასალაში ლითონის ნივთებიდან გვხვდება ოთხწახნაგა სადგისი. ეს იარაღი საერთოდ კარგადაა ცნობილი ლითონის გაჩენის ადრეულ საფეხურზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია საგვარჯილეში ნაპოვნი ლითონის ანკესები. ისინი თითქოს იმეორებენ აქვე, ნეოლითის ფენაში ნაპოვნი ძვლის ანკესების ფორმას. ლითონის ანკესი აქ ორი ტიპისა გვხვდება: ერთი უფრო მოზრდილი და გაშლილი, მეორე შედარებით პატარა ზომის, მომრგვალებული. ლითონის ანკესი ამ პერიოდში საერთოდ მეტად იშვიათია. ჩვენს ანკესებთან ძალიან ახლო დგას უკანასკნელ ხანებში ადრეულ ტრიპოლიეს კულტურაში აღმოჩენილი ანკესები.

ლითონის ეს პირველი ნივთები ციცადაა ნაჭედი. სადღეისოდ ცნობილია მხოლოდ საგვარჯილეში ნაპოვნი სადგისის ქიმიური ანალიზი. როგორც ჩანს, იგი სუფთა სპილენძისგანაა ნაკეთები. უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენში აღმოჩენილი ლითონის სხვა ნივთებიც სუფთა სპილენძისაა და შესაძლოა ადრინდელი ტრიპოლიეს კულტურის ლითონის ნივთების მსგავსად, ჯერ კიდევ თვითნაბადი სპილენძისგანაა დამზადებული.

მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. ენეოლითის ხანაში ჩვენში განსაკუთრებით ვითარდება მიწათმოქმედება. მეურნეობის ამ დარგის გარკვეული დაწინაურება უკვე ნეოლითურ კულტურაში შეინიშნება. მომდევნო ხანაში იგი კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ადის და, როგორც ჩანს, ენეოლითში მეურნეობის ძირითად დარგად იქცევა. ამ პერიოდის ნასოფლარებზე თითქმის ყოველთვის გვხვდება მიწის დასამუშავებელი იარაღი, ნამგლის პირები, ხელსაფქვავის ქვები. მარცვლეულის შესანახი ჭურჭელი, ზოგჯერ თვით მარცვლეულის ნაშთებიც და სხვ. სადღეისოდ ჯერ კიდევ საკვლევი ნათელი არ არის მიწათმოქმედების რა ფორმა უნდა ყოფილიყო ამ პერიოდში. მიწას, ჩანს, ისევ ქვის, რქის და ხის იარაღით ამუშავებდნენ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ენეოლითურ მასალებში უშუალოდ მიწის დასამუშავებელი იარაღი მეტად იშვიათად გვხვდება. მიწის დასამუშავებელი რქის იარაღი, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ნასოფლარებიდან. ეარც ქვის თოხები ჩანს ამ პერიოდისათვის მაინცადამაინც დამახასიათებელი. ამიტომაც ეგებ მიწას ძირითადად ხის იარაღით ამუშავებდნენ. საფიქრებელია, რომ ამ პერიოდიდან, მისი მეორე ნახევრიდან, მიწის დასამუშავებლად უკვე ხის პრიმიტიული სახვნელი იყო გამოყენებული, რომელშიაც

გამწევ ძალად, შესაძლოა, ხარს იყენებდნენ. შინაური ცხოველებიდან ხარი ამ დროს, ჩანს, ყველაზე გავრცელებული ცხოველი იყო.

უნდა ვივარაუდოთ, რომ დასათესი ფართობი უშუალოდ სოფლის მახლობლად მდებარეობდა. რა თქმა უნდა, დამუშავების შედეგად წლების მანძილზე მიწის ეს ფართობი თანდათანობით იფიტებოდა და სულ უფრო და უფრო ნაკლებად გამოსადეგი ხდებოდა. თანდათანობით იწყებოდა უფრო მოშორებით მდებარე მიწების დამუშავება. მოსახლეობა შემდეგში ალბათ ტოვებდა თავის ძველ სოფელს და ამ ახალ ადგილზე გადმოდიოდა. შესაძლოა მიწათმოქმედმა ტომებმა იცოდნენ აგრეთვე მიწის დასვენების წესიც და დასამუშავებელი ფართობის ერთ ნაწილს გარკვეული დროით ასვენებდნენ.

მოსავალს, როგორც ჩანს, ძირითადად კაჟის ნამგლით იღებდნენ. ენეოლითურ ფენებში ხშირად გვხვდება კაჟის დაკბილული ნამგლის პირები (ტაბ. VII, 5). კაჟის ნამგალი ჩვენში უკვე ნეოლითიდან იყო ცნობილი და წინა აზიის სხვა ქვეყნების მსგავსად, საკმაოდ დიდხანს შემორჩა. ლითონის ნამგალი ჩვენში ვრცელდება მხოლოდ გვიანი ბრინჯაოს ხანიდან. რა თქმა უნდა, მოსავლის აღების ალბათ სხვაგვარი წესიც არსებობდა. არ არის გამორიცხული, რომ ამ პერიოდში თავთავს ხელითაც გლეჯდნენ. საყურადღებოა, რომ საქართველოში უკანასკნელ ხანებამდე ენდემური ჯიშების — მახას და ზანდურის აღების თავისებური წესი არსებობდა. პირველად იკრიფებოდა თავთავი „შნაკვით", რომელიც თავში მოძრავად შეკრულ ორ ჯოხს წარმოადგენდა; ღერო გარკვეული დროის მანძილზე მინდვრად რჩებოდა. ნიშანდობლივია, რომ ეს წესი დამოწმებულია აგრეთვე ესპანეთში (ასტურიაში), სადაც ადგილობრივი პურეულის „სპელტას" მოსაკრეფად შნაკვისმაგვარ იარაღს ხმარობენ. მარცვლეულს ფქვავდნენ ხელსაფქვავებით. საჭირო იყო აგრეთვე მარცვლეულის შენახვა მომავალ მოსავლამდე. მარცვლეულს, ჩანს, ინახავდნენ მოზრდილ ჭურჭლებში. ურბნისში თიხატკეპნილი იატაკის გაწმენდის შემდეგ აღმოჩნდა მოზრდილი ჭურჭლის ფრაგმენტები და მარცვლეულის ნარჩენები. გარდა ამისა, მარცვლეულს ინახავდნენ აგრეთვე ორმოებშიაც. ამგვარი ორმოები გვხვდება ხოლმე ენეოლითურ ნასოფლარებზე.

ენეოლითურ ფენებში მოპოვებული მარცვლეული ახლო დგას ამიერკავკასიაში ახლაც კარგად ცნობილ გარეულ ჯიშებთან. ნიშანდობლივია, რომ საქართველოში დღესაც ცნობილია ერთერთი უძველესი სახეობა — მახა, რომელიც წარმოადგენს გარდამავალ ფორმას გარეულიდან კულტურული ტიპის ხორბალზე. ეს ფორმა ენდემურ (ადგილობრივ) სახეობას მიეკუთვნება და საქართველოს გარეთ დღემდე სრულიად უცნობია. იგი დღეს შემორჩენილია მხოლოდ ლეჩხუმში. როგორც ჩანს, მახა ჩვენში უძველესი დროიდან ყოფილა გავრცელებული. მისი ნაშთები აღმოჩნდა კოლხეთის დაბლობის ერთერთ სამოსახლო ბორცვის უძველეს ფენებში. საქართველოში დღეს ცნობილია აგრეთვე სხვა ენდემური სახეობაც — ზანდური. ეს ფორმაც ვიწრო ლოკალურია. იგი დღეს გავრცელებულია მხოლოდ რაჭა-ლეჩხუმში. ძველ აბორიგენულ კულტურას წარმოადგენს აგრეთვე დიკა, რომელიც ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოშია ცნობილი. გარდა ამისა, გამოირჩევა კიდევ რამდენიმე უფრო წვრილი სისტემატიკური ერთეული, სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზ-

რება, რომ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ გვხვდება ხორბლის ისეთი ნაირსახეობა, როგორიც საქართველოსა და სომხეთში.

მიწათმოქმედებასთან ერთად ენეოლითურ ხანაში გარკვეულ განვითარებას აღწევს აგრეთვე მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ა ც. ამ პერიოდის კულტურულ ფენებში ხშირად ვხვდებით მოშინაურებული ცხოველების ძვლებს (ძროხა, ხარი, ცხვარი, თხა, ღორი და სხვ.). არსებული მასალები თვალსაჩინოს ხდის, რომ ენეოლითურ ნასოფლარებზე მოპოვებული შინაურ ცხოველთა ძვლებიდან მსხვილფეხა საქონლის ძვლები რამდენადმე მაინც ჭარბობს წვრილფეხასას. ამიტომაც, საფიქრებელია, რომ ენეოლითის ხანაში ჩვენში ძირითადად ჯერ კიდევ მსხვილფეხა საქონლის მოშენებას მისდევდნენ. როგორი იყო ამ პერიოდში გავრცელებული მსხვილფეხა საქონელი ამის გარკვევით თქმა ჯერჯერობით ძნელია. დასავლეთ საქართველოს ენეოლითურ ფენებში მოპოვებული ძვლების მიხედვით იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ აქ გავრცელებული ყოფილა პატარა ზომის ძროხა, რომელიც ახლო მდგარა თანამედროვე იმერულ ძროხასთან. დაბლაგომის ენეოლითურ ნასოფლარზე მოპოვებული სადღეებლის ფრაგმენტები კი მოწმობს, რომ უკვე იცოდნენ რძის პროდუქტების მიღებაც.

ის გარემოება, რომ იმხანად ხარი წარმოადგენდა როგორც გამწევ ძალას, ისე ხორცის მომცემ საშუალებას (ხოლო ძროხა ამასთანავე რძის პროდუქტების მიმწოდებელიც იყო), მიუთითებს მეურნეობაში მის (ამ ცხოველების) განსაკუთრებულ როლზე. ამიტომ ბუნებრივია, ხარი კულტის ობიექტი ხდება, მისი გამოსახულებები ხშირად გვხვდება ენეოლითურ ფენებში. ხარის კულტთანაა დაკავშირებული აგრეთვე ამავე პერიოდის მასალებიდან კარგად ცნობილი რქის გამოსახულებებით შემკული სადგარები. ამრიგად, ირკვევა, რომ ხარის კულტი ჩვენში უკვე ენეოლითის ხანიდან არსებობდა.

მსხვილფეხა საქონლის ძვლებთან ერთად ნამოსახლარებში გვხვდება აგრეთვე წვრილფეხა საქონლის ძვლებიც, ოღონდ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მათი ნაშთები შედარებით უფრო მცირეა. ენეოლითურ ხანაში, შესაძლოა, ჩვენში მეცხვარეობის განვითარებისათვის ჯერ კიდევ სათანადო პირობები არ იყო. მეცხვარეობის დაწინაურებას, ეგებ, ერთგვარად ხელს უშლიდა ისიც, რომ ამ პერიოდში ჩვენში უპირატესად ტყიანი ლანდშაფტი უნდა ყოფილიყო; ტყე კი მესაქონლეობის ამ დარგის განვითარებისათვის ნაკლებად ხელსაყრელია. ალპიური საძოვრების გამოყენების საშუალება ჯერ კიდევ, ჩანს, არ ჰქონდათ. საძოვრები უშუალოდ სოფლის მახლობლად მდებარეობდა.

შემდეგში, ენეოლითის გვიანდელ საფეხურზე მეცხვარეობა საგრძნობლად წინაურდება. ამ პერიოდის ნამოსახლარებში უკვე აშკარად ჩანს, რომ წვრილფეხა საქონლის რიცხვი იზრდება. აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიან რაიონში მიწათმოქმედების გვერდით ადრიდანვე დაიწყო მესაქონლეობის განვითარება და ალპიური საძოვრების ათვისება. აქაც, ენეოლითის ბოლოში მეცხვარეობა მეურნეობის ერთერთ მნიშვნელოვან დარგად იქცა.

ენეოლითურ მოსახლობათა ირგვლივ მდებარე საძოვრები თანდათანობით სულ უფრო და უფრო არასაკმარისი ხდება. ამიტომ, ტომის თუ გვარის წევრთა ერთი ნაწილი იძულებულია გადავიდეს მაღალმთიან, საზაფხულო საძოვრებზე, მეორე ნაწილი კი სოფლად რჩება და ძირითადად ისევ მიწის დამუშავებას

მისდევს. ეს საძოვრები სეზონურია და მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ძირითად საქმიანობად უკვე მესაქონლეობას ირჩევს, ჯერ კიდევ ვერ წყვეტს კავშირს თავის სახლთან, საზამთროდ კვლავ შინ ბრუნდება. ამრიგად, საფუძველი ეყრება ე. წ. ნახევრად მომთაბარულ მესაქონლეობას. მაგრამ შემდეგში კავშირი სამიწათმოქმედო ბაზასთან თანდათანობით სუსტდება. მაღალმთიანი რაიონების ათვისება ხელს უწყობდა მესაქონლეობის შემდგომ განვითარებას. მესაქონლე ტომები წინაურდებიან. ამას ხელი შეუწყო მეტალურგიის განვითარებამაც. ბრინჯაოს ხანაში მეცხვარეობა უკვე მესაქონლეობის წამყვანი დარგი ხდება. მეცხვარეობის დაწინაურებას, გარდა ზემოაღნიშნულისა, ხელს უწყობდა აგრეთვე მიწათმოქმედების განვითარება. მიწათმოქმედების განვითარება მოითხოვდა სულ უფრო და უფრო მეტ მიწას, რაც თავის მხრივ იწვევდა ტყის თანდათანობით შემცირებას, გაშლილი ადგილები კი ხელსაყრელი იყო მეცხვარეობის დაწინაურებისათვის.

ამ პერიოდის მასალები გვიჩვენებს მეღორეობის დაწინაურებასაც. მეღორეობისათვის საკმაოდ კარგი პირობები უნდა ყოფილიყო; ვინაიდან ტყიანი ადგილები ხელს უწყობდა მესაქონლეობის ამ დარგის განვითარებას.

მონადირეობა და მეთევზეობა. მონადირეობა, როგორც ჩანს, მეურნეობაში ჯერ კიდევ საკმაოდ დიდ როლს ასრულებდა. ენეოლითურ ნამოსახლარებზე შინაური ცხოველების ძვლებთან ერთად მრავლად აღმოჩნდა გარეული ცხოველების ნაშთები. უპირატესად გვხვდება გარეული თხის, ჯეირნის, შვლის, ირმისა და სხვ. ძვლები. ეს ცხოველები უთუოდ მნიშვნელოვან ხორცეულ მარაგს იძლეოდნენ. განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები იყო მონადირეობისათვის მაღალმთიან და ტყიან ადგილებში. მაგრამ, სავარაუდოა, მესაქონლეობის სულ უფრო და უფრო განვითარება მონადირეობის მნიშვნელობას თანდათანობით ამცირებდა. შინაური ცხოველების ძვლებთან შედარებით, გარეული ცხოველების ნაშთები ამ პერიოდის მასალებში რამდენადმე მაინც ნაკლები ჩანს.

მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მეთევზეობასაც, მაგრამ მას უპირატესად სეზონური ხასიათი ჰქონდა და ერთგვარ დამხმარე საშუალებას წარმოადგენდა. ენეოლითური მოსახლობანი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უპირატესად მდინარეების პირას იყო განლაგებული და თევზის ჭერასაც ალბათ გარკვეული ადგილი ეკავა სამეურნეო ცხოვრებაში. ამ პერიოდის ფენებში ჩნდება ხოლმე ზოგჯერ თევზის ძვლები. ხშირია თევზის საჭერი ბადის საწაფები. საგვარჯილეში ნაპოვნია აგრეთვე ძვლისა და ლითონის ანკესები (ტაბ. VII, 4). გარდა თევზის ჭერის ამ წესისა, არსებობდა ალბათ სხვა საშუალებებიც (წყლის დაწრეტა და სხვ.).

საფიქრებელია, რომ ამ საფეხურზე შემგროვებლობასაც ჯერ კიდევ გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანის ცხოვრებაში.

სოციალური წყობა. ენეოლითის ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე, ჩანს, უკვე თანდათანობით ეცლება საფუძვლები მატრიარქატულ ურთიერთობას. გვარის შიგნით თავს იყრის ისეთი ნიშნები, რომლებიც არსებულ მდგომარეობას ვეღარ ეგუება და ხელს უწყობს გვარის განვითარების კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ასვლას. რა თქმა უნდა, ეს გადასვლა უეცრად არ მომხდარა.

მეურნეობის დაწინაურება და მისი ხასიათის ერთგვარი ცვლილება უთუოდ იწვევდა ქალის უპირატესობის თანდათანობით დაკარგვას მეურნეობაში. მიწათმოქმედება ამ პერიოდში ისეთ სახეს ღებულობს, რომელიც დედაკაცისათვის მეტად რთული ხდება. ენეოლითის ბოლოსათვის ჩვენში შესაძლოა მიწის დასამუშავებლად უკვე იყო პრიმიტიული სახვნელი იარაღი, რომელშიაც გამწევ ძალად ხარს იყენებდნენ. მამაკაცის როლის გაძლიერებას ხელი შეუწყო მესაქონლეობის დაწინაურებამ. ამ პერიოდში მესაქონლეობა წინა საფეხურთან შედარებით საგრძნობლად განვითარდა, მისი მძლავრი წინსვლა განსაკუთრებით შეინიშნება ენეოლითის ბოლოში.

ამრიგად, საფიქრებელია, რომ ენეოლითის ხანაში ქალი თანდათანობით ჰკარგავს თავის უპირატეს მდგომარეობას გვარში; სამაგიეროდ სულ უფრო და უფრო იზრდება მამაკაცის როლი. ბატონდება გვაროვნული საზოგადოების ახალი, უფრო განვითარებული ორგანიზაცია — პატრიარქატი.

ენეოლითური კულტურის გავრცელება. უკანასკნელ ხანებში წარმოებული კვლევა-ძიების შედეგად გაირკვა, რომ IV ათასწლეულის ბოლოსა და III ათასწლეულის პირველ ნახევარში ლითონის გამოჩენის ადრეულ საფეხურზე საქართველოში და საერთოდ ამიერკავკასიაში არსებობდა სრულიად ერთგვაროვანი, თავისებური ენეოლითური კულტურა. სადღეისოდ ეს კულტურა ძირითადად გამოვლენილია სამხრეთ და ცენტრალურ ამიერკავკასიაში. ამ პერიოდის ნამოსახლარები კარგადაა ცნობილი დღევანდელი სომხეთის ტერიტორიაზე: შენგავითი, შრეშ-ბლური, ქიულ-თაფა, მალაქლუ, ელარი, არმავირ-ბლური და სხვ. აზერბაიჯანში ეს კულტურა შედარებით სუსტადაა გამოვლენილი. გვხვდება რამდენიმე ადგილას: უზურლიქ-თეფეს ნამოსახლარი, ნახიჩევნის ქიულ-თაფა და კილიქ-დაღი.

როგორც ამ ბოლო დროის აღმოჩენებიდან ჩანს, აღნიშნული ენეოლითური კულტურა სცილდება ამიერკავკასიის ფარგლებს. სამხრეთით მისი საზღვარი გადის სამხრეთ აზერბაიჯანში, ურმიის ტბის რაიონში, სადაც 1948 წ. ბორცვ გეი-თეფეს გათხრისას აღმოჩნდა ენეოლითური კერამიკა ტიპიური სპირალური ორნამენტით და ნახევარსფეროსებრი ყურებით. ჩრდილოეთით ეს კულტურა გადადის ჩრდილო კავკასიაში. აქ იგი ყველაზე უკეთ გამოვლენილია კაიაკენტის ნამოსახლარზე; ამ კულტურის ელემენტებს ვხვდებით აგრეთვე სოფ. ყობანთან აღმოჩენილ ენეოლითური ხანის მასალაში. ენეოლითური კულტურის გავრცელების ყველაზე ჩრდილოეთი პუნქტი სადღეისოდ გროზნოს მხარეშია (სოფ. ლუგოვოესთან აღმოჩენილი ძეგლები).

ამრიგად, როგორც ჩანს, ენეოლითური კულტურის გავრცელების ძირითადი რაიონია ცენტრალური და სამხრეთ ამიერკავკასია. საფიქრებელია, რომ აქვე მოხდა ამ კულტურის თავისებური სახის ჩამოყალიბება და აქედანვე უნდა გავრცელებულიყო იგი საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე. ამიერკავკასიის ენეოლითური კულტურა გარკვეულ მსგავსებას იჩენს წინა აზიის ამავდროულ კულტურებთან. მაგრამ მიუხედავად ამ ურთიერთობისა, აშკარაა, რომ ამიერკავკასიის ენეოლითს თვითმყოფადი სახე გააჩნია, რომელსაც თავისი ძველი ტრადიციები უნდა ჰქონოდა; ამ კულტურის საწყისები ადგილობრივ ნეოლითურ კულტურაშია საძებარი.

საქართველოში ენეოლითური კულტურა შედარებით ხანმოკლე უნდა ყოფილიყო. ჩვენში მეტალურგიის განვითარებისათვის უთუოდ მეტად ხელსაყრელი პირობები არსებობდა, ამიტომაც, ჩანს, გარდამავალი საფეხური აქ შედარებით სწრაფად დასრულდა და ადრევე დაიწყო კულტურის განვითარების უფრო მაღალი საფეხური — ბრინჯაოს ხანა. ქრონოლოგიურად ამიერკავკასიის ენეოლითური კულტურა უნდა მიეკუთვნებოდეს IV ათასწლეულის ბოლოსა და მესამე ათასწლეულის პირველ ნახევარს.

თ ა ვ ი III

ბრინჯაოსა და რკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლები

§ 5. ადრეული ბრინჯაოს ხანა

ენეოლითური კულტურის დასასრულს ადამიანი სპილენძის ცივად ჭედვიდან უკვე მის გამოდნობაზე გადადის. ლითონის ჩამოსხმა იარაღის დამზადების ძირითადი მეთოდი ხდება და საფუძველი ეყრება უძველესი მეტალურგიის დასაწყისს. იწყება განვითარების ახალი საფეხური — ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ხ ა ნ ა. ბრინჯაოს ხანაში ჩვეულებრივად სამ პერიოდს არჩევენ: ა დ რ ე უ ლ ს, შ უ ა ს ა და გ ვ ი ა ნ ს.*

ბრინჯაოს კულტურის ადრინდელ საფეხურზე კიდევ უფრო წინაურდება მიწათმოქმედება და განსაკუთრებით კი მესაქონლეობა. მართალია ამ პერიოდში ლითონის ნივთები ჯერ კიდევ სპილენძისაა, მაგრამ ახლა მათი დამზადების მეთოდია სრულიად განსხვავებული. გამდნარი ლითონისაგან გაკილებით უფრო მრავალგვარი იარაღის მიღება შეიძლებოდა. უკვე გვხვდება სპილენძის ცულები, სატევრები, დანები და სხვ. მაგრამ სპილენძი რბილი ლითონია და მისგან დამზადებული იარაღი ძალიან ჩქარა გამოდის ხმარებიდან. სპილენძს სხვა ნაკლიც გააჩნდა, რაც ერთგვარად ართულებდა მისგან იარაღის ჩამოსხმას. მის გასალღობად საკმაოდ დიდი სიმხურვალე იყო საჭირო (1056°). ამგვარი ტემპერატურის მიღება იმ დროისათვის არც თუ ისე ადვილი იყო. გარდა ამისა, გამდნარი სპილენძი შედარებით ცუდად ჩამოისხმის. ამიტომაცაა, რომ ქვის იარაღი ამ პერიოდში ჯერ კიდევ დიდ როლს ასრულებს. შემდეგში გაიზარდა მოთხოვნილება უფრო მაგარი და გამძლე ლითონის იარაღებისადმი, რამაც საბოლოოდ მიიყვანა ადამიანი ბრინჯაოს აღმოჩენამდე.

საქართველოში ბრინჯაოს კულტურის ადრეული საფეხურის მასალა ჯერჯერობით ძირითადად სამარხებიდან მომდინარეობს, ნამოსახლარები კი შეუ-

---

* ზოგჯერ ენეოლითსა და ბრინჯაოს კულტურის ადრინდელ საფეხურს ერთ პერიოდად გამოყოფენ და მას სპილენძის ხანას უწოდებენ.

სწავლელია. მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება ითქვას, რომ გვაროვნული საზოგადოება თავისი განვითარების გარკვეულ ნაბიჯებსა დგამდა. ამას მოწმობს ურბნისის ენეოლითურ ნამოსახლარზე აღმოჩენილი კათხისმაგვარი თიხის ჭურჭელი, რომელიც გამდნარი ლითონის ჩამოსასხმელად უნდა გამოეყენებინათ, აგრეთვე შენგაითის (სომხეთი) ნამოსახლარის ენეოლითურ ფენაში ნაპოვნი ცულის ჩამოსასხმელი ქვის ყალიბი. მეტალურგიის დაწინაურებას ამიერკავკასიაში უთუოდ ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ უკვე ენეოლითიდან მოკიდებული მეტად მჭიდრო ურთიერთობა დამყარდა წინა აზიის ქვეყნებთან. ბრინჯაოს ხანაში ეს კავშირი, როგორც ჩანს, კიდევ უფრო ძლიერდება. ბრინჯაოს კულტურის ადრინდელ საფეხურზე გავრცელებული სპილენძის იარაღის ძირითადი ფორმები ძალიან ახლოსა დგას წინააზიურ მასალასთან. მაგრამ, ცხადია, მეტალურგიის განვითარებას ჩვენში თავის მხრივ განაპირობებდა აგრეთვე ისიც, რომ ამიერკავკასია მდიდარი იყო ფერადი ლითონებით.

ადრეული ბრინჯაოს ხანის რამდენიმე ყორღანული სამარხია შესწავლილი თრიალეთში. ამ დროის ყორღანებში ძირითადად ორი ჯგუფი გამოიყოფა. პირველი ჯგუფის ყორღანები უმთავრესად შესწავლილია თრიალეთის სამხრეთ რაიონში, 2200 მ სიმაღლეზე ფარვანის ტბისაკენ გადასასვლელ უღელტეხილთან. ამ ყორღანების დიდი ნაწილი ადრევე დაზიანებული იყო და მხოლოდ ერთ შემთხვევაში აღმოჩნდა ყრილის ქვეშ ხელუხლებელი სამარხი. მასში იპოვნეს სპილენძის ბრტყელი, მოკლე და ფართო სატევრის პირი, სპილენძისავე აბჯრის ნაწილები (ტაბ. VIII, 1, 2, 4), ობსიდიანის ისრის პირი, ოქროს სამი ცილინდრული გადასაკრავი მშვილდისა და ჰემატიტის ლახტის თავი (ტაბ. VIII, 3). არც ამ სამარხში და არც სხვაგან თიხის ჭურჭელი სრულიად არ აღმოჩენილა. ეს გარემოება იქნებ იმით იყო გამოწვეული, რომ შესწავლილი ყორღანები მიეკუთვნებოდა მომთაბარე ხალხს, ანდა, შესაძლოა, საერთოდ ამ მიდამოებში მცხოვრებ მოსახლეობას, რომელიც დროებით ამოსულა მაღალმთიან საძოვრებზე.

მეორე ჯგუფის ყორღანები შედარებით უკეთაა შესწავლილი მდ. ქციისა და მის შენაკადთა ხეობებში. გარეგნულად ეს ყორღანები თითქმის სრულიად არ განსხვავდებიან მომდევნო ხანის ცნობილი ყორღანებისაგან. მეორე ჯგუფის ყორღანები ორმოიანია, ქვა-მიწაყრილიანი. ისინი ჩვეულებრივად დიდი ზომისაა. ერთ შემთხვევაში მარტო ყრილის სიმაღლე 5 მ აღწევდა, ხოლო დიამეტრი — 45 მ. ზოგიერთი სამარხი — ზედაპირიდან 7,5 მ სიღრმეზე აღმოჩნდა. მათი უმეტესობა მრგვალი ფორმისაა, 3-4 მ დიამეტრით. აქაც, ისევე როგორც თრიალეთის უფრო მოგვიანო ხანის სამარხებში, მიცვალებულის ძვლები მეტად ცუდადაა დაცული. მაგრამ ერთ შემთხვევაში მაინც მოხერხდა მიცვალებულის მდგომარეობის დადგენა: იგი აღმოჩნდა გვერდზე მწოლარე, ფეხებმოკეცილი.

ამ ჯგუფის ყორღანების სამარხეული ინვენტარი მეტად ღარიბულია. გვხვდება თითო-ორ-ორლა თიხის ჭურჭელი, რომლებიც ჩვეულებრივად მიცვალებულის თავთან აწყვია (ტაბ. VIII, 9). ლითონის ნივთი ორგანაა ნაპოვნი: ძლიერ დაშლილი რომელიღაც ბრტყელი იარაღის პირი და ოთხწახნაგა ბიპირამიდული სადგისი. ერთერთი ყორღანის ყრილში აღმოჩნდა ვერცხლის მასიური ხვიაც.

სულ 4-5 თიხის ჭურჭელი იყო აღმოჩენილი „მწვანე გორაზე“ (კანაშთაფა). ამ ყორღანის ორმოს ძირზე იპოვეს ერთიმეორისაგან 1,75 მ დაშორებული ორი ჩაღრმავებული პარალელური ზოლი. ამგვარი ზოლები შემჩნეული იყო აგრეთვე სხვა ყორღანებშიაც, მათ ურმის ნაკვალევად მიიჩნევენ. ამრიგად, ხის ურმით მიცვალებულის დასაფლავების წესი თრიალეთში უკვე ბრინჯაოს კულტურის ადრინდელ საფეხურზე შეინიშნება. დაკრძალვის ეს წესი თრიალეთში შუა ბრინჯაოს ხანაშიაც იყო გავრცელებული და ამ პერიოდის ერთ-ერთ ყორღანში აღმოჩნდა კიდეც ასეთი ურემი.

უთუოდ საინტერესოა თრიალეთში სოფ. ხადიკთან შესწავლილი ამავე დროის ერთი ყორღანი. მიცვალებულის ძვლები აქ შედარებით უკეთ იყო შემონახული. მიცვალებული, ჩანს, მარჯვენა გვერდზე ესვენა ძლიერ მოკუნტული, თავით აღმოსავლეთისაკენ, ჩონჩხის ძვლებზე წითელი საღებავის (მუმიის) ხაშთით. შესაძლოა, აქ მიცვალებულის ნაშთის „შეღებვის“ რიტუალთან გვქონდეს საქმე. ინვენტარი ამ ყორღანში ღარიბული აღმოჩნდა და ძირითადად კერამიკით იყო წარმოდგენილი.

თრიალეთის ადრეული ბრინჯაოს ხანის ყორღანებში საერთოდ ღარიბული მასალა აღმოჩნდა. აქ მოპოვებული კერამიკა, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ახლოსა დგას წინამორბედ საფეხურზე გავრცელებულ თიხის ნაწარმთან. ჭურჭელი ჯერ კიდევ ხელითაა ნაძერწი. იგი სქელკედლიანია, კარგად დამუშავებული და გაპრიალებული ზედაპირით. სწორედ ძერწვის ხასიათითა და ზოგი სხვა მომენტებით ენათესავება ყორღანული ჭურჭელი ენეოლითურ კერამიკას. აქაც გვხვდება ვიწროძირიანი და ფართოყელიანი ჭურჭელი ნახევარსფეროსებრი ყურები. მსგავსება შეინიშნება აგრეთვე ორნამენტშიაც. ამგვარი სიახლოვე, რა თქმა უნდა, უთუოდ მათი გენეტიკური კავშირით აიხსნება. მაგრამ მიუხედავად ამისა, აშკარად ჩანს, რომ თრიალეთის ადრეული ბრინჯაოს ხანის კერამიკა რამდენადმე მაინც უფრო განვითარებულია. მართალია იგი ჯერ კიდევ შორსაა შუაბრინჯაოს ხანის ჭურჭლისაგან, მაგრამ მასში უკვე შეინიშნება რიგი ისეთი ნიშნები, რითაც იგი მომდევნო ხანის კერამიკას უკავშირდება. თრიალეთის ამ ხანის კერამიკა ძალიან ახლოსა დგას ჩვენში თანადროულ ძეგლებში მოპოვებულ თიხის ნაწარმთან. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია საჩხერის სამარხებში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი, სამგორის ყორღანის კერამიკა და სხვ.

ლითონის ნივთები თრიალეთის ადრინდელ ყორღანებში მეტად იშვიათია. როგორც აღნიშნული იყო, მხოლოდ ერთ ყორღანში აღმოჩნდა რამდენიმე ლითონის ნივთი. აქ მოპოვებული სატევრის პირები მეტად პრიმიტიული ფორმისაა. ერთერთ ყორღანში ნაპოვნი ოთხწახნაგა სადგისი ჯერ კიდევ ახლოსა დგას ენეოლითურ სადგისებთან. გარდა სპილენძისაგან ნაკეთები ნივთებისა ამ პერიოდის სამარხებში გვხვდება აგრეთვე ძვირფასი ლითონებისაგან ნაკეთები ნივთებიც: ოქროს გადასაკრავები და ვერცხლის ხვია.

ადრეული ბრინჯაოს ხანის ყორღანებში არც ქვის იარაღი აღმოჩნდა მაინცადამაინც. ქვის ნივთებიდან აღსანიშნავია ჰემატიტის ბირთვისებრი ლახტის თავები. ცნობილია, რომ ლახტის თავი წარმოადგენდა როგორც ძალაუფლების სიმბოლოს, ისე საბრძოლო იარაღს. ამ იარაღმა განვითარების საკმაოდ გრძელი

გზა განვლო და გავრცელების დიდ ტერიტორიასაც მიაღწია. ჩვენში ლახტის თავი უკვე ენეოლითის ბოლო საფეხურიდან შეინიშნება. ამ ტიპის იარაღი ნაპოვნი იყო ტყვიავის ერთერთ ყორღანში. ბრინჯაოს ხანაში, განსაკუთრებით მის შუა საფეხურზე, ჩვენში ფართოდ ვრცელდება ქვის ლახტის თავები. თრიალეთურის მსგავსი, ჰემატიტის ლახტის თავები ცნობილია სირიაში, პალესტინაში, საერთოდ მცირე აზიაში და სხვაგან, სადაც მათ ვხვდებით საკმაოდ ადრეულ ფენებში. ამიერკავკასიაში ჰემატიტის ლახტის თავები ცნობილია სტეპანაკერტის ყორღანიდან და ყიზილ-ვანქის სამაროვნის შედარებით უფრო მოგვიანო კომპლექსიდან.

თრიალეთის ადრეული ჯგუფის ყორღანების შესწავლის შედეგად თითქმის შესაძლებელი ხდება ერთგვარად წარმოვიდგინოთ იმდროინდელი საზოგადოების სოციალური სტრუქტურა. ბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე აქ, ენეოლითთან შედარებით, უკვე დასაფლავების სრულიად განსხვავებულ წესსა ვხვდებით. ახლა მიცვალებულს, ჩანს, ისეთ ყორღანულ სამარხში ასაფლავებენ, რომლის ასაგებადაც უთუოდ მთელი გვარის შრომა უნდა დახარჯულიყო. რა თქმა უნდა, ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ საფეხურზე გვარის ყველა რიგითი წევრი ამგვარ სამარხებში იმარხებოდა. ამიტომაც, ეგებ უფრო მართებული იყოს ვიფიქროთ, რომ ამ ყორღანებში დაკრძალული იყო გვარის ბელადი თუ წინამძღოლი. სამარხეული ინვენტარის სიღარიბე კი უთუოდ იმას უნდა მოწმობდეს, რომ გვარის დაწინაურებული და რიგითი წევრების ეკონომიურ მდგომარეობას შორის ჯერ კიდევ დიდი განსხვავება არ ყოფილა.

1950 — 1951 წწ. სამგორის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ პროფ. გ. ნიორაძის ხელმძღვანელობით შეისწავლა ერთერთი ყორღანი, ე. წ. „კოხრას გორა". კოხრას გორას დიამეტრი 51 მ უდრიდა. ზემოდან ყორღანის ყრილი მიწისა იყო, შიგნით კი აღმოჩნდა რიყის ქვის გუმბათოვანი ნაყარი. დაახლოებით ყორღანის ცენტრში, ქვაყრილის ქვეშ გამოჩნდა ხის ძელური შენობა, სწორკუთხა ფორმის. შენობის კედლებს ორი პირი ჰქონდა; მათ შორის სივრცე ამოვსებული იყო ღორღით და მიწით. სწორკუთხა შენობა გარშემორტყმული იყო რამდენიმე, კონცენტრული წრისებრ დაწყობილი ხის მსხვილი მორებით. შენობის ერთერთ უკეთ გადარჩენილ კუთხეში შერჩენილი იყო მუხის მსხვილი მორების ხუთი რიგი. მორებს ბოლოებზე ჭდეები ჰქონდათ და ერთმანეთზე გადაბმული იყვნენ ნახევარი ხით. როგორ იყო გადახურული ეს სწორკუთხა შენობა, სამწუხაროდ, ვერაფერს ვიტყვით.

შენობის იატაკი მოტკეპნილი ყოფილა. იატაკზე აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნატეხები, სპილენძის ბრტყელი სატევრისა თუ შუბის პირი და ცხვრის კოჭები. მიცვალებულის ნაშთი აქ არ აღმოჩენილა. იატაკის ზედა ფენის აყრის შემდეგ შენობის ნაწილში გამოჩნდა საგანგებოდ ორმოში ჩადგმული თიხის ჭურჭელი. ჭურჭელში აღმოჩნდა ფერფლის კვალი. შესაძლოა აქ მიცვალებულის დაწვის წესთან გვქონდეს საქმე. მიცვალებული დაწვეს და შემდეგში მისი ფერფლი საგანგებო ჭურჭელში მოათავსეს. ფერფლიანი ჭურჭელი კი ყორღანის იატაკის ქვეშ სპეციალურად ამოღებულ სამალავ ორმოში ჩადგეს. იატაკის ზედაპირი მოტკეპნეს ისე, რომ ორმოს კვალი სრულიად დაიკარგა. მიცვალებულისათვის განკუთვნილი ინვენტარი, ჩანს, შემდეგში ყორღანის იატაკზე დაუწყვიათ. აქ

მიცვალებულის დაკრძალვის საკმაოდ რთული წესი უნდა გექონდეს. ჭირისუფალი ეტყობა უკვე საგანგებოდ ზრუნავს მიცვალებულის იმგვარად დასაფლავებაზე, რომ შემდეგში მისი ნაშთი ძნელი მისაგნები იყოს. რითი იყო გამოწვეული ეს ასეთ ადრეულ საფეხურზე ჯერჯერობით ძნელი სათქმელია. დაკრძალვის ამგვარი წესი ამ პერიოდში და მერმინდელ ხანაშიაც ჩვენში თითქმის უცნობია. რაც შეეხება მიცვალებულის დაწვას, ეს წესი უკვე ენეოლითიდან შეინიშნება. კრემაციის კვალი ჩანს თითქოს კიკეთში და ტყვიავში. კარგადაა ცნობილი ეს წესი ხანლარის და სტეპანაკერტის ადრეული ბრინჯაოს ხანის ყორღანებიდან. მომდევნო ხანაში მიცვალებულის დაწვა, როგორც განათხარი კულტურებიდანაა ცნობილი, გავრცელებული ყოფილა თრიალეთში.

სამგორის ყორღანში აღმოჩენილი ინვენტარი მეტად ღარიბულია. აქ მოპოვებული ბრტყელი, ფოთლისებრი მოყვანილობის ყუნწიანი სატევრისა თუ შუბის პირი საერთოდ უახლოვდება ამ პერიოდში გავრცელებულ ამგვარსავე იარაღს (ტაბ. VIII, 6). განსაკუთრებით საყურადღებოა კერამიკა (ტაბ. VIII, 5, 10). თუ სამიოდე აღდგენილი ჭურჭლის მიხედვით ვიმსჯელებთ, კერამიკა სავსებით ისეთივეა, როგორიც თრიალეთის ადრეული ჯგუფის ყორღანებში მოპოვებული კერამიკა. აღსანიშნავია აგრეთვე აქ ნაპოვნი რიყის ქვის ცული (ტაბ. VIII, 8). დამუშავების ტექნიკითა და ფორმით იგი უფრო არქაული ჩანს, ვიდრე ჩვენში ცნობილი ადრებრინჯაოს ხანის ქვის ცულები (ოქორა, თერეგვანი), და თითქოს რამდენადმე უახლოვდება ჯერ კიდევ საგვარჯილეში გვიანენეოლითურ ფენებში ნაპოვნ ქვის ცულებს. საყურადღებოა, რომ სამგორის ქვის ცული ანალოგიას პოულობს თეფე-გავრას ერთერთ ფენაში ნაპოვნ ქვის ცულებთანაც.

აღნაგობის თვალსაზრისით საინტერესოა ამ ყორღანში აღმოჩენილი ხის შენობა. ხის ნაგებობა, საფიქრებელია, ჩვენში უკვე ენეოლითურ ხანაში იყო გავრცელებული. ბრინჯაოს კულტურის ადრინდელ საფეხურზე ხით ხუროობა კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ასულა. როგორც ცნობილია, დასაკრძალავად განკუთვნილ შენობებს ჩვეულებრივად ცხოვრებაში გავრცელებული ნაგებობების წაბაძვით აგებდნენ. ამიტომაც ვარაუდობენ, რომ ამ ადრინდელ პერიოდში ჩვენში უკვე გავრცელებული უნდა ყოფილიყო ჯარგვალის ტიპის შენობები. ზომიერი ჰავის პირობებში მოსახლეობა ალბათ ფართოდ იყენებდა ხის შენობებს.

საზოგადოების სოციალურ წყობასთან დაკავშირებით ამ ყორღანის შესახებ დაახლოებით იგივეს თქმა შეიძლება, რაც უკვე თრიალეთის ყორღანების შესახებ ითქვა. აქაც, როგორც ჩანს, გვარის თუ ტომის წინამძღოლი ეკონომიურად გვარის რიგითი წევრებისაგან ჯერ კიდევ შორს არ წასულა. მისი უპირატესი მდგომარეობა გვარში მხოლოდ იმით გამოიხატა, რომ სიკვდილის შემდეგ გვარის წევრთა ერთობლივი შრომის შედეგად მას აუგეს მეტად რთული სამარხი და საგანგებოდ იზრუნეს მიცვალებულის ნაშთის დასაცავად.

ბრინჯაოს ხანის საყურადღებო მასალები გამოვლინდა დ ო ლ მ ე ნ უ რ ი კ ულ ტ უ რ ი ს შესწავლის შედეგად. კავკასიაში დოლმენების გავრცელების საზღვარს სოჭთან მიიჩნევდნენ. სადღეისოდ ამ საზღვარმა გაცილებით უფრო სამხრეთ-აღმოსავლეთით გადმოინაცვლა. აფხაზეთის ტერიტორიაზე დოლმენები

უკვე რამდენიმე ადგილასაა დადასტურებული. სამი დოლმენი ცნობილია სოფ. აზანთადან, რამდენიმე დოლმენი აღმოჩენილია სოფ. ოთხარაში და სოფ. აქანდარაში. შედარებით უკეთაა დაცული ეშერის ჯგუფის დოლმენები.

როგორც ირკვევა, დოლმენების ერთი ნაწილი ბრინჯაოს კულტურის ადრინდელი ხანისა უნდა იყოს. უკვე გათხრილია ეშერისა და აზანთის ჯგუფის ზოგიერთი დოლმენი. ამათგან მეტ-ნაკლებად შესწავლილია მხოლოდ ეშერის დოლმენები. ეს დოლმენები, ისევე როგორც კავკასიის დოლმენთა უმრავლესობა, შედგება ოთხი მთლიანი გვერდითი ქვისაგან, მეხუთე სახურავის ქვაა. მათაც გეგმაში უპირატესად ტრაპეციის ფორმა აქვთ. ჩვენში დღემდე აღმოჩენილ ყველა დოლმენს წინა კედელში დატანებული აქვს მრგვალი ხვრელი. ჩვეულებრივად ეს ნახვრეტი მოთავსებულია კედლის ქვედა ნაწილში, დაახლოებით შუა ადგილას. ხვრელი უპირატესად წესიერი მრგვალია (დაახლოებით 0,40 მ დიამეტრისა) და გარედან ქვის საცობი უკეთდება. ჩვენს დოლმენებს წინა, ხვრელიანი კედელი, ისევე როგორც კავკასიის სხვა დოლმენებს, უპირატესად სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით აქვს მოქცეული.

ამ ჯგუფში შედის როგორც მოზრდილი, ისე შედარებით უფრო მომცრო ზომის დოლმენები. ყველაზე გრძელია ეშერას ერთერთი დოლმენი — 3,75 მ; ყველაზე უფრო მაღალია აზანთის პირველი დოლმენი — 2,40 მ, როგორც ეშერის დოლმენთა მაგალითიდან ჩანს, სიგრძივ კედელს გარედან, დაახლოებით შუა ადგილას შემოწყობილი ჰქონია საყრდენად მოზრდილი ქვები. პატარა ზომის დოლმენები მოზრდილებთან შედარებით უფრო ტლანქადაა ნაგები.

არსებული მასალებიდან ირკვევა, რომ დოლმენური კულტურა ადრე და შუაბრინჯაოს ხანაში იყო გავრცელებული. თუმცა დოლმენები მერმინდელ ხანაშიაც ყოფილა გამოყენებული და ზედა ფენებში ზოგჯერ გვხვდება ხოლმე გვიანი ბრინჯაოს და უფრო მოგვიანო ხანის მასალებიც კერ. ეშერის ჯგუფის დოლმენების შესწავლიდან თითქოს ისე ჩანს, რომ მომცრო ზომის დოლმენები რამდენადმე უფრო ადრეული უნდა იყოს, ვიდრე მოზრდილი დოლმენები. ეშერის დიდი და უფრო პატარა დოლმენების სამარხეულ ინვენტარს შორის გარკვეული განსხვავება შეინიშნება. პატარა დოლმენებში მოპოვებული ინვენტარი შედარებით არქაულია, ამიტომ სწორედ ეს პატარა დოლმენები უნდა მიეკუთვნოს ბრინჯაოს ხანის ადრინდელ საფეხურს. გათხრილ პატარა დოლმენებში მხოლოდ ერთი ფენაა დადასტურებული. როგორც ეტყობა, თითოეული დოლმენი წარმოადგენდა საგვარეულო სამარხს, რომელშიაც გვარის უფრო დაწინაურებული წევრები იმარხებოდნენ. გვარი, ჩანს, ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერ კოლექტივს შეადგენდა და ალბათ მისი ერთობლივი შრომის შედეგად იქნებოდა შესაძლებელი ამგვარი რთული სამარხ-ნაგებობის აგება.

ჯერ კიდევ არა გვაქვს გარკვეული წარმოდგენა დოლმენებში დასაფლავების წესის შესახებ. ვვარაუდობთ მხოლოდ, რომ დოლმენი იმთავითვე კოლექტიურ სამარხს წარმოადგენდა. მიცვალებულის ძვლები უპირატესად დოლმენის კუთხეებში გვხვდება უწესრიგოდ შეჯგუფებული. შესაძლოა აქაც, ისევე როგორც ჩრდილო კავკასიის დოლმენებში, მიცვალებულებს ძირითადად დოლმენის კუთხეებში ასაფლავებდნენ. ზოგიერთ პატარა დოლმენში ოცზე მეტი მიცვალებული უნდა ყოფილიყო მოთავსებული.

მომცრო ზომის დოლმენებში აღმოჩენილი ნივთებიდან აღსანიშნავია ყუა-დაქანებული ცულები, კავები, ფოთლისებრი მოყვანილობის შუბის თუ სატევრის პირები, თიხის ჭურჭელი და სხვ. აქ მოპოვებული ცულები საკმაოდ არქაული ტიპისაა (ტაბ. IX, 4). ამგვარი ცული ცნობილია სოფ. ოთხარადან, ალბათ შემთხვევით აღმოჩენილი ერთერთ დოლმენში. ეს ცულები ახლოსა დგას საჩხერულ ცულებთან. ფართოდაა ისინი გავრცელებული აგრეთვე ჩრდილო კავკასიაშიც. რამდენადმე უახლოვდება მათ ერთი ცული სტანიცა აბაძევსკაიას დოლმენიდან. ცულების ეს ვარიანტი ცნობილია ჩრდილო ოსეთის რამდენადმე უფრო მოგვიანო ხანის სამაროვნებიდან: ფასყაუ, კუმბულთა და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის ცულებმა საერთოდ ძალიან ფართო გავრცელება ჰპოვეს. როგორც ჩანს, ეს ფორმა მომდინარეობს სამხრეთ მესოპოტამიიდან, სადაც იგი უკვე საკმაოდ ადრეულ ხანაში ჩნდება. ერთერთი გზა ამ ტიპის ცულების გავრცელებისა კავკასიაზედაც გადიოდა და ამიტომაცაა, ალბათ, რომ აქ იგი უკვე ბრინჯაოს ხანის ადრინდელი საფეხურიდან მოკიდებული ჩანს.

რა დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო დოლმენებში აღმოჩენილი კავები (ტაბ. IX, 8), ჯერჯერობით ძნელი სათქმელია. ცალ ბოლოზე კავს მასრა აქვს, ალბათ სახელურისათვის. შესაძლოა მათ, თანამედროვე ეთნოგრაფიულ სინამდვილეში გავრცელებული კავების მსგავსად, ხორცის ამოსაღებად ხმარობდნენ. საქართველოს ამ პერიოდის მასალებში კავები სხვაგან ჯერჯერობით უცნობია. უფრო მოგვიანო ხანაში ჩვენში გავრცელებული იყო რამდენადმე განსხვავებული მოყვანილობის კავები. ეშერში მოპოვებული კავების მსგავსი ცნობილია ჩრდილო კავკასიის ამავე პერიოდის მასალებიდან: აბაძევსკაიას დოლმენი, ნოვოსვობოდნაიას ყორღანი და სხვ. განსაკუთრებით საინტერესოა ეშერის ერთი სამკაპა კავი. რამდენადმე განსხვავებული სამკაპა კავი ცნობილია ნოვოსვობოდნაიას ყორღანიდან. ორკაპა კავი ნაპოვნია სტანიცა პსებაისკაიას და მახოშევსკაიას ყორღანებში.

დოლმენებში აღმოჩენილი ბრტყელი, ფოთლისებრი შუბის თუ სატევრის პირები, როგორც ჩანს, გამოჭედილი უნდა ყოფილიყო (ტაბ. IX, 9). ზოგიერთს პირზე აქეთ-იქით არამკვეთრი ღარი დაუყვება სიგრძივ. ეს ნივთები ახლო ანალოგს პოულობენ ჩრდილო ოსეთის ცნობილი სამაროვნების: ფასყაუს, კუმბულთას და სხვ. მასალებში.

მომცრო ზომის დოლმენებში აღმოჩენილი ლითონის ინვენტარი გვიჩვენებს, რომ მეტალურგია აქ უკვე საკმაოდ მაღალ საფეხურზე მდგარა. თრიალეთის ადრინდელი ჯგუფის ყორღანებში, როგორც აღნიშნული იყო, ლითონის ნაწარმი ჯერ კიდევ მეტად იშვიათია და ტიპობრივადაც მაინც ზოგი რამ საერთო აქვს წინამორბედ საფეხურთან. დოლმენებში კი ლითონის ნივთების გაცილებით უფრო მეტი და თანაც საკმაოდ განვითარებული ფორმებია. როგორც ჩანს, აქ უკვე ჩამოსხმის საკმაოდ რთული, მოდელის დაკარგვის წესისათვის მიულწევიათ. ამ წესით უნდა იყოს ჩამოსხმული ერთი ცალკაპა კავი, რომელსაც მასრა შემკული აქვს წნული რელიეფური ორნამენტით, და ერთი ამგვარივე ორნამენტიანი ცული. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ, როგორც დოლმენიდან მომდინარე ნივთების შესწავლის შედეგად გაირკვა, მათ ჩამოსასხმელად გამოყენებული ყოფილა სპილენძი, რომელიც 5%-მდე დარჩენას

შეიცავდა. შესაძლოა იცოდნენ კიდეც დარიშხანიანი სპილენძის თავისებურება. გარკვეული პროცენტი დარიშხანისა უთუოდ გავლენას ახდენდა სპილენძზე.

ეშერის ამ პერიოდის დოლმენებში აღმოჩენილი კერამიკა მეტად ცუდადაა შემონახული. იგი სუსტადაა გამომწვარი და ადვილად იშლება. ჭურჭელი ტლანქია, ხელით ნაძერწი. უპირატესად თხელკედლიანი. აღსანიშნავია მოწითალო ფერის პატარა ზომის კოჭობი; მოწითალო თიხის პატარა სასმისები, რომლებიც დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ეშერის ადრეული ჯგუფის დოლმენური კერამიკისათვის. საყურადღებოა, რომ ეს სასმისები ფორმით ძლიერ უახლოვდებიან თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის ერთერთ ყორღანში აღმოჩენილ ოქროს სასმისს. გვხვდება აგრეთვე შედარებით უფრო მოზრდილი ჭურჭელიც: მოშავო ფერის ქილა, ცალყურა ქოთანი და სხვ. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს კერამიკა გამოირჩევა თავისი პატარა ზომით. გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ შესაძლოა იგი სპეციალურად მიცვალებულების ჩასატანებლად იყო განკუთვნილი და მოზრდილი ჭურჭლის იმიტაციას წარმოადგენდა. რამდენად სწორია ეს მოსაზრება ახლა ძნელი სათქმელია, მაგრამ ერთი კია, რომ ჭურჭელი მეტად ტლანქია, პატარა ზომისა და პრაქტიკული დანიშნულებისათვის ნაკლებ გამოსადეგი იქნებოდა. ჯერჯერობით ვერ ხერხდება ამ კერამიკის დაკავშირება დღემდე ცნობილ ვერც წინამორბედ, ვერც თანადროულ და ვერც მერმინდელ კერამიკულ ჯგუფებთან. ჩვენი დოლმენური კერამიკა დღესდღეობით ერთგვარად განმარტოებით დგას.

როგორც სადღეისოდ არსებული მასალებიდან ჩანს, აფხაზეთის დოლმენური კულტურის ადრეული საფეხური უკვე ადრებრინჯაოს ხანის საკმაოდ განვითარებულ სტადიას, უფრო სწორედ მის მიწურულს უნდა მიეკუთვნოს. ამ დოლმენებში მოპოვებული მასალაც ბევრ საერთოს პოულობს ჩრდილოკავკასიურ მასალებთან და განსაკუთრებით ახლო დგას ნოვოსვობოდნაიას ყორღანულ ინვენტართან. ყუბანის დიდი ყორღანების ნოვოსვობოდნაიას ქვეჯგუფი მაიკოპის ქვეჯგუფზე რამდენადმე ახალგაზრდაა და ახლად შემუშავებული ქრონოლოგიის მიხედვით იგი 2100—1700 წწ. ექცევა. გარდა ამისა, დოლმენური მასალა უახლოვდება აგრეთვე მოგვიანო ხანის მასალებს (ფასყაუ, კუმბულთა და სხვ.). ამიტომაც, საფიქრებელია, რომ დოლმენური კულტურის დასაწყისი ჩვენში ბრინჯაოს კულტურის ადრეული საფეხურის უფრო ბოლო პერიოდს უნდა მიეკუთვნოს. ქრონოლოგიურად ამ კულტურის დასაწყისი ჩვენში შეიძლება განისაზღვროს III ათასწლეულის ბოლოთი და II ათასწლეულის პირველი საუკუნეებით.

რა თქმა უნდა, მეტად საყურადღებოა საკითხი ჩვენში დოლმენური ტიპის სამარხების გაჩენისა თუ წარმოშობის შესახებ. კავკასიაში დოლმენები განსაზღვრულ ტერიტორიაზე ვრცელდება. საიდან შემოვიდა სამარხის ეს ტიპი, ჯერ კიდევ ძნელი სათქმელია. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ დოლმენები ფართოდ იყო გავრცელებული აზიაში, აფრიკასა და ევროპაში. მათი წარმოშობა-გავრცელების შესახებ არა ერთი და ორი მოსაზრება გამოთქმულა. ზოგი მათ აფრიკული წარმოშობისად თვლის, ზოგი, პირიქით, ფიქრობს, რომ დოლმენები დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ვრცელდებიან და სხვ. კავკასიის დოლმენებს მართლაც აქვთ საერთო ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის დოლმენებ-


1
2
4


5
6
7
8


9

10

12

11


13

თან. რითი უნდა აიხსნას ეს მსგავსება ძნელი სათქმელია, მაგრამ ერთი ცხადია, რომ კავკასიისა და, კერძოდ, აფხაზეთის დოლმენებში აღმოჩენილი მასალა ასახავს კავკასიის ბრინჯაოს ხანის კულტურას.

მდ. ყვირილის ზემო წელზე, საჩხერის რაიონში უკანასკნელ ხანებში ბრინჯაოს ხანის მეტად საყურადღებო მასალები აღმოჩნდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია საჩხერესა და სოფ. ქორეთში გამოვლენილი ბრინჯაოს კულტურის ადრინდელი საფეხურის ძეგლები. საჩხერეში ამ დროის მასალა ჯერ კიდევ 1909 წ. აღმოჩნდა. შემდეგ წელს იქ საცდელი გათხრები ჩაატარა ე. თაყაიშვილმა. მან იმთავითვე სწორად გაიგო ამ საინტერესო ძეგლის ხასიათი. ე. თაყაიშვილმა, მართალია ვარაუდით, მაგრამ მაინც გამოთქვა მოსაზრება, რომ საჩხერის ყორღანი წინ უსწრებდა ყობანის კულტურას და იგი სპილენძის ხანას უნდა მიეკუთვნოს. ეს, თუნდაც ვარაუდით გამოთქმული მოსაზრება იმ დროისათვის, რა თქმა უნდა, მეტად გაბედული იყო, რადგან სულ ბოლო დროამდე კავკასიის არქეოლოგიაში ბატონობდა მოსაზრება, თითქოს აქ ლითონის ინდუსტრია მხოლოდ გვიანი ბრინჯაოს ხანიდან იწყება.

1939 წლიდან ბ. კუფტინი სწავლობდა ამ რაიონს. 1955 წ. აქ მუშაობდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსპედიცია. ამგვარად, სადღეისოდ ამ რაიონიდან ადრეული ბრინჯაოს ხანის მეტად საყურადღებო მასალა დაგროვდა. შიგ საჩხერეში ამ პერიოდის ძეგლი სამ ადგილას აღმოჩნდა: ერთი, ჯერ კიდევ ე. თაყაიშვილის მიერ შესწავლილი ყორღანი, მეორე — ნაჩერქეზევის და მესამე ცარცის გორის სამაროვანი. ე. თაყაიშვილის მიერ შესწავლილი ყორღანის აღნაგობის შესახებ ცოტა რამაა ცნობილი; საფიქრებელია, რომ იგი იმავე ტიპისა იყო, როგორიც აქ გამოვლენილი ამავე დროის სხვა ძეგლები.

როგორც ჩანს, ნაჩერქეზევი და ცარცის გორა დაახლოებით ერთი ტიპისა უნდა ყოფილიყო. ხელოვნური ბორცვი საკმაოდ ფართო იყო და შედარებით დაბალი. ბორცვის ყრილი ქვისა იყო. ძირითადი სამარხები ნაჩერქეზევზე საგანგებოდ მიწაში ამოღებულ ორმოში იყო მოთავსებული, რომელსაც თავზე ძალიან დიდი ზომის ქვები ეყარა. ამ ქვებს ზემოდან გაცილებით უფრო წვრილი ქვების ყრილი ჰქონდა. სწორედ შიგ, ამ ქვაყრილში სხვადასხვა დონეზე ჩნდებოდა სამარხები. სამარხები ჩვეულებრივად მეტად ახლო იყო ერთმანეთისაგან. ქვაყრილში აღმოჩენილი სამარხების შესახებ ბევრს ვერაფერს ვიტყვით, რადგან ისინი ძლიერ დაზიანებული აღმოჩნდა. რაც შეეხება ძირითად სამარხებს, აქ, ჩანს, ჩვეულებრივად თითო ფეხებმოკეცილი მიცვალებული იყო გვერდზე დაწვენილი.

ცარცის გორაზედაც დაახლოებით ამგვარივე სურათი გვაქვს. სამარხები აქაც ქვაყრილში სხვადასხვა დონეზე ჩნდებოდა, ზოგიერთი შათგანი აღმოჩნდა აგრეთვე ქვაყრილის ქვეშ. მხოლოდ ერთ შემთხვევაში ძირითადი სამარხი მოთავსებული იყო ბორცვის საფუძველში სპეციალურად ამოჭრილ სამარხორმოში. მიცვალებული აქაც, ჩანს, გვერდზე ესვენა, ფეხებმოკეცილი. ამ ტიპის კოლექტიური სამარხები ჩვენში ჯერ კიდევ ენეოლითის ხანიდანაა ცნობილი. საჩხერის ეს ძეგლები უთუოდ უახლოვდება ტყვიავის პირველ ყორღანს.

გარკვეული მსგავსება ჩანს აგრეთვე სტეპანაკერტის ადრეული ხანის ყორღანებთან.

საფიქრებელია, რომ საჩხერეში მიკვლეული სამივე ბორცვი საგვარეულო სასაფლაოს წარმოადგენდა. შესაძლოა, აქ ერთი გვარის წევრები გარკვეული დროის მანძილზე ასაფლავებდნენ თავის მიცვალებულებს. ჯერჯერობით ამ სამაროვნების ხანგრძლიობის შესახებ გარკვევით რაიმეს თქმა ძნელია. როგორც ჩანს, ზოგან მიცვალებულების დაკრძალვა გრძელდებოდა დიდი ხნის მანძილზე და შესაძლოა შუაბრინჯაოს ხანაშიაც გადასულიყო.

საჩხერის სამივე სამაროვნის სამარხეული ინვენტარი თითქმის არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. აქ გვხვდება არქაული ფორმის ყუამილიანი ცულები (ტაბ. IX, 4, 6), სატევრები (ტაბ. IX, 10, 11), T-ს მსგავსი და მარყუჟისებრთავიანი ქინძისთავები (ტაბ. IX, 1, 5), რგოლები, თიხის ჭურჭელი (ტაბ. VIII, 12) და სხვ. აღსანიშნავია ცარცის გორაზე აღმოჩენილი ორი იარაღი: ერთი ღეროიანი შუბისმაგვარი იარაღი (ტაბ. IX, 12) და მეორე ხიშტისმაგვარი იარაღი (ტაბ. IX, 11).

უთუოდ საყურადღებოა, რომ საჩხერის ტიპის ძეგლების მსგავსი უკანასკნელ ხანებში აღმოჩნდა საჩხერის მახლობლად, მისგან დაახლოებით ხუთიოდე კმ-ის დაშორებით, სოფ. ქორეთში. ქორეთის ყორღანულმა სამარხებმა თითქმის ანალოგიური ინვენტარი მოგვცა და დაადასტურა, რომ ეს ძეგლები თანადროული უნდა იყოს.

ქორეთში ამ პერიოდის ორი ყორღანი აღმოჩნდა. ერთი, რომელიც ჯერ კიდევ 1945 წ. ბ. კუფტინმა გათხარა, შედარებით არც თუ ისე დიდი ზომისაა წარმოადგენდა. აქაც ყორღანის ყრილი ძირითადად ქვისა იყო. ნაპოვნი საგნებიდან საინტერესოა საჩხერული ტიპის ყუამილიანი ცული, მარყუჟისებრთავიანი ქინძისთავი, საკიდები, კერამიკა და სხვ.

მეორე ყორღანი აღმოჩნდა პასიეთში, პირველისაგან დაახლოებით 1 კმ დაშორებით. ისიც ქვაყრილიანი იყო და გაცილებით უფრო დიდი. მისი დიამეტრი ოცდაათ მეტრს აღემატებოდა, სიმაღლე 3—4 მ. სამარხები სხვადასხვა დონეზე, ნაჩერქეზევის მსგავსად, შიგ ქვაყრილში იყო. ყორღანის ძირზე რამდენიმე სამარხი აღმოჩნდა. ცუდი დაცულობის გამო მიცვალებულთა დასაფლავების წესის დადგენა ძნელდება. აქაც მიცვალებულები დასაფლავებული უნდა ყოფილიყვნენ გვერდზე, ფეხებმოკეცილი.

საგვარეულო ტიპისა ყოფილა პასიეთის ყორღანიც. როგორც ჩანს, აქ მიცვალებულებს საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე ასაფლავებდნენ. ყორღანის ძირზე და ქვაყრილში აღმოჩენილი სამარხების ინვენტარი ძირითადად თითქმის არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. მაგრამ ქვაყრილში აღმოჩნდა რამდენიმე სამარხი, რომლებიც ზოგიერთი ნიშნით უფრო მოგვიანო ხანისას უახლოვდებოდნენ. ამრიგად, შესაძლოა პასიეთის სამარხების ნაწილი ერთგვარად გარდამავალი ხანისა იყოს.

პასიეთის ყორღანის სამარხეული ინვენტარი ძირითადად შედგება ყუადაქანებულ-ყუამილიანი ცულებისაგან, არქაული ფორმის ბრტყელი სატევრის პირების, T-მაგვარი და მარყუჟისებრთავიანი ქინძისთავების, სასაფეთქლე რგოლების, თიხის ჭურჭლისა და სხვ. მასალისაგან. აღსანიშ-

ნავია აქ ნაპოვნი სპილენძისტარიანი სატევრის პირი, რომლის ტარიც შემკულია წნული ორნამენტითა და სპირალებით (ტაბ. IX, 10). ყურადღებას იპყრობს ქვაყრილში აღმოჩენილი ქალის სამარხი, რომლის ინვენტარი ძირითადად სხვადასხვა ფორმის საკიდებისა და სამკაულებისაგან შედგებოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ორი მინიატურული თოხის მოყვანილობის საკიდი. ეს სამარხი შესაძლოა სწორედ იმ რიგისა იყოს, რომლებიც რამდენადმე უფრო მოგვიანო ჩანს.

ბრინჯაოს კულტურის ადრინდელი ხანისა უნდა იყოს აგრეთვე ბორცვი სოფ. ბეინეულთან.

ამრიგად, მდინარე ყვირილის ზემო წელზე, საჩხერის რაიონში სადღეისოდ უკვე რამდენიმე ადგილსაა დამოწმებული ბრინჯაოს კულტურის ადრინდელი ხანის ძეგლები. აქ აღმოჩენილი სამარხეული ინვენტარი თითქმის სრულიად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან და ამიტომაც საფიქრებელია, რომ ბრინჯაოს ადრეულ საფეხურზე ეს მხარე ერთერთ ძლიერ საწარმოო რაიონს წარმოადგენდა უკვე საკმაოდ განვითარებული მეტალურგიით. ამას ადასტურებს ლითონის იარაღ-საკურველის თუ სამკაულის მრავალფეროვანი განათხარი ფორმები.

ამ სამაროვნებზე აღმოჩენილ არქაული ფორმის ყუამილიან-ყუადაქანებულ ცულებში რამდენიმე ვარიანტი გამოირჩევა (ტაბ. IX, 4, 6). გვხვდება ყუამილიანი ცულები, რომელთაც ნამგლისებრი მოყვანილობის პირი აქვთ, აგრეთვე მოგრძო და ვიწროტარიანი ყუამილიანი ცულები (ტაბ. IX, 6)). აქვეა ნაპოვნი სწორშუბლიანი და ყუადაქანებული ცულები (ტაბ. IX, 4). ყუადაქანებულ-ყუამილიანი ცულები კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში გავრცელებული იყო ბრინჯაოს კულტურის ადრეულ და შუა საფეხურზე. ყუამილიანი ცულები ნაპოვნია სვანეთში, ჭალათურასა, ივანწმინდაში და სხვ. ცალკე აღვნიშნავთ ბრილის სამაროვანს, სადაც ამ ტიპის ცულები აღმოჩნდა შუაბრინჯაოს ხანის სამარხებში. ცნობილია ეს ცულები აგრეთვე სომხეთიდან; ჩრდილო კავკასიაში ცულების ამ ვარიანტს ვხვდებით ძირითადად შუაბრინჯაოს ხანაში.

ადრეული ფორმები ამ ცულებისა ცნობილია წინა აზიაში, მესოპოტამიაში, ელამში უკვე ძვ. წ. IV—III ათასწლეულის მიჯნაზე. ამგვარი ცულები აქ ხშირად გვხვდება აგრეთვე ადრეული ხანის გამოსახულებებზეც, მაგალითად, ცნობილ „ძერათა სტელაზე" და სხვ. ამ იარაღის სხვადასხვა ვარიანტები დამახასიათებელია აღმოსავლეთ ევროპისათვის. აქ იგი ცნობილია ფატიანოვის, სეიმინო-ტურბინის და სხვ. კულტურებში. გავრცელებული იყო ამ ტიპის ცულები დუნაის ქვეყნებში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ცულების ეს სახეობა სადღეისოდ სრულიად უცნობი ჩანს მცირე აზიაში და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. ამიტომაც, საფიქრებელია, რომ ძირითადი გზა ამ ცულების გავრცელებისა წინა აზიიდან კავკასიაზე გადიოდა. შესაძლოა, სწორედ ესაა ერთერთი მიზეზი იმისა, რომ კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში, ცულების ეს ტიპი საკმაოდ ადრეული ხანიდან ჩანს. უთუოდ საყურადღებოა, რომ აქ ცულები რომლებიც გენეტიკურად ძველ შუმერულ ფორმებს უკავშირდებიან, უკვე ერთგვარად თავისებურ ელფერს იღებენ, რაც ალბათ მათი შემდგომი განვი-

თარების შედეგი უნდა იყოს, და ქმნიან ამ ტიპის ცულების კავკასიურ ვარიანტს.

ყურადღების ღირსია ცარცის გორაზე ნაპოვნი ერთი შუბისმაგვარი იარაღი, რომელსაც ტარის დასაგებად, ნაცვლად მასრისა, მოგრძო ყუნწი აქვს (ტაბ. IX, 12). მსგავსი იარაღი ჩვენში სადღეისოდ სულ რამდენიმე ცალია ცნობილი: ზაჰესიდან, ბაგინეთიდან (ტაბ. IX, 13) და სხვ. ჩვენში გავრცელებული ამ იარაღის ორი ვარიანტი — ერთს ღერო მოკაკული აქვს, მეორეს კი — სწორი. შუბისმაგვარი იარაღი ცნობილია აგრეთვე ჩრდ. კავკასიაშიც: ნოვოსვობოდნაიას ყორღანიდან, ვოზდვიჟენსკაიადან და სხვ. აქაც ეს იარაღი გვხვდება ბრინჯაოს კულტურის ადრინდელ საფეხურზე.

ამ ტიპის შუბისმაგვარი იარაღი საერთოდ კარგადაა ცნობილი წინა აზიაში. მისი არქაული ფორმები ნაპოვნია ურში, თეფე-ჰისარში, თიურანგ-თეფეში და სხვ. ასეთივე ფორმის, ოღონდ რამდენადმე მაინც განსხვავებული იარაღი ცნობილია კუნძულ კვიპროსიდან. გვხვდება ეს იარაღი აგრეთვე დუნაის მხარეში. ჩვენში გავრცელებული ამ ტიპის იარაღი განსაკუთრებით უახლოვდება შუმერულ ფორმებს. შუმერში ეს იარაღი ჩანს უკვე IV ათასწლეულის მიწურულიდან მოკიდებული. საფიქრებელია, რომ იარაღის ეს ტიპი, წინააზიურ სხვა ფორმებთან ერთად, საკმაოდ ადრეული პერიოდიდან შემოდის ჩვენში, ყოველ შემთხვევაში III ათასწლეულის მეორე ნახევარში იგი უკვე ჩანს აქ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ცარცის გორაზე მოპოვებული ოთხწახნაგა ხიშტი (ტაბ. IX, 11). ეს ფორმაც წინააზიურია და ცნობილია საკმაოდ ადრეული პერიოდიდან. წინა აზიაში ცნობილი ამ ტიპის იარაღიდან ორზე აღმოჩნდა აქადური ეპოქის მეფეთა სახელები: ერთზე, რომელიც ასურეთშია ნაპოვნი, მოცემულია სარგონ აქადელის შვილის სახელი — მანიშტუსუ. იგი ცხოვრობდა ძვ. წ. XXV საუკ. მეორე ხიშტზე ვკითხულობთ ელამის მმართველის პუზურ შუშინაკის სახელს, ეს უკანასკნელი მოღვაწეობდა XXII საუკ. ამრიგად, წინა აზიაში იარაღის ეს ფორმა გავრცელებული უნდა ყოფილიყო უკვე მესამე ათასწლეულის შუახნიდან. ჩვენში ამ ტიპის იარაღი სადღეისოდ მხოლოდ ერთადერთია ცნობილი. როგორც ჩანს, იგი აქ შემოსულა წინა აზიიდან, ალბათ, III ათასწლეულის მეორე ნახევარში.

სატევრის პირები ჯერ კიდევ პრიმიტიულია, ბრტყელი, სამკუთხა მოყვანილობის ტარის დასაგები ღეროთი. ისინი, ჩანს, ძირითადად ისევ ცივად ჭედვის წესითაა მიღებული. ამგვარი სატევრის პირები საერთოდ დამახასიათებელია კავკასიის ბრინჯაოს კულტურის ადრეული საფეხურისათვის. ყურადღებას იპყრობს ორი ლითონისტარიანი სატევრის პირი. ერთი იპოვეს ცარცის გორაზე ერთერთ სამარხში, მეორე კი — ქორეთის ყორღანში. ამ სატევრების პირი ჩასმულია ლითონის სახელურში. ორივე სატევრის სახელური შემკულია წნული რელიეფური ორნამენტით. ქორეთის სატევარს ვადასთან სპირალური ორნამენტი ამკობს. სახელურები უთუოდ მოდელის დაკარგვის წესითაა ჩამოსხმული. ჩამოსხმის ეს წესი ჩვენში თითქოს უკვე ადრეული ბრინჯაოს ხანიდან შეინიშნება. ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ამ წესითაა ნაკეთები მასრაშემკული კავი და ერთი ცული აფხაზეთის დოლმენებიდან. მსგავსი სატევარი,

შემკული ტარით ცნობილია ჩრდილო კავკასიიდან (სტანიცა კონსტანტინოვსკაია).

იარაღის გარდა სამაროვნებში აღმოჩნდა ლითონის სამკაულიც. ამათგან პირველ რიგში უთუოდ აღსანიშნავია დიდი ზომის ქინძისთავები, ძირითადად ორი ტიპისაა: T-მაგვარი თავით და მარყუჟისებრი თავით (ტაბ. IX, 15). ქინძისთავები T-მაგვარი თავით ჩვენში სადღეისოდ ცნობილია მხოლოდ საჩხერის რაიონიდან. განსაკუთრებით აღსანიშნავია საჩხერეში ნაპოვნი ერთი მოზრდილი T-მაგვარი ქინძისთავი, რომელსაც თავის შუა ნაწილზე ხარის რქისებრი შვერილი აქვს. ბ. კუფტინი ფიქრობდა, რომ აქ პირობითაა გამოსახული ორთვალა ეტლი შიგ შებმული ხარით. საყურადღებოა, რომ ამ ტიპის ქინძისთავები ჩვენში შემდეგ ხანებში უკვე თითქმის სრულიად არ ჩანს. T-მაგვარი ქინძისთავების დანიშნულების შესახებ სხვადასხვა მოსაზრება იყო გამოთქმული. ყველაზე მართებული თითქოს ის უნდა იყოს, რომ მათ უხეში შალის ტანსაცმლის შესაბნევად იყენებდნენ.

ამ ტიპის ქინძისთავები ცნობილია აგრეთვე ჩრდილო კავკასიაშიაც, სადაც ისინი მომდევნო ხანის ძეგლებშია გავრცელებული. საჩხერული ტიპის T-მაგვარი ქინძისთავები უახლოვდება იტალიაში რემედელოს ენეოლითური ხანის სამაროვანზე აღმოჩენილ ერთ ვერცხლის ქინძისთავს.

მეორე ტიპის საჩხერული ქინძისთავები მარყუჟისებრი თავით ზოგჯერ აგრეთვე მეტად დიდი ზომისაა (ტაბ. IX, 5). საფიქრებელია, რომ ისინიც იმავე დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო, რისაც T-მაგვარი. ჩვენში, საჩხერის რაიონის გარდა, ამ ტიპის ქინძისთავი სადღეისოდ ცნობილია მხოლოდ ერთადერთი ცალი, შედარებით პატარა ზომისა, აღმოჩენილი ძაღინას სამაროვნის ერთერთ სამარხში მეტად არქაულ კერამიკასთან ერთად. კავკასიის სხვა ადგილებში ამგვარი ქინძისთავი ჯერჯერობით არ აღმოჩენილა. ამ ტიპის ქინძისთავების ერთეული ეგზემპლარები ცნობილია ეგვიპტიდან, ტროა II-დან, კუნძულ კვიპროსიდან, დუნაის ქვეყნებიდან და სხვ.

მრავლადაა ნაპოვნი ამ სამარხებში სასაფეთქლე რგოლები 1,5 ხვიისა. ეს სამკაული ჩვენში საკმაოდ დიდხანს იყო გავრცელებული. ადრეული პერიოდის საკიდები ძირითადად მრგვალია, შემდეგში კი ისინი უფრო ოვალურ მოხაზულობას იღებენ. ამ ტიპის სამკაულს უკვე ეხვდებით ტყვიავის ერთერთ ყორღანში. საყურადღებოა, რომ ბრინჯაოს კულტურის ადრინდელ საფეხურზე გარდა სპილენძისა ამგვარი სამკაული გვხვდება ძვირფასი ლითონისაც. ცარცის გორის ერთერთ სამარხში ნაპოვნია ოქროს ხვია. თრიალეთის ადრეული ჯგუფის ყორღანებში აღმოჩენილ ოქროს გადასაკრავებთან ერთად, ჩვენში ოქროს ნივთებიდან ის ყველაზე არქაულია. მსგავსი ოქროს ხვია იპოვეს სტეპანაკერტის ერთერთ ყორღანში.

საჩხერის სამარხებში აღმოჩნდა სპილენძის შავთულის სპირალური სამაჯურები. სავსებით მსგავსი სამაჯური ნაპოვნია ძაღინას სამაროვნის ერთერთ სამარხში. ამგვარი სპირალური სამაჯურები ცნობილია ჩრდილო კავკასიაშიც უფრო მოგვიანო ხანაში. გარდა ამისა ნაპოვნი იყო აგრეთვე ქვის რბილი ჯიშის სამაჯურები. ქვის სამაჯურები ჩვენში, ჩანს, საკმაოდ ადრეული პერიოდიდანაა ცნობილი.

ქვის იარაღიდან აღსანიშნავია კაჟის ქვის სხვადასხვა ზომის ისრის პირები (ტაბ. IX, 7), აგრეთვე კაჟისავე ქვის დანისმაგვარი იარაღი. საყურადღებოა ცარ-ცის გორაზე აღმოჩენილი ერთი გახვრეტილი ქვის ცული. უნდა აღინიშნოს, რომ ქვის გახვრეტილი ცულები ამიერკავკასიაში, წინა აზიის მსგავსად, შედა-რებით იშვიათია.

საინტერესოა სამაროვნებში ნაპოვნი კერამიკა. იგი უპირატესად შავი ფე-რისაა, ვარდისფერი სარჩულით, ხელით ნაძერწი (ტაბ. VIII, 12). ეს კერამიკა რიგი ნიშნებით ჯერ კიდევ ახლოს დგას ენეოლითურ კერამიკასთან და საგრძ-ნობლად განსხვავდება ჩვენში შუა და გვიან ბრინჯაოს ხანაში გავრცელებული თიხის ჭურჭლისაგან. საჩხერული კერამიკა, როგორც ზევით იყო აღნიშნული, განსაკუთრებით ენათესავება თრიალეთის ადრეული ბრინჯაოს ხანის ყორღა-ნულ კერამიკას. ორივე ეს ჯგუფი როგორც საერთო მოყვანილობით, ისე რიგი სხვა ნიშნებით ჯერ კიდევ შორს არ არის წასული წინა საფეხურზე გავრცელე-ბული კერამიკისაგან. აქაც გვხვდება დაახლოებით ისეთივე „ნახევარსფერო-სებრი" მოყვანილობის ყურები, რომლებიც ესოდენ დამახასიათებელია ჩვენი ენეოლითისათვის. ჭურჭლის ფორმა, რომელიც თითქოს რამდენადმე განვითარე-ბული ჩანს, გენეტიკურად დაკავშირებულია ისევ ენეოლითურ კერამიკასთან, მსგავსება შეიმჩნევა აგრეთვე შემკულობის წესშიაც. ეს კერამიკა, როგორც ჩანს, ენეოლითურის მსგავსად, ჯერ კიდევ ინარჩუნებს გავრცელების საკმაოდ ფართო ტერიტორიას და მიუხედავად ამ პერიოდში მომხდარი მთელი რიგი ძვრებისა ძირითადად მაინც ინახავს ძველ ტრადიციებს.

საჩხერის რაიონში მიკვლეული ბრინჯაოს კულტურის ადრინდელი საფე-ხურის ძეგლები უთუოდ მეტად საყურადღებო მასალას გვაწვდიან. საფიქრებე-ლია, რომ ეს სამარხები წარმოადგენდნენ საგვარეულო სასაფლაოს, სადაც გვა-რის წევრები გარკვეული დროის მანძილზე ასაფლავებდნენ თავიანთ მიცვალე-ბულებს. როგორც ჩანს, გვარს ძველებურად თავისი კოლექტიური სასაფლაო გააჩნდა და გვარის ყველა წევრი, მათ შორის დაწინაურებულიც, ეგებ, აქ იმარ-ხებოდა. შესაძლოა ჯერ კიდევ წესად არ იყო წარჩინებულთათვის ცალკე სა-მარხის აგება, როგორც ამას უკვე ვხვდებით თრიალეთსა და სამგორში. სამარ-ხეული ინვენტარიდან ჩანს, რომ აქ გვარის წევრებს შორის ეკონომიური სხვაო-ბა არ უნდა არსებულიყო.

მასალის სიმცირის გამო ეკონომიური ცხოვრების შესახებ დაწვრილებით რამის თქმა შეუძლებელია. მიწათმოქმედებაზე უნდა მიუთითებდეს ცარცის გორაზე ნაპოვნი ხელსაფქვავის ქვები და, აგრეთვე, ბეინევში შემთხვევით აღ-მოჩენილი ერთი არქაული კაჟის ნამგლის პირი. არც მესაქონლეობის შესახებაა რაიმე პირდაპირი ცნობა. საჩხერის ერთერთ სამარხში აღმოჩენილი ქინძისთავი, რომელზედაც მოცემულია ეტლში შებმული ხარის სტილიზებული გამოსახულე-ბა, უთუოდ იმას მოწმობს, რომ აქ მესაქონლეობა საკმაოდ მაღალ დონეზე მდგა-რა და ხარი უკვე გამოყენებული ყოფილა გამწევ ძალად.

საყურადღებო მასალას გვაწვდიან საჩხერული ძეგლები ადრეული ბრინ-ჯაოს ხანის მეტალურგიის შესახებაც. აშკარად ჩანს, რომ მეტალურგიას აქ უკვე განვითარების მაღალ დონემდე მიუღწევია. ლითონის იარაღ-სამკაულის საკმაოდ რთული ფორმები ლითონის დამუშავების ტექნიკის მაღალ საფეხურზე

მეტყველებს. საფიქრებელია, რომ ბრინჯაოს კულტურის ამ საფეხურზე ყვირილის აუზის ზემო წელზე მეტალურგიული წარმოების მძლავრი (კერა არსებობდა.

ადრეული ბრინჯაოს ხანის ძეგლები აღმოჩნდა აგრეთვე შიდა ქართლში, თანამედროვე სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. აქ სადღეისოდ ამ პერიოდის ძეგლი ორგანაა ნაპოვნი: სოფ. ძაღინაში და სოფ. ნულში.

ძ ა ღ ი ნ ა შ ი აღმოჩნდა ადრეული ბრინჯაოს ხანის სამაროვანი. სამარხს ზემოდან უპირატესად პატარა ქვაყრილი ჰქონდა. სამარხში ესვენა თითო ძლიერ მოკუნტული მიცვალებული, რომელსაც თან ახლდა თიხის ჭურჭელი, სასაფეთქლე რგოლები 1,5 ხვიისა, სპირალური სამაჯური, პრიმიტიული სატევრის პირი. აღსანიშნავია, რომ ერთერთ სამარხში აღმოჩნდა საჩხერული ტიპის შედარებით პატარა ქინძისთავი მარყუჟისებრი თავით.

აქ მოპოვებული თიხის ჭურჭელი უახლოვდება საჩხერულს. დიდი მსგავსება ეტყობა აგრეთვე ლითონის ნივთებსაც. უნდა აღინიშნოს, რომ ძაღინის სამარხების ერთი ჯგუფი რამდენადმე უფრო მოგვიანო ჩანს. აქ აღმოჩენილი ქინძისთავი ბრტყელი დახვეული თავით თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის ერთერთ ყორღანში აღმოჩენილ ოქროს საკინძს უახლოვდება. შესაძლოა, რომ ამ სამაროვნის ერთი ჯგუფი უკვე ადრეული ბრინჯაოს ხანის მიწურულს მიეკუთვნებოდეს.

შუაბრინჯაოს ხანის სამაროვნის ტერიტორიაზე, ნ უ ლ შ ი, 1954 წ. აღმოჩნდა ერთი სამარხი, რომელიც უთუოდ უფრო ადრინდელი უნდა იყოს. იგი ახლო დგას ძაღინის სამაროვნის სამარხებთან. აქაც სამარხს ზემოდან ქვაყრილი ჰქონდა. სამარხში თითო მიცვალებული იდო პირდაპირ მიწაში, მარჯვენა გვერდზე მუხლარე, ფეხებმოკეცილი. მას თან ახლდა თიხის მხოლოდ სამი ჭურჭელი. აქ მოპოვებული კერამიკა შავი ფერისაა, ვარდისფერსარჩულიანი. იგი სავსებით ისეთივეა, როგორიც ძაღინის სამაროვანზე მოპოვებული ჭურჭელი და ძლიერ ემსგავსება საჩხერულ კერამიკასაც (ტაბ. VIII, 11, 13).

გარდა გათხრებით მოპოვებული მასალებისა ჩვენში ცნობილია აგრეთვე ლითონის ინდუსტრიის ადრეული საფეხურის შემთხვევით აღმოჩენილი ცალკეული ნივთები. ამათგან განსაკუთრებით საყურადღებოა კომბინირებული იარაღი, რომელსაც პირობით შეიძლება ეწოდოს ცულ-წერაქვი (ტაბ. IX, 3). ამ ტიპის იარაღი ჩვენში სულ რამდენიმე ცალია ცნობილი სიმონიანთ ხევიდან (თიანეთის რ.), დმანისის რაიონიდან და სხვ. ერთი ამგვარი იარაღი აღმოჩენილია სომხეთში, სოფ. ალავერდში. ჩრდილო კავკასიაში მსგავსი იარაღი ნაპოვნი იყო სტანიცა ეოზდვიეენსკოეში და დიგორიაში. ამ ტიპის იარაღი გავრცელებული იყო წინა აზიაში უკვე მესამე ათასწლეულის დასაწყისში. რამდენიმე ამგვარი იარაღი ნაპოვნია აგრეთვე ევროპაში: სოფ. ვერემიეში (კიევის სამხრეთით), სოფ. ერიოზდში (უნგრეთი) და სხვ. როგორც ჩანს, ეს იარაღიც კავკასიაში წინა აზიიდან შემოსულა, საიდანაც შემდეგში უნდა გავრცელებულიყო ევროპაში. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ეს ცული ჩვენში უკვე თავისებურ სახეს იღებს და რამდენადმე განსხვავდება წინაზიური ეგზემპლარებისაგან, რომელთანაც ის უთუოდ გენეტიკურად უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ერთგვარი სხვაობა შეინიშნება ცულის პირის მოყვანილობაში, ყუის ზედა შვერილ-

ში და სხვ. აქაც დაახლოებით ისეთივე სურათი გვაქვს, როგორიც ყუამილიან-ყუადაქანებულ ცულებთან გვხვდება. ეს ცულ-წერაქვები, ყუამილიან-ყუადაქანებული ცულების მსგავსად, კავკასიაში ადგილობრივ, თავისებურ სახეს იღებენ. რაც შეეხება ამ იარაღის დანიშნულებას, ამის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებები იყო გამოთქმული. უფრო მართებულია, ჩვენის აზრით, ვიფიქროთ, რომ ეს ცულები საომარი იარაღი უნდა ყოფილიყო.

არქაული ფორმის შუბისმაგვარ იარაღთან ერთად, ზ ა ჰ ე ს შ ი შემთხვევით აღმოჩნდა ერთი ცული, რომელიც თავისი ფორმით მეტად ახლოსა დგას მესოპოტამიის უძველეს ცულებთან (ტაბ. IX, 2). აქ ეს ცულები სადღეისოდ ცნობილია მხოლოდ თიხის მოდელების სახით ჯემდეთ-ნასრიდან, ურიდან და სხვ., სადაც ისინი უკვე მეოთხე ათასწლეულის დასაწყისში ჩანან. საკვლევით მართებულად ფიქრობენ, რომ თიხის მოდელები ლითონის ცულების წაბაძვითაა ნაკეთები. როგორც ჩანს, მესოპოტამიაში ეს არქაული ტიპის ცულები სულ მალე უთმობს ადგილს ყუადაქანებულ-ყუამილიან ცულებს. მესოპოტამიის უძველესი ტიპის ცულები ჩვენში საკმაოდ ადრე ვრცელდება და შესაძლოა ზაჰესის ცული კავკასიაში აღმოჩენილი წინააზიური ფორმებიდან ერთერთი ყველაზე ადრეულია. ალბათ, ჩვენშიაც ამ ფორმამ სათანადო გავრცელება ვერ ჰპოვა და მესოპოტამიის მსგავსად აქ უფრო მკვიდრდება წინააზიური ცულების სხვა ტიპი, ყუადაქანებულ-ყუამილიანი ცულები.

აღსანიშნავია კიდევ ერთი ცული, ახლახან აღმოჩენილი მარნეულის რაიონის სოფ. ბ რ დ ა ძ ო რ შ ი. იგი ზაჰესურ ცულთან შედარებით უფრო განვითარებული ჩანს, ოღონდ თავისთავად საკმაოდ არქაული ფორმისა უნდა იყოს. ეს ცული გარკვეულ მსგავსებას იჩენს ჩრდილო კავკასიაში ყუბანის დიდი ყორღანების კულტურაში გავრცელებულ ცულებთან.

ბრინჯაოს კულტურის ადრეულ საფეხურს უნდა მიეკუთვნებოდეს ერთი სატეხი, შემთხვევით აღმოჩენილი სოფ. ზ ე კ ა რ შ ი. ჩვენში ამ ტიპის სატეხი ცნობილია მხოლოდ საჩხერიდან. კავკასიაში ამგვარ სატეხს ვხვდებით ყუბანის დიდ ყორღანებში. მსგავსი იარაღი გავრცელებული იყო აგრეთვე წინა აზიაში.

ამ პერიოდის ნამოსახლარი ჯერჯერობით სრულიად უცნობია. ამიტომაცაა, რომ ჯერ კიდევ თითქმის არაფრის თქმა არ შეგვიძლია იმ დროის საგვარეულო სოფლის შესახებ. საფიქრებელია, რომ სამეურნეო ცხოვრების ხასიათის გარკვეულ ცვლილებებთან ერთად, რომელიც ჩვენში უკვე ენეოლითის ბოლოსათვის შეინიშნება, უნდა შეცვლილიყო აგრეთვე დასახლების ტიპიც. მესაქონლეობის დაწინაურებას თან მოჰყვა მაღალმთიანი რაიონების ათვისება. ამას ერთგვარად ხელს უწყობდა მეტალურგიის განვითარებაც. სამეურნეო ხასიათის ძვრები, რომელიც ამ პერიოდში უკვე საკმაოდ საგრძნობი გახდა, თანდათანობით იწვევდა საცხოვრებელი ადგილის, საგვარეულო სოფლის სახის შეცვლას. ახალ პირობებში ძველად დასახლებული ადგილები ნაკლებად გამოსადეგი იქნებოდა. მოსახლეობაც ველებიდან, დაბლობი ადგილებიდან თანდათანობით უფრო მთისძირა რაიონებს ეტანება.

მეურნეობა. იმდროინდელი სამეურნეო ყოფის დასახასიათებლად დღეისათვის შესწავლილი ძეგლები მეტად მცირე მასალას გვაწვდიან. მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის შესახებ ჯერჯერობით ძუნწი ცნობები მოგვეპოვება.


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13

საფიქრებელია, რომ ამ პერიოდში მიწის დასამუშავებლად ძირითადად სახვნელი იარაღია გამოყენებული და საფუძველი ეყრება გუთნურ მიწათმოქმედებას. ხარი როგორც გამწევი ძალა რომ უკვე ფართო გამოყენებას პოულობს, ამას უთუოდ მოწმობს თრიალეთის ერთერთ ყორღანში აღმოჩენილი ურმის კვალი და, აგრეთვე, საჩხერეში ნაპოვნი ქინძისთავი ურმისა და შიგ შებმული ხარის სტილიზებური გამოსახულებით. უდავოა, რომ ხარი გამწევ ძალად პირველ რიგში მიწის დასამუშავებლად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ეს გარემოება კი მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების დაახლოებას იწვევდა. ახლა შესაძლებელი გახდა მიწის გაცილებით უფრო დიდი ფართობის დამუშავება. სათესი ფართობის გაზრდის მიზნით სულ უფრო და უფრო იკაფება ტყე. მიწის დამუშავება ამ საფეხურზე უკვე საკმაოდ ძნელი და რთული ხდება და იგი, ჩანს, მთლიანად მამაკაცის ხელში გადადის.

მოსავალს, როგორც ეტყობა, ძირითადად ისევ კაჟის ნამგლით მკიდნენ, მარცვლეულს კი ქვის ხელსაფქვავებით ფქვავდნენ. მოზრდილი ჭურჭელი ალბათ აქაც უმეტესად მარცვლეულის შესანახად იხმარებოდა.

არც მესაქონლეობის შესახებ შეიძლება დაბეჯითებით რამის თქმა. თითქმის სრულიად არ მოგვეპოვება ამ დროის ოსტეოლოგიური მასალა. მაგრამ არაპირდაპირი ცნობების საშუალებით მაინც ირკვევა ზოგი რამ. მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მიწათმოქმედებაში ფართოდ გამოყენება უთუოდ მესაქონლეობის დაწინაურებაზე უნდა მიუთითებდეს. მესაქონლეობა უკვე სხვაგვარ სახეს ღებულობს. მსხვილფეხა საქონელი ახლა თავისებურ მოვლა-პატრონობას საჭიროებს. მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მიწათმოქმედებაში და ტრანსპორტში ჩაბმა მოითხოვდა საცხოვრებლის მახლობლად პირუტყვთათვის სათანადო თავშესაფარს. ამიტომაც, ამ პერიოდიდან ხშირად თვით საცხოვრებლის შიგნით გამოყოფდნენ საგანგებო ადგილს საქონლისათვის.

საფიქრებელია, რომ ამ პერიოდში გარკვეულ განვითარებას აღწევს აგრეთვე მეცხვარეობა. როგორც აღნიშნული იყო, მეცხვარეობის ერთგვარი დაწინაურება ჩვენში უკვე ენეოლითური კულტურის მიწურულიდან შეინიშნება. მესაქონლეობის ამ დარგის დაწინაურებას ბიძგი მისცა აგრეთვე მიწათმოქმედების განვითარებამაც, გუთნურ მიწათმოქმედებაზე გადასვლა მიწის სულ უფრო და უფრო მეტ ფართობს მოითხოვდა, რაც თავის მხრივ ტყის თანდათანობით შემცირებას იწვევდა, გაშლილი ადგილები კი უთუოდ ხელს უწყობდა მეცხვარეობის წინსვლას. გარდა ამისა, ამ პერიოდში, ჩანს, ინტენსიურად მიჰყვეს ხელი მაღალმთიანი ალპიური საძოვრების ათვისებას. ნახევრად მომთაბარეული მესაქონლეობა, რომელსაც ჩვენში საფუძველი უკვე ენეოლითის ბოლოდან ჩაეყარა, კიდევ უფრო ძლიერდება. ამ დროისათვის კავშირი სამიწათმოქმედო ბაზასთან საკმაოდ მყარი უნდა ყოფილიყო. შესაძლოა ამგვარი ურთიერთობის ანარეკლი იყოს თრიალეთის მაღალმთიან რაიონში აღმოჩენილი ყორღანთა ერთი ჯგუფი, რომელიც სრულიად არ შეიცავს თიხის ჭურჭელს. ეს ყორღანები იქნებ მართლაც მიეკუთვნება ამ მიდამოებში მცხოვრებ ტომებს, რომელთა ერთი ნაწილი დროებით ამოსულა მაღალმთიან საძოვრებზე. მაღალმთიანი ალპიური საძოვრების ათვისება, ერთი მხრივ, და მეტალურგიის განვითარება, მეორე მხრივ, თანდათანობით საფუძველს უქმნიდა მესაქონლე ტომების დაწი-

ნაურებას. ეს პროცესი ისახება ბრინჯაოს კულტურის ადრინდელ საფეხურზე და განვითარების მწვერვალს აღწევს მომდევნო ხანაში. ამის ანარეკლია უთუოდ მაღალმთიან რაიონებში აღმოჩენილი შუაბრინჯაოს ხანის მეტად მძლავრი კულტურა.

მეტალურგია. ადრეულ ბრინჯაოს ხანაში ჩვენში მეტალურგიამ საკმაოდ მაღალ საფეხურს მიაღწია. არსებული მასალებიდან ჩანს, რომ ლითონის დამუშავების ტექნიკა დაწინაურებული ყოფილა. იმდროინდელი ლითონის ნივთების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ისინი ძირითადად უკვე ჩამოსხმითაა მიღებული. ზოგჯერ ნივთები ჩამოსხმის საკმაოდ რთული, მოდელის დაკარგვის წესითაა დამზადებული. ამ წესით უნდა იყოს მიღებული ეშერის ერთერთ დოლმენში აღმოჩენილი მასრაორნამენტებული კავი და ცული, ქორეთის ტარშემკული სატევრის პირი და სხვ. ზოგიერთი ნივთი ჯერ კიდევ ცივად ჭედვის წესითაა მიღებული, მაგალითად, საჩხერული პრიმიტიული სატევრის პირები და სხვ. ამ დროს ლითონის ნივთების ქიმიური შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ლითონის ნაწარმი დამზადებულია ისეთი სპილენძისაგან, რომელიც ზოგჯერ 6%-მდე დარიშხანს შეიცავს ან კიდევ — დარიშხანსა და ანთიმონს. როგორც ჩანს, სპილენძი ამ მინარევებს ბუნებრივი სახით შეიცავდა. საქართველოში სპილენძის მინერალები უპირატესად სპილენძ-დარიშხანიანი ან სპილენძ-ანთიმონიანია; გვხვდება აგრეთვე სპილენძ-დარიშხან-ანთიმონიანი მადანიც. საფიქრებელია, რომ ჩვენში უკვე იცნობდნენ დარიშხანიანი სპილენძის თავისებურებას. გარკვეული პროცენტი დარიშხანისა უთუოდ გავლენას ახდენდა სპილენძზე. ამიტომაც ადრეული ბრინჯაოს ხანის ლითონის ნაწარმი საკმაოდ მაღალხარისხოვანი ყოფილა.

ამ პერიოდის სამარხებში გვხვდება ძვირფასი ლითონისაგან ნაკეთები ნივთებიც. ოქროს ნივთები ჯერჯერობით მხოლოდ ორგან აღმოჩნდა (ცარცის გორაზე და თრიალეთის ერთერთ ყორღანში), რაც ალბათ იმაზე მიუთითებს, რომ ოქრომჭედლობა ჩვენში უკვე თავის პირველ ნაბიჯებსა დგამდა. გარდა ოქროსი, თრიალეთის ერთერთ ყორღანში აღმოჩნდა ერთი ვერცხლის ხვია. საყურადღებოა, რომ სტეპანაკერტისა და ხაჩანაგეტის ამავე დროის ყორღანებში სხვა ნივთებთან ერთად აღმოჩნდა აგრეთვე ოქროს ნივთებიც. ეს გარემოება უთუოდ იმაზე მიუთითებს, რომ ამ პერიოდში ამიერკავკასიაში საფუძველი ეყრებოდა ოქრომჭედლობას, რომელმაც, როგორც ცნობილია, მომდევნო ხანაში უკვე განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურს მიაღწია.

სოციალური წყობა. ბრინჯაოს კულტურის ადრინდელ საფეხურზე ჩვენში უკვე ხდება პატრიარქატული გვარის საბოლოო განმტკიცება. მამაკაცის როლი გვარში ახლა საგრძნობლად იზრდება. მამაკაცის წამყვანი მდგომარეობა გვარის შიგნით უთუოდ განაპირობა გვაროვნული საზოგადოების სამეურნეო ცხოვრებაში მომხდარმა მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა. მიწათმოქმედებაში სახვნელი იარაღის შემოღება, მესაქონლეობის განვითარება, მეტალურგიის დაწინაურება და სხვ. ხელს უწყობდა მამაკაცის უპირატესი მდგომარეობის განმტკიცებას გვარში. დედაკაცი თანდათანობით იძულებული ხდება მხოლოდ საშინაო საქმიანობით დაკმაყოფილდეს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ პერიოდში გვაროვნული საზოგადოების შიგნით ქონებრივი უთანასწორობა არ შეინიშნება. გვარის დაწინაურებულ და რიგით წევრთა სამარხეული ინვენტარი ჯერ კიდევ შეტად ღარიბულია და თითქმის არ განსხვავდება ერთიმეორისაგან. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში ზოგან გვარის დაწინაურებულ წევრთათვის დასაფლავების უკვე სრულიად სხვა-გვარი წესი ყოფილა. მათ უკვე საგვარეულო სასაფლაოზე აღარ ასაფლავებდნენ და საგანგებოდ ცალკე საკმაოდ რთულ სამარხს უგებდნენ, რომელიც უთუოდ ძველად დიდ შრომას და, ეგებ, მთელი გვარის მონაწილეობასაც მოითხოვდა. შესაძლებელია ამ პერიოდში თანდათანობით იწყებს გამოსახვას საგვარეულო არისტოკრატია. შესაძლოა ამას ისიც მოწმობდეს, რომ ზოგ ყორღანში უკვე გვხვდება ძვირფასი ლითონის ნივთებიც.

ადრეული ბრინჯაოს ხანის კულტურა ჩვენში გავრცელებული უნდა ყოფილიყო მესამე ათასწლეულის შუა ხანებიდან მეორე ათასწლეულის დასაწყისამდე ძვ. წელთაღრიცხვით.

§ 6. შუაბრინჯაოს ხანა

შუაბრინჯაოს ხანა საქართველოში მოდის დაახლოებით ძვ. წ. XVII—XIII საუკუნეებზე. ეს პერიოდი ხასიათდება წინამავალი საფეხურის კულტურულ მიღწევათა სწრაფი განვითარებით და ბევრი ახალი მოვლენით ტექნიკაში, მეურნეობასა და საზოგადოებრივ ურთიერთობაში.

კავკასიის სამხრეთ რაიონებში, რომლებიც უფრო ახლო ემეზობლებოდნენ წინა აზიის მოწინავე სახელმწიფოებს, პირველად იწყება ჩარხის გამოყენება კერამიკულ წარმოებაში. ამ გარემოებამ უზრუნველყო თიხის ნაწარმის გამრავლება და გაუმჯობესებრება. ჩარხზე მუშაობა დაინერგა ლითონის ჭურჭლის მკეთებელთა შორისაც. ხმარებაში შემოვიდა ბორბლიანი ტრანსპორტი, ორთვლიანი და ოთხთვლიანი ეტლების სახით. გამწევ ძალად, ძველი დროიდანვე ნაცად ხართან ერთად, ცოტა უფრო გვიან, გამოიყენეს ცხენი. ბორბლიანმა ტრანსპორტმა და ახლადმოშინაურებულმა ცხენმა გააფართოვეს და უფრო რეგულარული გახადეს ქართველი ტომების კავშირ-ურთიერთობანი გარე სამყაროსთან. ამას თან მოჰყვა ადგილობრივი კულტურის გამდიდრება წინააზიური კულტურის ნაკადებით. დიდი წინსვლა დაეტყო მიწათმოქმედებას; საფიქრებელია, რომ ამ დროს უკვე იცოდნენ სახნავი კავის გამოყენება. სამიწათმოქმედო კულტურის განვითარების პარალელურად ვითარდებოდა მესაქონლეობა; არაჩვეულებრივად იმატა ბარში უმთავრესად მსხვილფეხა საქონლის სულადობამ, მთაში გამრავლდა ცხვრის ფარა. საოცარ სიმაღლეზე ავიდა მეტალურგია; დაიწყო მისი დიფერენციაციის, კერძოდ, მელითონე ხელოსნების გამოყოფის პროცესი. ყველა ამ მიღწევას არ შეიძლება არ მოჰყოლოდა საზოგადოების მატერიალური დოვლათის, მისი საარსებო საშუალებების უჩვეულო ზრდა. იმის კვალობაზე, თუ რომელ მხარეში როგორი პირობები იყო ახალი მიღწევების ნაყოფით სარგებლობისა, გაძლიერდნენ ცალკეული ტომები. მატერიალური დოვლათის ჭიუხვემ ამ ტომებში მოამზადა პირობები ტომისა და გვარის მეთაურთა პრივილეგიური მდგომარეობისათვის და კიდევაც დაიწყო

გვაროვნული არისტოკრატიის — ქონებრივად და უფლებრივად განსხვავებული ზედა ფენის — გამოყოფის პროცესი.

არქეოლოგიური მონაპოვარი საშუალებას იძლევა მეტ-ნაკლები სიზუსტით გავადევნოთ თვალი ამ პროცესებს და დავადგინოთ ზოგიერთი მხარის კულტურის თავისებურებანი. იმ დროისათვის საკმაოდ გამოკვეთილი ჩანს კულტურის რამდენიმე კერა, რომლებიც გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, მაგრამ ერთმანეთთანაც მჭიდროდ დაკავშირებული და, ამდენად, დიდ ტერიტორიაზე გავრცელებული ერთიანი ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილების შთაბეჭდილებას ტოვებს. ისინი წარმოადგენენ მონათესავე, მაგრამ მაინც ინდივიდუალური ნიშნების მატარებელი ტომების შემოქმედების ნაყოფს. ადგილობრივი ანუ ლოკალური კულტურების შესწავლილობის დღევანდელი დონე საშუალებას იძლევა გავაერთიანოთ ისინი ორ — დ ა ს ა ვ ლ უ რ-ქ ა რ თ უ ლ და ა ღ მ ო ს ა ვ ლ უ რ-ქ ა რ თ უ ლ — კ უ ლ ტ უ რ ი ს წ რ ე შ ი. პირველი მათგანი მოიცავდა დღევანდელ დასავლეთ საქართველოს მისი მიმდგომი მხარეებითურთ კავკასიის ქედის ჩრდილო კალთაზე, მეორე კი — აღმოსავლეთ საქართველოს და მის სამხრეთით მდებარე ზოგიერთ რაიონს. შიდა ქართლის ჩრდილო ზოლში დღევანდელი სამხრეთ ოსეთის ასსრ ტერიტორიაზე გამოვლინებულია არქეოლოგიური ძეგლები, რომლებსაც საშუალო ადგილი უკავიათ კულტურის ამ ორ წრეში და მათს დამაკავშირებლად ისახებიან. მომდევნო პერიოდში ქართული კულტურის ეს ზონები კიდევ უფრო მკვეთრად გამოიკვეთა. აღსანიშნავია, რომ შუაბრინჯაოს ხანის კულტურის ძეგლების აღმოჩენის ადგილებში ყოველთვის გეხვდება გვიანი ბრინჯაოსა და მისი მომდევნო პერიოდების არქეოლოგიური ძეგლები. ეს გარემოება მიუთითებს, რომ ერთხელვე ათვისებული რაიონები არ გაუკაცურებულა და, როგორც სავარაუდებელია, არც მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში მომხდარა არსებითი ცვლილებანი: ბრინჯაოს ხანის სადღეისოდ შესწავლილი არქეოლოგიური ძეგლებიდან არც ერთი არ მოწმობს ეთნიკურ კატასტროფებს, რაც ასე ხშირი იყო უფრო სამხრეთით მდებარე წინა აზიისა და მცირე აზიის მხარეებში. ამ საკითხზე გაცილებით უფრო სრული წარმოდგენის შექმნა შეეძლო მოსახლობების შესწავლას, მაგრამ ისინი ჯერჯერობით მიკვლეული არაა; არქეოლოგიური მასალები მომდინარეობს უმთავრესად სამარხებიდან და ნაწილობრივ სამთამადნო-მეტალურგიული წარმოების კერებიდან. ორივე კატეგორიის ძეგლების ურთიერთშეჯერება ეჭვს არ ტოვებს, რომ შუაბრინჯაოს ხანის ქართული კულტურა ვითარდებოდა ადგილობრივი სამთამადნო რესურსების მოპოვება-გადამუშავების საფუძველზე. სამთამადნო წარმოება და მეტალურგია, როგორც უკვე ითქვა, სწრაფად დაწინაურდა, მაგრამ დასაწყისში მეურნეობის ეს დარგები ერთმანეთთან ჯერ კიდევ ძლიერ მჭიდროდ იყო დაკავშირებული: მადნის მთხრელები და მადნის გამომხურვებელნი ერთი და იგივე კოლექტივები, უმეტესად ერთი და იგივე პირები იყვნენ. ლითონის ხაქმის მომცველი უმძიმესი პროცესი მიმდინარეობდა მადნის საბადოებთან ახლო, იმ მიკრორაიონებში, სადაც პირველყოფილ მეტალურგთა კოლექტივები, მეტალურგთა ტომები მოსახლეობდნენ. მთამადნეულის მოპოვებასა და გადამუშავებას შორის მჭიდრო კავშირი აიხსნება, უპირველეს ყოვლისა, ორი მიზეზით — შრომის ორგანიზა-

ციის პრიმიტიული ხასიათით და სატრანსპორტო საშუალებათა შეზღუდულობით. ეს უკანასკნელი ძლიერ აფერხებდა შორეულ მხარეებში მძიმე მადნის დიდი რაოდენობით გატანას და ლითონის საქმეში შრომის დანაწილების წინსვლას.

სამთამადნო წარმოებისა და მეტალურგიული კერების გაჩენისათვის პირველ რიგში აუცილებელი იყო სათანადო მინერალური რესურსების საკმაო რაოდენობა; მაგრამ, ამას გარდა, საჭირო იყო ახლო მიდამოებში ტყის მასივების არსებობა, ვინაიდან მადნიდან ლითონის აღდგენა იმ დროს ხდებოდა უმთავრესად ნახშირის ცეცხლზე მადნის გამოხურვების გზით და თვით მადნის მოპოვებაც ცეცხლის მონაწილეობით წარმოებდა.

ორივე ამ პირობას კარგად აკმაყოფილებდა კავკასიის ქედის სამხრეთი კალთები, რომლებიც ხშირი ტყეებითაცაა დაფარული და პირველყოფილი მეტალურგიისათვის საჭირო მინერალებსაც საკმაო რაოდენობით იძლეოდა. ასეთივე პირობები იყო ქვემო ქართლშიც მდ. ფოლადაურის აუზში. ამ მხარეების მეტალოგენურ ზონაში მოსალოდნელია ბრინჯაოს ხანის სამთამადნო წარმოებისა და მეტალურგიის ბევრი ნაშთის აღმოჩენა (ამას მოწმობს ცალკეული ძეგლების მიკვლევის ფაქტები არასპეციალური სამუშაოების დროს), მაგრამ დიდი მასშტაბის საძიებო ექსპედიციები ჯერ კიდევ არ მოწყობილა. სადღეისოდ შედარებით უფრო კარგადაა გამოკვლეული ამ მხრივ მდინარე რიონის სათავეები.

სამადნო მეტალურგიული წარმოების ნაშთები მდ. რიონის სათავეებში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციამ მდ. რიონისა და მისი შენაკადების (ზოფხითური, ჩვეშური, ლუხუნი) სათავეებში მიაკვლია სხვადასხვა სახის არქეოლოგიურ ძეგლებს, მათ შორის სპილენძის, ანტიმონისა და დარიშხანის გამონამუშევრებს და მეტალურგიული წარმოების ნაშთებს. გამონამუშევრები წარმოადგენს მოზრდილ (სიგრძით 5—20 მ, სიგანით 2—3 მ, სიმაღლით საშუალოდ 1,5 მ) მღვიმეებს, რომლებიც მდებარეობენ მადნის ძარღვების გავრცელების ზონებში — ციცაბო კლდეებში ან გაველებულ ფერდობებზე, ზღვის დონიდან 1300 — 2000 მ სიმაღლეზე. მოხილული მღვიმეების რიცხვი 25 უდრის, მაგრამ, უეჭველია, ის წარმოადგენს ჯერ კიდევ მიწით დაფარული ანალოგიური ძეგლების მეტად მცირე ნაწილს. ძველი მღვიმეების რიცხვი ყოველწლიურად მატულობს თანამედროვე გეოლოგიურ საძიებო მუშაობასთან დაკავშირებით. უნდა ვიფიქროთ, რომ ზოგი მათგანიდან მადანი გამოთხრილია ჯერ კიდევ ადრებრინჯაოს ხანაში, ზოგიც ეკუთვნის კულტურის შომდევნო საფეხურებს. მღვიმეებმა შემოინახა ნახშირის საკმაოდ სქელი ფენა და მაგარი ქვის ურიბები, ე. ი. კულტურული ნაშთები, რომლებიც გვეხმარება მადნის მოპოვების ძველი წესების გამოცნობაში. ამით მტკიცდება, რომ მემთამადნე კოლექტივი ცეცხლით ახურვებდა მადნის ძარღვიან ქანებს, შემდეგ წყლის ნაკადის მიშვებით ანაპრალებდა მას და, ბოლოს, ქვის მძიმე ურიბებით და, ალბათ, ხის კეტებითა და ცხოველის რქისაგან ნაკეთები წერაქვებით ანგრევდა.

ერთერთ მღვიმეში შემთხვევით აღმოჩენილია ხის ისეთი გობისებური ჭურჭლის ნაშთი, როგორიც ძველად იხმარებოდა მონგრეული მადნის გამოსა-

ტანად. მღვიმეებში გროვებად გვხვდება ფუჭი ქანებიც, რომლებიც ნაწილობრივ მაინც წარმოქმნილი უნდა იყოს მადნის მექანიკური გამდიდრების შედეგად. აღმოჩენილია გრანიტის დიდი გობი, რომელშიც მადანი უნაყავთ.

მადნის საბადოებთან ახლო, ოღონდ, როგორც წესი, ტყის ზონაში მიკვლეულია ხის ნახშირისა და წიდების მძლავრი ფენები. იქვე არის ქვის სხვადასხვაგვარი იარაღები — ხელსაფქვავები, როდინები და სახეხები, აგრეთვე ლითონით გაჟღენთილი თიხის ჭურჭლის ნატეხები. უეჭველია, რომ ამ ადგილებში ხდებოდა მადნის გამოწვა დნობის შემაფერხებელი გოგირდოვანი მინარევებისაგან მისი განთავისუფლების მიზნით, მისი დაფხვნა-გასუფთავება და, ბოლოს, დაწურვა. მადნის საწურებისათვის ხშირად შეურჩევიათ შემაღლებული ადგილები, სადაც ჰაერის თავისუფალი ქროლვა ხელს შეუწყობდა სადნობ ქურაში სიმხურვალის აწევას; მაგრამ ეს პირობა ყოველთვის როდი ყოფილა დაცული. ასეთ შემთხვევაში საეჭვოუდებელია, რომ დნობის დასაჩქარებლად ხმარობდნენ ტყავის საბერველებსაც.

მიუხედავად საგანგებო ღონისძიებებისა, პრიმიტიულ ქურაში ვერ ხერხდებოდა მადნიდან ლითონის სრულად გამოწურვა. მართლაც, წიდების ლაბორატორიულმა შესწავლამ ცხადყო, რომ შიგ დარჩენილა სასარგებლო ლითონის მნიშვნელოვანი რაოდენობა (10 %).

უნდა ვიფიქროთ, რომ დაწურული ლითონის შემდგომი დამუშავება, ე. ი. მისი ხელახალი გადნობა და საჭირო საგნების დამზადება, ხდებოდა თვით მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილზე. რაკი ძველი მოსახლობანი არ გათხრილა, ამიტომ არც სამსხმელო სახელოსნოებია მიკვლეული. ადგილობრივი ლითონის ფართო მოხმარებას სამეურნეო, საბრძოლო, საკულტო და საყოფაცხოვრებო საგნების დასამზადებლად, სამაგიეროდ, გვაუწყებს სამარხეული ინვენტარი, რომელიც მოპოვებულია ბრილში, სოფ. ღების ახლო. შუაბრინჯაოს ხანით დათარიღებული ლითონის საგნები იქ, როგორც მოსალოდნელიც იყო, ნაკეთებია დარიშხანიანი ან ანტიმონიანი ბრინჯაოსაგან; კალიანი ბრინჯაოს სხმულები იშვიათი გამონაკლისია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დარიშხანისა და ანტიმონის პროცენტი 4—15-მდე აღწევს, რითაც ეს სხმულები არსებითად განსხვავდება ადრებრინჯაოს ხანის საჩხერული საგნებისაგან, რომლებშიც ზემოხსენებული კომპონენტები ან სულ არ მონაწილეობს, ან მხოლოდ 2%-მდე შედის (დარიშხანი).

ამ მონაცემების მიხედვით უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ შუაბრინჯაოს ხანაში წესად ქცეულა რთული სხმულების დამზადება, რასაც ადრებრინჯაოს ხანაში მხოლოდ საფუძველი ჩაეყარა.

ღების სამთამადნო-მეტალურგიული კერა ყურადღებას იპყრობს თავისი სიმძლავრით. უნდა ვიფიქროთ, რომ მისი პროდუქცია გადიოდა რიონის ზემო წელის გარეთაც, როგორც ამიერ, ისე იმიერკავკასიის მხარეებში. ამ სავარაუდო მოსაზრებას მხარს უჭერს ბრილური ტიპის ნივთების ჩრდ. ოსეთში აღმოჩენის ფაქტი და აგრეთვე დარიშხანიანი და ანტიმონიანი ბრინჯაოს საგნების ფართოდ გავრცელება შუაბრინჯაოს ხანის საქართველოს სხვა კუთხეებში (საჩხერე, აფხაზეთი, შიდა ქართლის ჩრდილო ზოლი). ყოველ შემთხვევაში, სანამ კავკასიის სხვა მხარეებში მიკვლეული არაა კარგად დათარიღებული

სამთამადნო და მეტალურგიული წარმოების ძველი ნაშთები, ღების კერას უდიდესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს კავკასიის მეტალურგიის ისტორიის ადრეულ საფეხურზე.

ბრილის სამაროვანი. შუაბრინჯაოს ხანის დასავლურ-ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები ყველაზე დიდი რაოდენობით გამოვლინებულია ბ რ ი ლ ი ს სამაროვანზე, რის გამოც მას დაწვრილებით გავეცნობით.

ბრილი მდებარეობს სოფ. ღებიდან ჩრდილო-დასავლეთით 11 კმ-ზე, ზღვის დონიდან 1600 მ სიმაღლეზე. ის წარმოადგენს წყალთაშუა ტერასას მდ. რიონის მარცხენა და მისი შენაკადის — ზოფხითურის მარჯვენა ნაპირზე; სწორკუთხოვანი სამკუთხედის მოყვანილობის ეს პატარა ვაკე აღმოსავლეთით და სამხრეთით მაღალი ფლატეებით ეშვება მდინარეთა კალაპოტისაკენ, მის დასავლეთ ნაპირს კი გასდევს ქედი. ირგვლივ აკრავს მაღალი მთები, რომელთა ძირი ტყიანია, შუა კალთები — ბალახოვანი, ხოლო თხემები — კლდოვანი და თოვლიანი. იქ მშვენიერი ზაფხული და ხანგრძლივი, მკაცრი ზამთარი იცის. მიუხედავად ამისა, იგი თითქმის არასდროს არ წყდება გარე სამყაროს, რიონის ეიწრო ხეობით ყოველთვის გზა ხსნილი აქვს საქართველოს ყველა კუთხისაკენ, ხოლო კავკასიის ქედის გადალახვას ზემო რაჭველები ახლაც არ ერიდებიან ზამთრის პირობებშიაც კი; მამისონის, ნოწარის, კირტიშოსა და ფასის მთის გადასასვლელები ბრილს 1—2 დღის სავალი ბილიკებით აკავშირებდა ჩრდილო კავკასიასთან, კერძოდ, დიგორში გადასასვლელად სრული დღეც კი არაა საკმარი. უეჭველია, რომ ამ გარემოებას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა იქაური უძველესი კულტურების ურთიერთობისათვის და, მართლაც, დიგორისა და მის ახლო მდებარე ხეობების სამაროვნებიდან მომდინარე არქეოლოგიური მონაპოვარი გვიჩვენებს ბრილურ ძეგლებთან გასაოცარი მსგავსების სურათს.

ბრილის სამაროვანი ძევს ტერასის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში და ზემოდან დასცქერის მდ. რიონს. იგი ეკუთვნის მრავალსართულიან სამაროვანთა ტიპს. იქ დამოწმებულია მიცვალებულთა დაკრძალვა უწყვეტლივ ბრინჯაოს ხანიდან მოკიდებული ახ. წ. III—IV სს-მდე. სამაროვნის გამოყენების თითქმის 2500 წლის მანძილზე ერთმანეთის გვერდით არსებობდა ძირითადად ორი ტიპი სამარხებისა — ორმოსამარხები და ქვისსამარხები. ამ უკანასკნელთა კედლები ზოგჯერ ქვის მთლიანი ფიცრებისაა, ზოგჯერ რამდენიმე ფიცრით შედგენილი, ზოგჯერაც შენობის კედლების მსგავსად ნატეხი ქვით ამოყვანილი. ადრებრინჯაოს ხანის სამარხები გამოირჩევა დიდი ზომით (4×4 მ; 3×3 მ) და გვაფიქრებინებს მათ გადახურვაში ხის მასალის აუცილებელ მონაწილეობას, მომდევნო დროის სამარხები კი მარტო ქვის ფიცრებით უხურავთ. სამარხების ზემოთ ხშირ შემთხვევებში ჩნდება მეტ-ნაკლები ზომის ქვაყრილები, რომლებიც თავის დროზე ყორღანისებურად ყოფილა შემაღლებული.

მიცვალებულები დაკრძალული არიან ხელ-ფეხმოკეცით — ქალები მარცხენა გვერდზე, მამაკაცები — მარჯვენაზე. დამხრობის მხრივ გარკვეული წესი არ შეიმჩნევა. ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში ერთმანეთის პარალელურად მოქმედებდა მიცვალებულის გვამის დამარხვისა და არასრული კრემაციის წესი.

მიცვალებულებს თან ატანდნენ სამარხში ყოველგვარ საგნებს — საჭურველს, ტანსაცმელთან დაკავშირებულ ნივთებს, სამკაულს, საკულტო-სარიტუალო დანიშნულების ნაკეთობებს, ზოგჯერ თიხის ჭურჭელს და სხვ. ანტიკური დროის ზოგი სამარხი სრულიად უინვენტაროა.

ინვენტარი ყველა დროის სამარხებში ადგილობრივი მაღალხარისხოვანი ნაკეთობებისაგან შედგება. ძვ. წ. VI—V და მომდევნო საუკუნეებში აგრეთვე საკმაოდ ბევრი უცხოური წარმომავლობის საგანიც უხმარიათ, მაგრამ ამ დროსაც მშობლიური წარმოების ნაყოფი ჭარბობს. შეინიშნება კულტურათა ცვლა: შუაბრინჯაოს ხანის კულტურა მნიშვნელოვნად განსხვავდება გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის კულტურისაგან, ეს უკანასკნელი კიდევ ანტიკური ხანის კულტურისაგან; მაგრამ ამ შემთხვევებშიც საქმე გვაქვს ამ კულტურათა ერთიანობის, მემკვიდრეობითი განვითარების მაუწყებელ ფაქტებთან ისე, რომ სრულიად არ დგება საკითხი ამა თუ იმ კულტურის კატასტროფული დაღუპვის შესახებ. უცხოური ელემენტები მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ბრილის მოსახლეობა, ისევე როგორც ყველა ძველი ქართველი ტომი, კარგად იცნობდა თავისი დროის სხვა ხალხებსა და მათი შემოქმედების ნაყოფს.

ბრილში მოსახლეობა თავდაპირველად, როგორც თავის დროზე იყო აღნიშნული, ბრინჯაოს ხანის დასაწყისში უნდა შესულიყო საქართველოს ბარიდან თუ მთისწინა ზოლიდან. საფიქრებელია, რომ ესენი იყვნენ იმ მეჯოგეთა წარმომადგენელნი, რომლებსაც მანამდე ხშირად უხდებოდათ ნოყიერი ალპიური საძოვრებით სეზონური სარგებლობა ცხვრის ფარის გამოსაკვებად. რადგან სხვადასხვაგვარი მადნის ძარღვები ძლიერ ხშირ შემთხვევებში ზედაპირზე ამოდის სწორედ ალპიურ და სუბალპიურ ზონებში, სადაც ცხვარი ბალახობს ხოლმე, იგი შეუმჩნეველი არ დარჩებოდა მწყემსებს და კიდევაც ეცდებოდნენ მის გამოყენებას ბრინჯაოს წარმოების პროცესში. ამიტომ არის, რომ იმ ადრეული საფეხურის ბრილური ბრინჯაო უპირატესად ანტიმონიანი ან დარიშხანიანია. მაგრამ ირკვევა, რომ ბრინჯაოს ხანის დასაწყისში ბრილში არც მოსახლეობა იყო ხალხმრავალი და ლითონის დამუშავებაშიც პირველი ნაბიჯები იდგმებოდა.

მართლაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბრილის სამაროვანზე ამ უძველესი ხანის სამარხთა რიცხვი განისაზღვრება 3 გაძარცული კოლექტიური მიწისქვეშა ნაგებობით, ამ სამარხთაგან მომდინარე ინვენტარში კი ლითონის ნივთებს დიდმნიშვნელოვანი ადგილი არ უკავია.

ამ დროის ლითონის საჭურველი ბრილში წარმოდგენილია პრიმიტიული, ექვედო სატევრის პირები (ტაბ. XI, 7), რომლებიც ჰგავს კავკასიის სხვა ადგილებიდან ცნობილ ადრეული ბრინჯაოს ხანის სათანადო ნაკეთობებს. არის აგრეთვე ყუამილიანი ცულის დამატებითი მასრა, რომლის ერთი ბოლო ირიბადაა ჩამოკვეთილი, ხოლო მეორეს აზის ვერძის თავის ქანდაკება. ლითონის სამკაულებიდან გვხვდება მარტივი ფორმის სამაჯურები და სხვა ნივთთა ნატეხები.

კულტურის განვითარების ამ საფეხურზე ჯერ კიდევ მძლავრად იგრძნობოდა ენეოლითური ხანის მასალისა და ტექნიკის მაჯისცემა. ეს მტკიცდება

1

2

3

4



5

6

7

8

9



10



11

იმით, რომ უძველეს ფენებში დიდი რაოდენობით გვხვდება კაჟისაგან ნაკეთები ორმხრივდამუშავებული, ქუსლამოღარული, პირდაკბილული ხელშუბის წვერები (ტაბ. XI, 12). უცხო წარმომავლობის საგნებად უნდა ჩაითვალოს ცისფერი პასტის იოტები, რომლითაც უმეტესწილად შემკობილი ყოფილა ტანსაცმელი. დაახლოებით იმგვარად, როგორსაც ხევსურულ კოსტუმზე ვხედავთ.

შუაბრინჯაოს ხანის სამარხები ბრილში. შუაბრინჯაოს ხანის სამარხების უმეტესობა ბრილში დანგრეულია შემდეგი დროის სამარხების გამჭრელთა მიერ. იქიდან ამოყრილი ნივთები ხშირადაა გაფანტული სამაროვნის სხვადასხვა ჰორიზონტში. ზოგჯერ ისინი დიდხანს უტარებიათ და შემდეგ ხელახლა მოხვედრილან გვიანდელ, მათ შორის, ანტიკურ სამარხებში. შუაბრინჯაოს ხანაშიც, ისე როგორც სხვა დროს, ქვისსამარხები და ორმოსამარხები ყოფილა. ზომის მიხედვით მათ უკავიათ საშუალო ადგილი ადრებრინჯაოს, გვიანბრინჯაოსა და ანტიკური ხანის სამარხთა შორის: ჩამოუვარდებიან პირველთ და სჭარბობენ დანარჩენებს. მათი სიგრძე 2 მ-მდე აღწევს, სიგანე — 1 მ, სიმაღლე 0, 7 — 0, 8 მ. თითო სამარხში დაკრძალულია 1 — 3 მიცვალებული; როცა მიცვალებულთა რიცხვი ერთს სჭარბობს, დასტურდება თავშექცევით დასაფლავება. ჩონჩხების ცუდად შემონახულობა ყოველთვის არ იძლევა საშუალებას ზუსტად დადგინდეს დაკრძალვის პოზა; ხელ-ფეხმოკეცით მდებარეობა მიცვალებულისა დამოწმებულია ერთ შემთხვევაში.

ყურადღებას იპყრობს სამარხეული ინვენტარის სიუხვე. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი დარიშხნიანი და ანტიმონიანი ბრინჯაოს საგნები. სრულიად არაა თიხის ჭურჭელი, რის მაგივრობასაც, ალბათ, ხის ჭურჭელი სწევდა. აღარა გვხვდება წინამავალი დროისათვის დამახასიათებელი კაჟის ნაწარმი. ჩანს, რომ ქვის ინდუსტრია იქ საბოლოოდ შეაჩერა ბრინჯაოს მძლავრმა მეტალურგიამ.

ლითონის ნივთებიდან ყველაზე მეტად დამახასიათებელია ბრინჯაოს სატევრები, შუბის წვერები (ტაბ. XI, 4, 5), ცულები (ტაბ. XI, 13), სხვადასხვანაირი საკიდები (ტაბ. XII, 1, 9), ქინძისთავები (ტაბ. XII, 2, 4, 7), სამაჯურები, სასაფეთქლეები; ვერცხლის გულსაბნევები და სასაფეთქლეები. ბევრია წმინდა ანტიმონის ორ-სამკოპიანი მძივები, ასეულობით — ცისფერი პასტის იოტები; შედარებით ცოტაა სარდიონისა და გიშრის მძივები.

სატევრის პირები პატარა ზომისაა და მათი უმეტესობა გამოირჩევა მეტად არქაული იერით. ისინი ფოთლისებური მოყვანილობისაა და თანაც უქედო ან ოდნავ შესამჩნევად შესქელებული შუაში. ამათ გვერდით ვხვდებით ქედიან, მაგრამ აგრეთვე არქაულ, სატევრებსაც.

შუბის წვერთაგან, გარდა ერთისა, ყველა მასრაგახსნილია (ტაბ. XI, 4, 5). ზოგი მათგანი, განსაკუთრებით კალიანი ბრინჯაოსაგან ნაკეთები (ტაბ. XI, 4), ძლიერ მოხდენილი პროპორციებით ხასიათდება და მშვენიერი მოყვანილობისაა, სხვები კი საკმაოდ უხეში და თანაც მრისხანე იარაღის შთაბეჭდილებას ტოვებენ.

ცულები ეკუთვნის ყუადაშვებულ-ყუამილიანთა ტიპს. სატარე ნახვრეტი ყველას მრგვალი აქვს. გვხვდება მოკლემილიანი, წვრილი, მაღალტანიანი და ფართოპირიანი ცულები, რომლებიც აერთიანებენ სამუშაო და საომარი იარა-

ღის ნიშნებს. ასეთივე ნიშნებით ხასიათდება შედარებით მომცრო, ბრტყელ-ტანიანი ცულები და ზოგი მათი სახესხვაობა. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საქართველოს ტერიტორიაზე მანამდე უცნობი ქვეტიპი ყუამილიანი ცულებისა, რომლებიც გამოირჩევიან მეტად მოხდენილი, მაგრამ შრომისა და ბრძოლის იარაღისათვის სრულიად შეუფერებელი იერით. ესენია დამატებითი ყუამილით აღჭურვილი, ორმხრივ მოხრილტანიანი და გორდაპირიანი ცულები, რომლებსაც ამკობს ტეხილი ხაზის შემქმნელი სამკუთხედების ქსელი, წრეხაზები და, ამას გარდა, ზოგჯერ ვერძის თავის ქანდაკებები (ტაბ. XI, 13). ამ იარაღის მოყვანილობა და შემკულობა, ისევე როგორც ვიწრო სატარე, მიუთითებს მის საკულტო-საპარადო დანიშნულებაზე. ამავე მიზნისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი ყუაშესქელებული ცელისებური, თანაც ფიგურულად პირამოკვეთილი იარაღი (ტაბ. XI, 10).

მონაპოვარი მასალა მოწმობს, რომ ცულისა და ცხვრის კულტი ამ დროის მოსახლეობაში ფრიად გავრცელებული იყო. ასე მაგალითად, სამკაულებისა თუ საკულტო საგნების უმეტესობას ერთპირიანი ან ორპირიანი ცულის მოყვანილობა აქვს და ხშირად შემკობილია ვერძის თავის ქანდაკებებით (ტაბ. XII, 1, 9). ზოგი მათგანი წარმოადგენს გამოსახულებას ფანტასტიკური, ნარევი არსებისა, რომელიც აღჭურვილია ვერძის თავით, ცულისებური ფრთებით, სავარცხლისებური ბოლოთი და მზის სიმბოლოებით (ტაბ. XII, 1). უამრავია აგრეთვე ცალკე დამზადებული ვერძის თავის ქანდაკებანი, ზოგჯერ მეტად გაზვიადებული, 3—4 ხვეულიანი რქებით.

სამკაულიდან და ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთებიდან მოვიხსენიებთ მარტივ, სამკუთხა და რკალურგანივკვეთიან სამაჯურებს, ოვალური და მრგვალი მოყვანილობის სასაფეთქლე საკიდებს, დისკოსებურ, ქოლგისებურ და პირამიდისებურთავიან ქინძისთავებს (ტაბ. XII, 2, 4, 7), გვერდებჩათლილ გიშრის მძივებს, კარგად დამუშავებულ სარდიონის მძივებსა და ტანსაცმლის მოსაოქად განკუთვნილ პასტის იოტებს.

ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ თითო სამარხში აღმოჩენილ ლითონის ნივთთა რაოდენობა ზოგჯერ რამდენიმე ათეულს აღემატება. ასე მაგალითად, მე-12 სამარხში აღმოჩენილია 7 ცული, 14 შუბის წვერი, 8 სატევარი, 12 სამაჯური, 26 ქინძისთავი, 12 საკიდი და სხვ. ეს სამარხი გამონაკლისს არ წარმოადგენს. ამასთან შენიშნულია, რომ სამარხებში, რომლებშიც საპარადო იარაღი არაა, ინვენტარი შედარებით ღარიბულია. ამ ფაქტების გათვალისწინების შედეგად შეიძლება გაკეთდეს არსებითი ხასიათის ზოგი დასკვნა. უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ წინა საფეხურთან შედარებით არაჩვეულებრივად გაზრდილა ლითონის პროდუქციის როლი მოსახლეობის ყოფაცხოვრებაში, რაც მეტალურგიის სწრაფი გაფურჩქნისა და აყვავების შედეგი იყო. მეურნეობის ეს დარგი, მესაქონლეობასთან ერთად, წარმოადგენდა მთის მოსახლეობის საარსებო საშუალებათა მარაგის ზრდის ძირითად წყაროს. ნატიფად გამოყვანილი ცულები, სამკაულები და ზოგიერთი შუბის წვერი მიუთითებს ხელოსნობის საკმაოდ მაღალ დონეზე და ჩამოსხმის საქმეში დახელოვნებული მადნის მთხრელებისა და დამწურავების პროფესიის არსებობაზე. ლითონის დამუშავება დიდად გასცდა ნივთების ცივად ჭედვის საფეხურს,

აყვავდა ცვილის მოდელის მიხედვით ჩამოსხმის ტექნიკა, მეტალურგიის ნაწარმი გადაიქცა საექსპორტო საგნად. შესაძლოა, რომ ამ საქმეს სათავეში ედგა გვარის მეთაური. იგივე განაგებდა საქონლის მოშენების საქმესაც. ამგვარად, მის ხელში იყრიდა თავს უმნიშვნელოვანესი დოვლათის მოვლისა და განაწილების სადავეები და იქმნებოდა პირობები გვარის რიგითი წევრებიდან მისი ქონებრივი გათიშვისათვის. საფიქრებელია, რომ გვარის მეთაური ამავე დროს იყო უმაღლესი ქურუმიც; მისი აღჭურვილობა გამოირჩეოდა საგანგებო შემკულობითა და სიმბოლოებით. სწორედ ამ ქურუმ-წინამძღოლებს უნდა ეკუთვნოდეთ მდიდრული სამარხები, რომლებშიც გარკვეული ადგილი უკავია სხვა მხარეებიდან შემოტანილ სამკაულებსაც (სარდიონი, პასტა).

ლითონის ინვენტარის მიხედვითვე შეიძლება ვამტკიცოთ საქონელში ცხერის უპირატესი როლი. რიონის სათავეების ვრცელი ალპიური საძოვრები ქმნიდა მეცხვარეობის განვითარების შესანიშნავ პირობებს. ზაფხულში იქ შეიძლებოდა ცხერის მრავალრიცხოვანი ფარის გამოკვება, რომელსაც გამოსაზამთრებლად კასპიის ტრამალებისაკენ ერეკებოდნენ. მეცხვარეებს გზად უნდა გაეელოთ ჩრდილო კავკასიის ვიწრო ხეობები, რომელთა მოსახლეობასთან სამშვიდობო კავშირი აუცილებელი პირობა იყო რეგულარული მგზავრობის წარმატებისათვის. თითქმის უეჭველია, რომ სწორედ ამგვარი ურთიერთობის შედეგი უნდა იყოს ბრილური კულტურის ახლო მსგავსება ჩრდილო კავკასიის, განსაკუთრებით დიგორის, კულტურასთან. სავარაუდოა ორივე მხარის მოსახლეობის ტომობრივი მონათესაობაც. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს დიგორული დიალექტის საენათმეცნიერო გამოკვლევები, რომელთა მიხედვითაც დიგორის ძველი, ოსური წინა მკვიდრნი მიეკუთვნებიან იბერულ-კავკასიური მოდგმის ხალხებს.

დასავლურ-ქართული კულტურის გავრცელების რაიონები. გზადაგზა უკვე მოვიხსენიეთ შუაბრინჯაოს ხანის დასავლურ-ქართული ძეგლები სხვადასხვა რაიონებიდან. ახლა საჭიროა უფრო კარგად გავიცნოთ ისინი.

წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ ამ კულტურის ძეგლების უმეტესი ნაწილი საქართველოში ჯერ კიდევ არ გამხდარა საგანგებო შესწავლის საგნად. გამონაკლისია ორიოდე სამაროვანი, ისიც არა დასავლეთ საქართველოში, არამედ შიდა ქართლში. რაც შეეხება აფხაზეთის ზღვის სანაპიროსა და საჩხერის რაიონს, იქაური შუაბრინჯაოს ხანის ძეგლები საკმაო დამაჯერებლობით არაა გამოცალკევებული უფრო ადრინდელთაგან. ეს გარემოება ართულებს მათ სისტემურ გააზრებას. ამიტომ იძულებული ვართ ამ შემთხვევაში დავკმაყოფილდეთ ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობებით.

შავი ზღვის კავკასიის სანაპიროზე უკვე ადრებრინჯაოს ხანაში წარმოიშვა ქვის სამარხების განსაკუთრებული ტიპი — დოლმენები. ისინი ცნობილია სხვა ქვეყნებშიც. მათი წარმომავლობის შესახებ მეცნიერებაში ჯერ კიდევ აზრთა სხვადასხვაობაა. შესაძლოა, რომ დოლმენები დამოუკიდებლად გაჩნდა სხვადასხვა მხარეში. კავკასიის დოლმენებიდან მეტად დიდი ზომით გამოირჩევა აფხაზეთის (ეშერი, კიურდერე და სხვ.) დოლმენები. დოლმენის კედლად ჩადგმული ან ხუფად გამოყენებული თითო ქვის წონა ზოგჯერ 22000 კგ აღემატება. ეს

მოწმობს, რომ მათი მშენებლები ემყარებოდნენ არა მარტო კოლექტიურ შრომას, არამედ იყენებდნენ მექანიკურ ძალასაც პრიმიტიული ამწეების სახით.

ამ უზარმაზარ ნაგებობებში მიცვალებულები უმარხავთ შუაბრინჯაოს ხანაშიც და უფრო გვიანაც. ჩონჩხების ცუდი დაცულობის გამო ნათლად არაა დადგენილი დაკრძალვის წესის უმნიშვნელოვანესი ელემენტები. ჯეროვანი სიზუსტით არაა გამიჯნული შუა ბრინჯაოს ხანის ინვენტარი ადრებრინჯაოს ხანის საგნებისაგან. ლაბორატორიული კვლევის შედეგები მოწმობს, რომ დოლმენების პერიოდის საგნები დარიშხნიანი შენადნობისაგან უკეთებიათ. იარაღ-საჭურველი მთელ რიგ შემთხვევებში იმეორებს ბრილურ ფორმებს. ასეთია ფოთლისებური სატევრის პირები და ზოგი ყუამილიანი ცული. ამ უკანასკნელთა შორის სჭარბობს საჩხერული ვარიანტები. ბრილურ საგნებთან ახლო დგას აგრეთვე ცხვრის თავებით შემკობილი მასრა, რომელიც ცულის დამატებით ყუამილს უნდა წარმოადგენდეს, მკერდგახვრეტილი, „რქებიანი" ჩიტების ქანდაკებანი, სასაფეთქლეები და ყუამილიანი ცულის მინიატურული მოდელები. დოლმენთა ინვენტარის ეს ორი უკანასკნელი სახე, ბრილური ანალოგიების მიხედვით, განეკუთვნება შუაბრინჯაოს ხანის დასასრულს. იმავე პერიოდისა ჩანს ცხელი ხორცის ამოსაღები ზოგიერთი ჩანგალი, ბრინჯაოს მძივები და თავდაფანჯრული ქინძისთავები. ისინი წარმოადგენენ დოლმენების კომპლექსთა განმასხვავებელ საგნებს.

უნდა ითქვას, რომ ეშერ-კიურდერეს დოლმენებში საკმაოდ მძლავრადაა წარმოდგენილი ლითონის ინვენტარი. ფიქრობენ, რომ ეს ძეგლები ეკუთვნის ლითონით მოვაჭრე ზღვისპირა მოსახლეობას. დოლმენებში გვხვდება თიხის ჭურჭელიც, მაგრამ მათი ასაკის დაუზუსტებლობის გამო აქ არ განვიხილავთ.

აფხაზეთის მხარე ერთადერთი არაა ზღვის სანაპიროზე, რომელმაც შუაბრინჯაოს ხანის ძეგლები გაგვაცნო. ზღვის სანაპირო ზოლში ამ კულტურის ძეგლები ცნობილია მახარაძის რაიონში. იქ, სოფ. ურეკთან აღმოჩენილია ბრინჯაოს განძი, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ყუამილიანი ცულების მოგვიანო ვარიანტს. ის ჩაფლული უნდა იყოს ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებში. საგანგებოდ დაფლული განძები ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს გვიანბრინჯაოს ხანისათვის, მაგრამ შუაბრინჯაოს დასავლურ-ქართული კულტურის წიაღში ეს ერთადერთია და უნდა გვაუწყებდეს ლითონის ნივთების მოსახვეჭად მწვავე ბრძოლების პერიოდის დადგომას.

ასეთივე ცულები და მათი სახესხვაობანი ცნობილია ლეჩხუმიდან, სვანეთიდან, ლიახვის ხეობიდან და სხვ.

დასავლურ-ქართული კულტურის ძეგლები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გავრცელებულია შიდა ქართლის ჩრდილო ნაწილშიც. აქ შესწავლილია ორი—ნულისა და ქვასათალის — სამაროვანი. სამარხები წარმოადგენს ქვით ამოშენებულ და თავის დროზე ალბათ ხის ძელებით გადახურულ ორმოებს. თითო სამარხში რამდენიმე მიცვალებულის ჩონჩხია, მათ შორის ბავშვებისაც. როგორც ჩანს, საგვარეულო სასაფლაოს თითო სამარხში იმარხებოდნენ ერთი ოჯახის წევრები. დამხრობა იქაც ნებისმიერი ყოფილა. ჩონჩხებიც ხელფეხმოკეცილ მდგომარეობაში ძევს.

სამარხეული ინვენტარი მოწმობს ლითონის ფართო მოხმარებას. გვხვდება. დარიშხნიანი ბრინჯაოს ფოთლისებური სატევრის პირები (ტაბ. XI, 6, 14), შუბის წვერები, ყუამილიანი ცული (ერთი შემთხვევა, ტაბ. XI, 9), სხვადასხვა-ნაირი ქინძისთავები (ტაბ. XII, 2, 3, 4, 7), ლითონის თხელი ფურცლისაგან გამოჭრილი, თანაც ბოლოებგაფართოებული სასაფეთქლეები, ჩვეულებრივი ტიპის სასაფეთქლეები, ეერცხლის გულსაბნევები და სხვ.

სხვა საგნებიდან აღსანიშნავია ქვის ლახტის თავები, ობსიდიანის ისრის წვერები (ტაბ. XI, 8), სარდიონის, პასტისა და გიშრის მძივები, აგრეთვე სხვა-დასხვაგვარი ნიჟარები.

ინვენტარის არსებით ნაწილს წარმოადგენს კერამიკა. ზოგიერთ სამარხში ჭურჭლის რიცხვი ერთ ათეულს ჭარბობს. იგი უმორგვოდაა ნაძერწი და გა-მომწვარია უმთავრესად შავად, ზოგჯერ კი მოწითალო-მორუხოდაც (ტაბ. X, 7). ეს უკანასკნელი წარმოდგენილია მცირე ზომის სამზარეულო ქოთნებისა და წელში გამოყვანილი სასმისების სახით მაშინ, როცა შავად გამომწვარია პირგადაკვეთილი ჯამები, ბადიები, მოზრდილი ქოთნები და ქილები. ზოგი მათგანი თითქმის ზუსტად ემთხვევა საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში, განსაკუთრებით მთაში შემორჩენილი ხის ჭურჭლის ფორმებს. კერამიკის მნი-შვნელოვანი ნაწილი შემკობილია სავარცხლის კბილის ორნამენტით (ტაბ. XII, 11), ამოკაწრული და რელიეფური ზოლებით (ტაბ. XII, 12).

ნულისა და ქვასათალის მონაპოვარი მთელ რიგ შემთხვევებში უკავშირ-დება დასავლურ-ქართულ კულტურას, მაგრამ ამასთან, როგორც იტყვიან, ცა-ლი ფეხით დგას აღმოსავლურ-ქართული კულტურის სამყაროში. იგი გვევლინე-ბა ამ ორი კულტურის დამაკავშირებელ რგოლად, რის შესახებაც უფრო და-წვრილებით გვექნება საუბარი.

დასავლურ-ქართული კულტურის წრეში გასაერთიანებელი ძეგლები, როგორც უკვე ითქვა, გვხვდება კავკასიის ქედის ჩრდილო კალთაზეც. მათგან ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დიგორისა და ოსეთის ზოგი სხვა რაიონის მონაპოვარს. ამ მასალის არსებითი ნაწილი ამოთხრილია შემთხ-ვევითი პირების მიერ, რის გამო დიდხანს ვერ მოენახა კუთვნილი ადგილი კავ-კასიის კულტურის განვითარების ქრონოლოგიურ შკალაზე. მაგრამ შემდეგ, ახალი აღმოჩენების წყალობით შესაძლებელი გახდა მისი მართებული გაგა-ზრება. ამ საქმეში გარკვეული როლი შეასრულა ბრილის არქეოლოგიურმა კომპლექსებმა.

მართლაც, ჩრდილო კავკასიურ მონაპოვარში შედის ბრინჯაოს საგნები, რომლებიც ზედმიწევნით ჰგავს ბრილურებს, სახელდობრ, ყუამილიანი ცულე-ბის ყველა ვარიანტი, შუბის წვერები, სატევრის პირები, ცულის მინიატურუ-ლი მოდელები, ეერძის თავის ქანდაკებანი, შტანდარტები და სხვ. იქვე გამოირ-ჩევა სამკაულები, რომლებიც დამახასიათებელია დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებისათვის, მაგალითად, ბრინჯაოს თხელი ფურცლის სასაფეთქ-ლეები (ნული-ქვასათალის ტიპისა), თავდაფანჯრული ქინძისთავები (ცნობილია სვანეთიდანაც, ტაბ. XII, 5) და ბევრი სხვა. არის სრულიად თავისებური საგ-ნებიც. არქეოლოგიური მასალა მოწმობს, რომ იმიერ და ამიერკავკასიის კულ-ტურებს შორის კავშირი დამყარდა ჯერ კიდევ ისტორიული განვითარების

წინა პერიოდში, ხოლო გვიანბრინჯაოს ხანაში ეს კავშირი აეიდა ახალ, მაღალ საფეხურზე. ამიერკავკასიის კულტურის ნაკადები ჩრდილო კავკასიის გზით აღწევდა უფრო შორს, ჩრდილოეთითაც; ამას უეჭველი სიცხადით ამტკიცებს აღმოჩენები კატაკომბების, ფატიანოვოს და სხვა კულტურების გავრცელების რაიონებში, რომლებშიც გარდა საკუთრივ ამიერკავკასიური ნივთებისა პოულობენ ამიერკავკასიის გზით შეტანილ წინააზიურ თუ მათი მიბაძვით ნაკეთებ ადგილობრივ საგნებს.

წინააზიური კულტურის ნაკადები მძლავრად მოჩანს საკუთრივ დასავლურ-ქართულ ბრინჯაოს კულტურაშიც. საკმარისია აღინიშნოს, რომ აქაური არქეოლოგიური კომპლექსების ძირითადი ელემენტი — ყუამილიანი ცული თავისი ფესვებით უკავშირდება შუმერის კულტურის წიაღში ჯერ კიდევ ძვ. წ. IV—III ათასწლეულთა მიჯნაზე წარმოშობილ ცულებს, მათ ერთ არსებით ნიშანთაგანს — ირიბად ჩამოკვეთილ ყუამილს—ვხვდებით საჩხერის ტიპის ადრეული ბრინჯაოს ხანის ცულებზე (ტაბ. IX, 4, 6), ხოლო შუმერული ცულების მონათესავე ლურისტანულ ცულებს შემკობით და საერთო მოყვანილობით ენათესავება ბრილური ცულები. ამ უკანასკნელთა გავლენა გადასწვდა არა მარტო კავკასიის ქედის ჩრდილო კალთების ლითონის პროდუქციას, არამედ აგრეთვე უფრო შორეულ მხარეებსაც, რაზედაც უეჭველი სიცხადით მიუთითებს ბოროდინოს (ბესარაბიის) განძის გორდაპირიანი ქვის ცულები, თითქმის ზუსტი განმეორება ბრილური ბრინჯაოს ფორმებისა. შუმერული ოქროს სასაფეთქლეების ფორმა უცვლელადაა აგრეთვე განსახიერებული ნულის, ქვასათალის, დონიფარსისა (ჩრდ. კავკასია) და ხოროჩოის (დაღესტანი) ბრინჯაოს სამკაულებში. წინააზიური კულტურის კიდევ უფრო მეტი ელემენტია დამოწმებული შუაბრინჯაოს ხანის აღმოსავლურ-ქართულ ძეგლებში, რომელთა დახასიათებაზეც ახლა გადავდივართ.

სამთავროს სამარხი № 243. შუაბრინჯაოს ხანის აღმოსავლურ-ქართული კულტურის ცალკეული ძეგლები გამოვლინებულია მცხეთაში და მის მეზობლად სოფ. ნარეკვავში, მაგრამ ამ კულტურის განვითარების საერთო სახე გაცილებით უფრო სრულად მოჩანს თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის აღმოჩენების მიხედვით. მცხეთაში (სამთავროს სამაროვანზე) გათხრილ ამ დროის ძეგლებს შორის ყველაზე მეტყველია ყორღანული ტიპის სამარხი № 243, რომელშიც ადამიანის ჩონჩხი თუმცა არ აღმოჩენილა, მაგრამ იყო: ცხოველთა ძვლები, თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს იარაღები და გიშრისა და სარდიონის მძივები. ამ მონაპოვრიდან თიხის ერთი ქილა წააგავს ქვასათალისა (ტაბ. X, 7) და თრიალეთის ზოგიერთ ჭურჭელს, ხოლო გიშრის მძივები იმეორებს ნულიდან, ქვასათალიდან და ბრილიდან ცნობილ მძივებს. ამავე ადგილებში გავრცელებულ არქაული იერის იარაღს უახლოვდება ბრინჯაოს მოკლე სატევარი თუ ორფხიანი დანა (შად. ტაბ. XI, 6). სამარხში აღმოჩენილია კავკასიისათვის მეტად იშვიათი იარაღი — გრძელი, საძგერებელი მახვილი. მისი ორი ანალოგი ცნობილია ისტორიული ლორეს თემიდან (ძორაჰესის ახლო) და ალავერდის რაიონიდან. ეს ტიპი მომდინარეობს ეგეოსის კულტურის წრიდან, რომელშიც ის იყო გავრცელებული სწორედ შუაბრინჯაოს ხანაში.

დაკრძალვის წესებთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას საჭიროა ყურადღება მიექცეს იმ გარემოებას, რომ სამთავროს სამარხში არ აღმოჩენილა მიცვალებულის ჩონჩხის არავითარი ნაშთი. ამგვარ სამარხებს კენოტაფებს უწოდებენ. მსგავს მოვლენებს ვხვდებით თრიალეთის კულტურის ძეგლებშიც. თრიალეთურ კულტურაშივეა საძებნელი ნარეკვავში შემთხვევით აღმოჩენილი მოხატული კერამიკის საწყისები.

ყორღანული კულტურა თრიალეთში. თრიალეთის არქეოლოგიური გათხრის წყალობით გამოვლინდა საქართველოსა და ამიერკავკასიაში მანამდე სრულიად უცნობი სურათი შუაბრინჯაოს ხანის აყვავებული კულტურისა. იქ გაითხარა 50-მდე ყორღანული სამარხი, რომელთა უმრავლესობა სწორედ შუაბრინჯაოს ასაკისაა. ბევრი მათგანი ადრევე გაუძარცვავთ, მაგრამ ხელუხლებლად მოღწეულ რამდენიმე სამარხში აღმოჩენილი საგნები და იქ დამოწმებული დაკრძალვის წესიც კი საკმაო სამსახურს გვიწევს თავისი დროის საზოგადოების კულტურული სახის შეცნობაში.

მიცვალებულების დასაკრძალავად იქ ამოყვანილია ყორღანები, რომლებიც საქართველოში გვხვდება ჯერ კიდევ ენეოლითიდან (ტყვიავი, სამგორი) და ადრებრინჯაოს ხანიდან მოკიდებული (საჩხერე, საკუთრივ თრიალეთი). იქაური ყორღანები წარმოადგენს სუფთა ქვაყრილს, მიწის ზვინს ან კიდევ ქვისა და მიწის ნარევისაგან გაკეთებულ მეტ-ნაკლები ზომის ბორცვებს. მათი მოყვანილობა მოგვაგონებს დაბალ, უწესო ნახევარსფეროს ან კონუსს, რომლის შუა ნაწილი ზოგჯერ ორმოსებურადაა ჩავარდნილ-ჩაწეული. ეს უკანასკნელი ნიშანი გვამცნობს ყორღანის გაძარცულობას ან კიდევ ყრილქვეშ მოთავსებულ ღრმა ორმოსამარხის არსებობას. ორმოსამარხების სიღრმე-სიფართე მეტწილად დამოკიდებულია ადგილობრივი ქანების სიმკვრივეზე. კლდოვან ნიადაგში მომცრო ორმოები უთხრიათ, ხოლო მდინარე ქციის ნაპირებზე, სადაც დალექილია დელუვიონის სქელი ფენები, ამოკვეთილია მეტად დიდი, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ დამხრობილი, სწორკუთხედი მოყვანილობის სამარხები, რომელთა სიღრმე ზოგჯერ აღწევს 8 მეტრს, სიგრძე-სიგანე კი — 5-3,5 მ. ორმოს ძირს დედამიწის ზედაპირთან ზოგჯერ აერთებს დამრეცი თხრილი ანუ დრომოსი. ესაა საგანგებო გზა, რომლითაც მიცვალებულის ნეშტი და სამარხეული ინვენტარი უნდა ჩაეტანათ შიგ. ამასთან ერთად არის უორმოო ყორღანებიც. ასეთ შემთხვევაში მიცვალებულები დაუკრძალავთ დედამიწის ზედაპირზე და მათ ზემოთ ამოუყვანიათ ყორღანი. უორმოო ყორღანებს შორის ზოგიერთი გამოირჩევა მეტად თავისებური, სახლის მსგავსი სამარხებით. ამგვარი სამარხის სამი კედელი აუგიათ დაუმუშავებელი ქვებით ან, შეიძლება, თავის დროზე ხით იყო გამართული, მეოთხე მხარე კი ღიაა. ეს ნაგებობანი ახლა წარმოადგენენ მიცვალებულისათვის განკუთვნილ ვრცელ, ცალი მხრიდან გახსნილ დარბაზებს. ფიქრობენ, რომ ისინი გადახურული იყო ხის მასალით, რომლის ნაშთს ჩვენს დრომდე არ მოუღწევია. თითოეული სამარხ-დარბაზის ფართობი ზოგჯერ 175 კვადრატულ მეტრს აღწევს. მთელი ნაგებობა ზემოდანაც და გვერდებიდანაც დაფარული იყო ქვაყრილით, რომლის სიმაღლე ცალკეულ შემთხვევებში 5 მ აღწევდა, ხოლო დიამეტრი — 50-60 მ.

ისეთი გრანდიოზული ძეგლების მშენებლობა, როგორიც თრიალეთის ყორღანებია, მოითხოვდა უაღრესად დიდ შრომას. ის იხარჯებოდა ქვის მოტეხაზე, მიწის თხრაზე, მიტანასა და დაზვინვაზე. ასეთი სამუშაოს შესრულება შეეძლო მხოლოდ მრავალრიცხოვან, თანაც ეკონომიურად მძლავრ ტომსა და გვარს. შესაძლოა, რომ ამგვარ სამუშაოზე, რომელიც მატერიალურ დოვლათს არ ქმნიდა, იყენებდნენ არათავისუფალ პირებსაც. მათი არსებობა პატრიარქატული მონების სახით სავარაუდებელია კულტურის ისეთ წიაღში, როგორიც თრიალეთის არქეოლოგიურმა გათხრამ წარმოაჩინა. ამ ფრიად დაწინაურებულ მიწათმოქმედ-მესაქონლე და მელითონე საზოგადოებაში პატრიარქატული მონობის წყარო შეიძლება ყოფილიყო სატომთაშორისო კონფლიქტები და შეხლა-შემოხლა. გათხრილ ძეგლებზე დაკვირვება მოწმობს, რომ თრიალეთის კულტურის მატარებელნი ნებისმიერად არ ეპყრობოდნენ მონათა სიცოცხლეს: იქ არ დამოწმებულა ბელადებისათვის „საიქიო მსახურების“ თან გატანების არც ერთი ფაქტი. რასაც ადგილი ჰქონდა მესოპოტამიისა და წინააზიის სხვა მონათმფლობელურ სახელმწიფოებში ჯერ კიდევ ძვ. წ. III ათასწლეულიდან მოკიდებული.

თრიალეთის დიდ ყორღანებში საერთოდაც არ აღმოჩენილა მიცვალებულთა ჩონჩხის ნაშთები. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ერთი პატარა ყორღანი, რომელშიც პირქვე დამხობილი და თანაც კიდურებმოხრილი ჩონჩხი იყო. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ადამიანის ძვლებმა ვერ გაუძლო საუკუნეებს და უკვალოდ დამიწდა, მაგრამ ამ ვარაუდს საფუძველს აცლის იმავე ყორღანებში ხშირად კარგად დაცული ცხოველთა ძვლების აღმოჩენის მრავალი ფაქტი. ამიტომ უფრო მართებულია ვივარაუდოთ, რომ მიცვალებულს ყორღანის გარეთ წვავდნენ და მხოლოდ მის ფერფლს ფლავდნენ სამარხში. ფერფლის დამარხვას თან სდევდა მტკიცედ დადგენილი წესების შესრულება, რომელთა გარკვეული ნაწილის გაცოცხლება ხერხდება როგორც ყორღანებში აღმოჩენილი მონაპოვრის, ისე ხეთური წერილობითი წყაროების მიხედვით. სამარხი დარბაზისა თუ ორმოს იატაკზე ფენდნენ ჭილობებს. ხის მძიმე ეტლით, რომელშიც ხარები იყვნენ შებმული, სამარხში შეჰქონდათ მიცვალებულისათვის გამოყოფილი ფასეულობა, მათ შორის სასმელ-საჭმელიც. ალბათ იმავე ეტლზე იდგა ფერფლით სავსე ჭურჭელიც. ეტლსაც და სხვა ავლადიდებასაც სამარხში ტოვებდნენ. ეტლში შებმულ ხარებს ხოცავდნენ და ისე ატყავებდნენ, რომ ტყავს თან გაჰყოლოდა თავი, კიდურთა ქვედა ნაწილები და კუდი. ხორცი ქელეხზე იხარჯებოდა, ტყავები და მათი მიმყოლი ძვლოვანი ნაწილები კი სამარხში რჩებოდა, ვითარცა სიმბოლო ცოცხალი ხარებისა, რომელთაც დანიშნულ ადგილას, სულთა სამყაროში უნდა მიეყვანათ მიცვალებული. ტყავების ოდინდელი მდებარეობის ადგილას გათხრის დროს ჩნდება ხარის კანჭები, თავისქალები და კუდის მალები. შესაძლოა, რომ უფრო ადრე ურემში შებმულ ხარებს დახოცვის შემდეგ მთლიანად ტოვებდნენ სამარხში, დროთა განმავლობაში კი ეს წესი შეიცვალა და სიმბოლური ხასიათი მიიღო. თრიალეთის მაღლობზე, ადგილ საბითახჩაში ყორღანულ ორმოში შექმნილი თავისებური პირობების წყალობით ჩვენს დრომდე შეინახა ხის დიდი, ოთხთვლიანი ურმები. უფრო მომცრო ურმები იყო სევანის ტბის დონის დაწევის გამო გამოჩენილ

1

2

3

4

5

6

8

10

12

7


9


11

13

14

ყორღანებში, რომლებიც თრიალეთის კულტურის მოგვიანო საფეხურს ეკუთვნიან. ამას გარდა, თრიალეთის ზოგ სხვა ყორღანში შენიშნულია ურმის თვლების ნადგამები (ჩაღრმავებანი).

მიცვალებულისათვის გასატანებლად განკუთვნილი იყო უამრავი დოვლათი. გათხრის დროს აღმოჩენილი ხარის, ღორისა და წვრილფეხა რქოსანის ძვლები, ზოგჯერ კი მთელი ჩონჩხები, მიუთითებს, რომ „საიქიო საგზალში" შედიოდა ხორცი. თიხის ვეებერთელა ქოთნები და ქილები (ტაბ. X, 10, 11) სავსე უნდა ყოფილიყო პურეულის მარაგით, სითხითა და სხვა სურსათ-სანოვაგით. თიხისა და კეთილშობილი ლითონების მცირე ზომის ჭურჭელი (ტაბ. X, 2, 4, 8) განკუთვნილი იყო ყოველდღიურ სახმარად. მიცვალებულს „იმ ქვეყნადაც" უნდა ეტარებინა სამკაული (ტაბ. X, 1, 3, 5) და იარაღი (ტაბ. XI, 1, 3). აღმოჩენილია აგრეთვე დაკრძალვის ცერემონიალთან დაკავშირებული ზოგიერთი ძვირფასი ნივთიც სხვადასხვანაირი შტანდარტების სახით (ტაბ. X, 6). სამარხებში იქნებოდა ხის ნაკეთობანიც, რომლებიც თითქმის მთლად უკვალოდ გამქრალა.

დაახლოებით ამგვარად წარმოგვიდგება დაკრძალვის წესის სურათი მატერიალური კულტურის ნაშთების მიხედვით. ბევრი რამ იმ დროს გაბატონებული წესებიდან ალბათ შეუცნობელი დაგვრჩება რომელიმე ბედნიერ აღმოჩენამდე. ჩვენ არავიცითრა გლოვისა და მწუხარების გამოხატვის კონკრეტულ მხარეებზე, რომლებიც თან სდევდა სახელმოხვეჭილ ბელადებთან განშორებას, არც ის ვიცით, თუ როგორ მონაწილეობდა გვარის მეთაურის დაკრძალვაში ამ გვარში შემავალი ახლო და შედარებით შორეული ნათესაობა. უეჭველია მხოლოდ ის, რომ სულების სამყარო მოსახლეობას მიაჩნდა ამქვეყნიური ცხოვრების გაგრძელებად და კიდევაც ცდილობდა ამქვეყნიური სიმდიდრე და ფუფუნება არ მოკლებოდა საყვარელ მეთაურს სიკვდილის შემდეგაც. რომ მეთაურები დიდი პატივით ყოფილან მოსილი, ამაზე მიუთითებს ყორღანებში აღმოჩენილი საგნების რიცხვი და ხარისხი. იგივე მოწმობს მისი შემქმნელი და მომხმარებელი საზოგადოების თავისი დროის კვალობაზე მაღალ კულტურას.

თრიალეთის გვაროვნული საზოგადოების ზედა, არისტოკრატიული ნაწილის მდგომარეობასა და ქონებრივ სიმდიდრეზე რომ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ, საჭიროა ახლო გავიცნოთ ჯერ რამდენიმე ყორღანის ინვენტარი ცალ-ცალკე, ხოლო შემდეგ ერთობლივ მთელი მონაპოვარი. მაგალითისათვის საკმაო იქნება აგიღოთ უორმოო ყორღანი № 43 და ორმოიანი ყორღანები № № 15 და 17.

ყორღანი № 43, ისევე როგორც მის გვერდით მდებარე ყორღანი № 36, გამოირჩევა ვეებერთელა სამარხი დარბაზით, რომლის კედლების სიმაღლე 4 მ-მდე აღწევს, ხოლო იატაკის ფართი—175 კვ. მ. ამ დარბაზის შუა ადგილას, სადაც უნდა მდგარიყო მიცვალებულის ფერფლის შემცველი რომელიღაც ჭურჭელი, თავმოყრილი იყო ობსიდიანის, ვერცხლისა და ოქროს მშვენიერი ნივთები. იქ აღმოჩნდა ობსიდიანის სწორკუთხედი და ნახევაროვალისებური ფირფიტები; იმავე მასალის ისრის წვერები, სრულიად ისეთივე, როგორსაც ჩვენ უკვე ვიცნობთ ნულისა და ქვასათალის სამარხებიდან (ტაბ. XI, 8); კაპარჭის ჩამოსაკიდებელი ვერცხლის ყური; შემთხვევით შემონახული ნა-

ტეხები ხის კოლოფისა და მისი ოქროს გარსაკრავებისა, რომლებსაც ამკობს ლამაზად ამოტვიფრული სახეები; დაკრძალვის ცერემონიალთან დაკავშირებული ოქროს შტანდარტის ნაწილები, სახელდობრ, ცალთავდახშული, ამოტვიფრული კონცენტრული წრეებითა და წერტილების ორნამენტით დამშვენებული წყვილი ცილინდრი და ზონრის გასაყრელი მილაკები; ოქროს მძივები; ოქროს ნაირ-ნაირი ფირფიტების ნატეხები და ორი მეტად მოხდენილი მედალიონი, რომელთა ნაპირებს შემოუყვება წყვილ-წყვილი გრეხილი, ხოლო ამოკვეთილ შუა ნაწილს — „ზენური" ხვიების ორნამენტი, ცნობილი ჯერ კიდევ ადრე მინოსური პერიოდის ხმელთაშუა ზღვის კულტურებიდან და ფართოდ გავრცელებული კავკასიის გვიანბრინჯაოს ხანის ხელოვნებაში.

გარდა ამ წვრილი საგნებისა, დარბაზის იატაკის სხვადასხვა ნაწილში და განსაკუთრებით კედლების გასწვრივ იყო ზედ დაწოლილი სიმძიმისაგან ჩამსხვრეული თიხის ბევრი ჭურჭელი, სამი სხვადასხვა ფერისა: შავპრიალა ვარდისფერსარჩულიანი, ნაცრისფერი და წითლად შეღებილი. კერამიკული ნაწარმის პირველი ორი ჯგუფისათვის დამახასიათებელია ამოკაწვრისა და ჩხვლეტის ხერხით დატანილი ორნამენტი, ხოლო წითელ ქილებზე და დერგებზე შავი საღებავითაა გამოყვანილი შევრონები, რომლებშიაც ჩაწერილია წყლის სტიქიის გამომსახველი ტალღისებური ხაზები. ზოგი ჭურჭელი უყურაოა, ზოგი წყვილყურიანი და ზოგსაც, მსგავსად კრეტული პითოსებისა, მხრების ირგვლივ ამოზრდილი აქვს პრაქტიკულ დანიშნულებას მოკლებული მრავალი ყური. აღსანიშნავია, რომ მრავალყურიანობის ჩანასახს საქართველოში ჯერ კიდევ ენეოლითურ კერამიკაზე ვხვდებით (შეად. ტაბ. VII, 2 მარცხნივ).

მე-15 ყორღანის მეტად დიდ ორმოსამარხში აღმოჩენილ მრავალრიცხოვან ინვენტარში მთავარი ადგილი უკავია მოხატულ კერამიკასა და ლითონის საგნებს. ამ ყორღანის კერამიკაში ჩვენ ვხვდებით წითელ ანგობიან ჯამსა და ქოთნის ნატეხებს, რომლებიც შავი საღებავითაა მოხატული. ლითონის ჭურჭლიდან ყურადღებას იპყრობს სიგრძე-სიგანეზე დანაოჭებულ, შემაღლებულ ფეხზე მდგარი, სფერულტანიანი და კარბიანი კარდალი და ვერცხლის სადაკედლებიანი, წელში გამოყვანილი, დაბალქუსლიანი სასმისი (ტაბ. X, 8). როგორც 43-ე ყორღანში, ამ სამარხშიაც იყო დაკრძალვის წესთან დაკავშირებული ოქროს შტანდარტი, შემდგარი სამი მოზრდილი მილის, ფუნჯის სამი ტარისა და დიდი ცილინდრული კოლოფისაგან. ამ უკანასკნელზე ამოწნევითაა გამოყვანილი მეანდრის, თავით ერთმანეთისკენ მიქცეული, პირდაღებული ლომების და ხვიებისაგან შედგენილი რთული ორნამენტი (ტაბ. X, 6) ბრინჯაოს ნივთებს შორისაა სადგისი (ტაბ. XII, 6); მოზრდილი სატევრის პირი (ტაბ. XI, 1) და მეტად იშვიათი ხელობის შუბის წვერი (ტაბ. XI, 3), რომელიც საერთო მოყვანილობით ძლიერ ჰგავს ბრილური შუბის წვერების განსაზღვრულ ვარიანტებს (შეად. ტაბ. XI, 4), მაგრამ მათგან განსხვავებით ამას აქვს პირთან ერთად დაღარულ-დაწახნაგებული მასრა და ზედშემოჭერილი ვერცხლის სალტე.

კიდევ უფრო მდიდრული და ნატიფი ხელობისაა მე-17 ყორღანის ორმოში ნაპოვნი ნივთები. თითოეული მათგანი ატარებს უაღრესად დახვეწილი გემოვნებისა და დაწინაურებული ხელოსნობის ბეჭედს. ასეთებია, თუნდაც

ქვერცხისებური მოყვანილობის, დაბალყელიანი, კოხტად პირგადმოკეცილი, შავპრიალა, ნაირ-ნაირი სახეებით შემკობილი ქილები და ჭოთანი. ერთერთ მათგანს ამშვენებს ზემო ნახევარში განლაგებული კოპების სისტემა, მეორეს კი — ირიბად დასერილი სამი ფართო სარტყელი და მათ შორის ჩახატული ასტრალური სიმბოლოების, ჯვრების, სვასტიკების, სამკუთხედებისა და სხვა ნიშნების ერთობლიობა; აღსანიშნავია, რომ აქვე ვხვდებით ამ დროს საკმაოდ გავრცელებული ტიპის ისრის წვერთა გამოსახულებებსაც. კიდევ უფრო მომხიბლავია ფერადი თიხის ორი ჭურჭელი: ღია ფერის ანგობიან ქილაზე (ტაბ. X, 11) ორ სარტყელს შორის მოთავსებული ვრცელი არე უკავია აშკარად წყლის სტიქიის სიმბოლოს — მეანდრისებურად დაკლაკნილ მდინარეს, აჭრელებულს ხშირი ტალღისებური ხაზებით; მდინარის მოსახვევებში ჩასმულია დიდი წრეები, რომლებიც ციურ მნათობთა გამოსახულებებს უნდა წარმოადგენდეს; ტალღისა და გრეხილის ორნამენტი ამკობს აგრეთვე ქილის ყელპირსაც. მოთეთრო ანგობით დაფარული მეორე, უფრო მსხვილმუცლიანი ჭოთანიც (ტაბ. X, 10) მუქი საღებავითაა მოხატული, მაგრამ მის შემკულობაში წყლის სიმბოლოებთან ერთად დიდ როლს ასრულებს ჭადრაკული უჯრედები და ფუძეგაფართოებული ხვიები ანუ „კიმატიები". აღსანიშნავია, რომ ეს ორნამენტი ძრავალი საუკუნის შემდეგ თავს იჩენს ანტიკური საქართველოს ვერცხლის ჭურჭელზე. ამ დიდრონი ჭურჭლების გარდა სამარხში იყო მცირე ზომის დოქი და ხელადები. მრავლად აღმოჩნდა ლითონის საგნები: ვერცხლის მშვენიერი, პირდაშაშრული სატევარი (ტაბ. XI, 2), ოქროს ღილაკები, ოქროს ნახევარსფეროსებური სამკაულები, ამოტვიფრული სახეებით (კონცენტრული წრეები და სხვ.) მორთული ოქროს დიდი დისკო, ვერცხლის პატარა სარწყული („ვედრო") და ოქროს ფიალა (ტაბ. X, 4). ყველა მათგანის დაწვრილებითი აღწერა შორს წაგვიყვანდა, დავკმაყოფილდებით მხოლოდ სარწყულისა და ფიალის მოკლე დახასიათებით. სარწყული თუმცა ძლიერ ჩამსხვრეულა სამარხში, მაგრამ მისი მოყვანილობის აღდგენა მაინც მოხერხდა. ის მოგვაგონებს თანამედროვე „ვედროების" მინიატურულ მოდელს, რომლის ზედაპირი მთლიანად დაფარული ყოფილა რთული გამოსახულებებით. ჩვენს დრომდე მოღწეულ ნატეხებზე ადვილად გაირჩევა ტყე და მისი ბინადარი ცხოველები: ტახები, ირმები, თხები, არჩვები და სხვ. ზოგ მათგანს მკერდში ისარი აქვს გარჭობილი. მხატვარი—ხელოსანი ამით თითქოს უნდა გვაუწყებდეს, რომ ნადირობის სცენას ხატავდა, მაგრამ შემორჩენილ ნატეხებზე არა ჩანს არც მონადირე და არც მისი თანაშემწე—ძაღლი. საყურადღებოა, რომ უთვალავი ცხოველების ჯოგს თავი მოუყრია საკმაოდ მეჩხერ ტყეში. შესაძლოა გამოსახულების მიზანი იყო ნადირთ ღვთაების, შემდეგდროინდელი ნადირთ წმინდა ანგელოზის სიმდიდრის ჩვენება.

რაც შეეხება ოქროს ფიალას, საერთო მოყვანილობით, შემკულობითა და დამზადების რთული ტექნიკით, ის აგრეთვე შეიძლება გვერდში ამოუდგეს მსოფლიო არქეოლოგიის უნიკუმებს. იგი წარმოადგენს ზემოდან ქვემოთკენ ზომიერად შევიწროებულ, შემაღლებულ ქუსლზე მდგარ, ორმაგკედლებიან, ძვირფასი ქვებით, გრეხილებითა და გავარსით მოოქვილ-მოცვარულ სასმისს, რომელსაც ამასთან ერთად ამკობს ცალკე გამოჭრილი ოქროს აპლიკაციები,

-ისეთივე ფორმის ხვიების სახით, როგორიც გავიცანით ამავე მე-17 ყორღანის მსხვილმუცლიან თიხის ჭურჭელზე.

თრიალეთის ყორღანების გათხრის წყალობით, გარდა ზემოხსენებულებისა, მოპოვებულია ძველი ქართული ოქრომჭედლობის ბევრი სხვა ბრწყინვალე ძეგლიც, როგორიცაა, მაგალითად, ოქროსა და ვერცხლის სადა სასმისები, ნაირ-ნაირი სახეებით შემკობილი ოქროსთავიანი ქინძისთავები, ოქროს მძივები და ყელსაბამის სხვა ნაწილები, ოქროს შტანდარტები, ხის ნივთების ოქროს გარსაკრავები, ცხოველის (ცხენის) ოქროს ქანდაკება და სხვ., მაგრამ მათში სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ვერცხლის მოზრდილ თასს (ტაბ. X, 2) და მის შემკულობას. თასის შემაღლებულ ფეხს ზემოთ გამოყვანილია ლოტოსის ყვავილი, ხოლო ტანი უკავია ორ ფრიზს. ქვედა ფრიზზე გამოსახულია ერთმანეთის უკან მიმავალი ცხრა ფურირემი და ხარირემი, ხოლო ზედა ფრიზზე — ანთროპომორფულ არსებათა პროცესია. აქ, ერთ ადგილას ჩვენ ვხედავთ ნაყოფიერების ხის (ცხოვრების ხე) გამოსახულებას და მის წინ — მცირე კვარცხლბეკს, რომელზედაც დგას ს.კამი. ს.კამზე ზის ერთერთი წვეროსანი მამაკაცი. მისი სახე ნახევრად ცხოველურია, ნახევრად ადამიანური. ზოგი მკვლევრის აზრით, ამ შემთხვევაში ჩვენს წინაშეა უხეშად შესრულებული გამოსახულება ადამიანის სახისა, თუმცა იგი ცხოველის თავის ნიღაბს მოგვაგონებს; ზოგი მკვლევარი კი ნამდვილი ცხოველის თავსა ხედავს. ტანთ აცვია მოკლე ქულაჯისებური, თანაც ფოჩებიანი სამოსი. ფოჩების მეორე რიგი მიგვითითებს, რომ შიგნით აცვია კიდევ სხვა, უფრო გრძელი პერანგი. ქვემოთ მოსავს შარვალი, ფეხთ აცვია წვერებაკაული ანუ ჭვინტიანი ფეხსაცმელი. მარჯვენა ხელში უკავია მაღალი, წელში გამოყვანილი სასმისი და, თითქოს დალევას აპირებსო, პირთან მიუტანია. მის წინ დგას მაღალი, სამფეხა ბარძიმისებური საკურთხეველი. ამ უკანასკნელის ფეხები მცოხნელი ცხოველის ჩლიქებით ბოლოვდება. საკურთხევლის აქეთ-იქით თითო ცხოველი წევს, თავით ს.კამზე მჯდომარისაკენ მიქცეული. მათი ფეხები თათებით ბოლოვდება, რის მიხედვითაც შეიძლება ისინი მიჩნეულ იქნენ ძაღლებად ან რომელიმე მტაცებლად. ცხოველების უკან დგას იმავე ტიპის ჭურჭელი, როგორიც ს.კამზე მჯდომს უკავია, ოღონდ გაცილებით უფრო დიდი. თითქოს, მასში უნდა იყოს იმ სითხის მარაგი, რომელიც ს.კამზე მჯდომის სასმისშია. ს.კამზე მჯდომისაკენ მიემართება ამგვარივე სახისა და ამგვარივე ჩაცმულობის 22 არსება, რომელთაც აგრეთვე წელში გამოყვანილი სასმისები უპყრიათ. ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანი, რაც მათ ჩაცმულობაზე შეინიშნება, არის მგლის, ძაღლისა თუ მელიისებური კუდი (ალბათ ასეთივე კუდი აქვს ს.კამზე მჯდომის კვართსაც, მაგრამ არ მოჩანს). პროცესიის წევრთაგან მოწინავეს დიდ ჭურჭლამდე მიუღწევია, ბოლო წევრი კი ცხოვრების ხის უკანაა.

თასზე მოცემული გამოსახულებების აღწერილობიდან ჩვენ გამოვტოვეთ ზოგიერთი დეტალი, რომლებსაც შეიძლება გარკვეულ როლს აკუთვნებდა მხატვარი ორივე ფრიზის შინაარსის შესაცნობად. ასეთია, მაგალითად, სხვადასხვანაირი ხაზები და ორნამენტი ცოცხალ არსებათა ტანზე, ბარძიმზე და სხვა ჭურჭელზე. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ხის ძირში თავს იყრის ორი ჯგუფი დამრეცი ხაზებისა, რაც წინა აზიის ძველ ხელოვნებაში წყლის, მდინარის

სიმბოლოდ იყო მიჩნეული. გამოსახულებათა დაწერილებითი ანალიზის შემდეგ პროფ. ამირანაშვილი ამ ნიშანსაც არსებით მნიშვნელობას ანიჭებს და ფიქრობს, რომ „ზედა ფრიზის რელიეფი წარმოადგენს რელიგიური რიტუალის გამოსახულებას, რომელიც დაკავშირებულია უკვდავების წყლის (წყაროს) დამზადებასთან და დარიგებასთან“ ან წარმოადგენს „ქართველთა წარმართობის განსაზღვრულ რელიგიურ მისტერიას, რომელიც ბუნების ნაყოფიერების ღვთაების კულტთანაა დაკავშირებული“. პროფ. ბ. კუფტინი ფიქრობდა, რომ თასზე გამოსახული სცენა თავისი ფესვებით უკავშირდება ისტორიული განვითარების ადრინდელ საფეხურს, როცა პირველ რიგში იყო წამოწეული ნადირობის ღვთაების კულტი, მაგრამ შეგუებულია სამიწათმოქმედო ხაზოგადოების იდეოლოგიასთან. დოც. ე. ბარდაველიძის აზრით კი ფრიზის გამოსახულება გადმოგვცემს ხათემო ღვთაებათა შეკრებას თავიანთ სატომო პატრონის (უფროსი ღვთაების) კარზე და ამ პატრონის მეთაურობით „სადიდებლის“ წესის შესრულებას ტომის მთავარ დღესასწაულზე.

არ შეიძლება ორი აზრი იყოს იმის შესახებ, რომ თასზე გამოსახული სურათების შინაარსი კვლავაც დარჩება მეცნიერული შესწავლის საგნად, ხოლო კვლევა-ძიების წარმატების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ორივე ფრიზის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში და არა მოწყვეტილად განხილვა. როგორიც არ უნდა იყოს ფრიზების სიუჟეტი, ცხადია, რომ მისი შემქმნელი მხატვარი ეკუთვნოდა წინა აზიის მოწინავე იდეოლოგიის კარგად მცოდნე საზოგადოებას, მაგრამ მონური მიმბაძველობით არ მიჰყვებოდა არც ხეთურ, არც შუმერულ და არც ბაბილონურ ხელოვნებაში დამკვიდრებულ ტრადიციებს, არამედ მასში შეჰქონდა ადგილობრივი, ქართული კოლორიტი. მნიშვნელობა აქვს იმის აღნიშვნას, რომ ფრიზებზე გამოსახული სცენები თუ მისი ცალკეული ელემენტები რამდენადმე მოგვაგონებს ხეთების ქალაქ იაზილიკაიას კლდეზე ნაკვეთ რელიეფებს, იმავე ხეთურ სამყაროში აღმოჩენილ სხვა ძეგლებზედაც ვხვდებით ჩვენთვის საინტერესო ტიპის, თითქოს ცხოველური იერის მატარებელ ადამიანთა სახეებს, ან კიდევ ქულაჯისებურ ტანსაცმელსა და ჰვინტიან ფეხსაცმელს. მაგრამ ძველ წინააზიურ სამყაროში ვერსად ვერ ვნახავთ ვერც ერთნაირი ფიგურების უწყვეტ კომპოზიციურ განლაგებას ერთ სიბრტყეზე და ვერც ტიპიურ ქართულ, გულამოჭრილ, უსაყელო ქულაჯას, რითაც არსებით თავისებურებას იჩენს თრიალეთური თასი.

მიუხედავად ამისა, წინა აზიასთან კავკასია—საქართველოს კულტურული კავშირი, როგორც ზემოთ ითქვა, უეჭველად შეინიშნება ვერცხლის თასის ფრიზების მიხედვით. ამგვარი ურთიერთობის მაუწყებლად სხვა მონაპოვარიც შეიძლება გამოდგეს. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ დაკრძალვის თრიალეთური წესი, სახელდობრ, ეტლზე დადებული მიცვალებულის ნეშტის დაფვლა სამარხში, წერილობითი წყაროების ჩვენებათა საფუძველზე თითქმის პირდაპირ იმეორებს ხეთის მეფეების დაკრძალვის წესს. ამას გარდა, მესოპოტამიის დედაქალაქის ურის სამეფო სამხრეთში აღმოჩენილია ეტლები, რომელთა თვლებიც, თრიალეთური ურმების თვლების მსგავსად, შედგენილია ხის სამი ნაჭრისაგან. იმავე ტიპის ეტლის მოდელებსა ვხედავთ კიშში, წინა აზიის ბევრ სხვა ქალაქში და ბრინჯაოს ხანის ინდოეთის ცივილიზაციის ცენტრებში. სა-

ქართველოში ამ წინააზიური ტრანსპორტის გავრცელებისა და მიცვალებულის დაკრძალვაში მისი მონაწილეობის გათვალისწინებით ახლა შეიძლება მონახულად ჩაითვალოს ყუბანის სკვითურ სამარხებში ეტლების ჩაყოლების ჩვეულების წარმომავლობის სათავეები. თითქმის უეჭველია, რომ წინააზიური კულტურის სხვა ნაკადებთან ერთად მან შეაღწია იქ საქართველოს გზით. თუ ყურადღებას მივაქცევთ თრიალეთის ყორღანებში აღმოჩენილ ცალკეულ სამკაულებს და მათი დამზადების ტექნიკას, დავინახავთ, რომ წინა აზია ამ მხრივაც ბევრ ანალოგს იძლევა: თითქმის ერთნაირი სასაფეთქლე სამკაულებია აღმოჩენილი თრიალეთის მე-8 ყორღანში და ალაჯა ჰუიიუკისა (მცირე აზია) და ურის სამეფო სამარხებში. ასევე ახლო ენათესავება იმავე ყორღანის ოქროს მშვენიერი კულონი (ტაბ. X, 5 ქვემოთ) ურუკის (მესოპოტამია) კულონს: ორივე მათგანს ამკობს მეტად წვრილი ძაფის გასაყრელად გახვრეტილი, გულმოდგინედ გაპრიალებული, მრავალფენიანი აქატის ფირფიტა და ოქროსავე ბუდეებში ჩასმული სარდიონისა (თრიალეთურ კულონზე) და მინანქრის (ურუკის კულონზე) თვლები. კეთილშობილი ლითონებიდან საზეიმო იარაღის დამზადების ჩვეულებაც ერთნაირად ყოფილა გავრცელებული მესოპოტამიაში, კრეტა-მიკენის ცივილიზაციის ცენტრებსა და საქართველოში. სრულიად ერთნაირი წესითაა დამზადებული თრიალეთის მე-5 ყორღანში აღმოჩენილი ცხოველის (ცხენის?) ქანდაკება და ურიდან ცნობილი თხის ქანდაკება: ორივე შემთხვევაში ქანდაკების საფუძვლად გამოყენებულია ხისაგან გამოთლილი მოდელი, რომელზედაც შემდეგ შემოჭიმულია ოქროს გარსაკრავი. ლითონის სხვა ნივთებთან და კერამიკასთან ზოგი უცხოური ანალოგი ჩვენ მოვიხსენიეთ გზადაგზა. აქ საჭიროა იმის დამატება, რომ თრიალეთის ფერადი კერამიკაც დაკავშირებულია სამხრეთი მხარეების მოხატულ ჭურჭელთან, თუმცა მეტად სუსტი ძაფებით.

ამგვარად, საქართველოს ძველთაძველი კულტურული კერის—თრიალეთის არქეოლოგიური კომპლექსების ცალკეული შემადგენელი ნაწილები მთელ რიგ შემთხვევებში ეხმაურება წინა აზიისა (მათ შორის მცირე აზიის) და კრეტა-მიკენის ადრე დაწინაურებულ ცივილიზაციათა კერებს. მაგრამ, ამასთან ერთად, თრიალეთის კულტურა წარმოადგენს საკუთარი თვითთავადს და მეტად ორიგინალურ მოვლენას. იგი განვითარდა საკუთარი გზით ადგილობრივი ენეოლითური და ადრებრინჯაოს ხანის კულტურათა მიღწევების საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ შუაბრინჯაოს ხანის შავპრიალა ზედაპირიანი, ვარდისფერსარჩულიანი კერამიკაც, ისევე როგორც მოხატული ჭურჭელი, საწყისს იღებს ენეოლითის დროის ადგილობრივი თიხის ნაწარმიდან. ენეოლითური ტრადიციების გადმონაშთია ამოზნექილ-ჩაზნექილი ორნამენტი. ეს ითქმის აგრეთვე ობსიდიანის ისრის წვერებისა და ბრინჯაოს ზოგიერთი ხელსაწყო-იარაღის მიმართ (ფოთლისებური სატევარი, ოთხწახნაგა სადგისი). წინამავალ ხანაში საკუთარ მომზადდა პირობები იმისათვის, რომ წინა აზიის კლასობრივ საზოგადოებასთან ურთიერთობის გაძლიერების შემთხვევაში საქართველო-კავკასიის მოსახლეობას სწრაფი ნაბიჯი გადაედგა კულტურის ახალი აღმავლობის გზაზე. ეს ნაბიჯი გამოიხატა მატერიალური დოვლათის უჩვეულო ზრდით მიწათმოქმედების, მესაქონლეობისა და ხელოსნობის აყვავების საფუძველზე,

რასაც არ შეიძლება არ გამოეწვია ძველი გვაროვნული ურთიერთობის შერყევა.

მესაქონლეობის დაწინაურებას უეჭველი სიცხადით გვაუწყებს თრიალეთის ყორღანებში აღმოჩენილი ძვლოვანი მასალა. როგორც თავის დროზე ითქვა, სამარხებში ხშირად პოულობენ მსხვილფეხა რქოსანის, წვრილფეხა რქოსანისა და აგრეთვე ღორის ძვლებს. მათი შესწავლა მოწმობს, რომ თრიალეთური ხარი გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიდიდით და ამ მხრივ ახლო იდგა კავკასიის ჩრდილო ნაწილში ჩვენს დრომდე შემორჩენილ გიგანტური ტანის საქონელთან. უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ მის ძალასთან შეფარდებით იყო გაანგარიშებული ხის მძიმე ეტლები. ამასთან ერთად სარგებლობდნენ უფრო მსუბუქი საზიდრებითაც, რომლებშიც ცხენები იყვნენ შებმული. სევანის ტბის ძირზე გათხრილ სამარხებში აღმოჩნდა ბრინჯაოს ცხენებშებმული ორთვლიანი ეტლის მოდელებიცა და ხის მომცრო, ოთხთვლიანი საზიდრებიც. ხარისა და ცხენის ძალას ალბათ, იყენებდნენ მიწათმოქმედებაშიც. მიწათმოქმედების პროდუქტებისათვის იყო განკუთვნილი მნიშვნელოვანი ნაწილი ყორღანებში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლებისა.

კერამიკულმა წარმოებამ მიაღწია არაჩვეულებრივ დონეს. გარდა ვარდისფერსარჩულიანი შავპრიალა ჭურჭლისა, რომელსაც საქართველოსა და კავკასიაში განვითარების დიდი გზა ჰქონდა გავლილი, ხმარებაში შეეიდა გაუმჯობესებული ტიპის მოხატული კერამიკა. ფართოდ იყო გავრცელებული სხვა სახის თიხის ნაწარმიც. თრიალეთის ყორღანებიდან მომდინარეობს თიხის ისეთი მრავალფეროვანი ჭურჭელი, რომ შესაძლებელი ხდება არა მარტო მისი უბრალო ტიპოლოგიური კლასიფიკაცია, არამედ აგრეთვე იმის დადგენაც, თუ როგორი კერამიკა იყრის თავს ყორღანებში. დადგენილია კერამიკული კომპლექსების სამი ძირითადი ჯგუფი. პირველ ჯგუფში წამყვანი ადგილი უკავია წითლად შეღებილ ჭურჭელს, რომლის მხრებზე ეშვება შავი საღებავით დახატული, ტეხილი ხაზებით შევსებული შევრონები და მათ შორის მოთავსებული სურათები ფრინველებისა და ასტრალური სიმბოლოებისა. მისი თანმხლებია ჩაჭრილი და რელიეფური სახეებით შემკობილი შავპრიალა ჭურჭელი. მეორე ჯგუფის კერამიკის ძირითადი ნაწილი ხასიათდება მოთეთრო ანგობით, გაპრიალებული ზედაპირითა და მუქი საღებავით მოხატული სახეებით, რომლებშიც, გარდა წითლად შეღებილ ჭურჭელზე დამოწმებული ზოგიერთი ორნამენტული მოტივისა, გაირჩევა მომრგვალებული მეანდრი, სპირალური ხვიები, ჰადრაკული სახეები, დისკოები, კონცენტრული ხაზები და სხვ. ამავე ჯგუფის შავპრიალა კერამიკაზე ორნამენტი გამოსახულია სავარცხლისებური შტამპით და წარმოადგენს სწორხაზობრივ გეომეტრიულ სიბრტყეებს; აქვე აგრეთვე გვხვდება რბილკეციანი ნაცრისფერი დიდი და პატარა ჭურჭელი. მესამე ჯგუფის კერამიკაში სრულიად არაა მოხატული ჭურჭელი, იგი წარმოდგენილია უხეში ნახელავის ნატეხებით, რომელთა ზედაპირზე ღრმადაა ამოკვეთილი სხვადასხვაგვარი ორნამენტი. ამ კერამიკას თან ახლავს ჩაზნექილი-ამოზნექილი, ტალღისებური სარტყლებით შემკული შავპრიალა ჭურჭელი.

შენიშნულია, რომ კერამიკის ამა თუ იმ ჯგუფს თან ახლავს საკმაოდ განსაზღვრული ტიპის ნივთები. ასე, მაგალითად, პირველ ჯგუფთან აღმოჩენილია

ვერცხლისა და ოქროს სადა ფინჯნები, ბრინჯაოს შუბის წვერი, სატევარი და სადგისი, ბრინჯაოს ქუსლიანი ჭურჭელი. მეორე ჯგუფთან იყო დაკავშირებული მოცვარულ-მოოქვილი ოქროს ძვირფასი ჭურჭელი, სამკაული, ჭედური სახეებით შემკობილი საგნები, აგრეთვე ოქროს გლუვი სასაფეთქლეები და ვერცხლის სატევრები. მესამე ჯგუფის კერამიკასთან ერთად აღმოჩენილია ლითონის მხოლოდ ცალკეული საგნები.

კერამიკული და ლითონის საგნების სიმრავლე და მხატვრული შესრულების მაღალი დონე გვაუწყებს ხელოსნობაში მომხდარ დიფერენციაციას. ჩანს, რომ ცალკ-ცალკე სახელოსნოები ამზადებდნენ თიხის მოხატულ დაერთფეროვან, ლითონის სადა და სახოვან ჭურჭელს. ყოველ შემთხვევაში აშკარად ეტყობა, რომ ზემოაღწერილი ვერცხლის სარწყული და თასი ერთი დაიმავე მხატვრული სტილის მიმდევარი გრავიორების პროდუქციას წარმოადგენს, მაშინ როცა ოქროს ფიალა, მედალიონები, მძივები და ზოგი სხვა სამკაული დამზადებულია პოლიქრომიაში კარგად გაწაფული ხელოსნების მიერ. რომ ეს ხელოსნები ადგილობრივი მკვიდრნი ყოფილან, უეჭველი ხდება სხვადასხვა სახის არქეოლოგიური საგნების ერთმანეთთან შეჯერების საფუძველზე. ამ მხრივ უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ მაიკოპის ცნობილი ვერცხლის ვაზის მხატვრობას მხოლოდ თრიალეთში გამოუჩნდა მეტ-ნაკლებად ახლო ანალოგი ვერცხლის თასის ქვედა ფრიზის სახით. ხაზგასასმელია მოხატული ჭურჭლის სპირალური ხვიების თითქმის ზუსტი განმეორება ოქროს ფიალის აპლიკაციების ფორმაში. კერამიკისა და ოქროს ნივთების მხატვრობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მეანდრს, რომელიც უნდა ასახავდეს არა მცირე აზიის ამ სახელწოდების მდინარის, არამედ, პირველ რიგში, თვით თრიალეთის მაცოცხლებელი მდინარე ქციის მიხვეულ-მოხვეულ კალაპოტს. (შეად. ტაბ. X, 11); წყლის სიმბოლოების სიხშირე კერამიკაზე და ხის ქვეშ გამომდინარე წყაროების გამოსახულებები ვერცხლის თასზე გამოწვეული უნდა იყოს იმ დიდი მნიშვნელობით, რომელსაც ქცია და მისი შემადგენელი წყაროები ასრულებდნენ მიწათმოქმედი საზოგადოების ცხოვრებაში. დაბოლოს, არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ისეთ შორეულ დროში, როდესაც თრიალეთის კულტურა იქმნებოდა, წინა აზიაში ფეხი არ ჰქონდა მოკიდებული პოლიქრომიულ ჭურჭელსა და მოგავარსების ტექნიკას. ყველა ამ ნიშნის ერთობლიობა, კერამიკულ ნაწარმში შენიშნულ თავისებურებებთან ერთად, თრიალეთის კულტურას ანიჭებს უაღრესად ორიგინალურ, კავკასიის გარეთ განუმეორებელ სახეს.

საკუთრივ საქართველოსა და კავკასიაში ამ კულტურის ცალკეული ელემენტები გამოვლინებულია მხოლოდ ზოგიერთ ადგილას, მაგრამ მათი მიხედვითაც შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვემო ქართლისა და მესხეთ-ჯავახეთის ჯერ კიდევ გაუთხრელი ყორღანების შესწავლა გააფართოებს თრიალეთის კულტურის გავრცელების არეალს.

დღემდე მიკვლეული ძეგლებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია კიროვაკანის ყორღანი, რომელშიც დადასტურდა დაკრძალვის თრიალეთური წესი და აღმოჩნდა ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ინვენტარი მათ შორის ზოგი ჭედური გამოსახულებებით შემკული. სხვა შესატყვისი ანალოგები ჩვენ უკვე


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12

გვიანბრინჯაოს სამთავროს ყორღანიდან (ბრინჯაოს მოკლე სატევრის პირი; მიცვალებულის ჩონჩხის არარსებობა ცხოველთა ძვლების, კერამიკის, ბრინჯაოს იარაღის, ოქროს სამკაულის და სხვ. შემცველ სამარხში), ქვასათალიდან (ზოგიერთი ტიპის თიხის ჭურჭელი, ობსიდიანის ისრის წვერები) და სევანის ტბიდან. მართალია, ზოგიერთი ამ ადგილის სამარხების ინვენტარი სიმდიდრის მხრივ ვერ შეედრება თრიალეთურ კომპლექსებს, მაგრამ ეს უნდა ავხსნათ ყორღანებში დაკრძალულთა მდგომარეობით გვაროვნულ საზოგადოებაში. ამ დროის რიგითი სამარხები თრიალეთში შესწავლილი არ ყოფილა, ხოლო შემთხვევით გათხრილ ერთ ასეთ სამარხში სოფ. ყუშჩიში აღმოჩენილია ნულის, ქვასათალისა და ბრილის მონაპოვარში შემავალი ტიპის ბრინჯაოს სამაჯურები.

§ 7. გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლები დასავლეთ საქართველოში

გვიანბრინჯაოს ხანის დასავლურ-ქართული კულტურა ჯერ კიდევ სათანადოდ შესწავლილი არ არის. თითქმის სრულიად შეუსწავლელია ამ პერიოდის ნამოსახლარები და არც ამ პერიოდის სამაროვნებია ჯეროვნად გათხრილ-გამოვლინებული. მაგრამ უმთავრესად შემთხვევითი აღმოჩენების შედეგად დასავლეთ საქართველოდან უკვე საკმაო რაოდენობის არქეოლოგიური მასალა დაგროვდა. განსაკუთრებით მრავლადაა აქ აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთებისაგან შემდგარი განძები. ნიშანდობლივია, რომ კავკასიაში გავრცელებულ არც ერთ კულტურას არ მოუცია იმდენი განძი, რამდენიც გვიანბრინჯაოს დასავლურ-ქართულმა კულტურამ მოგვცა. ეს გარემოება მოწმობს იმას, რომ ამ პერიოდში აქ საკმაოდ მძლავრი მეტალურგია უნდა ყოფილიყო.

მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევითი ხასიათის მასალა ამ კულტურას ცალმხრივად გვაცნობს, მაინც შესაძლებელი ხდება გვიანბრინჯაოს ხანის ამიერკავკასიაში კიდევ ერთი თავისებური კულტურა გამოვყოთ. დადგენილია რომ გვიანბრინჯაოს ხანის დასავლეთ საქართველოში არსებობდა საკმაოდ დაწინაურებული კულტურა, რომელსაც თავისი საკუთარი მძლავრი საწარმოო ცენტრები გააჩნდა. დღეს უკვე საკმაოდ კარგად გამოირჩევა ამ კულტურის გავრცელების ტერიტორია და ძირითადი, წამყვანი ფორმები: ცულები (ტაბ. XIII, 2—7), სეგმენტისებრი იარაღი (ტაბ. XIII, 15), თოხები (ტაბ. XIII, 13, 14), წალდები (ტაბ. XIII, 16), ნამგლები (ტაბ. XIII, 12), ცულ-ნამგლები (ტაბ. XIII, 11), სამკაულები და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ დასავლურ-ქართულის მსგავსი კულტურა პირველად აღმოჩენილი იყო ჩრდილო ოსეთში სოფ. ყობანთან. ამ აღმოჩენამ თავის დროზე მეტად დიდი ინტერესი გამოიწვია. ყობანის სამაროვანი ზედიზედ ინახულეს რუსმა და უცხოელმა არქეოლოგებმა და კიდევაც მიუძღვნეს მას მთელი რიგი შრომები. ეს ინტერესი, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო. იქ გამოვლინდა მანამდე სრულიად უცნობი ბრინჯაოს კულტურა მრავალფეროვანი, მეტად თავისებური ბრინჯაოს ნივთებით, რამაც იმთავითვე მოუხვეჭა ყობანის სამაროვანს მსოფლიო სახელი. ამ კულტურას „ყობანის კულტურა“ უწოდეს.

ამიერკავკასიაში მანამდე ამ ტიპის ძეგლები თითქმის სრულიად უცნობი იყო. მაგრამ მერე და მერე დასავლეთ საქართველოდან თავი მოიყარა დიდძალმა არქეოლოგიურმა მასალამ, რომელიც ბევრ საერთოს პოულობს ყობანის კულტურასთან. მსგავსება იმდენად დიდია, რომ აქ გამოვლენილი კულტურა უყოყმანოდ შეყვანილ იქნა ყობანის კულტურის სფეროში, რომლის გავრცელების სამხრეთისა და დასავლეთის საზღვარი შავი ზღვის სანაპირომდე მიდის. შემდეგში კიდევ უფრო მატულობდა ამ პერიოდის მასალა დასავლეთ საქართველოდან. იმის გამო, რომ ჩვენში აღმოჩენილი ყობანური ტიპის ნივთების რიცხვმა რამდენადმე გადააჭარბა ჩრდილო ოსეთისას, ზოგიერთმა მკვლევარმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ყობანური კულტურის ცენტრი დასავლეთ საქართველოში უნდა ყოფილიყო და კიდეეაც შემოიღეს სახელწოდება „კოლხური კულტურა" ან „კოლხურ-ყობანური კულტურა". უკანასკნელ ხანებში უკვე არაერთგზის გამოითქვა მოსაზრება, რომ მიუხედავად ბევრი საერთო ნიშნისა, კოლხური და ყობანური კულტურები მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. კოლხურ კულტურაში გვხვდება ისეთი საგნებიც, რომლებიც სრულიად უცხოა ყობანურისათვის. ესენია პირველ რიგში სამეურნეო იარაღები: თოხი, წალდი, სეგმენტისებრი იარაღი, ნამგალი და სხვ. თავის მხრივ ყობანშიც ჩანს ზოგი ისეთი სპეციფიკური ტიპის ნივთი, რომელიც ძირითადად მხოლოდ მისთვისაა დამახასიათებელი. განსხვავება შეინიშნება კერამიკაში, ზოგიერთ სამკაულში, მიცვალებულთა დამარხვის წესში და სხვ. კოლხურ და ყობანურ კულტურათა ურთიერთობის საკითხი კიდევ საკვლევია და გადაწყვეტით რაიმეს თქმა ჯერ მაინც ვერ ხერხდება. ერთი კი ცხადია, რომ გვიანბრინჯაოს ხანაში დასავლეთ ამიერკავკასიაში და ცენტრალურ კავკასიაში გავრცელებულ კულტურათა შორის იმთავითვე მეტად მჭიდრო ურთიერთობა ყოფილა, რამაც მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მათ ჩამოყალიბებაში.

სამწუხაროდ, არასაკმაოდაა შესწავლილი დასავლეთ საქართველოს შუაბრინჯაოს კულტურაც; ამიტომ ჯერ კიდევ მეტად ჭირს კოლხური კულტურის განვითარების საფეხურების დადგენა, მისი უეპველი დაკავშირება წინამორბედ კულტურასთან. მაგრამ, მიუხედავად ამისა, არის ზოგიერთი ნიშანი, რომელთა მიხედვით მაინც შეიძლება ითქვას, რომ კოლხური კულტურა უშუალოდ დასავლურ-ქართული ბრინჯაოს კულტურის განვითარების შედეგია. კოლხურ კულტურაში გვხვდება ნივთთა ისეთი ფორმები, რომლებიც გენეტიკურად დაკავშირებულია წინამორბედ საფეხურზე გავრცელებულ ტიპებთან. ამ კულტურის ერთ-ერთი ძირითადი იარაღის — კოლხური ცულის — პროტოტიპი კარგადაა ცნობილი უკვე შუაბრინჯაოს ხანის დასავლურ-ქართულ კულტურაში. ასევე გვიანბრინჯაოს ხანის თოხები გენეტიკურადაა დაკავშირებული შუაბრინჯაოს ხანის ურეკის განძის თოხებთან და სხვ.

არქეოლოგიური კულტურების დასახასიათებლად, ჩვეულებრივ, არ კმარა მატერიალური ნაშთების ერთი რომელიმე სახეობის გაცნობა. რაც უფრო მრავალგვარია კულტურის ნაშთები, მით უფრო სრული იქნება ჩვენი წარმოდგენა მოცემულ კულტურაზე, მით უფრო სრულად იქნება შეცნობილი საზოგადოების განვითარების მამოძრავებელი ძალები, ისტორიული პროცესი.

როცა საკითხი გვიანი ბრინჯაოს ხანის კოლხურ კულტურას ეხება ჩვენ იძულებული ვართ დავკმაყოფილდეთ იმ ძეგლთა მხოლოდ განსაზღვრული კატეგორიის დახასიათებით, რომლებიც სადღეისოდ არის გამოვლინებული. როგორც ითქვა, ჩვენ თითქმის სრულიად არაფერი ვიცით იმდროინდელ სამეურნეო და საკულტო ნაგებობათა შესახებ, აგრეთვე ცოტა რამ ვიცით საწარმოთა გამართულობა-მოწყობილობასა და საცხოვრებლებზე. ცნობილია მხოლოდ, რომ კოლხეთის დაბლობზე მოსახლობები ზოგჯერ გაშენებული იყო მცირე ბორცვებზე, და საცხოვრებლად ხის სახლებს აგებდნენ. ასეთია, მაგალითად, ბოლომდე შეუსწავლელი მოსახლობა „ნაოხვამუ". კოლხური კულტურის რაგვარობაზე მსჯელობა გვიხდება უმთავრესად სამარხეული ინვენტარის, „მდნობელთა" განძებისა და შემთხვევით ნაპოვნი ცალკეული ნივთების მიხედვით.

კოლხური კულტურის ძეგლები ყობანში მარტო სამარხების სახითაა ცნობილი. მათგან მხოლოდ რამდენიმე სამარხია გათხრილი მეცნიერული წესით. სამარხები წარმოადგენს უბრალო ქვებით გარშემოწყობილ ორმოებს ან ქვის ფიცრებით გამართულ ნაგებობებს, რომელთაგან ზოგი დამხრობილია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, ზოგიც აღმოსავლეთიდან დასავლეთით ან ჩრდილოეთიდან სამხრეთით. ისევე როგორც ბრილში, არც აქ არის გარკვეულად დადგენილი დამხრობა. მიცვალებულნი დაკრძალული არიან ხელ-ფეხმოკეცით, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე. აღწერილია ისეთი ფაქტებიც, რომლებიც მიცვალებულთა გვამის კრემაციას უნდა მოწმობდეს, თუმცა ზოგი ავტორი კატეგორიულად უარყოფს ამას. დაკრძალვის ამგვარივე წესები დასტურდება სოფელ ღებთან, ბრილის სამაროვანზე. გვიანი ბრინჯაოს ხანის ერთერთი სამარხი იქ აგებული იყო ქვის ფიცრებით, მეორე, კოლექტიური სამარხი კი წარმოადგენდა მიწაში ამოჭრილ დიდ ორმოს, რომელშიც მიცვალებულთა გვამები და ინვენტარი დაუწვავთ. დადგინდა, რომ ამ სამარხში მიცვალებულთ სულ სხვადასხვა დამხრობა ჰქონიათ. საქართველოში, განსაკუთრებით აფხაზეთში, ეხვდებით ჭურში დაკრძალვის ფაქტებსაც. ასეთი სამარხები აღმოჩენილია ეშერში. ამგვარივე სამარხები, ცოტა მოგვიანებით, განვითარებულ რკინის ხანაში ჰქონია ფარცხანაყანევისა და დაბლაგომის მოსახლეობას. სამარხად ჭურის გამოყენება ალბათ იმასაც ნიშნავს, რომ გვიანი ბრინჯაოს ხანის კოლხეთში უკვე კარგად იყო ცნობილი ღვინის კულტურა; თითქმის უეჭველია, რომ მიცვალებულთა დასაკრძალავად გამოყენებული ჭურები პირველ რიგში საღვინეებს წარმოადგენდა. ყობანში და ბრილში, სადაც მევენახეობისთვის ბუნებრივი პირობები არც ახლაა და არც ძველად ყოფილა, ამგვარი ჭურჭელი მოსალოდნელი არ უნდა იყოს.

სამარხების ინვენტარი ძირითადად შედგება თიხის საოჯახო ჭურჭლისა და ბრინჯაოს საგნებისაგან (ცულები, სატევრები, ლახტები, ცხენის აკაზმულობის ნაწილები, სარტყლები, სარტყლის ბალთები, ქინძისთავები, მშვილდ-საკინძები, კირკლები, სამაჯურები, საწვივე რგოლები, საყურეები, სასაფეთქლეები, სხვადასხვანაირი საკიდები). არის ქვის, უმთავრესად სარდიონის მძივებიც. უფრო იშვიათად ხვდებოდნენ რკინის ნაწარმსაც.

ყობანური ჭურჭელი ნაძერწია ხელით, მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან და ბამომწვარია არა სავსებით დამაკმაყოფილებლად. ზედაპირი შავლეგა აქვს, თანაც ბევრ შემთხვევაში შემკობილი გეომეტრიული სახეებით (სამკუთხედები,

რომბები და სხვ. მისთ.), რომლებიც ამოკაწრულია სველ თიხაზე და ზოგჯერ აკ-სებულია თეთრი მასით. ჭურჭელი წარმოდგენილია ქოთნებით, ღრმა და ფრიალა, ჯამებით, ლამბაქებით, დოქებით, სურებით; არის მეტად მოხდენილი ორმაგი ჯამებიც. ყობანის კერამიკის ფორმებისა და ორნამენტული შემკულობის ყველაზე უფრო ახლო პარალელები მოიპოვება აღმოსავლეთ საქართველოში სტალინირის ნაცარგორისა და დასავლეთ საქართველოში ბრილის ჭურჭელს შორის. მაგრამ აბ-სოლუტურ იგივეობაზე საუბარი არ მოგვიხდება, რადგანაც აქაური, განსაკუთრე-ბით სტალინირის, ჭურჭელი გაცილებით უფრო მრავალფეროვანია და დაწინაუ-რებულ მეთუნეობას გვაუწყებს. ეს ჭურჭელი, ისე როგორც ბრილის თიხის ჭურ-ჭელი, უპირატესად ჩარხზეა გამოყვანილი და გამომწვარია წითლად ან შავად, სავსებით სრულყოფილად. დასავლეთ საქართველოს ბარში ფართოდ იყო გავრ-ცელებული ცალყურა ქოთნები, რომლის სახელური ცხოველის დაცქვეტილყუ-რებიან თავს მოგვაგონებს. ბევრი ასეთი ჭურჭელია აღმოჩენილი ანაკლიასთან, ურეკში და სხვ. ამათი მიბაძვითაა დამზადებული კოლხური ბრინჯაოს სიტულები ბრილიდან, ყობანიდან, ლეჩხუმიდან და სხვ. ყობანისა და დასავლეთ საქართვე-ლოს სამარხეული ინვენტარის სულსა და გულს წარმოადგენს ბრინჯაოს საგნე-ბი. შენადნობი, რომლისგანაც ისინია დამზადებული, მაღალხარისხოვანია და შეიძლება ჩაითვალოს კლასიკური ბრინჯაოს შენადნობად. კოლხური კულტურის გავრცელების რაიონებში ამგვარი შენადნობიდან ასხამდნენ ცულებს, სატევ-რებს, სხვადასხვაგვარ ქანდაკებებს, სარტყლის ბალთებს და სხვ. მათ პარალელუ-რად გვხვდება სუფთა სპილენძის საგნებიც.

ქვემოთ გავეცნობით ბრინჯაოს ძირითად საგნებს, რომლებიც ერთნაირად დამახასიათებელია ყობანისა და დასავლეთ საქართველოსათვის.

გვიანი ბრინჯაოს ხანის კოლხურ კულტურაში საყოველთაოდ გავრცელე-ბულ იარაღს წარმოადგენდა ბრინჯაოს ცული და სატევარი. ჩვენ მას ვხვდებით კავკასიის ქედის გადაღმა და გადმოღმა მხარეში. სხვა იარაღის გავრცელება კი ვიწრო ლოკალურ ხასიათს ატარებს და, როგორც ჩანს, ‘ძეპირობებულია ამა თუ იმ რაიონის თავისებურებით. ასე, მაგალითად, არც ყობანში და არც ბრილში ამ დროს თითქმის არ უხმარიათ ბრინჯაოს შუბი. სამაგიეროდ ეს იარაღი დამოწმე-ბულია ეშერში, ანაკლიაში (დიხა-გუძუბა), ლეჩხუმში და სხვ. შუბის წვერების არარსებობა გვიანი ბრინჯაოს ხანის ბრილურსა და ყობანურ სამარხებში მით უფრო საოცარია, რომ წინამავალ ეპოქაში, როგორც ვნახეთ, ისინი დიდი რაო-დენობით უკეთებიათ.

ჩვენთვის საინტერესო ხანის კოლხურ კულტურაში თითქმის სრულებით არ ვიცნობთ ბრინჯაოს ისრის წვერებს. თუ მათი აღმოჩენლობა შემთხვევითობას არ მიეწერება, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ვრცელ ტერიტორიაზე კავკასიის ქე-დის ორივე მხარეს იმ დროს არც ისე მიღებული ყოფილა მშვილდ-ისარი. კოლხე-თის დაბლობში აღმოჩენილია კაჟის ქუსლამოღარული ისრის წვერები, ოღონდ ისინიც აგრეთვე მცირე რაოდენობით. მშვილდ-ისრისა და შუბის ნაკლებად გავრ-ცელება ჯერჯერობით გამოუცნობ მოვლენად რჩება და გაოცებას იწვევს ნადი-რობის არსებობის დამამტკიცებელ სხვა ფაქტთა ფონზე. არც ცული და არც სა-ტევარი ამ საქმეში არ გამოდგებოდა.

კ ო ლ ხ უ რ ი ც უ ლ ი (ტაბ. XIII, 2, 6) მეტად მოხდენილი, ლაზათიანი და მოსახმარად მარჯვე იარაღია. მისი, როგორც უცვლელი ფორმის დახასიათება არ შოგვიხდება, ვინაიდან ცნობილია ამ ცულის რამდენიმე, ერთმანეთისაგან ამა თუ იმ ნიშნით განსხვავებული ვარიანტი. კოლხური ცულის ერთიანობა სწორედ მის მრავალგვარობაში ჩანს. ზოგი ავტორი, უპირატესად ყობანური მონაპოვრის მიხედვით, ამ იარაღში არჩევდა 6 ტიპს. ეს კლასიფიკაცია დიდი ხნის განმავლობაში თითქმის საყოველთაოდ მიღებულად ითვლებოდა. უკანასკნელ ხანებში არქეოლოგმა ო. ჯაფარიძემ იგი საგრძნობლად გააუმჯობესა და 6 ტიპის მაგიერ 3 ტიპი და 2 ქვეტიპი გამოჰყო, მანვე დაადგინა თითოეული ტიპის უპირატესი გავრცელების რაიონები. მაგრამ კოლხური ცული განხილულ უნდა იქნეს როგორც ერთი ტიპი მისი ქვეტიპებითა და სახეებით. ძირითადი, რაც ამ ცულს, როგორც ერთიან ტიპს ახასიათებს, ორი ნიშანია — აქვს წახნაგოვანი ტანი და ბოლოებშევიწროებული ოვალის მოყვანილობის სატარე (ნახვრეტი). ტანის მოყვანილობის მიხედვით გაირჩევა სწორტანიანები (ტაბ. XIII, 2—5) და ორმხრივ მოხრილტანიანები (ტაბ. XIII, 6), პირის მოყვანილობის მიხედვით—ორფრთიანები (ტაბ. XIII, 4), ცალფრთიანები (ტაბ. XIII, 5, 6) და სოლურპირიანები (ტაბ. XIII, 2, 3), ყუის მოყვანილობის მიხედვით — ყუაკვერიანები (ტაბ. XIII, 5, 6) და ორფერდაყუიანები (ტაბ. XIII, 3, 4). კოლხური ცულის უძველესი ნიმუშები (ტაბ. XIII, 2) აღმოჩენილია შავი ზღვის სანაპირო ზოლში სოფ. მახუნცეთიდან მოკიდებული ქ. სოჭამდე (მახუნცეთი, ბიჭვინტა, გაგრა, პილენკოვო, სოჭი). ამ უძველესი ცულების და, მაშასადამე, საერთოდ კოლხური ცულის პროტოტიპად მიჩნეულია აღმოსავლურ-ქართული ცულის ის ტიპი, რომელიც ცნობილია ზაჰესიდან.

ცულები ჩამოსხმულია ორსაგდულიან ყალიბში (ტაბ. XIII, 1), რომელსაც ქვისაგან ან სპილენძისაგან ამზადებდნენ. ცულების დიდ ნაწილს, განსაკუთრებით ყუაკვერიანებს, ჩამოსხმის დროს ყვრიმალებზე ატანდნენ მეტ-ნაკლებად ღრმა ღარებს, რომლებიც შესაბამისად ქმნიდნენ თითო, ორ-ორ ან სამ-სამ წახნაგს. ამგვარად, ცულის სიმყარისათვის ზიანის მიუყენებლად, შემსუბუქებულია ყუა, რაც იარაღს მეტად მოხერხებულს ხდის. მსგავსი ღარები მეტად იშვიათია ორფერდაყუიან ცულებზე, ვინაიდან მათი ყუა ისედაც შედარებით მსუბუქია. მეტად იშვიათად ცულებს ღარები შემოუყვება შუა ტანზეც, სატარესა და პირს შორის. მათ მხოლოდ დეკორაციული მნიშვნელობა აქვთ.

კოლხური ცული გავრცელებულია დიდ ტერიტორიაზე შავი ზღვის სამხრეთი ნაპირიდან (ქ. ორდუ, თურქეთში) ჩრდილო კავკასიამდე (ჩრდ. ოსეთი, ყაბარდო, ნოვოროსიისკის მხარე). ყველაზე მეტია აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოში (აჭარა, გურია, იმერეთი, სამეგრელო, ლეჩხუმი, რაჭა, სვანეთი, აფხაზეთი), აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს იმ ზოლში, რომელიც დასავლეთ საქართველოს აკრავს (სამხრეთ ოსეთი, ბორჯომ-ახალციხის რაიონები), იშვიათია ქართლის ცენტრალურ თემებში (მაგ., მცხეთა; ტაბ. XVIII, 10) და მის სამხრეთით მდებარე სომხეთის ტერიტორიაზე (მაგ., ლენინაკანი). რაც შეეხება ჩრდილო ოსეთს, ამგვარი ცულების სიხშირე ჯერჯერობით დამოწმებულია უმთავრესად ყობანის სამაროვანზე; ჩრდილოეთ ოსეთის ზოგ სხვა ადგილზე მისი პოვნის ფაქტები აღნიშნულია შედარებით უფრო იშვიათად; კოლხურმა ცულებ-

მა თავი იჩინეს ყაბარდოშიც; განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი სიმრავლე (ᲫᲚᲐᲚᲘ) ᲔᲒᲘᲞᲢᲐᲚᲐᲡ ᲒᲐᲜᲫᲨᲘ.

დოც. ო. ჯაფარიძემ დამაჯერებლად აჩვენა, რომ თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე უმეტესად ნაპოვნია ორფერდაყუიანი ცულები (მისი I ტიპი) მაშინ, როცა ყობანში ტანმრუდი (მისი III ტიპი) ცულები სჭარბობს. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება კოლხურ ცულად არ მივიჩნიოთ ეს ტანმოხრილი იარაღიც.

კოლხურ ცულს ხის ტარს უგებდნენ, მაგრამ აღმოჩენილია (აფხაზეთში) ცულები, რომელთაგან ზოგს ბრინჯაოს ტარი, ხოლო ზოგს ბრინჯაოს სალტეებით ხშირად დაჭრელებული ტარი ჰქონია. ცულის ტარზე შემოსაკრავი ბრინჯაოს სალტეები ბრილშიც არის აღმოჩენილი. ერთი მხრით, კოლხური ცულების სხვადასხვაგვარი ზომა (12—20 სმ-მდე) და წონა, მეორე მხრით, მისი შემკობის ინტენსივობა (სრულიად სადა ცულებიდან სხვადასხვანაირი სახეებით შემკულ ცულებამდე) და ტარის ნაირობა (ხის ტარი, ბრინჯაოს ტარი, ბრინჯაოს სალტეებიანი ხის ტარი) გვაფიქრებინებს, რომ ზოგიერთი მათგანი (უფრო კი მძიმე, ორნამენტო) სამუშაო იარაღს წარმოადგენდა, ზოგიც საბრძოლოს, ხოლო სხვებს სარიტუალო და საპარადო დანიშნულება ჰქონდა. ბევრი სამუშაო ცული ნაპოვნია სვანეთში.

საბრძოლო იარაღთაგან, გარდა ბრინჯაოს ცულისა, აღსანიშნავია სატევარი და შუბი. სატევარი გვხვდება კოლხური კულტურის გავრცელების მთელ ტერიტორიაზე, შუბი კი, როგორც ითქვა, მთის რაიონებში თითქმის სრულიად უცხო მოვლენას წარმოადგენს.

კოლხურ კულტურაში დამოწმებული ᲡᲐᲢᲔᲕᲠᲔᲑᲘ სხვადასხვაგვარია. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ყობანში აღმოჩენილი სატევრების ფორმათა ნაირობა. ისევე როგორც რაჭა-ლეჩხუმში და იმერეთში, იქ გვხვდება ვიწროყუნწიანი ან ფართოფუძიანი სატევრის პირები, რომელთაც თავის დროზე ხის ან რქის ტარი ჰქონიათ, მაგრამ აღარ შერჩენიათ; ამას გარდა არის ბრინჯაოსტარიანი სატევრები. ყველა მათგანს პირის მოყვანილობის მიხედვით ორ ჯგუფად გავყოფთ: პირველი ჯგუფის სატევრის პირებისათვის დამახასიათებელია შუა ნაწილის შეზნექილობა, მეორე ჯგუფის სატევრები კი მხრებიდან წვერამდე მეტ-ნაკლებად თანაბრად ვიწროვდება. ორივე ჯგუფში გვხვდება როგორც ვიწრო, მკვეთრქედიანი, ისე ფართოქედიანი სატევრები (ტაბ. XIII, 8). რაც შეეხება სატევართა ბრინჯაოს ტარებს, იქ უფრო დიდი მრავალფეროვნება შეინიშნება: არის ანტენისებურტარიანები და ფიგურულტარიანები. ზოგიერთი სატევრის ტარი შემკობილია ცხოველთა ქანდაკებებით.

დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი სატევრის პირები, იშვიათ გამონაკლისს გარდა, უტაროებია, მაგრამ ყუნწის, პირის და ქედის მოყვანილობის მიხედვით არაფრით არ განსხვავდება ყობანურებისაგან. კოლხური კულტურის გავრცელების ამ რაიონში გამოიყოფა სატევართა ლოკალური ჯგუფები. ასე, მაგალითად, აფხაზეთში უფრო ხშირად ეხვდებით ვიწროყუნწიან, თანაბრად შევიწროვებულ, დაღარულ სატევრის პირებს, იმერეთსა და რაჭაში კი სჭარბობს ბრტყელ ან მკვეთრქედიანი სატევრები. ბრილში აღმოჩენილი ერთი ფართოქე-

დიანი სატევარი ყურადღებას იქცევს მშვენიერად შესრულებული მხატვრობით: მისი ქედის ორთავე სიბრტყეზე გამოყვანილია ზენური ხვიები და გველები, ე. ი. მხატვრული სახეები, რომლებიც ასე დამახასიათებელია კოლხური კულტურის სხვა ძეგლებისათვის, მაგრამ ამ ერთი შემთხვევის გარდა არ გვხვდება სატევრებზე.

შ უ ბ ი ს წ ვ ე რ ე ბ ი მასრაგახსნილებია. აფხაზეთში უფრო მეტად გავრცელებულია გრძელმასრიანი, მოკლე და ფართოპირიანი შუბები (ტაბ. XIII, 10), თუმცა ვიწროპირიანებსაც ვხვდებით; ლეჩხუმში კი წამყვან როლს ასრულებს შუბის წვერთა აღმოსავლურ-ქართული ტიპი (შეად. ტაბ. XVIII, 13). ნაოხვამუში (ანაკლიასთან) აღმოჩენილი შუბის წვერი ხასიათდება მეტად მოხდენილი პროპორციებით (ტაბ. XIII, 9) .

სატევარმა და შუბმა ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის იარაღის ბევრი ნიშანი შეინარჩუნა და სავსებით ადგილობრივი ტრადიციების მიხედვით განვითარდა. ეშერული სატევრის პირები გაცილებით უფრო ახლო ენათესავება ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანების თრიალეთურ, შიდაქართლურ და ზემოიმერულ სატევრებს, ვიდრე სამხრეთ ამიერკავკასიისას, სადაც ძირითადად გავრცელებული იყო ქუდდაფანჯრული სატევრები. ბ. კუფტინი მართებულად აღნიშნავდა, რომ კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი სატევრები რაღაც გზით დაკავშირებულია ძველ წინააზიურ (შუმერი, ტროა II) ფორმებთან, მაგრამ იგი ყურადღების გარეშე ტოვებდა იმას, რომ ქრონოლოგიურად დაშორებულ ამ ორი ჯგუფის სატევართა შორის დამაკავშირებლად, ე. ი. შუალედ რგოლად თრიალეთური ვერცხლის სატევრები (ტაბ. XI, 2) გვეელინება.

საბრძოლო იარაღის სახეობათა (სხვადასხვაგვარი სატევრები, შუბები, ცულები) გამრავლება გვიანბრინჯაოს ხანის კოლხურ კულტურაში, საფიქრებელია, ნაკარნახევი იყო საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი გარკვეული ცვლილებებით.

გვიანბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის თავისებურებათა შესახებ სრული წარმოდგენა ვერ შეგვექმნება, თუ იარაღ-საჭურველთან ერთად არ გავიცნობთ ტანსაცმელთან დაკავშირებულ საგნებსა და სხვადასხვაგვარ სამკაულებს. ტანსაცმელთან დაკავშირებული საგნებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ს ა რ ტ ყ ე ლ ი და ს ა რ ტ ყ ლ ი ს ბ ა ლ თ ე ბ ი. კოლხური სარტყელი არსებითად იმგვარივეა, როგორიც მთელს იმდროინდელ ამიერკავკასიაში გავრცელებული სარტყელი, და წარმოადგენს ბრინჯაოსაგან გამოჭედილ თხელსა და ფართო (20 სმ-მდე) ლენტს, რომელსაც ტყავის ან ქსოვილის სარჩული უნდა ჰქონოდა. ამგვარი სარტყლის ზედაპირი ხშირად შემკობილია ამოკაწრული ან ამოტვიფრული სურათებით, რომლებშიც შეიძლება გამოვიცნოთ საწესო ან ნადირობის სცენები. ასეთნაირად შემკობილი სარტყლის ფრაგმენტები ნაპოვნია ყობანში, ბრილში და თლიში.

ბრილურ სარტყელზე ნაირ გეომეტრიულ სახეებთან ერთად დაწნევის ტექნიკით გამოსახულია თხები და ციცოცხლის ხე. სურათი შესრულებულია რეალისტური სტილით და წარმოადგენს ბრინჯაოს ხანის სახვითი ხელოვნების ერთერთ საუკეთესო ნიმუშს. აფხაზეთში ნაპოვნია შედარებით ვიწრო და თანაც მოუხატავი სარტყლის ფრაგმენტები, მეტ-ნაკლებად მსგავსი ყაზბეგიდან

ცნობილი სარტყლებისა. რაც შეეხება სარტყლის ბალთებს, ისინი სრულიად ორიგინალურია და ამიერკავკასიის სხვა კულტურათა რაიონებში იშვიათად მოიპოვება მათი შესატყვისი საგნები. კოლხური ბალთების სამი ტიპი გაირჩევა. პირველი ტიპის ბალთები, უმთავრესად ფართო სარტყლების შესაკრავად განკუთვნილი, წარმოადგენს მაღალ (20 სმ-მდე), სწორკუთხედის მოყვანილობის საკმაოდ სქელ (2—3 მმ) ფირფიტას, რომელსაც ცალ მხარეზე მწკრივად გაუყვია სარტყლის ერთ ბოლოზე დასაკერებლად, წვრილი ნახვრეტები, ხოლო მოპირდაპირე მხარეზე, შუაში მოთავსებული აქვს ნისკარტისებური კაკი სარტყლის მეორე ბოლოში გასაყრელად. ბალთების ზედაპირი უმრავლეს შემთხვევებში შემკობილია იმგვარივე გამოსახულებებით, როგორიც კოლხურ ცულზე გვხვდება. ზოგჯერ ბალთებზე გვხვდება რკინის ინკრუსტაცია. სპეციალურ ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრების მიხედვით, ბალთების ეს ტიპი წარმოადგენს ე. წ. ყობანური კულტურის ნიშანდობლივ ელემენტს და უცხოა კოლხური კულტურისათვის. არქეოლოგიური მასალა მოწმობს, რომ ამგვარ შეხედულებას არსებითი გადასინჯვა ესაჭიროება, ვინაიდან ჩვენთვის საინტერესო ნივთები ძლიერ დიდი რაოდენობით ჩნდება საკუთრივ დასავლეთ საქართველოში და მის მომიჯნავე ქართლის სხვადასხვა პუნქტში. ისინი ცნობილია ქობულეთის რაიონიდან, ვანიდან, სამხრეთ ოსეთიდან, ადიგენის რაიონიდან, თრიალეთიდან და სხვ., განსაკუთრებით ბევრი აღმოჩნდა ბრილის სამაროვნის გათხრის დროს.

ბალთების მეორე ტიპი, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ აფხაზეთიდანაა ცნობილი სარტყელთან კავშირში, წარმოადგენს ფრინველისა თუ ცხოველის სტილიზებულ ქანდაკებას. ბალთის თავი გაბრტყელებულია და სარტყლის ბოლოზე დამაგრებული, ხოლო კაკვის მოვალეობას ასრულებს ცხოველის თუ ფრინველის თავი. ამგვარი ქანდაკებანი ბევრია ნაპოვნი ბრილში და ჩრდილო ოსეთში, სადაც ისინი მიჩნეული იყო სამაჯურის შემადგენელ ნაწილებად, მაგრამ ეშერში მომხდარი აღმოჩენის შემდეგ შეიძლება ზოგიერთი მათგანი მაინც სარტყლის ბალთად ჩავთვალოთ.

მესამე ტიპის სარტყლის ბალთები წარმოადგენს ბრინჯაოს ნახევარწრისებურ ფირფიტას, რომელსაც კაკვი და თასმაზე დასაკერებელი ნახვრეტები აქვს. მისი ზედაპირი შემკობილია ამოკვეთილი სპირალებით. ის ხშირად ჩნდება აღმოსავლეთ საქართველოშიაც.

ტანსაცმელთან დაკავშირებული საგნებიდან აღსანიშნავია სხვადასხვაგვარი საკინძები, ქინძისთავები, კავები, ღილები და სხვ. განსაკუთრებით მრავლად გვხვდება დიდი მ შ ვ ი ლ დ ს ა კ ი ნ ძ ე ბ ი (ტაბ. XIV, 8), რომელთა ნემსი ჩამოსხმულია მშვილდთან ერთად და შემდეგ გამოჭედილ-დამუშავებულია დამატებით. ამგვარი ნაკეთობანი გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოშიც, მაგრამ კოლხურებს მათგან განასხვავებს დიდი ზომა (10—12 სმ-მდე სიგრძე, 9—10 სმ-მდე სიგანე), მშვილდის ფორმა და შემკულობა, რომლის მოტივად უმრავლეს შემთხვევებში გვევლინება თევზიფხური. დასავლურ-ქართულ მშვილდსაკინძებში ორი სახესხვაობა გამოიყოფა: თანაბრად გავსხვილებულრკალიანები და წურბელასებურები. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება ამ სახის საკინძების ბერძნული ფიბულებიდან მომდინარეობის შესახებ, მაგრამ არქეოლოგიური მასალა საეჭვოდ ხდის მას: უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ის,


1
2
3
4
5
6
7
8
10
11
12
13
14
15
16

რომ კოლხური და საერთოდ კავკასიის მატერიალური კულტურის სხვა ნაშთები ძვ. წ. II—I ათასწლეულის მიჯნაზე, როცა ჩვენში და საბერძნეთში პირველად ჩნდება მშვილდსაკინძი, არ გვიჩვენებს ბერძნული გავლენის არავითარ კვალს, და ძნელი დასაშვებია, რომ ბერძნულის მიმბაძველობით მხოლოდ ამგვარი საკინძები (ფიბულები) ემზადებინათ; ამასთან ერთად საკინძის ეს სახე ისეთს არაფერს წარმოადგენს, რომლის დამოუკიდებლად შემუშავება არ შესძლებოდა გვიანი ბრინჯაოს ხანის სახელმოხვეჭილი კოლხური კულტურის შემქმნელ საზოგადოებას. უნდა ვიფიქროთ, რომ ერთმანეთის ძლიერ მსგავსი მშვილდსაკინძების ფორმა ერთსა და იმავე დროს გამომუშავდა საქართველოში და საბერძნეთში, ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებლად. ადრებრინჯაოს ხანის მასალებში არ გვხვდება არავითარი მსგავსი იარაღი, რომლიდანაც ის შეიძლებოდა განვითარებულიყო. მშვილდსაკინძი გვიანი ბრინჯაოს ხანის უშუალო ნაყოფია, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედო საკინძთა სხვა ტიპებს.

სამაგიეროდ, შუაბრინჯაოს ხანიდან მომდინარეობს ქინძისთავები. ისინი სხვადასხვა ფორმისაა: ნიჩბისებურები, დისკოსებურთავიანები, თავხვიები, ქოლგისებრთავიანები და სხვ. კოსტუმთან ან თავსაბურველთან დაკავშირებული ჩანს უპირველეს ყოვლისა დისკოსებურთავიანი დიდრონი (ზოგჯერ 20—30 სმ სიგრძის) ქინძისთავები, რომლებიც მშვილდსაკინძებთან ერთად განკუთვნილი უნდა იყოს უხეში ქსოვილის ან ქეჩისაგან დამზადებული ტანსაცმლის თუ წამოსასხამის შესაკერელად. გვიანი ბრინჯაოს ხანის ამიერკავკასიის არქეოლოგიურ კომპლექსებში დისკოსებრთავიანი ქინძისთავები იშვიათად ჩნდება (თრიალეთი, ბორჯომის რაიონი, ლიახვის აუზი); ისინი უფრო ჩრდილო ოსეთის სამაროვანთაგან არის ცნობილი. რაც შეეხება წინამორბედ ეპოქას, კერძოდ, შუაბრინჯაოს ხანას, ამ დროისათვის მსგავსი ქინძისთავები საყოველთაოდ გავრცელებული ყოფილა მთელს კავკასიის მთიანეთში და მთისწინა ზოლში. ეს მტკიცდება სათანადო აღმოჩენებით პიატიგორსკში, ჩრდილო ოსეთის სხვადასხვა პუნქტში (კუმბულთა, ქამუნთა და სხვ.), ნულში, ქვასათალში, ბრილში და სხვ. დისკოსებრთავიანი, დიდრონი ქინძისთავების გავრცელების ეს არეალი, რომელიც უმთავრესად მთიან რაიონებს მოიცავს, კიდევ ერთხელ მოწმობს არაერთგზის გამოთქმულ მოსაზრებას უხეშ ტანსაცმელთან მათი კავშირის შესახებ. მართლაც, კლიმატური პირობების გამო მთიელთა სამოსელი ყოველთვის განსხვავდება დაბლობის მოსახლეობის ტანსაცმლისაგან, რომელიც უმთავრესად ნაზი ქსოვილებისაგან მზადდება. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ გვიანი ბრინჯაოსა და რკინის ხანის კავკასიის მთიანეთისათვის უცხო იყო ხარისხიანი ქსოვილები. ბრილის გათხრების დროს, განვითარებული რკინის ხანის სამარხებში ნაპოვნია ლითონის ჟანგით გაჟღენთილი ნაშთები სხვადასხვაგვარი ქსოვილებისა. თუმცა მათი ლაბორატორიული შესწავლა ჯერჯერობით არ მომხდარა, მაგრამ უბრალო დაკვირვებითაც შეიძლება მათ შორის გავარჩიოთ როგორც მსხვილი ძაფისაგან მოქსოვილი შალი, ისე საკმაოდ ნაზი, ალბათ, სელის ტილო. უნდა ვიფიქროთ, რომ ტანსაცმლის შესაკრავი და სხვადასხვაგვარი სამკაულის ფორმებიც ამის შესაბამისად დაიხვეწა და უფრო შემსუბუქდა, ვიდრე გვიანბრინჯაოს ხანაში იყო. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ბრილში აღმოჩენილი ქინძისთავები, საკინძები, შესაკრავები და ბალთები, რომლებიც ახლაც დაამშვენებდა კულ-

ტურული ადამიანის კოსტუმს. ზოგიერთი ქინძისთავი ყურადღებას იპყრობს ზემო ნაწილის გაფორმებით. განსაკუთრებით საინტერესოა ყობანური ქინძისთავები, რომლებსაც ვერძის გამოსახულებები ამკობს; სოფ. თლიში აღმოჩენილ ზოგ ქინძისთავს ხარის თავის ქანდაკება ამშვენებს; ერთ იქაურსავე ქინძისთავზე ვხედავთ აღმოსავლურ-ქართული ცულის მოდელს; მეორე ქინძისთავი ყობანიდან დამშვენებულია ირემზე ძაღლის ნადირობის სცენის გამოსახულებით.

ბრინჯაოს სამკაულიდან არ შეიძლება არ დავასახელოთ ს ა მ ა ჯ უ რ ი, რომელიც წარმოადგენს ოვალური მოყვანილობის მასიურ რკალს სიგრძივ გამავალი ორი ღარითა და სპირალური ხვიებით დამთავრებული ბოლოებით. სამაჯურის ეს ფორმა უცხოა აღმოსავლურ-ქართული კულტურისათვის, მაგრამ რაღაც ძაფებით დაკავშირებულია აღმოსავლეთ ევროპის ბრინჯაოს სამაჯურებთან. მთელ კოლხურ კულტურულ წრეში საყოველთაოდ გავრცელებულ ამ სამკაულთან ერთად გვაქვს ლოკალური ჯგუფისათვის დამახასიათებელი სამაჯურებიც — ყობანში ცილინდრული ხვიები და აფხაზეთში ბრტყელი, ჯერისმაგვარი სამაჯურები.

გვიანი ბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის ნაშთთა შორის ხშირად პოულობენ სხვადასხვა სისქის ჯ ა ჭ ვ ე ბ ს, რომლებიც ყელსაბამად თუ გულსაკიდად ყოფილა გამოყენებული. ზოგჯერ ამგვარ ჯაჭვებზე ჩამოკიდებულია ნაირ-ნაირი სამკაულები: უმთავრესად დუგმები ან ცხოველთა ქანდაკებანი. ბრილის ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს ძეწკვის შუა ნაწილზე დამაგრებულია დედალი დუგმისებური საკიდი. ამგვარი სამკაული, როგორც ჩანს, მარტო კავკასიური კულტურის განუყოფელ კუთვნილებას არ შეადგენდა: ზუსტად ბრილური ყელსაკიდის მსგავსი სამკაული ამკობს ფინიკიაში აღმოჩენილ ერთერთი ქალღმერთის ქანდაკებას, რომელსაც ძვ. წ. XIV— XIII საუკუნეებით ათარიღებენ.

საკიდებად თუ დასადგმელად განკუთვნილი ცხოველების ქ ა ნ დ ა კ ე ბ ა ნ ი წარმოადგენენ მთელი კოლხური კომპლექსების მშვენებას. ეს ქანდაკებანი ყველაზე ბევრია აღმოჩენილი ყობანში, ბრილში და აფხაზეთის სხვადასხვა სოფელში. ქანდაკების საგანს უმთავრესად შეადგენდა გარემომცველ ცხოველთა სამყარო, მაგრამ ამასთან ერთად ვხედებით ადამიანთა ქანდაკებებსაც. გარეული ცხოველებიდან უმთავრესად აქანდაკებდნენ დათვს, მგელს, ირემს; შინაურიდან — ძაღლს (ტაბ. XIV, 2), ცხვარს (ტაბ. XIV, 1), ზროხას და ცხენს; გვხვდება ფრინველთა გამოსახულებანიც. კოლხური ქანდაკების ნიშანდობლივი თვისება, გრაფიკისაგან განსხვავებით, მისი რეალისტური ხასიათია. ეს რეალიზმი, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, სრულიად არ გადადის ნატურალიზმში. ოსტატი ცდილობს გადმოგვცეს ამა თუ იმ ცხოველის არსებითი და ძირითადი ნიშნები, რომლითაც იგი განსხვავდება მეორისაგან. სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ რამდენიმე ქანდაკება. ასეთებია, მაგალითად, ვერძი, მხედარი, ძაღლი, წყვილი დათვის ბელი (ტაბ. XIV, 6) და სხვ. ბრილიდან, გუდაუთიდან და ყობანიდან. ამასთან ერთად ქანდაკებაში შეინიშნება სტილიზაციის ელემენტებიც, რაც კარგად მოჩანს ზოგიერთ ბრილურ და აფხაზურ მონაპოვარზე. ამ ქანდაკებათა სტილიზებული ხასიათი საშუალებას არ იძლევა გარკვევით გამოვიცნოთ მათში რო-

მელიმე განსაზღვრული ცხოველი; მაგრამ მათ გვერდით გვაქვს იმავე ცხოველის უფრო რეალისტური ქანდაკებანი ბრილიდან, ყულანურხვიდან, ყობანიდან და სხვ., რომლებშიც ადვილად გამოიცნობა მწოლარე ან ფეხზე მდგომი ძაღლი, ზოგჯერ მყეფარის პოზაში (ტაბ. XIV, 2). იგივე ცხოველი თავს იჩენს გრაფიკაშიც, განსაკუთრებით ბალთებზე და ცულებზე.

კოლხური ცულისა და სხვა საგნების ო რ ნ ა მ ე ნ ტ ი (ტაბ. XIII, 6) გეომეტრიული ან ცხოველური მოტივებისაგან შედგება; უფრო ხშირად ორივე მოტივი ერთად გვხვდება, მაგრამ ცალ-ცალკეც ხშირადაა დამოწმებული. გეომეტრიულ სახეთაგან განსაკუთრებით ყვარებიათ სამკუთხედები, რომბები, წრეხაზები, წერტილები, წვრილი ხაზები და ცხოველური მოტივისაკენ გარდამავალი „ზენური" ხვიები, ვითარცა გველის სიმბოლიკური გამოსახულებანი. ცხოველურ მოტივებში, როგორც ვთქვეთ, განსაკუთრებული ადგილი უკავია იმავე ოთხფეხის სტილიზებულ გამოსახულებას, რომელიც ქანდაკებებთან დაკავშირებით ვახსენეთ. მისი დამახასიათებელი ნიშნებია დაღებული ხახა, აცქვეტილი ყურები, გრძელი, ენერგიული ტანი, წვრილი და მაღალი, ფანტასტიკურად დაბოლოებული ფეხები და სპირალური ხვიით ან ისრის წვერისებური წვეტით დაბოლოებული გრძელი კუდი. ზოგიერთი ავტორი ამ სურათებში ხედავს აფთრის ფანტასტიკურ-სტილიზებულ გამოსახულებას, ზოგიც მონადირე ძაღლისას; ზოგიერთმა სწავლულმა ეს გამოსახულება მიიჩნია გერიად, ერთერთი მეგრული ზღაპრის გმირად, რომელიც აღიარეს იბერიელთა ეპონიმად.

ზემოთ ვნახეთ, რომ იგივე ცხოველი, რომელიც გრაფიკულადაა გადმოცემული, ძლიერ ხშირად წარმოადგენდა ქანდაკების ობიექტსაც. ქანდაკებათა და გრაფიკულ სურათთა ერთმანეთთან შედარება, რომლის დროსაც არ შეიძლება არ შევნიშნოთ ჩვენთვის საინტერესო ცხოველის ბუნებაში არსებითი მომენტების ერთიანობა, უფლებას გვაძლევს კოლხური ცულის ამ გამოსახულებაში დავინახოთ ძაღლი. ვ. მილერი ფიქრობდა, რომ ეს არის მონადირე ძაღლი და, მართლაც, გამოსახულებანი ქინძისთავებზე, ბალთებზე და სხვა ნივთებზე ამგვარი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს. მეორე მხრით, ანგარიში უნდა გაეწიოს იმ გარემოებასაც, რომ მოცემულ ეპოქაში ძაღლის გამოსახულებებთან ერთად ფრიად გაერცელებულია ცხვრის გამოსახულებანიც. ჩანს, მეცხვარეობა კოლხური საზოგადოების მეურნეობის ერთერთი წამყვანი დარგი იყო. მეცხვარეობა კი, როგორც ცნობილია, თავისთავად გულისხმობს კარგად გაწვრთნილი ძაღლების ყოლასაც. ამიტომ საფუძველი გვაქვს ჩვენთვის საინტერესო კოლხურ ქანდაკებებში დავინახოთ როგორც მონადირე, ისე მწყემსი ძაღლების გამოსახულებანი.

ძაღლთან ერთად, კოლხურ ხელოვნებაში დიდი ადგილი უკავია ირემს. უნდა ვიფიქროთ, რომ ის აისახა მხატვრობაში, როგორც სანადირო ცხოველი, თუმცა გამორიცხული არაა მისი საკულტო ხასიათიც: ცნობილია, რომ ირმის რქები, როგორც წარმართული კულტის გადმონაშთი, ხშირად გვხვდება ქრისტიანულ სამლოცველოებშიც.

ფრიად საპატიო ადგილი აქვს დათმობილი გველის გამოსახულებას. გველებით შემკობილია მრავალი ცული როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა-

დასხვა რაიონიდან, ისე ყობანიდან. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ყობანის ერთი ცული, რომელზედაც ნაირ ორნამენტს გარდა, ვხედავთ შვიდ გველსა და მშვილდისარმომარჯვებულ ადამიანს. მკვლევართა აზრით, ამ ცულზე გამოსახული უნდა იყოს გველთა მმუსვრელი ღვთაება. გველის გამოსახულებანი ამკობს აგრეთვე ბრილში აღმოჩენილ სატევარს. გველს, როგორც სიბრძნის, ელვისებრი სისწრაფისა და გესლიანობის განსახიერებას ძლიერ ხშირად ვხვდებით კოლხური კულტურის სხვა ნიმუშებზედაც. აქაქნი ანუ გრავიორები, ჩვეულებრივ, მის თავს გამოსახავდნენ სამკუთხედის ან, უფრო სწორად, ისრის წვერის მსგავსად, ტანს კი სხვადასხვანაირად აჭრელებდნენ.

კოლხური ხელოვნების ძეგლებიც, ისევე როგორც იარაღი და საჭურველი, წარმოადგენს ერთგვარ სარკეს, რომელშიც მოჩანს სათანადო საზოგადოების საწარმო-სამეურნეო საქმიანობა. გზადაგზა უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ ცხვრისა და ძაღლის ქანდაკებათა გახშირება გვიანი ბრინჯაოს ხანის მთისა და ბარის სამარხებში მიუთითებს ჯერ კიდევ შუაბრინჯაოს ხანაშივე ფრიად დაწინაურებული მეცხვარეობის როლის დაუკნანებლად შენარჩუნებაზე. მეცხვარეობა, განსაკუთრებით მთაში, ამ დროსაც წარმოადგენდა მესაქონლეობის წამყვან დარგს, ვინაიდან ცხვრის მოშენება უაღრესად სარფიანი იყო არსებულ პირობებში. ცხვარი, რომელიც ხორცთან და რძის სხვადასხვა ნაწარმთან ერთად იძლეოდა მატყლსაც, შედარებით ადვილი გამოსაკვები იყო მისი მოძრაული ბუნების წყალობით, უწინდებურად ცხვარს ასაზრდოებდა კავკასიის ქედის ალპიური საძოვრები—ზაფხულში და კასპიის სანაპირო—ზამთარში. ე. კრუპნოვის მიერ ამ მხარეში, სახელდობრ, ლუგოვისა და ნესტოროვის სამაროვნებზე აღმოჩენილი ძეგლები, მართალია, ჩვენთვის საინტერესო ხანის მიწურულისა, კოლხური კულტურის გაელენას გვაუწყებს და უნდა აიხსნას საკომთაშორისო ურთიერთობით, რომელშიც ამ დროს მეცხვარეობას მეტად საპატიო ადგილი ეკავა. მწყემსებს შორს, ცხვრის ფარის მოძრაობის მთელ გზაზე, გადაჰქონდათ მოწინავე კულტურის ელემენტები და მათდაუნებურად ნერგავდნენ ადგილობრივ მკვიდრთა შორის. ამ კულტურის გავრცელებას არა მარტო მონათესავე ტომებში, არამედ უფრო ვრცელ ტერიტორიაზედაც განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები შეექმნა ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან—მოშინაურებული ცხენის მომრავლების წყალობით. კოლხური კულტურის ძეგლთა შორის სწორედ ამ ეპოქიდან იწყებს გამოჩენას ცხენის აკაზმულობის ნაწილები, რომელთაგან სამარხებში პოულობენ ბრინჯაოს ნაირ-ნაირ სათასმე ბალთებს, ლაგმებსა (ტაბ. XIV, 9, 10) და საყბეურებს. ისინი ცნობილია ყობანიდან, რაჭიდან, ლეჩხუმიდან და სხვა რაიონებიდან. სოფ. ტოლის განძში 1939 წ. აღმოჩნდა ლაგამი, რომელიც წარმოადგენს ბრინჯაოს ორ ღერაკს, ერთიმეორეზე რგოლებით გადაბმულსა და დაბოლოებულს ამგვარივე რგოლებით, რომლებშიც აღვირის ბოლოები მაგრდებოდა (ტაბ. XIV, 10). მსგავსი ტიპის ლაგმებია ცნობილი კოლხური კულტურის გავრცელების ბევრ სხვა რაიონშიც. საყბეურებს უმთავრესად ყობანიდან ვიცნობთ. ისინი თითო ან ორ-ორ ნახვრეტს შეიცავენ და ზოგი მათგანი მთავრდება ცხოველთა თავის გამოსახულებებით. იმავე სამაროვანზეა აღმოჩენილი ცხენის ქანდაკებები. ბრილის ერთ სამარხში, რომელიც ჩვენთვის საინტერესო კულტურის ადრეულ

საფეხურს ეკუთვნის, იყო ცხენის ქანდაკება, ჯერ კიდევ გაუწაფავი ხელით ნაკეთები.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ცხენს ამ დროს იყენებდნენ არა მარტო საჯდომ, არამედ შესაბმელ ცხოველადაც, ამავე მიზნისთვის იყო განკუთვნილი ხარიც. შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთისა და სევანის ტბის არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით ჩვენ უკვე ვიცით, რომ ხარებსა და ცხენებს ურემში აბამდნენ. II ათასწლეულის დასასრულისა და I ათასწლეულის დასაწყისის ნაცარგორული ძეგლებიც (ხარის ქანდაკებანი, ურმის თვლის მოდელები) ამასვე უნდა მიუთითებდეს. დაახლოებით იმავე დროისაა ჩვენს მიერ ზემოხსენებული, ხარის თავებით დამშვენებული ქინძისთავები თლიდან, ხარის ქანდაკებანი ყობანიდან და ჩრდილო ოსეთის სხვა სამაროვნებიდან. არქეოლოგიური მასალა ჯერჯერობით არ იძლევა იმის დამტკიცების საშუალებას, რომ ხარს კავკასიონშიც აბამდნენ, მაგრამ ეს მოვლენა სავარაუდებელია. კოლხური კულტურის გავრცელების დაბლობ რაიონებში მიწათმოქმედების დაწინაურების ისეთი სურათი ჩანს, რომ მეურნეობის ამ დარგში ხარის მონაწილეობა სრულიად შესაძლებელია. ანაკლიასთან (დიხა-გუძუბა) აღმოჩენილია ამ დროის ხორბალი დიდი რაოდენობით. ზემოთ უკვე ვახსენეთ ამავე ხანის ნამგლები და თოხები. საფიქრებელია, რომ ბარში მაშინ ხმარობდნენ კავსაც, ურომლისოდაც ძნელად თუ აიხსნება მიწათმოქმედების განვითარების ისეთი დონე, რომელსაც არქეოლოგიური ძეგლები გვაუწყებს. ცხადია, მიწათმოქმედებას მთიელი ტომებიც მისდევდნენ, მაგრამ მათ მეურნეობაში მას არ ჰქონია წამყვანი როლი.

მეურნეობის მესამე დაწინაურებულ დარგს წარმოადგენდა მეტალურგია და ხელოსნობა. ხელოსნობის კერების მჭიდრო კავშირი სამთამადნო წარმოების კერებთან, რაც შუაბრინჯაოს ხანამდე შეინიშნებოდა, ამ დროს უმეტესწილად დარღვეულა. შესაძლებელია ასევე დაშორდა ერთმანეთს სამთამადნო წარმოებისა და მეტალურგიის კერებიც. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ ვიცით, თუ სად ხდებოდა ამ დროს მადნის დაწურვა—საბადოებთან თუ მათგან მოშორებით. ე. წ. მდნობელთა განძების მიხედვით, რომლებიც ხშირად ჩნდება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და შეიცავს როგორც სპილენძის ზოდებს, ისე მთელსა და დამტვრეულ ნივთებს, ცხადია, რომ სახელოსნო ცენტრები ყოველთვის არ ემთხვევა მადნის დაწურვის კერებს. რადგან სატრანსპორტო საშუალებანიც გაუმჯობესდა და ლითონის დამუშავების ცოდნაც ფართოდ გავრცელდა, დაიწყო ლითონის ზოდების შორს გატანა და სხვადასხვა პუნქტში ჩამოსხმა-გამოჭედვა. ამიტომ, თუმცა ზოგადად ერთნაირი დარჩა მთელი ამ დროის კოლხური კულტურა, მაგრამ ცალკეულმა სახელოსნოებმა იწყეს ისეთი ნივთების კეთებაც, რომლებიც აკმაყოფილებდნენ უპირატესად განსაზღვრული რაიონის მოსახლეობის გემოვნებასა და სამეურნეო საჭიროებას. ამგვარად ყალიბდებოდა ლოკალური კულტურები ერთი მთლიანი კოლხური კულტურის შიგნით.

ქვემოთ ჩვენ დავახასიათებთ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დამოწმებულ კოლხური კულტურის ძეგლებს და ამ კულტურის ლოკალურ ვარიანტებს.

როგორც ადრეც აღინიშნა, სადღეისოდ არსებული მასალების მიხედვით შესაძლებელი ხდება კოლხური კულტურის მხოლოდ ზოგადი დახასიათება, ძირითადად მატერიალური ნაშთების წამყვანი ფორმების ტიპოლოგიური ანალიზის გზით. ამ პერიოდის კოლხურ კულტურაში გამოირჩევა რამდენიმე რაიონი, რომელიც ერთგვარად თავისებურ, სპეციფიკურ სახეს ატარებს. კულტურის ლოკალური ვარიანტები ყველაზე უკეთ მოწმდება აფხაზეთში, რაჭა-ლეჩხუმში და ჭოროხის აუზში. თითოეულ მათგანს უნდა ჰქონოდა საკუთარი საწარმოო ცენტრი ანუ კერა; უნდა არსებულიყო აგრეთვე უფრო წვრილი მეტალურგიული კერებიც, რომლებიც ალბათ გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებოდა.

დასავლეთ საქართველოს მხარეებიდან არქეოლოგიურად შედარებით უკეთ შესწავლილია აფხაზეთი. აქ ადრიდანვე დიდი რაოდენობით დაგროვდა შემთხვევითი აღმოჩენების შედეგად მოპოვებული მასალები. სწორედ აფხაზეთიდან მომდინარე მასალის შესწავლის შედეგად გახდა შესაძლებელი პირველად იმის დადგენა, რომ დასავლეთ საქართველოში გამოჩენილი ბრინჯაოს ნივთები ახლო ანალოგიას პოულობენ ყობანის კულტურასთან. შემდეგ ხანებში სულ უფრო და უფრო გამრავლდა შემთხვევითი აღმოჩენების რიცხვი ამ რაიონიდან. შესწავლილი იყო აგრეთვე ამ პერიოდის რამდენიმე სამაროვანი. მათგან პირველ რიგში აღსანიშნავია ეშერისა და კულანურხვას სამაროვნები. გაირკვა, რომ გვიანბრინჯაოს ხანაში აქ გავრცელებული ყოფილა ძირითადად დასაფლავების ორი წესი: მოზრდილ თიხის ჭურჭელში და ორმოსამარხებში დასაფლავება.

ქვემო ეშერში 1930 წ. შემთხვევით იპოვეს სამი მოზრდილი თიხის ჭურჭელი, რომლებშიაც მიცვალებულის ძვლებთან ერთად აღმოჩნდა სხვადასხვა ნივთები. ერთერთ მათგანში ორი მიცვალებული ყოფილა ჩასვენებული, დანარჩენ ორში თითო-თითო. ნივთები ნაპოვნი იყო პირველ ორში, მესამეში კი მხოლოდ მიცვალებულის ძვლები ეწყო. სამარხეული ინვენტარი შედგებოდა ბრინჯაოს იარაღისა და სამკაულებისაგან. გარდა ამისა აღმოჩნდა სერდოლიკის მსხვილი მძივები. იარაღიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია კოლხური ცული ბრინჯაოს სახელურით, სხვადასხვა ფორმის სატევრის და შუბის პირები, დიდი რაოდენობით ბრინჯაოს სამკაული: სამაჯურები, საწვივე რგოლები, სარტყელი, მძივები, კონუსისებრი სამკაული, კალის ხატისუღელი და სხვ.

1934 წ. ამავე სამაროვანზე ჩატარებული გათხრების დროს აღმოჩნდა მოზრდილი თიხის ურნა. ურნა ჩადგმული იყო ყირამალა, ქვის ფილაზე. შიგ ესვენა ერთი მიცვალებული. აღსანიშნავია, რომ ჩონჩხის ძვლებს ნაწილი აკლდა. ურნაში ნაპოვნია ბრინჯაოს კოლხური ცული, სატევარი, ორი ბრინჯაოს და ერთი რკინის შუბის პირი, ბრინჯაოს წვრილი მძივები, კალის ხატისუღლის ნატეხები და რკინის ღერო.

მიუხედავად იმისა, რომ თიხის ურნა საკმაოდ დიდი ზომისა იყო (0,80; 1,0 მ), მიცვალებულის მოთავსება შიგ მაინც საკმაოდ ძნელი იქნებოდა. უფრო საფიქრებელია, რომ მეორედ დასაფლავებასთან გვქონდეს საქმე. შესაძლოა ურნაში ძირითადად მხოლოდ მიცვალებულის ძვლებს ათავსებდნენ. ამას ისიც მოწმობს, რომ ჩონჩხს გარკვეული ნაწილი აკლდა.

გარდა ეშერისა, დასაფლავების ამგვარივე წესი ჩანს აგრეთვე სოფ. პრიმორსკოეში. აქ სრულიად შემთხვევით აღმოჩენილი იყო ბრინჯაოს ნივთები. მიცვალებული აქაც მოზრდილ ჭურჭელში ყოფილა მოთავსებული. ეს ჭურჭელი თითქმის საკუთარი ისეთივეა, როგორიც ეშერის ურნები. მიცვალებულთან აღმოჩნდა ბრინჯაოს ნივთები: ორი მთელი და ორიც ნაკლული კოლხური ცული, სატეკრის პირი, სამი შუბის პირი, ბრინჯაოს ხატისუღელი, რკალისებრი ფიბულა, მოზრდილი მამალი დუგმა, ჩაფხუტის ფრაგმენტები და სხვ.

ამრიგად, ჩანს, გვიანბრინჯაოს ხანაში დასავლეთ საქართველოს ჩრდილოდასავლეთ ნაწილში გავრცელებული ყოფილა დაკრძალვის თავისებური წესი: მიცვალებულის დასაფლავება მოზრდილ თიხის ჭურჭლებში. დასაფლავების ეს წესი ამ პერიოდის საქართველოში დამოწმებული არ არის. უნდა აღინიშნოს, რომ თიხის ჭურჭელში დაკრძალვის წესი ძველ აღმოსავლეთში უკვე საკმაოდ ადრინდელი ხანიდანაა ცნობილი. ჩვენში კი ეს წესი ვრცელდება მხოლოდ დასავლეთ საქართველოში გვიანი ბრინჯაოს ხანიდან. ამ პერიოდში იგი მტკიცედ ვერ იკიდებს ფეხს. სამაგიეროდ, პირველი ათასწლეულის შუა ხანებიდან, მიცვალებულის თიხის ჭურჭელში დასაფლავების წესი დასავლეთ საქართველოში უკვე საკმაოდ ვრცელდება (დაბლაგომი, ფარცხანაყანევი და სხვ.), ხოლო ათასწლეულის მიწურულისათვის თითქოს ისპობა. სამაგიეროდ მას ვხვდებით აღმოსავლეთ საქართველოში (ქვევრსამარხები).

ზემოაღნიშნულ წესთან ერთად გვიანბრინჯაოს ხანაში აფხაზეთში გავრცელებული იყო აგრეთვე მიცვალებულის ორმოსამარხებში დაკრძალვის წესიც. ორმოსამარხი უნდა იყოს 1929 წ. სოფ. მუგუძირხვაში (ადგილი ააგსტა) შემთხვევით აღმოჩენილი სამარე. ეს ადგილი ინახულა ა. ლუკინმა და მცირე გათხრებიც ჩაატარა. მისი აზრით, მიცვალებული ამ სამარხში დასაფლავებული ყოფილა მოკუნტული, მარჯვენა გვერდზე მწოლარე. იქ აღმოჩენილი საწვივე რგოლების მიხედვით ა. ლუკინი ასკვნის, რომ სამარხი ბავშვისა უნდა იყოს, მაგრამ ეს მოსაზრება სამარხეული ინვენტარის მიხედვით არ მტკიცდება; სამარხი უთუოდ მოზრდილ ინდივიდს ეკუთვნოდა. სამარხში ნაპოვნი იყო სამი კოლხური ცული, ბრინჯაოს ძლიერ დაზიანებული ბალთა, კონუსისებრი სამკაულები, ცხოველის ქანდაკებები, საკანჭურები, რგოლები, ბრინჯაოს და სერდოლიკის მძივები და სხვ.

1949 წ. სოფ. ყულანურხვაში არქეოლოგმა მ. თრაპშმა აღმოაჩინა და შეისწავლა ხუთი სამარხი; მათგან ერთი სამარხი ცხენისა იყო. შესწავლილი სამარხებიდან სამი ბრინჯაოს ხანას ეკუთვნის, დანარჩენი ორი კი მომდევნო პერიოდს. ორმოსამარხებში ჩვეულებრივ თითო მიცვალებულს ასვენებდნენ, გაშოტილად, ზურგზე მწოლარეს, თავით სამხრეთ-დასავლეთით, ზღვისკენ. ამ სამარხებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია პირველი, რომელშიაც მეტად მდიდარი ინვენტარი აღმოჩნდა: ხუთი კოლხური ცული (აქედან ერთს ეშერის ცულის მსგავსად, ბრინჯაოს სახელური აქვს; საინტერესოა აგრეთვე ცული, რომელსაც ყუაზე ცხოველი აზის), სამი სამაჯური, სარტყელი, მრავალი სხვადასხვა ფორმის საკიდი, მძივები სერდოლიკის, მინისა, აგრეთვე პასტის და სხვ.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ეშერის ერთერთი დოლმენის ზედა ფენაში აღმოჩენილ იქნა გვიანბრინჯაოს ხანის კოლექტიური სამარხი. სამარხში

დაახლოებით 10-მდე მიცვალებული უნდა ყოფილიყო. დასაფლავების წესის დადგენა თითქმის სრულიად შეუძლებელი გახდა. მიცვალებულის ძვლები ყოველგვარი წესრიგის გარეშე ეყარა. ძვლებიდან ძირითადად გამოირჩეოდა თავის ქალები და კიდურების ძვლები. სამარხში ჩატანებული იყო ბრინჯაოს შუბის პირი, ორი სარტყელი, ბრინჯაოს ბიკონუსური ფორმის მძივების ასხმულა, სასაფეთქლე რგოლები.

კიდევ უფრო მეტია აფხაზეთის ტერიტორიიდან ამ პერიოდის შემთხვევითი აღმოჩენები. ამათგან აღსანიშნავია ახალი ათონის კოლექცია, რომელიც შედგება ბრინჯაოს ორი ნაკლული ცულის, შუბის და ხელშუბის პირების, სამაჯურების, მამალი დუგმის, რკალისებრი ფიბულისა და სხვ. ნივთებისაგან. შემთხვევით მონაპოვრებს მიეკუთვნება გუდაუთაში აღმოჩენილი ბრინჯაოს-ტარიანი ერთი კოლხური ცული. ამ ცულს ყუაზე ცხოველის (ცხენის) სამი ქანდაკება აზის. მეტად საყურადღებო აღმოჩენებს ადგილი ჰქონდა აბგარხუკში, აქანდარაში, ეშერში, შიგ სოხუმში და სხვ.

განძი სოფ. ლეჩქოფიდან შედგება თხუთმეტამდე კოლხური ცულისაგან. სოხუმის მთის განძში 13 კოლხური ცულის გარდა აღმოჩნდა ერთი სეგმენტისებრი იარაღი, ორი უცნობი დანიშნულების რაღაც ნივთი და სამი სპილენძის ზოდი; ცნობილია აგრეთვე ლაბრის განძი, ჭუბურხინჯის განძი და სხვ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბიჭვინთის განძი. ამ განძში ერთი კოლხური ცულია, ერთი იმ ტიპის ცული, რომელსაც კოლხური ცულის პროტოტიპად მიიჩნევენ, და სამიც — ყუბანისპირეთის კულტურისათვის დამახასიათებელი ცული.

აფხაზეთში მოპოვებული გვიანბრინჯაოს ხანის მასალების შესწავლის შედეგად ჩანს, რომ აქ ამ პერიოდში კოლხური კულტურის თავისებური, ლოკალური ვარიანტი არსებობდა. კოლხური კულტურის საერთო დამახასიათებელ ნიშნებთან ერთად გამოირჩევა აგრეთვე მთელი რიგი სპეციფიკური ფორმებისა როგორც იარაღში, ასევე, უპირატესად, სამკაულში. აღსანიშნავია, რომ აქ დღემდე თითქმის უცნობია კოლხური კულტურის ზოგიერთი წამყვანი ტიპი.

აფხაზეთში გვიანბრინჯაოს ხანაში ფართო გავრცელებას პოულობს კოლხური ცულის ძირითადად I და II ტიპი. III ტიპის კოლხური ცული სადღეისოდ აქ სრულიად უცნობია; მხოლოდ აფხაზეთში გვხვდება ბრინჯაოს ტარიანი კოლხური ცულები. კოლხური კულტურის წამყვანი ტიპებიდან გვხვდება აგრეთვე სეგმენტისებრი იარაღი. აქ ძირითადად გავრცელებული იყო ამ იარაღის შედარებით მოზრდილი ვარიანტი, რომელიც, როგორც ფიქრობენ, ბარის ფუნქციის მატარებელი უნდა ყოფილიყო. ჩანს, აფხაზეთში ამ ტიპის იარაღმა საკმაოდ გვიანობამდე შემოინახა თავი. რამდენიმე ამგვარი იარაღი აღმოჩნდა უფრო მოგვიანო ხანის განძში ჭუბურხინჯში და I ათასწლეულის შუა ხანების სამარხში.

იარაღიდან განსაკუთრებით საინტერესოა აფხაზეთის გვიანბრინჯაოს ხანის კომპლექსებში აღმოჩენილი შუბის პირები. აქ რამდენიმე ვარიანტის შუბის პირი იყო გავრცელებული. ზოგი ტიპი გავრცელებულია საერთოდ კოლხურ კულტურაში, ზოგიც ამ კულტურის აფხაზური ვარიანტისთვის ჩანს და-

1

2



3

4

5

6

7



8

9



10

მახასიათებელი. პირველთაგან საყურადღებოა სოფ. პრიმორსკოეში აღმოჩენილი ერთი შუბის პირი, რომელზედაც სავსებით ისეთივე ორნამენტია გამოყვანილი, როგორიც ნაოხვამუს ბორცვზე აღმოჩენილ შუბის პირზე. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ეშერის ერთერთი შუბის პირის მასრაზე მოცემული კომპოზიცია, ნახატი თითქმის არ განსხვავდება სოფ. ჯეგემში (სამხრეთ ოსეთში) ნაპოვნი შუბის პირის ორნამენტაციისაგან.

ამ ტიპის შუბის პირებთან ერთად აფხაზეთში ცნობილია მისი რამდენადმე თავისებური ვარიანტიც. მათ შედარებით მოკლე, ფოთლისებრი პირი აქვთ, მჯრა გახსნილია, ვიწრო და გრძელი. ისინი ცნობილია ეშერის სამაროვნიდან, პრიმორსკოედან, ეშერის ერთერთი დოლმენიდან და სხვ. ამგვარი შუბის პირები სადღეისოდ აფხაზეთის გარეთ თითქმის სრულიად უცნობია და ჩანს, დამახასიათებელი უნდა იყოს კოლხური, კულტურის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილისათვის, როგორც მისი ლოკალური ვარიანტისათვის.

რაც შეეხება აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ამ პერიოდის სატევრის პირებს, მათშიც რამდენიმე ვარიანტი ჩანს, მაგრამ ყველა ისინი დამახასიათებელია საერთოდ კოლხური კულტურისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ კოლხური კულტურის გავრცელების უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში სრულიად უცნობია ამ კულტურის ზოგიერთი წამყვანი ტიპი: თოხი, წალდი, ბრტყელი ცული და სხვ. როგორც ჩანს, აქ ამ იარაღებმა სათანადო გავრცელება ვერ პოვეს. რითი უნდა იყოს გამოწვეული ეს გარემოება ჯერჯერობით ძნელი სათქმელია. ამის ერთერთ მიზეზს შეიძლება მეურნეობის ხასიათის ერთგვარი თავისებურება შეადგენდა. შესაძლოა, ამ რაიონში მეურნეობის ძირითადი დარგი ჯერ კიდევ მესაქონლეობა იყო. ამის საბუთად ეგეგ ისიც გამოდგეს, რომ შედარებით ხშირად გვხვდება ცხოველების გამოსახულებები და ზოგჯერ უპირატესად ისეთ ნივთებზე, რომლებიც დამახასიათებელია საკუთრივ კოლხური კულტურის აფხაზური ვარიანტისათვის (მაგალითად, კონუსისებრი სამკაული). საფიქრებელია, ეს იყო სწორედ ერთერთი მიზეზი იმისა, რომ აქ სათანადო გავრცელება ვერ ჰპოვა კოლხური კულტურის ისეთმა სამიწათმოქმედო იარაღებმა, როგორიც იყო თოხი, წალდი, ნამგალი და სხვ.

მეტი თავისებურება ჩანს სამკაულში. აფხაზური მოზრდილი ზომის ბიკონუსური მძივების ტიპის მძივები გვხვდება უფრო ადრინდელ დოლმენებშიც. რამდენადმე უახლოვდება მათ ბორჯომის მუზეუმში დაცული ბიკონუსური მძივები.

თავისებურია აგრეთვე აფხაზეთის გვიანბრინჯაოს ხანის სამარხებში აღმოჩენილი ბრინჯაოს ვიწრო სარტყლები ბალთებზე გამოსახული ცხოველის თავებით. იგივე ითქმის კარგად ცნობილ კონუსისებურ სამკაულებზე. აღსანიშნავია, რომ ეშერში აღმოჩენილ ამგვარ სამკაულებზე სავსებით ისეთივე ცხოველები არიან გამოსახული, როგორიც სარტყლის ბალთებზეა. განსხვავებული ტიპისაა ფუყე საწვივე რგოლებიც, რომლის მსგავსი სრულიად უცნობია სხვაგან.

შეიძლებოდა კიდევ ზოგიერთი სხვა ფორმების ჩამოთვლა, რომლებიც, როგორც ჩანს, კოლხური კულტურის აფხაზური ვარიანტისათვის იყო დამახასიათებელი, მაგრამ ზემოთ თქმულიდანაც კარგად ჩანს ამ რაიონის თავისებური სახე.

უკანასკნელ ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომ კოლხური კულტურის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი უნდა ყოფილიყო სოჭასა და ბზიფს შორის. აქ

ეს კულტურა ესაზღვრებოდა ყუბანისპირეთის კულტურას. აფხაზეთში სადღეისოდ რამდენიმე ადგილას არის ცნობილი ყუბანისპირეთის კულტურისათვის დამახასიათებელი ფორმები: რამდენიმე ცული ბიჭვინტის განძში, გუდაუთიდან ერთი ცული და სხვ.

ამრიგად, გვიანბრინჯაოს ხანაში დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში უნდა არსებულიყო კოლხური კულტურის მეტად თავისებური, ლოკალური ვარიანტი. ამ ვარიანტს კოლხურ კულტურასთან მთელი რიგი საერთო ნიშნები აახლოებს, მაგრამ ამავე დროს იგი უთუოდ მეტად განსხვავებული ხასიათისაა. ეს გარემოება შესაძლოა გამოწვეული იყო ძირითადად მეურნეობრივი ხასიათის თავისებურებით. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში კულტურის ამა თუ იმ ვარიანტის თავისებურებაზე გავლენას ახდენდა ბუნებრივი პირობები; გეოგრაფიული პირობების სხვადასხვაობა (ბარი, მთის ძირი, მთა და სხვ.) უთუოდ იწვევდა გარკვეულ სხვაობას კულტურის შიგნითაც. სწორედ ეს უნდა იყოს ერთერთი მიზეზი იმისა, რომ გვიანი ბრინჯაოს დასავლურ-ქართულ კულტურაში შესაძლებელი ხდება რამდენიმე შედარებით მსხვილი და უფრო წვრილი ლოკალური რაიონების გამორჩევა.

ამ პერიოდში აქ უკვე თავს იჩენს რკინის პირველი ნივთები. ეშერის სამაროვნის ერთერთ სამარხში იპოვნეს რკინის შუბის პირი და კიდევ რაღაც პატარა რკინის ნივთი. მაგრამ, ჩანს, რკინა ჯერ კიდევ ფეხმოკიდებული არ ყოფილა.

დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონების ასეთი სრული დახასიათება სათანადო მასალების უქონლობის გამო თითქმის შეუძლებელია. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მთელი მასალა, რომელიც სადღეისოდაა ცნობილი, თითქმის მხოლოდ შემთხვევითი აღმოჩენების შედეგადაა დაგროვილი. ამიტომაც, გარკვევით ლაპარაკი კოლხური კულტურის სხვა რომელიმე ლოკალური ვარიანტის შესახებ ჯერჯერობით მეტად ჭირს. ამ კულტურის ზოგადი დახასიათება ძირითადად წამყვანი ტიპების ტიპოლოგიური ანალიზის გზით ხერხდება.

დასავლეთ საქართველოში გვიანბრინჯაოს ხანის განძები მეტად დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი. როგორც არქეოლოგიური მასალებიდან ჩანს, განძები აქ უპირატესად გვხვდება ბარისა და მთისძირა რაიონებში, განსაკუთრებით სამხრეთ-დასავლეთისაკენ. ისინი თითქმის ყველა შემთხვევითაა აღმოჩენილი, ზოგჯერ უშუალოდ მიწაში ჩაფლული, ზოგჯერ კი ციხისა თუ ლითონის ჭურჭელში მოთავსებული. ჩვეულებრივად ორი ტიპის განძს არჩევენ. ერთი რომელიც შედგება უმთავრესად უკვე ხმარებიდან გამოსული ნივთებისაგან, ზოდებისაგან და სხვ., მეორე კი უმთავრესად ჯერ კიდევ უხმარ, ახალ ნივთებს შეიცავს. ჩვენში ძირითადად პირველი რიგის განძები გვხვდება. ესენი, როგორც ჩანს, ლითონის ხელახალი გადადნობისათვის იყო განკუთვნილი. ამიტომაც მათ „მდნობელთა" განძებს უწოდებენ. ამათგან აღსანიშნავია ციხისძირის, ზენითის, გოგოლეისუბნის, ოფშკვითის, სიმონეთის და მრავალი სხვა განძი. მეორე ტიპის განძები შედარებით ნაკლებად გვხვდება. ამ განძებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ლეჩხუმში, სოფ. ოყურეშის ზემოთ, ლაჯობის ძირზე აღმოჩენილი განძი. ნივთები მოთავსებული ყოფილა ბრინჯაოს ჭურჭელში. იგი შედგებოდა სხვადასხვა ტიპის კოლხური ცულებისაგან, ბრტყელი ცულის, ცულ-ნამგლის, სამაჯურების, ხატისულლისა და რგოლებისაგან (სულ 32 ნივთია). ჩანს, რომ თითქმის ყველა

ნივთი, ჯერ კიდევ სრულიად უხმარი მოხვედრილა განძში. შესაძლოა ეს განძი ეკუთვნოდა ლითონის ნივთებით მოვაჭრეს, რომელმაც რაღაც მიზეზის გამო იგი მიწაში დამალა. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, საქართველოს ტერიტორია იმთავითვე საომარ ასპარეზს წარმოადგენდა და ამიტომაც ხელოსნები თუ ლითონით მოვაჭრენი იძულებული იყვნენ თავისი ნივთები საგანგებოდ მიწაში ჩაეფლათ. ასეა თუ ისე, ახლა ძნელი სათქმელია, მაგრამ ეს განძები იმას უნდა მოწმობდეს, რომ აქ ამ პერიოდში საკმაოდ მაღალგანვითარებული მეტალურგიული წარმოება ყოფილა.

კოლხური კულტურის ერთერთი ყველაზე უფრო ძლიერი, წამყვანი მეტალურგიული ცენტრი დღევანდელი ჭოროხის აუზი უნდა ყოფილიყო. ეს რაიონი დღესაც მდიდარია სპილენძის საბადოებით, რომლებიც, როგორც ჩანს, უკვე ძველიდანვე საკმაოდ ცნობილი იყო. სამწუხაროდ, ეს რაიონი ამ თვალსაზრისით შესწავლილი არ არის და ძველი წარმოების ნაშთების შესახებ გარკვევით რაიმეს თქმა ძნელია. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ძანსულში, სადაც ცნობილია ძველი სამთო წარმოების ნაშთები, უპოვნიათ ქვის ურიები და კიდევ რაღაც სხვა ნივთები. ქვე, მიწის სამუშაოების დროს, აღმოუჩენიათ ერთი კოლხური ცული, ოღონდ მაინც ძნელია მათი უშუალოდ დაკავშირება ძველი წარმოების ნაშთებთან. მაგრამ თუ ზემოთ თქმულს დავუმატებთ იმასაც, რომ ამ მიდამოებში მეტად მრავლადაა ცნობილი გვიანი ბრინჯაოს ხანის განძები, მაშინ უფრო დამაჯერებელი იქნება ვიფიქროთ, რომ ეს რაიონი იმთავითვე წარმოადგენდა კოლხური კულტურის ერთერთ ძლიერ მეტალურგიულ კერას.

საყურადღებოა ჭოროხის აუზში დიდი რაოდენობით ნაპოვნი განძები. ისინი უმთავრესად „მდნობელთა განძების" რიგისაა (ციხისძირის განძი, ჩაქვის განძი, ართვინის განძი, ზენითის განძი და სხვ.) და უპირატესად შედგება თოხების, სეგმენტისებრი იარაღის, ცულებისა და ზოდებისაგან. განსაკუთრებით ბევრია თოხები. დასავლეთ საქართველოს სხვა ადგილებში აღმოჩენილი განძები კი ჩვეულებრივად სხვა ნივთებთან ერთად თითო-ოროლა თოხს შეიცავს ხოლმე. ცნობილია აგრეთვე ცალკეული აღმოჩენები კოლხური ცულებისა, თოხებისა, სეგმენტისებრი იარაღისა, წალდებისა და სხვ.

სოფ. ხუცუბნის გვიანი ბრინჯაოს და ადრეული რკინის ხანის სამარხებში მოპოვებულია სამი კოლხური ცული, სეგმენტისებრი იარაღი, ორნამენტიანი სარტყლის ფრაგმენტები, ხატისუღელი, სერდოლიკის მძივები და სხვ.

ჭოროხის აუზში კარგადაა ცნობილი კოლხური ცულები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კოლხური კულტურის გავრცელების სამხრეთ ნაწილში უმთავრესად გვხვდება I ტიპის კოლხური ცულები. მხოლოდ ორგზაა ცნობილი II ტიპის ცულები, სახელდობრ, ურეკიდან და ხეკის განძიდან. სოფ. ზენითში და ქობულეთში აღმოჩენილი ცულები, ერთი მხრივ, ჯერ კიდევ ახლო დგანან კოლხური ცულის პროტოტიპთან, მაგრამ, მეორე მხრივ, მათ ახასიათებთ კოლხური ცულის მთელი რიგი ნიშნები.

რაც შეეხება თოხებს, ისინი საერთოდ ფართოდ იყო გავრცელებული კოლხურ კულტურაში, მაგრამ, ჩანს, რომ ყველგან ერთნაირად არ დამკვიდრებულა. დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ეს იარაღი შედარებით ნაკლებად გვხვდება, აფხაზეთში კი დღემდე სრულიად უცნობია. ოთხი ყველა-

ზე მეტად გავრცელებული იყო კოლხეთის სამხრეთ ნაწილში, განსაკუთრებით ჭოროხის აუზში. ამიტომაც, საფიქრებელია, რომ თოხი ძირითადად ჭოროხის მეტალურგიული ცენტრიდან გამოსული ნაწარმია, რომელიც შესაძლოა უპირატესად აქედან ვრცელდებოდა სხვა რაიონებში.

ბრინჯაოს თოხი ჩვენში ცნობილი უნდა ყოფილიყო უფრო ადრინდელი პერიოდიდან. ყველაზე ადრეული ლითონის თოხები ჯერჯერობით აღმოჩენილია ურეკის განძში, რომელიც შუაბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება. მაგრამ ურეკის განძის თოხები უკვე იმდენად ჩამოყალიბებული ტიპისაა, რომ გვაფიქრებინებს ჩვენში უფრო ადრეული ლითონის თოხის არსებობას. ურეკის განძის თოხები გენეტიკურ კავშირშია გვიანბრინჯაოს ხანის კოლხურ თოხებთან.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის არც ერთ სხვა კულტურაში არ არის ცნობილი ასეთი დიდი რაოდენობის თოხები, როგორც კოლხურში. საქართველოს გარდა ამ ტიპის თოხი ჯერჯერობით სრულიად უცნობია. უეჭველია, რომ იარაღის ეს ტიპი დასავლურ-ქართული კულტურის ნიადაგზეა შექმნილი. ბრინჯაოს თოხი გარკვეულ კავშირშია მომდევნო ხანაში საქართველოში გავრცელებულ რკინის თოხებთან და გარკვეულ მსგავსებას იჩენს საქართველოს დღევანდელ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში გავრცელებულ თოხთან, განსაკუთრებით, ე. წ. იმერულ თოხთან.

როგორც ჩანს, ბრინჯაოს თოხს გვიანბრინჯაოს ხანის მიწათმოქმედებაში ფართო გამოყენება უნდა ჰქონოდა დასავლეთ საქართველოში. მიწის მოხვნა ყოველთვის სახვნელით ვერ ხერხდება, უპირატესად, დასამუშავებელი ადგილისა და ნიადაგის თავისებურების გამო. ცხადია, რომ ყოველი ნიადაგი თავისებურ დამუშავებას მოითხოვს. წერილობით წყაროებში დაცულია ცნობა იმის შესახებ, რომ ჩვენში მიწის დამუშავება მარტო სახვნელით კი არ წარმოებდა, არამედ თოხითაც. აღსანიშნავია, რომ საქართველოს თანამედროვე ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც თოხი ზოგჯერ სახვნელის როლს ასრულებს. რა თქმა უნდა, თოხის ფუნქცია მხოლოდ საყანე მიწის დახვნით არ ამოიწურება. ხშირად თოხს დახნული მიწის ბელტების დასაფშვნელად და უკვე დათესილის გასამარგლავად იყენებენ. გარდა ამისა თოხს დიდი გამოყენება უნდა ჰქონოდა აგრეთვე საბოსტნე და საბაღე მეურნეობაში. კოლხური ბრინჯაოს თოხები ნაირი ზომისა და მოყვანილობისაა. საფიქრებელია, რომ თოხის ზომა და მოყვანილობა სამეურნეო დანიშნულებით განისაზღვრება. შესაძლოა უფრო მოზრდილებს მიწის სახნავად იყენებდნენ, მომცრო ზომისას კი სამარგლავად ან საბაღე მეურნეობაში.

კოლხური კულტურის გავრცელების სამხრეთ რაიონებში მიწათმოქმედების განვითარებას, გარდა თოხისა მოწმობს აგრეთვე აქ გავრცელებული სხვა სამიწათმოქმედო იარაღები. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ბრინჯაოს წალდი. სადღეისოდ არსებული მასალებიდან ჩანს, რომ ეს იარაღი გვიანბრინჯაოს ხანაში გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოს ბარში, უპირატესად მის სამხრეთ ნაწილში. ყველაზე მეტად ცნობილია წალდი გურია-აჭარიდან. ერთი წალდი აღმოჩნდა ორდუს განძში, ასე რომ, მისი გავრცელების სამხრეთი საზღვარი საკმაოდ შორს მიდის, ჩრდილოეთი საზღვარი კი არ სცდება სოფ. ზემო სიმონეთს, რომლის განძშიც იპოვეს ამ იარაღის ერთი ეგზემპლარი. ამიტო-

მაც შესაძლოა ბრინჯაოს წალდი, თოხის მსგავსად, ძირითადად ჭოროხის მეტალურგიული ცენტრისათვის ყოფილიყო დამახასიათებელი. ამ იარაღის გავრცელება აქ, ალბათ ძირითადად რაიონის თავისებურებით იყო გამოწვეული. კოლხეთის ეს რაიონი ხშირი ტყეებით იყო დაფარული და წალდს ტყისა და ბუჩქების მოსაკაფავად იყენებდნენ. წალდი ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მდიდრადაა წარმოდგენილი უპირატესად დასავლეთ საქართველოდან. იგი ძირითადად იხმარება ტყის, ჩირგვების, ბარდების და სხვ. საწალდავად. უთუოდ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თანამედროვე ყოფაში გავრცელებული წალდი თავისი ფორმით გარკვეულ მსგავსებას იჩენს ძველ ბრინჯაოს წალდებთან. ბრინჯაოს წალდი, კოლხური კულტურის ერთერთი დამახასიათებელი იარაღია, რომელიც ქართულმა კულტურამ დღევანდლამდე მოიტანა.

მეტად დამახასიათებელია კოლხური კულტურის ამ რაიონისათვის ე. წ. სეგმენტისებრი იარაღი, რომელიც, თოხის მსგავსად, ფართოდაა გავრცელებული გვიანბრინჯაოს ხანის დასავლურ-ქართულ კულტურაში და, ჩანს, ამ კულტურის ერთერთი წამყვანი ტიპი ყოფილა. ეს იარაღიც უპირატესად გაძძებში გვხვდება, განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა გავრცელებული იგი დასავლეთ საქართველოს ბარის რაიონებში: ჭოროხის აუზში, რიონის შუა და ქვედა წელის რაიონში და ენგურის ქვედა წელის აუზში. მაშასადამე, სეგმენტისებური იარაღი უფრო დამახასიათებელი ყოფილა კოლხური კულტურის სამხრეთი რაიონებისათვის. მისი გავრცელების საზღვარი საკმაოდ შორს მიდის, გვხვდება ართვინის განძში და აღმოსავლეთ ანატოლიაში სოფ. სასაწყალში. უფრო ჩრდილო რაიონებში იგი შედარებით იშვიათია. უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით მხოლოდ აფხაზეთშია დადასტურებული ამ იარაღის სამარხში აღმოჩენის შემთხვევა.

სეგმენტისებრი იარაღი ნაირი ზომისა და მოყვანილობისაა. ზოგი შედარებით მოზრდილია და პირფართო, ზოგი უფრო მომცრო ზომისაა, ვიწრო და გრძელპირიანი. ამ იარაღის დანიშნულების შესახებ დღემდე ერთი გარკვეული აზრი არ არსებობს. მკვლევართა ნაწილი მათ მიწის დასამუშავებელ იარაღად — თოხად მიიჩნევს, ნაწილი წყვილ ცულად თვლის, ზოგიც ბარს ან ტყავის საჭრელ დანასაც უწოდებს. ფიქრობენ აგრეთვე, რომ ეს იარაღი „ფულის“ (მონეტის) როლს ასრულებდა, ანდა მას იყენებდნენ სხვა ნივთთა ჩამოსასხმელ ზოდად. სადღეისოდ ჯერ კიდევ ძნელია რაიმეს თქმა ამ იარაღის დანიშნულების შესახებ. თანამედროვე ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ამ ტიპის იარაღი სრულიად უცნობია. შესაძლოა სეგმენტისებრი იარაღის მოზრდილი ვარიანტი მართლაც ასრულებდა ბარის ფუნქციას. ამ მიზნისათვის იგი სავსებით გამოსადეგი იქნებოდა. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათი უმეტესობა პატარა ზომისაა. საფიქრებელია, რომ ის სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული იარაღი იყო.

სასოფლო-სამეურნეო იარაღთაგან აღსანიშნავია აგრეთვე ლითონის ნამგალი. ჭოროხის აუზში ამ ტიპის იარაღი იპოვნეს ორგან: სამი ნაკლული ნამგალი ცნობილია ციხისძირის განძიდან, ნამგლის ორი ნატეხი აღმოჩნდა სოფ. ზენითთან ნაპოვნ განძში. გარდა ამისა, დასავლურ-ქართულ კულტურაში ლითონის ნამგალი ცნობილია კიდევ სამგან: ოთხი ნაკლული ნამგალი ოფშკვითის განძში, ერთი ნამგალი ცაგერის განძში და ერთიც მახარიას განძში. საქართველოში და საერთოდ კავკასიაში ძირითადად ერთი ფორმის, უყუნწო ნამგალს ხმარობდნენ.

კაეის ნამგალი ჩვენში უკვე ნეოლითის პერიოდიდან იყო ცნობილი და, წინა აზიის ქვეყნების მსგავსად, მან აქ საკმაოდ გვიანობამდე შემოინახა თავი. ლითონის ნამგალი საერთოდ ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში მხოლოდ ბრინჯაოს კულტურის გვიანდელ საფეხურზე შემოდის. მაგრამ ლითონის ნამგლის შემოსვლისთანავე ხმარებიდან არ გამოსულა კაეის ნამგალი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ენდემური პურეულის აღების თავისებური წესი არსებობდა. უკანასკნელ ხანებამდე ამ წესით კრეფდნენ მახასა და ზანდურს. სპეციალური იარაღით, რომელსაც „შნაკვი" ეწოდება, მხოლოდ თავთავი იკრიფება, ღერო კი გარკვეული დროის მანძილზე მინდვრად რჩება. ალბათ ძველადაც საქართველოს ენდემურ პურეულს შნაკვისმაგვარი იარაღით კრეფდნენ და მინდვრად დარჩენილ ღეროს კი ნამგლით მკიდნენ. შესაძლოა ჩვენში გვიანი ბრინჯაოს ხანამდე ძირითადად ენდემური პურეული მოჰყავდათ და, ეგების, სწორედ ეს იყო ნამგლის გვიან შემოსვლის მიზეზიც. ლითონის ნამგლის შემოღება დაკავშირებული უნდა იყოს ახალი პურეული კულტურის შემოსვლასთან. საფიქრებელია, რომ ახალი ჯიშის პურეული და ამასთან დაკავშირებით ლითონის ნამგალიც შემოდის წინა აზიიდან. ამას მოწმობს ერთი მხრივ ის გარემოება, რომ ჩვენში გავრცელებული ლითონის ნამგალი ახლოსა დგას წინააზიურ ნამგალთან და მეორე მხრივ ისიც, რომ საქართველოში დღესაც გავრცელებულია ხორბლის ისეთი ფორმა, რომელიც წინა აზიის ენდემურ სახეობას წარმოადგენს. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კულტურას ბევრი რამ საერთო ჰქონია წინა აზიასთან. კოლხური კულტურის სამხრეთ რაიონებიდან დღემდე თითქმის სრულიად უცნობი ჩანს ამ კულტურის უფრო ჩრდილო რაიონებისათვის დამახასიათებელი შუბის პირები, თუ არ ჩავთვლით ერთ ნატეხს შუბის პირისას ვაკიჯვრის განძიდან. არც სატევრის პირებია მაინცადამაინც ცნობილი. ერთი ბრტყელი სატევრის პირის ნატეხი ნაპოვნი იყო ზენითის განძში; ორი ფრაგმენტი სატევრის პირისა ცნობილია შრომის განძიდან. ორი სატევრის პირი აღმოჩნდა წვერმაღალასთან ნაპოვნ განძში. ეს სატევრის პირები გარკვეულ მსგავსებას იჩენენ ამ პერიოდში დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ სატევრის პირებთან. ამავე განძში ნაპოვნი იყო ერთი ბრინჯაოს ლახტის თავი. საერთოდ ლახტის თავი კოლხურ კულტურაში მეტად იშვიათია. კოლხეთის ბარის რაიონში, გარდა აღნიშნული ლახტის თავისა, სხვა სრულიად უცნობია. ცნობილია მხოლოდ ერთი ცალი სოფ. ღებიდან და ერთიც სოფ. კლდეეთიდან. სოფ. შრომის განძში ნაპოვნი იყო აგრეთვე ერთი ბრტყელი, ყუნწიანი, გრძელფრთიანი ისრის პირი, მეტად თავისებური, რომლის მსგავსი საერთოდ უცნობია. ისრის პირი, როგორც ჩანს, ნაკლებად დამახასიათებელია კოლხური კულტურისათვის.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ გარდა კოლხური ცულისა, დასავლურქართული კულტურის სამხრეთ ნაწილში გავრცელებული ყოფილა ბრტყელი ცულიც. ამ ტიპის ცული ნაპოვნია ციხისძირის განძში, ვაკიჯვრისა და შრომის განძებში, აგრეთვე ოფშკვითის განძში. ჩანს, ამ ტიპის ბრტყელი ცულის გავრცელების არე ყოფილა კოლხეთის სამხრეთ ნაწილში. კოლხური კულტურის მთის ზოლისათვის დამახასიათებელი იყო განსხვავებული ტიპის, კოტეგიანი ბრტყელი ცული, რომელიც ძირითადად გავრცელებული უნდა ყოფილიყო რაჭა-ლეჩ-

ხუმში. სხვაგან ამ ტიპის ბრტყელი ცული სრულიად უცნობია. იგი კოლხური კულტურის ერთერთ თავისებურ დამახასიათებელ იარაღს წარმოადგენდა. მის ჩამოყალიბებაში, როგორც ჩანს, გარკვეული როლი შეასრულა კოლხურმა ცულმა, რომელთანაც მას ბევრი რამ საერთო აქვს (პირის მოყვანილობა და სხვ.).

რაც შეეხება კოლხური კულტურის სამხრეთ ნაწილში გავრცელებულ ბრტყელ ცულს, იგი სრულიად განსხვავებული ტიპისაა. ამგვარი ცული ცნობილია აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოში და სომხეთში. ფორმით ეს ცული ძალიან ახლო დგას მცირე აზიაში გავრცელებულ ბრტყელ ცულებთან. შესაძლოა, რომ ეს ფორმა ბრტყელი ცულისა აქედან გავრცელდა ამიერკავკასიაში. გვიანბრინჯაოს ხანაში მჭიდრო ურთიერთობა უნდა ყოფილიყო დასავლეთ საქართველოსა და მცირე აზიას შორის. ამ მხრივ საყურადღებოა ორდუს განძი, სადაც კოლხურ ცულებთან ერთად ნაპოვნი იყო მცირეაზიური ტიპის ბრტყელი ცულები.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ გვიანი ბრინჯაოს ხანის დასავლურ-ქართული კულტურის გავრცელების სამხრეთი რაიონი სადღეისოდ ნაკლებადაა შესწავლილი, ზოგი რამის თქმა მაინც შეიძლება. უპირველეს ყოვლისა აქ უნდა არსებულიყო კოლხური კულტურის ერთერთი ძირითადი მეტალურგიული კერა. ეს რაიონი, ჭოროხის აუზი, საკმაოდ მდიდარი იყო სპილენძით. როგორც ჩანს, აქ ამ პერიოდში საკმაოდ მაღალ საფეხურზე მდგარა მიწათმოქმედება. ამას ადასტურებს კოლხური კულტურის სამხრეთი ნაწილიდან დიდი რაოდენობით მოპოვებული სასოფლო-სამეურნეო იარაღები. ამიტომაც შესაძლოა, რომ ჭოროხის მეტალურგიული ცენტრიდან მაშინ უპირატესად ამ რიგის იარაღი გამოდიოდა და იგი ალბათ თავის ნაწარმს კოლხური კულტურის სხვა რაიონებსაც აწვდიდა.

კოლხეთის დაბლობში, რიონის ჩრდილოეთით, დაახლოებით ისეთივე სურათი გვაქვს, როგორც სამხრეთით. აქაური მასალებიც განძებისა და ცალკეული აღმოჩენების სახითაა ცნობილი. უნდა აღინიშნოს, რომ აქ აღმოჩენილი განძები ერთგვარად განსხვავდება ჭოროხის აუზში ნაპოვნი განძებისაგან. ისინი უპირატესად შედგება კოლხური ცულებისაგან, თითო-ოროლა თოხისა და სეგმენტისებრი იარაღის, ხატისუღლისა, ზოდებისა და სხვა ნივთებისაგან, გარდა ერთი განძისა, რომელიც ნაპოვნია სოფ. ოროლუში (ზუგდიდის რაიონი). იგი შედგება 21 ცალი სეგმენტისებრი იარაღის, ბრინჯაოს ჭურჭლის ნატეხებისა და ერთი პატარა ზოდისაგან. უთუოდ საყურადღებოა, რომ აქ დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი სპილენძის ზოდები (სოფ. ხეთა, წალენჯიხა, გალი, ჭაქვანჯი და სხვ.). სამწუხაროდ, ეს რაიონი დღემდე არქეოლოგიურად თითქმის სრულიად შეუსწავლელია და ამიტომაც გარკვევით რაიმეს თქმა მეტად ჭირს. ყველაზე დიდი რაოდენობით ამ რაიონიდან წარმოდგენილია კოლხური ცული. აქ გავრცელებული იყო I და II ტიპის კოლხური ცული. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ სოფ. თაგილონთან აღმოჩენილ განძში იპოვნეს I ტიპის კოლხური ცულის ლითონის ჩამოსასხმელი ყალიბები. აღსანიშნავია სოფ. მახარიაში აღმოჩენილი ბრტყელი ცული — იგი ერთი მხრივ უახლოვდება კოლხეთის სამხრეთ ნაწილში გავრცელებულ ბრტყელ ცულს და მეორე მხრივ კი რაჭა-ლეჩხუმისათვის დამახასიათებელ კოტებიან ბრტყელ ცულს.

საკმაოდ ფართოდ ყოფილა გავრცელებული რიონის ჩრდილო ნაწილში სეგმენტისებრი იარაღიც. შედარებით ნაკლები გავრცელება ჰპოვა თოხმა. თოხებიდან უთუოდ საყურადღებოა რომბისებრი მოყვანილობის ორი თოხი სოფ. ჯვარიდან, რომელთა მსგავსი სხვაგან უცნობია.

ჯერჯერობით ამ რაიონში არც ერთი სატევრის პირი არ აღმოჩენილა. შუბის პირები კი დღემდე ცნობილია მხოლოდ ნაოხვამუს ბორცვიდან. აქ ნაპოვნი იყო ერთი შუბისა და რამდენიმე ხელშუბის პირი. შუბის პირის მასრა შემკულია გეომეტრიული ორნამენტით. ამ ტიპის შუბის პირები ცნობილია უპირატესად ზიდა ქართლიდან. უთუოდ საყურადღებოა, რომ მათი პირის ორნამენტი საესებით ისეთივეა, როგორიც აფხაზეთში სოფ. პრიმორსკოესთან ნაპოვნი ერთი შუბის პირისა. რაც შეეხება ხელშუბის პირებს, ისინი მრავლადაა ბრილის სამაროვანზე, ზიდა ქართლში და აგრეთვე ყვირილის ხეობაში. აქვეა მოპოვებული ერთი მასრიანი ისრის პირი, რომლის მსგავსი ჩვენში დღემდე სრულიად უცნობია. ამავე ფენაში აღმოჩნდა ერთი მოზრდილი თავხვია საკინძი, რომელსაც ღეროს ზედა ნაწილი გრეხილი აქვს. მსგავსი საკინძები ცნობილია აფხაზეთიდან, ყობანიდან, ამიერკავკასიის სხვადასხვა ადგილებიდან. როგორც ჩანს, ამ ტიპის საკინძმა საერთოდ ფართო გავრცელება მიიღო.

სოფ. ჯვართან აღმოჩენილ განძში იყო ერთი მასიური ბოლოებდახვეული ხატისუღელი. ამ ტიპის ხატისუღელი ჩვენში ცნობილია ძირითადად აფხაზეთიდან და ერთი ცალი ლეჩხუმის განძიდან, გვხვდება აგრეთვე ყობანის სამაროვანზე. ამავე განძში აღმოჩნდა მასიური, ბოლოებგახსნილი რგოლი, მსგავსი რგოლი ცნობილია ლეჩხუმის განძიდან, აგრეთვე რამდენიმე ცალი ჩაქვის განძიდან. აღსანიშნავია ჯვარის განძში ნაპოვნი „წურბელისებრი" ფიბულა. რკალისებური ფიბულა კარგადაა ცნობილი ჩვენში ამ პერიოდში, მაგრამ „წურბელისებრი" ფიბულა, როგორც ჩანს, ძირითადად დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ყობანის კულტურისათვის. ჩვენში ამგვარი ფიბულები ცნობილია ძლიერ დიდი რაოდენობით ბრილიდან და ერთი ცალი სამურზაყანოდან.

კოლხეთის ბარის უფრო აღმოსავლეთი რაიონიდან, რიონის შუა წელის აუზიდან საკმაოდ დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი შემთხვევით აღმოჩენილი მასალები. ხშირად გვხვდება ბრინჯაოს ნივთებისაგან შემდგარი განძები. აღსანიშნავია, რომ აქაც, კოლხური კულტურის სამხრეთის რაიონების მსგავსად, ჯერჯერობით ცნობილია ძირითადად მხოლოდ I ტიპის კოლხური ცული. ხშირად გვხვდება აგრეთვე სეგმენტისებრი იარაღი, განსაკუთრებით მრავლად ვხვდებით მათ განძებში. საკმაოდ ფართო გავრცელება ჰპოვა ამ რაიონში თოხმაც. თუმცა აღსანიშნავია, რომ აქაურ განძებში ჩვეულებრივად თითო-ოროლა თოხი გვხვდება. თოხები უპირატესად ნაპოვნია ცალკეული აღმოჩენების სახით. კოლხური კულტურის სხვა სამიწათმოქმედო იარაღი ნაკლებად გვხვდება. წალდი აქ ცნობილია მხოლოდ ერთგან — ზემო სიმონეთის განძში, ნამგალი კი სოფ. ოფშკვითის განძში. ამავე განძში ნაპოვნი იყო ბრტყელი ცული, რომელიც ძირითადად კოლხეთის სამხრეთ რაიონისათვის ჩანს დამახასიათებელი. აღსანიშნავია, რომ სოფ. ბაგინეთში (მაიაკოვსკის რაიონი) აღმოჩენილი ერთი ბრტყელი ცული თავისი ფორმით მცირეაზიური ტიპის ცულებს უახლოვდება. არსებული მასალიდან ისე ჩანს, რომ არც აქ ჰპოვა სათანადო გავრცელება საბრძოლო თუ საო-

1

2

3

4

5



6

მარმა იარაღმა. სადღეისოდ აღმოჩენილია სულ რამდენიმე ცალი შუბისა და სატევრის პირი. შუბის პირები უპირატესად ჩვეულებრივი, დასავლურ-ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი ტიპებია. სატევრის პირებიდან აღსანიშნავია ჩხარის მახლობლად აღმოჩენილი დიდი ზომის, ფართოქედიანი სატევრის პირები. მსგავსი სატევრის პირები კარგადაა ცნობილი კოლხურ კულტურაში უპირატესად ყვირილის ზემო წელის აუზიდან და აგრეთვე აფხაზეთიდან. სადღეისოდ ამ რაიონიდან მხოლოდ ერთადერთი ისრის პირია ცნობილი ზემო სიმონეთის განძიდან. უნდა აღინიშნოს, რომ მასში სხვა ნივთებთან ერთად ნაპოვნი იყო ქედაბეკური ტიპის მახვილები. ეს ამ ტიპის მახვილების აღმოჩენის პირველი შემთხვევაა საქართველოში.

იმდროისათვის აქ ფართოდ ყოფილა გავრცელებული ცხენი. განათხარ შალაში ხშირად გვხვდება სხვადასხვა ტიპის ლაგამი და ცხენის აკაზმულობასთან დაკავშირებული სხვა ნივთები. რიონის შუა წელის აუზში მცხოვრებ ტომებში საკმაოდ დაწინაურებული უნდა ყოფილიყო მიწათმოქმედებაც. ამიტომაცაა ალბათ, რომ აქ ფართო გავრცელება ჰპოვა სამიწათმოქმედო იარაღებმა. ამ რაიონის ლოკალური თავისებურების შესახებ ლაპარაკი ჯერჯერობით მეტად ჭირს. თითქმის ვერაფერს ვიტყვით აგრეთვე ადგილობრივი მეტალურგიული წარმოების შესახებ. შესაძლოა აქ არსებობდა კიდეც წვრილი მეტალურგიული კერა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს რაიონი იმდენად მჭიდროდ იყო დაკავშირებული სამხრეთის, ჭოროხის ინდუსტრიულ ცენტრებთან, რომ რაიმე თავისებურების გამორჩევა შეუძლებელია.

საყურადღებოა მდ. ყვირილის აუზში ნაპოვნი არქეოლოგიური მასალა. აქ ჯერ კიდევ ბრინჯაოს კულტურის ადრინდელ საფეხურზე საკმაოდ დაწინაურებული მეტალურგიული კერა უნდა არსებულიყო. როგორც ჩანს, გვიანბრინჯაოს ხანაშიც იგი საკმაოდ მძლავრი ყოფილა.

იარაღებიდან უპირატესად უმზადებიათ III ქვეტიპის კოლხური ცული. ამ ტიპის ცული I და II ტიპის კოლხური ცულების შერწყმის შედეგად უნდა იყოს მიღებული. ყუა მას I ტიპის მსგავსად მახვილი აქვს, პირი კი საესებით ისეთივეა როგორც II ტიპის ცულისა. ასეთი ცული ჩვენში ჯერჯერობით ცნობილია ერთი ცალი სვანეთიდან, ორი ლეჩხუმიდან და ორიც ქვეშარის განძიდან (რაჭა). გარდა ამ ტიპის კოლხური ცულებისა ყვირილის აუზის ზემო წელიდან (პერევის განძი) ცნობილია კიდევ ორი ცული: ერთი II ტიპისა და ერთიც I ტიპის. ამათგან აღსანიშნავია უკანასკნელი, რომლის ყუაზედაც მწოლარე ცხოველია გამოსახული. თითქმის სავსებით ასეთივე ცული ცნობილია ჩრდილო კავკასიიდან, სოფ. გალიათიდან და ერთიც დე ბაის კოლექციიდან.

კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელ სამიწათმოქმედო იარაღთაგან სადღეისოდ ამ რაიონიდან ცნობილია მხოლოდ რამდენიმე თოხი. ჯერჯერობით სრულიად უცნობია სეგმენტისებრი იარაღი, ნამგალი, წალდი და სხვ. სამაგიეროდ კარგადაა წარმოდგენილი საბრძოლო იარაღი. ამათგან ძირითადად გვხვდება სატევრისა და შუბის პირები. სატევრის პირებიდან აღსანიშნავია ფართო ქედიანები. ზოგიერთ მათგანს ქედზე სიგრძივ სამი ღარი გაუყვება. ამ ტიპის სატევრები აღმოჩენილია სოფ. დურებში და სოფ. ნიქოზეთში. ფართო ქედიანი და ყუნწიანი სატევრის პირები ცნობილია აგრეთვე აფხაზეთიდან: ერთი ცალი

პრიმორსკოედან და ერთიც ეშერის ერთერთი სამარხიდან, ოღონდ მათ ქედი დაღარული არა აქვთ. ასეთივე სატევრის პირი, ოღონდ შედარებით მოზრდილი, ცნობილია ნაქალაქარიდან (ჩხარის რ.); გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოშიც, სოფ. ზინდისში. რამდენადმე უახლოვდება მათ სატევარი ბეშთაშენიდან. მას დაღარული ქედი იმდენად მკვეთრად გამოსახული არა აქვს. ამ სატევრის პირებს ენათესავება, განსაკუთრებით სატარე ნაწილით, ერთი სატევარი ბაკურციხიდან, ერთიც სოფ. ნიქოზეთიდან, ოღონდ მას მთელ სიგრძეზე ვიწრო, მკვეთრი ქედი გაუყვება. სავსებით ასეთივე სატევრის პირები ცნობილია ყობანიდან.

სადღეისოდ ჯერ კიდევ ძნელია რაიმეს გარკვევით თქმა ამ ტიპის სატევრის პირების შესახებ. როგორც ჩანს, ისინი დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო გვიანბრინჯაოს ხანის დასავლურ-ქართული კულტურისათვის. რაც შეეხება საჩხერეში აღმოჩენილ ფოთლისებრი სატევრის პირებს, მსგავსი ფორმები კარგადაა ცნობილი ძირთადად შიდა ქართლიდან. საჩხერის ფოთლისებრი სატევრის პირები განსაკუთრებით ახლოსა დგას შიდა ქართლის ჩრდილო ზოლში გვიანი ბრინჯაოს ადრეულ ეტაპზე გავრცელებულ ე. წ. ალისებრი მოყვანილობის სატევრის პირებთან.

დურების კოლექციაში ინახება. რამდენიმე შუბისა და ხელშუბის პირი. შუბის პირი სულ ორი ცალია, დაახლოებით ერთი ტიპისა: გრძელი, გახსნილი მჯრით, შედარებით მოკლე პირით. იგი მჯრასთან ფართოა, რკალისებრი და წვერისაკენ სწრაფად ვიწროვდება. ამ შუბის პირებთან ყველაზე ახლო დგას თბილისში აღმოჩენილი შუბის პირი და ქუთაისის მუზეუმში დაცული მეორე შუბის პირი, რომლის აღმოჩენის ადგილი სამწუხაროდ უცნობია. ფორმით უახლოვდება მას სოფ. ზინდისში ნაპოვნი ხელშუბის პირი. მსგავსი შუბის. პირი ინახება აგრეთვე გორის მუზეუმში. სხვაგან სავსებით ამგვარი შუბის პირები ჯერჯერობით თითქმის უცნობია. უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ ეს შუბის პირები გარკვეულ მსგავსებას იჩენენ შიდა ქართლში და დასავლეთ საქართველოში ცნობილ მასრაგახსნილ შუბის პირებთან, რამდენადმე უფრო ახლო დგანან ისინი აფხაზეთში ცნობილ მოკლეპირიან და გრძელმასრიან შუბის პირებთან, ოღონდ აქაც პირის მოყვანილობა განსხვავებულია. აღსანიშნავია სოფ. წირქვალში (ქიათურის რ.) აღმოჩენილი ერთი შუბის პირი. იგი სრულიად განსხვავებული ტიპისაა და ახლოსა დგას ძირითადად შიდა ქართლის ჩრდილო ზოლში გავრცელებულ შუბის პირებთან.

ხელშუბის პირები დურების კოლექციაში ოთხი ცალია, ვიწროპირიანი ხელშუბის პირი ჩვენში საერთოდ იშვიათია. მას ძირითადად ვხვდებით შიდა ქართლის ჩრდილო ზოლში. ფოთლისებრი პირიანი ხელშუბის პირი საერთოდ კარგადაა ცნობილი შიდა ქართლში. გვხვდება აგრეთვე ეშერში.

ამრიგად, როგორც არსებული მასალიდან სჩანს, ყვირილის აუზი გვიანბრინჯაოს ხანაში საკმაოდ დაწინაურებული ყოფილა. ამას, რა თქმა უნდა, ხელს უწყობდა ის, რომ ჯერ კიდევ ბრინჯაოს კულტურის ადრინდელ ხანაში აქ მოსახლე ტომები განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურზე იდგნენ. შესაძლოა სწორედ იმ ძველი მეტალურგიული ტრადიციების ანარეკლს წარმოადგენდა გვიანბრინჯაოს ხანის საკმაოდ მძლავრი მეტალურგია. ამიტომაცაა, რომ კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ფორმები აქ მაინცადამაინც სათანადო გავრ-

ცელებას ვერ პოულობს. თუმცა აშკარად ჩანს, რომ ამ პერიოდში საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა უნდა არსებულიყო დასავლურ-ქართულ კულტურასთან. შესაძლოა აქ რაიონში ჩამოყალიბდა და აქედან გავრცელდა კოლხური ცულის ერთერთი ვარიანტი, III ქვეტიპი.

როგორც ჩანს, ყვირილის აუზის ზემო წელზე მცხოვრები ტომები ახლო ურთიერთობაში უნდა ყოფილიყვნენ შიდა ქართლის ჩრდილო ზოლში მოსახლე ტომებთან. კავშირი შიდა ქართლთან საკმაოდ მჭიდრო ჩანს უკვე ადრეული ბრინჯაოს ხანაშიაც, მაგრამ ბრინჯაოს კულტურის გვიანდელ საფეხურზე ეს ურთიერთობა კიდევ უფრო ცხოველდება. საფიქრებელია, რომ ამ პერიოდში ყვირილის აუზში ისევ განაგრძობს არსებობას საკმაოდ მძლავრი მეტალურგიული კერა, რომელიც მჭიდრო კავშირში უნდა ყოფილიყო მეზობელ რაიონებთან.

ამრიგად, კოლხეთის ბარი გვიანბრინჯაოს ხანაში განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურზეა ასული. მთის ზოლში მცხოვრები ტომები სულ უფრო და უფრო მჭიდროდ უკავშირდებიან ბარში მსხდარ მიწათმოქმედ ტომებს, რაც თავის მხრივ იწვევს იმას, რომ თანდათანობით ირღვევა მკვეთრი ზღვარი მთას და ბარს შორის. მიუხედავად ბუნებრივი პირობების განსხვავებისა ჩანს, რომ გვიანბრინჯაოს ხანაში სულ უფრო და უფრო იშლება ზღვარი ცალკეულ ლოკალურ თავისებურებათა შორის. თანდათანობით ხდება მათი ნიველირება და უკვე მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი კულტურა საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე ვრცელდება. ეს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში იმის ანარეკლი უნდა იყოს, რომ იზრდება ურთიერთობა ტომებს შორის, ცხოველდება ალებ-მიცემა და თანდათანობით იქმნება ტომთა მსხვილი გაერთიანებები.

§ 8. გვიანბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ძეგლები აღმოსავლეთ საქართველოში

ხანა, რომელსაც მოიცავს გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის კულტურის განვითარების პროცესი საქართველოში მოდის ძვ. წ. XIII-VI საუკუნეებზე.

ამ ხანისათვის დამახასიათებელია: ა) მეჯოგეობისა და მიწათმოქმედების ერთიმეორისაგან გამთიშავი პროცესის შემდგომი გაღრმავება (შრომის პირველი დიდი დანაწილების დასასრული); გვართა და ტომთა საერთო-სამეურნეო საქმიანობაში ხელოსნობის სხვადასხვა სახის გაჯოყოფა და მათი დამოუკიდებელ დარგებად ჩამოყალიბება, მაგალითად, ლითონდამმუშავებელი ხელოსნობა — მეტალურგია, მეთუნეობა, ქვითხუროობა, ხითხუროობა, მეხამლეობა; რთვისა და ქსოვის საქმე და მრავალი სხვა (შრომის მეორე დიდი დანაწილება); წარმოების თანდათანობითი სპეციალიზაციისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად ზედმეტი პროდუქტის გაჩენა და ამ უკანასკნელის გაცვლის საჭიროების აუცილებლობა; გაცვლა-გამოცვლის აღმოცენება; მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის შუამავალი ფენის გაჩენა (შრომის მესამე დიდი დანაწილების დასაწყისი), წარმოებიდან თავისუფალ მწარმოებელთა თანდათანობითი განდევნა; სასოფლო თემის ეკონომიური საფუძვლების დარღვევა და ქალაქთა აღმოცენების პროცესის გაძლიერება. ამასთანავე, მთელ ამ პრო-

ცესს დიდად შეუწყო ხელი ძვ. წ. I ათასწლეულის პირველივე ნახევარში წარმოების რკინის მეტალურგიის ბაზაზე გადასვლამ; ბ) კერძო საკუთრების ჩასახვისა და განვითარების ნიადაგზე სოციალურ წინააღმდეგობათა წარმოქმნა-გამწვავება; პატრიარქატული მონობის განვითარების პროცესის შემდგომი გაღრმავება. მეთემეთა შორის ქონებრივი და სოციალური დიფერენციაციის უაღრესად განვითარება და, ბოლოს, სახელმწიფოს წარმოქმნა როგორც ამ პროცესის განვითარების ისტორიული და ლოგიკური შედეგი; გ) იბერიულ-კავკასიური მოდგმის ხალხთა შორის ქართველური ტომების მიერ ჰეგემონური მდგომარეობის მოპოვება; სამხედრო დემოკრატიის პრინციპებზე დამყარებული მამამთავრული ოჯახის დაშლა; საქართველოს მიწა-წყალზე ორი მძლავრი სინქრონული კულტურული კერის შესაბამისად ქართველურ ტომთა ორი გაერთიანების — იბერიულ და კოლხურ ტომთა გაერთიანებების — ჩამოყალიბება; ტომთა ამ კონფედერაციების შემდგომი განვითარება და ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან ორი ადრეულ-მონათმფლობელური ტიპის სამეფოს — იბერიისა და კოლხეთის სამეფოების წარმოქმნა.

ჩვენი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური განვითარება მიმდინარეობდა ძველი აღმოსავლეთის, კერძოდ, წინა აზიის მოწინავე კულტურის მქონე ხალხების განვითარებასთან ახლო ურთიერთობაში. იგი მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული იმ ისტორიულ ამბებთან, რომლებიც ბევრ ძველ ხალხთა და სახელმწიფოთა პოლიტიკურ ამაღლებასა და დაცემასთან იყო დაკავშირებული. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეს პერიოდი დიდი, ხანგრძლივი ომებისა და პოლიტიკური შეხლა-შემოხლის პერიოდს წარმოადგენდა.

იმდროინდელი საქართველოს მიწა-წყალზე უკვე ჩამოყალიბებული ჩანს გვიანი ბრინჯაოს ხანის ორი დამოუკიდებელი, მაგრამ ერთიმეორის ახლო მონათესავე კულტურული კერა: აღმოსავლურ-ქართული და დასავლურ-ქართული. ამ უკანასკნელს ხშირად და სრულიად მართებულად კოლხურ კულტურულ კერასაც უწოდებენ.

ა. იესენი გვიანი ბრინჯაოს ხანის აღმოსავლეთ საქართველოს განიხილავს როგორც ცენტრალური ამიერკავკასიის მის მიერ დადგენილი მეტალურგიული ცენტრის ერთ-ერთ ქვერაიონს. აქ განვითარებულ კულტურას იგი აკუთვნებს მის მიერვე შემუშავებული ქრონოლოგიური სქემის მესამე ეტაპს, რომელიც ძვ. წ. II ათასწლეულის გასულსა და I დასაწყის საუკუნეებზე მოდის. ა. იესენი იძლევა ხსენებული კულტურის შემადგენელი უმთავრესი ელემენტების (სამეურნეო და საბრძოლო იარაღებისა და სამკაულების) დახასიათებასა და ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას. კერძოდ, ამ კულტურისათვის დამახასიათებელ წამყვან ფორმებად მას მიაჩნია: დიდი წვერკვეთილი (სპეციალურ ლიტერატურაში ბოლოკვეთილად სახელდებული) მახვილი, წვეტიანი მახვილი, გრძელი შუბის პირი, გრძელფრთებიანი და ყუნწიანი ისრის პირი, ერგწრიულპირიანი და სქელყუიანი ცული აღმოსავლურ ამიერკავკასიური ტიპისა და სხვ.

ამის შემდეგ ხსენებული კულტურის დახასიათებას ვხვდებით ს. ჯანაშიას ნაშრომში. ავტორის შეხედულებით, აღმოსავლურ-ქართული გვიანი ბრინჯაოს კულტურული რაიონი მოიცავდა აღმოსავლეთ საქართველოს ალაზ-

ნის გალმა მხარით, სევანის ტბის მიდამოებს და ნაწილობრივ არაქსის ხეობასაც. იარაღ-საპურელის ზემოთ მოტანილ შემადგენლობას იგი უმატებს ფარს, უფრო სწორად, ფარის ბრინჯაოს უმბონებს, რომლებიც აქაურ სამარხეულ ინვენტარში საკმაოდ ხშირად გვხვდება. შემდეგ ავტორი ჩამოთვლის ამ კულტურისათვის დამახასიათებელ სასოფლო-სამეურნეო იარაღებსა და შინამოსაქმეობის ხელსაწყოებს (კევრი, ცული, ნამგალი, დანა, ნემსი, სადგისი, კვირისტავი), სამოსელთან დაკავშირებულ საგნებს (სარტყელი, ბალთა, აბზინდა, ღილი, შესაბნევი), სამკაულებს (ბეჭედი, საყურე, სამაჯური, მძივები), ლითონის, თიხის ჭურჭლეულს და სხვ.

ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ხანის კულტურის ძირეულ საკითხებს დიდი ყურადღება აქვს დათმობილი გ. ნიორაძის, ბ. კუფტინის და სხვათა ნაშრომებში.

ისტორიულ-არქეოლოგიური ხასიათის კვლევა-ძიებისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა აქაური ადამიანის, საერთოდ, ძველი და, კერძოდ, ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი ადგილების მოძიებას და შესწავლას*. უაღრესად საინტერესო იყო ამ თვალსაზრისით ისეთი მიკრორაიონების შემოწმება, რომლებმაც თავი გამოიჩინეს მეტალურგიული წარმოების გასაოცრად უხვი, დახვეწილი და მრავალფეროვანი პროდუქციით. აღმოსავლეთ საქართველოში ამ მხრივ განსაკუთრებით შიდა ქართლისა და თრიალეთის ტერიტორია გამოირჩევა. მართლაც, ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ნამოსახლარი ადგილები საქართველოს ამ უძველესი კულტურული კერების შესწავლისას იქნა უმეტესწილად აღნუსხული. დღეისათვის დადასტურებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ძველი ლითონის ხანის ადამიანები ხახლ-კარისათვის უმთავრესად ირჩევდნენ მდინარეთა შესაყარში ფლატეფერდებიან მაღალ კონცხს, რომელიც ამის გამო ბუნებრივ სიმაგრესაც წარმოადგენდა, ასათვისებლად განკუთვნილი ნაკვეთის მეტ-ნაკლებად მისადგომ მხარეს კი ხელოვნურად, გადამყელავი ღრმა თხრილების გაყვანით ამაგრებდნენ. ამის მაგალითს წარმოადგენს დმანისის კონცხი მდ. მაშავერისა და ფინეზაურის შესაყარში, სადაც ადამიანი ჯერ კიდევ ენეოლითის ხანაში სახლებულა. ბორცვების ამ ტიპს ეკუთვნის სტალინირის ნაცარგორაც, რომელიც მდ. მდ. ლიახვისა და აუ დამშრალი ტბეთურას შესაყართანაა (თუმცა ახლა ლიახვი 1,5-2,0 კმ მარცხნივ არის გადაწეული). კიდევ უფრო ხშირად ვხვდებით აღნიშნული პერიოდის ნამოსახლარებს გორაკებზე, რომელთა შორის ზოგი ეულად მდგარი, შემოგარენზე გაბატონებული დიდი ბორცვია, ზოგი კი რომელიმე დაბალი ქედიდან ან შემაღლებული პლატოდან საგანგებო თხრილით არის გადაყელილი და ძირითადი მასივისაგან ამგვარად გამოყოფილი. ასეთებია, მაგალითად, ხოვლეგორა და საკენჭია (სოფ. ხოვლესთან, კასპის რ.), გუდაბერტყია (გორთან), ურბნისის გორა, მეტეხისა და დოდოთის გორაკები (ზნაურისა და

* რამდენადმე უკეთესი მდგომარეობაა დასავლეთ საქართველოში, სადაც ადრევე დაიწყო კოლხეთის დაბლობში გავრცელებული იმ ხელოვნური ბორცვების შესწავლა, რომელთა ადრეული კულტურული ფენები ძირს უგია ბრინჯაო-რკინის ხანის მასალების შემცველ კულტურულ ფენას (ანაკლია, დიხა-გუძუბა, ნაოხვამუ და მრ. სხვ.).

სტალინირის რ.), მცხეთის გორა და მრ. სხვა, რომლებიც ასეულობით დაითვლება აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. აღსანიშნავია, რომ ეს ბუნებრივი ბორცვები, რომლებიც ძალიან ხშირად დამატებით ხელოვნურადაც არიან გამაგრებული, დროთა განმავლობაში, მათზე ადამიანთა ხანგრძლივ ცხოვრებასთან დაკავშირებით, ამაღლებულან და ხშირად ნახევარსფეროსებრი მოყვანილობა მიუღიათ. ბორცვებზე აკრეფილი ზედაპირული მასალის წინასწარი შესწავლაც კი ხშირად საკმარისი ხდება იმ ეპოქის გამოსაცნობად, რომელთა მანძილზეც ეს ბორცვები გამოყენებული ყოფილან ადამიანის საცხოვრებლად. ბევრი ასეთი ბორცვი შეიცავს კულტურულ ფენებს ენეოლითიდან მოკიდებული ვიდრე ადრეული რკინის ხანის გასულამდე, ზოგი შუა საუკუნეებშიაც კი არ ყოფილა დავიწყებული. სხვადასხვა პერიოდები ადვილად გამოიცნობა როგორც სამშენებლო მასალის რაობის, აგრეთვე მისი დამუშავებისა და გამოყენების (ალიზის, გამომწვარი თიხის, ხის ძელების, რიყის ან ნატეხი ქვის წყობის ხასიათის და სხვ.) ხერხების სხვადასხვაობის მიხედვით. იმის გამო, რომ ასეთ ბორცვთა კულტურულ ფენებში დიდი ადგილი უჭირავთ ნაცრისა და ნახშირის შემცველ შრეებს, ორმოებს, ლინზებს და სხვ., მათ ჩვენი მოსახლეობა ხშირად ზოგადი სახელით, „ნაცარგორად" მოიხსენიებს *.

ბუნებრივ ბორცვთა უმრავლესობა დროთა განმავლობაში ადამიანის მიერ ხელოვნურადაც არის გამაგრებული, რაც მოწმობს მათს გამოყენებას მოსახლეობის აქტიური თავდაცვის მიზნებისათვის. ამიტომაა, რომ ასეთი ტიპის ბორცვებს ხშირად ვხვდებით მდინარეთა ხეობებში როგორც სათავეებთან ახლოს — მთის ვიწროების ჩასაკეტავად, ასევე ქვემდინარეთა ქვემო წელში — მისადგომების სათვალთვალოდ და ბარიდან შემოსეული მტრისაგან თავდასაცავად. მაგრამ ამა თუ იმ ადგილის არჩევანი უფრო მეტად მაინც ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამონახვისა და მეზობელ ტომებთან აღებ-მიცემითი ურთიერთობის დამყარება-განვითარების სწრაფვაზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული. ამიტომ ეჭვი არაა, როდესაც ჩვენი ნაცარგორების გავრცელების პუნქტები ზუსტად გვექნება აღნუსხული, ხოლო თვით გორების შინაარსი მეტ-ნაკლები სისრულით შესწავლილი, გაცილებით მეტი გვეცოდინება, არა მარტო ცალკეულ ტომთა სამეურნეო კულტურული ვითარების შესახებ, არამედ უფრო მსხვილი ეთნოკულტურული ერთეულების საკუთარი და საზიარო კულტურული შემოქმედების სურათიც მეტი სიცხადით წარმოგვიდგება.

ნამოსახლარი ბორცვ-გორაკები ამავე დროს საკულტო ადგილებსაც წარმოადგენდა. როგორც ჩანს, საკულტო ცერემონიალების შესასრულებელი ადგილი ჯერ კიდევ არ არის გამოყოფილი ადამიანის საცხოვრებელი ადგილიდან. ძველი სასაფლაოები კი, თუ უფრო ადრინდელი ხანიდან არა, ყოველ შემთხვევაში, გვიანი ბრინჯაოს დროიდან მაინც, აშკარად გამოთიშულია ადამიანთა საცხოვრებელი ადგილიდან.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ ბორცვთა შორის ჩვენ ზემოთ, პირველ რიგში სტალინირის ნაცარგორა დავასახელეთ, რო-

---

* ასეთივე მნიშვნელობისაა სახელწოდება „ქიულ-თეფე", რითაც მცირე აზიის ახლანდელი მოსახლეობა იქ გავრცელებულ ნაცარგორებს აღნიშნავს.

გორც ერთი პირველად შესწავლილ ძეგლთაგანი. იგი მდებარეობს ქ. სტალინირის გარეუბანში, მისგან 1,5-2,0 კმ მანძილზე, რკინიგზის ახლოს, მაღალ ზეგანზე. ბორცვი მკაფიოდ გამოირჩევა რელიეფზე. მას გაბატონებული მდებარეობა უჭირავს ირგვლივ მიდამოებზე. მდინარის კალაპოტებისაკენ მიქცეული ფერდობები საგრძნობლად დაქანებულია. ხსენებულ მდინარეთა კალაპოტები (რომლებიც ამჟამად შეტოვებულია ტბეთურას თითქმის დაშრობისა და ლიახვის 1,5 კმ-ით მარცხნივ მიქცევის გამო) ერთიმეორესთან შეერთებულია დიდი, რკალისებრი ხელოვნური თხრილით, რის გამოც ზეგნის მასივისაგან მოწყვეტილია „ცხვირი" და ამგვარად გამოყოფილია ბორცვი. ეს ბორცვი გამაგრებულ მოსახლობას წარმოადგენდა. ბორცვის ბუნებრივი მოყვანილობა მოგვაგონებს თავკვეთილ კონუსს, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ოდნავ წაგრძელებულს.

პირველი კულტურული ფენა (0,5—0,8 მ. ძვ. წ. III ათასწლეულის გასული—II ათასწლეულის დასაწყისი), რომელსაც ძირს უგია ბორცვის ბუნებრივი ზედაპირი, შედგებოდა ცეცხლში ნამყოფი რიყის ქვებისა და შავი ფხვიერი მიწისაგან. ფენა შეიცავდა ობსიდიანის ანატკეცებს, ცხოველთა ძელებისა და ხის ნახშირის ფრაგმენტებს, ხელით ნაძერწი თიხის ჭურჭლის ნატეხებს. ეს გარემოება მიუთითებს, რომ ნაცარგორა თავდაპირველად (ენეოლითიდან) სამოსახლო ბორცვი ყოფილა.

მეორე ფენა (0,5—1,2 მ სიმძლავრისა. ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი) შეიცავს თიხით მოტკეპნილ ფატაკიან და ერთსენაკიან ნაგებობათა ნაშთებს რიყის ქვის საძირკვლების სახით. ნაგებობათა ზედა ნაწილი ხისა უნდა ყოფილიყო. საძირკვლები და ალბათ კედლებიც თიხით იყო შეგლესილი. ზოგ ნანგრევთან აღმოჩენილია სამსხვერპლოები და საკურთხეველები — პირველყოფილი წარმართული ტაძრების თუ საკულტო სენაკების ნაშთები. იმდროინდელი საკურთხეველები ორგვარია: მრგვალი, ნაპირებაწეული და კუთხედი, ამბიონისებრი მინაშენით. საკურთხეველები ნაგებია წვრილი ქვით, როკკით, თიხით და კერამიკული ნატეხებით. ყველა ისინი თიხით არის შეგლესილი და სუსტად გამომწვარი. კულტურულ ფენაში ორგვეზე ნაკეთები შავპრიალა კერამიკა ჭარბობს. საერთოდ ბლომად არის მიწათმოქმედების, მესაქონლეობის, მეჭურჭლეობის, ფილითონეობისა და სხვ. საქმიანობის დამამტკიცებელი მასალები.

მესამე ფენა (0,5—2,5 მ. ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი) ყველაზე მდიდარია როგორც ნაგებობებით, აგრეთვე კულტურული ნაშთებით. კარგად გაირჩევა II ფენის სენაკთა ნანგრევებს ზემოთ მოსწორებული და რიყითა და თიხით მოტკეპნილი მოედანი, რომელზედაც ამართული იყო III ფენისეული სამლოცველოს ნაშთები. ამ ფენის სამლოცველოთა სენაკებს ცალპირი ან ორპირი საძირკვლები აქვთ. საძირკვლები და კედლის ქვემო ნაწილი ნაგებია რიყის ქვით, ზემო ნაწილი კი — ხით. კედლები ნაგლესია ბზენარევი თიხის სქელი ბათქაშით, რომელმაც შემოინახა ძირითადი სამშენებლო მასალის (ხის ბოჭკოთა) ანაბეჭდები. ეს მასალა, როგორც ჩანს, წარმოადგენდა საკმაოდ მსხვილ ძელებს, რომლებიც ქვის წყობაზე დაშენებული, ქმნიდნენ ჯარგვალის ტიპის ნაგებობებს. სენაკის თიხატკეპნილი იატაკი გამომწვარია. ჭერიდან ჩამონგრეული ბათქაშის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისიც (ჭერი) ძელური

ყოფილა. სავარაუდოა სახურავ მასალად ყავრის გამოყენება. სარკმელი თუ „საკუმეკი“ სენაკს შეიძლება ჰერშიც ჰქონოდა. კარი ყველა სენაკს ერთი მხრიდან არ უკეთდებოდა. თითო სენაკში თითო ან მეტი საკურთხეველი ყოფილა. აქვეა შეწირულების ან ზედაშეს ნაშთები. ამათ შორის ბევრია ისეთი საოჯახო და სამეურნეო ნივთი, რომელიც ერთი შეხედვით გვაფიქრებინებს, რომ ნაცარგორის სენაკების ნანგრევთა სახით ჩვენს წინაშეა ნაბინავრები.

ზოგიერთი სენაკი საკმაოდ დიდია. მაგალითად, № 5 სენაკის შინაგანი ზომები 7,0X3,5 მ უდრის. იგი დამხრობილია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ. ყველაზე კარგად დაცული კედლის სიმაღლე 1,10 მ აღწევდა, სისქე — 0,5 მ. კედელი რიყის ქვით ორპირად არის ნაგები. სენაკის იატაკზე ბლომად აღმოჩნდა ნაცარი, ნახშირი, დამწვარი ძვლები, დამწვარი ბალთაშისა და თიხის ჭურჭლეულის უამრავი ნატეხი. აქვე იყო ხორბლის ნაშთები, ხელსაფქვავი, ძვლის სადგისი, თიხის ორი მთელი ჭურჭელი, თიხის დისკოები (ბორბლის მოდელები), პაწია ცულის ჩამოსასხმელი ყალიბი და სხვ. მრავალი.

ამავე სენაკში აღმოჩნდა სამი სამსხვერპლო. საკურთხეველის ჩაზნექილ ზედაპირზე მოთავსებული იყო ნალის თუ „ამბიონის“ მოყვანილობის მცირე კერა ორი დაბალი კოპით, რომლებშიაც ხარის რქების სქემატური გამოსახულება გამოიცნობა. მის უკან, საკურთხეველის კედელზე რქამაღალი ხარის თავია. ჩრდილო კუთხეში მიძერწილია სვასტიკის ნიშანი — მზის სიმბოლო. საკურთხეველის აღმოსავლეთ კუთხეში ამოძერწილი ყოფილა ორი ჯამისებრი ჭრაქი. ლამპრიდან გადმოღვენთილი ცხიმი (ზეთი თუ ქონი) საამისოდ მოწყობილ ღარში მიედინებოდა.

როგორც ვხედავთ, ეს ნაგებობანი უმთავრესად საკულტო ხასიათს ატარებენ. რაც შეეხება საკუთრივ საცხოვრებელ ნაგებობათ, ისინი, თუ ასეთებად არ ჩავთვლით ზემოხსენებულ სენაკთა ნაწილს მაინც, ნაცარგორაზე ჯერ კიდევ რელიეფურად გამოვლინებული არ არის. საფიქრებელია, რომ ამ ბორცვის საცხოვრებელ ნაგებობათა უმრავლესობის კვალი შემდგომ პერიოდში მრავალგზის წარმოებულმა მშენებლობამ წაშალა.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ნამოსახლარები ამ ბოლო დროს მიკვლეულ იქნა ფოლადაურის ხეობაში (ბოლნისის რ.). კიდევ უფრო ადრე იყო აღმოჩენილი მსგავსი ნამოსახლარები ლენინაკანისა და ხანლარის მახლობლად. ამ ორ უკანასკნელ პუნქტში დადასტურებული ნამოსახლარების გათვალისწინება თითქოს საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ მოსახლობათა განვითარების ანალოგიური სურათი საკუთრივ იმ ტერიტორიისათვის, რომელსაც დღევანდელი აღმოსავლეთ საქართველო მოიცავს. ასეთი წარმოდგენა კი კანონიერად მიგვაჩნია, რამდენადაც განსახილველ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოს, ჩრდილოეთ სომხეთისა და დასავლეთ აზერბაიჯანის ტერიტორია დასახლებული უნდა ყოფილიყო ახლო მონათესავე ტომებით, რომელთა ნივთიერი კულტურა ერთი დიდი საწარმოო ცენტრის ბაზაზე ჩანს აღმოცენებული. ოღონდ ესაა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ნამოსახლარების არასაკმარისი შესწავლილობის გამო ჩვენ ჯერჯერობით არ შეგვიძლია სრული წარმოდგენა ვიქონიოთ იმ მოსახლობათა რიცხობრივ შემადგენლობასა და ოჯახურ ურთიერთობაზე, რომელიც საზოგადოებისათვის გვაროვნული წყობილების ამ უკანას-

1

2

3

4

კნელ საფეხურზე იყო დამახასიათებელი. ასევე ჯერჯერობით არ არის კარგად გარკვეული სამარხის რა ტიპია დაკავშირებული მოსახლეობის ამა თუ იმ ტიპთან. ერთადერთი რაც შეგვიძლია ვთქვათ ამ მხრივ, ეს ისაა, რომ ამ დროისათვის გვარის რიგითი წევრების სამაროვანიც კი გამოყოფილია მოსახლობისაგან და იგი ამ უკანასკნელის შორიახლოს არის მოწყობილი. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ ხოვლეგორა, რომლის მცხოვრებნი (ადრეული რკინის ხანაში) გორიდან პაწია ხევით გამოყოფილ ფართო, გაშლილი მინდვრის განაპირას ჩვეულებრივ ორმოსამარხებში იკრძალებოდნენ.

უფრო მეტ საერთოს ვხედავთ აღნიშნულ ტერიტორიაზე გავრცელებულ სამოსახლო ნაგებობათა მშენებლობის ტექნიკაში. ზემოხსენებულ პუნქტებში აღმოჩენილი ნამოსახლარების შესწავლის დროს, სხვა გარემოებათა გვერდით, ჩვენს ყურადღებას იპყრობს ა) სამშენებლო მასალა, რომელიც გამოყენებულია საცხოვრებელ სათავსოთა აგების დროს და ბ) ამ მასალის მეშვეობით კედლის ამოყვანის წესი, ე. ი. მისი წყობის ხასიათი. როგორც თავის ადგილას იყო ნათქვამი, ასეთ მასალად გამოყენებული ჩანს რიყის, მდინარის მიერ ნაგორები, ქვა. ამასთანავე გამოყენებულია სხვადასხვა ზომის ქვები, რომელთაც ადამიანი საჭიროებისამებრ თითოეულ კერძო შემთხვევაში მიმართავდა ხოლმე. აშკარაა, რომ ასეთ ქვას მიმართავდნენ იქ, სადაც მათ უკეთესი სამშენებლო მასალა ხელთ არ ჰქონდათ. ცხადია, რომ მშენებლობაში რიყის ქვის გამოყენებას უმეტესად იქ ჰქონდა ადგილი, სადაც წიაღისეული, საშენად ვარგისი ქვის ქანების ნაკლებობა იგრძნობოდა, ან ეს ქვები იმდენად დიდ სიღრმეზე იყო, რომ მათი მოპოვება ჭირდა. ჩვენს მიერ აღნიშნული ადგილებიც დაახლოებით ასეთ ზონაში ყოფილა და იქაურ მცხოვრებთ დანაკლისი რიყის ქვით უვსიათ. დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას მტკვარ-ალაზნის შუა და ქვედა წელის მიმართ, სადაც მდინარეთა მიერ უხვად გამოტანილი და გამორიყული ქვები ამ აუზის მოსახლეობის საცხოვრებელ ნაგებობათათვის საჭირო სამშენებლო მასალათა მარაგის კარგ დანამატს შეადგენდა. რაც შეეხება რიყის ქვების წყობის თავისებურ წესს, რომელსაც შუა ქართლსა და გარე კახეთში „წოლა", ქვის წოლით შენების წესი ჰქვია, იგი, მიუხედავად ხსენებულ რაიონში ფართოდ გავრცელებისა, როგორც ჩანს, სხვა რაიონებისთვისაც არ ყოფილა უცხო. ამავე დროს შენების ასეთი წყობა სრულიადაც არ ყოფილა ერთადერთი. პირიქით, ხშირ შემთხვევაში გამოყენებული ჩანს ნორმალური, სწორი წყობა (სტალინირის ნაკარგორა, ურბნისი და სხვ.). თუმცა რიყის ქვას ძველ სამშენებლო ხელოვნებაში ესოდენ ფართო და ხანგრძლივი გამოყენება ჰქონია, მაგრამ ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ საცხოვრებელ ნაგებობათათვის აუცილებელ და შესაძლებელ საშენ მასალათა შორის ჩვენს ბუნებრივ პირობებში უპირატესობა მაინც მოჭრილ ქვას უნდა დასთმობოდა. ეს მართლაც ასე უნდა ყოფილიყო, რისი დამამტკიცებელია არა მარტო ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული ქვის დამუშავების მდიდარი ხალხური წესები, არამედ ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გავრცელებული მეგალითური კულტურის ნიმუშები და, პირველ რიგში, ციკლოპურ ნაგებობათა ნაშთები, რომლებშიაც დღეს თუ არა ხვალ

ბრინჯაო-რკინის პერიოდის ბევრ საცხოვრებელ თუ საკულტო ნაგებობათა კომპლექსის გამოცნობაც გახდება შესაძლებელი. *

თუ მწირია ჩვენს ხელთ არსებული მასალა საკვლევი ხანის საცხოვრებელ ნაგებობათა რაგვარობის შესახებ, საბედნიეროდ, ამას ვერ ვიტყვით იმდროინდელი ადამიანის ისეთ საარსებო საშუალებათა ნაშთების მიმართ, როგორიცაა კერამიკული ნაწარმი, სასოფლო-სამეურნეო იარაღ-ხელსაწყოები, შეიარაღების ატრიბუტები, სამკაულები, ცხენისა და სხვა სასაპალნე თუ გამწევ ცხოველთა აკაზმულობის ელემენტები, სარწმუნოებრივ წარმოდგენებთან დაკავშირებული საგნები და სხვ. ასეთი ხასიათის მასალებს უხვად გვაწვდის ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალზე დღემდე მიკვლეული და ნაწილობრივ მაინც შესწავლილი ნასოფლარი ადგილების კულტურული ფენები, მასობრივი სამაროვნები, მიწაში განძის სახით ჩაფლული უამრავი ნივთები და ა. შ. მათ შორის ამ ხანის დღეისათვის ცნობილი მასალების უდიდეს ნაწილს სამაროვნების ფენებიდან მომდინარე ნივთები შეადგენენ. მაგრამ როდესაც სამაროვნის წიაღიდან გამომზეურებული მასალების ისტორიულ წყაროდ გამოყენება გვწადია, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სამარხები ძლიერ დიდი დაგვიანებით აირეკლავდნენ ადამიანთა რეალურ ცხოვრებასა და სარწმუნოებრივ წარმოდგენებში მომხდარ ცვლილებებს. მით უფრო დარწმუნებით ითქმის ეს იმ წესებისა და რიტუალის შესახებ, რომლებიც მიცვალებულთა დაკრძალვისას სრულდებოდა. დაკრძალვის ამ წესების შესრულებას კი ძველი ხალხების ყოფა-ცხოვრებაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

სამგორისა და თრიალეთის ყორღანები, ისევე როგორც სამთავროს, ღებისა და მათი მსგავსი სამაროვნები, გვიჩვენებენ იმის საუკეთესო მაგალითს, თუ რა საერთო პატივისცემით სარგებლობდნენ ტომისა და გვარის მეთაურთა სამარხები, ან საგვარეულო სამაროვნები. ისინი იმდენად შეუვალ, წმინდა ადგილად ითვლებოდა, რომ მათზე უცხო გვარის წარმომადგენლის დასაფლავება საყოველთაოდ იკრძალებოდა ან გამონაკლის შემთხვევაში თუ დაიშვებოდა.

ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ტ ე რ ი ტ ო რ ი ა ზ ე გვიანი ბრინჯაოსათვის დამახასიათებელი არქეოლოგიური ძეგლები (სამაროვნები, ცალკეული სამარხები, განძები და სხვ.) 50-ზე მეტ პუნქტშია დამოწმებული. მართალია, ამ ადგილთა უმრავლესობა თითო-ოროლა ბრინჯაოს ნივთის ან კერამიკული ნაკეთობის აღმოჩენის მეოხებით გახდა ცნობილი, მაგრამ მეტნაკლებად მრავალრიცხოვანი ნივთებისა თუ მათი ჯგუფების შემცველ პუნქტთა რიცხვიც არ არის უმნიშვნელო. ამ უკანასკნელთაგან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ისეთი მნიშვნელოვანი სამაროვნები, როგორიცაა ს ა მ თ ა ვ რ ო და ა რ მ ა ზ ი ს ხ ე ვ ი (მცხეთაში), დ ვ ა ნ ი და ფ ლ ა ვ ი ს მ ა ნ ი (გორის მახლობლად), დ მ ა ნ ი ს ი, ბ ე შ თ ა შ ე ნ ი (თრიალეთში), ნ ა ვ თ ლ უ ღ ი ს ა და ღ რ მ ა-ღ ე ლ ე ბ ს სამაროვნები (თბილისში), ნ ი ნ ო წ მ ი ნ დ ა, ს ა რ თ ი-ჭ ა ლ ა, ი ყ ა ლ თ ო, ბ ა კ ურ ც ი ხ ე (კახეთში) და მრ. სხვა.

---

* ეს მით უფრო საკარაუდოა, რომ ზოგიერთი ციკლოპური ხასიათის ნაგებობა, რომელთაც მკვლევარნი ადრეენეოლითურ ან ბრინჯაოს ეპოქაში წარმოშობილად თვლიდნენ, უკანასკნელ ხანებში წარმოებული კვლევა-ძიების მიხედვით, ადრეული ფეოდალური ხანისა გამოდგა.

აღნიშნული პუნქტები ნაწილდება აღმოსავლეთ საქართველოს უძველესი კულტურული კერების მიწა-წყალზე. ეს კულტურული კერებია: შ ი დ ა ქ ა რ თ ლ ი, თ რ ი ა ლ ე თ ი და კ ა ხ ე თ-ჰ ე რ ე თ ი ს მიდამოები. ცხადია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ამჟამად ჩვენთვის საინტერესო პერიოდის კულტურული ვითარების წარმოსადგენად საკმარის მასალას აღნიშნული კერების ნივთიერი კულტურის ძეგლების შესწავლა მოგვცემდა. მაგრამ რამდენადაც ყველა ჩამოთვლილ პუნქტში მოპოვებული მასალების აქ გათვალისწინება შეუძლებელია, ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ ყველაზე მდიდარი, მეტყველი და ტიპიური არქეოლოგიური ობიექტების აღწერა დახასიათებით და მეორე-მესამეხარისხოვანი მასალები მხოლოდ იმ შემთხვევაში მოვიშველიოთ, როდესაც ამას სურათის სრულად წარმოდგენის საჭიროება მოითხოვს.

ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებულ კერებს შორის შ ი დ ა ქ ა რ თ ლ ი ძველი საქართველოს ერთერთ უმნიშვნელოვანეს კულტურულ პროვინციას წარმოადგენდა. იგი, რომელიც ქართულ ისტორიულ წყაროებში შ ი დ ა ს ო ფ ლ ი ს სახელითაც არის მოხსენებული, ისაზღვრებოდა: აღმოსავლეთიდან არაგვის მარჯვენა ნაპირით, ჩრდილოეთიდან ჩრდილოეთ ოსეთითა და დვალეთით, დასავლეთიდან ლიხის მთებით, ხოლო სამხრეთიდან ბაკურიანის და თორის, არჯევან-თრიალეთისა და სათოვლე მთებით. მაშასადამე, ეს მიწა-წყალი განვრცობილი იყო არაგვის, ქსნის, ლიახვის და მტკვრის შუაწელის ხეობებზე და შეიცავდა ისეთ მნიშვნელოვან ისტორიულ პროვინციებსა და დაბა-ქალაქებს, როგორიც იყვნენ მთიულეთ-გუდამაყარი, დღევანდელი სამხრეთ ოსეთის ტერიტორია, თორი, მცხეთა, არმაზი, კასპი, უფლისციხე, გორი, რუის-ურბნისი, სურამი და სხვ.

აღნიშნულ პუნქტთაგან შეტ-ნაკლებად სრულად მცხეთა-არმაზის მიდამოები არის შესწავლილი. მაგრამ ამ პუნქტთაგან ჯერჯერობით მხოლოდ სამთავროსა და არმაზისხევშია მიკვლეული გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები.

სამთავროს სამაროვნის წიაღში მოპოვებული ნივთიერი კულტურის ძეგლები, რომლებიც ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებსა და ახ. წ. IX ს. შორის მოქცეულ 2500 წლიან პერიოდს მოიცავს, უაღრესად მნიშვნელოვან ისტორიულ წყაროს წარმოადგენს ქართველი ხალხის წარსულის შესასწავლად. კერძოდ ისინი ძვირფას მასალას გვაწვდიან ხალხის საშინაო ყოფის, ეკონომიური მდგომარეობის, მისი სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებისა და კულტურული დონის, მეზობელ ქვეყნებთან და ხალხებთან საომარი ან მშვიდობიანი სავაჭრო-ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის საკითხების გასათვალისწინებლად.

სამთავროს სამაროვანზე ჩვენთვის ახლა საინტერესო ხანისათვის ორი ტიპის სამარხია ცნობილი:

ა) ყ ო რ ღ ა ნ უ ლ ი ს ა მ ა რ ხ ე ბ ი შუა ბრინჯაოს ხანისა, დაახლ. ძვ. წ. XVI—XIV სს.;

ბ) ო რ მ ო ს ა მ ა რ ხ ე ბ ი გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანისა, დაახლ. ძვ. წ. XIII—V სს.

სამაროვნის ვერტიკალური ჭრილების შესწავლამ გამოარკვია, რომ სხვადასხვა ტიპის სამარხები, ხნოვანებისდა შესაბამისად, სხვადასხვა სიღრმეზე იმ-

ყოფებიან და ხშირ შემთხვევაში ერთიმეორეს კიდეც ჰფარავენ. მათ შორის ორმოსამარხებს ამ ჭრილის ქვედა ჰორიზონტი უჭირავთ და ამგვარად ისინი სამთავროს „მრავალსართულიანი“ სამაროვნის პირველ საფეხურს, თავისებურ ქვედა სართულს შეადგენენ.

ორმოსამარხთა საერთო რაოდენობიდან ერთი, შედარებით მცირე ჯგუფი საკუთრივ გვიანი ბრინჯაოს ხანისაა (დაახლ. ძვ. წ. XIII—XI სს.), მეორე ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალ ხანას (ძვ. წ. XI—X სს.) ეკუთვნის, ხოლო მესამე, ყველაზე რიცხვმრავალი ჯგუფის სამარხები ადრეული რკინის ხანაზე (ძვ. წ. IX—V სს.) მოდის. აღსანიშნავია, რომ სტრატიგრაფიული განსხვავება ამ ჯგუფთა სამარხებს შიგნითაც შეიმჩნეოდა: პირველი ჯგუფის სამარხები შედარებით უფრო ღრმად იყო ჩაფლული მიწაში, ვიდრე მეორე და მესამე ჯგუფისანი.

ორმოსამარხები აღნაგობით მეტ-ნაკლებად სწორკუთხოვანი მოყვანილობის, სხვადასხვა ზომის (1,2×0,6—2,0×1,8 მ), ორმოებს წარმოადგენენ. სამარხთა უმრავლესობა დამხრობილი იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, რაც სამარხში დაკრძალულ მიცვალებულთა დამხრობას შეესაბამებოდა; დანარჩენებისათვის დამახასიათებელი იყო ან ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, ან პირუკუ დამხრობა; იყო აგრეთვე შუალედ მხარეთა მიხედვით დამხრობის შემთხვევებიც, თუმცა იშვიათად. სამარხები თავის დროზე ძელებითა და ქვაფენილით უნდა ყოფილიყო გადახურული და შემდეგ მიწით მოზვინული, ისე რომ თითოეული ორმოსამარხი გარეგნული მოყვანილობით, შესაძლებელია, პატარა ბორცვსაც კი მიაგავდა. სამარხთა დიდი უმრავლესობა (65%) მიწის ასეთ უბრალო ორმოშია მოწყობილი. დანარჩენისათვის კი დამახასიათებელია სამარხის პირზე რიყის ქვების სწორკუთხოვანი ერთპირი წყობა და ასეთივე, ზოგჯერ ნაგლეჯი ქვის წრიულად, ოვალურად ან სწორკუთხოვნად შემოწყობა ორმოს ძირზე; ბევრს ზემოდან ქვაყრილი ჰქონდა, ზოგიერთს კი ფილაქვა ეხურა. ძალიან ხშირად მიცვალებული ოთხ რიყის ქვას შორის იყო მოთავსებული. დადასტურებულია, რომ სამარხთა ორმოების ფილაქვით გადახურვა უძველესი ფენის სამარხებისათვის არ ყოფილა დამახასიათებელი; ეს წესი პირველად გარდამავალ ხანაში შემოსულა, ხოლო გვიანი ხანის სამარხებში საკმაოდ გავრცელებული ჩანს. ქვისსამარხის მსგავსი ნაგებობის პირველი ნიშნები მეორე (გარდამავალი ხანის) ფენაში გვაქვს, ხოლო მესამე (რკინის ხანის) ფენაში შედარებით ხშირია. ეს გარემოება თითქოს საფუძველს გვაძლევს სამარხისათვის საჭირო დიდი ფილაქვების მოპრა, გათლა და გადმოტანა აქ ძირითადად რკინის ხელსაწყო-იარაღების შემოღებასა და მათ ფართო გამოყენებას დავუკავშიროთ. ქვაფენილიან-ფილაქვიან ან სხვა რომელიმე დამატებითი ნიშნით დახასიათებულ სამარხთაგან გაცილებით მეტი რაოდენობა მამაკაცთა სამარხებზე მოდის. ადვილი საფიქრებელია, ეს გარემოება სამეურნეო და სოციალურ ცხოვრებაში მამაკაცთა მზარდი როლის ანარეკლს წარმოადგენდეს. იქნებ ამასვე მიუთითებდეს ის გარემოება, რომ მესამე ფენაში აღმოჩენილი ქვისსამარხები მხოლოდ მამაკაცთა განსასვენებლად არის გამოყენებული, ხოლო ქალთათვის არც ერთი.

ორმოსამარხთა დიდი უმეტესობა ინდივიდუალურია, ე. ი. თითო ადამიანისათვის არის განკუთვნილი, მაგრამ არის კოლექტიური სამარხებიც, რომლებიც შეიცავენ ორს, სამს და მეტ ჩონჩხსაც. მაგალითად, სამთავროში გათხრილ ერთ-

ერთ სამარხში 33 ადამიანი იყო დაკრძალული. ნიშანდობლივია, რომ კოლექტიურ სამარხთა რაოდენობა, ფენებისდა მიხედვით, თანდათან მატულობს. ამასთანავე ზოგჯერ შეიმჩნევა თანჩატანებული ინვენტარის დაკრძალულთა შორის არათანაბარი განაწილება. ყველა კოლექტიური სამარხის წარმოშობის მიზეზის ახსნა შეუძლებელი ხდება. შესაძლებელია, ზოგიერთი თანადამარხვა (მაგ., წყვილისა) ცოლქმრული დამოკიდებულებით აიხსნას, ზოგის წარმოშობა კი (მაგ., ზემოხსენებული 33 ჩონჩხის შემცველი საფლავისა) ეპიდემიას ან რომელიმე სოციალურ უბედურებას დავუკავშიროთ, ხოლო იმ საზიარო სამარხთა წარმოქმნა, რომლებშიაც სამარხეული ინვენტარის განაწილება დაკრძალულთა შორის თითქოს ცხადს ხდის მათს სხვადასხვა ქონებრივ შესაძლებლობას სიცოცხლეში, ვარაუდით მივაწეროთ აქაურ მოსახლეობაში ოჯახური, პატრიარქატული მონობის გაჩენა-განვითარებას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ტიპის სამარხთა შესწავლა საშუალებას გვაძლევს მიახლოებით მაინც წარმოვიდგინოთ, თუ როგორ აირეკლებოდა დაკრძალვასთან დაკავშირებულ რიტუალში გვარსა და ოჯახში ამა თუ იმ პირის გაბატონებული მდგომარეობა. ეს გარემოება კი გარკვევით მიგვითითებს იმაზე, რომ წინარეანტიკური ხანის მცხეთის მოსახლეობაში უკვე საქმე გვაქვს კლასობრივად ერთიმეორისადმი დაპირისპირებული სოციალური ფენების არსებობასთან, რასაც ქვემოთ, სამარხეული ინვენტარის განხილვისას, უფრო აშკარად დავინახავთ.

სამთავროს ყველა სამარხი ინჰუმაციურია, ე. ი. იმდროინდელი მცხეთის მოსახლეობისათვის ცხედრის მიწისთვის მიბარება ყოფილა დამახასიათებელი. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ე. წ. კენოტაფები ანუ სამახსოვრო, დაუსწრებელი სამარხები, რომელთაც ჭირისუფლები ადამიანის უცხო მხარეში დაღუპვის ან უკვალოდ დაკარგვის შემთხვევაში ამ უკანასკნელის მოსაგონებლად გამართავდნენ ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ კენოტაფებში ჩონჩხი არ არის, ისინი სამარხეული ინვენტარის, მიცვალებულთა საიმქვეყნიო საგზლის ერთგვარი სიუხვითაც კი გამოირჩევიან. სამთავროში ამათ გვერდით ისეთი სამარხებიცაა, რომლებშიაც მიცვალებულნი მეორედ ყოფილან დასაფლავებული, ე. ი. გავრცელებული ყოფილა (თუმცა არც ძალიან) სხვაგან გარდაცვალებული ან კიდევ ადრე სხვა წესით დაკრძალული ადამიანის გადმოსვენება და მეორედ დაკრძალვა. ამ წესს მეორადი დაკრძალვის წესს უწოდებენ. ასეთი დაკრძალვის დროსაც მდიდარ სამარხეულ ავლა-დიდებასთან გვაქვს საქმე.

ინჰუმაციურ სამარხებში მიცვალებული მოთავსებულია გვერდზე მწოლარე, ფეხებმოკეცით. არის თითო-ოროლა შემთხვევა მიცვალებულის ზურგზე, კიდურებგაშოტილად მოთავსებისა, მაგრამ გაბატონებული მაინც- პირველად აღნიშნული, კიდურებმოხრილად, მწყემსურად („მეცხორულად") დასვენების წესია, გვხვდება თავისუფლად, ოდნავ ან, იშვიათად, მკვეთრად მოხრილი ჩონჩხები. მამაკაცები მარჯვენა გვერდზე დასვენებული უმარხავთ, დედაკაცები კი — მარცხენაზე. ამასთანავე მამაკაცებს თითქმის ყოველთვის ახლავთ ბრონზა-საჭურველი და კერამიკული ნაწარმი, სამკაული კი ყოველთვის შეიძლება არც იყოს, მაშინ, როდესაც დედაკაცებისათვის მხოლოდ სამკაული და

თიხის ჭურჭლეული არის დამახასიათებელი. თითო-ოროლა გამონაკლისი აქაც გვაქვს, მაგრამ იგი, ცხადია, საერთო წესს არ ცვლის.

რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, თუ როგორი რწმენით ხელმძღვანელობდნენ ადამიანები, როდესაც სხვადასხვა სქესის მიცვალებულთ სხვადასხვა გვერდზე მოასვენებდნენ სამარხში, იგი ჯერჯერობით გადაუჭრელი რჩება. სამთავროს ორმოსამარხებში დადასტურებული დაკრძალვის წესი არ არის უჩვეულო, მარტო ერთი ეთნიკური ჯგუფისათვის დამახასიათებელი მოვლენა. იგი საყოველთაოდ გავრცელებული იყო სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ხალხებში. მოკუნტულ ჩონჩხებს ვხედებით როგორც ქვის ხანის ერთეულ სამარხებში, ისე განსაკუთრებით ბრინჯაო-რკინის ხანის მასობრივ სამაროვნებში, სადაც ეს წესი ფართო გავრცელებას პოულობს საზოგადოების განვითარების გვაროვნულ საფეხურზე. ამ მხრივ სამთავროს უამრავი პარალელი მოეპოვება თვით კავკასიასა და საქართველოში (ყობანი, მოზდოკის სამაროვანი, რედკინლაგერი, ტალიში, ახტალა, ყალაქენდი, ყარაბულახი, გოგჩა, ბაკურციხე, ბეშთაშენი, დვანი, ფლავისმანი, ღები და სხვ.). როგორც დაკვირვება მოწმობს, დამარხვის ეს ჩვეულება განსაკუთრებით დამახასიათებელი ჩანს პატრიარქატული პერიოდის მესაქონლე ტომებისათვის. მართლაც, ამ პერიოდის სამარხებში აღმოჩენილ მოხრილ ჩონჩხთა მდებარეობა ძალიან მიგაგავს ღია ცის ქვეშ დროებით წამოწოლილი, დასვენებული მწყემსის შესახედაობას. თუ გავიხსენებთ, რომ ამ სახით დასაფლავებას საქართველოს მთიანეთის ზოგიერთ რაიონში დღესაც კი მწყემსურად, „მეცხორულად" დასაფლავებას უწოდებენ, მაშინ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოხრილად დაკრძალვის მიზეზი უნდა ყოფილიყო ჭირისუფალთა მისწრაფება წარმოედგინათ მიცვალებული — ოჯახისა და გვარის განუყრელი წევრი — ცოცხალი ადამიანისათვის დამახასიათებელი (ამ შემთხვევაში მოსვენებული, მძინარე ადამიანის) სახით.

ორმოსამარხებში მიცვალებულთათვის საგზლად შინაურ და გარეულ ცხოველთა ხორცის ჩატანების წესი, ისევე როგორც სხვაგან, სამთავროშიაც საყოველთაოდ აღიარებული ყოფილა. ასე მაგალითად, აქ ვხვდებით: ცხვრის, თხის, ღორის, ტახის, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (ხარის, ძროხის, კამეჩის), ცხენის, კურდღლის, ირმის, ფრინველის და სხვ. ძვლებს. დადასტურებულია ძაღლის და თევზის ძვალთა აღმოჩენის ფაქტიც. ამასთანავე საკმაოდ ხშირი იყო მთლიანი ჩონჩხებიც, განსაკუთრებით ცხვრისა და თხისა, ხოლო იშვიათად — ღორისა. ერთერთ სამარხში ხარის თავ-ფეხის აღმოჩენა გვავარაუდებინებს, რომ საქონლის ხორცი ქელეხს მოხმარდა, ხოლო თავ-ფეხი და მთელი ტყავ მიცვალებულს საფლავში ჩაატანეს.

ორმოსამარხებში აღმოჩენილი ცხოველთა ძვლოვანი მასალის შესწავლა გვიჩვენებს იმ დიდ აღმავლობას სამეურნეო განვითარებაში და, კერძოდ, მ ე - ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ა შ ი, რომლისთვისაც ამ ხანის მცხეთის მოსახლეობას მიუღწევია უპირველეს ყოვლისა, სავსებით აშკარად ჩანს მ ო ნ ა დ ი რ ე ო ბ ი ს მესამე-მეოთხეხარისხოვანი როლი, რომელსაც იგი ჯერ კიდევ ასრულებს ადამიანთა სამეურნეო ცხოვრებაში. ამის დამადასტურებელია გარეულ ცხოველთა (ირმის, ტახის, კურდღლის და სხვ.) ძვლების მცირერიცხოვნება. ეს უკანასკნელი ოთხჯერ უფრო ნაკლებია შინაურ ცხოველთა ძვლებთან შედარებით.

მონადირეობის როლის პროგრესული შემცირება პირდაპირი შედეგი უნდა ყოფილიყო, ერთის მხრივ, მსხვილ და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის გამრავლების, მისი პროდუქტიულობის ამაღლებისა, და საერთოდ, მესაქონლეობის ინტენსიური განვითარებისა, ხოლო მეორეს მხრივ, მიწათმოქმედებაში მოსახლეობის სულ უფრო ფართო მასების ჩაბმისა.

შინაურ ცხოველთა ცალკეული სახეების მოშენება-გამრავლების დინამიკა გვაუწყებს, რომ ცხვრის მოშენება საკუთრივ ადრეული რკინის ხანისათვის (ძვ. წ. IX—VI სს), გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპთან შედარებით, გადიდებულია თითქმის 5 ჯერ, ღორის მოშენება—12 ჯერ, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა — 13 ჯერ, ხოლო ცხენისა — 4 ჯერ. მეურნეობის ამ დარგის ასეთი სწრაფი განვითარება შესაბამის გამოხატულებას პოულობს სამარხეულ ინვენტარში. ასე მაგალითად, ცხვრისა და თხის ძვლებს შეიცავს: გვიანი ბრინჯაოს ხანის ნეკროპოლის სამარხების ერთ მესამედზე ნაკლები, ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალი ხანის ერთი მესამედი, ხოლო ადრეული რკინის ხანის სამარხების ნახევარზე ცოტა ნაკლები, რამდენადმე უფრო დაბალი მაჩვენებელი გვაქვს სამარხეულ ინვენტარში, მახვილფეხა რქოსანი პირუტყვის გავრცელების მხრივ.

აღმოსავლეთ საქართველოს ამ დროის სამაროვნებში, საერთოდ, და სამთავროს ორმოსამარხებში, კერძოდ, აღმოჩენილია დიდძალი ნივთიერი მასალა, რომელსაც სამარხეული ინვენტარი ეწოდება.

დანიშნულებისა და მოხმარება-გამოყენების ხასიათის მიხედვით მთელი ეს სამარხეული ინვენტარი შეიძლება შემდეგ ჯგუფებად დაიყოს: 1. ჭურჭლეული, 2. იარაღ-საჭურველი, 3. სამკაული, 4. საყოფაცხოვრებო და შინამოსაქმეობის საგნები, 5. ხელოვნებისა და საკულტო საგნები და სხვ.

თითოეული ეს ჯგუფი თავის მხრივ მასალის, სახეობისა და გამოყენების ხასიათის მიხედვით, იყოფა ქვეჯგუფებად. ასე მაგალითად, პირველი ჯგუფის ინვენტარი — ჭურჭლეული გვაქვს თიხის, ლითონის და ქვისა. ქვისა მხოლოდ რამდენიმე ჭურჭელი მოგვეპოვება (პატარა სანაყები, ჭრაქი და სხვ.) და მათ სამარხეული ინვენტარის ხასიათის განსაზღვრისას არსებითი მნიშვნელობა არ მიენიჭება. იგი უფრო ნამოსახლარი ადგილების კულტურული ფენისათვის არის დამახასიათებელი. ლითონის ჭურჭელთაგანაც სამთავროს ამ დროის სამარხებში მხოლოდ ორი ცალია აღმოჩენილი (თუმცა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ლითონის ჭურჭლეული გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის სამარხებში და განძებში საკმაოდ გავრცელებული ჩანს). ეს არის ერთერთი წარჩინებული პირის (მამაკაცის) სამარხიდან ამოღებული ბრინჯაოს ორყურიანი სარწყული ან იქნებ ქვაბი და პირფართო, წელში გამოყვანილი ბრინჯაოსავე სასმისი. ისინი ბრინჯაოს თხელი, ნაჭედი, გაწელილი ფურცლებისაგან არის ნაკეთები. ქვაბი ორი, ერთიმეორეზე გადაჭედილი და მარჭვლებით დაკვერილ-დამაგრებული ფურცლისაგან არის შედგენილი, ხოლო სასმისი ნაკეთები ჩანს ერთი ფურცლისაგან, რომელიც გრდემლზე თუ სხვა საგანგებო სამარჯვზე უნდა იყოს გამოკვერილი. ამ ნაკეთობათა ცალობრიობა უკვე გან-

საზღვრავს იმ ადგილს, რომელიც მათ სამთავროს ჭურჭლეულის ტიპობრივ შემადგენლობაში უჭირავთ.

საერთოდ, სამთავროს ორმოსამარხთა ინვენტარისა და, კერძოდ, ჭურჭლეულის ჯგუფის ყველაზე მრავალრიცხოვანი და მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი თიხის ჭურჭელია.

დამუშავებისა და გარეგნული ნიშნების მიხედვით თიხის ჭურჭლეულში შეიძლება გამოიყოს სამი ჯგუფი:

1. შავპრიალა და რუხ-მქრქალი ზედაპირიანი, მოშავო და ნაცრისფერკეციანი ნაირმოყვანილობისა და სიდიდის ჭურჭელი; იგი ჩარხზეა ჩამოყალიბებული და უხვადაა შემკული რელიეფურ-ნაძერწი, ნაჭდევი, ამოკაწრული და ნატვიფრავი სახეებით. ეს ყველაზე დიდი, მრავალრიცხოვანი ჯგუფია;

2. ლეგა, მოყვითალო-ჩალისფერი, ზედაპირხაოიანი ჭურჭელი. იგი უმორგვოდაა ნაძერწი და ამიტომ არათანაბარი პროპორციების მქონეა; ზოგიერთი მათგანი შემკულია ამობურცულ-გრეხილური სახეებით. ეს მცირერიცხოვანი ჯგუფია;

3. მუქ-მწვანედ და მოყვითალო-მიხაკისფრად მოჭიქულ ჭურჭელთა ჯგუფი. იგი ჩარხზეა დაყალიბებული და მერე ჭიქურგადავლებული. ჭიქური ამჟამად გამოხუნებულია და ჭურჭელი მონაცრისფრო-სადაფისფრად გამოიყურება. ზოგ მათგანს მოშავო-მონაცრისფრო, ზოგსაც წითელი კეცი აქვს. ასეთი სულ 8 ჭურჭელია აღმოჩენილი: ერთი წელში გამოყვანილი ჭიქისებრი სასმისია, ხოლო შვიდი ცალყურა და ქუსლიანი, კოხტა, პაწია ფინჯნისებრი ჭურჭელი, რომლებიც აგრეთვე სასმისად უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

სახეობის მიხედვით მთელი სამთავროს ჭურჭელი შეიძლება დაიყოს შემდეგ ტიპებად: ლანგარი, თეფში, ჯამი (ტაბ. XV, 1), სამარილე, კოკა, გოზაური, დოქი, ხელადა (ტაბ. XVI, 2, 4; ტაბ. XVII, 2, 3), ტოლჩა, ჭიქლა, ფინჯანი (ტაბ. XVI, 1), ფიალა, თასი, ქოცო, დერგი (ტაბ. XV, 3; XVII, 1), ქილა (ტაბ. XV, 5; XVII, 4), ქოთანი, კოჭობი, კათხა (ტაბ. XV, 2) და სხვ. გარდა ამისა, გვხვდება ისეთი იშვიათი ფორმა-მოყვანილობის ჭურჭლები, როგორიცაა, მათარა, ქოცუკა, ორმუცლიანი კოჭობი და სხვ. ორიოდე ფიგურული ჭურჭლის ფრაგმენტებიც იყო დადასტურებული (ამ სახეობათაგან ზოგიერთი მათგანის სურათი მოთავსებულია XV—XVII ტაბულებზე).

ჭურჭლეულის ჩამოთვლილ სახეობათაგან, მოხმარება-დანიშნულების მიხედვით, შემდეგი ძირითადი ჯგუფები გამოიყოფა:

I. სუფრის ჭურჭელი. ა) მშრალი და წვნიანი შეჭამადისათვის განკუთვნილი: ლანგარი, თეფში, ჯამი, ბადია, სამარილე და სხვა, ბ) სითხის (წყლის, რძის, ღვინის, ლუდის და მისთ.) ჩამოსახმელ-დასასხმელი ჭურჭელი: კოკა, გოზაური, დოქი, ხელადა, ტოლჩა (თუნგების ჯგუფი), ჭიქლა, ფინჯანი, ფიალა, თასი (სასმისების ჯგუფი);

II. სანოვაგის (ყველის, ერბოს, ხაჭოს, ქონის, დამარილებული ხორცეულის და თევზეულის, წნილის, თაფლის და მისთ.) შესანახავი ჭურჭელი: ქოცო, დერგი, ქილა და სხვ.

1

2

3



4

III. ს ა მ ზ ა რ ე უ ლ ო (სადუღარი) ჭურჭელი: ქოთანი, ქვაბ-ქოთანი, კოჭობი და სხვ.

IV. რძის პროდუქტებისათვის განკუთვნილი ჭურჭელი: საწველელი, საწურავი, სადღვებელი და სხვ.

პირველი სამი ჯგუფის შესახებ უნდა ითქვას, რომ ერთი და იგივე ტიპოლოგიური ჯგუფის ჭურჭელს ნაკლებად ან სულ არ ეკისრება სხვა ტიპოლოგიური ჯგუფის ჭურჭელთა ფუნქციის შესრულება. ცხადია, რომ გოზაური, დოქი, ხელადა და მისთ. ისეთი ტიპის ჭურჭლებია, რომლებიდანაც ჩვეულებრივ უნდა გადმოისხას და სასმისებში (ფიალებსა, ფინჯნებსა და თასებში) განაწილდეს თხიერი ნივთიერება; ასევე ვერ შეასრულებენ ისინი სადუღარი ჭურჭლის მოვალეობასაც, რაც ქოთანსა და მის ქვესახეობათა ჭურჭლეულს აქვს დაკისრებული. იგივე არ შეიძლება ითქვას IV ჯგუფში გაერთიანებული ჭურჭლეულის (საწველელი, საწურავი, სადღვებელი) შესახებ. საერთოდაც მეტად საინტერესო და სამთავროს შავ და რუხ-პრიალა ჭურჭლეულში გამორჩეული სადღვებლის ეს სახეობა ტიპოლოგიურად წარმოადგენს სალეველის შესანახად განკუთვნილ ქილათა ქვესახეობას, რომლისგან იგი შედარებით ვიწრო ყელით, ჰორიზონტალური ყურით და მხარ-მუცლის საზღვარზე დატანებული ჭიპისებრი სასულე ნახვრეტით განსხვავდება. საწურავი ტიპოლოგიურად იგივეა, რაც I ჯგუფისეული ღრმა ჯამი, ოღონდ ძირდაჩვრეტილი. ხოლო საწველელ ჭურჭელში ადვილად გამოიცნობა ჩვეულებრივი ქილები, რომელთაც პირი ჩვეულებრივზე უფრო ფართო აქვთ ხოლმე.

ზემოთ აღნიშნული ოთხი ჯგუფის გარდა, ამავე ნიშნის მიხედვით, სამთავროს ჭურჭელში შეიძლება გამოიყოს შემდეგი ოთხი დამატებითი, მცირერიცხოვანი ჯგუფი:

V. ს ა გ ზ ა ო (სათანაო) ჭურჭელი: მათარა, ზოგიერთი კოჭობი და სასმისი, რომლებსაც მხრებზე დაძერწილ კორძებსა და შვერილებში, ან უშუალოდ კორპუსში, ყელის მახლობლად ზონარისათვის საგანგებო ნახვრეტები აქვთ დატანებული;

VI. ფ ი გ ურ ულ ი ჭურჭელი; წარმოდგენილია ირმის (?) და შეკაზმული ცხენის გამომხატველი არასრული ჭურჭლებით. საფიქრებელია, ისინი სასმისს წარმოადგენდნენ.

VII. ს ა ბ ა ვ შ ვ ო-ს ა თ ა მ ა შ ო ჭურჭელი; აქ შედის ქოცუკები, მინიატურული ქვევრის მსგავსი ჭურჭელი — 3 ც. შავად გაპრიალებული და ძირჩაკიწროებული. აქვეა ჩანჩხურები — შავპრიალა თიხის პაწია ბურთობები, ერთი ღიაა, მეორე დახურული და შიგ საჩანჩხურო კენჭებია ჩაყრილი;

VIII. ს ა კ უ ლ ტ ო დანიშნულების ჭურჭელი; ამ ჯგუფში შედის ო რ მ უ ც ლ ი ა ნ (ორსართულიანი), სახურავიანი, შავპრიალა ზედაპირიანი ჭურჭელი. მასზე დაძერწილია გველის რელიეფური გამოსახულება, რომელიც თითქოს მიისწრაფის ჭურჭელში ჩასაძრომად (ტაბ. XVI, 3). ს ა კ ვ ა მ ლ ე ბ ე ლ ი ჭურჭელი, რომელიც ორმაგპირიან შავპრიალა ქილას წარმოადგენს; შიგნითა პირის გვერდები სამკუთხოვნად აქვს დაფანჯრული. ამავე ჯგუფში ერთიანდება ს ა რ კ მ ლ ი ა ნ ჭურჭელთა სერია. ესენი წარმოადგენენ შავპრიალა ზედაპირიან, ცალყურა და კოხტაქუსლიან ჭურჭლებს. ტიპოლოგიურად ისინი ძა-

ლიან მიაგვანან მოჭიქულ ზედაპირიან ფინჯნისებრ სასმისებს, ოღონდ სარკმ-ლიანები უფრო დიდებია. მათთვის დამახასიათებელია სარკმელი, რომელსაც ჭურჭლის ძირში ჩადგმული ობსიდიანის ანატკეცი ქმნის. ამ ჭურჭელთაგან ზო-გიერთს ძირის სარკმელს გარდა გვერდითი სარკმლებიც აქვთ ჭურჭლის მხარ-მუცლის საზღვარზე წრიულად განლაგებული ასეთივე გამჭვირვალე ობსიდია-ნის ანატკეცების სახით. სამთავროს ჭურჭელთა ეს მეტად საინტერესო სერია იმითაც არის შესანიშნავი, რომ ყოველი მათგანი შემკულია სამკუთხოვნად ნაკაწრ-ნაჭდევი სახეებით, რომლებიც სიმეტრიულად და ერთიმეორის მიყოლე-ბით არის გაწყობილი ჭურჭლის მხარ-მუცლის საზღვარზე.

თითო მიცვალებულს საშუალოდ 3-7 ჭურჭელი ახლავს, თუმცა 9-12 ჭურ-ჭლის ჩატანების შემთხვევებიც საკმაოდ ხშირია. უმთავრესად კი მიცვალებულს ატანდნენ „ერთ ხელ ჭურჭელს" (მაგ., ლანგარი, ჯამი, დერგი, ქილა, ხელადა, ფინჯანი, თასი და სხვ.).

გვიანი ბრინჯაოს ადრეულ ეტაპზე ვხვდებით ჭურჭელთა რაოდენობრივ სიმცირეს და მათი ზედაპირის შემკულობის ერთგვარ სიღარიბეს. ბრინჯაო-რკინისა და საკუთრივ ადრეული რკინის ხანაში კი უფრო მრავალრიცხოვანი, ნაირსახოვანი და უფრო მდიდრულად შემკული ხდება, რაც თავის მხრივ, სა-ფიქრებელია, ჭურჭლის სერიული დამზადების დანერგვას იწვევდა.

სამთავროს ჭურჭლეულის დასამზადებლად გამოყენებულია კარგი ხარის-ხის ადგილობრივი თიხა. ჭურჭლეულის დიდი უმრავლესობა კერამიკულ მორგვ-ზეა ნაკეთები; ჭურჭლის ჩარხზე ამოყვანა-დაყალიბების აქ დადასტურებული მაღალი დონე ამ დროისათვის უკვე მეჭურჭლე-ოსტატის მიერ ფეხით მოძ-რავი ჩარხის გამოყენებას გვავარაუდებინებს. დახელოვნებული ყოფილან აქა-ური მეჭურჭლენი აგრეთვე ჭურჭლის გამოწვაშიაც. თავიანთი ნაწარმის კეცი-სა და ზედაპირის სიმუქეს, ხშირად სიშავეს, როგორც ირკვევა, გამოწვამდე და წვის პროცესში პროდუქციის ორგზის შებოლვის გზით აღწევდნენ. შემდეგ ზედაპირს ფისს ან ცვილს (იქნებ ორთავეს ერთად) უსვამდნენ და ბეწვიანი ტყა-ვით, ხის, ძვლის და ქვის საკრიალებელი ხელსაწყოებით ჭურჭელს მთლიანად ან ნაწილობრივ ბრწყინავი ზედაპირის შექმნამდე აკრიალებდნენ. ასევე სა-განგებო ინსტრუმენტებით გამოჰყავდათ ნაწარმის ზედაპირზე პრიალა გეო-მეტრიული სახეები: სწორი, ტეხილი თუ კლაკნილი ხაზები, კონცენტრული და პარალელური ღარები, სამკუთხედები, რომბები, ბადეები და ა. შ. კიდევ უფ-რო ხშირია ჭურჭლის მხარ-მუცელზე იგივე სახეები, ოღონდ ამჯერად გამო-წვამდე ნედლი ჭურჭლის ზედაპირზე ამოკაწრვით დატანილი. როგორც ჩანს, ორნამენტების ამოკაწრვა ამ დროის მცხეთაში ჭურჭლის შემკობა-გალამაზების ყველაზე უფრო გავრცელებული და საყვარელი ხერხი ყოფილა. რელიეფურ-ნაძერწი სახეები შედარებით იშვიათია. იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ცხო-ველთა ტანის, თავისა და ყურის გამოსახულებანი. ამ დარგის პროდუქციის მა-სობრიობა, მისი გამოყენება-დანიშნულებისა და სახე-ფორმათა მრავალ-გვარობა გარკვეულ მითითებას გვაძლევს ჩვენთვის საინტერესო პერიოდის მცხეთელ ხელოსანთაგან დახელოვნებულ მეთუნეთა გამოყოფის შესახებ. სამ-თავროს ორმოსამარხებთან დაკავშირებული 2504 ჭურჭლიდან მამაკაცებს ეკუთვნოდათ 1565 ჭურჭელი, ხოლო დედაკაცებს მხოლოდ 939. ნარაღ-საჭურვ-

ლით ამარაგებენ მხოლოდ მამაკაცებს, ხოლო სამკაულებით — დედაკაცებს, აგ-
რეთვე მამაკაცებსაც*. ასეთივე სურათი გვაქვს სამეურნეო იარაღებისა და ში-
ნამოხმარების საგნების განაწილების მხრივაც: ხელოსნობის გარკვეულ დარ-
გებთან (ხითხუროობა, მედურგლეობა, მეხამლეობა, მეღვედეობა, იარაღის
წარმოება და სხვა) დაკავშირებული საგნები: ცული, სატეხი, ღორეჩო, სადგი-
სი, დანა, სალესი ქვა და სხვ. მამაკაცთა სამარხებში ჩნდება, მაშინ როდესაც
რთვა-ქსოვა-კერვისათვის საჭირო ხელსაწყოებს (კვირისტავი, ყაისნაღი, მახა-
თი, ნემსი, პენგელი და სხვ.) უმთავრესად ქალებთან ვხვდებით.

სამთავროელთა იარაღ-საჭურვლის ასორტიმენტი საკმაოდ მდიდარია. თუ-
გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე მამაკაცის „ერთი ხელი იარაღი" შედ-
გებოდა მხოლოდ მოკლე, ფოთლისებრი, ტარშეურჩენელი სატევრის, შუბი-
სა, ან ხელშუბისა, მშვილდისრისა და ირმის რქისგან გამოთლილი ლახტისთა-
ვისაგან, მომდევნო ხანებში ამ სიას ემატება ბრინჯაოს მთლიანადსხმული, სამ-
კუთხა პირიანი სატევრები (ე. წ. კახური ტიპისა), ბრინჯაოს მახვილები და ფა-
რი. ამავე ხანაში ჩნდება შუბის ტარის შესამკობი ბუნიკები, სატევარ-მახვილ-
თა ჩამოსაკიდი სამხარიღლიე რგოლები, ფართო სარტყლები და საიდაყვე
ფირფიტები.

ამ დროის ადამიანთა ცხოვრებაში უაღრესი მნიშვნელობა შეიძინა ცულ-
მა, რომელსაც ადრე სპილენძისაგან ან ბრინჯაოსაგან ამზადებდნენ, ხოლო შემ-
დეგ რკინისგან გამოსჭედდნენ ხოლმე.

გვიანი ბრინჯაოს ადრეულ ეტაპზე გაბატონებული სატევრის პირი
მოკლეა (15-18 სმ), მოყვანილობით ფოთლისებრი, მათი უმრავლესობა ჩამო-
სხმულია, ნაპირები გაწელილ-გამოკვერილი აქვთ, ხოლო ფხა ალესილი (ტაბ.
XVIII, 1-3). უმრავლესობას შუაში ქედი ჩაუყვება, რაც იარაღს მეტ სიმაგრეს
ანიჭებს (ტაბ. XVIII, 1, 2). უფრო ადრეულ ცალებს ქედი არ ეტყობათ (ტაბ.
XVIII, 3). ტარი მათ არ შერჩენიათ. როგორც ჩანს, იგი ხისა ყოფილა, რის გა-
მოც მიწაში დამპალა და დაშლილა. ტარის მიმაგრების მაჩვენებელია ყუნწ-
თან დატანებული 2-3 ნახვრეტი მარჭვლებისათვის. ამ ტიპის იარაღს მალე
გასჩენია ტარიც (ტაბ. XVIII, 2), რომელიც თუმცა ცალკეა ჩამოსხმული, მაგ-
რამ სატევრის პირზე საიმედოდ არის მირჩილულ-შემოკვერილი. ამ იარაღის
დანიშნულება მტრის ახლო მანძილიდან დაზიანება (ვადამდე ჩაცემა, ძგერება)
უნდა ყოფილიყო. უფრო მეტად ახასიათებს ეს უნარი შედგენილ და მთლიანად-
სხმულტარიანი სატევრის ტიპს. იგი უფრო გრძელია (25-40 სმ), სწორმხრე-
ბიანი და განიერი, ძირითადად სამკუთხა მოყვანილობისა, წვეტიანი (ტაბ.
XVIII, 7). ადრეულ ცალთა პირი და ტარი ცალ-ცალკე, ლღობადი მოდელის
ტექნიკით არის ჩამოსხმული და შემდეგ მონტირებული. ნახევარსფეროსებრი
მოყვანილობის კოტის თავი ჭვირულია, სამკუთხედებით დასარკმლული, რომ-
ლებიც ზოგჯერ ხითაა ინკრუსტირებული ან სამსხმელო ქვიშის ბირთვით არის
ამოვსებული. ყველა სატევრის პირს ორსავე მხარეზე ქედის გასწვრივ წვე-
ტამდე წყვილ-წყვილი „სისხლსადინარი" ღარი დაუყვება. სათანადო მასალე-

* როგორც ოშვიათი გამონაკლისი, უნდა აღინიშნოს ქალისათვის იარაღ-საჭურველის გატანების ორიოდე შემთხვევა.

ბის შესწავლა გვიდასტურებს, რომ აღმოს. საქართველოს მეაბჯრენი მალე დაუფლებიან ამ ტიპის სატევრის ერთიან, ტარისა და პირის ერთდროულ, ერთგზის ჩამოსხმას. როგორც ვხედავთ, იგი სატევრის საკმაოდ განვითარებული ტიპია და დროის მიხედვითაც გვიანი ბრინჯაოს ადრეული ეტაპიდან მის განვითარებულ საფეხურზე გარდამავალ ხანას ეკუთვნის. იმის გამო, რომ ასეთ იარაღთა უმეტესობა დღეისათვის კახეთიდანაა ცნობილი, ეს სატევარი სპეციალურ ლიტერატურაში ბრინჯაოს „კახური ტიპის სატევრად" არის სახელდებული. მისი მოხმარება მარტო ქართლ-კახეთით კი არ შემოსაზღვრულა, არამედ იგი მაშინდელი საქართველოს მეზობელ ქვეყნებში (მაგ., ჩრდილო კავკასიაში) გატანის საგნადაც ქცეულა.

აღნიშნული ტიპის სატევრის გვერდით და რამდენადმე მოგვიანებით ვრცელდება შედარებით მოკლე, ვიწროპირიანი და შედგენილტარიანი სატევრები. ამათ კოტის თავი, აგრეთვე დაფანჯრული, უფრო სოკოს მიუგავთ. იგი ცალკეა ჩამოსხმული და შემდეგ არის დამაგრებული ტარის ყუნწზე; ვიწრო მხრების გარშემო ბრინჯაოსივე სალტე არტყიათ, პირი სრულიად სადა და უორნამენტოა, ფხა ალესილი. ტიპოლოგიურად ეს სატევარი შემოგარსულტარიანთა ჯგუფს ეკუთვნის და მომდინარეობს განჯა-ყარაბაღის კულტურული რაიონიდან, რომელიც აღმოსავლეთ ამიერკავკასიური გვიანი ბრინჯაოს კულტურის ერთერთ ლოკალურ ვარიანტს წარმოადგენს.

მომდევნო, საკუთრივ რკინის, ხანაში სატევრების რიცხვი მნიშვნელოვნად მატულობს, მაგრამ ამჯერად ისინი რკინისაგანაა გამოჭედილი, თუმცა ტარი ჯერ კიდევ ბრინჯაოსი შერჩენიათ, ზოგიერთებს კი ძვლის ტარი შეუძენიათ. ბლომად გვხვდება ამ ხანაში, კერძოდ ძვ. წ. VIII — VI სს. სამარხეულ კომპლექსებში, ცალპირლესული რკინის სატევრები, რომელთაც ხშირად ტარმოხრილ დანებსაც უწოდებენ. ზოგიერთი მეცნიერი ამ ტიპის იარაღის ამიერკავკასიაში გავრცელებას ურარტუს ექსპანსიას უკავშირებს. კერძოდ, ბ. პიოტროვსკი, რომელმაც მსგავსი იარაღი კარმირ-ბლურის (ერევნის შახლობლად) ძვ. წ. VII—VI სს. დათარიღებულ ფენაში აღმოაჩინა, ფიქრობს, რომ ეს და ზოგიერთიც სხვა რკინის იარაღი (მაგ., რკინის გრძელი მახვილები) ამიერკავკასიელ შეიარაღეებს ურარტუელი მელითონეებისაგან უნდა ჰქონოდათ გადაღებულიო. ჩვენი ნივთიერი კულტურის განვითარების ისტორია კი გვიჩვენებს, რომ ხსენებული ტიპის იარაღები უხვად უკეთებიათ ჩვენს წინაპრებს ჯერ კიდევ ძვ. წ. VIII — VII საუკუნეებში (მცხეთა, დვანი, ბრილი, სოხუმი და სხვ.). ეს მით უფრო საგულისხმებელია, რომ საამისოდ აუცილებელი ნედლეული ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველოში საკმაოდ მოიპოვებოდა და იმდროისათვისაც ცნობილი უნდა ყოფილიყო.

საძგერებელი იარაღის უფრო განვითარებულ და, შეიძლება ითქვას, სრულყოფილ სახეს მახვილი შეადგენს. საერთოდ, მახვილი შუაბრინჯაოს ხანის მონაპოვარია, და, ცხადია, ბრინჯაოსაგან არის ჩამოსხმულ-გამოკვერილი. როგორც თავის ადგილზე იყო აღნიშნული, საქართველოს მიწა-წყალზედაც ბრინჯაოს მახვილი პირველად შუაბრინჯაოს ხანის ნივთიერი ძეგლების გარეშოცვაში გვხვდება. ესაა სამთავროს ერთერთ ყორღანულ სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს გრძელი (99 სმ) მახვილი, რომელიც სანაქებო ხელობის საძგე-

რებელ-საჩხვლეტ იარაღს წარმოადგენს. მაგრამ, როგორც ვიცით, ბევრ ქარგ. ღირსებასთან ერთად ამ იარაღს ერთი არსებითი ნაკლიც აქვს: იგი მოკლებულია მტკიცე, მაგარ, ლითონის ტარს, რის სანაცვლოდ მის მოკლე უნახვრეტო ყუნწ-ზე ხის ან, უკეთეს შემთხვევაში, ძვლის ტარი უნდა ყოფილიყო დამაგრებული. როგორც ჩანს, საკმარისად დიდმა დრომ განვლო, ვიდრე გვიანი ბრინჯაოს ხა-ნის განვითარებულ საფეხურზე ჩვენი მეაბჯარ-მეიარაღენი ისეთი რთული აღ-ნაგობის ლითონის ტარის ჩამოსხმის ტექნიკას დაეუფლებოდნენ, როგორსაც ამჟამად ჩვენთვის საინტერესო პერიოდის სატევარ-მახვილთა ტარები წარმო-ადგენენ. როგორც ზემოთ დავრწმუნდით, ასეთი ტარი პირველად ჯერ შედგე-ნილტარიან, ხოლო შემდეგ მთლიანადსხმულ, ე. წ. კახური ტიპის სატევრებს გაუჩნდათ. ამით ამოცანა არსებითად უკვე გადაწყვეტილი იყო მახვილისთვი-საც, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არ დაგრძელებული სატევარი. ამ გაუმჯობე-სებულ სატევართა გვერდიგვერდ და, ცოტა შემდგომ, ჩნდება ბრტყელ, მხარ-განიერ მახვილთა ტიპი. იგი მთლიანადსხმულია და აქვს ნახევარსფეროსებრი დასარკმლული თავი, რომელიც თავკომბალა მარჯვლების კუწუბოთი არის შემკული.

სამთავროს მასალების შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი ხდება ბრტყელ მახვილთა ტიპიდან გამოიყოს სამი ქვეტიპი: წვეტიანნი (ტაბ. XVIII, 5), წვერმომრგვალონი და წვერკვეთილნი. ფაქტიურად სწორედ ეს ნიშნებია, რომლებიც ამ ქვეტიპებს ერთიმეორისაგან ასხვავებს, თორემ სხვა მხრივ ისი-ნი ერთიმეორეს თითქმის სტერეოტიპულად იმეორებენ. ასე მაგალითად, ყვე-ლასათვის დამახასიათებელია დაფანჯრული და ოთხი ლურსმნის კუწუბოთი დამთავრებული კოტის თავი; უმრავლეს შემთხვევაში სწორი, განიერი მხრე-ბი, ჩასაბღუჯი ნაწილის ხორკლიანი ზოლებით აღჭურვა (ხელიდან გასხლეტა-დაცურების თავიდან ასაცილებლად); სასისხლე ღარების ამოკაწრვის ერთნაი-რი ტექნიკა; ვადის მომდევნო ნაწილის შემკობა სპირალური, დაკბილული და თევზიფხური სახეებით, ქედის ნაწილისა კი — კლაკნილი ხაზებით. ამასთანავე შემკობის სიმდიდრის მხრივ უფრო გამოირჩევიან წვერკვეთილი მახვილები (ტაბ. XVIII, 4), რომელთა პირზე ხშირად პირისპირ მდგომ ცხოველთა (ირმე-ბის, ძაღლების და სხვ.) ამოკაწრულ გამოსახულებებს ეხვდებით. ამავე ქვეტიპის მახვილთა ბოლოები ზოგჯერ ქედიდან კუთხეებისკენ დამრეცად დაშვებული თევზიფხური ზოლებით არის შემკული. მიუხედავად ასეთი მსგავსებისა, მაინც არის ერთი არსებითი განსხვავება ამ ტიპის მახვილთა ტარის აღნაგობაში: ეს არის წვერკვეთილი მახვილების ტარის აშკარა სიმოკლე წვერმომრგვალო და წვეტიანი მახვილების ტართან შედარებით. აღნიშნული ტიპის მახვილთა წვე-რების სხვადასხვაგვარი მოყვანილობა (წვეტიანობა, წვერის სიმრგვალე, წვერ-კვეთილობა) აშკარად ნაკარნახევი ჩანს იმ მოთხოვნილებებით, რასაც მომხმა-რებელთა წრე ამ ცივ იარაღს უყენებდა. ამის მიხედვით წვეტიანი მახვილი სა-გმირავ-საჩხვლეტი იარაღია, წვერკვეთილი — საჩეხი, ხოლო წვერმომრგვალე-ბული ორთავე ამ ფუნქციის შემთავსებელი. ამასთანავე, წვერკვეთილი მახვი-ლი, როგორც ეს მართებულად აღინიშნა ქართველი არქეოლოგების მიერ, საკ-მაოდ ეფექტური იარაღი უნდა ყოფილიყო ამხედრებულ მოლაშქრე-მეომართა ხელში.

ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან, რკინის თანდათან ათვისებასთან დაკავშირებით, მახვილის განვითარებაშიაც მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება. რკინა იპრება მეტალურგიაში. ამის შედეგად ბრინჯაოს მახვილთა გვერდით შემოდის რკინის მახვილები. ოღონდ ეს კია, რომ მათ ტარი ერთხანს ისევე ბრინჯაოსი შერჩათ. და არა მარტო შერჩათ, არამედ მახვილის ამ არსებითი ნაწილის აღნაგობა-შემკობა ზოგჯერ ვირტუოზული ხელობის ისეთ ნიმუშამდე აღწევს, როგორსაც სამთავროს ერთერთ ორმოსამარხში აღმოჩენილი მახვილის გრეხილ ორნამენტოვანი ორკაპა ტარის მაგალითზე ვხედავთ.

ეს მახვილები, შეიძლება ითქვას, აქაურივე ბრინჯაოს წვეტიანი მახვილების რკინის მასალაში განმეორებას წარმოადგენენ. მაგრამ იგივე აღარ ითქმის რკინის გრძელი მახვილების ერთი ჯგუფის მიმართ, რომელიც თუმცა აქაურ მკვიდრად არ გამოიყურება, მაგრამ ძვ. წ. VIII—VI სს. სამარხეულ ინვენტარში საკმაოდ გაშინაურებული იარაღის ტიპს წარმოადგენს. ესაა რკინის ვიწროპირიანი და წვეტით დაბოლოვებული მახვილები, რომელთა სიგრძე ზოგჯერ 70 სმ აღემატება. აღსანიშნავია, რომ მათ ტარი, უფრო სწორად, ტარის ჩონჩხი, ბრინჯაოსი აქვთ, მაგრამ ჩვენთვის უკვე ცნობილი ტარებისაგან ტიპოლოგიურად სრულიად განსხვავებული. საქმე ისაა, რომ ამ მახვილებს თვით აქვთ რკინისავე გრძელი ყუნწი, რომელზედაც მჭიდროდ შემოგარსულ-შემოქედილია ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი ერთიანი, ან კიდევ, ორი ოთხწახნაგა მასიური ფირფიტისაგან შემდგარი ბრტყელი ტარი. ასეთ მახვილთა უმრავლესობას სამთავროში ვხვდებით ხის ქარქაშში ჩასმულს. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ არა მარტო რკინის, ბრინჯაოს მახვილებიც აღჭურვილი ყოფილან სამხარიღლიე (პორტუპეის) თასმით, რომელიც თავის მხრივ შემკული ყოფილა ბრინჯაოს პაწია ნახევარსფერული კილიტებით. მასვე ჰხლებია დასამოკლებელ-მოსაფონებელი ბლოკისებრი ბალთა, და თასმის წვერების შესაყარი და განსატოტებელი რგოლი, ორთავე ბრინჯაოსი.

დასასრულ, აქვე არის რკინის მახვილთა ერთი ჯგუფი, რომელიც არქეოლოგიურ ლიტერატურაში სკვითურ-ირანული ა კ ი ნ ა კ ე ბ ი ს სახელით არის ცნობილი (ტაბ. XX, 14). ესენი საკმაოდ გრძელი, ვიწროპირიანი, მაგრამ მხრებგანიერი მახვილებია, რომელთაც ვადიდან წვერამდე შესამჩნევად მაღალი ქედი გასდევს, ხოლო თვით ვადაზე პეპელას მოყვანილობის ზედნაშენი დეტალი აქვთ განივად მიმაგრებული. ტარიც რკინისაა და ზოგიერთი მათგანი წრიულ-ორნამენტოვანი ძვლის ფირფიტებით არის შემკული. ეს მახვილი, ისევე როგორც სკვითური ისრისპირები (იხ. ქვემოთ) და ცხენის აკაზმულობის ლითონისა და ძვლის ზოგიერთი სამკაული, რომელთაც სამთავროს ძვ. წ. VII—V სს. სამარხებში ვხვდებით, უნდა წარმოადგენდეს იმ სკვითი მეომრების დანატოვარს, რომლებიც, საფიქრებელია, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ადგილობრივ მხედარმთავართა ლაშქრობაში. მაგრამ, მეორე მხრივ, შესაძლოა, ეს მასალები მოწმობდეს იმ გაცვლა-გამოცვლით ურთიერთობას, რომელიც ოდითგანვე დამყარებული უნდა ყოფილიყო შიდა ქართლის მოსახლეობასა და

ჩრდილოეთ კავკასიის ტომებს შორის. ჩვენის აზრით, ეს მეორე ვარაუდი უფრო სარწმუნოდ გამოიყურება. როგორაც არ უნდა იყოს, არც ერთ აღნიშნულ შემთხვევაში ამ იარაღ-სამკაულის ადგილობრივი წარმოება გამორიცხული მაინც არაა.

იარაღის შემდეგ სახეს შ უ ბ ი წარმოადგენდა (ტაბ. XVIII, 13). იგი პირის მოყვანილობით ძლიერ წააგავს მის თანამედროვე მოკლე, ტარშეურჩენელ სატევრებს. საჩხვლეტი პირი უმთავრესად სამკუთხედის მოყვანილობისაა, იშვიათად კი ალის ენის ფორმისა. უდიდესის სიგრძე 40 სმ აღწევს. უმცირესისა — 10—12 სმ. ადრინდელი ცალები მასრაგახსნილებია, ხოლო ბრინჯაო-რკინისა და საკუთრივ ადრეული რკინის ხანის შუბისპირები მთლიანი, შეკრულმასრიანებია (ტაბ. XX, 11, 12). ორსავ შემთხვევაში იარაღის ჩამოსხმასთან გვაქვს საქმე. ადრინდელ ხანაში გამონაკლისის სახით გვხვდება გამოჭედილი ცალებიც. კარგად შეინიშნება იარაღის გამოჭედვის ნიშნები; საგანგებო, წაგრძელებულ კონუსისებრ სამარჯვეზე მკვრივად შემოუკეცავთ და შემოუკვერავთ ბრინჯაოს საკმაოდ სქელი (3 მმ-მდე) ფირფიტა, რომელიც ფხის ნაწილში საგრძნობლად შეუთხელებიათ და აუელესავთ კიდევაც. თითქმის ყოველ მათგანს მასრის ბოლოში დატანებული აქვს თითო, უფრო ხშირად, წყვილი ნახვრეტი ზროზე ჩასამარჯვლავად. ზოგიერთ მთლიანმასრიან შუბისპირს ნახვრეტების მახლობლად თითო, იშვიათად კი, წყვილი, მცირედ შემაღლებული ლილვაკი გადასდევს.

ზომა-სიდიდის მიხედვით შუბისპირები ორ ჯგუფად იყოფა საკუთრივ შ უ ბ ი ს პ ი რ ე ბ ი და ხ ე ლ შ უ ბ ი ს პ ი რ ე ბ ი. ეს უკანასკნელი სიპატარავისა და ტარის სიმოკლის გამო, ალბათ, ხშირად გამოიყენებოდა როგორც სატყორცნი იარაღი. იშვიათად, მაგრამ ვხვდებით ძალიან დიდ, გრძელ ცალებსაც (40 სმ-მდე). შუბისპირთა დიდი უმრავლესობა სადა, გლუვზედაპირიანია. ძალიან იშვიათად მათ ამკობთ გველის კლაკნილი გამოსახულება ქედის გასწვრივ, ან უფრო ხშირად, წერტილებით ან დამრეცი ხაზებით შევსებული სამკუთხედების წყება მასრის ირგვლივ. რკინის შუბისპირები ფორმა-მოყვანილობის მხრივ თითქმის სრულიად არ განსხვავდებიან ბრინჯაოსებისაგან. დამზადების ხერხის მხრივ კი განსხვავება აშკარად შეინიშნება: რკინის შუბისპირები, გამოჭედილი და კოხტად გამოყვანილია, მასრა, თუმცა ძალიან ვიწროდ, მაგრამ მაინც გახსნილია; ფხაალესილობა, მიუხედავად ლითონის ძლიერი დაჟანგულობისა, მაინც გაირჩევა. ზოგიერთ შუბისპირს მასრის ყელზე მავთულოვანი ან ფურცლოვანი ბრინჯაო აქვს გადაჭერილი უფრო, ალბათ, სილამაზისათვის, ვიდრე სიმაგრისათვის.

როდესაც ბრინჯაო-რკინის ხანის შუბზე ვმსჯელობთ, ცხადია, ჩვენ მხოლოდ შუბისპირების ამარა ვართ; ხის ტარი, როგორც წესი, ჩვენამდე არ შემონახულა გარდა მასრაში ჩარჩენილ-ჩაჟანგული მცირე რამ ნაშთისა. სიმსხო შუბის ტარისა იოლად განისაზღვრება შუბის მასრისა და ტარის ბოლოზე წამოსაცმელი ბუნიკის დიამეტრის მიხედვით, სიგრძეზე კი დაახლოებით წარმოდგენას იძლევა აღნიშნული ნივთების სამარხში დაშორიშორება. თუ ამ ორ ნივთს შორის დარჩენილი მანძილის მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინდელი შუბის სიგრძე ორ მეტრზე მეტი არ უნდა ყოფილიყო.

შუბის ნაირსახეობას წარმოადგენდა, ალბათ, რკინაწამოცმული წვეტიანი ჯოხიც. რკინის ასეთ წვეტანებს ბლომად ვხვდებით ადრეული რკინის ხანის არქეოლოგიურ მასალებში.

შუბთან არის დაკავშირებული ე. წ. ბ უ ნ ი კ ი, რომელსაც სხვაგვარად ს ა თ ი ხ ა რ ს ა ც უწოდებენ. ისიც ბრინჯაოსაგან არის ნაკეთები, წარმოადგენს გუმბათისებრ დაბოლოებულ ცილინდრულ სხეულს, აქვს წყვილი ნახვრეტი მარჭვლებისათვის. მას, ჩვეულებრივ, ტარის ბოლოზე წამოაცმევდნენ ხოლმე. ბუნიკს სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობისას ვხვდებით. მათი ზომები 5—20 სმ მერყეობს. ხშირია კონცენტრული ლილვაკებით, კოპებითა და სხვადასხვა გეომეტრიული სახეებით შემკული ბუნიკები.

ცივ იარაღთაგან შუბი, რამდენადაც მას დაგრძელებული მახვილის ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული, ერთი ძლიერ ეფექტურ იარაღთაგანი უნდა ყოფილიყო. კიდევაც ამით უნდა აიხსნებოდეს მისი ეგზომ გავრცელებულობა ყველა დროისა და ხალხებში. როგორც ჩანს, ბრინჯაო-რკინის ხანაშიაც იგი მამაკაცის იარაღს წარმოადგენდა.

შეიარაღების ერთ არსებით სახეობათაგანს მ შ ვ ი ლ დ ი ს ა რ ი წარმოადგენდა. მშვილდისრის შესახებ მსჯელობისას ჩვენს განკარგულებაშია მხოლოდ ი ს რ ი ს პ ი რ ი, რაც შეეხება მშვილდს, ლარსა და ისრის ზროს, ისინი, რა თქმა უნდა, ჩვენამდე არ მოღწეულა. ამ დროს ისრისპირებს აკეთებდნენ როგორც სპილენძ-ბრინჯაოსაგან, აგრეთვე რკინისა და ძვლისაგან. გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე გავრცელებული ჩანს ბრინჯაოს თუ სპილენძის თხელი ფირფიტისგან გამოჭრილი ისრისპირი სამკუთხა მოყვანილობისა, გველის ნესტარისებრი. მას ფუძე ხშირად ამოღარული აქვს, ხოლო წვერის მახლობლად ნახვრეტი აქვს დატანებული. ზოგი მათგანი საკმაოდ სქელი ფირფიტისაგან არის გაკეთებული, და ზროში ჩასამაგრებლად, ნახვრეტის მაგიერ ყუნწი აქვს გამოყვანილი. აღსანიშნავია, რომ ისრისპირის ეს ტიპი ბრინჯაოდან რკინის ხანაშიც გადასულა, ოღონდ ამ დროს იგი უმთავრესად რკინისა და ძვლისაგან უკეთებიათ. ამგვარი ისრისპირები ყველაზე ადრე სამთავროს სამაროვანზე ჩნდება, ის 600—700 წლის მანძილზე იყო გავრცელებული და ამის გამო სამთავროული ტიპის ისრისპირის სახელითაა ცნობილი.

ისრისპირების ერთ ყველაზე მრავალრიცხოვანსა და კარგად ჩამოყალიბებული ტიპის შემცველ ჯგუფს შეადგენს ე. წ. აღმოსავლურ-ამიერკავკასიური ისრისპირები (ტაბ. XVIII, 6, 8). ისინი დიდია, გრძელი, მასიური და საგრძნობლად დიფერენცირებული ნაწილების მქონე. მას, სახელდობრ, კარგად აქვს გამოყვანილი ფრთები და ამათ შორის დაშვებული გრძელი და მრგვალ ან ოთხკუთხგანივკვეთიანი ყუნწი. ეს ტიპი ფართოდ არის გავრცელებული ცენტრალურსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. ის ჩნდება გვიანი ბრინჯაოს ხანის გასულს და ფართოდ ვრცელდება მომდევნო, ადრეული რკინის ხანაში. კერძოდ, ცნობილია რამდენიმე ასეთი გრძელყუნწიანი ისრისპირი თეიშებაინიდან, რომლებზედაც ძვ. წ. VIII ს. ურარტუელ მეფეთა სახელებია აღბეჭდილი. ამ ტიპის ისრისპირი იშვიათად ძვლისაგანაც უკეთებიათ.

გაცილებით უფრო გვიან, სახელდობრ, ძვ. წ. VII ს. ვრცელდება ე. წ. „სკვითური ტიპის ისრისპირები". მოყვანილობის მიხედვით იგი რამდენიმე ქვეტი-

პად იყოფა. ასე, მაგ., არსებობს დაფნისფოთლისმაგვარი და რომბისებრი, ორ-ფრთიანი, სამფრთიანი, სამწახნაგა ისრისპირი და სხვ. ამასთანავე პირველი ორი სახისა უფრო ადრეულია; მათ ახასიათებთ მოგრძო მასრა, კაუჭიანი თუ დეზიანი. ამ უკანასკნელ ნიშანს სამფრთიანი ისრისპირის მასრაზედაც ვხედავთ, თუმცა იშვიათად. სამფრთიანი და სამწახნაგა ისრისპირები ქრონოლოგიურად უფრო ახალგაზრდებია და ზოგჯერ ძვ. წ. V საუკუნემდეც კი მოდიან.

ჩვენთვის ცნობილია რკინისა და ძვლისაგან ნაკეთები ასეთი, უპირატესად სამწახნაგა ისრისპირები, როგორც იშვიათი ნიმუშები.

თუ პირველი ორი ტიპის ისრისპირთა მიმართ შეგვიძლია გადაჭრით ვთქვათ, რომ ისინი ქართულ-კავკასიური ნივთიერი კულტურისათვის ღვიძლი, მშობლიური ფორმებია, იგივე აღარ ითქმის ამ უკანასკნელი ტიპის ისრისპირის შესახებ. იგი დამახასიათებელია ისეთი არქეოლოგიური კომპლექსებისათვის, რომლებშიაც ძვ. წ. VII—V საუკუნეებით კარგად დათარიღებულ ნივთებთან ერთად ვხვდებით რკინის ტარმოხრილ დანებს და განსაკუთრებით კი აკინაკებს.

ასეთი კომპლექსები საკმაოდ იშვიათია და მათი გამოჩენა კავკასიის იმდროინდელ ლაშქარში დაქირავებული ან სხვა რაიმე პირობით შეკრული სკვითების ცალკეული რაზმეულების გამოჩენას მოასწავებს.

ისრისპირების დასამზადებლად დიდი წარმატებით გამოუყენებიათ ძვალიც. თითქმის არ არის ისრისპირის ნაირსახეობა, რომელიც ძვლისაგანაც არ ემზადებინოთ. გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანაში ფართოდ გავრცელებულია წაგრძელებულ-პირამიდისებრი, გრძელყუნწიანი ძვლის ისრისპირები. მათ ყუნწი უმეტესად დამრგვალებული აქვთ.

თავდასხმა-შეტევისათვის განკუთვნილი იარაღის ზემოთ მოტანილი ნუსხა არ იქნებოდა სრული, თუ არ ვახსენებდით ლ ა ხ ტ ს ანუ გ უ რ ზ ს. ლახტისთავის გასაკეთებლად ჩვენთვის საინტერესო ხანაში უმთავრესად ლითონი (სპილენძი, ბრინჯაო) და ძვალი ყოფილა გამოყენებული. ბრინჯაოს ლახტისთავი პატარა (4—5 სმ სიგრძის) მოგრძო ბურთისებრი, მეტწილად მსხლისებრი მოყვანილობის იარაღია, ერთიანი ლითონისაგან ჩამოსხმულ-გამოჭედილი და შემსხვილებულ ადგილზე, ბურთის ირგვლივ, 4—5 კოპით აღჭურვილი. მას 1,5—2,0 სმ დიამეტრის მქონე გამჭოლი ნახვრეტი აქვს ტარზე მჭიდროდ ჩამოსაგებად. ლითონისაგან ნაკეთები ლახტისთავები ძალიან იშვიათად გვხვდება. ლახტისთავს უნდა წარმოადგენდეს ერთი მეტად თავისებური რქის ნივთი, რომელიც მხოლოდ მამაკაცთა სამარხებისათვის არის დამახასიათებელი. ეს არის ირმის რქა, ტოტებწაკვეთილი და ძირის მახლობლად განივად გახვრეტილი, ტარის დასაგებად. ზოგი მათგანი გადაკვეთის ადგილზე ბრინჯაოს თხელი ფირფიტებით არის ინკრუსტირებული, ზოგი კი თვით ძირზე ბრინჯაოს პაწია თავკომბალა ლურსმნებით არის შემკული.

ფ ა რ ი ცნობილი ყოფილა გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანაში. სახელდობრ, ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალ ხანაში ჩანს არა მთლიანი ლითონის ფარი, არამედ მისი უ მ ბ ო ნ ი, ლითონის გული, რომელიც ფურცლოვანი ბრინჯაოსაგან არის გამოჭედილი. მაგრამ ამასთან ერთად, არაა გამორიცხული, რომ მთლიანი ლითონის ფარი გვიანი ბრინჯაოს პერიოდშიც ეკეთებინოთ. თიფქოს ამაზე მიუთითებდეს სადგ. ბადიაურის (გარე კახეთი)

მახლობლად შემთხვევით აღმოჩენილი ნივთები ძვ. წ. XI—X საუკუნეებისა. მათ შორის არის ერთიანი ბრინჯაოს მრგვალი ფარი (დიამ. 40 სმ). საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ფარი ძალიან იშვიათი მოვლენაა იმდროინდელ კომპლექსებში. მაგ., სამთავროს სამაროვანზე ფარი უფრო იშვიათად გვხვდება, ვიდრე წარჩინებულ პირთათვის დამახასიათებელი, არანაკლებ ძვირად ღირებული ბრინჯაოს სარტყელი.

ბრინჯაოს **სარტყელი** კეთდებოდა 1,5—2,0 მმ სისქის ბრინჯაოს გაწელილ-გამოკვერილი ფურცლისაგან, რომლის საშუალო სიგრძე 80—85 სმ, ხოლო სიფართე 16—18 სმ უდრიდა. ზოგი მათგანის სიფართე 20—21 სმ-საც კი აღწევდა. ასეთი სიფართის ლითონის სარტყელი აშკარაა საომედო ჯავშანსაც წარმოადგენდა. სარტყელს შიგნითა პირზე გამოკერებული უნდა ჰქონოდა ტყავი, რაიმე სახის ქსოვილი ან იქნებ მოთელილი ქეჩა, რომლის ამოსაკერებლად და დასამაგრებლად სარტყლის ნაპირებზე პაწია მრგვალი ნახვრეტებია დატანებული. უფრო სიმეტრიულად განლაგებულ ნახვრეტებს ვხედავთ სარტყლის პირებზე, სადაც ბრინჯაოსივე ბალთა და მოსაჭერ-მოსარგები ტყავის თასმები უნდა ყოფილიყო დამაგრებული.

სარტყელთა უმრავლესობის ზედაპირი დაფარულია გეომეტრიული სხეულების, ნადირობის სცენების, სოლარული ნიშნების, ამა თუ იმ ღვთაების თაყვანისცემისას შესასრულებელი რიტუალური წესების და მრავალ მისთანათა გამომხატველი სახეებით. ზოგიერთი სარტყელი შემკულია ერთიმეორეზე გადაბმული სპირალებით, რომლითაც მთელი ზედაპირია მოფენილი. გეომეტრიულ სახეებში სჭარბობს რომბები, წრეები, სამკუთხედები, რომლებიც ხშირად წერტილოვანი, თევზიფხური და სხვ. სახის ორნამენტით არის შევსებული; ერთიმეორეზე მიჯრილი სამკუთხედების წყება ქმნის დაკბილულ ორნამენტს, რომელსაც მგლისკბილასაც უწოდებენ. წრეები, ჯვრები ან წრეში ჩასმული ჯვრები, სხივანიანი წრეები, ნაირსახეობის ბორბლები, სვასტიკა და სხვ. ცოცხალებისა და მათი მოძრაობის გამომხატველი ნიშნები უნდა იყოს. ამასთანავე აღინიშნება ამ სახეთა გამეორება კერამიკის, ძვლის და სხვ. ნივთების შემკულობაში.

სიუჟეტიან კომპოზიციებში სჭარბობს ნადირობის სცენები. მასში მონაწილე ადამიანები სქემატურად არიან გამოხატული, ძალიან ხშირად შენიღბულადაც. ნიღაბი ხშირად ფანტასტიკური ფრინველის სახეს გამოხატავს. შემოსილი არიან ტანზე მჭიდროდ შემოჭერილი ტანსაცმლით, რომელიც წელის მიდამოში ფართო სარტყლით აქვთ ხოლმე გადაჭერილი. ფეხთ ჰმოსავთ ჭვინტიანი ხამლი. ამ და ბევრი სხვა ნიშნითაც ეს გამოსახულებანი ახლო ენათესავებიან ხეთურ-სუბარულ კულტურულ სამყაროში ცნობილ სათანადო გამოსახულებებს, რითაც ხაზი ესმება ქართველ ტომთა წინაპრებისა და წინა აზიის უძველეს ხალხთა ნათესაობრივ და კულტურულ ურთიერთობას. სარტყელზე გამოხატული ადამიანები შეიარაღებული არიან მშვილდისრით, ლახტით, უფრო იშვიათად, შუბით.

ნადირობის სცენები ხასიათდება მასში მონაწილე ცხოველთა სახეობრივი სიმდიდრით. მათ შორის უნდა დასახელდეს ირემი, შველი, ქურციკი, გარეული თხა, ჯიხვი, გარეული ღორი, დათვი, მგელი, თევზები, გარეული იხვი, ბა-

ტი, ქათამი და ბევრი გამოუცნობი და ფანტასტიკურად გაგებული ცხოველი თუ ფრინველი. ნადირობისას ადამიანის სამსახურში გამოყენებული ჩანან მეძებარი და მწევარი ძაღლები, ცხენები (მათ შორის სამარქაფონიც) და, შესაძლებელია, მიმინოც. სარტყელთა უმრავლესობისათვის დამახასიათებელია მარტივსიუჟეტიანი გამოსახულებანი, მაგრამ ამათ გვერდით იშვიათად მაინც ვხვდებით რთულ სიუჟეტიანებსაც. ასე, მაგ., ერთერთ სარტყელზე გადმოცემულია ქორბუდა ირემთა ჰიდილი, შენიღბულ ადამიანთა სხვადასხვა ცხოველებზე მაგიური ნადირობის გამოსახულება, განაყოფიერებისა და ღრეობის გამომხატველი სცენები და სხვა. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ამ სარტყელზე ძველქართულ საწესო ჩვეულებასთან (კერძოდ, სვანურ საქმისაგასთან, მელიეგ ტულეფიასთან) დაკავშირებული ცერემონიალის ერთერთი მომენტის ფიქსირება. ნაყოფიერ-მოსავლიანი წლის დადგომისათვის განკუთვნილი ამ წესის დადასტურება ძვ. წ. X—VIII საუკუნეებით დათარიღებულ ძეგლებზე ერთხელ კიდევ გვახსენებს ხეთების ღვთაება ტელეფინუსისადმი თაყვანისცემის გამომხატველ ცერემონიალს და ამგვარად, უფრო და უფრო ამაგრებს ჩვენს წარმოდგენას ქართველთა წინაპრებისა და ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ოდინდელი ნათესაობრივი და კულტურული ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

ზოგი სარტყელი სავსებით გლუვზედაპირიანია, ზოგზე კი სამკაული ძალიან მეჩხერია და თვით გამოსახულება უაღრესი სქემატურობით ხასიათდება; ეს უფრო გვიან ცალებზე შეიმჩნევა, მაშინ როდესაც ადრეული ხანის ნიმუშები უხვადაა შემკული და გამოსახულებანიც უფრო რეალისტური, ცოცხალი და ხალისიანია.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ადამიანთა შეჯავშნულობის ერთერთ ელემენტს, როგორც ჩანს, ს ა ი დ ა ყ ვ ე ც შეადგენდა. იგი, ისევე როგორც ზემოთ განხილული სარტყელი, ნაკეთებია ბრინჯაოს თხელი (1—1,5 მმ), საგანგებოდ გამოკვერილ-გაწელილი ფურცლისაგან, რომლის ორივე პირი სადა და უსახოა, გრძივ ნაპირებზე კი დასდევს რამდენიმე ნახვრეტი, ალბათ, თასმის გასაყრელად და მაჯაზე დასამაგრებლად. საიდაყვის სიგრძე 12—15 სმ არ აღემატება.

მახვილი, ფარი, სარტყელი და სხვ. ძალიან იშვიათად გვხვდება და ისიც მამაკაცთა სამარხებში. ეს სამარხები უნდა ეკუთვნოდნენ წარჩინებულთა წრეს, რომელსაც, საფიქრებელია, მძიმედ შეჯავშნული და საუკეთესოდ ეკიპირებული რაზმეულები და მათი მეთაურები გამოჰყავდა. სწორედ ეს უნდა ყოფილიყო გვაროვნული საზოგადოების განვითარების უკანასკნელ საფეხურზე წარმოქმნილი სამხედრო არისტოკრატია, რომელიც მეჯოგე, მიწათმოქმედ და სხვადასხვა დარგის ხელოსანთა უმრავლესობას, საზოგადოების მწარმოებლურ ნაწილს, დემოკრატიას უპირისპირდებოდა.

აღმოსავლეთ საქართველოში მოპოვებული არქეოლოგიური მასალების შესწავლა ადასტურებს, რომ ბრინჯაოს მახვილი, სარტყელი, ფარი, ცული საიდაყვე და სხვ. გავრცელებული ყოფილა უმთავრესად ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალსა და, განსაკუთრებით, ადრეული რკინის ხანაში (ძვ. წ. X—VI სს). სწორედ აღნიშნულ საუკუნეებზე უნდა მოდიოდეს ჩვენს პირობებში სო-

ციალური დიფერენციაციის ის პროცესი, რომლის შედეგად საზოგადოების ერთ მხარეზე ომსა და ლაშქრობებში გაწაფული და კარგად შეიარაღებული გვარ-ტომთა მეთაურები და მათი უახლოესი თანაშემწენი აღმოჩნდებიან, ხოლო მეორე მხარეზე დამორჩილებული და სანახევროდ თავისუფლებას მოკლებული დემოკრატიული უმრავლესობა დაჯგუფდება. ამასთანავე პირველნი მალე, ალბათ, ცალკეული ხევის მმართველებად, ხევისუფლებად იქცევიან (ახალგორის, ყაზბეგის, ალგეთისა და სხვ. აქლადიდების მეპატრონენი) და პირველი ქართული სამეფოს (იბერიის) შექმნის ხანაში კარის მოხელეთა და პროვინციების მმართველთა პრივილეგებულ ადგილს დაიჩემებენ.

ამ ხანის სამეურნეო-საბრძოლო ხასიათის იარაღთაგან პირველ რიგში ბრინჯაოს მასიური ცული უნდა დასახელდეს (ტაბ. XVIII, 12; XIX, 7). იგი ჩამოსხმულია ბრინჯაოსაგან მასიური ჩუგლუგის სახით და ხასიათდება მასიური სქელი ყუით, ოვალური სატარე ნახვრეტით, ერგწრიული სამუშაო პირითა და სიმეტრიულად ზეაშვერილი ნიღრებით. თავისი ხასიათის მიხედვით, იგი უფრო საბრძოლო იარაღი უნდა იყოს, თუმცა მის სამეურნეო გამოყენებასაც ვერ გამოვრიცხავთ საეჭვებით. როგორც ჩანს, იგი არსებითი კომპონენტი ყოფილა აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა მძიმედ შეჯავშნული რაზმეულების შეიარაღებაში. ამის გამოა, რომ ზოგიერთი მკვლევარი მას აღმოსავლურ-ქართული ტიპის ცულად მოიხსენიებს. მაგრამ, რამდენადაც მისი გავრცელების არეალი საკმაოდ შორს სცილდება აღმოსავლეთ საქართველოს ფარგლებს და მთელ აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიას მოიცავს, უფრო მართებული იქნებოდა მისთვის აღმოსავლურ-ამიერკავკასიური ტიპის ცული გვეწოდებინა. მართალია, ამ ტიპის ჩუგლუგები მცირე აზიის სახვითი ხელოვნების ძეგლებზედაც არის გამოხატული, მაგრამ მათი ფართო გავრცელების ბუდედ ჯერჯერობით მაინც საქართველო და, კერძოდ, არაგვსა და სურამის უღელტეხილს შორის მოქცეული შიდა ქართლის ბარი და მთისწინა ზოლი რჩება. ამ იარაღის წარმოშობის კერის საკითხი სპეციალურ ლიტერატურაში ჯერ კიდევ საბოლოოდ გარკვეული არ არის. რაც შეეხება წარმოებას, უნდა აღინიშნოს, რომ იგი ამიერკავკასიის სხვადასხვა, ერთიმეორისაგან საკმაოდ დაშორებულ პუნქტებში უმზადდებიათ, რასაც მოწმობს სათანადო სამსხმელო ყალიბების აღმოჩენის შემთხვევები: შამქორში (აზერბაიჯანი), ლენინაკანსა და კარმირ-ბლურში (სომხეთი), ოფეთში, ცხინვალში და სხვ. (უკანასკნელი იხ. ტაბ. XIX, 8).

აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ კომპლექსებში არც კოლხური ცული ოშვიათი (ტაბ. XVIII, 10; XIX, 3). ცულის ეს ტიპი აღმოსავლეთ საქართველოშიც გადმოსულა, სადაც გზა გაუკვლევია უმთავრესად ნაკლებ მასიურს, მსუბუქ ფორმებს: სწორშუბლა (თელოვანი, უდე, ახალქალაქი, ბეშთაშენი, ცხინვალი, სამთავრო და სხვ.) და გახრილი ყუის მქონე ტიპს (ცხინვალი, სამთავრო და სხვ.). აღსანიშნავია, რომ კოლხური ცულის ყალიბი აღმოსავლეთ საქართველოდანაც არის ცნობილი. კერძოდ, სოფ. თელოვანში (ბორჯომის რ.) ნაპოვნია ასეთი ცულის სამსხმელო ყალიბი ბრინჯაოსი (ტაბ. XIX,4), რომელშიაც ზუსტად ჯდება იქვე მახლობლად სოფ. მიტარბაში ნაპოვნი ბრინჯაოს ცული (ტაბ. XIX, 3). გარდა ამისა, განსაკუთრებული შესწავლის ღირ-

სია მეტად არქაული იერის მქონე კოლხური ცული, რომელიც გასულ წელს არაგვისპირის ერთერთ სოფელში აღმოჩნდა. ეს და მრავალი სხვა ფაქტი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ნივთიერი ძეგლების შეხვედრისა და თანდამთხვევისა, მოწმობს იმ ახლო სამეურნეო-კულტურულ ურთიერთობას, რომელიც ოდითგანვე დამყარებული ყოფილა ქვეყნის აღნიშნული ნაწილების საწარმოო-კულტურულ ცენტრებს შორის.

ბრინჯაოს ცულის რამდენადმე უფრო ნაკლებ გავრცელებულ ტიპს წარმოადგენს ბ რ ტ ყ ე ლ ი ც უ ლ ი (ტაბ. XVIII, 11). იგი საკმაოდ თხელია და წელში გამოყვანილი; აქვს ნახევარწრიული სამუშაო პირი და მორჩებიანით განტოტებული, სამკაპა ყუა, ტარზე დასამაგრებლად. ზოგიერთ ცულს ასეთივე მორჩები წელის უწვრილეს ნაწილშიც აქვს აქეთ-იქით გამოშვერილი, ალბათ ტარზე წნელით, ტყავით თუ თოკით უფრო საიმედოდ გადასაჭერად. ასეთი ცულის საუკეთესო ნიმუშია მცხეთაში აღმოჩენილი ცული. მცხეთის გარდა, ასეთი ცულები ნაპოვნია ცხინვალში, წეროვანში, კახეთში, თრიალეთში და სხვ. აღნიშნული ტიპის ცულის ფართო გავრცელების არეალად მცირე აზიას და მესოპოტამიას მიიჩნევენ, საიდანაც იგი ჩვენში და ევროპაში უნდა გავრცელებულიყო.

ზოგი ავტორის დაკვირვებით, ამ იარაღთა ნაწილი მიწის დასამუშავებლად უნდა ყოფილიყო გამოყენებული და ამდენად თითქოს თოხის მაგივრობა უნდა გაეწია (ნ. ხოშტარია).

ამგვარი იარაღების ისეთი ცალები, რომელთაც ქიმები არა აქვთ და თავიანთი სიპატარავითა და სითხელით გამოირჩევიან, ზოგიერთი ავტორის მიერ (გ. ნიორაძე და სხვ.) მეხამლის იარაღებად—ტყავის საჭრელ დანებად — არის მიჩნეული. ამდენად, ასეთი საგანგებო დანიშნულების იარაღისა და მის გვერდით სადგისის, მახათისა და სხვ. მისთ. ქონა და თვით დამუშავებული ტყავ-თასმების ნაშთების აღმოჩენა (სამთავროს სამარხებში) ამ დროისათვის უკვე მეტყავეობა-მეხამლეობაში დასპეციალებული ხელოსნობის არსებობას გვაეარაუდებინებს.

ზემოთ განხილულ ბრინჯაოს ცულთაგან მხოლოდ კოლხურმა ცულმა შემოინახა დიდხანს თავი. ადრეულ რკინის ხანაში, როდესაც ხსენებული ტიპის ცულები და, საერთოდ, სპილენძ-ბრინჯაოს იარაღ-საჭურველი ხმარებიდან გამოდიოდა, კოლხური ცულის ფორმა-მოყვანილობა არ ყოფილა დავიწყებული და ამიერიდან ჩვენთვის საინტერესო იარაღი რკინისაგან უქედიათ. ამის დამამტკიცებელია რკინის ცულების სერია, რომელიც დასავლეთ საქართველოში (უმთავრესად, ზემო რაჭაში) წარმოებული თხრის დროს იყო მოპოვებული. ამ მხრივ თითქოს არც აღმოსავლეთ საქართველო ჩამორჩენილა, რასაც მცხეთა-სამთავროს ერთერთ სამარხში რკინის ცულის საუკეთესო ნიმუშის აღმოჩენა გვაუწყებს (ტაბ. XX, 13).

ეს გარემოება და, საერთოდ, უკანასკნელ წლებში რკინის პირველი ათვისების ისტორიის დარგში ჩატარებული კვლევა-ძიება საშუალებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ რკინის მეტალურგია აღმოცენებული ჩანს ბრინჯაოს მეტალურგიის ბაზაზე და რომ პირველი დაკავშირებულია მეორესთან არა მარტო

წარმოების ზოგიერთი ხერხითა თუ მეთოდით, არამედ ზოგი ნაწარმის მოყვანილობისა და ტექნიკური მონაცემების მემკვიდრეობითაც კი.

როგორც არ უნდა იყოს, უაღრესად დიდია ის მნიშვნელობა, რაც რკინის ცულმა და სხვა იარაღებმა შეიძინეს ამ დროს ადამიანთა საზოგადოების სამეურნეო ცხოვრებაში და რასაც თავის დროზე ესოდენ მაღალი შეფასება მისცეს მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლებმა. განსაკუთრებით დიდი გადატრიალება უნდა მოეხდინა რკინის ცულს ახოს აღების სისტემაზე დამყარებულ მიწათმოქმედებაში, რომელიც აღნიშნულ ხანაში ამ საქმიანობის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმა უნდა ყოფილიყო.

მიწათმოქმედება-მემინდვრეობის იარაღთაგან ამ დროს საკმაოდ გავრცელებული ჩანს ნ ა მ გ ა ლ ი ც (ტაბ. XVIII, 9), რომელიც პირველ ხანებში, ცხადია, სპილენძ-ბრინჯაოსაგან, ხოლო შემდეგ რკინისაგან უკეთებიათ. ისინი მეტ-ნაკლებად თხელი ფირფიტისაგან არის გამოკვერილი, ყუა ოდნავ შესქელებული აქვთ, ყუნწი არა აქვთ მკვეთრად გამოკვეთილი. მასზე შეიმჩნევა თითო-ოროლა ნახვრეტი, ხის ტარზე დასამაგრებლად.

ნამგლები აღმოჩენილია უმთავრესად კახეთის მიწა-წყალზე (ბაკურციხე, მელაანი, ვაზისუბანი), რომელიც ამ შორეული წარსულისათვისაც დაწინაურებული მიწათმოქმედების მხარედ გამოიყურება, მაგრამ იგი არის სხვაგანაც, სახელდობრ, თრიალეთში, მცხეთაში, წოისში (სამხრეთ ოსეთი) და სხვ.

ბრინჯაოსა და რკინის ნამგალთა გვერდით ჯერ კიდევ, გადმონაშთის სახით, შემორჩენილი ჩანს კაჟისპირიანი ნამგლები. კაჟის ასეთი დაგბილული ჩასართები ბრინჯაო-რკინის ხანაში, ლითონის ნამგლების კონკურენციის გამო, ერთეულების სახითღა მოღწეულა.

ბრინჯაოს ნამგალთა შორის გამოირჩევა ერთი სერია მცირე ზომის იარაღებისა, რომელთაც რიგი ავტორებისა (ა. აფაქიძე, ბ. კუფტინი) სრულიად მართებულად ს ა ს ხ ლ ა ვ ა დ მიიჩნევენ. ასეთი განსაზღვრა ამ იარაღებისა მით უფრო სარწმუნოა, რომ თითქმის ყველა ისინი კახეთშია ნაპოვნი. ჩვენი აზრით, ეს გარემოება პირდაპირი მოწმობა უნდა იყოს მევენახეობის მაღალ დონეზე დგომისა იორ-ალაზნის შუამდინარეთში.

აღმოსავლურ-ქართულ კულტურაში ბრინჯაოს თ ო ხ ი ც გვხვდება, თუმცა ძალიან იშვიათად. თოხის ერთეული ცალები აღმოჩენილია თრიალეთში, შიდა ქართლში და სხვ. როგორც ცნობილია, იგი დასავლურ-ქართული ბრინჯაოს კულტურის ერთი არსებით ელემენტთაგანია და თითქმის ყოველთვის კოლხური ცულის, სეგმენტისებრი მოყვანილობისა და ბარისმაგვარი ბრინჯაოს იარაღთა გარემოცვაში გვხვდება. იგი, ცხადია, გაცვლა-გამოცვლის გზით შემოსულა აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც მის წარმოებას ადგილობრივი ნიადაგი არ უჩანს.

ხელოსნობის გარკვეულ დარგთან, სახელდობრ, ხითხუროობასთან არის დაკავშირებული ბრინჯაოსაგან ჩამოსხმულ-გამოკვერილი ისეთი იარაღები, როგორიცაა ც უ ლ ი, ე ჩ ო, ხ ე ლ ე ჩ ო, ს ა ტ ე ხ ი, ამ უკანასკნელის ნაირსახეობა ღ ო რ ე ჩ ო (ტაბ. XIX, 1) და სხვ.

ე ჩ ო იშვიათად გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოში. სულ რამდენიმე ცალია ნაპოვნი თრიალეთსა და შიდა ქართლში. ღორეჩო კი ფართოდ გავრცელე-

ბული ყოფილა საქართველოში, კერძოდ, მის აღმოსავლეთ ნაწილში და თუ მათ ჩამოსასხმელად განკუთვნილი ყალიბების (ტაბ. XIX, 2) მიხედვით ვიმსჯელებთ, აქაც ბლომად უმზადებიათ. სატეხ-ღორეჩოს აღმოჩენის ადგილებია: თრიალეთი, ახალციხე, კახეთი, მცხეთა, კასპი, ცხინვალი და სხვ.

ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ხანის არქეოლოგიურ მასალებში არაიშვიათად გვხვდება ისეთი ნივთები, რომელთა მიხედვით შეგვიძლია ერთგვარი წარმოდგენა ვიქონიოთ იმდროინდელი მოსახლეობის შინამოსაქმეობაზე. ასე, მაგ., არა მარტო სამარხებში, არამედ განძებში, ნამოსახლარ დ საკულტო ადგილებში საკმაოდ ხშირია ყოველდღიურ საქმიანობაში ეგოდენ საჭირო საგანი, როგორიც რკინის დ ა ნ ა ა.

შინამოხმარების საგანთა ჯგუფში ერთიანდებიან ბრინჯაოს ს ა დ გ ი ს ე ბ ი, რომელთა შორის ბევრს ძვლის ტარიც შერჩენია; ნ ე მ ს ე ბ ი და მ ა ხ ა თ ე ბ ი, რომელთა ყუნწი ადრეულ ხანაში ცალი ბოლოს გაწვრილებითა და მარყუჟისებრად გადმოკეცვა-შეკვერვით უკეთებიათ, ხოლო უფრო გვიან საყუნწე ადგილი საგანგებო სახვრეტით უხვრეტიათ; თიხისა და ძვლის კ ვ ი რ ი ს ტ ა ვ ე ბ ი, რომლებიც უფრო მასობრივად ნამოსახლარ ადგილებში ჩნდება, მაგრამ აქა-იქ სამარხეულ ინვენტარშიც გამოერევა ხოლმე.

ხელსაქმისათვის საჭირო ინსტრუმენტთა ჯგუფს ეკუთვნის აგრეთვე ბრინჯაოს ყ ა ი ს ნ ა ღ ი, რომლის სამუშაო პირი ჯერ კიდევ ვერ არის სრულყოფილი და წარმოადგენს მრგვალ-წვრილი ღეროს ბოლოზე მოხრილ პაწია კაუჭს.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ძვლის პ ე ნ გ ე ლ ი ც, რომელიც ჯერჯერობით ერთადერთი ცალის სახით შემოგვრჩენია და რომლის ბევრი თანამოძმე ჩვენს არქეოლოგიურ კომპლ ექსებში დღემდე ალბათ გამოუცნობი რჩება.

შინამოხმარებისა და ხელსაქმისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღების აღმოჩენა, დაჯგუფება და შესწავლა საშუალებას გვაძლევს მეტ-ნაკლები სისრულით წარმოვიდგინოთ იმდროინდელი წვრილი ხელოსნური წარმოების დონე, საერთოდ, და ქსოვის საქმე, კერძოდ. ტანსაცმლისათვის საჭირო ნართისა და თვით ქსოვილის რაგვარობაზე, ხასიათსა და ხარისხ-ავკარგიანობაზე ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევს ამა თუ იმ იარაღსა და სამკაულზე (დანებზე, მშვილდსაკინძებზე, ბალთებზე, საკინძებსა და სხვ.) შემორჩენილი ქსოვილის ნაფლეთები. რკინა-ბრინჯაოს ნივთებზე ნაკუწების სახით დაცული ამ ნაშთების მიკროსკოპული ანალიზი მაინც იძლევა საშუალებას ორგვარი ხასიათის ქსოვილი დავადასტუროთ. ესაა შ ა ლ ი, მატყლისგან და ტ ი ლ ო, სელისა თუ კანაფის ბოჭკოებისგან ნაქსოვი. ამასთანავე ორივე სახის ქსოვილზე შეინიშნება უხეშად და სუფთად ნაქსოვის ნიმუშები. მაგარი, უხეში ტილოს ქსოვილი უმთავრესად გამოუყენებიათ, ტყავთან ერთად, იარაღის ქარქაშად, სარტყელ-საიდაყვეთა საფენებად, სამხარიღლიის საკლებ-სამატები ღილ-კილოების შესაბნევად და სხვა. უფრო სუფთა ტილოს ტანისამოსისათვის იყენებდნენ, ისევე როგორც ზედა ტანისამოსისა და წამოსასხამებისათვის უმთავრესად თითქოს შალის ქსოვილი უხმარიათ.

ამჟამად ჩვენთვის საინტერესო კულტურულ-საწარმოო რაიონის ნამოსახლართა კულტურულ ფენებსა და სამარხეულ ინვენტარში უხვად გვხვდება სამეურნეო და საბრძოლო იარაღთა ს ა ლ ე ს ი ქვები. ისინი წარმოადგენენ სხვა-

დასხვა მოყვანილობის (სწორკუთხედის, ცილინდრის, პარალელოგრამის და სხვ.) მუქი ნაცრისფერი ან მოშავო ფერის პაწია ქვებს, რომელთა უმრავლესობა თოკზე ან თასმაზე ჩამოსაკიდებლად სათანადო ნახვრეტითაც არის აღჭურვილი.

საგანგებო შესწავლის ღირსია მრავალფეროვანი სამკაულები და პირისსაფარეშო ნივთები, რომელთა სიუხვით განსაკუთრებით სამარხეული კომპლექსები გამოირჩევიან. ესენია: საკინძები, საყურეები. საფეთქლის შესამკობი რგოლები, საკავე-სათმეული რგოლებიდასპირალები, გვერგვები, ანუ კისრის რგოლები, სამაჯურები, საკანჭურები, მშვილდსაკინძები (ფიბულები), სათითე ბეჭდები, ბალთები, დუგმები, ღილები, ეარდულები, მაშა-ჩქიფები, ძეწკვები, ილარები, ქვის, ტალკის, პასტის, ძვლის, ლითონის, ქარვის, მინის და სხვა მასალის მძივები და მძივსაკიდები, ათასნაირი ჭვირული და საწკარუნო ეკვან-ჩანჩხურები, ნიკარა-ღვინჯილები და სხვა. ყველა ამათი დახასიათება შეუძლებელია, შევეხებით ზოგ მათგანს.

ბრინჯაოს საკინძებში გამოირჩევა: თავხვია, სფერულთავიანი, კონუსურთავიანი, ბრტყელთავიანი და სხვ. ამათ შორის თავხვია საკინძები გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეულ კომპლექსებში გვხვდება. მათი ღეროს დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ოთხკუთხგანივკვეთიანია, მხოლოდ წვერი აქვთ მრგვალად ჩაწვრილებული. ნახვრეტის მაგივრობას საგრძნობლად გაბრტყელებული და მერე წრიულად გადმოხვეული თაკი ასრულებს. იშვიათ შემთხვევაში, საკინძის გვერდები თევზიფხურად ნაჭდევი წვრილი ხაზებით არის შემკული. ასეთ საკინძებს ვხვდებით ქალთა სამარხებში, უმეტეს შემთხვევაში, ოთხ-ოთხ ცალს.

გვიანდელ საკინძთა ტიპები უფრო სრულყოფილია. ამათი ღერო მრგვალია, წვერისაკენ წაწვეტებული. თავიდან ერთი-ორი სანტიმეტრის მანძილზე მრგვალი ან ოვალური ნახვრეტი აქვთ. ზოგ ცალს ნახვრეტსა და თავს შორის რამდენიმე კონცენტრული ღარისა ან ლილვაკისგან შემდგარი სარტყელი გადასდევს, რაც სამკაულს პროფილში გარკვეულ სილამაზეს ანიჭებს. ასეთი საკინძები მარტო ქალთა კუთვნილება არ ყოფილა და ისინი გვხვდება ორივე სქესის წარმომადგენელთა სამარხებში. ამასთანავე კარგად ჩანს, რომ ისინი ყველა სათმეულ ან თავსაბურავის დასამაგრებელ ქინძისთავს როდი წარმოადგენს: მათი დიდი ნაწილი ტანსაცმელ-წამოსასხამთა შესაბნევად ყოფილა გამოყენებული.

ადრეული რკინის ხანაში, როგორც გამონაკლისი, გვხვდება რკინის საკინძებიც. ისეთებიც გამოერევა, რომელთა ღერო რკინისგან არის დამზადებული, ხოლო თავი ბრინჯაოსაგან. ამ შემთხვევაში საკინძის თავი წყვილ ფრინველთა პროტომის სახით არის ჩამოყალიბებული. როგორც ცნობილია, ცხოველთა გამოსახულებებით დამთავრებული რკინა-ბრინჯაოს საკინძებით განთქმულია ზემო რაჭისა და, საერთოდ, მაღალმთიანი კავკასიის არქეოლოგიური კომპლექსები. რამდენადმე განსხვავებული ტიპის საკინძები გვხვდება კახეთში (ტაბ. XX, 8, 9). აქ გავრცელებული საკინძის თავები ნიჩბისმაგვარ, ბრტყელ-ფართო და თხელ ფირფიტას წარმოადგენს, გრაგნილისებრად თაეჩახვეულს, რითაც ისი-

1



2

3

4

5



6



ნი ტიპოლოგიურად თავხვია საკინძთა ჯგუფს ენათესავებიან, თუმცა ქრონოლოგიურად უტოლდებიან ადრეული რკინის ხანის ბრინჯაოს მრგვალ და ბრტყელთავიან საკინძებს.

ამ პერიოდის ს ა ყ უ რ ე ე ბ ი ძალიან მარტივია. ისინი წარმოადგენენ ბრინჯაოს წვრილი მავთულის თავგახსნილ რგოლებს, 1,5 — 2,0 სმ დიამეტრისა, ზოგ მათგანს ცალი ბოლო საგრძნობლად გაწვრილებული აქვს, ალბათ, ყურის ბიბილოში უშუალოდ გასაყრელად. ზოგი საყურე სარდიონის მძივითაა დამშვენებული. ს ა ფ ე თ ქ ლ ი ს შესამკობი რ გ ო ლ ე ბ ი მხოლოდ ქალთა სამარხებში გვხვდება. ისინი ნაკეთებია ბრინჯაოს საკმაოდ მსხვილი (4—5 მმ სისქის) მავთულისაგან. ესენიც პირგახსნილი რგოლებია (5—7 სმ დიამეტრის მქონე), რომელთა ცალი თავი საგრძნობლად გაწელილ-გაწვრილებულია, გველისებრ დაკლაკნილი და რგოლის დიამეტრალურად გახიდული (ტაბ. XX, 4, 5).

შედარებით იშვიათია გ ვ ე რ გ ვ ი, რომელსაც ზოგი ავტორი კ ი რ კ ა ლ ს (კისრის რკალს) უწოდებს. მთიულეთში ამ სამკაულს ხალხი ხ ა ტ ი ს უ ღ ე ლ ს ა ც ეძახის. იგი წარმოადგენს ბრინჯაოს საკმაოდ მსხვილ, დაგრეხილ, მორკალულ ღეროს, რომელსაც ორთავ ბოლოები გაფართოებულ-გაბრტყელებული აქვს (ტაბ. XX, 2). აღმოსავლეთ საქართველოს ადრეულ ძეგლთა შორის იგი თითქმის არ გვხვდება. ადრეული რკინის ხანაში რკინის გვერგვებიც უპოვავთ. იგი სამარხეული ინვენტარის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია და თითქმის ყოველთვის მისი სიმდიდრის მაჩვენებელი.

აღსანიშნავია, რომ ამ სამკაულს დიდხანს შემოუნახავს თავი და ანტიკურ ხანაში კეთილშობილი ლითონებისგანაც უმზადებიათ.

განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია ს ა მ ა ჯ უ რ ე ბ ი, რომლებიც სხვადასხვა სისქის ბრინჯაოს მრგვალ-ცილინდრული ღეროებისა ან უბრალო მავთულისაგან არის გამოჭედილი. ამ მიზნით ფირფიტოვანი ბრინჯაო ძალიან იშვიათად გამოუყენებიათ. სამაჯურთა დიდი უმეტესობა პირგახსნილია, პირი პირთან მიტანილი ან ერთიმეორეზე გადასული. ზოგიერთი სამაჯური ზედაპირდაკეკნილია, ზოგსაც ნაჭდევი თევზიფხური სახეები, ან უბრალო პარალელური ხაზები, რომბისა და სხვა გეომეტრიული გამოსახულებანი ამკობს. არის სამაჯურები, რომელთა ზედაპირზე ამოკაწრულია თევზების კონტურული გამოსახულებანი, კონტურის შიდა არე კი პუნქტირით არის შევსებული. დიდი რგოლები ხშირად საკანჭურებად თუ საკოჭეებადაც გამოუყენებიათ. სახეებით შემკულ დიდ სამაჯურებს უმეტესწილად წარჩინებულთა სამარხებში ვხვდებით.

მ შ ვ ი ლ დ ს ა კ ი ნ ძ ი ანუ ფ ი ბ უ ლ ა არ გვხვდება ხშირად. იგი ამ ხანაში, ცხადია, ერთნაწევრიანია, ე. ი. ბრინჯაოს ან რკინის ერთი ღეროსგანაა გამოჭედილი. მშვილდი თუ რკალი ყოველთვის შესქელებულია, ენა კი დაწვრილებული, ნემსის მისაღები გაბრტყელებული და გადმოკეცილი (ტაბ. XX, 7). ზოგიერთი ფიბულის რკალი დაგრეხილ ღეროს წარმოადგენს. მშვილდსაკინძები უფრო გვიან რკინისაგანაც უმზადებიათ.

სათითე ბ ე ჭ დ ე ბ ი ან წვრილი მავთულის ერთიანი, ან თხელი, ვიწრო ფირფიტის პირგახსნილი რგოლებია. გვიანი ბრინჯაოს ადრეულ საფეხურზე ბეჭდები მხოლოდ ჩნდება, განსაკუთრებით ბევრია ადრეულ რკინის ხანაში, როდესაც იგი რკინისაგანაც უმზადებიათ.

ბ ა ლ თ ე ბ ი უმეტესწილად მთიან ზოლში გვხვდება, ბარში კი ნაკლებ გავრცელებულია. შომეტებულ შემთხვევაში ეს სწორკუთხა მოყვანილობის მასიური ფირფიტაა, რომელსაც ერთ ნაპირზე რამდენიმე ნახვრეტი აქვს ჩამწკრივებული, ხოლო მეორე ნაპირზე, შუაში გამოყვანილი აქვს კაუჭი, რომელიც დედალ დუგმას გამოედება ხოლმე. პატარა ცალებისთვის თუ მარტივი ნაქდევი სახეებია დამახასიათებელი, დიდი ცალები მდიდრული შემკულობით გამოირჩევიან. ბალთების შემკულობაში მონაწილეობს რკინა, რომლისგან გაკეთებული ესა თუ ის ფიგურა მკიდროდ ჩასმულია ბალთის ზედაპირზე საამისოდ ამოკრილ ბუდეში. გამოსახულებათა სიუჟეტებში ვხედავთ ირმებს, ძაღლებს, ფრინველთ, ფანტასტიკურ ცხოველთ, ასტრალურ ნიშნებს და სხვ., ე. ი. დაახლოებით ისეთ მოვლენებს, რაც სხვა ნივთებისთვისაც (სარტყელი და სხვ.) არის დამახასიათებელი. შემკულობის ამ ხერხს ინკრუსტაცია ეწოდება.

სწორკუთხოვან ბალთებს გარდა გვხვდება ერგწრიული მოყვანილობის ბრტყელი ბ ა ლ თ ე ბ ი ც, რომელთაც უკუღმა მხარეზე თასმაზე მისამაგრებელი სამი. ყუნწი და დედალ დუგმაში გამოსაყრელი ჩვეულებრივი კაუჭი აქვთ მირჩილული, ხოლო წაღმა მხარე შემკულია ლითონზე ამოკაწრული სამთავა სპირალით.

ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრისათვის უჩვეულო არ ყოფილა ისეთი პირისსაფარეშო საგნები, როგორსაც ბეწვის გამოსაკნელი ბრინჯაოს მ ა შ ა-ჩ ქ ი ფ ე ბ ი და ყურსაწმენდი ი ლ ა რ ე ბ ი წარმოადგენენ. ჩქიფის ყბათა ზედაპირები ხშირად შემკულია ამოკაწრული სახეებით, რომელთა შორის შეინიშნება თევზიფხური და სპირალური ორნამენტი, ერთგან თითქოს ბეელიც კი უნდა იყოს გამოსახული. ტუალეტისადმი განკუთვნილი ეს საგნები ჩვეულებრივ ბრინჯაოსივე ძეწკვზე ასხმული უტარებიათ. ამასთანავე ძეწკვები სხვადასხვაგვარია: არის მომსხო მავთულისაგან ნაკეთები, ერთიმეორეზე გადაბმული მოგრძო-ოვალური რგოლები და არის მრგვალ-ბრტყელი რგოლებისგან აკინძული ძეწკვებიც (ტაბ. XX, 1).

ძეწკვზე ასხმული უნდა ეტარებინათ აგრეთვე ლითონის (სპილენძის, ბრინჯაოს, ანტიმონის) წკარუნები, ჩანჩხურები, მედალიონისმაგვარი გამოსახულებანი; ფრინველთა გამომხატველი, ჭვირული და გეომეტრიული მოყვანილობის წედგენილი საკიდები (ერთერთი მათგანი იხ. ტაბ. XX, 10) და სხვ.

სამკაულთა შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი ნაირ-ნაირი სახეობის ფერისა და ფორმა-მოყვანილობის მ ძ ი ვ ე ბ ი ა. მასალად გამოყენებულია ქ ვ ა (სარდიონი, იასპი, აქატი, ფირუზი, ბროლი, ქვარქა, უბრალო კენჭი და მრ. სხვ.), მინისებრი და უბრალო პ ა ს ტ ა (ცისფერი—ეგვიპტური, თეთრი, მწვანე, მოყვითალო, ნაცრისფერი, მოვარდისფრო, თაფლისფერი, მოშავო, ყავისფერი და სხვ.), ტ ა ლ კ ი, ძ ვ ა ლ ი, ქ ა რ ვ ა, გ ი შ ე რ ი, მ ი ნ ა (მოთეთრო, მომწვანო), ლ ი თ ო ნ ი (სპილენძი, ბრინჯაო, ანტიმონი, ჰემატიტი და სხვ.).

ფორმა-მოყვანილობაში სჭარბობს გეომეტრიული ფორმები: დაბალ-ცილინდრული, სფერული, კონუსური, ბიკონუსური, პირამიდული, ბიპირამიდული, ელიფსური, სწორკუთხოვანი, სამკუთხოვანი, ხუთწახნაგოვანი, მრავალწახნაგოვანი და სხვ. მისთ. მაგრამ არის კასრისმაგვარი, ზარისნაირი, ცულისპირის მოყვანილობისა, შანდარინისებური, შინდისკურკისმაგვარი, ოსპისებური, უბ-

რალოდ მრგვალ-ბრტყელი, ოვალური, მოწყვეტილი ცრემლის მსგავსი და სხვ.

ნახვრეტი ყველას ერთი მხრიდან დაწყებული და დამთავრებული უჩანს, რაც მძივის დამუშავებაში მაღალ ტექნიკურ დონეს მოწმობს.

გვიანი ბრინჯაოს ადრეულ საფეხურზე ვხვდებით უმეტესწილად სარდიონისა და იასპის დაბალ-ცილინდრულად ნაკვეთს და მრგვალ, უწესო სფერულ მძივებს, ეგვიპტური პასტის წვნიკს, ლულოვანი ძვლის და ანტიმონის მედალიონისებრ მძივებსა და მძივსაკიდებს.

ზოგიერთი სწორკუთხოვანი ბრტყელ-ფართო მძივი აღჭურვილია 2—3 განივი ნახვრეტით, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ისინი 2—3 ასხმულას შ ე მ ა ე რ თ ე ბ ლ ე ბ ს წარმოადგენენ.

მძივების დასამზადებლად გამოყენებული მასალის გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს, ამჟამად ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვის ვივარაუდოთ ფართო და სისტემატური გაცვლა-გამოცვლითი ურთიერთობა ისეთ შორეულ ქვეყნებთანაც კი, როგორიცაა ირანი (ფირუზი), ნავკრატისი (ეგვიპტური პასტა), ინდოეთი და იმიერკასპიის მხარე (კაურის ნიჟარა-ღეინჯილები), ბალტიისპირეთი (ქარვა) და სხვ.

სარწმუნოებრივ წარმოდგენათა და კულტის სამყაროს განეკუთვნებოდა საავგაროზე ნივთები, რომელთაც მაშინდელი ადამიანის თვალში აპოტროპეული მნიშვნელობა ენიჭებოდათ. ასეთებია: ხარისა და ცხვრის გახვრეტილი კოჭები, წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის ფალანგები, აგრეთვე გახვრეტილი, მტაცებელ ცხოველთა (მგლის, დათვის) გახვრეტილი კბილები, სანადირო ცხოველთა (ირმის, ქურციკის, ტახის) გახვრეტილი რქები და ეშვები, თევზის მალა, გახვრეტილი კენჭი და მრ. სხვ. ყველა ესენი შინაურ ცხოველთა მოშენება-გამრავლების, გარეულ ცხოველებზე ბედნიერი და შედეგიანი ნადირობის და მტაცებლებზე გამარჯვებისა და მათი მოსპობის სურვილის მაჩვენებელი მაგიური ნიშნები უნდა ყოფილიყო.

ამავე რიგის ძეგლებს განეკუთვნებოდა შინაურ (ხარის, ცხვრის, ცხენის, ძაღლის) და გარეულ (ირმის, თხის, თევზის და სხვ.) ცხოველთა ქანდაკებრივი გამოსახულებანი, რომელთა ნაწილი თიხისაგან არის გამოძერწილი, ნაწილი კი ლითონისაგან არის ჩამოსხმულ-გამოჭედილი. ასეთივე სიუჟეტის გამოსახულებებს ვნახულობთ აგრეთვე კერამიკულ ნაწარმზე, მომეტებულად კი ბრინჯაოს ნივთებზე. კერამიკაზეევა დადასტურებული მცენარის გამოსახულებანი (მცენარის კულტი). ბრინჯაოს ნივთებზე (განსაკუთრებით სარტყლებზე) და კერამიკაზე დატანილი გამოსახულებანი ჯვრისა, სვასტიკისა, მზისა, მთვარისა, ვარსკვლავებისა და სხვ. ასტრალური აზროვნების ნაყოფი უნდა იყოს. ამ შორეული წარსულიდან დღემდე შემონახული ხელოვნების ძეგლების გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ პირველყოფილ-თემური წყობილების ადამიანის დიფუზურ აზროვნებაში უკვე კარგახანია არსებითი ძვრები მომხდარა. ახლა ადამიანი კარგად გრძნობს და ცალ-ცალკე ანსახიერებს ზესკნელის, ქვესკნელისა და გარესკნელის ატრიბუტებს. პირველის დასახასიათებლად იგი მიმართავს ცთომილებს, მეორისა — ქვეწარმავალთ, ხოლო მესამისათვის უკვე აღარ კმარობს იმ ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემოს გამოხატვას, რომლის მზაზზარეულ მატერიალურ სიკეთეს მისი შორეული წინაპარი უბრალოდ ითვისებ-

და, არამედ მხატვრული ცნობიერების ორბიტში შემოჰყავს ბუნების ძალებზე აქტიურად მოქმედი ადამიანის სოციალური გარემოც (ნადირობის, ლხინის, განაყოფიერება-გამრავლების ღვთაებისადმი მიძღვნილი ცერემონიალის დროს შესასრულებელ წეს-ჩვეულებათა სცენები და სხვ.).

სამეურნეო და საბრძოლო იარაღების, საჭურვლის, ჯამ-ჭურჭლის, შინამოსაქმეობისა და ხელოსნური წარმოების, ხელოვნებისა და კულტის საგნების დამზადების, მათი ჩამოყალიბებისა და შემკობა-შელამაზების ხერხებსა და მეთოდებში გამოჩენილი ცოდნა, უნარი და შეძენილი შრომითი ჩვევა-გამოცდილებანი, სხვა არსებით მომენტებთან ერთად (ენა, ფიზიკური იერი, ბინა, ჩაცმულობა და სხვ.), შეადგენს იმ თავისებურებას, რომელიც ამ კუთხის მოსახლეობის კულტურას განასხვავებს სხვა მხარეთა მოსახლეობის კულტურისაგან. მაგრამ, როგორც მასალების განხილვამ გვიჩვენა, აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე გაფურჩქვნილი ბრინჯაო-რკინის საუკუნის კლასიკური კულტურა არასდროს თავის ვიწრო ფარგლებში ჩაკეტილი არ ყოფილა, და თუ ბევრი რამ მეზობელ თანამოძმეთაგან შეუთვისებია და გადაუმუშავებია, საკუთარი კულტურის არა ერთი და ორი მონაპოვარი სხვისთვისაც გაუზიარებია.

ამგვარად, ზემოთ მოტანილი მასალის გაცნობის შემდეგ შეიძლება ზოგიერთი დასკვნის გამოტანა.

გვიანი ბრინჯაოს და ადრეული რკინის ხანაში აღმოსავლეთ საქართველოს ნიწა-წყალზე ზის მიწათმოქმედი, მესაქონლე, მეტალურგიაში გაწაფული, მეომარი მოსახლეობა.

ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ ხანაში მიწათმოქმედება მესაქონლეობისაგან საბოლოოდ გამოყოფილი და სოფლის მეურნეობის ერთ დიდ დამოუკიდებელ დარგად არის ჩამოყალიბებული. საამისო პირობები უკვე უნდა ყოფილიყო შექმნილი არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ მთელ წინა აზიაში, რომელიც აზიის კონტინენტზე ხორბლეული კულტურის სამშობლოდ ითვლება. უკანასკნელი გამოკვლევები ააშკარავებს, რომ ამჟამად ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ამიერკავკასიაში ძირითადი პურეული კულტურები ენდემური ხასიათისა ყოფილა. ამასთან აღსანიშნავია ქერი და განსაკუთრებით ხორბალი, რომლის ზოგიერთი სახე (მახა, ზანდური, დოლის პური), სპეციალისტების საერთო აღიარებით, უძველესი ჯიშებია და საქართველოს შუამთიან ზოლში ეხლაც არის შემორჩენილი. ამ პირველ და აუცილებელ პირობასთან ერთად ამიერკავკასია, მსგავსად უფრო სამხრეთი რაიონებისა, გამოირჩევა მიწათმოქმედების. უძველესი იარაღების შედარებითი სიუხვით. მაგ., რკინის სახნისები ცნობილია ხორსაბადიდან (ირანი) და კარმირ-ბლურიდან (სომხეთი). ბრინჯაოსა და რკინის ნამგლები ხომ აღმოსავლეთ საქართველოშიაც ფართოდ არის გავრცელებული. მაგრამ ამ უკანასკნელმა რაიონმა თავი ისახელა ძველი მიწათმოქმედების ისეთი მეტად მნიშვნელოვანი, თუმცა იშვიათი, ინვენტარით, როგორიცაა კევრი. ჩვენში სადღეისოდ ცნობილია კევრებისა და მათი ნაშთების აღმოჩენის შემთხვევა. ისინი ყველა აღმოსავლურ-ქართული გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის კულტურის გავრცელების არეშია დადასტურებული. აქედან თითო კევრი იყო ახტალაში, ხანლარსა და მცხეთაში.

პურეულის ლეწვაში კევრის გამოყენება თავისთავად გულისხმობს სათანადო გამწევი ძალის (ცხენის, მსხვილფეხა რქოსანი საქონლის) გამოყენებასაც. ამგვარად, თითქოს ყველა პირობა არსებობდა გუთნური მიწათმოქმედებისათვის, რის ვარაუდი ამ ხანისათვის ნამდვილად შეიძლება, თუმცა მინდორცვლას ან სათესი ფართობის გაპატივებას ჯერ ალბათ არ იცნობდნენ და სამიწათმოქმედო სავარგულების ფონდის ზრდაც ახოს აღების სისტემაზე უნდა ყოფილიყო დამყარებული.

მემინდვრეობის ზოგიერთი სახე (სელის, კანაფის მოყვანა და, საერთოდ, ერთწლიან მცენარეთა ბოჭკოების გადამუშავება) და ამასთან დაკავშირებული ქსოვის საქმეც რომ საკმაოდ მაღალ დონეზე მდგარა, ამის მაჩვენებელია, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, საამისოდ საჭირო ხელსაქმის ინსტრუმენტებისა და ქსოვილთა ნაშთების აღმოჩენა.

ბრინჯაოს სასხლავებისა და მოხრილი საბაღე დანების ფართო გავრცელება და ცოტა უფრო გვიანი ხანისთვის ყურძნის წიპწების დადასტურება უეჭველი მომასწავებელი უნდა ყოფილიყო მებაღეობა-მევენახეობის განვითარებისა.

შემდგომ წინსვლასა და განვითარებას განიცდის მეცხოველეობაც. აღმოჩენილია დიდძალი ოსტეოლოგიური მასალა, რომელშიც კარგად გამოიცნობა სარის, ძროხის, ცხვრისა და თხის, ღორის, ცხენისა და ვირის ძვლები. ამასთანავე ცხენი, ხარი, შეიძლება კამეჩიც და სხვ. გამწევ ძალად არის გამოყენებული. მნიშვნელოვანი განვითარება ეტყობა პროდუქტიულ მესაქონლეობასაც, რომელსაც ამ დროისათვის ხელოსნობის ცალკე დარგად გამოყოფილი მეთუნეობა უხვად აწვდის რძის პროდუქტებისათვის საჭირო ჭურჭელს (საწველელი კათხები, ყველის ჩასაკვეთ-ამოსაღები ქილები, ხაჟო-რძის საწურავი ჭურჭელი, ერბო-ყველის შესანახი დერგები, განსაკუთრებით კარაქის სადღვებელი ქილები და სხვ.). რძის პროდუქტთა შორის კარაქის შედღვება-დამზადების ცოდნა კი, როგორც ცნობილია, პროდუქტიული მესაქონლეობის ინტენსიური განვითარების პირობებშია შესაძლებელი (ივ. ჯავახიშვილი).

მესაქონლეობის ბაზაზე ამ პერიოდში, როგორც ვნახეთ, საკმაოდ განვითარებულია ტყავის დამუშავება, რქისა და ძვლის იარაღ-ხელსაწყოების დამზადება და ქსოვის საქმე (მატყლის ნართის გამოყენება).

თუ როგორ მაღალ დონეზე მდგარა სპილენძ-ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგია, ეს იარაღისა და სამკაულის დამზადების ხერხების განხილვისას ჩანდა. ჯერ კიდევ ენეოლითის ეპოქაში ჩასახული ჭედვა-კვერვა (ჯერ ცივი, ხოლო შემდეგ გახურებული ლითონისა) თავის შემდგომ განვითარებას ადრეული, შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანაში აღწევს. ხოლო შუაბრინჯაოს ხანიდან დადასტურებული ლითონის ჩამოსხმის ტექნიკა მომდევნო ხანებში მხატვრული ხელოსნობის საუკეთესო ნიმუშებს გვაძლევს.

იარაღისა და სამკაულის კარგად ჩამოყალიბებულ-დამთავრებული ტიპები: ფოთლისებრი სატევარი, ჩუგლუგი, კახური სატევარი და კახურ-ჰერული წვერ-კვეთილი მხედრული მახვილი, სამთავროული წვეტიანი და წვერმომრგვალო მახვილი, გრძელი მასიური შუბისპირი, ბრტყელფურცლოვანი ბრინჯაოს მოხატული სარტყელი და სხვ. ზემოთ მოტანილი დებულების მაილუსტრირებელია.

ამავე დროს არ იქნებოდა სწორი თუ ვიტყოდით, რომ მთელი ეს სამეურნეო ცხოვრებისა და კულტურული შემოქმედების პროცესი მშვიდობიანობის პირობებში მიმდინარეობდა. პირიქით, ეს იყო ცალკეულ ტომთა და ტომთა გაერთიანებების ხშირი ომებისა და შეხლა-შემოხლის ხანა, რის მაჩვენებელია ირაღ-საპურვლის ტიპობრივი მრავალგვარობა და რაოდენობრივი სიუხვე აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ მონაპოვარში. ეს ბრძოლები და ურთიერთ ძარცვა-გლეჯაც ხომ თავისებური ფორმა იყო „წარმოებისა“ და გაცვლა-გამოცვლისა. ამ ხანაში, თუ ცოტა უფრო ადრე გაჩენილი ბზარი სოციალურ ცხოვრებაში, გაცილებით უფრო ადრე დაწყებულ ქონებრივ დიფერენციაციასთან ერთად, იქცა შეუჩერებელ პროცესად, რომელმაც საზოგადოება ძვ. წ. VI — V საუკუნეებში მიიყვანა ანტაგონისტურ-კლასობრივი წყობილების ზღურბლამდე, როდესაც თვისობრივად სრულიად ახალი საზოგადოების მშენებლობა დაიწყო.

§ 9. ბანვითარებული რკინის ხანის ძეგლები რიონის ხათავეებში

ბრილის სამაროვანზე განვითარებული რკინის ხანის ძეგლები წარმოდგენილია ორმოსამარხებით, ქვისსამარხებით და კრემაციული ნაშთების შემცველი თავისებური სამარხებით, რომელთაც აგებულების მხრივ საშუალო ადგილი უკავიათ პირველ ორს შორის. ორმოსამარხების და ქვისსამარხების გავრცელების ქრონოლოგიური საზღვრები მოდის ძვ. წ. II ათასწლეულის შუა და ახ. წ. IV საუკუნეებზე, ხოლო მიცვალებულის კრემაციის წესი დამოწმებულია მარტოოდენ ძვ. წ. X—V საუკუნეებში.

კრემაციულნაშთებიანი სამარხები ყოველთვის გვხვდება სუფთა აყალო ნიწის ფენაში. კრემაციისათვის ქვის ფიცრებით გამართულია ვრცელი მოედანი, რომელშიც, შემდეგდროინდელი დაზიანების გამო, არ შეინიშნება რაიმე მიჯნით გამოყოფილი სექციები. არც ერთ ასეთ სამარხს არ შერჩენია სახურავის რაიმე ნაშთი; საფიქრებელია, რომ სამარხები გადახურული იყო ხის მასალით და ზემოდან მიწა ჰქონდა დაყრილი. ამ სამარხების დამხრობა სრულებით ნებისმიერია. უმრავლესობა მაინც ჩრდილოეთიდან სამხრეთით არის დამხრობილი.

თითოეულ სამარხში დაკრძალულია რამდენიმე მიცვალებული. გვამს თვით სამარხში წვავდნენ, თან ჩატანებულ ნივთებთან ერთად, ამიტომ ინვენტარის დიდი ნაწილი უფორმო წიდისებურ მასად ქცეულა; მხოლოდ ზოგიერთ ნივთს ძეტ-ნაკლებად შეუნარჩუნებია პირველადი სახე.

დაუზიანებელი ჩონჩხი აქამდე მიკვლეული არ ყოფილა. დამწვარ-დაფერფლილი ძვლები ჩალეწილია ზედდაწოლილი სიმძიმისაგან (მიწა, ქვები) და მათი პაწია ნატეხები უმრავლეს შემთხვევაში თეთრად გამოკრთიან სიმხურვალისაგან გაწითლებულ ფხვიერ მიწაში. ჩონჩხთა ასეთი ცუდი დაცულობა აძნელებს დაკრძალვის წესების მკაფიოდ გათვალისწინებას.

გადამწვარ-გადადუღებული „კონგლომერატი“, რომელშიც ერთმანეთთანაა შედუღებული რკინა, ბრინჯაო, მინა, თიხის ჭურჭლის ნატეხები, ძვალი და ქვებიც კი, ცოტაოდენ ხის ნახშირსაც შეიცავს.

მიცვალებულის გვამის კრემაციის წესი ქართველი ტომებისათვის უცხო არ არის, იგი სცოდნიათ ჯერ კიდევ ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებში (თრიალე-

თი) და I ათასწლეულის დამდეგს (ბრილი). უფრო ადრინდელ დროს (III ათასწლეული) მიეკუთვნება სამგორის ყორღანში აღმოჩენილი კრემაციული ნაშთები. მიცვალებულის კრემაციის ფაქტები დადგენილია აგრეთვე ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებისათვის მალაკლუს სამაროვანზე, არარატის მთის ძირას. რომ ეს წესი აქა-იქ დიდხანს შემორჩა, ამას მოწმობს სოფ. წებელდის ახ. წ. დასაწყისის სამაროვანი, სადაც მიკვლეულია თიხის ჭურჭლებით ჩამარხული ფერფლი და მასთან სხვადასხვა სახის ნივთები. კრემაციის წესი საკმაოდ გავრცელებული ყოფილა შავი ზღვის ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროებზე, აგრეთვე მრავალ სხვა მხარეში. ჩვენს ქვეყანაში იგი თავისთავადი და ძველი ტრადიციებიდან მომდინარე ჩანს; აქაური დამწვარჩონჩხებიანი სამარხები დროის მიხედვით დიდად უსწრებს წინ ბერძნულ კოლონიზაციას.

ბრილში მიკვლეული დამწვარი ჩონჩხების ანთროპოლოგიური შესწავლა შეუძლებელია. ჩონჩხების მიხედვით არ დგინდება დაკრძალულთა სქესიც კი. სამაგიეროდ, თან ჩატანებული ინვენტარი ნებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ კრემაციის წესით მხოლოდ მამაკაცებს ასაფლავებდნენ.

ინვენტარი შედგება უმეტესწილად იარაღ-საჭურველისა და ცხენის აკაზმულობის ნაშთთაგან. გვხვდება სამკაულიც, უმთავრესად სამამაკაცო, და აგრეთვე ჭურჭელი. იარაღი წარმოდგენილია რკინის საბრძოლო და სამეურნეო ცულებით (შეად. ტაბ. XX, 13, 17), სატევრებით (ტაბ. XX, 14), დანებით და შუბის წვერებით (შეად. ტაბ. XX, 11, 12), სამკაული — ბრინჯაოსა და ვერცხლის კირკლებით (საკისრე დიდი, გახსნილი რგოლები; ტაბ. XIV, 3), ბრინჯაოს ფიბულებით (ტაბ. XIV, 8), ბრინჯაოსა და ელექტრუმის საყურეებით (ტაბ. XIV, 3 შუაში), პასტის, მინისა და ქვის ცოტაოდენი მძივებით. ცხენის აკაზმულობას ეკუთვნის ბრინჯაოს ეჟვნები, რკინის ლაგმები, საყბეურები და ძვლის ლამაზსახოვანი სათასმე ბალთები. თიხის ჭურჭელი კარგი ხელობისაა, თუმცა იშვიათია. სამაგიეროდ ბლომად არის ნაპოვნი ბრინჯაოს ჭურჭლის ნატეხები და რამდენიმე მთელი ჭურჭელიც.

კრემაციის დროს ცეცხლს მოუსპია სამარხის ინვენტარის ნაწილი, განსაკუთრებით ხისა და ძვლის საგნები, აგრეთვე ლითონის ნაზი სამკაულიც. ინვენტარის მეორე ნაწილი კი გადარჩენილა და მან ჩვენამდე მოაღწია მეტ-ნაკლებად დაზიანებული სახით. კრემაციულ სამარხებში ინვენტარი მრავალნაირი და მრავალრიცხოვანია. იგი საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ სათანადო დროის კულტურული ვითარება და აგრეთვე ისიც თუ როგორი პატივით უმარხავთ მიცვალებულნი.

თან ჩატანებული სავაჭაცო ნივთები (უმთავრესად საჭურველი და ცხენის აკაზმულობის ნაშთები) მოწმობს, რომ მიცვალებულნი, რომელთა გვამებიც დაუწვავთ, სიცოცხლეში ეკუთვნოდნენ წარჩინებულ მეომართა ფენას. მათ ასაფლავებდნენ დიდი პატივით და თან ატანდნენ უამრავ ნივთებს.

კრემაციულ სამარხებში აღმოჩენილი **რკინის ცულები** სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობისაა, მაგრამ თითქმის ყველა მათგანს აერთიანებს ოთხწახნაგა ან მრგვალი კვერისებური მაღალი ყუა. ცულები პირველწრო და ტანმაღალია, უმეტესწილად ტარისაკენ ზომიერად მოხრილი. მათი სატარე ნახვრეტი მრგვალი ან ოვალურია. აღმოჩენილია ცულები, რომლებიც თითქ-

მის ზუსტად იმეორებენ კოლხური ბრინჯაოს ცულის მოყვანილობას. ამათ შორის გაირჩევა მრგვალყუაკვერიანი ტარმოხრილი და ორფერდაყუიანი ტანსწორი ცულები. უეჭველია, რომ ისინი ჩაითვლება ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის კოლხური ბრინჯაოს ცულების კანონიერ მემკვიდრეებად, ხოლო ბრილის რკინის ხანის კულტურა — კოლხური ბრინჯაოს კულტურის მემკვიდრედ და შემადგენელ ნაწილად. ჩვენთვის საინტერესო ცულების უმრავლესობა საბრძოლო დანიშნულებისაა, მაგრამ ზოგიერთი ცული, რომელთაც შედარებით ფართო პირი და დაბალი, მსხვილი ყელი აქვთ, მოხერხებულია სამეურნეო საქმისთვისაც. მათ ადვილად გამოიყენებდნენ სატყეო იარაღად.

ერთი ცული მთლიანად შემკობილია ლამაზი სახეებით. მის სატარე ნახვრეტში გარჭობილი იყო პაწია წრეხაზებით მოკაზმული ძვლის ფილი, რომელშიც თავის დროზე გაყრილი იქნებოდა ხის ტარი. უნდა ვიფიქროთ, რომ ის შედიოდა რომელიღაც მხედართმთავრის აღჭურვილობაში როგორც საპარადო, საზეიმო იარაღი ან ძალაუფლების სიმბოლო.

რკინის ცულების მიბაძვითვეა ჩამოსხმული და მათს ფორმას იმეორებს ბრინჯაოს მშვენიერი ცული, რომლის ყუა სოკოს მოყვანილობისაა და თანაც შემკობილია ცენტრიდან გამომავალი სხივებით. ამ მოხდენილ უნიკალურ იარაღსაც შესაძლოა საპარადო დანიშნულება ჰქონოდა.

ცულების თანმხლები ყველა სატევარი ძირითადად ერთი ტიპისაა, სახელდობრ, ადრეული სკვითური აკინაკების ტიპისა. მისი დამახასიათებელი ნიშნებია: ფართო პირი, ფართო და თანაც ორღარიანი ტარი, სწორი ანოვალური ტარქუდი და ფრთაგაშლილი პეპელას ან გულის მოყვანილობის ჯვარედინი შემონაჭედი ვადაზე. სატევრის ეს ტიპი დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ბრილის სამარხებში, უპირატესად იმ ინვენტარს შორის, რომელიც ძვ. წ. VII—V საუკუნეებით თარიღდება. ზოგ შემთხვევაში ამ ადრეულ საფეხურზე უხმარიათ პირდაშაშრული რკინის სატევარიც, სავსებით ანალოგიური თანამედროვე კავკასიური ხანჯლებისა. ძვ. წ. V საუკუნიდან აკინაკი მნიშვნელოვან ცვლილებას განიცდის და ეს კარგად ემჩნევა ბრილის სატევრებსაც: ტარის თავი ან ანტენისებურ ფორმას იღებს და შიგნით მოხრილი ბოლოები ფრინველის კლანჭის გამოსახულებებით მთავრდება, ან კიდევ შეკრულ რგოლს წარმოადგენს. იმ დროიდანვე სატევრის ვადის ფორმაც თანდათან ჰკარგავს პეპელისებურ მოყვანილობას და ძვ. წ. I ათასწლეულის ბოლოსათვის უახლოვდება მოგრძო სწორკუთხედსა თუ ტრაპეციას.

განვითარებული რკინის ხანის ქართულ საჭურველში შედიოდა აგრეთვე მეტად ორიგინალური, აწ სრულიად გამქრალი იარაღი, რომელიც წერილობითი ძეგლების აფთშუბს, წათს, ლახვარს თუ ხელოვნურად შექმნილ თანამედროვე ტერმინს ცულმახვილას შეესატყვისება. მას ამზადებდნენ რკინისაგან. მისი პირი არაფრით არ განსხვავდება ორლესური, ქედიანი სატევრის ან შუბის პირისაგან, ხოლო ყუა, საომარი ცულების მსგავსად, ოთხწახნაგა კვერს ან სოკოს თავს ჰგავს. ეს იარაღი მრგვალი ნახვრეტით ტარს იმავე წესით დაეგებოდა ხოლმე, როგორც ცული. მათს სახესხვაობას წარმოად-


1
2
3
4
5
6
7
8
9
10

11

14

15

12

13

16

17

გენს რკინისავე წ ე რ ა ყ ი ნ ი, რომლის ბრინჯაოს ანალოგი ტამანის ნაწევარ-კუნძულიდანაა ცნობილი. კიდევ უფრო ორიგინალურია რკინის ცულამახვილების მიბაძვით ჩამოსხმული ბრინჯაოს უნიკალური იარაღი, შემკობილი სხვადასხვანაირი გრავიურითა და სკულპტურული გამოსახულებებით, რომელთა შორის ვხვდებით გეომეტრიულსა და მცენარეულ სახეებს, თევზებსა და ცხვრის თავებს. ეს მეტად მოხდენილი იარაღი აღმოჩენილია ძვ. წ. VI ს. სამარხში, მაგრამ გამოსახულებათა შესრულების სტილის მიხედვით გვეელინება ბრილური ყუამილიანი ცულების მემკვიდრედ.

ბრილში აღმოჩენილ რკინის დ ა ნ ე ბ ს უმთავრესად საყოფაცხოვრებო დანიშნულება ჰქონდა, თუმცა ზოგიერთი მათგანის სიდიდე ალბათ მიუთითებს მათ საბრძოლო თვისებებზეც. ბრილური დანები მოხრილია და ცალ გვერდზე ოდნავ ყუაშემაღლებული: ამ დროის ზოგიერთ სამარხში აღმოჩენილია ბრინჯაოს, ხის ან ძვლისტარიანი მეტად მოხდენილი დანები; ხემ და ძვალმა შემოინახა ტარის შემკულობის ნაშთები — ლამაზად ამოკვეთილი კონცენტრული წრეები და სპირალები.

სატევრები და დანები უტარებიათ ხის ქ ა რ ქ ა შ ე ბ ი თ, რომელთა ნაშთებმა ჩვენს დრომდე მოაღწია. VII—VI სს. სამარხებში აღმოჩენილია ქარქაშის ბრინჯაოს ბოლოები. ბევრი მათგანი მხატვრულადაა გაფორმებული და მოგვაგონებს გრძელკისრიანი მტაცებელი ცხოველის პროტომს. მათი ზედაპირი შემკობილია ნაირი გეომეტრიული სახეებით: სპირალებით, ტეხილი ხაზებით, სამკუთხედებით და სხვ. ძვ. წ. V საუკუნიდან ქარქაშის ბოლოების შემოსაჭედად ხმარობდნენ ბრინჯაოს სადა ფურცელს. ხის ქარქაშს გარედან შეიძლება ტყავის ან ტილოს გარსაკრავი ჰქონდა. ამის შესახებ ყოველ შემთხვევაში შეიძლება ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, რომ სატევრის პირებზე ხშირად გვხვდება ჟანგში შენახული ტილოს ნაჭრები. ზოგი მათგანი მსხვილი ძაფისაგანაა ნაქსოვი, ზოგიც საკმაოდ ნაზია და მჭიდრო. ეს მასალა გვეხმარება ძველი დროის ქართული საფეიქრო მეურნეობის შესწავლაში. სავარაუდებელია, რომ ბრილში აღმოჩენილი უხეშ ქსოვილთა ნაშთები ადგილობრივი შალისა, ხოლო ნაზი ქსოვილები კოლხეთის დაბლობის სელისა იყო. ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ კოლხეთი ძველი დროიდანვე წარმოადგენდა სელის ქსოვილებით განთქმულ ქვეყანას. სწორედ საკვლევ ეპოქას შეეხება ჰეროდოტეს ცნობა, რომლის მიხედვითაც კოლხებსა და ეგვიპტელებს ერთნაირი წესით უმზადებიათ ტილო, რომელიც როგორც ჩანს, ერთნაირადვე სახელგანთქმული ყოფილა.

მეომრებს იარაღთან ერთად თასმით უტარებიათ კარგად გამოთლილი და თავგახვრეტილი ს ა ლ ე ს ი ქ ვ ე ბ ი, რომლითაც ცულებს, სატევრებსა და დანებს პირს უწყობდნენ.

ამ დროის ბრილური სამარხების იარაღ-საჭურველი უმთავრესად აქტიური ხასიათისაა და განკუთვნილია ხელჩართული ბრძოლისათვის. იქ კანტი-კუნტად ჩნდება ფარი და შორ მანძილზე სატყორცნი ისრები. ძველ დროს ფარები იშვიათად ჩნდებოდა საქართველოს სხვა კუთხეებშიც. წყაროების მიხედვით კი ცნობილია, რომ ფარს ქართველი ტომების სალაშქრო საჭურველში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ჰეროდოტეს ცნობით, ქსერქსეს ლაშქარში მყოფ კოლხებს, ხალიბებს, მოსხებს, ტიბარენებს, მაკრონებს და მოსინიკებს ფარებიც

ჰქონიათ. უკანასკნელი ოთხი ტომის ფარების დახასიათებას ისტორიკოსი არ იძლევა, სამაგიეროდ აღნიშნავს, რომ ხალიბებს და კოლხებს ხარის ტყავისაგან დამზადებული ფარები უტარებიათ. უნდა ვიფიქროთ, რომ ბრილელი მეომრები, მსგავსად მათი მონათესავე ტომებისა, ხმარობდნენ ტყავის ფარს, რომელსაც ცხადია, არ შეეძლო ჩვენს დრომდე მოეღწია. ერთერთ სამარხში, სხვათა შორის, აღმოჩენილია ნატეხი ბრინჯაოს დისკოსებრი ნივთისა, რომლის დიამეტრი თავის დროზე უდრიდა 13,2 სმ. მისი შუა ნაწილი ცალ გვერდზე ამოზნექილია, ხოლო მეორეზე — შესაბამისად ჩაზნექილი. ერთი გვერდი სადაა, მეორე კი — ლამაზი სახეებით შემკობილი. დისკოს ნაპირს ირგელივ უელის ორ რელიეფურ ზოლს შორის მოთავსებული გრეხილი. ამ სარტყელსა და ამოზნექილ ცენტრს შორის ფართო სივრცე შევსებულია რადიალური სხივებით. ამოზნექილ ნაწილს ამკობს რელიეფურ ზოლთა, გრეხილთა და „ზენურ“ ხვიათა სარტყლები, აგრეთვე სხვა სახეები, რომლებიც კარგად არ გაირჩევა ნივთის ჩამოტეხილ ნაწილზე. საფიქრებელია, რომ ეს მხატვრულად დამუშავებული დისკო წარმოადგენდა ფარის გულს, რომელზედაც შემოკრული იყო ტყავი; მაგრამ ისიც სავარაუდებელია, რომ იგი წარმოადგენდა სარკეს.

რაც შეეხება ისრის წვერებს, ისინიც კანტი-კუნტად იჩენს თავს, ისიც მარტო ძვ. წ. VI—V სს. ზოგ სამარხში. ე. წ. სკვითურ ცულებს და აკინაკებს იშვიათად ახლავთ სკვითეთის ტერიტორიაზე ფართოდ გავრცელებული ორფრთიანი ან სამწახნაგა ისრის წვერები. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ისრის ფართო მოხმარება დამოწმებული არაა ბრილის არც ბრინჯაოს ხანის სამარხებში. ამ ფაქტის დამაჯერებელი ახსნა ჯერჯერობით არ ხერხდება.

გამორიცხული არ არის სამარხებში ცხენის დაწვის შესაძლებლობაც, მაგრამ მტვრად ქცეულ ძვლებში მისი ნაშთის გამოცნობა არ ხერხდება. რომ ამ და მომდევნო საუკუნეების ბრილელთ, მსგავსად საქართველოს სხვა კუთხეების (ბორი, კლდეეთი, წიწამური, მცხეთა და სხვ.) მოსახლეობისა, წესად ჰქონიათ მიცვალებულთათვის ცხენის გატანება, ეს კარგადაა დამოწმებული სხვა ტიპის სამარხებში. კრემაციულ სამარხებში კი ამ ცხოველისა მხოლოდ აკაზმულობა აღმოჩნდა. აქედან უპირველეს ყოვლისა მოვიხსენიებთ რ კ ი ნ ი ს ა დ ა ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ლაგმებს. საკუთრივ ლაგამი წარმოადგენს ლითონის თავბოლორგოლიან წყვილ ღერაკს, რომლებიც თითო რგოლით ერთმანეთზე არის გადაბმული, ხოლო მეორე რგოლით უკავშირდება საყბეურს. ეს უკანასკნელი ლითონის მაღალი ღერაკია, ოდნავ თავებგამსხვილებული და მოპირდაპირე მხარეებისაკენ გადაზნექილი; ლაგამზე დასამაგრებლად შუაში მოთავსებულია მოზრდილი რგოლი, ხოლო მის ზემოთ და ქვემოთ — თითო მომცრო რგოლი, რომლებშიც აღვირის წყვილ-წყვილი ტოტი მაგრდებოდა.

ერთ სამარხში, რომელიც დაახლოებით ძვ. წ. VI ს. მიწურულის ან V ს. დამდეგისა ჩანს, აღმოჩენილია რკინის ლაგამი და ბრინჯაოს უნიკალური ს ა ყ ბ ე უ რ ე ბ ი, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს პროტომებით შერწყმული წყვილ-წყვილი ცხოველის გამოსახულებას თავგანწირული ნახტომის პოზაში.

აღვირ-უნაგირის მორთულობიდან შემონახულა ორე ცილინდრისებური ძ ვ ლ ი ს სადა ან თავჭიდული მილაკები, თასმის მარყუჟის დასამაგრებელი ბალთა და ლამაზჩუქურთმიანი ს ხ ვ ა ნ ი ვ თ ე ბ ი, რომელთაგან ერთი წარმო-

ადგენს მეტად სტილიზებული რქოსანი ცხოველის თავს. მეორე—რაღაც პირდაღებული, ნაწნავიან-ბაფთიანი და რქოსანი არსების თავს, ხოლო მესამე—ცხენის ფეხს. სამივე სამკაულს აქვს სამანჭველე ნახვრეტები, ხოლო ორ მათგანს — საკუთრივ მანჭვლებიც, რომლითაც ისინი თასმაზე მაგრდებოდა. კრემაციულ სამარხში რაღაც სასწაულით გადარჩენილი ეს ნივთები წარმოადგენს ძვლის დამუშავების გასაოცარ ნიმუშებს და იმას მოწმობს, რომ მელითონე ქართველ ტომებს კარგად ჰქონდათ ათვისებული სხვა მასალაზე მუშაობის ხერხებიც. ამ ნივთების სკვითური წარმომავლობა ან სკვითური მიმბაძველობით დამზადება სრულიად უეჭველია.

გარდა ამ ნაზი და მჩატე ბალთებისა, ცხენის აკაზმულობაში შედიოდა ლითონის მძიმე ე ქ ვ ნ ე ბ ი ც. ექვანი მოგვაგონებს ძირგახვრეტილ, კედლებდაფანჯრული, პირფართო, კარბიან ქოთანს. ხმის გამოსაცემად, ნაცვლად ზედმიბმული ენისა, ექვანში გდია რკინის ბურთულა. ალბათ ცხენისავე სამკაულს წარმოადგენდა რკინის ენიანი ბრინჯაოს მოზრდილი ზ ა რ ე ბ ი ც. თუმცა ზარს სარიტუალო-რელიგიური მნიშვნელობაც ჰქონდა უძველესი დროიდანვე. მოყვანილობით ისინი მოგვაგონებს სვანურ ქუდს კენწეროზე მოთავსებული ჩამოსაკიდი დაბალი ყურით. იმავდროულ სხვა სამარხებში ბლომად გვხვდება ცილინდრული მოყვანილობის, გვერდშეკრული ზარებიც.

ამ ხანაში მეცხენეობა საერთოდ ძლიერ განვითარებული ჩანს. ბრილში მიკვლეულია ცხენის რამდენიმე სამარხი. ამასთან ერთად, ძვ. წ. VI ს. სამარხში აღმოჩენილია ბრინჯაოს მხედრის მშვენიერი ქანდაკება (ტაბ. XIV, 5). ცხენს დაწნული კუდი და ფაფარი აქვს; მხედრის სახე ძლიერ ჩამოჰგავს სამთავროში აღმოჩენილ ერთ ნივთზე გამოსახულ მამაკაცთა სახეებს. ისინი სავსებით ერთნაირად არის შესრულებული, რაც იმხანად აღმოსავლურ და დასავლურ ქართულ კულტურას შორის კავშირზე უნდა მიუთითებდეს. უიარაღო მხედარი უფრო მშვიდობიან ვაჭარ-მოგზაურს უნდა გამოსახავდეს, ვინემ მეომარს.

თ ი ხ ი ს ჭ ურ ჭ ე ლ ი ამ სამარხებში ცოტაა. სულ რამდენიმე ჭურჭელია აღმოჩენილი. ისინი ძლიერ ახლო დგას გვიანი ბრინჯაოს ხანის ადგილობრივ კერამიკულ ნაწარმთან. საზოგადოდ შეინიშნება კერამიკული წარმოების შეზღუდული ხასიათი რიონის სათავეებში. ეს ალბათ იმითაა გამოწვეული, რომ იქ არ მოიპოვება საჭურჭლე თიხის მძლავრი შრეები. სამაგიეროდ ბლომად უკეთებიათ ლ ი თ ო ნ ი ს ჭ ურ ჭ ე ლ ი. მარტო ერთ, 91-ე სამარხში აღმოჩენილი ნატეხები ეკუთვნის, სულ ცოტა, 4 ჭურჭელს. მათ შორის არის ბრინჯაოს შემაღლებულქუსლიანი, პირგადმოზნექილი ორყურა სიტულების და დაბალი თეფშის ნატეხები. სიტულების ყურებზე შერჩენილია ბრინჯაოსა და რკინის კარბის ფრაგმენტები. ჭურჭელი ნაქედია ბრინჯაოს ორი თხელი ფურცლისაგან, რომელთა ნაპირები ყურების გასწვრივ და ქუსლის გარშემო ფაქიზადაა მოქედილი მანჭვლებით. მოყვანილობითა და დამზადების ტექნიკის მიხედვით ისინი ძლიერ ჰგავს იმ სიტულებს, რომლებიც უმეტესწილად ჩნდება კოლხურ ბრინჯაოს ცულებთან და მათ თანამედროვე ნივთებთან ერთად, მაგრამ მათგან განასხვავებს სადა ყურები. VII—VI საუკუნის ერთერთი სხვა კრემაციული სამარხიდან წარმოდგება ბრინჯაოს სასმისი, რომელიც ყურადღებას იპყრობს თავისი ორიგინალობით: იგი წარმოადგენს რომელიღაც ცხოველის ზურგზე

ამოზრდილ ძაბრს. შედარებით ახალგაზრდა (V—IV სს.) სამარხებში აღმოჩენილი ბრინჯაოს ჭურჭელი განსხვავდება მეტი სიმსუბუქით, რაც მიღწეულია ჩამოსხმული ძირის შეცვლით თხელი ფურცლისაგან გამოჭედილი ძირით. ასეთებია: ვიწროყელიანი ვაზა, რომლის ფართო მხრებს აზის ორი პაწია ყურა, ჰორიზონტალურყურებიანი საწვნე, პირგადაშლილი სასმისი, რომელსაც ადრეული სიტულების მსგავსი ცხოველისებური ყური აქვს და სხვ.

რაც შეეხება ს ა მ კ ა უ ლ ს, იგი უმთავრესად შედგება ბრინჯაოს კირკლების ანუ საკისრე რგოლებისაგან. ზოგიერთ სამარხში ვერცხლის და ელექტრუმის კირკლებიც იყო. ისინი ნაკეთებია ან მრგვალი, ან გრეხილი მავთულებისაგან და თავები მათრახის ენისებრ აქვთ გაბრტყელებული; არის თავებმოგრაგნილი კირკლებიც. საზოგადოდ ცნობილია, რომ კირკლები სამხრეთ რუსეთსა და კავკასიაში ჩნდება უმთავრესად მამაკაცთა სამარხებში. აქემენიდურ ირანში იგი აკინაკთან ერთად წარჩინებულ მეომართა ინსიგნიად იყო მიჩნეული. გვიანი ბრინჯაოს ეპოქაში კავკასიური კირკლები გამოირჩევა თავისი მასიურობით, ჩვენთვის საინტერესო ხანაში კი უფრო ნაზია და მრავალფეროვანი, თუმცა შემკულობის მხრივ ძლიერ ჩამორჩება ადრინდელებს.

სამარხებში ჩნდება ბრინჯაოს მ შ ვ ი ლ დ ს ა კ ი ნ ძ ე ბ ი, თავმოგრაგნილი თხელი ს ა მ ა ჯ უ რ ე ბ ი, პასტისებრი მასის მ ძ ი ვ ე ბ ი და ს ა ყ უ რ ე ე ბ ი — ბრინჯაოსი, ვერცხლის და ელექტრუმის. ისინი ერთი ტიპისაა: თითოეული მათგანი წარმოადგენს მავთულის რგოლს ზედ მირჩილული ოთხწახნაგა სვეტით, რომელიც შედგება წვრილი ბურთულებისაგან და ბოლოვდება ხუთი მომსხო ბურთულით. ზოგიერთი საყურე ორ და ოთხსვეტიანია. ყველა ისინი ჰგავს იმავე დროის ყაზბეგის განძიდან, ბეშთაშენის სამარხებიდან და ყობანიდან, ავრეთვე უფრო ახალგაზრდა ბორის სამაროვნიდან ცნობილ საყურეებს.

ამ დროის ბრილურ კრემაციულ სამარხებში საზოგადოდ ბევრია როგორც ბრინჯაოს მშვილდსაკინძები, ისე სწორკუთხედის მოყვანილობის მომცრო თუ მოზრდილი სარტყლის აბზინდები. ეს უკანასკნელი მხოლოდ კრემაციულ სამარხებშია აღმოჩენილი. მშვილდსაკინძები კი დაუწვავად დაკრძალულ გვამებთანაც ხშირად ჩნდება. მამაკაცთა სამარხებში აღმოჩენილი ზოგიერთი მშვილდსაკინძი გრეხილრკალიანია და ყურადღებას იქცევს სიდიდით. ყველა ისინი მომდინარეობს გვიანი ბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის წიაღიდან და თავს ინახავს ძვ. წ. III—II საუკუნემდე, როცა მათ შემცვლელად გამოდის ე. წ. „ლატენის" ტიპის საკინძი.

წარჩინებულ მეომართა კრემაციულ სამარხებში, როგორც ვნახეთ, სამკაულს მეორეხარისხოვანი ადგილი უკავია და უმთავრესად შედგება კირკლების, სამაჯურებისა და საყურეებისაგან, რომლებიც, უეჭველია, ინსიგნიებს წარმოადგენდა. სამაგიეროდ ბევრია საჭურველი — ცულები, სატევრები, ცულ-მახვილები, დაშნები და დანები. სამარხებში ბევრია რკინის გრძელი შუბის წვერები, რომელთაც კონუსური მასრა და დაფნისფოთლისებური პირი აქვთ. ისიი კიდევ უფრო მრავლდება ძვ. წ. V საუკუნიდან მოკიდებული.

ბრილში განსახილველ პერიოდში, ისევე რ ო გ ო რ ც ითვლებენ IV — III საუკუნეებშიც მამაკაცებს ქვისსამარხებში, ხოლო დედაკაცებს უპირატესად ორმო-

სამარხებში ასაფლავებდნენ. მხოლოდ ერთი შემთხვევაა დამოწმებული, რომელსაც დედაკაცი და მამაკაცი ერთად იყვნენ დაკრძალული ქვისსამარხში. მიცვალებულს მოკუნტვით მარხავდნენ და ამის შესაბამისად სამარხებიც მცირე ზომისაა. მთლიანქედლებიანი ქვისსამარხების სიგრძე იშვიათად სჭარბობს 1,2 მ, სიფართე — 0,7, სიმაღლე 0,6 მ. შედარებით უფრო დიდია შედგენილქედლებიანი სამარხები. სამარხები უგიათ ადგილობრივი ქვის ფიცრებისაგან, რომელიც უხვად მოიპოვება იქვე, სამაროვანს უკან, რიონის მიერ გაშიშვლებულ კლდეებში. სამარხის იატაკი ზოგჯერ მიწისაა, ზოგჯერ კი — მოფილაქნებული. ზოგიერთი ორმოსამარხის იატაკზე აღმოჩნდა ბრინჯაოს ჟანგით გაჟღენთილი არყის ხის ქერქი. შემთხვევით გადარჩენილი ეს ქერქი იმას უნდა მოწმობდეს, რომ იგი საზოგადოდ გამოყენებული ყოფილა სამარხთა გამართვის დროს როგორც იატაკზე დასაფენი მასალა. როგორც ორმოები, ისე ქვისსამარხები გადახურულია ბრტყელი ქვებით.

ინვენტარი მამაკაცთა ამ სამარხებში ძირითადად ისეთივეა, როგორიც კრემაციულ სამარხებში, მაგრამ ჩნდება საჭურვლის რამდენადმე შეცელილი სახეები, კერძოდ, რკინის ტარქუდრგოლიანი სატევრები და ფართოფუძიანი შუბები. იარაღ-საჭურვლის საერთო რაოდენობა მცირდება სამარხთა უმეტეს ნაწილში, რაც სწრაფად წინ წასული ქონებრივი დიფერენციაციის მაუწყებელია. ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთებიდან აღსანიშნავია ბრინჯაოს ფირფიტის სწორკუთხედი აბზინდები და მშვილდისებრი საკინძები იმ სახის, როგორიც გვიანი ბრინჯაოს კოლხური კულტურისთვისაა დამახასიათებელი, ოღონდ უფრო მცირე ზომის. აბზინდებს ხშირად ამკობს ცხვრის თაეის სკულპტურული გამოსახულებანი. მშვილდსაკინძებზე გამოყვანილია სხვადასხვა სახეები, უმეტესად კი თევზიფხური.

განსაკუთრებით ბევრია სამკაული ქალის სამარხებში. იქ ძლიერ იშვიათად ჩნდება ბრინჯაოს თუ ელექტრუმის კირკლები, რომელთა თავები ან მათრახის ენისებრია, ან ლამაზი ორნამენტით შემკობილ ფართო რომბებს მოგვაგონებს და კავებით ბოლოვდება. ყველა სამარხში ეხვდებით ერთ ან ორ მშვილდსაკინძს, ბრინჯაოს თხელი ფურცლის წყვილ სამაჯურს, შემკულს წერტილების და ხაზების ორნამენტით და დაბოლოებულს ცხოველთა თავების სქემატური გამოსახულებებით; ხშირია რკალშდეული, ფანტასტიკური თავებით დაბოლოებული სამაჯურებიც. ასევე ხშირია ბრინჯაოსა და ვერცხლის დიდი სასაფეთქლე რგოლები, იმ სახის, როგორიც ცნობილია ყაზბეგიდან, თრიალეთის VI—IV ს. სამარხებიდან და სხვ. ბევრ შემთხვევაში გვხვდება ვერცხლის ან ელექტრუმის საყურეები. დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება ბრინჯაოს ქინძისთავები და საკიდები. ქინძისთავთა თავები ზოგჯერ ჭურჭლის ფორმას ჰგებულობს, ზოგჯერ კოლხური ცულისას, ზოგჯერაც კოპებიან ჯვარს მოგვაგონებს და ძლიერ უახლოვდება უფრო ადრინდელი ეპოქის ამ ტიპის ძეგლებს. ქინძისთავზე უმეტეს წილად შესკუპებულია ჯიხვი ან რომელიმე მტაცებლის სტილიზებული გამოსახულება. ძლიერ იშვიათად თავს ინახავს არქაული ტიპის მარტივი თავხვია ქინძისთავებიც.

საკიდებიც სხვადასხვა სახისაა — ბრინჯაოს ძეწკვზე ჩამოკიდებული დიდი დუგმისებრი ხვიები, გველისა და მზის სახეებით შემკობილი. დოლისებრი

სამკაულები, დათვის, ჯიხვის, ჩიტების, ცხვრის თავებისა და ცხვარჩიტების ქანდაკებანი. ყველა ეს სამკაული დამუშავებულია ფაქიზად, დიდი მონდომებითა და გემოვნებით.

გაოცებას იწვევს მთიელ ქალთა მისწრაფება შემკულობისაკენ. ეს განსაკუთრებით ემჩნევათ შეძლებულთა წრის წარმომადგენლებს. მათ სამარხებში, გარდა ზემოჩამოთვლილი სამკაულებისა, ვხვდებით მინის მძივთა დიდ რაოდენობას. ზოგ სამარხში ამოთხრილ მძივთა საერთო წონა ორ კილოგრამამდე აღწევს. მძივების დიდი უმრავლესობა ფერადი მინისებრი ნივთიერების ან პასტისაა, იშვიათად კი ნახევრად ძვირფასი ქვის მძივებიც ჩნდება (სარდიონი, აქატი). არის ოქროს ფუყე მძივებიც. ათასობით დაითვლება ისეთი წვრილი იოტები, რომელთა თვალით შემჩნევა ძნელდება, მათ მოსდევს შედარებით მომსხო იოტები, წვრილი მძივები, საშუალო ზომის მძივები და, ბოლოს, თეთრ-ლურჯი მინის ვეებერთელა მძივები, რომელთა დიამეტრი ორ სანტიმეტრს სჭარბობს.

აუწერელი სილამაზისაა მინის მძივთა ზოგიერთი ასხმა. ესენია წვრილი ცისფერი მძივები თეთრ-ლურჯი თვლებით, კაკლის სიმსხო მძივები ყვითელი, ცისფერი ან მწვანე ფონით და შიგ ჩასმული მრავალფერადი კოკობ-თვლებით, ლურჯი მძივები ყვითელი თვლებით და, ბოლოს, მოგრძო მძივები თეთრი თვლებით და ზოლებით. ამ სამკაულთა უმრავლესობა ბუნების მიბაძვას წარმოადგენს. მათში ადვილად გამოიცნობა ცხოველთა თავი, ქვეწარმავალთა თვალები და სხვ. ბრილურ მძივთა მნიშვნელოვანი ნაწილი უნიკალურია და მეტად ორიგინალური: მათი მსგავსი სამკაული სხვაგან არსად გვხვდება. საერთოდ კი ფერადი მძივები კავკასიაში უკვე ჩნდება ძვ. წ. VIII საუკუნიდან. ისინი დიდი რაოდენობითაა ამოთხრილი ჩრდილო კავკასიის სამაროვნებზე, რაც ცნობილ არქეოლოგ ე. შ ა ნ ტ რ ს აფიქრებინებდა მათ ადგილობრივ დამზადებას. ბრილის მძივთა სიმრავლე და ბევრი მათგანის უნიკალურობა ამ მოსაზრების გაზიარების ნებას იძლევა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ იმავე ტექნიკით ნაკეთები მძივები დიდი რაოდენობით ვრცელდებოდა ეგვიპტიდან და სირიიდან. ფერების კარგი შეხამება და სახეთა ზომიერი სტილიზაცია მოწმობს ამ სამკაულთა დამამზადებელი და მომხმარებელი საზოგადოების განვითარებულ გემოვნებას.

რაჭაში მოპოვებული არქეოლოგიური მასალების მიხედვით მოწმდება, რომ მთიელი ქართველი ტომები თუმცა ძირითადად ადგილობრივი კულტურის სიკეთით სარგებლობდნენ, მაგრამ აღნიშნულ პერიოდში კარგად იცნობდნენ სხვა მოწინავე ხალხების კულტურასაც და დაკავშირებული იყვნენ მათთან საკმაოდ ფართო სავაჭრო ურთიერთობით. ჩანს, რომ ჩვენს მთიელებს კარჩაკეტილად არ უცხოვრიათ. ამას ადასტურებს მთელი რიგი ფაქტები. გარდა ზემოხსენებული მძივებისა, რომელნი უცხოური წარმომავლობა თითქმის უეჭველია, ბრილის VI—III საუკუნეთა სამარხებში აღმოჩენილია ბერძნული შავლაკიანი სკიფოსი, ფინიკიური ფერადი მინის ორი ალაბალაზამე (მათ შორის ერთში ჩვენს დრომდე მოაღწია სურნელოვანმა სითხემ) და ეგვიპტური სკარაბეის გამოსახულებები დიდი რაოდენობით. ახლახან დასახელებულ სხვა ნივთებთან ერთად სკარაბეი ანუ, როგორც მას ქართულად უწოდებენ, ფუნაგორიაც ჩვენში მოხვედრილა უცხო ქვეყნებთან ვაჭრობის გზით. ეს ადრინდელი ვაჭრობა შესაძლოა კვლავ იდგა პროდუქტთა უშუალო გაცვლის საფეხურზე, მაგრამ ძვ. წ. VI საუკუნიდან სა-

ქართველოს ბარში, ხოლო IV საუკუნიდან მთაშიც უკვე შეინიშნება სასაქონლო ურთიერთობა. ამის კარგ საბუთს წარმოადგენს კოლხური ვერცხლის მონეტების დიდი რაოდენობით გავრცელება ბარში და ერთი ამგვარივე მონეტის აღმოჩენის ფაქტი ამბროლაურის რაიონის სოფელ ლიხეთში, სწორედ ძვ. წ. V—IV საუკუნის სამარხში.

ცალკე უნდა აღინიშნოს სკარაბეის წარმომავლობა და მნიშვნელობა. „სკარაბეი" ფუნის ხოპოს ბერძნული სახელწოდებაა. ეს მწერი, ისევე როგორც ბევრი სხვა ცხოველი, გაღვთაებრიებული იყო ძველს ეგვიპტეში, და მის გამოსახულებებს ამზადებდნენ ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ქვებისაგან, ფაიანსისაგან, პასტისაგან და სხვ. სკარაბეის მიიჩნევდნენ მზის ღამიერი ყოფის ღვთაების ხეპრას სიმბოლოდ. მსგავსად მუდამ მოფუსფუსე უწყინარი ფუნის ხოპოსი, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეს ანდომებს მისგანვე დამზადებული ფუნის ბირთვების შეგონებას პაწია ხვრელებში, უხილავი სკარაბეიც ცის ერთი კიდურიდან ამოაგორებს სიცოცხლის მომნიჭებელი მზის ვეებერთელა ბირთვს, რომ საღამოთი მეორე კიდურს მიაფაროს და ღამის განმაელობაში კვლავ აღმოსავლეთ საწყისთან მიიტანოს. ეგვიპტელები სკარაბეის გამოსახულებებზე წერდნენ სხვადასხვა ტექსტებს „მიცვალებულთა წიგნიდან" და მიცვალებულს უდებდნენ ამოკრილი გულის ნაცვლად. ოზირისის სამსჯავროს წინაშე მას მართლად უნდა დაეხასიათებინა მიცვალებულის საამქვეყნო საქმეები. ამას გარდა, სკარაბეის ზედწერილები გადმოგვცემს ღირსშესანიშნავ ეპიზოდებს სახელმწიფოს ისტორიიდან ან მეფეთა და წარჩინებულთა ცხოვრებიდან და სხვ. სახელმწიფო ერმიტაჟში (ლენინგრადი), მაგალითად, დაცულია სკარაბეი, რომლის წარწერითაც ირკვევა, რომ ფარაონ ამენხოტეპ III მისი მეფობის მეათე წელს უკვე 102 ლომი ჰყოლია მოკლული.

სკარაბეის დამზადება ეგვიპტელთაგან ისწავლეს უფრო გვიან სირიელებმა, ბერძნებმა და სხვა ხალხებმა. არაეგვიპტური ხელობის სკარაბეი ადვილად გაირჩევა ეგვიპტურისაგან. განმასხვავებელ ნიშანთა შორის ყურადღება უნდა მიექცეს წარწერებს. ბერძენთა და რომაელთაგან ამოკვეთილი იეროგლიფები ხშირად დამახინჯებულია და მხოლოდ დეკორატიულ ნიშნებადაა ქცეული.

ბრილს აღმოჩენილი სკარაბეიები ერთნაირი ტიპისაა. ისინი დამზადებულია ცისფერი ეგვიპტური პასტისაგან. ზომები მერყეობს: სიგრძე 10-11 მმ, სიფართე 7-8 მმ. გამოსახულებაზე კარგად გაირჩევა ხოპოს თავი და ფრთებგამყოფი ზოლი. მოჩანს ფეხებიც, მაგრამ სრულიად უგულებელყოფილია მწერის დამახასიათებელი სხვა წვრილმანი ნიშნები. მუცელზე ამოკვეთილია იეროგლიფები, რომლებშიც იკითხება ეგვიპტურ ღვთაებათა სახელები და ქება-დიდება, მაგრამ ზოგი იეროგლიფი იმდენად გადასხვაფერებულია, რომ უფრო ბერძნულ კერამიკულ მხატვრობას მოგვაგონებს, ვინემ ეგვიპტური დამწერლობის ნიშნებს. თითოეული სკარაბეი სიგრძივ გახვრეტილია ძაფზე ასასხმელად. ჩანს, მათ მძივებთან ერთად ატარებდნენ როგორც სამკაულს ან თავისებურ თილისმას, მაგრამ საეჭვოა, რომ ჩვენში იგივე მნიშვნელობა მიეცათ მათთვის, რასაც ეგვიპტური რელიგიური აზროვნება მიაწერდა.

ბრილის ტიპის სკარაბეი დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ქ. ნავკრატისში. ცნობილმა ეგვიპტოლოგმა ფლ. პეტრიმ იქ ამოთხარა ძვ. წ. VI—IV სს. თა-

ვისებური ფაბრიკის ნაშთები, სადაც ჩვენთვის საინტერესო სკარაბეისთან ერთად უმზადებიათ მინის მძივები, თიხის ჭურჭელი და სხვ.

ნავკრატისი ძველი ეგვიპტური ქალაქია მდ. ნილოსის დელტასთან, ვაჭრობისათვის შეტად მოხერხებულ ადგილზე და თანაც მოგვიანო დედაქალაქის — საისის მახლობლად მდებარე. იქ ადრე შეაღწია ბერძნულმა ელემენტმა, ხოლო ძვ. წ. VII ს. დამლევს ისე მტკიცედ მოიკიდეს ფეხი ბერძნებმა, რომ უამრავი სახელოსნო მოაწყვეს და აღებმიცემის ფართო ქსელი გააბეს ეგვიპტესა და საბერძნეთს შორის. აქაური ბერძნული სახელოსნოები თითქმის მხოლოდ ექსპორტისთვის მუშაობდნენ. ნავკრატისული პროდუქცია, რომელიც ეგვიპტურის მიბაძვას წარმოადგენდა და ბერძნული კულტურის ძლიერ კვალს ატარებდა, შედიოდა ეგეოსის კუნძულებზე, სიცილიაში, იტალიაში, დასავლეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში, მათ შორის შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროებზე, და როგორც ახლა ირკვევა—საქართველოს მაღალმთიან რაიონებშიაც. მართლაც, ნავკრატისული სკარაბეი გარდა ბრილისა აღმოჩენილია კუნძულ ბერეზანზე, ოლვიასა და ჯეგემის ხეობაში. უფრო გვიანდელი სკარაბეიები, რომლებიც გამოსულია ქ. ალექსანდრიის სახელოსნოებიდან, ნაპოვნია მცხეთაში, დიდუბეში, ჩრდილო ოსეთში, ყუბანსა და სხვა ადგილებში. ის საკითხი, თუ რა გზით მოხვდა ბრილში ნავკრატისული ან სხვა უცხოური ნაწარმი, ჯერ კიდევ საკვლევია. საფიქრებელია, რომ ის შემოჰქონდათ ბოსფორის სამეფოს მეშვეობით, თუმცა ბერძნული კოლონიები არსებობდნენ აგრეთვე შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზედაც. ასეთები იყო ფაზისი, დიოსკურია და სხვა. უკვე ის ფაქტი, რომ ბრილში ძვ. წ. VI—V სს. სამარხში და აგრეთვე ლეჩხუმში აღმოჩენილია მხედართა მშვენიერი ქანდაკებები, ადასტურებს მიმოსვლის საშუალებათა განვითარებას. ქართველებს ადვილად შეეძლოთ შავიზღვისპირა ბერძნულ კოლონიებში შეეძინათ მათთვის სასურველი უცხო ნაწარმი. ყოველ შემთხვევაში შემონახულია ძვ. წ. I საუკუნის ვითარების ამსახველი წერილობითი წყარო, რომლის მიხედვითაც დიოსკურიაში თავს იყრიდა სავაჭროდ ჩამოსული კავკასიელ მთიელთა მრავალ ტომი. უნდა ვიფიქროთ, რომ უფრო ადრინდელ დროშიც დაახლოებით მსგავსი სურათი იყო.

რომ ძვ. წ. VI და მომდევნო საუკუნეებში ქართველი მთიელები სარგებლობდნენ უცხო წარმოშობის საგნებითაც, ამაზე მიუთითებს აგრეთვე ყაზბეგის განძი, შემავალი ზედწერილიანი ერთი ვერცხლის თეფში, ამობურცული სახეებით, პალმეტებით და გედის თავებით შემკული.

ყაზბეგის განძი, რომელსაც უფრო ახლო გავიცნობთ ქვემოთ, ამოთხრილია 1877 წ. გ. ფილიმონოვის მიერ; იგი მეტად ახლო ენათესაობა ბრილის VII — VI სს. ძეგლებს, და უეჭველია წარმოადგენს განვითარებული რკინის კულტურის ყველაზე უფრო ბრწყინვალე ნიმუშს. მასში შემავალ აურაცხელ ნივთთაგან ყველა, გარდა ზემოხსენებული ვერცხლის თეფშისა, ადგილობრივი ხელობისაა. რაც შეეხება თეფშს, მის სამშობლოდ მიიჩნევენ ფინიკია — სირია— მცირე აზიას, თუმცა ამ ბოლო დრომდე იქ არაფერი მოიპოვებოდა მისი ორნამენტის შესადარებელი. 1936 წ. კი კუნძულ როდოსზე იალისოსის სამაროვნის გათხრებისას ზუსტად ასეთი ორი თეფში აღმოჩნდა ორფერდა სახურავიან ქვაყუთებში, შეტად მწირი ინვენტარის თანხლებით, რომელიც დათარიღების საყრდე-

ნად არ გამოდგება, მაგრამ თვით ქვაყუთების ტიპი ძვ. წ. VI საუკუნეზე მიუთითებს. იალისოსში მომხდარი აღმოჩენის საფუძველზე ყაზბეგის ვერცხლის თეფში შეიძლება მიჩნეულ იქნეს ძვ. წ. VI ს. იონურ ნაწარმად. მართლაც სწორედ ამ დროს ეკუთვნის როდოსული ბრინჯაოს საგნების ძლიერი ექსპორტი, რაც მოწმდება იქაური ჭურჭლის აღმოჩენით ჰალშტატისდროინდელი იტალიის, სამხრეთ საფრანგეთის, სამხრეთ გერმანიის და ფინიკიის სამარხებში. გამოჩენილმა რუსმა არქეოლოგმა ბ. ფარმაკოვსკიმ თავის დროზე ბრწყინვალე მაგალითებით დაადასტურა იონურ-მცირეაზიური კულტურული ნაკადების შავიზღვისპირეთში შემომავლობაც. ყაზბეგური თეფში ერთ ასეთ მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ.

მაგრამ, როდესაც ჩვენ აღვნიშნავთ უცხო ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებას აღებულ ხანაში, რასაკვირველია, თავისთავად იგულისხმება ორმხრივი ურთიერთობა, ე. ი. არა მარტო იმპორტი, არამედ ექსპორტიც. წყაროები გვამცნობს იმ სიმდიდრის სახეებს, რითაც ქართველი ტომები ამარაგებდნენ მაშინდელ კულტურულ მსოფლიოს. ამ სიმდიდრის ნაწილი სამხრეთი, მცირეაზიური რაიონებიდან გადიოდა, ნაწილი კოლხეთის ბარიდან, ხოლო ზოგიც შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქების სინოპისა და ამისოს, მეშვეობით. საბერძნეთში გაჰქონდათ მცირე აზიის ქართველი მელითონე ტომების—ხალიბების მიერ დამზადებული შესანიშნავი რკინა; იმავე რაიონში წარმოებდა სპილენძის მადნის მოპოვება. განსაკუთრებით განთქმული იყო მრსინიკების ქვეყანაში ამოღებული სპილენძი და კოლხური ტილო, საგემთმშენებლო ხე-ტყე, თაფლი, სელი, ცვილი, ფისი და სხვ.

ამას გარდა, საქართველოს მთიანეთიდან, როგორც ჩანს, გაჰქონდათ ლითონის მზა ნაწარმიც. მაგალითისათვის შეიძლება დავიმოწმოთ ზოგიერთი აღმოჩენა სამოსში. 1894 წ. იქ, ე. წ. დასავლეთ სამაროვანზე გაუთხრიათ ოთხი ნახანძრალი, სადაც თავის დროზე სრულდებოდა სულის საქმე მსხვერპლთშეწირვით. ცეცხლისაგან საკმაოდ დაზიანებული თიხის ჭურჭლის, ლითონის საგანთა და სხვა ნივთთა შორის აღმოჩნდა ბრინჯაოს ზარებიც. ეს ზარები ზუსტად ისეთივეა, როგორც ბრილის, ყაზბეგის და კავკასიის სხვა მთიანი ნაწილების კომპლექსებში შემავალი გვერდგაჭრილი ზარები მაშინ, როდესაც მათი შესატყვისი საკუთრივ საბერძნეთის კონტინენტზე არ მოიპოვება. იმავე სამოსზე, ჰერაიონში აღმოჩენილი ზარებიც აგრეთვე წარმოადგენს ღებური, ყაზბეგური, ბორული, ქამუნთური, ყობანური და აღმოსავლეთ ამიერკავკასიური დაფანჯრული ზარების განმეორებას. ამგვარად, უეჭველი ხდება, რომ საქართველო და კავკასია იმხანად ბრინჯაოს ნაწარმითაც ამარაგებდა ძველ ბერძნულ სამყაროს.

ქართველ ტომებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ჩრდილო შავიზღვისპირეთის და ვოლგისპირეთის ხალხებთანაც. ამ მხრით, სხვათა შორის, აღსანიშნავი არიან ტავრები და სავრომატები. ბრილში ამოთხრილი ბევრი ნივთი — რომბისებრ დაბოლოებული დაგრეხილი კირკლები, რკინის სატევრები, მინის მძივების ერთი ნაწილი და აგრეთვე ზოგი სხვა სამკაული საოცარი სიზუსტით მეორდება მთიანი ყირიმის, კერძოდ ბაიდარის ხეობის ქვაყუთებში; ეს კია, რომ სამკაული იქ გაცილებით უფრო მცირერიცხოვანია, ვიდრე ბრილში, რაც მოწმობს კავკასიიდან ყირიმისაკენ მიმართულს და არა პირუკუ კულტურულ ნაკადს. რა-

ჭა-ყირიმის მატერიალური კულტურის დამაკავშირებელი შუალედი რგოლები. ამ ბოლო დროს მიაკვლია ჩრდილო კავკასიაში (ნესტეროვის სამაროვანი) არქეოლოგმა ე. კრუპნოვმა. სრულიად უეჭველი სიცხადით მოწმდება, რომ ქართულ-კავკასიური ბრინჯაო, კერძოდ, საფეხურების მსგავსად შემაღლებულ განივკვეთიანი ბალთები გაჰქონდათ ვოლგისა და კამის მხარეებშიც, ე. წ. ანანინოს კულტურის წრეში.

საერთოდ ძვ. წ. VII—III სს. ქართული კულტურა მეტად მჭიდროდაა დაკავშირებული ჩრდილო, ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ რაიონებში დამოწმებულ ძეგლებთან. ამ კავშირურთიერთობის მაუწყებელი ზოგიერთი საგანი შედის სახელმოხვეჭილ „ყაზბეგის განძშიც".

ყაზბეგის განძი. სტეფანწმინდის ანუ ყაზბეგის განძი მოპოვებულია 1877 წ. გ. ფილიმონოვის მიერ. არქეოლოგიური გათხრის დროს გ. ფილიმონოვმა ვერ გამოიჩინა სათანადო წინდახედულება, რის შედეგად განძმა არასრულად და დაქსაქსულად მიაღწია სამეცნიერო დაწესებულებამდე; შემოღამების გამო გ. ფილიმონოვს გათხრა შეუჩერებია და ძეგლი დაუცველად მიუტოვებია. მეორე დილით მას ყველაფერი გადათხრილი და დატაცებული დახვედრია. მძარცველებმა, თურმე ნაწილ-ნაწილ და სხვადასხვა დროს გაჰყიდეს მიტაცებული ნივთები. ზოგი მათგანი სამეცნიერო დაწესებულებებში მოხვდა, ზოგიც, ალბათ, სამუდამოდ დაიკარგა.

ამას გარდა, საეჭვოა: მართლა განძია ის, რასაც „ყაზბეგის განძის" სახელით ვიცნობთ, თუ სამარხეულ ინვენტარს წარმოადგენს. გამთხრელის დღიურები ამ მხრით ამომწურავ ცნობებს არ იძლევა.

ყაზბეგის განძში შედის რამდენიმე ასეული ნივთი: საჭურველი, ცხენის აკაზმულობა, ჭურჭელი, სარტყლის მოწყობილობა, სამკაული და საკულტო დანიშნულების საგნები — უმთავრესად ქანდაკებანი და ზარები. იქ წარმოდგენილია თავისი დროისათვის ფართოდ გავრცელებული თითქმის ყველა ლითონი: ბრინჯაო, რკინა, ვერცხლი და ოქრო. იქ არის თითქმის უეჭველად უცხოური ვერცხლის თეფში, აგრეთვე ადგილობრივი ბრინჯაოს სამი სხვა ჭურჭელი—მათარისებრი მოყვანილობის ორი სურა და ერთი ქუსლმაღალი, პირგადმოწეული ცალყურიანი სიტულა, ბრინჯაოსტარიანი რკინის მახვილთა ნატეხები, ბრინჯაოს ორთავიანი კვერთხი, 22 მშვილდსაკინძი, ბრინჯაოს ფურცლის სარტყლები, ჭვირული ხელობის აბზინდებითურთ, ოქროს შვიდსხივიანი საყურე (მსგავსი ბრილურისა), აღვირ-უნაგირის სამკაულები — დიდრონი სათასმე ბალთები (და ყღარუნები (ეჟვნები), ღრუ, თანაც კედლებდაფანჯრული სფეროსებრი ფორმისა ზედ შესკუპებული ქანდაკებებით, დროშის თავები რქადახვეული ცხვრის თავებითა და ადამიანთა ქანდაკებებით, ბრინჯაოს ირმები, სხვა ცხოველთა უაღრესად სტილიზებული გამოსახულებანი, ზარები და მრავალი სხვა. აქაურ ნივთთა მნიშვნელოვანი ნაწილი მეტად ორიგინალურია და სრულებით არა ჰგავს ე. წ. ყობანურ ბრინჯაოს. განსაკუთრებით აღსანიშნავია დაფანჯრული ყღარუნები და დროშის თავები ზემდგომი ანთროპომორფული ქანდაკებებით, ცხენის თავის გამოსახულებანი, ირმები და სხვ. ზოგ ყღარუნებზე ჯიხვები დგანან, ზოგზე უბელო ცხენები ტიტველი მხედრებით. ამ უკანასკნელთა სახეები ძლიერ ჰგვანან ბრილის მხედრისა და სამთავროს ოთხთავიანი ქანდაკების სახეს.

ერთ ნივთზე გამოსახული ყოფილა ცხვრის რქებზე მდგარი სამი მამაკაცი, რომელთაგან მხოლოდ ორმა მოაღწია. ერთი მათგანი მეორეს სპრის თავს ბრილური ტიპის მოხრილი დანით. საყურადღებოა ბრინჯაოს ხარის (ზოგი ჯიხეს ეძახის) ერთმანეთზე დადგმული რქები, რომელთა ზემოთ დგანან ორთავიანი კვერთხით თუ ლახტით აღჭურვილი ტიტველ მამაკაცთა ითიფალური ქანდაკებანი; ხარის რქებზე ჩამოკიდებულია აგრეთვე გვერდგაპრილი ზარები, სრულიად იმგვარივე, როგორიც ბრილის სამარხებში გვხვდება.

ცხოველის რქებზე მდგარი ანთროპომორფული ფიგურები, წინააზიური წესის მიხედვით, მხოლოდ ღვთაებანი შეიძლება იყვნენ. ხაზგასმული სასქესო ორგანოები, აგრეთვე მათს ტანზე მოთავსებული სპირალები და სოლარული ნიშნები გვაფიქრებინებს, რომ ისინი წარმოგვიდგენენ ნაყოფიერების ღვთაებას. ყაზბეგის განძსვე მიაკუთვნებენ აგრეთვე ბრინჯაოს ქინძისთავს, რომლის თავი მოგვაგონებს ორფერდა სახურავიან სახლს, ზედშესკუპებული მხედრით. მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება უძველესი ქართული არქიტექტურული ძეგლების შესწავლის საქმეში. რომ ორფერდა სახურავიანი საცხოვრებელი სახლები ჩვენში გავრცელებული ყოფილა არა მარტო ყაზბეგის განძის ეპოქაში; ე. ი. ძვ. წ. VI საუკუნეში, არამედ აგრეთვე მომდევნო ხანაშიც, სახელდობრ გვიანანტიკურ ხანაში, ამას მოწმობს, ერთის მხრით, ზემო სვანეთში (ჭუბურის სასოფლო საბჭოში) შემთხვევით აღმოჩენილი ოქროს სახლის მოდელი, რომელიც თითქმის ზედმიწევნით იმეორებს ყაზბეგური საკინძის თავს, ხოლო, მეორე მხრით, მცხეთაში გათხრილი ორფერდა სახურავიანი სამეფო აკლდამა, ქვისსამარხები და სარკოფაგები.

მსგავსად ბრილის VII და მომდევნო საუკუნეების კომპლექსებისა, ყაზბეგის განძშიც შედის გვიანი ბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი მშვილდსაკინძები. ამასთან, ზოგი მათგანი სიდიდით არც კი ჩამოუვარდება გვიანი ბრინჯაოს ხანის საკინძებს. ბრილის ზოგიერთი საკინძის მსგავსად, ყაზბეგური საკინძების დამახასიათებელი ნიშნებია დაგრეხილი ან მძივისებრ შემსხვილებული მშვილდი და მეტად ფართო სანემსე ბუდე. მეორე ნიშანი მათ კარგად აკავშირებს აფხაზეთში აღმოჩენილ იმავდროინდელ საკინძებთან.

ყაზბეგის განძი არაერთი ავტორის განხილვის საგანი გამხდარა. ყველაზე სრული და საფუძვლიანი აღწერა-გამოკვლევა ეკუთვნით პ. უვაროვას და ა. ტალგრენს.

ეს განძი მთელი რიგი ნივთების მიხედვით უკავშირდება ბრილურ კომპლექსებს და მათთან ერთად წარმოადგენს ერთი კულტურული წრის ნაყოფს. როგორც ბრილის კომპლექსებში, ისე ყაზბეგის განძში შემავალი ძირითადი ელემენტების ერთი ნაწილი დამახასიათებელია მხოლოდ ქართულ-კავკასიური სამყაროსათვის, მეორე ნაწილი კი გავრცელებული ჩანს არა მარტო კავკასიაში, არამედ აგრეთვე ჰეროდოტესდროინდელ სკვითიაში. ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნის, მაგალითად, რკინის ცული, აკინაკი და შუბის პირი. მაგრამ მკვლევართა უმრავლესობა სამართლიანად ფიქრობს, რომ ეს საპურველი სკვითებში შესულია აღმოსავლური კულტურის წიაღიდან. სხვა საკითხია თუ რომელი ავტორი რომელ ხალხს მიიჩნევს სკვითური კულტურის ცალკეული ელემენტების შემოქმედად. სკვითები ჯერ ეთნიკურ მასას წარმოადგენდნენ. ზოგი ავტორი

ბ. როსტოვცევისა და ე. მინსიდან მოკიდებული სკვითიის ძირითად ეთნიკურ ელემენტად მიიჩნევს ჩრდილო ირანული მოდგმის ტომებს, ხოლო სკვითური კულტურის მთავარ წყაროდ — ირანულ კულტურას. ეს კია, რომ მ. როსტოვცევს ირანული კულტურა თავისთავად მოელენად არ მიაჩნია. იგი სამართლიანად წერდა: რომ საკუთრივ სპარსული კულტურაც ნარევი ხასიათისაა, მასზე გავლენას ახდენდა ასურულ-ბაბილონური კულტურა, რომელსაც ძლიერად ჰქონდა შერეული ეგვიპტური და ფინიკური ელემენტები; გასათვალისწინებელია მცირეაზიური გავლენაცო. ამას გარდა, სამხრეთ რუსეთის ტრამალებზე გავლენას ახდენდა ხეთებისა და ხალდების მიერ შექმნილ კულტურის ცენტრები, ორა ირანის, არამედ კავკასიის მეშვეობით. ბევრ ავტორს უდავოდ მიაჩნია ამიერკავკასიური მადნეულის და ლითონის იმპორტი სკვითიაში. სკვითებში გასავრცელებლად მზადდებოდა ბევრი მხატვრულად შემკული საგანიც.

სკვითური კულტურის თანამედროვე მკვლევარი ბ. გრაკოვი წერდა, რომ სკვითური კულტურა კომპლექსია ადგილობრივ და შემოტანილ საყოფაცხოვრებო ძეგლთა ფორმებისა. საჭურველთაგან მხოლოდ მახვილი, შუბის ზოგი ფორმა და შესაძლოა ხაომარი ცული მომდინარეობს წინა აზიიდან. ისარი კი, სკვითის მთავარი საჭურველი, ადგილობრივ ტრადიციებზე აღმოცენდა. თვით ლაგამთა ძვლის, ბრინჯაოსა და რკინის კონსტრუქცია ადგილობრივი განვითარების შედეგია, დამოუკიდებელი, მაგრამ წინააზიურის მსგავსი, ბრინჯაოს ქვაბთა პროტოტიპები მოიპოვება კიმერულ კულტურაში. სკვითურ ცხოველურ სტილში ჩანს. რთული შერწყმა ტყიან-ტრამალებიანი ზონის მოტივებისა წინაზიურ, იონურ და რომელიღაც მთიანი რაიონის მოტივებთან. მაშასადამე სკვითიაში საბრძოლო იარაღის მნიშვნელოვანი ნაწილი წინა აზია—კავკასიური ფორმების გავლენით უმზადებიათ. მართლაც, კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში გაცილებით უფრო დიდი რაოდენობით პოულობენ ე. წ. სკვითურ ცულებს და სატევრებს, ვიდრე სკვითიაში. დამახასიათებელია, რომ სკვითიის ერთერთ მთავარ ოლქში — მდ. სულის ხეობაში სულ ნაპოვნია 20 საომარი ცული, რაც სპარბობს ჰეროდოტეს მიერ აღწერილ მთელს სკვითიაში აღმოჩენილ ცულთა საერთო რაოდენობას. მარტო ბრილში კი ასზე მეტი რკინის ცულია ნაპოვნი. დიდი რაოდენობის ცული, ოღონდ მოგვიანო—ძვ. წ. V—IV სს. ტიპებისა, აღმოჩენილია სოხუმის მთის გათხრისას. ასეთივე სურათს იძლევა აღმოჩენილ სატევართა თანაფარდობა.

როგორც არ უნდა გადაწყდეს ჩვენთვის საინტერესო ცულებისა და სატევრების წარმომავლობა, ფაქტი კავკასიის ხალხთა მჭიდრო ურთიერთობისა სკვითურ სამყაროსთან მაინც ურყევი რჩება. ჰეროდოტეს მიხედვით, ჩრდილო შავიზღვისპირეთიდან აყრილ კიმერიელებს უკან დაედევნენ სკვითები, რომელთაც რატომღაც სხვა გზით — დაღესტან-აზერბაიჯანის გზით — გაიარეს კავკასია და შეაღწიეს წინა აზიის რაიონებში. ზოგი თანამედროვე მკვლევარი ცდილობს ჰეროდოტეს ცნობის საეჭვოდ გამოცხადებას და ე. წ. სკვითური იარაღის აღმოჩენის ყველა პუნქტს სკვითების ლაშქრის მარშრუტის შემადგენელ ნაწილად აცხადებს. ამიტომ, თუ ამ მკვლევრებს დავუჯერებთ, სკვითებმ კალიასაკით მოსდგომიან მთელ კავკასიის ქედს და ყველა იმ გადმოსასვლელით, უსარგებლნით, რომლებიც სადღეისოდაა ცნობილი. ესენია არა მარტო დერ-

ბენდისა და დარიალის კარები და მამისონის უღელტეხილი, არამედ აგრეთვე ისეთი სახიფათო გადმოსასვლელებიც, როგორიც ღების, სვანეთისა და სხვა ბილიკებია. „სკვითური“ ტიპის ნივთების კავკასიაში გავრცელებაც ამ ექსპანსიის წყალობითაა ახსნილი. მაგრამ, თუ საკითხს ზერელედ არ შივუდგებით, აღმოჩნდება, რომ არც ჰეროდოტესეული ცნობაა ეჭვქვეშ დასაყენებელი და არც „სკვითური“ საქურველის ჩვენში გავრცელებაა დასაკავშირებელი სკვითების წინააზიურ ლაშქრობასთან. სკვითების ლაშქრობას ძვ. წ. VII საუკუნით ათარიღებენ, ხოლო ასეთ ძველ სამარხებში სკვითიის ტერიტორიაზე არც კი არის აღმოჩენილი აკინაკი და საომარი ცული. ყველაზე უფრო ადრინდელი „სკვითური“ აკინაკები ეკუთვნის ძვ. წ. VI საუკუნეს, მათ შორის მხოლოდ ზოგიერთია აღმოჩენილი საკუთრივ სკვითიის ტერიტორიაზე (მაგალითად, ლიტოი ყორღანში), სხვები კი დონის სამხრეთით (მაგალითად, კელერმესის, ყორღანში). ცხადია, სკვითები კავკასიაში VII საუკუნეში ვერ მოიტანდნენ იმას, რაც მათ არ გააჩნდათ. უფრო საფიქრებელია, რომ სკვითებმა ეს იარაღი გაიცნეს ან კავკასია-წინა აზიაში ყოფნის დროს ან საკუთარ სამშობლოში, დარიოსის ლაშქრის შესევის წყალობით. კავკასიიდან სკვითიაში იარაღის ფორმების გავრცელება საესებით ბუნებრივია, ვინაიდან რკინის მადანიც აქედან გადიოდა. ყოველ შემთხვევაში სკვითიაში არაა აღმოჩენილი სამთამადნო თუ მეტალურგიული წარმოების ძვ. წ. IV საუკუნეზე უწინარესი კვალი. სკვითია მდებარეობდა ჩრდილოეთისაკენ მიმავალ იმ გზაზე, რომლის მეშვეობითაც უკვე ძვ. წ. VI საუკუნიდან მოკიდებული ბლომად შემოდიოდა საქართველოში ბალტიისპირეთის ქარვა. იგი ხშირად ჩნდება ბრილის სამარხებში, უფორმო მძივების სახით. სამაგიეროდ, ქარვით მოვაჭრეები სკვითიაში ტოვებდნენ კავკასიური რკინისა და ბრინჯაოს ნაწარმს ან ნახევარფაბრიკატებს, ავრცელებდნენ რკინის დამუშავების წესებს.

აქედან თავისთავად ცხადი ხდება ქართული კულტურის როლი სკვითური კულტურის ფორმირების საქმეში. სტრაბონის მიხედვით ჩანს, რომ სკვითები ქართველ ტომებს კიდევაც ემეზობლებოდნენ და კიდევაც ენათესავებოდნენ. აკად. ივ. ჯავახიშვილმაც საკმაოდ დამაჯერებელი მოსაზრება წამოაყენა სკვითურ-შარომატული ტომების ქართველებთან მონათესაობის შესახებ. უნდა ვიფიქროთ, რომ შემდეგდროინდელი ქართველი ხალხის ეთნიკურ სუბსტრატში სკვითური ელემენტიც მონაწილეობდა. მეზობლობა და ნათესაობა თავისთავად კარგი პირობაა კულტურული ნაკადების ურთიერთგაზიარებისა.

ძველი თაობის არქეოლოგებს აზრადაც არ მოსვლიათ დაენახათ სკვითურ კულტურაში კოლხური ნაკადები, მაგრამ სრულებით შეუგნებლად მაინც ადასტურებდნენ ასეთი ნაკადების არსებობას. დავკმაყოფილდებით ერთი ასეთი მაგალითის მოტანით: კარგად ცნობილ „სემიბრატიევის“ მეორე ყორღანში, რომელიც ძვ. წ. V საუკუნეს ეკუთვნის, უამრავ ნივთთა შორის აღმოჩნდა ტანსაცმელზე დასაკერებელი ოქროს ფირფიტები ზედ გამოსახული ქალის თავებით და ხარის ან ძროხის პროტომებით. სამხრეთ რუსეთის კლასიკური სიძველეების მკვლევარი სტეფანი გაოცებული იყო იმით, რომ ზემოაღნიშნული გამოსახულებანი ზედმიწევნით ჰგვანან გამოსახულებებს „ვერცხლის წერილ ფულზე, რომელიც გვხვდება რუსეთის (იმპერიის) სამხრეთ ნაწილში“. ეს

„წვრილი ფული“ კოლხური თეთრია, ხოლო „რუსეთის (იმპერიის) სამხრეთ ნაწილად“ დასავლეთ საქართველო იგულისხმებოდა, მაგრამ სტეფანის არ უნდოდა დაენახა ქართული გავლენა სკვითურ კულტურაზე და კატეგორიულად უარყოფდა მოსაზრებას ამ მონეტების კოლხეთში მოკრის შესახებ. ახლა საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ზემოხსენებული მონეტების სამშობლო დასავლეთ საქართველოა და თუ კავკასიის ქედს მიღმა კოლხური თეთრის მხატვრობა მეორდება, აშკარად უნდა მოწმობდეს იქ ქართული კულტურის ნაკადების არსებობას.

§ 10. ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის საწყისი საფეხური

ხაფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ კავკასია და წინა აზიის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენდა ქართული კულტურის აკვანს. ცნობილია, რომ ასურელ მეფეთა წარწერები ზოგიერთ ქართველ ტომს იხსენიებენ კაპადოკიაში. ასევე იქცევა ძველი ებრაული და ბერძნული მწერლობაც.

ძვ. წ. IX ს. ლურსმნული დამწერლობის ძეგლების მიხედვით ჩანს, რომ ასურელებისათვის განკუთვნილ ხარკში მუსკები, ე. ი. მეშეხი (იგივე მოსხი, მესხი), სხვათა შორის, იხდიდნენ თითბრის ჭურჭელსაც. ტაბალები, ე. ი. თობალი (იგივე ტიბარენი, იბერი) და სხვა მათებრ დაპყრობილი ტომები იმავე ასურელებს აძლევდნენ ვერცხლს, ოქროს, ტყვიასა და თითბერს — სალმანასარ II დროს, და ვერცხლს, ტყვიასა და რკინას — სალმანასარ III დროს. ძვ. წ. 837 წელს ასურელებს ტაბალის ვერცხლის მაღაროებიც დაუპყრიათ.

ასურულ წყაროებში ტაბალის და მუსკის მაღაროებისა და ლითონის ჭურჭლის მოხსენიება შესაძლებლობას გვაძლევს, რომ ამ ტომების მეურნეობაში დავინახოთ არა მარტო მეტალურგიისა და ხელოსნობის დიდი როლი, არამედ აღნიშნული დარგების განვითარებაც ადგილობრივი ნედლეულის მოპოვების ბაზაზე.

უფრო გვიანდელი, ძვ. წ. VI ს. ებრაელი ავტორი ეზეკიელი თობელისა და მოსოხის შესახებ კიდევ ახალ, დამატებით ცნობას იძლევა: „იავანი, თობელ და მოსოხ ვაჭრობდნენ შენ შორის (ე. ი. ფინიკიის ქალაქ ტვიროსში) სულებსა კაცთასა, და ჭურჭელნი რვალისანი მისცნეს სავაჭროდ შენდა“. ბიბლიური მწერლის ამ მოკლე ფრაზის მიხედვითაც კარგად ჩანს, რომ ამ ორი ქართველი ტომის მეტალურგიული წარმოების მნიშვნელობა ლითონის ნაწარმზე საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას სცილდებოდა, და ლითონის ნაწარმი ფინიკიის ქალაქებთან ვაჭრობის საგნად იყო ქცეული. იმავე ცნობის ის ნაწილი, რომელშიც კაცთა სულებით ვაჭრობაზეა საუბარი, სოციალური უთანასწორობის ისეთ საფეხურს მოწმობს, რომელზეც მონებს აგროვებდნენ არა მარტო ტყვეების სახით — ომიანობის დროს, არამედ ლითონის ნაწარმზე გაცვლის გზითაც — მშვიდობიან პერიოდში. გამორიცხული არაა შესაძლებლობა, რომ ნაყიდ მონებს იყენებდნენ სამთამადნო წარმოებაშიც. თობელის, როგორც დაწინაურებული მეტალურგის სახელი მოწმდება „დაბადების“ პირველი წიგნის ავტორის სიტყვითაც: თობელი „ესე იყო კვერით ხუროჲ მჭედელი რვალისა და რკინისაჲ“.

ანტიკურ ხანაში ქართველი ტომებიც, მათი წინაპრების მსგავსად, ინარჩუნებდნენ მოწინავე მემთამადნეთა და მეტალურგთა სახელს. მაგალითად, მოსი-

ნიკები, რომლებიც კოტიორასა და ტრაპეზუნტს შორის არიან დამოწმებულნი, ფსევდო არისტოტელეს მიხედვით, სახელმოხვეჭილი იყვნენ თავისებური სპილენძისა და ბრინჯაოს დამუშავებით. სპილენძში ისინი, თურმე ურევდნენ არა კალას, არამედ ერთგვარ თეთრ მიწას, რომელიც შენადნობს მეტად მაღალხარისხოვანს ხდიდა. იგივე ავტორი, აგრეთვე აპოლონ როდოსელი და სხვანი მოგვითხრობენ მოსინიკთა მეზობლების — ხალიბების რკინის წარმოებაზე. ამორძალთა ქალაქებს იქითო, წერს აპოლონ როდოსელი, მკაცრსა და კლდოვან ქვეყანაში ცხოვრობენ ადამიანთა შორის უუბედურესი მუშა ხალიბები, რომლებიც რკინის დამუშავებას მისდევენ. აპოლონ როდოსელის „არგონავტიკის“ სქოლიოთა ავტორი კი იმასაც გვამცნობს, რომ კალიმაქე ხალიბებს თვლიდა რკინის გამომგონებლებად და ამიტომ წყეულა-კრულვითაც იხსენიებდა მათო: „დეე დაიღუპოს ხალიბთა მოდგმა, რომელმაც დედამიწიდან ამოზიდული ეს ბოროტი ქმნილება გამოიგონაო“. რომ რკინის მეტალურგია ხალიბების მეურნეობის მთავარ დარგს წარმოადგენდა, კარგად მოჩანს „არგონავტიკის“ სათანადო ადგილის შიხედვით: ხალიბებსო, ეკითხულობთ იქ, არაფერი ესაქმებათ არც ხარებთან, არც ხვნა-თესვასთან, არც ტკბილნაყოფიან ბაღებთან. ისინი არ აძოვებენ ნახირს ნამიან ველებზე, არამედ თხრიან რკინის შემცველ მაგარ მიწას და რკინასა სცვლიან საარსებო საშუალებებზე; ხალიბები არასოდეს უშრომლად არ ხვდებიან განთიადს, არამედ მძიმე შრომას ეწევიან შავ ბოლსა და ჭვარტლში. ყალბი არისტოტელე ხომ, როგორც ვიცით, ქებით იხსენიებს ხალიბთა რკინას და გვამცნობს მისი დამზადების არაჩვეულებრივ წესს: რკინას ადნობდნენ მდინარეების მიერ მოტანილი ქვიშისაგან მისი რამდენიმე გზის გარეცხის შემდეგ; ამგვარად გასუფთავებულ ქვიშაში ურევდნენ ხალიბთა ქვეყნის ერთგვარ ქვას და გამოდნობის შემდეგ ღებულობდნენ უჟანგველ რკინასო. თუ ამ ცნობას თანამედროვე არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის მონაპოვრის ფონზე გავიხილავთ, დავინახავთ როგორც მის ჭეშმარიტ ხასიათს, ისე მასში აღწერილი ზოგიერთი მომენტის ხანგრძლივ სიცოცხლის უნარს. მაგალითად, არქეოლოგი ნ. ხოშტარია ამოწმებს ურეკის ზღვის სანაპიროს მაგნეტიტიანი ქვიშის გამოყენებას რკინის გამოსადნობ ნედლეულად, რაც შეესატყვისება ფსევდო არისტოტელეს ცნობის პირველ ნაწილს. ამ ცნობის მეორე ნაწილის დამადასტურებელ ფაქტს წარმოადგენს საგანგებო ნივთიერების — „ფაშას“ — შერევა გამოსადნობ რკინის მადანში, რაც ეთნოგრაფ ნ. რეხვიაშვილის მიხედვით წედურს მეტალურგიაში იყო მიღებული.

ლითონდამუშავების საქმეში დაწინაურებულა ანტიკური ხანის ზოგი სხვა ქართველი ტომიც. ძვ. წ. V საუკუნის გასულს ელინ მოლაშქრეთ კარდუხთა დაცარიელებულ სოფლებში დიდი რაოდენობით უნახავთ ბრინჯაოს ნივთები. ქსენოფონტეს მოთხრობიდან ჩანს, რომ ბერძნებს თვალი დარჩენიათ ამ ნივთებზე. კარდუხები ცხოვრობდნენ ტიგროსის სათავეების მაღალმთიან რაიონში, რომელიც მდიდარია მადნეულით, და სადაც მიკვლეულია მეტად საგულისხმო უძველესი სამთამადნო წარმოების ნაშთები. ამიტომ სრულიად ბუნებრივი იქნება, თუ კარდუხთა ზემოხსენებულ ნივთებს ადგილობრივ ნამზადად მივიჩნევთ.

ქარდუხთა ჩრდილოეთით კაბალასთან, სეისპირიტიდაში (სასუბარო ანუ სპერი) სტრაბონი ასახელებს ოქროს მაღაროებს. ჩანს, რომ სამთამადნო წარმოებას ამ რაიონში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნოდა.

კიდევ ბევრი სხვა ცნობაა შემონახული, ქართველ ტომებში მეტალურგიის განვითარებას რომ გვაუწყებს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მითები არგონავტებზე და ამირანზე, რომლებშიც ასახულია გაცილებით უფრო ძველი ვითარება, ვინემ ასურულ და ბერძნულ ისტორიულ წყაროებში. ასევე ძველი ამბები ასახულია ჰომეროსის პოემებში. სტრაბონის ცნობით, ჰომეროსთან მოხსენებული ალიბთა ქვეყანა იგივე ხალიბთა ქვეყანაა. ჰომეროსის მიხედვით კი ვიცით, რომ ტროადის ომში ტროადელთა მხარეზე იბრძოდნენ ოდისევსის და ეპისტოპის მიერ შორეული ალიბიდან (რომელიც ვერცხლის სამშობლოდ იყო მიჩნეული) მოყვანილი ჰალიზონები. ამასთან დაკავშირებით სტრაბონი განმარტავს, რომ თუმცა ჩემს დროს ხალიბები რკინის დამუშავებას მისდევენ, ძველად კი ვერცხლის მაღაროებიც უმუშავებიათო. მითი არგონავტთა ლაშქრობის შესახებ კოლხეთში ტროადის ომზე უწინარეს დროს განეკუთვნება. ჩანს, რომ უკვე იმ შორეულ დროში კოლხეთი განთქმული ყოფილა ოქროსა და სპილენძის მოპოვება-დამუშავებით. ოქროს მოპოვებაზე მიუთითებს საწმისი, რომელიც დიდხანს წარმოადგენდა ოქროსმაძიებელთა ი ა რ ა ღ ს, და რომლის მოტაცებაც არგონავტთა ლაშქრობის მთავარ მიზანს წარმოადგენდა. სპილენძის წარმოებას კი მოწმობს სპილენძისჩლიქებიანი ხარები, რომლებსაც მიწის დასამუშავებლად იყენებდნენ. ამ შემთხვევაში ჩვენს წინაშეა ცნობა, რომლის მიხედვითაც ივარაუდება ლითონის შეჭრა მიწათმოქმედებაში. ასევე ძველი, ადრეული ლითონის ხანის ამსახველია „ამირანიანი", თუმცა მასში გაირჩევა უფრო მოგვიანო, რკინის ხანის ელემენტებიც.

ამგვარად, ძველი წერილობითი წყაროებისა და მითითების საფუძველზე კაპადოკიასა და შავი ზღვის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრები ქართველი ტომები დაწინაურებული მეტალურგიის მატარებელნი ყოფილან. ამიტომ არის, რომ კულტურის ისტორიის მკვლევარნი გვერდს ვერ უვლიან აღნიშნულ რაიონებს და წერენ მათ დიდ როლზე ძველი სამყაროს ლითონებით მომარაგების საქმეში. ჟ. დემორგანი ფართოდ იყენებდა წერილობითი წყაროების მოწმობას მცირე აზიისა და კავკასიის მადნეული საბადოების უკვე ძვ. წ. XII ს-დან ექსპლუატაციის დასამტკიცებლად, ხოლო უფრო გვიან წერდა წინა აზიის ჩრდილო ნაწილზე, როგორც მთელი ძველი სამყაროს მეტალურგიის ცენტრზე. თანამედროვე მკვლევარი რ. ფორბესი, თუმცა არ იზიარებს რ. ვირხოვის მოსაზრებას, რომ სპილენძის მეტალურგია პირველად გამოიგრნეს სახელგანთქმულმა ხალიბებმა და მოსინიკებმა, მაგრამ იმას კი უეჭველად მიიჩნევს, რომ პონტოს მხარე წარმოადგენს მეტალურგიის ყველაზე მნიშვნელოვან მეორად ცენტრს, სადაც ამას გარდა ბევრი სხვა აღმოჩენა-გამოგონებაც მოხდა. საბჭოთა მეცნიერის რ. შმიდტის აზრით, პონტოს მხარე, სადაც ხალიბებს ათავსებენ, უეჭველია, ძველთაგანვე მდიდარი იყო ლითონებით. ჰამილტონმა, რომელიც ამ ადგილებში მოგზაურობდა, ნახა ძველი სადნობი ღუმელების, კერებისა და წიდის ნაშთები. ცნობილი საბჭოთა არქეოლოგი ვ. გაიდუკევიჩი წერს, რომ „ხალიბების ქვეყანა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე განთქმული იყო მარჯვე მეტალურგებით. იქაური მაღალხარისხოვანი რკინა და ფოლადი სინოპისა და ამისოს

1



2



3

გზით გაჰქონდათ საბერძნეთში. სინოპური ფოლადი განსაკუთრებით კარგი იყო სადურგლო იარაღებისათვის. შავი ზღვის სანაპიროზე ამუშავებდნენ სპილენძის მადნებსაც, ამასთან განსაკუთრებით სუფთად იყო მიჩნეული იმ ქვეყნის სპილენ-ძი, სადაც ცხოვრობდა მოსინიკთა ტომი". ცნობილია აგრეთვე, თუ რა დიდმნიშვ-ნელოვნად თვლის პონტოს მხარეს ძველი მეტალურგიის განვითარების საქმეში ა. იესენი.

რაც შეეხება იმ ძველ ქართველ ტომებს, რომელნიც ოდიდანვე პონტოს ჩრდილოეთით, კავკასიის ტერიტორიაზე სახლობდნენ, უცხო წერილობითი წყა-როები მათ შესახებ არაფერს ამბობს. ეს იმიტომ რომ კავკასიელი ქართველები გეოგრაფიულად საკმაოდ დაშორებული იყვნენ დამწერლობის მქონე წინა აზიის სახელმწიფოებრივ გაერთიანებათა კონტაქტის ზონიდან. ცალკეული ექსპედი-ციების დაკვირვებანი შემოინახა მხოლოდ მითებში.

საქართველოში სამთამადნო და მეტალურგიული წარმოების მაუწყებელი ეროვნული წერილობითი ძეგლები მცირერიცხოვანია. საილუსტრაციოდ შეიძ-ლება დავასახელოთ „სარკინეს" მითითება „ქართლის ცხოვრებაში", რომლის მი-ხედვითაც ვტყობილობთ, რომ ამ ადგილას ყოფილა უძველესი სარკინე ქალაქი, რომელიც ელინისტურ ხანაში შემუსვრილა. არქეოლოგიური გათხრა, რომელიც ძველს სარკინეთში დაიწყო, ადასტურებს წერილობითი წყაროების ჩვენებას. რკინამ გაცილებით უფრო მტკიცედ და ხანგრძლივად დაიმკვიდრა წამყვანი ადგი-ლი სამეურნეო ყოფაში, ვიდრე სპილენძმა და ბრინჯაომ. ის თითქმის სამი ათასი წლის წინათაც წარმოადგენდა ყოველდღიური ცხოვრების აუცილებელ საგანს. რკინამ აჯობა ეპოქის შემქმნელ სხვა ლითონებს დღეგრძელობითაც და სამფლო-ბელო სფეროს უსაზღვრობითაც. რკინის კულტურის დამკვიდრებით საბოლოოდ დამთავრდა იარაღის წარმოებაში ქვის ხანის გადმონაშთთა ლიკვიდაცია. რკინის კულტურამ დაამთავრა აგრეთვე კაცობრიობის უდიდესი უმრავლესობის აყვანა პირველყოფილი თემური წყობილების საფეხურიდან კლასობრივი საზოგადოე-ბისა და სახელმწიფოებრიობის საფეხურებზე.

რკინის ეს უდიდესი მნიშვნელობა საზოგადოების კულტურის განვითარება-ში, ისევე როგორც მიზეზები ამ ლითონის მოპოვება-გამოყენების დაგვიანებისა, აიხსნება მისი ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით. რკინის იარაღის სახმარი თვისებე-ბი შეუდარებლად სჯობნის ქვის, სპილენძის, თუნდაც ბრინჯაოს საუკეთესო ია-რაღის თვისებებს. რკინის იარაღი, რაკი იგი მცოდნე ხელოსანმა დაამზადა, ად-ვილად არ ჩლუნგდება და ეფექტურად ასრულებს თავის დანიშნულებას. მისი ფხის მკვეთელობამა და სიმტკიცემ ქვისა და ბრინჯაოს იარაღთან შედა-რებით უზრუნველჰყო თავისი სიცოცხლისუნარიანობა და მომხმარებელ საზოგადოებაში შრომისნაყოფიერების არაჩვეულებრივი ზრდა, დოვლათის დაგ-როვება არა მარტო უშუალო მწარმოებელთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებ-ლად. ამიტომ იყო, რომ ფრ. ენგელსი რკინის ხანას უწოდებდა რკინის მახვილის, რკინის სახნისისა და რკინის ცულის ეპოქას; ხოლო რკინას თვლიდა ნედლეულ-თა შორის ყველაზე უმნიშვნელოვანეს ნედლეულად. წინააღმდეგ სპილენძისა და მით უმეტეს კალის საბადოებისა, რკინის მადნის რესურსები მოიპოვება თითქმის ყველა მხარესა და ქვეყანაში. თუმცა ეს საბადოები ყოველთვის მძლავ-რი არაა თანამედროვე მეტალურგიის თვალსაზრისით, მაგრამ სრულიად საკმაო

იქნებოდა მაშინდელ საზოგადოებათა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ეს გარემოება გახდა მიზეზი რკინის ინდუსტრიისა და რკინის კულტურის ფართოდ, კიდით-კიდემდე განვრცობისა. მაგრამ, მიუხედავად ამ უპირატესობებისა, რკინა კაცობრიობის ისტორიაში, როგორც ზემოთ ითქვა, მაინც გვიან შემოიკრა. ეს მოხდა იმიტომ, რომ მისი მიღება-დამუშავება კულტურის განსაზღვრულ საფეხურამდე მოუხერხებელი იყო. თუ სპილენძის მადნის გასადნობად ზოგიერთ შემთხვევაში მაინც შეეძლოთ ღია კოცონი ან პრიმიტიული ქურა გამოეყენებინათ, რკინის მადნის დაწურვა მოითხოვდა სათანადო ნაგებობას, რომელშიც 900° სიმხურვალე მაინც უნდა განვითარებულიყო, ხოლო წიდით დანაგვიანებული აპ რკინის ხელახლა გასადნობად და გასაწმენდად საჭირო იყო 1530° სიმხურვალე. ისიც აღსანიშნავია, რომ პრიმიტიული წესით გამომდნარი რკინა, თუ იგი ამის შემდეგ დამუშავებული არ იქნა საგანგებო ჭედვით, მეტად უხარისხოა, ბრინჯაოზე უფრო რბილი და თანაც ადვილად იჟანგება. იყო კიდევ ერთი თვისება რკინისა, რომელიც აგვიანებდა მის ჩადგომას ადამიანის სამსახურში. ეს არის მისი უუნარობა ისე კარგად ჩამოისხას ყალიბში, როგორც ბრინჯაო ისხმება ხოლმე.

რკინის ფიზიკურ-ქიმიური თავისებურებების შეცნობას კაცობრიობა დიდხანს მოუნდა. ზოგიერთ ქვეყანაში უნებლიეთმა ექსპერიმენტებმა 200-ზე მეტი წელი გასტანა, სანამ მიაკვლევდნენ, რომ ხის ნახშირზე გამომდნარი რკინა ხელახლა უნდა გაეკვარვარებინათ მრავალგზის და ამ მდგომარეობაში ეჭედათ მანამ, სანამ ზოდი არ განთავისუფლდებოდა უხვად შერჩენილი წიდისაგან და ნახშირზე გახურვებისა და ქონში ან წყალში სათანადო წრთობის გზით არ მიიღებდა ფოლადის თვისებებს, ურომლისოდაც მისგან დამზადებული იარაღი ჩლუნგი და მოუსახმარი გამოდის.

სად და როდის მიაკვლიეს პირველად რკინის დამუშავების ამ საიდუმლოებას, ჯერჯერობით ცნობილი არაა, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ერთეული რკინის ნივთები, ოღონდ არა მადნისეული, არამედ უპირატესად მეტეორიტული რკინისა, თავს იჩენს ძველი სამეფოს დროინდელ ეგვიპტურ სამარხებში, ე. ი. ძვ. წ. IV და III ათასწლეულებში. III ათასწლეულში რკინის ცალკეულ სამკაულებს ხმარობდნენ შუამდინარეთშიაც. საყურადღებოა, რომ მიუხედავად რკინის ასე ადრეული გამოჩენისა, ეგვიპტეში ნამდვილი რკინის ხანა დაიწყო მხოლოდ ძვ. წ. VII—VI საუკუნეებში, ვინაიდან ეს ქვეყანა ძლიერ ღარიბია მადნის სადნობად აუცილებელი ხე-ტყით. შუამდინარეთში კი რკინის მეტალურგიის აყვავებას ხელს უშლიდა მადნეული რესურსების არარსებობა.

ნამდვილი რკინის ხანაც, ე. ი. დრო, როცა ძირითადი საწარმოო იარაღი და საჭურველი მადნისეული რკინისაგან მზადდება, ყველგან ერთად არ დამდგარა. რკინის კულტურის დასაწყისი სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა საუკუნეში დადგა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ რკინის მეტალურგიის გავრცელებაში ვადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ცოდნის გატანა-გაზიარებას, თუმცა ბევრ შემთხვევაში არც უამისობაა სავარაუდებელი. ცნობილია, რომ პირველყოფილ საზოგადოებაშიც კი ჰქონდა ადგილი მატერიალურ ფასეულობათა გაცვლას, დამით უმეტეს სავარაუდებელია, რომ შედარებით დაწინაურებული ქვეყნები ადვილად გაავრცელებდნენ საკაცობრიო კულტურის ისეთ მონაპოვარს, როგორიცაა რკინის დაწურვისა და წრთობის წესი. წერილობითი და მატერიალური კულ-

ტურის ძეგლები ერთხმად მოწმობს, რომ ხარისხიანი რკინის მასობრივი წარმოება უკვე ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის დამლევსა და მეორე ნახევარში დაიწყო ხეთურ-მიტანურ სამყაროში. ცნობილია, რომ ხეთების მეფეს გაუგზავნია რკინით დატვირთული გემი, როგორც ძვირფასი საჩუქარი, ეგვიპტის ფარაონისათვის. იაზილიკაიას კლდის ხეთურ რელიეფთა შორის ვარაუდობენ რკინის დაშაშრული მახვილის გამოსახულებას. მიტანური წარმომავლობის პოლიმეტალურ საომარ ცულს უგარიტიდან კარგად ნაწრთობი რკინის პირი აქვს და მოწმობს რკინის მეტალურგიის დაწინაურებას ძვ. წ. XV—XIV სს. წინა აზიაში.

რკინის კულტურის ერთერთ უძველეს კერად მიჩნეულია კავკასია-საქართველოს სამხრეთით მდებარე ნაირი-ურარტუს „ქვეყანა, რომელსაც მართლაც ჰქონდა კარგი ბუნებრივი პირობები — უხვლითონიანი მადნის საბადოები და საკმაო რაოდენობის საწვავი მასალა. მაგრამ მეცნიერებას ჯერ კიდევ დიდი შრომა უძევს წინ დამატებითი საბუთების მისაკვლევად, ვინაიდან არც ასურელ მეფეთა ნატყვევნ სიმდიდრეთა სიებში და არც მატერიალური კულტურის ნაშთთა შორის არ გამოიცნობა ძვ. წ. VIII—VII სს. უწინარესი ურარტული რკინა. ამ დროის რკინის ურარტული იარაღი და საჭურველი კი ძლიერ დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი როგორც ტუშპას (ვანის), ისე თეიშებაინის (კარმირ-ბლურის) გათხრების წყალობით.

საქართველო-კავკასიის ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მხარეებში რკინის იარაღი პირველად ჩნდება ძვ. წ. VII—VI საუკუნეებში, მაგრამ არც ეს იარაღ-საჭურველი გამოირჩევა ორიგინალობით და არც ამ დროის ადგილობრივი წარმოების კარგად დათარიღებული კვალი მოჩანს სადმე. რკინის წარმოების ნაშთები სამხრეთ რუსეთში ცნობილ კამენკას გამაგრებულ მოსახლობაზე, ყველა ნიშნის მიხედვით, ძვ. წ. IV—III საუკუნეებისა ჩანს.

რაც შეეხება საკუთრივ საქართველოსა და კავკასიას, აქ, ისევე როგორც დასავლეთ და სამხრეთ ევროპაში, რკინის ხანა დგება ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში. რკინის ხანის პირველი ნახევარი, რომელიც დასავლეთ ევროპის ჰალშტატის სინქრონულია, ხასიათდება პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის პროცესის გაძლიერებით ჩვენ ტერიტორიაზე, ხოლო მეორე ნახევარში, რომელიც ემთხვევა დასავლეთ ევროპის ლატენსა და ბერძნულ-რომაულ ანტიკურ ხანას, ძირითადად მთავრდება აღმოსავლურ და დასავლურ-ქართული ტომების სახელმწიფოებრივი გაერთიანება. ეს მოხდა შრომისნაყოფიერების სწრაფი ზრდის საფუძველზე, რაშიაც რკინის იარაღმა გადამწყვეტი როლი შეასრულა.

ქართველი ტომები რკინის ხანის დასაწყისისათვის უკვე იყენენ დიდი მეტალურგიული ტრადიციების მატარებელნი. მათ ჰქონდათ სპილენძის, ანტიმონის, დარიშხნისა და სხვა ფერადი ლითონების მოპოვება-დამუშავების მდიდარი, მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება. ამიტომ რკინის წარმოების კულტურაც სწრაფად დაინერგა აქ და დაიწყო ახალი ლითონის მასობრივად შეჭრა ხალხის ყოფაცხოვრებაში. არაა გამორიცხული შესაძლებლობა, რომ მეტალურგიის ეს დარგი კავკასიელ ქართველ ტომებს პირველად გაეცნოთ მათი სამხრეთელი ნათესავებისა და მეზობლებისაგან, მაგრამ ზოგიერთი ანგარიშგასაწევი ფაქტი მოწმობს მის დამოუკიდებელ აღმოცენება-განვითარებას. საქმე ისაა, რომ ან-

ტიკური მწერლობის ტრადიცია ხარისხიანი რკინის პირველ გამომგონებლებად მიიჩნევს ხალიბებს, რომლებიც ყველა ნიშნის მიხედვით ცხოვრობდნენ ამიერკავკასიის სამხრეთით, მომიჯნავე ტერიტორიაზე. ბერძნული ცნობების მეშვეობით ირკვევა, რომ ხალიბების მთავარ საქმიანობას წარმოადგენდა რკინის მოთხრა, დაწურვა და დამუშავება; ისინი ისე დახელოვნდნენ ამ საქმეში, რომ მათ პროდუქციას ბადალი არ ჰქონდა იმდროინდელ სამყაროში. როგორც ითქვა, მაღალხარისხოვანი რკინის მიღების განსაკუთრებული წესიც ჰქონდათ თურმე ხალიბებს: ისინი ერთგვარ მიწას ურევდნენ მადანში და ამგვარად სწურავდნენ რკინას, რომელსაც სახელი ჰქონდა განთქმული მსოფლიოში. თვით ბერძნებს ფოლადისათვის რკინის ამ საუკეთესო ოსტატების — ხალიბთა სახელი შეურქმევიათ. ეს ტომი ცნობილი იყო არა მარტო ანტიკურ ეპოქაში, არამედ იხსენიება ჰომეროსთანაც, როგორც ტროადის ომის მონაწილე. ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ ამ ქართველ ტომში მეტალურგიული გამოცდილება უკვე იყო ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებში, რა დროითაც ათარიღებენ ტროას დაცემას.

საკუთრივ კავკასიის მატერიალური კულტურის ნაშთებიც მოწმობს, რომ ამ დროისათვის აქ უკვე იყო გადადგმული პირველი ნაბიჯები რკინის მეტალურგიის დასაუფლებლად. გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურაში აქ თავს იჩენს ისეთი ელემენტი, რომელიც ახალი კულტურის, ახალი ხანის ჩანასახს მოასწავებს. ასე, მაგალითად, დადასტურებულია, რომ კოლხური ბრინჯაოს სწორკუთხედი ბალთების ზედაპირი ზოგჯერ ინკრუსტირებულია რკინით. ამგვარი ბალთები აღმოჩენილია სოფ. უდეში (ადიგენის რაიონი) და ყობანში (ჩრდ. კავკასია). ეს ფაქტები მიუთითებს იმაზე, რომ იმ დროს რკინა ითვლებოდა მეტად ძვირფას ლითონად, რომელსაც მხოლოდ სამკაულებისათვის იმეტებდნენ. რკინის მეტალურგიის ჩანასახი უნდა დაამოწმოს ჩვენთვის საინტერესო მასალის მეტალოგრაფიულმა შესწავლამაც. ეჭვი არაა, რომ საინკრუსტაციოდ გამოყენებული რკინა გამოდგება მეტად რბილი, რაც მისი პრიმიტიული დამუშავების მაუწყებელი იქნება.

განხილული დროის ნივთთა შორის ჯერ კიდევ არა ჩანს რკინის იარაღ-საჭურველი, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა: ბრილში (ზემო რაჭა) 1951 წელს გათხრილ ერთერთ კრემაციულ სამარხში, რომლის ინვენტარიც შედგებოდა ტიპიური გვიანი ბრინჯაოს ხანის მრავალრიცხოვანი ნივთებისაგან (სამაჯურები, საკანჭურები, კირკლები, სარტყლის ბალთები, სატევრები, ცულები, სიტულები და სხვ.), აღმოჩნდა რკინის შუბის წვერის ნატეხი. ეს ნივთი ხასიათდება მოკლე პირით, რაც მას მკვეთრად გაასხვავებს მომდევნო დროის რკინის შუბის წვერებისაგან. ტიპიური გვიანი ბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის კომპლექსშია აღმოჩენილი რკინისავე შუბის წვერი ეშერშიც. მომდევნო VIII—VI საუკუნეებში რკინის იარაღი მთლიანად ცვლის ბრინჯაოს იარაღ-საჭურველს.

განვითარებული რკინის ხანა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში რამდენადმე განსხვავებული ნიშნებით ხასიათდება. ყველაფერი მოწმობს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს რკინის კულტურა შედარებით უფრო ადრე დაწინაურდა. აქ, სამთავროს ძვ. წ. VIII ს. სამარხებში უკვე არაიშვიათად იჩენს თავს კარგი ფოლადისაგან ნაკეთები სატევრები, რომელთაც ზოგჯერ ბრინჯაოს ტარი აქვთ. დასავლეთ საქართველოს მთა ნაწილში კი VII—VI სს. სატევრები, შუბე-

ბი და ცულები ჯერ კიდევ უმეტესწილად რბილი რკინისაგანაა ნამზადი. ამას მოწმობს მასალის მეტალოგრაფიული შესწავლა. სამაგიეროდ, დასავლეთ საქართველოში შეიმჩნევა რკინის წარმოების მასობრივი ხასიათი. ბრილის სამარხებში ამ დროს ვხვდებით დიდი რაოდენობით რკინის იარაღს, რგოლებსა და სხვა სახის ნივთებს; ბრინჯაოს იარაღ-საჭურველი თითქმის სავსებითაა გამოსული წყობილებიდან, მას მხოლოდ სარიტუალო და საპარადო მნიშვნელობაღა აქვს შერჩენილი. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ძვ. წ. VII საუკუნიდან დასავლეთ საქართველოში დგება განვითარებული რკინის ხანა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ რამდენიმე საუკუნით ადრე.

ძველი ქართული მეტალურგიის განვითარების ზოგადი სურათი. საქართველოსა და კავკასიაში მოიპოვება თითქმის ყველა მადნეული, რომელიც კი საჭირო იყო პირველყოფილი მეტალურგიისათვის. ესენია: სპილენძის, ანტიმონის, დარიშხნის, თუთიის, ტყვიის, რკინისა და სხვა მადნები. არაა მიკვლეული მხოლოდ კალის საბადოები ან ნაღვარევი კალა ისეთი ოდენობით, რომელიც საკმაო იქნებოდა თუნდაც პრიმიტიული მეტალურგიისათვის. ამ უკანასკნელისათვის მეტად საჭირო და აუცილებელი სპილენძის საბადოები მეტ-ნაკლებად მძლავრ ჯგუფებად გვხვდება მთელს კავკასიაში და მის მომიჯნავე თურქეთისა და ირანის ტერიტორიებზე. არის ისინი კავკასიის მთავარი ქედის ზონაში, მაგრამ გაცილებით უფრო მდიდარია ამ მხრივ მცირე კავკასიონი, სადაც სხვათა შორის, ხვდებიან თვითნაბად სპილენძსაც, რომელიც კიდევ უფრო ბევრი იყო შორეულ წარსულში. საქართველო-კავკასიის სპილენძის საბადოები ითვლება ერთერთ საუკეთესო საბადოებად, რომელთა მადანი ხასიათდება სასარგებლო ლითონის მაღალი პროცენტით. სპილენძის კავკასიურ საბადოებს შეეძლოთ გადაჭარბებით დაეკმაყოფილებინათ პირველყოფილი მეტალურგიის მოთხოვნილება.

სპილენძის საბადოთა რაიონებში მიკვლეულია მღვიმეები — მადნის ძველი გამონამუშევრები. ამგვარი ძველი მღვიმეები გვხვდება რაჭაში, აფხაზეთში, სვანეთში, აჭარა-ჭოროხის რაიონში, განჯა-ქედაბექის რაიონში, ზანგეზურში, მდ. ყუბანისა და მისი შენაკადების ხეობებში, ყაბარდოში, ჩრდილო ოსეთში და სხვ. ამ მონაცემებს თუ დავუმატებთ იმასაც, რომ ძველ გამონამუშევართა პუნქტებში ან მათ ახლო აგრეთვე ხშირად გვხვდება სპილენძის სადნობ ქურათა და სამსხმელი სახელოსნოების ნაშთები, ცხადი გახდება კავკასიაში და მის მეზობელ მხარეებში სპილენძის მოპოვება-დამუშავების ინტენსიური ხასიათი. ზოგიერთი მათგანი არც თუ ძლიერ შორეული წარსულისაა, მაგრამ გამოირჩევა ძლიერ არქაული მღვიმეებიც, რომლებშიც მადანი უთხრიათ პრიმიტიული წესით — ცეცხლისა და წყლის მეშვეობით.

დაუთარიღებელია სპილენძის ძველი სადნობი და სამსხმელო წარმოების ბევრი ნაშთი კავკასიისა და მისი მეზობელი თურქეთ-ირანის მომიჯნავე რაიონებში. განსაკუთრებით ბევრია ამგვარი ნაშთები კოლა-არტაანის, ტრაპიზონისა და მათ მოსაზღვრე რაიონებში. საქართველოს თანამედროვე ტერიტორიაზე სპილენძის ადრინდელი დამუშავების მაუწყებელი ყველა ნაშთი აგრეთვე არაა დათარიღებული. მეტ-ნაკლებად კარგად დათარიღებული ძეგლები უმთავრესად გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანისაა. ასეთებია, მაგალითად, სპილენ-

ძის მრავალრიცხოვანი ზოდები, რომლებიც ხშირად გეხვდება მდნობელთა განძებში.

ჩვენ ჯერჯერობით ცოტა მასალა მოგვეპოვება საქართველოში სამთამადნო საქმის ადრეული საფეხურების შესასწავლად. ერთადერთი, რაც ტყვიავის, სამგორისა და თრიალეთის ენეოლითურ და ადრებრინჯაოს ხანის დანებსა და სადგისებზე შეინიშნება, ის არის, რომ ისინი ცივი კვერვით არის გამოყვანილი და არა ჩამოსხმით. მაგრამ დამუშავების ამ ელემენტარულ წესს ექვემდებარება როგორც თვითნაბადი, ისე მადნიდან დაწურული სპილენძი. თვითნაბადი სპილენძის მოპოვება, ცხადია, მოასწავებს სამთამადნო საქმის პირველ საფეხურს, მაგრამ მისი ცივად ჭედვა სრულიადაც არ ჩაითვლება მეტალურგიის თუნდაც პირველ საფეხურად. მეტალურგია იწყება მადნის გამოდნობიდან, რომლის შესახებაც ენეოლითური ხანისთვის მეტად განსაზღვრული არქეოლოგიური მასალის მიხედვით მოგვიხდება მსჯელობა. ფაქტიურად ორი ნივთით განისაზღვრება ეს მასალა. ერთი მათგანი აღმოჩენილია ურბნისში, ხიზანაანთ გორის ენეოლითურ ფენაში, 1954 წელს, და მას მიიჩნევენ გამდნარი ლითონის გადასასხმელ ჭურჭლად. თუ ეს მოსაზრება სხვა აღმოჩენების მიხედვითაც განმტკიცდა, მაშინ უეჭველია ქართულ-კავკასიური მეტალურგიის საწყისი ენეოლითურ საზოგადოებაში უნდა დაიდოს, შესაძლოა ამ საზოგადოების განვითარების უკვე მოგვიანო საფეხურზე. მეორე ნივთი შედარებით უფრო მეტყველია და, თუ მისი აღმოჩენის სტრატიგრაფია სწორადაა განსაზღვრული, უნდა ვიფიქროთ, რომ უკვე ენეოლითურ ეპოქაში მომხდარა დიდი წინსვლა ლითონთა ბუნების შეცნობის საქმეში. მხედველობაში გვაქვს ერევანთან გათხრილ შენგავითის მოსახლობაზე აღმოჩენილი, ქვისაგან გამოთლილი ჩამოსასხმელი ყალიბი ცულისა. იგი იმას მოწმობს, რომ ენეოლითის ბოლო საფეხურებზე უკვე იცოდნენ არა მარტო სპილენძის მადნის დაწურვა, არამედ სპილენძის გადნობა და მისგან ნივთების ჩამოსხმაც. საფიქრებელია, რომ ლითონის გადადნობა წარმოებდა თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ღუმელების მსგავს პრიმიტიულ ქურებში, რომლებშიც მაინც შესაძლებელი ხდება 1085 გრადუსამდე სიმხურვალის მიღება.

ლითონის დნობის პრიმიტიულ წესებს დაუფლებული საზოგადოება უკვე ბრინჯაოს ხანის გარიჟრაჟზე იდგა და მალე გადავიდა ადრეული ბრინჯაოს ხანაში. სამთამადნო საქმეშიც და მეტალურგიაშიც ეს აისახა რამდენიმე სიახლით. ბრინჯაოს ხანაში თავს იჩენს ახალი ლითონებიც, რომლებიც სპილენძთან შედნობით მტკიცე იარაღს იძლევიან. საქართველოში აღმოჩენილი ადრებრინჯაოს ხანის ნივთები საჩხერიდან, ეშერიდან (ტაბ. IX), ურეკიდან და სხვ., რომლებიც ქიმიური და ტექნოლოგიური შესწავლის საგნად იქცნენ, მოწმობენ, რომ ამდროინდელი მემთამადნენი უპირატესად სარგებლობდნენ საბადოთა ზედა შრეებში განლაგებული უგოგირდო, კარგად დაჟანგული მადნებით. ძნელია ახლა ვამტკიცოთ, შეგნებულად, პრაქტიკული გამოცდილების გამო აკეთებდნენ ამას, თუ ბუნებრივად ასე ხდებოდა, რადგან სამთამადნო წარმოების დამწყებთ სწორედ საბადოთა ზედა ფენები უნდა ეთხარათ, მაგრამ ის კი ცხადია, რომ საჩხერის, ეშერისა და სხვა ადრინდელ ცულებში გოგირდი არ აღმოჩნდა. ამავე დროს უკვე გროვდებოდა გამოცდილება, რომელიც ქართველ მემთამადნე-მეტალურგებს უბიძგებდა პოლიმეტალური მადნების გამოყენებისაკენ. ამას მოწმობს საჩხერის

შუბებისა და ყუამილიანი ცულების (ტაბ. IX, 6) შედგენილობა, რომელშიც გარდა სპილენძისა შედის ანტიმონი, დარიშხანი, ტყვია და სხვა ნივთიერებანი 0,1-დან 2 პროცენტამდე. საფიქრებელია, რომ ეს ელემენტები თვითონ სპილენძის მადანში იყო. მათი ცალკე გამოდნობა და წინასწარ განსაზღვრული ოდენობით შედნობა სპილენძის მადანში უმთავრესად მომდევნო, შუაბრინჯაოს ხანის ნაყოფია. ამ ეროვნისა უნდა იყოს ეშერული ფოთლისებური სატევრის პირები, რომლებშიც სპილენძს გარდა 4 პროცენტზე მეტი დარიშხანი თუ სხვა მინარევები შედის. ადრეულ ბრინჯაოს ხანაში საგნების ჩამოსხმა წარმოებდა ქვის ან თიხის ყალიბებში. თუმცა ეს უკანასკნელები ჩვენში არაა აღმოჩენილი, მაგრამ თვით ბრინჯაოს საგნებმა შემოინახა ჩამოსხმული ლითონისათვის დამახასიათებელი დენდრიტული სტრუქტურა. ლაბორატორიული კვლევის შედეგად ისიც დამტკიცდა, რომ ზოგიერთ ნივთს ჩამოსხმის შემდეგ ახურვებდნენ და გამოსჭედავდნენ ხოლმე (მაგალითად, ცულის პირი), ზოგსაც (მაგალითად, საჩხერული ოთხწახნაგა ხიშტი (ტაბ. IX, 11) და სხვ.) მხოლოდ ჭედვით ამზადებდნენ. სხმულის გამოჭედვა მსუბუქი ხასიათის იყო და მიზნად ისახავდა იარაღის პირის გათხელებას ალესვის გასაადვილებლად. რაც უფრო მეტ მინარევებს (დარიშხანს, ანტიმონს) შეიცავდა სხმული, მით უფრო კარგი ჩამოსასხმელი, მაგრამ ცუდი საჭედი იყო. ამიტომ ყოველთვის ცდილობდნენ კარგი ბრინჯაოს ნივთის ისეთ ჩამოსხმას, რომელიც გამორიცხავდა შემდეგში ჭედვით დამუშავების აუცილებლობას.

ადრეული ბრინჯაოს ხანის პროდუქცია უმთავრესად წარმოდგენილია ყუამილიანი ცულებით, სატევრებითა და შუბის წვერებით (ტაბ. IX). სატევრებისა და შუბის წვერების დამზადება შედარებით იოლად წარმოებდა, ყუამილიანი ცულებისთვის კი აუცილებელი იყო სათანადო ყალიბები. ზოგიერთი მათგანი ქვის ყალიბში უნდა იყოს ჩამოსხმული, მაგრამ ზოგსაც ისეთი ორნამენტი აქვს, რომელიც შეიძლებოდა მიეღოთ მხოლოდ ცვილის მოდელის დაკარგვის წესით. ეს წესი კიდევ უფრო ფართოდ გავრცელდა შუა და გვიანბრინჯაოს ხანაში, მაგრამ საფუძველი ჩაეყარა საჩხერის ყუამილიანი ცულების ეპოქაში.

ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარების მესამე საფეხური შუაბრინჯაოს ხანას ემთხვევა და უპირველეს ყოვლისა ხასიათდება შენადნობში მონაწილე ელემენტების წინასწარ განსაზღვრულობით. ეს მტკიცდება როგორც სხმულების ქიმიური ანალიზის მიხედვით, ისე სამთამადნო საქმის ხასიათით; სათანადო ადგილას უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ რაჭაში ამ დროს ჩნდება სპილენძის, ანტიმონისა და დარიშხნის მაღაროები. ეს იმას ნიშნავს, რომ მაშინ უკვე აღარ კმაყოფილდებოდნენ კომპლექსური, პოლიმეტალური მადნებით და ცდილობდნენ მეტ-ნაკლებად მყარი ქიმიური შედგენილობის ზოდების მიღებას. რაჭის სამთამადნო წარმოების ნაშთების შესწავლის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შუაბრინჯაოს ხანაში ლითონის შემადგენლობა წინასწარ გააზრებული რეცეპტებით განისაზღვრებოდა, თუმცა თვით ეს რეცეპტები, მათი ზოგადი ხასიათის გამო, ჯერ კიდევ არ იძლეოდა მყარი შემადგენლობის ლითონს. საქმე იმაშია, რომ დარიშხნის მადნიდან მაშინ ცალკე ვერ მიიღებდნენ სუფთა დარიშხანს, ამიტომ დარიშხნის მადანი სპილენძის მადანთან ერთად უნდა ედნოთ. ვერც წონით და ვერც საწყაოთი შერეული მადნები ვერ მოგვცემდა ყოველთვის ერთნაირ ზოდებს, რადგანაც მადნის ნატეხების სიმდიდრის ხარისხი უმეტესწილად სხვადა-

სხვანაირია. ამიტომ არის, რომ შუაბრინჯაოს ხანის ბრინჯაოში დარიშხნის პროცენტი ძლიერ მერყეობს. რაც შეეხება ანტიმონს, იგი ცალკე უდვნიათ და სუფთა ანტიმონისა და სპილენძის განსაზღვრული რაოდენობის შერევის შედეგად მიუღიათ შედარებით უფრო სტანდარტული სხმულები.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ანტიმონიანი ბრინჯაო საქართველოში წარმატებით ცვლიდა კალიან ბრინჯაოს. მაგრამ უკვე შუაბრინჯაოს ხანაში უდვნიათ კალიანი ბრინჯაოც. ასე მაგალითად, ბრილურ შუბებს შორის არის რამდენიმე ცალი, რომელშიც კალის მნიშვნელოვანი რაოდენობა (5%-მდე) დამოწმდა (ტაბ. XI, 4).

შუაბრინჯაოს ხანაში ძლიერ დაწინაურდა ცვილის მოდელის დაკარგვის წესით ჩამოსხმა. საჩხერულ სხმულებთან ბრილური ნივთების შედარება ამაში ნათლად დაგვარწმუნებს. საჩხერულ ცულებს მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ამკობს ორნამენტი (ტაბ. IX, 6) და ისიც ძლიერ მარტივი ირიბი ჭდეები ან რელიეფური წრეები. პირველი მიღებულია ცვილის მოდელზე უბრალო ღარების დატანით, მეორე კი — იმავე მოდელზე ცვილისავე ძაფის დაძერწვით. რაც შეეხება ბრილურ ცულებს, ჩვენ აქ ვნახავთ არა მარტო ჩაზნექილ-ამოზნექილი სამკუთხედების სისტემას, არამედ აგრეთვე ვერძის თავთა ქანდაკებებსაც (ტაბ. XI, 13; XII, 1, 9). ეს, უპირველეს ყოვლისა, მიუთითებს ხელოვნების უჩვეულო წინსვლაზე.

ამ საფეხურზე სამთამადნო წარმოების მუშაკთაგან გამოყოფა იწყეს ნივთთა ჩამომსხმელებმა, და საფუძველი ჩაეყარა ხელოსნობას. ბრილური ცულების ჩამომსხმელი თავისუფალი უნდა ყოფილიყო მადნის თხრის მძიმე სამუშაოებისაგან, რათა მას ჯერ მხატვრულად გააზრებული მოდელები შეექმნა, შემდეგ ქილითონში განეხორციელებინა თავისი ჩანაფიქრი.

შუაბრინჯაოს ხანაში ფართოდ გავრცელდა მასრიანი შუბები (ტაბ. XI, 3, 4, 5). მათ ამზადებდნენ ჩამოსხმის წესით და გამოჭედვითაც. შუბის პირს სამაგრი წიბო უკეთდებოდა ჭედვის დროს, გაბრტყელებულ-გაკეცილ ლითონში საგანგებო „სამარჯვის“ დატანების გზით ან ყალიბში, სათანადო ღარების ამოკვეთის წყალობით. ნაჭედ შუბებში მასრა ჭედვითვეა გამოყვანილი, ხოლო ჩამოსხმულებში — კოპის საშუალებით. მაგრამ კოპის გამოყენება უფრო მომდევნო საფეხურზე განვითარდა.

შუაბრინჯაოს ხანის საქართველოში აყვავდა კეთილშობილი ლითონების დამუშავება. სამარხებში გვხვდება ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობანი, რომელთაგან ზოგი მარტივი კვერვა-ჭედვის გზითაა მიღებული, ზოგი კი — რთული ტექნიკის გამოყენებით. პირველთა შორის შეიძლება დავასახელოთ ვერცხლის ფირფიტები და გულსაბნევები („ბროშები“) ბრილიდან და ქვასათალიდან, ოქროს სასაფეთქლეები თრიალეთიდან (ტაბ. X, 1, 3). რაც შეეხება რთულ ნაკეთობებს, ისინი ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ თრიალეთის ყორღანული სამარხებიდან.

თრიალეთის ყორღანებში მოპოვებულ ნივთთაგან ყურადღებას იპყრობს ოქრო-ვერცხლის ჭურჭელი და სამკაული. აქ არის როგორც სადა (ტაბ. X, 8), ისე რთული სახეებით შემკობილი სასმისები (ტაბ. X, 2, 4). სათანადო შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ კეთილშობილ ლითონთა ჭურჭლეულის დასამზადებლად გამოყენებული იყო მბრუნავი ჩარხი, რომელზედაც საწნეო ხელსაწყოს მოშვე-

ლიებით ხდებოდა თასების გამოყვანა. ზოგჯერ წინასწარ ამზადებდნენ ხის ტარს ანუ მოდელს და ამ მოდელზე ლითონის ფურცლის შემოჭიმვით, რაც ჩარხზე სრულდებოდა, მიიღებდნენ სასურველი მოყვანილობის და შემკულობის ნივთს. ხის ან ძვლის საწნეველას მეშვეობით ჭურჭლის კედლებზე აღიბეჭდებოდა ტარზე გამოყვანილი სახეები. ამგვარად უნდა იყოს დამზადებული თრიალეთის ორფრიზიანი ვერცხლის თასი (ტაბ. X, 2) და ორმაგკედლებიანი ოქროს ფიალა (ტაბ. X, 4). მის მისაღებად წინასწარ გაუკეთებიათ ფართოთავიანი ბოთლისმაგვარი ოქროს ჭურჭელი და ყელჩაბრუნებული სამელნის მსგავსად ჩაუკეციათ ყელი. ძირი ცალკე ფირფიტისაგან გამოუჭრიათ და მიურჩილავთ. მის საგანგებოდ გამოყვანილ ბუდეებში ფერადი ქვები, ლალი და ზურმუხტი ჩაუსვამთ. ფერადი ქვებითვე (ზურმუხტი, სარდიონი) მოოქვილი ფიალის კედლებზე მირჩილულია ვოლუტისებური აპლიკაციები. მთელი სამუშაო შესრულებულია უაღრესად ფაქიზად, ისე, რომ შეუიარაღებელი თვალით არ შეინიშნება არც კვერვისა და არც რჩილვის კვალი. ასევე დიდი ოსტატობითა და მხატვრული გემოვნებითაა დამზადებული რთული სახეებით შემკული შტანდარტი (ტაბ. X, 6), მოგავარსებული და თვლებით მოოქვილი ოქროს ფუყე მძივები (ტაბ. X, 5) და სხვ.

დასავლეთ საქართველოს მთისა და მთისწინა რაიონებთან შედარებით, შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთში შეინიშნება ხელოსნობის დიფერენციაციის შემდგომი გაღრმავება. უეჭველია, რომ ისეთი ტექნიკური მიღწევები ლითონის დამუშავებაში როგორიცაა უზადო კვერვა-ჭედვა, რჩილვა, გავარსი, თვლებით მოოქვა და სხვ. ხანგრძლივი ტრადიციების შედეგია. როგორც ჩანს, ბრინჯაოს წარმოების ოსტატებს აქ უკვე გამოეყვნენ ოქრომჭედლები და ხანგრძლივი ცდისა და დაკვირვების შედეგად ეს ხელობა აიყვანეს თავისი დროისათვის უჩვეულოდ მაღალ საფეხურზე. ამიტომაა რომ თრიალეთის ბევრი ოქრომჭედლური ნაწარმი საუკეთესოა იმდროინდელი წინა აზიის არქეოლოგიურ მონაპოვართა შორის.

მეტალურგიის განვითარება გვიანბრინჯაოს ხანაში. გვიანბრინჯაოს ხანაში ლითონების დამუშავებაში თუმცა პრინციპულად ახალი გამოგონებანი არ შეინიშნება, მაგრამ ძლიერ დაწინაურებულა წინა საფეხურზე შეძენილი ცოდნა. შუაბრინჯაოს ხანის შენადნობებში გავრცელებული ანტიმონი და დარიშხანი ამ დროს შეცვლილია კალით. მისი პროცენტი მერყეობს 4-დან 15-მდე. ეს მოწმობს იმდროინდელი მეტალურგების წინ გადადგმულ ნაბიჯს. შენადნობში კალის მიერ ანტიმონისა და დარიშხნის ადგილის დაჭერა აშკარად შეინიშნება მთელს იმდროინდელ კავკასიაში. უნდა ვიფიქროთ, რომ კალა უფრო ხელმისაწვდომი გახდა, ვიდრე შუაბრინჯაოს ხანაში იყო.

ზოგი ავტორის აზრით, კალა ჩვენში უცხოეთიდან მოჰქონდათ, ზოგიც მის ადგილობრიობას ამტკიცებს. თუმცა თანამედროვე გეოლოგიური გამოკვლევების დროს არ აღმოჩენილა ამ მადნეულის საკმაო მარაგი, მაგრამ არის ზოგი მონაცემი, რომელიც ადგილობრივი კალის გამოყენების სასარგებლოდ უნდა ლაპარაკობდეს. ეს არის კალის წმინდა კავკასიური ტიპის ნაკეთობათა მომრავლება. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს: მთიან ყარაბახში, სოფ. ახმახთან 1897 წ. გათხრილ მე-5 ყორღანში, რომლის ასაკი გვიანბრინჯაოს ხანაზე მოდის (ინვენტარში

შედის ბრინჯაოს გლუვი სარტყლები, გრძელმასრიანი შუბი, ისრის წვერი და სხვ.), რესლერს აღმოუჩენია სუფთა კალის ორი სამკაული; სუფთა კალის (კალა 99, 603%, ანტიმონი 0,126%, თუთია 0,173%), ტიპიური გვიანბრინჯაოს ხანის კავკასიური საკანჭური წარმოდგება ბელკის განათხარიდან ყალაკენტს ახლო; ეშერის ჭურ-სამარხში აღმოჩენილია სუფთა კალის დასავლურ-ქართული ტიპის საყელურები.

კალიანმა შენადნობმა სრული მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა მხოლოდ გვიანბრინჯაოს ხანაში. ასეთი შენადნობისაგან მზადდებოდა აღმოსავლურ-ქართული ცული, კოლხური ცული, ბრტყელი ცული, სხვადასხვანაირი სატევრები, ჭურჭელი, სამკაულები, ქანდაკებანი და სხვ. ამის გამო, საქართველოში შემცირდა ანტიმონისა და დარიშხნის მოპოვება.

სამსხმელო სახელოსნოები ამ დროს ფართოდ მოედო მთელ ქვეყანას. მათი ნაშთები გვხვდება არა მარტო მადნის მოპოვების რაიონებში, არამედ მათგან ძლიერ შორსაც. აღმოჩენილია მდნობელთა უამრავი განძი, რომლებშიც შედის სახმარად ვარგისი ან გადასადნობად განკუთვნილი სპილენძისა და ბრინჯაოს ცულები, თოხები, ბარები, ეჩოები, სატევრები და სპილენძის ზოდები. მათი აღმოჩენის ზოგი ადგილის ახლო გამართული უნდა ყოფილიყო ლითონდამმუშავებელი სახელოსნოები.

აღმოჩენილია ძველი სახელოსნოების ნაშთებიც, რომლებშიც პოულობენ სპილენძის წიდას ან ჩამოსასხმელ ყალიბებს (ტაბ. XIII, 1; XIX, 2, 4, 5, 8). ერთი ამგვარი სახელოსნოს ნაშთი მიაკვლია ცნობილმა არქეოლოგმა ვ. გოროდცოვმა სოფ. წაღვერთან. ბორჯომის მუზეუმში ინახება კოლხური ცულის ჩამოსასხმელი სპილენძის ყალიბის ორივე საგდული; ამგვარივე ყალიბი აღმოჩენილია სოფ. თაგილონთან და ინახება ზუგდიდის მუზეუმში. ერთი ყალიბი ამ ბოლო ხანებში აღმოჩნდა ახალციხის რაიონში. აღმოსავლურ-ქართული ცულის ჩამოსასხმელი ყალიბები წარმოდგება სამი ცალი სომხეთიდან, ერთი აზერბაიჯანიდან და ორიც საქართველოდან (ტაბ. XIX, 8). საქართველოს ტერიტორიაზე ყალიბები აღმოჩენილია სტალინირის ნაცარგორის გათხრისას. იქიდანვე წარმოდგება სატეხებისა და სატევართა ჩამოსასხმელი ყალიბები (ტაბ. XIX, 2, 5), ლითონის გადასასხმელი ტიგელები, საბერვლის მილი და სხვ.

როგორც ვხედავთ, გვიანი ბრინჯაოს ხანის ქართული სამსხმელო საქმის დასახასიათებლად პირველხარისხოვანი მასალა გვაქვს შემონახული. ამ მონაცემების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კოლხური ცულის ჩამოსასხმელად მზადდებოდა სპილენძის ორსაგდულიანი ყალიბი. რელიეფური ქანდაკებით შემკული ამ ტიპის ცულები ჩამოსხმული უნდა იყოს თიხის ყალიბში, ცვილის მოდელის დაკარგვის წესით. სატეხი, სატევარი და აღმოსავლურ-ქართული ცული კი ქვის ყალიბებში უსხამთ.

კოლხური ცულის სამკაული უპირატესად შესრულებულია ჩამოსხმის შემდეგ. იგი დატანილია თვით სხმულთან შედარებით უფრო მაგარი საჭრეთლით, რომელიც შეიძლება რკინისაგანაც ემზადებინათ.

ცულის ჩამოსხმის წინ ყალიბში წკირებით ამაგრებდნენ თიხის ან რბილი ქვიშაქვის კოპს იმ ადგილას, სადაც სატარე ნახვრეტი იყო გათვალისწინებული.

ჩამოსხმის შემდეგ კოპს ამტვრევდნენ, და მის ადგილზე სიღრუე რჩებოდა. კოპის გამოყენების კარგ მაგალითს გვაძლევს სამთავროში აღმოჩენილი ბევრი სატევარი და მახვილი.

სამთავროს სატევრების და მახვილების ეს სერია გამოირჩევა იმითაც, რომ მათი ტარი და პირი ერთადაა ჩამოსხმული. ეს მოწმობს ამ დროის სამსხმელო საქმეში მომხდარ დიდ განვითარებას. ბრინჯაოს ხანიდან ჩვენ ვიცნობთ ორიოდე სატევარს (ტაბ. IX, 10), რომელთაც ბრინჯაოს ტარი აქვთ, გვიანბრინჯაოს ხანაში კი ასეთი ნამზადი მასობრივ ხასიათს ღებულობს (ტაბ. XVIII, 2, 4, 5, 7). გარდა სამთავროსი, ისინი გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს ბევრ სხვა პუნქტში (მაგ. ბაკურციხეში) და ყობანში. მთლიანადსხმული სატევრებისა და მახვილების ტარქუდი ხშირად ჰვირულია; ტაძარსა და ტარქუდში ზოგჯერ შეინიშნება თიხისებური მასა ანუ კოპი, რომელიც არ ამოუმტვრევიათ ხელოსნებს. ტარში ჩატანებული ამგვარი კოპების მიზანი უნდა ყოფილიყო არა იმდენად ლითონის ეკონომია, რამდენადაც ტარის გამსუბუქება, რაც მეტ ეფექტს აძლევდა საჩეხ იარაღს. დაახლოებით ამგვარივე ტენდენცია მოწმდება ქანდაკებებზედაც. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ბრილური ნაწარმი, ოღონდ სამთავროს სატევრებსა და მახვილებზე რამდენადმე უფრო ახალგაზრდა. მიახლოებით ძვ. წ. VII—VI სს-დან მოყოლებული ბრილში, სადაც არასდროს არ იგრძნობოდა ლითონის ნაკლებობა, შეიმჩნევა ქანდაკებათა წონის შემსუბუქებისაკენ მისწრაფება. ერთი შეხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ოსტატი ცდილობდა ლითონის მომჭირნეობით ხარჯვას, მაგრამ სხვადასხვა სახის ქანდაკებების გულდასმით შესწავლა და მათი ერთმანეთთან შედარება გვარწმუნებს, რომ ლითონის დაზოგვა არ წარმოადგენდა არსებით საკითხს: დასადგმელი და ჩამოსაკიდი ქანდაკებები კვლავ მასიური სხმულებია, ხოლო საკინძ-სამკაულთა დასაშშვენებელი ქანდაკებანი — მსუბუქი. უეჭველია, რომ ეს გარემოება დაკავშირებულია კოსტუმში მომხდარ ცვლილებებთან. სხმულის ზომის შეუმცირებლად მისი წონის შემსუბუქების კარგ მაგალითებს იძლევა ბრილის საკინძთა თავები, რომლებიც გამოსახავს ჯიხვს, წყვილ-წყვილ მტაცებელს, ფრინველს და სხვ. პირველი მათგანი ერთი უმშვენიერესთაგანია ბრილის მონაპოვართა შორის. ქანდაკების ჩამოსასხმელად ოსტატს რთული სამუშაო ჩაუტარებია: უპირველეს ყოვლისა რბილი ქვისაგან ან თიხისაგან დაუმზადებია ჯიხვის მოყვანილობის კოპი; შემდეგ მასზე შემოუძერწავს ცვილის თხელი ფენა და ცვილისგანვე მიუძერწავს თავი და კიდურები; ამგვარად დამზადებული მოდელი ფრთხილად მოუთავსებია კარგად დამუშავებულ თიხის გარსაკრავში, რომელსაც ორ მოპირდაპირე მხარეზე თითო ნახვრეტი უნდა ჰქონოდა — ერთი თხიერი ლითონის ჩასასხმელად, მეორე — გამდნარი ცვილისა და ჰაერის გამოსადენად. თიხის გარსაკრავი ყალიბად იქცეოდა მას შემდეგ, რაც მას ცეცხლში გამოსწვავდნენ და ცვილისაგან გაანთავისუფლებდნენ. ამ პროცესის დროს სრულიად ადვილი შესაძლებელი იყო თიხის კოპის მდგომარეობის შეცვლა, რომლის თავიდან ასაცილებლად წინასწარ, ყალიბის გამოწვამდე კოპს ლითონის წვრილი წკირებით ამაგრებდნენ თიხის გარსაკრავზე: წკირების თითო თავი ჩამაგრებული იყო კოპის სათანადო

ფოსოში, მეორე კი — გარსაკრავის კედელში. ამგვარად დამზადებულ ყალიბში ასხამდნენ გამდნარ ლითონს, რომელიც იკავებდა ცვილის ადგილს და თხელი ფენის სახით გარს შემოეკვრებოდა კოპს. გაცივების შემდეგ ყალიბს ამტვრევდნენ და გამოჰქონდათ სხმული, რომლის თავი და კიდურები მასიური იყო, ხოლო ტანი ლითონის თხელ გარსში მოთავსებულ თიხის კოპს წარმოადგენდა. ცხადია, ქანდაკება საკმაოდ მსუბუქი გამოდიოდა. ცვილის მოდელის დაკარგვის წესით ჩამოსხმული ყველა ნივთი ინდივიდუალურ ნიშნებს ატარებს. ყობანში, ბრილში და ჯავის რაიონში აღმოჩენილი ვერძის ქანდაკებებიც კი, რომლებიც ერთი შეხედვით საერთო ყალიბში ჩამოსხმული ჩანს, საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ჩამოსხმის ამგვარი წესი აღმოსავლურ-ქართული კულტურის წრეში უფრო ადრე იყო ცნობილი. გარდა ზემოდასახელებული მაგალითებისა აღვნიშნავთ, რომ დაშქესანში აღმოჩენილ აღმოსავლურ-ქართული ტიპის ცულის პირში, ლითონის გარსის შიგნით, სოლისებრი კოპი ძევს.

კოლხური კულტურის წრეში ამ დროს გავრცელებული იყო ბრინჯაოს სატულები. მოყვანილობით ისინი წარმოადგენენ პირგანიერ, დაბალყელიან და ფართომხრებიან ჭურჭელს, რომელიც შემაღლებულ ძირზე ანუ ქუსლზე დგას. სიტულებს თითო ან ორ-ორი მასიური სახელური აქვთ მხრებსა და მუცელზე მიმაგრებული. სახელურებს ამკობს შვერილები, რომლებიც ცხოველთა დაცქეტილ ყურებს მოგვაგონებს. ამგვარი ნაწარმი გვხვდება უმთავრესად კოლხური კულტურის გავრცელების რაიონებში (რაჭა, ლეჩხუმი, ჯავის რაიონი, ჩრდ. ოსეთი, ყაბარდო), მაგრამ ამ ჭურჭელმა ან მისმა ნაშთებმა კანტიკუნტად თავი იჩინა უფრო შორსაც (პოდგორიცი—უკრაინაში, მალაქლუ—არარატის მთის ძირას), როგორც კავკასიიდან გატანილმა პროდუქციამ. ყველაზე დიდი რაოდენობით სიტულების ნატეხები აღმოჩენილია ბრილში. ის ფაქტი, რომ გვიანი ბრინჯაოს ხანის აღმოსავლურ-ქართულ და დასავლურ-ქართულ კერამიკაში სიტულის მსგავს ჭოთნებს წამყვანი ადგილი უკავიათ, მოწმობს ამ ორი ხახის ნაწარმის ურთიერთდამოკიდებულებას და მათ ადგილობრივ წარმომავლობას.

ბრინჯაოს სიტულების დასამზადებლად რთული პროცესების შესრულება იყო საჭირო:

1) ჩამოსხმა ჭურჭლის მასიური ფსკერისა, რომელსაც პატარა ჯამის ფორმა აქვს, და მასზე კედლების მისამაგრებლად სამანჭველე ნახვრეტების გაკეთება;

2) გამოჭედვა-გამოკვერვა ლითონის ორი თხელი ფურცლისა, რომლებიც შეადგენენ სიტულის კედლებს;

3) ამ ფურცლების გამოჭრა თარგზე, მათთვის ჭურჭლის წახევართა ფორმის მიცემა და მათი გახვრეტა მანჭველებისათვის და სახელურებისათვის;

4) სპილენძის მანჭვლების დამზადება;

5) დამზადება სახელურების ჩამოსასხმელი თიხის ყალიბებისა;

6) სამარჯვი ქვის (ფოსოებიანი ქვის) დამზადება.

ამ პროცესების შემდეგ იწყებოდა ჭურჭლის „აწყობა"; ყალიბის ბოლოებს, რომლებიც გახვრეტილი იყო, მიადებდნენ თარგზე გამოჭრილი ჭურჭლის კედ-

ლებს ისე, რომ ყალიბის ნახვრეტები მოხვედროდა სახელურისათვის დატოვებულ ნახვრეტებზე და, შემდეგ, ყალიბის მესამე ნახვრეტში, რომელიც მის ზედა ნახევარში მდებარეობდა, ჩაასხამდნენ გამდნარ ლითონს. იგი ავსებდა ყალიბს, გადიოდა მომავალი სიტულის კედლებში წინასწარ ამოჭრილ ნახვრეტებში და ჩერდებოდა კედლის შიდა პირზე მიდებული სამარჯვი ქვის ფოსოებში: ლითონის გაცივების შემდეგ ყალიბს და სამარჯვ ქვას ამტვრევდნენ და მათ ადგილას ჩნდებოდა ბრინჯაოს სახელური, რომლის ბოლოები შედუღებული იყო ჭურჭლის კედლებთან. როცა ეს რთული პროცესი დამთავრდებოდა, კედლებს ერთმანეთზე მიაკერებდნენ წითელი სპილენძის მანჭვლებით და შემდეგ ამავე წესით დაამაგრებდნენ ძირთან, რომელიც დაპირქვავებული იყო. მანჭვლისთავები კარგადაა გადაკვერილი, რელიეფების სახით არ გამოდის, და მათ არსებობას გვანიშნებს ჩალისფერ ბრინჯაოს ფონზე განლაგებული წითელი წერტილები.

ამ წესით დამზადებული ჭურჭელი მეტად ლაზათიანი და ადვილი მოსახმარი იყო.

უფრო გვიან, ძვ. წ. VI—IV საუკუნეებში ბრინჯაოს ჭურჭელს მასიური ჩამოსხმული ძირის (ქუსლის) ნაცვლად თხელი ფურცლის ძირს უკეთებდნენ.

ზემომოტანილი მაგალითები მოწმობს ბრინჯაოს მეტალურგიის რთულპროფილიანობას გვიანბრინჯაოს ხანაში, უნდა ვიფიქროთ, რომ ხელოსნობის სპეციალიზაცია ამ დროს ძლიერ შორს იყო წასული. მადნის მოპოვება, მადნის დაწურვა, სხვადასხვაგვარი ყალიბების დამზადება, მრავალნაირი ცულების, მახვილების, სატევრების, ქანდაკებებისა და სამკაულების ჩამოსხმა, ჭურჭლის დამზადება და სხვ. მისთ. არ შეიძლებოდა ერთი სპეციალობის ხელოსნის საქმე ყოფილიყო, რადგან მას ვერ გაუძღვებოდა. ალბათ განსაზღვრული სპეციალობის ადამიანები იყვნენ ჩაბმული იარაღის წარმოებაში, სხვები კიდევ ლითონის ჭურჭლის, საჭურვლისა თუ სამკაულების დამზადების საქმეში. ისიც შესაძლებელია, რომ სხვადასხვა სახის იარაღს თუ ყალიბებს სხვადასხვა ხელოსნები აკეთებდნენ. ამას მოითხოვდა გვიანბრინჯაოს ხანაში გართულებული ყოფა: მიწათმოქმედებისა და მეჯოგეობის განვითარება და ამ ნიადაგზე გაძლიერებული თავდასხმები — შეხლა-შემოხლა გვართა და ტომთა შორის.

ხელოსნობის განვითარება-დიფერენციაციას თან მოჰყვა აღებ-მიცემობის დაწინაურება. ის ფაქტი, რომ ქართულ-კავკასიურ ნაწარმს ხშირად პოულობენ ამ მხარის ფარგლებს გარეთ (მაგ., ყირიმი, უკრაინა და სხვ.) და რომ განსაზღვრული ლოკალური კულტურის ნივთები აღმოჩენილია მეზობელი კულტურების გავრცელების რაიონებში (იბერული ცულები რაჭა-ლეჩხუმში, კოლხური ცულები სამთავროში და სხვ.) სწორედ გაცვლა-გამოცვლის ახალ, მაღალ საფეხურზე ასვლას მოასწავებს. ძნელია იმაზე მსჯელობა, თუ ადამიანთა რომელი კატეგორია უძღვებოდა ამ საქმეს — თვითონ ხელოსნები, მათი გვარის და ოჯახის წევრები თუ საგანგებო შუამავალნი ხელოსნებსა და მომხმარებლებს შორის. საფიქრებელია, რომ განვითარების პირველ საფეხურზე თავისი ნაწარმის დამტარებლად თვით ხელოსნები გამოდიან, შემდეგ კი, როცა მოთხოვნილება ლითონის საგნებზე იმდენად გაიზარდა, რომ ხშირი შეკვეთები ხელოსნებს სახელოსნოების მიტოვების საშუალებას არ აძლევდა, მათი ნაწარმის გამავრცელებ-

ლის როლის შემსრულებლად ვაჭრები გვეევლინებიან. ამ ნიადაგზე საქართველოში სწრაფად დაიწყო პირველყოფილი თემური საზოგადოების რღვევა. ხელოსნებისა და შემდეგდროინდელი ვაჭრების ხელში თავი მოიყარა სიმდიდრემ. ისინი ქონებრივად გვერდში ამოუდგნენ და კიდევაც აჯობეს გვარის უფროსებსა და მხედართმთავრებს, რომლებმაც ამაზე ადრე შესძლეს საზოგადოების დოვლათის უკეთესი ნაწილის მიხვეჭა. გვიანი ბრინჯაოს ხანის დასასრულსა და განვითარებული რკინის ხანის მიჯნაზე სასაქონლო წარმოების დარგში კიდევ ახალი მოშენტი ჩნდება. ეს არის საქონლის ღირებულების საზომად ფულის შემოსვლა. კოლხური მონეტების მიმოქცევის ხანაში თემური წყობილება ძირითადად დანგრეულია დასავლეთ საქართველოს ბარში. ამ დროს ეკუთვნის პირველი სახელმწიფოებრივი გაერთიანების წარმოშობა ჩვენში.

თავი IV

ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები

§ 11. ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები დასავლეთ საქართველოში

დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალი მრავალ არქეოლოგიურ მასალას გვაძლევს ანტიკური ხანის ნაქალაქართა და ნამოსახლართა შესასწავლად. ამათგან ბევრის შესახებ კლასიკურმა მწერლობამ არაერთი საყურადღებო ცნობა შემოინახა. ამ ხანის ნამოსახლართა შორის მნიშვნელოვანი ჩანს ქობულეთ-ფიჭვნარის ანტიკური მოსახლობა, რომელიც გადაჭიმულია ზღვის ნაპირის გასწვრივ და გამოყოფილია მისგან ქვიშნარი ზოლით.

ნამოსახლარის ტერიტორიაზე არის უფრო ძველი ძეგლებიც: საცხოვრებელი ბორცვების ჯგუფი, რომელთა ქვედა ფენა მიეკუთვნება ენეოლითს. ზღვის ქვიშნარი ზვინულების მოსახლეობას თავისებური, ე. წ. „ქსოვილიანი" კერამიკა ახასიათებს. აღმოჩენილი ძეგლები მოწმობენ, რომ საცხოვრებელი პირობები აქ სავსებით ხელსაყრელი ყოფილა და ამ ადგილზე ადამიანი უძველესი დროიდანვე დასახლებულა.

ანტიკური ხანის მოსახლობის ნაშთები გვხვდება აგრეთვე ზემოდასახელებული ბორცვების მიდამოებშიც, ზღვიდან 1 კმ დაცილებით. ზედაპირზე შეგროვილი არქეოლოგიური მასალა მიუთითებს სოფლის ტიპის დასახლების არსებობაზე და შედგება უხეში კერამიკის, ხელსაფქვავების, ბადის საძირავებისა და სხვადასხვა ტიპის ამფორების ნატეხებისაგან.

ქობულეთ-ფიჭვნარის ანტიკური მოსახლობა ცნობილია მონეტების დიდი განძებითაც. ასე მაგალითად: ა) 1951 წელს იქ აღმოჩნდა სინოპის მონეტების — ძვ. წ. IV საუკუნის ვერცხლის დრაქმების დიდი განძი; ბ) 1952 წელს — ბრინჯაოს პატარა ჭურჭელში მოთავსებული კოლხური თეთრის განძი (291 მონეტა). იქვე იყო ერთი ელექტრუმის ქიზიკინი ძვ. წ. VI—V საუკუნეებისა და სამი საყურე მკრთალი ოქროსი. ამ ტიპის საყურეები გავრცელებული ყოფილა საქართველოში ძვ. წ. VI—V სს. ისინი აღმოჩენილია სოფ. მთისძირში (ვანის რ.), ბორში (ორჯონიკიძის რ.), ქ. ზუგდიდის მიდამოებში, სოხუმში,

დასავლეთ საქართველოს მთიან ნაწილში, თრიალეთში, ყაზბეგში, იკოთში და სხვ.; გ) 1953 წელს აღმოჩნდა ალექსანდრე მაკედონელის ოქროს სტატერი, მასზე გამოსახული მონოგრამით „ΣΙ“, რაც მოწმობს, რომ ეს სინოპში მოჭრილი მონეტაა; დ) მუზეუმში მოხვდა აგრეთვე დიდ განძებში აღმოჩენილი ორი ცალი კოლხური თეთრი. ეს მონეტები შედარებით იშვიათი ტიპისაა. მათზე გამოსახულია ასოები — ΜΟ.

კოლხური თეთრისა და სხვა მონეტების განძების აღმოჩენებს ადრეც ჰქონდა ადგილი, მაგრამ მათი მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი მოხვდა მუზეუმებში.

ანტიკური ხანის მოსახლობის არქეოლოგიური მასალა შეკრებილია მიწის ზედაპირზე, და აგრეთვე ექსპედიციის მიერ ჩატარებული მცირე გათხრების შედეგად. ანტიკური ხანის ხელუხლებელი და დაუშლელად კულტურული ფენა ჯერჯერობით არაა მიკვლეული; არც ნაგებობათა ნაშთებია აღმოჩენილი. მასალა შედგება უმთავრესად თიხის ჭურჭლის, კრამიტის ნატეხებისა და ბრინჯაოს, მინისა და ოქროს მცირერიცხოვანი სამკაულისაგან.

თიხის ნაწარმში ადგილობრივი, შინსახმარი ჭურჭლის გვერდით (ტაბ. XXIV, 1,2) ყურადღებას იქცევს შემოტანილი მოხატული, შავლაკიანი კერამიკა და ამფორები (ტაბ. XXIV, 6, 7, 8, 10).

მოხატულსა და შავლაკიან კერამიკაში გვხვდება როგორც მცირე ზომის (ამფორისკები, თასები, კანფარები, ლეკიფები, სკიფოსები, ასკები), ისე მოზრდილი ჭურჭელი (კრატერები, ჰიდრიები). შავლაკიანი ჭურჭელი შემკულია გრავირებული და ნატვიფრი ორნამენტით. ჭურჭელზე გვხვდება გ რ ა ფ ი ტ ი ც (ამონაკაწრი ასოები იტალიური—graffito-დან). წითელფიგურულ ჭურჭელზე გვხვდება ს ი ლ ე ნ ი ს გამოსახულება, ქალის თავი პროფილში და სხვ.

ამფორები რამდენიმე ტიპისაა, მათი ნაწილი შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროდან მომდინარეობს — სინოპიდან და სხვა რაიონებიდან, ნაწილი კი ადგილობრივია.

მოხატული და შავლაკიანი კერამიკა მეტწილად ატიკურია და იონური (ძვ. წ. VI — IV სს.) (ტაბ. XXIV, 6, 7, 8, 10).

ადგილობრივი კერამიკა წარმოდგენილია ქვევრებით, ქოთნებით, სასმისებით (ტაბ. XXIV, 1), თასებით და სხვ. მასვე უნდა მივაკუთვნოთ კრამიტი და ამფორების ერთი ნაწილიც.

ქობულეთში აღმოჩნდა ქვევრსამარხებიც (ძვ. წ. V—IV სს.), რომლებშიაც იპოვეს ზურგშედრეკილი სამაჯურები, კოლხური თეთრი, მინის მძივები, ბრინჯაოს ძეწკვები და სხვა, ამ დროისა და ტიპის სამარხთათვის დამახასიათებელი ინვენტარი.

ჩამოთვლილი არქეოლოგიური მასალა და მონეტათა განძები ეკუთვნის ძვ. წ. VI—IV სს. ისინი მოწმობენ, რომ ანტიკურ ხანაში ფიჭვნარი ინტენსიურად ყოფილა დასახლებული. მოსახლობა ქალაქური ტიპისა იყო, ნავსადგურიანი. ზღვიდან დაცილებული რაიონი კი, სადაც აგრეთვე ანტიკური ხანის მასალა აღმოჩნდა, წარმოადგენდა ამ ქალაქური დასახლების გარეუბანს. აქაური მოსახლეობის ძირითად საქმიანობას სოფლის მეურნეობა შეადგენდა.

ქობულეთ-ფიჭვნარის განვითარება ძველად შეპირობებული იყო ხელსაყრელი ბუნებრივი ნავმისადგომებით, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ კა-

ბოტაიკური ნაოსნობისათვის. ქობულეთის ნავსადგური მოხერხებულად უკავშირდებოდა სანაოსნო გზებით (რიონის სისტემით) კოლხეთის არა მარტო ზღვის სანაპირო ნაწილს, არამედ მის შიდა ტერიტორიასაც.

როგორც ჩანს, დასახლებული იყო მთელი ზღვისპირა ზოლი ნატანებიჩოლოქის შესართავიდან დაწყებული ციხისძირამდე, ბობოყვათის ჩათვლით (ამავე სახელწოდების ხოფლის ზღვისუპირა ნაწილი), დაახლოებით 15 კმ მანძილზე.

მონეტათა დიდი განძები, რომლებიც ძველობით მონეტას შეიცავდა, მიუთითებს ფართოდ გაშლილ სავაჭრო საქმიანობაზე. კოლხური თეთრისა და უცხოური მონეტების თანაარსებობა, იმის უდავო მანიშნებელი უნდა იყოს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა — კოლხები ეწეოდნენ როგორც საშინაო, ისე საგარეო ვაჭრობას. ქობულეთი იძლევა ამასთანავე კოლხურ თეთრთან უცხოური მონეტების აღმოჩენის პირველ უდავო შემთხვევას, რაც კოლხური თეთრის სათანადო მნიშვნელობას მოწმობს.

მკაფიოდ გვიჩვენებს ქობულეთის კავშირს შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროსთან სინოპური დრაქმების დიდი რაოდენობით აღმოჩენა, სინოპში მოჭრილი ალექსანდრე მაკედონელის სტატერი, ამფორები და სხვ. უფრო შორეული კავშირის მანიშნებელია ქ ი ზ ი კ ი ს მონეტა და ატიკური და იონური კერამიკა.

ქობულეთის ინტენსიური კავშირი სამხრეთ სანაპიროსთან, კერძოდ, სინოპთან, ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ, რადგანაც ეს ადგილი ძველი დროიდანვე დასახლებული იყო ქართველი ტომებით და, როგორც ცნობილია, V—IV სს. მიჯნაზე კოლხეთის საზღვარი გადიოდა ტრაპეზუნტის დასავლეთით (ქსენოფონტე — ანაბაზისი).

დ ა ბ ლ ა გ ო მ ი ს ა ნ ტ ი კ უ რ ი მ ო ს ა ხ ლ ო ბ ა მდებარეობდა მდინარე რიონის გასწვრივ ფერდობებზე, ჩოხატაურის ქედის განშტოებებზე და ბორცვებზე, მდინარე რიონიდან დაახლოებით 300 მეტრის დაშორებით.

მოსახლობის განვითარება აქ უძველესი ხანიდანვე დამოკიდებული იყო ამ ადგილის ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებზე, განსაკუთრებით იმაზე, რომ იგი მდებარეობდა სანაოსნო მდინარის ნაპირას, რომელმაც ძალიან ადრე მოიპოვა საერთაშორისო გზის მნიშვნელობა. იგი შავ ზღვას კასპიის ზღვასთან აერთებდა და დასავლეთის ქვეყნებს აღმოსავლეთთან.

ანტიკური მოსახლობა აღნიშნული ადგილების დასავლეთითაც გრძელდებოდა (ადგილ დაფნარამდე, დაბლაგომიდან 7 კმ-ზე) და აღმოსავლეთითაც, თვით ვანამდე (VI ს. დასაწყისის მდიდრული სამარხი მთისძირში და სხვ.).

სოფელ დაბლაგომში აღმოჩენილია ანტიკური ხანის სამაროვანი და კულტურული ფენები. ანტიკური ხანის ნაგებობათა ნაშთებიდან შემორჩენილია მხოლოდ კრამიტების ნატეხები, სახლების ბათქაში. ეს მასალა მოწმობს კრამიტით გადახურული ნაგებობებისა და ჯარგვალის ტიპის, თიხით შელესილი საცხოვრებლების არსებობას. ისინი ძვ. წ. VI—III საუკუნეებს მიეკუთვნება.

დაბლაგომში მხოლოდ ძვ. წ. VI—III საუკუნეების ქვევრსამარხებია ცნობილი. სამარხთა ადრეულ ჯგუფში (ძვ. წ. VI—V სს.) თავდაყირა ჩადგმული ქვევრები გვხვდება. მაგრამ ორ შემთხვევაში დადასტურებულია სწორად ჩადგმული ქვევრიც. უფრო გვიან (ძვ. წ. IV—III სს.) დაბლაგომში ცნობილია ჰორიზონტა-

ლურად ჩადგმული სამარხი ჭურჭლები. დაკრძალვის ასეთი წესის დროს ჭურ-ჭელს ამოატეხდნენ გვერდს, მასში მიცვალებულს ჩაასვენებდნენ და შემდეგ ნატეხებს ხელახლა აფარებდნენ.

როგორც ჩანს, ბავშვებს ქვევრში უფრო ადვილად ჩაასვენებდნენ ხოლმე, ისე, რომ სამარხი ჭურჭელი მთელი რჩებოდა. ჰორიზონტალურად ჩადგმულ ქვევრში დაკრძალვასთან არის დაკავშირებული სამარხის გარეთ და მის გარშემო ჭურჭლის შემოწყობის წესიც.

ამრიგად, დაბლაგომში აღმოჩენილია როგორც ვერტიკალურად ჩადგმული, ისე ჰორიზონტალურად დაწვენილი ქვევრსამარხები.

ქვევრსამარხების ინვენტარი შედგება თიხის ჭურჭლისა და ბრინჯაოს, რკინისა და მინის სამკაულებისაგან.

ჭურჭლეულიდან დადასტურებულია: დოქები, ჯამები, ფინჯნები, სასმისები, იშვიათად დიდი ჭურჭელიც (სამარხთან ახლოს, მიცვალებულის სახის წინ). აქ გვხვდება: სამაჯურები, საყურეები, ბეჭდები, ხატისუღელი, კოლხური მონეტები და სხვ.

დაბლაგომის ქვევრსამარხებში მეტად დამახასიათებელი სამაჯურებია აღმოჩენილი. ისინი საერთოდ ოვალური მოყვანილობისაა, ბოლოებშეუკვრელი. ადრეული ჯგუფის სამაჯურებს (VI—V სს.) ზურგი გაბრტყელებული აქვთ, შემდეგ ხანებში (IV—III სს.) ზურგი — შედრეკილი. ადრეული ჯგუფის სამაჯურებს ბოლოები შემკული აქვთ ცხოველების თავთა გამოსახულებებითა და დამატებითი ნაჭდევებით. უფრო გვიან სამაჯურები შემკულია მძივისმაგვარი შემსხვილებებით. სამაჯურთა ადრეული ჯგუფი უფრო მასიურია და სწორკუთხა ჭრილი აქვს. უფრო გვიანდელი სამაჯურები შედარებით წვრილია და მრგვალგანივკვეთიანი. ქვევრსამარხებში რკინის სამაჯურებიც არის აღმოჩენილი, ისეთივე მოყვანილობისა, როგორიც ბრინჯაოსი.

დაბლაგომის სამარხებში გვხვდება რკალისებური ყელსამკაულები (ხატისუღელი), რომლებიც მოყვანილობითა და შემკულობით ძალიან ჰგვანან სამაჯურებს. გვხვდება საყურეებიც — ისინი წარმოადგენენ ბოლოებში გახერეტილ რგოლებს. ერთ სამარხში აღმოჩნდა ვერცხლის საყურეც (რგოლზე მიმაგრებული ღრუ ბურთულა).

სამარხთა გვიანდელ ჯგუფში აღმოჩენილია თავშეუკვრელი ფირფიტისაგან გაკეთებული ბეჭდები. ბეჭდის ფარაკზე ამოკვეთილია გამოსახულებანი — ვარსკვლავის, ფრინველების და სხვ.

სამარხებში აღმოჩენილია ცილინდრული მოყვანილობის მინიატურული ზარაკები, გვერდებჩაჭრილი და ზედაპირწიბოიანი. ზარაკების ეს ფორმა გავრცელებულია ძვ. წ. IV—III სს. დასავლეთ საქართველოში (ფარცხანაყანევი, ვანი, ოჩამჩირე). ასეთივე მოყვანილობის, ოღონდ უფრო დიდი ზარაკები გვხვდება დასავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში, აღმოსავლეთ საქართველოში — ყაზბეგის განძში, აგრეთვე წყნეთში.

დაბლაგომის სამარხებში ხშირია მინისა და პასტის მძივები; შედარებით იშვიათია ნახევრად ძვირფასი ქვების (სერდოლიკი, ამეთვისტო) მძივები. მინის მძივები: ცისფერია, ლურჯი, მწვანე, ყავისფერი, „მოოქრული“, „მოვერცხლილი“: უფერული მინის ორ ფენას შორის ოქროს ან ვერცხლის თხელი ფირფი-

ტაა გადაკრული. ორ სამარხში აღმოჩენილია რკინის ბიკონუსური მახათი — საჩხვლეტები.

ქვევრსამარხების დასახასიათებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ბევრ მათგანში კოლხური თეთრის აღმოჩენას. ზოგიერთ მონეტაზე აქაც შემჩნეულია ნიშანი — MO.

დაბლაგომში მოპოვებულია კოლხური მონეტების განძიც. იგი შეიცავდა 102 მონეტას და მოთავსებული იყო ვერცხლის ომფალოსიან ფიალაში (ძვ. წ. VI—V სს.). განძი, როგორც ჩანს, გახვეული ყოფილა თხელ ტილოში, რასაც მოწმობს განძის ერთერთ მონეტაზე შერჩენილი ტილოს პაწია ნაგლეჯი.

დაბლაგომში ანტიკურ ხანაში გამოყენებულია როგორც ოქრო და ვერცხლი, ისე ბრინჯაო და რკინა. ბრინჯაოსაგან დამზადებულია სამკაულები და ჭურჭელი, რკინისაგან სამკაულები — სამაჯურები; შრომისა და ბრძოლის იარაღი: შუბის პირები, მასიური სატევარი, ცულები, ნამგლისებრი დანა, მახათი-სახვრეტი, ვერცხლისაგან დამზადებულია ფიალა, წვრილი სამკაული, მონეტები; ოქროსაგან — სამკაულები.

განვითარებული ჩანს მესაქონლეობა, რასაც მოწმობს კულტურულ ფენებში შინაური ცხოველების ძვლების აღმოჩენა. ამას გარდა, გვაქვს აგრეთვე ცხოველების გრაფიკული და სკულპტურული გამოსახულებანი. გამოხატულია როგორც შინაური ცხოველები და ფრინველები, ისე მტაცებლებიც.

გრაფიკული გამოსახულებანი სამარხავ ჭურჭელზეა; სკულპტურული გამოსახულებანი თიხისა და ბრინჯაოსაგანაა გაკეთებული. ცხოველთა გამოსახულებანი ხან რეალისტურადაა შესრულებული, ხან ძალიან სტილიზებულია.

აღმოჩენილია ხარის, ცხენის, ვეფხვის ან ჯიქის, ლომის, ცხვრისა თუ თხის, მამლის, იხვისა და სხვ. გამოსახულებანი.

ცხოველთა გამოსახულებებს უნდა მივაკუთვნოთ თიხის ნაკეთობაც — „რქები", რაც ხარის კულტთანაა დაკავშირებული და ამ ცხოველის სამეურნეო მნიშვნელობას უსვამს ხაზს.

სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებაზე მიუთითებენ კულტურულ ფენებში აღმოჩენილი ხელსაფქვავები და რკინის ნამგლისებური იარაღები. სელის წარმოების დაწინაურების მანიშნებელია ძვ. წ. VI ს. განძის ერთერთ კოლხურ თეთრზე შერჩენილი ტილოს ნაშთი; სელის ნაქსოვის ნაშთი რკინის სამაჯურებზე; სელის ანაბეჭდის ორნამენტი ქვევრზე და თიხის კვირის ტავები. მეღვინეობა-მევენახეობის განვითარების მაუწყებელია ქვევრები და საერთოდ საღვინე ჭურჭელი.

დაბლაგომის ძველი მოსახლობის არქეოლოგიურმა გამოკვლევამ დაგვანახა, რომ ძვ. წ. VI — III სს. აქ იყო ქალაქურიტიპის დასახლება. როგორც ჩანს, ქალაქის მოსახლეობა ქონების მიხედვით იყოფოდა უფრო შეძლებულ და ნაკლებად შეძლებულებად.

მდიდრული სამარხების არსებობა, აგრეთვე, მშვენივრად ნაკეთები ოქროს ნივთების ცალკეული აღმოჩენის ხშირი შემთხვევები ქონებრივად შეძლებული და სოციალურად დაწინაურებული ფენების ჩამოყალიბების მაჩვენებელია.

აქვე ვერცხლის ფიალაში მოთავსებული მონეტათა განძისა და სამკაულების აღმოჩენა მოწმობს ვაჭრობის განვითარებას. ვაჭრობის ფართოდ გაშლაზე მიუთითებს მოხატული და შავლაკიანი შემოტანილი ჭურჭელი (ძვ. წ. VI—III სს.), ამფორები, რომელთა შორის ადგილობრივთა გვერდით არის შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროდან, იონიიდან და სხვა ადგილებიდან შემოტანილებიც.

ქვევრსამარხების ინვენტარი მოწმობს, რომ მოსახლეობა, რომელსაც ისინი ეკუთვნის, საშუალო შეძლებისა ყოფილა (სამკაული, სამაჯურები, კისრის რკალები, მძივები, ჭურჭელი, მონეტები). ამასვე მოწმობს სამარხში ნაპოვნი საბეჭდიანი ბეჭდები, რაც კერძო საკუთრების არსებობის მანიშნებლადაც არის მიჩნეული.

დაბლაგომში ქალაქური ტიპის მოსახლობის არსებობაზე მიუთითებს სამარხებში ძვ. წ. VI ს. მონეტების აღმოჩენა. მონეტა მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში, ჩანს, აუცილებელი რამ იყო. ამასთანავე ამ მონეტათა ზოგიერთი ცალები ძალზე გახეხილია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ თუმცა მონეტებს ზოგჯერ განძებად ინახავდნენ, მაგრამ ისინი მოსახლეობაში განუწყვეტლივ და ხანგრძლივ მიმოქცევაში იმყოფებოდა.

ამფორების — სანაოსნო ტრანსპორტირების ტარას ფართოდ გამოყენების არსებობა მიუთითებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაცვლაზე. ამფორათა შორის ადგილობრივი ფორმების გვერდით გვხვდება შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროდან და უფრო შორეული მხარეებიდან შემოტანილიც, მაგ. კუნძულ როდოსიდან.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია დაბლაგომის ქვევრების მხრებზე აღმოჩენილი ნიშნები. ერთ შემთხვევაში ნიშანი მოთავსებულია ჭურჭლის ყელზე. ნიშნები ჩვეულებრივ მოზრდილებია, ხაზოვანი; ამოკაწრულია საკმაოდ ღრმად ოდნავ შემშრალ თიხაზე. ადრეულ ჯგუფში გვხვდება მინაძერწი ნიშნებიც. ნიშნების კიდევ ერთი ჯგუფი გვაქვს დაბლაგომში. ისინიც ქვევრებზე გვხვდება, ჩვეულებრივ ჭურჭლის ტანის შუა ნაწილზე და გაცილებით უფრო მცირე ზომისაა, ვიდრე პირველი ჯგუფის ნიშნები. მათი შესრულების ტექნიკაც სხვაგვარია, ეს ნიშნები ამოფხაჭნილია უკვე სავსებით მზა ჭურჭელზე.

ბევრი ასეთი ნიშანი ასოსმაგვარია. საინტერესოა აღინიშნოს სრული დამთხვევა ერთი ქვევრის ნიშანსა და ვერცხლის ფიალის ძირზე გამოყვანილ ნიშანს შორის.

ნიშნების დიდ ნაწილს ცალკეული ასოს სახე აქვს, მაგრამ სანამ არ აღმოჩენილა ამ ასოების ჯგუფები, არ შეიძლება მათი დამწერლობად მიჩნევა, თუმცა ასეთი შესაძლებლობის გამორიცხვაც არ შეიძლება.

ამ ხანის მასალები აღმოჩენილია სხვა პუნქტებშიაც, მაგ.: საჯავახოში, მთისძირში, დაფნარში, აჯამეთში, ბორში, ნოსირში, ფარცხანაყანევში და სხვ.

შავი ზღვის ნაპირას, მდინარე რიონის (ფაზისის) შესართავთან ძველად მდებარეობდა ამავე სახელწოდების ქალაქი ფ ა ზ ი ს ი, თანამედროვე ქალაქის— ფოთის წინაპარი.

ქალაქ ფაზისს ვხვდებით ძვ. წ. IV ს. ანტიკურ წყაროებში, მდინარე ფაზისს კი ჰეროდოტეც იხსენიებს ძვ. წ. V ს. ამის შემდეგ თითქმის ყველა წყარო ასახელებს იმ დროის ცნობილ ქალაქ ფ ა ზ ი ს ს (მაგალითად, სქილაქე, თეოკრიტე,

სტრაბონი, პტოლემაიოსი, ფსევდო არიანე, პლინიუს სეკუნდუსი, ამიანე მარცელინი და ა. შ.).

სქილაქე კარიანდელი (ძვ. წ. IV ს.) ფაზისს ელინურ ქალაქს უწოდებს. ფსევდო არიანეს მიხედვით ფაზისი მილეთელების მიერ დაარსებული ბერძნული ქალაქია, სადაც „თავს იყრის 60 ტომი, რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, ამბობენ, რომ აქ ჩამოდიან ბარბაროსები ინდოეთიდან და ბაქტრიიდან". სტრაბონი, სამხრეთ კოლხეთის მკვიდრი, ფაზისს უწოდებს კოლხების სავაჭრო ქალაქს (ემპორიუმს). გაიოს პლინიუს სეკუნდუსი ფაზისს ასახელებს მდინარე ფაზისზე არსებულ ოთხ სახელგანთქმულ ქალაქს შორის. პომპონიუს მელა ამბობს, რომ ქალაქში „არის ტაძარი და ფრიქსის ტყე" და ა. შ.

თვითონ ქალაქი ფ ა ზ ი ს ი (ფოთი) ჯერჯერობით საგანგებოდ არ ყოფილა გათხრილი, მაგრამ შესწავლილ იქნა ქალაქის ახლო-მახლო უბნები. ასე მაგალითად, მდინარე რიონის (ფაზისის) მარჯვენა ნაპირას, სოფელ რეკას ტერიტორიაზე (ქვალონთან ახლოს), ფოთიდან 26 კმ დაშორებით 1933—1940 წწ. გათხარეს ბორცვი ნ ა ო ხ ვ ა მ უ. ძეგლის შესწავლამ დაგვანახა, რომ ეს ადგილი ინტენსიურად იყო დასახლებული ძვ. წ. III და II ათასწლეულებში. ნაოხვამუს მახლობელ ადგილებში ბორცვების ზედაპირზე შეგროვილია ანტიკური ხანის მასალაც.

ქ. ფოთის ჩრდილოეთით, მდინარე ხობის შესართავთან და მის შენაკად მდ. ციკასთან ითხრებოდა ნაოხვამუს სინქრონული ორი უძველესი ბორცვი.

ამას გარდა, მდ. ხობის მარჯვენა ნაპირზე, მდინარის შესართავიდან 8 კმ დაშორებით ს. ქარიატაში აღმოჩენილია ანტიკური ხანის მოსახლობის ნაშთები. შემოტანილი ამფორები და შავლაკიანი კერამიკა იმის მაჩვენებელია, რომ ანტიკურ ხანაში აქ სანაოსნო გზა გადიოდა.

ფოთის სამხრეთით 15 კმ დაშორებით შესწავლილ იქნა უძველესი ნამოსახლარები მდინარე სუფსის შესართავთან. ეს ნამოსახლარები ზღვის სანაპირო ბუნებრივ სერებზეა განლაგებული.

უძველესი ნამოსახლარი ჩანს ქალაქის ცენტრიდან სულ რამდენიმე კილომეტრზე, სამხრეთისაკენ, მდინარე მალთაყვასთან.

მთელი ეს მასალა მოწმობს, რომ ფოთის ოლარშემო 15—20 კმ მანძილზე არსებული ტერიტორია უძველესი ხანიდან იყო დასახლებული და მის მოსახლეობას მაღალი კულტურა ჰქონდა (კერამიკა, ლითონების დამუშავება, მესაქონლეობა, მიწათმოქმედება და სხვ).

დასახელებულ ნასახლარებზე, განსაკუთრებით ჩრდილოეთით და სამხრეთით მდებარე ძეგლებში, უძველესი ფენები ამჟამად მიწის ზედაპირიდან დაახლოებით სამი მეტრის სიღრმეზეა.

თვითონ ქალაქის ტერიტორიაზედაცა აქვს ადგილი არქეოლოგიურ აღმოჩენებს.

ქალაქის სამხრეთ გარეუბანთან პალიასტომის ტბის გაწმენდისას აღმოჩნდა შედარებით ადრეული ტიპის ბრინჯაოს ორი ცული. ეს აღმოჩენა მოწმობს, რომ ამ რაიონში არსებობს II ათასწლეულის დასასრულისა და I ათასწლეულის დასაწყისის ფენა.

ქალაქის ცენტრში, მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირას შემთხვევით წააწყდნენ ახ. წ. IV—V საუკუნეების ადგილობრივ ამფორას. 1946 წ. ჩატარებულმა მცირე გათხრებმა დაადასტურა ამ ადგილას კულტურული ფენის არსებობა და გამოაჩინა სახლის ნაშთები.

ქალაქის ტერიტორიაზე აღმოჩენილია აგრეთვე შავლაკიანი კერამიკა და მარმარილოს ქანდაკების ფრაგმენტი.

დ ი უ ბ უ ა, რომელმაც ეს ადგილი 1833 წელს ინახულა, აღნიშნავდა, რომ მან აქ ნახა არიანეს დროის ციხის ნაშთები, და ალბომში იძლევა ამ ნაშთების გეგმასაც.

როგორც ჩანს, დიუბუა აქ ლაპარაკობს იმ ძეგლზე, რომელიც მდებარეობს ქალაქის ცენტრიდან აღმოსავლეთით 3 კმ დაშორებით და ცნობილია „ნაჯიხურუს" სახელით.

1910 წელს ფოთში იპოვნეს კოლხური თეთრის განძი, დღემდე ცნობილ განძთა შორის ყველაზე უფრო დიდი. განძი შეიცავდა წვრილი კოლხური თეთრის რამდენიმე გირვანქას და ორი ტიპის მსხვილი კოლხური „დიდრაქმის" რამდენიმე ცალს. განძში კოლხური დიდრაქმების ორი ცნობილი ტიპის აღმოჩენა მიუთითებს განძის ასაკზე — ძვ. წ. VI—V სს. წვრილი კოლხურის რამდენიმე გირვანქა, თუ გირვანქაში საშუალოდ 200 ცალს ვივარაუდებთ, შეადგენს რამდენიმე ასეულ მონეტას.

ყველა ჩვენს მიერ ჩამოთვლილი არქეოლოგიური ძეგლი და ცალკეული აღმოჩენა ქალაქ ფოთის მიდამოებში და თვით ქალაქში, მოწმობს, რომ ეს ტერიტორია უძველესი ხანიდან იყო დასახლებული.

ბერძენ კოლონისტებს, რომლებიც აქეთკენ VII—VI საუკუნეებიდან მოისწრაფოდნენ, უნდა დახვედროდათ უკვე განვითარებული ადგილობრივი მოსახლობა. შესაძლებელია ბერძნებმა (მილეთელებმა) აქ დაიკავეს ქალაქის ერთი რომელიმე ნაწილი. ამიტომ არის, რომ სტრაბონი ფაზისს უწოდებს კოლხების სავაჭრო ქალაქს (კოლხების ემპორიუმს).

ძვ. წ. VI—V საუკუნეების კოლხური თეთრის მსხვილი განძის აღმოჩენაც ქალაქის ასეთ მნიშვნელობაზე მიუთითებს.

ქალაქში იყო ტაძარი (კოლხების მთავარი ღმერთის). ქალაქის ტერიტორიაზე უკვე ახ. წ. II ს. დასაწყისში არიანეს უნახავს ფაზისელების ქალღმერთის ქანდაკება. აღწერის მიხედვით ქანდაკება დიდი ზომისა უნდა ყოფილიყო.

ძველ ქალაქ ფაზისთან დაკავშირებული ცნობა, რომელიც ჩვენ ხელთა ბვაქვს, არის წარწერა ვერცხლის თასზე. იგი XIX ს. ბოლოს აღმოჩნდა ჩრდილო კავკასიაში, ყორღანულ სამარხში (მდინარეებს — დიდ და პატარა ზელენჩუკებსა და ყუბანს შორის, ე. წ. ზუბოვის ხუტორში). თასზე შემდეგი წარწერაა— „ვეკუთვნი აპოლონ წინამძღვარს, რომელიც ფაზისშია". წარწერა თარიღდება ძვ. წ. V ს. ან IV ს. დასაწყისით, ხოლო თასი არაუგვიანეს V საუკუნის დასაწყისისა.

არაერთხელ გამოთქმული მოსაზრების მიხედვით თასი მოხვდა ჩრდილო კავკასიაში ფაზისიდან, ქალაქზე ჩრდილოეთიდან თავდასხმისა და ტაძრის გაძარცვის შედეგად.

თასი ფიალის ტიპისაა, შუაში ომფალოსი აქვს. ნაპირებზე შემოუყვება რქებგაშლილი ირმის თავების რელიეფური გამოსახულებები. თასის ომფალოსი გარშემორტყმულია ხაზოვანი და წერტილოვანი ორნამენტით. ომფალოსის ზედაპირზე კი რელიეფურად დახვეული გველია გამოსახული.

თასის წარწერით ვიგებთ, რომ ქ. ფაზისში იყო აპოლონის სალოცავი, ტაძარი, რომლისთვისაც შეუწირავთ თასი.

აპოლონი (ხელოვნების, პოეზიისა და მუსიკის მფარველი) უკვე V საუკუნიდან გაიგივებულია ჰელიოსთან, მზის ღმერთთან. მზე კოლხების მთავარი ღმერთია (აიეტი არის ძე ჰელიოსისა — მზისა), ამით უნდა აიხსნას მისი ტაძრის არსებობა ქ. ფაზისში, და რომ ბერძნულ წარწერაში ამ ტაძარს აპოლონისას უწოდებენ.

რაც შეეხება თვითონ თასს, ამგვარი მოყვანილობის თასების ხშირი აღმოჩენა საქართველოში შესაძლებლობას გვაძლევს ვილაპარაკოთ მათ ადგილობრივ დამზადებაზე, ამაზე მიუთითებს ჩვენის აზრით, ირმის თავების გამოსახულებანიც.

ქალაქ ფაზისის შესახებ არსებული როგორც წერილობითი, ისე არქეოლოგიური მასალების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ძველი ფაზისი და მისი მიმდგომი ტერიტორია დასავლეთ საქართველოს ერთერთი ყველაზე მეტად დაწინაურებული რაიონი იყო უძველესი დროიდან ანტიკურ ხანამდე.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა მოვიგონოთ წვრილი კოლხური თეთრის აღმოჩენა, რომელზედაც ბერძნული ასო Φ არის გამოსახული, მკვლევრები იმ აზრის არიან, რომ ეს მონეტა ფაზისისაა. ამგვარად, სავსებით შესაძლებელია, რომ ქალაქი ფაზისი სჭრიდა საერთო კოლხურ მონეტას, კოლხურ თეთრს, ჰქონდა თავისი ზარაფხანა.

ქალაქის განვითარებას ხელს უწყობდა მისი როგორც ზღვისპირა, ისე საზღვაო მდინარე რიონზე მდებარეობა. მდინარე რიონი წარმოადგენდა ძველი საერთაშორისო გზის ნაწილს, რომელიც აერთებდა შავი და ეგეოსის ზღვების აუზებს კასპიის ზღვასთან და აღმოსავლეთთან.

კიდევ უფრო მარჯვედ უკავშირდებოდა ქალაქი ფაზისი მდინარე რიონით, მტკვრის აუზითა და სახმელეთო გადასასვლელების საშუალებით როგორც თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს, ისე აღმოსავლეთ საქართველოსაც.

ანტიკურ ხანაშივე ყოფილა დასახლებული ქ უ თ ა ი ს ი ს ტერიტორია და მისი მიდამოები, ბერძნულ წყაროებში (აპოლონ როდოსელი) ეს ქალაქი ცნობილია სახელით: კჳტე — კჳტაია, უფრო გვიან (ბიზანტიურ წყაროებში) გვხვდება: კოტატის. დასახლებული ყოფილა მდინარე რიონის როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა ნაპირი, და მდინარის სივიწროვე ამ ადგილას, ალბათ, ძველადაც აადვილებდა ნაპირებს შორის კავშირს.

ქ. ქუთაისში, მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირზე, ე. წ. „არქიელის გორაზე“ აღმოჩენილია ბრინჯაოს საგნები: მშვილდური ფიბულა, ცხოველის ფიგურა და სხვა. რიონის მარჯვენა ნაპირზევე, „ცაცხვებში“ გზის გაყვანისა და სახლის მშენებლობის დროს ოციან წლებში აღმოჩნდა ძველი სამაროვანი. ამ სამაროვნიდან ქუთაისის მუზეუმში ინახება 11 მონეტა — კოლხური თეთრი, ბრინჯაოს ბრტყელი იარაღი (სეგმენტისებრი თოხები); ბრინჯაოს სამაჯურები, საყურე-

ები, საკიდები, მძივები და სხვ. სამაროვნიდან წარმოდგენილია იმავე (ძვ. წ. V ს. ახლოს) და უფრო ადრეული ხანის კერამიკაც. ქუთაისში სისტემატური საველე-არქეოლოგიური სამუშაოები ჯერ არ განხორციელებულა, მაგრამ ჩვენთვის ცნობილი, შემთხვევითი აღმოჩენების შედეგად მოპოვებული მცირე არქეოლოგიური მასალა, რომელიც ქალაქ ქუთაისის ტერიტორიიდან მომდინარეობს, მოწმობს თანამედროვე ქალაქის ტერიტორიაზე ძველი მოსახლობის ნაშთების არსებობას, უფრო გვიან კი ქალაქის ტიპის მოსახლობასაც, ქალაქის არსებობასაც.

აქ გამოვლენილი ქვევრსამარხები მათთვის დამახასიათებელი ინვენტარით, ისევე როგორც კერამიკა, სავსებით ისეთივეა როგორიც მაგ. დაბლაგომისა.

ამფორის ნატეხი (სინოპური?), შავლაქიანი ჭურჭელი, კოლხური მონეტები სამარხებიდან, მოწმობენ აქაც ქალაქური ცხოვრების არსებობას.

ანტიკური მოსახლობის მნიშვნელოვანი ნაშთები აღმოჩენილია ქ ვ ე დ ა ვ ა ნ შ ი, დაახლოებით 500 მ მანძილზე მდინარე რიონის კალაპოტიდან, გორების აღმოსავლეთ ფერდობზე, რომლებიც ჭიშურამდე მოდიან.

ეს ადგილები ლიტერატურაში ცნობილია უკვე XIX საუკუნიდან და განსაკუთრებით თბილისის მე-5 არქეოლოგიური ყრილობის დროიდან. აქ მცირე გათხრები ჩაატარა ე. თაყაიშვილმა მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების დავალებით 1896 წ. და უფრო გვიან. აქვე ჩაატარა დაზვერვა და გათხრები 1947—1948 და 1957—1958 წწ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი ნ. ხოშტარია).

დასახელებული ანტიკური მოსახლობის ცენტრი ქვედა ვანშია, მდინარე ჭიშურას (სულორის შენაკადის), ღელე საქვაბიას მარცხენა ნაპირას, რომელიც აქ საკმაოდ ღრმა ხევში მიედინება.

ანტიკური მოსახლობის ნაშთები უმთავრესად ჩნდება შედარებით პატარა და განცალკევებულ გორაზე (ახვლედიანთ უბანი, ტაბ. XXI).

როგორც ირკვევა, ანტიკური მოსახლობა უფრო აღმოსავლეთით დაბლობშიც მდებარეობდა, სულორის მარჯვენა ნაპირზე. დასავლეთისაკენ კი იგი თითქმის უწყვეტლად თვით დაბლაგომამდე ვრცელდებოდა.

ახვლედიანთ უბნის უშუალო ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს სოფელი ც ი ხ ე ს უ ლ ო რ ი. როგორც გორის მწვერვალზე, ისე მის ფერდობებზე, ყველგან კიდევ უფრო ძველ კულტურულ ნაშთებთან ერთად მოიპოვება ანტიკური დროის კულტურული ფენები და ნაგებობების ნაშთები — კერძოდ, ვანში აღმოჩენილის მსგავსი.

სოფლისა და საშუალო საუკუნის ციხის ნაშთებიანი მიდამოების სახელი— ციხესულორი იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ „სულორი" მხოლოდ მდინარის სახელი კი არ იყო. მსგავსი სახელწოდება ჰქონდა ალბათ მდინარე სულორის შესართავთან მდებარე ადგილებსაც.

ქ ვ ე დ ა ვ ა ნ შ ი ძველი მოსახლობის არქეოლოგიურმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ის საგრძნობლად გაზრდილა ანტიკურ ხანაში, როდესაც ქალაქად ქცეულა და განსაკუთრებული მნიშვნელობა მიუღია.

ქალაქის ხელსაყრელი ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები არ შეიძლება შეუმჩნეველი დარჩენილიყო ანტიკურ დროში. იგი მდებარეობდა ძველი საერ-

1



7

4



5



2

8

3

6

თაშორისო გზების ჯვარედინზე, რიონის ნაპირას, მდინარის იმ ნაწილში, სადამ-
დისაც ის დიდი გემებისთვის იყო სანაოსნო და სადაც იწყებოდა ერთერთი უმოკ-
ლესი სახმელეთო გზა, რომელიც აერთებდა რიონსა და მტკვარს. ეს გზა მიე-
მართებოდა აღმოსავლეთისაკენ (იბერიისაკენ და უფრო შორს — კასპრის ზღვის
გადაღმა, შუა აზიაში) და სამხრეთისაკენ.

როგორც ცნობილია, ანტიკური ავტორები საყურადღებო ცნობებს გვაწვ-
დიან კოლხეთის იმ ქალაქების შესახებ, რომლებიც კოლხეთის შიდა ტერიტო-
რიაზე მდებარეობდნენ. ასეთი ცნობები მოეპოვებათ ახ. წ. I და II საუკუნეე-
ბის ავტორებს—პლინიუს სეკუნდუსს (ახ. წ. I ს.) და პტოლემაიოსს (ახ. წ. II ს.).

პლინიუსი მდინარე ფაზისზე ქალაქ ფაზისის გარდა რამდენიმე ქალაქს ასა-
ხელებს და აღნიშნავს, რომ ყველაზე ფართოდ იყო ცნობილი ა ი ა.

პლინიუსი მხოლოდ ერთ ქალაქზე ლაპარაკობს, როგორც მის დროსაც არ-
სებულზე, ეს არის ქალაქი ს უ რ ი უ მ ი. როგორც მისი ცნობიდან ჩანს:

ა) ქალაქი მდებარეობს მდ. ფაზისზე, იმ ადგილას, სადაც ფაზისს უერთდე-
ბა მისი შენაკადი სურიუსი.

ბ) აღნიშნული მდინარე სურიუსი იქ უერთდება მდ. ფაზისს, სადაც თავდე-
ბა ფაზისის დიდი გემებისათვის სანაოსნო ნაწილი. იმავე პლინიუსის ცნობით კი
მდინარე ფაზისი დიდი გემებისათვის სანაოსნოა მისი შესართავიდან 38,5 რო-
მაული მილის მანძილზე, რაც შეადგენს დაახლოებით 57 კმ. ამის ზევით მდინა-
რე ფაზისი აგრეთვე სანაოსნოა, მაგრამ უფრო მცირე გემებისათვის.

მდინარე ფაზისზე ნაოსნობის შესახებ ჩვენ მეორე ავტორის ცნობებიც მო-
გვეპოვება, პლინიუსის უშუალო წინამორბედისა. სტრაბონი თავის გეოგრა-
ფიაში გვაუწყებს, რომ ფაზისი სანაოსნოა ციხე სარაპანამდე — შორაპნამდე,
ე. ი. მდინარე ფაზისზე ნაოსნობა იყო შესართავიდან დაწყებული შორაპნამდე.

აღნიშნული პუნქტი, ქალაქი ან სოფელი სურიონი შიგ კოლხეთში და-
სახელებული აქვს პტოლემაიოსსაც (ახ. წ. II ს.). პტოლემაიოსის ცნობების მი-
ხედვით სურიონი ქალაქ ფაზისზე ოდნავ სამხრეთით უნდა მდებარეობდეს, ე. ი.
მდინარე ფაზისის მარცხენა ნაპირას და ქ. ფაზისის აღმოსავლეთით.

ქალაქ სურიონის (სურიუმი) გეოგრაფიული მდებარეობის შესახებ ხელთ-
მყოფი ცნობების მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ქვედა ვანში და
მის მეზობლად, სოფ. ციხესულორში არსებული ანტიკური დროის ქალაქის ნაშ-
თები სწორედ ამ ანტიკური დროის ქალაქის—სურიუმის ნაშთები უნდა იყოს;
ხოლო მდინარე სურიუსი დღევანდელი მდ. სულორია.

ს უ-ლ-ო რ ი, სუ-რ-ი-უსი სავსებით შესაძლებელია ერთი და იგივე სახელ-
წოდებას წარმოადგენდეს.

რაც შეეხება სუფიქსს — „ორი“, რომლითაც თავდება მდინარის თანამედ-
როვე სახელწოდება, ეს სუფიქსი საკმაოდ გავრცელებულია საქართველოს ტო-
პონიმიკაში, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. შეიძლება
დავასახელოთ ათეულობით ასეთი სახელი, მაგალითად: კოდორი, ილორი, შაორი,
სხვიტორი, ბომბორი, ჯოჯორი, იორი, გორი, გომბორი და ა. შ.

სოფელ ქვედა ვანის გორაზე, როგორც შემთხვევითმა აღმოჩენებმა და არქეოლოგიურმა გათხრებმა გვიჩვენეს, ცხოვრობდა საზოგადოების მაღალი ფენა და მმართველი წრე. ასეთი დასკვნის საფუძველს გვაძლევს ახვლედიანთ გორის მწვერვალზე და ნაწილობრივ მის ფერდობებზე არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი ნაგებობების, ციხე-სიმაგრის კედლების, საფლავების ნაშთები და მათთან დაკავშირებული კულტურული ფენები (ტაბ. XXI, XXIII, 1, 2, XXIV, 9, 11).

აღნიშნული ძეგლები ძირითადად ძვ. წ. VI—I საუკუნეებისაა.

ბორცვის მწვერვალზე მოთავსებულ ნაგებობათა ნაშთები ორ დამოუკიდებელ შენობას ეკუთვნის, რომლებიც ერთიმეორისაგან დაშორებულია 3—4 საუკუნით.

უფრო გვიანდელი, შენობა II, თარიღდება როგორც გამოყენებული მშენებლობის ხერხებით, ისე იქ აღმოჩენილი მასალით (მონეტები მითრიდატე ევპატორის დროისა, წითელლაკიანი კერამიკა და სხვ.). ყველაფერი ამის გათვალისწინებით შენობა ამოყვანილია დაახლოებით ძვ. წ. II საუკუნის ბოლოს და დანგრეულია ძვ. წ. I საუკუნის პირველ ნახევარში.

პირველი შენობა ეკუთვნის ძვ. წ. V საუკუნეს ან IV საუკუნის დასაწყისს.

დაცვითი კედლების ნაშთები, ქვისაგან ამოყვანილი, მაგრამ სხვა ხერხებით, ვიდრე აქ განხილული კედლების ნაშთები, აღმოჩენილია საქვაბიას ღელის მარჯვენა ნაპირას, სადაც კოლმეურნეობის ახლად გაშენებული ზვრებია. უკანასკნელი კედლების ნაშთები, როგორც მოსალოდნელია, წარმოადგენენ გამაგრებულ სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების (ცლერები) ნაშთებს. ამ ნაკვეთებზე გამოყენებული უნდა ყოფილიყო მონების ან ნახევრად თავისუფალი მოსახლეობის შრომა.

ბორცვის მწვერვალზე, II შენობის ჩრდილო-დასავლეთ კედლებთან გათხრების დროს აღმოჩენილია თავის დროზე იქ დაწყობილი მრავალი ათეული გათლილი ქვის ჭურვი (ჭურვის დიამეტრი დაახლოებით 20 სმ). მსგავსი ჭურვები აღმოჩენილია იმავე ფერდობის სხვა ნაწილებშიც.

ახვლედიანთ გორის ზედა ნაწილში, მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზე, საკმაოდ დიდი რაოდენობითაა მიკვლეული ანტიკური ხანის მდიდრული სამარხები.

ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გათხარა ოთხი სამარხი უშუალოდ ციხის კედელთან: ერთი, ყველაზე მდიდრული — ციხის გარეთ და სამი დანარჩენი ციხის შიგნით.

პირველი ბავშვის (3—4 წლის გოგონას) მდიდრული სამარხია. ბავშვი დასაფლავებული იყო გათლილი ლოდებისაგან ამოყვანილ აკლდამაში. სახურავს ნაპირებზე მიყრილი ჰქონდა რიყის ქვები.

მიცვალებული დასაფლავებული იყო ხელფეხმოკეცილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისაკენ. ჩატანებული ინვენტარი განსაკუთრებული სიმდიდრით და სილამაზით გამოირჩეოდა. თითქმის ყველა სამკაული ოქროსი ჰქონდა, გარდა მძივებისა, რომლის ნაწილი აგრეთვე ოქროსი იყო.

ბავშვის თავთან აღმოჩენილია 67 ცალი მრგვალი ვარდული — თავსაბურავის მორთულობა, კისერთან — ხატისუღელი, რომელზეც წამოცმული იყო

წყვილი საყურე. ხატისუღლის ბოლოები შემკულია მხატვრულად გამოქანდაკებული ლომის თავებით. საყურეები წარმოადგენენ მავთულის რგოლზე დაკიდულ ბურთულებს, რომელსაც შუაში მსხვილი მარგალიტი უზის. მარგალიტი ჩასმულია ოქროში, რომლის ზედაპირი ოქროს ცვარით არის შემკული (ტაბ. XXII, 5). აქ აღმოჩენილი მარგალიტები ჯერჯერობით საქართველოში აღმოჩენილებიდან ყველაზე ძველია. საფლავში ნაპოვნია წყვილი სამაჯური, რომელიც ხელებზე ჰქონდა მიცვალებულს. სამაჯურის ფორმა ოვალურია, ზურგი ჩაზნექილი აქვს, ბოლოები ოდნავ დაშორებულია ერთმანეთს და შემკულია ისევე, როგორც ხატისუღლის ბოლოები (ტაბ. XXII, 5). სამარხში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა მძივები: მინისა, „მოოქვრილი", პასტისა და აგრეთვე ოქროსიც.

სამარხში აღმოჩენილი წვრილი კილიტები, როგორც ჩანს, უკანა მხარეზე დარჩილული ყუნწებით დაკერებული იყო ტანისამოსზე. იქვე მოპოვებულია დიდი რაოდენობით ოქრომკედი. ბავშვის მუხლებთან მოთავსებული იყო ორყურა, ქუსლიანი, ლამაზად გაკეთებული ვერცხლის სასმისი, რომელსაც ორფენოვანი კედლები ჰქონდა. ჭურჭლის ქუსლზე ორი ასოა ამოყვანილი და ჭურჭლის ზედაპირზე ძალზე წვრილი ხაზებით ამოკაწრულია რამდენიმე ასო. საფლავი თარიღდება ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოთი.

სულ რამდენიმე მეტრის მანძილზე სამხრეთ-აღმოსავლეთით, ისევ უშუალოდ ციხის კედელთან, მაგრამ ციხის შიგნით, აღმოჩენილია სამი სამარხი, ერთ ხაზზე, ერთიმეორის გვერდით განლაგებული.

პირველი საფლავი ეკუთვნოდა ქალს; თირში ამოჭრილ ორმოში იდგა დერგი მიცვალებულის ნაშთებით. ზევიდან ჭურჭელი გადახურული იყო შავი ქვევრის ნატეხით. სამარხი ჭურჭლის ზომაა: სიმაღლე — 39 სმ, ძირის დიამეტრი — 16 სმ, ყელის დიამეტრი — 26 სმ.

დასაფლავება მეორადი იყო, მაგრამ ძვლებს კრემაციის კვალი არ ეტყობოდა. ადამიანის ლულოვანი ძვლები სამარხში აღმოჩნდა გარკვეულ წესზე დალაგებული.

სამარხის ინვენტარი ძალიან საინტერესო და, შეიძლება ითქვას, მდიდრულია, მიუხედავად იმისა, რომ ის არ შეიცავს ოქროს ნივთებს. მასში შედის აღნიშნული დროის დასავლეთ საქართველოს ქვევრსამარხებისათვის დამახასიათებელი სამკაული: ბრინჯაოს, ვერცხლის და რკინის სამაჯურები, ოვალური ფორმისა, ზურგჩაზნექილი, ბოლოები ოდნავ დაშორებული და სქემატურად გაფორმებული ცხოველების თავებით აქვს შემკული; ხატისუღელი ბრინჯაოსი და რკინისა; ბრინჯაოს მინიატურული ზანზალაკი ცილინდრული ფორმისა, ერთ მხარეზე გაჭრილი; საფეთქლის რგოლები ბრინჯაოსი; 8 ცალი კოლხური თეთრი. ამას გარდა სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს და ვერცხლის ჭურჭელი: ბრინჯაოს ორი ლანგარი ომფალოსებით, ვერცხლის ფიალები ომფალოსებით და ორნამენტებული (ტაბ. XXII, 6); ორყურა ქვაბი, დოქი, ბრინჯაოს გარსაკრავი მოწნული ჭურჭლისათვის (?), ჭურჭლის გრძელი ყური (შეიძლება საწურის) ბოლო იხვის თავის გამოსახულებით შემკული, სხვადასხვა ჭურჭლის, მათ შორის მომცრო სასმისების ნატეხები.

მამაკაცის სამარხი ორმო პატარაა (42×52 სმ) და მომრგვალო ფორმა აქვს. სამარხში აღმოჩენილია მცირე ზომის მრგვალი, ყურიანი დოქი, რომლის ზედა ნაწილი შავი ლაკით არის დაფარული. იმავე საფლავში აღმოჩნდა 6 ცალი რკინის შუბისა და ხელშუბის პირი, ორი ტიპისა და აგრეთვე რომელიღაც რკინის ნივთის ნაწილები (ღეროები). ადამიანის ჩონჩხის მხოლოდ ნაწილი იყო წარმოდგენილი, არ ჩანდა ნეკნები და ხერხემლის მალები. ლულოვანი ძვლები საფლავში ჯვარედინად ელაგა.

საფლავის ზემოთ და განსაკუთრებით მისგან დასავლეთით და ჩრდილოეთით ვრცელდებოდა შავი, გადამწვარი ფენა, რომელშიაც დიდი რაოდენობით იყო ცეცხლში ნამყოფი ჯავშნის ფირფიტები. ადამიანის ძვალს დაწვის გარკვეული კვალი არ ემჩნევა, მაგრამ დასაფლავება მაინც მეორადია და დაკავშირებულია დაწვასთან. დაწვა, როგორც ჩანს, აქვე მომხდარა, აღნიშნული საფლავის გვერდით და მიცვალებული დაუწვავთ საჭურველთან ერთად.

ამ ორ სამარხს შორის კლდეში ამოკვეთილ პატარა ორმოში დასაფლავებული იყო რკინისაგან გამოჭედილი მამაკაცის ფიგურა, შემკული ოქროს კილიტებით, რომლებიც, როგორც შემორჩენილი ქსოვილის ნაშთები გვიჩვენებს, ტანსაცმელზე ან სუდარაზე უნდა ყოფილიყვნენ დაკერებული (ტაბ. XXIII, 3). მამაკაცის ფიგურას ოქროს მავთულისგან გაკეთებული საყურე და ხატისუღელი ეკეთა. სამარხი ღარისებრი კრამიტით იყო გადახურული.

აქ განხილული სამივე სამარხი ძვ. წ. III საუკუნით თარიღდება.

ვანის იმავე ნაწილში, რომელზედაც აქ გვაქვს ნაუბარი და სადაც საზოგადოების „ზედა ფენა" ცხოვრობდა, დადასტურებულია მდიდართა დასაფლავების განსხვავებული წესებიც.

ერთი ამისთანა სამარხი ქვის დიდი ფილებისაგან იყო შეკრული, როგორც ჩანს, რკინის გამირებითაც კი. სამარხში დიდი რაოდენობით აღმოჩენილა ოქროს სამკაული; ჩვენამდე მოაღწია ოქროს დიადემამ, ის ძალიან ფაქიზად არის დამუშავებული და შემკულია ოქროს გავარსით, ფილიგრანით, წითელი ქვებით (გრანატით ?), მინანქრით. დიადემაზე გამოსახულია ეგრეთ წოდებული ჰერაკლეს კვანძი (ტაბ. XXII, 7). ვანის ამ დიადემას ბევრი აქვს საერთო ყუბანის მხარეში, ე. წ. არტიუხოვის ყორღანში და ქერსონესში აღმოჩენილ დიადემასთან. ზემოაღწერილი დიადემა ძვ. წ. II საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს.

ვანში აღმოჩენილია აგრეთვე მთლიანი ქვისაგან გამოთლილი სარკოფაგებიც. ადრე იქ თიხის კუბოც ყოფილა აღმოჩენილი. რაკი ჯერჯერობით საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი და შესწავლილი ყველა თიხის კუბო ეკუთვნის გვიანანტიკურ და ადრეფეოდალურ ხანას, ვანში აღმოჩენილი თიხის კუბოც აგრეთვე ადრექრისტიანული ხანისა უნდა იყოს. ვანს და საერთოდ იმ მხარეს ადრექრისტიანულ ხანაშიც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

ექვთ. თაყაიშვილი ადასტურებდა ვანში დასაფლავების ერთ თავისებურ წესს — მიცვალებული ჯაჭვებით იყო შეკრული და ისე დასაფლავებული საქვაბიას ღელეში. შეიძლება ეს იყო ხიკვდილით დასჯილი ადამიანი, ან სამხედრო ტყვე თუ მონა.

ანტიკური დროის მდიდრული საფლავი აღმოჩენილია სოფ. მ თ ი ს ძ ი რ შ ი, ქვედა ვანის დასავლეთით 8 კმ მანძილზე. ეს არის ერთერთი უძველესი მდიდრული სამარხი ამ მხარეში.

მთისძირის საფლავი შემთხვევითაა აღმოჩენილი და მხოლოდ შემდეგ მოხდა აღმოჩენის პირობებისა და საფლავის ნაშთების ადგილზე შესწავლა. იგი კლდეში ამოჭრილ ორმოში იყო მოწყობილი და მოზრდილი ფილაქვით გადახურული. სამარხში აღმოჩენილია: ორად გატეხილი ოქროს ხატისუღელი, სხივანა საყურე, ვერცხლის ყანწის—„რიტონის" წინა ნაწილი, ქვაბის (?) გარსაკრავი, ბრინჯაოს ჭურჭლის ფრაგმენტები და სხვ.

აღმოჩენილი მასალა (რიტონი, საყურე და სხვ.) მტკიცე საფუძველს გვაძლევს მთისძირის მდიდრული სამარხი ძვ. წ. VI საუკუნეს მივაკუთვნოთ.

ზემოთ აღწერილი სამარხები ანტიკური ხანის ქონებიერი, მაღალი წრის წევრების მიცვალებულებს მიეკუთვნება.

რაც შეეხება ფართო მასებს, მატერიალური დოვლათის მაწარმოებლებს, ჩვენს ხელთ არსებული ჯერ მცირერიცხოვანი მასალის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ აქაც დასაფლავების ერთადერთი წესი დაპირქვავებულ ქვევრში დაკრძალვაა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს-ოქრომჭედლობა ანტიკურ ვანში. ვანში და ვანის რაიონში აღმოჩენილი ოქროს ნივთები ძირითადად ორ ქრონოლოგიურ მონაკვეთს განეკუთვნება: პირველი ჯგუფი VI—V საუკუნეებისაა, ხოლო მეორე — IV—II საუკუნეებისა.

პირველ ჯგუფში რამდენიმე საგანი შედის: საყურე და ხატისუღელი მთისძირიდან ძვ. წ. VI საუკუნისა, საყურე (ტაბ. XXII, 4) და სამაჯური ვანიდან ძვ. წ. V საუკუნისა.

საყურეები გამოირჩევიან მდიდრული გავარსითა და ე. წ. ფილიგრანით, მათი რგოლი ორივე შემთხვევაში შემკულია ვარდულით, რომლის ანალოგიას ჩვენ ვხედავთ ახალგორის საყურეებში (ტაბ. XXII, 1).

მთისძირისა და ვანის საყურეები ამავე დროს განსხვავდებიან კიდეც ერთიმეორისაგან: პირველს სხივანა ღეროები აქვს, მეორე კი ბურთულებიანი ცვარა სამკაულით მდიდრულადაა მორთული.

ვანში ნაპოვნი სამაჯურებიც ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: პირველი ჯგუფისა მრგვალია, დაგრეხილი ღერო აქვს და ბოლოები ლამაზად გამოქანდაკებული ცხოველთა თავების გამოსახულებებით შემკული.

მეორე ჯგუფის სამაჯურები ოვალურია, ზურგჩაზნექილი. მათი ბოლოებიც ცხოველთა თავების გამოსახულებებით არის შემკული, მაგრამ აქ გამოსახულებები უფრო სქემატურია (ტაბ. XXII, 5).

ვანში აღმოჩენილი პოლიქრომული სამკაული ძვ. წ. II საუკუნისაა. ამ ჯგუფის ყველაზე შესანიშნავი წარმომადგენელია ოქროს ორბალთიანი დიადემა. ბალთები თითქოს სწორკუთხოვანი მოყვანილობისაა. დიადემას ქვევით წვრილ ძეწკვებზე ჩამოკიდებული აქვს პატარა-პატარა სამკაულები. დიადემის ზედაპირი მდიდრულადაა შემკული ოქროს გავარსით, ფილიგრანით, წითელი ქვებით (გრანატი) და მინანქრით. გავარსით ზოგჯერ ტაფარულია ორნამენტის მთელი ზედაპირი. დიადემაზე გამოსახულია ე. წ. ჰერაკლეს კვანძი (ტაბ.

XXII, 7). ამ მხრივ და შემკულობის ტექნიკითაც ვანის დიადემას ბევრი საერთო აქვს, როგორც ზემოთ აღინიშნა, ყუბანის მხარეში (არტიუხოვის ყორღანი) და აგრეთვე ქერსონესში აღმოჩენილ დიადემებთან. მაგრამ ამ ნივთების სტილი მაინც ძალიან თავისებურია.

ორივე შემთხვევაში გამოყენებულია ნაზი ფერების მინანქარი, რომლისთვისაც უჯრედები ოქროს ვიწრო ფირფიტებით არის გადატიხრული.

პოლიქრომულ ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ ოქროს ბალთა ვანიდან, რომელზედაც გამოსახულია ბრძოლა მამაკაცსა და მხეცს შორის. მხეცის თვალი ამჟამად ცარიელია, ადრე ალბათ იქ ფერადი, შეიძლება ისევ წითელი, ქვები (გრანატი) იყო ჩასმული (ტაბ. XXII, 8).

პოლიქრომულია აგრეთვე ბავშვის სამარხში აღმოჩენილი მსხვილი მარგალიტით შემკული ოქროს საყურე.

ამას გარდა, ვანში არაერთხელ აღმოუჩენიათ ფერად-ფერადი გემმებით შემკული ოქროს სამკაული.

ძალიან თავისებურია ვანში აღმოჩენილი წერილი სამკაული: ოქროს ფურცლისაგან დახვეული ცილინდრული მილაკები, რომლებსაც ზედაპირი გლუვი ან დაღარული აქვთ; ბურთულა მძივი სხვადასხვა ზომისა და სხვადასხვანაირად შემკული (ზოგის ზედაპირი მთლიანად გავარსითაა დაფარული, ზოგი— შედარებით მძიმეა, ზოგს კარგად ეტყობა, რომ ორი ნაწილისაგან შედგება); სხვადასხვა ზომის მრგვალი, ყუნწიანი კილიტები (ზოგი ნახევარსფერული ფორმისაა, ზოგს მხოლოდ შუა ნაწილი აქვს ამობურცული); სხვადასხვა ზომის ყუნწიანი ვარდულები; ვარდულები მინიატურული, ნაპირებზე ოქროს ფილიგრანითა და შუაში ცვარით შემკული და ა. შ.

ეს, არა სრული გათვალისწინებაც კი ვანსა და მის სანახებში აღმოჩენილი ანტიკური ხანის მასალებისა ცხოველს ხდის საქალაქო ცხოვრების შედარებით ადრე დაწინაურებას, რასაც რასაკვირველია, უნდა მოყოლოდა ხელოსნობის (ოქრომჭედლობის, მეთუნეობის, ქსოვის, ქვითხუროობის, მეკრამიტეობის და ა. შ.) სწრაფი განვითარება, ვაჭრობა-აღებმიცემობის დაწინაურება და მოსახლეობის სოციალური დიფერენციაციის ადრე დაწყებული პროცესის შემდგომი გაღრმავება. უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქმე ეხება შედარებით ადრინდელ ქალაქს, რომლის ზეობა ძვ. წ. VI—V სს. უნდა ვივარაუდოთ.

ქ ა ლ ა ქ ზ უ გ დ ი დ ი ს მიდამოები თითქმის სრულიად არაა შესწავლილი არქეოლოგიურად; გამონაკლისს წარმოადგენს სამოსახლო ბორცვი დ ი ხ ა-გ უ ძ უ ბ ა, რომელიც ზუგდიდის დასავლეთით მდებარეობს, მისგან 25 კმ დაშორებით (ზუგდიდის მუზეუმის გათხრები. ა. ჭანტურია), და ს. მაკალათიას დაზვერვები სოფ. რეყეში, აგრეთვე ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციის დაზვერვები 1938—1945 წლებში.

საყურადღებო მასალებია აღმოჩენილი მდ. ენგურის აუზში, კერძოდ, მის მარცხენა ნაპირზე. უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იქცევენ კოლხური ფულის განძები სოფ. ჯუმიდან (ამ განძში 5 უნიკალური, ლომის გამოსახულებიანი მონეტა ურია), სოფ. ერგეტიდან, სოფ. რუხიდან, სოფ. ახალ აბასთუმნიდან, სოფ. ჭითაწყარიდან და სხვ.

კოლხური თეთრის განძები სხვა ინვენტართან ერთად ნაპოვნია ანაკლიის მახლობლად, სოფ. ჭითაწყარში (კოლხური თეთრი, წყვილი სხივანი საყურე, სამაჯური) და ქ. ზუგდიდში (ბრინჯაოს ზარაკი, ლურჯი, თვალედი მძივი და მწვანე, ლურჯი და ყვითელი იოტები).

ანტიკური ხანის შავლაკიანი კერამიკისა და ამფორების ნატეხები აღმოჩნდა დიხა-გუძუბაში (ა. ჭანტურიას გათხრები).

არქეოლოგიურ აღმოჩენებს ადგილი ჰქონდა სოფელ რეყეს სამხრეთ ნაწილში, კოლმეურნე კ. ვეკუას ნაკვეთში. მდინარის ქვედა ტერასაზე, ბორცვის ძირას არის წყარო, რომლის კედლებიც ამოშენებულია მსხვილი რიყის ქვით. წყაროდან დის მშვენიერი წყალი („წყუურგილი").

ვეკუას ეზოში, რომელიც ბორცვის თავზე მდებარეობს, შეიმჩნევა აგრეთვე ბრტყელი რიყის ქვის წყობა. ამგვარივე წყობაა ეზოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეშიც, სადაც გვხვდება აგრეთვე დიდი ჭურჭლის, ქვევრებისა და სხვა ნატეხები. ეზოში სამეურნეო მიწის სამუშაოების დროს სახლის სამხრეთით აღმოჩენილ იქნა ძველი სამარხი.

სამარხი აღმოჩნდა 1917 წლის მახლობელ ხანებში. აღმოჩენის ადგილი შესწავლილ იქნა დაზვერვების დროს 1943 წ., შესწავლილ იქნა აგრეთვე ზუგდიდის მუზეუმის მასალები და ჩანაწერები 1923 წლისა.

სამარხი — ქვის ან თიხის ფილებისაგან შეკრულ ყუთს წარმოადგენდა, რომელშიც აღმოჩნდა ოქროს სამკაულები, ოქროს მონეტები, წითელი თიხისა და მინის ჭურჭელი, ნამტვრევებად ქცეული ვერცხლის ჭურჭელი, მინის მძივები.

ძალიან საინტერესოა, გადარჩენილი მონაცემების მიხედვით, ამ სამარხის ოქროს სამკაული, კერძოდ, ყურადღებას იქცევს გომბეშოს გამოხატულებიანი მძივსაკიდები, ახალგორიდან ცნობილი ტიპისა და თითქმის იმდენივე (67 — ახალგორში, 60-70 — რეყეში).

რეყეს მდიდრული სამარხიდან ზუგდიდის მუზეუმში მხოლოდ 13 ცალი ოქროს წვრილი სამკაული მოხვდა (ცილინდრული მძივსაკიდები და კილიტები).

საქართველოს მუზეუმში ამ სამარხიდან ოქროს ორი მონეტა ინახება: ალექსანდრე მაკედონელის სტატერი და ლიზიმაქეს სტატერის მინაბაძი. ეს უკანასკნელი ყველაზე ადრინდელი მინაბაძია და ძვ. წ. IV ს. დასასრულითა და III ს. დასაწყისით თარიღდება.

ამრიგად, რეყეში გათხრილია ქალის მდიდრული სამარხი ძვ. წ. IV ს. ბოლოსი და III ს. დასაწყისისა.

სოფელ რეყედან ცნობილია ანტიკური ხანის სხვა მასალებიც, რაც იქ ანტიკური მოსახლობის არსებობაზე მიუთითებს. ზუგდიდის მუზეუმში დაცულია სახელდრბრ: კრამიტის, თიხის ფილის, ვარდისფერი თიხის ამფორის ყურის, ბრინჯაოს ჭურჭლის, ვერცხლის ზარაკისა და ბრინჯაოს სამაჯურების ნატეხები (სამაჯურების ბოლოები შესქელებულია, ზოგიერთისა დაწახნაგებული), კამფარის ფეხი (თიხა მონაცრისფრო-ვარდისფერია, ზედაპირი გადარეცხილი აქვს), რკინის შუბის პირები, დანები და სხვ.

სოფ. რეყეში ანტიკური ხანის ძეგლებთან ერთად ბევრად უფრო ძველი ხანის ძეგლებიც შემოინახა, მაგალითად ნამოსახლარი ბორცვები — „კურკუცია".

ქალაქ ზუგდიდის მახლობლად, შესაძლებელია რეყეშივე აღმოჩენილია ტახტის ბრინჯაოს ფეხი (ინახება ზუგდიდის მუზეუმში; ტაბ. XXIII, 4).

ფეხი წარმოადგენს მასიურ საგანს, რომელზედაც ეყრდნობოდა ალბათ ტახტის ხის ფეხი. ამისათვის მას 3 სმ სიღრმის სწორკუთხად ამოჭრილი ფოსო აქვს. საგანი გაფორმებულია მტაცებლის წინა ნაწილის სახით. მკაფიოდ გაირჩევა თავი, კისერი და თათები, თითქოს ერთმანეთზე დაწყობილი და ერთად შეზრდილი. ცხოველის თავი მოკლეა, მრგვალი, მოკლე და მომრგვალებული ყურები აქვს, სახის ნაკვთები ხაზგასმულია ნაოჭებით — წიბოებით: თვალები გადმოცემულია სამ-სამი წიბოთი, წარბი და თვალის ჭრილი, პირის ჭრილი ორი წიბოთი. აღნიშნულია აგრეთვე ნესტოებიც. საგანი ძვ. წ. V ს. თარიღდება.

მსგავსი მოწყობილობის ბრინჯაოს ფეხები ზუგდიდის ერთეულის გარდა, ცნობილია 2 თუ 3 ცალი.

ამგვარი ფეხის ერთი ცალი ინახება ლონდონის მუზეუმში. ამიერკავკასიაში ერთი ცალი აღმოჩენილია აზერბაიჯანში, ნახიჭევანში—სოფ. ზაგალუს ახლოს.

ერმიტაჟში 1955 წლიდან აღმოსავლეთის განყოფილების გამოფენაზე, აზერბაიჯანის ეიტრინაში გამოფენილია ამგვარი ფეხის მეორე ეგზემპლარი.

ნახიჭევანში, სოფ. ზაგალუში აღმოჩენილი საგანი ზომით და აგებულებით ჰგავს ზუგდიდის საგანს, მაგრამ ძალიან განსხვავდება მისგან ცხოველის თავის გაფორმებითა და სხვა წვრილი დეტალებით.

ნახიჭევანის ფეხზე გამოსახული ცხოველის თავი გრიფონისაა, მას ძლიერი ნისკარტი და წვეტიანი, ვერტიკალურად აზიდული ყურები აქვს. გრიფონის მკერდი დაფარულია ფრთებით. ზოგიერთი სხვა დეტალიც განასხვავებს ამ ორ ფეხს ერთმანეთისაგან.

ამგვარად, ზემოაღწერილი ეს ორი ბრინჯაოს ფეხი ერთმანეთს ჰგავს ზოგადად, აგებულების მიხედვით, ზომით; განსხვავდება სტილით, გამოსახული ცხოველით. აღნიშნული გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ ორივე საგანი თუმცა ამიერკავკასიურია, მაგრამ დამზადებულია მის სხვადასხვა ცენტრში.

როგორც ცნობილია, რამდენადმე უფრო ძველი (ძვ. წ. VIII—VII სს.), მდიდრული ტახტის ბრინჯაოს ნაწილები (ფეხები, სახელურები) აღმოჩენილია ურარტუში. ისინი ეკუთვნის ტაძრებში ან სასახლეებში არსებულ ტახტებს. ასეთივე მდიდრული ტახტები გამოსახულია ასურულ ძეგლებზე და მათზე ჩვეულებრივ ზის მეფე ან ღმერთი. ამგვარი ურარტული საგნების ბრინჯაოს ნაწილები სულ ერთი თუ ორი საგნისა არის ცნობილი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ასეთი საგნები ურარტუშიც დიდ იშვიათობას წარმოადგენდა.

მიუხედავად ამ საგნების იშვიათობისა, ამიერკავკასიის ხალხები მდიდრულ ტახტებს ხმარობდნენ ლაშქრობის დროსაც, V—IV ს. მიჯნაზე. ასე მაგალითად, ქსენოფონტე ანაბაზისში მოგვითხრობს ვერცხლისფეხებიან სარეცელზე, რომელიც სხვა საგნებთან ერთად ხელში ჩაიგდეს ბერძნებმა ტირიბაზის კარავში.

სავარძლის თუ სარეცლის ვერცხლის ფეხები საქართველოში იხმარებოდა უფრო გვიანაც (არმაზისხევი, ბორი, ჩვ. წ. II — III სს.).

ამგვარად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქ. ზუგდიდის მიდამოებში აღმოჩენილი ტახტის ბრინჯაოს ფეხი, რომელიც ძვ. წ. V საუკუნისაა, შესაძლოა მოწმობდეს ამ ადგილას ხელისუფლების წარმომადგენელთა რეზიდენციის არსებობას.

1

2



3

4

აქ ჩამოთვლილი ანტიკური ხანის არქეოლოგიური მასალა, რომელიც მოპოვებულია ენგურის ქვემო წელის მარცხენა ნაპირას მხოლოდ დაზვერვებისა და შემთხვევითი აღმოჩენების შედეგად, მაინც მოწმობს ამ რაიონის განვითარებას ანტიკურ ხანაში. ამაზე მიუთითებს აღმოჩენა კოლხური თეთრის დიდ ჯანძებისა, რომლებიც თავმოყრილია ზუგდიდის გარშემო და შეიცავს მონეტათა უნიკალურ ტიპებს, რაც ამ რაიონის გარეთ ჯერჯერობით უცნობია: რაიონის სამეურნეო განვითარების დონეზე მეტყველებს რკინის სასოფლო-სამეურნეო იარაღი — წალდი, ცული, თოხი, რომლებიც აქ დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი (მახარია, ნაწულუკუ, რუხი).

ამ რაიონის განვითარების შესახებ ლაპარაკობს, აგრეთვე, რეუეს მდიდრული სამარხი, რომელიც ქ. ზუგდიდის მიდამოებში მდებარეობს. საინტერესოა სამარხში ალექსანდრე მაკედონელის სტატერთან, რომელიც ამ ხანებში ფართოდ ყოფილა გავრცელებული დასავლეთ საქართველოში, ლიზიმაქეს სტატერის ადრეული მიბაძულობის აღმოჩენაც.

რაიონის განვითარებას ხელს უწყობდა, როგორც ჩანს, ნაოსნობა მდინარე ენგურის ქვემო წელზე და ნაწილობრივ სხვა მდინარეებზეც, აგრეთვე ხელოვნური არხების სისტემა. ამას უკავშირდება ალბათ განხილულ რაიონში შემოტანილი ამფორებისა და შავლაკიანი კერამიკის აღმოჩენა.

ამგვარად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ენგურის მარცხენა სანაპირო, ქალაქ ზუგდიდით შუაგულში, რომელიც შუა საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს ერთერთი ცენტრი იყო, ანტიკურ ხანაშიც დაწინაურებული ყოფილა. არსებობდა გარკვეული მხარე, რომლის ცენტრიც სადღაც თანამედროვე ზუგდიდის მიდამოებში იყო, სადაც შესაძლოა ამ რაიონის საზოგადოების ზედა ფენის, რეზიდენციაც მდებარეობდა (მდიდრული სამარხი, ტახტი, მონეტათა განძები).

კოლხური მონეტების განსაკუთრებული ტიპები, რომლებიც ჯერჯერობით მაინც მხოლოდ აქაა აღმოჩენილი, ამასთან ერთად, კოლხური თეთრის დიდი განძების აღმოჩენა, წარმოადგენს იმის მოწმობას, რომ მდ. ენგურის მარცხენა სანაპირო შედიოდა კოლხური სახელმწიფოს პოლიტიკურ საზღვრებში (ძვ. წ. VI—IV სს.).

ქ ა ლ ა ქ ი ს ო ხ უ მ ი (ა ნ ტ ი კ უ რ წ ყ ა რ ო ე ბ შ ი დ ი ო ს კ უ რ ი ა დ ა) და მისი მიდამოები, როგორც ვნახეთ, დასახლებული ყოფილა უძველესი დროიდან, ქვედა პალეოლითის ხანიდან.

ანტიკურ ხანაში დასახლებულია როგორც ზღვისპირა ზოლი (მდ. ბესლეთიდან — გუმისტა-ეშერამდე), ისე ქალაქის აღმოსავლეთით მდებარე გორების ფერდობები და მწვერვალები. ნაწილი ანტიკური დროის ქალაქისა ამჟამად ზღვით არის დაფარული, როგორც ეს დამტკიცდა მდინარე ბესლეთის შესართავთან (ქალაქის სამხრეთი ნაწილი) ძვ. წ. V საუკუნის ქვის ბარელიეფის და იქვე ზღვის ნაპირიდან დაახლოებით 100 მ მანძილზე კედლების აღმოჩენით.

ქალაქ სოხუმის არქეოლოგიური გამოკვლევა ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს დაიწყო, მაგრამ მის სისტემატურ შესწავლას მხოლოდ საბჭოთა პერიოდში, 1951 წლიდან მოჰკიდეს ხელი. ამ ბოლო წლების განმავლობაში ქალაქის ტერიტორიაზე გამოვლენილი და შესწავლილია არაერთი არქეოლოგიური ძეგლი, როგორც ანტიკური ხანისა, ისე ადრინდელი და მასზე გვიანდელი დროისა.

მთელი რიგი ძეგლებია აღმოჩენილი როგორც ზღვისპირა ზოლში, ისე მაღლობებზე, სოხუმის მთაზე, გუადიხუზე, სოხუმის ციხესთან, ქალაქის ჩრდილო ნაწილში და ა. შ. ისწავლება აგრეთვე ამჟამად ზღვით დაფარული ქალაქის ზემოაღნიშნული ნაშთებიც. შესწავლილია სამაროვნები, კულტურული ფენები, ნაგებობის ნაშთები და სხვ.

ამ ძეგლების შესწავლით ირკვევა, რომ ქალაქ სოხუმის ტერიტორია გვიანბრინჯაოს გასულს უკვე მჭიდროდ დასახლებული ყოფილა. აქ საყოფაცხოვრებო ნაშთებთან ერთად აღმოჩენილია ლითონის დამუშავებასთან დაკავშირებული ნაშთები: ქურები, მდნობელის განძები და სხვ.

ანტიკური ხანის მოსახლობა დიდ ტერიტორიაზეა გაშლილი, ბესლეთიდან ხამხრეთით — ეშერამდე აღმოჩენილი მასალებით მტკიცდება, რომ ამ დროს მოსახლობა უკვე ქალაქად იქცევა. მასში განვითარებულია ხელოსნობა, ვაჭრობა ადგილობრივ და უცხო ქვეყნებთან. აქ აღმოჩენილია ჯერ კიდევ ძვ. წ. V ს. შემოტანილი მასალები, შავლაკიანი ჭურჭელი, ამფორები და სხვ. სამარხებში დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ლითონის ბეჭდები — საბეჭდავები. სამარხეული ინვენტარი მაჩვენებელია მოსახლეობაში შორს წასული ქონებრივი უთანასწორობისა.

აღნიშნული ბარელიეფის — საფლავის სტელას აღმოჩენა გვიჩვენებს, რომ უკვე ძვ. წ. V საუკ. ქალაქის მოსახლეობის გარკვეული წრეები ხელოვნებაში კარგად გაწაფული არიან (ტაბ. XXVI, 2).

ამ დროის ქალაქის მოსახლეობა, როგორც მოსალოდნელი იყო, საკმაო სიჭრელით ხასიათდება.

ქალაქის ტერიტორიაზე ჩნდება ადგილობრივი მონეტები — კოლხური თეთრიც, მაგრამ ჯერჯერობით მათი აღმოჩენა აღნიშნულ ტერიტორიაზე იშვიათია.

ანტიკურ ხანაში დასავლეთ საქართველოში ფართოდ ყოფილა გავრცელებული ადგილობრივი ვერცხლის მონეტა—კოლხური თეთრი (ტაბ. XXIV, 4, 5). ეს მონეტები დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძალიან დიდი რაოდენობით გვხვდება და ამჟამად მუზეუმებში დაცულია მათი რამდენიმე ათასი ეგზემპლარი. რაც შეეხება მათ აღმოჩენას დასავლეთ საქართველოს გარეთ, ასეთი შემთხვევები არცთუ ისე ხშირია, თუმცა მათი რიცხვი ამ ბოლო დროს გაიზარდა.

ძირითადი და ყველაზე მეტად გავრცელებული ტიპი კოლხური თეთრისა არის „ნახევარდრაქმა", რომელიც დაახლოებით 2 გ იწონის. მაგრამ გარდა ამ ძირითადი ტიპისა, ამჟამად ცნობილია ამავე მონეტის კიდევ ოთხი ტიპი: „დრაქმა", ორი ტიპის „დიდრაქმა" და „ტეტრადრაქმა".

ამ მონეტების გვერდით არსებობდა, როგორც ჩანს, უფრო წვრილი მონეტაც, რომლის ერთი ეგზემპლარი აღმოჩენილია დაბლაგომის ქვევრსამარხში. ამ მონეტის წონა ამჟამად 0,3 გრამია. მონეტა აღმოჩენილია ძვ. წ. V ს. სამარხში.

ძირითადი ტიპის კოლხურ თეთრზე ერთ მხარეს გამოსახულია ხარის თავის მარჯვენა პროფილი, მეორე მხარეს — აგრეთვე მარჯვენა პროფილი ადამიანის თავისა. ამასთან ხარის თავს ყოველთვის წრეხაზი აქვს შემოვლებული, ადამიანის თავს კი ან წრეხაზი ანდა რელიეფური წერტილებით შემკული რკალი.

კოლხურ მონეტებს უმთავრესად პოულობენ დიდ განძებად, თითოეული განძი შეიცავს რამდენიმე ას მონეტას. ამ განძებში ხშირად სხვა საგნებიც გვხვდება, რომელთა დათარიღებაც ამჟამად საკმაო სიზუსტით შეიძლება. კოლხურ თეთრთან სხვა მონეტები ჩვეულებრივ არ გვხვდება, ლიტერატურაში ცნობილია მხოლოდ ერთი ასეთი შემთხვევა — კოლხურ თეთრთან ერთად სპარსული დ ა რ ი კ ი ს აღმოჩენისა. უკანასკნელ ხანებში (1953 წ.) აღმოჩნდა კოლხური თეთრის დიდი განძი, რომელშიც ერთი უცხოური ფულიც იყო. ეს განძი აღმოჩენილია ქობულეთ-ფიჭვნარში, იგი შედგება ბრინჯაოს ჭურჭელში ადგილობრივ დამზადებული საყურეებისაგან, რაც აგრეთვე ადასტურებს განძის ძვ. წ. VI ს. დათარიღებას.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ახალი განძების შემოსვლა და მათი შესწავლა ადასტურებს, რომ ყველა ისინი ეკუთვნის ძვ. წ. VI—V სს. ამასთან დგინდება, რომ უკვე VI ს. ბოლოსათვის კოლხური თეთრი საკუთარი ნაკეთებით განვითარებული და დასრულებული მონეტა იყო, რაც თავის მხრივ იმაზე მიუთითებს, რომ ეს მონეტა გაჩნდა VI ს. დასასრულზე უფრო ადრე, ხოლო ჩვენ ჯერ არ ვიცნობთ მის უფრო ძველ ეგზემპლარებს. ამ მონაცემების მიხედვით კოლხური თეთრი გვევლინება მსოფლიოს ერთერთ ყველაზე უფრო ძველ მონეტად.

მეორეს მხრივ VI—V სს. კოლხური თეთრის განძებად დაგროვება მიუთითებს, ალბათ, ფულის მიმოქცევის საწყის ეტაპზე. უფრო გვიან ასეთი განძები ჩვენთვის უცნობია, თუმცა მონეტის მოჭრას კვლავ განაგრძობენ. ხოლო სხვადასხვა ღირებულების მონეტათა არსებობა, ტეტრადრაქმიდან ნახევარდრაქმამდე და უფრო მცირე ნომინალამდეც, მოწმობს მათ ინტენსიურ ტრიალს.

კოლხურ თეთრს, როგორც წესი, წარწერა არ გააჩნია, ამ მხრივ იგი გამონაკლისს არ წარმოადგენს, მაგრამ ზოგჯერ კოლხურ მონეტაზეც გვხვდება ნიშნები, თუმცა ასეთი მონეტა არც ისე ბევრია შემონახული. კოლხური თეთრის წარწერა-ნიშნების სულ 4 ვარიანტია ცნობილი. სამი მათგანი ცნობილია ერთეულ შემთხვევებში, მეოთხე ნიშანი კი საკმაოდ ხშირად გვხვდება.

კოლხური თეთრის დიდი რაოდენობა, მისი გავრცელებულობა კოლხეთის როგორც სანაპიროზე, ისე ქვეყნის შიგნით, ტიპის სიმყარე მისი მოჭრის რამდენიმე საუკუნის განმავლობაში (ძვ. წ. VI—III სს.) და ბევრი სხვა თავისებურება არ შეიძლება არ მეტყველებდეს მის ადგილობრიობაზე, იმაზე რომ ამ მონეტას ჭრის ადგილობრივი ხელისუფლება.

ნიშნების ოთხი ვარიანტი უნდა მიუთითებდეს ოთხი ზარაფხანის არსებობაზე კოლხეთის სახელმწიფოს ოთხ ოლქში, რომლებიც ძველი ტრადიციის მიხედვით მეტ-ნაკლები დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ. ქართულმა და უცხოურმა წერილობითმა წყაროებმა შემოგვინახეს ცნობები დასავლეთ საქართველოს ამგვარი ოლქების შესახებ.

კოლხურ თეთრზე არსებული ნიშნები ბერძნული ასოებია — Φ,A,O, და MO. პირველი სამი ასო, როგორც აღვნიშნეთ, გვხვდება ერთეულ მონეტებზე, შემთხვევით, და არ ვიცით, თუ სახელდობრ რომელ ადგილთანაა დაკავშირებული. ამათ გარდა უკანასკნელ ხანებში ერთერთ მონეტაზე აღმოჩენილია ბერძნული ასო — Π.

კოლხური თეთრის მეოთხე ნიშანი — MO წარმოდგენილია არა ერთი ასოთი, არამედ მთელი მარცვლით. ორივე შემთხვევაში უნდა გვქონდეს ოლქის სახელწოდების დასაწყისი. „MO" ნიშნიანი მონეტები, თუ მხედველობაში მივიღებთ ლიტერატურულ ცნობებსაც, რამდენიმე ათეულია ცნობილი. ამ მონეტაზე მთელი მარცვლის არსებობა და მისი გავრცელებულობა შესაძლოა მიუთითებდეს ამგვარი მონეტის შედარებით უფრო გვიანდელობაზე. „MO" ასოებიანი მონეტები მომდინარეობს ზოგიერთ შემთხვევაში სამარხებიდან და აგრეთვე, შესაძლებელია, განძებიდანაც. ამასთან დაკავშირებით ჩვენ „MO" ასოებიანი მონეტისათვის საკმაოდ ზუსტი დათარიღება გვაქვს და ვიცით აგრეთვე მისი გავრცელების ტერიტორია.

მონეტაზე ასეთი წარწერის გაჩენა მოწმობს გარკვეულ ხანაში აღნიშნული ოლქის დაწინაურებას. ასეთი ნიშნიანი მონეტები აღმოჩენილია რიონის მარცხენა სანაპიროზე ორ პუნქტში, ორივე შემთხვევაში ქვევრსამარხებში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს მონეტები იქ სწორედ ადგილობრივია. ეს პუნქტებია — დაბლაგომი (სამტრედიის რ.), სადაც ასეთი მონეტები აღმოჩენილია ორ სამარხში — ერთში 2 ცალი, მეორეში — 4, ყველა მათგანს აქვს ნიშანი MO; სოფ. კიცხი (ორჯონიკიძის რ.). ასეთივე მონეტები აღმოჩენილია ქუთაისის რაიონში, სოფ. კუმისთავში, ჯუმათში (მახარაძის რ.), ქობულეთში. უკანასკნელ ორ შემთხვევაში აღმოჩენა შესაძლოა დაკავშირებული იყოს ამ მონეტათა გადაადგილებასთან სავაჭრო გზაზე, კერძოდ, ქობულეთში, სავაჭრო ქალაქში, სადაც არსებული ცნობების მიხედვით „MO" ნიშნიანი მონეტები აღმოჩენილია მონეტათა დიდ განძში სხვა კოლხურ მონეტებთან და ძვ. წ. IV ს. სინოპურ დრაქმებთან ერთად.

„MO" ასოებიანი კოლხური თეთრის გავრცელების ტერიტორია — რიონის შუა წელის მარცხენა და მარჯვენა ნაპირი, ემთხვევა ზოგადად კოლხეთის იმ ოლქის ტერიტორიას, რომელსაც შემდეგდროინდელი (ახ. წ. VI ს.) ავტორები მოხერესისს, მუხურისს უწოდებენ. „MO" ნიშანში შეიძლება დავინახოთ ამ სახელწოდების პირველი მარცვალი.

რაც შეეხება Φ ნიშანს, ეს შესაძლოა პირველი ასო იყოს ფაზისისა, რომლის სახელიც ერქვა მდინარის შესართავთან მდებარე ქალაქს და მის რაიონსაც. ამ ასოს ასეთი მნიშვნელობის შესახებ უკვე იყო გამოთქმული აზრი ლიტერატურაში.

A და O ასოების მნიშვნელობის შესახებ კი არავითარი პირდაპირი მითითება არა გვაქვს.

თვით დიდი განძების აღმოჩენის ადგილებიც იქნებ ზემოდასახელებული ოლქების არსებობაზე მიუთითებდეს. ასე მაგალითად, ყველაზე დიდი განძები აღმოჩენილია ქალაქ ფოთის, ზუგდიდის, ქუთაისისა და ვანი-დაბლაგომის მიდამოებში.

როგორც სამონეტო საქმის ისტორიიდანაა ცნობილი, რამდენიმე ზარაფხანის არსებობა არ ეწინააღმდეგება ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლების არსებობას. მონეტის მოჭრა სახელმწიფოს ცენტრში ერთ ადგილას, ერთი ზარაფხანის მიერ, შემდეგ ხანებში აღმოცენებული მოვლენაა.

ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლების არსებობას, რომელსაც, ბუნებრივია, თუ არც ისეთი ძლიერი ცენტრალიზაცია აქვს, ადასტურებს ის გარემოებაც, რომ საერთოდ ერთი ტიპის მონეტა იჭრება მთელი დასავლეთ საქართველოსათვის, მისი არსებობის მთელს პერიოდში.

როგორც ჩანს, კოლხეთს გვიანაც არ შეუწყვეტია ვერცხლის ფულის მოჭრა, ამას მოწმობს ვანში, დაახლოებით ძვ. წ. II საუკუნის ფენაში, მონეტის აღმოჩენა, რომელსაც კოლხური თეთრის მსგავსი ნიშნები აქვს (ზომა, მოყვანილობა, რკალი, ავერსზე ადამიანის თავის პორტრეტული გამოსახულება, პროფილით მარჯვნივ).

ალბათ ამავე ჯგუფს ეკუთვნის აგრეთვე ძვ. წ. II ს. მონეტა, მოჭრილი მეფე საელაკის სახელით, წონით იგი ნახევარდრაქმას უახლოვდება. ასეთი მონეტა სულ რამდენიმე ცალია ცნობილი. ზოგიერთი მათგანი აღმოჩენილია სოხუმში კოლხურ თეთრთან ერთად. ეს ტიპი თითქოს კოლხური თეთრის განვითარებული სახეა. ადამიანის თავიცა და ხარის თავიც აქაც მარჯვნივაა მიმართული. ამ მონეტის ადამიანის თავის გამოსახულება, ჩვენი აზრით, კოლხური თეთრის ტიპის გაგრძელებაა. იქ ღვთაება გვაქვს, აქ კი პორტრეტული გამოსახულება, წარმოდგენილი როგორც მეფე—მზის ღმერთი სხივოსანი გვირგვინით თავზე (აიეტი—ჰელიოსის, მზის ღმერთის შვილი). რევერსზე ხარია გამოსახული, ამასთან კოლხურ თეთრზე ერთი ან ორი ასოა გამოყვანილი, აქ კი მეფის სახელი.

ძველი წელთაღრიცხვის II—I საუკუნეებს ეკუთვნის დიოსკურიის (სოხუმი) სპილენძის მონეტა.

შემდეგი ტიპის მონეტა სულ რამდენიმე ცალია შემონახული. ესაა ვერცხლის დრაქმა, რომელზედაც აღნიშნულია თარიღი და კოლხეთის მმართველის — არისტარხის სახელი.

მონეტაზე გამოსახულია: შუბლზე — ადამიანის თავის მარჯვენა პროფილი სხივოსანი გვირგვინით, მონეტის ზურგზე — მჯდომარე (ტახტზე ?) ქალღმერთი, მარჯვნივ მიქცეული, ხელში გაურკვეველი ატრიბუტი აქვს. თარიღი — არისტარხის მმართველობის მე-12 წელი, ე. ი. ძვ. წ. 52/51 წ.

ამ მონეტის შუბლზე არსებული გამოსახულება ისეთივეა, როგორიც ს ა ვ ლ ა კ ი ს მონეტაზე — გაღმერთებული მეფე, ქალღმერთი, რომლის აღწერილობაც მოცემული აქვს ა რ ი ა ნ ე ს. მას შეუცვლია კოლხების ხარის გამოსახულება, რომელიც უფრო ძველ ხანას ეკუთვნის.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ კოლხეთი განუწყვეტლივ ჭრიდა ფულს ძვ. წ. VI ს-დან ძვ. წ. I ს-მდე.

ვერცხლის (და სპილენძის) მონეტების გვერდით კოლხეთში, როგორც ჩანს, ოქროს ფულიც იჭრებოდა.

მათგან ყველაზე ძველია მეფე აკის მონეტა, რომლის ორი ეგზემპლარი ცნობილია. აქედან ერთი ნაპოვნია ტრაპეზუნტში, მეორე სოფ. კინჩხაში (წულუკიძის რ.). ეს მონეტები ეკუთვნის იმ ტიპს, რომელთაც ლიზიმაქეს სტატერების მინაბაძს უწოდებენ. ისინი ძვ. წ. III ს. თარიღდება.

შემდეგ ხანებში დასავლეთ საქართველოში ვრცელდება უფრო უხეში მინაბაძები ალექსანდრე მაკედონელის სტატერებისა (ტიპი I) და ლიზიმაქეს სტატერებისა (ტიპი II). ეს მონეტები მიმოქცევაშია ახ. წ. II საუკუნემდე.

ლიზიმაქეს სტატერების მინაბაძები (ტიპი II) გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს დაბლობ ნაწილში, მაგრამ იგი აღწევს იბერიის ცენტრს — მცხეთასაც კი. მეორე ჯგუფის მონეტების გავრცელება დაკავშირებულია ამ ხანებში იბერიის პოლიტიკური გავლენის ტერიტორიასთან.

კოლხეთის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით ჩნდება ალექსანდრეს და ლიზიმაქეს ე. წ. ნამდვილი სტატერები და მათი ყველაზე უფრო ძველი მინაბაძები.

ამგვარად, ვერცხლის მონეტასთან ერთად, რომელიც ძვ. წ. I საუკუნემდე ეჭრებოდა, კოლხეთში მიმოქცევაში იყო ოქროს ადგილობრივი მონეტებიც — კოლხური სტატერები, ძვ. წ. IV ს-დან ახ. წ. IIIს-მდე.

კოლხეთში ძალიან ადრე ჩნდება უცხოური მონეტებიც. ასე მაგალითად: ვანში, ძვ. წ. VI ს. სამაროვანში, სხვა მონეტებთან ერთად აღმოჩენილია კუნძულ სამოსის მონეტა, ქობულეთში — ქიზიკინი, ძვ. წ. VI—V სს. კოლხურ თეთრსა და ადგილობრივ სამკაულთან ერთად. ქობულეთშივე აღმოჩნდა მონეტათა დიდი განძი, რომელიც ძვ. წ. IV ს. სინოპურ დრაქმებს შეიცავდა (შემორჩა 100 ცალზე მეტი), აქვე, კოლხურ თეთრთან ერთად ნაპოვნია ალექსანდრე მაკედონელის სინოპში მოჭრილი ოქროს სტატერი და სხვ.

დასახელებული მონეტის გარდა ვანში აღმოჩენილია ათენის ტეტრადრაქმა ახალი სტილისა, სპილენძის მონეტები მითრიდატ ევპატორის დროისა, მისივე ვერცხლის ტეტრადრაქმა, ქალაქ ამისოს მონეტა და სხვ. ბოსფორის მონეტებიცაა აღმოჩენილი კოლხეთის ტერიტორიაზე.

თავის მხრივ კოლხური თეთრი აღმოჩენილია კოლხეთის გარეთ: არმაზში, სოჭში, ქერსონესში, ნიმფეიაში და სხვ.

უცხოურ მონეტებთან ერთად ძვ. წ. VI ს. კოლხეთში შემოტანილი საგნებიც გვხვდება. ასეთებია მაგ., მოხატული და შავლაკიანი კერამიკა ძვ. წ. VI ს-დან დაწყებული (იონია—ატიკა), ძვ. წ. I ს. წითელლაკიანი კერამიკა (მცირე აზია), ძვ. წ. IV ს. მარგალიტი (ვანი, უფრო გვიან —ბორი), ეგვიპტური პასტის საგნები — ბესის გამოსახულება, საკიდები და სხვ.

მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში შესამჩნევად დაწინაურდა ჯერ კიდევ ნეოლითში, უფრო გვიან, ენეოლითსა და ბრინჯაოს ხანაში იგი ინტენსიურ განვითარებას განაგრძობს. ამაზე მეტყველებს მიწათმოქმედების იარაღები ჯერ ქვისა, ხოლო შემდეგ სპილენძისა და ბრინჯაოსი, აგრეთვე მიწათმოქმედების პროდუქტების დასამუშავებელი იარაღები და ამ პროდუქტების შესანახად და მოსახმარად განკუთვნილი ჭურჭელი.

ანტიკურ ხანაში ფართოდ ვრცელდება რკინის სამიწათმოქმედო იარაღები. ისინი აღმოჩენილია განძებში, სამარხებში, კულტურულ ფენებში (მახარია, სოხუმი, დაბლაგომი და სხვ.). ესენია თოხები, წალდები, ნამგლები, ცულები, და სხვ. თოხი, რომელიც მოყვანილობის მიხედვით სპილენძისა და ბრინჯაოს თოხებიდან მომდინარეობს, გაცილებით დიდი ხდება, მას უჩნდება ძლიერი სატარე და უფრო დიფერენცირებული ფორმები. ბრინჯაოს ფორმებიდანვე ვითარდება წალდი, ცული და ნამგალი.

თოხით მიწის დამუშავების გვერდით შემდგომ განვითარებას აღწევს ადრევე დაწყებული გუთნით ხვნა. შემოდის რკინის სახნისი, რასაც მოწმობს მი-

სი აღმოჩენები აფხაზეთსა და სვანეთში. გუთნით ხვნის განვითარებაზევე მიუთითებს მსხვილფეხა საქონლის, განსაკუთრებით ხარის მოშენება. ხარის კულტი, რაც დაკავშირებულია მის დიდ საშეურნეო მნიშვნელობასთან, ადრევე შეიმჩნეოდა არქეოლოგიურ მასალებში. ანტიკურ ხანაში კი ხარი გამოსახულია ადგილობრივ ფულზე — კოლხურ თეთრზე, რომელიც გავრცელებული იყო ძვ. წ. VI ს-დან. კულტურულ ფენებში გვხვდება თიხის ნაკეთობანი, რომლებიც სქემატურად გამოსახავენ ხარის თავს. ასეთივე გამოსახულებანი გვხვდება ქვისაც.

მარცვლოვანი კულტურების განვითარებაზე მიუთითებს ხელსაფქვავები და ნამგლები, რომლებიც კულტურულ ფენებში ჩნდება.

განვითარებას განაგრძობს სელისა და კანაფის კულტურები, ამას გვამცნობს როგორც წერილობითი წყაროები, ისე თვით ქსოვილების ნაშთებისა და მისი ანაბეჭდების, აგრეთვე კვირისთავებისა და დაზგებისათვის საჭირო საწაფავების აღმოჩენა.

თიხის საწაფავები იხმარებოდა ალბათ განსაკუთრებული, სახიანი ქსოვილის დასამზადებლად, რომელიც განკუთვნილი იყო ტანსაცმლის, ქამრისა და სხვათა შესამკობად. საერთოდ კი ამ ხანებში უკვე განვითარებული ყოფილა ჰორიზონტალური დაზგა, რაზედაც მიუთითებს დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ძვ. წ. VI—V ს. რთულად ნაქსოვი ქსოვილი (მაგ., დაბლაგომის მონეტათა განძში).

ადგილობრივი ტილო იხმარებოდა ტანსაცმლისათვის, აგრეთვე იალქნებისათვის და სხვ.

საზოგადოების მაღალი ფენები უკვე ძვ. წ. IV ს. ხმარობდნენ ოქრომკედთან ერთად მოქსოვილ ტილოს.

ანტიკური ხანის მეეენახეობისა და მეღვინეობის განვითარებაზე მეტყველურად მიუთითებენ ქვევრები. ეს ჭურჭელი ჩვეულებრივ შავი ფერისაა (რიონის დაბლობი) და მთელი ზედაპირი დაფარული აქვს ჰორიზონტალური ან ვერტიკალური ზოლებით. ადრეულ ჭურჭელზე (ძვ. წ. VI ს.) რელიეფური ზოლები მეტია, მოგვიანებით კი (III — II სს.) ისინი თითქმის ქრება. უფრო ძველ ჭურჭელზე ეს ზოლები მიმართულია არა ვერტიკალურად, არამედ ირიბად (ტაბ. XXIV, 3), ქვევრის კედლის სისქე რამდენიმე სანტიმეტრს აღწევს. ჭურჭელი ღვინის შესანახადაა განკუთვნილი. იგი როგორც ახლა ირკვევა, კარგად უძლებდა შორეულ მგზავრობას (კოლხური ქვევრი აღმოჩენილია ყირიმში — ნიმფეიაში ძვ. წ. VI ს. და სხვაგან).

ვანში აღმოჩენილია მარნის ნაშთებიც. აქ ერთი ქვევრი თავის დროზე ღვინით სავსე დარჩენიათ.

მეღვინეობაში უკვე გამოუსადეგარ ჭურჭელსა და მის ნაწილებს იყენებდნენ მიცვალებულის დასამარხად. განსახილველი ხანის დასავლეთ საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებული დაკრძალვის წესი არის ასეთ ქვევრებში დამარხვა. სამარხავად იყენებდნენ არა მარტო ნახმარ და გატეხილ ქვევრებს, არამედ ქვევრის ნატეხისაგან დამზადებულ სარქველსაც. ასეთი მრგვალი, ნაპირებშემოტეხილი სარქველები დღესაც იხმარება დასავლეთ საქართველოში,

ესენია ე. წ. „ორგო“. ასეთი ორგო აღმოჩენილია ვანში, ანტიკური ხანის მარანში, დაბლაგომის სამარხი ქვევრის პირი ასეთი ორგოთი იყო დახურული.

დიდი რაოდენობით გვხვდება საღვინე დოქების განვითარებული ფორმები, განსაკუთრებული, ადგილობრივი მოყვანილობის პატარა სურები (ტაბ. XXIV, 1, 2), აგრეთვე თიხისა და ვერცხლის სასმისები.

ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა დასავლეთ საქართველოს მეურნეობაში სელის კულტურას. ყველაზე ძველი წერილობითი ცნობა კოლხური სელის შესახებ დაცულია ჰეროდოტეს ისტორიაში (ძვ. წ. V ს.).

სტრაბონი, რომელიც კარგად იცნობდა კოლხეთს, მოგვითხრობს ამ ქვეყანაში სელის სიჭარბის შესახებ, მის გატანასა და სახელგანთქმულობაზე. ამასთანავე, სტრაბონი კოლხურ სელს ახსენებს გემთმშენებლობისათვის აუცილებელ მასალათა შორის. საფიქრებელია, რომ აქ მას მხედველობაში აქვს არა სელი, არამედ მისი ნაწარმი — ტილო, რომელიც საჭიროა ხომალდის იალქნებისათვის.

ასეთივე ცნობები აქვთ კოლხური სელის შესახებ კალიმაქსს (ძვ. წ. III ს.) და პინდარს სქოლიოებში.

დიონისეს „დედამიწის აღწერილობის კომენტარიებში“, რომელიც შედგენილია თესალონიის მიტროპოლიტის მიერ (XII ს. მეორე ნახევარი). კვლავ მეორდება ცნობები კოლხური სელის შესახებ და ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ თვითონ კოლხები ტილოს ტანსაცმელს ატარებენო.

ქსენოფონტე ანაბაზისში (ძვ. წ. V ს. ბოლო, 401 წ.) წერს, რომ სამხრეთ კოლხეთის ტომები (ხალიბები, მოსინიკები და სხვ.) სელს სამხედრო მიზნებისათვის იყენებდნენ, მისგან ამზადებდნენ სელის ჯავშნებსა და ქიტონებს.

წმინდა, ფასიანურ სელს, ან კოლხურ სელს ანტიკური ავტორები იხსენიებენ ნადირობასთან დაკავშირებითაც.

ზემომოტანილი წერილობითი წყაროების გარდა ჩვენ ამჟამად ხელთა გვაქვს დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა, რომელიც მოწმობს ძველად აქ სელის კულტურის დიდად განვითარებას, შესაძლოა ნეოლითის ხანიდანვე. ამიტომ საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ დასავლეთ საქართველო იყო ერთერთი იმ ქვეყანათაგანი, რომელმაც ამ მცენარის კულტურა დანერგა.

ამ საკითხთან დაკავშირებული ანტიკური ხანის არქეოლოგიური მასალის უმთავრესი ნაწილი ასეთია: დაბლაგომში ღვინის შესანახად განკუთვნილ და შემდეგ სამარხად გამოყენებულ ქვევრების მხრებზე შემორჩენილია ტილოს ანაბეჭდებით შესრულებული ორნამენტი. ეს ტილო, უნდა ვიფიქროთ, დახვეული იყო ჯოხზე, რომლითაც დაჰქონდათ ორნამენტი ჭურჭელზე ძვ. წ. V საუკუნეში.

ქსოვილების ნაშთები და მათი ანაბეჭდები, რომლებიც დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურმა მასალამ შემოგვინახა, მოწმობს დაზგის გამოყენებას უძველეს ხანაშივე: რთული ჰორიზონტალური დაზგების ხმარებას და მოსაქსოვი ძაფის მშვენივრად დამზადებას. ამასთან ერთად, ჩანს, წინაანტიკურ ხანამდე უკვე იცნობდნენ ვერტიკალურ დაზგებსაც, თუ ვიმსჯელებთ თიხისა და ცალკეულ შემთხვევებში ქვის პირამიდული საძირავების აღმოჩენების მიხედვით.

ესენია ე. წ. „ორგო“. ასეთი ორგო აღმოჩენილია ვანში, ანტიკური ხანის მარანში, დაბლაგომის სამარხი ქვევრის პირი ასეთი ორგოთი იყო დახურული.

დიდი რაოდენობით გვხვდება საღვინე დოქების განვითარებული ფორმები, განსაკუთრებული, ადგილობრივი მოყვანილობის პატარა სურები (ტაბ. XXIV, 1, 2), აგრეთვე თიხისა და ვერცხლის სასმისები.

ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა დასავლეთ საქართველოს მეურნეობაში სელის კულტურას. ყველაზე ძველი წერილობითი ცნობა კოლხური სელის შესახებ დაცულია ჰეროდოტეს ისტორიაში (ძვ. წ. V ს.).

სტრაბონი, რომელიც კარგად იცნობდა კოლხეთს, მოგვითხრობს ამ ქვეყანაში სელის სიჭარბის შესახებ, მის გატანასა და სახელგანთქმულობაზე. ამასთანავე, სტრაბონი კოლხურ სელს ახსენებს გემთმშენებლობისათვის აუცილებელ მასალათა შორის. საფიქრებელია, რომ აქ მას მხედველობაში აქვს არა სელი, არამედ მისი ნაწარმი — ტილო, რომელიც საჭიროა ხომალდის იალქნებისათვის.

ასეთივე ცნობები აქვთ კოლხური სელის შესახებ კალიმაქსს (ძვ. წ. III ს.) და პინდარს სქოლიოებში.

დიონისეს „დედამიწის აღწერილობის კომენტარიებში“, რომელიც შედგენილია თესალონიკის მიტროპოლიტის მიერ (XII ს. მეორე ნახევარი). კვლავ მეორდება ცნობები კოლხური სელის შესახებ და ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ თვითონ კოლხები ტილოს ტანსაცმელს ატარებენო.

ქსენოფონტე ანაბაზისში (ძვ. წ. V ს. ბოლო, 401 წ.) წერს, რომ სამხრეთ კოლხეთის ტომები (ხალიბები, მოსინიკები და სხვ.) სელს სამხედრო მიზნებისათვის იყენებდნენ, მისგან ამზადებდნენ სელის ჯავშნებსა და ქიტონებს.

წმინდა, ფასიანურ სელს, ან კოლხურ სელს ანტიკური ავტორები იხსენიებენ ნადირობასთან დაკავშირებითაც.

ზემომოტანილი წერილობითი წყაროების გარდა ჩვენ ამჟამად ხელთა გვაქვს დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა, რომელიც მოწმობს ძველად აქ სელის კულტურის დიდად განვითარებას, შესაძლოა ნეოლითის ხანიდანვე. ამიტომ საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ დასავლეთ საქართველო იყო ერთერთი იმ ქვეყანათაგანი, რომელმაც ამ მცენარის კულტურა დაინერგა.

ამ საკითხთან დაკავშირებული ანტიკური ხანის არქეოლოგიური მასალის უმთავრესი ნაწილი ასეთია: დაბლაგომში ღვინის შესანახად განკუთვნილ და შემდეგ სამარხად გამოყენებულ ქვევრების მხრებზე შემორჩენილია ტილოს ანაბეჭდებით შესრულებული ორნამენტი. ეს ტილო, უნდა ვიფიქროთ, დახვეული იყო ჯოხზე, რომლითაც დაჰქონდათ ორნამენტი ჭურჭელზე ძვ. წ. V საუკუნეში.

ქსოვილების ნაშთები და მათი ანაბეჭდები, რომლებიც დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურმა მასალამ შემოგვინახა, მოწმობს დაზგის გამოყენებას, უძველეს ხანაშივე: რთული ჰორიზონტალური დაზგების ხმარებას და მოსაქსოვი ძაფის მშვენივრად დამზადებას. ამასთან ერთად, ჩანს, წინაანტიკურ ხანამდე უკვე იცნობდნენ ვერტიკალურ დაზგებსაც, თუ ვიმსჯელებთ თიხისა და ცალკეულ შემთხვევებში ქვის პირამიდული საძირავების აღმოჩენების მიხედვით

(დაბლაგომი, ვანი, ქობულეთი). ასეთივე საძირავები აღმოჩენილია აფხაზეთის ტერიტორიაზეც (ეშერი და სოხუმი).

თვით სელის ნაშთები შემორჩა კოლხურ მონეტაზე დაბლაგომში, ვერცხლის ფიალაში აღმოჩენილ განძში (ძვ. წ. VI—V სს.). ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ აქა გვაქვს არა ე. წ. „ტილოს", არამედ რთული „კიპერული" ნაქსოვის ქსოვილი, რაც მოწმობს მის მისაღებად საჭირო რთული დაზგის გამოყენებას.

ტილოს ნაშთები შემორჩენილია აგრეთვე ვანში, ქალის სამარხში აღმოჩენილ ვერცხლის ფიალაზე (ძვ. წ. IV ს.).

ტილოს ნაშთები აღმოჩნდა დაბლაგომში რკინის სამაჯურზე მიჟანგული (ესაა ალბათ გრძელი სახელოს ან სუდარის ნაშთები ძვ. წ. V ს.).

სელის ტანსაცმელი, რომელსაც საზოგადოების მაღალი კლასის წარმომადგენლები ხმარობდნენ, შემკული იყო ოქროს კილიტებით და ტილოს ქსოვილში ჩაქსოვილი ოქრომკედით, ფურცლოვანი ოქროს უწვრილესი ზოლი დაგრეხილი იყო სელის ძაფზე.

სელის ქსოვილების ოქროს მინიატურული კილიტებით შემკულობის შესახებ მეტყველებს ვანში აღმოჩენილი ადამიანის რკინის ფიგურა, რომელსაც მთელ ტანზე შემორჩენილი ჰქონდა ქსოვილის ნაშთები და ოქროს კილიტები. ოქრომკედი აღმოჩენილია ვანში ბავშვის მდიდრულ სამარხში. როგორც ვნახეთ, ეს მასალა ძვ. წ. IV საუკუნეს ეკუთვნის.

უკანასკნელ ხანებში ტილოს ნაშთები აღმოჩენილია ქობულეთ-ფიქვნარში ბრინჯაოს ჭურჭელში მოთავსებული კოლხური მონეტებისა და სამკაულების განძში (ძვ. წ. VI—V სს.). საფიქრებელია, რომ ტილოში იყო შეხვეული როგორც განძის მონეტები, ისე სამკაულიც. ტილო აქ საკმაოდ ბევრი აღმოჩნდა და შედარებით კარგად შენახულიც.

სელს, გარდა იმისა, რომ იყენებდნენ ტანსაცმლის, სამხედრო აღჭურვილობისა და სხვა საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის, ხმარობდნენ აგრეთვე მეურნეობის სხვადასხვა დარგში. სელის ძაფს იყენებდნენ თევზსაჭერი ბადეების მოსაქსოვად, რაც შეიძლება დავასკვნათ შემონახული არქეოლოგიური მასალების მიხედვით. სელისაგან დამზადებულ ბადეებს ხმარობდნენ ნადირობის დროსაც, რაც წერილობითი წყაროებიდანაც კარგად ჩანს.

მესაქონლეობა. გუთნით მიწის დამუშავება, ; მისი განვითარება დაკავშირებულია მესაქონლეობის განვითარებასთან, მსხვილფეხა რქოსანი საქონლის — ხარის მოშენებასთან.

არქეოლოგიურ მასალაში ჩვენ გვაქვს შინაური ცხოველების ძვლები, თიხისაგან დამზადებული ხარის სქემატური გამოსახულებანი, რაც მის კულტთანაა დაკავშირებული. გამოსახულებანი გვხვდება ლითონისა და ქვისაც. ხარი გამოსახულია ადგილობრივ მონეტაზეც, კოლხურ თეთრზე.

მსხვილი რქოსანი საქონლის მოშენებასთან ერთად ფართოვდება სახორცე ცხოველების მოშენება, მეწველი საქონლის მომრავლებაც. ამაზე მიუთითებს ყველის ამოსაყვანი ჭურჭლისა და სხვა აღმოჩენები.

არისტოტელე კოლხეთის ძროხების შესახებ ამბობს, რომ იქ პატარა ძროხები ჰყავთ, რომლებიც ბევრ რძეს იძლევიანო.

მსხვილ საქონელთან ერთად ანტიკურ ხანაში დიდი მნიშვნელობა მოიპოვა, განსაკუთრებით ზოგიერთ რაიონში, ცხვარმა და თხამ. ამაზე მიუთითებს წერილობითი წყაროებიცა და ამ ცხოველების შემორჩენილი გამოსახულებანიც.

კვლავინდებურად დიდი მნიშვნელობა აქვს ღორის მოშენებას, განსაკუთრებით დაბლობში და ღორის საკვებით მდიდარ მუხის ტყიან ადგილებში.

შინაური ფრინველის არსებობის შესახებ ჩვენ არაპირდაპირი ცნობები გვაქვს (მაგალითად ქვევრზე მამლის გამოსახულება). ანტიკურ ხანაში არაერთი გამოსახულება გვაქვს იხვისა, რაც დაბლობ რაიონებში ამ ფრინველის დიდ სამეურნეო მნიშვნელობას უნდა მოწმობდეს (მწვანე მინის პაწია იხვი-საკიდი, ვერცხლისაგან დამზადებული მშვენიერი გამოსახულება იხვისა, სასმისის ტარს რომ წარმოადგენს და ვანში მოპოვებული ჯამის (?) ტარი, რომელიც იხვის გამოსახულებით ბოლოვდება; ტაბ. XXII, 9).

ჯერ კიდევ არ ჰკარგავს თავის მნიშვნელობას მონადირეობა. დასავლეთ საქართველოს უღრან ტყეებში ბევრია სანადირო ცხოველი და ფრინველი. ამის დამადასტურებელია ქვევრებზე, ვერცხლის ჭურჭელზე და სხვ. გამოყვანილ მშვენიერი გამოსახულებანი ირმისა, მგლისა, ტახისა და სხვ.

დასავლეთ საქართველოს რკინის ძველი მეტალურგიის საკითხისათვის. რკინის ძველი მეტალურგიის შესწავლა განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენს, რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ რკინა სპილენძთან, ბრინჯაოსთან და სხვა ლითონებთან შედარებით უფრო ცუდად ინახება. ამის გამო გაძნელებულია რკინის ძველი საგნების ტიპოლოგიური შესწავლა, ეს უკანასკნელი კი დაკავშირებულია რკინის საგნების ლაბორატორიულ შესწავლასთან, რაც ჩვენში მხოლოდ უკანასკნელ ხანებში დაიწყო. ნაწილობრივ ამით აიხსნება ის, რომ რკინის ადრეული მეტალურგიის შესწავლის საკითხი ჩამორჩენილია სპილენძისა და ბრინჯაოს შესწავლასთან შედარებით.

ანტიკურმა ავტორებმა შემოგვინახეს ცნობები ძველ კოლხეთში რკინის მეტალურგიის შესახებ. ფსევდო არისტოტელე (ძვ. წ. IV ს.) საკმაოდ დაწერილებით აღწერს ხალიბების მიერ რკინის გამოდნობის წესებს და მიღებული რკინის შესახებ ამბობს: „მას ჟანგი არ ეკარება და გარკვეულ პირობებში ის არ გამოირჩევა ვერცხლისაგან“ (აქ ავტორს მხედველობაში აქვს, როგორც ჩანს, ვერცხლთან გარეგნული მსგავსება ფერით). ფსევდო არისტოტელე ამ რკინას უწოდებს ხალიბურს, სამხრეთ კოლხეთის ერთერთი ტომის სახელის მიხედვით, რომელმაც ისტორიაში მეტალურგის სახელი დაიმკვიდრა.

დასავლეთ საქართველოს სანაპირო ზოლში უკანასკნელი წლების არქეოლოგიურმა გამოკვლევებმა დაადასტურა ანტიკური ავტორების ზემომოყვანილი ცნობები კოლხეთში ქვიშისაგან რკინის მიღების შესახებ.

სოფელ ყულევში, სადაც ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიცია (ხელმძღვანელი ნ. ხოშტარია) სწავლობდა უძველეს მოსახლობებს, ნამოსახლარში, რომელიც განლაგებულია უშუალოდ მდინარის ნაპირას, აღმოჩნდა ორმოები. მათში ცეცხლის და გამომწვარი თიხის ინვენტარის ნაშთებით. ეს არის მსხვილი ჭურჭელი, მასიური ჯამები, საბერველი მილები, რქისნაირი თიხის საგნები. ჯამების კედლებზე რამდენიმე ადგილას შემონახული იყო რაღაც ყავისფერი მასა. ამ მასის ლაბორატორიულმა შესწავლამ გვაჩვენა, რომ ეს იყო რკინა. უნდა

ვიფიქროთ, რომ დასახელებული ორმოები მოწყობილი ჰქონდათ რკინის გამოსადნობად იმ ნედლეულიდან, რომელიც ზღვის ქვიშაში მოიპოვებოდა.

ზღვისპირიდან მოშორებით, ქალაქ მახარაძის მიდამოებში, ანასეულში აღმოჩენილია რკინის გამოსადნობი ქურების ნაშთები, იქვე აღმოჩენილია ამ ქურების შელესილობის ნაშთები, საბერველები, თვით ლითონის ნაშთები, წიდები. მასალების ლაბორატორიულმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ აღნიშნულ ქურებში რკინის გამოდნობა მაღალ დონეზე ტარდებოდა.

ამ მხარეში ნატანების შენაკად პატარა მდინარეებს ქვიშასთან ერთად მოაქვთ მაგნეტიტი, რომელიც ირეცხება ძირითად საბადოებში, უფრო მაღლა მთებში რომ მდებარეობენ.

აღნიშნული ადგილების ტოპონიმიკაც რკინის წარმოებასთან უნდა იყოს დაკავშირებული (ნავრუჯა და სხვა).

საფიქრებელია, რომ ფსევდო არისტოტელეს ცნობები კოლხეთის რკინის შესახებ ეხება არა მხოლოდ სამხრეთ კოლხეთს, არამედ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსაც და განსაკუთრებით მის სამხრეთ ნაწილს.

§ 12. ანტიკური ხანის ძეგლები აღმოსავლეთ საქართველოში

რკინის წარმოების განვითარებამ დიდი სიახლე შეიტანა ქართველ ტომთა ცხოვრებაში. ახლანდელ აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე ძვ. წ. VIII-VI საუკუნეებში მსხდარან განვითარებული რკინის ინდუსტრიის მქონე ქართველი ტომები, რომელთაც, ბუნებრივია, კიდევ უფრო გაუძლიერებიათ ახლო ურთიერთობა იმ მოძმე ტომებთან, რომლებიც ახლანდელი სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. ეს ურთიერთობა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ტომებთან განსხვავებული იყო, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ხანაში მაინც ის ძალიან მტკიცე და ახლო ჩანს. ასევე ახლო ურთიერთობაში იყვნენ ქართველი ტომები კავკასიონის ჩრდილო კალთების მოსახლეობასთან; ე. ი. ამ მიმართულებითაც გრძელდებოდა ურთიერთობა, რომელსაც გვიანი ბრინჯაოს ხანასა და ადრინდელი რკინის საფეხურზე ასე კარგად გვიჩვენებენ არქეოლოგიური აღმოჩენები.

ძვ. წ. VIII-VI საუკუნეებისათვის აქ საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე შეიმჩნევა მსგავსი (ერთიანი) კულტურის გავრცელება. ამ ერთიანი კულტურის შემქმნელ ტომებს საერთო კულტურისა, ახლო ურთიერთობისა და ერთმანეთის მსგავსი ნივთიერი ძეგლების გარდა, ახასიათებს შესამჩნევად განვითარებული წყობილება. საერთო მათ ისა აქვთ, რაც ტრადიციულ სიახლოვეს უეჭველად უნდა მოყოლოდა. ესაა რკინის ხანის ადგილობრივი კულტურის გვერდით ჩრდილოკავკასიური (სკვითური) და ძველაღმოსავლური (უფრო ურარტული) ტრადიციით ნაკეთები ნივთები. იმ მჭიდრო ურთიერთობის შედეგად, რომლის შესახებ დაწვრილებით ზემოთ იყო საუბარი, როგორც ჩანს, კანონზომიერად გამოჩნდა ადგილობრივ წამყვან ტრადიციასთან ერთად სკვითური და ურარტული ელემენტებიც. ეს საერთოდ ახასიათებს მთელს ამიერკავკასიას, ყოველ შემთხვევაში აღმოსავლეთ საქართველოს საკმაოდ მკაფიოდ.

სკვითური და ურარტული ელემენტების სიძლიერის მიზეზები ზემოთ, წინა თავებშია ახსნილი, ხოლო ადგილობრივი რკინის წარმოების შემდგომი განვითარება, სახელდობრ რკინის საბადოების გაძლიერებული დამუშავება და

მეტალურგიული პროცესების დაწინაურება, მკაფიოდ ჩანს ძვ. წ. პირველი ათასწლეულის შუა ხანებშიაც და მომდევნო საუკუნეებშიაც.

რკინის მეტალურგიის ამ პირველ საფეხურს პირობით რკინის ათვისების ხანა ან ადრეული რკინის ხანა ეწოდება. ადრეულ რკინის ხანაში შეიძლება ორი საფეხური გავარჩიოთ: რკინის ათვისებისა და რკინის განვითარებული წარმოების ხანა. პირველი საფეხური საქართველოში (და საერთოდ კავკასიაში) შესამჩნევად ხანმოკლე იყო. ამ მხრივ საკუთრივ რკინის ათვისების ხანა შეიძლება სპილენძის ხანას შევადაროთ.

წინა თავში განხილულია საკითხი იმის შესახებ, თუ რა როლი შეასრულეს ქართველმა ტომებმა ადრეული რკინის მეტალურგიის დაწინაურების საქმეში. ცხადია, რომ ასეთი გარდატეხა ცხოვრებით იყო გამოწვეული და თავის მხრივ უდიდეს გავლენას ახდენდა ხალხის ცხოვრებაზე, მის მეურნეობრივ დაწინაურებასა და სოციალურ განვითარებაზე. ამიტომ იყო, რომ ქართველი ტომები უკვე ძვ. წ. VI საუკუნისათვის მნიშვნელოვან ძალად ჩანან მაშინდელ სამყაროში, ხოლო ამ ტომთა ერთმა დიდმა ნაწილმა შეძლო შეენარჩუნებინა დამოუკიდებლობა და არ დამორჩილებოდა იმ დროს აღზევებულ სპარსეთის სამეფოს და არც შემდეგ დაწინაურებულ ალექსანდრე მაკედონელს. თუ ასეთი მტკიცებისათვის ჩვენს ხელთ არის, ერთის მხრივ, ბერძენი მწერლის — ცნობილი ბიოგრაფოსის პლუტარქეს ცნობები, მეორეს მხრივ, უფრო ადრინდელი ვითარების დასახასიათებლად ძვირფას მითითებას შეიცავს სადღეისოდ მრავალგზის ამოკითხული ძვ. წ. 485 წლის ქსერქსეს წარწერა „დევების შესახებ“, სადაც მრავალრიცხოვან დამორჩილებულ ან მოხარკე ხალხთა და ტომთა შორის ქართველები (იბერები) არაა ნახსენები. დამოუკიდებელთა შორის ქართველი ტომების მიწა-წყლის ჩრდილოეთი ნაწილია საგულისხმებელი.

როგორც ჩანს, ამ გარემოებამ თავის მხრივაც იქონია გავლენა ქართლის სამეფოს შემდგომ განვითარებაზე.

მართლაც, არქეოლოგიური აღმოჩენები აღმოსავლეთ საქართველოს ახლანდელ ტერიტორიაზე მცხოვრებთ, ძვ. წ. VI საუკუნიდან მაინც, დიდად დაწინაურებულ ხალხად გვიხატავენ. განვითარებული საქალაქო ცხოვრებაც კი შეუქმნიათ და მკვიდრად დამდგარან ისინი ახალი, კლასობრივი სტრუქტურის მქონე საზოგადოებრივი წყობილების გზაზე.

დასავლეთ საქართველოს, ანუ კოლხეთის სამეფოს მსგავსად აქაც, აღმოსავლეთ საქართველოშიაც, უკვე ძვ. წ. VI-IV საუკუნეებისათვის ჩამოყალიბებულია კლასობრივი საზოგადოება, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ აღმოსავლურ-ქართული (იბერული) სამეფოს სახელით. აღმოსავლურ-ქართული სამეფო, დასავლურ-ქართული სამეფოს მსგავსად, ჩამოყალიბდა როგორც ა დ რ ე მ ო ნ ა თ ვ ფ ლ ო ბ ე ლ უ რ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ა.

აღმოსავლურ-ქართული (იბერული) ადრემონათმფლობელური სახელმწიფო გაერთიანების ცენტრი ამ დროს მცხეთა ყოფილა. აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა, საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მცხეთა უკვე გვიანბრინჯაოს და ადრეული რკინის ხანაშიც ქალაქი უნდა ყოფილიყო, ამასთანავე საკმაოდ დიდი და მჭიდროდ დასახლებული (ი. ჯავახიშვილი). ეს დასკვნა მიღებულია სამთავროს სამაროვნის მასალების მიხედვით, რომელთაგან გვიან-

ბრინჯაოსა და რკინის ათვისების დროინდელი სამარხები პირველყოველისა სიმრავლით იქცევენ ყურადღებას. საერთო სიმრავლითა და სიხშირით ამ ხანის სამთავროს სამაროვანს ვერ შეედრება საქართველოს სხვა ადგილებში აღმოჩენილი სამაროვნები. ამასთან, დამახასიათებელია, რომ მომდევნო საუკუნეებშიაც, თვით ადრეფეოდალური ხანის ჩათვლით, სამარხთა სიხშირე სულ უფრო იზრდება და თანაც ახალ-ახალი სამაროვნები ჩნდება მცხეთის ტერიტორიაზე. სხვა მხარეს რომ ყურადღება არ მივაქციოთ, მხოლოდ ზემოაღნიშნული ხდის შეუძლებელს სოფელში ასეთი მრავალფეროვანი და მჭიდროდ განლაგებული სამარხების შემცველი სამაროვნები ვივარაუდოთ. მცხეთაში საქალაქო ცხოვრების დასახასიათებლად უკვე იყო მითითებული ხელოსნობისა და გაცვლა-გამოცვლის ადრევე დაწინაურება. წერილობითი წყაროები, მრავალსაუკუნოვანი ქართული საისტორიო ტრადიცია იცნობს და ასახელებს არაერთ ქალაქს ამ ხანისათვის. ასეთებია, მაგ., უ ფ ლ ი ს ც ი ხ ე, უ რ ბ ნ ი ს ი, კ ა ს პ ი, ხ უ ნ ა ნ ი, ო ძ რ ხ ე. არქეოლოგიური აღმოჩენები გვიჩვენებენ, რომ ასეთ ქალაქთა რიცხვს პირველ რიგში უნდა მიეკუთვნოს გ ო რ ი.

სამთავროს სამაროვნის მასალის გათვალისწინება გვიჩვენებს, რომ საქალაქო ცხოვრებისა და ქალაქური ტიპის დასახლებათა საწყისი ქართლში გვიანბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანაზე მოდის. ასეთივე ვითარება შეიმჩნევა მეზობელ ქვეყნებშიაც. ამ მხრივ ჩვენ პირველ რიგში მინგეჩაურის დასახელება შეგვეძლო. მტკვრის ხეობის შუა და ქვემო წელზე ყველაზე ადრინდელ, ქალაქური ტიპის დასახლებულ ადგილებად მცხეთა და მინგეჩაური უნდა ვივარაუდოთ.

ქალაქური ტიპის დასახლებათა გაჩენა მომასწავებელია ახალი საფეხურისა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მსხდომ ტომთა ცხოვრებაში. ეს ახალი საფეხური ქართლში შეიმჩნევა ძვ. წ. VIII საუკუნისათვის მაინც. სამთავროს სამაროვნის მსგავსი ამ მხრივ, ე. ი. სამარხთა რაოდენობითა და სიხშირე-სიმჭიდროვით, ქართლში სხვაგან ცნობილი არ არის, რაც თავის მხრივ იმაზე მიუთითებს, რომ ადრეული რკინის ხანაში ჩვენ საქმე გვაქვს საქალაქო ცხოვრების ჩანასახთან, დასაწყისთან.

მცხეთაში საქალაქო ცხოვრების ჩასახვას ძრავალი გარემოება უწყობდა ხელს. ჯერ კიდევ გვიანბრინჯაოს ხანაში შეიმჩნეოდა სოფლის მეურნეობის მთავარი დარგების — მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარება. უკვე აღნიშნული იყო, რომ ამ დარგთა შემდგომ დაწინაურებაზე დიდ გავლენას ახდენდა ბრინჯაოსა და მოგვიანებით რკინის მეტალურგია. ამ ხანისათვის წარმოიშვა და განვითარდა მეურნეობის ისეთი დარგები როგორიცაა: მევენახეობა, მებაღეობა, ქსოვა და, საერთოდ, ხელოსნობა. ხელოსნობა უკვე აღარ წარმოადგენდა მიწათმოქმედისა და მესაქონლის დამხმარე საქმიანობას; აშკარად ჩანდა ხელოსნობის გამოყოფა მიწათმოქმედებისაგან. ე ს ი ყ ო შ რ ო მ ი ს მ ე ო რ ე დ ი დ ი დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა.

სამთავროს სამაროვნის მასალების მიხედვით, ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისისათვის მაინც თვით ხელოსანთა შორისაც შრომა დანაწილებულია. ჩვენ ვეცნობით დახელოვნებულ მელითონეთა ნაკეთობას; მეთუნეთა შესანიშნავ ნახელავს; ქვის მძივების მთლელთა მიმზიდველ პროდუქციას, რომელიც მოხ-

დენილი ფორმებით გამოირჩევა; ბრინჯაოს სარტყელთა და ცულთა ზედაპირე-ბის ბრწყინვალედ მომხატველთა ნამუშევარს; თიხის ჭურჭლის მოჭიქვის უძველეს ნიმუშებს; ძვლისა და რქის იარაღ-სამკაულთა ნაკეთობებს და სხვ.

ასე დიფერენცირებული ხელოსნური შრომის ნაყოფი, ცხადია, მხოლოდ საკუთარი მოხმარებისათვის არ იყო გამიზნული. წარმოიშვა წარმოება გაცვლისათვის და ბაზარზე გასაყიდი საქონლის დასამზადებლად. ასეთი საქონელი მზადდებოდა ქართლში, მათ შორის მცხეთაში, მაგრამ ამასთანავე აქ შემოდიოდა სხვაგან დამზადებული საქონელიც, მაგალითად, მძივები, ნიჟარები და სხვ. მცხეთას რომ თავი დავანებოთ, ამ მხრივ საყურადღებო მასალას გვაძლევს ბეორე დიდი პუნქტი — დ ვ ა ნ ი (გორის მიდამოში). დვანის სამაროვნის გათხრისას ს. მაკალათიამ ყურადღება მიაქცია იმას, რომ სამკაულთა მნიშვნელოვან ნაწილს შემოტანილი საგნები შეადგენდა. ასეთებია მაგ., ქარვა, ეგვიპტური პასტა, შუშის მძივები, რაც ავტორს სამართლიანად მიუჩნევია იმის უტყუარ მაჩვენებლად, რომ იმ დროს დვანელებს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონიათ როგორც მეზობელ, ისე შორეულ ქვეყნებთანაც. ე. ი. ადრეული რკინის ხანისათვის ჩვენ ქართლში საქონლური მეურნეობის დამახასიათებელ ნიშანთან, პროდუქტების გასაცვლელად დამზადებასთანა გვაქვს საქმე.

სამარხებში აღმოჩენილი მძივები მიუთითებენ, რომ ვაჭრობა და გაცვლა-გამოცვლა ქართლს ბრინჯაო-რკინის ხანაშიაც ჰქონია ფინიკიელებთან, ხეთებთან, ასურელებთან, ეგვიპტელებთან, ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებთან, ბალტიისა და ინდოეთის ზღვის ქვეყნებთან. ეს ერთი მაგალითიც ცხადად ადასტურებს საგარეო ვაჭრობის უძველესი საფეხურის არსებობას საქართველოში. რა თქმა უნდა, კიდევ უფრო ცხოველი სავაჭრო ურთიერთობა უნდა ჰქონოდა ქართლს კოლხეთთან, სომხეთის, აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთკავკასიის ხალხებთან.

ხელოსნობა ამ ხანებში უკვე დამოუკიდებელ საქმიანობად იქცა, რომლის პროდუქტების გაცვლა შემთხვევით ხასიათს აღარ ატარებს. რაკი გაცვლა ფართოდ გაიშალა და სისტემად იქცა, გამოიყო ისეთი საქონელი, რომელშიც ხალისით აძლევდნენ ყოველ სხვა საქონელს. ასეთ საქონელს, როგორც გათხრებისას აღმოჩენილი მასალის შესწავლამ დაარწმუნა მეცნიერები, ჩვენში წარმოადგენდა ბრინჯაოს ნაირ-ნაირი რგოლები, ხოლო შემდეგ (ძვ. წ. VI ს-დან) კი ნამდვილი ფული — მონეტა (კოლხური თეთრი).

ფრანგმა მეცნიერმა ჟაკ დე-მორგანმა მეტად საყურადღებო დაკვირვება გამოაქვეყნა ამიერკავკასიაში აღმოჩენილი მასალების მიხედვით. ავტორი დარწმუნდა, რომ სამარხებში აღმოჩენილ სხვადასხვა ზომის სამაჯურთა წონა გარკვეული, თანაბარი ოდენობით მატულობდა; უმცირესი მათგანი 8,200 გრამს იწონიდა, ამაზე მოზრდილი ორჯერ მეტს, ე. ი. 16,400 გრ. მომდევნო სიდიდის რგოლი უმცირესზე დაახლოებით სამჯერ მეტი იყო, შემდეგი უმცირესზე დაახლოებით ოთხჯერ მეტი და ა. შ. აღმოჩნდა 82,000-გრამიანი რგოლებიც, რომლებიც უმცირეს რგოლზე ათჯერ მეტს იწონიდნენ. ამ დაკვირვების საფუძველზე დე-მორგანმა მიიღო დასკვნა, რომლის მიხედვით რგოლების უკნინესი ერთეული 8,200-გრამიანი იყო, ხოლო დანარჩენნი ამ ერთეულის გამრავლებით მიიღებოდნენ. ამასთან, დე-მორგანმა ასირიული მასალა მოიშველია და კავკა-

სიური უკნინესი ერთეული (8,200 გრ) შეადარა ასირიულ ფულს, რომელსაც სიკილა ეწოდება და რომელიც 8,415 გრ იწონის.

ამ გზით დე-მორგანი მივიდა ჩვენში აღმოჩენილ სამაჯურთა დანიშნულების გამორკვევამდე — ისინი ფულის ერთეულებად მიიჩნია და მათ კ ა ვ კ ა ს ი უ რ ი ს ი კ ი ლ ა უწოდა. ამრიგად, თუ ამ მეცნიერის საყურადღებო დაკვირვებას გავიზიარებთ, მაშინ არქეოლოგიური აღმოჩენები არა მარტო იმას ამტკიცებენ, რომ ძვ. წ. პირველ ათასწლეულის პირველ ნახევარში სასაქონლო მეურნეობასთანა გვაქვს საქმე, არამედ გვიჩვენებენ ისეთი საქონლის არსებობასაც, რომელშიც ხალისით აძლევდნენ ყველა სხვა საქონელს, ე. ი. ფულის არსებობასაც.

ასეთი მოყვანილობის რგოლები — სამაჯურები დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი მცხეთაშიაც, სამთავროს სამაროვანზე. გამოთქმულია მსგავსი ეოსაზრება იბერულ ცულზე. ამათ შორისაც დადასტურებულია ისეთი ცულები, რომლებიც გარკვეული ოდენობით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამ ეხრივ საყურადღებოა ბაკურციხის ცულებისა და იბერიული ცულების სხვა კოლექციების შედარება. ჟაკ დე-მორგანის მოსაზრებას ყველა არ იზიარებს, ეაგრამ ჩვენთვის ის მაინც საყურადღებო და მნიშვნელოვანია, როგორც გარკვეული საფეხური ფულის ერთეულის შესწავლის მიმართულებით მეცნიერთა ეიერ წარმოებული ხანგრძლივი დაკვირვებისა. ამ საკითხზე კვლავ ხანგრძლივი მუშაობაა საჭირო.

ამრიგად, საკმაო საფუძველი გვაქვს ძვ. წ. VIII — VII საუკუნეებისათვის ხელოსნობისა და გაცვლის ისეთი განვითარება ვივარაუდოთ ქართლში (ამ შემთხვევაში მცხეთაში), რომელიც მხოლოდ ქალაქისათვის არის დამახასიათებელი.

VIII — VII საუკუნის მცხეთა წარმოადგენდა მონათმფლობელური წარმოების წესის გარიჟრაჟზე წარმოშობილ ქალაქს, რომელიც ბუნებრივია თავდაპირველად ბევრით არაფრით განსხვავდებოდა სოფლისაგან; არ გამოირჩეოდა ქალაქური ტიპის ნაგებობებითა და დიდი სიმდიდრით. მაგრამ იმ დროის მცხეთაში თანდათან იყრიდნენ თავს ცნობილი მეთუნეები, ფელითონეები, ვაჭრები და ამ პროფესიათა შესაბამისი ყოფა-ცხოვრება ვითარდებოდა მტკვრისა და არაგვის წყალშესაყართან. მცხეთის მცხოვრებთა საქმიანობის ხასიათი თანდათან სულ უფრო და უფრო აღარ ჰგავდა სოფლის მოსახლეობის საქმიანობის ხასიათს. აქ მცხოვრები მიწათმოქმედნი და მეომარნი გზას უთმობენ მოქალაქეებს — ხელოსნებსა და ვაჭრებს, რის გამოც, სწორედ ჩვენთვის საინტერესო ხანიდან თანდათან წყდება სამარხებში საომარი იარაღის ჩატანება. ე. ი. თანდათან ეყრება საფუძველი მცხეთაში საქალაქო ყოფა-ცხოვრებას, მკაფიო ხდება სოფლისაგან ქალაქის გამოყოფისა და მათი დაპირისპირების დასაწყისი.

მტკვრისა და არაგვის შესართავთან საქალაქო ცხოვრების ჩასახვას ხელს უწყობდა ამ ადგილას არსებული დასახლებული პუნქტების მოხერხებული ვეოგრაფიული მდებარეობა. აქ გადიოდა იმ დროისათვის ცნობილი სავაჭრო გზა. უფრო მეტიც, აქ იყო ორი სავაჭრო გზის თავშესაყარიც; ერთი მათგანი მტკვრის ხეობას მიყვებოდა, მეორე კი არაგვისას. ამ გზების მნიშვნელობა

ქართლისათვის ხელოსნობის ნაწარმის რაოდენობისა და უცხოურ საქონელზე მოთხოვნილების ზრდის შესაბამისად სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. ჩვენ ზემოთ ვნახეთ თუ როგორ შორს მიჰყვა ამ გზას კოლხური ცული; როგორ გაბშირდა კავკასიონის ჩრდილო კალთისკენ ქართველ ტომთა ბრინჯაოს ნაწარმის გაზიდვა და როგორ გამრავლდა ყობანური კულტურის ძეგლები საქართველოს მიწა-წყალზე.

რკინის ხანაში კიდევ უფრო მეტი საბუთები ჩნდება სავაჭრო ურთიერთობის ტერიტორიალური ფარგლების გაფართოების დასამტკიცებლად. ამ დროიდან უკვე მრავლად გვხვდება ჩვენში სკვითური ბრინჯაოს ისრის პირები (სამთავრო, ხოვლე, იყალთო და სხვ.), ურარტული ტიპის რკინის დანები და ა. შ. ქართლზე გამავალი გზები, ცხადია, მხოლოდ სავაჭრო დანიშნულებისა არ იყო. ამიტომ უცხოური წარმოშობის ზოგი ნივთი სავაჭრო ურთიერთობის შედეგად კი არ არის აქ მოხვედრილი, არამედ სხვა გზით და სხვა ვითარების ამსახველია, მაგრამ ეს გარკვეულ ჯგუფს შეეხება. მაგალითად, კარმირ-ბლურის კედლის ალიზში შესობილი ისრის პირი მოიერიშე სკვითების კუთვნილებად არის მიჩნეული და თ ე ი შ ე ბ ა ი ნ ი ს დანგრევაში სკვითთა რაზმების დიდი როლის მაჩვენებლად მიაჩნიათ გამთხრელ სპეციალისტებს. ასევე, უცხოელ შეიარაღებულ ძალებს მიაწერენ სამფრთიან ისრის პირებს, რომლებიც აღმოჩენილ იქნა ალიშარში (ანატოლია), ალ-მინაში (სირია), ეგვიპტეში, კილიკიაში და ა. შ. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს კარქემიშში აღმოჩენილი სკვითური ისრის პირები და მათი ჩამოსასხმელი ყალიბები.

რა თქმა უნდა, არქეოლოგიური აღმოჩენები მკაფიოდ ახასიათებენ სკვითების როლს არა ერთი დაწინაურებული გაერთიანების თუ ქალაქის დანგრევაში, მაგრამ სკვითების საქმიანობა ამით არ ამოიწურება; ისინი მშვიდობიან დროსაც ახლო ურთიერთობაში უნდა ყოფილიყვნენ ურარტუსთან და, საერთოდ, წინა აზიასთან. ასეთ შემთხვევაში ამიერკავკასიაზე გამავალ გზას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა VIII — VI საუკუნეებისათვის; ე. ი. იმ დროს, როდესაც მცხეთაში საქალაქო ცხოვრების ნიშნები უკვე შეიმჩნეოდა.

ახლა უკვე აღარაა სადავო და არქეოლოგიურად დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, რომ შავიზღვისპირა მოსახლეობას ბერძნული კოლონიზაციის წინა ხანებში ძველ აღმოსავლეთთან ურთიერთობა კავკასიის გზით ჰქონდა. ძნელი არაა გავითვალისწინოთ ამ გზის, ასე ვთქვათ, ნაწილობრივ საგარეო ფაქტორის მნიშვნელობა ქართლის შემდგომი განვითარებისათვის, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აქ მსხდომ ტომთა საშინაო მდგომარეობა დახასიათებულია და გათვალისწინებული.

ამრიგად, VIII — VI საუკუნეების ქართლში არსებობდა ყველა შინაგანი პირობა და შექმნილი იყო ხელსაყრელი საგარეო ატმოსფერო ახალი ცხოვრების, საქალაქო ცხოვრების ჩასახვისა და განვითარებისათვის.

სამთავროს მასალები გვიჩვენებენ, რომ ეს ასეც მოხდა. ძვ. წ. VIII — VII საუკუნეებში მცხეთაში დაიწყო ახალი ერა, ჩაისახა და განვითარება იწყო საქალაქო ცხოვრებამ.

ამის შემდგომ საფუძველი ეყრება წარმოების ახალი წესის, ადრემონათმფლობელური ურთიერთობის დანერგვას ქართველ ტომთა ცხოვრებაში.



1

4



2

3



5

6

7

საქალაქო ცხოვრების ჩასახვას არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა საკაჭრო გზის მახლობლად მდებარე სოფელთა ცხოვრებაზედაც. ზოგი მათგანი ძვ. წ. VII — VI საუკუნეებში იჩენს სიმაგრეს, ჯგუფდება, მჭიდროდ სახლდება მის გარშემო და საერთოდ გაქალაქების ტენდენციას ავლენს. ასეთ დასახლებად შეიძლება მივიჩნიოთ სოფ. ხოვლე. აქ სიმაგრე გამართულია ბორცვზე, რომელსაც ხოვლე-გორას ეძახიან; ბორცვთან ახლოს და მის გარშემო მჭიდრო ნასახლარია, რომლის გათხრამ არაერთი უცხოური საგანი მოგვცა. ასეთებია მაგალითად, ურარტული ტიპის საბეჭდავი, ავგაროზი ლურსმნული ნიშნებით, შავფიგურიანი თიხის ჭურჭლის ნატეხი და სხვ. მაშასადამე, გარეშე ქვეყნებთან ურთიერთობის ამკარა ნიშნებია ხოვლეში აღმოჩენილი. ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ იქვე ახლოს გაითხარა კერამიკული სახელოსნოს ნაშთები — კერამიკული ქურა, რომელშიც თიხის ჭურჭელი იყო ჩადგმული გამოსაწვავად (ეს სურათი ხოვლე-გორის ცხოვრების კატასტროფულ დასასრულს უნდა უჩვენებდეს). ასე რომ, ქალაქური ტიპის დასახლებულ ადგილას ხელოსნებიც ყოფილან და ვაჭრებიც.

მიუხედავად იმისა, რომ აქედან თრიალეთისკენ ხელსაყრელი გადასასვლელებია, ხოვლეში საქალაქო ცხოვრების გაშლა ვერ მოხერხებულა, რადგან მასთან ახლოს იყო უფრო დიდი და მოხერხებული საქალაქო დასახლება — კ ა ს პ ი, რომლის გარეუბნადაც უკეთეს შემთხვევაში უნდა ქცეულიყო ხოვლე-გორა. მართლაც, თითქოს ხარვეზი შეიმჩნევა ხოვლეს მასალებში, თითქოს დიდი ხნით შემწყდარა იქ მჭიდრო ცხოვრება. თუ ეს შთაბეჭდილება მომავალმა გათხრებმა დაადასტურეს, მაშინ ხოვლეს და კასპის მაგალითზე ქალაქების წარმოშობის კონკრეტული სურათი გვექნება შესწავლილი.

ანალოგიური სურათი უნდა გვქონდეს მცხეთასთანაც. სამთავროს სამაროვნის სამარხთა სიმრავლე და სიმჭიდროვე თუ ასე მკაფიოა, იგივე არ ითქმის იმდროინდელ სხვა დასახლებულ პუნქტებზე: ზემო ავჭალაზე, წიწამურზე, ნარეკვავზე, არმაზისხევზე. ამ ადგილებში VIII — VI საუკუნეებში დიდი და მჭიდრო მოსახლეობა არა ჩანს. ძველმა მცხეთამ დაასწრო მათ განვითარება და მიიზიდა მოსახლეობა, ისინი კი მცხეთის უბნებად და გარეუბნებად დარჩენილან. იგივე ითქმის გორისა და ურბნისის გარშემო მოსახლობათა შესახებაც.

მითითებული მაგალითები ქალაქების წარმოშობის გარკვეულ კანონზომიერებას ამჟღავნებენ ქართლში ძვ. წ. VIII — VI საუკუნეებისათვის.

აღმოსავლეთ საქართველოს საერთო ვითარების გაშუქება ახალ გათხრებსა და აღმოჩენებზეა დამოკიდებული. ამიტომ ჯერჯერობით ზემოაღნიშნულით უნდა დავკმაყოფილდეთ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ახალი ნაკადი შეეხო პირველ რიგში მსხვილ სამეწარმეო დასახლებებს, რომლებიც ისეთ ადგილებზე იყვნენ გაშლილი, სადაც ხელოსნობის განვითარების პირობებიც იყო და ვაჭრობისაც, ე. ი. საკაჭრო გზა ახლოს გადიოდა.

საკაჭრო გზებიდან მოწყვეტილ მოსახლობებს საქალაქო ცხოვრება დიდხანს არ შეხებია. იქ პირველყოფილი თემური ურთიერთობა ვითარდებოდა იმ დროსაც კი, როდესაც ქართლში ქალაქების წარმოშობა და საქალაქო ცხოვრების განვითარება ახალ საფეხურზე ავიდა, მონათმფლობელური სახელმწიფოს შექმნამდე მიაღწია. მაგრამ ეს სულაც არ არის მოულოდნელი ადრემონათ-

მფლობელური სამეფოს ცხოვრებაში; განსაკუთრებით ქართლში, რომელსაც ამ მხრივაც ბევრი თავისებურება გააჩნდა.

ამრიგად, არქეოლოგიური მასალების გათვალისწინება გვიჩვენებს, რომ ძვ. წ. VIII — VII საუკუნეებიდან ქართლში, აღმოსავლეთ საქართველოში საერთოდ, საქალაქო ცხოვრება ისახება, წარმოიქმნება უძველესი ქალაქები.

ამ მხრივ ქართლის ვითარება უთუოდ შეესაბამება კოლხეთის საერთო ვითარებას, მიუხედავად იმისა, რომ ქართლში ჯერჯერობით „კოლხური თეთრის“ მსგავსი რამ არა ჩანს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პროფ. ბ. კუფტინის მიერ სამხრეთ ოსეთში აღმოჩენილ ერთადერთ მონეტას.

ძვ. წ. VIII — VII საუკუნიდან მოკიდებული ქართლის სამეფოს ისტორია არსებითად ქართლის საქალაქო ცხოვრების ისტორიაა. ამიტომ, ბუნებრივია, პირველ რიგში ქალაქების ნივთიერი კულტურა და საქალაქო ცხოვრების მაჩვენებელი მასალები იქნეს განხილული.

ამჟამად, ჩვენს განკარგულებაში საკმაოდ მრავალრიცხოვანი მასალაა მშენებლობის ხელოვნების, სამშენებლო მასალათა წარმოებისა და, საერთოდ, ხუროთმოძღვრული ძეგლების გასათვალისწინებლად ქართლში, ანტიკური ხანის მთელ სიგრძეზე. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ უკეთესი და უფრო სისტემატური მასალა გვაქვს მოპოვებული სამხრეულ ინვენტართან შედარებითაც კი. განსაკუთრებით აშკარაა ეს ანტიკური ხანის პირველ მონაკვეთზე, წელთაღრიცხვათა მიჯნამდე. უმნიშვნელოვანესი ხუროთმოძღვრული ძეგლები მიეკუთვნება ქართლის (იბერიის) სამეფოს ძლიერების ხანას — ძვ. წ. IV ს. მიწურულს და მომდევნო საუკუნეებს, ვიდრე რომაელთა სარდლის პომპეუსის შემოკრამდე, რასაც, როგორც ცნობილია, ქართლის ციხე-სიმაგრეთა მოშლა-მორღვევა მოჰყოლია შედეგად.

ძვ. წ. IV — III საუკუნეებისა ჩანს მაგ., მცხეთის შიდაციხის — არმაზციხის უძველესი ნაგებობანი: ქვათლილების საძირკველზე ამოყვანილი ალიზის გრანდიოზული კედლები, კოშკები და კონტრფორსები, რომლებიც აქ 30-ოდე ჰექტარ ფართობს შემოზღუდავდნენ. ზღუდის სიმაღლე 6 მეტრამდე აღწევს, სიგანე კი 2,6—4,0 მეტრია. სამშენებლო მასალად გამოყენებულია ქვათლილები და სხვადასხვა მოყვანილობის დიდი, მეტწილად გამომწვარი ალიზები. როგორც ირკვევა, ზღუდე-გალავნის უმთავრესი კოშკები და ბურჯები გადახურული ყოფილა მცხეთური, წითლად შეღებილი კრამიტით.

ნაგებობათა ამ ჯგუფში თვალსაჩინოდ გამოიყურება შიდაციხის ე. წ. ს ვ ე ტ ე ბ ი ა ნ ი დ ა რ ბ ა ზ ი, მასთან დაკავშირებული სახლები და სასახლის ტიპის შენობები. ამათ შორის გაირჩევა ადრინდელი ფენა — მშრალად, უდუღაბოდ ნაწყობი, ხის საგანგებო სამაგრებით გადაბმის წესით ნაგები ქვათლილები, რომელსაც „ა რ მ ა ზ ც ი ხ ე I“ შეერქვა, და მომდევნო ხანის (ძვ. წ. III — I სს), უკვე კირის ხსნარზე ნაწყობი ნაგებობანი, რომელიც უძველესი ფენიდან გამოიყოფა და „ა რ მ ა ზ ც ი ხ ე II“ ეწოდება.

„არმაზციხე I“-ის ტიპისა და მისი სინქრონული ნაგებობანი აღმოჩენილია დედაქალაქის წიწამურის უბანზე 1953 წელს („წ ი წ ა მ უ რ ი I“), სარკინეში 1954 — 1956 წლებში და ვორისციხესა და უფლისციხეში. ეს მითითებანი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამეფოს საერთო ვითარების წარმოსადგენად.

როგორც ჩანს, ქართლის სამეფოს მესვეურები მხოლოდ და მხოლოდ მცხეთის გამაგრებასა და გაშენებაზე არ ზრუნავდნენ და ერთნაირად ამაგრებდნენ მნიშვნელოვან სავაჭრო-საქალაქო დ სტრატეგიულად საჭირო პუნქტებს.

საქალაქო მშენებლობისას განსაკუთრებული ყურადღება დედაქალაქს ექცეოდა, მისი სამეურნეო-ეკონომიური, სავაჭრო-სახელოსნო, კულტურულ-პოლიტიკური მდგომარეობის გამო. ძველი დედაქალაქისადმი ასეთი ზრუნვა კარგად არის ასახული ქართულ საისტორიო წყაროებში და დასტურდება არქეოლოგიური კვლევა-ძიების მიხედვითაც. ასე მაგ., შიდაციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილია: საფორტიფიკაციო ნაგებობანი, სასახლის ტიპის ნაგებობათა ნანგრევები, სამეურნეო ნაგებობანი და სამარხი ნაგებობანი. მკაფიოდ დასტურდება უძველესი ფენის ნაგებობებში ქვათლილებისა და ალიზის ფართოდ გამოყენებაც. ამასთანავე ირკვევა, რომ ქვათლილები ჩადგმულია კლდეში ამოკვეთილ ფოსოებში საფეხურებისებრ და ამ გზით შექმნილია ქვათლილთა ჰორიზონტული ზედაპირი, რომელზედაც ალიზის კედელია ამოყვანილი. ეს დეტალი ისე გულმოდგინედ არის შესრულებული, რომ ზოგიერთ მონაკვეთზე დიდი კიბის საფეხურების შთაბეჭდილებას ქმნიან კლდეში ამოტეხილ ფოსოებში ჩასმული ქვათლილები (ტაბ. XXV, 4, 7). ასეთი სურათია შიდაციხის II უბანზე და III უბნის ქვედა მონაკვეთზე. ქვათლილთა წყობა ზოგან ერთფენაა, მეტწილად კი შესამჩნევად მაღლაა ამოყვანილი შესანიშნავად გამოკოდილი და ზოგჯერ კიდეებშემოთლილი დიდი ქვათლილები. ყველაზე უკეთ უკანასკნელი შემონახულია III უბანზე, ქვედა ორ კოშკთან და თხემზე — საძიებო თხრილებში. აქ ყურადღებას იპყრობს ქვათლილთა „უწყვეტით" გადაბმის წესი, ე. წ. „მერცხლისკუდა" ამონაკვეთებში ჩასმული მუხის სამაგრების გამოყენება.

როგორც აღინიშნა, ქვათლილთა მშრალ, უდუღაბო წყობაზეა აშენებული ალიზის კედელი. ალიზი მეტწილად გამომწვარია, მაგრამ მხოლოდ მზეზე გამომშრალიც ბლომად გამოუყენებიათ. იგი თიხის ხსნარზეა ნაწყობი და მონოლითური სახე აქვს მიღებული თიხისავე ხსნარით შელესვის წყალობით.

საყურადღებო დეტალია შენიშნული შიდაციხის ზღუდის სამხრეთ ნაწილში, იქ, სადაც II უბნის გალავანი სამხრეთ-დასავლეთით უხვევს და III უბნისკენ მიემართება. ამ ადგილას ალიზის კედელს კარგად ეტყობა ფიცრების სიგრძივი კვალი და სულაც არ ჩანს არც ცალკეული ალიზები, არც მათი ფენები. ალბათ გრძელი ფიცრებისაგან შეკედილ ყალიბში მოათავსეს გამოუშშრალი ალიზი და თიხის ხსნარი, გამოშრობის შემდეგ ფიცარი მოხსნეს და კედელმა მონოლითური სახე მიიღო. ალიზის ფენებისა და მათ შორის შრეების გარჩევა გულმოდგინე დაკვირვების გარეშე გაძნელებულია.

ქვათლილები ზღუდის პერანგს წარმოადგენს, ე. ი. კედლის ორ მხარეზე მიემართება, ზღუდე ორპირია. ამათ შორის ალიზის დასაწყობად თარაზული, საფეხურებრივ მოწყობილი მოედნები არ არის და ალიზი ტიტველ ციცაბო კლდეზე უნდა დაეწყოთ. ცხადია, ამგვარად აყვანილი კედლის პერანგი უფრო მყარი გამოვიდოდა, ხოლო შუაგულს, მთავარ მასას შესაძლოა დალმართზე სიმტკიცე დაეკარგა და მორღვეულიყო. შიდაციხის ზღუდის მშენებლებს ეს გაუთვალისწინებიათ და ალიზის ზღუდე ხშირი, გამკოლი კონტრფორსებით

გაუმაგრებიათ. ყოველ ათ მეტრზე არის ქვათლილთა გამჭოლი თაზარული წყობა და სათანადო კონტრფორსიც. კონტრფორსები ქმნიან ალიზის კედლის ერთგვარ წყვეტილობას და სიმყარეს მატებენ ალიზის წყობის ყოველ მონაკვეთს. ამაში ჩანს ზღუდის კონტრფორსთა უმთავრესი, კონსტრუქციული დანიშნულება. შიდაციხის ზღუდის სხვადასხვა მონაკვეთის გაცნობა მკაფიოდ გვიჩვენებს რთულ რელიეფზე ზღუდის მშენებელთა დახელოვნებას. როგორც ჩანს, არ იზოგებოდა სამშენებლო მასალა, არც მუშახელი იმისათვის, რომ სასურველ ადგილას, თუნდაც ციცაბო კლდეზე, ათასობით ქვათლილთა ჩასაწყობი ბუდეები ამოეკვეთათ, გათლილ-გამოკოდილი ქვათლილები უთვალავი რაოდენობით მოეზიდათ, ათეული ათასობით ალიზი მოეკრათ, გამოეწვათ ან გამოეშროთ, მთაზე აეზიდათ და გრანდიოზული ზღუდეები ეშენებიათ.

ქვათლილთა წყობაზე ამოყვანილ ალიზს მოზრდილი კოპები აქვს დატანებული. კოპებს უნდა გადაება ერთიმეორეზე კედლის ნაწილები, კონტრფორსი და ცალკეული ალიზები და, ამრიგად, კედლისთვის მონოლითური ხასიათი მიეცა, დაეცვა ის მორღვევისაგან. ამრიგად გამაგრებული კედელი დარტყმას დიდ მობაკვეთზე ანაწილებს და კედლის სანგრევ იარაღთა ეფექტურობას ამცირებს. კოპებად მუხის მოზრდილი (20 X 12 სმ) ძელებია გამოყენებული.

ალიზის კედლის სიმაგრისა და გამძლეობის განსამტკიცებლად შიდაციხეში ერთი საყურადღებო დეტალიც შეიმჩნევა. ალიზის კედლის ამოყვანისა და შელესვის შემდეგ, ზღუდის სიგრძეზე ძლიერი ცეცხლი უნთიათ და კედლის გარეპირი ამგვარად გამოუწვავთ. აშკარად ჩანს, რომ ბათქაშიც გამომწვარია და ალიზის ფენებს შორის თიხის ხსნარიც.

ეს დეტალი აცხოველებს ზღუდის აშენების სურათს და საერთოდ საინტერესოდ აყენებს საკითხს იმის შესახებ, თუ რატომ არის გამოყენებული აქ გამომწვარი ალიზიც, გამომშრალი ალიზიც და უმი ალიზიც, რომლის შელესვა და გარეთა ნაწილის კარგად გარუჯვა აუცილებელი ჩანს.

ა რ მ ა ზ ც ი ხ ე I-ს მიეკუთვნება საკულტო ნაგებობის საფუძველი, აგრეთვე ქვათლილებისაგან ნაშენი, არმაზის ქედის აღმოსავლეთ მწვერვალზე. ამ ხანის ნაგებობათა შორისაა ცნობილი სვეტებიანი დარბაზი, ნათალი ქვის ღარებისაგან შედგენილი ღია წყალსადენი და სხვა ნაგებობათა ნაშთები, შიდაციხის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

ა რ მ ა ზ ც ი ხ ე II სვეტებიან დარბაზთან დაკავშირებით გამოინაკვთა. აქ აღმოჩნდა სასახლის ტიპის მეორე ნაგებობა, ნაშენი კირის ხსნარით, ამ შენობის ერთი კედელი „სვეტებიანი დარბაზის" კედელს ზედ გადაუვლის. ამ ადგილას დულაბით ნაწყობი კედლის საძირკველი გაძლიერებულია, რადგან ნაყარ მიწაზე (არმაზციხე I კედლის თავზე) გადადის. ეს არის მეორე ფენის ერთადერთი ნაგებობა. გალავნის სამხრეთ მონაკვეთზე ამ დროის ნაშენი ნაწილები ადვილად შეიმჩნევა. ერთგან „მერცხლისკუდა" სამაგრიანი ქვათლილიც მოხვედრილა დულაბში, ე. ი. ადრინდელი წყობის მასალა აქ ნაგლეჯი ქვის გვერდით გამოუყენებიათ (II უბანი). ამ დროის ზღუდის ნაწილი შიდაციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეშიაც ჩანს.

ა რ მ ა ზ ც ი ხ ე III წარმოდგენილია მრავალრიცხოვან ნაგებობათა ფრაგმენტებით, რომელთაგან ყველაზე უკეთ შენახული ა ბ ა ნ ო და ორსენაკიანი

ნაგებობაა, სვეტებიანი დარბაზის ჩრდილოეთით. ამ ჯგუფში უნდა ვიგულისხმოთ „მარნის უბნის“ ნაგებობათა ნაშთებიც და ბაზილიკის საფუძველი. აქ ჩამოთვლილი ნაგებობანი მშენებლობის ტექნიკის მიხედვით არმაზისხევურ შენობებს მოგვაგონებენ, სახელდობრ, აბანოს და ზღურბლიან ნაგებობას.

მცხეთური კრამიტი გამოყენებულია სამივე ფენის ნაგებობათა გადასახურავად. უძველესი ფენის ნაგებობათა შორის არ ჩანს მასობრივი საცხოვრებელი შენობები, ამიტომ ჩვენ ვვარაუდობთ კრამიტის კეთებას საზოგადოებრივი და სახელმწიფო დანიშნულების ნაგებობისთვის. შემდეგ ხანებში თანდათან ფართოვდება კრამიტით დახურულ ნაგებობათა წრე და ძვ. წ. I საუკუნიდან სახურავ კრამიტს სამარხთა ასაშენებლადაც იყენებენ.

წიწამურის სერის ნაგებობათა ნაშთების გათხრისას არმაზციხისაგან განსხვავებული და თითქოს უფრო არქაული სამაგრებია აღმოჩენილი. წიწამურის სერზე არქეოლოგიური ძიებისას აღმოჩენილ ნაგებობათა ხასიათი საფუძველს გვაძლევს იქ ა რ მ ა ზ ც ი ხ ე I ტიპის ნაგებობანი ვივარაუდოთ. ამრიგად, ჩნდება არქეოლოგიური საფუძველი სტრაბონისეული ს ი ტ ა მ ო რ ა ს ლოკალიზაციისა და ამ სერის ნაგებობათა ძირითადად არმაზციხე I-ის სინქრონულად მიჩნევისათვის.

დიდი მცხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ხუროთმოძღვრული ძეგლები მშენებლობის ხელოვნების ისტორიის თვალსაზრისითაც იქცევენ ყურადღებას.

უკვე აღინიშნა, რომ აქ ქვითა და აგურით, ე. ი. შერეული მასალით მშენებლობაა გაბატონებული; შესაბამისად ძირითად სამშენებლო მასალას დედაქალაქობის ხანის პირველ ეტაპზე წარმოადგენს ქვა და ალიზი, სახურავ მასალას — კრამიტი. დედაქალაქობის ხანის მეორე ეტაპზე ძირითადი სამშენებლო მასალა მეტწილად „უჯიშო“ ქვა და აგურია, მაგრამ არა მშრალად ნაწყობი, არამედ დუღაბით შემტკიცებული. სახურავი ისევ კრამიტისაა.

კრამიტი ორი სახისა გვხვდება: ღარისებრი და ბრტყელი, გვერდებაკეცილი. „დიდი მცხეთის“ ანტიკურ კრამიტს ხელოსნის თუ სახელოსნოების ნიშანი აზის. ერთი და იმავე ნიშნიანი კრამიტი გვხვდება დედაქალაქის სხვადასხვა უბანზე, აგრეთვე სხვადასხვა ქალაქებშიაც, რაც კრამიტის დიდი მასშტაბის საწარმოთა არსებობას, სამეფო ან მსხვილ მონათმფლობელურ სახელოსნოთა არსებობას გვავარაუდებინებს. შესაძლოა ამ მსხვილ სახელოსნოებში საცხოვ. დანაწილებასთანაც კი გვქონდეს საქმე. ღარისებრი კრამიტი მორგვზეა ნაკეთები, თავისებური მილის შუაზე გაჭრის გზით. ორგვარია მოყვანილობის მიხედვით ალიზიც: კვადრატული და მისი ნახევარი, ე. ი. მოგრძო სწორკუთხოვანი. ნაირ-ნაირია უძველესი ფენის ქვათლილები; საზოგადოდ მოგრძო, სწორკუთხოვანი მოყვანილობაა გაბატონებული, მაგრამ გვხვდება თითქმის კუბური ფორმისა და ტრაპეციისებურებიც (მაგ. წიწამურის სერზე).

ქვის სათლელად და საკოდელად სხვადასხვა მოყვანილობის იარაღია გამოყენებული. ასეთი ხელსაწყო ნაპოვნია წიწამურის სერზე, წყობაში. როგორც ჩანს, ეს ქვის საკვეთია, ჩარჩენილი დიდი ქვათლილის გაჭრისას. ქვის სათლელ-საკოდელთა ნაირ-ნაირობის მაჩვენებელია ქვათლილთა სხვადასხვაგვარად დამუშავებული ზედაპირები, ამოკვეთილ-ამოტეხილი ფოსოები, ჩათლილი

კიდის ზოლები და ა. შ. ერთის სიტყვით, აღმოჩენილი ქვათლილები გვიჩვენებენ, რომ ქვის დამუშავების არაერთი წესია დადასტურებული. სათხარი, წერაქვი, წალკატი, ორთოხი, ეჩო, ოწინარი, კეკო, საკოდელი, მართხაფი, ძალაყინი ან აზარმაცი და მრ. სხვა იარაღია გამოყენებული დიდ მცხეთაში უკვე ძვ. წ. IV — III საუკუნეებიდან. სვეტებიანი დარბაზის მშენებლობისას „კედელთა სიმაღლისათვის კალატოზთა ფერჭის სადგმელის“ ანუ ფალანგის გამოყენებაც არის შენიშნული. საგანგებო ხელსაწყოები უნდა ჰქონოდათ ჩუქურთმის მჭრელებს. სარკინე უბნის ჩუქურთმოვანი ფრაგმენტები და იონური რიგის, ვოლუტებიან-იონიკებიანი სვეტისთავი (ტაბ. XXV, 1) ჩვეულებრივი კეკოთი ან საკოდელით არ გამოიკვეთებოდა. სარკინე უბნის თხრისას აღმოჩენილი სვეტის ფრაგმენტები გვარწმუნებს, რომ ეს ხუროთმოძღვრული დეტალები სპეციალურ ჩარხზეა გამოყვანილი (ტაბ. XXV, 2, 3). ეს იმდენად ხშირად და მკაფიოდ ჩანს, რომ სათანადო ტრადიციასაც გვაგულისხმებინებს. რკინის სახელოსნოში აღმოჩენილ ნამზადთაგან ზოგი ქვის სათლელი იარაღისა უნდა ყოფილიყო. საამშენებლო საქმეში, კერძოდ, რთულსახოვანი ჩუქურთმის გამოსაყვანად იყენებდნენ ალბათ შიდაციხეში (სვეტებიან დარბაზში) აღმოჩენილ ბრინჯაოს ფარგალს.

შიდაციხეში, წიწამურის ხერზე, საკუთრივ მცხეთის უბანში, საპიტიახშო უბანზე და სარკინეში გათხრილი ნაგებობანი მიუთითებენ მშენებლობის ხელოვნების მაღალ დონეზე დედაქალაქობის ხანის მცხეთაში. პირველყოველისა ირკვევა გულმოდგინედ „შემზადებაჲ ადგილისა“, მისი „დავაკებაჲ“. საამისო საილუსტრაციო მასალას ყოველი ნაგებობა წარმოადგენს, მაგრამ უადრესი არმაზციხის საფორტიფიკაციო ნაგებობები, სვეტებიანი დარბაზი, წიწამურის და სარკინეს თხრისას აღმოჩენილი ნანგრევებია. აშკარა ხდება, რომ შუა საუკუნეების წერილობით ძეგლებში დადასტურებული „შემზადებაჲ ადგილისა“ ანუ „დავაკებაჲ“ სათავეებს არმაზციხის, წიწამურისა და სარკინეს უძველეს ფენებში პოულობს.

ჩვენ ზემოთ მივაქციეთ ყურადღება ერთ დეტალს — შიდაციხის ერთერთი ნაგებობის საძირკვლის გაძლიერების შემთხვევას. ეს დეტალი მშენებლობის ხელოვნების თვალსაზრისით საყურადღებოდ გვეჩვენება იმის გამო, რომ ძველი დედაქალაქის მშენებლებს, როგორც ირკვევა, წინასწარ შეუსწავლიათ ნიადაგი, სადაც საძირკველი უნდა ჩაეყარათ და რაკი ნიადაგის სისუსტე შეუმჩნევიათ, ნაგებობის საძირკველი გაუძლიერებიათ, გაუფართოებიათ და გაუღრმავებიათ. ეს უნდა მომხდარიყო ძვ. წ. III — II საუკუნეებში. ასე შორეული ფესვები უჩნდება აბუსერიძე ტბელის ცნობას იმის შესახებ, რომ ბოლოკ-ბასილმა ჭაობიან ადგილზე დაიწყო ეკლესიის აგება და ნიადაგის სისუსტის გამო „თხარა ესეოდენი სიღრმე ქუეშე მიწასა, ვითარცა ჩანს ზედაჲთ ტაძარი ესე და მათ სიღრმეთაჲგან იწყო შენებად“.

ჩვენს მიერ განხილული ნაგებობანი ზედმიწევნითაა შესრულებული და „წინასწარ გამოსახვის“ დიდად დაწინაურებას გვაფიქრებინებენ.

ასეთ დასკვნას მხარს უჭერს მხატვართუხუცესისა და ხუროთმოძღვრის თანამდებობის არსებობა ძველ დედაქალაქში. ეს თანამდებობა დედაქალაქობის ხანის დასასრულს არ უნდა იყოს გაჩენილი.

დედაქალაქობის ხანის ადრინდელი ეტაპის მშენებლობის დამახასიათებელი გრანდიოზულობა, კედლების ქვათლილებით წყობა, თლის თავისებური ტექნიკა, ალიზის ფართოდ გამოყენება, კლდეში ათასობით ბუდეებისა, საფეხურების ამოტეხა, ქვის ამოღება, გათლა და გადმოტანა, ძალიან დიდი, შრომატევადი სამუშაო უნდა ყოფილიყო. არქეოლოგიური აღმოჩენები გვიჩვენებენ, რომ მიმდინარეობდა სამეფოს ყველა მისადგომის გამაგრება, გზებისა და გადასასვლელების ჩაკეტვა. იქმნებოდა ნამდვილად გრანდიოზული სისტემა სიმაგრეებისა. ასეთი სამუშაო იაფფასიანი მუშახელის — მონის შრომის გამოყენების საჭიროებას ქმნიდა და სწორედ აქ უნდა ვეეძებოთ არსებობა მმართველობის ისეთი ორგანიზაციისა ქართლის სამეფოსა და ქალაქებში, რომელიც უზრუნველყოფდა მონების შრომის ფართოდ გამოყენებას ამ სამუშაოებში.

მშენებლობის ხელოვნების მაღალი დონის მაჩვენებლები, რომლებიც მცხეთაში აღმოჩნდა, როგორც ჩანს, უტრადიციოდ არ აღმოცენებულა. ამ მხრივ საყურადღებო მასალას გვაძლევს კლდეში ნაკვეთი ქალაქის—უფლისციხის გამოქვაბულები (ტაბ. XXVI, 4). ვარაუდობენ, რომ იქ ქალაქური ტიპის მოსახლეობის გაჩენასთან ერთად ძალიან დიდი სამუშაოები განხორციელდა კლდესამოსახლოს შესაქმნელად, სწორედ მონური შრომის გამოყენების გზით.

ამრიგად, დედაქალაქობის ხანის მცხეთის ხუროთმოძღვრულ ხელოვნებას, როგორც ჩანს, ისევ ქართლის სამეფოში აქვს ფესვები გადგმული და ქართლის ქალაქები დიდხანს ინახავენ ამ ტრადიციას.

უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე მცხეთასა და მის მიდამოებში აღმოჩენილი ხუროთმოძღვრული ძეგლები აჩვენენ საქალაქო მშენებლობის ორ უმთავრეს საფეხურს. პ ი რ ვ ე ლ ი ს ა ფ ე ხ უ რ ი იწყება ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან. განსაკუთრებული გაძლიერება მას ემჩნევა III საუკუნისათვის, როდესაც მკვეთრი გარდატეხა ხდება მშენებლობის ტექნიკაში — იწყებენ დუღაბის ფართოდ გამოყენებას. დუღაბის აღმოჩენა საქალაქო მშენებლობის დიდი მოთხოვნილებით უნდა აიხსნას.

მ ე ო რ ე ს ა ფ ე ხ უ რ ი ახ. წ. პირველ საუკუნეებს ემთხვევა. მიმდინარეობს რომაელთა ლაშქრობისას მორღვეულ ციხე-სიმაგრეთა აღდგენა და გამაგრება. ამ საქმეში, როგორც ჩანს, რომაელებსაც მიუღიათ მონაწილეობა. ეს საფეხური ქართლის (იბერიის) სამეფოს ხელახალი გაძლიერების შედეგია და მისი მომასწავებელიც, მაგრამ ის იმდროინდელ საგარეო ვითარებასაც შეესაბამება.

შიდაციხის ანუ არმაზციხის, წიწამურის და სარკინე უბნის საფორტიფიკაციო ნაგებობანი, როგორც აღინიშნა, დედაქალაქის ძლიერების ხანას მიეკუთვნება და ამ ძლიერების მაჩვენებელია. შემდეგში დიდი მცხეთის ციხე-სიმაგრეები ძლიერი ხელისუფლების წყაროდ უნდა გამხდარიყვნენ, რადგან ისინი დიდი მცხეთისკენ მიმავალ უმთავრეს სავაჭრო გზათა ყელზე იდგნენ, გზას თავისკენ ეწეოდნენ. ასე თანდათანობით იზრდებოდა „დიდი მცხეთის" ციხე-სიმაგრეთა ეკონომიური მნიშვნელობა. შესაბამისად, სულ უფრო და უფრო მატულობდა დედაქალაქის ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა. ქართლის მაგისტრალური სავაჭრო გზები მცხეთაში იყრიდნენ თავს, ე. ი. ამ ქვეყანაში გამვლელი უცხოელი მცხეთის ციხე-სიმაგრეებს გვერდს

ვერ აუვლიდა. მცხეთის ციხე-სიმაგრეთა სისტემა იცავდა და შეთვალყურეობას უწევდა სასოფლო-სამეურნეო რაიონებს, ე. ი. ქალაქის სასოფლო უბანს, მის დაბნებს თუ აგარანთ. ქალაქის სასოფლო რაიონიც ამ ციხეებისკენ მიიწევს, მას ემორჩილება, რადგან ქალაქის ეკონომიური სიძლიერე მისი სასოფლო უბნის დაწინაურების გარეშე შეუძლებელი იყო. ამ მხრივაც „დიდი მცხეთის" ციხე-სიმაგრეები თვალსაჩინო როლს ასრულებენ ქალაქის ეკონომიური სიძლიერის საქმეში. ამიტომ არის, რომ ძველი ქართული და უცხოური საისტორიო მწერლობა ქალაქებს ყოველთვის მათს დაბებთან კავშირში განიხილავს.

ანტიკური ხანის მცხეთის, როგორც ქალაქის მნიშვნელობას დიდი მცხეთის მცველი ციხე-სიმაგრეები კარგად გვიჩვენებენ. შეცდომა იქნებოდა ამ ციხე-სიმაგრეთა დანიშნულება მხოლოდ იმ ტერიტორიის დაცვით შემოგვეფარგლა, რომელსაც გამაგრებული, ზღუდის შიგნით მოქცეული დ ი დ ი მ ც ხ ე თ ა მოიცავდა. ამიტომ, როდესაც საუბარია მცხეთის და, საერთოდ, იბერიის ქალაქების, როგორც სამხედრო-სტრატეგიული ცენტრების მნიშვნელობაზე, რა თქმა უნდა, უნდა ვიგულისხმოთ ეკონომიური მხარეც, რომელსაც მნიშვნელოვნად აპირობებდა ქალაქი გარშემორტყმული ციხე-სიმაგრეთა რთული სისტემით. ციხე-სიმაგრეთა სისტემა საიმედო იარაღი იყო ქალაქის ეკონომიური სიძლიერისათვის. იგი ხელს უწყობდა ქალაქის და მისი სასოფლო რაიონის მჭიდრო ეკონომიურ ურთიერთობას, რომლის გარეშე ანტიკური ხანის ქართლის ქალაქს არსებობა არ შეეძლო. ასეთ ვითარებაში აშკარაა განსაკუთრებული როლი ანტიკური ხანის ქალაქის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილის — ციხე-სიმაგრისა. ციხე თავისკენ ეწევა გზას; ციხე თავისკენ ეწევა ქალაქის სასოფლო რაიონს — დაბნებს; ციხე თავისკენ იზიდავს ხელოსნებსა და ვაჭრებს; ციხე იცავს ქულბაქებს და ა. შ. ამიტომ ანტიკური ხანის ქართლის ქალაქების ცხოვრების უმთავრესი მხარეები და ხასიათი ამ ქალაქების ციხე-სიმაგრეთა როლის გათვალისწინების გარეშე გაუგებარი იქნებოდა. მაგალითად, როდესაც მცხეთის სიძლიერეზეა საუბარი, ყურადღება მის სიმაგრეებს უნდა მიეპყრას. ჩვენ სრულიად კანონზომიერად გვეჩვენება, რომ სტრაბონის წყაროს ქართლის (იბერიის) ქალაქებზე მითითებისას პირველ რიგში ციხე-ქალაქები არმოზიკე და სისამორა, ე. ი. ფართო გაგებით, ქალაქის ეკონომიური სიძლიერის ერთერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველი დაასახელა. ამ მხრივ, ანტიკური ხანის ტრადიციის გამოძახილად უნდა მივიჩნიოთ ქართული საისტორიო მწერლობის მითითება, სადაც მცხეთასთან არმაზციხეა ნახსენები, ხოლო თბილისთან — კალა. ანტიკური ხანის ქართლის ქალაქების არქეოლოგიური გათხრა-დაზვერვის შედეგები გვიჩვენებს, რომ ციხის გარეშე ქალაქი წარმოუდგენელია. ამ ვითარების ამსახველია ქართული საისტორიო წყაროების ცნობა ქალაქებისადმი ციხეების მიკუთვნების ან დამორჩილების შესახებ (შდრ. მაგ., სარკინე ქალაქი: კასპი: ურბნისი: და ოძრეხ: და ციხენი მათნი: ციხჱ დიდი სარკინისაჲ: უფლის ციხჱ კასპისაჲ: ურბნისისაჲ და ოძრკისაჲ).

ასეთ ვითარებაში სულ უფრო და უფრო იზრდება არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩენილ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა მნიშვნელობა მცხეთის და, საერთოდ, ქართლის სამეფოს საქალაქო ცხოვრების დახასიათებისათვის.



1

2



5



3

4

მცხეთა-ქალაქის უმთავრეს ნაგებობათა დღემდე გათხრილი ნაწილი საფუძველს გვაძლევს გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ დედაქალაქის ტერიტორიის, მისი უმთავრესი უბნების, საფორტიფიკაციო, საზოგადოებრივი, საკულტო, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, მშენებლობის ხელოვნებისა და სამშენებლო მასალების შესახებ.

ირკვევა, რომ მდ. მტკვრისა და არაგვის ორივე ნაპირზე ფართოდ გაშლილ დედაქალაქს მრავალი, მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი უბანი ჰქონია. ყოველ უბანს დამახასიათებელი ნაგებობაც ახლდა. მაგ., არმაზციხის უბნის დამახასიათებელ ნაგებობებს ჩვენ დედაქალაქის შიდაციხის — აკროპოლისის სახით წარმოვიდგენთ. შიდაციხეს თავის მხრივ არაერთი დამახასიათებელი ელემენტი აღმოაჩნდა; ესეთებია: ზღუდე, ციტადელი, სასახლის თუ ტაძრის ტიპის ნაგებობანი, წყალსადენები, სამეურნეო და საკულტო ნაგებობანი. სათანადო კომპლექსის ნაწილებად შეიძლება მივიჩნიოთ იქ აღმოჩენილი მარანი, აბანო და სამარხი ნაგებობანი (მავზოლეუმის ტიპის აკლდამა და სეფე ქალის სარკოფაგი).

შიდაციხის ნაგებობათა მთელი კომპლექსი მოხდენილად შეკრულ არქიტექტურულ ანსამბლს წარმოადგენს. ამ მხრივ, პირველ რიგში, შიდაციხის ადგილმდებარეობა იქცევს ყურადღებას.

მცხეთის შიდაციხე — არმაზციხე გაშენებულია ძნელად მისადგომ ადგილას, ისევე როგორც ურარტულ-აქამენიდური ხანის ციხეები, რომელთაც თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდათ და მოსახლეობისთვის თავშესაფარს წარმოადგენდნენ. იგი აღმართულია მთაგრეხილის ბოლოზე, „დასასრულსა არმაზისა ცხვრისასა", რის გამოც შიდაციხის სათვალთვალო კოშკს (სიმაღლე 677 მ) მიდამოზე გაბატონებული მდგომარეობა უკავია და დედაქალაქისკენ შიმავალ გზებს შეუფერხებლად უთვალთვალებს. ამას გარდა, შიდაციხის ზემოთ არის განლაგებული კარსნის წყაროები და სათავე კარსნის ხევის ღელისა, საიდანაც წყალსადენები გამოუყვანიათ და არმაზციხე წყაროს წყლით მოუმარაგებიათ.

ადგილის შერჩევის თვალსაზრისით არმაზციხე შეიძლება ურარტულ ციხე-სიმაგრეებს შევადაროთ: ტუშპას ციტადელს (ვანის სიმაგრე), ტოპრახ-კალესა და წოვინარს. წინააზიური ელემენტი სიმაგრის მშენებლობის ხელოვნებაშიაც ჩანს. კარგად ცნობილი დამახასიათებელი ელემენტები: „ფიცხელსა კლდესა ზედა" მშენებლობა, ადგილის დავაკება, კლდეში საფეხურების ამოტეხა ერთნაირად ახასიათებს ურარტულ-აქამენიდურ ციხეებსა და არმაზციხეს.

არმაზციხეს საგანგებო ფუნდამენტი არა აქვს, ისევე როგორც არა აქვს საგანგებო ფუნდამენტი ურარტულ ციხეებს. ორივე შემთხვევაში მოყვანილობით და ზომით, აგრეთვე წყობითა და შელესვის ხელობით საკვებით ერთნაირ ალიზის კედლებს თავისებურ საძირკვლად ქვათლილები აქვთ. ქვათლილების წყობაზე ამოყვანილი დიდი ზომის ალიზის კედელი გვხვდება ურარტუში და დიდ მცხეთაში, ისე როგორც საერთოდ წინააზიაში და ქართლის სამეფოში.

არასწორხაზოვანი გალავანი, ოთხკუთხოვანი კოშკები და კონტრფორსები აგრეთვე ურარტულსა და აქამენიდურ ტრადიციას ეკვადონებს. არმაზციხის მაგალითზე კარგად ჩანს ფლანგების დაცვა კოშკებითა და კონტრფორ-

სებით, ე. ი. აქაც აქამენიდური არქიტექტურის საყვარელი ხერხია დამოწმებული. ამგვარი დამთხვევები არ შეიძლება შემთხვევითი იყოს. ქართლის სამეფოს მესვეურებს და ხუროთმოძღვრებს, როგორც ჩანს, წინააზიური ტრადიციები მოსდგამდათ. ეს არც უნდა იყოს მოულოდნელი მას შემდეგ, რაც აკად. გ. წერეთელმა ქართლის სახელმწიფო სისტემის დახასიათებისას სინამდვილესთან რამდენადმე შესაფერისად მიიჩნია ლეონტი მროველის ცნობა: „ესრეთ განაწესა ესე ყოველი ფარნავაზ მიმსგავსებულად სამეუფოსა სპარსთასა“.

მსგავსება ჩანს ქვათლილთა წყობის ხასიათში. ისევე როგორც აქამენიდურ არქიტექტურაში, მცხეთაშიაც, როგორც არაერთხელ აღინიშნა, „არმაზციხე I“ მშრალ წყობას წარმოადგენს. ორივეგან ქვები გულმოდგინედ არის გამოკვეთილი და ქვათლილები ისე კარგადაა ერთიმეორესთან მიყენებული, რომ შეერთების ადგილი ძლივს შეიმჩნევა.

ქართლშიაც და აქამენიდური ხანის სპარსულ არქიტექტურაშიც კვადრები საგანგებო სამაგრებით არის შეერთებული (რკინა, ხე — „მერცხლის ბოლოები“). ალიზის სქელი კედლები და უზარმაზარი კოშკები, ალიზის წყობის შელესვა და მისთვის მონოლითურობის მინიჭება, ქვათლილთა და ალიზ-აგურის დაწყობის ხერხი, ალიზის ზომები, დამზადების ხერხი და ა. შ. საერთო ტრადიციის მაჩვენებლად გვესახება.

ყურადღებას იქცევს კარ-სარკმელთა ოთხკუთხი მოყვანილობა. ასეთ შემთხვევაში ალიზის გამოყენება სახიფათოა, მცხეთელი ხუროთმოძღვარიც ქვათლილებს იყენებს და კარსა და სარკმელს ქვის წყობაში ათავსებს, ე. ი. იქცევა ზუსტად ისე, როგორც აქამენიდელი ხელოსანი. ეს წესი იმდენად მოსახერხებელი ყოფილა, რომ დუღაბის გავრცელების შემდეგაც, „უჯიშო ქვით“ ნაშენ კედლებშიაც ქვათლილების თავისებური „ბურჯებია“ ამოყვანილი და კარ-სარკმელიც ხომ ქვათლილის წყობაში ზის. ამ შემთხვევაშიაც სუზას, პერსეპოლისა და სხვა ცნობილი ნანგრევების ახლო ანალოგიასთანა გვაქვს საქმე (ასეთია მაგ., ბაგინეთზე აღმოჩენილი ორსენაკიანი ნაგებობა).

ამგვარად გაშენებულ შიდაციხის ცენტრალურ ადგილას, ფართო ტერასაზე „სვეტებიანი დარბაზი“, სასახლის ტიპის ნაგებობანი და სხვა შენობები მდგარა. ამათ ჩრდილო-დასავლეთით მარანი, აბანო, სამეფო საგვარეულოს სამარხი ნაგებობანი და სხვა შენობები ჩანს განლაგებული.

ივარაუდება, რომ შიდაციხის ხუროთმოძღვრულ ანსამბლს აგვირგვინებდა საკულტო ნაგებობა, რომელზედაც, წყაროების თანახმად არმაზის ცნობილი კერპი მდგარა.

ს ა პ ი ტ ი ა ხ შ ო უ ბ ა ნ ს ა ც თავისებური ნაგებობები ჰქონია. აქ. აღმოჩენილია საერისთაო და ეზოიმოძღვრის სასახლის კომპლექსის ნაშთები, აბანო, საცხოვრებელი და სამარხი ნაგებობანი, პატარა მოედანი და, აგრეთვე, მოფიქლული ქუჩა-ეზოები.

ს ა რ კ ი ნ ე უ ბ ნ ი ს თ ვ ი ს დამახასიათებელი ჩანს ლ ი თ ო ნ ი ს ს ა ხ ე ლ ო ს ნ ო ე ბ ი და ციხე-სიმაგრე, რომელთა გათხრის დასრულება ალბათ დედაქალაქის სარკინე უბნის უფრო სრულ ხუროთმოძღვრულ სურათს შექმნის.

საკუთრივ მცხეთის უბანშიაც არაერთი ნაგებობის კვალი ჩანს. ყველაზე გრანდიოზულად გამოიყურება 1958 წელს ზედა ტერასაზე გათხრილი ნაშთები, რომლებიც საცხოვრებელ ნაგებობებს უნდა ეკუთვნოდეს. ამ ოციოდე წლის წინ აქვე აღმოჩნდა ანტიკური ხანის ნაგებობის სვეტის ძირი. 1958 წელს აღმოჩენილი ნანგრევები და, შესაძლოა, ადრე ნაპოვნი სვეტის ძირი, იქნებ იმ შენობების ნარჩენები იყოს, რომელთა სახურავზე, მოსე ხორენელის ცნობით, დილ-დილობით გადმოდგებოდნენ ხოლმე დედაქალაქელები და თაყვანს სცემდნენ მათ თვალწინ შეშვერვალზე აღმართულ კერპს.

მოსე ხორენელის ეს ცნობა ბანურსახურავიან ნაგებობებს უნდა გულისხმობდეს საკუთრივ მცხეთის ტერიტორიაზე. დედაქალაქის ამ ნაწილშია სავარაუდებელი მრავალრიცხოვანი სავაჭრო სახელოსნო ნაგებობები, მოედნები, ქუჩები და სხვადასხვა ეთნიკური შედგენილობის კოლონიები თუ კვარტალები.

სამარხეული ინვენტარი. ქართლის სამეფოს ვითარების დასახასიათებლად სამარხეული მასალის გათვალისწინებაც დიდად მნიშვნელოვანია. უნდა წინასწარ შეინიშნოს, რომ არქეოლოგიურ ძეგლთა ეს კატეგორიაც მხარს უჭერს ქვეყნის საერთო დაწინაურების სურათს, მთხაზულს ნასახლარებისა და ნაქალაქარების მასალის მიხედვით. აქაც მხოლოდ მცხეთა არ იგულისხმება. ქვემო ქართლი და შიდა ქართლი განვითარების ერთგვარ ტენდენციას ამჟღავნებენ. საილუსტრაციოდ შეიძლება „ახალგორის განძი" შემავალი მდიდრული სამარხეული ინვენტარი გამოდგეს. თითქმის ნახევარი საუკუნეა რაც სპეციალისტთა ყურადღებას იპყრობენ სოფ. საძეგურთან აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც „ახალგორის განძის" სახელითაა ცნობილი. ამჟამად სულ უფრო და უფრო მტკიცდება ამ ძეგლის პირველი გამომქვეყნებლის ი. სმირნოვის აზრი იმის შესახებ, რომ აღმოჩენილი მასალა უფრო წარჩინებული ქალის სამარხის ინვენტარია, ვიდრე „განძი". საძეგურის მასალის ამგვარ განსაზღვრას მხარს უჭერს 1945 წლის გათხრების შედეგებიც. იმ ადგილას, სადაც 1908 წელს ე. წ. „ახალგორის განძი" იპოვნეს, აღმოჩნდა ღარიბული ნაშთების შემცველი ბოზრდილი სამაროვანი. როგორც ჩანს, ამ სამაროვანზე თავის დროზე წარჩინებულ პირთა მდიდრული სამარხების ბუდეც უნდა ყოფილიყო და შემთხვევით აღმოჩენილი მასალაც ამ ჯგუფს ან მის ერთერთ წევრს უნდა მიეკუთვნოს.

ამ მასალის უმთავრეს ნაწილს ძვ. წ. VI — IV სს. მიაკუთვნებენ. ჩვენ ჯერ კიდევ დანამდვილებით არაფერი ვიცით საძეგურის ძველი მოსახლობის ხასიათის შესახებ, მაგრამ ასე მდიდრული სამარხეული ინვენტარის აღმოჩენა დაწინაურებული, შესაძლოა მეზობელ სოფელთაგან გამორჩეული დასახლების მანიშნებელი იყოს. ეს არც არის მოულოდნელი. ქსნის ხეობაზე შებმული გზა მნიშვნელოვანი განტოტება უნდა ყოფილიყო მტკვრის ხეობაზე გამავალი დიდი სავაჭრო გზისა. ამ გზის სიახლოვესაც უნდა გარკვეული როლი შეესრულებია საძეგურის დაწინაურებაში.

სოფ. საძეგურში აღმოჩენილი ძეგლების ძირითად ნაწილს ოქრო-ვერცხლის სამკაული და ჭურჭელი წარმოადგენს. აღმოჩენილია: ოქროს დიდი რგოლები, რომელთა ერთი ნაწილი ერგვალი ან ოდნავ დაკუთხული მსხვილი მავ-

თულისაგანაა ნაკეთები; მათ თავები ნაირნაირი გამოსახულებებითა აქვთ შემკული. გვხვდება ოქროს ბრტყელი, სქელი ფურცლისაგან დაგრეხილი რგოლებიც (ხატისუღელი); ოქროს ფართო ფურცლისაგან ნაკეთები ხარტყლის მოკედლობა; ოქროს მრავალნაირი თავსამკაულები, საკიდები, ბალთები და სხვადასხვა დანიშნულების ფირფიტები, რომლებიც შემკულია რთული რელიეფური სახეებით, ოქროს ცვარებით (გავარსით) და ნატვიფრი სახეებით. საკიდთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ორი, წყვილ-წყვილი ცხენების ბრწყინვალე გამოსახულება, შემკული გეომეტრიული ორნამენტით. გავარსით და მორთული ნაირნაირი დამატებითი მოწკარუნე საკიდებით (ტაბ. XXII, 1).

ოქროს სამკაულთა შორის განსაკუთრებულ ჯგუფს ბეჭდები წარმოადგენენ. აღმოჩენილია ფარაკიანი ბეჭდები, დამახასიათებელი ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებისათვის. ფარაკებზე სტილიზებულ ცხოველთა გამოსახულებებია (ფასკუნჯი?) ამოკვეთილი.

ოქროს სამკაულთა მნიშვნელოვანი ჯგუფი ცხენის საზეიმო აკაზმულობის ნაწილებად არის მიჩნეული. ვერცხლი, უმთავრესად ჭურჭლეულის სახით არის წარმოდგენილი. ვერცხლის ჭურჭელიც რთული ორნამენტით არის შემკული. სამკაულის ძირითადი სახე ჩაღრმავებული „უბეებია", მათ გულისებრი ან კოვზისებრი მოყვანილობა აქვთ. ვერცხლეულში სხვადასხვაგვარი სურებიც ყოფილა წარმოდგენილი, მაგრამ მეტწილად მათი ფრაგმენტებია შემონახული. ფრაგმენტთა შორის ერთი მოზრდილი ჭურჭლის ყელ-მუცლის დიდი ნატეხია შემორჩენილი.

„განძის" შემადგენლობაში ასამდე ნიეთი ითვლება, თანაც იმ ზომისა და ისეთი ხასიათის, რომ ყველაფერი ვს ერთი სამარხის კუთვნილებად ძნელია მივიჩნიოთ. როგორც არ უნდა იყოს „ახალგორის განძის" სახით ჩვენ საქმე გვაქვს ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანების სამარხეულ ინვენტართან, რომელიც ეკონომიურად დიდად დაწინაურებულთა წრეს ეკუთვნის და გარკვეულ წარმოდგენას ქმნის ამ წრის შესახებ. ეს ძეგლი კარგად უჩვენებს თუ სადამდის მივიდა ქონებრივი დიფერენციაციის ხანგრძლივი პროცესი, რომლის საწყისი ნიშნები ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებში იყო შენიშნული.

აღმოჩენები მიუთითებენ, რომ საძეგური ერთადერთი არ იყო იმ ხანად. აქ კვლავ წინწყაროს მდიდრული სამარხის ინვენტარი გვახსენებს თავს და ქმნის საფუძველს ქართლის საერთო ვითარება წარმოვიდგინოთ ძვ. წ. VI საუკუნის მომდევნო ხანაში.

ახალგორისა და ალგეთის (წინწყაროს) მდიდრულ სამარხეულ ინვენტარს გარდა, დიდძალი მასალა მოიპოვება ძვ. წ. VI — II ს. ვითარების დასახასიათებლად. ამ ხანის მასალა გვხვდება საქართველოს სხვადასხვა მხარეში, მაგრამ განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი და შედარებით უკეთ შესწავლილია ეს ძეგლები აღმოსავლეთ საქართველოს ორ უძველეს კულტურულ კერაში — თრიალეთსა და მცხეთაში. ამიტომ, ბუნებრივია თუ პირველ რიგში ამ მასალებს გავიცნობთ.

როგორც წინა პარაგრაფებშია აღნიშნული ამ ხანის აღმოსავლეთ საქართველოში სამი ტიპის სამარხია გავრცელებული: ორმოსამარხები, ქვევრსამარხები და ქვისსამარხები; ამასთანავე, დადასტურებულია, რომ ხშირად სამივე

სახის სამარხი გვხვდება: ერთსადაიმავე სამაროვანზე. ასეა, მაგ., მცხეთაში. საყურადღებო მასალას გვაძლევს თრიალეთის სოფ. ს ა ნ თ ა ს თ ა ნ აღმოჩენილი მოკლე, თითქმის კვადრატული ქვისსამარხები. დაკრძალვის წესი, როგორც ჩანს, არ მოითხოვდა ყველა სამარხში თიხის ჭურჭლის ჩადგმას, მაგრამ სანთის სამარხთა უმრავლესობაში მაინც აღმოჩნდა 1-3 ჭურჭელი. აღმოჩენილი ჭურჭლეული შეიძლება ორ უმთავრეს ჯგუფად დავყოთ: ხელადები, მუქი, სქელკეციანი, ზედაპირგაპრიალებული; მათ კვერცხისებრ მომრგვალებული და ძირისკენ თანდათან შევიწროებული მუცელი აქვთ; ყელმაღლებია და უყურო. ამ ჯგუფში ერთიანდება თიხის პატარა ჯამები, რომელთაც კიდეები შიგნითკენ ჩაკეცილი აქვთ, და პირფართო თასები თუ ფიალები. საერთო ამ დოქებს, ჯამებსა და თასებს ისა აქვთ, რომ ისინი სავსებით ერთგვარი თიხისანი არიან და ერთნაირად ნაკეთებიც. მეორე ჯგუფში შედის ღია ფერის თიხის ჭურჭელი — მინიატურული, ძირბრტყელი, უყურო კოჭებები თუ ქოთნები. დამახასიათებელია, რომ ორივე ჯგუფის ჭურჭელი ერთსადაიმავე სამარხში არაა აღმოჩენილი და მათი ზედმიწევნითი ერთდროულობა შეიძლება საეჭვოც იყოს. მეორე ჯგუფის თიხის ჭურჭელი უფრო ახალგაზრდად გამოიყურება, ვიდრე პირველი. ასეთ შთაბეჭდილებას მხარს უჭერს ღია ფერის თიხის ჭურჭელთან ერთად აღმოჩენილი მძიესამკაულიც, სახელდობრ, ფერადი მინის მძივები; ლურჯი — ნახევრად გამჭვირვალე, ცისფერი, წითელი მარჯნისებრი მილაკები; მძივებს შორის გვხვდება ოქროფერილი და შიგნიდან მოვერცხლილებიც კი; მძივთა შორის, ერთერთ ქვის სამარხში ნახევრად გამჭვირვალე, ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავი აღმოჩნდა. ეს საბეჭდავი კეთების ტექნიკის მიხედვით დიდად განსხვავდება მის თანადროულ ფარაკიან ბეჭედ-საბეჭდავთაგან; იგი ამოკვეთილგამოსახულებიანი კი არ არის, ჩამოსხმულია ან შეიძლება ნატვიფრია იმ დროს, როდესაც მინა ჯერ კიდევ ცხელი, რბილი იყო. ამ მრავალწახნაგა მძივის ერთ პირზე ამოკვეთილია ნადირობის სცენა: ცხენოსანი მონადირე მისდევს გაქცეულ ჯიხვებს. ამ საგანს დიდი მნიშვნელობა აქვს თვით სამარხის ხნოვანების გასარკვევად, რადგან ამ ტიპის საბეჭდავები ძვ. წ. V — IV საუკუნეებისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა გამორიცხული არ არის, რომ ისინი შემდეგაც ძალიან დიდხანს ეტარებიათ.

აქვეა ახალგორიდან და წინწყაროდან უკვე ცნობილი ბრინჯაოს წვრილი მავთულისაგან ნაკეთები ფარაკიანი ბეჭედი — საბეჭდავები; წვრილი, თავებდაკეკნილი (ზურგზე აშკარად რომელიღაც ცხოველის სტილიზებული თავებია გამოსახული) და რკალჩაღუნული სამაჯურები.

რა თქმა უნდა, სოფ. სანთის სამარხთა დათარიღებისათვის სხვა საფუძვლებიც არსებობს, კერძოდ, ბრინჯაოს ბეჭდები და რკალჩაზნექილი სამაჯურები, რომელთაც მრავალი პარალელი მოეპოვებათ საქართველოში და თანაც არაერთი ისეთი, რომლებთანაც საიმედო დამათარიღებელი მასალაა აღმოჩენილი — ბერძნული შავლაკიანი კერამიკა, კოლხური ვერცხლის ფული და სხვ. ასეთებია მაგ. 1934 წელს სოფ. ეშერში აღმოჩენილი სამარხები, 1936 წელს დაბლა-გომში გათხრილი ქვევრსამარხები და სხვ. ესეც არ იყოს, საიმედო კომპლექსებში საკმაოდ მრავლადაა აღმოჩენილი რკალჩაზნექილი სამაჯურები, რომელთა გავრცელება, როგორც ჩანს, სამხრეთ კავკასიასთან არის დაკავ-

შირებული; უკავშირდებიან ისინი აგრეთვე სუზაში, მორგანის მიერ გათხრილ, მეფის სამარხში აღმოჩენილსა და ამუდარიის ცნობილი განძის სამაჯურებს. განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოშია გავრცელებული ეს რკალჩაზნექილი სამაჯურები; ამასთანავე, აქ რკალჩაზნექილი სამაჯური საკმაოდ დიდხანს ცოცხლობს — თითქმის მთელი ხუთასი წელი. ამ სამაჯურების გვიანდელი ვარიანტები ძვ. წ. I საუკუნემდეც კი მიდის და გვხვდება ე. წ. ალაზანიალოილუ-თაფას კულტურის სამარხეულ კომპლექსებში. ასეთია რკალჩაზნექილი ბრტყელი ან მრავალმავთულიანი, ფანტასტიკურ ცხოველთა სტილიზებული გამოსახულებით შემკული სამაჯურების გავრცელება აღმოსავლეთ საქართველოში.

გ ა თ ხ რ ე ბ ი ა ლ ა ზ ნ ი ს ვ ე ლ ზ ე. 1937 წელს სოფ. ა რ ხ ი ლ ო ს კ ა ლ ო ს თ ა ნ, მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირზე ითხრებოდა ძვ. წ. ბოლო საუკუნეების სამაროვანი, რომელიც 1935 წელს სარწყავი არხის მშენებლობისას ძლიერ დაზიანებულიყო. აქ არქეოლოგიურ სამუშაოებს ხელმძღვანელობდა პროფ. გ. ნიორაძე, რომელმაც 7 საკმაოდ მდიდარი სამარხი გათხარა და შეისწავლა მრავალი დაზიანებული.

სამაროვანი ორმოსამარხებს შეიცავდა, მაგრამ იქვე აღმოჩნდა ერთი, ქვევრის გვერდის ანატეზზე დაკრძალული ბავშვის ჩონჩხიც. მიცვალებულთა მდგომარეობა სამარხში იმ დროისათვის ჩვეულებრივია; სამარხებში თითო მიცვალებული ესვენა, ხელფეხმოკეცილ-მოკუნტულ მდგომარეობაში. ყოველ მიცვალებულს თან ახლდა თიხის ჭურჭელი, სხვადასხვა სახის სამკაული და ზოგჯერ იარაღიც.

სამარხებში აღმოჩენილ სამკაულთა შორის არის მინისებრი მასალის, პასტის, გიშრის, ბრინჯაოს, სარდიონისა და ტოპაზის მძივები; ბრინჯაოს სამაჯურები, რომელთაც თავები ერთიმეორეზე გადატანილი აქვთ; მცირე რგოლები; ზარაკები და სხვ. რკინის ნივთთაგან აღსანიშნავია დანები, რომელთა შორის არის მოღუნულიცა და გრძელიც.

განსაკუთრებით დამახასიათებელია არხილოსკალოს კერამიკა, რომელსაც მრავალი ანალოგი მოეპოვება აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა მხარესა თუ პუნქტში. სწორედ თიხის ჭურჭელია დამახასიათებელი ალაზნის ველის კულტურისათვის არა მარტო იმიტომ, რომ ის სამარხებში წარმოდგენილია მრავალრიცხოვნად, არამედ იმიტომაც, რომ აქ აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი ნაირსახოვანია და თანაც ძალიან ახლო ნათესაობას ამჟღავნებს იმავდროულ კერამიკასთან, განსაკუთრებით კი მდ. მტკვრის შუა და ქვედა დინებისა და მდ. ალაზნის ხეობის სინქრონულ მასალებთან.

ალაზნის ველის კერამიკის დამახასიათებელი უმთავრესი სახეებია: თუნგულები, ხელადები, მათარები, თასები, ჩაფები, ბარძიმები, სამფეხა თეფშები და სხვ.

ჩამოთვლილი სახეები სრულიადაც არ იძლევა ამომწურავ სურათს არხილოსკალოს სამარხებში აღმოჩენილ კერამიკისას. ჩამოთვლილთა შორის განსაკუთრებული მოხდენილობით გამოირჩევა: გრძელნისკარტიანი — საწურიანი ცალყურა ხელადები, სამყურას ფოთლისებრი პირის მქონე ტანდაბალი ხელადები, რომელთაც ყური, აგრეთვე, გვერდზე აქვთ მიბმული; დაბალი, ორყუ-

რა თასები, სამფეხა თეფში, ტანდაბალი, მუცელზე მოკლე და წვრილმილიანი ჭინჭილა და სხვ.

თიხის ჭურჭელი ორგვარია: ღია მოწითალო და მუქი მოშავო ფერისა; ისინი ერთსადაიმავე სამარხებშია აღმოჩენილი და, ცხადია, ერთად ყოფილან ხმარებაში; ე. ი. არხილოსკალოს სამაროვნის სხვადასხვა ფერის თიხის ჭურჭელი არ არის სხვადასხვა დროის მაჩვენებელი. განსხვავებული ფერი, ამ შემთხვევაში ჭურჭლის დამზადება გამოწვაში არსებული სხვაობით უნდა აიხსნას. ასე მაგ., მოწითალო ფერი თიხის ჭურჭლისა (კეცისა) იმის მაჩვენებელია, რომ მური და ნახშირი გამოწვისას ოქსიდირებულია (დაჟანგულია), ორგანული ნივთიერებანი დამწვარია, რკინაც გაწითლებულია, გადასულია რკინის ჟანგში. შავად გამომწვარ ჭურჭელს ეს მონაცემები არ ახასიათებს*.

თითქოს ანალოგიური სურათი იყო თრიალეთშიაც, ოღონდ უფრო ადრე; მხედველობაში სანთის სამაროვნის ორგვარი კერამიკა: მუქი ხქელკეციანი და ღია მოყვითალო ფერისა. სანთის მასალების მიხედვით საფუძველი არსებობდა ქრონოლოგიურ სხვაობაზეც მიგვექცია ყურადღება, რადგან მითითებული ორი სახის თიხის ჭურჭელი ერთსა და იმავე სამარხში არ აღმოჩენილა; როგორც ვხედავთ, ამის მსგავსი ვითარება არაა ალაზნის ველის მასალების განხილვისას, რადგან მუქი და მოწითალო ჭურჭელი ერთსა და იმავე სამარხშია აღმოჩენილი.

სანთაში, არხილოსკალოზე, კამარახევის სამაროვანზე და ზოგ სხვა ადგილას მუქი ან შავი თიხის ჭურჭლის აღმოჩენა არ გვაძლევს საფუძველს ე. წ. ალაზანიალოილუ-თაფას კულტურის კერამიკის დამახასიათებლად მივიჩნიოთ ისინი; ძირითადი დამახასიათებელი ძვ. წ. III—ახ. წ. I საუკუნეების სამარხთათვის ღია მოწითალო ფერის თიხის ჭურჭელია.

ამ დროისათვის ზოგადად განდევნილია მუქი და შავი ჭურჭელი, მის ადგილას თანდათან ღია მოწითალო ფერისა და არსებითად ახალი სახის, ახლებური მოყვანილობის ჭურჭელია გავრცელებული. ეს სიახლე საერთო დამახასიათებელია იმ ტომთა კულტურისა, რომლის მხოლოდ ერთერთ ქრონოლოგიურ ეტაპს და შეიძლება ლოკალურ სახეობას წარმოადგენს ალაზანიცა და იალოილუ-თაფაც.

იმისათვის, რომ ამ კულტურის ტომთა ვინაობის შესახებ მეტ-ნაკლებად გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ საჭიროა კულტურის გავრცელების სურათი მოვხაზოთ. წინასწარვე უნდა ვიცოდეთ, რომ ამ კულტურისათვის დამახასიათებელი ძეგლები თავს იჩენენ სულ ახალ-ახალ ადგილებში, მაგრამ უმთავრესი ხაზები გავრცელებისა უკვე კარგად ჩანს.

ჩვენ ზემოთ უკვე მივუთითეთ ზოგადად ამ კულტურის გავრცელების მიდამოებზე. საქართველოს ტერიტორიაზე უმთავრესი რაიონები მტკვრისა და ალაზნის ხეობებშია. როგორც აღინიშნა, ყველაზე უფრო დამახასიათებელი მასალა მითითებული კულტურის უკანასკნელი ეტაპისათვის აღმოჩენილია ალაზნის პირას, სოფ. არხილოსკალოსთან. ამას გარდა, ამ კულტურისათვის

---

* ეს არ შეეხება იმ ჭურჭლებს, რომლებსაც დეკორაციული მიზნებით შებოლავდნენ ხოლმე; ასეთი შემთხვევები გვიანბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანაშია გავრცელებული.

საერთოდ დამახასიათებელი ძეგლები აღმოჩენილია შემდეგ პუნქტებში: სოფ. ომალოში, საკობიანოში, ზემო ალვანში, იყალთოში, თეთრ წყლებში, გულგულაში, ქ. თელავში, სოფ. კურდღელაურში, შალაურში, წინანდალში, ქვედა-ხოდაშენში, ბუბათში, ანთოკში, ჭიაურში, ჩუმლაყში, ანაგაში, პატარძეულში, ძველგავაზში, გურჯაანში, კამარახევ-წიწამურში, ავჭალაში, სამთავროში, ძეგვში, აბელიაში, თბილისში და ა. შ. ამას გარდა, არაერთ პუნქტშია ეს კულტურა ცნობილი საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთითაც — ძველი ალბანეთის ტერიტორიაზე; სახელდობრ: ნუხაში, ნიჯში, ამირჯანლუში, ყურუ-ყობაში, გეოქ-თაფაში, ორენ-ყალაში, ყარად-ომლში, დეგმედერეში, მოლლა-ისაკლში, მინგეჩაურში, ჯეირან-ქეჩმაში, ჩოხურ-იურტაში, იალოილუ-თაფაში და სხვ. როგორც ვხედავთ ჯეირან-ქეჩმაა ჯერჯერობით ამ კულტურის გავრცელების უკიდურესი აღმოსავლეთი პუნქტი; ძეგლების შესწავლილობის ახლანდელ დონეზე ჯეირან-ქეჩმაც და ჩოხურ-იურტაც განცალკევებით გამოიყურებიან; ისინი საგრძნობლად მოშორებული არიან როგორც მტკვრისა და ალაზნის ხეობათა გარშემო თავმოყრილ პუნქტებს, ისევე მილისა და მეღანის ველზე აღმოჩენილ პუნქტებსაც. ეს გარემოება, ცხადია, არაფერს ამბობს ჯეირან-ქეჩმას და ჩოხურ-იურტას ჯგუფის გამოყოფის სასარგებლოდ. მომავალი კვლევა-ძიება უთუოდ ახალ შუქს მოჰფენს ამ კულტურის გავრცელების რაიონებს, რადგან, როგორც საფუძვლიანად აღნიშნავდა პროფ. გ. ნიორაძე, ალაზნის ველის კულტურის ნაშთების აღმოჩენა მოსალოდნელია ყველგან, მტკვრის აუზის საშუალო და ქვემო ნაწილებში შემავალ სხვადასხვა ადგილას და, აგრეთვე, მტკვრისა და ალაზნის შესართავ რაიონში.

ყოველ შემთხვევაში ახლანდელი მდგომარეობა იმაზე მიუთითებს, რომ ეს კულტურა ტერიტორიულად ამიერკავკასიის შუა და აღმოსავლეთ ნაწილზე, მდ. მტკვრისა და ალაზნის ხეობათა ფართო ზოლზე მსხდომ ტომთა თუ ხალხთა კულტურაა ძვ. წ. V—I საუკუნეებში: ე. წ. ალაზან-იალოილუ-თაფას კულტურა მხოლოდ ბოლო ეტაპია აქ ხანგრძლივად არსებულისა. ამიტომ მას არსებითად არც უნდა ეწოდოს იალოილუ-თაფის ან ალაზნის, ან კიდევ ალაზან-იალოილუ-თაფის კულტურა *; იგი უფრო ჰერებს უნდა დავუკავშიროთ და მივიჩნიოთ ძვ. წ. V—I საუკუნეების ჰერულ კულტურად, რომლის შექმნაში ალბანელებსაც შეუტანიათ თავიანთი წვლილი და იბერებსაც.

უნდა ვიფიქროთ, რომ V—IV სს. ჰერებს უკავიათ მტკვრის შუა დინების მიდამოები; რა თქმა უნდა, ამ დროისათვის იბერებიც უკვე მოღწეულნი

---

* როგორც ცნობილია, ამ კულტურის დამახასიათებელი მასალების (უმთავრესად კერამიკის) პირველად აღმოჩენის მიხედვით მას იალოილუ-თაფის კულტურა უწოდეს. შემდეგში, ალაზნის ველზე ანალოგიური მასალების აღმოჩენამ საფუძველი მისცა აკად. ს. ჯანაშიას მისთვის ალაზან-იალოილუ-თაფის კულტურა ეწოდებინა და მიეთითებინა ჰერებზე, როგორც ამ კულტურის მატარებელ ტომზე. ახლა, ახალი მასალები კიდევ უფრო მტკიცედ და ფართოდ აყენებენ საკითხს ამ კულტურის მატარებელთა ვინაობის შესახებ. ამიტომ ძველი განსაზღვრანი გადასასინჯი ჩანს, კვლავ და უფრო ჰერების სასარგებლოდ. ამასთანავე, გათვალისწინებული უნდა იყოს ძველ ალბანელთა და უფრო ნაკლებ, მაგრამ მაინც იბერთა წვლილი ამ კულტურის შექმნის საქმეში.



1



2



3

არიან და იწყება ჰერთა „შევიწროება“ აღმოსავლეთით. ეს ფეტად რთული პროცესი ჩანს. უკვე აქ, მერმინდელი იბერიის ტერიტორიაზე, იწყება შეერთება ჰერთა და იბერთა, იწყება შერევა მონათესავე ტომთა ორი არაერთდროული ნაკადისა. ამიტომ არის, რომ ჰერთა განდევნა კი არ დაწყებულა, დაიწყო მსხვილ ტომთა გაერთიანება იბერთა—ქართთა მეთაურობით, რაც იგივეა, რასაც სამეფოს შექმნის პროცესს უწოდებენ. ეს პროცესი ხანგრძლივი იყო და არაერთგვარად მკაფიო. ყველაზე მკაფიოდ და შეიძლება სხვაზე ადრეც, ამ პროცესმა მტკვრისა და არაგვის წყალშესაყართან და გზებშესაყართან იჩინა თავი. ამ პროცესში შესაძლოა ჰერთა ტალღა სამხრეთ-აღმოსავლეთით უფრო ინტენსიურად გავრცელებულიყო. რაც უფრო შორს მიდიოდა ქართების ჰეგემონია, მით უფრო შორს მიდიოდა ჰერთა ტალღაც, ჰერთა კულტურაც, ისე, რომ ძვ. წელთაღრიცხვის ბოლოსათვის მას უკვე ჯეირან-ქეჩმასა და ჩოხურ-იურტამდე მიეღწევია.

რა თქმა უნდა, ტომთა ამგვარი გადაჯგუფება გაძნელდებოდა, რომ აღმოსავლეთ კახეთში უცხო, არაკავკასიური მოდგმის ხალხები მსხდარიყვნენ. კავკასიური მოდგმის ჰერთა სამხრეთ-აღმოსავლეთით გავრცელებისათვის ხელი მაინცდამაინც არ უნდა შეეშალათ აგრეთვე კავკასიური მოდგმის ხალხებს, რომლებიც ამ და საერთოდ ძველი ალბანეთის მიწა-წყალს ფლობდნენ. ე. ი. ჰერთა „მიგრაციაც“ მეგობრულ გარემოში მიმდინარეობდა. ამან თავისებური შედეგიც გამოიღო. უნდა დაწყებულიყო ორმხრივი ასიმილაცია. ამ პროცესში აღმოსავლეთ კახეთის მახლობლად მსხდომ ალბანელთა ნაწილი ჰერთა მიერ იქნა ასიმილებული, ხოლო უფრო ღრმად ალბანეთში გაჭრილი ჰერების ასიმილაცია, პირიქით, ალბანელებმა მოახდინეს და ამ გზით თანდათან შეიქმნა საფუძველი ჰერთა საერისთავოს ან შეიძლება საპიტიახშოს ჩამოყალიბებისათვის. ასეთ ვითარებაში სრულიად ბუნებრივია ჰერულ ან ჰერთა კულტურის ძეგლებს ვხვდებოდეთ არა მარტო ჰერეთში, არამედ იბერიასა და ალბანიაში; თანაც შეიძლება ეს ძეგლები სულ სხვადასხვა ეტაპებს ქმნიდნენ, წარმოადგენდნენ ჰერთა კულტურაში.

ასე დგას ამჟამად საკითხი, როდესაც ვიხილავთ და ვეძებთ ე. წ. ალაზანიალოილუ-თაფას, ე. ი. არსებითად ჰერულ-ალბანურ-იბერული კულტურის შემქმნელებსა თუ მატარებლებს.

გვიანდელი ორმოსამარხების ინვენტარი. ეს ჯგუფი საკმაოდ მრავალფეროვანია; სამარხებში კვლავ გვხვდება თიხის ნაირნაირი ჭურჭელეული; ხშირად საკმაოდ კარგად ნაკეთები და ზოგადად გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის სამარხებიდან ცნობილთა მსგავსი, ასევე, ადრინდელი ტრადიციის გამოძახილი ჩანს რკინის იარაღშიაც; განაგრძობს არსებობას რკინის გრძელი მახვილი, კარგად ცნობილი VIII — VI სს. სამარხებში; მახვილთა ნაწილს ბრინჯაოს ქარქაშიც შემორჩენია, ნაწილს კი ბრინჯაოს ტარიც. გვხვდება რკინისა და ბრინჯაოს ისრის პირებიც, მაგრამ ყველაფერი ეს სრულიადაც არ არის ძველებური, ადრეული რკინის ხანის მასშტაბისა; ე. ი. ამაშიაც აშკარად შეიმჩნევა საქალაქო ცხოვრების სიახლენი — მშვიდობიან მოქალაქეთა ფენის გამრავლება-გაძლიერება. კიდევ უფრო მკაფიოდ იჩენს თავს ეს გარემოება სამკაულში. სამკაული სულ უფრო და უფრო მრავალფეროვანი

ხდება; შეიძლება ითქვას, უხვად ჩნდება პასტისა და პასტისებრი მინის მძივები; არის ქვის მძივებიც, თანაც მრავალფეროვანი და ახალი ხელსაწყო-იარაღებით დამუშავებული. ვრცელდება ბრინჯაოს სარტყელთა ბალთები, საკინძები, პატარა აბზინდები, საყურეები ბრინჯაოსი, ვერცხლისა, ელექტრონისა და ოქროსი. ამ ტიპის სამარხებში ჩნდება გლიპტიკის უძველესი ნიმუშები — ფარაკიან ბეჭედებზე გამოსახული, ამოკვეთილი ნაირნაირი გამოსახულებანი (ახალგორი, თრიალეთი, ალგეთი, მცხეთა და სხვ.). ე. ი. სიახლე საკმაოდ მკაფიოდ ჩანს და თანაც საზოგადოების ცხოვრებაში სიახლეს გვაუწყებს. განსაკუთრებით ცხადად ეს სურათი ქალაქებსა და მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში მეღავნდება (მაგ. მცხეთა). თუმცა ეს ჯგუფი სამკაულისა — ფარაკიანი ბეჭდები — ისევე როგორც რკალჩაზნექილი სამაჯურები, ფართოდ არის გავრცელებული სამხრეთ კავკასიაში და მაშასადამე საქართველოშიაც; ამ უკანასკნელ მოსაზრებას ეხმაურება ბოლო დროის აღმოჩენები სოხუმთან, გუად-იხუს სამაროვანზე.

ყველაზე დიდი რაოდენობით გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოში ე. წ. რომაული ხანის სამარხები; განსაკუთრებით დამახასიათებელი ჩანს მცხეთისა და მისი მიდამოების ვითარება, მაგრამ აღმოჩენების საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ საერთოდ ფართო გავრცელება ამ ხანის სამარხებისა. ამ მხრივაც საყურადღებო სურათს გვაძლევს წალკის რაიონი. დამახასიათებელია, რომ სოფ. ტაშ-ბაშის, საფარა-ხარაბას, სანთის და სხვ. სამარხები ინარჩუნებენ მიცვალებულთა დასვენების ტრადიციულ წესს, რომაულ ხანაშიაც, მაშინ როდესაც მაგ. იგივე არ ითქმის მცხეთის შესახებ. წალკის მითითებულ სამარხებში გვხვდება რკინის იარაღი, სახელდობრ: შუბისპირები, დანები, ცულები და სხვ., ბრინჯაოს სამაჯურები და ღია ფერის თიხის ძირფართო ხელადები. ისევე როგორც სხვაგან, წალკაშიაც გვხვდება იმდროული ორმოსამარხები, მაგრამ მეტწილად უფრო ძველ, ყორღანულ სამარხთა მიწაყრილშია ისინი ჩაჭრილი ან, როგორც ამბობენ ხოლმე, ჩაშვებული. დაკრძალვის წესის დახასიათებისასაც არის მითითებული ეს შემთხვევები, მაგრამ ასეთ ორმოსამარხებში ჩონჩხის ძლიერ ცუდად შენახვის გამო, არაფერი ითქმის მიცვალებულის მდგომარეობაზე; ასეთ სამარხებში აღმოჩენილი მძივები, ბრინჯაოს პატარა ზარაკები, რკინის ბეჭდები და სხვ. განსაზღვრავენ ორმოსამარხთა ხნოვანებას. ამ ტიპის სამარხთა დათარიღებისთვის მეტად ორიგინალური მასალა მოგვცა ბეშთაშენის XXIII ყორღანის მიწაყრილში აღმოჩენილმა ორმოსამარხმა. იქ იპოვეს ამფორისკისებრი ცალყურა, ლურჯად მოჭიქული ქილა (?), რომელშიაც იმპერატორ ავგუსტეს ვერცხლის ფული აღმოჩნდა; შესაძლებელია ეს მონეტა „ადრეული მინაბაძი" იყოს ავგუსტეს დენარის, მაგრამ ახლა მაინც ისაა მთავარი, რომ სამარხს ათარიღებს (და მთელ სამარხეულ ინვენტარსაც) ახ. წ. პირველი საუკუნეებით. ასეთ თარიღს მხარს უჭერს იმავე ჭურჭელში ნაპოვნი, თეთრი მინისებრი ლაქით ორნამენტირებული სერდოლიკის მძივი და წვრილი მძივებიც.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ ხანის სამარხთა განხილვისას ბრინჯაოს დიდ, აეურულ სარტყლის აბზინდას *. ეს აბზინდები, როგორც ცნობილია არც ქართლისათვის არის დამახასიათებელი და არც საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოსთვის, მაგრამ არის შემთხვევები მათი აქ აღმოჩენისაც. ძალიან დიდხანს შეუძლებელი თუ არა, მეტად გაძნელებული იყო მათი დათარიღება იმის გამო, რომ ისინი საიმედო სამარხეულ კომპლექსში არ იყო აღმოჩენილი. თრიალეთის ტერიტორიაზე, მანგლისისა და ხრამჰესის მიდამოებში აღმოჩენილი აბზინდების შესწავლამ, მათთან ასე თუ ისე დაკავშირებული სამარხეული ინვენტარის შედარებითმა შესწავლამ, უფრო საიმედოდ დააყენა ამ ტიპის აბზინდების დათარიღების საკითხი, მაგრამ ნამდვილი სიახლე ამ საქმეში რაჭის, კერძოდ ღ ე ბ ი ს მიდამოების არქეოლოგიურმა გათხრებმა შეიტანეს. ამჟამად, საკმაოდ ცხადია ხნოვანება ამ ტიპის აბზინდებისა; რაჭის არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა დაადასტურეს მათი ხანგრძლივი გავრცელება ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან ახ. წ. პირველ საუკუნემდე მაინც. ახ. წ. პირველ საუკუნეში ამ ტიპის ბალთები თრიალეთის სამარხებშიაც მოხვედრილა, ე. ი. აქაც ანალოგიური თარიღი ჩანს სამარხთლიანი.

ვ ე რ ცხ ლ ის, თ ი ხ ი ს ა და მ ი ნ ი ს ჭ ურ ჭ ლ ე უ ლ ი. ახ. წ. პირველ საუკუნეებს, როგორც ჩანს, წინა ხანიდან შემოყვა სამარხებში თითოოროლა თიხის ჭურჭლის ჩადგმის წესი; ამასთანავე, ჭურჭლის მოყვანილობა ზოგადად ძველებურია, ქვევრსამარხებში აღმოჩენილთა მსგავსია. სიახლე ახ. წ. I—IV სს. სამარხებში აღმოჩენილ ჭურჭლეულში ისაა, რომ გვხვდება მინისა და, უფრო იშვიათად, ვერცხლის ჭურჭელი. ეს მკაფიო დამახასიათებელი ნიშანია, რადგან IV საუკუნის მეორე ნახევრიდან სამარხებში ჭურჭლეული აღარ გვხვდება, როგორც წესი, მხოლოდ სანელსაცხებლე ჩანს შემორჩენილი კარგა დიდხანს. ვერცხლისა და მინის ჭურჭელი, ცხადია, მდიდრულ სამარხებში ჩნდება.

თიხის ჭურჭლის უმთავრეს ჯგუფს, როგორც ვთქვით, წარმოადგენს დაბალი, სფერულმუცლიანი, ყელჩამჯდარი, უმთავრესად ცალყურა, მხარს ქვემოთ და მუცელზე ამობურცული კოპებით შემკული ხელადა. საკმაოდ გავრცელებული ჩანს სამტუჩა სალვინეები — სურები; გვხვდება ორყურა ხელადებიც. თიხის ჭურჭლეულში გამოირჩევა არმაზისხევის მესამე კრამიტსამარხში 1946 წელს აღმოჩენილი ღია მოყვითალო ფერის მოზრდილი ხელადა, რომელსაც პირი სამტუჩა აქვს, ქუსლი — მაღალი, ყელის ძირი — ჭდეებიანი, მუცელი— მსხლისებრი კანელურებით დაფარული; პირს ზემოთ შემაღლებულ, მოხდენილ ყურზე დაძერწილია დაკლაკნილი გველის გამოსახულება. ხელადა მაღალია და საერთოდ თავისი მოხდენილი ფორმებით გამოირჩევა თიხის ხელადებისა და საღვინეებისაგან; იგი მოგვაგონებს ვერცხლისა თუ ბრინჯაოს მაღალ საღვინე სურებს, ე. წ. ბერძნულ ენოხოებს; ეს ხელადა ლითონის სურების მიბაძ-

* სპეციალურ ლიტერატურაში მას „ბალთას" ეძახიან, მაგრამ დანიშნულებით იგი ნამდვილად აბზინდაა, შესაკრავია სარტყლისა; ბალთა ეფრო სხვა დანიშნულებისაა, ის სარტყლის სამკაულია და შეიძლება ერთ სარტყელს რამდენიმე ჰქონდეს (შაგ. ასპავრეკის საერისთავო სარტყელი), აბზინდა კი ერთი აქვს სარტყელს ან იშვიათად ორი (დედალ-მამალი).

ვით შეიძლება იყოს ნაკეთები. ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ ხელადა იმ ხანას მიეკუთვნება, როდესაც მდიდართა წრეში საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული ვერცხლის სუფრები.

არის შემთხვევები სამარხებში თიხის ლამბჟების აღმოჩენისა (მაგზოლეუმის ტიპის სამარხი მცხეთის სადგურთან), მაგრამ ეს ძალიან იშვიათი მოვლენაა.

ახ. წ. პირველ საუკუნეებში ეთავრესად ქალაქებში საკმაოდ გავრცელებული ჩანს მინის ჭურჭელი; ის გვხვდება ქვის სამარხებში, კრამიტსამარხებში, კერამიკული ფილებით ნაგებ სამარხებში და ორმოსამარხებში. როგორც წესი იგი სამარხეული ინვენტარის შემადგენლობაში შედის, ე. ი. ყველაზე უძველესი ნიმუშები მინის ჭურჭლისა ახ. წ. პირველი საუკუნეების სამარხებიდან მომდინარეობს. დამახასიათებელია ამ მხრივ ე. წ. კრამიტსამარხები (მაგ. სამთავროს სამაროვნისა და არმაზისხევისა).

მინის ჭურჭლის გავრცელებას წინ უსწრებს მინისა თუ მინისებრი მასალის სამკაულთა—მძივთა გავრცელება. ზემოთ უკვე ითქვა, რომ მინისებრი მასალისაგან დამზადებულ მძივ-სამკაულთა სიმრავლე და ნაირსახეობა საფუძველს გვაძლევს მათი ადგილობრივი წარმოება ვივარაუდოთ; ისიც იყო მითითებული, რომ ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავები, რომლებსაც ადგილობრივ ნაწარმად მიიჩნევენ და ძვ. წ. IV—III სს. ათარიღებენ. ახლა ისიც უნდა შევიხსენოთ, რომ თრიალეთში, ღებსა და სამთავროში გაცილებით უფრო ადრინდელი მოქიქული ჭურჭელია ნაპოვნი, რომლის ადგილობრივობა საერთოდ არის აღიარებული. ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში ჩვენში ჩნდება მინის ჭურჭელიც; ასეთია მაგ. წინწყაროს (ალგეთის) მდიდრულ სამარხში აღმოჩენილი მოზრდილი თეფში, რომელიც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, გვიან აქამენიდურ ხანაში მინის ან მინისებრი მასალის მძივ-სამკაულთა გარდა მინის ჭურჭლის გავრცელების შესახებაც. ალგეთის ფიალა ძალიან ჰგავს ივავდროულ ვერცხლის ფიალებს, რომლებიც სამეგურეშია აღმოჩენილი. ამ გარემოებას უთუოდ აქვს მნიშვნელობა მითითებული ჭურჭლის ადგილობრივ კეთების სასარგებლოდ, მაგრამ ამ საკითხის გადასაწყვეტად ის საკმარისი არ არის; მით უმეტეს, რომ როგორც ახალგორის, ისე წინწყაროს კომპლექსებში არის უცხოური იერის მქონე საგნები: მაგ. ხმელთაშუა ზღვის აუზში ცნობილი ფიალები, რომელთაც „ოკოვნისებრი ჩაღრმავებები“ აქვთ და თვალ-ბაგის საფარი თხელი ორნამენტიანი ფირფიტები.

ასევე უცხოურ (ბერძნულ-რომაულ) იერს ატარებს ახ. წ. პირველი საუკუნეების მინის ჭურჭელი. არის შემთხვევები, როდესაც თითქმის შეუძლებელია ბევრი მათგანის მოყვანილობის გარჩევა რომაულთაგან; მაგრამ არის შემთხვევები უცხოური იერის მქონე და თანაც აშკარად წუნდებული მინის ჭურჭლის აღმოჩენისა მცხეთაში. ეს გარემოება ძალიან დამაფიქრებელი ჩანს; თითქოს არ უნდა ვივარაუდოთ წუნდებული მინის ჭურჭლის შემოტანა ქართლში. ისიც ისეთ დაშინაურებულ ცენტრში, როგორიც იყო მცხეთა. ეს გარემოება და ზოგი ცნობა მინის და მინისებრი მასალის მძივ-სამკაულთა დიდი რაოდენობით აღმოჩენის შესახებ მიგვითითებს, რომ ახ. წ. პირველ საუკუნეებში მაინც ქართლში უნდა ყოფილიყო გავრცელებული ადგილობრივი წარმოების მინის

ჭურჭელიც. თუნდაც უცხოურის მისაღებად საკეთები. ისე კი, ბერძნულ-რომაული ნაწარმის გავრცელება ჩვენში საერთოდ სრულიად ბუნებრივია და კარგად შეესაბამება ფართოდ გაშლილ საგაჭრო, საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობის ინტენსივობას, სწორედ ახ. წ. პირველ საუკუნეებში.

მინის ნაწარმის სადაურობის გარკვევისას მნიშვნელობა აქვს ტექნოლოგიურ მონაცემებსაც. როგორც დოც. რ. ბახტაძის ნაშრომიდან ჩანს, სპეციალისტების ყურადღებას იქცევს მცხეთის სამარხებში აღმოჩენილი მინის დნობის მაღალი ტექნიკა, რომლის კარგ ილუსტრაციას წარმოადგენს სილიციუმის ორჟანგის (SiO_2) მაღალი პროცენტული შემადგენლობა (66—70) ახ. წ. I—III სს. მინაში, და ჰაერის ბუშტულების მინიმალური რაოდენობა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ხელოსნებს ოსტატურად შეუტრიფავთ მინის გამაუფერულებელი მეთოდები: ანალიზი უჩვენებს, რომ მინის კაზმის შემადგენლობაში ხელოვნურადაა შეტანილი მანგანუმი, რაც შესაძლებელია ხდის ვივარაუდოთ, რომ ხელოსნებს მინის გასაუფერულებლად უნდა გამოეყენებინათ მანგანუმის ორჟანგი — პიროლუზიტი. როგორც ჩანს, ოსტატებს კარგად მოუხერხებიათ ღია იისფერი, მუქი იისფერი და ღია მოამწვანო მინის მიღებაც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ისაა, რომ ღია მოამწვანო მინის შემადგენლობაში მანგანუმი ისეთი რაოდენობით არის, რომ მინის კაზმში დამატებით აღმდგენელი ნივთიერების (ნახშირის) შემატებისა და საგანგებო ხელშეწყობის გარეშე. მინა უფერული უნდა გამოსულიყო. ასევე, დიდი დახელოვნების მაჩვენებელია ლურჯი მინის მისაღებად კობალტისა და სპილენძის ერთდროული შეტანა მინის კაზმში: გამოთქვამენ ვარაუდს, რომ შესაძლებელია მინის კაზმში ლღობის გაადვილების მიზნით უმატებდნენ ტყვიას, რომელიც გვხვდება აგრეთვე ლურჯ მინებში.

რარიგ საინტერესო შეიძლება იყოს მინის წარმოების მაღალი ტექნოლოგიის მანიშნებელი მონაცემები, ისინი მაინც გადაჭრით ვერ წყვეტენ საკითხს მინის ადგილობრივი წარმოების სასარგებლოდ, რადგან ჯერჯერობით არა ჩანს სახელოსნოს ნაშთები. გამლღვარი მინის წვეთები, დიდი რაოდენობით წუნდებული ნაწარმი და სხვა. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არ იძლევა საწინააღმდეგო მოსაზრებას, მინის ნაწარმის მთლიანად უცხოური წარმოების აღიარების მტკიცე საფუძველს.

მინის ხარჯვისათვის საჭირო ძირითადი ნედლეული — კვარცის ქვიშა, კირქვა და მირაბილიტი მცხეთის მიდამოებში იმდროის წარმოების მასშტაბისათვის საკმარისი რაოდენობით მოიძებნებოდა; ამას გარდა, უკვე იყო მითითებული წუნდებული ჭურჭლის (მართალია ერთადერთის) აღმოჩენის შესახებ: დადასტურებულია ფეოდალური ხანის მინის საბერი ქურეხნის არსებობა კარსანში და, ამ ბოლო ხანებში შენიშნულია ასეთივე სახელოსნო ნიჩბისის მახლობლად, სადაც სხვათა შორის, ნაპოვნია გამლღვარი მინის წვეთებიც. თუ ეს უკანასკნელი ანტიკური ხანისა აღმოჩნდა, მაშინ ახ. წ. I—III სს. სამარხებში აღმოჩენილი მინის ჭურჭლების წარმოშობის საკითხის გადაჭრა შედარებით გაადვილდება. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობისა უნდა იყოს ურბნისში აღმოჩენილი მინის ზოდები, რომელთა შესწავლა ცხადსა ხდის, რომ ის მინის სალღობ თუ მინის საბერ სახელოსნოს არსებობაზე უნდა მიუთითებდეს.

ანტიკური ხანის ქართლის ტერიტორიაზე აღმოჩენილ სამარხთა აღნაგობა და დაკრძალვის წესი. აღმოსავლეთ საქართველოს ახლანდელ ტერიტორიაზე ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან დაკრძალვის წესშიაც და სამარხთა აღნაგობაშიაც მრავალფეროვნება შეინიშნება. ამასთანავე, ქვეყნის სხვადასხვა თემში ხშირად ერთმანეთისაგან განსხვავებული სურათი ჩანს.

ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანაში გაბატონებული ტიპი სამარხებისა — ე. წ. ორმოსამარხები — მონათმფლობელური ხანის დასაწყისშიაც საკმაოდ გავრცელებული უნდა ყოფილიყო მთელ აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით კი ქართლში. ძველი წელთაღრიცხვის ბოლო საუკუნეებისათვის ორმოსამარხებს იშვიათად ეხვდებით სხვა მრავალრიცხოვან სამარხთა შორის. მცირე რაოდენობით ორმოსამარხები გვხვდება კიდევ დიდხანს, თვით გვიანფეოდალურ ხანაშიაც, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ გვიანფეოდალური ხანის ორმოსამარხებს წარმოშობით საერთო არაფერი აქვთ ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ორმოსამარხებთან, რომლებიც კანონზომიერად, თუმცა არა ძველებური მასშტაბით, განაგრძობენ არსებობას მონათმფლობელურ ხანაშიაც. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მონათმფლობელური ხანის ორმოსამარხები არ განსხვავდებიან წინა ხანის ორმოსამარხებისაგან. განსხვავება საკმაოდ მკაფიოა. პირველყოვლისა აღნაგობრივი განსხვავება, აღნაგობრივი სიახლე იჩენს თავს, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, აგრეთვე მკაფიო განსხვავება დაკრძალვის წესშიაც.

გვიანდელი ორმოსამარხები. ორმოსამარხები აღნაგობასა (აგებულებასა) და დაკრძალვის წესში შენიშნული მკაფიო განსხვავების გამო ამ ტიპის სამარხები პირობითად შეიძლება ორ მთავარ ჯგუფად დავანაწილოთ და შესაბამისად ამისა, ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ორმოსამარხებს ა დ რ ი ნ დ ე ლ ი ო რ მ ო ს ა მ ა რ ხ ე ბ ი, ხოლო მომდევნო — მონათმფლობელური ხანის ორმოსამარხებს გ ვ ი ა ნ დ ე ლ ი ო რ მ ო ს ა მ ა რ ხ ე ბ ი ვუწოდოთ.

გვიანდელ ორმოსამარხთა აგებულების სიახლეზე საუბრისას მხედველობაში გვაქვს სამარხთა ახლებური სახურავი, გვიანდელ ორმოსამარხთა უმრავლესობა ერთი ან რამდენიმე ფილაქვით ანუ ლოდითაა გადახურული, თუმცა, რა თქმა უნდა, მრავლად გვხვდება ქვაყრილით დაფარული ან სრულიად უსახურავო ორმოსამარხებიც. ასე მაგალითად, მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სამთავროს ველზე არაერთი გვიანდელი ორმოსამარხი გათხარა, რომელთა შორის ფილაქვით გადახურული ორმოსამარხებიც არის და „სრულიად უსახურავონიც". იმავე ექსპედიციამ 1953 წელს სამთავროს სამაროვნის პირდაპირ მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე დაიწყო კამარახევის სამაროვნის გათხრა და იქ ოციოდე გვიანდელი ორმოსამარხი აღმოაჩინა, რომელთაგან ზოგს თხელი ქვიშაქვის ლოდები ეხურა, ზოგს კი ქვაყრილი ჰფარავდა, როგორც ჩანს, ეს სურათი კამარახევის სამაროვანს უფრო ახასიათებს, ვიდრე სამთავროს, მაგრამ მთავარი ახლა ისაა, რომ იგი დასტურდება „დიდი მცხეთის" მიწაწყალზე. გვიანდელი ორმოსამარხები, რომლებიც შეიცავდნენ ძვ. წ. I ათას-

წლეულის შუა და მომდევნო ხანებისათვის დამახასიათებელ მასალებს, ცნობილია სხვა ადგილებშიაც, მაგალითად: 1924 წელს წიწამურში გათხრილი ორმოსამარხი; 1949 წლის აღმოჩენები სოფ. სათოფლეში (ძეგვთან ახლოს), საგურამოში, ალაზნის ველზე — სოფელ არხილოსკალოსთან და სხვ.

თუ ფილაქვით გადახურვა შეიძლება მივიჩნიოთ გვიანდელ ორმოსამარხთა ერთერთ დამახასიათებელ ნიშნად, იგივე არ ითქმის ქვაყრილიან და უსახურავო სამარხთა შესახებ. ქვაყრილიანი ორმოსამარხები ადრეც იყო ცნობილი, ოღონდ შედარებით იშვიათად და განსხვავებული სახისა. გვიანდელ ორმოსამარხთა შორის ქვაყრილიანი საკმაოდ გავრცელებულია და ამიტომ, ეს ტიპიც დამახასიათებლად გვეელინება. „უსახურავო" ორმოსამარხი მეტისმეტად პირობითი განსაზღვრაა. ამ შემთხვევაში მხედველობაშია ის ორმოსამარხები, რომელთაც სახურავის კვალი არ შემოუნახავთ. ასეთია ადრინდელი ორმოსამარხების მეტი ნაწილი.

ახალი თითქმის არაფერი ითქმის გვიანდელ ორმოსამარხთა ძირითადი ნაწილის, საკუთრივ ორმოს მოყვანილობის შესახებ. როგორც ჩანს, ისევ მოგრძო-ოთხკუთხა ან ოვალური ორმოები იყო გავრცელებული, ოღონდ, ზოგჯერ ეს ორმოები შედარებით მოკლენი ჩანან და მათში მიცვალებულები კიდურების უფრო ძლიერი მოკეცვის წყალობით ჩატეულან. ასეთი შთაბეჭდილება იქმნება კამარახევზე, მაგრამ იგივე არ ითქმის საგურამოს, სამთავროს და სხვა სამაროვანთა მიმართ.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა თვალი გავადევნოთ დაკრძალვის წესში შემჩნეულ სხვა ცვლილებასა თუ სიახლეს.

გვიანდელ ორმოსამარხებში ამ მხრივ თვალსაჩინო განსხვავება შეიმჩნევა. ზოგი მიცვალებული ძალიან მოკეცილია; აშკარად უფრო მკვეთრად, ვიდრე ადრინდელ ორმოსამარხებში. ასეა, მაგალითად, კამარახევის სამაროვანზე. ზოგი კი, პირიქით, ოდნავ მოკეცილი წევს; ამათ შორის გვხვდება ისეთებიც, რომლებიც გაშოტილ მდგომარეობას უახლოვდება. ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებენ სამთავროსა და საგურამოს სამაროვნები.

ეს გარემოება მიჩნეულია გვიანდელ ორმოსამარხთა ერთერთ დამახასიათებელ ნიშნად იმიტომ, რომ ადრინდელ ორმოსამარხთა გაცნობისას ასეთი მკვეთრი სხვადასხვაობა, როგორც წესი, არ შეიმჩნევა.

ამ ხანების ორმოსამარხებს ერთნაირად ახასიათებს მიცვალებულთა დასვენება მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილ მდგომარეობაში. ამასთანავე, გვიანდელ ორმოსამარხებშიაც ქალები უმეტესად მარცხენა გვერდზე წვანან, მამაკაცები კი მარჯვენაზე. როგორც ადრე აღინიშნა, დამხრობის — ორიენტირების მკაცრად განსაზღვრული კანონზომიერება გვიანდელ ორმოსამარხებშიაც არ შეიმჩნევა.

ადრინდელ ორმოსამარხებშ მხოლოდ თითო მიცვალებული მარხია, ამიტომ ასეთ სამარხებს ინდივიდუალური სამარხები ეწოდება. შემდეგში ამ წესს მტკიცედ აღარ იცავენ. გვიანდელ ორმოსამარხებში უკვე გვხვდება იშვიათი შემთხვევები ორ-ორი მიცვალებულის დამარხვისა, მეტწილად მშობლისა და ჩვილი ბავშვის თანადასაფლავებისა. ასეთი სურათი დადასტურებულია მცხეთასთან, კამარახევის სამაროვანზე და სხვ.

რცელება მიცვალებულისათვის ჩატარებული ინვენტარის სახეც. გვიანდელ ორმოსამარხებში, ისევე როგორც სხვა ტიპის სამარხებში, აღარ გვხვდება საომარი იარაღი და საერთოდაც შემცირებულია ნივთების რაოდენობა. თავს იჩენს ახალი ტიპის სამკაულები და კერამიკა.

გვიანდელი ორმოსამარხების დამახასიათებელი ნიშნების გაცნობა გვიჩვენებს ორმოსამარხთა განვითარების ახალ საფეხურს და ამასთან დაკავშირებით დაკრძალვის წესის სიახლეთა შესახებაც სათანადო წარმოდგენასა ქმნის. მაგრამ ყველაფერი ეს ჯერ კიდევ არ არის საკმაო იმისათვის, რომ ამ სამარხებში ადრინდელ ორმოსამარხთაგან განსხვავებული ტიპი დავინახოთ. პირიქით, მონათმფლობელურ ხანაშიაც განაგრძობს არსებობას დიდი ხნით ადრე გაბატონებული სამარხის ტიპი — ე. წ. ორმოსამარხი, რომლის განვითარებაში, როგორც ზემოთ ითქვა, ძირითადად ორი ქრონოლოგიური საფეხური შეინიშნება: ა) ადრინდელი ორმოსამარხები და ბ) გვიანდელი ორმოსამარხები.

ქვითნაგები სამარხები ანუ ქვისსამარხები. ზემოთ უკვე ითქვა, რომ გვიანდელი ორმოსამარხები შედარებით იშვიათი მოვლენაა სხვა მრავალრიცხოვან სამარხთა შორის. უკანასკნელებში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ქვისსამარხები ანუ აკლდამები. ამ ტიპის სამარხებიც ძალიან ფართოდ არის გავრცელებული საქართველოში როგორც ტერიტორიულად, ისე ქრონოლოგიურად. ქვისსამარხები აგებულების მიხედვით ერთნაირი არ არის, მაგრამ ეს სხვაობა არ შეიძლება მკვეთრ ტიპობრივ სხვაობამდე ავიდეს. მიუხედავად სამარხთა შედგენის განსხვავებული გულმოდგინეობისა, ქვის გათლადამუშავების ტექნიკისა და ხარისხისა, შემადგენელ ლოდთა სხვადასხვა სიდიდისა და ა. შ. ძირითადი მაინც უცვლელი რჩება: მიცვალებულის დასაკრძალავად ქვით შედგენილი ნაგებობაა შექმნილი.

სპეციალურ ლიტერატურაში მრავალრიცხოვანი შემთხვევებია მითითებული სხვადასხვა ხანის ქვისსამარხთა აღმოჩენისა როგორც ერთიმეორის მეზობელ ქვეყნებში, ისე ერთმანეთისაგან დიდად დაშორებულ ადგილებშიაც. მაგალითად, ცნობილია ორინიაკისა და სოლუტრეს ეპოქის მიცვალებულთა ქვისსამარხში დაკრძალვის შემთხვევები. ასევეა, მაგალითად, 1929 წლის აღმოჩენები მალტასა და ირკუტსკთან ახლოს. იქ მ. გერასიმოვმა გათხარა 3—4 წლის ბავშვის სამარხი, რომელსაც შერჩენოდა ვერტიკალურად ჩადგმული გვერდის ლოდებიცა და სახურავიც. მსგავსი შემთხვევები დადასტურებულია სოლუტრეში, გრიმალდში და სხვ. ახალიქვის ხანიდან კი შედგენილი ქვისსამარხები შესამჩნევად გავრცელებული ჩანს და მეცნიერები თითქმის ერთხმად ცნობენ ქვისსამარხების გავრცელებას ამ ეპოქიდან მოყოლებული.

მრავლად არის აღმოჩენილი სხვადასხვა დროის ქვისსამარხები მცირე აზიაში, მახლობელ აღმოსავლეთში, შუა აზიასა და ციმბირში, ევროპასა და კავკასიაში.

ასეთი ვითარების გამო დღემდე გადაუჭრელად ითვლება საკითხი ქვისსამარხების წარმოშობისა და გავრცელების გზების შესახებ. ეს შეეხება კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე ქვისსამარხების გამოჩენასაც. ანდა უფრო ფართოდ, საკითხს იმის შესახებ თუ სად და როდის დაიწყეს

ქართველმა ტომებმა აქ ტიპის სამარხთა კეთება და გამოყენება. ქართველ ტომთა ერთი ნაწილის სავარაუდო უძველესი საცხოვრისის არქეოლოგიური შესწავლის ახლანდელი დონე არ იძლევა საკმარის საფუძველს ამ საინტერესო საკითხზე არსებითი ხასიათის მსჯელობისათვის.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქართველ ტომთა შორეული წინაპრების ერთი ნაწილი დასახლებული უნდა ყოფილიყო კავკასიის გარდა მცირე აზიის ცენტრალურ ნაწილსა და მახლობელი აღმოსავლეთის ზოგიერთ ოლქშიც, მაშინ მნიშვნელოვანი იქნება მითითებულ ტერიტორიაზე ქვისსამარხთა გავრცელების სურათის გათვალისწინება. არქეოლოგიური აღმოჩენები გვიჩვენებენ, რომ მცირე აზიაში ქვისსამარხები გვხვდება ძვ. წ. მესამე ათასწლეულიდან.

როგორც ვხედავთ, ქვისსამარხების ეს ჯგუფი ძალიან ადრეული ხანისაა და ამჟამად შეუძლებელია გადაჭრით რაიმეს თქმა იმ სამარხთა შემდგომი ბედის შესახებ, რომლებმაც როგორც ზემოთ ვნახეთ, თავი იჩინეს ჯერ კიდევ ქვის ხანაში. მაშასადამე, ჯერჯერობით არაა ჩვენს განკარგულებაში ისეთი მასალა, რომელიც შეიძლება იძლეოდეს საფუძველს დადებითად ან უარყოფითად გადაწყდეს საკითხი ქვის ხანის, მეოთხე — მესამე ათასწლეულის, პირველი ათასწლეულის, ანტიკური ხანისა და ფეოდალური ხანის ქვისსამარხთა გენეტიკური კავშირის შესახებ. საკითხი საბოლოოდ თითქოს გადაუჭრელი რჩება, მაგრამ ეს უფრო უნდა შეეხოს პალეოლითისდროინდელ ქვისსამარხებთან ურთიერთობას. ბრინჯაო-რკინის ხანის და შემდეგ, ანტიკურ-ადრეფეოდალური ხანის ქვისსამარხთა ურთიერთკავშირი ბუნებრივია და განსაკუთრებულ განხილვას არც საჭიროებს. ეს ერთნაირად შეიძლება შეეხოს საერთოდ ქვისსამარხთა გავრცელებას, და, რა თქმა უნდა, მათს გავრცელებას კავკასიასა და საქართველოშიც.

ქვით ნაგები უძველესი სამარხები აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოს სხვადასხვა ნაწილში ქვითნაგებ სამარხებს სხვადასხვა ეპოქაში ვხედავთ. ასე მაგალითად, წალკა-თრიალეთის მხარეში აღმოჩენილია სპილენძის ხანის ქვითნაგები სამარხი, რომელშიაც ხელფეხმოკეცილი, მარჯვენა გვერდზე დასვენებული მიცვალებული აღმოჩნდა. მიცვალებულს მარჯვენა ხელი გამართული და ტანის გასწვრივ ჩამოშვებული ჰქონდა. იგი თავით სამხრეთით იყო დამხრობილი. წალკა-თრიალეთის მხარეში საკმაოდ გავრცელებული ყოფილა ქვითნაგები სამარხები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარსა და მომდევნო ხანებშიაც.

გვიანი ბრინჯაოს ხანის ქვისსამარხები მრავლად არის აღმოჩენილი დმანისის რაიონში, მდ. ჰამამლო-ჩაის მარჯვენა ნაპირზე, იმ ადგილას, რომელსაც ერთ დროს იქ შუშის ქარხნის არსებობის გამო, ადგილობრივი მოსახლეობა „შ უ შ ი ს ქ ა რ ხ ა ნ ა ს“ ეძახის. ამ სამაროვანზე გათხრილ ქვისსამარხებს პროფ. გ. ნ ი ო რ ა ძ ე ძვ. წ. X—IX საუკუნეებს მიაკუთვნებს.

გვიანი ბრინჯაოს ხანის ქვითნაგები სამარხები აღნიშნულია აგრეთვე სამხრეთ ოსეთში; მდ. რიონის სათავეებში ბრილის ნასოფლარზე, სადაც დიდ ორმოებში ფილაქვებით გამართული უძველესი სამარხებია გათხრილი. ქვითნაგები სამარხები აღმოჩენილია ქვასცთალსა და ნულში; VI—IV საუკუნით თარიღდება სოფ. ზემო გოსტიბეში აღმოჩენილი ქვისსამარხები.

ადრინდელი ქვითნაგები სამარხები მარტო შიდა და ქვემო ქართლისათვის, რაჭისა და თრიალეთისათვის არაა დამახასიათებელი. ქვითნაგები სამარხები ცნობილია კახეთში (გურჯაანი, წინანდალი და სხვ.), აგრეთვე შაითან-დაღში, ახტალაში და სხვა ადგილებში, რომელთა მიდამოები აწინდელი საქართველოს ტერიტორიაში არ შედის.

დასასრულ საჭიროა აღინიშნოს ქვითნაგებ სამარხთა განსაკუთრებული სახეობის — დ ო ლ მ ე ნ ე ბ ი ს აღმოჩენა დასავლეთ საქართველოში, სახელდობრ, აფხაზეთის ტერიტორიაზე (სოფ. ეშერა, აჭანდარა, უადხარა, აზანთა და სხვ.).

ამრიგად, ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითებიც ცხადად გვიჩვენებენ, რომ ქვითნაგები სამარხების ტიპი საქართველოში ძალიან ძველი და მკვიდრი ტრადიციის მქონეა. ე. ი. არ არსებობს დამარწმუნებელი საფუძველი იმისათვის, რომ სამარხთა ამ ტიპის გარედან შემოსვლა ვივარაუდოთ და მხოლოდ ეთნიკურ ერთეულთა მოძრაობას ან მათ მნიშვნელოვან ცვლილებებს დავუკავშიროთ. ქვისსამარხი უნდა იყოს ადგილობრივ მკვიდრთა მიერ შექმნილი სამარხი ნაგებობა, რომელიც ხალხმა, მართალია მეტ-ნაკლებად სისტემატურად და უწყვეტად, მაგრამ მაინც, ათასეული წლების მანძილზე შეინარჩუნა.

ამ მოკლე მიმოხილვიდანაც აშკარად ჩანს, რომ ქვითნაგები სამარხები ქრონოლოგიურად ძალიან დიდხანს და ტერიტორიულად ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში. ეს განსაზღვრა, რა თქმა უნდა, ვრცელდება ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებზედაც.

საკმაოდ მწყობრ სურათსა ქმნის თრიალეთის ტერიტორიაზე ამ ხანის ქვისსამარხთა შესწავლის შედეგების გათვალისწინება.

სოფ. ბეშთაშენთან, მდ. ბაიბურთ- ჩაის ანუ გერია- ჩაის მარჯვენა ნაპირას პროფ. ბ. კუფტინის მიერ გათხრილ სამაროვანზე აღმოჩენილი ქვისსამარხები, როგორც ცნობილია, მიჩნეული იყო თრიალეთის ადრინდელი ორმოსამარხებიდან უფრო გვიანდელი (ე. წ. ვანის ეპოქის) სამარხებისკენ გარდამავალ საფეხურად.

ძვ. წ. I ათასწლეულის შუა და მომდევნო ხანის სამარხები აღმოსავლეთ საქართველოში. ამის შემდეგ თრიალეთში ჩნდება მომდევნო ხანის ქვისსამარხები, ე. ი. თითქოს ხორცს ისხამს ის, რაც ერთგვარ გარდამავალ რგოლად იყო დასახული ბეშთაშენის ზემოთ მითითებულ სამაროვანზე. ნათქვამის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ ბეშთაშენის მეგალითურ ციხესთან გათხრილი სამაროვნის ქვის სამარხები — № 17 და 39, იმავე სამაროვნის ორი ადრეანმენიდური ხანის ქვისსამარხი და სხვ.

ამავე ქრონოლოგიურ ჯგუფს უახლოვდება პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის მიერ მანგლისში გათხრილი ქვისსამარხები; ალგეთის ხეობაში, სოფ. წინწყაროსთან აღმოჩენილი ქვისსამარხები, კერძოდ, 1940 წლის ივლისში აღმოჩენილი მდიდრული ქვისსამარხი; სოფ. სანთასთან ნერონ-დერესის სამაროვანი, გათხრილი აგრეთვე თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, და 1953 წელს აღმოჩენილი სამაროვანი სოფ. აბელიასთან; ამ ხანის ქვისსამარხები აღმოჩნდა 1958 წელს სოფ. წოფთან, დებედა-ჩაის ხეობაში; ნაწილი კამარახევის სამარხებისაც ამ ხანას მიეკუთვნება. ეს არასრული ჩამოთვლაც კი კარგად გვიჩ-

ვენებს, რომ თრიალეთის ტერიტორიაზე ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებსა და მეორე ნახევარში ფართოდ იყო გავრცელებული ქვითნაგები სამარხები ანუ ქვისსამარხები.

ადრინდელი ქვითნაგები სამარხები ყველა ერთნაირი არ არის. ზოგი დიდია, მეტისმეტად სქელი, ტლანქი და უსწორო ლოდებით შედგენილი; ზოგიც ამათთან შედარებით პატარაა; თხელი, თითქმის დაუმუშავებელი და, როგორც წესი, არათანაბარი ლოდებით ნაგები, შემადგენელი ლოდების სიტლანქე, ცხადია, მთელ სამარხს უხეში ნაგებობის იერს აძლევს. ჩვეულებრივად ასეთი სამარხი მოგრძო, ოთხკუთხა ნაგებობას წარმოადგენს, თუმცა გვხვდება თითქმის კვადრატულებიც. მეტწილად ასეთი სამარხის ყოველ გვერდს თითო ლოდი შეადგენს. არის ისეთი სამარხებიც, რომელთა სიგრძივი გვერდები ან ერთერთი მათგანი ორი, მეტ-ნაკლები სიდიდის ლოდისაგან შედგება, ეს სამარხები მეტწილად 2 ან 3 ფილაქვითაა გადახურული, მაგრამ გვხვდება ერთი ლოდით გადახურული სამარხებიც.

იატაკი ამ სამარხებს ქვისა არა აქვთ; მიწაა მოსწორებული, ზოგჯერ კარგად მოტკეპნილიც.

სამარხის შემადგენელ ლოდებს შორის დარჩენილი ფარღიატები ფილაქვის ნატეხებით ან რიყის ქვით არის ამოვსებული. საერთოდ ადრინდელი ქვითნაგები სამარხები გულმოდგინედ ნაგები არ ჩანს.

ასეთია ზოგადი სურათი ე. წ. აქამენიდური და ელინისტური ხანის ანუ ადრინდელი ქვისსამარხების აგებულება-აღნაგობისა.

როგორც ვხედავთ, თვით ამ ქრონოლოგიურ ჯგუფშიაც სრული ერთგვაროვნება არ არის. ამის გამო, ადრინდელი ჯგუფის დახასიათებისას ერთი რომელიმე სამარხის გაცნობა, მისი აგებულების დახასიათება არ არის საკმარისი.

რაკი ქვისსამარხები თვალსაჩინოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, საჭიროა ზოგიერთი მათგანის აგებულების მოკლე დახასიათება მაინც: ბეშთაშენის მეგალითურ ციხე-სიმაგრესთან 1939 წ. აღმოჩენილმა სამაროვანმა მოგვცა მცირე ზომის ქვისსამარხები (1,5×0,85 მ-დან 0,9×0,5 მ-მდე), რომელთა შემადგენელი ლოდები — გვერდის ფილაქვები ძალიან უხეშად დამუშავებული ჩანან. სახურავადაც ამ სამარხებს ასევე ტლანქად დამუშავებული დიდი ლოდები ჰფარებიათ თავის დროზე. სამარხები მეტწილად აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ არიან დამხრობილნი, თუმცა არის ჩრდილოეთიდან-სამხრეთის მიმართულებით დამხრობილი სამარხებიც. ყველა ქვისსამარხში მიცვალებული ხელფეხმოკეცილ მდგომარეობაშია ერთერთ გვერდზე დაწვენილი. მიცვალებულთა ორიენტირებაც სხვადასხვაგვარია; ზოგ სამარხში მიცვალებულს თავი აღმოსავლეთისაკენა აქვს მიქცეული, ზოგს კი პირიქით — დასავლეთისკენ ან, შესაბამის ქვისსამარხებში, სამხრეთისა თუ ჩრდილოეთისაკენ.

ასეთივე მოკლე ქვისსამარხები გათხარა მანგლისში პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა და მათში ძლიერ მოხრილ მდგომარეობაში ჩაწვენილი მიცვალებულები.

წინწყაროს მდიდრული სამარხის შესახებ მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ისიც ქვისსამარხია, რომელშიაც ადამიანის ჩონჩხის ნაშთი თითქმის არც შეიმჩნევა. სამწუხაროდ ამის გამო არაფერი ითქმის ამ მნიშვნელოვანი ქვის-

სამარხის აგებულებისა და იქ დაკრძალული მიცვალებულის (ვარაუდით ქ-ლის) მდგომარეობის შესახებ.

მომდევნო ქრონოლოგიურ ჯგუფში ექცევა 1936—1937 წლებში სოფ. სანთას სამხრეთ-დასავლეთით, ნერონ-დერესის ნაპირას გათხრილი სამაროვანი. ამ სამაროვანზე აღმოჩნდა მოკლე, თითქმის კვადრატული ქვისსამარხები, შედგენილი საკმაოდ მოზრდილი ლოდებისაგან. სამარხის კედლებად 4 ლოდია დაყენებული; მათ შორის არსებულ ხარვეზს წვრილი ქვები ავსებენ. სამარხის სახურავადაც ერთი დიდი, ტლანქი ლოდია გამოყენებული.

სამარხის განაზომები დაახლოებით ასეთია: 1,0×0,7-0,5 მ; სახურავის ფილაქვა, როგორც უკვე ითქვა, შედარებით დიდია (1,2-1,4×0,9-1,0 მ). ასეთია გარეგნული სახე ნერონ-დერესის სამაროვნის ქვისსამარხებისა.

დაკრძალვის წესშიაც სიახლე შეიმჩნევა. სამარხის სიმოკლე მიცვალებულის ძლიერ მოკეცვას იწვევს და, პირველ ყოვლისა, ეს მდგომარეობა გამოიყურება დამახასიათებლად. ამასთანავე მიცვალებულები ყველა სამარხში მარჯვენა გვერდზე წევანან, თავი დასავლეთითა აქვთ და სახით სამხრეთს შესცქერიან. ასეთი წესი სხვა სამაროვანზე არ იყო დადასტურებული და იგი ნერონ-დერესის სამაროვნის დამახასიათებლად შეიძლება მივიჩნიოთ.

ამ სამაროვნის ცალკეულ სამარხებში წყვილთა დაკრძალვის შემთხვევებიც გვაქვს (მაგალითად, ქალისა და ათიოდე წლის ქალიშვილისა). ესეც სიახლეა.

დაკრძალვის წესში შენიშნული თავისებურებანი (მარჯვენა გვერდზე წოლა, ერთნაირი ორიენტირება, მკაფიო მოხრილობა და წყვილთა ერთ სამარხში დაკრძალვის შემთხვევები) ნერონ-დერესის სამაროვანს აშკარად გამოყოფს ბეშთაშენის, წინწყაროს, მანგლისის და სხვ. სამაროვანთაგან. ეს სიახლენი ქრონოლოგიური განსხვავების ანარეკლი უნდა იყოს. აქ უნდა დავინახოთ ე. წ. გვიანანქამენიდური და ელინისტური ხანის ვითარებათა ანარეკლი, გამოძახილი. ეს დასკვნა განსაკუთრებით მას შემდეგ შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოსთან, რაც ამ სამარხებში აღმოჩენილი ინვენტარის გვიანანქამენიდური და ელინისტური იერის მქონე ჯგუფებს გავეცნობით.

ასევე მოკლე, ზოგჯერ თითქმის კვადრატული ქვისსამარხებია აღმოჩენილი ალგეთის ხეობის სხვადასხვა პუნქტებში. ასეა მაგალითად სოფ. აბელიას სამაროვანზე.

ზემოთაც აღინიშნა, რომ სამარხ ნაგებობათა სახეობებისა და გავრცელების მხრივ საქართველოს სხვადასხვა თემში არ არის ერთნაირი სურათი. პირველ ყოვლისა ყურადღებას იქცევს მდ. მტკვრის გასწვრივ ზოლში, განსაკუთრებით შიდა ქართლის მონაკვეთზე ძვ. წ. I ათასწლეულის შუა და მომდევნო ხანების ქვისსამარხთა შესამჩნევი სიმცირე. მცხეთის ჩრდილოეთ გარეუბნის—სამთავროს სამაროვანიც ჯერ არაფერს, თითქმის არაფერს იძლევა საერთო სურათის შესავსებად.

ასე რომ, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ. I ათასწლეულის შუა და უშუალოდ მომდევნო ხანებში სამარხთა ამ ტიპის ფართოდ გავრცელებაზეა საუბარი, რა თქმა უნდა, საყოველთაო გავრცელება არ იგულისხმება. კიდევ მეტი, რაც უფრო ეუახლოვდებით ძვ. და ახ. წელთაღრიცხვათა მიჯნას, თითქოს მით უფრო მცირდება ქვისსამარხთა რაოდენობა და

ჩნდება ახალი ტიპის სამარხები, ე. ი. თითქოს თანდათან უთმობს გზას ქვისსამარხები ახალი ტიპის სამარხებს. მაგრამ წელთაღრიცხვათა მიჯნაზე, განსაკუთრებით კი ახ. წ. პირველ საუკუნეებში იწყება ახალი საფეხური ქვისსამარხთა გამოყენების საქმეში, მასობრივად და, შეიძლება ითქვას, საყოველთაოდ ვრცელდება ქვისსამარხებში აღმოსავლეთ საქართველოში.

უკვე ითქვა, რომ ქვითნაგები სამარხების ანუ ქვისსამარხების ტიპი მეტისმეტად დიდხანს ცოცხლობს. ეს, რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ ზემოთ მოკლედ დახასიათებული და ახ. წ. პირველი საუკუნეების ქვითნაგები სამარხები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არა საზოგადოდ ტიპობრივად, ორამედ შედგენისას გამოჩენილი გულმოდგინებით, რომელსაც უთუოდ ახალი ტიპის რკინის ქვისსათლელი იარაღებიც უწყობდა ხელს და მიცვალებულის პატრონის შეძლებულობაც. საქმე იქამდე მიდის, რომ ჩნდება ახალ-ახალი სახეობანი ქვითნაგები სამარხებისა, რომელთაგან ზოგიერთის განსხვავება და თავისებურება ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანების ქვისსამარხებთან შედარებით ისე მკვეთრია, რომ ბუნებრივად გამოიყურება ახალი ტიპის გამოყოფაც კი.

აღნიშნული გარემოების გამო ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ხანის აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილ ქვითნაგებ სამარხებს ორ ძირითად ქრონოლოგიურ ჯგუფად დავყოფთ. ეს იქნება: ა) ადრინდელი ქვისსამარხები, რომლებიც მოიცავენ წელთაღრიცხვების მიჯნის წინა ხანების ქვითნაგებ სამარხებს და, ბ) გვიანდელი ქვისსამარხები, რომლებიც მოიცავენ ახ. წ. I—IV და მომდევნო საუკუნეების ქვითნაგებ სამარხებს.

ამრიგად, ჩვენ ვიწყებთ გვიანდელი ქვისსამარხების მიმოსილვას, მათს აღნაგობრივ დახასიათებას და დაკრძალვის წესის აგრეთვე საერთო მიმოხილვას.

გვიანდელი ქვისსამარხები. ქართლის და საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ გვიანდელ ქვისსამარხებში სამი ტიპი გამოირჩევა:

1. მავზოლეუმის ტიპის სამარხები — აკლდამები. 2. მთლიანად კვეთილი ქვისსამარხები ანუ სარკოფაგები და 3. შედგენილი ქვისსამარხები.

ამათგან ქართლის სამეფოს მთელ ტერიტორიაზე გავრცელებულია მესამე ტიპი — შედგენილი ქვისსამარხები. პირველი და მეორე ტიპი იშვიათია: მთელს სამეფოში ჯერჯერობით მხოლოდ ორი მავზოლეუმის ტიპის აკლდამაა აღმოჩენილი და ოთხი მთლიანადკვეთილი სამარხი, ე. წ. სარკოფაგი, ისიც ანტიკური ხანის აღმოსავლურ-ქართული (იბერიის) სამეფოს ძველი დედაქალაქის — მცხეთის ტერიტორიაზე.

მავზოლეუმის ტიპის აკლდამები (ტაბ. XXVII, 1). მავზოლეუმის ტიპის ერთი აკლდამა ქართლის (იბერიის) სამეფოს ძველი დედაქალაქის აკროპოლისში (შიდაციხეში) მდგარა თავის დროზე, მეორე კი — მცხეთის ახლანდელი რკინიგზის სადგურის მახლობლად ძველი ხიდის პირდაპირ, არმაზის ქედის ჩრდილო კალთის ძირას.

შიდაციხის აკლდამა 1947 წელს გაითხარა, მცხეთის ძველ ხიდთან აღმოჩენილი კი — 1951 წელს. ეს უკანასკნელი ყოველმხრივ შესანიშნავი ძეგლია და თა-

ნაც პირვანდელი სახით შემონახული, სრულიად დაუზიანებელი ნაგებობაა, განსხვავებით ბაგინეთის აკლდამისაგან, რომლის მხოლოდ საძირკველმა შემოინახა თავი ჩვენს დრომდე. ამ გარემოების გამო 1951 წელს აღმოჩენილი სამარხი ნაგებობის — მავზოლეუმის ტიპის აკლდამის დახასიათებას დავჯერდეთ.

მცხეთის ეს აკლდამა ერთსენაკიან ნაგებობას წარმოადგენს (სენაკის სიგრძე 2,37 მ აღწევს, სიგანე კი — 1,80 მ; სიმაღლე — კამარის ქუსლამდე—0,93 მ, ხოლო თხემამდე — 1,80 მ). იგი აშენებულია ქვიშაქვის თლილი ქვებით; ამგვარი ქვათლილებით არის აშენებული აკლდამის კედლები და მისი ნახევარწრიულად გამოყვანილი კამარა. აკლდამის აღმოსავლეთი კედელი განსაკუთრებული მონდომებითა და ხელოვნებით არის ნაგები. სწორედ ეს მხარეა შენობის ფასადი. ეს კედელი დგას დაბალ, ერთსაფეხურიან ცოკოლზე; კედლის შუაში იწყება კარი, რომელსაც ზღურბლად ცოკოლი აქვს, ხოლო საპირედ მკაფიოდ პროფილირებული, მოყვითალო ქვიშაქვის ლოდები, რომელთა ერთი ნაწილი კარის საპირესა ქმნის, გაგრძელება კი, სხვა მსგავს ლოდებთან ერთად, ფასადის შემოსვას ემსახურება. კარში მჭიდროდ იჯდა დიდი, კარგად გათლილი სწორკუთხოვანი ქვიშაქვის ლოდი (1,03 X 0, 68 X 0,20 მ). ამ გზით საკმაოდ დახშული ჩანდა აკლდამის კარი.

აკლდამას ორფერდა სახურავი აქვს. იგი გადახურულია ქართული (მცხეთური) ანტიკური კრამიტით; სახურავი ოთხივე გვერდზე მნიშვნელოვნად სცილდება თვით აკლდამის კედლებს.

აკლდამის კედლები და ნახევარწრიული კამარა შიგნიდან კარგად არის შელესილი კირხსნარით. სამარხი დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ.

როგორც აღინიშნა, აკლდამა არმაზის ქედის ჩრდილო კალთის ძირას, ფერდობზე დგას. აქ საგანგებოდ მოუმზადებიათ სამშენებლო მოედანი, დაუვაკებიათ ფერდობი და ჩაუჭრიათ სწორკუთხოვანი ეზო აკლდამისა. ამრიგად შექმნილი ზღუდე ნაშენია ნატეხი ქვითა და თიხით. შიგნიდან ის თიხითვეა შელესილი. ეზოში ჩასასვლელად აკლდამის გალავნის ჩრდილო კედელში ფართო, მიწაში გამოკვეთილი საფეხურებია. ამ საფეხურებზე, როგორც ჩანს, დროებითი ხასიათის ქვაფენილი ყოფილა თავის დროზე. საკუთრივ აკლდამა ეზოს დასავლეთ ნაწილში დგას, იგი თითქმის მიდგმულია ეზოს დასავლეთ კედელზე. სამარხ ნაგებობას ქვაბულის ნახევარზე ნაკლები ფართობი უკავია, ხოლო მის წინ დარჩენილია საკმაოდ ფართო მოედანი (დაახლოებით 40 კვ. მეტრი), ალბათ დაკრძალვის რიტუალის შესასრულებლად — მიცვალებულის წინასწარ დასასვენებლად, გამოსათხოვებლად და ა. შ. განკუთვნილი. ასეთი მოედანი აუცილებელიც იყო, რადგან აკლდამა, როგორც ვნახეთ, მცირე მოცულობის ნაგებობაა და მისი კარიც არ არის ჰირისუფალთა შესასვლელად გაანგარიშებული.

აკლდამაში აღმოჩენილი ფიცრის ნაშთები და მათთან დაკავშირებული რკინის სალტეები, ლურსმნები, ბრინჯაოს საკეტები და სხვ. მიუთითებს, რომ მიცვალებული ხის სარეცელზე უნდა ყოფილიყო დასვენებული.

აკლდამა ახ. წ. პირველ საუკუნეს მიეკუთვნება და მდიდრული ფენის, შეიძლება სამეფო, ან სამეფო კარის გამოჩენილი წევრის სამარხს წარმოადგენდეს. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა: გრანდიოზული ხასიათი სამარხი ნაგე-

ბობისა, მისი აგება სახელმწიფოებრივ შენობათათვის ასე დამახასიათებელი ქვათლილებით; აგრეთვე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებისათვის დამახასიათებელი კრამიტით გადახურვა; აკლდამის შიგნითა პირის გულმოდგინედ შელესვა; ამ ტიპის სამარხთა იშვიათობა; მისი აგება თვალსაჩინო ადგილას და აკლდამის ინვენტარის საერთო ხასიათი.

დაახლოებით ანალოგიური აზრის გამოთქმა შეიძლება შიდაციხეში (ბაგინეთზე) აღმოჩენილი აკლდამის შესახებაც.

გვიანდელ ქვისსამარხთა პირველი ტიპის ასეთი დახასიათება კიდევ უფრო დამაჯერებელი გახდება თუ ზოგიერთ პარალელურ მასალას გავითვალისწინებთ. ასე მაგალითად, გამორკვეულია, რომ ოლვიაში აღმოჩენილი მსგავსი აკლდამა ცნობილ ისტორიულ პირებს ევრისიციუსს და არეთას ეკუთვნოდა; ევრისიციუსი და არეთა ძველი, მდიდარი და წარჩინებული გვარისანი იყვნენ. ირკვევა, რომ მათ ეს აკლდამა თავიანთ სიცოცხლეშივე აუშენებიათ; მშენებლობა თურმე 17 დღე გრძელდებოდა. ბ. ფარმაკოვსკის გამორკვეული აქვს, რომ ასეთი დანიშნულების ნაგებობანი ხშირად უფრო მკვიდრად შენდებოდა და მხატვრულადაც უკეთ იყო გაფორმებული, ვიდრე საცხოვრებელი სახლები.

ცნობილ რუს მეცნიერს ვ. ლატიშევს მიაჩნდა, რომ 17 დღე ასეთი აკლდამის მშენებლობისათვის ძალიან მცირე ვადა იყო და მოითხოვდა დიდი რაოდენობით მუშახელსა და ასევე, დიდი რაოდენობის ფულადი სახსრების დახარჯვას.

ოლვიის მაგალითი გვიჩვენებს, რომ მცხეთა ამ მხრივ არავითარ გამონაკლისს არ წარმოადგენდა. ქართლის სამეფოს მესვეურთა, წარჩინებულთა და მდიდართა დასაკრძალავად ახ. წ. პირველ საუკუნეში ჩნდება ქვისსამარხთა ახალი სახეობა — მ ა ვ ზ ო ლ ე უ მ ი ს ტ ი პ ი ს ა კ ლ დ ა მ ე ბ ი. ამიტომ, სავსებით ბუნებრივია, რომ სამარხთა ეს ტიპი პირველ რიგში სამეფოს ძველ დედაქალაქში — მცხეთაში გაჩნდა.

გადაჭრით არაფერი ითქმის იმის შესახებ თუ როდის იყო აგებული ეს აკლდამა, იქ დაკრძალულის სიცოცხლეში თუ გარდაცვალების შემდეგ. ოლვიის მაგალითი გვიჩვენებს, რომ ეს აკლდამა სიცოცხლეშივე უშენებიათ. როგორ იყო მცხეთაში, არ ვიცით, მაგრამ სამეფოს განვითარების საერთო ვითარება შესაძლებელს ჰქმნიდა ასეთი დიდებული ნაგებობა მართლაც რამდენიმე დღეში აეშენებიათ; საამისო ხუროთმოძღვრებიც, ქვითხუროებიც, დიდძალი მუშახელიცა და საჭირო თანხებიც იქნებოდა სამეფო კარის განკარგულებაში. ახლა იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ სახურავი კრამიტის სამეფო სახელოსნოებშიც უნდა არსებულიყვნენ მცხეთაში და არც საშენებლო ქვა იყო შორს საძებნი, მაშინ მაინცადამაინც რთულად არ უნდა ჩაითვალოს ასეთი ნაგებობის შექმნა რამდენიმე დღის განმავლობაში. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ აკლდამის სიცოცხლეშივე აგების შემთხვევები იმ ხანების ქართლში შეიძლება ცნობილი ყოფილიყო. ასეთი დასკვნის საფუძველს იძლევა შემდეგი ცნობა, მართალია უფრო გვიანი ვითარების ამსახველი. „ქართლის ცხოვრებაში" მოთხრობილია იმის შესახებ, რომ მირიან მეფის მოქცევის „მეოცდახუთესა წელსა მოკუდა ძე მისი რევ, სიძე თრდატ სომეხთა მეფისა, რომლისადვე მიეცა მეფობა სიცოცხლესავე მისსა. და დაფლეს აკლდამასავე, რომელი თჳთ მასავე რევსა აღეშენა".

ამ ცნობის მიხედვით შეიძლება დავუშვათ მცხეთის ძველ ხიდთან აღმოჩენილი აკლდამის აგება მისი პატრონის სიცოცხლეშივე.

მთლიანადკვეთილი ქვისსამარხები ანუ სარკოფაგები. სულ ოთხი მთლიანადკვეთილი ქვისსამარხი ანუ სარკოფაგია აღმოჩენილი შიდაციხეში და საკუთრივ მცხეთაში. ოთხივე მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ არის გათხრილი და შესწავლილი.

გვიანდელი ქვისსამარხების მეორე ტიპი მეტად თავისებური აგებულებისაა. როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, ამ ჯგუფში მხოლოდ სარკოფაგები შედის (ტაბ. XXVII, 3). სარკოფაგი შედგება: ა) მთლიანი ქვისაგან გამოთლილი მიცვალებულის დასასვენებელი ქვედა ნაწილისა და ბ) ასევე მთლიანი ქვისაგან გამოკვეთილი ზედა ნაწილის ანუ სახურავისაგან. ქვედა ნაწილი ოთხივე სარკოფაგს ბირითადად ერთნაირი აქვს; ზედა ნაწილის ანუ სახურავის მოყვანილობის მიხედვით ამ ტიპში ორი სახეობა გაირჩევა: ორფერდასახურავიანი და ბანურსახურავიანი. ორფერდასახურავიანი არმაზისხევის ერისთავთა სამაროვნის მე-7 სამარხი (სარკოფაგი) და ბაგინეთის კლდეკართან აღმოჩენილი სარკოფაგი. ბანურსახურავიანია არმაზისხევის მე-6 სამარხი (სარკოფაგი).

სარკოფაგის ქვედა ნაწილი პარალელოპიპედის მოყვანილობის ქვიშაქვის მონოლითისაგან არის გამოთლილი. მიცვალებული ჩასვენებული იყო სწორედ ამ მონოლითში. საამისოდ ამოკვეთილია მონოლითის გული ისე, რომ როგორც გრძივი, ისე განივი გვერდების სისქე დაახლოებით 0,15 მ უდრის; სიღრმე ამოკვეთილი ნაწილისა 0,50 მ აღწევს. სარკოფაგი გარედანაც კარგადაა გათლილ-გამოკოდილი და გვერდების შიდა პირებიც წესიერ სიბრტყეებს წარმოადგენენ.

სარკოფაგებს, როგორც ითქვა, ორფერდა ან ბანური სახურავი აქვთ. ბანური სახურავი მარტივია. იგი წარმოადგენს მთლიანი ქვიშაქვისაგან გამოკვეთილ ბრტყელ ლოდს. უფრო რთულია ორფერდა სახურავის აღნაგობა. ორფერდაა არმაზისხევის მე-7 სამარხი-სარკოფაგის და ბაგინეთის კლდეკარის სარკოფაგის სახურავები, მაგრამ ისინი ერთმანეთისაგან თვალსაჩინოდ განსხვავდებიან.

არმაზისხევის მე-7 სამარხის სახურავიც ერთი მთლიანი ლოდისაგანაა გამოთლილი; ის განივკვეთში ხუთწახნაგოვანია. მისი თხემიცა და გვერდებიც მკვეთრი წიბოებით ხასიათდება, თავსა და ბოლოში დატოვებული აქვს უსწორო პრიზმული გამონაშვერები (დაახლოებით 0,10×0,20×0,28 მ). ეს გამონაშვერები სახურავის საკმაოდ მძიმე ლოდის აწევ-დაწევასა და გადატანა-გადმოტანას უნდა აადვილებდეს.

ზოგადად ასეთივეა ბაგინეთის სარკოფაგის სახურავიც, ოღონდ მას გამონაშვერები არა აქვს თავ-ბოლოში და წახნაგებიც უფრო მოგრძგვალებულ იერს ატარებენ. მკვეთრი წიბოები არც თხემზეა და არც სიგრძივ გვერდებზე.

ორივე სარკოფაგის სახურავი შიგნიდანაც გამოჭრილია, გული კამარისებრ ამოღებული აქვს, ეს კეთდებოდა სარკოფაგის შიდა სივრცის გაზრდისა და, ალბათ, სახურავის შემსუბუქების, ე. ი. აწევ-დაწევისა და გადატან-გადმოტანის გაადვილების მიზნით. ამ სარკოფაგთა სახურავზე და ქვედა ნაწილზე ერთიმეორის პირდაპირ, თანაც ახლო-ახლო ამოჭრილია პატარ-პატარა სწორკუთხოვანი ფოსოები, განკუთვნილი რკინის სამაგრებისათვის. ასეთი სამაგრები არ აღმოჩენდა არმაზისხევის სარკოფაგს, მაგრამ ჰქონდა ისინი ბაგინეთისას. ყოველ-



1

2



3



4



5



6

7



8



9

რკინის სამაგრის ერთი ბოლო სარკოფაგის ქვედა ნაწილის კედელზე ამოკვეთილ ფოსოში იყო ტყვიით ჩადუღებული, ხოლო მეორე ბოლო — სახურავის შესაბამის ფოსოში და, ამრიგად, ჰკრავდა სარკოფაგის ორივე ნაწილს.

არმაზისხევის სარკოფაგები დამხრობილია ჩვეულებრივად, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ბაგინეთისა კი არა — იგი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ იყო მიმართული; როგორც ჩანს, ახ. წ. პირველ საუკუნეებში გავრცელებული დამხრობა — დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გამონაკლისის გარეშე საკალდებულო არ ყოფილა. ასეთ მოსაზრებას მხარს უჭერს, როგორც ქვემოთ ვნახავთ, არმაზისხევის ერისთავთა სამაროვნის მე-5 სამარხიც.

ჯერჯერობით ამით ამოიწურება არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილ მონათმფლობელური ხანის სარკოფაგთა რიცხვი. არის ცნობა 1919 წელს არმაზისხევთან კიდევ ერთი სარკოფაგის აღმოჩენის შესახებ. მაგრამ შემდგომმა გათხრებმა ამ ცნობის დასამტკიცებლად დადებითი შედეგი არ გამოიღო.

მ. ივაშჩენკო თვლიდა, რომ დიღმის სარკოფაგი შეიძლება ხნოვანებით არმაზისხევურს დაუახლოვდეს. ჩვენი აზრით, ამ მოსაზრების გასაზიარებლად სათანადო საფუძველი არ არსებობს. მის უარყოფას მხარს უჭერს თვით სარკოფაგი, რომელიც საერთო იერით მცხეთის სარკოფაგებს არ ჩამოგავს. ის ამათზე უფრო გრძელი, მაღალი და უფრო თხელკედლიანია. ყველაფერი ეს კი მოყვანილობით განსხვავებულის შთაბეჭდილებას ქმნის. საკითხის ასე თუ ისე გადაჭრას აძნელებს ისიც, რომ დიღმის სარკოფაგს სახურავი აკლია, ე. ი. ისეთი ნაწილი, რომელიც ერთბაშად გამოყოფს ფეოდალური ხანის სარკოფაგთა დამახასიათებელ ნიშნებს.

ქვის სამარხთა ეს ტიპი გავრცელებული ჩანს სირიაში, მცირე აზიაში, შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროებში, კავკასიაში, საერთოდ კი ანტიკურსა და ელინისტურ სამყაროში.

არმაზის (ქართლის) სარკოფაგებს ძალიან ჰგავს მაგალითად კუნძულ კრეტაზე, კერამეიკოსის გათხრებისას ნაპოვნი ძვ. წ. V—IV სს. სარკოფაგი. განსაკუთრებით დიდია ამ სარკოფაგის მსგავსება არმაზისხევის მე-7 სამარხ-სარკოფაგთან. კერამეიკოსის სარკოფაგის ასაკისაა ჩრდილოეთ სირიაში — ალ-მინაში აღმოჩენილი სარკოფაგი, რომლის შედარება ასევე წარმატებით შეიძლება არმაზისხევის მე-6 სამარხ-სარკოფაგთან. მოყვანილობით ძალიან ჰგავს არმაზისას და ხნოვანებითაც თითქმის მისი ტოლია ჰოლანდიაში, შტაინში აღმოჩენილი სარკოფაგი, რომელიც სხვა ნივთებთან ერთად რომაელი იმპერატორის ადრიანე კეისრის (117—138 წწ.) მონეტებს შეიცავდა და ა. შ.

დაახლოებით ამ ხანებშია გავრცელებული სარკოფაგები სსრ კავშირის სამხრეთ რაიონებში, კერძოდ, ქერსონესის და ბოსფორის სამეფოებში. აღმოჩენილი სამარხები იმ მხრივაც იქცევენ ყურადღებას, რომ მცხეთის სარკოფაგების მსგავსად სიმარტივით, გარედან შეუმკობლობით ხასიათდებიან; თანაც ისინი სწორედ ახ. წ. პირველი საუკუნეებიდან ჩანან გავრცელებული. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ: ქერჩში 1862 წელს აღმოჩენილი ბანურსახურავიანი სარკოფაგი; იქვე, მითრიდატის გორაზე გათხრილი ახ. წ. მეორე საუკუნის სარკოფაგები, ქერსონესში 1899 წელს, ქერჩში 1902—1905 წლებში, ტამანში 1915 წელს აღმოჩენილი სარკოფაგები და სხვ.

სარკოფაგთა გავრცელების ზემოთ ნაჩვენები სურათი აყენებს საკითხს სამარხთა ამ ტიპის წარმომავლობის შესახებ. მით უმეტეს, რომ სამარხი სარკოფაგები კიდევ უფრო ფართოდ ვრცელდება ფეოდალურ საქართველოში, ისე ფართოდ, რომ დგება საკითხი სარკოფაგებში მიცვალებულთა დაკრძალვის ტრადიციის დიდი სიძველის შესახებ. ასეა თუ ისე, ჯერჯერობით მაინც არ არის აღმოჩენილი ისეთი რგოლი, რომელიც ანტიკური და ფეოდალური ხანის საქართველოს სარკოფაგებს გენეტიკურად ერთმანეთს დაუკავშირებდა.

არ არის გამორიცხული, რომ არმაზისხევისა და ბაგინეთის სარკოფაგები დაკავშირებული იყოს ანტიკური და განსაკუთრებით ელინისტური კულტურის ფართოდ გავრცელებასთან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ახლო ურთიერთობა ჩანს ამ მხრივ ქართლსა და ძველი ბოსფორისა და ტავრიკის ტერიტორიებს შორის, რომელთანაც ანტიკური ქართლის არქეოლოგიურ ძეგლებს საზოგადოდ ბევრი რამ საერთო მოეძებნება.

საყურადღებოა მიცვალებულთა დაკრძალვის წესი. ირკვევა, რომ ამ ტიპის სამარხებში — სარკოფაგებში მიცვალებულებს საგანგებო სარეცელზე ასვენებდნენ. განსაკუთრებით მდიდრული ჩანს ბაგინეთის კლდეკარის სარკოფაგში დაკრძალული ქალის (როგორც წარწერა გვიჩვენებს, სეფექალის) სარეცელი, რომლის ოთხივე ფეხი რთული რელიეფური ჩუქურთმითაა დაფარული (ტაბ. XXIX, 3). ამ სარეცლის ფეხის ჩუქურთმებში მკვეთრად გამოირჩევა თითქმის სკულპტურული გამოსახულება არწივის თავის და უფრო დაბალი რელიეფები სპილოს და სხვ. გამოსახულებათა. სარეცლის ჩუქურთმოვან გამოსახულებებს შემოკრული აქვს ვერცხლის თხელი ფურცელი, რომელიც ზედმიწევნით ზუსტად იმეორებს კაკლის ხეზე გამოკვეთილი გამოსახულების ყველა დეტალს და, ამრიგად, ისეთ შთაბეჭდილებასა ქმნის, თითქოს ვერცხლის ქანდაკოვან ნაწილებთან გვქონდეს საქმე.

რთული ქანდაკოვანი სახეებითაა შემკული არმაზისხევის სარკოფაგებში აღმოჩენილი სარეცლის ფეხებიც, ოღონდ ამ შემთხვევაში მეტწილად ვერძის თავის სტილიზებულ გამოსახულებებთანა გვაქვს საქმე.

როგორც ჩანს, სარეცელი ყოველთვის ვერ ეტეოდა სარკოფაგში ვერც სიმაღლითა და შეიძლება, ვერც სიგრძე-სიგანით. ასეთ შემთხვევაში მას დაშლილი სახით ათავსებდნენ სარკოფაგში. ასეთი სურათია მაგალითად ბაგინეთზე და შეიძლება არმაზისხევშიაც (მაგ. მე-6 სამარხში). ამ უკანასკნელში ორი სარეცლის ნაწილები აღმოჩნდა; ერთი დიდი ჩანს, მეორე კი — პატარა. ეს გარემოება სარკოფაგში ორი მიცვალებულის დაკრძალვას უნდა მოასწავებდეს. ასეთ შთაბეჭდილებას სარკოფაგში აღმოჩენილი ნივთების სიუხვეც აძლიერებს.

სარკოფაგებში მიცვალებულის მდგომარეობის ზუსტად განსაზღვრა ვერ ხერხდება, რადგან ასეთ სამარხებში ადამიანის ჩონჩხი ცუდად ინახება, ადრე იშლება, იფიტება. მაგრამ ზოგიერთი ძვლის ადგილმდებარეობა და განსაკუთრებით ნივთების განლაგება ერთგვარ საფუძველსა ქმნის ვივარაუდოთ, რომ სარკოფაგში მიცვალებული პირაღმა გაშოტილი ან ოდნავ ხელფეხმოკეცილი ცალ გვერდზე უნდა წოლილიყო, თავით დასავლეთისაკენ.

ასე მაგალითად, არმაზისხევის მე-7 სამარხში ჩონჩხის გადარჩენილი ნაწილი მარჯვენა გვერდზე დასვენებულ მდგომარეობას უფრო გვავარაუდებინებს.

ბაგინეთის სარკოფაგში კი მიცვალებული პირაღმა გაშოტილი უნდა წოლილიყო. არმაზისხევის მე-6 სამარხში დაკრძალულის (თუ დაკრძალულთა) მდგომარეობის შესახებ მსჯელობა გაძნელებულია. საერთოდ კი სარკოფაგებში მიცვალებულთა მდგომარეობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა ამ ტიპის სამარხთა შედარებით მცირე მოცულობა.

ამრიგად, გვიანდელ ქვისსამარხთა მეორე ტიპის სამარხი ნაგებობანი სარკოფაგებს წარმოადგენენ. ისინი ორი მონოლითური ნაწილისაგან შედგებიან: ქვედა — პარალელოპიპედისებრი, მიცვალებულის ჩასასვენებლად განკუთვნილი; ზედა — სახურავი. სახურავის მოყვანილობის მიხედვით გამოირჩევა: ბანურსახურავიანი და ორფერდასახურავიანი სარკოფაგები. დამხრობის მიხედვითაც გაირჩევა: დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ დამხრობილი სარკოფაგები.

სარკოფაგთა ქვედა და ზედა ნაწილების ერთმანეთთან მტკიცედ დამაგრება, მათი შეკვრა რკინის გამირებით ხორციელდებოდა.

მიცვალებული სარკოფაგებში ჩადგმულ ან დაშლილი სახით მოთავსებულ სარეცელზე უსვენებიათ. სარკოფაგებში თითო მიცვალებულია ჩასვენებული, თუმცა გამოთქმულია ვარაუდი ერთერთ მათგანში ორი მიცვალებულის დაკრძალვის შესახებ.

სარკოფაგები ადგილობრივი ჯიშის კირქვისაგანაა გამოთლილი ქვის სათლელი იარაღით, რომელთა შორის საკმაოდ წმინდა მრავალკბილა საკოდელიც კი შეიმჩნევა.

სარკოფაგები ახ. წ. პირველ ორ საუკუნეს მიეკუთვნება, გავრცელებულია ნეზობელ ქვეყნებშიაც, განსაკუთრებით შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროში, და წარმოშობით შეიძლება დაკავშირებული იყოს ანტიკური და ელინისტური კულტურის საერთო გავრცელებასთან.

ქვითნაგები სამარხები ანუ ქვისსამარხები. სამარხთა ეს ტიპი, როგორც აღვნიშნეთ, ძალიან ფართოდ და დიდხანს იყო გავრცელებული ქართლში ახ. წ. პირველი საუკუნეებიდან (ტაბ. XXVII, 2). პირველ ხანებში ამ ტიპის სამარხს უფრო შეძლებული, მმართველი ფენა იყენებდა. შემდეგ თანდათან ჩნდება და უფრო და უფრო ინტენსიურად ერცელდება შედარებით ცუდად ნაკეთები ქვისსამარხები. ჩანს, მას უკვე ფართო ფენები იყენებენ. ამ ტიპის სამარხთა გავრცელებამ ისეთი სწრაფი ხასიათი მიიღო, რომ IV საუკუნისათვის მან თითქმის მთლიანად განდევნა სამარხთა სხვა სახეობანი.

ქვისსამარხთა შორის ნაირსახეობა შეიმჩნევა, მაგრამ ისინი მაინც ერთ ტიპს წარმოადგენენ, რადგან ყველა შედგენილი ქვისსამარხებია. იმის მიხედვით, თუ, სახელდობრ, როგორია ქვისსამარხთა შემადგენელი ნაწილები, გაირჩევა ორი უმთავრესი სახეობა: ა) ფ ი ლ ა ქ ვ ი თ ნ ა გ ე ბ ი სამარხები და ბ) ნ ა ტ ე ხ ი ქ ვ ი თ ნ ა გ ე ბ ი ს ა მ ა რ ხ ე ბ ი.

ქვისსამარხთა გავრცელების პირველ ხანებში აღმოსავლეთ საქართველოში მხოლოდ პირველი სახეობა ჩანს. უფრო გვიან კი, განსაკუთრებით IV და მომდევნო საუკუნეებში ხშირია ნატეხი ქვით ნაგები სამარხებიც. ამრიგად, გარკვეული ქრონოლოგიური თანმიმდევრობა აქაც აშკარაა.

ფილაქვით ნაგები სამარხები. როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, ამ სახეობის სამარხები შედგენილია დიდრონი ფილაქვებით, რომლებიც მეტ-ნაკლები მონდომებითაა გამოკვეთილი ადგილობრივი ქვიშაქვებისაგან.

ფილაქვით ნაგები სამარხები, ჩვეულებრივ, ოთხკუთხა, პარალელოპიპედის მოყვანილობისაა. მათ გვერდებს თითო ფილაქვა წარმოადგენს, სახურავს კი — სამ-სამი ფილაქვა. შენიშნულია ამ წესისგან გადახვევის შემთხვევებიც. ზოგ სამარხს სიგრძივ კედლებად ორ-ორი ფილაქვა აქვს; ზოგს კიდევ სახურავად ორი ან სამზე მეტიც. განსხვავებულია სამარხის შედგენის ხერხებიც; ზოგი ფილაქვა წესიერად არის გამოჭრილი და კარგადაცაა გათლილი, ზოგს კი სრულიადაც არ ეტყობა დამუშავება, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ქვიშაქვის ლოდს, ქვის ფიცარს, ოთხკუთხი მოყვანილობა მიეცა, შეიძლება, ქვის სატეხშივე, ქვის ახოზევე.

განსაკუთრებით გულმოდგინედ ჩანს ნაკეთები მდიდრული სამარხები: ფილაქვებიც კარგად არის დამუშავებული და გვერდებიც მჭიდროდაა შეკრული. გვერდის ფილაქვების ერთიმეორესთან კარგად მორგების მიზნით განივ კედლებს ხშირად ნაპირები სიმაღლეზე ამოჭრილი აქვთ, რომელშიაც ჯდება გრძივი კედლები; ასეთ წესს ნარიბანდების ამოჭრას ეტყვიან. მდიდრულ სამარხებში რკინის გამირების გამოყენების შემთხვევებიც არის დადასტურებული. ძირითადად ორი სახის გამირებია გამოყენებული: ა) გვერდის ფილაქვების ერთიმეორესთან გადასაბმელი, თუ სამარხის გრძივი კედელი ორი ლოდისგან შედგება (მაგ., ასპარუგ პიტიახშის სამარხის ჩრდილო კედელი) და ბ) სახურავის ფილაქვების ერთიმეორესთან გადასაბმელი (მაგ. ბერსუმა პიტიახშის სამარხი, მე-5 სამარხი და სხვ.).

რა თქმა უნდა, მდიდრულ სამარხთა შორისაც გვხვდება ისეთები, რომელთა შემადგენელი ლოდების სიტლანქეც ყურადღებას იქცევს. ამ შემთხვევებში ლოდები ძალიან დიდებია და მათ არც დამუშავების კვალი ემჩნევა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მათ ეტყობა ე. წ. ნარიბანდები. სამარხთა ეს ჯგუფი შედარებით გვიანი ხანისაა, III — IV საუკუნეებს მიეკუთვნება.

ფილაქვით ნაგებ სამარხთა შორის სახურავის მოყვანილობის მიხედვით ორი სახეობა გამოირჩევა: ბ ა ნ ურ ს ა ხ ურ ა ვ ი ა ნ ი და ო რ ფ ე რ დ ა ს ა ხ ურ ა ვ ი ა ნ ი. ორფერდასახურავიანი სამარხები შედარებით იშვიათია და ჯერჯერობით მხოლოდ მცხეთაში გვხვდება, ბანურსახურავიანი კი საერთოდ ფართოდ არის გავრცელებული.

ორფერდასახურავიან ქვისსამარხთა შორის შეიძლება ორი ქრონოლოგიური ჯგუფი შეგვხვდეს: ადრინდელი სამარხები (II — III სს.) და უფრო გვიანდელი სამარხები (IV ს.). ამ სამარხთა ორფერდა სახურავი უმთავრესად სამი ლოდისგანაა შედგენილი, რომელთაგან ერთი დიდი, მთლიანი სახურავის ცალ კალთასა ქმნის, ორი მომცრო კი — მეორეს. ფიქრობენ რომ ასეთი შედგენილობა შემთხვევითი არ უნდა იყოს და შესაძლოა იმით იყო გამოწვეული, რომ სამარხის სახურავის ახდა გაადვილებულიყო თუკი ამის საჭიროება შეიქმნებოდა.

ფილაქვით ნაგებ სამარხთა შორის გვხვდება ისეთებიც, რომელთაც საგანგებო იატაკი აქვთ. საამისოდ სხვადასხვა მასალაა გამოყენებული: ფილაქვები, ფართო კერამიკული ფილები, აგურები და კრამიტებიც კი. იატაკიანი სამარხები

მდიდრულ ინვენტარს შეიცავენ და ამის გამო შეიძლება ისინი საზოგადოების ზედა ფენას მიეკუთვნოს. ე. ი. ირკვევა, რომ საგანგებო იატაკი სამარხის მდიდრულობის მომასწავებელი ყოფილა თავის დროზე, ისევე როგორც ორფერდა სახურავი და ა. შ.

მეოთხე საუკუნის ბოლოს იწყებს გავრცელებას ნატეხი ქვითა და ტალახით ნაგები სამარხები, რომელთაც სახურავად ისევ დიდი ფილაქვები აქვთ. ეს მეტწილად ღარიბული სამარხებია და თანაც ზოგჯერ შედარებით დიდებიც. როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი ნიშანი დაკავშირებულია დაკრძალვის წესში შენიშნულ სიახლესთან. ამ სამარხებს ბანური სახურავი აქვთ და ხანდახან მოზრდილი ფილაქვის განივი გვერდები გვხვდება ისეთი სამარხებიც, რომელთა აგებისას სხვადასხვა სამშენებლო მასალაა გამოყენებული, მათ შორის ძველი შენობებიდან (ნანგრევებიდან) მოზიდული არქიტექტურული დეტალებიც კი. ყველაფერი ეს იმაზე მიუთითებს; რომ ნატეხი ქვითა და თიხით ნაგები სამარხები საზოგადოების ღარიბულ ფენას ეკუთვნის და ხელმოკლეობის ნიადაგზეა გაჩენილი და გავრცელებული.

დაკრძალვის წესი. დაკრძალვის წესში თვალსაჩინო სიახლე არ შეიმჩნევა. მიცვალებულის მდგომარეობა და სამარხების ორიენტირება ჩვეულებრივია, თუმცა ზოგიერთი გამონაკლისიც იჩენს თავს. ასე მაგალითად, ქვისსამარხთა დამხრობისას წესად იყო მიღებული სამარხის გამართვა აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე, მცირეოდენი გადახრით სამხრეთ-აღმოსავლეთ-ჩრდილო-დასავლეთისკენ, იმის შესაბამისად თუ რომელ თვეშია სამარხი ჩადგმული: ზაფხულის თვეებში იცავენ აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძს, სხვა დროს მზის ამოსვლის ადგილს იღებენ საორიენტაციოდ და სამარხსაც განსხვავებულ მიმართულებას აძლევენ. ასე რომ, მჭიდრო სამაროვანზე შეიძლება საკმაოდ თვალსაჩინო იყოს დამხრობის სხვაობა და სამარხის ჩადგმის დროის საკმაოდ ზუსტად განსაზღვრაც მოხერხდეს. განსაზღვრა ჩადგმის დროისა მაშინაც ხერხდება, როდესაც ცალკეულ სამარხთან გვაქვს საქმე, თუმცა ეს მკაფიოდ შეიძლება არც ჩანდეს.

გვაქვს, როგორც ითქვა, შედგენილ ქვისსამარხთა შორის ამ წესიდან გადახვევის შემთხვევებიც, ასეთებია: არმაზისხევის ერისთავთა სამაროვნის მე-5 სამარხი, რომელიც ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებითაა დამხრობილი, იქვე აღმოჩენილი ორი ბავშვის სამარხი.

ქვითნაგებ სამარხებში ჩვეულებრივ თითო მიცვალებულია დაკრძალული. ეს წესი ძალაში რჩება ახ. წ. IV საუკუნემდე, ამიტომ შეიძლება მივიჩნიოთ ახ. წ. IV ს-მდე დაკრძალვის წესის ერთერთ თავისებურებად ინდივიდუალური დასაფლავება, თუმცა გვხვდება თანადაკრძალვის იშვიათი შემთხვევებიც — დედისა და ჩვილი ბავშვის ერთად დაკრძალვა არმაზისხევის მე-2 სამარხში და სხვ.

ორფერდასახურავიანი ქვისსამარხების გავრცელების პირველ ეტაპზე წესად ყოფილა მიღებული ასეთ სამარხებში წარჩინებულ ქალთა დასაფლავება. შემდეგში ამ წესს აღარ იცავენ — გვხვდება ორფერდასახურავიანი, მდიდრული, მაგრამ ჯგუფური სამარხები.

ამ ტიპის სამარხებში მიცვალებულთა დიდი უმეტესობა პირაღმა გაშოტილი წევს; ხელები მათ მუცლის ან მენჯის არეში აქვთ დაკრეფილი ან არადა ტანის გასწვრივ გამართული. ასეთი მდგომარეობა, როგორც ჩანს, წესადაა მიღებული, მაგრამ არა პირველ საუკუნეებში, არამედ შემდეგ. ახ. წ. I—II საუკუნეებში შემორჩენილია ადრინდელი წესი — მიცვალებულის დაკრძალვა ხელფეხმოკეცილ მდგომარეობაში და თანაც ერთერთ გვერდზე. ეს უნდა იყოს გადმონაშთი ადრინდელი და ძალიან დიდხანს არსებული ტრადიციისა.

ამასთანავე, ირკვევა, რომ ქვისსამარხთა ერთი ნაწილი მეორედ არის გამოყენებული. მეოთხე საუკუნიდან კი ჩნდება ე. წ. ს ა ო ჯ ა ხ ო ს ა მ ა რ ხ ე ბ ი — „ს ა ო ჯ ა ხ ო ს ა ძ ვ ა ლ ე“, რომელსაც ზოგი სპეციალისტი კოლექტიურ სამარხს უწოდებს. ასეთი დანიშნულების სამარხებიც არსებითად არაერთგზის გამოიყენებოდა. ამიტომ ამ ტიპის სამარხებშიაც გვხვდება ადრე დაკრძალულ მიცვალებულთა „შევიწროების“, კედელთან მიხვეტის შემთხვევები. ირკვევა, რომ მეორედ იყენებდნენ არა მარტო საოჯახო სამარხებს, არამედ სხვათა, ზოგჯერ სხვა ტომის წარმომადგენელთა სამარხებსაც. საამისო პირდაპირ მითითებას შეიცავს 1938 წელს სამთავროს ველზე აღმოჩენილი ბერძნული წარწერიანი ქვა, რომელიც თავის დროზე მცხეთის მხატვართუხუცესის და ხუროთმოძღვრის ავრელი აქოლისისა და მისი მეუღლის ბევრაზურიას საფლავზე მდგარა. აქოლისი სთხოვს მეგობრებსა და გამვლელებს ყური უგდონ საფლავი არავინ დააზიანოს და თუ ვინმე გაბედავს დასაფლავებას მათთან ერთად, ან საკუთარი ტომისა ან სხვა, უცხოელი, პასუხს აგებს. ამ წარწერამ, როგორც ვხედავთ, შემოინახა მეტისმეტად საყურადღებო მითითება IV საუკუნეში სამარხთა მეორედ გამოყენებისა და სხვის საფლავში დაკრძალვის წესის შესახებ. ეს არ არის IV ს. შემოღებული წესი, რადგან ავრელი აქოლისის წარწერა არ შეიძლება გაჩენილიყო ამ წესის საკმაოდ ფართოდ გავრცელებამდე. მოგვიანებით კიდევ უფრო ხშირდება ეს წესი და, როგორც ჩანს, უხეშ ფორმებს იღებს. საქმე იქამდეც მისულა რომ ავრელის საფლავიდან ეს ეპიტაფია მოუძვრიათ და სხვა სამარხის კედლად გამოუყენებიათ, ე. ი. განმეორებულია არმაზისხევის ერისთავთა სამაროვნის მე-4 სამარხში დადასტურებული სურათი. იქ ხომ ორ გრძივ კედლად ცნობილი წარწერიანი სტელები იყო გამოყენებული.

სამარხთა მეორედ გამოყენების შემთხვევები საერთოდ ხშირია III და მომდევნო საუკუნეებიდან მაინც. ადრე დაკრძალულ მიცვალებულთან ახალი სამარხის ჩადგმის შემთხვევები ადრეც იყო დადასტურებული. ზოგჯერ ქვისსამარხი აზიანებს ორმოსამარხს, მაგრამ როგორც ჩანს, ეს არ იყო აკრძალული.

სამარხთა მეორედ გამოყენების თავისებურ სურათს გვიხატავს არმაზისხევის ერისთავთა მე-3 სამარხი, რომელსაც ჩვენ „ბერსუმა პიტიახშის სამარხის“ სახელით ვიცნობთ. ამ თავისებურებას მ ე ო რ ე დ დ ა კ რ ძ ა ლ ვ ა ს უწოდებენ იმიტომ, რომ მიცვალებულის ძვლების დიდი ნაწილი ვერცხლის მოზრდილ ლანგარზე ეწყო, ზოგი ვერცხლის პინაკზე ეყარა და ზოგიც კერამიკულ ფილაზე; ე. ი. ამ სამარხში მიცვალებული კი არ დაუკრძალავთ, არამედ მისი ჩონჩხის ნაწილი გადმოუსვენებიათ და ვერცხლის ჭურჭელზე დაწყობილი დაუმარხავთ ჩვეულებრივი პატივისცემით, მდიდრული, ერისთავული წესით.

ამრიგად, ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ხანის დაკრძალვის წესის შესწავლისას მეორედ დაკრძალვის შემთხვევებიც უნდა იყოს გათვალისწინებული.

ასეთი წესის გავრცელების საფუძველს ქმნიდა იმდროინდელი ვითარება, რადგან ქართველ მეფეთა თუ დიდებულთა შორეულ ქვეყნებში ლაშქრად წასვლა არცთუ იშვიათი იყო. საკმარისია შევიხსენოთ ტრაიანეს დასახმარებლად 114—115 წლებში საომრად წასული უფლისწულის, ქართლის მეფის ძის ამაზასპის ეპიტაფია, აღმოჩენილი რომში. მსგავსი ვითარების ამსახველია უფრო გვიანდელი ცნობა, საიდანაც კარგად ჩანს, რომ პიტიახშში მიდის საბრძოლველად თავისი ქვეყნიდან; ასეთია, მაგალითად, იაკობ ხუცესთან ვარსქენ პიტიახშის საუბრის შინაარსი: „...უწყია, ხუცეს მე ბრძოლად წარვალ ჰონთა ზედა...“ ვარსქენის და განსაკუთრებით ამაზასპის მაგალითები ძველი ვითარების ამსახველია და ამიტომ შეიძლება მათ მნიშვნელობა ჰქონდეთ ბერსუმას სამარხში დადასტურებული მეორედ დამარხვის წესის ასახსნელად.

ბერსუმა ერისთავის სამარხში აღმოჩენილი მდიდრული ინვენტარი და საოცლის ფეხები იმაზე მიუთითებს, რომ მეორედ დაკრძალვის შემთხვევაშიაც სრულდებოდა დაკრძალვის ჩვეულებრივი ცერემონიალი.

მეორედ დამარხვის სხვა შემთხვევებიცაა ცნობილი. ასე მაგალითად, 1926 წელს პროფ. გ. ნიორაძემ მცხეთის ახლოს, მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე გათხარა ქვისსამარხები და მათში მეორედ დაკრძალვის შემთხვევები დაადგინა. პროფ. გ. ნიორაძის ეს დაკვირვება საყურადღებოა, ოღონდ სადავოა პირველადი დაკრძალვის, ე. წ. „ჰაერზე დაკრძალვის“ წესის არსებობა ახ. წ. პირველი საუკუნეების შემდეგი ხანის მცხეთაში. მიცვალებულთა ძვლების თავმოყრა და თავისებური მდგომარეობა სამარხში, ჩვენის აზრით, არ უნდა ნიშნავდეს მაინცადამაინც იმას, რომ ეს „ჰაერზე დაკრძალვის“ შემდეგ განხორციელებული დაკრძალვაა.

ასეა თუ არა, დღეისათვის სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს მითითება სოფ. წიწამურის ახლოს „ჰაერზე დაკრძალვის“ წესის დამოწმების თაობაზე.

მეორედ დაკრძალვის წესი დიდხანს ცოცხლობს საქართველოში. ამას ფეოდალური ხანის სამარხებიც ამტკიცებენ და ეთნოგრაფიული დაკვირვებებიც გვაცნობენ ამ წესის არაერთ გადმონაშთს: ხევსურეთში, აფხაზეთში, სვანეთში და სხვ.

ამრიგად, ქვისსამარხთა ამ ჯგუფში — შედგენილ ქვისსამარხებში გვხვდება: ორფერდასახურავიანი და ბანურსახურავიანი სამარხი ნაგებობანი; ამასთან, ორფერდასახურავიანი სამარხები იშვიათია. შედგენილ ქვისსამარხთა შორის გვხვდება ისეთები, რომელთაც იატაკად ფილაქვები, კერამიკული ფილები, აგურები ან ბრტყელი კრამიტები აქვთ. იატაკიანი სამარხები შედარებით იშვიათია; მეტწილს იატაკად მიწატკეპნილი აქვს.

მიცვალებულთა დაკრძალვის წესში გარკვეული კანონზომიერება ჩანს: პირველ ხანებში მიცვალებულები გვერდზე უსვენებიათ, ხელფეხმოკეცილ მდგომარეობაში; შემდეგში ბატონდება ზურგზე გაშოტილად დაწვენა ისე, რომ ხელები ტანის გასწვრივ იყოს გამართული ან მუცლისა თუ მენჯის არეში დაკრეფილი. სამარხები, როგორც წესი, III საუკუნემდე ინდივიდუალურია, შემ-

დეგ ჩნდება საოჯახო, ჯგუფური სამარხები და თანდათან ვრცელდება ეს წესი. მას თან სდევს სამარხი ნაგებობის მეორედ გამოყენება, ამას გარდა შეინიშნება მეორედ დაკრძალვის შემთხვევები.

სამარხთა დამხრობის — ორიენტირების მხრივაც გარკვეული წესი შეიმჩნევა შედგენილი და ნატეხი ქვით ნაგები სამარხები ახ. წ. პირველი საუკუნეებიდან, როგორც წესი, დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. მიცვალებულთ თავი დასავლეთითა აქვთ და მზის ამოსვლას შესცქერიან. ამ წესიდან გადახვევას არ მოასწავებს მცირე სხვაობა, რომელიც დაკავშირებულია იმასთან, რომ სხვადასხვა დროს მზე სხვადასხვა ადგილას ამოდის. არის რამდენიმე გამონაკლისიც, რომლის შესახებ ზემოთ უკვე იყო საუბარი.

ქვევრსამარხები. ძვ. წ. III საუკუნიდან აღმოსავლეთ საქართველოში ჩნდება ახალი ტიპის სამარხი — მიცვალებულს ჩვეულებრივ ჭურში ანუ ქვევრში კრძალავენ. ამის გამო ამ ახალი ტიპის სამარხს ქ ვ ე ვ რ ს ა მ ა რ ხ ი ეწოდება.

სამარხად გამოყენებული ქვევრების შესწავლამ ცხადჰყო, რომ თავდაპირველად ისინი საღვინე დანიშნულებისა ყოფილან. თითქმის ყოველთვის შეიმჩნევა ქვევრის ხშირი რეცხვის კვალი, რის გამოც მისი შიდა პირი გახეხილია ხოლმე. მიუხედავად ამისა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ქვევრსამარხად შეიძლება გამოეყენებინათ სხვადასხვა დანიშნულების (მაგ., ხორბლის შესანახი) ქვევრებიც. როგორც ცნობილია, დაბლაგომში აღმოჩნდა თითქოს საგანგებოდ სამარხისათვის დამზადებული ქვევრი. ამ ქვევრს ნაჩვრეტი ჰქონდა დატანებული, რაც უთუოდ გამორიცხავს მის გამოყენებას სამეურნეო მიზნისათვის (ყოველ შემთხვევაში სითხისთვის).

ქვევრსამარხი დიდი ხნით უფრო ადრე იყო გავრცელებული დასავლეთ საქართველოში და საკმაოდ ფართოდაც. ყველაზე დიდი რაოდენობით ქვევრსამარხები გაითხარა დაბლაგომსა და ფარცხანაყანევში, მათთან შედარებით ქართლის ქვევრსამარხები სამიოდე საუკუნით მაინც უფრო ახალგაზრდაა. შედარებით ხშირია ამ ტიპის სამარხები ძვ. წ. II—I საუკუნეებში. ამ ხანებში ქვევრსამარხებს იყენებენ სხვა ტიპის სამარხებთან ერთად; ე. ი. თ ა ნ ა ა რ ს ებ ობ ენ გ ვ ი ა ნ დ ე ლ ი ო რ მ ო ს ა მ ა რ ხ ე ბ ი, გ ვ ი ა ნ დ ე ლ ი ქ ვ ი ს ს ა მ ა რ ხ ე ბ ი, ქ ვ ე ვ რ ს ა მ ა რ ხ ე ბ ი, კ რ ა მ ი ტ ს ა მ ა რ ხ ე ბ ი დ ა თ ი ხ ის ფ ი ლ ე ბ ი თ ნ ა გ ე ბ ი ს ა მ ა რ ხ ე ბ ი. დამახასიათებელია, რომ ყველა ზემოჩამოთვლილ სამარხს ზოგჯერ ერთსა და იმავე სამაროვანზედაც კი ეხვდებით. ახ. წ. I საუკუნიდან წყდება აღმოსავლეთ საქართველოში ქვევრსამარხთა გავრცელება.

სახელწოდებაც გვიჩვენებს, რომ ამ ტიპის სამარხთა აგებულება რთული არაა: ქვევრი გაჭრილია, გახერხილია სიგრძეზე (ასეთია დასავლეთ საქართველოში, მაგ., დაბლაგომში აღმოჩენილი ქვევრსამარხი) ან გამოტეხილი აქვს მუცელი, დაწვენილია გვერდზე და შიგ ჩასვენებულია მიცვალებული, შემდეგ გავსებულია მიწით და ზედ დახურული აქვს, თუ გადახერხილი იყო, გადანახერხი ნაწილი, თუ არადა ნატეხები, მაგრამ ისე, რომ მთლიანი ქვევრის სრული სურათი იქმნება. არის მთლიანი ქვევრებიც, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ტანმორჩილია მასში დასაკრძალავი მიცვალებული. ასეთ შემთხვევებში ახერხებდნენ ქვევრის პირიდან მიცვალებულის ჩაშვებას (პირის

1



2

3



4

5

დიამეტრი ზოგჯერ 0,5 მ აღწევს), შემდეგ ქვევრს აწვენდნენ მოგრძო ორმოში და პირზე სარქველს აფარებდნენ. ბოლოს, ცხადია ქვევრსამარხს მიწას მიაყრიდნენ.

მიცვალებულები ქვევრსამარხებში გვერდზე არიან დაწვენილი, თანაც ძლიერ მოხრილ, ხელფეხშემოკეცილ მდგომარეობაში. როგორც ვნახეთ, ეს იმ დროს საყოველთაოდ გავრცელებული წესი ყოფილა და თანაც ქვევრის ზომამოყვანილობით ნაკარნახევი. ქვევრსამარხებში მეტწილად თითო მიცვალებულია, მაგრამ გვხვდება ისეთებიც, რომლებშიაც ორ-ორი მიცვალებული ასვენია. არის ქვევრსამარხი, რომელშიაც 3 მიცვალებულია დაკრძალული. ქვევრსამარხთა დამხრობაში მკაფიო კანონზომიერება არ შეიმჩნევა. ისინი ორიენტირებულია სხვადასხვა მიმართულებით, მაგრამ სჭარბობს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმართულნი.

სამარხად გამოყენებული ქვევრები, როგორც წესი, ჩვეულებრივად ვერტიკალურად კი არა დგას, არამედ გვერდზეა დაწვენილი.

ამავე დანიშნულებით არის გამოყენებული ზოგჯერ დერგებიც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ დერგებში ბავშვებია დაკრძალული, ქვევრებში კი მოზრდილები.

სამარხად გამოყენებული ქვევრები და დერგები ჩვეულებრივ კარგად არის გამომწვარი. თიხაც სუფთაა და საერთოდ კარგი ნახელავი ჩანს. ეს გარეგნული ნიშანიც კი იმის სასარგებლოდ მიუთითებს, რომ ამ ჭურჭლებს თავდაპირველად სამეურნეო დანიშნულება უნდა ჰქონოდათ, ისევე როგორც მათ სარქველად გამოყენებული კრამიტი სამშენებლო ფონდიდან უნდა იყოს აღებული.

სამარხად გამოყენებულ ქვევრთა სიმაღლე 1,5 მ აღწევს, მუცლის დიამეტრი — 1 მ, კეცის სისქე — 1,5 სმ.

კრამიტსამარხები. ძვ. წ. I საუკუნიდან ქართლში, როგორც ჩანს, საქალაქო ცხოვრების კიდევ უფრო ფართოდ გაშლა-განვითარებასთან ერთად თავს იჩენს ახალი ტიპის სამარხი — ე. წ. კ რ ა მ ი ტ ს ა მ ა რ ხ ი. ეს სახელი სამარხმა ნაგებობამ მიიღო იმის გამო, რომ იგი აგებულია კრამიტებით. ხამარხების შესადგენად გამოყენებულია იმ ხანის ქართლის ქალაქებში კარგად ცნობილი და საზოგადოებრივ ან სახელმწიფო ნაგებობათა გადასახურავი ორი ტიპის კრამიტი: ბრტყელი, გვერდებაკეცილი და ღარისებრი. მოზრდილი კრამიტსამარხის ასაგებად რამდენიმე ათეული კრამიტია გამოყენებული (ზოგჯერ 50-ზე მეტი); ასეთია მაგალითად სამთავროს სამაროვნის სამხრეთ უბანზე მ. ივაშჩენკოს მიერ გათხრილი კრამიტსამარხები №№ 81, 120, 148, 182, 240 და სხვ. მათ შეიძლება მიეკუთვნოს 1943 წელს მცხეთის რკინიგზის სადგურთან და არმაზისხევთან აღმოჩენილი ზოგიერთი კრამიტსამარხი.

კრამიტსამარხთა აგებულება მარტივია; ამ ტიპის სამარხები ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: ა) საკუთრივ სამარხი ნაგებობა, რომელსაც ჩვეულებრივ ყუთს უწოდებენ და რომელშიაც მიცვალებული ასვენია ხოლმე, და ბ) სამარხი ნაგებობის სახურავი.

ქვედა ნაწილის ანუ საკუთრივ სამარხი ნაგებობის მოყვანილობის მიხედვით კრამიტსამარხებში ორი სახეობა გამოირჩევა: ა) ს წ ო რ კ უ თ ხ ო ვ ა ნ ი ან მოგრძო ოთხკუთხოვანი და ბ) მ რ ა ვ ა ლ კ უ თ ხ ო ვ ა ნ ი — ექვსკუთხოვანი

მოყვანილობისა. კრამიტსამარხთა ჩვეულებრივ გავრცელებულ ფორმას პირველი სახეობა წარმოადგენს.

სახურავის მოყვანილობის მიხედვითაც ორგვარი კრამიტსამარხები ჩანს გავრცელებული: ორ ფ ე რ დ ა ს ა ხ უ რ ა ვ ი ა ნ ი და ბ ა ნ ურ ს ა ხ უ რ ა ე ი ა ნ ი.

კრამიტსამარხთა ქ ვ ე დ ა ნ ა წ ი ლ ი, ე. ი. ს ა კ უ თ რ ი ვ ს ა მ ა რ ხ ი ნ ა გ ე ბ ო ბ ა ნაირ-ნაირი სიდიდისაა. იგი სიგრძით საშუალოდ 2 მ შეადგენს, ხოლო სიგანით — 0, 75 — 0,80 მ. გვერდების სიმაღლეს ჩვეულებრივ განსაზღვრავს კრამიტის სიმაღლე, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც სამარხის გვერდების შემადგენელი კრამიტები სიმაღლეზე კი არა დგას, არამედ გრძელ, აკეცილ გვერდზეა დაყენებული და ამის გამო, სამარხი დაბალია — კრამიტის სიგანე სამარხის სიმაღლეა.

სამარხის სიგრძე-სიგანესაც გვერდების შემადგენელი კრამიტების რაოდენობა განსაზღვრავს. ყველაზე გრძელი სამარხის გრძივ გვერდს სიმაღლეზე დაყენებული ექვსი ბრტყელი კრამიტი შეადგენს. ყველაზე მოკლე სამარხის შესაბამის გვერდს კი — ორი კრამიტი. უმეტესად საშუალო ზომის კრამიტსამარხებია გავრცელებული; მათ ოთხი ბრტყელი კრამიტი უდგათ გრძივ გვერდად.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამარხის აგებულება მარტივია. ასეთი შთაბეჭდილება არ იცვლება იატაკის გათვალისწინების შემდეგაც. კრამიტსამარხთა დიდ ნაწილს საგანგებო იატაკი აქვს; იატაკიც კრამიტისაა, დიდრონი კერამიკული ფილებისა ან უფრო იშვიათად ფილაქვებისა. აღმოჩენილია ისეთი კრამიტსამარხებიც, რომელთაც იატაკად კარგად მოტკეპნილი მიწა აქვთ. ასეთი იატაკი აქვთ ღარიბულ კრამიტსამარხებს (მაგ., არმაზისხევის მე-2 სამარხი).

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ამ სახის სამარხთა შორის გვხვდება ორფერდასახურავიანები და ბანურსახურავიანები. ორფერდასახურავიანი სამარხები კრამიტით არის გადახურული. სახურავის კალთები შედგენილია ბრტყელი, გვერდებდაკეცილი კრამიტებით. მათი ნაწიბურები (ერთიმეორესთან მიდგმის ადგილები) და სახურავის (გრძივი) ქიმი დახურულია ღარისებრი კრამიტით. ამრიგად შეკრული ორფერდა კრამიტსამარხი ქმნის მინიატურული ორფერდასახურავიანი სახლის შთაბეჭდილებას.

ბანურსახურავიანი კრამიტსამარხები სხვადასხვა მასალით არის გადახურული: კრამიტით, დიდი კერამიკული ფილებით, ფილაქვებით და, შეიძლება, ფიცრითაც კი. უფრო მეტად გავრცელებული ჩანს ბრტყელი კრამიტით გადახურული ბანიანი სამარხები. შედარებით იშვიათია ფილაქვებით გადახურული სამარხები და ფიცრით გადახურვა ივარაუდება იმ სამარხებისა, რომელთაც სახურავის რაიმე არსებითი ნიშანი არ შემორჩენიათ.

კრამიტსამარხთა უმრავლესობა დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ.

კრამიტსამარხთა აგებულების განხილვისას ყურადღებას იქცევს მეტისმეტად თავისებური „აღნაგობის" სამარხები: ერთ ან ერთნახევარ თუ ორ კრამიტზე დასვენებული ბავშვების სამარხებიც აღმოჩნდა სამთავროს სამაროვნის სამხრეთ უბანზე. ასეთია მაგ., 1940 წელს გათხრილი № 283 სამარხი. ამ სამარხის ქვედა ნაწილს ერთნახევარი ღარისებრი კრამიტი შეადგენდა, რომელზედაც

ბავშვი იყო დასვენებული, სახურავადაც ასევე ერთნახევარი ღარისებრი კრამიტი ეფარა. რა თქმა უნდა, ამ სახის სამარხები არ შეიძლება ჩვეულებრივ კრამიტსამარხებს მივაკუთვნოთ. აქ საქმე გვაქვს საკმაოდ იშვიათ მოვლენებთან, როდესაც სამარხად ცალკეული კრამიტი ან კრამიტები გამოუყენებიათ. ამ შემთხვევებს იმიტომ უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, რომ ისინი მკაფიოდ გვიჩვენებენ აქ დაკრძალულთა უმწეო ქონებრივ მდგომარეობას. მხოლოდ სამი და ისიც დამტვრეული ღარისებრი კრამიტის შოვნა მოუხერხებიათ ბავშვის დასაკრძალავად, თანაც იმ ხანაში, როდესაც წესად იყო შემოღებული დიდი პატივით დაკრძალვა. ამ სურათის სიმკვეთრე კიდევ უფრო უკეთ წარმოგვიდგება თუ აღნიშნულ სამარხს (№ 283) შევადარებთ პიტიახშის შვილის სამარხს, აღმოჩენილს არმაზისხევთან 1940 წელს. (სამარხი № 9).

დაკრძალვის წესი. დაკრძალვის წესში რაიმე სიახლე კრამიტსამარხებს, შეიძლება ითქვას, არ მოუცია. სამარხები ჩვეულებრივ ინდივიდუალურია, მაგრამ გვხვდება წყვილთა (ცოლ-ქმარი, დედა და ჩვილი ბავშვი) დაკრძალვაც. მიცვალებულები სამარხებში პირაღმა გაშოტილი წვანან, თუმცა არის შემთხვევა ხელფეხმოკეცილი და გვერდზე დასვენებული მიცვალებულის აღმოჩენისა. ცხადია, ეს გამონაკლისი ახ. წ. პირველ საუკუნემდე გაბატონებული წესის გადმონაშთად უნდა იყოს მიჩნეული.

კრამიტსამარხები ჩვეულებრივ მდიდრულ სამარხებს წარმოადგენენ, მაგრამ მათ შორის ღარიბულებიც გვხვდება. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს, როგორც აღვნიშნეთ, ბავშვთა სამარხები.

თიხის ფილებით ნაგები სამარხები. ახ. წ. პირველ საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოში, მართალია მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც გვხვდება განსხვავებული ტიპის სამარხები — თიხის დიდი ფილებით ნაგები სამარხები. აღნაგობა ამ სამარხებისა ძალიან მარტივია: იატაკი და ოთხივე გვერდი კვადრატული და სწორკუთხოვანი დიდრონი კერამიკული ფილებითაა შედგენილი, სახურავი ბანურია. სახურავად გამოყენებულია ქვიშაქვის ლოდები — ფილაქვები, მაგრამ მცხეთაში — კოდმანზე 1954 წელს გათხრილ თიხის ფილებით ნაგებ სამარხს ერთ ნაწილზე კერამიკული ფილა ეხურა. თუმცა სახურავის უდიდეს ნაწილს ფილაქვები შეადგენდა.

ამ ტიპის სამარხთა იატაკის ფილები საგანგებოდ დამზადებული ჩანს. ამას ადასტურებს ფილებზე დატანებული ნახვრეტები. ასეთი ნაჩვრეტიანი ფილები, ფილებით ნაგებ სამარხებში, მხოლოდ იატაკისთვისაა გამოყენებული და უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი ამისთვის იყო დამზადებული.

დაკრძალვის წესი. თიხის ფილებით ნაგები სამარხები ორიენტირების მხრივ თითქმის იმეორებენ კრამიტსამარხთა განხილვისას შენიშნულ წესს. ცამხრობილია ისინი დასავლეთიდან — აღმოსავლეთისაკენ. ამ სამარხებშიაც ჩვეულებრივ თითო მიცვალებული ასვენია, მაგრამ არის ნიშნები იმისა, რომ თიხის ფილებით ნაგები სამარხები საოჯახო სამარხებადაც გამოიყენებოდა. ამას უნდა მიუთითებდეს, კერძოდ, ის ფაქტი, რომ ამ ტიპის სამარხთა შორის აღმოჩენილია ისეთებიც, რომლებშიაც 3-3 მიცვალებულის არაერთდროული დაკრძალვაა დადასტურებული.

ამრიგად, თუ შევაჯამებთ სამარხთა აღნაგობისა და დაკრძალვის წესის შესახებ ზემოთ აღნიშნულს, მივიღებთ, რომ ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან ახ. წ. IV საუკუნემდე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ სამარხთა (სამარხ ნაგებობათა) ტიპებია: 1) ორმოსამარხები, 2) ქვითნაგები სამარხები ანუ ქვისსამარხები. ქვისსამარხთა შორის ორი ქრონოლოგიური ჯგუფი შეინიშნება: ადრინდელი ქვისსამარხები (VI — I სს.) და გვიანდელი ქვისსამარხები (I — IV სს.). უკანასკნელებში თავის მხრივ შემდეგი სახეები გამოიყოფა: ა) მავზოლეუმის ტიპის სამარხი ნაგებობები ანუ აკლდამები, ბ) მთლიანადკვეთილი ქვისსამარხები ანუ სარკოფაგები, გ) ფილაქვით ნაგები სამარხები და დ) ნატეხი ქვით ნაგები სამარხები; 3) ქვევრსამარხები; 4) კრამიტსამარხები და 5) კერამიკული ფილებით ნაგები სამარხები.

ამ სამარხთა გავრცელების ქრონოლოგიური სკალა ზოგადად ასეთია:

I. გვიანდელი ორმოსამარხები — ძვ. წ. VI — ახ. წ. III სს.
II. ქვისსამარხები — ძვ. წ. VI — ახ. წ. IV სს.
III. ქვევრსამარხები — ძვ. წ. III—ძვ. წ. I სს.
V. კერამიკული ფილებით ნაგები სამარხები — ახ. წ. I — III სს.
IV. კრამიტსამარხები — ძვ. წ. I — ახ. წ. III სს.

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ამა თუ იმ ტიპის სამარხი, მაგალითად, ორმოსამარხები ან ქვისსამარხები მთელი ათასი წლის მანძილზე უცვლელი რჩებოდა. თავის ადგილას უკვე მითითებული იყო სამარხთა ტიპის მკვეთრი ცვლა და ამასთან დაკავშირებული მკაფიო აღნაგობრივი სიახლე-განსხვავებანი, რის გამოც ზოგად ქრონოლოგიურ სკალაში ყველაფერი ეს ასახვას ვერ ჰპოვებს. იგივე შეიძლება ითქვას სამარხთა ამა თუ იმ ტიპის წარმოშობის თაობაზე. როგორც აღვნიშნეთ, ზოგიერთი ტიპი სამარხი ნაგებობისა (ორმოსამარხი, ქვისსამარხი, ქვევრსამარხი) აქ აღნიშნულზე დიდად ადრე იყო გავრცელებული. წინამდებარე ზოგადი სკალა გარკვეული ქრონოლოგიური მონაკვეთისა და გარკვეული ტერიტორიის ვითარების ამსახველია. ეს უთუოდ უნდა იყოს გათვალისწინებული.

თუ შევაჯამებთ იმას, რაც დაკრძალვის წესის შესახებ ითქვა, შემდეგ ზოგად სურათს მივიღებთ:

ძვ. წ. VI — ახ. წ. I სს. მიცვალებულებს გვერდზე ასვენებდნენ, ხელფეხმოკეცილ, მოხრილ მდგომარეობაში. სამარხები, როგორც წესი, ინდივიდუალურია, სამარხთა (და მაშასადამე, მიცვალებულთა) დამხრობა ნაირ-ნაირი. სამარხები ინჰუმაციურია, ე. ი. მიცვალებული იმარხება.

ახ. წ. I საუკუნიდან მიცვალებულის სამარხში ჩასვენების ადრინდელი წესი იცვლება, მას თანდათან დევნის ახალი წესი. ბატონდება მიცვალებულთა ზურგზე დასვენება; პირიქით, გაშოტილ მდგომარეობაში. სამარხები ინდივიდუალურია, თუმცა შეიმჩნევა წყვილთა დაკრძალვა და IV საუკუნიდან ხშირდება ჯგუფური, საოჯახო სამარხებიც. თანდათანობით ყალიბდება სამარხთა დამხრობის მტკიცე წესი — დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. სამარხები კვლავ ინ-

ჰუმაციურია. შეინიშნება მეორედ დამარხვისა და სამარხ ნაგებობათა მეორედ გამოყენების შემთხვევები. მკაფიოდ შეიმჩნევა მკვეთრი სოციალური დიფერენციაციის მაუწყებელი ნიშნები სამარხ ნაგებობებსა და სამარხეულ ინვენტარშიც.

§ 13. გვიანანტიკური ხანა

ახალი წელთაღრიცხვის I — III საუკუნეები წინაფეოდალური საქართველოს ისტორიის ერთი იმ ხანათაგანია, რომელიც უკვე საკმაოდ არის გაშუქებული არქეოლოგიური მასალებით. ამ უკანასკნელთა შორის წარმოდგენილია მნიშვნელოვანი წარწერებიც. ეს არის ამდროინდელ არქეოლოგიურ ძეგლთა კომპლექსის ერთი ყველაზე უფრო არსებითი სიახლე.

მცხეთაში აღმოჩენილი პირველი ასეთი ძეგლი იყო დიდი, ბერძნულწარწერიანი სტელა (1867 წელს, სამხედრო გზის გაფართოებისას, ზემო ავჭალის ვიწრობში). წარწერაში საუბარია იმის შესახებ, რომ ახ. წ. 75 წელს, იმპერატორ ვესპასიანეს დროს, იბერთა მეფეს მითრიდატეს, ფარსმანისა და იამასასპოის ძეს, კეისრის მეგობარსა და რომაელთა მოყვარულს, და ხალხს რომაელებმა კედლები განუმტკიცეს. 1938 და 1948 წლებში არქეოლოგთა მიერ გამოვლენილ და შესწავლილ იქნა იმ ზღუდის ნაშთები, რომელსაც იხსენიებს აღნიშნული წარწერა.

გვიანანტიკური ხანის ძირითადი და უმნიშვნელოვანესი მასალა მცხეთიდან თუ მისი შორიახლო მიდამოებიდან მომდინარეობს, მაგრამ საერთოდ კი უკვე საქართველოს მრავალი კუთხეა მეტ-ნაკლებ წარმოდგენილი და ეს დიდი ღირსებაა ამ მასალისა, მეტ გასაქანს გვაძლევს მისი ისტორიული გააზრებისას. საქმე გვაქვს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოსთან; ბართანაც და მთასთანაც; ძველ დედაქალაქთანაც და სხვა, ქალაქურ თუ სოფლურ სამოსახლოებთანაც; მტკვრის, რიონისა და ენგურის აუზებთან; ალაზნის, ივრის, არაგვის, ქცია-ხრამის, ალგეთის, ქსნის, ლიახვის, მეჯუდის, ბორიმელის, ძევრულის, ტეხურისა და სუფსის ხეობებთან, ზღვისპირა ზოლთან და სხვ.

მასალის დიდ უმეტესობას შეადგენენ ს ა მ ა რ ხ ე უ ლ ი ძ ე გ ლ ე ბ ი, ე. ი. სამარხები და მათი ინვენტარი, მაგრამ ზოგ ადგილას საკმაოდაა გამომზეურებული ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ ი ძ ე გ ლ ე ბ ი ც.

მასალის დათარიღება, ს ა ე რ თ ო დ, სავსებით საიმედო საფუძველს ემყარება: ხელთა გვაქვს მრავალრიცხოვანი მონეტათა შემცველი სამარხები („დიდ მცხეთაში", კლდეეთში, ბორში, ძევრში, ურეკში, სტალინირში და სხვ.), რომლებიც, სამარხის ტიპისა თუ ინვენტარის მიხედვით, გვაძლევენ უმონეტო სამარხების მათთან პარალელიზაციის საშუალებას და ამრიგად გვითარიღებენ ამ უკანასკნელებსაც. ზოგჯერ კი ნამოსახლარი ძეგლების დათარიღებისათვისაც გამოგვადგება ხოლმე მონეტიანი სამარხები თუ თვით ნამოსახლართა შორის აღმოჩენილი მონეტები.

ყოველივე ამის შედეგად დღესდღეობით თამამად ვმსჯელობთ მკაფიოდ გამონაკვეთულ არქეოლოგიურ კომპლექსებზე, რომელთაც სამაროვნებში თავისებური ტიპის სამარხები და ინვენტარი ახასიათებთ, ხოლო ნამოსახლარ ძეგლებში — თავისებური ხუროთმოძღვრება, მშენებლობის წესი, ტექნიკა და საშენი მასალა, და რომელთა ხნოვანება ნამდვილად თავსდება წელთაღრიცხვათა მიჯ-

ნასა და ახ. წ. IV საუკუნეს შორის, თუმცა ზოგი რამ ნაწილობრივ გადადის ძვ. წ. I საუკუნეშიც (მაგ., კრამიტსამარხები ერთხანს ქვეერსამარხთა პარალელურადაცაა სამთავროში გავრცელებული), ხოლო ზოგი, პირიქით, გადმოდის ძველიდან ახალში (მაგ., დასავლეთ საქართველოში — ბანძაში, ძეკრში—ქვეერსამარხები ახ. წ. I — II საუკუნეებშიც გვხვდება; ქვისსამარხები და მათი ინვენტარის ზოგი კომპონენტი ბევრგან IV საუკუნეშიც და შემდეგაც კარგა ხანსაა გავრცელებული).

I—III საუკუნეები ჩვენშიც ძირითადად გვიანდელი მონათმფლობელური წყობით ხასიათდება, ხოლო IV საუკუნიდან აქ სოციალური წყობის ცვლა უკვე საცნაური ხდება, თანდათან ღრმავდება და, როგორც ამ ცვლილების, ადრინდელი ფეოდალიზაციის თანამდევი მოვლენა, იცვლება სარწმუნოებაც, ბატონდება ქრისტიანობა. ეს მოვლენები კი მრავალმხრივ მკვეთრი გარდატეხით ალინიშნება.

ქვეყნის სამეურნეო და კულტურული ვითარების ერთი ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ ამსახველი დარგი ნივთიერი კულტურისა არის ს ა მ შ ე ნ ებ ლ ო ს ა ქ მ ე დ ა ხ ურ ო თ მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა, ს ა ი ნ ჟ ი ნ რ ო დ ა დ ე კ ო რ ა ტ ი ულ ი ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა. ამ რიგის ძეგლები საკმაო რაოდენობითაა გამოვლენილი მცხეთის I — III სს. ნაშთებს შორისაც.

I — III სს. ნაგებობათა შორის გამოირჩევა ქვითკირით ნაშენი ა ბ ა ნ ო არმაზისხევის შესართავთან, რომელიც 1937 —1938 წლებში გაითხარა და, როგორც გამოირკვა, წარმოადგენდა პიტიახშ-ერისთავების კარის აბანოს, სასახლის ერთერთ შემადგენელ ნაწილს. მას 1947 წელს გამოუჩნდა მომცრო და უარესად დაცული ორეული ბაგინეთში, ე. ი. სამეფო რეზიდენციის, არმაზციხის სასახლის ნაგებობათა ანსამბლში. ეს აბანოები უნდა ჩაითვალოს, ერთი მხრივ, სამშენებლო კომუნალური საქმის, ხოლო მეორე მხრივ — სანიტარულ-ჰიგიენური კულტურის შესანიშნავ ძეგლებად. არმაზისხევის სასახლის აბანო ემსგავსება გვიანანტიკური დროის აბანოებს წინა აზიაში, ყირიმში და სხვ.

აბანოს გამოვლენას არმაზისხევთან მოჰყვა აღმოჩენა და გათხრა საკუთრივ ს ა ს ა ხ ლ ი ს ნაშთებისა (1941 და 1945—1946 წწ.), ჯერჯერობით გამოვლენილია ქვითკირის ნაგებობის ორი სენაკის თითქმის საძირკვლამდე დასული ნანგრევი. შენობის მდიდრულობას მოწმობს აქა-იქ შემორჩენილი რამდენიმე დეტალი თლილი ქვის სამკაულისა (ჩუქურთმიანი სვეტისთავი, სვეტისძირი, ზღურბლი, კარისთავი, კარნიზი და სხვ.). კედლების ამოყვანის წესით, საშენად ნახმარი მასალითა და აგრეთვე სახურავი კრამიტით ეს ნაგებობა ზედმიწევნით ჰგავს აბანოს და ისინი ნამდვილად ერთდროული ჩანან. პირველად ან ნაგებობათა თხრისას იქნა მრავლად გამოვლენილი შენობის დასახურავად გამოყენებული კრამიტი.

სასახლისა და აბანოს შენობები დამწვარი, დანგრეული და შემდეგ საფუძვლიანად შემოძარცული გამოდგა. სასახლე თავის დროზე დამშვენებული ყოფილა მარმარილოს დიდ-პატარა ფაქიზი ქანდაკებებით.

არმაზისხევის სასახლის ანსამბლის დასახასიათებლად ისიც უნდა ითქვას, რომ აბანოს გარდა მას გვერდით ჰქონია დიდი მარანიც (გაითხარა 50-ოდე ქვევრი) და, რაც განსაკუთრებით თავისებური და საყურადღებოა, საოჯახო-საგვარე-

ულო სამარხავიც, რომელიც II — III საუკუნეებით თარიღდება. ეს უკანასკ-ნელი შედგება ათიოდე, ფილაქვით ნაშენი თუ მთლიანი ქვისაგან ვამოთლილი (ორი) სამარხისაგან. ორი მათგანი მოქცეული ყოფილა ქვითკირის ორსენაკიან ნაგებობაში. ამ სამარხავთან დაკავშირებული ჩანდა რამდენიმე ღრმად დაფლუ-ლი თიხის ქილა თუ ქოთანი, რომლებშიც ფრინველთა ძვლები აღმოჩნდა. ეს საკულტო ნამარხები ჩანს.

ამრიგად, ჩვენ შეგვექმნა საკმაოდ ხელშესახები წარმოდგენა II — III საუკუნეთა ქართლის ანუ იბერიის მმართველი დიდკაცობის ერთერთი ჯგუფის სამყოფელის შემადგენლობა-განლაგების, ნაგებობათა კომპლექსის შესახებ. ამასთანავე, თავისთავადაც საფიქრებელია და ამ კომპლექსში შემაგალი დიდი მარანიც გვანიშნებს, რომ პიტიახშთა სასახლეს მოსდგამდა და ექვემდებარებო-და საკმაოდ მძლავრი სამეურნეო ფართობი — მათ შორის ბაღ-ვენახებიც — როგორც მტკვრისპირა ტერასებზე და ფერდობებზე, ისე, ალბათ, რამდენადმე ღაშორებულ ადგილებშიც.

საკუთრივ დღევანდელ მცხეთაში ორ ადგილას არის გამოვლენილი გვიანანტიკურ ნაგებობათა ნაშთები: ა) ბორის ერთერთ ტერასაზე, სადაც მომდევნო ხანის ნაგებობის აღსამართავად გამოუყენებიათ გვიანანტიკური იერის, თლილი ქვის დეტალები (იქაც სასახლე შეიძლება ვიგულისხმოთ); ბ) იმავე ბორის კალთის ძირას, სადაც ჩანს ქვათლილებით ამოყვანილი კედელ-ბურჯი.

საქართველოში გვაქვს ამ ხანის ზოგი სხვა მეტ-ნაკლებად გათხრილი ძეგლიც.

ერთი ამათგანია ნოქალაქევი. აქ ციხე-სიმაგრის ნაშთებს შორის თავი იჩინა ერთმა ნაკვეთმა დიდი, სწორად მდგარი ფილაქვებით ნაშენი ძველი ზღუ-დისა, რომელიც კარგი ანტიკური ტექნიკით ნაგებს მოგვაგონებს. კედლის სის-ქე 2—4 მ უდრის, მასში ჩადგმულია ორი კოშკი და ორიც დუღაბით ამოვსებუ-ლი საომარი ბაქანი.

მეორეა უჯარმის ციხე, რომლის პირველად აშენებას ქართული წერი-ლობითი წყაროები მიაწერენ ასფაგურ ქართლის მეფეს, ე. ი. ახ. წ. III საუკუ-ნეს. თხრის შედეგების მიხედვით, ამ ციხის უძველეს, ძირითად ნაგებობებში მკა-ფიოდ არ გამოირჩევა ორი სამშენებლო პერიოდი: ყველაფერი თითქოს ერთობ-ლივ მოფიქრებული, დაგეგმილი და განხორციელებულია. უჯარმის ციხის უძ-ველეს ნაშენობას მივიჩნევთ გვიანანტიკური დროის (ადრეფეოდალურის მხო-ლოდ დასაწყისის) ქართული ციხეთმშენებლობის ერთერთ ნიმუშად, რომელ-საც ახასიათებს: ქვითკირის წყობა (დუღაბის ჯერ კიდევ ზომიერი გამოყენებით); ათასობით მცირე, ბრტყელი. წესიერად მოჭრილი და მკაცრი ჰორიზონტალობით ნაწყობი ქვათლილისაგან შემდგარი პერანგი; დიდრონი, ნალისებრთაღიანი კარ-სარკმელი და, ჩანს, ღია აივნები ზღუდეში მრავლად დატანებულ კოშკებში; კოშკების სწორკუთხოვანი განივკვეთი, ქონგურებიანი თავები და სხვ. კოშკები იმავე დროს ბინებიც ყოფილა და, კერძოდ, მეფის ადგილსამყოფელიც არსები-თად ასეთსავე, ოღონდ უფრო ფართო კოშკს წარმოადგენს (შდრ. თანამედროვე მთიელთა კოშკები). ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ ისინი დიდრონი ბრტყელი, გვერდებაკეცილი და ღარისებრი კრამიტით ყოფილან გადახურული. ეს გარე-მოებაც უჯარმის ნაშენობას ძალიან უახლოვებს მცხეთის გვიანანტიკურ ნაგე-

ბობებს. საერთო არქიტექტურული იერით უჯარმის ციხე ძალიან თავისებური ჩანს, თუმცა ეგებ იმიტომაც, რომ ასე მთლად შენახული იმდროინდელი ციხე სხვაგან არსადა გვხვდება საქართველოში. არმაზციხის ზღუდესთან უჯარმის ზღუდე-კოშკებს ისიცა აქვთ საერთო, რომ, როგორც ს. ჯ ა ნ ა შ ი ა აღნიშნავდა, აქ ჯერ კიდევ მკაფიოდ ჩანს მონათმფლობელური ეპოქის მშენებლობისათვის ჩვეული დაუზოგავობა არათავისუფალ ოსტატთა შრომისა: კედლები უკვე ქვითკირითაა ამოყვანილი, მაგრამ მათ მოპირკეთებაზე დიდძალი დრო და ენერგია არის დახარჯული.

სრულიად უნიკალურად გამოიყურება (და ბევრი რამით უფრო წინააზიურ-ბესოპოტამიურ ძეგლებს მოგვაგონებს) მესამე ნიმუში, რომელიც აგრეთვე გვიანანტიკურსა და ადრეფეოდალურ ხანას მიეკუთვნება, მაგრამ რომლის ძირითადი ხერხემალი, ჩანს, სწორედ გვიანანტიკურ ხანაშია აღმართული. ეს არის ძველ ქართულ წერილობით წყაროებში კარგად ცნობილი ქალაქის, ურ ბ ნ ი ს ი ს თხრილშემოვლებული ზღუდე. აქაური ქალაქური სამოსახლოს ნაშთების მხარდამხარ ეს უკანასკნელი — საცხოვრებელი თუ სამეურნეო ნაგებობანი — მეტწილად მცირედმეტყველი, სახედაკარგული ნაშთებითაა წარმოდგენილი. გათხრილია რიყის ქვით ნაწყობ კედელთა ძირები და საძირკვლები და ჯერჯერობით ერთადერთი დიდი, ქვითკირის შენობის ნანგრევი, ხოლო მათ შორის — სხვადასხვა სამეურნეო მოწყობილობის, ჭურჭლის და კერათა ნაშთები. ზღუდეზე შემონახულია ალიზით ნაგები ჩქელი კედელი, რომელსაც ძირს, არმაზციხის ანტიკური ალიზის ზღუდისაგან განსხვავებით, რიყის ქვის ფენილი უგია (ისიც ზოგან) და არა თლილი ქვა. კედელში ალაგ-ალაგ დატანებულია საკმაოდ მაღალი და ფართო სათავსოები, თავის დროზე, ჩანს, ბანურად გადახურული. ზღუდეში ჩართული ეს კოშკები ერთიმეორეს უკავშირდება კედელში დატანებული, გასწვრივი სავალებით, რომელთაც ალიზითვე ამოყვანილი კუთხოვანი თაღური თხემები აქვთ. გარდა ამისა, კოშკების გარეთა კედლებში დატანებულია მომცრო საჭვრეტ-სარკმლები, რომლებიც გარეთკენ იმზირებიან. ორ მოპირდაპირე ადგილას ზღუდის ქვეშ შემოდის დიდრონი ფილაქვებით ნაშენი, გადახურული არხები. ალიზის ზღუდე საგრძნობლად გაძლიერებულია ზედ მოყრილი მიწით. ეს უკანასკნელი შეადგენს ქალაქის დაცვის სისტემის ტიპიურსა და არსებით ნაწილს, რომელიც მით უფრო აუცილებელი იქნებოდა, რომ ქალაქი ურბნისი მდებარეობდა შიდა ქართლის ერთერთ ვაკე ზეგანზე, და, მტკვრის ფლატეს გარდა, ყველა მხრივ ძალიან ადვილად მისაწვდომი იქნებოდა. ზღუდე-თხრილს შეუვალობას შემატებდა საშიშროების შემთხვევაში თხრილის წყლით ავსება, რაც ადვილი იქნებოდა, იმიტომ, რომ სწორედ აქ ჩამოდის ლიახვიდან გამოყვანილი ძველი ღონიერი რუ, რომელიც ურბნისამდე ჩამოივლის სოფ. რუისზე. საფიქრებელია, რომ ეს სოფელი თავდაპირველად წარმოადგენდა ურბნისის სამიწათმოქმედო გარეუბანს, რომლის მოსახლეობაც ქალაქს აწვდიდა მემინდვრეობის, მეხილეობის, მევენახეობის, მესაქონლეობის ნაწარმს (რის ნიშნებიც უხვადაა აღმოჩენილი ნაქალაქარის თხრისას) და თან საშიშროებისას თავს აფარებდა ქალაქის გალავანს. მოსაზრებას ურბნისის ზღუდის გვიანანტიკურ ხანაში აღმართვის შესახებ აძლიერებს ის გარემოება, რომ თვით ქალაქის ნამოსახლარი ნაშთების თხრისას იქ უკვე მკაფიოდ გამოიყოფა ანტი-


1

2


3

4

კური (უფრო—გვიანი, მაგრამ აგრეთვე ადრეულიც) ფენები, ხოლო ზღუდის ძირითადი ნაწილი მჭიდროდ უკავშირდება ამ ფენებს.

ამრიგად, გვიანანტიკური დროისა თუ მაშინ ჩასახული ციხე-ქალაქების უკვე რამდენიმე ვარიანტთანა გვაქვს საქმე საქართველოში (არმაზციხე, ნოქალაქევი, უჯარმა, ურბნისი).

ყველა აქ განხილული ძეგლი საკმაო წარმოდგენას გვიქმნის საცხოვრებელ თუ სამაგრ ნაგებობათა მშენებლობის მაღალი დონის, საინჟინრო თვალსაზრისით კარგად, პირობებისამებრ სხვადასხვაგვარად გააზრებულობისა და არქიტექტურულად კარგად გაფორმებულობის შესახებ. აშკარაა, რომ ამ საქმეში უკვე დიდი, საუკუნოებრივი ტრადიციები მიუძღვით წინ ამდროინდელ მშენებლებს (ამ ჰხრივ თუნდაც „ბაგინეთ-არმაზციხე I“ მშენებლობის გამოცდილება რადა ღირს!).

გვიანანტიკური საქართველოს ხუროთმოძღვრებისა და სამშენებლო საქმის თავისებურ ძეგლებად უნდა ჩაითვალოს ის მრავალრიცხოვანი ნ ა გ ე ბ ი ს ა მ ა რ ხ ე ბ ი, რომლებიც მცხეთაში სწორედ ძვ. წ. მიწურულში ჩნდება. ხოლო I — III საუკუნეთა მანძილზე ნამდვილად საყოველთაოდ არის გავრცელებული მცხეთაშიც და მის გარეუბნებშიც. ეს ითქმის ჩვეულებრივ, მცირე ყუთისებრ შეკრულ სამარხებზედაც კი და, მით უმეტეს, ისეთ დიდ, ნამდვილ ნაგებობათა სახით აღმართულ აკლდამებზე, როგორიც აღმოჩნდა ბაგინეთ-არმაზციხეში 1947 წელს და სადგურ მცხეთასთან 1951 წელს. ეს უკანასკნელები, ჩანს, იმეორებენ იმდროინდელ დ ი დ ი ა რ ქ ი ტ ე ქ ტ უ რ ი ს (საერო თუ საკულტო ნაგებობათა) საერთო ფორმებსა და მშენებლობის წესებს და, მაშასადამე, უნდა ჩაითვალონ სწორედ ასეთი არქიტექტურის ნამდვილ ძეგლებად.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მცხეთის სადგურთან აღმოჩენილი და გათხრილი აკლდამა. იგი ჩადგმულია ფერდობზე ამოჭრილ ქვაბულში, ისე რომ წინ დატოვებული აქვს ეზო. ეზოცა და აკლდამაც ქვა-თიხით ამოყვანილი გალავნით არის შემოზღუდული. ეზოს კუთხეში დაუმარხავთ უბელო ცხენი. თვით აკლდამა წარმოადგენს სწორკუთხოვან სამარხავ სენაკს, რომლის შიდა მოცულობა 10 კუბ. მეტრს უახლოვდება. კედლები აგებულია ქვითკირით და შემოსილია ქვიშაქვის დიდრონი თლილი, ერთიმეორეზე მჭიდროდ მორგებული ფილებით. აკლდამა გადახურულია ქვის თლილი რკალებისაგან შედგენილი ნახევარწრიული კამარით. იატაკად დაგებულია სხვადასხვა ზომის სწორკუთხოვანი ფილები. წინა ფასადი დაგვირგვინებულია ფრონტონითა და მარტივი, მაგრამ კოხტა კარნიზით. კარს საპირე აქვს. შიგ მჭიდროდ იყო გაჭედილი მთლიანი სქელი ფილაქვა. ფასადის კვადრები არც ტოლებია, არც ერთგვარი მოყვანილობისა და არც პარალელური. ამ მხრივ (და აგრეთვე ჰორიზონტული კარნიზის უქონლობით) ფასადი ძალიან უახლოვდება მერმინდელი ქართული ძეგლების ფასადებს და, პირიქით, განსხვავდება ბერძნულ-რომაული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ფასადებისაგან, თუმცა ზოგი რამით აკლდამა მოგვაგონებს ჩრდილო შავიზღვისპირეთისა თუ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში გამოვლენილ ანტიკურ — უფრო ზუსტად, ელინისტურ — აკლდამებს. ფასადის შემადგენელ ქვებს ემჩნევა ხუთნაირი ხელსაწყოს კვალი, ასე რომ, ქვის თლა

დიდად დიფერენცირებული იარაღებით უწარმოებიათ (ასევე გულდაგულ დამუშავებული და ზუსტად გამოთლილია მცხეთისა თუ სხვა ადგილების ბევრი მდიდრული ქვისსამარხის შემადგენელი ფილაქვები და განსაკუთრებით კი არმაზისხევის № 7 სარკოფაგი და შიგ მცხეთაში 1958 წელს აღმოჩენილი სარკოფაგი, რომლებიც უნდა ჩაითვალონ იმდროინდელი, II საუკუნის ქვისმთლელობის საუკეთესო ნიმუშებად). აკლდამის შიდა კედლები შელესილია მოვარდისფრო, სინესტეგამძლე ხსნარით. აკლდამის ჭერი წარმოადგენს ნახევარწრიულ თაღს, რომელიც უნდა ჩაითვალოს უძველეს დათარიღებულ თაღად (I ს.) ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში. სახურავს ზედ აფარია სქლად მოსხმულ კირში ჩაფლული დიდრონი კრამიტი — ბრტყელი და ღარისებრი. ამრიგად, პირველად გვაქვს საქმე კრამიტის ნამდვილსა და მთელ სახურავთან, რაც ზედმიწევნითი დადასტურებაა ბერძნი გეოგრაფის ს ტ რ ა ბ ო ნ ი ს (ძვ. წ. I—ახ. წ. I სს.) ცნობილი ნათქვამისა იბერიაში „ხუროთმოძღვრების წესისამებრ აგებული". შენობებისა და, კერძოდ, კრამიტით დაბურულობის შესახებ.

ამრიგად, ჩვენ წინაშეა პირველხარისხოვანი არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლი, რომელიც თარიღდება ახ. წ. I საუკუნის მიწურულით. იმდროინდელი მთლიანად შემორჩენილი შენობა ჩვენში ამის მეტი ჯერ არსად აღმოჩენილა.

მეორე მხრივ, მოგვეპოვება გამოქვაბულების უაღრესად საყურადღებო კომპლექსი უფლისციხეში (ტაბ. XXVI, 4), რომლის გამოქვაბულთა უმნიშვნელოვანეს ნაწილს ზოგი მკვლევარი ანტიკურ ხანას მიაწერს. საერთოდ კი კლდეში გამოქვაბულთა კვეთა ჩვენში ძველისძველი ტრადიციების მქონე დარგი ჩანს სამშენებლო ხელოვნებისა, ისევე როგორც სამხრეთით მდებარე, ჩვენი მონათესავე მოსახლეობისა და ძველი კულტურის ქვეყნებში.

გამოქვაბულთა ერთერთი ჯგუფის შუაგულში გამოკვეთილია დარბაზი, რომელსაც ნახევარწრიული თაღოვანი ჭერი აქვს, ხოლო ამ უკანასკნელზე გამოუყვანიათ კესონები — ჩაღრმავებული რვაკუთხედები. ეს დეკორი (ისევე როგორც სომხეთში, გარნისში გათხრილი იმავდროული ტაძრის წყობა და დეკორი) მოგვაგონებს II — III საუკუნეთა რომაული ხუროთმოძღვრების ზოგიერთ ძეგლს, მაგრამ კესონების შვეული განლაგებით განსხვავდება მათგან. აგრეთვე ადგილობრივი ხუროთმოძღვრების წესის გამოვლინებად არის მიჩნეული ის, რომ გარეთა ფასადზე რომაულისათვის ჩვეული ფრონტონი თაღისა და სიბრტყის მიჯნაზე ძევს. ამ გამოქვაბულის პირდაპირ, კლდეში ორ წყებად გამოკვეთილია სკამები. ყოველივე ამის გამო შესაძლოდ ითვლება, რომ აქ ჩვენ სათეატრო დარბაზთან გვქონდეს საქმე, მით უმეტეს, რომ ბერძნულ-რომაულ წყაროთა მიხედვით, ანტიკურ კოლხეთშიც (ქ. აფსარში) ყოფილა თეატრი და ანტიკურ სომხეთშიც (ქ. არტაქსატაში). კესონებით დამშვენებული ჭერი უფლისციხის რამდენსამე სხვა დიდ გამოქვაბულ დარბაზსაცა აქვს და ეს კესონები ზოგჯერ ხის გადახურვის მიბაძვით გამოჭრილ „ძელებს" შორის არიან მოქცეული. ერთგან არქიტრავული გადახურვა და კუთხის პილასტრები ჩანს. შეიმჩნევა დეკორაციული მოხატულობის კვალიც. გამოქვაბულში მკაფიოდ იგრძნობა ძველი ადგილობრივი, ხის ნაგებობათა აღნაგობით ნაკარნახევი კლდეში გამოკვეთილი ფორმები („ძეგლები", „გვირგვინები" და სხვ.) ხაზგასასმელია, რომ

უფლისციხეში სწორედ ქართული „დარბაზის“ ტიპის გამოქვაბულები ჭარბობს და რომაული გავლენა უფრო ისეთი სპეციფიკური დანიშნულების ნაგებობას ეტყობა, როგორიც არის „თეატრი“ — საფიქრებელია, თავისთავადაც რომაული გავლენის შედეგად აღმოცენებული გვიანანტიკურ ქართლში.

მცხეთაში თუ სხვა ადგილებში ამონათხარ მშენებლობის ძეგლთა შორის სპეციალისტების საგანგებო ყურადღებას იპყრობს კრამიტი, რომელიც მრავალად მოიპოვება სამარხთა შედგენილობაშიც, ნაგებობათა ნახანძრალ-ნანგრევთა შორისაც და კულტურულ ფენებშიც. სტრაბონის თხზულების თარიღი და სამთავროში ქვევრსამარხებთან კრამიტის თანაარსებობის ფაქტი მცხეთაში კრამიტის წარმოების საწყისს უფრო ადრეულ ხანაში გვაგულისხმებინებენ და აშკარაა, რომ არც აქ (ისევე როგორც კრამიტით დაბურული აკლდამის შემთხვევაში) მოგვიხდება რომაული მშენებლობის წესის გავლენის შესახებ მსჯელობა. მცხეთურ კრამიტებზე ამოჭრილი ნიშნების სრული იგივეობა ამ ძველი დიდი ქალაქის სხვადასხვა უბნებსა თუ გარეუბნებში იმას მოასწავებს, რომ ისინი ერთისა და იმავე სახელოსნოების ნაწარმია.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ კრამიტი — ყოველ შემთხვევაში, მრავლად — „დიდი მცხეთის“ გარდა არც თუ ისე ბევრ ადგილას არის აღმოჩენილი გვიანანტიკური დროის ძეგლთა შორის. აღმოსავლეთ საქართველოში დავასახელებთ გორის ციხეს, ურბნისსა და უჯარმას, სადაც ნაგებობათა ნაშთებში თუ სამარხებში გვხვდება კრამიტი, ხოლო დასავლეთში — ბორს. ადვილი შესაძლებელია, რომ კრამიტის წარმოება და გამოყენება უმთავრესად ქალაქ ადგილებში ყოფილიყო გავრცელებული იმდროინდელ საქართველოში, რაც შეეხება ბორს, იგი პიტიახშთა რეზიდენცია მაინც იყო, ციხე-ქალაქ შორაპანთან ახლოს მდებარე.

ასე გამოიყურება, არქეოლოგიური მასალების მიხედვით, I — III საუკუნეების საქართველოში ხუროთმოძღვრებისა და სამშენებლო საქმის, როგორც საერთოდ მეურნეობის, ნივთიერი კულტურისა და კერძოდ საქალაქო-კომუნალური კულტურის ერთი ყველაზე უფრო არსებითი დარგის, ვითარება.

მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი სამარხეული ინვენტარის გაცნობა საშუალებას გვაძლევს სხვა მხრივაც მივუდგეთ კულტურის შესწავლა-დახასიათებას და შევიქმნათ წარმოდგენა იმდროინდელ საქართველოში ხელოსნური წარმოების სხვადასხვა დარგების შესახებ. უპირველეს ყოვლისა იმ დარგების ნაწარმია უხვად წარმოდგენილი, რომლებიც მხატვრული განხრით მუშავდებოდნენ, ვინაიდან თვით დაკრძალვის წესის თავისებურების გამო სამარხეულ ინვენტარში უმეტესწილად სწორედ ასეთი ნივთებია გავრცელებული. ეს დარგებია: ლითონის ჭურჭლისა თუ სხვა მსგავსი საგნების დამზადება, მცირე ქანდაკება, ოქრომჭედლობა, მინის ჭურჭლისა თუ სხვა საგნების დამზადება, კერამიკული წარმოება. ძირითადი მასალა აქაც მცხეთის სამარხვნებიდან მომდინარეობს, მაგრამ ბევრი რამ სხვა (განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოს) სამარხვნების წყალობითაა ჩვენთვის აგრეთვე ცნობილი. მეორე მხრივ, ბოლო ხანებში გაჩნდა ნამოსახლართა თხრით გამოვლენილი მასალაც.

ყველაზე უფრო გავრცელებულია ოქრომჭედლობისა და პატიოსანთვალთა გათლა-დამუშავების ხელობის ნაწარმი. „დიდ

მცხეთაში“ გათხრილ-შესწავლილ სამარხთა ინვენტარში ოქრომჭედლობის ნაწარმი ერცელდება შედარებით გვიან, ძველი წელთაღრიცხვის მიწურულში (ქვევრსამარხებში). უფრო ძველი, ადრეანტიკური თუ მანამდელი ჩვენი ოქრომჭედლობის შესახებ წარმოდგენას ვიქმნით სხვა კუთხეებში (თრიალეთი, ახალგორი, ვანი, ნოსირი და სხვ.) აღმოჩენილი მასალის მიხედვით.

იშვიათი გამონაკლისის გარდა, საქმე გვაქვს ს ა მ კ ა უ ლ თ ა ნ, რომელიც მეტწილად სადიაცოა, მაგრამ საკმაოდ ხშირად გვხვდება მამაკაცთა სამარხებშიც. შეძლებულთა სამარხების ინვენტარისათვის დამახასიათებელია: თვალედი ბეჭდები, საყურეები და სამაჯურები, ზოგჯერ აგრეთვე ყელსაბამები, გულსაკიდები (ტაბ. XXVIII, 2, 5, 7), ნაირ-ნაირი საკიდები და მძივები, აბზინდები, დიადემები, დასაკრძალავი ფურცლოვანი გვირგვინები („ხოირები“) ავგაროზები, ჩამოსაკიდი ფიგურები, ქსოვილზე დასაკერებელი კილიტები, მოწკარუნე ფირფიტები თუ საკიდები, პირსაფარეშო ლამბაქები და სხვ. ოქროს გარდა, ზოგი ამ სამკაულთაგანი კეთდება ვერცხლისა, ბრინჯაოსი და რკინისაც კი (მაგ., ბეჭდები). საყურადღებოა, რომ იმდროინდელი მცხეთის სამარხებში თითქმის სრულიად არ ჩანს საკინძები და, კერძოდ, მშვილდსაკინძები (ფიბულები), ხოლო დასავლეთ საქართველოში ეს უკანასკნელები მრავლადაა. ეტყობა, აქ ტანსაცმლის რაგვარობაშია საქმე და დასავლეთში უფრო ადრე გავრცელებულა ფიბულებით შესაბნევი სამოსელი.

ოქროს ა რ ა ს ა მ კ ა უ ლ ი ნივთებიდან აღსანიშნავია სვანეთში, ხაიშში აღმოჩენილი ერთი ფრიად თავისებური, რთული და საინტერესო საგანი — სახლისა და უფრო კი მისი ცადაქნილი სახურავისა და სხვენის პატარა მოდელი, ადამიანთა (მათ შორის მოსაკრავის) და ფრინველთა ქანდაკებით დამშვენებული.

ოქროს ნაწარმის ესოდენი სიმრავლე და აშკარად ადგილობრივი იერი იმას მოასწავებს, რომ ჩვენში ძალიან უხვად მოიპოვებოდა და მუშავდებოდა ოქრო და რომ ის, მცირე ოდენობით მაინც, ზოგჯერ მისაწვდომი ყოფილა არც თუ ძალიან მდიდართათვისაც კი. ეს სავსებით ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს ზოგიერთი მდინარის ქვიშის სიმდიდრეს ოქროთი, რამაც ჯერ კიდევ ადრეანტიკურ ხანაში გაუთქვა უცხოეთში სახელი ჩვენს ქვეყანას და უფრო კი დასავლეთ საქართველოს.

ამასთანავე, ოქროს სამკაულის დაკვირვებით შესწავლა არკვევს, რომ ისინი ბევრ სხვადასხვა კუთხეში უკეთებიათ და არა თითო-ოროლა ცენტრში, თუმცა ამ საქმის ძირითადი ბუდე უნდა ყოფილიყო ქართლის დედაქალაქი და ვაჭრობა-ხელოსნობის უდიდესი ცენტრი — მცხეთა.

ოქროს სამკაული, ჩვეულებრივ, რთული აგებულებისაა. განსაკუთრებით ითქმის ეს პოლიქრომულ, ე. ი. სხვადასხვაფერი თვლებითა და ზოგჯერ აგრეთვე მინანქრით დამშვენებულ ნივთებზე. მრავალგვარი ტექნიკური თუ მხატვრული ხერხია ნახმარი ამ სამკაულთა სხვაფრივ დამშვენებისთვისაც: „ცვარა“ ანუ „გავარსი“, „ცრუ-ცვარა“, „გრეხილური“, „წნული“ და სხვ. განსაკუთრებით რთული და ფაქიზი აღნაგობა აქვთ ოქრომჭედლური ოსტატობისა და მცირე ხელოვნების ისეთ შედევრებს, როგორიცაა: არმაზისხევის ერისთავთა განსასვენებლის სამარხებში აღმოჩენილი ორი გულსაკიდი და წნული სამაჯური, ტახის

პაწია ქანდაკება (ავგაროზი), ასპარუგის სარტყლისა და დიადემის ბალთები; ბორის სამაჯურები, ბორისა და ახალსოფლის ბალთები; თაგილონის ირმის თავი; ხაიშის „სახლი“ (ტაბ. XXVIII, 6); ურეკის კოლოფისებრი ბალთები; კლდეეთის ოქროს გემმიანი აგრაფი და სხვ. ხაზგასასმელია სწორედ პოლიქრომია, რომელიც ისე ჭარბად არის წარმოდგენილი, რომ უდავო ხდება არსებობა ადგილობრივი, მოწიფული ოქრომჭედლური სკოლისა, რომელიც ქმნის პოლიქრომული სტილის ნამდვილ მხატვრულ შედეგებს. ეს სკოლა აღმოცენებულია ძველისძველი ტრადიციების ნიადაგზე, მათი ორგანული განვითარების შედეგად. მას, რა თქმა უნდა, ზოგი რამ შეძენილი აქვს უცხოური ოქრომჭედლობისაგანაც — უმთავრესად პატიოსან თვლებზე სხვადასხვა გამოსახულებათა ამოკვეთის მხრივ. აღსანიშნავია დვით თვლების გამოსათლელად ნახმარი მინერალური მასალის დიდი მრავალფეროვნება, რაც ხშირად აღმოსავლურ იმპორტზე მიგვითითებს (ზურმუხტი, საფირონი, ალმასი, ლალი, ნეფრიტი და სხვ.). საუკეთესო კამეა-გემმების (შეტწილად სარდიონის და აგრეთვე ლალისა თუ ამეთვისტოს თვლებზე ამოჭრილთა) მაგალითებად შეგვიძლია დავასახელოთ: ასპარუგის პორტრეტი, აქტეონის დაღუპვის სცენა, ძაღლის გამოსახულება და ახალგაზრდა ქალის პროფილი (არმაზისხევი); დიდკაცის პორტრეტი (კლდეეთი; ტაბ. XXVIII,3); დიდკაცის პორტრეტი (ციხისძირი) და სხვ. ზოგი გამოსახულების შინაარსი და ამოკვეთის მანერა გვაფიქრებინებს, რომ ეს გემმა-კამეები ან პირდაპირ შემოტანილია ბერძნულ-რომაული კულტურის ქვეყნებიდან, ან არა და იქაური ნიმუშების მიხედვითაა აქ ამოჭრილი, აქაური ოსტატების მიერ. ამ მხრივ უფრო სარწმუნოა რამდენიმე პორტრეტული გემმა, რომლებიც ჩვენშივე უნდა იყვნენ გაკეთებული. ამ პორტრეტების მხატვრული იერის თავისებურება ისაა, რომ ისინი არ არიან პლასტიკური.

პორტრეტული გემმები ერთგვარ შუქს ჰფენენ ნივთიერი კულტურის ისეთ მხარეს, როგორიცაა ჩაცმულობა და მორთულობა, მათზე გამოხატულთა სახის ნაკვეთებზე რომ აღარა ითქვას რა. კერძოდ, ჩანს, რომ არისტოკრატ მამაკაცებს თმა-წვერ-ულვაში საკმაოდ გრძლად გაშვებული უტარებიათ (ტაბ. XXVIII, 3); დედაკაცებს თმა ზემოთ ახვეული და ერთგვარი დიდი, მრგვალფირფიტოვანი სამკაულის (მერმინდელი ქართული „თავაქალას“ და „დაბლას“ მსგავსის) ირგვლივ შეკონილი ჰქონიათ. ტანსაცმელი მხართან შეიბნეოდა (თუმცა კი ფიბულები ბევრგან არა ჩანს). სამოსლის ქვედატანისა და ფეხსაცმლის შესახებ ეს გამოსახულებანი ვერაფერს გვეუბნებიან, მაგრამ არმაზისხევის ერთერთ სარკოფაგში, ქალის სამარხში, აღმოჩენილია ფეხსაცმლის ლანჩები, საცობისებრი მასალისაგან გაკეთებული. რამდენსამე იქაურსავე სამარხში და სადგურის აკლდამაში მრავლად ნაპოვნი ოქროს კილიტები და ოქრომკედის ნაწყვეტები წარმოგვადგენინებენ მდიდრულად მორთულ საზეიმო წამოსასხამებს თუ საგანგებო ცხენრისსაფარებს, ოქროს აბზინდები — ქალის მდიდრულ სარტყელსა თუ მოსასხამის შესაბნევს და ა. შ. დიდკაცების საზეიმო მორთულობას შეადგენს ოქროსაბზინდიანი და ოქროსბალთებიანი სარტყლები (ტაბ. XXVIII, 1), ოქროსქარქაშიანი თუ ოქროსტარიანი სატევრები, ზოგჯერ ოქროსი ან სხვა მასალის მძივები, დიადემები და საყურეებიც კი. ბევრი ამ ნივთთაგანი დიდი თანამდებობის პირის ნიშნებს ანუ ინსიგნიებს წარმოადგენს. დიდკაცთა ოჯახის წევ-

რი ქალების საზეიმო მორთულობაა: ოქროს დიადემები, სამაჯურები, სამკლაურები, საწვივურები, თვალედი საყურეები, ბეჭდები და სხვ. რაც უფრო დაბალ სოციალურ საფეხურზე დგას ადამიანი, მით უფრო ნაკლები და იაფფასიანი სამკაულით ისტუმრებენ მას „საიქიოს“, ხოლო ბევრს ბრინჯაო-სპილენძის თითო-ოროლა საყურე ან ბეჭედი თუ ახლავს თან, ზოგჯერ ოქროს ნიმუშების მიბაძვით გაკეთებული, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა.

სამკაულთა ზოგი ტიპი მცირეშეძლებულთა სამარხებში წარმოდგენილია, ვერცხლსა და ბრინჯაოს გარდა, რკინითაც. ეს განსაკუთრებით ითქმის ბეჭდებზე. რკინის ბეჭდებს ვხვდებით: სამთავროში, არმაზისხევში, კლდეეთში, ურბნისში და სხვ. მაგრამ საქმე ისაა, რომ მათში თითქმის ყოველთვის ჩასმულია სარდიონის თვლები, რომლებზედაც ეჰა თუ ის გამოსახულებაა ამოკვეთილი, ზოგჯერ საკმაოდ კარგი ხელობითაც კი. ეს გარემოება ხელს უშლის რკინის ბეჭდების მაინცადამაინც ღარიბულ ინვენტარად გამოცხადებას.

ოქროს რთული სამკაულის შემადგენლობაში ჩართული თვლების გარდა, მინერალური (ნაკლებ ძვირფასი) მასალა უხვადაა გამოყენებული დამოუკიდებელი სამკაულის — მძივებისა და მძივსაკიდების დასამზადებლად. აქ ვხედავთ უმთავრესად ისეთ მინერალებს (კვარცის ჯგუფისას), რომლებიც საქართველოს ბევრ კუთხეში ახლაც მოიპოვებიან (სარდიონი, ქალცედონი, აქატი, ოპალი, მთის ბროლი, გიშერი). განსაკუთრებით ითქმის ეს გიშერზე, რომლის წარმოებასა და საკმაოდ შორეულ ექსპორტს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს საქართველოში („ოკრიბის ქვა“). ბუნებრივ მინერალებთან ერთად და უფრო მეტადაც კი იყენებენ ხელოვნურ პასტასა და მინას, სხვადასხვა ფერისა და აღნაგობისას. ამ რიგის სამკაულიდან (რომელიც ხშირად ალბათ შემოტანილია) აღსანიშნავია ნაირფერი მინის წვრილი ფირფიტებისაგან ოსტატურად, „ხალიჩისებრ“ შეთხზული მოზაიკური მძივები. ასეთები ყველაზე მეტი კლდეეთშია აღმოჩენილი. საერთოდ კი მძივებისა და მძივსაკიდების რიცხვი ძალზე დიდია და შედგენილობა — ფრიად მრავალფეროვანი.

ოქრომჭედლური ნაწარმისა და ქვისა თუ პასტა-მინის სამკაულის ასეთი სიმრავლე და სირთულე გვაფიქრებინებს, რომ მათ დამზადებაზე ისეთ სახელოსნოებს უნდა ემუშავნათ, რომლებშიც, გარდა მოწიფული ოსტატებისა, ჩაბმული იქნებოდნენ მრავალრიცხოვანი დამხმარე მუშაკებიც. ეს მძლავრი სახელოსნოები სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის, მეფის კუთვნილი დაწესებულებანი უნდა ყოფილიყვნენ და მათში მონური შრომაც უხვად იქნებოდა გამოყენებული. მით უმეტეს, რომ, როგორც რომაელი მწერლები გვამცნობენ, იბერიაქართლის მეფეებს უხდებოდათ დიდძალი ოქროსი თუ ოქროთი შემოსილი საგნების მიძღვნა დიპლომატიური საჩუქრების სახით (მაგ., ფარსმან მეორეს მიურთმევია რომის იმპერატორისათვის ოქროს სავარძელი და ოქროთი მორთული მრავალი წამოსასხამი).

აკად. გ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი არმაზისხევის პიტიახშთა სამარხების ოქროს „პირადი სამკაულობის“ ანალიზის შედეგად დაასკვნის, რომ ეს ნივთები ავსებენ ქართული ხელოვნების განვითარების ერთერთ ეპოქას. მისი აზრით, გვიანანტიკური დროის საქართველოს მხატვრულ კულტურაში პირველი ადგილი სჭერია სწორედ იმ ნაკადს, რომელსაც ახასიათებს ოქროს ნივთები, ვერცხლის

ნივთებზე გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი. მათში ასახულია თავისებური, არა ქანდაკოვანი, არამედ დეკორატიულ-მხატვრული სახეებით შთაგონებული ხელოვნება, რომელსაც ახასიათებს მკაფიოდ გამოხატული კოლორიტულობა — მოლაპლაპე ოქროსთან შეხამებული ფერადი თვლების კიაფი, პასტა თუ მინანქარი, ცვარა და სხვ. გაიკვლევა სათანადო ევოლუცია: პატიოსანი თვლების ჩართვა-ინკრუსტაცია — მინანქრის საწყისები. არმაზისხევის II—III სს. სამკაული უფლებას გვაძლევს აღარ ვენდოთ თეორიას, თითქოს მინანქრის წარმოება IV—VI საუკუნეებში იწყება. არმაზისხევის ოქროს მოთვალული სამკაულის საერთო იერი ნებას გვაძლევს დავუკავშიროთ ისინი საქართველოში ხელოვნების შემდგომ განვითარებას, ხოლო ამასთანავე მას ძველი ფესვები აქვს მშობლიურ მხატვრულ ტრადიციაში. ეს ძეგლები უნდა ჩაითვალოს იმდროინდელი ქართული ხალხური ხელოვნების გამოვლინებად, მით უმეტეს, რომ პიტიახშთა ნაქონი ზოგიერთი, შედარებით ნაკლებ ძვირფასი სამკაულის (საყურეების, ბეჭდებისა და მარტივი სამაჯურების) ფრიად მახლობელი ანალოგიები მოიპოვება იმავდროულ, არც თუ ყოველთვის მდიდრულ სამარხებში, კერძოდ, სამთავროს სამაროვანზე, კლდეეთში, ახალგორში, თრიალეთსა, სარგვეშში და სხვაგან. მმართველი წრის წარმომადგენელთა გემოვნებას ამეღავნებს საყოველთაო ანტიკური სამყაროსადმი მისაკუთვნებელი ხელოვნების ნაწარმი ნივთები და პირადი სამკაულის ცალკეული ელემენტებიც. პიტიახშთა ვერცხლეულის (სასუფრე და სხვ., მეტწილად დეკორატიული ჭურჭლის; ტაბ. XXIX) დიდი ნაწილი კი რომაულ-ელინისტური გემოვნებისაა და ოქროს სამკაულისაგან განსხვავებულ მხატვრულ მიმართულებას ასახავს. მათი ხასიათი ძირითადად რომაულ მხატვრულ კულტურას ეხმაურება, მაგრამ ნამდვილად შემოტანილთან ერთად, გვხვდება ადგილობრივი ნივთებიც.

უმთავრესად სწორედ ვერცხლის (და ნაწილობრივ აგრეთვე ბრინჯაოს) ჭურჭლეულით არის წარმოდგენილი ჩვენს სამარხეულ ინვენტარში ლითონის მხატვრული დამუშავების ნაწარმი. უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ ვერცხლისა თუ ბრინჯაოს ჭურჭელი გვხვდება სამკაულზე გაცილებით უფრო იშვიათად, მხოლოდ სიმდიდრით გამორჩეულ სამარხებში: არმაზისხევის პიტიახშთა სამარხავში ყველგან, განსაკუთრებით მრავლად — ბაგინეთის სარკოფაგში („შეფის ასულის" ვერცხლეული), მცხეთის სადგურის აკლდამაში (ნატეხებია), სამთავროს ორიოდე უმდიდრეს სამარხში, ბორის მდიდრულ სამარხებში, კლდეეთის მდიდრულ სამარხებში, თაგილონის მდიდრულ სამარხში, ხაიშის მდიდრულ სამარხში, სტალინირის სამარხში, კვაშხიეთის სამარხში.

ამასთანავე, სტალინირისა და კვაშხიეთის სამარხებში აღმოჩენილი პინაკები შემკულია სევადით, რაც მცხეთის არც ერთ სამარხში არ შეგვხვედრია და რასაც საქართველოში აგრეთვე ძველისძველი ტრადიციები უჩანს. მეორე მხრივ კი კვაშხიეთის პინაკის დეკორატიული გარე წრე ზედმიწევნით ჰგავს ბერსუმა პიტიახშის სამარხში აღმოჩენილი ორი, „ცხენიანი" პინაკისას.

ლითონის ჭურჭლეულში აშკარად გამოირჩევა ერთი წყება, რომელიც ადგილობრივ ნაწარმად უნდა მივიჩნიოთ, ისევე როგორც — კიდევ უფრო დანამდვილებით — სარეცლის თუ სავარძლის მოხარატებული, ვერცხლით შემოსილი ფეხები, რომლებიც დეკორის მოტივებით (სტილიზებული ფასკუნჯები,

კლანჭები, თვალ-ნისკარტები და სხვ.) თვალნათლივ უკავშირდებიან ძველ, ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანის ჩვენებურ დეკორატიულ საგნებს და აგრეთვე ურარტული ტახტებისა და სავარძლების ბრინჯაოს ფეხებს. ასეთებია: ბერსუმას დიდი ლანგარი, მისთვის მეფის მიერ ნაბოძები; მისსავე სამარხში აღმოჩენილი 3 პინაკი, რომელთაგან ერთზე არწივია ამოკაწვრით გამოსატული, ხოლო ორზე — სამსხვერპლოს წინაშე მდგარი ცხენი; ბორში აღმოჩენილი, ასეთივე ცხენიანი პინაკი; კვაშხიეთში აღმოჩენილი პინაკი; ცხვრისა თუ მგლის თავით დაგვირგვინებული ტარების მქონე „აზარფეშები"; ყანწიანი ქალის ჰორელიეფით დამშვენებული პინაკი (ტაბ. XXIX, 2) და სხვ.

საერთოდ, გვიანანტიკური საქართველოს საზოგადოების უმაღლეს წრეში გავრცელებულია ვერცხლისა და ბრინჯაოს შემდეგნაირი ჭურჭელი: პინაკები, ლანგრები, სურები (საღვინეთა, „ენახოათა" ტიპისა), „აზარფეშები" ან, უფრო სწორად, ხელსაბანები, თასები, სასმისები, კოვზები, ჩამჩები და სხვ. ამ ჭურჭლის დიდი უმეტესობა შემკულია რელიეფური, დაწნევით მიღებული, ამოღარული, ამოტვიფრული და ამოკაწრული გამოსახულება-ორნამენტით. საკმაოდ ხშირად ვერცხლის ლანგარ-პინაკებზე ამოკაწრული ან ამოჩხვლეტილია წარწერები, რომლებიც გვამცნობენ ჭურჭელთა კუთვნილებას ან ბოძებას ამა თუ იმ დიდკაცისათვის და ამრიგად ჩვენ წინაშე წარმოადგენენ მანამდე უცნობ ისტორიულ პირებსაც, ჭურჭლის პატრონებსა თუ მჩუქებლებს („მეფე ფალდადი", „პიტიახში ბერსუმა", „ბუზმირ კეთილი პიტიახში", ვინმე „მეფის ასული" და ა. შ). ბევრი ჭურჭელი მართლაც უცხოეთიდან შემოტანილი უნდა იყოს. ასეთია, მაგალითად: არმაზისხევის პინაკი, რომელშიც პორტრეტული ბიუსტია ჩაკრული (რომის იმპერატორისა?), მეორე პინაკი, რომელშიც ანტინოეს მედალიონია ჩაკრული (ერთი ასეთი მედალიონი, ბრინჯაოსი, ადრეც იყო შიგ მცხეთაში აღმოჩენილი), ბაგინეთის პინაკი, რომელშიც ჩაკრულია პორტრეტული ბარელიეფი (რომის იმპერატორისა?) და სხვ. საერთოდ, უშუალო რომაული იმპორტი თუ ძლიერი გავლენა ყველაზე უფრო ამგვარ ჭურჭელში და აგრეთვე ოქრო-ვერცხლის ფულში იგრძნობა.

ქ ა ნ დ ა კ ე ბ ა წარმოდგენილია ორნაირი ძეგლებით: ა) ქვისაგან გამოთლილი და ბ) ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ამა თუ იმ გამოსახულებით. პირველ ჯგუფში განსაკუთრებით აღსანიშნავია არმაზისხევის პიტიახშთა სასახლის ნანგრევებს შორის აღმოჩენილი სამი ნატეხი სამი სხვადასხვა მომცრო ქანდაკებისა. ქვის მცირე ქანდაკებათაგან აღსანიშნავია აგრეთვე ლითონის ნივთების დამამშვენებელი ზოგიერთი დეტალი: არმაზისხევის პიტიახშთა სამაროვანზე აღმოჩენილი ოქროს გულსაკიდის კოლოფის ხარჭველში ჩართული, ამეთვისტოსაგან საუცხოოდ გამოთლილი ცხვრის თავი და ქვიშაქვისაგან ასევე გამოთლილი ცხვრის თავი კლდეეთის ბრინჯაოს „აზარფეშის" ტარის ბოლოზე.

მეორე ჯგუფში უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია მცხეთის სადგურის აკლდამაში აღმოჩენილი, ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ქანდაკება „მომღერალ-დამკვრელი", დიდწვეტიანყურა ჭაბუკისა (ჩანს, ანტიკური დიონისური კულტისადმი მისაკუთვნებელი ფიგურისა), რომელიც რაღაცაზე წამოცმული ყოფილა თავის დროზე. ნამდვილად ძველი ქართული ხელოვნების ნაწარმოებია, მეტწილად აგრეთვე კულტთან და დაკრძალვის თუ სხვა რიტუალთან დაკავში-

რებული ის მრავალრიცხოვანი მცირე ფიგურები, რომლებიც ხშირად გვხვდებიან სამარხებში და მეტწილად გამოხატავენ სხვადასხვა ცხოველებს, ჩვეულებრივ ჭეშმარიტი მხატვრული ოსტატობით შესრულებულთ (ჯიხვი, შველი თუ არჩვი, ცხვარი, თხა, ძაღლი, ხარი, ცხენი და სხვ.). ამ ქანდაკებათა ერთი წყება ავგაროზებადაა მისაჩნევი. აღსანიშნავია, რომ ბრინჯაოს ასეთი ქანდაკებანი სრულიად არ გვხვდება უმაღლესი არისტოკრატიის კუთვნილ სამარხებში და სამაგიეროდ ხშირია ხალხთან უფრო ახლოს მდგარ ნაკლებ წარჩინებულთა სამარხებში. ისინი ორგანულად განაგრძობენ ადგილობრივ მკვიდრ, ჯერ კიდევ წინარეანტიკურ ტრადიციებს და სწორედ ხალხურ იდეოლოგიურ ფორმებს უკავშირდებიან და არა ანტიკური ქვეყნებიდან ნასესხებსა თუ შემოჭრილს. ბრინჯაოსაგან ჩამოსხმულ ასეთ გამოსახულებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ე. წ. „ბრინჯაოს ქართულ უძველეს ბალთებს“ (ტაბ. XXVI, 5), რომლებიც გავრცელებული არიან რაჭა-იმერეთშიცა და მესხეთ-ჯავახეთ-თრიალეთშიც, ხოლო, როგორც მთის რაჭის სამარხებიდან მრავლად ამოთხრის შემდეგ გამოირკვა, ძვ. წ. III საუკუნიდან ახ. წ. III საუკუნემდე მოდიან. ამ ხნის განმავლობაში მათი განვითარების ოთხი საფეხური გამოირჩევა. ბალთები ჭვირულია და მათზე შუაში ამობურცვით გამოსახულია სხვადასხვა ცხოველები (ირემი, ცხენი ან ხარი, აგრეთვე ძაღლი, ნუკრი, კვიცი და სხვ.). ამ გამოსახულებათა შინაარსი ძალიან საყურადღებო რელიგიურ წარმოდგენებს უკავშირდება. მათ ძლიერ უახლოვდება კლდეეთში აღმოჩენილი ბრინჯაოს ბალთა, რომელიც ცხენოსანს გამოხატავს. საინტერესოა, რომ 1954 წელს ურბნისში აღმოჩნდა მსგავსი გამოხატულებით (ნუკრებიანი ირემი) დამშვენებული კრამიტიც, რომელიც შეიძლება გვიანანტიკური დროის მიწურულს მიეკუთვნოს.

უნდა აღინიშნოს, როგორც ლითონის ფაქიზ ქანდაკებათა ნიმუშები, არმაზისხევში აღმოჩენილი ტახი (ოქროსი, ავგაროზი), თაგილონში აღმოჩენილი ქორბუდა ირმის თავი (ოქროსი), ხაიშში აღმოჩენილი „სახლი“ (ოქროსი) და ბორში აღმოჩენილი ხარის მცირე გამოსახულება (ბრინჯაოსი).

ჩვენ ხელთ არსებულ მასალაში მხატვრული ხელოსნობის კიდევ ორი დარგია წარმოდგენილი უხვად: მინისა და თიხის ჭურჭლის წარმოება.

მ ი ნ ი ს ჭ უ რ ჭ ე ლ ი სწორედ I საუკუნიდან იქცევა ჩვენში სამარხეული ინვენტარის ერთერთ არსებით და თითქმის აუცილებელ შემადგენელ ნაწილად, მეტ-ნაკლებ შეძლებულთა სამარხებში მაინც. მისი დიდი ნაწილი საგანგებოდ დაკრძალვის რიტუალისათვის განკუთვნილი თუ არა, მასთან მჭიდროდ დაკავშირებული მაინცა ჩანს. ესაა სხვადასხვა ზომის (მინიატურულიდან დაწყებული ვიდრე 200 — 300 კუბ. სმ ტევადობამდე) და სხვადასხვა მოყვანილობის სანელსაცხებლეები ანუ „ბალზამარიები“. არის ცოტაოდენი სასმისებიც. მინის ჭურჭლის განსაკუთრებით საინტერესო და მრავალფეროვან კოლექციას იძლევა სამთავროს სამაროვანი, სადაც ათეულობით ბრწყინვალე ნიმუშია მოპოვებული. საკმაოდ ნაირ-ნაირია მინის ფერიც. ყურადღებას იპყრობს, როგორც საქართველოსათვის ფრიად იშვიათი: ა) მუქი ლურჯი, მაღალხარისხოვანი მინის ორი თეფში და ლამბაქი, აღმოჩენილი მცხეთის სადგურის აკლდამაში (ახ. წ. I ს. მიწურული); ბ) თეთრი მინის მაღალი, გარედან ნახეხი ფოსო-

ებით დამშვენებული სასმისები, აღმოჩენილი იმავე აკლდამაში და აგრეთვე კლდეეთსა და ურბნისში (ახ. წ. II ს.).

დიდი მცხეთის გარდა, I — III სს. სამარხები მინის ჭურჭელს შეიცავენ აგრეთვე: ბორში, კლდეეთში, ურეკში, ურბნისში, გორში და სხვ; იმავე დროის ნამოსახლარის კულტურული ფენა — ურბნისში.

ამ მინის ჭურჭლეულის მნიშვნელოვანი ნაწილი იმპორტული ჩანს, მათი პირვანდელი ნიმუშები მაინც, ვინაიდან ჩვენში გავრცელებული ფორმების დიდი უმეტესობა ცნობილია რომაული გავლენის სფეროში შემავალ მრავალ ქვეყანაშიც, ბოსფორის სამეფოდან ეგვიპტემდე და ჰოლანდიამდე. მერე და მერე კი აქვე უნდა დაეწყოთ მინის ჭურჭლის გამობერვა, ერთხანს უცხოური ფორმების მიბაძვით, ხოლო შემდეგ (IV საუკუნიდან) — უკვე საკუთრივ გამომუშავებული ფორმებისაც, რომლებიც განსაკუთრებით მრავლადაა მცხეთაში. ამასთან დაკავშირებით დიდად საყურადღებო ჩანს ურბნისის ნაქალაქარის ბვიანანტიკურ ფენაში აღმოჩენა მინის ორი უფორმო ზოდისა, რაც მინის წარმოებაზე უნდა მიგვითითებდეს.

კერამიკული ნაწარმი თითქმის მუდმივი შემადგენელი ნაწილია სამარხეული ინვენტარისა. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ სამთავროს თითო-ოროლა უმდიდრესი სამარხი და არმაზისხევისა და ბაგინეთის მდიდრული სამარხები, სადაც მრავლადაა ლითონის ჭურჭელი. მეორე მხრივ, მდიდრულ სამარხთა შორის აშკარა გამონაკლისს წარმოადგენს მცხეთის სადგურის აკლდამა, რომელშიც ბლომად იყო თიხის ჯამები (ძლიერ მსგავსი თრიალეთის ზოგიერთი, „რომაული ეპოქის" ქვისსამარხში აღმოჩენილი ჯამებისა), ისევე როგორც მინის ნაირ-ნაირი ჭურჭელი, და სამაგიეროდ ნაკლები ჩანდა ვერცხლისა. ეს გარემოება, ამ აკლდამის ინვენტარის ზოგ სხვა თავისებურებასთან ერთად, უნდა მიეწეროს მის შედარებით სიძველეს: შეგვიძლია დავუშვათ, რომ ვერცხლეული უფრო II საუკუნიდან ვრცელდება ფართოდ ქართლის დიდკაცობაში. თიხის ჭურჭლის თანაარსებობა ვერცხლის, ბრინჯაოსა და მინის ჭურჭელთან უნდა აღინიშნოს კლდეეთისა და ბორის მდიდრულ სამარხებშიც.

მცხეთისა და საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს იმდროინდელ სამარხებში კერამიკა თითქმის ყოველთვის წითლად გამომწვარი გვაქვს, დასავლეთში კი უფრო ხშირად შავია ხოლმე. ჩვეულებრივ სამარხებში გვხვდება (1—3 ან მეტი, უფრო კი 2) მომცრო, ჩანს, რიტუალური დანიშნულების ჭურჭელი: ხელადა, ყურიანი კოპობი, ქუსლიანი თუ უქუსლო ჯამი, ფეხიანი ფიალა და სხვ. ცალკე აღსანიშნავია კლდეეთის ერთი თავისებური, ორმუცლიანი ხელადა. ჭურჭელი საერთოდ მარტივია და მათი ზედაპირი — თითქმის ყოველგვარ სამკაულს მოკლებული: ვხედავთ მხოლოდ ამ დროისათვის დამახასიათებელ, ირგელივ შემომწკრივებულ, შიგნიდან გამობურცულ კოპებს ან ალმაცერი ჭდეებისაგან შემდგარ სარტყელს. სამარხეული კერამიკა, რა თქმა უნდა, ვერ შეგვიქმნის სრულ წარმოდგენას იმდროინდელი თიხის ჭურჭლის შესახებ და ეს დანაკლისი ნაწილობრივ მაინც უნდა შეგვივსოს იმდროინდელ ნამოსახლართა კულტურულ ფენებში მოკრებილმა ნამტვრევებმა (არმაზისხევი, ბაგინეთი, ბიჭვინთა, ურბნისი, ნასტაგისი და ეგებ აგრეთვე უჯარმის უძველესი ფენა, რომელშიც თავისებური კერამიკა ჩანს). კერძოდ, ურბნისის ნაქალაქარში მრავლა-

დაა ნაპოვნი მაღალხარისხოვანი, მაგარი და ძლიერ პრიალა წითელი და შავი კერამიკა. მიუხედავად ამისა, მასალის უმეტესობა მაინც გვანიშნებს ყურადღების ერთგვარ მოდუნებას ჩვეულებრივი კერამიკის მხატვრული ღირსების მიმართ, რაც, საფიქრებელია, ლითონისა და მინის ჭურჭლის წინა პლანზე წამოწევის შედეგი უნდა იყოს. სამაგიეროდ, ეტყობა, დიდ პატივშია მოჭიქული კერამიკა, რომელიც უკვე ოთხი საყურადღებო ნიმუშითაა წარმოდგენილი: სამთავროს სამაროვნის ერთერთ სამარხში, არმაზისხევის პიტიახშთა სამარხავში (ბავშვის სამარხში — ორყურა, საკმაოდ ულაზათო ხელადა), მცხეთაში 1958 წელს გათხრილ ერთერთ საღვინე ქვევრში, და თრიალეთის ერთერთ სამარხში (პატარა ხელადა, რომელშიც მძივები და ავგუსტეს დენარი იყო). ლითონისა და მინის ჭურჭლის მოზღვავებასთან დაკავშირებით უნდა იქნას განხილული ის გარემოება, რომ გვხვდება აშკარად მათი მიბაძვით გაკეთებული თიხის ჭურჭელიც. ერთი მათგანი — ყელმაღალი და ყურმაღალი ხელადა, ერისთავთა ვერცხლის მოხდენილი საღვინე სურების დიდად მსგავსი, ნაპოვნია არმაზისხევის ერისთავთა სამარხის შორიახლოს აღმოჩენილ ღარიბულ სამარხში (ბერსუმა ერისთავის და ერისთავის ბავშვის სამარხებში აღმოჩენილ ოქროს საყურეთა დიდად მსგავს ბრინჯაოს საყურეებთან ერთად). მეორე — მინის პატარა ბოთლისებრ სანელსაცხებლეთა მსგავსი, წითლად გაპრიალებული — ნაპოვნია მცხეთაში შემთხვევით აღმოჩენილ ქვისსამარხში.

მ ე ტ ა ლ უ რ გ ი ი ს ა დ ა მ ჭ ე დ ლ ო ბ ა-ზ ე ი ნ კ ლ ო ბ ი ს ნაწარმი სამარხებში და მათ ინვენტარში საკმაოდ მრავლადაა წარმოდგენილი. მეტწილად ი ა რ ა ღ-ს ა ჭ უ რ ვ ლ ი ს სახით. სახელდობრ, ხელთა გვაქვს: ქვისსამარხთა შემადგენელი ფილაქვების ერთიმეორეზე გადამბმელი, რკინის კუთხოვანი სამაგრები, რომელთაც ბოლოები ჩვეულებრივ ტყვიითა აქვთ ხოლმე ფოსოებში ჩადუღებული (არმაზისხევი, სამთავრო, ბაგინეთი); რკინის სასანთლეები, რომლებიც ზოგჯერ ჯაჭვითა და კავით იკიდებოდა ქვისსამარხში (სამთავრო), ზოგჯერ კი პირდაპირ იდებოდა შიგ, ან გვერდით (დაბა მცხეთა, არმაზისხევი); თითოოროლა საზეიმო, ოქროთი დამშვენებული სატევრის პირი (არმაზისხევი) და საკმაოდ მრავალრიცხოვანი რკინის დანის პირები (იქვე, სამთავრო და სხვ.); რკინის მახვილები, სატევრები, შუბის პირები და ისრის პირები (ავჭალა, კლდეეთი, ძევრი); რკინისა და ბრინჯაოს ჯაჭვის პერანგები (ნაწყვეტები თაგილონისა და კლდეეთის სამარხებში); რკინის სასხლავები და სხვა სამეურნეო დანები, ცელისებრი (კლდეეთი); ბრინჯაოს რაზაკები, ტიპიური „ანტიკური" კლიტე-გასაღებები და თავფართო ლურსმნები (მცხეთის სადგურის აკლდამა, კლდეეთი); რკინის სალტეები, ფიცრის სარკოფაგისა თუ სარეცლის გარშემოსაკრავი (სადგურის აკლდამა) და სხვ. ცალკე უნდა აღინიშნოს ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული, დიდი და რთული ლახტის თავები (ერთი ბორში და ერთიც კლდეეთში). ამასთანავე, ფაქიზად ნამუშევარი ქვისსამარხისა თუ აკლდამის ან ნაგებობის პერანგის შემადგენელი ქვების მიხედვით უფლება გვაქვს წარმოვიდგინოთ უხვად დიფერენცირებული და მარჯვე რკინის ხელსაწყო-იარაღი — ქვის გასახვრეტი, ამოსაღრუბელი, გამოსაკოდავი, გასათლელი და სხვ.

როგორც ვხედავთ, საჭურველიდან წარმოდგენილი გვაქვს: მახვილები, სატევრები, შუბი, მშვილდ-ისარი, ლახტი და ჯაჭვის პერანგი. ლახტს აქაც სიმბო-

ლური მნიშვნელობა ენიჭება, მხედართმთავრის ემბლემა ჩანს, ისევე როგორც ბრინჯაოს ხანის სამარხებში (სამთავრო, ტყვიავი, თრიალეთი), ასე რომ, კიდევ ერთ ძველისძველ ტრადიციასთანა გვაქვს საქმე. იარაღის ნიმუშების დიდი უმეტესობა დასავლეთ საქართველოს სამარხებში გვხვდება, ხოლო აღმოსავლეთში და, კერძოდ, მცხეთაში, მას ძალიან იშვიათადღა ატანენ სამარხებში. მაგრამ როცა გვაქვს, საუკეთესო ნახელავია და ტიპოლოგიურადაც საკმაოდ მრავალფეროვანი.

განსაკუთრებით რთული ტექნოლოგიური პროცესის ნაყოფია არმაზისხევსა, ბაგინეთსა და ბორში მრავლად აღმოჩენილი სარეცლის ფესები, რომლებიც ჯერ მრავალფეროვანი სახეებით მოხარატებულია, ხოლო შემდეგ ზედ შემოკრულ ვერცხლის ფურცლებზე არის დაწნეევით აღბეჭდილი ეს სახეები. აგრეთვე რთული ჩანს ვერცხლის ზოგიერთი ჭურჭლის (სურების და სხვ.) დამზადების ტექნიკა.

ყოველივე ეს ლითონის დამუშავების შესანიშნავ ოსტატობას მოასწავებს. როგორც სპილენძ-ბრინჯაოს, ისე რკინის მეტალურგიასა და მჭედლობას ისეთი ხანგრძლივი ტრადიციები და განვითარების მაღალი დონე აქვთ განვლილი ჩვენში იმ დროისათვის, რომ სავსებით კანონზომიერია მეიარაღეობისა და ლითონის დამუშავების სხვა დარგების დაწინაურებულობა. კერძოდ, მცხეთაში, როგორც ბოლოდროინდელმა თხრამ გამოარკვია, ადრეეეც და ამ ხანაშიც გაცხოველებით მუშაობენ ლითონის საწარმოები. ეს წარმოება უნდა ყოფილიყო მცხეთისა და მისი სამეფოს ეკონომიური თუ სამხედრო სიმძლავრის ერთ-ერთი მკვიდრი საფუძველი. მცხეთის საწარმოო გარეუბანი, „სარკინედ“ წოდებული, დროთა ვითარებაში ცალკე საწარმოო ქალაქად ქცეულა („ქალაქი სარკინე“).

ს ო ფ ლ ი ს მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს ძირითადი დარგების შესახებაც გვაძლევს არქეოლოგიური მასალა ზოგიერთ მითითებას.

ყველაზე უფრო მეტყველია მასალა მ ე ვ ე ნ ა ხ ე ო ბ ა-მ ე ღ ვ ი ნ ე ო ბ ი ს შესახებ. არმაზისხევის ერისთავ-პიტიახშთა სასახლესა, აბანოსა და სამარხავს შორის, როგორც ვიცით, აღმოჩენილია მარნის ნაშთები — სხვადასხვა ზომის ორმოცდაათიოდე ქვევრი, ორი ტიპისა: ა) მოგრძო — „წერწეტა“, გარედან გლუვი; ბ) უფრო „ჯმუხი“, გარედან ხშირი ირგვლივი წიბოებით შემკული. ტიპოლოგიურად პირველნი უფრო ემსგავსებიან სამთავროს მრავალრიცხოვან, სამარხებად გამოყენებულ ქვევრებს, რომლებიც წინარე ხანას ეკუთვნიან. არმაზისხევის ქვევრები ნახეხია, ე. ი. მათში ღვინო გამუდმებით უსხამთ და უყენებიათ. აქ დიდკაცის, ზვრების მფლობელის ვენახებში მოყვანილ ღვინოსთანა გვაქვს საქმე და ეს არცაა მოულოდნელი: მცხეთის მიდამოებში რომ ბევრად ადრეეე, ჯერ კიდევ ადრეანტიკურ ხანაში დიდი ღონისძიებაა ჩატარებული მევენახეობის გასავითარებლად, ამას მოწმობს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობა ალ. მაკედონელის ხანაში ნასტაგის საევნახე რუს გამოყვანისა და ვაზის მოშენების შესახებ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს აზრით, ადრეფეოდალური ხანის ისტორიული პირი — ევაგრე მთავარი, რომელიც ძეგვის ციხედიდს იჯდა, ვენახებს ფლობდა, ყიდდა და ყიდულობდა, შეიძლება ყოფილიყო არმაზისხეველი ერის-

თავ-პიტიახშების შორეული შთამომავალი და მაშასადამე იმავე სამეურნეო ფართობის პატრონი.

გვიანანტიკურსავე ხანას ეკუთვნის ურბნისის ნაქალაქარის თხრისას საცხოვრებელი უბნის ნაშთებს შორის უკვე ათეულობით გამოვლენილი მცირე მარნების კუთვნილ ქვევრთა უმეტესობა, რომლებიც, სხვათა შორის, ტიპობრივად ძლიერ ემსგავსებიან არმაზისხევის ქვევრებს.

სამთავროსა და ზემო ავჭალის, ბორისა თუ სხვა, უფრო ადრინდელი სამარხი ქვევრები საზოგადოების დაბალი ფენების ხელთ ნამყოფი და შემდეგ დასაკრძალავად გამოყენებული ჭურჭელი ჩანს და, მაშასადამე, ამის მიხედვითაც შეგვიძლია მსჯელობა მევენახეობა-მეღვინეობის ფართოდ გავრცელებასა და ღვინის საყოველთაო მოხმარებაზე. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქვევრებში სწორედ მევენახე მიწისმუშებსა მარხავდნენ.

წელთაღრიცხვათა მიჯნის მახლობელ ხანას მიეკუთვნება ალაზნის ველზე, სოფ. არხილოსკალოსთან ამონათხარი თავისებური სამარხეული თიხის ჭურჭელი, მაჭარ-ღვინოსთან დასაკავშირებელი.

მევენახეობასთანვე დაკავშირებული ჩანს რკინის დანების ერთი თავისებური წყება, რომელიც სასხლავებს მოგვაგონებს და გეხვდება კლდეეთისა და ბორის სამარხეულ ინვენტარში, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა და დაკრძალულთა სამეურნეო საქმიანობას, მევენახეობა-მეღვინეობას უნდა გვანიშნებდეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამარხში სასხლავ დანათა ჩატანების ფაქტები ჩვენში ცნობილია ჯერ კიდევ გვიანბრინჯაოს ხანაში (ბაკურციხე) და გეხვდება ადრეანტიკურ ხანაშიც (ეშერი); ხოლო ქვევრებში დამარხვის წესი შემოდის ადრეანტიკურ ხანაში (დაბლაგომი), ოღონდ ჯერ დასავლეთში და მერე, მოგვიანებით, აღმოსავლეთ საქართველოშიც. დასასრულ, არქეოლოგიურ მონაპოვართა შორის არის ერთი წყება საგნები (ჭურჭელი, სამკაული და სხვ.), რომელთა შესამკობად გამოყენებულია ვაზ-ყურძნის მოტივები, რაც იმას მოწმობს, რომ მევენახეობა-მეღვინეობის ხანგრძლივი მოწიფული კულტურა მკვიდრადაა შესული მოსახლეობის ყოფაშიც, აზროვნებაშიცა და მხატვრულ შემოქმედებაშიც. ნიმუშებად დავასახელებთ: არმაზისხევის, სამთავროს, ბაგინეთისა და ბორის სამარხებში აღმოჩენილ ვერცხლისა და ბრინჯაოს საღვინე სურებს (ერთ მათგანს, არმაზისხევისას, ყურზე ამოჭრილი აქვს მტევნებიანი ვაზის გამოსახულება); არმაზისხევურ ვერცხლის „აზარფეშასა" და პინაკს ვაზის რტო-ფოთლებისა და მტევნების გამოსახულებით დამშვენებულთ; არმაზისხევურს და ეგებ არც თუ უცხოეთში გაკეთებულ ვერცხლის პინაკს, რომელზედაც გამოხატულ ქალს ხელში სიუხვის ყანწი უჭირავს (ამ უკანასკნელში ყურძნის მტევნებიცა ჩანს); სამთავროს, ბორისა და კლდეეთის ოქროს საყურეებს, რომლებიც ყურძნის მტევნისებრი სამკაულით არიან დამშვენებული, და სხვ.

გაცილებით უფრო ნაკლების თქმა შეგვიძლია მ ე მ ი ნ დ ვ რ ე ო ბ ი ს, ხ ვ ნ ა-თ ე ს ვ ი ს შესახებ. სოფლის მეურნეობის ეს ძირითადი დარგი, საქართველოში ჯერ კიდევ ლითონის ადრეულ ხანაში განვითარებული, ამ დროს, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მაღალ დონეზე ასული უნდა ვიგულისხმოთ. არქეოლოგიურ მასალებში ამ დარგის უშუალოდ კუთვნილი ინვენტარი ჯერ არსადა

ჩანს, ხოლო ნართაულად მასზე მიგვითითებს ხარის კულტის — განვითარებული ხვნა-თესვითი მიწათმოქმედების თანამდევის — მომასწავებელი რამდენიმე საყურადღებო ფაქტი: ხარის სამარხები ბორსა და კლდეეთში (ცხენთა სამარხებთან ერთად), კუროს გამოსახულებით დამშვენებული მშვილდსაკინძი ბორში, ხბოს თავის გამოხატულება ასპარუგ ერისთავის საზეიმო სატევრის ოქროს ქარქაშის მინანქრის მედალიონში. უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის გარემოება, რომ არმაზისხევის ვერცხლის პინაკზე გამოქანდაკებულ სიუხვის ყანწში პურის თავთავებიც მოჩანს. დასასრულ, მარცვლეულთან არის დაკავშირებული განვითარებული ტიპის სატრიალებელი ხელსაფქვავები, რომლებიც ნაპოვნია ნამოსახლარ ნაშთებს შორის, არმაზისხევთან და ურბნისში. ამ უკანასკნელში ზოგი ხელსაფქვავის ქვა დაზიანების შემდეგ, როგორც ზემოთაც ითქვა, ქვევრის სარქველადაა გამოყენებული. თვით მარცვლეულის ნიმუშები, ისე მრავლად რომაა უფრო ძველ, მაგ., ენეოლითურ ნამოსახლარ ნაშთებს შორის, გვიანანტიკური დროის ფენებში ჯერ თითქოს არსადა ჩანს.

მეტი გვაქვს ისეთი მასალა, რომელიც მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ა ს განეკუთვნება. ესაა, უპირველეს ყოვლისა, მრავალრიცხოვანი ნასუფრალი ძვლები (ხარ-ძროხისა, ცხვრისა, ღორისა, თხისა), რომლებიც მოკრებილია ნამოსახლართა თხრისას, არმაზისხევთან და ურბნისში. ამ მასალის შესწავლის წინასწარი შედეგები ცხადყოფენ, რომ ჯერ კიდევ გვიანბრინჯაოს ხანაში მოშინაურებული ძირითადი სახეების მოშენება ჩვენში წარმატებით გრძელდება ამ ხანაშიაც. საყურადღებოა, რომ გადანაყარში ცხენისა და ვირის ძვლებიც გამოერევა. გაცილებით უფრო ხელსაყრელია ასეთი შესწავლისათვის საგანგებოდ დამარხულ ხართა ჩონჩხები (ბორი, კლდეეთი). მოგვეპოვება და აგრეთვე შესწავლის საგნადაა ქცეული ძვლები დამარხული ცხენებისა (კლდეეთი, ბორი, მცხეთის სადგურის აკლდამა), ძაღლისა (კლდეეთი) და შინაური ფრინველისა, ჩანს, ქათმისა (არმაზისხევი, ურბნისი — საკულტო ნამარხები ქილებში). თვით პირუტყვის (ცხვრის, თხის, ღორის) გარეგნობა-იერის შესახებ საკმაო წარმოდგენას უქმნიან სპეციალისტებს ის მრავალრიცხოვანი ბრინჯაოს ქანდაკებანი თუ სხვაგვარი გამოსახულებანი, რომლებიც ზემოთ აღვნიშნეთ. ასე მაგალითად, არმაზისხევში და ბორში აღმოჩენილ ცხვრის თავის ქანდაკებათა მიხედვით შესაძლო გახდა დადგენა, რომ ანტიკურ საქართველოში გავრცელებული ყოფილა ე. წ. იმერული ცხვარი. გვაქვს ცხენისა და ძაღლის ბრინჯაოს ქანდაკოვანი გამოსახულებანი (კლდეეთი) და აგრეთვე ცხენის სამი ამონაკაწრი გამოსახულება (არმაზისხევისა და ბორის ვერცხლის პინაკები). დასასრულ, ბრინჯაოს ქანდაკებებში წარმოდგენილია სათანადო ცხოველთა ზოგიერთი სახე (შველი თუ არჩვი, ჯიხვი). ცალკე აღსანიშნავია განვითარებული მეცხვარეობისა და მემატყლეობის მომასწავებელი ხელსაწყოს, ცხვრის საკრეჭი მაკრატლის აღმოჩენა ბორში.

გვიანანტიკური საქართველოს ე კ ო ნ ო მ ი კ ა ზ ე, გარდა ყოველივე ზემოაღნიშნულისა, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის აგრეთვე მ ო ნ ე ტ ე ბ ი, რომლებიც ყველაზე უფრო მრავლად სწორედ იმდროინდელ ძეგლთა შორისაა აღმოჩენილი, რაც ცხადყოფს მათ გაცხოველებულ მიმოქცევას, მით უმეტეს, რომ ნუმიზმატიკური მონაპოვრის არც თუ უმნიშვნელო ნაწილი მოსახლეობის მცირედ შეძლებულ ფენებს უკავშირდება. მონეტების უმეტესობა სამარხებშია აღ-

მოჩენილი, ჩვეულებრივ სათითაოდ, ხოლო მდიდრულ სამარხებში კი რამდენიმე ცალობით, ზოგჯერ ათზე მეტი და ათეულებიც კი (მაგ., არმაზისხევის მეექვსე სამარხში — 24, მცხეთის სადგურის აკლდამაში — 68). ამასთანავე, მონეტები გვხვდება განძებად დაფლულიც (გერზეული, სეფიეთი). ოქროს ფული მხოლოდ მდიდრულ სამარხებშია ნაპოვნი და წარმოდგენილია რომაული აურეუსებით (I, II თუ III სს.) და ჩვენში მოჭრილი, ოქროსა თუ ელექტრონის, თავისებური, ძველი, ელინისტური სტატერების მიბაძვით წარმოქმნილი მონეტებით, რომელთაც პირობით „კოლხურ სტატერებს" ან „ოქროს კოლხურს" უწოდებენ და რომლებიც საქართველოს უძველეს ოქროს ფულს წარმოადგენენ (ძვ. წ. II საუკუნიდან ახ. წ. II საუკუნემდე იჭრებიან). საყურადღებოა, რომ დ. მცხეთის ერთ სამარხში ალექსანდრე მაკედონელის ნამდვილი და გაუცვეთელი სტატერიც აღმოჩნდა, ახ. წ. I ს. მონეტის თანხლებით. გამოთქმულია ისეთი აზრიც, რომ ამ მინაბაძებს საგანგებოდ სჭრიდნენ სამარხებში ჩასატანებლად. ერთხანს ისინი მხოლოდ დასავლეთ საქართველოში, ძველი კოლხეთის ფარგლებში გვხვდებოდა, მაგრამ ბოლო დროს აღმოჩნდა ძველი იბერიის ფარგლებშიც: ახრისში და მცხეთის სადგურის აკლდამაში. ამ უკანასკნელში იყო 4 ასეთი ფული და ერთიც თითქოს მისი ნამზადი, ოქროს სავსებით გლუვზედაპირიანი, მრგვალი, ფარგლით დახაზული ფირფიტა. ეს გარემოება აძლიერებს აზრს ასეთი ფულის ადგილობრიობის შესახებ, რომაული აურეუსების უმეტესობა ორიგინალებითაა წარმოდგენილი, მაგრამ გვხვდება მინაბაძებიც (კერძოდ, ბერსუმა პიტიახშის სამარხში აღმოჩენილ აურეუსთა შორის — ერთს ლათინური ზედწერილიც კი დამახინჯებული აქვს). ყველაზე მეტია ადრიანე იმპერატორის აურეუსები (II ს.). ერთისა და იმავე იმპერატორის მონეტები მცხეთის არისტოკრატიულ სამარხებში აურეუსებითაა წარმოდგენილი, ხოლო დასავლეთ საქართველოს მდიდრულ სამარხებში და განძებში — ვერცხლის, ხშირად პროვინციული (მაგ., კესარიაში მოჭრილი, ბერძნულწარწერიანი) მონეტებით, დიდრაქმებით. მცხეთის არისტოკრატია, ბუნებრივია, განსაკუთრებით მდიდარი ყოფილა და, ამასთანავე, ეტყობა, პოლიტიკურ-დიპლომატიური მოსაზრებითაც იყენებდა რომაულ ოქროს ფულს სამარხში ჩასატანებლად (მით უმეტეს, რომ ერთი მონეტა, რომელზედაც იმპერატორის ცოლ-შვილია გამოხატული, სამკაულადაც კი ჰქონია ჩამოკიდებული ერისთავის ოჯახის წევრ ქალს).

ვერცხლის ფულის დიდ უმეტესობას შეადგენს რომაული დენარები (უმთავრესად ავგუსტესი), პროვინციული დიდრაქმები (ადრიანესი და სხვ.) და პართული დრაქმები (უმთავრესად გოტარზისა). ეს I საუკუნის მონეტები — ავგუსტეს დენარები და გოტარზის დრაქმები ძალიან გავრცელებულია არა მარტო I, არამედ აგრეთვე II და III საუკუნეთა სამარხებშიც. ჩანს, თავდაპირველად მათი ორიგინალები ტრიალებდა ჩვენში, ხოლო შემდეგ მათი მინაბაძების მოჭრაც დაუწყიათ და ამიტომაა ისინი ასე ფართოდ გავრცელებული. ნაკლებ ან სულაც არ გვხვდება ისინი განძებში. გერზეულის განძი (647 ც.) II ს. მეორე ნახევარში უნდა იყოს დაფლული, სეფიეთისა (373 ც.) — III ს. პირველ მეოთხედში. როგორც ცნობილია, განძის დაფვლის ფაქტები, გარდა იმისა, რომ იმ ხანებში ომის საშიშროებას გვამცნობს, საქონლის მიმოქცევის სისუსტის ნიშნადაც ითვლება და ეს გასათვალისწინებელია: ჩვენში ისინი ჯერ სულ ორია აღმოჩენილი.

დამახასიათებელია, რომ ზემო რაჭის სამარხებში მონეტები მარტოოდენ „ოქროს კოლხურით“ არის წარმოდგენილი და მათ იქ არც ერთი უცხოური მონეტა არ ახლავს თან. ჩანს, იქაური მოსახლეობა კოლხური ფულით მიდიოდა ბოლად და მას უცხოური არ სჭირდებოდა.

ამრიგად, შეგვიძლია გადაჭრით განვაცხადოთ, რომ I — III საუკუნეთა საქართველოში გაცხოველებით მიმოიქცევა ფული — ერთხანს უცხოური, ხოლო შემდეგ მისი მიბაძვით აქვე მოჭრილი და ხშირად იმდენად სახეცვლილი, რომ ადგილობრივ ფულად უნდა ჩაითვალოს. ეს, რა თქმა უნდა, მოასწავებს ძლიერ სასაქონლო წარმოებას, მრავალმხრივ საგარეო ეკონომიურ ურთიერთობას და მოსახლეობის ყოფაში ფულის ღრმად შეჭრას, რაც ესოდენ დამახასიათებელია კლასობრივი საზოგადოებისათვის, სახელმწიფოსათვის. ფულის ტრიალს ამ დროისათვის უკვე თითქმის ნახევარი ათასწლეულის ისტორია აქვს საქართველოში და I—III საუკუნეებში კი მხოლოდ ძლიერდება.

როგორ გვიხასიათებენ და გვისურათებენ არქეოლოგიური მასალები, ნივთიერი კულტურის ძეგლები იმდროინდელი საქართველოს ს ულ ი ერ კ ულ ტ ურ ა ს? ამ საკითხის რამდენიმე თვალსაზრისით გაშუქება ხდება შესაძლო.

ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ა იმხანად, როგორც წერილობითი წყაროებით ვიცით, წარმართულია და საკმაოდ სინკრეტული ანუ შერეულიც, საუკუნეთა მანძილზე ურთიერთგადახლართული საგარეო პოლიტიკური და კულტურული ორიენტაციებისა თუ დაქვემდებარებულობის შესაბამისად. საკუთრივ ქართული მკვიდრი წარმართული პანთეონის ნივთიერი კვალი ჩვენს არქეოლოგიურ მასალებში თითქმის არა ჩანს რა ჯერჯერობით (გართა „არმაზის კერპის სადგარის“ ნაშთისა ბაგინეთის მთის წვერზე, სადაც ციხე-ქალაქის მფარველისა და მოსახელის, ქართველთა მთავარი ღვთაების ქანდაკოვანი კერპი უნდა მდგარიყო, წერილობითი წყაროების ცნობით). არისტოკრატიულ სამარხთაგან მოშდინარე გლიპტიკურ ძეგლებზე — გემმებზე ასახულია უფრო ბერძნულ-რომაული პანთეონის ღვთაებანი (ათენა-პალადა, ზევსი, მარსი, ასკლეპიოსი და სხვ.) ან მითოლოგიური თუ ისტორიული გმირები (აქტეონი, ალექსანდრე მაკედონელი). ეს არის შემოტანილი და არა ორგანულად, მკვიდრ ნიადაგზე აღმოცენებული ელემენტი იდეოლოგიისა. იგი ანტიკურ განათლებულობას და სათანადო სიუჟეტებისა და მხატვრული-ნაწარმისადმი გემოგახსნილობას უფრო მოასწავებს, ვიდრე საკუთრივ სარწმუნოებას. სამაგიეროდ ნამდვილად ქართველ ტომთა ძველი რწმენა-კულტების თანამდევად უნდა ჩაითვალოს ის მრავალრიცხოვანი ბრინჯაოს ქანდაკება-ფიგურები, მეტწილად ცხოველთა გამომხატველი, რომლებიც გვხვდება ცენტრებისაგან დაშორებით, შედარებით ნაკლებ წარჩინებულთა სამარხებში. ამ მხრივ გამონაკლისია კლდეეთი. ძალიან დამახასიათებელია, რომ თითქმის სულ არა გვხვდება ძირნი მცხეთის სამარხებში, რომლებში დაკრძალულთა ურბანიზაცია (გაქალაქელება) და ერთგვარი დენაციონალიზაცია (ეროვნული სარწმუნოებისა და სულისკვეთებისათვის ზურგის შექცევა) იმ დროისათვის უკვე თვალსაჩინო ფაქტია.

საკმაოდ მკაფიო ნივთიერი კვალი აქვს დატოვებული ჩვენს არქეოლოგიურ მასალებში გვიანანტიკურ სამყაროში საერთოდ ძლიერ გავრცელებულ



2

3



მ ი თ რ ა ი ზ მ ს, რომელიც აღმოსავლური წარმოშობისა იყო, მაგრამ თვით რომშიც ძალიან მოიკიდა ფეხი. ჩვენში მისი გავრცელება მით უფრო ბუნებრივი იქნებოდა, რომ აქ მანამდეც ძლიერი და ქართველ ტომთა იდეოლოგიაში მკვიდრად გამჯდარი იყო მზის კულტი. მითრას, მზიური ღვთაების კულტს უკავშირებენ მაგალითად: სვეტიცხოვლის ეზოში ძველად აღმოჩენილ ვერცხლის ჭურჭლის ყურებზე ამოკვეთილ გამოხატულებას ჭაბუკი მწყემსისა; ბორში აღმოჩენილ მშვილდსაკინძს, რომელიც გამოხატავს ხარს და მის რქებს შორის — მზის დისკოს; არმაზისხევის პიტიახშთა ერთერთ სამარხში აღმოჩენილ ოქროს ავგაროზს — ტახის გამოსახულებას; არმაზისხევში, ბერსუმა პიტიახშის სამარხში აღმოჩენილ ორსა და ბორში (ალბათ ბუზმირ პიტიახშის სამარხში) აღმოჩენილ ერთ ვერცხლის პინაკს, რომლებზედაც ამოკაწვრით გამოხატულია ერთი და იგივე სურათი—სამსხვერპლოს წინაშე მდგარი ცხენი; შიგ მცხეთაში აღმოჩენილ სამარხში ნაპოვნ ვერცხლის ჭურჭელზე ამოკვეთილ გამოხატულებას ასევე „ღვთაებრივი" ცხენისა. ცხენი ერთ შემთხვევაში მიჩნეულია მითრასათვის განკუთვნილ მსხვერპლად, ხოლო სხვა შემთხვევებში—ცხენის სახით მოვლენილ თვით ღვთაებად.

ს ა ი ქ ი ო ს შ უ ს ა ხ ე ბ წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა ს საკმაოდ გვიხასიათებს ჩვენ ბიერ განხილული სამარხეული ძეგლები, დაკრძალვის წესები და სამარხთა აღნაგობა: მტკიცედ სწამთ მიცვალებულის მიერ სიცოცხლის განგრძობა „იმ ქვეყნად", თუკი მასალა ეშოვებათ და შეძენა არ უჭირთ, მეტ-ნაკლებად სახლისებრ აშენებენ სამარხს—ფილაქვებით, აგურით, კრამიტით და სხვ., ხოლო ზოგჯერ ნამდვილ შენობებსაც კი აღმართავენ (თითო დიდი აკლდამა ბაგინეთში და მცხეთის სადგურთან). შიგ ასვენებენ შემოსილსა და მორთულ-მოკაზმულ მიცვალებულს, რომელსაც ირგვლივ უწყობენ ოჯახად ნახმარსა თუ სარიტუალო ჭურჭელს, მიმოუბნევენ ოქროსა თუ ვერცხლის ფულს, ან მხოლოდ ვერცხლის ერთ მონეტას (ზოგჯერ კი არც ერთს). ფულის პირში ჩადება, რაც წესად ჩანს ქვევრსამარხებში, აქ თითქმის აღარა გვხვდება. ზოგჯერ მიმოუბნევენ აგრეთვე „ზედმეტ" სამკაულსა და, კერძოდ, თვლებს; საკმაოდ ხშირად თავს უმკობენ ოქროსფურცლოვანი გვირგვინით ანუ ხოირით; ლითონის სასუფრე ჭურჭლით ზოგჯერ ეგებ საჭმელ-სასმელსაც უდგამენ, მინის ჭურჭლით კი, ჩვეულებრივ, სურნელოვან სითხეს, ნელსაცხებელს. აქა-იქღა გვხვდება უწინდელი წესის გადმონაშთი — ცხოველთა ძვლები, რაც ხორცეულის ჩატანების მომასწავებელია. რაც შეეხება იარაღ-საჭურველს, ზოგან (უპირველეს ყოვლისა, მცხეთაში, სადაც ხალხი უკვე კარგა ხანია გაქალაქელებული და მეომრულ საქმიანობას ჩამოშორებულია) მას აღარ ატანენ, ან მხოლოდ საზეიმო, ინსიგნიებად მისაჩნევ იარაღს ატანენ, მაგრამ ბევრგან (განსაკუთრები დასავლეთ საქართველოში) იგი ჯერ კიდევ უხვად გვხვდება სამარხებში. როგორც ჩანს, ეს ძველისძველი საყოველთაო წესი დამარხვისა დასავლეთში გაცილებით უფრო შემონახულა.

გარდა ნაგები სამარხებისა (დიდი მცხეთის სამარხთა უმეტესობა, თბილისი), ამ ხანაში ჯერ კიდევ საკმაოდაა გავრცელებული სამარხთა ძველი, უმარტივესი ტიპი — ორმოსამარხები (სამთავრო, ანანური, დიღომი, გორი, ურბნისი, კლდეეთი, სარგვეში, თაგილონი და სხვ.), გვხვდება აგრეთვე გადმონაშთის სახით თითო-ოროლა ქვევრსამარხიც (ბანძა, ბორი, ძევრი). დასასრულ, გავრ-

ცელებას იწყებს ახალი, უფრო მომდევნო ხანისათვის დამახასიათებელი ტიპი — თიხის აბაზანისებრი სარკოფაგები (სვეტიცხოვლის ეზო, ნაოზა, დასავლეთ საქართველოს ზოგი ადგილი).

თანდათან იცვლება დამარხვის წესი (მაგ., წინარე ხანის ორმოსამარხებთან, ქვევრსამარხებთან თუ ქვისსამარხებთან შედარებით) იმ მხრივ, რომ მიცვალებულებს უკვე გულაღმა გაშოტილს ასვენებენ და გვერდზე დაწვენა ან მოხრა-მოკუნტვა გადმონაშთადღა ჩაითვლება (თუმცა მას მაინც ვხვდებით II ს. პიტიახშთა სამარხებში). კერამიკის ჩატანებაც მინიმუმამდე დადის, ხორცეულისა თანდათან ქრება.

როგორც რამდენიმე შემთხვევით შემორჩენილი ძეგლი გვამცნობს, წესად ჰქონიათ საფლავის თავზე წარწერიანი სტელის აღმართვა. საფიქრებელია, რომ ეს წესი გამორჩეული უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის მქონე პირთა პრივილეგიას შეადგენდა. ჩვენ ხელთაა: ზევახ ერისთავ-პიტიახშის ასულის სერაფიტასა და ორი მცხეთელი ებრაელის (ვაჭრების?) ეპიტაფიები.

ყოველი, ჩვენთვის დანამდვილებით ცნობილი სამარხი ინჰუმაციური ჩანს, გარდა ძევრისა და ურეკისა, სადაც შეიძლება კრემაცია ვიგულისხმოთ. ესეც ერთი მაჩვენებელია იმისა, რომ რელიგიური სისტემა ამ საკითხშიც წინარე ეპოქათა ტრადიციებით საზრდოობს და მას არც ბერძნულ-რომაული გავლენა დასტყობია და არც, მოგვიანებით, ზოროასტრული. მეორადი დამარხვა ერთ შემთხვევაში გვხვდება (ბერსუმა ერისთავ-პიტიახში), მაგრამ აქ, ჩანს, უცხოეთში, ომში დაღუპული და სამშობლოში დაგვიანებით ჩამოსვენებული დიდკაცი მეომრის ძვლები უნდა ვიგულისხმოთ.

რამდენსამე შემთხვევაში მიცვალებულები მდიდრული სარეცლით არიან ჩასვენებული სამარხში, ან არადა ეს სარეცელი თუ სავარძელი დაშლილ-დანაწევრებული აქვთ თან ჩატანებული (არმაზისხევის 3 სამარხი, ბაგინეთის 1 სამარხი და ბორის 3 სამარხი). ზოგჯერ ფიცრის, ლითონით შემოსალტულ-შემკული სარკოფაგია აკლდამაში ჩადგმული (მცხეთის სადგური). რამდენსამე მიცვალებულს ჩატანებული აქვს ოქროს კილიტებითა და ოქრომკედით მოქარგული ქსოვილი, საზეიმო წამოსასხამი თუ ცხედარსაფარი (არმაზისხევის 3 სამარხი, ბაგინეთის 1 სამარხი). ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, არისტოკრატიულ სამარხებს ახასიათებს.

დაკრძალვა თითქმის ყოველთვის ინდივიდუალურია და სამარხები ისე მჭიდროდაა შეკრული, რომ მათი კვლავ გახსნა არ უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული. რამდენსამე გამონაკლისს შეადგენს ორი სრულწლოვანის, ან სრულწლოვანისა და ჩვილი ბავშვის ნეშტთა ერთად აღმოჩენის შემთხვევები (თანადამარხვა).

დაკრძალვის წესის კიდევ ერთი თავისებურებაა მიცვალებულთან ერთად, ან შორიახლოს დამარხვა მისთვის „საიქიოს გატანებული“ ცხენისა (მცხეთის სადგური, თბილისი, ურბნისი, კლდეეთი, ბორი), რასაც საყურადღებო პარალელი მოეპოვება ქართველ მთიელთა ეთნოგრაფიაში, და ორ შემთხვევაში ძაღლისაც (კლდეეთი, ურბნისი). არის ამრიგად დამარხული ხარებიც (ბორი, კლდეეთი). ერთ შემთხვევაში ძაღლია საგანგებოდ ქვისსამარხში დამარხული (სამთავრო). შეკაზმული ცხენის „გაყოლების“ წესის გადაგვარებულ ვარიანტად

უნდა ჩაითვალოს მისი მოკაზმულობის დეტალთა ჩატანება სამარხში (დეზები და ლაგამი არმაზისხევის ერისთავის ოჯახის წევრი ქალის სამარხში; მოსართავის ვერცხლის სამკაული შიგ მცხეთაში აღმოჩენილ მდიდრულ სამარხში).

ასეთია სარწმუნოების, საიქიოს შესახებ წარმოდგენისა და მიცვალებულის დაკრძალვის წეს-ჩვეულებათა არასრული სურათი ჩვენს ხელთ მყოფი არქეოლოგიური მასალების მიხედვით.

დამწერლობა. წარწერები ჯერჯერობით აღმოჩენილია მხოლოდ მცხეთაში (დიდი უმეტესობა) და ბორში (ერთი). საქმე გვაქვს ქვის სტელებზე თუ აედლის ქვებზე ამოჭრილ და ვერცხლის ჭურჭელზე, ოქროს სამკაულზე და ამ უკანასკნელში ჩასმულ თვლებზე ამოკაწრულ წარწერებთან. სტელათა შორის ერთი (ზემოავჭალა-ნაქულბაქევის ვიწრობში ნაპოვნი) ქალაქის ზღუდის გამაგრების ამბავს გვამცნობს, ერთი „გამარჯვებათა სტელების“ ტიპისაა (პიტიახშ შარაგასის წარწერა არმაზისხევთან; ტაბ. XXVI, 3), სამი ეპიტაფიაა—ერთი პიტიახშ ზევახის ასულის სერაფიტასი (ტაბ. XXVI, 1) და ორიც სხვა (სამთავროდან). ვერცხლის ჭურჭელს მათი პატრონებისა და ზოგჯერ აგრეთვე მჩუქებლების ვინაობა აწერია; ოქროს სამკაულზე მაგიური დანიშნულების წარწერებია; თვლებზე აღნიშნულია პატრონთა ვინაობა, მათ პორტრეტებთან ერთად (ერთგან უპორტრეტოდაც), ორ შემთხვევაში კედლის ქვებზე გაურკვეველი შინაარსის თითო სიტყვაა (ბაგინეთში). სერაფიტას ეპიტაფიის პარალელური ტექსტი, ბერსუმა პიტიახშის ლანგრის წარწერა, ასპარუგ პიტიახშის პორტრეტის წარწერა, ზევახ პიტიახშისა და მისი ცოლის კარპაკის წყვილედი პორტრეტის წარწერა და აგრეთვე სამთავროში აღმოჩენილი ორიოდე გემმის წარწერა ბერძნულია; სამთავროში აღმოჩენილი ორი ეპიტაფია — ძველებრაული, ხოლო სხვა ყველა — არამეული (მათ შორის ბაგინეთის მეფის ასულის სარკოფაგში აღმოჩენილი ვერცხლის რამდენიმე ჭურჭლის წარწერებიც). მაგრამ არამეული დამწერლობა აქ ისე ძლიერ სახეცვლილია, რომ საჭირო გახდა ამ ვარიანტისათვის საკუთარი სახელის, „არმაზულის“ წოდება. ეს დამწერლობა აშკარად გაბატონებული ჩანს ჩვენში იმ დროს. საკუთრივ ქართული დამწერლობა გვიანანტიკური ხანის ძეგლთა შორის ჯერაც არსად მოგვეპოვება, მიუხედავად უკვე ესოდენ მრავალრიცხოვანი აღმოჩენებისა. პ. ინგოროყვა ასომთავრულ ქართულ ასოებად მიიჩნევს და კითხულობს კიდევაც პიტიახშ შარაგასის არმაზეული წარწერის (I ს.) თავზე ამოკვეთილი „ვენზელის“ შემადგენელ ნიშნებს და აგრეთვე ბერსუმა პიტიახშის ლანგრის ძირზე ამოკვეთილ ორ ნიშანს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ სადავო რჩება.

მცხეთისა და ბორის არმაზულ-არამეული წარწერების შესწავლის შედეგად გ. წ ე რ ე თ ე ლ ი შესაძლოდ მიიჩნევს, რომ ქართული ანბანის საწყისები სწორედ არამეული დამწერლობის წიაღში იყოს საძებარი, ოღონდ არმაზული, მისი აზრით, ყველაზე უფრო ფალაურსა და ფარსულს უახლოვდება. ზოგი ქართული ასო უფრო არქაულიც კი ჩანს, ვიდრე სათანადო არმაზული ასოები. ამრიგად, ქართული არმაზულის გაგრძელება კი არ არის, არამედ — მისი მონათესავე და მასთან საზიარო წყაროდან, არამეულიდან მომდინარე დამწერლობა. აღარც ისაა შეუძლებლად მისაჩნევი, რომ ამ წარწერებში ქ ა რ თ უ ლ ე ნ ა ს თ ა ნ გვქონდეს საქმე.

ასეა თუ ისე, გვიანანტიკური ქართლის ანუ იბერიის მმართველი წრე თავის ოფიციალურ დოკუმენტებს უმთავრესად სწორედ „არმაზულად“ და ზოგჯერ აგრეთვე ბერძნულად წერს. სხვა ოფიციალური თუ საზეიმო დამწერლობა ამ წრეს არ უჩანს. ეს დამწერლობა განაგრძობს არსებობას IV საუკუნეშიც (არმაზისხევის რამდენიმე ოქროს სამკაული). იგი, გარკვეული თვალსაზრისით, ოფიციალური დოკუმენტების ენის მაგივრობას ეწევა იბერიის მეფეთა თუ დიდკაცთა კარზე, როდესაც წერაზე მიდგება საქმე. მაგრამ მასში იმდენი რამაა გადასხვაფერებული და „გამრუდებული“ კლასიკურ არამეულთან მედარებით, რომ, ზოგი მკვლევარის აზრით, დამწერის ქართული ენობრივი ფსიქოლოგიაც კი გამოსჭვივის.

ყოველ შემთხვევაში, ქართულის გარდა ამ ორი მაშინდელი კულტურული მსოფლიოს საერთაშორისო ენის — არამეულისა და ბერძნულის — საქართველოში გავრცელებულობა უტყუარი ფაქტია და ეს გარემოება შეესატყვისება ლეონტი მროველის ცნობას, ძველად ქართლში ექვს ენას „ზრახვიდნენ“, ე. ი. ლაპარაკობდნენო. ოღონდ საფიქრებელია, რომ ეს საზოგადოების ზედა ფენას შეეხება უმთავრესად. ჩამოთვლილ სამს უნდა დაემატოს სპარსულიც, მით უმეტეს, რომ არმაზისხევის ერთერთ, ყველაზე გვიანდელ (III ს. მეორე ნახევრის) ვერცხლის პინაკზე არის ფალაური წარწერა, რომელშიც იხსენიება პირველი სასანიანი მეფის არდაშირის ვინმე პიტიახშში, რომელსაც უჩუქნია ჭურჭელი იბერიის პიტიახშისათვის.

დამწერლობის ასეთი მწვავე მოთხოვნილება და არამეულის არმაზულად გარდაქმნა უნდა ჩაითვალოს ქართლში განვითარებული ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ებ რ ი ვ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ა და ცხოველი სავაჭრო ურთიერთობის არსებობის ერთერთ მკვევრმეტყველ ნიშნად.

სახელმწიფო წყობილების შესახებ ზემოაღნიშნული წარწერები ბევრ საყურადღებო მასალას გვაწვდიან და ეს მასალა ადასტურებს, რეალურად ასხამს ხორცს ძველ ქართველ ისტორიკოსთა მიერ მოცემულ სქემებს, რომელთა მიხედვითაც გვიანანტიკურ ხანაში ქართლის სახელმწიფოს სათავეში უდგანან მეფეები. ისინი (თითქოს ჯერ კიდევ ძვ. წ. ბოლო საუკუნეებში, ფარნავაზ მეფის მიერ დაკანონებული წესით) ერისთავთა მეშვეობით მართავენ ქვეყანას. ირკვევა, რომ ზემო იმერეთის აღმოსავლეთი ნაწილიც (შორაპანს აქეთ) ქართლის სამეფოს ეკუთვნოდა, და ა. შ. უფრო მეტიც: გარდა ერისთავ-პიტიახშებისა, მეფეს ჰყოლია ეპიტროპები „ანუ რაბ-თარბასები“, რომელნიც იმავე დროს მისი ლეიბგვარდიის (ძველი ქართული ტერმინი რომ ვიხმაროთ, „ტაძრეულობის“) მეთაურნიც ყოფილან და ომშიც სარდლობდნენ ხოლმე. სრული უფლება გვეძლევა არაქართულ წარწერებში აღნიშნულ უცხოურ თანამდებობრივ ნომენკლატურას მერმინდელ ქართულ წყაროებში დადასტურებული სახელწოდებანი შევუფარდოთ: „პიტიახშს“—„ერისთავი“, „ეპიტროპს“ ანუ „რაბ-თარბასს“ — „ეზოიმსმოძღვარი“, „ბაზილევსს“ — მეფე. ამასთანავე, დადასტურდა რომაელ და ქართველ ისტორიკოსთა მიხედვით ცნობილი სახელები იმდროინდელი ქართლის მეფეებისა (მითრიდატი, ფარსმანი, ასპარუგი — ოღონდ ეს უკანასკნელი სახელი აქ პიტიახშს ჰქვია, ქართული წყაროები კი იხსენიებენ „მეფე ასფაგურს“) და გამოვლინდა ახალი, უცნობი სახელები (მეფეები ქსე-

ფარნუგი და ფლავიოს დადესი თუ ფალდადი; ერისთავები შარაგასი და ზეგახი; ეზოსმოძღვრები პუბლიკიოს აგრიპა, იოდმანგანი და სხვ.). სახელმწიფოს მეთაურს „იბერთა დიდი მეფე“ ეწოდება. ერისთავები მისი - მოადგილენი თუ „ნაცვლები“ ჩანან ამა თუ იმ კუთხეში (მაგ., არმაზისხეველნი — მცხეთის საგამგებლოში, ჩანს, მტკვრის მარჯვენა ნაპირის ასწვრივ, ალბათ ძეგვისა და სხვა უბანთა მოყოლებით; ბორელნი — მერმინდელ „ლომსიანთხევში“). ამავე დროს ისინიც აქტიურად, ხელმძღვანელთა სახით მონაწილეობენ საომარ მოქმედებაში. ამ მხრივ ფრიად ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ სწორედ ძალიან რთული, დაძაბული და ძლევამოსილი ომიანობის შედეგების შემაჯამებელ წარწერაში (არმაზისხევის ერთენოვანი სტელა) „ჩვენი მეფის“ გამარჯვებათა შესახებ გვიამბობს მისი ერისთავი შარაგასი, თითქოს მისი სახელითაც კი, და ეს სტელა აღმართული ყოფილა სწორედ ერისთავ-პიტიახშთა ადგილსამყოფელში. ბერსუმა ერისთავიც ამგვარ ომში უნდა დაღუპულიყო.

პიტიახშს „უფალი“ ეწოდება. მას თავისი მონები, მსახურები და სხვა დაქვემდებარებული ადამიანები ჰყავს.

ამ უმაღლესი თანამდებობის პირთ, სახელმწიფო მოხელეებს აქვთ თავიანთი ძალაუფლების ნიშნები (ემბლემა-ინსიგნიები, საზეიმო სარტყელ-სატევარი, დიადემები, საბეჭდავი ბეჭდები და სხვ.), და ეს კიდევ უფრო აძლიერებს მათი თანამდებობის სიმტკიცეს, ჩვენ თვალნათლივ და ხელშესახებად ვიცნობთ, კერძოდ, არმაზისხეველ პიტიახშთა ინსიგნიების მთელ წყებას.

მეფეთა მსგავსად, ეზოსმოძღვრებიცა და ერისთავებიც მემკვიდრეობით, მამა-შვილობით იღებენ თავიანთ თანამდებობასა და წოდებას. არმაზისხევის წარწერათა მიხედვით გაიკვლევა მათი ორ თაობაზე მეტი.

მეფეები, სამადლობლად თუ მოსამადლიერებლად, ძვირფას საჩუქრებს უბოძებენ ხოლმე თავიანთ ერთგულ მოხელეებს. მეფის მოხელეთა ორი ყველაზე უფრო დაწინაურებული საგვარეულო — ერისთავ-პიტიახშებისა და ეზოსმოძღვარ-რაბთარბასებისა — ერთიმეორეს უმოყვრდება. ამრიგად, მონათმფლობელური იბერიის სახელმწიფოს გამგებელთა, უზენაეს არისტოკრატთა წრე მჭიდროდაა შეკრული და ურთიერთთანხმობითა და მხარდაჭერით მართავს ამ სახელმწიფოს, აწარმოებს საერთაშორისო „დიდ პოლიტიკას“, ომიანობა-ლაშქრობას. მაგალითად უნდა გავიხსენოთ რომაელ ისტორიკოსთა მოთხრობა, სადაც ჩანს ფარსმანისა და მისი ძმისა და ვაჟის, მითრიდატისა და რადამისტის ჩარევა სომხეთის საქმეებში, ტახტის მიტაცება და სხვა, რომთან შეთანხმებით (ამ ამბების ანარეკლს გულისხმობენ პიტიახშ შარაგასის წარწერაში).

ამავე დროს ეს წრე წარმოადგენს ყველაზე უფრო დიდ ექსპლოატატორთა და მესაკუთრეთა (კერძოდ, მონებისა თუ სახნავ-სათესი და საევნახე მიწების მფლობელთა) ჯგუფს ამ სახელმწიფოში. ისინი დიდი ფუფუნებით ცხოვრობენ და ეწაფებიან უცხოურ კულტურას, დახვეწილი გემოვნებით იშენებენ სასახლეებსაც და სამარხავებსაც, იძენენ საუკეთესო იმპორტულ ნივთებს. ამასთანავე ისინი, როგორც კლასობრივ საზოგადოებას სჩვევია, ზვიადობენ და ყოველმხრივ ემიჯნებიან მათ წარმომქმნელ ხალხსა და მარჩენალ მწარმოებელ საზოგადოებას. ეს მკაფიოდ ჩანს მათ ონომასტიკონშიც (მეტწილად სპარსული — „მითრიდატი“, „ფარსმანი“, „ქსეფარნუგი“ და სხვა, — ხოლო რომის

გავლენის მოძალების ხანაში — რომაული, ხელოვნურად მიკერებული სახელები: „ფლავიოს დადეს“, „პუბლიკიოს აგრიპა“ და სხვ.); მათ ორიენტაციაშიც ბერძნულ-რომაული მითოლოგიისა და მითრაისტულ თუ სხვა უცხოურ რელიგიათა მიმართ, რასაც თანა სდევს გულგრილობა მამა-პაპათა რჯულისა და საკულტო წესებისა თუ სათანადო ინვენტარისადმი; ზოგიერთ შენობათა საყოველთაო-ანტიკური ხუროთმოძღვრების ყაიდაზე აგებაში; უცხოური წარმოშობის დეკორატიული ჭურჭლისა და სხვა საგნების შეძენა-ხმარებაში და ა. შ. ასეთი წარმოდგენა მცხეთაში მსხდარ მეფეთა და ერისთავთა გარდა, შეიძლება გავრცელდეს ბორში მსხდარ ერისთავთა მიმართაც.

სოციალური წყობა. გარდა ზემოთ დახასიათებული, სახელმწიფოს მმართველი წრისა, არქეოლოგიური მასალების მიხედვით წარმოგვიდგება რამდენიმე უფრო დაბლა მდგარი საზოგადოებრივი ჯგუფიც. საზოგადოების ასეთი განშრევება იგულისხმებოდა ჯერ კიდევ სტრაბონის იმ ცნობების მიხედვით, რომელთაც იგი იბერიის შესახებ გვაწვდის და რომელთა ინტერპრეტაცია სადავოდ ითვლებოდა, სანამ მცხეთაში ზემოგანხილული ძეგლები გამომზეურდებოდა. ჩვენ მიერ უკვე განხილული წარწერები უპირველეს ყოვლისა საბოლოოდ უარგვაყოფინებენ ზოგი ჩვენი ისტორიკოსის მოძველებულ შეხედულებას, თითქოს ახ. წ. პირველ საუკუნეებში საქართველოში ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილება სუფევდა. წარწერებში ნათლადაა ასახული რთული სახელმწიფოებრივი ორგანიზმი და, მაშასადამე, ნამდვილი კლასობრივი საზოგადოება, რომელსაც უკვე რამდენიმე საუკუნის ისტორია უნდა ჰქონდეს განვლილი, ბარის საქართველოში მაინც (მთიან კუთხეებში პირველყოფილ-თემური წყობილება მას შემდეგაც დიდხანს ბოგინობს და ამიტომაცაა, რომ მთას გამუდმებული ჭიდილი აქვს სოციალურად დიდად დაწინაურებულ ბართან).

ამ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების მოსინჯვა ისევ და ისევ სამარხეული ძეგლების მიხედვით უფრო ხერხდება, ვინაიდან ყველა სხვა ძეგლი (ციხე, სასახლე და სხვ.) თითქმის უკლებლივ უმაღლეს წრეს ეკუთვნის და მხოლოდ ურბნისშია ჯერჯერობით გამოვლენილი რიგითი მოქალაქეების ნამოსახლარი: რიყის ქვითა და თიხით ნაშენი სახლების თითქმის გაუსახურებული ნაშთები და ყოფითი ინვენტარი (ქვევრი, კერა, ჭურჭელი, ხელსაფქვავები, საოჯახო ჭურჭლის ნატეხები და სხვ.). ზოგი რამ ამგვარი ინვენტარისა აღმოჩენილია არმაზისხევის ერისთავთა სასახლის კარ-მიდამოზედაც და, ჩანს, დამხმარე სამეურნეო ნაგებობათაგან მომდინარეობს.

სამარხეული ძეგლები, უპირველეს ყოვლისა დიდი მცხეთის ტერიტორიაზე, გამოგვივლენენ საკმაოდ აშკარა სოციალურ კონტრასტებს: სამთაეროს სამაროვანზე (შიგ მცხეთაში ახლახან აღმოჩენილი და ორ ადგილას ნათხარი სამაროვნის მითვლით), მცხეთის სადგურის სამაროვანზე, არმაზისხევის სამაროვანზე და სხვ. ამ სამაროვანთა შემადგენელი სამარხები, აღნაგობით იქნება თუ ინვენტარით, საერთოდ ჭრელ სურათს გვიხატავენ და მათში დაკრძალული ძველი მცხეთელების დიდ ქონებრივ სხვადასხვაობას ამეღავნებენ. დიდი ნაშენი აკლდამების, ქვის სარკოფაგებისა და ათეულობით მდიდრული ქვისსამარხების შესახებ რომ აღარა ვთქვათ რა, დანარჩენი, დედაქალაქისა და მისი გარეუბნების მასობრივ სასაფლაოთა შემადგენელი სამარხებიც სრულიად არაა ერთგვა-

როვანი და შეძლებულობის მიხედვით ჯგუფდება, მინდვრის სხვადასხვა ადგილებში. სამთავროს სამაროვანზე შეიძლება 4 ძირითადი ჯგუფი გამოიყოს: I. მდიდრებისა, II. საშუალო შეძლების ადამიანებისა, III. მცირე შეძლების ადამიანებისა და IV. ღარიბებისა (თითქმის, ან სულ უინვენტარო). სადგურის სამაროვანზე ჯერჯერობით მხოლოდ I და III ჯგუფები ჩანს, არმაზისხევთანაც — ასევე, ბაგინეთში (სამეფო რეზიდენციაში) — მხოლოდ I და ა. შ. განსაკუთრებით მძაფრია კონტრასტი არმაზისხევისა და მცხეთის სადგურის სამაროვნებზე. ჩანს, იქ, ქალაქგარეთა უბნებში უმაღლესი არისტოკრატიისა და მათდამი სოციალურად დაქვემდებარებული ადამიანების (მონების, მსახურმხევლების) გარდა არავინ ცხოვრობდა და იმარხებოდა. საყურადღებოა არმაზისხევის ერთერთ ღარიბულ სამარხში აღმოჩენა ერისთავთა ძვირფასი ჭურჭელსამკაულის იაფი მინაბაძებისა. თვით ეს ღარიბული სამარხებიც ზოგჯერ დიდ მშენებლობას მორჩენილი კრამიტით აშენებული ჩანან.

კლასობრივი საზოგადოებისათვის დამახასიათებელია აგრეთვე მ რ ა ვ ა ლ ე რ ი ა ნ ო ბ ა და ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ხ ე ლ ო ბ ა თ ა მ ი მ დ ე ვ ა რ ი ჯ გ უ ფ ე ბ ი ს ა რ ს ე ბ ო ბ ა. ერთიცა და მეორეც აშკარად ჩანს მცხეთის მოსახლეობაში — თუნდაც სამარხეული ძეგლების, სახელდობრ, ეპიტაფიების მიხედვით.

რაც შეეხება დიდი მცხეთის გარეშე აღმოჩენილ იმდროინდელ სამარხებს, აქ მეტწილად მდიდრულ ან საშუალო შეძლების მანიშნებელ ინვენტართან გვაქვს საქმე (თაგილონი, კლდეეთი, ურეკი, ახალსოფელი და სხვ.), გამონაკლისს ეგებ ურბნისი შეადგენს, სადაც უფრო ღარიბული სამარხებიც იჩენს თავს. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ კრამიტსამარხები ჯერჯერობით დიდი მცხეთისა და თბილისის გარდა თითქოს არსად არაა აღმოჩენილი. ასე რომ სამარხთა ეს ტიპი ქალაქურ სამოსახლოთა დამახასიათებელი ჩანს. ურბნისშიც კი ამ დროს მეტწილად ორმოსამარხები ყოფილა. ურბნისის სამარხთა ინვენტარი (კერამიკა, მინის ჭურჭელი, ქვა-მინა-პასტის მძივები, ოქროს ბეჭედ-საყურეები, რკინის გემმიანი ბეჭდები, ავგუსტეს დენარები და სხვ.) ძალიან ბევრი რამით ჰგავს სამთავროსა და აგრეთვე კლდეეთის სამარხთა ინვენტარს და ზოგადად უფრო საშუალო და საშუალოზე დაბალ ფენას მიეკუთვნება (ოქროული ძალიან ცოტაა). ბორშიც შეგვიძლია დავუპირისპიროთ ერთიმეორეს იქაური ერისთავ-პიტიახშების, ბრწყინვალე ინვენტარის შემცველი სამარხები და მწირი ინვენტარის შემცველი სამარხები (მათ შორის ქვევრსამარხები, რომლებშიც მევენახეობა-მეღვინეობაზე დასპეციალებულ, ნაწილობრივ თავისუფალ და მცირე საკუთრების მქონე მეურნეთა საფლავებს გულისხმობენ).

საერთოდ, მწირი ინვენტარის შემცველსა და სულაც უინვენტარო სამარხებში უნდა ვიგულისხმოთ ნივთიერი დოვლათის უშუალო მწარმოებლები და მათ შორის მონებიც, რომლებიც ქმნიან მდიდრულ სამარხებში მრავლად წარმოდგენილ ძვირფას ნივთებსაც და ჩვეულებრივ საოჯახოდ მოსახმარ საგნებსაც, უშენებენ ექსპლოატატორებს სასახლეებს, ციხეებს თუ სამარხ-აკლდამებს და საშუალებას აძლევენ მათ ფუფუნებით იცხოვრონ. შედარებით უფრო მდიდრულ სამარხებში ალბათ თავისუფალი მწარმოებლები (ხელოსნები და სხვ.) არიან დაკრძალული.

თავისებურ სურათს ქმნიან კლდეეთის სამარხები, რომლებმაც, მცხეთის არისტოკრატიული ნეკროპოლებისა, ბორისა და ურეკის შემდგომ, ყველაზე უფრო მდიდრული და მრავალფეროვანი მასალა მოგვცეს. მათი ინვენტარი საერთო შემადგენლობითა და აგრეთვე ბევრი ცალკეული კომპონენტით თანხვდება ზემოგანხილულ უმდიდრეს სამარხთა ინვენტარს, თუმცა საერთო ბრწყინვალებით, ძვირფას დიდრონ საგანთა სიუხვითა და მრავალფეროვნებით ისინი ვერ შეედრებიან არმაზისხევის, მცხეთის სადგურის, ბაგინეთისა და ბორის სამარხებს. კლდეეთს ამ მხრივ თითქოს საშუალო ადგილი უჭირავს მათსა და სამთავროს მდიდრულ სამარხთა შორის. ამასთანავე, იქ იმ დროისათვის არც თუ ჩვეული და უფრო წინა ხანებისათვის დამახასიათებელი სიუხვით არის წარმოდგენილი ბრინჯაოს საკიდი ქანდაკებანი, ნაირ-ნაირი ეჟვან-ზარაკები და სხვ. ამათ თითქმის სრულიად ვერ ვხედავთ დედაქალაქის, მცხეთის სამარხებში, ისინი უფრო „პროვინციულ" ადგილებში გვხვდება (მაგ., სამხრეთ ოსეთში). ეს არის საკულტო-მაგიური დანიშნულების საგნები, ძველ ხალხურ რელიგიურ რწმენებთან მჭიდროდ დაკავშირებული და ამიტომ ფართო საერთაშორისო ასპარეზზე გამოსული, ურბანიზებული და საგრძნობლად ეროვნულ სახე დაკარგული დედაქალაქისა თუ სხვა ქალაქური სამოსახლოების მცხოვრებთათვის — უკვე, ასე ვთქვათ, კონსერვატიული და მათ მიერ თითქმის მიტოვებულიც. კლდეეთის სამარხებში დაკრძალულნი აგრეთვე წარჩინებული და შეძლებული პირნი არიან, მაგრამ გაცილებით უფრო ნაკლებ მოწყვეტილნი ჩანან მშობლიურ კულტურულსა და იდეოლოგიურ ნიადაგს, ვიდრე მცხეთისა და ბორის მდიდრულ სამარხებში დაკრძალული დიდკაცობა. ისინი გვევლინებიან, როგორც საშუალო რანგის მხედართმთავრები (მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი იარაღსაჭურველი, ჯაჭვის პერანგი, მხედართა წოდებისადმი კუთვნილების მანიშნებელი გემმა, ინსიგნიები და მათ შორის ბრინჯაოს ლახტისთავი, საკმაოდ მდიდრულად დაკაზმული ცხენები, ლითონის მხატვრული ჭურჭელი და ოქროს სამკაული). დაახლოებით ასევე განისაზღვრება თაგილონში აღმოჩენილ მდიდრულ სამარხში დაკრძალულის სოციალური რაობა (სხვათა შორის, იქაცაა ჯაჭვის პერანგი, ოღონდ იარაღი არ შემონახულა).

საყურადღებოა, რომ ნამდვილად მთიანი რაიონებიდან (მაგ., ღებიდან) მომდინარე არქეოლოგიური მასალის მიხედვით, იქ, ერთი მხრივ, აშკარაა შორეული სავაჭრო ურთიერთობისა და იმპორტის მუდმივ არსებობა, ხოლო, მეორე მხრივ, და უფრო ძლიერ, გამოხატულია მთის გარკვეული ეკონომიური თუ კულტურული დამოუკიდებლობა და უცხოურისადმი შეუვალობა. დიდად დამახასიათებელია ამ მხრივ, რომ მონეტები იქ მხოლოდ ოქროს კოლხურითაა წარმოდგენილი და საერთოდაც ძველი კოლხური კულტურის ტრადიციული ფორმები გაცილებით მეტი ჩანს შემონახული, ვიდრე კოლხეთის ბარში.

დასასრულ, კიდევ ერთი ზოგადი კულტურულ-ისტორიული საკითხი. არქეოლოგიური მასალის დეტალური კვლევა სულ უფრო და უფრო განამტკიცებს აკად. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს მიერ ადრევე წამოყენებულ დებულებას იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოში მოსახლე ტომების კულტურას ჩვენი წელთაღრიცხვის დამდეგს უკვე საკმაოდ მჭიდრო კავშირები ახასიათებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ ჯერ კიდევ არა აქვთ საერთო სახელ-

მწიფოებრიობა. ამას მხარს უჭერს მცხეთა-კლდეეთის, მცხეთა-ბორის, მცხეთა- ურეკის, მცხეთა-ღების, ურბნის-კლდეეთის და სხვა ანალოგიურ არქეოლოგიურ ძეგლთა ერთიმეორესთან შეჯერება-შეპირისპირების შედეგები. იმავე დროს, რა თქმა უნდა, თითქმის ყოველი ჯგუფი ამ ძეგლებისა შეიცავს ისეთ თავისებურ ნიშნებს, რომლებიც არსებითად ავსებენ მეცნიერულ წარმოდგენას საერთოდ იმდროინდელი ქართული კულტურის მრავალფეროვნების შესახებ, კერძოდ, ბევრ რამეში იგრძნობა, მაგალითად, ძლიერი კოლხური სპეციფიკა, გარდა ღებისა, აგრეთვე ურეკის, კლდეეთისა და თაგილონის ძეგლების შესწავლისას.

თ ა ვ ი V

ფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები

§ 14. ადრეფეოდალური ხანა

ამდროინდელი არქეოლოგიური ძეგლები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: ა) ს ა მ ა რ ხ ე უ ლ ი ძ ე გ ლ ე ბ ი; ბ) ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ ი ძ ე გ ლ ე ბ ი.

სამარხეული ძეგლები. საყურადღებო სურათს წარმოგვიდგენს განსახილველ ხანაში გავრცელებული დაკრძალვის წესისა და სამარხთა აღნაგობის შესწავლა.

დ ი დ ი მ ც ხ ე თ ი ს ამდროინდელი სამაროვნები თითქმის ყველა მასობრივია, გარდა არმაზისხევისა, და ქალაქის სხვადასხვა უბნებს ეკუთვნის. აქ მხოლოდ ფილაქვით აგებული სამარხები (ტაბ. XXXII, 3) ან ფილაქვით გადახურული ორმოსამარხები გვაქვს. სამთავროს ზოგ ქვისსამარხში ჩადგმულია თიხის აბაზანისებრი სარკოფაგები — სარქველიანი კუბოები, რომელთაც სხვა სამაროვნებზე (ურბნისში, აღაიანში, წილკანთან და სხვ.) ცალკე, ქვისსამარხთა გარეშე ვხედავთ, უმთავრესად III საუკუნის შემდგომ (ურბნისის ერთერთი სარკოფაგი იხ. ტაბ. XXXII, 2). ქვისსამარხთა უმეტესობა წარმოადგენს საოჯახო სამარხებს, ამ უკანასკნელთა რიცხვი თანდათან მატულობს ადრეფეოდალური ხანის განმავლობაში.

შესაძლოა სწორედ ოჯახურად მარხვის წესის ესოდენ გავრცელებითაც აიხსნებოდეს, რომ გადაჭრით აუღიათ ხელი კრამიტსამარხებსა და აგურსამარხებზე, რომლებიც განმეორებითი დაკრძალვისათვის გაცილებით ნაკლებ მარჯვე იქნებოდნენ. IV საუკუნიდან მოყოლებული, ქვისსამარხები (ისევ არმაზისხევის ერთი ჯგუფის გამოკლებით) აშკარად უფრო დაუდევრადაა ნაშენი და თითქმის ყოველთვის ულაზათოა. მათ ახასიათებს: გაუთლელი ან ტლანქად თლილი ფილაქვები, „ხურდა ქვით" შევსებული ფარღიატები, ადრევე გამოყენებული ფილაქვების (მაგ., წარწერიანი სტელების, „მერცხლისბოლოიანი" ქვის, ჯვრიანი ქვისა და სხვ.) ხელახლა გამოყენება (მეორედ გამოყენებული ქვები არმაზისხევის ქვისსამარხებში იხ. ტაბ. XXX, 1). ზოგჯერ გრძივი კედლები ორ-ორი მოკლე ფილაქვისაგანაა შედგენილი; თანდათან ხშირდება მათი ამოყვანა ნატეხი ქვითა და თიხით. მიუხედავად ყოველივე ამისა, ქვისსამარხთა აგება მაინც არა ჩანს ადვილი საქმე და გავრცელებული ყოფილა სხვათა, ძველი სამარხების მზამზარეულად გამოყენება მიცვალებულის დასამარხავად. ამას

თვალნათლივ მოწმობს სამთავროს ჩრდილო უბანზე აღმოჩენილი, IV—V საუკუნეთა სამარხის ეპიტაფია (ხუროთმოძღვრისა და მხატვართმოძღვრისა), რომელიც თავდება კრულვით მათდამი, ვინც გაბედავს იმავე სამარხში თავისი მიცვალებულის დასაფლავებას, თუნდ იმავე ტომისა იყოს, თუნდ უცხოელი.

თავისებური სამარხები და დაკრძალვის წესია დამოწმებული წიწამურის სამაროვანზე გ. ნიორაძის მიერ 1926 წელს ჩატარებული მცირე გათხრის შედეგად. აქ იყო სამი მცირე, ბრტყელი ფილაქვებით ნაგები სამარხი, რომელთაგან ერთში აღმოჩნდა სამი ჩონჩხი, ადრე შუა საუკუნეთათვის დამახასიათებელი საკინძები და რკინის ლურსმნები, დანარჩენებში — თითო ჩონჩხი. კრემაციისა არავითარი ნიშნები არა ჩანდა და გამთხრელმა ამ სამარხებში გამოიცნო მეორადი დამარხვა, თავდაპირველად ჰაერზე დამარხვის შემდგომ. ამგვარი დაკრძალვა კი ცეცხლთაყვანისმცემლობის მიმდევრებს სჩვეოდათ. რადგან იქვე ახლოს გაითხარა ორი დიდი, საოჯახო, იმავდროული ნივთების შემცველი ქვისსამარხი, საფიქრებელი შეიქნა, რომ აქ ერთისა და იმავე მოსახლეობის ორგვარ დაკრძალვის წესთანა გვაქვს საქმე. მაგრამ უფრო მართებული იქნება, თუ ამ ვითარებაში ქალაქის ჭრელი მოსახლეობის თავ-თავისებურად დაკრძალვას დავინახავთ — მით უმეტეს, რომ სამთავროს მინდორზე ნაპოვნი ეპიტაფიების მიხედვით მცხეთის სასაფლაოებზე ქართლის მკვიდრთა გარდა, ებრაელები და ბერძნულად მოუბარნიც უმარხავთ მხარდამხარ.

რაც შეეხება მეორად დამარხვას მცირე საძვალეში, ერთი ასეთი შემთხვევა გვაქვს ურბნისშიც, 1953 წელს გათხრილ თიხის პატარა სარკოფაგში. ცეცხლთაყვანისმცემლობის საკარაუდო გავლენასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ ჩვენი წყაროების ცნობა იმის შესახებ, რომ ქართლის მოსახლეობა მედგრად აღუდგა წინ სპარსელთა ცდას, მისთვის თავს მოეხვია დაკრძალვის ზოროასტრული წესი.

ყველა სამარხი დასავლეთიდან აღმოსავლეთითაა დამხრობილი, ხოლო მიცვალებულებს შიგ თავით დასავლეთისაკენ ასვენებდნენ (რაც უკვე ემთხვევა ქრისტიანულ წესს), მაგრამ არც თუ იშვიათად — აღმოსავლეთისაკენაც (შედარებით უფრო გვიანდელ სამარხებში). უმეტესობა დასვენებულია გულაღმა, ფეხებგაშიმული. ხელები ხშირად ტანის ჩამოსწვრივ უწყვიათ, ზოგჯერ კი— მკერდზე, მკერდს ქვემოთ ან მხრებზე დაკრეფილიც.

სამარხთა დიდი უმეტესობა ძველადვე გაძარცულია, მაგრამ მაინც ხერხდება ისეთი სამარხების გამორჩევა, რომლებშიც იმთავითვე არავითარი ინვენტარი არა ყოფილა. მაგალითად, სამთავროს ჩრდილო უბანზე გათხრილი 968 სამარხიდან ასეთად 258 ითვლება. ზეგანზე გათხრილ სამარხთა 50% სულ უინვენტარო იყო, ხოლო დანარჩენი ღარიბულ ინვენტარს შეიცავდა. ესეც ნიშანდობლივი ფაქტებია სოციალური ვითარების თვალსაზრისით. ამასთანავე, წინააღმდეგ მოლოდინისა, ორმოსამარხები ყოველთვის როდი წარმოადგენენ უღატიბეს სამარხებს. ასე მაგალითად, ერთ მათგანში ნაპოვნია მინის მოხატულ-წარწერილი ფიალა.

სამარხთა ინვენტარი ჯერჯერობით მაინც საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია. მის უმეტესობას შეადგენს ნაირ-ნაირი ს ა მ კ ა უ ლ ი და ტ ა ნ ს ა ც მ ე ლ-ფ ე ხ ს ა ც მ ლ ი ს ლ ი თ ო ნ ი ს დ ე ტ ა ლ ე ბ ი. მეორე

ადგილი უჭირავს მინის ჭურჭელს, თუმცა მისი შემადგენლობა ძლიერ გაერთფეროვნებულია. ხელსაწყო-იარაღი თითო-ოროლა რკინის დანის პირითაა წარმოდგენილი, ხოლო თიხის ჭურჭელი, წინააღმდეგ ადრინდელი სამარხებისა, სულ ორიოდე შემთხვევაშია ნაპოვნი და მისი ჩატანება წესად ვეღარ ჩაითვლება. მონეტებიც იშვიათად გვხვდება. სრულიად აღარა ჩანს ლითონის (ვერცხლის, ბრინჯაოს) ჭურჭელი. იმ შემთხვევაშიც, როდესაც ინვენტარში წარმოდგენილია იგივე ჯგუფები, რაც I — III საუკუნეთა სამარხებში, მათ შორის მეტწილად მკვეთრი განსხვავებაა. ამასთანავე, ჩნდება და ვრცელდება მცხეთისათვის სრულიად ახალი ტიპები: თავსაბურავისა თუ თავსამკაულის საკინძები, ტანისამოსის შესაბნევი მშვილდსაკინძები და სხვ.

ყოველივე ზემოთქმული ისეთი ცვლილების მომასწავებელია, რომელიც ვერ მიეწერება მარტოოდენ კულტურის ჩვეულებრივ განვითარებას. შეიძლება ითქვას, რომ დიდი მცხეთის ამდროინდელი სამარხვნების შესწავლით დაგროვილი მასალა აირეკლავს III — IV საუკუნეთა მიჯნაზე და უფრო კი IV საუკუნეში მომხდარ ტეხილს ქართლის საზოგადოებრივ-ეკონომიურ განვითარებაში. საქმე გვაქვს დაკრძალვის წესის აშკარა სახეცვლასთან, რაც უპირველეს ყოვლისა, ქვისსამარხებსა და შიგ კოლექტიურ დაკრძალვაში, ე. წ. საოჯახო სამარხებზე საყოველთაო გადასვლაში გამოიხატება. დაკრძალვის წესის მნიშვნელოვან ცვლაზე მიგვითითებს რამდენსამე შემთხვევაში აღმოჩენა რკინის ლურსმნებისა (ჩანს ხის კუბოს ნაშთების), აგრეთვე მთლიანად შემორჩენილი თიხის აბაზანისებრი კუბოებისა, რომლებიც ქვისსამარხებში არიან შედგმული.

დაკრძალვის წესის მნიშვნელოვან გადასხვაფერებას მოწმობს ინვენტარის თვისობრივი შემადგენლობის ცვლილებაც, კერძოდ ის, რომ მიცვალებულთათვის ჩასატანებელი საგნებიდან სრულიად, ან თითქმის სრულიად გამორიცხული ჩანს: საოჯახო ჭურჭელი (მინის სანელსაცხებლეებს და ეგებ სასმის თასებსაც უფრო სარიტუალო დანიშნულება უჩანთ), მონეტები, პირსაფარეშო საგნები.

ინვენტარში გარკვეული საგნების მომრავლება იმას გვეუბნება, რომ მოსახლეობა ახლებურად იმოსება; ქალები თმას სხვანაირად იკრავენ თუ იმკობენ და ა. შ. ხოლო ძველადაც ხმარებულ სამკაულსა თუ შესაბნევ მოწყობილობას ახლა სხვა მოყვანილობა და აღნაგობა აქვს და მათი გამოსაჩენი ნაწილებიც სხვა მასალით, სხვაგვარად შემკული და მხატვრულადაც სხვაგვარად გაფორმებულია. იმის თქმაც კი შეიძლება, რომ ოქროული მცხეთის ამდროინდელ სამარხებში უფრო ფართოდაა გავრცელებული, ვიდრე წინარე ხანის სამარხებში, ოღონდ ოქროს ნივთების საშუალო რიცხვი ცალკეულ, ხუნდაც უმდიდრეს სამარხებში უფრო ნაკლებია და ისინი ტექნიკურადაც და მხატვრულადაც უფრო მდარედ გამოიყურებიან. შესაბამისად, დიდად კლებულობს ნამდვილ პატიოსან თვალთა და გემმათა რიცხვიცა და ხარისხიც. აქ წარმოდგენილია ის სამკაული თუ სხვა ნივთები, რომლებიც მეტწილად ნამდვილად მიეკუთვნება ხალხის ფართო ფენებს და ახასიათებს რიგითი მოქალაქეების, მცხეთელების ნივთიერ დოვლათს, მხატვრულ-ესთეტიკურ მოთხოვნილებას, გემოვნებას. ამას

ვერ ვიტყოდით I — III საუკუნეთა წარჩინებული და შეძლებული პირების სამარხთა ინვენტარზე.

ამდროინდელ წარჩინებულ-შეძლებულთა სამარხები ჯერჯერობით მხოლოდ არმაზისხევთან არის ცნობილი, ამასთანავე, სავსებით კანონზომიერი იქნებოდა, თუ ასეთი სამარხები, V საუკუნიდან მაინც, განლაგდებოდა უკვე კარგა ხანს არსებული და ქრისტიან მოსახლეობაში ალბათ მოწიწების საგნად ქცეული ტაძრების გვერდით. თუ ჭრელი მდაბიო მოსახლეობის ზოგ ფენაში კიდევ არის სავარაუდო ქრისტიანული ეკლესიისადმი გულგრილი და ზოგჯერ ეგებ მტრული განწყობილებაც კი, ამ დროისათვის საზოგადოებისა და სახელმწიფოს სათავეში მდგარი ფენები, ქრისტიანი მეფე-მთავრები და სხვანი, პირიქით, ალბათ სწორედ ტაძრებს მიეტანებოდნენ. მაგალითად, გავიხსენოთ, რომ ვახტანგ გორგასალი სვეტიცხოველშია დამარხული, ხოლო მირიან მეფე და ნანა დედოფალი — სამთავროს ტაძარში.

რაც შეეხება სამარხეული ინვენტარის ხნოვანებას, ყოველთვის ვერ ხერხდება IV — VIII საუკუნეთა დანაწევრება უფრო მცირე მონაკვეთებად. სამთავროს დიდძალი მასალის გულდასმითი ანალიზი არკვევს, რომ მკაფიო მიჯნა უფრო V და VI საუკუნეთა შორის გაივლის, ვიდრე VI და VII საუკუნეთა შორის და ამის გამო კიდევაც გამოიყოფა გარდამავალი ხანა — IV — V საუკუნეები. მაგრამ გარკვეული თვალსაზრისით ეს გარდამავალი ხანა შეიძლება III საუკუნის შუადანაც დავიწყოთ (განსაკუთრებით არმაზისხევის მასალების მიხედვით) და მეორე მხრივ კი VI საუკუნის ბოლომდე მოვიყვანოთ.

სამთავროსაგან განსხვავებით, არმაზისხევის სამაროვანში შესაძლო ხდება დამაჯერებლად გამოყოფა IV საუკუნის სამარხებისა, რომლებიც იმავე დროს უმდიდრესნი არიან იმდროინდელი მცხეთის ჩვენთვის ცნობილთა შორის (მაგ. იხ. ტაბ. XXXI, 4) და მჭიდროდ უკავშირდებიან არმაზისხევისავე, III საუკუნისათვის მისაკუთვნებელ, ერისთავ-პიტიახშთა სამარხებს. ამიტომ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ ათიოდე სამარხში დაკრძალული არიან არმაზისხეველ პიტიახშთა შორეული, უფლებრივ-ქონებრივად დაკნინებული, მაგრამ მაინც საკმაოდ ღონიერი შთამომავლები.

რაც შეეხება შემთხვევით აღმოჩენილ ძეგლებს, აღმოსავლეთ საქართველოში ამ სამარხებს რამდენადმე მაინც უბამენ მხარს ახალგორის (1917 წ.), წილკნისა და აღაიანის საკმაოდ მდიდრული სამარხები, ხოლო დასავლეთ საქართველოში — ურეკისა და სარგვეშის, აშკარად მდიდრული სამარხები, რომელთა ხნოვანება ნაწილობრივ მაინც შემოდის IV საუკუნეში.

V საუკუნის შემდგომ ჯეთი, სიმდიდრით გამორჩეული სამარხები აღარსად გვეგულება. ამ გარემოებაშიც უნდა დავინახოთ „გარდამავალი ხანის“ ერთ-ერთი დამახასიათებელი მხარე: ფუფუნებით დაკრძალვის ანტიკური ტრადიცია თანდათან ნელდება და მხოლოდ IV საუკუნის მანძილზე განაგრძობს ჯერ კიდევ საკმაო სიძლიერით არსებობას.

ახლა დარგობლივ განვიხილოთ ის ნივთიერი მასალა, რომელიც სამარხეულ ინვენტარშია წარმოდგენილი.

ს ა მ კ ა უ ლ ი ს ერთერთი უმნიშვნელოვანესი გვარია ბ ე ჭ დ ე ბ ი. ისინი გაკეთებული არიან: ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, რკინის, ნახევრად ძვირფა-

სი ქვებისა და მინისაგან. ქვისა და მინის ბეჭდები სწორედ ამ ხანაში ჩნდება. I—III სს. სამარხებთან შედარებით, აქ ბეჭდები საერთოდ ნაკლებია, მაგრამ, მაგალითად, არმაზისხევის მდიდრულ სამარხებში ისევე მრავლადაა და თანაც სულ ოქროსი (ტაბ. XXXII, 1, ქვ. რიგი). ერთ მათგანზე არმაზული ასოებით ამოკაწრულია „ადად"—ჩანს, პატრონის სახელი. ბევრად უფრო მეტია ახლა ბრინჯაოს ბეჭდები და ნაკლებია რკინისა. ჩნდება ახალი, განსხვავებული ფორმები (განსაკუთრებით დამახასიათებელია რგოლზე დარჩილული, სწორკუთხოვანი, ჯამისებრი თუ სხვა მოყვანილობის ბუდეები და მთავარი თვალბუდის აქვთ-იქით მცირე თვალბუდეები ან კორძები). ბეჭდებს უზის სარდიონის, გრანატის, ონიქსის, ამეთვისტოს, ლაჟვარდის, მინისა თუ პასტის თვლები, რომლებზედაც ხშირადაა ამოკვეთილი სხვადასხვა გამოსახულება. სამთავრო-არმაზისხევის ამგვარ ბეჭდებს ეხმაურება აღაიანში ნაპოვნი, V საუკუნისა, და რუსთავის IV—V სს. სამარხში ნაპოვნი ოქროს ბეჭდები; ნაწილობრივ — სარგვეშის, ახალგორის, ერედვის, ღები-შოშეთისა და ლეჩხუმის უსახელოს, შემთხვევით აღმოჩენილი ბეჭდებიც. გემმები მარტივი, ხშირად სქემატური და უმთავრესად ამა თუ იმ ცხოველისაგან ზღაპრული არსების გამომხატველია. მცხეთის სამარხებში აღმოჩენილ გემმათა შორის გამოიყოფა დასავლური, აღმოსავლური და აგრეთვე ადგილობრივი. შესაძლებლადაა მიჩნეული, რომ გემმების დიდი ნაწილი აქვე, მცხეთაში იყოს გაკეთებული, ოღონდ უცხოურ ყაიდაზე, უცხოელ ხელოსანთა მონაწილეობით. მიუხედავად გემმების საერთო აპოტროპული (ავგაროზული) დანიშნულებისა, მათი უმეტესობა მაინც მიჩნეულია საბეჭდავებად, საკუთრებისა თუ საბუთების დასადასტურებელ ხელსაწყოებად. მხატვრული ხელოსნური წარმოების სათანადო დარგის განვითარება ადგილობრივ ადრევე გაცხოველებით მიმდინარეობდა. გემმა ზოგჯერ ამოკვეთილია უთვალო ბეჭდის საგანგებოდ დაბრტყელებულ ფარაკზე. ამგვარი ბეჭდები სწორედ განსახილველ ხანაში ჩნდება. ამ ხანაშივე ვრცელდება ქვისაგან მთლიანად გამოკვეთილ-გამოთლილი ბეჭდები, რომლებსაც დაბრტყელებულ ნაწილზე აქვთ ამოჭრილი გამოსახულება.

ცალკე აღსანიშნავია გემმიანი საბეჭდავები, ისინი ან ქვისაგან (სარდიონი და სხვ.) გამოთლილი, ან არადა ლითონისაგან ჩამოსხმული არიან.

საბეჭდავთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ზოგიერთი, დიდკაცთა კუთვნილი ასეთია მაგალითად არმაზისხევის მდიდრულ, IV საუკუნის სამარხში აღმოჩენილი ოქროს ბეჭედი, რომლის თვალზედაც ამოკვეთილია პორტრეტული გემმა — წვერულვაშიანი და საყურიანი მამაკაცის პროფილი (ტაბ. XXXII, 1, ქვ. მარჯვ.). იგი, ერთი მხრივ, მოგვაგონებს იქვე, ერისთავ-პიტიახშთა სამარხებში აღმოჩენილსა და წარწერიან პორტრეტულ გემმებს, ხოლო მეორე მხრივ — „უშა პიტიახშის" საბეჭდავს, რომელიც საქართველოში არის ნაპოვნი და ამჟამად კი პარიზში ინახება. ეს უკანასკნელი არის ონიქსისაგან მთლიანად გამოთლილი ბეჭედი, რომლის ოვალურად დაბრტყელებულ ნაწილზე ამოკვეთილია აგრეთვე წვერულვაშიანი კაცის პორტრეტი და ბერძნული წარწერა: „უსას პიტიაქსეს იბერონ კარქედონ". არავის ეეჭვება, რომ აქ იბერიის ანუ ქართლის პიტიახშთანა გვაქვს საქმე.

უნდა აღინიშნოს სართიჭალის მახლობლად, მუღანლოში შემთხვევით აღმოჩენილი სამარხის ინვენტარში შემავალი ვერცხლის ბეჭედი, რომელიც საბეჭდავად ჩაითვლება, რადგან ზედ ფარაჯზე ამოკვეთილი აქვს თავდაბურული მამაკაცის პროფილი. ამგვარი საბეჭდავი ჯერჯერობით ერთადერთი გვაქვს. ინტალიოს მიხედვით იგი IV—V საუკუნეებს მიეკუთვნება.

თითო-ოროლა გულსაკიდი მედალიონიცა გვაქვს. ამათგან, პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია სამთავროში აღმოჩენილი ოქროს მედალიონი, რომელშიც ზის გრანატის თვალი, ხოლო ამ უკანასკნელზე ამოკვეთილია თავსაბურავიანი მამაკაცის გამოსახულება. აქვე უნდა აღინიშნოს წილკანში აღმოჩენილი გულსაკიდი, რომელშიც ჩასმულია ძველი, ნამდვილი ანტიკური გემმა: ქალის ფაქიზი პროფილი, ხოლო მის ირგვლივ და უკან — მაგიური დანიშნულების ბერძნული წარწერა. ჩანს, გემმა მეორადი გამოყენების წყალობითაა მოხვედრილი გულსაკიდში. ახალგორში 1917 წელს აღმოჩენილ სამარხეულ ინვენტარშიც შედის ერთი ოქროს გულსაკიდი, რომელიც მედალიონზე შეკიდული მარგალიტებითაცა ჰგავს სამთავროს მედალიონს და ირგვლივი, წითელი თვლით დამშვენებული აშიის დატიხრულობითაც.

საყურეები საერთოდ შედარებით ნაკლებ გვხვდება და ისევე არმაზისხევის მდიდრულ სამარხებში ვხედავთ მათს ისეთ სიუხვეს, როგორიც წინარე ხანის სამარხებს სჩვევიათ. ყველა ისინი ოქროსია, მათ შორის ჭარბობს ის, შედარებით მარტივი ტიპი, რომელიც ჩნდება უკვე III საუკუნის მეორე ნახევარში და საყოველთაო გავრცელებას აღწევს IV საუკუნეში. ასეთ საყურეებს შეადგენს რგოლი, რომელზედაც ქვემოდან მირჩილულია ღერაკი, ხოლო ამ უკანასკნელზე ასხმულია მარგალიტი და სხვა მძივები. ეს ტიპი ხშირია სამთავროშიც და ბევრ სხვა იმდროინდელ სამაროვანშიც. არის თითო-ოროლა სხვა, გაცილებით უფრო რთული და მოხდენილი ტიპის, პოლიქრომულად შემკული საყურეებიც. არამდიდრულ სამარხებში ხშირია ვერცხლისა და ბრინჯაოს მარტივი საყურეები. ყურადღებას იქცევს არმაზისხევის IV ს. მდიდრული სამარხის ოქროს წყვილი ბრტყელი, მარგალიტშეკიდული საყურე და აგრეთვე გვიანანტიკური, მრავალწევრიანი, ბრტყელი და მოთვალული საყურეების მსგავსი, თითქოს გადმონაშთი, ორი წყვილი ოქროს საყურე: არმაზისხევის ერთერთ, VI — VII სს. სამარხში და რუსთავის ერთერთ, IV—V სს. სამარხში.

საერთოდ IV—V საუკუნეებში ოქროს ძირითადი სამკაულის — ბეჭდების, საყურეების — თვალსაჩინო ერთგვაროვნება დიდი მცხეთისა და საქართველოს სხვა კუთხეების სამარხთა ინვენტარში მკაფიო მოწმობაა ნივთიერი კულტურის თანდათანობით გაერთგვარებისა საქართველოს სხვადასხვა მხარეებში და საზოგადოების სხვადასხვა ფენებში.

სამაჯურები შედარებით ცოტაა, ისიც მეტწილად რკინისა, დაჟანგული, სახედაკარგული. ბრინჯაოს სამაჯურთაგან ყურადღებას იქცევს ერთი ტიპი — პირშეუკვრელი და ზურგგამსხვილებული, რომელიც თანმხლები მშვილდსაკინძების მიხედვით, V—VI და ეგებ VII საუკუნეებსაც უნდა მიეკუთვნოს. საქართველოში ეს ტიპი იშვიათი ჩანს და მას, ისევე როგორც მშვილდსაკინძთა დიდ ნაწილსა და ფეხსაცმლის შესაკრავებს, კავკასიონის ჩრდილოეთით უფრო მრავლად მოეპოვება მსგავსი.

უაღრესად საინტერესო და ზოგჯერ ბრწყინვალე, II—III საუკუნეთა ტიპებისაგან ძირეულად განსხვავებული, მაგრამ ხარისხით მათი ტოლი, ოქროს ნიმუშებითაა წარმოდგენილი სამაჯურები არმაზისხევის IV საუკუნის მდიდრულ სამარხებში. აქ გვაქვს ორი წყვილი ბრტყელი, დამუხლული, თვლებითა და მინანქრით უხვად შემკული (ტაბ. XXXII, 1, ზემ.) და ერთი წყვილიც მძივებისაგან შედგენილი სამაჯურები. ერთ წყვილზე შიგნიდან ამოკაწრულია არმაზულ-არამეული წარწერები, რაც კიდევ უფრო მკიდროდ უახლოვებს მათ შემცველ სამარხებს პიტიახში წინაპრებისას.

მ ძ ი ვ ე ბ ი საერთოდ თითოეულ სამარხში გაცილებით უფრო ცოტა გვხვდება, ვიდრე ადრინდელ სამარხებში. ზოგში რამდენიმე ცალია ნაპოვნი, ზოგში ათეულობითაა, ხოლო ერთში — ასეულობითაც კი. თუ I—III სს. სამარხებში ქვა და მინა თითქმის თანაბრად იყო წარმოდგენილი და ჭარბობდა პასტასა და სხვა მასალას, აქ აშკარად ჭარბობს მინა, მას მოსდევს ქვა, შემდეგ — პასტა, ქარვა, სადაფი, ძვალი და ა. შ. ქვიერი მასალა აქ ნაკლებ მრავალფეროვანია, ვიდრე წინარე ხანაში. წარმოდგენილია: გიშერი, სარდიონი, გრანატი, აქატი, კვარცი და მარმარილო. ყველაზე უფრო გავრცელებულია გიშერი („ოკრიბის ქვა"), შემდეგ მოდის სარდიონი და გრანატი, ხოლო დანარჩენი ცოტ-ცოტაა. ხერხდება მძივთა დანაწევრებული დათარიღება (IV—V სს., V ს., IV—VI სს., VII ს. და ა. შ.). უძვირფასესია და შედარებით იშვიათად გვხვდება გრანატის მძივები. მინის მძივებს სხვადასხვა ფერი და მოყვანილობა აქვს. ყურადღებას იქცევს ქარვის მძივთა მცირერიცხოვნება. ჩანს, ქარვის იმპორტი (ჩრდილოეთიდან) შესუსტებულა და სამაგიეროდ გაძლიერებულა ადგილობრივი მასალის, გიშრის გამოყენება. არის ცოტაოდენი ზღვის ნიჟარები ანუ ღვინჭილებიც („cowrie"), რომლებსაც უფრო ავგაროზებად ატარებდნენ ხოლმე. მძივთა შორის გამოერევა მარჯნის შტოთა ნატეხებიც.

ცალკე აღსანიშნავია: ოქროს ბურთულა ღრუ მძივები რუსთავის მარჯვენა ნაპირის სამაროვნის ერთერთ სამარხში (IV—V სს.), ოქროს ცილინდრული მძივები არმაზისხევის IV ს. მდიდრულ სამარხში (სადაც ისინი თითქოს სამაჯურს შეადგენდნენ) და აღაიანის V ს. სარკოფაგში.

IV—VII საუკუნეთა მანძილზე სამთავროს სამარხებში მძივთა რაოდენობა თანდათან კლებულობს; რამდენადმე მატულობს ქარვა და სადაფი; კლებულობს გიშერი, მინა და ქვა (რჩება მხოლოდ სარდიონი). მინა-პასტის მძივთა ფორმები ევოლუციას განიცდიან: ბოლოს ზოგი რჩება, ზოგი სულ ქრება და ზოგიც იცვლება. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმპორტული მასალა კვლავ სჭარბობს ადგილობრივს, ხოლო მძივთა მკეთებელი ოსტატები არ წყვეტენ ახალ ფორმათა ძიებას.

აღსანიშნავია არმაზისხევის ერთერთ მდიდრულ სამარხში (IV ს.) აღმოჩენილი, ყელსაბამის ფრიად თავისებური მძივები: სამტყუპა რკოთა მსგავსი, ოქროს ბუდეებში ჩასმული ლურჯი მინის ნახევარბურთობები.

ს ა კ ი ნ ძ ე ბ ი ასეულობითაა აღმოჩენილი, ნაირ-ნაირია და საერთოდ თავისებური (რამდენიმე ნიმუში იხ. ტაბ. XXXII, 4). დიდი მცხეთის გარდა ისინი აღმოსავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებშიც გვხვდება (წალკა,

რუსთაეი, საცხენისი და სხვ.). ღეროები ბრინჯაოსი ან რკინისა აქვთ, იშვიათად ვერცხლისა, ხოლო თავები — ან იმავე, ან სხვა მასალისა (მარჯნისა, მარგალიტისა, სარდიონისა, გრანატისა, მთის ბროლისა, კვარცისა, პასტისა, მინისა), იშვიათად ოქროს დეტალებით დამშვენებული. განსაკუთრებით მრავლადაა საკინძები დიდი მცხეთის სამაროვნებში. სამთავროს საკინძთა შორის გამოყოფენ 9 ტიპსა და მათ ვარიანტებს — იმის მიხედვით, თუ რა მასალისა და მოყვანილობის თავები აქვთ. განსაკუთრებით ხშირი და დამახასიათებელია მარჯნით დაგვირგვინებული საკინძები, რომელთა თავებსაც ბროწეულის ყვავილის ან თითქოს ძზა ნაყოფის, ან არადა ყაყაჩოს, ხაშხაშის სათესლე კოლოფის ფორმა აქვთ. საფიქრებელია, რომ ეს არის ნაყოფიერების სიმბოლო, საკვლევით ბუნებრივი ქალთა სამკაულებში. ამგვარ საკინძთა დიდი ნაწილი ქალის თმასთან თუ თავსაბურავთან არის დაკავშირებული. საკვლევით გასაზიარებელი, ჩანს ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს მოსაზრება, რომ მათში თანამედროვე ქართული ჩიხტი-კოპისა და თავსაკრავის მსგავსი თავსაბურავის შესაბნევი თუ დასამშვენებლად ჩასარჭობი საკინძები უნდა დავინახოთ. ხოლო რაკი ეს საკინძები საერთოდ გვიან, სწორედ განსახილველი პერიოდის დამდეგს ჩნდება, უნდა ვივარაუდოთ, რომ თვით ეს წესიც თმის შემკობისა თუ თავის დახურვისა შედარებით გვიან გაჩენილა ჩვენში. ამრიგად, თითქოს ხელთა გვაქვს ქართველი ქალის ჩაცმა-დახურვის ამჟამად ცნობილი წესის საწყისები.

მ შ ვ ი ლ დ ს ა კ ი ნ ძ ე ბ ი ანუ ფ ი ბ უ ლ ე ბ ი დასავლეთ საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული გვიანანტიკურ ხანაშივე (ლლდეეთი, ურეკი), მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოში და, კერძოდ, დიდ მცხეთაში კი ვრცელდება მხოლოდ III—IV საუკუნიდან. ისინი გაკეთებულია ვერცხლისა (იშვიათად), ბრინჯაოსა და რკინისაგან (ყველაზე უფრო ხშირად). ყველა მშვილდსაკინძი ორწილადია (რამდენიმე ნიმუში იხ. ტაბ. XXXII, 4, ქვემოთ, მარცხ.). ვერცხლისა და ბრინჯაოს მშვილდს ენა ხშირად რკინისა აბლავს. აღნაგობის მხრივ გამოიყოფა ორი ძირითადი ჯგუფი: ბ უ დ ე ა ბ მ უ ლ ი და — ჩანს, მისგან განვითარებული — ბ უ დ ე ა უ ბ მ ე ლ ი. ბუდეაბმული მშვილდსაკინძები აღმოსავლეთ საქართველოში უკვე ჩამოყალიბებული გვევლინება და, შესაძლოა, დასავლეთ საქართველოდან იყოს შემოსული. სამთავროს ყველაზე უფრო მრავალრიცხოვან მშვილდსაკინძებში გამოჰყოფენ ორ-ორ ტიპს (ბუდეაუბმელთა შორის—ზამბარიანსა და უზამბაროს) და ავრეთვე ვარიანტებს. ერთსა და იმავე სამარხში პოვნა მოწმობს ბევრი ამ ვარიანტთაგანის თანაარსებობის. სამთავროში გამოყოფილი 13 სახეობიდან 11 მიეკუთვნება IV—VI სს. მათგან ზოგი IV საუკუნის შუა ხანებში ჩნდება და იმავე საუკუნეში ქრება, ზოგი V საუკუნის დამდეგს ჩნდება და VI საუკუნეში ქრება და ა. შ. VII საუკუნეში გადმოდის მხოლოდ ორი გვარი, წარმოქმნილი V საუკუნის ბოლოს. ეს მშვილდსაკინძები ითვლება ჩვეულებრივი ტანსაცმლის შესაბნევ მოწყობილობად.

ის გარემოება, რომ აღმოსავლეთ საქართველოში მშვილდსაკინძები IV საუკუნიდან ვრცელდება ფართოდ, გვანიშნებს აქ ტანსაცმლის რაგვარობის შეცვლას, ხოლო მათი ზომის სხვადასხვაობა იმას, რომ ტანსაცმელს ნაირ-ნაირი სისქის ქსოვილისაგან იკერავდნენ.

ტანსაცმელ-ფეხსაცმლის სხვა ნაწილთაგან ყურადღებას იქცევს ბრინჯაოს ორგვარი შესაკრავები: ა) „განივძელაკიანი“, უენო, რომელთაც თან ახლავთ ხოლმე შუაში სიგრძივ ამოკვრილი ფირფიტები და თავბრტყელი საკინძ-ველები — მამაკაცის წაღისებრი ფეხსაცმლისათვის (დედაკაცის ფეხსაცმელი იკვრებოდა ჩვეულებრივი, უძელაკო ფირფიტებით); ბ) ძვლის ან ქვისაგან გამოთლილი, ბურთულაბოლოებიანი ძელაკები — საყელოს კილოთა შესაბნევი.

თავსაბურავი წარმოდგენილია ერთი, შემთხვევით მთლიანად დაცული, მეტად თავისებური ქუდით ან, ეგეგ, ქალის რთული თავსაბურავის ძირითადი ნაწილით. რგი გაკეთებულია მოთელილი მატყლისაგან და ძაფებითაა დალიანდაგებული. შიგ გარჩობილი იყო ბრინჯაოსა და რკინის რამდენიმე საკინძი. ერთი მსგავსი „ქუდი“, რომელშიც თითქოს ოქროს საკინძიც კი ყოფილა გარჩობილი, მცხეთელებს უპოვნიათ წიწამურის ქვემოთ მდებარე მინდორზე შემთხვევით აღმოჩენილ ქვისსამარხშიც. საკმაოდ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის იმდროინდელ თავსაბურავთა შესახებ და რამდენადმე მოგვაგონებს კიდევაც ფორმით ზემოაღწერილ „ქუდს“ სამთავროში აღმოჩენილი, უკვე განხილული ოქროს გულსაკიდის გემმაზე გამოხატული მამაკაცის თავსაბურავი.

პირსფარეშო მოწყობილობა კანტიკუნტადაა წარმოდგენილი. ასეთი საგნების ჯგუფს მიეკუთვნება, უპირველეს ყოვლისა, ბრინჯაოს მრგვალბრტყელი სარკეები. სამარხთაგან მომდინარე სამი სარკეა ცნობილი: ერთი სამთავროში, მეორე—რუსთავში (IV—V საუკუნეთათვის ტიპიურ ინვენტართან ერთად) და მესამეც—გაგრაში (აგრეთვე IV—V სს. ინვენტარში). სამივე შემთხვევაში ქალთა სამარხებთანა გვაქვს საქმე. საერთოდ კი სარკის სამარხში ჩატანების წესი აშკარად შესუსტებული ჩანს. სრულიად აღარა გვხვდება სამარხეულ ინვენტარში პირსფარეშოდ გამოყენებული ზღვის ნიჟარები, რომლებიც ხშირი იყო გვიანანტიკური დროის სამარხებში.

რამდენსამე სამარხში აღმოჩენილია ბრინჯაოს ილარები ანუ ყურსაჩიჩქნები (სამთავრო, არმაზისხევი — ნიმუშები იხ. ტაბ. XXXII, 4, ზემოთ, მარჯვნივ — გაგრა, ურეკი). არმაზისხევის ილარები თმისსარჩობთა ზედა ბოლოებზეა გაკეთებული, ურეკის ილარი კი თითქოს ფრჩხილსაწმენდის ზედა ბოლოზე.

აშკარად გამოხატული ავგაროზები შედარებით ცოტაა. არმაზისხევის IV საუკუნის მდიდრულ სამარხთა ინვენტარში შედის ერთი ოქროს ცილინდრული მილაკი, რომელიც, გვიანანტიკურ ნიმუშებთან მიმსგავსებით, ყელზე ჩამოსაკიდი ავგაროზის ბუდედ ითვლება. აქვე უნდა გავიხსენოთ მაგიური (აგრეთვე წინარე ხანიდან გადმოსული) არმაზული წარწერები, ამოკაწრული არმაზისხევის ერთერთ მდიდრულ სამარხში აღმოჩენილ ოქროს ბრტყელ დამუხლულ სამაჯურებზე, და ბერძნული მაგიური წარწერებით აჭრელებული გემმა (რომელზედაც ქალის პროფილია ამოკვეთილი) წილკნის IV საუკუნის სამარხში.

რაც შეეხება სამთავროს სამაროვანს, იქ ნაპოვნია ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული 5 საკიდი გამოსახულება: სამი დიდრქოსანი ცხოველის თავ-რქისა და ორი — ცხვრისა. ერთი დიდრქოსანი ცხოველის ასეთივე გამოსახულება ნაპოვნია თიანეთის რაიონის სოფ. ჯიჯეთის მიდამოებში გათხრილ IV—VI საუკუნეთა სამარხშიც. ბრინჯაოს ყუნწიანი საკიდი — ფხის გამოსახულება ნაპოვნია ახალ აფონ-

ში აღმოჩენილ ერთ სამარხშიც, რომელსაც IV საუკუნით ათარიღებენ. შთაბეჭდილება ისეთი იქმნება, რომ ცხოველთა გამოსახულებით წარმოდგენილი ავგაროზები აგრეთვე გადმონაშთს წარმოადგენენ განსახილველ ხანაში. ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ, ანტიკური ხანიდანვე ნაანდერძევი წესისამებრ, ამ ხანაშიც განაგრძობს ავგაროზთა დანიშნულების შესრულებას ბეჭდის თვლებზე გამოყვანილი ესა თუ ის გამოსახულება და ზოგჯერ წარწერაც. ასეთები საკმაოდ მრავლად გვხვდება სამთავროს, არმაზისხევისა და ზოგ სხვა სამაროვანთა ინვენტარშიც (მაგ., არმაზისხევური, ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული საბეჭდავი, რომელზედაც გამოსახულია მწოლარე ლომი, ზოდიაქოს სხვა ნიშნები და რამდენიმე ასო; სამთავროული, არმაზისხევური და სხვა ბეჭდები, რომელთა პასტის თვლებზე ირემი, ხარი, დათვი, კურდღელი თუ ზღაპრული არსებანი — ფასკუნჯი, ფრთოსანი რაში და სხვანი არიან გამოსახული).

ს ა ო მ ა რ ი თ უ ს ა ნ ა დ ი რ ო ი ა რ ა ღ ი აღმოსავლეთ საქართველოს-სამაროვანთა ინვენტარში მხოლოდ გამონაკლისის სახით გვხვდება. აღმოჩენილია რკინის ისრის პირი კარსნისხევის ერთერთ სამარხში, რკინის მოზრდილი ისრის პირი სამთავროს „ოქრომჭედლის სამარხში“ (VI—VII სს.) და რკინის ისრის პირები წალკის წინწყაროს „ქრისტიანული დროის“ სამარხში.

დასავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ შემორჩენილია იარაღ-საჭურველის ჩატანება სამარხებში. ამას მოწმობს: ახალი ათონის V—VI საუკუნეებით დათარიღებული სამარხები, რომელთა ინვენტარში შედის რკინის მახვილები და რკინის შუბები; წებელდის სოფ. იურიევსკოეს იმავდროული სამარხები, რომლებშიც ნაპოვნია რკინის მოგრძო მახვილი და შუბის პირები; წებელდის სოფ. ოლგინსკოეს IV—V სს. თიხის ურნები, რომლებსაც თან ახლდათ რკინის მახვილი, ცულები, შუბის პირები და დანები; ბზიფის ხეობის სოფ. მიწარის „ადრებიზანტიური ხანის“ ინჰუმაციური სამარხი, რომელშიც სამკაულის თანხლებით აღმოჩნდა რკინის გრძელი, რომბულგანივკვეთიანი შუბის პირები; სოფ. კალდახვარაში აღმოჩენილი ასეთივე ინვენტარი.

რკინის იარაღი საკმაოდ მრავლადაა სარგვეშისა და საგვარჯილის სამარხთა ინვენტარშიც. სარგვეშის მდიდრული სამარხი შეიცავს რკინის მახვილსა თუ სატევარსაც და ისრის პირებსაც, რომელთაც უფრო შუა საუკუნეთა ისრის პირებს შორის მოეძებნებათ მსგავსი. საგვარჯილის სამარხთა ინვენტარში შედის: რკინის სატევარი, ორი შუბის პირი, ცული, ხუთი დანა და ერთიც ძველებური ტიპის ბრინჯაოს ისრის პირი. ეს სამარხები ზოგადად III—VI საუკუნეებით თარიღდება.

რაც შეეხება ხ ე ლ ს ა წ ყ ო ე ბ ს, ისინი გაცილებით ნაკლებ გვხვდება სამარხებში, ვიდრე იარაღ-საჭურველი. აღნიშნის ღირსია წებელდის სოფ. იურიევსკოეში, V—VI საუკუნეთა სამარხში აღმოჩენილი რკინის ცული. განსაკუთრებულ ყურადღებას კი იპყრობს სამთავროს ერთერთ, VI—VII სს. სამარხში აღმოჩენილი ჯგუფი ხელსაწყოებისა — პაწია სასწორი და საწონები, რომელთა მიხედვით (და აგრეთვე თან ჩაყოლებული, ბეჭდებში ჩასასმელად გამზადებული 5 თვალის მიხედვით) ის სამარხი მიჩნეულია „ოქრომჭედლის“ ან „იუველირის“ სამარხად. სასწორი შედგება ბრინჯაოსა თუ სპილენძის მინიატურული, ჩამოსაკიდად ნაპირებდახვრეტილი ჯამებისა და რკინის უღელაკისაგან, რომელზედაც

ბრინჯაოს ჩანგალია შეჟანგული. საწონი სუთია, სხვადასხვა ზომა-წონისა, ბრინჯაოსი, კვადრატული. უდიდესი 13,2 გრამს იწონის, საშუალო—2,58 გრამს, ხოლო უმცირესი—1,68 გრამს. საყურადღებოა, რომ არც ერთის წონა არ თანხვდება იმდროინდელი ბიზანტიური საწონებისას. შესაძლებელია, რომ სამარხში დაკრძალული ოქრომჭედელ-იუველირიც ყოფილიყო და ზარაფიც, ბიზანტიელ „არგიროპრატესთა“ მსგავსად.

განსაკუთრებით დამაფიქრებელია ამ მხრივ სამთავროს ერთი სამარხი, რომელშიც ძალზე მრავლად (39) აღმოჩნდა მინის სანელსაცხებლეები, ისე რომ შეიძლება ის მინისმბერავის სამარხად მივიჩნიოთ.

ამრიგად, მოგვეპოვება თითო-ოროლა ნივთიერი მითითება ადრე შუა საუკუნეთა ქალაქ მცხეთაში მცხოვრებ და მომუშავე ხელოსანთა საქმიანობის შესახებ.

კ უ რ კ ლ ე უ ლ ი სამარხებში ჯერ კიდევ საკმაოდ ხშირად და მრავლად გვხვდება, ოღონდ აშკარად ჭარბობს მინისა და ძალზე რიცხვშემცირებულია ან სულ გამქრალია თიხის ჭურჭელი.

სამთავროს სამარხეულ ინვენტარში კერამიკა წარმოდგენილია სულ 3 მომცრო ხელადით (მათში ერთი ორყურაა) და 1 პატარა ჯამით. ისინი ყვითლად ან მოყვითალო-წითლად არიან გამომწვარი და სრულიად არა აქვთ სამკაული. არმაზისხევის სამარხთაგან ერთში აღმოჩნდა თიხის ხელადა, ისიც მომცრო. წალკის სხვადასხვა ადგილას გათხრილ სამარხებშიც მხოლოდ თიხის ერთი ჭურჭელი აღმოჩნდა. ეს არის დაბალი, ტლანქად გამოყვანილი, ფეხიანი ჭრაქი. თიხის ჭურჭლის ნატეხებია აღნიშნული, საერთოდ მწირ ინვენტართან ერთად, გლდანში გათხრილ სამარხებში. „თიხის დოქებს“ აღნიშნავენ წალკის სოფ. წინწყაროში გათხრილ სამარხებში, რომლებიც „ქრისტიანულ ხანას“ მიეკუთვნებიან.

რაც შეეხება დ ა ს ა ვ ლ ე თ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს სამარხებს, ჩვენთვის ცნობილთა შორის ნამდვილად შეიცავს თიხის ჭურჭელს წებელდის (ოლგინსკოეს) კრემაციული სამაროვანი და ძევრის (საგვარჯილის) სამაროვანი. დამახასიათებელია, რომ გამთხრელებს ორთავე სამაროვნის ხნოვანების საწყისი III საუკუნის სიღრმეში გადააქვთ. წებელდის სამარხები თვითონაც მოზრდილ დერგებში იყო მოთავსებული და მათ გვერდით ხუთში ორ-ორი, სოლო ერთში — ერთი თიხის ჭურჭელი (ხელადები და ქოთნები) იყო სხვა ინვენტართან ერთად. საგვარჯილის სამაროვანში თიხის ჭურჭელს შეიცავდა 50-დან 8 სამარხი.

გაცილებით უფრო გავრცელებულია სამარხეულ ინვენტარში მ ი ნ ი ს ჭ უ რ ჭ ე ლ ი. ოღონდ ეს ითქმის განსაკუთრებით დიდი მცხეთის სამაროვნებზე. ძირითად მასალას გვაძლევს სამთავროს სამაროვანი. აქ მინის ჭურჭელი ინვენტარის ერთერთი არსებითი და უხვად წარმოდგენილი შემადგენელი ნაწილია, მაგრამ მაინც ბევრად მეტია სამარხი, რომელშიც იგი სულ არა გვხვდება. ასე მაგ., 1938—1948 წლებში ჩრდილო უბანზე გათხრილი 610 ინვენტარიანი სამარხიდან მინის ჭურჭელი მხოლოდ 200 სამარხში აღმოჩნდა (დაახლოებით ასეთივე პროცენტია I—III საუკუნეთა სამარხებში). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ 200-დან 35 სამარხის ინვენტარი მხოლოდ მინის ჭურჭლითაა წარმოდგენილი. სულ აღმოჩენილია 892, მთელი თუ დამტვრეული ჭურჭელი. მათ

შორის 240 მოდის გარდამავალი ხანის, IV—V საუკუნეთა სამარხებზე, 200-ოდე — VI საუკუნისაზე, ხოლო დანარჩენი — VII—VIII სს. სამარხებზე. ზოგ სამარხში მინის ჭურჭელი თითო იყო, ზოგში — 3—4, ხოლო ზოგში — 10 და მეტიც. ერთში კი, გამონაკლისის სახით, 39 აღმოჩნდა („მინისმბერავის სამარხი". საერთოდ შეიმჩნევა, რომ თითოეულ სამარხში ჩატანებული მინის ჭურჭლის რიცხვი თანდათან კლებულობს განსახილველი ხანის ბოლოს; თან იგი მკაფიოდ გამოირჩევა I—III სს. სამთავროსა თუ სხვა სამაროვანთა ჭურჭლისაგან.

IV საუკუნიდან თავს იჩენს აშკარა მიდრეკილება იმისადმი, რომ სამარხში ჩაატანონ მხოლოდ ის ჭურჭელი, რომელიც მეტნაკლებ უკავშირდება დაკრძალვის წესს — პატარ-პატარა სანელსაცხებლეები ანუ „საცრემლეები". მხოლოდ გარდამავალ ხანაში, IV—V საუკუნეებში გვხვდება აქა-იქ დიდრონი, სითხის შესანახი ჭურჭელი (სულ 9 ცალი) და ორიოდე სასმისი. ამ უკანასკნელთა შორის გვაქვს ყანწისებრი ჭურჭელი და ერთიც თასი, რომელზედაც ოსტატურად ამოხეხილ-ამოკაწრულია ფარშევანგისა და სიცოცხლის ხის სიმბოლური გამოსახულება, აგრეთვე ბერძნული წარწერა: „შესვი, იცოცხლე". გამოსახულების მხრივ მას საყურადღებო პარალელი მოეპოვება სამთავროშივე, IV—VI სს. სამარხში აღმოჩენილი ერთი თავისებური საგნის სახით. ეს არის შავი პრიალა ქვის სწორკუთხედი, რომელზედაც ამოკაწრულია: მონადირე, რომელსაც ხელზე მიმინო უზის, ხოლო ფეხთით — არწივი, და ფარშევანგი, რომელსაც რაღაც დიდი მსეცი მისტეევია ფეხში. თუ თასის ადგილობრივი ნახელაობა საეჭვოა, ამ ქვაზე გამოხატული საყურადღებო სურათები მაინც ნამდვილად ადგილობრივ, მცხეთელ მხატვარს უნდა მიეკუთვნოს.

მინის სასმისები IV საუკუნიდან უკვე მარტივი და დიდი ხნის განმავლობაში უცვლელი ფორმებით არიან წარმოდგენილი და გვხვდებიან ღარიბულ სამარხებშიც. ესეც ერთი ნიშანია იმისა, რომ მინის ჭურჭელი თანდათან ფართო მოხმარების საგანი და ყველასათვის მისაწვდომი გამხდარა ქალაქ მცხეთაში.

სანელსაცხებლეებში გაიკვლევა ტიპოლოგიური ევოლუცია და განშტოება: ერთი წყება ისპობა, მეორე ჩნდება და ვითარდება, ერთი მეორეში გადადის და ა. შ. შესაძლო ხდება მათი ქრონოლოგიური დანაწევრება და, ამის მიხედვით, შემცველი სამარხების დაყოფა ორ მთავარ ჯგუფად: ა) IV—V სს. (გვიანანტიკურიდან შუა საუკუნეებისაკენ გარდამავალი ხანისა) და ბ) VI—VIII სს. ამ ორ ჯგუფს თითქოს სამაროვნის სხვადასხვა უბნები უკავია.

მრავალგვარ სანელსაცხებელთა შორის ყურადღებას იქცევს „ხორკლებიანი" და „ეკლებიანი" ფორმები. ეკალ-ხორკლების წარმომავლობა სპეციფიკური (ეგებ მაგიური და სიმბოლური) უნდა იყოს და საერთოდ გასარკვევია, მაგრამ საეჭვებით შესაძლოა, რომ მათ პირველ ნიმუშს, პროტოტიპს წარმოადგენდეს არმაზისხევის II საუკუნის ერთერთ მდიდრულ სარკოფაგში აღმოჩენილი ოქროს სანელსაცხებლე, რომლის ტანიც გრანატის წვეტიანი თვლებითაა შემოსილი. ამგვარად, ეს ძველი მოტივი ჩანს. სხვა შემთხვევებშიც აღინიშნება, რომ ადრექრისტიანული ნივთიერი კულტურაცა და ხელოვნებაც კარგა ხანს უხვად სესხულობდა და გამარტივებული სახით განავითარებდა ძველი, ანტიკური ხელოვნების ნიმუშებს.

მრავლადაა სანელსაცხებლეები, რომლებსაც ძირი ისე აქვთ მოყვანილი, რომ მათი დადგმა არ შეიძლება. საფიქრებელია, რომ ასეთ ჭურჭელს მჭიდროდ უცავდნენ პირსა და ისე აწვენდნენ სამარხში, თუ არა და — სწორედ ის ყოფილა მათი დანიშნულება, რომ მიტანილი სურნელი სითხე წაქცევით მიმოეღვარათ სამარხში.

IV საუკუნეში თანდათან იწყებს გაქრობას უცხოეთიდან შემოტანილი თუ უცხოურის მიბაძვით შექმნილი ჭურჭელიცა და ზოგი სხვა ნივთიც. სამაგიეროდ ძლიერდება ახალი, საკუთარი ფორმების წარმოქმნა. ნიშანდობლივია შემდეგი დაკვირვება: IV—V საუკუნეთა 102 სამარხში აღმოჩენილი მინის ჭურჭელი ხარისხითაც და მოყვანილობითაც ძლიერ სხვადასხვაგვარია, აშკარად იგრძნობა ახალ ფორმათა ძიება. VI—VIII საუკუნეთა 185 სამარხში აღმოჩენილი ჭურჭლის ფორმები კი გამოირჩევა ჩამოყალიბება-დასრულებულობით და მათი ფორმების სიაში არსებითი ცვლილება აღარ ხდება. ხერხდება გამოვლენა და დადგენა ტიპიური მცხეთური ფორმებისა, ხოლო ზოგს „სამთავროულიც“ კი შეიძლება ეწოდოს (ნიმუშები იხ. ტაბ. XXXII, 4). ზოგიერთი თავისებურება ეტყობა ამ ჭურჭელს აგრეთვე ნაკეთობისა და მინის ქიმიური შემადგენლობის მხრივ. ყოველივე ეს ქმნის იმის საფუძველს, რომ დაისვას საკითხი იმდროინდელ მცხეთაში საკუთარი მინის წარმოების შესახებ.

ისიც იქცევს ყურადღებას, რომ ამდროინდელი სამარხეული მინის ჭურჭლის დიდი უმეტესობა მცხეთაშია მოპოვებული, აქ კი ყველაზე მეტი სამთავროში გვაქვს. არმაზისხევთან გათხრილი 100-ზე მეტი სამარხიდან იგი მხოლოდ 11-ში აღმოჩნდა, სულ 13 ცალი (ამათგან ერთი ჭიქაა, დანარჩენი — სანელსაცხებლეები), ყველა სამთავროულთა მსგავსი. კერძოდ, IV საუკუნის მდიდრულ სამარხთა ინვენტარში მხოლოდ ერთი სანელსაცხებლე იყო, ნავთსადენის სამარხთა ინვენტარში — ორი სანელსაცხებლე და ერთი „მინანქრით“ შემკული ფინჯანი, წიწამურის ერთერთ სამარხში — ერთი სანელსაცხებლე.

რაც შეეხება დიდი მცხეთის ფარგლებს გარეშე მდებარე ადგილებს, უახლოესია დიღმის გარეუბანი ვაშლაჯვარი, სადაც შემთხვევით გაშიშვლებულ სამარხში აღმოჩნდა მინის პატარა სანელსაცხებლეც, სარტყლის ვერცხლის ფირფიტოვან სამკაულთან ერთად. სანელსაცხებლეები („საცრემლეები“) აღნიშნულია წალკის სოფელ ზემო წინწყაროს „ქრისტიანული დროის“ სამარხებში.

კარგადაა წარმოდგენილი მინის ჭურჭელი ქალაქ რუსთავის იმ სამაროვანში, რომელიც მტკვრის მარჯვენა მხარეს მდებარეობს და სადაც ოცზე მეტი ორმოსამარხი გაითხარა IV—V საუკუნეებისა. ამ სამარხთა ნახევარზე მეტი უინვენტარო იყო, ხოლო რაც აღმოჩნდა, უმთავრესად სადიაცო ჩანდა: სამკაულ-ავგაროზები (მათ შორის ოქროს ბეჭედ-საყურეები), პირსაფარეშო საგნები და მინის ჭურჭელი. ეს უკანასკნელი ხუთ სამარხშია მოპოვებული: სულ 6 სანელსაცხებლე (მათ შორის ორი შეხორკლილი, სამთავროული ყაიდისა) და ერთი მოზრდილი, ზარისებრი მოყვანილობის თასი (ტაბ. XXXIII, 5, 6). თასსა და სანელსაცხებლეთა შორის ერთს, სოკოსებრი მოყვანილობისას, არც სამთავროში უჩანს მსგავსი და არც სადმე სხვაგან. ამასთანავე, ზოგი თავისებურე-

ბა მინის რაგვარობასა და ჭურჭლის ნაკეთობაშიც იჩენს თავს, და ამიტომ შეესაძლებლად უნდა მივიჩნიოთ მინის ჭურჭლის კეთება იმ დროის რუსთავშიაც.

დასავლეთ საქართველოში უნდა დავასახელოთ წებელდის სოფ. ოლგინსკოეს კრემაციულ სამარხებში აღმოჩენილი მინის სამი ჭურჭელი — სასმისი.

მ ო ნ ე ტ ე ბ ი ადრეფეოდალური დროის სამარხებში ბევრად უფრო მცირერიცხოვანიცაა და უფრო ერთფეროვანიც გვიანანტიკური დროის სამარხებთან შედარებით. გარდა საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიური ვითარების ცვლილებისა, აქ ერთგვარ როლს ისიც უნდა ასრულებდეს, რომ დაკრძალვის წესი აღარ მიიჩნევს აუცილებლად სამარხში ფულის ჩატანებას.

სამთავროს ვრცელ სამაროვანზე სულ ათიოდე მონეტა გვაქვს ჯერჯეროობით. მათ შორის არის: ადრიანეს (117—138 წწ.) დენარი, გახვრეტილი და სამკაულად გამოყენებული, რომელიც სამარხში უნდა მოხვედრილიყო III ს. ბოლოს ან IV ს. დამდეგს; სასანიანი მეფის შაბურის დრაქმა (238—269 წწ.); ხუთი ბიზანტიური მონეტა — ლეონ I (457—471 წწ.) სპილენძის ფული; სამი არაბული წვრილი სპილენძის ფული — ფელსი, VIII საუკუნის ბოლოს მოჭრილი. აქის შემთხვევა, როდესაც ლეონის მონეტა და არაბული ფელსი ერთსა და იმავე სამარხში გვხვდება, ეს კი საეჭვოდ ხდის საერთოდ ლეონის მონეტების დამათარიღებელ მნიშვნელობას: მათი შემცველი სამარხი ყოველთვის ვეღარ მიეკუთვნება V ან თუნდაც VI საუკუნეს. ამას ისიც ემატება, რომ ზოგი მათგანი გახვრეტილია, ე. ი. სამკაულად ქცეული ჩაუტანებიათ სამარხში. საბოლოოდ, ეს გარემოება აძნელებს IV—VIII საუკუნეთა სამარხების ხნოვანების დანაწევრებას. აქვე დავძენთ, რომ სამთავროს კულტურულ ფენაში აღმოჩენილია იმპერატორ ვალენსის (354—375 წწ.) ვერცხლის ფული, ხოლო ბაგინეთის კულტურულ ფენაში — თეოდოსი დიდის (379—395 წწ) ოქროს ფულიც.

არმაზისხევის IV საუკუნის მდიდრულ სამარხთაგან მხოლოდ ერთშია აღმოჩენილი აღმოსავლურ-რომაული ოქროს მონეტა, მოჭრილი კონსტანციუსის მიერ 353—361 წწ. იგი ზედმიწევნით ადასტურებს სამარხთა ამ ჯგუფის აღნიშნულ ხნოვანებას, დანარჩენი ინვენტარის მიხედვით დადგენილს. რაც შეეხება უფრო გვიანდელ, მასობრივ სამაროვანს, იქ აღმოჩენილია სულ 2 მონეტა, ორივე არაბული ფელსი, VIII საუკუნის ბოლოსი, რის გამო ამ სამაროვნის ხნოვანებაც IX საუკუნეში გადმოდის.

ნავთსადენის სამაროვანზე მხოლოდ ერთ სამარხშია ნაპოვნი ფული. ესაა ჰერაკლესა და კონსტანტინეს (613—642 წწ.) მონეტა. აქვე უნდა აღინიშნოს, თუმცა კი სამარხეული არ იყო, ნავთსადენში აღმოჩენილი თიხის ქოთნით დაფლული განძი, რომელიც შედგებოდა სასანიანი მეფის კავადის (448—531 წწ.) ვერცხლის ფულისაგან. თითო-ოროლა მისივე მონეტა კულტურულ ფენებშიც არის აღმოჩენილი მცხეთის სხვა უბნებში, არმაზისხევთან და სამთავროში.

უნდა აღინიშნოს სასანიანი მეფის შაბურ მეორის (308—380 წწ.) ვერცხლის მონეტა ახალგორთან 1917 წელს აღმოჩენილ სამარხეულ ინვენტარში, რომელიც ოქროს კარგ სამკაულს შეიცავს.

დამახასიათებელია, რომ ქვემო ქართლის ერთადერთი სამარხეული მონეტა (სოფ. სანთაში აღმოჩენილი) იმავე კავადს ეკუთვნის და ამის გამოა, რომ VI საუკუნით თარიღდება მისი შემცველიცა და სხვა იქაური სამარხებიც. გლდა-

ნის ერთ სამარხში ნაპოვნია „V საუკუნის რომაული აურეუსის ბარბაროსული მინაბაძი“.

აღაიანში აღმოჩენილ თიხის სარკოფაგში ყოფილა ორი მონეტა—კონსტანტინე დიდის სოლიდი (312—337 წლებში მოჭრილი) და ტლანქი, დამახინჯებული მინაბაძი რომაულ-ბიზანტიური სოლიდისა. ფიქრობენ, რომ ამგვარი მინაბაძები უკრიათ ქართლშიც IV—V სს. მანძილზე.

რუსთავში, მტკვრის მარჯვენა ნაპირას, IV—V სს. სამაროვნის თხრისას, მის მახლობლად, უფრო გვიანდელ კულტურულ ფენაში აღმოჩნდა ბიზანტიური ვერცხლის მონეტა, მოჭრილი იმპერატორ კოსტას ანუ კონსტანტინე III მიერ (641 — 668 წწ.).

ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოს სამაროვნებში თუ კულტურულ ფენებში აღმოჩენილი მონეტების მნიშვნელოვანი ნაწილი ადგილობრივ მინაბაძებად უნდა ჩაითვალოს.

დასავლეთ საქართველოში ცნობილ სამაროვანთაგან მონეტები წარმოდგენილია: გაგრის სამარხში (ადრებიზანტიური ოქროს ფული, ჰონორიუსისა, 394—423 წწ., რის მიხედვითაც სამარხი V საუკუნით თარიღდება) და ურეკის სამარხში (კლავდიუს ტაციტუსის—268—270 წწ.—აურეუსი და „ბარბაროსული მინაბაძი“, ქალისპროფილიანი, სამკაულად გახვრეტილი), რომლის ხნოვანებასაც III ს. ბოლოსა და IV ს. დასაწყისიდან ითვლიან.

დამწერლობის ძეგლები. ამათ შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და შინაარსიანია სამთავროში აღმოჩენილი, ბერძნულად დაწერილი ეპიტაფია, ამოჭრილი ქვის მომცრო სტელაზე. ისიცა და ძველებრაულად დაწერილი ეპიტაფიაც აღმოჩნდა ერთდროულად: სტელები ხელახლა იყო გამოყენებული ქვისსამარხის ასაშენებლად. ეპიტაფიის თარგმანი ასეთია: „ავრელი აქოლისი, მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი, აქ განვისვენებ ჩემ მეუღლე ბევრაზურიასთან ერთად. ვთხოვ მეგობრებსა და გამვლელებს, რომ ყური უგდონ ერთმანეთის... [ალბათ „საქმიანობას“] დაახლოებით მეათიათასამდე [წელიწადი უნდა იგულისხმებოდეს], ისე რომ თუ ვინმე მოინდომებს ჩვენთან ერთად [დასაფლავებას?] ან [ჩვენი] ტომისა ან სხვა უცხოელი, პასუხი აგოს თავისი აღდგომისას“. ენობრივი ნიშნები წარწერას გვიანრომაული ხანისათვის დამახასიათებელი აქვს, მაგრამ ბოლოს დართული ქრისტიანული ფორმულის გამო (აღდგომისას განკითხვა-პასუხისგების შესახებ) წარწერა IV საუკუნეზე ადრინდელი ვერ იქნება და ეგებ V-საც ეკუთვნოდეს.

ძალიან საყურადღებოა სიტყვა „არქიზოგრაფი“ ანუ მხატვართუხუცესი, რაც ბერძნულ დამწერლობაში XII საუკუნემდე უცნობია და ამიტომ ფიქრობენ, რომ ამ წარწერაში აღნიშნული სიტყვა წარმოადგენს ადგილობრივი, ქართული ტერმინის თარგმანს. მაშასადამე, ეს თანამდებობაც საქართველოსათვისაა დამახასიათებელი და ტერმინიც ადგილობრივი საჭიროებისათვისაა შექმნილი.

სამთავროს სამარხებიდან მომდინარეობს ამ ხანის ბერძნულწარწერიანი ორიოდე ნივთი: ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი, რომელსაც ფარაკზე აწერია „ღვთისა“ და რომელიც IV—V საუკუნეებით თარიღდება; ბეჭდის თვალი მინისა, რომელსაც აწერია „ეზიარე“ (ან „მადლიერი იყავ“) და რომელიც IV სა-

1



2



3



4

უკუნეზე ადრინდელად ვერ ჩაითვლება; ზემოგანხილული ფარშავანგიანი თასი მინისა, რომელსაც აწერია „შესვი იცოცხლე“.

არმაზისხევში წარწერები უმთავრესად IV საუკუნის მდიდრულ სამარხებში აღმოჩენილ სამკაულებზე არის წარმოდგენილი და ყველა არმაზულ-არამეულია. ეს გარემოება რამდენსამე დასკვნას გვიკარნახებს: ა) მცხეთელები IV საუკუნეშიც განაგრძობენ არმაზული დამწერლობით სარგებლობას; ბ) იგი კვლავ სწორედ დიდკაცობის წრეში, ჩანს, წინარე ხანის ერისთავ-პიტიახშების შთამომავალთა შორის გვხვდება; გ) მოსახლეობის უფრო ,ფართო ფენებისათვის ეს დამწერლობა არც ადრე ყოფილა მისაწვდომი და არც ახლა — აქ მას ბერძნული ენაცვლება.

IV საუკუნის არმაზულ წარწერათაგან ერთერთი, ბეჭედზე ამოკაწრული, მფლობელის სახელს უნდა წარმოადგენდეს („ადად“), ხოლო მეორე, სამაჯურებზე ამოკაწრული — მიძღვნითსა და უფრო კი მაგიურ ტექსტს. აქვე კვლავ უნდა გავიხსენოთ ბრინჯაოს ერთი საკიდი-საბეჭედავი, რომელზედაც გამოსახულია ლომი, ზოდიაქოს ხუთა ნიშნები და რამდენიმე ასო, თითქოს ფალაური დამწერლობისა. ნამდვილად ფალაური დამწერლობითაა გამოყვანილი მთელი სიტყვა სამთავროში აღმოჩენილ ერთ გემმაზე, რომელზედაც ტახია გამოხატული. ეს არის „აპასტან“ — დასაწყისი ერთერთი ზოროასტრული ფორმულისა.

რაც შეეხება დიდი მცხეთის გარეშე მდებარე სამაროვნებს, ერთი საყურადღებო წარწერა მომდინარეობს წილკანში შემთხვევით აღმოჩენილი სამარხიდან. აქ ,ამეთვისტოს გემმაზე ამოკვეთილია გვიანანტიკური დროისათვის დამახასიათებელი გამოსახულება — ქალის პროფილი (მენადა?)—და ბერძნული ასოებით გამოყვანილი ვრცელი წარწერა, რომლისაც მხოლოდ ერთი ნაწილია ბერძნულად გასაგები: „უფალო, ქტორიოსი, მატარებელი ამ ნივთისა, შეიწყალე სასიკეთოდ და საბედნიეროდ“. დანარჩენი კი უაზროდ გამოიყურება და მაგიურ ტექსტს უნდა წარმოადგენდეს. საერთო შთაბეჭდილებით წარწერა III — IV საუკუნეებს მიეკუთვნება, ვით უმეტეს, რომ წარწერის გასაგები ნაწილი ქრისტიანულ ფორმულას წარმოადგენს.

წილკნის ამ გემმისა და ძველი წარწერის შესახებაც იგივე უნდა ითქვას, რაც სამთავროს ზემოგანხილულ წარწერათა შესახებ: ბევრი რამით იგი ანტიკურობის გადმონაშთს წარმოადგენს, ხოლო ბევრი რამით და არსებითად კი უკვე ადრექრისტიანული ხანის კუთვნილია.

აღსანიშნავია ავრეთვე რუსთავში, ადრე შუა საუკუნეთა ფენაში ნაპოვნი ქვის საბეჭდავი (ტაბ. XXXIII, 2), რომელზედაც ამოკვეთილია ჯვარი, ხოლო მის ირგვლივ — ბერძნული დაქარაგმებული წარწერა: „საფარველი მწვერვალისა“. იმავე ქვაზე ამოკაწრულია რამდენიმე ქ ა რ თ უ ლ ი მ თ ა ვ რ უ ლ ი ა ს ო, რომელთაგან იკითხება პირველი სამი: „თემ..“ (სახელის დასაწყისი?).

რელიგიური სიმბოლოები. ზემოთ უკვე არაერთგზის დავრწმუნდით, რომ დაკრძალვის წესიცა (საოჯახო აკლდამების გაჩენა, ხის კუბოების შემოღება, მიცვალებულის თავით დასავლეთისაკენ და პირისახით აღმოსავლეთისაკენ დაწვენა) და ინვენტარიც სწორედ IV საუკუნიდან გვანიშნებს მკაფიო გარდატეხას და რომ ეს უკანასკნელი უმთავრესად სწორედ ახალი საზოგადო-

ებრივი ურთიერთობის თანდათან დამკვიდრების თანამდევ ახალ, ქრისტიანულ სარწმუნოებას უნდა უკავშირდებოდეს. მაგრამ სამარხეულ ინვენტარში სათანადო საგნები, მცხეთაშიც კი, თითო-ოროლა თუ მოგვეპოვება. ესეც არ იყოს, ნიშანდობლივია, რომ ზოგი რამით ნამდვილად ქრისტიანული სამარხებისაგან განსხვავებული ჩანს რუსთავის IV — V სს. სამარხები, რაც იმას უნდა მოასწავებდეს, რომ იქაური მოსახლეობა ჯერ ნაკლებ არის ზიარებული ქრისტიანულ წეს-ჩვეულებას, ვიდრე მცხეთისა.

სამთავროს სამაროვნის ზედა უბანზე ერთერთ ქვისსამარხს (№ 292) განივ კედლად ედგა ფილაქვა, რომელსაც შიგნიდან ამოკვრილი ჰქონდა თითქმის ტოლმკლავა, ბოლოებრგოლებიანი ჯვარი. საფიქრებელია, რომ თავდაპირველად ამ ქვას სხვა დანიშნულება ექნებოდა (სხვათა შორის, იმავე უბნის სხვა სამარხში შემთხვევით გაუხრწნელად შემორჩენილი იყო ბზის რტოფოთლები, რომლებიც ძირს დაეგოთ მიცვალებულთათვის. აქაც შეგვიძლია ქრისტიანული დამარხვის მანიშნებელი ერთერთი წესი დავინახოთ). „ოქრომჭედლის სამარხში“ (VI — VII სს.) აღმოჩენილ ბრინჯაოს კვადრატულ საწონებზე გამოხატულია გვირგვინი და შიგ მოქცეული ტოლმკლავებიანი ჯვარი, რაც, რა თქმა უნდა, უეჭველად ქრისტიანული სიმბოლოა.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი, IV ს. სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს ბეჭედი, რომლის მინის თვალზე ბოლოებმოკაული ჯვარია გამოხატული.

არმაზისხევის სამაროვნის ტყის უბანზე ერთერთ სამარხში (V—VI სს) აღმოჩნდა ვერცხლის მედალიონი, რომელშიც ჯვარია ჩასმული.

რუსთავის სამაროვნიდან (მტკვრის მარცხენა ნაპირას) მომდინარე სამარხეულ მასალებს შორის არის ერთი ისეთი საგანი, რომელიც ამჟამად ყველაზე უფრო მეტვრმეტყველია ჩვენთვის. ესაა ვერცხლისა თუ ბრინჯაოს პატარა, აშკარად გულსაკიდი ჯვარი, ნაპოვნი VI—VII საუკუნეთა ერთერთ სამარხში, იმ დროისათვის ტიპიური, მარჯნისთავიანი საკინძების თანხლებით.

აქვე განმეორებით აღვნიშნავთ რუსთავში, კულტურულ ფენაში აღმოჩენილ ქვის საბეჭდავს, რომელსაც შუაში ტოლმკლავებიანი ჯვარი აქვს ამოკვრილი, ირგვლივ — ბერძნული წარწერა, ხოლო ჯვართან — ქართული. გარდა წარწერის შინაარსისა და თარიღისა (VI—VII სს.), აქაც, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ქრისტიანობის სიმბოლო — ჯვარი.

პირობით ჯვარის გამოსახულებად შეგვიძლია მივიჩნიოთ მცხეთისა და წალკის სამარხეულ ინვენტარში წარმოდგენილ საკინძთაგან ზოგიერთი, რომელთა თავებს ჯვარედინად განლაგებული ესა თუ ის სამკაული (მაგ., მარგალიტი, გრანატის თვლები და სხვ.) ამშვენებს, ან არადა სულაც ჯვარივითაა ეს თავი განშტოებული. მაგრამ ასეთი საკინძებიც თითო-ოროლაა.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, აქ, ჯერ ერთი, ყუნწიან ჯვარსა თუ ჯვრისებრ საკიდს აღნიშნავენ გაგრის სამარხში, რომელიც V საუკუნის მონეტით თარიღდება და შემდეგ, დიდად საყურადღებო, აშკარად ქრისტიანული სიმბოლოები გვაქვს გამოსახული ძევრი-საგვარჯილის სამ ბრინჯაოს ბეჭედზე, რომლებზედაც მდარე ხელობის, მაგრამ იმდროინდელი საქართველოსათვის უნიკალური შინაარსის მქონე გემმებია ამოკვეთილი: ერთზე ვხედავთ შარავანდედ ფიგურას, რომელსაც თავზე ნამგალა მთვარე დაჰყურებს,

წინ მტრედისებრი ფრინველი უდგას, ხოლო ზემოთ, შუაში — ჯვარი; მეორეზე გამოსახულია ადამიანის პროფილი, ხოლო მის წინ, პირამიდისებრ სადგარზე— ჯვარი. თვალში გვეცემა ის გარემოება, რომ ამგვარი ჯვრები და, კერძოდ, სადგარ-სამსხვერპლოზე აღმართული ჯვარი პირველად გვხვდება ე. წ. „ქართულ-სასანურ“ ვერცხლის ფულზე, რომელიც VI საუკუნის ბოლოს და VII საუკუნის დამდეგს იკრებოდა.

ყოველივე ზემოთქმული ქრისტიანულ სარწმუნოებასა და მის სიმბოლოებს ეხება. მაგრამ, როგორც საყოველთაოდ ცნობილი ისტორიული ვითარების მიხედვითაც სავარაუდებელია და ზოგი არქეოლოგიური მასალაც მოწმობს (მაგ., წიწამურში დადგენილი ორი შემთხვევა მეორადი დაკრძალვისა), იმდროინდელი საქართველოს ქალაქებში ქრისტიან მოსახლეობასთან ერთად საკმაოდ მრავლად უცხოვრიათ სხვა სარწმუნოებათა მიმდევართაც და მათ შორის ეგებ არაქრისტიან ქართველებსაც. სამარხეული ინვენტარის ერთი ნაწილი, სახელდობრ, ბეჭდის გემმები საკმაოდ ხშირად შეიცავს სასანური ირანის სახელმწიფო რელიგიის — ზოროასტრიზმის სფეროდან მომდინარე მოტივებსა და სიუჟეტებს. მაგალითისათვის დავასახელებთ: სამთავროს ერთერთ სამარხში აღმოჩენილ ქვის საბეჭდავს, რომელზედაც ამოკვეთილია ზოროასტრული ფრთოსანი გენიოსი სეროში და რომელსაც მოეპოვება ზედმიწევნითი ანალოგია რუსთავის ნაქალაქარის ადრე შუა საუკუნეთა ფენაში; იქვე აღმოჩენილ ლაჟვარდის გემმას, რომელზედაც გამოხატულია ტახი, მის ზემოთ კი გამოყვანილია ფალაური წარწერა „აპასტან“, რაც დასაწყისია ზოროასტრული ფორმულისა „აპასტან ო ბაზდან“, ე. ი. „ღმერთია თავშესაფარი“. აქვე კვლავ უნდა გავიხსენოთ არმაზისხევის ერთ სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს საბეჭდავი, რომელზედაც ზოდიაქოს ნიშნები და სამი ფალაური ასოა.

ნამოსახლარი ძეგლები. ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო. მ ც ხ ე თ ა, როგორც ითქვა, ნაგებობათა მხრივ მნიშვნელოვანს ჯერ არაფერს გვაძლევს. ყოველ შემთხვევაში, ამგვარი ძეგლები აქ გაცილებით უფრო საყურადღებო ჩანს წინარე ხანაში.

ერთი ყველაზე უფრო ხანგრძლივი და ინტენსიურად ნათხარი უბანი — ს ა მ თ ა ვ რ ო ს მ ი ნ დ ო რ ი ჯერჯერობით მხოლოდ იმით იქცევს ყურადღებას, რომ ფ. ბაიერნის განცხადებით, მას შუაგულ მინდორში მიუკვლევია დიდი, სწორკუთხოვანი, უბრალოდ ნაშენი ნაგებობის ნაშთებისათვის და მის საძირკველთან, ძველ ნაგავში — მინის წიდისათვის, რის მიხედვითაც დაუსკვნია, რომ ეს ნაგებობა წარმოადგენდა ქარხანას, რომელიც ამზადებდა სამარხებში ჩასატანებელ მინის სანელსაცხებლეებს და ამიტომ იქვე, სასაფლაოსთან იყო აღმართული. თუ ეს ასე იყო, საფიქრებელია, რომ „ქარხანა“ სწორედ IV და მომდევნო საუკუნეებში მდგარა იქ, რადგან მინის სანელსაცხებლეთა მასობრივი წარმოება მცხეთაში სწორედ ამ ხანაშია სავარაუდებელი.

მცხეთის ექსპედიციის მუშაობისა და დაკვირვებათა მიხედვით სამოსახლო საგულისხმებელია დღევანდელი მცხეთის დასავლეთით მდებარე ზეგანზე და მისგან ჩამომავალ კალთებზე, ხოლო დაბლობში სასაფლაოები და ბაღ-ვენახები უნდა ყოფილიყო. სწორედ ამ უბანში აღუმართავთ ქრისტიანობის მიღების შემდგომ პირველი ტაძრებიც: IV საუკუნეში სვეტიცხოვლის ხის ეკლესია, V-ში

იქვე ქვის ბაზილიკა (ვახტანგ გორგასლისა), შემდეგ — „ანტიოქია“ და სხვ. ადრე შუა საუკუნეთა მცირე ეკლესიები აუშენებიათ მაღლობებზედაც („გეთსამანია“, „მოგვთა“), ჩანს, უბან-უბან, მთავარი ტაძარი კი დაბლობში იდგა.

სვეტიცხოვლის დაფუძნების ტექნიკის შესწავლის მიზნით ჩატარებულმა მცირე მუშაობამ გამოავლინა ტაძრის სვეტის ძირას, იატაკს ქვეშ, ჩუქურთმიანი ქვები, რომლებიც თავის დროზე, ცხადია, გამოსაჩენ ადგილას იქნებოდნენ და სწორედ ძველ სვეტს დაამშვენებდნენ. ისინი ჰგვანან ბოლნისის ჩუქურთმებს და ამიტომ ისევე V საუკუნის ბოლოს უნდა მიეკუთვნონ. ეს აღმოჩენაც ადასტურებს ქართულ წყაროთა ცნობას, რომ სვეტიცხოვლის ტაძარი IV საუკუნის მცირე და თითქოს ხის ნაგებობის შესაცვლელად აუგია ვახტანგ გორგასალს, ე. ი. V საუკუნის მეორე ნახევარში, რომ თვით იგი დაუმარხავთ მისეულ ნაგებობაში, სვეტის ძირთან.

ახლანდელი მ ც ხ ე თ ი ს გორის აღმოსავლეთ კალთაზე, ხელოვნურ ტერასაზე გათხრილ იქნა ქვითკირის კაპიტალურ, კრამიტით გადახურულ მრავალსენაკიან ნაგებობათა ნაშთები. კრამიტის ზომა-მოყვანილობის მიხედვით ეს ნაგებობანი ადრეფეოდალურ ხანას უნდა მიეკუთვნონ, მაგრამ მათი შენებისას გამოუყენებიათ უფრო ძველი, ანტიკური დროის ნაგებობათა ნაშთები: ქვის სვეტისძირი, თლილი ქვები და სხვ.

ა რ მ ა ზ ი ს ხ ე ვ ი ს შ ე ს ა რ თ ა ვ თ ა ნ მდებარე ტერასის თხრისას საამარხების გვერდით მრავლად იქნა გამოვლენილი სხვადასხვა ნაგებობათა ნაშთები, მაგრამ თითქმის ყველანი წარმოადგენენ არაკაპიტალურ, მომცრო, თიხაქვით ნაშენსა და მეტწილად გაურკვეველი სახისა და დანიშნულების ნაგებობებს. მათ შორის გამოირჩევა ერთი მოზრდილი ორსენაკიანი ნაგებობა, რომლის კედელთა ფუძეები და კედლის რამდენიმე წყობა ამოყვანილია ადრინდელ დიდ ნაგებობათა ნაშალი მასალით, დიდრონი, კარგად თლილი ქვებითა და დეკორის დეტალებით, ხოლო დანარჩენი — ჩვეულებრივი ნატეხი ქვითა და თიხით (ტაბ. XXX, 1). ამ ნაგებობის თითო სენაკში ორ-ორი ქვისსამარხია ჩადგმული და ამათ ასაგებადაც გამოყენებული არის ძველი ნანგრევებიდან აღებული მასალა. მათი მცირერიცხოვანი ინვენტარი ზოგადად IV—VI საუკუნეებს უნდა ეკუთვნოდეს. ამ ვარაუდს ისიც აძლიერებს, რომ შორიახლოს მდგარი, II—III სს. ნაგებობის (საიდანაც უნდა იყოს წამოღებული ზემოაღნიშნული თლილი ბლოკები) ერთი სენაკის კედელთა ნაშთებს შორის 10 გვიანდელი ქვისსამარხია ჩადგმული.

არმაზისხევის გვიანდელ ნაგებობათა ნაშთების ერთი ნაწილი მაინც უნდა ეკუთვნოდეს იმ კერამიკულ საწარმოს, რომელიც ამ ტერასაზე აღმოცენებულა შუა საუკუნეებში და რომლისგანაც კულტურულ ფენებში შემორჩენილია დიდძალი საწარმოო გადანაყარი და წუნი (ჭურჭლისა, კრამიტისა), ერთ ადგილას — თითქოს ქურის ძირის ნაშთი, ხოლო მეორე ადგილას — მრგვალი ქურის კედლის ნაშთი. წარმოების გადანაყარში შემავალი რამდენიმე წუნდებული კრამიტი ზომა-მოყვანილობით სწორედ ადრე შუა საუკუნეთათვის დამახასიათებელი ჩანს, ისევე როგორც მცხეთის გორის კალთაზე გათხრილი ნაგებობის კრამიტი.

ნ ა ვ თ ს ა დ ე ნ ი ს ტერასაზე ე. თაყაიშვილი ქვისსამარხთა გარდა აღნიშნავს ქვითკირის ნაგებობათა ნაშთებს — მათ შორის ერთს მოზრდილს, სწორკუთხოვანს. ქვისსამარხები მის გარშემოა, ხოლო ერთი შიგაც არის ჩადგმული. საინტერესო ისაა, რომ ოქროს ორი და ვერცხლის ცხრა ფული თითქოს სწორედ ამ ნაგებობის ნანგრევთა შორის უპოვნიათ და არა სამარხებში. ნაგებობასა და სამაროვანს შორის ყოფილა 7 ქვევრი. აღნიშნული მონეტების მიხედვით ნაგებობის დათარიღება გაჭირდება. ვინაიდან ოქროს მონეტები I საუკუნისა, რომაული ყოფილა, ხოლო ვერცხლისა — ბიზანტიური, VII საუკუნისა. ვარაუდად შეიძლება ითქვას, რომ ეგებ ეს ნაგებობა რაიმე საეკლესიო შენობასაც კი წარმოადგენდა (სამაროვნის არა მთლად თანამედროვეს) და, შესაძლოა, მარანიც მასთან იყო დაკავშირებული.

ბ ა გ ი ნ ე თ ზ ე ძველი, ადრეანტიკური და გვიანანტიკური დროის ზღუდეკოშკებისა და შიგ მოქცეულ ნაგებობათა გარდა, რომლებიც უმნიშვნელოვანეს ძეგლებს წარმოადგენენ ამ უბანზე, ზოგი რამ ისეთიცაა გამოვლინებული, რაც ნაწილობრივ მაინც განსახილველ დროს უნდა მიეკუთვნოს. ეს არის ციხე-ქალაქის ისტორიის მესამე, უკანასკნელი ხანისადმი განკუთვნილი „არმაზციხე III". ყველაზე უფრო ნიშანდობლივია ის მომცრო აბსიდიანი ეკლესია, რომლის საძირკველიც გამოვლინდა უძველესი ნაგებობის, „სვეტებიანი დარბაზის" გვერდით და რომელიც ჩვენს ადრექრისტიანულ ხანას უნდა ეკუთვნოდეს. გარდა ამისა, 1948 წლის კამპანიისას 200 კვ. მ ფართობზე გამოვლენილ იქნა ნაწილი ნაგებობისა, რომელიც წყობის რაგვარობის მიხედვით აგრეთვე უნდა ეკუთვნოდეს ძეგლთა ყველაზე უფრო გვიანდელ ჯგუფს არმაზციხის ზღუდის შიგნით, და რომელიც უფრო ძველი, მდიდრული ნაგებობის ნანგრევებზე ყოფილა აღმართული: ნგრევა ძლიერ ცეცხლს უნდა გამოეწვია.

რაც შეეხება იმ ორსენაკიან ნაგებობას, რომელიც გათხრამდეც ჩანდა ზედაპირზე, მისი მშენებლობის ბოლო ფაზა ახ. წ. IV—V საუკუნეს არ გადმოსცილდება. ამრიგად, ამ ძველ, ნამდვილად გვიანანტიკურ ხანაში აგებულ, ქვითკირის შენობას არც ადრე შუა საუკუნეებში დაუკარგავს მნიშვნელობა, მით უმეტეს, რომ ზედა კულტურული ფენა იქ VII—IX საუკუნეთა მოჭიქულ კერამიკასაც კი შეიცავდა.

რ უ ს თ ა ვ ი ს კომპლექსში მხოლოდ ერთი ძეგლი შეიძლება მიეკუთვნოს პირობით ამ ხანას. ეს არის 1951 წლის კამპანიის დროს გამოვლინებული ნაშთი მოზრდილი, სწორკუთხოვანი, ქვის იატაკიანი და სვეტებიანი ნაგებობისა, რომელიც ეკლესიადაა მიჩნეული, მით უმეტეს, რომ იქვე აღმოჩენილია რამდენიმე ღარისებრი კრამიტი, რომლებზედაც რელიეფურად გამოხატულია ჯვარი (ტაბ. XXXIII, 3). ნაგებობის ხნოვანების დანამდვილებით განსასაზღვრად საყრდენი არ მოგვეპოვება, მაგრამ გეზს ვიღებთ წერილობითი წყაროების ცნობაზე, რომ ვახტანგ გორგასალს რუსთავშიც დაუსვამს ეპისკოპოსი, და შესაძლოდ მივიჩნევთ, რომ სწორედ აქ ყოფილიყო საეპისკოპოსო ტაძარი, რომელიც შემდგომ მიწასთან მოუსწორებია მტერს. მასთანვე დაკავშირებულად მიგვაჩნია აღნიშნული ნაგებობის შორიახლოს შემთხვევით აღმოჩენილი ორნამენტიან ქვათა ნატეხები (ტაბ. XXXIII, 4) და ერთი ნატეხი ქვისა, რომელ-

ზედაც „ბოლნური ჯვრის“ ერთერთი, ბოლოფართო მკლავის ნაწილი ჩანს და რომელიც იმავე V—VI საუკუნეებს, ბოლნისის სიონის ხანას უნდა მიეკუთვნოს.

ბ ო ლ ნ ი ს ი იმთავითვე ცენტრს წარმოადგენდა ისტორიული ქვემო ქართლის ერთი უღონივრესი და უმნიშვნელოვანესი კუთხისა. ამიტომ საუსებით კანონზომიერი იყო, რომ ვახტანგ გორგასალმა იქაც დააარსა საეპისკოპოსო კათედრა. სწორედ მის დროს აღიმართა იქ დიდი სამნავიანი ბაზილიკური ტაძარი — ბოლნისის სიონი, ძველი ქართული ხუროთმოძღვრების საუკეთესო ძეგლთაგანი. მის მახლობლად, 4—5 ჰექტარ ფართობზე შემორჩენილია ნაქალაქარი, რომელშიც 5 ეკლესიაა და მათ შორის — ერთი „ჩინებული სამეკლესიანი ბაზილიკა“. ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ს აზრით, ეს არის ბოლნისის უძველესი სამოსახლო, დაახლოებით სიონის თანამედროვე. არქეოლოგიური გათხრა-გაწმენდითი მუშაობა კი ჯერჯერობით მხოლოდ ბოლნისის სიონს შეეხო. გარდა ტაძრის მთელი სიმაღლით გამოჩენისა და თავდაპირველი გეგმის, არქიტექტურული ფორმებისა და დეკორის სავსებით გამოვლენა-აღდგენისა, ამ მუშაობამ ის შესანიშნავი შედეგიც გამოიღო, რომ აღმოჩენილ იქნა მიწაში დაფლული დიდი სამშენებლო წარწერა, კარის სათავე ქვაზე მკაფიო ასომთავრულით რელიეფურად ამოჭრილი. წარწერა დაზიანებულია, მაგრამ ის კი დანამდვილებით ამოიკითხვის, რომ ტაძარი აშენებულა სპარსეთში პეროზის მეფობის (458—484 წწ.) დროს და რომ მის აგებას 15 წელიწადი დასჭირებია. ა. შ ა ნ ი ძ ე დაზიანებული ადგილების აღდგენით აზუსტებს წარწერას და კითხულობს, რომ მშენებლობა პეროზის მეფობის მე-20 წელს დაუწყიათ და, მაშასადამე, 493 წელს დაუსრულებიათ. ჩანს, ბოლნისი ვახტანგის მიერ უჯარმაში მრავლად აღმართულ ნაგებობათა თანამედროვე ძეგლად უნდა ჩაითვალოს. ამავე დროს ბოლნისის სამშენებლო წარწერა უძველესია ზუსტად დათარიღებულ ქართულ წარწერათა შორის. მას, სხვა ხქაურ და იმავდროულ წარწერებთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართული ენისა და დამწერლობის ისტორიის თვალსაზრისითაც: ა) ისინი მკაფიოდ გამოხატული ხანმეტი ძეგლებია, რაც მოწმობს, რომ იმ დროს ქართლის მოსახლეობა „ხანმეტურად“ მეტყველებდა; ბ) გვაცნობენ უკვე V საუკუნის მეორე ნახევარში მშვენივრად გამონაკვთულ, კალიგრაფიულად გაფორმებულ ქართულ ასომთავრულ დამწერლობას და მყარ გრამატიკულ-ორთოგრაფიულ ნორმებს. ყოველივე ეს კიდევ ერთ მტკიცე საბუთს გვაძლევს იმისას, რომ ქართული დამწერლობისა და ლიტერატურული ენის ჩამოყალიბება იმ დროისათვის ერთი და ორი ათეული წლის კი არა, საუკუნეთა საქმეა. მეორე მხრივ, ბოლნისის წარწერებში იხსენიება რამდენიმე იმდროინდელი დიდკაცი-თუ მათი მეუღლეები, რომელთა უმეტესობას სპარსული სახელი ჰქვია; იხსენიება აგრეთვე დავით ეპისკოპოსი. საყურადღებოა, რომ ამ უკანასკნელის წარწერაში არის თხოვნა ქრისტესადმი, რათა იგი შეეწიოს ეპისკოპოსს ‘ერებულითურთ, მლოცველებსა და „ეკლესიასა შინა მშრომელებს“, ე. ი. ჯეროვანი ყურადღება ეთმობა ამშენებლებს, რომელთა მძიმე შრომაც ასეთი დიდი და მკვიდრი ტაძრის აღმართვით დაგვირგვინებულა.

ტაძრის კედლების საერთოდ ძუნწ სამკაულში ხშირია და ყურადღებას იქცევს მედალიონივით, ჭდეულ წრეებში მოქცეული ტოლმკლავებიანი, ბოლოებგაფართოებული ჯვრები, რაც საერთოდ გავრცელებულია საქართველოს

იმდროინდელ ძეგლებზე და რასაც პირობით „ბოლნური ჯვრები“ ან „ბოლნური მედალიონები“ ეწოდება. ასეთივე ტიპიური და ეიწროდ შემოფარგლული ხანისათვის ნიშანდობლივი, ე. ი. კარგი დამათარიღებელია ბოლნისის სიონის ორნამენტის სხვა მოტივები. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ რუსთავის სავარაუდო ტაძრის ახლოს ნაპოვნი ჯვრიანი ქვის ნატეხი და აგრეთვე არქეოლოგიური თხრისას ადრე შუა საუკუნეთა კულტურულ ფენებში აღმოჩენილი ორი საბეჭდავი (არმაზისხევთან თიხისა და რუსთავში ქვისა), რომელთა ცენტრალურ გამოსახულებასაც ტოლმკლავებიანი, „ბოლნური ჯვარი“ წარმოადგენს.

სწორედ ამ ტიპიური ორნამენტის მიხედვით გახდა შესაძლო ბოლნისის სიონისათვის ზოგადად გატოლება ივრის ხეობაში, სოფ. სიონში მიკელეული და გათხრილი, დანგრეული მოზრდილი ტაძრისა. თავისთავადაც დიდად საყურადღებოა ის გარემოება, რომ ესოდენ შორს უწევს ბოლნისის სიონის არქიტექტურისა და დეკორის გაელენა. ეს ფაქტი მოწმობს ცხოველ კულტურულ ურთიერთობას უკვე ერთ სახელმწიფოდ შეკრულ ქვემო ქართლსა და კახეთს შორის (ისევე როგორც ივრის ზემო წელზე მდებარე ჯიჯეთის სამარხეული ინვენტარის დიდი სიახლოვე მცხეთურთან).

უ ჯ ა რ მ ა, უფრო სწორად, მისი ციხე-დარბაზი უნდა ჩაითვალოს განსახილველი ხანის ერთერთ უმნიშვნელოვანეს არქეოლოგიურ ძეგლად საქართველოში — თუნდაც იმიტომ, რომ ამ ციხე-ქალაქის ყველაზე უფრო ცხოველი ზრდა-განვითარება სწორედ ამ დროს ხდება. ჩვენი წერილობითი წყაროების მიხედვით, უჯარმა წარმოადგენს აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს ერთერთ უმნიშვნელოვანეს ციხე-ქალაქს. ეტყობა, იგი ქართლის მიერ კახეთის თანდათანობით „ათვისება“-შემოერთებისათვის ბრძოლის მოწინავე სარბიელია და საიმედო სიმაგრე, რომელიც მანამდეც (ყოველ შემთხვევაში, გვიანანტიკური დროის მიწურულს) არსებულა („მეფე ასფაგურს აუშენებია“) და ვახტანგ ეორგასალს კი მრავალი ნაგებობით ერთიორად მაინც გაუძლიერებია. მიუხედავად შემდგომ შეკეთება-დაშენებისა, პირვანდელი ზღუდე-კოშკების სახით ხელთა გვაქვს ყველაზე უკეთ შემონახული ძეგლი ადრეფეოდალური საქართველოს თავისებური სასიმაგრო და სამოქალაქო მშენებლობისა.

უჯარმა მცხეთის მხარდამხარ იხსენიება მატიანეებში, როგორც ქართლის სამეფოს მეორე უმთავრესი ცენტრი IV—VI საუკუნეებში. ივრისპირა მაღლობზე აღმართული ეს ციხე შედგება ორი ნაწილისაგან: ზედაციხისა (დავაკებულ თხემზე) და ქვედაციხისაგან (ივრისპირა, ჩრდილო კალთაზე). სულ 1,5 ჰექტარია ამრიგად შემოზღუდული. საკუთრივ სამოსახლო ზღუდის გარეთ უნდა ვიგულისხმოთ. ქალაქი დღევანდელი სოფელ უჯარმის ადგილას უფრო უნდა ყოფილიყო.

მერმინდელი, ადვილად გამოსაცნობი დანაშენების გამორიცხვის შემდეგ საქმე გვაქვს სავსებით ერთგვაროვან სისტემასთან, რომელიც თითქოს ერთისა და იმავე მშენებლის მიერ დაგეგმილი და აგებულია. ამ სისტემის ძლიერ თავისებურებას, მართლაც დიდი სიძველის მანიშნებელს, შეადგენს: კედელთა პერანგის თლილი, დაბალ-სწორკუთხოვანი ქვათლილების მკაცრად ჰორიზონტული წყობა (პირობით „გორგასლურად“ ან „უჯარმულად“ წოდებული), შემორ-

ჩენილი ამავე კუთხის ზოგ სხვა, ადრე შუა საუკუნეთა ძეგლშიც (მაგალითად, ხაშმის სამების ტაძრის უძველეს ნაშენობაში, რომელიც VI—VII საუკუნეებით თარიღდება); დულაბის ზომიერად გამოყენება; კოშკებისა და ზღუდის სწორკუთხოვნება; მაღალი და განიერი კარ-სარკმლები, რაც იმასაც უნდა მოასწავებდეს, რომ თავდამსხმელთა იარაღი იმ დროს ჯერ კიდევ ძლიერ საშიში და შორსმწვდენი არ ყოფილა; ნალისებრი მოყვანილობის კამარა-თაღები; კოშკის თავებზე სწორკუთხოვანი ქონგურები და კრამიტიანი, ქანობიანი სახურავები. ყოველივე ეს თავისებურ მოხდენილობას ანიჭებს ზღუდე-კოშკებს.

აკად. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს აზრით, ამოდენა ზღუდის, კოშკებისა და შიდა ნაგებობათა ამრიგად მოპირკეთება, რასაც ასიათასობით წესიერი სწორკუთხოვანი ქვათლილის მოპრა, გათლა, მორგება და დაწყობა დასჭირდებოდა, მონური შრომის ჯერ კიდევ ფართოდ გამოყენების ნაყოფი უნდა იყოს. ეს კი მოასწავებს, რომ წინამორბედი, ბოლომდე ვერ დაძლეული სოციალურ-ეკონომიური წყობის გადმონაშთები ძლიერია ახალი, ფეოდალური ურთიერთობის დამყარების ხანაშიც.

წინაფეოდალური საქართველოს სამშენებლო ტექნიკისათვის დამახასიათებელია უჯარმაში მრავლად აღმოჩენილი კრამიტის ტრაპეციოდული მოყვანილობა და დიდი ზომა. აქაური კრამიტი ზედმიწევნითა ჰგავს მცხეთის ფვიანანტიკურ ძეგლებს შორის მრავლად მოპოვებულ კრამიტს და სრულიად არ ემსგავსება მერმინდელი, შუაფეოდალური ხანის ნამოსახლარებისას (თუნდაც თვით უჯარმაშივე).

რაც შეეხება უჯარმის ციხე-დარბაზის ამ უძველეს ნაგებობათა შესაბამის კულტურულ ფენას, იგი, დღემდე გათხრილ უბნებში მაინც, ძლიერ ნაწყვეტ-ნაწყვეტადაა გამოვლენილი, რადგან იქ შემდგომ ხანებშიც ხშირად უშენებიათ და უცხოვრიათ. მაინც შეიძლება ორიოდე ისეთი მონაპოვრის აღნიშვნა, რომლებიც, არქაულ კრამიტთან ერთად, თავისუფლად მიეკუთვნებიან IV—VI საუკუნეებს. ერთია სასანური ვერცხლის ფული, ვახტანგ გორგასლის თანამედროვე მეფის — პეროზის დრაქმა, რომელიც აღმოჩნდა შუა ივრის-პირა კოშკის ღრმა ფენაში, რაც იმას ნიშნავს, რომ კოშკი უკვე კარგა ხნის აღმართული ყოფილა, როდესაც ეს მონეტა მის ძირას, მიწაში მოხვედრილა. ეგებ ეს იყოს ერთი იმ გარემოებათაგანი, რომლებიც დაადასტურებენ წერილობითი წყაროების ცნობებს უჯარმის ციხის ზოგიერთი ნაგებობის ვახტანგ გორგასალამდე არსებობის შესახებ. მეორეა აგრეთვე ღრმა ფენებიდან მომდინარე, თავისებური, მოჭიქული და მოუჭიქავი, ზოგჯერ ძალიან ფაქიზი კერამიკა, რომელიც უფრო ძველებურად გამოიყურება, ვიდრე აქ მრავლად აღმოჩენილი, ნამდვილი შუაფეოდალური ხანის კერამიკა. ერთერთი ნაგებობის ღრმა ფენაში ნაპოვნია აგრეთვე ლაჟვარდისაგან გამოთლილი საკინძის თავი, ბროწეულის ყვავილის მოყვანილობისა, მცხეთის IV—VI საუკუნეთა სამარხებში ძლიერ გავრცელებული ტიპისა.

უჯარმის ციხე-დარბაზის ყველა პირვანდელი ნაგებობა ერთი გეგმითა და თითქოს ერთდროულად აგებული ჩანს, ისე რომ, ძნელია მათში სხვადასხვა დროის ფენების გამოყოფა. მაგრამ ზედაციხეში დგას მომცრო, უაღრესად თავისებური, რამდენიმეგზის ნაშენი ეკლესია „ჯვარი პატიოსანი", რომლის თავ-



1



2

3

დაპირველი ნაწილიც კი აშკარად მიშენებულია გალავნის ერთერთ ძველ კოშკზე ისე, რომ ამ უკანასკნელის კარი დაყრუებულია. ეს ეკლესია მიეკუთვნება უძველესთ საქართველოში შემორჩენილთა შორის (გ. ჩუბინაშვილი მას ვახტანგ გორგასლის მეფობის დასაწყისის, ე. ი. V საუკუნის შუა ხანების ძეგლად, მიიჩნევს) და მისი აშენებისას დაუქმებული კოშკი მართლაც შეიძლება IV საუკუნეს, ან არადა სულაც ჩვენში წინარექრისტიანულ ხანას ეკუთვნოდეს.

საკუთრივ სასახლის ნაგებობანი იგულისხმება ზედაციხის მეორე, ეკლესიის მოპირდაპირე ბოლოში, ხოლო დამხმარე-სამეურნეო ნაგებობანი (ბეღელი და სხვ.) — უშუალოდ ეკლესიის მახლობლად. ამ უბანში ყურადღებას იქცევს ორმოში მრავლად შემონახული მრგვალი ქვები — ჩანს, საშურდულე მარაგი (ტაბ. XXX, 3). სასახლედ მიჩნეული ნაგებობა (ტაბ. XXX, 2) წარმოადგენს დიდ, სამსართულიან, ფართოსარკმლებიან და ფართოკარიან კოშკს, რომელიც ზედაციხის ყველაზე უფრო მიუდგომელ კუთხეშია აღმართული. ძირს დატანებული აქვს სრულიად უსარკმლო და უსინათლო, დახშული სარდაფი, რომელიც დილეგადაა მიჩნეული, თუმცა ეგებ საგანძურის საცავიც იყო.

ამგვარად, შეგვიძლია ერთგვარი წარმოდგენა მაინც შევიქმნათ იმაზე, თუ როგორ ყოფილა დიდსა და მნიშვნელოვან ციხეში მოწყობილი სამეფო სადგომი („ციხე-დარბაზი") ადრეფეოდალურ ხანაში.

ადრეფეოდალური დროის თბილისის არქეოლოგიას საფუძველი ჩაუყარა 1955—1957 წლებში ძველ ქალაქში, ანჩისხატის მიდამოებში წარმოებულმა თხრამ. ჯერ ერთი, თვით ანჩისხატის ეზოში აღმოჩნდა ორნამენტიანი ქვა, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს თბილისის ამ უძველესი ტაძრის პირველადი (VI საუკუნის, ბაზილიკური) ნაგებობის სამკაულის ნაშთად. ერეკლე მეორის მოედანზე გამოვლენილ იქნა კულტურული ფენების მძლავრი წყება, რომლის საერთო ხნოვანება IV—VI საუკუნეებიდან XVIII საუკუნემდე მოდის, ხარჯზებით.

IV—V საუკუნეთა ფენამ 6—7 მეტრის სიღრმეზე იჩინა თავი. ეს არის პირველი მეცნიერულად მოპოვებული არქეოლოგიური მოწმობა იმ დროისა, როცა ქართლის დედაქალაქად იქცა თბილისი. ამ ფენამ მოგვცა საკმაოდ მრავალრიცხოვანი და რიგიანად დაცული თიხის ჭურჭელი — ღია ფერად გამომწვარი ხელადები, დოქები და სხვა, რომელთაც ყელ-პირის მოყვანილობაში ჯერ კიდევ მოსდგამთ ჩვენებური გვიანანტიკური დროის კერამიკისათვის დამახასიათებელი იერი და ეს სავსებით შეესატყვისება ამ ფენის კუთვნილებას გარდამავალი ხანისადმი. თავისთავად ეს მონაპოვარი საყურადღებო შენამატია, ვინაიდან, როგორც ვიცით, ამდროინდელი თიხის ჭურჭელი ძალიან იშვიათია სამარხეულ ინვენტარში, „დიდი მცხეთის" სამაროვნებშიაც კი. ამავე ფენამ მოგვცა ერთი ქვის ჩამოსაკიდი საბეჭდავი, რომელსაც ფორმის მხრივ ზუსტი პარალელები მოეპოვება IV—V სს. საბეჭდავთა შორის სამთავროშიც, არმაზისხევშიც, რუსთავშიაცა და აგრეთვე პარიზში დაცული, „უსა პიტიახშის" საბეჭდავის სახით. ზედ კი ამოკვეთილია მანამდე უმაგალითო პორტრეტული გამოსახულება — წვერულვაშიანი და თავდაბურული მამაკაცის პროფილი, ხოლო აქეთ-იქით — თითო შტო, აშკარად წარჩინებულობისა და პატივის ნიშანი (ტაბ. XXXIII, 1). სავსებით დასაშვებია ვარაუდი, რომ ეს საბეჭდავი ეკუთვნოდა ახლად გადედაქალაქებული თბილისის თვალსაჩინო ხელისუფალს, რომელიც მისით ბეჭდავ-

და ხოლმე წერილობით-საბუთებსა თუ სხვა რასმე. კვეთის რაგვარობით ეს პორტრეტი მოგვაგონებს: არმაზისხევის IV საუკუნის მდიდრულ სამარხში აღმოჩენილ ოქროს ბეჭედში მჯდარ პორტრეტულ ინტალიოსაც, „უსა პიტიახშის“ პორტრეტსაც და სამთავროს IV—V სს. სამარხში ნაპოვნ ოქროს მედალიონში ჩასმულ პორტრეტულ გემმასაც.

მომდევნო, VI—IX საუკუნეებისადმი მიკუთვნებულ ფენებში, მოუჩიქავიან ერთად აღმოჩნდა თავისებური მოჭიქული კერამიკა, რომელიც თვალნათლივ ენათესავება უჯარმის ციხე-დარბაზის უძველეს ნაგებობათა თხრისას გამოვლენილ ასეთსავე კერამიკას და ამრიგად საგრძნობლად აძლიერებს ადრე შუა საუკუნეთა მოჭიქული ჯამ-ჭურჭლის ფონდს.

მარნეულის რაიონში, სოფელ წ ო ფ თ ა ნ, ძველმისავალ კლდოვან მთაზე აღმართული ციხის ნანგრევის არქეოლოგიური გათხრა-შესწავლა 1957—1958 წლებში წარმოებდა. წერილობითი წყაროების მიხედვით, წოფი ანუ წობი ერთ-ერთი უძველესი ადმინისტრაციული ცენტრი იყო ქვემო ქართლში — „წოფის ხევის“ ცენტრი V—X საუკუნეებში. ციხე მძლავრიც ყოფილა და მარჯვედ ნაგებიც. ზღუდე-კოშკების პერანგის წყობით იგი საკმაოდ მოგვაგონებს უჯარმის ციხეს და ალბათ არცთუ ბევრად ჩამორჩება მას ხნოვანებით. ეს უნდა იყოს წოფის ხელისუფლის რეზიდენცია, ციხე-დარბაზი. ზღუდის შიგნით გაითხარა რამდენიმე სამეურნეო ნაგებობა და, კერძოდ, მარანი. ციხის მახლობლად გამოვლენილ იქნა მოზრდილი ბაზილიკური ტაძრის ნანგრევი, რომელსაც შემორჩენილი აქვს ადრე შუა საუკუნეთათვის დამახასიათებელი ორნამენტი. თხრის პარალელურად ჩატარებულმა დაზვერვამ ამ ხევში ადრეფეოდალური დროის დიდძალი სხვადასხვაგვარი ძეგლი გამოავლინა. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა წარწერიანი სტელები — იმავე დროისა და ტიპისა, რაც ბოლნისის ტაძრის გალავანში თხრისას აღმოჩნდა.

• უ რ ბ ნ ი ს ი ძველი ქართლის ერთი იმ „ძლიერ ციხე-ქალაქთაგანია“, რომელთაც გვისახელებენ ჩვენი წერილობითი წყაროები ჯერ კიდევ „ალექსანდრობის“ (ე. ი. ელინისტური) დროისათვის, ხოლო შემდეგ, როგორც ქალაქს, წმ. ნინოს საქართველოში მოსვლის ამბის თხრობისას, ე. ი. IV საუკუნეში, განსახილველი ხანის დასაწყისში. რუსთავთან ერთად, ურბნისიც ეკუთვნის ვაკე ადგილას განლაგებულ ციხე-ქალაქთა რიცხვს, რომლებიც საქართველოსათვის ვამონაკლისს უფრო წარმოადგენენ, ვიდრე ჩვეულებრივ რასმე. რუსთავისაგან განსხვავებით კი, ურბნისი მტკვრის მაღალ ნაპირას მდებარეობს და არა ზედ მდინარის პირას, მისი ერთადერთი ძველმისაწვდომი მხარე სწორედ მტკვრის ფლატეა (რუსთავის ციხე კი მტკვარსა და რუს შორის მოქცეულ შემაღლებაზეა აგებული). ორივე შემთხვევაში ქალაქის წარმოქმნის მიზეზი და სტიმული სხვა (სამეურნეო-ეკონომიურ) ვითარებაშია საძიებელი და არა სტრატეგიული თვალსაზრისით სიმარჯვეში (ამ მხრივ გაცილებით უფრო გამოსადეგი იქნებოდა ურბნისის მახლობლად მდებარე გორი). ამ ბუნებრივი ნაკლის ასანაზღაურებლად ურბნისში ძალზე დიდი მუშაობა ჩატარებიათ: სამოსახლოსათვის ირგვლივ შემოურტყამთ ალიზის მძლავრი, კოშკებიანი ზღუდე, ხოლო მის გარშემო ღრმა და ფართო თხრილი ამოუღიათ.

ნაქალაქარის გათხრის შედეგების მიხედვით ზღუდე უმთავრესად გვიანანტიკური ხანისა და ადრე შუა საუკუნეთა ნაგებობის შთაბეჭდილებას ტოვებს. ყოველ შემთხვევაში, შესაბამისი ორი სამშენებლო პერიოდი გამოირჩევა. ზოგ უბნებში სტრატიგრაფიული ჭრილი უეჭველყოფს ზღუდის ალიზის წყობის მერმინდელობას გვიანანტიკურ ხანასთან შედარებით. ეტყობა, ირგვლივი თხრილი საშიშროების დროს წყლით ივსებოდა, როგორც ამგვარი დაცვის სისტემით აღჭურვილი სხვა ძველ ციხე-ქალაქებში. ყველაზე უფრო ბუნებრივი იქნება თუ წარმოვიდგენთ, რომ საამისოდ იყენებდნენ ლიახვიდან ძველადვე გამოყვანილი სარწყავი რუს წყალს.

ზღუდის შიგნით მდებარე ნაგებობათა ნაშთების თხრისასაც ზემოაღნიშნული ორი ძირითადი ხანისადმი მისაკუთვნებელი მასალა იჩენს უმთავრესად თავს: გვიანანტიკურისა და ადრეფეოდალურისა. უბრალო მოქალაქეთა საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი ძალიან მარტივი და ყოველგვარ არქიტექტურულ სამკაულს მოკლებული არიან: კედლები რიყის ქვითა და თიხით ნაშენი აქვთ, სახურავი — მეტწილად უკრამიტო და, მაშასადამე, ბანური. სამეურნეო ინვენტარიდან წარმოდგენილია: მრავალრიცხოვანი ქვეერები, რაც მევენახეობა-მეღვინეობის დიდ განვითარებას მოწმობს (ტაბ. XXX, 4), მარცელეულის შესანახი ორმოები, სატრიალებელი ხელსაფქვავები, დანახშირებული ხორბლეული, თონეები: ყოველგვარი შინაური პირუტყვის უამრავი ძვალი, კერები და თიხის მრავალგვარი ჭურჭელი — ტლანქი დერგებიდან, ქვაბ-ქოთნებიდან და კეცებიდან კოხტა და ლამაზად გაპრიალებულ ჯამებამდე და თასებამდე; მინის მრავალრიცხოვანი, ხშირად მოხდენილი და ფაქიზი ჭურჭელი. განსაკუთრებით აღსანიშნავია თიხის „ბულა“ ორი სხვადასხვა, IV—VI საუკუნეთათვის ჩვეული იერის გემმით აღბეჭდილი. და, საფიქრებელია (საქონლის? ხელნაწერი გრაგნილის?), დასაცავ-დასაბეჭდად განკუთვნილი.

1956 წელს ურბნისის ნაქალაქარში გათხრილ იქნა ერთი სულ სხვაგვარი, ნამდვილად კაპიტალური ნაგებობაც. იგი შიგნიდან მიშენებულია ალიზის ზღუდეზე და აშკარად მასზე უფრო გვიანდელია. ამოყვანილია ქვითკირით, რომელშიც ფენა-ფენა გამორეულია სხვადასხვა ზომის კვადრატული აგური (ე. წ. „ბიზანტიური წყობა“). იატაკი კირის დულაბითაა მოფენილი. ჯერჯერობით გამოვლინებულია ორი დიდი განყოფილება, მაგრამ ნაგებობა ორივე მხრივ გრძელდება და მეტსაც უნდა შეიცავდეს. ერთერთ განყოფილებაში კიდევ მცირე, ექსედრულად მომრგვალებული სენაკებია. განყოფილებათაშორის იატაკს ქვეშ ძალზე დაბალი, თაღიანი გასასვლელია. ნაგებობისაკენ მოემართება კერამიკული მილსადენი. ყოველივე ეს ქმნის აბანოს შთაბეჭდილებას, მაგრამ ჯერჯერობით ამის დანამდვილებით თქმა გაჭირდება. თუ იყო კიდევაც აქ აბანო, მეორე სამშენებლო ხანაში იგი უკვე გაუქმებული ყოფილა და ნაგებობა სხვა დანიშნულებისათვის გადაუკეთებიათ. ერთერთ განყოფილებაში ქვევრები ჩაუდგამთ და მარანი მოუწყვიათ. ამ მეორად მშენებლობას ათარიღებს კედლის ქვითკირის წყობაში ჩაყოლებული 7 სასანური (კავადის) ვერცხლის მონეტა, V—VI საუკუნეებისა. ამრიგად, ვარაუდით აქაც შეიძლება მშენებლობისა თუ ნაგებობის გაჩოყენების ორი, ერთიმეორის მომდევნო საფეხურის — გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის — შესახებ მსჯელობა.

ალიზის ზღუდის შიგნით უკვე რამდენსამე ადგილას არის მიკვლეული და გათხრილი გვიანანტიკური დროის სამარხები, ხოლო ზღუდის გარეთ — იმავე დროული ნამოსახლარი; IV საუკუნიდან კი სამაროვნები (ძლიერ მცირეინვენტარიანი თიხის სარკოფაგები) აშკარად ზღუდე-თხრილს გარეთაა გატანილი, ორ მოპირდაპირე მხარეს (ერთგან — ანტიკური დროის ნამოსახლარზე) და "გალავანს შიგნით აღარა გვხვდება. ეს იმას უნდა მოასწავებდეს, რომ IV საუკუნემდე ქალაქური სამოსახლო ან გაცილებით ნაკლები ყოფილა და მერე გაფართოებულა, ან არადა (რაც ნაკლებ მოსალოდნელია) სულ არ ყოფილა ზღუდით შემოფარგლული. სასაფლაოებიც უბან-უბან, იქვე ჰქონია; მერე კი მომწყვდეულა ფართოდ შემოვლებულ ზღუდეში, ხოლო სამაროვნები მის გადაღმა, მოშორებით მოუწყვიათ.

ამით ამოიწურება განსახილველი დროის, სადღეისოდ მეტად თუ ნაკლებად შესწავლილი, ნამოსახლარი არქეოლოგიური ძეგლები აღმოსავლეთ საქართველოში.

დასავლეთი საქართველო. განსახილველ ხანაში დასავლურ-ქართული სახელმწიფო — ეგრისი ანუ ლაზიკა — უფრო ნაკლებ დამოუკიდებელია თავის პოლიტიკურ ცხოვრებასა და საგარეო ურთიერთობაში და უფრო მეტად განიცდის უცხოურ კულტურულ გავლენას (რაც უკვე გამოჩნდა, მაგ., ზღვისპირა ადგილების სამარხეულ ინვენტარში), ვიდრე აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფო. ამ გარემოების ერთერთი მანიშნებელი ისიცაა, რომ, როდესაც იმდროინდელი ეგრისის ციხე-ქალაქთა შესწავლას ვიწყებთ, საყრდენად ვიღებთ ბიზანტიელ მწერალთა ცნობებს, ამოკრეფილს მათი იმ თხზულებებიდან, რომლებიც მოგვითხრობენ ბიზანტიისა და სასანური ირანის ხანგრძლივ ომიანობას, ეგრისლაზიკის მიწა-წყალზე, VI საუკუნეში.

ამ ბიზანტიურ (და მხოლოდ გაკვრით ქართულ) წყაროებში მოხსენიებულ ციხე-სიმაგრეთა ნამდვილი შესწავლა 1930-იანი წლებიდან დაიწყო, როდესაც ბერძნულ სახელწოდებათა ქართულთან შეჯერება და ნაშთების დადგენა, წინასწარული დაზვერვა ჩაატარა ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ მ ა—ციხისძირი (=პეტრა?), ნოქალაქევი (=არქეოპოლისი), ისულა (=ნესოსი), ტოლები (= ტელეფისი), ვარციხე (=როდოპოლისი), სკანდე და შორაპანი (=სარაპანისი).

შ ო რ ა პ ნ ი ს ციხის ნაგებობაში რამდენიმე სხვადასხვა დროის ფენა გამოირჩევა. ამათგან განსახილველ ხანას მიეკუთვნება ე. წ. აგურ-კვადრული წყობა: ოთხკუთხა თლილი ქვები და მათ შუა დატანებული დიდრონი ბრტყელი კვადრატული აგურები. ეს წყობა ახასიათებს ჯერ იმპერიის, ხოლო შემდეგ ადრებიზანტიურ (IV—VI სს.) არქიტექტურას. სახელდობრ, კვადრატული აგური იხმარებოდა უმთავრესად საბერძნეთში. ზედმიწევნით ასეთივე წყობა დადასტურებულია ს კ ა ნ დ ე შ ი, ვ ა რ ც ი ხ ე შ ი, ტ ო ლ ე ბ ს ა და ნ ო ქ ა ლ ა ქ ე ვ შ ი ც. V—VI სს. ბიზანტიურ ყაიდაზეა აგებული აგრეთვე შორაპნის ერთერთი ორმაგი კედელი (მათ შორის 1—2 სმ სიგანის სივრცეა და კირი არ არის გამოყენებული). ასეთსავე ორმაგ კედელს ვხედავთ ციხისძირში, სადაც ეგი V—VI სს. არის აგებული. ვარციხის ზღუდე რიყის ქვითა და კირქვითაა ამოყვანილი, მაგრამ ერთერთი შენობის კედლების წყობაში აქაც გამოჩნდა შუაში დაყოლებული კვადრატული აგურები.

ტ ო ლ ე ბ ის დაზვერვის შედეგებიდან ყურადღებას იქცევს: ა) ორმაგი ხიხრილი ციხის ირგვლივ; ბ) მისი ერთი უბნის სახელწოდება „დერგა“ (დერგი ხომ თიხის დიდი ჭურჭელია) და კერამიკული წარმოების ახლაც არსებობა იქვე ახლოს, რაც შეესატყვისება ბიზანტიელი მწერლების ცნობას, რომ ტელეფისთან არაფერია, გარდა ქოთნების სავაჭროებისა („ოლარია“, „ქიტროპოლია“). თავისთავად ცხადია, რომ ეს „ქოთნების სავაჭროები“ ადგილობრივი ხელოსნური წარმოების ერთერთ გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ იმ ხანაში. საფიქრებელია, რომ ციხის საშენად გამოყენებული აგურიც იქვე გამოიწვოდა. აგურის ფენები აქ ზოგან აქა-იქ, უწესრიგოდ არის დალაგებული, ზოგან კი პერანგსაც შეადგენს (11 წყობაა). ერთ ნაგებობაში მრგვალი აგურიცაა გამოყენებული.

საერთოდ ამ ციხეთა მშენებლობის წ ე ს ი ა ბიზანტიური, ალბათ საოკუპაციო ჯარების მეთაურთა მიერ ნაკარნახევი, თორემ მშენებლები ადგილობრივი ქვითხუროები უნდა ყოფილიყვნენ.

1949 წელს განმეორებით დაიზვერა სკანდე და შორაპანი. სკანდეში მუშაობის შედეგებიდან ახალი ისაა, რომ, მიუხედავად წერილობითი წყაროების ცნობებისა I ს. შორაპანთან ერთად სკანდეს არსებობის შესახებ, აქ გამოვლენილ ნაგებობათა უძველესი ნაშთები VI—VII საუკუნეებს ეკუთვნის, და რომ იქ არის კედლების ორი, ქვედა და ზედა წყება.

ნამდვილი არქეოლოგიური გათხრითი მუშაობა ზემოთ ჩამოთვლილ ციხე-ქალაქთაგან შეეხო მხოლოდ ნ ო ქ ა ლ ა ქ ე ვ-ა რ ქ ე ო პ ო ლ ი ს ს, მაგრამ ისიც პირველი (1930—1931 წწ) კამპანიით ამოიწურა ჯერჯერობით.

ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, კოლხეთის, ანუ ლაზიკის პირველ და უდიდეს ქალაქად, მაშასადამე დედაქალაქად, „ძველი ქალაქი“ („არხაეოპოლისი“, ნოქალაქევი) იყო ცნობილი. ამ ციხე-ქალაქს მნიშვნელოვანი როლი მიენიჭა ბიზანტია-სპარსეთის პირველ ომში (დასრულდა 554 წ.) და ამის გამო იგი ბიზანტიელ მემატიანეებს აღწერილიც აქვთ. გათხრამ საესებით დაადასტურა ეს აღწერილობა, ისე რომ ნოქალაქევისა და არქეოპოლისის იგივეობა უეჭველია. გათხრის მთავარი მიზანი იყო იმ ადგილის დასახლების ისტორიისა და ქალაქის წარმოშობის გამოკვლევა. ბერძნული სახელწოდება გვაგულისხმებინებს, რომ ბერძნებს იქ ძველი სამოსახლო დახვედრიათ. მათთვის ამ ადგილს მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ქ. ფაზისის ზურგის დამცველს, რათა იქამდე არ ჩაეშვათ სპარსელები. ამავე, სტრატეგიულმა მოსაზრებამ გააშენებინა მათ პეტრა. ასეთი ვითარება კი მხოლოდ გვიანანტიკურ, რომაულ ხანაში შეიქმნა და სწორედ ამ ხანას თანხვდება არქეოპოლისის ყველაზე მეტი ისტორიული მნიშვნელობა.

ტეხურით გარშემორტყმულ პატარა ზეგანზე და მის ზემოთ ფერდობზე მდებარე ქალაქი რამდენჯერმე შემოუზღუდავთ კედლებით, რომლებიც სხვადასხვაგვარი წესით არის ამოყვანილი, მათ შორის გამოირჩევა „პოლისის“ (ქალაქის) გარე ზღუდის კარგი ანტიკური წყობაც — დიდრონი ფილაქვები. ამ კედელს რამდენიმე კარი და მათ შორის ერთი მთავარი ჭიშკარი ჰქონდა. „პოლისს“ ეკუთვნოდა „აგორა“. სასახლის მსგავსი შენობა და კიდევ ერთი შენობა, რომელზედაც შემდეგ ეკლესია დაუდგამთ. ესენი ისევე კარგადაა ნაგები, როგორც კედლის პერანგი. სხვა სახლები ხისა ყოფილა და მათი ნაშთი აღარა

ჩანსრა, გარდა მრავალრიცხოვანი კრამიტისა. ფერდობზე სატერასო კედლებია. ზემოთ კედელში ჩადგმულია კოშკები, ხოლო კუთხეში — მერმინდელი დიდი მოგრძო ციხე, მრავალგზის განახლებული. ერთ მხარეზე ციცაბო კლდეებია და ზღუდე არ ყოფილა. მეორე კედლის აგებას გამთხრელები ათარიღებენ ერთერთ კოშკში აღმოჩენილი განძის — იმპ. მავრიკიოსის (582—602) 23 ოქროს ფულისა და აგრეთვე ერთგან, მოსასწორებლად დაყრილ მიწაში აღმოჩენილი, VI ს. კუთვნილი კერამიკული ნაწარმის მიხედვით. დანგრევას მიწისძვრას მიაწერენ, რადგან წყაროები მტრის მიერ შემუსვრას არ გვეუბნებიან. რაც შეეხება პირველი კედლის აგებას, მას დაახლოებით მიაკუთვნებენ IV საუკუნის შუა ხანას, კერამიკულ ნაშთებში უძველესი ჯგუფის გამოყოფის მიხედვით (თორემ ნათხარში ჰარბობდა V—VI სს. კერამიკა).

ამ პირველი კედლის აგებამდე აქ არც ქალაქი ყოფილა და არც დიდი სამოსახლო. იგი უნდა ეკუთვნოდეს ქართულ წყაროებში (ჯუანშერი) ცნობილ „ციხე-გოჯს", „ადრე-რომაული დროის" ციხე-დარბაზს, რომელსაც თან უნდა ხლებოდა პატარა სამოსახლო. ამას გვაფიქრებინებს, სხვათა შორის, თითო-ოროლა ქოთანი „რომის იმპერიის შუა ხანებისა" და ახ. წ. I საუკუნის კერამიკის რამდენიმე ნატეხი, თორემ მთლიანად იმდროინდელი ფენა არსად უნახავთ.

VIII ს. დამდეგს შიდა ეგრისში ბიზანტიური მფლობელობის გადაკარდნის შემდეგ ისევ ძველი სახელწოდება „ციხე-გოჯი" იღვიძებს. მურვან ყრუს ლაშქრობის აღწერისას ჩვენი წყაროები გვაუწყებენ, რომ მან, სხვა ქართულ ციხეებთან ერთად, „სამ-ზღუდე ციხე-გოჯიც" დაანგრია.

ასევე ერთი, თუმცა უფრო ხანგრძლივი არქეოლოგიური კამპანიით ამოიწურა გურიაში მდებარე მსგავსი ძეგლის, ამჟამად ვ ა შ ნ ა რ ა დ წოდებულის, გათხრა-შესწავლა. ერთხანს მას უიგივებდნენ ბიზანტიური წყაროების „პეტრას", რომელიც ნამდვილად ციხისძირშია საძიებელი. ამ ბოლო დროს გამოითქვა მოსაზრება (ნ. ა. ბერძენიშვილი), რომ ვაშნარში არსებული ციხე-ქალაქი უნდა ქცეულიყო მერმინდელი დიდი ფეოდალური ერთეულის, გურიის ბირთვად, მით უმეტეს, რომ იქვე ახლოს არის სოფელი გურიანთა.

ვაშნარი მდებარეობს შემაღლებულ ზეგან-კონცხზე, ორი მდინარის შესაყართან, სამი მხრივ ფლატეებით შემორტყმული. მეოთხე, ვაკე მხარე მდინარიდან მდინარემდე ქვითკირით გადაუზღუდავთ. ყოველ მხარეზე წყვილ-წყვილი ზღუდეა, მეტი სიმტკიცისათვის. შიდა ზღუდესთან, ყოველ 40 მეტრზე აგებულია მცირე კოშკები და სხვა შენობები (ტაბ. XXXII, 1), რომელთაგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია გათხრით გამოვლენილი, ტაძრისა და სხვა სამლოცველოთა ნანგრევები. ყურადღებას იქცევს ზღუდის ძირას დაყოლებული წყალსადენიც (ტაბ. XXXI, 2).

ტაძარი დიდი სამნავიანი ნაგებობა ყოფილა. საკურთხეველს აბსიდა ხუთწახნაგოვანი ჰქონია და არა ნახევარწრიული. საკურთხეველი საფეხურედია, მარმარილოს ფილებით მოპირკეთებული, ისევე როგორც იატაკი და ეგებ შენობის სხვა ნაწილებიც. შემორჩენილია ქვის სვეტისთავები და სვეტისძირები. ეკლესიაშივე ყოფილა სანათლავი და წარჩინებულთა აკლდამები. „სამლოცველო" ასეთივე მდიდრული და ნატიფი შენობა გამოდგა. მისი ჭერი დაყრდნობილი ყოფილა სვეტებზე, რომელთაც ჰქონიათ დიდი გემოვნებით გამოკვეთილი,

მცენარეულ-გეომეტრიული ორნამენტით (აკანთი, ხვიები) დამშვენებული თაღები.

თუ გავიხსენებთ, რომ საქართველოს შიდა მხარეებში თითქმის არც ერთ თანამედროვეულ ნაქალაქარში ასეთი დახვეწილი ოსტატობით ნაშენი და მდიდრულად მორთული საკულტო ნაგებობა არაა ჯერ აღმოჩენილი, უფლება გვექნება წარმოვიდგინოთ, რომ ის, რასაც ახლა ვაშნარის სახელით ვიცნობთ, ეგრისის ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრთაგანი ყოფილა ადრეფეოდალურ ხანაში. გამთხრელი გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი მის არსებობას V—VIII სს. ათარიღებს.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა მშენებლობის საქმის აშკარად მაღალი დონე: ძლიერ მტკიცე კირის დულაბი, მშვენივრად გამომწვარი აგური და კრამიტი, კარგად თლილი ქვა, სხვა უკეთესი ქვისგან მხატვრულად დამუშავებული დეტალები, აგურნარევი ქვიშის გამოყენება იატაკებისათვის, კერამიკული წყალსადენი, რომელიც უკეთ დაცულობისათვის ხშირად კედლებს ქვეშ არის ჩაფლული და სხვ. ისევე როგორც ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ეგრისულ ციხე-ქალაქში, აქაც იჩინა თავი ბიზანტიური მშენებლობისათვის დამახასიათებელმა ზოგიერთმა ნიშანმა, კერძოდ, აგურ-კვადროვანმა წყობამ. სხვაფრივ კი თვით კვადრების ფორმა და ზომა, მათი ზედმიწევნით თარაზული წყობა საკმაოდ მოგვაგონებს უჯარმისას, რომელსაც ზოგადად, დროის რომელიღაც შუალედებში მაინც, ვაშნარი უტოლდება კიდევაც.

მნიშვნელოვანი გათხრითი მუშაობაა ჩატარებული დასავლეთ საქართველოს კიდევ ერთი, ზღვისპირა ციხე-ქალაქის, ბ ი ჭ ვ ი ნ თ ი ს მიდამოებში. იქ გამოვლენილ იქნა ქალაქის გამაგრებული ნაწილის დიდი კედლები და კოშკები, სამეურნეო და საკულტო ნაგებობანი. ამ უკანასკნელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს დიდი ტაძრის სამნავიანი, წახნაგოვან-აბსიდიანი ბაზილიკისა და მისი მრავალი მინაშენის ნანგრევი (ტაბ. XXXI, 3). ტაძარი, ჩანს, მოხდენილი ყოფილა. შიგ მარმარილოს ათი სვეტი მდგარა. მისი იატაკი მთლიანად დაფარული ყოფილა მოზაიკით, რომელიც თავისებური და მხატვრული ჩანს (მრავალფეროვანი მოტივები, მშვენიერი ნახატი, შესრულების აშკარა ოსტატობა). მოზაიკიანი ტაძარი უძველესი ყოფილა, ხოლო მის გარდა კიდევ ორი სხვა ტაძრის ნანგრევია გამოვლენილი. ერთი მათგანის შენებისას ძველი მოზაიკაც გამოუყენებიათ — უკვე VI ს. შუა წლებში, იუსტინიანეს დროს. ძველი კი აშენებულია მანამდე და, როგორც მოზაიკის წარწერა გვაფიქრებინებს, ადგილობრივი დიდკაცის—ო რ ე ლ ი ს მიერ, მისი და მისი სახლის სალოცველად. რაკი ძველ ეგრისში, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, ტაძრების მშენებლობა გაიშალა ქრისტიანობის გავრცელების კვალდაკვალ, ბიჭვინთაში უნდა მდგარიყო ტაძარი — საყდარი ბიჭვინთის ეპისკოპოსისა, რომელიც ნიკეის 325 წ. საეკლესიო კრების მონაწილე იყო.

რომ IV საუკუნემდეც კარგა ხანს არსებობდა აქ დიდი ქალაქი, თანახმად სტრაბონისა, ამას ამტკიცებს სათანადო ნანგრევებისა და I — III სს. მრავალრიცხოვანი კერამიკის შემცველი კულტურული ფენების გამოვლინება. ყურადღებას იპყრობს აბანოს ნანგრევი.

ბაზილიკისა და ნაქალაქარის სხვა უბნების გათხრამ გამოაელინა ძველი ბიჭვინთის ცხოველი საქალაქო ცხოვრება; მეზობელ ქვეყნებთან ფართო ურ-

თიერთობასთან ერთად, კულტურის ზოგი დარგის ადგილობრივი, თავისებური განვითარება. განსაკუთრებით მრავლადაა წარმოდგენილი კულტურულ ფენებში კერამიკა და მინის ჭურჭელი, რომლის მსგავსიც თითქოს მოიძებნება აღმოსავლეთ საქართველოს იმავდროულ ნამოსახლარებში.

VI საუკუნის შემდეგ ქალაქი რამდენადმე შემცირებული ჩანს.

ქ. ფ ო თ ი ს, ძველი ფაზისის შესწავლა ჯერ წინასწარ დაზვერვას არ გასცილებია. 1945 წელს ჩატარდა მცირე გათხრა მის უკიდურეს ჩრდილო გარეუბანში — ყ უ ლ ე ვ შ ი, რომელიც სანაოსნო გზით იყო და კიდევაც არის ზღვასთან და სამიწათმოქმედო უბნებთან დაკავშირებული. აქ, ნამოსახლარებში დადგენილ იქნა რამდენიმე კულტურული ფენა, რომელთაგან უახლესს გამთხრელი ნ. ხ ო შ ტ ა რ ი ა აკუთვნებს „გვიანრომაულ ან ადრებიზანტიურ" ხანას, თუმცა გადაჭრით დათარიღებისაგან თავს იკავებს. წარმოდგენილია ორი, გაურკვეველი დანიშნულების (მაგრამ არა საცხოვრებელი) შენობის ნაშთები. ისინი ძირითადად აგურით ამოყვანილი ყოფილან, ქვითკირის საძირკველზე, და ბრტყელი და ღარისებრი კრამიტით გადახურული. მათ მორთულობაც ჰქონიათ — გამომწვარი თიხისა, თლილი მარმარილოსი და სხვ. შიგ აღმოჩნდა მინის საკმაოდ მრავალი ნატეხი, რომელთა ნაწილი თხელი ჭურჭლისაა, ნაწილი კი სასარკმლე ჩანს, რაც საყურადღებოა. აგურებზე გამოყვანილია ნიშნები, ზოგი ხელითა და ზოგიც ტვიფრით. რამდენსამე ნიშანს ქართული ასოების მოყვანილობა აქვს. ნაპოვნია ერთი თიხის საბეჭდავიც, რომელზედაც ამოჭრილია 4 ქართული ასო, წყვილ-წყვილად გადაბმული. ეს, რა თქმა უნდა, დიდად საყურადღებო აღმოჩენაა, მაგრამ ძეგლის ხნოვანებისა და ასოების რაგვარობის ბუნდოვნება ხელს გვიშლის გარკვეული დასკვნის გამოტანაში.

ასეთია ადრე ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, რომელთა კვლევის შედეგების წინასწარი განზოგადებაც კი გვივსებს წარმოდგენას ჩვენი ხალხის კულტურის დონისა და ზოგჯერ აგრეთვე სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების შესახებ, თითქმის ნახევარი ათასწლეულის განმავლობაში — ფეოდალური ურთიერთობისა და ქრისტიანობის გავრცელების დაწყების შემდეგ.

ამ რთულსა და ჭიდილით აღსავსე ხანას გადაჰყავს ჩვენი ქვეყანა განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე, რომელიც იწყება ცალკეულ სამეფო-სამთავროთა გაერთიანებითა და მძლავრი ცენტრალიზებული ფეოდალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებით, უკვე X საუკუნის მიწურულში. ამას თან ახლავს კულტურის, ხელოვნების კიდევ უფრო გაფურჩქვნა; ახალი ფორმების შემუშავება; ნივთიერი და სულიერი საგანძურის გამდიდრება და ეროვნული იერის გაძლიერება.

შუაფეოდალური ხანის კულტურის აყვავების ნიადაგი იქმნებოდა სწორედ ადრეფეოდალური ხანის წიაღში — ყოველგვარ უცხო გავლენასთან ბრძოლის, ნასესხების შემოქმედებითი გადამუშავების, ძველი მკვიდრი ტრადიციების შემონახვა-აღორძინებისა და შემდგომი განვითარების გზით. როგორც დაურწმუნდით, ვერც ირანის, ვერც ბიზანტიისა და ვერც არაბების ძალადობამ თუ ჩვენში პოლიტიკური ბატონობისადმი მიდრეკილებამ ვერ შეაფერხეს ქართული თავისთავადი კულტურის ბუნებრივი ზრდა და სწორედ იმხანად გაჩნდა საქართ-



1



2



3



4

8

6

5

7



9

ველოში ზედიზედ მრავალი ბრწყინვალე ნაწარმოები დამწერლობისაც (ეპიგრაფიკულ ძეგლთა ვრცელი წყება, V საუკუნიდან მოყოლებული), მწერლობისაც (ღრმა შინაარსიანი ჰაგიოგრაფიული და ისტორიული თხზულებანი), ხუროთმოძღვრებისაც (ბოლნისის სიონი, ურბნისი და ნინოწმინდა V ს-ში, მცხეთის ჯვარი VI ს-ში, წრომი VIII ს-ში, ოშკი X ს-ში, უჯარმისა და ვაშნარის ციხე-დარბაზები და ა. შ.), რელიეფური და მოზაიკური მხატვრობისაც (ბიჭვინთა V ს-ში, მცხეთის ჯვარი VI ს-ში, წრომი VIII ს-ში და ა. შ.), ოქრომჭედლებისა და მცირე ხელოვნების სხვა დარგებისაც (მცხეთის, რუსთავისა და სხვა სამაროვნებში მრავლად აღმოჩენილი სამკაული, შუშის ჭურჭელი და სხვ.) და ა. შ.

როგორც დავინახეთ, საკუთრივ არქეოლოგიური, განათხარი ძეგლების შესწავლაც დიდად უწყობს ხელს ადრეფეოდალური საქართველოს კულტურული ვითარების სურათის დახატვას.

§ 15. შუაფეოდალური ხანა

ამ ხანის სადღეისოდ გათხრილ-შესწავლილ ძეგლებს ასეთი თანამიმდევრობით განვიხილავთ: ა) ციხე-ქალაქები (და მათი სამაროვნები), ბ) სოფლები და პროვინციული საწარმოები, გ) სასახლეები, დ) მონასტრები და აკადემიები, ე) სახიზარი და სხვა გამოქვაბულები, ვ) ჰიდროტექნიკური ნაგებობანი.

ციხე-ქალაქები. ციხე-ქალაქი დ მ ა ნ ი ს ი მდებარეობდა ქვემო ქართლის სამხრეთ განაპირა კუთხეში, მაშავერისა და მასში შემდინარე ფინეზაურის შერთვის ადგილას, კონცხზე, რომელიც მაღალსა და კლდოვან ზეგანს წარმოადგენს. მისი განლაგება და აღნაგობა ტიპიურია საქართველოს ფეოდალური ციხე-ქალაქებისათვის. დმანისი ძალიან ჰგავს ამ მხრივ ქვემო ქართლის ჩრდილო ნაწილში, ქცია-ხრამისა და ჭივჭივის შესართავთან მდებარე ციხე-ქალაქ სამშვილდეს.

ქალაქი დმანისი ჩამკედარა უკვე XVI საუკუნეში, ისე რ. XVIII ს. პირველი მეოთხედის საბუთების მიხედვით ნაქალაქარსღა წარმოადგენს. გათხრის დაწყების დროისათვის ნაქალაქარში შუა საუკუნეთა ბევრი ნაგებობა იყო ძთლიანად შემონახული ზედაპირზე და მერმინდელი ფენებიც არ ართულებდნენ სურათს. კარგად შემონახულ ნაგებობათა შორის გამოირჩევა VII ს. მოზრდილი ბაზილიკური ტაძარი, რომელზედაც XIII საუკუნეში (ლაშა გიორგის დროს) მიშენებულია მშვენიერი ჩუქურთმიანი კარიბჭე. პირვანდელი ტაძრის თარიღი იმას მოასწავებს, რომ დმანისი მაშინვე ყოფილა მნიშვნელოვანი სამოსახლო, როცა მცხეთაში ჯვარი შენდებოდა, ან ახალი აშენებული იყო.

დმანისის ნაქალაქარის თხრისას გამოვლენილ იქნა: ქალაქის დიდი, კლდეში გაჭრილი ჭიშკარი; მოფილაქნებული ქუჩა; ციხის გარემოცვისას მდინარიდან წყლის საზიდი საიდუმლო ხვრელი; ქალაქის აბანოები; მარან-ქვევრები, ბეღლები; დუქნები და სხვ. შიდაციხის ნაგებობათა შესამოსავად თლილი ქვაა გამოყენებული, ხოლო სამოქალაქო ნაგებობანი, საცხოვრებელი და სამეურნეო შენობები მეტწილად დაუდევრადაა ნაგები, შემოსილია ბაზალტის დაუმუშავებელი, უწესრიგოდ ნაწყობი ლოდებით და შიგ უფორმო ჭყორდუღაბია. ამგვარი მშენებლობა სერთოდ დამახასიათებელი ჩანს შუა საუკუნეთა სამოსახლოე-

ბისათვის ქვემო ქართლში (თეთრი წყაროს, წალკისა და ნაწილობრივ ბოლნისის რაიონები) და აგრეთვე ჯავახეთში.

დმანისში გათხრილ მდიდრულ შენობათა კედლები შიგნით მოჭიქული აგურებითა და შორენკეცებით (ზოგჯერ ფაიანსისა!) ყოფილა შემოსილი, ხოლო ღარიბულთა კედლები მხოლოდ შელესილი და ისიც ყოველთვის არა. აგური მშენებლობაში იშვიათად უხმარიათ. აღმოჩენილია თონეები და კირლესილი, მარცვლეულის შესანახი ორმოები. ნაგებობათა ნაშთების წმენდისას მუდმივ ჩანდა თავს ორი ფენა, რომლებსაც კარგად ათარიღებდა მონეტები: ქვედას— X—XII სს., ზედას — XIII—XIV სს. ამრიგად, ეს ფენები გვაძლევს ქალაქის უწყვეტი განვითარების სურათს სათანადო ხანაში.

დმანისის სამოქალაქო ხუროთმოძღვრებაზე წარმოდგენას გვიქმნის ციხის აბანო, მიშენებული სასახლის ნაგებობაზე, რომლისგანაც შემორჩენილია მხოლოდ ერთი სათავსო და რომელიც უნდა ყოფილიყო ციხე-ქალაქის გამგებლის (ციხისთავის?) სასახლე, შიდაციხეში აგებული. საბანაო წყალს ქვემოდან ეზიდებოდნენ და საგანგებო აუზებში ასხამდნენ. საცეცხლე წყალსაც ათბობდა და საბანაზანო შენობასაც ახურებდა იატაკქვეშა სივრცისა და ხვრელების მეშვეობით. აბანო აგებულია რამდენადმე უფრო გვიან, ვიდრე სასახლე, რომელშიც ნაპოვნია რუსუდან დედოფლის მონეტა (XIII ს.). XIII საუკუნის მონეტები ნაპოვნია აგრეთვე მსგავს აბანოებში, რომლებიც გათხრილია ქვედა გარეუბნის ტერიტორიაზე. ციხის აბანოცა და ზემოხსენებული სათავსოც გადახურულია ბრტყელი გუმბათებით, რომლებშიც დატანებულია სარკმლები. გუმბათები დაფარულია ბრტყელი სწორკუთხოვანი კრამიტით. ბევრ ამათგანზე გამოყვანილია რელიეფური „სამყურა ყვავილები“ თუ „ფოთლები“. ეს თავისებური კრამიტი, ზემოაღნიშნულ მოჭიქულ აგურ-შორენკეცებთან ერთად, იმდროინდელი საშენი მასალისა და სამშენებლო საქმის ერთი ისეთი ელემენტია, რომლის არქეოლოგიური გაჩრცელებაც საინტერესო სურათს გვიხატავს, თუმცა მეტწილად მოუჭიქავი გვხვდება.

საერთოდ შუაფეოდალური ხანის საქართველოში ხმარებული კრამიტი თვალსაჩინოდ განსხვავდება ადრეფეოდალური დროის ნაგებობათათვის დამახასიათებელი კრამიტისაგან. ის ბევრდ უფრო მოკლე და ვიწროა, თითქმის სწორკუთხოვანი და არა ტრაპეციოდული. აკეცილი გვერდებიც გაცილებით უფრო დაბალი აქვს.

დმანისის კულტურულ ფენებში მრავლად იქნა მოპოვებული სხვადასხვაგვარი საგნები, რომლებიც საკმაოდ ახასიათებენ ქალაქელთა ნივთიერ კულტურას. მათგან აღსანიშნავია: ზეთსახდელი ქვა ანუ გელაზი; ბრინჯაოს რამდენიმე ჭურჭელი, კვერთხისთავი, რომელიც ჯიქს გამოსახავს; მინის ჭურჭლისა, სამაჯურების და ბეჭდების ნამტვრევი; დიდძალი თიხის ჭურჭელი; ასეულობით მონეტა, უმთავრესად სპილენძისა.

მონეტების ხნოვანება IV საუკუნიდან XVIII საუკუნემდე მოდის. მათი რიცხვი მატულობს X საუკუნიდან და ამიტომ საფიქრებელია, რომ დ მ ა ნ ი ს ი ს ა ქ ა ლ ა ქ ო ცხოვრება, ამ სიტყვის სპეციფიკური მნიშვნელობით, სწორედ X საუკუნიდან ვითარდება, თუმცა თვით სამოსახლო გაცილებით უფრო ძველია. მონეტების უმეტესობა (157 ც.)

ეკუთვნის XI—XIII საუკუნეებს. ამათგან 122 ქართულია (თამარიდან დავით V ნარინამდე), ხოლო 35 უცხოური (უმთავრესად მონგოლური). XI—XIII საუკუნეები უნდა ჩაითვალოს ქალაქის უდიდესი აყვავებისა და სიმდიდრის ხანად. მისი დაქვეითება იწყება უკვე XIV საუკუნეში, მონგოლთა შემდგომ.

გაირკვა, რომ დმანისში აღმოჩენილი 18 მონეტა, იმ ტიპისა, რომელიც მანამდე თბილურად ითვლებოდა, დმანისის ზარაფხანაში ყოფილა მოჭრილი XIII საუკუნეში, დავით IV ულუს სახელით. ეს არის დიდმნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც შესძინა დმანისის გათხრამ ჩვენში ფულის მოჭრის ისტორიას უკვე მონგოლთა ბატონობის ხანაში.

საკრთოდ კი ნუმიზმატიკური მასალა სავსებით შეესატყვისება იმას, რაც წერილობითი წყაროების მიხედვით იყო ცნობილი ქალაქ დმანისის ისტორიის შესახებ.

თიხის ჭურჭელი წარმოდგენილია ყველაზე უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი მასალით, რომელიც გვიხატავს მკაფიო სურათს მხატვრული ხელოსნობის ამ დარგის განვითარებისა საქართველოს იმდროინდელ ქალაქებში. პირველად სწორედ დმანისში იჩინა თავი მრავლად შუაფეოდალური ხანის ქართულმა მოჭიქულმა კერამიკამ თავისი საინტერესო თავისებურებითა და მხატვრული ღირსებით, რაც შემდგომმა მონაპოვარმა (თბილისში, რუსთავში, უჯარმაში, ქვემო ქართლის ნასოფლარებსა თუ ნადარბაზევში და სხვ.) არსებითად მხოლოდ დაადასტურა და შეავსო. ამიტომაც იყო, რომ ბოლო ხანებამდე ამ მხატვრულ მოჭიქულ კერამიკას „დმანურს" უწოდებდნენ ჩვენში.

დმანისის კერამიკა შეიცავს ორ მთავარ ჯგუფს: ა) სადა ან წერნაქით, ე. ი. წითელი ანგობით დაფარული ჭურჭელი, მათ შორის დერგები, რომლებზედაც ესა თუ ის რელიეფური გამოსახულებაა ამოტვიფრული, მსგავსად ხომხეთში, კერძოდ, ანისში მრავლად აღმოჩენილი იმავდროული „კარასებისა"; ბ) წითელკეციანი, ერთფერი თუ მრავალფეროვანი მოჭიქული ჭურჭელი, რომელიც შემკულია სხვადასხვა ორნამენტითა და გამოსახულებით (მეტწილად ფრინველებისა, აგრეთვე ცხოველებისა და ადამიანებისა). მოპოვებულია მრავალფეროვანი ფაიანსის ჭურჭლის ნამტვრევი, რომელშიც გამოურევია ლუსტრიანი, XII—XIII სს. ირანულის ტიპისა. კერამიკის ნატეხებს ჩვეულებრივ თან ახლდა XI, XII და XIII საუკუნეთა მონეტები. აღმოჩენილია რამდენიმე მოუჭიქავი ნახევარფაბრიკატი და სამი ჭურჭლის ნატეხებზე შემორჩენილი ნაწყვეტები X—XI ს. ქართული ნუსხური წარწერებისა (ვაგ. ტაბ. XXXVII, 3). ისინი მოწმობენ, რომ წითელკეციანი მოჭიქული კერამიკა დმანისშივე უწარმოებიათ. ფაიანსი ირანულის მიბაძვით ნაკეთები ჩანს.

გამთხრელის, ლ. მუსხელიშვილის დასკვნით დ მ ა ნ ი ს ი წარმოადგენდა შუა საუკუნეთა საქართველოს პროვინციულ ქალაქს, ტიპიურს საქართველოს და ამიერკავკასიის დანარჩენი მთიანი ნაწილისათვის (ასეთივეა, მაგალითად, სამშვილდე, ანისი და სხვ.). ამ ტიპს ახასიათებს: ორ წყალს შუა, მაღალსა და კლდოვან ზეგან-კონცხზე მდებარეობა, სიმაგრეთა სისტემა, შიდა ციხე, წყალსაზიდი გვირაბი, გარეუბანი და სხვ. დამახასიათებელია თვით ქალაქის აღნაგობაც, სპეციფიკური ახლოაღმოსავლური იერი: ვიწრო და მრუდე ხლართული ქუჩები, უსისტემოდ შექუჩებული შენობები, მცირე ფართობზე თავმოყრილი მოსახ-

ლობა. გაფურჩქვნის ხანაში დმანისი წარმოადგენდა მრავალეროვან ქალაქს, რომელშიც ქართველთა მხარდამხარ სომხები და მაჰმადიანებიც ცხოვრობდნენ. ამას მოწმობს იქაური სასაფლაოები. ქართველებსა და სომხებს მიცვალებულები ერთსა და იმავე სასაფლაოზე უმარხავთ, და ეს ეგებ იმას მოასწავებდეს, რომ დმანელი სომხები მართლმადიდებლები ყოფილან.

ქალაქის უდიდეს კეთილდღეობას (XI—XIII საუკუნეებში) ლ. მუსხელიშვილი ქართული ფეოდალური მონარქიის საერთო ნივთიერ მოღონიერებასა და პოლიტიკურ აღმავლობას უკავშირებს, ხოლო განსაკუთრებით გამოჰყოფს XIII საუკუნეს, როდესაც ქალაქს საკუთარი ზარაფხანაც კი უჩნდება. XI—XIII სს. არის მონეტების, ქართული და სომხური წარწერების, კერამიკისა და სხვა მონაპოვრის დიდი უმეტესობაც.

ქალაქის ნივთიერი მოღონიერების საკმაოდ მნიშვნელოვანი წყარო უნდა ყოფილიყო, ჯერ ერთი, მის ირგვლივ მსხდარი მოსახლეობის ნაყოფიერი საშეურნეო საქმიანობა (ხვნა-თესვა, მესელეობა, მებაღეობა-მევენახეობა, სელის ქსოვილისა და ღვინის ექსპორტი, რკინა-სპილენძის მადანთა მოპოვება და დამუშავება) და, მეორე, თვით ქალაქელთა ხელოსნური წარმოება (მეთუნეობა, მინის წარმოება, ხის დამუშავება და სხვ.).

დმანისის დაწინაურება-განვითარებაში გადამწყვეტი როლი უნდა მიეკუთვნოს ქალაქის მდებარეობას იმ დიდ და მარჯვე სავაჭრო გზაზე, რომელიც საქართველოს აკავშირებდა სომხეთთან და მისი მეშვეობით — მთელ ახლო აღმოსავლეთთან. ამგვარად, დმანისი უმთავრესად სავაჭრო ქალაქი უნდა ყოფილიყო.

რ უ ს თ ა ვ ი ს, შუაფეოდალური ხანის საქართველოს ამ მეორე ცნობილი და მნიშვნელოვანი ქალაქის „არქეოლოგიური ისტორიის“ შესახებაც უკვე ბევრი რამ შეიძლება ითქვას. აქ გაცილებით მეტი წვლილი მიუძღვის თხრის შედეგებს, ვინაიდან 1944 წლამდე ქალაქისა სრულიად არა ჩანდა რა ზედაპირზე, გარდა მოზრდილი ციხის ნანგრევისა. ეს ციხე ერთადერთი მნიშვნელოვანი თავდაცვითი ნაგებობაა თბილისსა და ხრამის შესართავს შორის (სადაც ძველი ციხე-ქალაქის ხუნანის ნაშთებს ვარაუდობენ). რუსთავის აქ მიგნებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ სწორედ ამ ციხესთან იწყებოდა ის ძველი რუ, რომელიც მტკვრის წყლითა რწყავდა და რწყავს გარდაბნის ველებს. შემორჩენილი სახელწოდება „რიშ-ყალა“ („რიშის ციხე“) უნდა მომდინარეობდეს ქალაქის ძველი, ოთხთაგან („რუსთავი“, „ბოსტანქალაქი“, „ნაგები“, „არიში“) ერთი სახელწოდებისაგან. „არიში“ კი მიჩნეულია ქალაქის ძველ მფლობელთა, არიშიან-ვარდანიძეთა ადგილსამყოფელის აღმნიშვნელ სახელად: რუსთავი ქალაქს რქმევია, ხოლო არიში — მის ციხეს.

ჩვენი წერილობითი წყაროები რუსთავს მიაკუთვნებენ საქართველოს უძველეს „ძლიერ ციხე-ქალაქთა“ რიცხვს. ხშირად იხსენიება რუსთავი შუაფეოდალური ეპოქის ამბების თხრობისას.

რუსთავს, როგორც ციხე-ქალაქს, თავისებური აღნაგობა აქვს. იგი ძლიერ განსხვავდება შუასაუკუნეთა საქართველოსათვის, მისი მთა-გორიანი კუთხეებისათვის დამახასიათებელი ტიპისაგან, რომლის ნიმუშს დმანისი და სამშვილდე წარმოადგენენ და რომელშიც მიუვალობა, უპირველეს ყოვლისა, ბუნებრივი

ინელმისაწვდომობის შედეგია. რუსთავი, პირიქით, ბუნებრივად ადვილმისაწვდომ, მდინარისპირა ვაკეზეა განლაგებული (ამ მხრივ იგი ურბნისს. უფრო მოგვაგონებს) და მხოლოდ მისი ციხე მდებარეობს არცთუ დიდ მაღლობზე, რომელიც ძველად სამოსახლო გორა უნდა ყოფილიყო. ეს უკანასკნელი ნახევარკუნძულადაა ქცეული, იმის გამო, რომ სწორედ მის ზემოთაა გადმოგდებული ცნობილი მძლავრი რუ. სრულიად ბუნებრივია ვარაუდი, რომ ციხის ერთერთი დანიშნულება იმთავითვე ყოფილიყო დაცვა ამ რუს სათავისა, რომელსაც ყოველთვის უდიდესი სამეურნეო მნიშვნელობა ექნებოდა ქვეყნისათვის. ეგებ სულაც მან გამოიწვია აქ ციხე-ქალაქის წარმოქმნა თუ არა, გაძლიერება მაინც, გზაჯვარედინზე (კახეთი — ქვემო ქართლი — სომხეთი. და თბილისი — ჰერეთი — აზერბაიჯანი) მდებარეობასთან და თბილისის მისადგომზე სტრატეგიულ მნიშვნელობასთან ერთად. რუსთავის არხი ძველი საქართველოს ერთერთი უძლიერესი საირიგაციო ნაგებობაა.

ციხის შიგნით, ზედაპირზე მოკრებილი კერამიკა გვანიშნებს XI—XIII საუკუნეებს. გალავანს მომრგვალო-ოთხკუთხედი მოყვანილობა აქვს. კედლებს თვალსაჩინოდ ეტყობა რამდენიმეგზის განახლება-შეკეთების კვალი. ისინი უმთავრესად ქვითკირითაა ამოყვანილი, მაგრამ ჩანს დიდრონი თლილი ქვის პერანგის ნაშთიც. არის დიდი, ალიზით ამოყვანილი და შელესილი ბურჯიც, აქაიქ ქვითკირის წყობაში ჩატანებულია ძველი ჩუქურთმიანი ქვები. XI—XIII სს. ნაშენობათა კვალი საკმაოდ თვალსაჩინოდ გამოიყოფა უფრო ძველისა და მერმინდელის ფონზე.

XI—XIII საუკუნეებში რუსთავის სამოსახლო განლაგებული ყოფილა მტკვრისა და რუს მარცხენა ნაპირას, არხის ჩრდილოეთითა და დასავლეთით, ვაკე ადგილას, რომელიც უშუალოდ აკრავს ამ რუს. სამოსახლო რკალივით რტყმია ირგვლივ ციხეს და განიერი და ღრმა არხით ყოფილა მისგან გამოყოფილი. არხი, ცხადია, რამდენადმე მაინც მატებდა ციხეს მიუვალობას.

ნაქალაქარისა და მომდებარე სამაროვანთა გავრცელება დაახლოებით 40 ჰექტარზე ივარაუდება. ადრეფეოდალური ხანის სამაროვნების ფართობს 15-ოდე ჰექტარს ანგარიშობენ, ხოლო მათი სამარხების მიხედვით ქალაქის მოსახლეობის ოდენობას — 20000 კაცს. შუაფეოდალურ ხანაში მოსახლეობა საგრძნობლად უნდა გაზრდილიყო.

ქალაქის ნაგებობანი საერთოდ ძალიან მჭიდროდ, თითქმის უხარვეზოდ ყოფილან ერთიმეორეზე მიჯრილი. გამოვლენილ იქნა რამდენიმე ათეული ნაგებობის ნაშთი (ნიმუში იხ. ტაბ. XXXIV, 1). ეს ნაგებობანი ყველა ერთგვარი და საერთოდ თანადროული ჩანან, ოღონდ ზოგან — თითქოს დანგრეული და კვლავ განახლებული. აქა-იქ, ღრმა ფენებში ჩანს აშკარად უფრო ძველ (ალბათ ადრეფეოდალური ხანის) კაპიტალურ ნაგებობათა ნაშთები. კედლები რიყის ქვითა და თიხით ან გაჯითაა ამოყვანილი. რიყის ქვა „თეეზიფხურად" არის ნაწყობი. ეს წესი („წოლა") დღესაც ფართოდაა გავრცელებული ქართლ-კახეთის სოფელ-ქალაქთა მშენებლობაში. ასე რომ შუა საუკუნეთა რუსთავი ამ მხრივაც, ისევე როგორც შენობათა მჭიდრო მიჯრილობით, ტიპიური აღმოსავლურ-ქართული სამოსახლო ჩანს.

სენაკები საკმაოდ დიდია, ზოგის ფართობი 50—60 კვ. მეტრს აღწევს. ბევრ მათგანში შემონახულია სამეურნეო მოწყობილობა: ქვევრები, ქოცოები, დერგები, თონეები, მარცვლეულის შესანახი ორმოები, ნაცარ-ნახშირით სავსე კერები. ხშირად ძნელდება საკუთრივ საცხოვრებელი და სამეურნეო სათავსოების, სადგომებისა და სათონე-საკუჭნაო-მარნების ერთიმეორისაგან გამოყოფა. საფიქრებელია, რომ, დმანისივით, არც აქ იქნებოდნენ ისინი იმთავითვე მაინცადამაინც გამიჯნული, მით უმეტეს, რომ საკმაოდ ხშირადაა აღმოჩენილი ერთისა და იმავე სათავსოს იატაკზე პირადი, საოჯახო და სამეურნეო ინვენტარი.

ნაგებობაში ორ ადგილას აღმოჩენილი კრამიტის ნალეწი მოწმობს, რომ ის ნაგებობანი კრამიტით ყოფილა დაბურული და, ჩანს, უფრო შეძლებულ პირებს ეკუთვნოდა. რამდენსამე შემთხვევაში თავი იჩინა ხის ბოძების დამწვარმა ან დაფუტურობებულმა ძირებმა, ხოლო ერთგან — ასეთი სვეტის საყრდენმა, ქვის რვაწახნაგოვანმა ბალიშმა. გავრცელებული ყოფილა ნახევრად მიწური, დედაბოძიან-ბანიანი სახლები. ერთერთ სენაკში, ფიცრის დამწვარ ნაშთებთან ერთად, აღმოჩნდა რკინის მოზრდილი, კლაკნილი რაზა — კარის საკეტი. იატაკს ყველგან მოტკეპნილი თიხა წარმოადგენს.

ასეთი ჩანს, ზოგადად, ქალაქ რუსთავის იმ უბნის არქიტექტურული იერი, რომლის ნაწილიც გათხრილია ამჟამად.

თონეებიც, ქვევრებიცა და დერგებიც საერთოდ იმგვარივეა, როგორიც დმანისში თუ სხვა, შუა საუკუნეთა ნამოსახლარებში. კერძოდ, ქოცოებს ახასიათებს მოგრძო-კვერცხისებრი მოყვანილობა და მეტწილად სადა ზედაპირი, ხოლო ზოგჯერ თითო-ოროლა ან უფრო მეტი, ირგვლივი რელიეფური წიბო. საკმაოდ ხშირად ქოცოს პირზე გამოწვამდე ამოჭრილია ცალკეული ასონიშნები, ზოგ ქოცოში ყურძნის წიპწა აღმოჩნდა და, მაშასადამე, ისინი ღვინის დასაყენებელ და შესანახავ ჭურჭლად უნდა მივიჩნიოთ. ერთ შენობაში აღმოჩენილი მარანი (7 ქვევრი) იმას მოასწავებს, რომ მევენახეობა-მეღვინეობას რუსთავის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი სჭერია.

ორმოებში ჩარჩენილი, გამოფიტული ქერქების მიხედვით შეიძლება ფეტვის მარაგის გამოცნობა. აქა-იქ მოკრებილია ქერის მარცვლებიც, ხოლო ერთ ოთახში აღმოჩნდა საზამთროს, ნესვისა და მწვანილეულის თესლებიც. იმავე სენაკში ჭურჭლის ნამტვრევებთან იყო კვერცხის ნაჭუჭები. ყოველივე ეს გვამცნობს სოფლის მეურნეობის სათანადო დარგებს, რომელთა განვითარებას ხელს შეუწყობდა სარწყავი წყლის სიუხვე. მარცვლეულის მოყვანა-მოხმარებასთანაა დაკავშირებული, რა თქმა უნდა, თონეები, რომლებიც საკმაოდ მრავლად აღმოჩნდა. ისინი ყველა კერამიკულია. ზოგ მათგანს გარშემო აკრავს თიხისაგან ჯამ-ჭურჭლის ნატეხებისაგან შემდგარი „სათბური“, ისევე როგორც დმანისსა და თბილისში. ოღონდ, ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით, ისინი არ არიან აღჭურვილი „სასულე“ ანუ „საქარე“ მილებით. რამდენსამე შემთხვევაში თონეებს გვერდით ახლად ხიმხურვალის დასანელებელი ნაცარ-ტუტის ანუ „თუთქის“ მოსამზადებელი ნატეხარები (ახლანდელი ქართლური სათონეების მსგავსად). შემდეგ საგანგებოდ აღსანიშნავია გათხრილ ნაგებობათა შორიახლოს, რუს ერთერთი, ძველადვე დაუქმებული შტოს პირას, in situ ამონათხარი წყვილი წისქვილის ქვა (ერთი მათგანი იხ. ტაბ. XXXV, 1).

ამრიგად, საცხოვრებელი უბნის მახლობლად რუზე გამართული ყოფილა წისქვილი, რომელიც ალბათ ჩარხით ბრუნავდა, რაკი წყალს დაქანება ეერ ექნებოდა. აღსანიშნავია აგრეთვე სატრიალებელი ხელსაფქვავები, ქვიჯა, რკინის ასტამი (ტაბ. XXXV, 3) და კვირისთავები (ქვისა, ძვლისა თუ კერამიკული), რაც მარცვლეულის ღერღვას, ნაყვას, საპურე ცომის ზელას და ძაფის რთვას გვანიშნებს. გვაქვს რკინის თოხი და ორი წალდიც (ერთი მათგანი იხ. ტაბ. XXXV, 4). ამასთანავე, ჩვეულებისამებრ, მრავლადაა ცხოველთა ძვლები (ნასუფრალი), რაც საშუალებას გვაძლევს გამოვიცნოთ საქმელად გამოყენებული შინაური პირუტყვის ჯიშები (ხარ-ძროხა, ცხვარი, თხა, ღორი).

გარდა ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილისა, ნაგებობათა ნანგრევებს შორის მოკრებილ იქნა ასეულობით სხვადასხვა საგანი თუ ნატეხი, რომლებიც არა ნაკლებ თვალსაჩინოდ გვისურათებენ მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრებას. ამასთანავე ისინი გვითარიღებენ თვით მათ შემცველ შენობებს. ამ მხრივ განსაკუთრებით ხელს გვიწყობს მონეტათა სიმრავლე.

მონაპოვრის ძირითად ნაწილს აქაც ჭურჭლეული შეადგენს, მაგრამ არის აგრეთვე სამკაული, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის ლითონის ნაწილები და პირსაფარეშო საგნები.

ჭურჭელი უმთავრესად თიხისაა, მაგრამ საკმაოდ ბევრია მინის ნატეხებიც.

თ ი ხ ი ს ჭ უ რ ჭ ე ლ ი ნაირ-ნაირია: დერგები, დიდრონი სადუღრები, ქოთნები, ქილები, ჯამები, დოქები, ხელადები, კოკები, მათარები, სამარილეები, საზეთე ჭრაქები და სხვ. ამ კერამიკის ნაწილი (უმთავრესად ჯამები, დეკორატიული ქილები. — მაგ. ტაბ. XXXV, 9, — ჭრაქები და სამარილეები) მოჭიქულია და ბევრი — ჭიქურს ქვეშ მოხატულიც, ხშირად მრავალფერად. ჭურჭლის დიდი უმეტესობა ზედმიწევნით ჰგავს დმანისის, თბილისისა და სხვა ადგილების, XI—XIII საუკუნეების ფენათაგან ამონათხარ ჭურჭელს და აშკარად იმავდროულია. მოუჭიქავ ჭურჭელში ყურადღებას იქცევს: დიდრონი, ამოტვიფრულგამოსახულებიანი დერგები, სადუღრები, ამოტვიფრულორნამენტიანი მათარა (ტაბ. XXXV, 5) და სხვ. ერთერთ მთელ, სარქვლიან სადუღარში აღმოჩნდა გიორგი მესამის, თამარისა და ლაშას თითო სპილენძის ფულიც, რაც ზედმიწევნით ათარიღებს ჭურჭელსაცა და მის შემცველ ნაგებობასაც. მოჭიქული ჭურჭელი განსაკუთრებით მრავლად აღმოჩნდა ზოგიერთ ნაგებობაში, რომლებიც საერთოდაც უფრო მრავალრიცხოვანსა და მრავალფეროვან ნაშთებს შეიცავდნენ. ზოგან კი იგი სრულიად, ან თითქმის სრულიად არ ამოდიოდა. შესაძლოა, ეს გარემოება გვანიშნებდეს ქონებრივ სხვადასხვაობას.

რუსთავის მოჭიქული ჭურჭელი ზოგიერთ თავისებურებასაც იჩენს: ჯამებზე გამოხატული ფრინველი განსხვავებულად გამოიყურება; ჭიქურის ფერები იგივეა, მაგრამ უფრო ხალისიანი ელფერით გამოირჩევა; არის ისეთი ორნამენტული მოტივებიც, რომლებიც სხვაგან არ გვხვდება. ეს გარემოება გვანიშნებს, რომ რუსთავს მხატვრული კერამიკის საკუთარი სახელოსნოები ჰქონია. ყურადღებას იქცევს ფაიანსისა და, კერძოდ, ლუსტრიანი ფაიანსის ფაქიზი ჭურჭლის ნატეხების სიმრავლე, რაც ეგებ ფაიანსის ადგილობრივ წარმოებასაც მოასწავებდეს.

ნატეხებითვეა წარმოდგენილი მინის ნაირ-ნაირი ჭურჭელი: მოზრდილი სქელი სასმისები, პატარა თხელი ფლაკონები, რაღაც უაღრესად სათუთი ჭურჭელი. ფაიანსისა არ იყოს, არც ეს უკანასკნელი უნდა ეკუთვნოდეს მაინცდამაინც ხელმოკლე ადამიანებს.

ს ა მ კ ა უ ლ ი იმდენად მრავლადაა წარმოდგენილი შენობათა ნანგრევებს შორის, რომ ამ მხრივ რუსთავს ვერც ერთი სხვა იმდროინდელი განათხარი ნამოსახლარი ვერ შეედრება ჩვენში. ეტყობა, სამკაული ეკუთვნოდა იმ შენობებში მცხოვრებ ქალებს, რომელთაც ისინი შეუნახავთ, მაგრამ ვეღარ გამოუყენებიათ: ალბათ დარბევის, ან მტრის ძალადობის გამო დაკარგვიათ, მით უფრო, რომ სამკაულს უმეტესობა იქაა ნაპოვნი, სადაც ყველაზე უფრო ცხადლივ ჩანს: მტრის მიერ ქალაქელთა აწიოკების სურათი. მხოლოდ და მხოლოდ ასეთი ვითარება უნდა წარმოვიდგინოთ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს იატაკზე, ჭურჭლის ნალეწისა და მიმობნეული მძივების თანხლებით აღმოჩენილ ოქროს სამკაულთან. ერთი ამათგანი წარმოადგენს ოვალურ საყურეს, რომლის ქვედა ნახევარი დამშვენებულია სამი ფაქიზი ჭვირული, წნულოვან-გრეხილოვანი ბურთობით; მეორე—გულსაკიდს, ექვსყურა ყვავილის მოყვანილობის ბრტყელ კოლოფს, რომელსაც ზედაპირი გავარსითა აქვს შემკული. ამ ორი სამკაულის სახით ხელთა გვაქვს საუკეთესო ნიმუშები შ უ ა ს ა უ კ უ ნ ე თ ა ქ ა რ თ უ ლ ი ო ქ რ ო მ ჭ ე დ ლ უ რ ი ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი ს ა, რომელსაც აქამდე უმთავრესად საეკლესიო ინვენტარის მიხედვით ვიცნობდით, მათი პატრონი ქალებიც არ იქნებოდნენ ხელმოკლე ოჯახის წევრები.

საკმაოდ მრავლად გვხვდება მძივები და მძივსაკიდები, უმთავრესად პასტისა ან მინისა და თითო-ოროლა ქვისაც (სარდიონი, აქატი, გრანატი). არცთუ იშვიათია გალღობილი და ჭიქურისებრ მოქცეული ცისფერი თუ თეთრი ქვიერი მასის მძივებიცა და მძივსაკიდებიც, რაც სხვაგან ნაკლებ შეგვხვედრია. ცალკე აღსანიშნავია ცისფერი ფაქიზი ფაიანსის მედალიონისებრი, რელიეფურსახოვანი საკიდები, რომელთა მსგავსი საქართველოში სხვაგან არსად ვიცით: საერთოდ კი აქაური მძივები და მძივსაკიდები ტიპოლოგიურად არ გამოირჩევიან ჩვენში მრავლად ცნობილი, ადრეფეოდალური და აგრეთვე გვიანანტიკური დროის, მძივებისაგან. სულ სხვაა გალღობილი ქვიერი მასალისა და ფაიანსის სახოვანი მძივები და მძივსაკიდები: ჩანს, ეს ორი ტიპი ჩვენში სწორედ შუაფეოდალური ხანის კუთვნილებად უნდა მივიჩნიოთ.

სამკაულში. აქაც განსაკუთრებით, მრავალრიცხოვანია მინის სამაჯურები. ისინი სხვადასხვაფერი (შავი, ლურჯი, მწვანე, მოყვითალო, უფერული) მინისაგანაა ნაკეთები. არის სადა, დაკეჭნილი, დაკბილული და გრეხილი სამაჯურები. ტიპოლოგიურად ისინი სრულიად არ განირჩევიან დმანისში, თბილისში, უჯარმაში, ნადარბაზევსა თუ თეთრი წყაროს რაიონის ნასოფლარებში ამონათხარი მინის სამაჯურებისაგან.

ს ა მ ო ს ე ლ ი ს დ ე ტ ა ლ თ ა გ ა ნ აღსანიშნავია ბრინჯაოსა თუ სპილენძის რამდენიმე აბზინდა, რომლებიც უფრო ფეხსაცმლის შესაკრავებს („სახამლე აბზინდებს") უნდა წარმოადგენდნენ და ტიპოლოგიურად არ განირჩევიან ადრეფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელი აბზინდებისაგან. ეს შეიძლება



2



3

4



5

მოასწავებდეს ფეხსაცმლის ტიპისა და მისი შეკვრის წესის უცვლელობას საუკუნეთა განმავლობაში.

პირსაფარეშო საგნები წარმოდგენილია ზღვის რამდენიმე ნიჟარით, რომლებიც ფერ-უმარულის სალეს ლამბაქებად იხმარებოდა ჩვენში ანტიკური ხანიდანვე (მეტწილად სამარხებში გვხვდება).

სპილენძის მონეტები სულ 466 ცალია აღმოჩენილი, ოღონდ ამათგან 395 ერთად იყო განძის სახით, თითქოს ტყავის ტოპრაკში ჩაყრილი, წონით 9,2 კგ (ტაბ. XXXV, 2). განძი დაუფლავთ სათონეში, ჩანს, რაღაც დიდი საშიშროების მოლოდინში. მის უმეტესობას შეადგენს უწესურად მოჭრილი ფული. არის დიდრონი სქელი ფირფიტებიც, მათ შორის ზოგი სწორკუთხოვანი. განძის დიდ უმრავლესობას შეადგენს ქართული ფული, მოჭრილი ფეოდალური მონარქიის უზენაესი სიმძლავრის ხანაში. მასში წარმოდგენილია ყველა იმდროინდელი მეფე, დიმეტრე I-დან ვიდრე ლაშა გიორგიმდე. რატომღაც სრულიად არ გვხვდება რუსუდანის მიერ მოჭრილი მონეტები, რომლებიც ჩვენში საერთოდ ძალიან ხშირად ჩნდება. მაგრამ რომ განძში შემავალი ფულის გროვება გრძელდებოდა რუსუდანის მეფობის დროსაც, ამას გვამცნობს მასში გამორეული, ჩვენში მოჭრილი მონეტა მანგუ ყაენისა (1251—1259 წწ.). განძში არ შედის არც ერთი მონეტა, რომელიც შორეულ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობის შედეგად იქნებოდა ჩვენში მოხვედრილი. ნახევარი ფუთის ოდენობით სპილენძის ფულის ერთი ადამიანის ხელში თავმოყრა მაინც, მოასწავებს ამ ადამიანის გარკვეულ შეძლებულობას (ვაჭარი? ხელოსანი?), რაც არ უნდა ჩაითვალოს უჩვეულოდ რუსთაველ მოქალაქეთათვის. საყურადღებოა, რომ მონგოლთა პირველ შემოსევა-დამკვიდრებას არ შეუშლია ხელი აღებ-მიცემის და დოვლათის დაგროვებისათვის. ბუნებრივი იქნება, თუ განძის დაფელას დავუკავშირებთ ბერქა ყაენის ლაშქრობას, რამაც ააოხრა რუსთავი და, ჩანს, იმსხვერპლა, სხვა მოქალაქეებთან ერთად, ფულის დამმალავიც.

განძის გარდა, სხვა შენობათა ნანგრევებს შორის აღმოჩენილ იქნა სპილენძის 70 მონეტა. საერთოდ რუსთავის ნუმიზმატიკურ მონაპოვარში ყურადღებას იქცევს ქართველ მეფეთა მიერ მოჭრილი და შემდეგ ოკუპანტების დამღანაკრავი მონეტების სიმრავლე.

რუსთავის მონეტებს შორის ყველაზე უფრო ახალია მანგუ ყაენის სახელით თბილისში მოჭრილი ფული. ამიტომ ის გვაძლევს terminus ante guem-ს შესწავლილ ნაგებობათა კომპლექსის განადგურებისათვის, მით უმეტეს, რომ ეს მონეტა შედიოდა ზემოაღწერილ განძში. ყოველივე ეს კარგად შეესაბამება ვახუშტის ცნობას რუსთავის „ბერქას გამოსლვის ჟამს აოხრების" შესახებ (1262 წ.).

გათხრამ მართლაც გამოავლინა მქვირმეტყველი სურათი იმ უბნის შძინვარე მტრის მიერ აკლებისა. ყველა შენობა ჩანგრეული აღმოჩნდა, მათი ხის ნაწილები — დამწვარ-დანახშირებული. მცხოვრებლები სასწრაფოდ გაქცეულან ან ძალით გაურეკიათ და ამასობაში მათ თავიანთი სამკაული დაუბნევიათ. გვაქვს მძვინვარე ძალადობის მომასწავებელი რამდენიმე უტყუარი მოწმობაც: თავმოკვეთილი ახალგაზრდა ქალის ჩონჩხი იატაკზე (ტაბ. XXXIV, 2), შუბლგაჩეხილი კაცის ჩონჩხი მარცვლეულის შესანახ ორმოში, წინკარში ჩაკ-

ლული ძაღლის ჩონჩხი და სხვ. ყოველივე ეს აღნუსხულია ორი მეზობელი სახლის ნანგრევეთა შორის და, მაშასადამე, ასეთი ამოყლეტა აღებული ქალაქის მოსახელობისა (რაც საერთოდ წესად ჰქონდა მონგოლთა ლაშქარს) ნამდვილად საყოველთაო ყოფილა. საყურადღებოა შემდეგი დაკვირვებაც: ერთერთი სენაკის იატაკზე, ჯამ-ჭურჭლის ნალეწთან ერთად, აღმოჩნდა წითლად შეღებილი კვერცხების ნაჭუჭიც. საფიქრებელია, რომ ქალაქი გაზაფხულზე აუოხრებიათ, აღდგომა დღეებში. ესეც შეესაბამება ბერქა ყაენის ლაშქრობას, რაც გაზაფხულის წყალდიდობისას მომხდარა. ამრიგად, რუსთავის ნაქალაქარის არქეოლოგიური შესწავლის ერთერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი — ნაოხარი უბნის მქევრმეტყველი სურათის გამოვლენა — თან ადასტურებს მემატიანეთა ცნობას და თან თვით პოვებს ჯეროვან ახსნას ამ ცნობის საფუძველზე.

არანაკლებ საინტერესო და ისტორიულად შინაარსიანია არქეოლოგიურ მონაპოვართა კიდევ ერი ჯგუფი — ე პ ი გ რ ა ფ ი კ უ ლ ი ძ ე გ ლ ე ბ ი. სამი მათგანი წარმოადგენს საფლავის სტელას, რომლებზედაც სათანადო მოკლე წარწერებია ასომთავრული დამწერლობით ამოჭრილი (იხსენიება „საფლავი“ და „სამარხოჲ“ — ეს უკანასკნელი იხ. ტაბ. XXXIV. 3). დამწერლობა XI—XII საუკუნეებს მიეკუთვნება. ეს გარემოება აზუსტებს დმანისის ძველ სასაფლაოთა შესწავლის შედეგად გამოტანილ დასკვნას, თითქოს საქართველოში ქრისტიანულმა ეკლესიამ საფლავის ქვებზე წარწერა მხოლოდ მოგვიანებით, XV—XVI საუკუნეებში შემოიღო. ეპიგრაფიკულ ძეგლთა მეორე ჯგუფს შეადგენს სხვადასხვა დანიშნულების კერამიკული ნაწარმი, რომელზედაც იმგვარივე ასომთავრულით არის გამოყვანილი მოკლე წარწერები თუ სულაც ინიციალები. ასეთები გვხვდება: ბრტყელ კრამიტზე (ტაბ. XXXVII, 1), ქვევრის პირზე, ხელადაზე, ჭინჭილაზე და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ხელადაზე (ტაბ. XXXVII, 2) ამოკაწრული სიტყვა „თეფალე“ — სახელი რუსთაველი მოქალაქისა, რომელსაც ეს ჭურჭელი ჰკუთვნებია. შუა საუკუნეთა ქართულ ონომასტიკონს ერთი უცნობი სახელი ემატება.

რიგითი მოქალაქეების ყოველდღიურად სახმარ საგნებზე წარწერათა ასეთი სიხშირე, ჯერ ერთი, ხალხის საერთო წიგნიერებას მოასწავებს და, მეორეც, კიდევ ერთხელ უკუაგდებს თავის დროზე ნ. მ ა რ ი ს მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, თითქოს ქართული ასომთავრული მარტოოდენ საზეიმო-საეკლესიო დამწერლობა ყოფილიყოს. ამასთანავე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, დმანისისაგან განსხვავებით, რუსთავის მოსახლეობა ეროვნულად ნაკლებ ჭრელი და ბირთადად ქართული თუ არა, ქართულად მოუბარი მაინც ყოფილა.

რუსთავი შუაფეოდალური ხანის ერთადერთი ქალაქია საქართველოში, რომლის არქეოლოგიური შესწავლისას ითხრებოდა მისი იმდროინდელი ს ა ს ა ფ ლ ა ო ც. ამ სამაროვანმა მოგვცა მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ინვენტარი. დიდი მრავალფეროვნება იჩენს თავს დაკრძალვის წესსა და სამარხთა ტიპოლოგიაშიც. ერთ მცირე უბანზე მჭიდროდ მიჯრილი 25 სამარხიდან 19 ორმოსამარხი იყო, 5 — ქვისსამარხი და 1 — ალიზით ამოყვანილი სამარხი (პირველი ჩვენში). ზოგი ორმოსამარხი ფილაქვებითაა გადახურული. სამარხები შეტწილად ინდივიდუალურია და ამითაც განსხვავდება რუსთავისავე ადრეფეოდალური დროის კოლექტიური, ფილაქვით ნაგები სამარხებისაგან. ინვენტარი

აღმოაჩნდა 25-დან 12 სამარხს, უფრო—ქალებისას. იარაღის საკმაო სიმრავლეც დიდი თავისებურებაა ამ ქალაქური სამაროვნისა. იგი წარმოდგენილია რკინის სამნაირი ისრისპირებით, რომელთა შორის ერთი ბოძალია (ტაბ. XXXVI, 2, 3, 4); ხმლით, დანებითა და სალესავი ქვით. გვაქვს აგრეთვე ჭურჭლეული და სამკაული. ჭურჭლეული არის თიხისა,მინისა და ლითონისა. თიხის ჭურჭელში ყურადღებას იქცევს ორი პატარა მოჭიქული ჯამი და პატარა მოჭიქული „კალათი“ (ტაბ. XXXV, 8). საერთოდ მოჭიქული კერამიკა აქ პირველად გვხვდება შუა საუკუნეთა სამარხებში. ჯამები ტიპიურია XI—XIII საუკუნეთა ნამოსახლარებისათვის. ლითონის ჭურჭელი წარმოდგენილია თავისებური, „ჩაიდნისებრი“ სპილენძის სურით. მინის ჭურჭელში გამოირჩევა ტანეკლიანი, ქუსლმაღალი ფინჯანი (ტაბ. XXXV, 7), მრგვალმუცლიანი სანელსაცხებლე (ტაბ. XXXV, 6) და „ბოკალისებრი“ სასმისები. მინა ყავისფერია და თავისებური—შესაძლოა, თვით რუსთავში ნაწარმოები. სამკაული აქაც ყველაზე უფრო მრავლადაა და ნაირ-ნაირი. წარმოდგენილია: ყელსაბამთა შემადგენელი მძივები და მძივსაკიდები (სარდიონისა, მთის ბროლისა, ქარვისა, გიშრისა, ვერცხლისა, მინისა, ფაიანსისა, გამლღვარი ქვიერი მასისა, პასტისა — იხ. ტაბ. XXXVI, 3, ირგვლივ), ღვინჭილები და სხვაგვარი ავგაროზები (მაგ., დამუჭული ხელის გამოსახულება პასტისა) და აგრეთვე სპილენძის გახვრეტილი მონეტები (გიორგი III-სა), რომელნიც დანამდვილებით ათარიღებენ სამარხებს XII საუკუნის მიწურულითა და XIII საუკუნის დამდეგით. ბეჭდების უმეტესობა სპილენძისა თუ ბრინჯაოსია; არის თვალბუდიანიცა და ფარაკიანიც; ერთერთის ფარაკზე ჯვარია ამოკაწრული, სხვებზე — სხვადასხვა მარტივი გამოსახულება; გემმიანა თვლები არა გვაქვს და ეს შუა საუკუნეთათვის ჩვეული რამ არის. ყურადღებას იქცევს ბრინჯაოს ერთი ბეჭედი, რომელსაც, ზემოაღწერილი ოქროს საყურის მსგავსად, ჭვირული ბურთობები ასხია. ეს ტიპოლოგიური დამთხვევა ოქროსი და იაფფასიანი სამკაულისა საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ოქროს საყურის ადგილობრიობას მოწმობს. სამაჯურები მარტივია, სპილენძისაც და რკინისაც. განსაკუთრებით საინტერესო ისაა, რომ სამარხებში მინის 12 სამაჯური აღმოჩნდა, ყველა მთელი (ნიმუშები იხ. ტაბ. XXXVI, გ, ე, ზ). მათ მოეპოვებათ ტიპოლოგიური ორეულები შენობათა ნანგრევებში აღმოჩენილ ნამტვრევთა შორის. აქ კიდევ უფრო დადასტურდა ამ ტიპთა ვიწროდ შემოფარგლული ხნოვანება—XII—XIII სს. საკინძი ერთადერთი აღმოჩნდა, სპილენძისა, მარგალიტისთავიანი. ღილები საკმაოდ ბევრი იყო: პასტისა და სპილენძისა, მრგვალ-ბრტყელი, ბურთულაყუნწიანი, რომელიც საერთოდ შუა საუკუნეთა დამახასიათებელია ჩვენში (ნიმუშები იხ. ტაბ. XXXVI, ა, დ).

როგორც ვხედავთ, რუსთავის ამ სამაროვნის გათხრა-შესწავლამაც ბევრი რამ საყურადღებო მოგვაწოდა — კერძოდ, ნამოსახლართა თხრისას აღმოჩენილთა შესაბამისი საგნები, აქ უკვე მთელ-მთელად შემონახული. მეორე მხრივ, გვაქვს ნამოსახლარებში უცნობი საგნები, რომლებიც ავსებენ XI—XIII სს. რუსთავის მოსახლეობის ნივთიერი კულტურის სურათს.

ამრიგად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქალაქს საკუთარი კერამიკული და მინის წარმოება ჰქონია; ჩანს, რომ ქალაქის მოსახლეობაში გაცხოველებით უტრიალია ფულს; შესაძლებელია, რომ ის შენობები, რომლებშიც მრავლად

აღმოჩნდა ფული, ვაჭრობა-ხელოსნობის მიმდევარ მოქალაქეებს ეკუთვნოდა; თან ისიც ცხადია, რომ მოქალაქეთა დიდი ნაწილი მაინც მისდევდა მიწათმოქმედებას, რასაც დიდად შეუწყობდა ხელს კარგად მოწყობილი სარწყავი სისტემა, წყლის სიუხვე. მიწათმოქმედების დარგებიდან თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი მემარცვლეობა, მევენახეობა-მებაღეობა, მებოსტნეობა, მეცხოველეობა (მსხვილფეხა რქოსანი, ცხვარი, ღორი) და მეფრინველეობა, ხოლო აქაიქ აღმოჩენილი ფხა-ძვლები მონადირეობა-მეთევზეობაზეც მიგვითითებენ (ირემი, ტახი, მტკვრის თევზი). მეურნეობა-საქმიანობის ასეთი ნარევი ხასიათი ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს შუა საუკუნეთა ქალაქისათვის, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი, არსებითად, წარმოადგენს ციხე-დარბაზის ირგვლივ გაზრდილ სამოსახლოს, ასე ვთქვათ, „ცალი ფეხით მიწათმოქმედებაში მდგარს“.

რუსთავის არქეოლოგიური შესწავლის შედეგად გვექმნება საერთო შთაბეჭდილება ქალაქის მოსახლეობის ნივთიერი კეთილდღეობისა და კულტურის საკმაოდ მაღალი დონის შესახებ. კიდევაც რომ ცალმხრივი იყოს ეს შთაბეჭდილება (რაკი ჯერ ძალიან მცირე ნაწილია გათხრილი), ის მაინც ითქმის, რომ იმ დროს, ყოველმხრივ დიდად დაწინაურებულ ქართულ ფეოდალურ სახელმწიფოში არც უნდა ყოფილიყო მოულოდნელი, თუ ჩვეულებრივი მოქალაქეებიც შედარებით ღონიერი იქნებოდნენ ნივთიერად. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ, მონეტების შემადგენლობის მიხედვით, ასეთი ვითარება გრძელდება ხვარაზმელთა ხანმოკლე ბატონობისა და მონგოლთა პირველი შემოსევების შემდეგაც, ბერქა ყაენის ლაშქრობამდე.

თ ბ ი ლ ი ს ში ჯერჯერობით ორი საწარმოო უბნის მცირე ნაწილის გათხრა-შესწავლა მოხერხდა.

ის კერამიკული საწარმო, რომლის ნაშთებიც ითხრებოდა 1948—1949 წლებში, უშუალოდ მიშენებული ყოფილა ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ზღუდეზე, მტკვრის მარჯვენა ნაპირას, მდინარის მახლობლად, დედაციხის ძირობაზე დაფენილი სამოსახლოს განაპირას. ზღუდის ერთერთი შიდა, სწორკუთხოვანი ბურჯის ფუძესთან (სახელოსნოს იატაკის დონეზე) მოიკრიბა XIII საუკუნის რამდენიმე ქართული მონეტა. ამრიგად, სახელოსნოს გვერდით გვაქვს იმდროინდელი ქალაქის ზღუდის ერთი მცირე ნაწილიც, რომელიც მკაფიოდ განსხვავდება გვიანფეოდალური ხანის ზღუდე-კოშკებისაგან.

სახელოსნო ერთბაშად დანგრეული და ცეცხლისაგან გადამწვარი ჩანს. მის მახლობლად აღმოჩნდა ჩონჩხი ადამიანისა, რომელსაც ჯიბეში სდებია 133 სპილენძის მონეტა (XII—XIII სს. ქართული ფული, შეტწილად რუსუდანისა, აგრეთვე ჯალალედინის დამღანაკრავიც). ადამიანის — საფიქრებელია, ხელოსნის — ასე დაღუპვის გარემოება აძლიერებს შთაბეჭდილებას, რომ დედაქალაქის ამ უბანსა და, კერძოდ, მასში მდებარე სახელოსნოს მძიმე განსაცდელი გადახდომია. ყველაზე უფრო ბუნებრივი იქნება წარმოდგენა, რომ იგი უმსხვერპლია მონგოლთა ერთერთ შემოსევას. ამ მხრივ საყურადღებოა ექსპედიციის ნუმიზმატიკური მონაპოვრის შემადგენლობა: მასში არ მოიპოვება არც ერთი მონგოლური თუ შათ მიერ დამღანაკრავი ჩვენებური მონეტა. სახელოსნო დამწვარა მას შემდეგ, რაც მტერს ქალაქის ზღუდე გადმოულახავს და ნაწილობრივ ეგებ დაუნგრეია კიდევაც, ხოლო ასეთ შემოკრას, ჩვეულებისამებრ,

ხანძარი და მოქალაქეთა ელეტა მოჰყოლია თან. ისევე როგორც რუსთავში, აქაც ქალაქის აღება-აკლების მანიშნებელ არქეოლოგიურ დაკვირვებასთან გვაქვს საქმე.

უეცარ განადგურებასა და გადაწვას, რუსთავის მსგავსად, აქაც ძლიერ შეუწყვია ხელი ჩვენთვის საყურადღებო ნაშთების მრავლად და მთლიანად შემონახვისათვის. ჭურჭლის გამოსაწვავი ჭურები იმგვარად იყო შემორჩენილი, რომ საკმაოდ ადვილი შეიქნა მათი თავდაპირველი სახისა და სახელოსნოში თავის დროზე მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესის წარმოდგენა. გამოვლენილ იქნა დიდძალი ნიმუში მზა ნაწარმისა, ნახევარფაბრიკატისა (მაგალითად, რამდენიმე ადგილას დასტა-დასტა დალაგებული, სრულიად გამოუწვავი, ან გამომწვარ-მოხატული და ჯერ მოუჭიქავი ჯამები), წუნდებული ნაწარმისა, ნედლეულისა (საჭიქურე ფხვნილი, კაჟის კენჭები, სპილენძის ანაფხეკები და სხვ.) და თითო-ოროლა ხელსაწყო-იარაღისა (ქვასანაყი, ხელსაფქვავები, სასწორი და სხვ.). გადანაყარის უზარმაზარი გროვა მოწმობდა, რომ საწარმოს დიდხანს და ინტენსიურად უმუშავნია.

სახელოსნოს იატაკზე მიმობნეული ფულის აღმოჩენა შეიძლება იმასაც მოასწავებდეს, რომ მეჭურჭლეებს იქვე გაუყიდიათ ხოლმე თავიანთი ნაწარმი. მით უმეტეს ითქმის ეს ჯიბესა თუ ქისაში ჩარჩენილი 133 მონეტის შესახებ.

თბილისის მუზეუმებში მრავლადაა დაცული ძველი ქალაქის სხვადასხვა კუთხეში შემთხვევით აღმოჩენილი კერამიკა, რომელიც ზედმიწევნითა ჰგავს სახელოსნოს ნანგრევთა თხრისას მოკრებილს და, თუ მთლად არა, ნაწილობრივ მაინც, ალბათ სწორედ ამ სახელოსნოშია დამზადებული. ვარაუდით იგივე შეიძლება ითქვას თბილისის შორიახლოს შემთხვევით აღმოჩენილი ასეთი კერამიკის შესახებ, გარდა დმანისისა და რუსთავისა, სადაც საკუთარი წარმოებაა საგულისხმებელი. გამოთქმულია აზრი, რომ შესაძლოა სამშვილდეშიც ყოფილიყო კერამიკული საწარმო, რომელიც მოჭიქული ჯამ-ჭურჭლით მოამარაგებდა მახლობელ სოფლებს.

სახელოსნოში სულ გამოვლენილ იქნა 7 ქურის ნაშთი (სამი მათგანი იხ. ტაბ. XXXVII, 4). ქურები ნაწილობრივ იატაკქვეშ იყო ჩადგმული. ქვედა ნაწილი ყველას მსხლისებრი მოყვანილობისა ჰქონდა; ზედა, უდიდესი — მრგვალი. კედლები ამოყვანილი იყო ქართული ალიზითა თუ აგურით, ძირები — კლდის ქვებით. ქურათა აგებულების საყურადღებო თავისებურებას წარმოადგენს კედელში რადიალურად, დონე-დონე დატანებული, გამომწვარი თიხის გრძელი, მრგვალი და წვეტიანი სოლები, რომლებზედაც გამოსაწვავი დიდრონი ჭურჭელი ლაგდებოდა, ხოლო ყურიანი — ორმაგი კაკვებით ჩამოიკიდებოდა.

განათხარ ქურებს აღნაგობის მხრივ საკმაოდ მახლობელი ანალოგიები უჩანთ საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში „ქართული ქურების“ სახით, რომლებიც, როგორც ადგილობრივი ძველი ტიპი, უპირისპირდებიან ახალ, „რუსულ ქურებს“. ეთნოგრაფიული პარალელებივე გვამცნობენ, რომ ამ 7—8 საუკუნის წინანდელ სახელოსნოებში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესი უეჭველად მაღალ დონეზე ყოფილა და მას შემდეგ არც „ქართულ ქურებში“ და არც მათზე მომუშავე ოსტატების საწარმოო ჩვევასა და ტექნიკაში

ბევრი არა შეცვლილა რა ბოლო ხანებამდე. კერძოდ, უნდა აღინიშნოს ღრმა ორმოები, რომლებშიც, ჩანს (ისევე როგორც ამჟამად), მოზელილ თიხას ინახავდნენ ნედლად და „ამწიფებდნენ". ცალკე აღსანიშნავია აგრეთვე კერამიკული წყალსადენი სახელოსნოში.

ერთერთი ჭურის ძირას ჩარჩენილი ნახშირი ფიქვისა გამოდგა და ფიქვის შეშა კი ახლაც საუკეთესოდ ითვლება სწორედ მოჭიქული ჭურჭლის გამოსაწვავად. ამრიგად, საქმე უნდა გვქონდეს მოჭიქული მხატვრული კერამიკის მკეთებელ სახელოსნოსთან, სადაც, თუკი გვხვდება მოუჭიქავი, უფრო ოსტატების მიერ ყოველდღიურად სახმარი ჭურჭელი ჩანს და არა გასაყიდად გაკეთებული. ქურებსა და მათ შემცველ მცირე ნაგებობათა შორის, ხშირად შიგაც, თითქმის ყოველ ნაბიჯზე ჩნდებოდა: კერის ნაშთები; სადღარი თუ შესანახი დიდრონი ჭურჭელი; მომცრო, სათბურიან-საქარიანი თონეები; შინაურ ცხოველთა (ცხვრის, ღორის, მსხვილფეხა რქოსნის) ძვლები და მთელ-მთელი ჩონჩხებიც, რაც გვაფიქრებინებს, რომ ხელოსანთა ამხანაგობა სამუშაო ადგილასვე ჰამდა პურს.

მოჭიქვა უწარმოებიათ ორივე წესით: თხევად ჭიქურში ამოვლებითაც და ფუნჯით წასმითაც. გამოყენებულია უფერული გამჭვირვალე ჭიქურიცა და ფერადი გაუმჭვირვალეც. გამჭვირვალეს ხმარობდნენ ანგობზე მოხატული ჭურჭლებისათვის. ფერად ჭიქურებში უხშირესია ფირუზისფერი. არის მწვანეც, მოყავისფრო-სოსანიც და სხვ.

საკმაოდ ბევრია ფაიანსის ნატეხები, ცოტაა ლუსტროვანი ფაიანსისაც. მოხატული ჭურჭელი საერთოდ უმეტესობას შეადგენს. თვალში საცემია ორნამენტისა და გამოსახულების (ცხოველები, ფრინველები) საერთო დიდი მსგავსება დმანის-რუსთაველის კერამიკასთან, თუმცა სხვაობაც საკმაოდ მკაფიოდა ჩანს. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მრავალფერად მოხატული და გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული ჯამები (ტაბ. XXXVII, 5, 6, 7) და ერთიც ფისფერჭიქურიანი ფაიანსის ზედა ნაწილი, რომელიც გვირგვინოსანი ქალის თავ-ყელს გამოხატავს (ტაბ. XXXVII, 8).

გარდა ტექნიკური მხარისა, მაღალ დონეზე დგას აგრეთვე წარმოების მხატვრული მხარე: ჭურჭლის მოყვანილობა-პროპორციებშიც, ჭიქურის ფერებსა და ელფერებშიც, მრავალფერადთა შეხამებაშიც, მოხატულობასა და ორნამენტშიც ჩანს დახვეწილი გემოვნება, ხალისიანი და კარგი ფანტაზია. ესეც უნდა მივიჩნიოთ ერთერთ მკაფიო, ნივთიერ გამოხატულებად ყოველმხრივი კულტურული აღმავლობისა, რომელსაც საქართველო იმ ხანაში განიცდიდა. ძველისძველი ტრადიციების განვითარება-გამდიდრების გზით. ეს მით უმეტეს საცნაურია, რომ, შედარებით მცირერიცხოვანი ფაიანსისა და ლუსტრიანი ნაწარმის გამოკლებით, სახელოსნოს ნანგრევთა შორის აღმოჩენილი, მოჭიქული წითელკეციანი კერამიკა წარმოადგენს ჩვეულებრივ საოჯახო ჭურჭელს, უბრალო მომხმარებლისათვის განკუთვნილსა და ადვილად მისაწვდომს. ამას გვანიშნებს თვით ჭურჭლის რაგვარობა: სხვადასხვა ზომის, საკერძე და სასმისი ჯამები; პატარა ნიკარისებრი ჭრაქები; მრგვალი სამარილეები; იშვიათად — ხელადები და ქილები, „საყვავილე ქილები" და სხვ. ამგვარი კერამიკა ნამ-

დვილად საყოველთაოდაა გავრცელებული იმდროინდელ ნაქალაქარებშიცა და ნასოფლარებშიც.

ქურათა შორის და მახლობლად მრავლად აღმოჩნდა მზა თუ სანახევრად მზა სამშენებლო კერამიკის ნიმუშებიც: მოჭიქული ბრტყელი კრამიტი (დამახასიათებელი „სამყურა ყვავილის“ რელიეფური გამოსახულებით შემკული), ასეთივე ღარისებური კრამიტი და სხვადასხვა ზომა-მოყვანილობის შორენკეცული დეტალები, რომელთაც ხშირად მოთეთრო ფაქიზი კეცი აქვთ. მოჭიქული კრამიტით დაბურულ იმდროინდელ ნაგებობათა ნიმუშებად შეგვიძლია დავასახელოთ: თბილისისავე „ლურჯი მონასტერი“ და ოშკისა და იშხანის, X — XI საუკუნეთა ტაძრები. რაც შეეხება „ყვავილიან“ კრამიტსა და მოჭიქულ შორენკეცულ დეტალებს, ისინი დიდადაა გავრცელებული, განსაკუთრებით თბილისის სამხრეთით მდებარე მხარეში.

წარმოების გადანაყარის გროვიდან მრავლად ამოიკრიბა მინის სხვადასხვა ნაწარმის (მომცრო, ზოგჯერ ფაქიზი ჭურჭლის, ნაირფერადი სამაჯურებისა და სხვ.) ნამტვრევი. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ იქვე ახლოს მინაც უკეთებიათ.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ამ განათხარმა თვალწინ გადაგვიშალა ნივთიერი დოკუმენტის უშუალო მწარმოებელთა ერთერთი ჯგუფის, მეთუნეხელოსნების, მოჭიქული ჭურჭლისა და საშენი მასალის გამომწველთა ყოველდღიური საქმიანობა და ყოფა; ხელშესახები გახადა ფეოდალური თბილისის წვრილი სასაქონლო წარმოების ერთერთი კერა, რომელიც ფეოდალური, ძირითადად ნატურალური მეურნეობის პირობებში საკმაოდ მრავალრიცხოვან მომხმარებელს ემსახურებოდა.

მეორე ასეთი კერის — უკვე ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ ზღუდესთან გამართული კერამიკული საწარმოს არსებობას გვანიშნებს 1956 წელს ანჩისხატის მიდამოებში აღმოჩენილი დიდძალი ნამტვრევი მხატვრული მოჭიქული ჭურჭლისა და გამოსაწვავ ქურათა სხვადასხვა ნაშთებისა. აღსანიშნავია ერთი ჯამი, რომელზედაც ჯაჭვის პერანგითა და ჩაფხუტით აღჭურვილი მეომარია გამოხატული და რომლის მსგავსიც მანამდე თბილისში არ ყოფილა ცნობილი (დმანისში იყო მხოლოდ). ყურადღებას იქცევს აგრეთვე ოქრომჭედლის ხელსაწყოს — პატარა ტიგელის ანუ „ბუთას“ (რომელზედაც ოქროს წვეთებია შეყინული) აღმოჩენა, რაც სათანადო სახელოსნოთა ნაშთზეც მიგვითითებს.

უჯარმის დედაციხის არქეოლოგიურმა თხრამ საკმაოდ ბევრი რამ გამოავლინა ჩვენთვის საინტერესო ხანისაც, თუმცა იმ დროისათვის უჯარმა აღარ წარმოადგენს ქალაქს, დიდ სოფლადაა ქცეული და სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას მხოლოდ თვით ციხე ინარჩუნებს.

ციხე-გალავნის პირველად ნაგებობათა ნანგრევზე დანაშენი განსაკუთრებით ამჟღავნებს იმ მძაფრ კონტრასტს, რომელიც ადრეფეოდალური და შუაფეოდალური დროისათვის დამახასიათებელ მშენებლობის წესებს შორის ყოფილა საქართველოში:

ა) ძველი კოშკები და ბურჯები მკაცრად სწორკუთხოვანია, შერმინდელი კი ან საერთოდ ნახევარწრიული თუ კონუსური, ან წიბოებმომრგვალებული.

ბ) ძველი კედლების წყობაში დიღაბი თავშეკავებითაა გამოყენებული და პერანგი წესიერად გამოჭრილი, პარალელურად ნაწყობი კვადრებისაგან შედგება, მერმინდელში კი დიღაბი აშკარად ჭარბადაა ნახმარი, ხოლო წყობა დიდრონი, უსწორმასწოროდ მონატეხი ქვებისაგან შედგება. ასეთია შუა და გვიანფეოდალური საქართველოს ყველა ციხის კედლების წყობა.

რამდენსამე ადგილას შევსებულ-შეკეთებულია თვით ზღუდეც, რომელსაც, ჩანს, მთლიანობა იმდენად დარღვეული ჰქონია (არაბთა ლაშქრობის შედეგად, X საუკუნეში), რომ ციხე ციხეობას ვეღარც გასწევდა.

მაგრამ მეორედ მშენებლები ამას არ დასჯერებიან: ზედაციხე ორ ადგილას გარდიგარდმო გადაუზღუდავთ ქვითკირის კაპიტალური კედლებით, სრულიად გაუთიშავთ ზედაციხის დასავლეთი მესამედი, რომელშიც ძველი, ადრეფეოდალური დროის სასახლის ნანგრევია გამოვლენილი და შეუკეთებგადაუკეთებიათ ეს უკანასკნელი, სენაკთა შორის დატანებული ზოგი კარი ამოუქოლავთ, ერთერთ სენაკში მარანი მოუწყვიათ, ეზოში მცირე თონე-კერები გაუმართავთ, ისევე როგორც „ჯვარი პატიოსნის“ ტაძრის ეზოში და აგრეთვე ქვედაციხის თითქმის ყველა კოშკში.

ყოველივე ამას თან ახლავს კერამიკითა და სხვა საგნებით მდიდარი კულტურული ფენა, რომელიც შედარებით ნაკლებ არის დარღვეული და ამიტომ გაცილებით უფრო სრულ სურათს გადაგვიშლის თვალწინ, ვიდრე ძველი ფენა, რომელიც ნაწყვეტების სახითაა წარმოდგენილი, სწორედ შუაფეოდალურ ხანაში გაცხოველებული მშენებლობის გამო.

შუაფეოდალური ხანის ფენის სიმძლავრე და ფართო გავრცელება იმას მოასწავებს, რომ დედაციხე ამხანად კვლავ ხანგრძლივ დასახლებული ყოფილა.

განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი და მეტყველია ამ ფენის კერამიკა (ჯამები, ქოთნები, დოქები და ხელადები, ჭრაქები და სხვ.), თითო-ოროლა ფაქიზი ფაიანსის ნატეხიცაა, გამოერევა ე. წ. „სინდიყის ჭურჭლის“ ნატეხი (ასეთი ჭურჭლები გვაქვს დმანისშიც, რუსთავშიცა და თბილისშიც). თითქმის სრულადაა წარმოდგენილი ზემოგანხილულ ნაქალაქართათვის დამახასიათებელი ჭურჭლეული. საკმაოდ მრავლადაა მინაც: სასმისები, ფლაკონები და, განსაკუთრებით, ფერადი სამაჯურები. ეს უკანასკნელი გარემოება იმას მოასწავებს, რომ იმ დროს დედაციხეში მრავლად და მკვიდრად უცხოვრიათ ქალებსაც და, მაშასადამე, მეციხოვნენი ოჯახებიანად ყოფილან კოშკებში დაბინავებული. ამასვე მოწმობს კერა-თონეებისა და სათბურების სიმრავლე სასახლის ეზოშიცა და ქვედაციხის კოშკებშიც. იარაღი ერთადერთი რკინის ბოძალითაა წარმოდგენილი.

სასახლის ეზოში ნაპოვნ ღარისებრ კრამიტზე რელიეფურად გამოყვანილია სამი ქართული მთავრული ასო. ზედაციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილია სამი მონეტა (შუაფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელი კერამიკისა და სხვა საგნების თანხლებით): თამარის სპილენძის ფული, რუსუდანის დრაქმა, 1230 წელს მოჭრილი, და XI—XIII სს. „სელჯუკური“ ტიპის ფული. ამრიგად, მტკიცედ დასტურდება სათანადო ფენის მიკუთვნება სწორედ XII — XIII საუკუნეებისათვის.

1

2

3

5



4

6

7



8

ამავე ხანისაა თვით სოფლის მიდამოებში გათხრილი რამდენიმე ქვისსამარხი. ზოგ სამარხში აღმოჩნდა: ბრინჯაოს მარტივი სამაჯურები, ბეჭდები და ყუნწიანი ბურთულა ღილები; მინის სამაჯურები. ამ ინვენტარს პარალელები უჩანს უჯარმისავე დედაციხეში (მინის სამაჯურები), რუსთავის სამარხებში (ორივენაირი სამაჯურები, ბეჭდები, ღილები) და სვეტიცხოვლის გალავანში გათხრილ საოჯახო ქვისსამარხში (მინის სამაჯურები, ღილები), რომელიც ვერ იქნება ტაძარზე (XI ს.) ადრინდელი, რადგან ზედაა მიშენებული.

სოფლები და პროვინციული საწარმოები. ფეოდალური საქართველოს ძირითადი მწარმოებელი კლასის, მიწათმოქმედი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში ჩაგვახედა ნ ა ს ო ფ ლ ა რ თ ა არქეოლოგიურმა შესწავლამ. მარტო ისტორიული ქვემო ქართლის ერთი კუთხის, თ ე თ რ ი წ ყ ა რ ო ს რაიონში ორასიოდე ნასოფლარია აღრიცხული. ჩვეულებრივ, ისინი საკმაოდ დიდ სამოსახლოებს წარმოადგენენ. გათხრა შეეხო ნაშენებსა და, მცირედ, ნადარბაზევს. ეს უკანასკნელი სხვებზე პატარაა, რადგან, ეტყობა, იქვე ახლოს მდგარი სასახლის მომსახურეთა მცირე სამოსახლოს წარმოადგენდა და არა სულ სოფელს.

სოფლებში მდგარა ქვის სახლები. ყოველ სახლს თავისი ეზო, კალო, საბძელი და ბოსელ-გომურიც ჰქონია. სოფელში ისეთი გზები ყოფილა, რომ ურმებსაც შესძლებოდათ სიარული. სოფლელებს წყაროს წყალი ზოგჯერ შორიდანაც გამოუყვანიათ თიხის მილებით. ყოველ სოფელში თითო ეკლესია მაინც მდგარა. შესწავლილთაგან ბევრ სოფელს ადრევე — ეგებ მონგოლების შემოსევათა შედეგადაც კი — შეუწყვეტია არსებობა.

სახლები შედგებოდა თითო ან რამდენიმე სენაკისაგან, რომელთა შორის ყოფილა სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულების სენაკებიც. როდესაც სენაკი რამდენიმე იყო, სახლს გარედან ან ორი შესასვლელი ჰქონდა, ან თითო სენაკს — თითო. გვიანფეოდალური დროის სოფლებთან შედარებით, შუაფეოდალური დროის სოფლებში უფრო მრავალსენაკიანი სახლები ყოფილა. სახლებს აშენებდნენ ანდეზიტ-ბაზალტის დიდი, ტლანქად მოჭრილი ლოდებით, რომლებიც მშრალადაა ერთიმეორეზე დაწყობილი (არქაულ, „ციკლოპურ“ ნაგებობათა მსგავსად).

გლეხის სახლ-კარი შედგებოდა ეზოსა და რამდენიმე (მაგ., ხუთი) სენაკისაგან. ერთი ამათგანი წარმოადგენდა დარბაზს, რომლის შუაგულში იყო ირგვლივ ქვებშემოწყობილი კერა. მეორე, გრძელი სენაკი სახვასტაგოს წარმოადგენდა, მაგრამ შიგ საქონელს გარდა ადამიანებიც ყოფილან ხოლმე, რასაც მოწმობს აქა-იქ მოწყობილი კერები და პატარა თონე-სათბურები (რომელთა მსგავსიც უჯარმის ციხის კოშკებში მოიპოვება). მესამე იყო საკუჭნაო, რომელშიც მარცვლეულის შესანახი ორმოები ჰქონდათ მიწაში ამოჭრილი, შუაში კერა ყოფილა, ხოლო ერთერთ კედელთან — პატარა თონე-სათბური. მეოთხე წარმოადგენდა სათონეს, ხოლო მეხუთე — მარანს, რომელშიც ქვევრებს გარდა ჩადგმული ჰქონიათ სათბური. მარანი და ქვევრები გვაფიქრებინებს, რომ ქციისა თუ ჭიეჭიეის ღრმა ხრამთა ძირობაზე მაინც ექნებოდათ ვენახები.

სახლი ერთსართულიანი და ბანიანი ყოფილა და ეგებ მხოლოდ შუათანა, მთავარი სენაკი იყო ხოლმე დარბაზულად გადახურული. სახლს წინ ჰქონია დერეფანი.

სოფლელებს მრავლად უხმარიათ მოჭიქული თიხის ერთფეროვანი და იშვიათად მრავალფეროვანი ჯამები და ფიალები. მათ ორნამენტში მარტივი სახეები ჭარბობს და არა ჩანს ფრინველთა თუ ცხოველთა გამოსახულება. უმეტესობას კი მაინც წითელი თიხის მოუჭიქავი ჯამები, ფიალები, ხელადები, დოქები, ქოთნები და სხვა მისთანანი შეადგენენ. ყველა ნასახლარში ხშირია ნაირფერადი მინის სამაჯურთა ნამტვრევი. ამ მხრივაც საყურადღებო პარალელია უჯარმის კოშკების კულტურულ ფენებთან. აშკარა ხდება, რომ ეს სამაჯურები სრულიადაც არ შეადგენდა მხოლოდ ქალაქელი ქალების კუთვნილებას და რომ ისინი სამკაულის ერთი ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული გვარი ყოფილა. ეს დაკვირვებაც ცხადყოფს, თუ რა ძლიერი სტიმული უნდა ჰქონოდა იმდროინდელ ქალაქებში ხელოსნური წარმოების სათანადო დარგთა განვითარებას. უამრავი ძვალი ცხადყოფს, რომ იმ სახლებში მცხოვრებთ მრავლად ჰყოლიათ მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი თუ ფრინველი.

განათხარი მასალა ძირითადად XI — XIII საუკუნეებით ათარიღებს ნაგებობებს, მაგრამ რამდენიმეგზის დასახლებულობაც შეგვიძლია ვივარაუდოთ.

თეთრი წყაროს რაიონის ნასოფლარებში შესწავლილი გლეხის სახლი განვითარებული სოფლის მეურნეობის შედეგად წარმოქმნილი ერთეულია. მაშინდელი მოსახლეობა იქ უმთავრესად მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას მისდევს და ამას ხელს უწყობს იმ კუთხის ბუნებრივი პირობებიც. იმ ხანაში მაინც, სოფლის მეურნეობა დამოუკიდებლად კი არ ვითარდება, არამედ ხევში შემავალი სოფლების მთელ მეურნეობასთან ერთად და ეს განსაზღვრავს მის წამყვანობასაც და მოცულობასაც. ფეოდალური სოფელი განვითარებული ტიპის სამოსახლოა, ხალხის მრავალსაუკუნოვანი ბინადრობის შედეგი, მით უმეტეს, რომ იმ კუთხეშიცა და საერთოდ ქვემო ქართლშიც არქეოლოგიურად აღრიცხული და შესწავლილია დიდძალი ნაშთები შუა საუკუნეთა წინარე ხანის მოსახლეობისა. რაც შეეხება „ხევს“, როგორც ერთეულს, ამ მხრივ დიდად საყურადღებო ჩანს მცირე ეკლესიის წარწერა (სოფ. დაღეთთან), რომელშიც იხსენიება ვინმე „ქობულ ხევისუფალი“, იმ ეკლესიისა და „კარკნალაჲს წყაროს“ „მქნელი“.

ლ ო ჭ ი ნ ი ს ხევის თავზე, ვაზიანის მიდამოებში, სამგორის ვაკის გამაგრძელებელსა და ისევე უდაბურ ველზე მიკვლეულ ნასოფლარში გაითხარა ორსენაკიანი სახლის ნაშთები. თეთრი წყაროს ნასოფლართაგან განსხვავებით, აქ კედლები ამოყვანილი იყო ნატეხი ქვითა და მოზელილი თიხით. გამოვლენილ იქნა თიხის ჭურჭელი (ქვევრების, ჯამების, დოქ-ხელადებისა და სხვ. ნამტვრევი), რომელთა შორის სრულიად არ ჩანდა მოჭიქული, და ეს გარემოება, ისევე როგორც მინის სამაჯურთა არარსებობა, ეგებ რამდენადმე უფრო ადრინდელ ხნოვანებასაც კი მოასწავებდეს, ერთიცა და მეორეც საყოველთაოდ ვრცელდება სწორედ შუაფეოდალურ ხანაში. ყურადღებას იქცევს წითელპრიალა თი-

ხის პატარა, უყურო ჭინჭილა, რომელსაც ყელზე ამოკაწრული აქვს ორი ქართული მთავრული ასო. ნაპოვნია აგრეთვე თიხისაგან გამომწვარი, ბურთისებრი ჩანჩხურა — ბავშვის სათამაშო.

ბოლო ხანებში დაიწყო შესწავლა შუა საუკუნეთა ნასოფლარების კიდევ ერთი ჯგუფისა. ეს არის მრავალრიცხოვანი, მიწით მხოლოდ სანახევროდ დაფარული ნანგრევი ბორჯომის ხეობაში, უმთავრესად ისტორიულ თ ო რ შ ი (ბაკურიანი—თორი—ციხისჯვარი და სხვ.) და აგრეთვე ლ ი კ ა ნ ი ს მიდამოებში. ქვემო ქართლის ნასოფლართა მსგავსად, თორშიც ნაგებობათა კედლები ამოყვანილია ანდეზიტ-ბაზალტის დიდრონი მშრალად ნაწყობი ლოდებით. მსგავსება ჩანს სახლ-კარის განლაგებასა და აღნაგობაშიც, მაგრამ არის განსხვავებაც: თონე ფილაქვებითაა ამოყვანილი, მარცვლეულის ორმოები კირითაა შიგნით ამოლესილი და სხვ. ყველაზე უფრო არსებითი ის განსხვავებაა, რომელიც სახლ-კარის შუათანა შენობის აღნაგობაში იჩენს თავს: ეს არის სხვებზე უფრო მცირე ფართობის მქონე, მაგრამ შემაღლებული, მრგვალი ან მომრგვალო სენაკი, რომელსაც ფილაქვებითა თუ ბრტყელი ლოდებით ამოყვანილი გვირგვინი ახურავს თავზე. თეთრი წყაროს რაიონის ვერც ერთ ნასოფლარში ამგვარად გადახურულსა და ასე მკაფიოდ გამოყოფილ უჯრედს ვერ დავინახავთ ეს გვირგვინიანი მრგვალი ფსევდოარქაული ნაგებობა თორი-ბორჯომის რაიონის ნასოფლართა თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ (ერთხანს ეს ნაგებობანი მართლაც ძალიან ძველი ეგონათ).

ლიკანის ნასოფლარის ერთერთი სახლის ნანგრევის თხრისას მრავალი ამოდიოდა ცხოველთა ძვლები, აგრეთვე ტლანქი საშინაო კერამიკული ჭურჭლის (კოკა, დოქი, ხელადა, კეცი) ნატეხები, რომელთა შორის გამოერია ორიოდე მოჭიქულიც.

თეთრი წყაროს რაიონშიც, ლოჭინშიცა და თორი-ლიკანის რაიონშიც სახლები უცბად განადგურებული და დამწვარ-ჩაქცეული კი არა ჩანს, არამედ გულდაგულ დაცლილი და ისე მიტოვებული. შიგ ნაცხოვრებ გლეხკაცებს თან წაუღიათ, რაც კი რამ რიგიანი ეგულებოდათ, ისე რომ ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ადრევე გადაყრილმა ნამტვრევმა და ნასუფრალმა ძვლებმა.

სოფლებთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ ის რამდენიმე ნაშთი მ ი ნ ი ს ს ა წ ა რ მ ო ე ბ ი ს ა, რომლებიც არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ გამოაელინა თბილისისა და სხვა დიდრონი ქალაქებისაგან მოშორებით, სოფელ ადგილებში თუ მათ მიდამოებში. ამ საწარმოთა ასეთი მდებარეობა „საჭიქნედლეულის ბუდობთა განლაგებით უნდა აიხსნებოდეს, მით უმეტეს, რომ სადღეისოდ ცნობილი ოთხი ასეთი ნაშთი თავს იყრის თრიალეთის ქედის ერთ მცირე უბანში, ნიჩბისის და მცხეთის მერიდიანთა შორის. ა) ხეკორძულას ხეობაში, ნატბეურთან; ბ) ძეგვის ხეობაში, „ნაბაღრებში"; გ) კარსნის ხეობაში; დ) ორბეთთან, თეთრი წყაროს რაიონში. ეს გარემოება მიგვითითებს, რომ მინის წარმოება მხოლოდ ქალაქებში არ ყოფილა.

ნატბეურის საწარმოსაგან შემორჩენილია ამოჭრილ კლდეში ჩადგმული მცირე, დაუდევრად ამოყვანილი ნაგებობის ნანგრევი და მის ერთ კედელზე მიშენებული ქურის ნაშთი, რომელშიც გამოირჩევა: საცეცხლე, ჰაერსადენი ხვრელი, მინის სალღობი აბაზანა და საკაზმი განყოფილება. ქურის მახლობ-

ლად აღმოჩნდა დიდი ქვასანაყი (ყაჟის დასაფხვნელი), მინაშეყინული ტიგელის ნატეხები, ქურიდან მისი გამოსაღები რკინის კავი, ყაჟის ნედლეულის ნაშთი, მინის საგანთა დიდძალი წუნი, წვეთები, ჟიმატები, გადანაყარი ნალეწი და სხვ. ამ სახელოსნოში გამოუბერავთ სასმისები, სანელსაცხებლეები და ზოგიც სხვა ჭურჭელი. უკეთებიათ აგრეთვე ოთხგვარი ფერადი სამაჯურები. ნაწარმი მოგვაგონებს დმანისის, თბილისის, რუსთავის, უჯარმისა და სხვა ძეგლთა თხრისას აღმოჩენილ მინის საგნებს, თუმცა უფრო ერთფეროვანი და მდარეა. მინა მწვანე, შავი და იშვიათად ღვინისფერიც არის. აღმოჩენილია მოჭიქული თუ მოუჭიქავი თიხის ჭურჭლის ნატეხებიც, აგრეთვე მსგავსი ზემოჩამოთვლილ ნაქალაქართა XI — XIII სს. ფენების თხრისას მოპოვებული სათანადო მასალისა. ასეთი ხნოვანება დაამოწმა და დააზუსტა ხუთმა ვერცხლის ფულმა (1248 — 1316 წწ.).

ნატბეურის მინის საწარმო XIII საუკუნის დასასრულსა და უფრო კი XIV საუკუნის დასაწყისს მიეკუთვნება, მაშასადამე, ნამდვილ მონგოლობის ხანას. საწარმოს მახლობლად, ხეკორძულაში არის „ნაქალაქარი“, რომელიც შეიძლებოდა მნიშვნელოვანი სამოსახლო და ვაჭრობა-ხელოსნობის მცირე კერა მაინც ყოფილიყო, ასე რომ ეგებ მას უკავშირდებოდა აღწერილი სახელოსნოც.

სოფ. კარსანთან აღმოჩენილი ნაშთები წარმოდგენილია მხოლოდ წარმოების გადანაყარით. ეს არის სხვადასხვა ფერის, სქელი თუ ფაქიზი მინის, ჩამოსხმული თუ ნახეხი ჭურჭლის მრავალი ნატეხი, მინის წვეთები და ჟიმატები. სრულიად არა ჩანს სამაჯურები. მინას აქაც თან ახლავს მოჭიქული და მოუჭიქავი თიხის ჭურჭლის ნატეხები. კარსნის მინა უფრო მაღალხარისხოვანი და ლამაზი ჩანს, ვიდრე ნატბეურისა. არის ანტიკური იერის ფერადი მინის რამდენიმე ნატეხი, რომელთაც აქ ალბათ გადასადნობად და ხელახლა გამოხაყენებლად უყრიდნენ თავს. კარსნის საწარმო მიეკუთვნება XII — XIII საუკუნეებს

ქვემო ქართლის სოფელ ორბეთთან აღმოჩენილ სახელოსნოში, ეტყობა, ისეთი მინა უკეთებიათ, რომელიც ხარისხითა და სილამაზით სჯობდა დღემდე ცნობილი ყველა ქართული საწარმოს მინას. ქურისა ჯერჯერობით მცირე ნაშთი ჩანს, ხოლო ნაწარმი მრავლადაა წარმოდგენილი. მინა არის თეთრი, მწვანე, ყვითელი, წითელი, სხვადასხვანაირი ლურჯი, შავი და ჭრელი. ფერთა ასეთი სიმრავლეც არც ერთ სხვა საწარმოში არა ჩანს. ზოგი ჭურჭელი მინანქრის საღებავითაც კი არის მოხატული. ჭურჭელი სხვადასხვა სისქისაა, ხშირად — ძალიან ფაქიზიც. აქაც სასმისები და სანელსაცხებლეები ჭარბობს. გარდა სამაჯურებისა, მრავლადაა კარგი მინის ბეჭდებიც, სამაჯურთა შორის გამოერევა სამკუთხაკვეთიანებიც, რომლებიც სხვებზე უფრო ადრინდელი ჩანან. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია სამი მოზაიკური კენჭი, მწვანე და ცისფერი მქრქალი სმალტისა. ისინი მოგვაგონებენ გელათის ცნობილი მოზაიკის კენჭებს. ეს არის პირველი არქეოლოგიური მოწმობა ქართული ტაძრების მოზაიკურად შემკობისათვის საჭირო მასალის ჩვენში კეთებისა.

ორბეთის საწარმო წინასწარულად მიეკუთვნება XI საუკუნეს.

ამრიგად, ეს სამი, მეტ-ნაკლებ შესწავლილი, პროვინციული საწარმო წარმოგვიდგენს საქართველოში მინის კეთების ისტორიის სამ საფეხურს, შუაფეოდალური ხანის დასაწყისიდან მის მიწურულამდე.

ნასასახლარები. ზემოგანხილულ ნაქალაქარებში არსად აღმოჩენილა დიდი სასახლე და მეტადრე სამეფო დარბაზები. ერთადერთი ადგილი, სადაც შუაფეოდალური ხანის სასახლე ეგულებოდათ, იყო გ ე გ უ თ ი — ქუთაისის მახლობლად, ველზე. მისი არქეოლოგიური გაწმენდა-შესწავლა ორგზის ჩატარდა და მოთავდა კიდევაც. ეს სასახლე ხშირად იხსენიება ქართულ და უცხოურ წყაროებში, როგორც ერთერთი უმნიშვნელოვანესი და უდიდებულესი საქართველოში. იგი აუშენებია მეფე გიორგი III, ციხე-დარბაზი ყოფილა არა მარტო სამყოფელი მეფეთა, არამედ სანადირო სადგომიც. მთელ შენობას 1300 კვ მ ფართობი ჰქონია, ხოლო დასავლეთის, მერმინდელი მინაშენითურთ 1700. შენობის გეგმა თითქმის კვადრატულია. შუაში ყოფილა დიდი (200-ოდე კვ მ) გუმბათიანი დარბაზი. ერთერთ კონქში სამეფო ტახტი მდგარა. კედლებში დატანებული ყოფილა სარკმლები, რომელთა მინის ნატეხებიც აღმოჩნდა თხრის დროს. ერთერთ კუთხის ოთახში ყოფილა აბაზანა, ხოლო მის კედელში — თიხისმილოვანი წყალსადენი. კედლები კარგი კვადრატული აგურითაა ნაწყობი და შიგადაშიგ, წყობის გასამაგრებლად, ხის ძელებია დატანებული. კედლების ქვედა ნაწილი ალბათ მარმარილოთი იქნებოდა შემოსილი, თაღები კი შელესილი და მოხატული ყოფილა. თაღიც იმავე კვადრატული აგურითაა ამოყვანილი, ხოლო გარედან სქელ დუღაბში ჩაფლული კრამიტითაა დახურული. კრამიტის ნაწილი მწვანედ მოჭიქულია. საყურადღებოა, რომ მეფის სასახლის მშენებლობაშიც კი ზოგავენ მოჭიქულ კრამიტს.

გუმბათის სიმაღლე 20 მეტრს აღწევდა, ხოლო დიამეტრი — 14 მეტრს, რაც ძალიან დიდია კვადრატულ ფუძეზე დაყრდნობილი გუმბათისათვის. გუმბათის სიდიადეს გააძლიერებდა მისი დიდი საშუქიდან სინათლის უხვად ჩამოდენა.

კედლების ერთადერთ გარეგან სამკაულს ფერადი მოჭიქული კრამიტი შეადგენდა, ჩუქურთმა არსადა ჩანს.

—

გაცილებით უფრო მცირე, მარტივი და სულ სხვაგვარად ნაგები გამოდგა ნ ა დ ა რ ბ ა ზ ე ვ ი ს ს ა ს ა ხ ლ ე (თეთრი წყაროს რ.), ვახუშტი მას „თამარ მეფის ნასასახლევს“ უწოდებს. გამოირკვა, რომ მართლაც შუაფეოდალური ხანის სასახლის ნაგებობასთან უნდა გვქონდეს საქმე. თუკი სასახლე ნამდვილად სამეფოც ყოფილა, იგი დროებითი საზაფხულო სამყოფელი იქნებოდა და ამიტომ არცაა მაინცადამაინც დიდებული.

ნადარბაზევის სასახლის ნაგებობანი გარშემორტყმული ყოფილან ქვის მაღალი გალავნით, რომელსაც სამი ჭიშკარი ჰქონია. ამრიგად მოზღუდულ, ოვალური მოყვანილობის, თითქმის ვაკე ეზოს 16 000 კვ მ ფართობი უჭირავს. დაახლოებით შუა ეზოში დგას მთავარი შენობა, რომელსაც სწორკუთხოვანი მოყვანილობა აქვს. იგი შედგება ორი არათანაბარი დარბაზისაგან: წინა, მთავარი გაცილებით უფრო გრძელიცაა და ფართოც (11×15=165 კვ მ); უკანა მასთან კარით შეერთებული, თითქოს მიშენებულიაო, უფრო ვიწროცაა და მოკლეც (5×6=30 კვ მ). მთავარ დარბაზს სამი გარეთ გამომავალი და ერთიც

უკანა სენაკში გამავალი კარი აქვს. მეორე შენობა მთავარის დასავლეთით, მისგან 25 მ მანძილზე დგას. იგი მოგრძო სწორკუთხოვანია, დაუყოფელი (4×11=44 კვ მ). კარი მხოლოდ ერთი ჰქონია. მესამე „შენობა", ჩანს აუზი იყო, სანახევროდ მიწაში ჩადგმული; მასთან თავდება ეზოში შემოყვანილი კერამიკული წყალსადენი.

პირველი ორი ნაგებობა აშენებულია ქვითკირით და შემოსილია საკმაოდ დამუშავებული, მაგრამ ხშირად უსწორმასწორო ლოდებით; კარ-სარკმელთა საპირეები ნახევარწრიული მთლიანი ქვებია. საშენ მასალად ყველგან ანდეზიტ-ბაზალტის ლოდებია გამოყენებული. საერთოდ ამ კუთხეში მასალის მხრივ დიდკაცური და გლეხური ნაგებობანი სრულიად არ განირჩევიან ერთიმეორისაგან, ოღონდ მდიდრულ შენობებში გვაქვს ქვითკირი და ტლანქად თლილი ქვებისაგან შედგენილი პერანგი, სოფლურში კი — მშრალი წყობა და დაუმუშავებელი ლოდები. ძალზე მაგარ ქვა-მასალას უნდა მიეწერებოდეს ისიც, რომ სასახლე სრულიად არაა ჩუქურთმით შემკული.

იატაკის დონეზე აღმოჩენილი ოთხი, სიმეტრიულად განლაგებული ქვის ბალიშის მიხედვით საფიქრებელია, რომ სახურავი ოთხ მძლავრ სვეტზე ყოფილა დანდობილი.

მთავარ შენობას ექვსი ვიწრო, შიგნითკენ გაფართოებული („ეკლესიური") სარკმელი აქვს.

შენობები დაბურული ყოფილა მშვენივრად გამომწვარი, გვერდებშეკეცილი ბრტყელი კრამიტით და, მაშასადამე, სახურავი ქანობიანი იქნებოდა. ბევრ მათგანს ამშვენებს სამფურცლოვანი ყვავილის რელიეფური გაჰოსახულება, რომელიც, როგორც ვიცით, აგრეთვე დამახასიათებელია მშენებლობისათვის XI — XIII სს. საქართველოში.

ნადარბაზევის სასახლის ნაგებობათა აღნიშნულ ხნოვანებას ადასტურებს მოჭიქული თიხის ჭურჭელი, ნაირფერადი მინის სამაჯურთა ნამტვრევი და ლაშა გიორგის სპილენძის ფული. ეს ნივთიერი ნაშთები ალბათ სასახლის მომსახურე გლეხობას მიეკუთვნება და არა მასში დროდადრო მობინადრე დიდკაცობას, რომელიც, რა თქმა უნდა, ძვირფასი ლითონისა და ფაიანსის ჭურჭელსა და ოქრო-ვერცხლის სამკაულს ხმარობდა ხოლმე.

მონასტრები და აკადემიები. ფეოდალურ საქართველოში სამონასტრო ცხოვრებისა და დიდრონი მონასტრების მნიშვნელობა კარგადაა ცნობილი. მონასტრის ნაგებობანი ყოველთვის წარმოადგენენ კულტურის მნიშვნელოვან ძეგლებს.

საქართველოს მრავალრიცხოვან ნამონასტრევთაგან არქეოლოგიურად შესწავლილია ჯერ მხოლოდ ერთი, გუდარეხისა, რომელიც მდებარეობს ქვემო ქართლში (ალგეთის ხეობა). იგი აგებულია XIII საუკუნეში, რუსუდან მეფის დროს. საერთოდ ქვემო ქართლში სამეფო სახლს მრავლად ჰქონდა უშუალო საკუთრება და თამარის მემკვიდრეები იქ გაცხოველებით აშენებდნენ ეკლესია-მონასტრებს.

გუდარეხის ძეგლები ორად ჯგუფდება: ა) ზღუდის შიგნით, საკმაოდ მაღალ, ხევისპირა კლდოვან გორაკზე განლაგებული მონასტერი და მასთან დაკავშირებული ნაგებობანი; ბ) ზღუდის გარეთ მდებარე მცირე ნასოფლარი (მეტწი-

ლად ერთსახაკიანი სახლები, ნატეხი ქვითა და კირით ამოყვანილი კედლები, თლილი ქვის კარები) და ერთიც პატარა, კოხტა, ჩუქურთმიანი ეკლესია. გუდარეხის ყველაზე უფრო შესანიშნავ ნაგებობად გამოხრელები მონასტრის გალავანს მიიჩნევენ (პერიმეტრი — 400 მ, სიმაღლე — 4 მ). მას ორი („დიდნი" და „ცოტანი") კარი ჰქონია, იგი გარედან დიდრონი თლილი ქვის პერანგით ყოფილა შემოსილი და შემაგრებული ყოფილა ბურჯებით. მთავარი ჭიშკრიდან გზა სამრეკლოს ქვეშ გავლით შედიოდა ეზოში, ასე რომ სამრეკლო საზეიმო ჭიშკარსაც წარმოადგენდა.

გამოვლენილ იქნა ნანგრევი რამდენიმე ნაგებობისა, რომელთა რაობა ზოგჯერ პირობით არის დადგენილი, მაგრამ რომელთაც გაამდიდრეს ჩვენი წარმოდგენა კარგად მოწყობილი დიდი მონასტრის ნაგებობათა შესახებ. ეს ნაგებობანი არიან: ქვისბაგებიანი საჯინიბო; „პილასტრებიანი შენობა"; მარანი და სარკმლებით ტაძრისაკენ მიქცეული სასახლე, რომელსაც საკუთარი მარანი ჰქონია; „ჩუქურთმიანი ნაგებობა"; „ჯვრიანი ნაგებობა"; სამი ცალკეული სენაკი (არა საკულტო) და სხვ. ამრიგად მონასტრის ზღუდის შიგნით საკმაოდ ბევრია არასაკულტო დანიშნულების, მაგრამ კარგად ნაგები და მოჩუქურთმებული შენობაც. ეს იმას უნდა მოასწავებდეს, რომ აქ უცხოვრია ადამიანთა მრავალრიცხოვან ჯგუფს, რომელიც წმინდა სამონასტრო მოღვაწეობასთან ერთად, არც საერისკაცო კეთილმოწყობილობას იკლებდა. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მონასტერს დროდადრო ეწვეოდა ხოლმე მისი ამშენებელი მეფე, მხლებელი დიდკაცობითურთ. კეთილმოწყობილობის თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს ხევის ფლატის თავზე გამოვლინებული ორი მცირე ნაშთის სანახევროდ კლდეში ამოჭრილი „აბაზანა" და, იქვე ახლოს, ქვისაგან გამოჭრილი, თითქოს ხევზე გადამდგარი „საპირფარეშოს" ძირი.

სასახლისაგან შემორჩენილია მხოლოდ ერთი კედელი, ორი სართულის სიმაღლეზე (8 მ). იგი ისეთივე თლილი ქვით ყოფილა შემოსილი, როგორც ტაძარი, რომელიც მოზრდილ ერთნავიან ბაზილიკას წარმოადგენს და თითქმის მთლადაა შემონახული. ყველა სხვა ნაგებობა მის ირგვლივაა დაჯგუფებული.

საკმაოდ მრავალრიცხოვანი მონეტების მიხედვით მკაფიოდ გამოიყოფა ორი კულტურული ფენა, რომელთაგან უძველესი ზედ კლდეზეა განლაგებული და თარიღდება შემდეგი მონეტების მიხედვით: გიორგი მესამისა, თამარისა, ლაშასი და რუსუდანისა (1227 წლის). ზედა ფენა კი XVII საუკუნეზე ადრინდელი არ უნდა იყოს.

კერამიკა ცოტაა, მაგრამ მაინც საყურადღებო მასალას წარმოადგენს. ქვედა ფენაში მრავლადაა მოუჭიქავი და მოჭიქული ჭურჭელიც და სამშენებლო კერამიკაც (აგური, კრამიტი, ფილები, მილები). კრამიტი არის მოჭიქულიც (მწვანე, სოსანი მოყავისფრო) და მოუჭიქავი, ჯვრიანიც. არა გვაქვს „ყვავილიანი" კრამიტი. მილები ყველგან თონეებთან ერთად იყო აღმოჩენილი, ასე რომ თონეები აქაც „საქარიანი" თუ „სასულიანი" ყოფილა. საოჯახო ჭურჭელში, სხვა ადგილებთან (დმანისი, თბილისი, უჯარმა, იყალთო) შედარებით, უფრო მდიდრულად და საინტერესოდაა წარმოდგენილი ძალზე თხელი, ფერმკრთალი თიხის მოხდენილი ხელადები. მრავლადაა ნატეხები ფაიანსისა, რო-

მელიც ირანული ჩანს. ყურადღებას იქცევს ათიოდე კერამიკული ნახევარ-ფაბრიკატი — ანგობიანი, მოხატული, მაგრამ მოუჭიქავი ჯამები, აგრეთვე კერამიკული ქურის სოლი და ჭიქურიანი კვარცის ნატეხები. ასე რომ პირობით შესაძლო ხდება გუდარეხის მონასტერთან კერამიკული სახელოსნოს არსებობის წარმოდგენაც. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ აქაური კერამიკა ძალიანა ჰგავს დმანის-რუსთავ-თბილისისას.

ბ ე ლ ა თ ი ს სახელგანთქმული მონასტერი (ქუთაისის რ.) დავით აღმაშენებლის მიერ არის დაარსებული, მაგრამ იქ შემდგომაც ბევრი რამ აშენებულა. არქეოლოგიური თხრა საჭირო შეიქნა მხოლოდ ერთი ნაგებობის ნანგრევის შესასწავლად, დანარჩენი კი დღემდე მთელია. ის ერთი ნაგებობა არის ა კ ა დ ე მ ი ა, რომელიც აგებული უნდა იყოს მონასტრის დაარსებისთანავე, XI საუკუნის პირველ მეხუთედში.

აკადემიად მიჩნეული დარბაზი სამონასტრო ნაგებობათა განაპირას მდებარეობს. შესავალში აქვს მოხდენილი ოთხსვეტიანი, კამარებიანი სტოა, რომელიც მხატვრული ოსტატობით არის დამშვენებული ჩუქურთმოვანი ჯვრითა და ლომის გამოსახულებით. ამ დარბაზის დიდი, მთავარი სენაკის (დანარჩენები აღარ შემორჩენილა) კედლების გასწვრივ ჩამოყოლებულია ქვის მთლიანი და განიერი მერხები, ხოლო ერთი კედლის შუაში — მარმარილოს საჯდომი. დარბაზის სიგრძე 25 მეტრს აღემატება, სიგანე — 10 მეტრს; კედლების შემორჩენილი სიმაღლე უდრის 10 მეტრს, მერხების სიმაღლე — 50—55 სმ. კედლებში დატანებულია 7 მოზრდილი, სიმეტრიულად განლაგებული თახჩა. სახურავისა არა შემორჩენილა რა, მაგრამ კედლების მოყვანილობის მიხედვით იგი ორფერდა ყოფილა. ეს ყოველივე გათხრამდეც ჩანდა. გათხრაგაწმენდისას კი გამოირკვა შემდეგი: დარბაზის იატაკზე დუღაბი ყოფილა მოსხმული; გვიან შუა საუკუნეთა „მეფის საჯდომი“ თავდაპირველად აკადემიის მოძღვართა „კათედრა“ უნდა ყოფილიყო, ხოლო მერხები — მსმენელთა საჯდომი; თახჩები — სამეცადინო ხელსაწყო-იარაღისა და ნაწერების შესანახად იქნებოდა განკუთვნილი; დიდ დარბაზს გარდა ყოფილა რამდენიმე სხვა სენაკიც; გამოჩნდა რაღაც დიდი შენობის ფასადი და მაღალთაღიანი შესავალი (7,5×4,8 მ) და ა. შ.

გელათის გალავანში მიკვლეული კიდევ ერთი, აგრეთვე საერო დანიშნულების შენობა მიჩნეულია საავადმყოფოდ ანუ ქსენონად (რომლის აშენებას, აკადემიასთან ერთად, აღნიშნავს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი). ამასთან დაკავშირებით გამოთქმულია აზრი, რომ აკადემიაში მედიცინაც ისწავლებოდა.

ამრიგად, უეჭველი უნდა იყოს აღწერილი ნაგებობის აკადემიად მიჩნევა. მაშასადამე, ჩვენ ხელთაა შუაფეოდალური ხანის საქართველოს უმაღლესი სასწავლებლის კონკრეტული, ნივთიერი ნაშთები, რომელთა მიხედვითაც ვეცნობით ამ შენობის აღნაგობასა და არქიტექტურულ იერს. ვინაიდან აკადემიის ნაგებობა გვიანფეოდალურ ხანაში მრავალგზის ყოფილა გამოყენებული იმერეთის მეფეთა მიერ (პურისსაჭმელ დარბაზად და სხვ.), იქ თხრისას არ აღმოჩენილა შუაფეოდალური დროის არქეოლოგიური მასალა.

იყალთოში (თელავის რ.) ნავარაუდევი აკადემიის ნაგებობა გაცილებით უფრო დანგრეულია. მისი ნაშთების წმენდისას მრავლად აღმოჩნდა XI—XIII საუკუნეთა ქართული ნამოსახლარებისათვის ესოდენ დამახასიათებელი მოჭიქული კერამიკის ნამტვრევი, რაც აადვილებს ნაგებობის დათარიღებას.

სახიზრად ამოშენებული გამოქვაბულები. ძნელმისავალი გამოქვაბულები საქართველოში მრავლადაა და მათ ყველა დროში იყენებდნენ. ფეოდალურ ხანაშიც მიუმართავთ მათთვის, საშიშროებისას ქონების დასამალავად თუ ხალხის სახიზრად. ზოგი მათგანი ლეგენდარულ ძეგლადაა ქცეული და წერილობით წყაროებშიც იხსენიება. ბუნებრივია, რომ მათი შესწავლა მთამსველელებისა და არქეოლოგების მჭიდრო თანამშრომლობით წარმოებს.

ასეთი შესწავლის პირველ ობიექტად იქცა ხვამლის გამოქვაბულები, რომლებიც მდებარეობენ იმერეთ-ლეჩხუმის საზღვარს ახლოს აზიდულ კირქვის უზარმაზარ შვეულ კლდეში და კარსტული წარმოშობისა არიან. ეამთააღმწერლის ცნობით, მონგოლთა მძიმე ბატონობის ხანაში იქ შეუნახავთ სახელმწიფო საგანძური, ხოლო საქართველოს ორად გაყოფის შემდეგ დავით ნარინსა და დავით ულუს იმ საგანძურის ნაწილი გამოუღიათ, ორად გაუყვიათ და მეტი წილი კი შიგ დაუტოვებიათ. ვახუშტი წერს: „ხომლის კლდეში არს ქვაბი გამოკვეთილი, მტრისაგან შეუვალი, მეფეთა საგანძურთ სადები“.

მთავარი გამოქვაბული წინიდან აზღუდული ყოფილა ქვითკირის მკვიდრი კედლით, რომელშიც დატანებულია კარი, რამდენიმე სარკმელი და აგრეთვე, სხვადასხვა დონეზე, სათვალთვალო ჭუჭრუტანები. ამრიგად შექმნილ გამოქვაბულ-კოშკში ორი ან სამი სართული ყოფილა. ბუნებრივი გამოქვაბული გაუფართოვებიათ, მაგრამ მაინც უსწორმასწორო დაუტოვებიათ, თუმცა შესაძლოა ხის სწორი იატაკი კი ჰქონდათ გამართული. ამ გამოქვაბულში დღესაც გადმოდის კარსტული წყარო. მთავარ გამოქვაბულს ზემოთ არის მთლად ხელოვნური მცირე გამოქვაბული, რომელიც განსაკუთრებით ძნელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო და რომელშიც ინახებოდა ალბათ საკუთრივ განძი. მთავარ გამოქვაბულს ქვემოთ კლდეში გამოჭრილი იყო 35 მ სიგრძის და 3-ოდე მ სიგანის ბაქანი, რომელიც, ალაგ-ალაგ დატოვებული ტიხრებისა და წინიდან ამოყვანილი (ამჟამად თითქმის სულ ჩამონგრეული) ქვითკირის კედლის მეშვეობით, ქმნიდა მრავალსენაკიან ნაგებობას. მისი გასწვრივი კედლის წყობაში, გარდა ნატეხი ქვისა, ბრტყელი „ქართული“ აგურიც მონაწილეობდა და კირიც უხვად იყო ნახმარი. ამ ბაქანზე დაფენილ მიწაში მრავლად აღმოჩნდა თიხის უბრალო საოჯახო ჭურჭლის ნამტვრევი, რაც მოასწავებს ადამიანის ხანგრძლივ ბინადრობას. ერთერთი სენაკის კლდოვან კედელზე წითელი საღებავით დახატულია პრიმიტიული, მაგრამ საინტერესო სურათი: მშვილდოსანი მხედრების ნადირობა. ეგი ბალიან მოგვაგონებს სვანური „ლიფანალის“ (მიცვალებულთა კულტთან დაკავშირებულ) მხატვრობას. სავსებით შესაძლოა, რომ ხვამლის საგანძურის ბევრი მეციხოვნეებად ქართველ შეფეებს სწორედ ერთგული, გამბედავი და კლდეებზე ცოცვაში გამოცდილი სვანების რაზმი ჰყოლოდათ. აღნიშნულ ნახატზე მშვილდოსნების გამოსახვა იმას უნდა მოასწავებდეს, რომ ნახატი თოფის შემოღების ხანამდეა გაკეთებული. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ ხვამლის ბუნებრივ გამოქვაბულთა განაშენიანება, იქ სახელმწიფო საგანძურის მოწყობის

მიზნით, მართლაც შუაფეოდალურ ხანაში უნდა ვიგულისხმოთ — კერძოდ, ალბათ XIII საუკუნეში, მას შემდეგ, რაც სახელმწიფოს მუდმივი შიშიანობა დაუდგა ჯერ ჯალალედინისა და შემდეგ მონგოლთა შემოსევა-თარეშის გამო. როგორც ცნობილია, რუსუდან მეფე მტრებს განერიდა, დასავლეთ საქართველოში გადავიდა, ქუთაისში იჯდა და ერთხანს სვანეთშიც კი ჩაიკეტა. ქუთაისის მახლობლად, ხვამლის მიუვალ კლდეში მოწყობილი საცავი (გამოქვაბულებში მხოლოდ კლდის თხემიდან, თოკებითა თუ ჯაჭვებით შეეძლებოდათ ჩასვლა) მართლაც საესებით საიმედო იქნებოდა და მას სულ ორი-სამი ათეული მეომარიც კი მარჯვედ დაიცავდა. სწორედ ამდენი კაცისათვისაა გამართული კლდეში სადგომები, ხოლო სარჩოს ალბათ დროდადრო თოკებით აწვდიდნენ. არც უნდა იყოს გასაკვირი, თუ ხვამლში ამრიგად შენახულ-დაცულმა „საჭურჭლემ" ორი დავითის გამეფების დრომდე უვნებლად მოაღწია (ეს იყო ალბათ ხელუხლებელი მარაგი სახელმწიფო ქონებისა), მათაც „მცირედი" გამოიღეს და მეტი წილი ისევ შიგ დატოვეს.

საერთოდ, მიუწვდომელ კლდეში გამოქვაბულთა ასე გამაგრება, ამოშენება, სენაკების გამოჭრა, შიგ მცველი რაზმის ჩასახლება და ხანგრძლივ შენახვა ისეთი რთული და საპასუხისმგებლო ღონისძიება ჩანს (ეგებ არა ნაკლები, ვიდრე უჯარმის ზედაციხის აღდგენა-შეკეთება), როგორიც შეიძლება აიხსნას მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების წინაშე დამდგარი მწვავე საჭიროებითა და სათანადო შესაძლებლობით.

ამრიგად, საქმე გვაქვს სახელმწიფო საჭურჭლის ორგვარ საცავებთან: ერთია უჯარმის, ადვილმისავალი გორის თხემზე მდებარე ციხე-დარბაზი, რომლის ზედა ნაწილი საცავად გადაუკეთებიათ საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს უდიდესი ძლიერებისა და თავმოიმედეობის ხანაში, როცა განძეულის მიჩქმალვა არც დასჭირდებოდათ; მეორეა ხვამლის ძალზე ძნელმისავალი და სამაგიეროდ ადვილად დასაცავი გამოქვაბულები, რომელთა საამისოდ გამოყენება საჭირო გამხდარა სახელმწიფოს სიძლიერის პირველი სერიოზული შერყევის ხანაში, რასაც ხანგრძლივი და სულ უფრო დამძიმებული ძნელბედობის საუკუნეები მოჰყვა შემდგომ.

ამგვარივე და არა ნაკლებ საყურადღებო ძეგლია ქართველ მთამსვლელთა მიერ შესწავლილი ლეგენდარული ბ ე თ ლ ე მ ი ს გამოქვაბული. იგი მდებარეობს მყინვარწვერზე, ზღვის დონიდან 4100 მეტრ სიმაღლეზე, ყინულთა შორის აღმართულ 400 მეტრიან კლდეში, ამ უკანასკნელის ძირიდან 300 მეტრზე. გამოქვაბულს აქვს რკინით შეკედილი ხის კარი, საიდანაც გადმოკიდებულია 5,5 მ სიგრძის რკინის ჯაჭვი, ურომლისოდაც გამოქვაბულში ასვლა შეუძლებელია. გამოქვაბულის შიდა გარშემოწერილობა სულ 13 მეტრს უდრის, იატაკად ბაები ფიქალი აქვს დაგებული, კედლებში კი ჩამოსაჯდომებია გამოკვეთილი. ერთერთ კედელთან დგას ტრაპეზი — ჯვარგამოკვეთილი ქვა. ამრიგად აშკარაა, რომ გამოქვაბული უმთავრესად საეკლესიო-სამონასტრო დანიშნულებისათვის ყოფილა განკუთვნილი, მაგრამ საჭიროებისას იქ შეიძლებოდა განძეულიც შეენახათ. მით უმეტეს, რომ იქვე, მყინვარწვერის დაბლა კალთაზე მდგარი სამების ტაძარი, ვახუშტის თქმით, „სვეტიცხოველის სამკაულის სახიზარი" ყოფილა, ხოლო სამებიდან გაჭირვებისას ბეთლემში აიტანდნენ ამ გახიზნულ ქონებას.

იოანე ბატონიშვილი „ქალმასობაში“ წერს, რომ „ბერი იოანე ნებითა ღვთისათა აღვიდა მყინვარწვერზე, სადაც არ ასულა ჯერეთ ადამიანი, და იხილა მუნ მამა აბრამის ქარავი, მოჰკვეთა ნაჭერი იმა ქარავსა, ჩამოიტანა და მიართვა მეფე ერეკლესა“. მთამსვლელთა ექსპედიციას გამოქვაბულში დახვდა, გარდა ქსოვილის ნაჭრისა, რამდენიმე საყურადღებო საგანი და მათ შორის: ვერცხლით შეკედილი დროშისთავი, რომელზედაც წმინდანებია გამოხატული (IX — XIII სს.) და შანდლის ძირი (VII — VIII სს.). ამიტომ არაფერი აღუდგება წინ იმ აზრს, რომ ბეთლემის გამოქვაბულიც იმავე ხანაში გამხდარიყო „სამკაულთა სახიზრად“, როდესაც ხვამლი.

ამ ბოლო დროს მთამსვლელთა და მეცნიერთა ერთობლივმა ექსპედიციამ შეისწავლა ქარელის რაიონის სოფელ თ რ ე ხ ვ ი ს გამოქვაბულები. გამოირკვა, რომ, ხვამლივით, აქაც ბუნებრივი, მაგრამ ხელოვნურად გაფართოებულ-გადაკეთებული და ქვითკირით აზღუდული გამოქვაბულებია, რომელნიც სახიზარებად ყოფილან გამოყენებული. არის VIII — IX საუკუნეთათვის მისაკუთვნებელი, ბერთა სადგომი გამოქვაბულებიც, მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა ოსინი, რომლებიც, ვარძიის გამოქვაბულების მსგავსი მოწყობილობის მიხედვით, XI საუკუნეს მიეკუთვნება. აქ არის ქვითკირის წყალსაცავები, ქვევრები, ხელსაფქვავი და სხვ. სწორედ ერთ ასეთ გამოქვაბულში იჩინა თავი ქართული ეპიგრაფიკის ერთერთმა შესანიშნავმა ძეგლმა, ფილაქვამ, რომელზედაც რუისის ეპისკოპოსს, ლეონტი მროველს ამოუკრია წარწერა (ტაბ. XXXVI, 5). ეს უკანასკნელი გვამცნობს, რომ სახიზარი გამოქვაბულები აუშენებიათ 1066 წელს, თურქ-სელჯუკების მიერ საქართველოს აოხრებისას, რუისის ტაძრის ბერ-მონაზონთა თავშესაფარად. ეს წარწერა დიდი აღმონაჩენია: გარდა თვით მშენებლობის მიზნისა და ხელმძღვანელის ვინაობისა, იგი გვამცნობს, რომ საბოლოოდ გადაჭრილია მეცნიერული დავა იმის შესახებ, თუ როდის ცხოვრობდა და წერდა თავის თხზულებას ფეოდალური საქართველოს ერთი უთვალსაჩინოესი ისტორიკოსი ლეონტი მროველი. დამტკიცდა იმ მკვლევართა აზრი, რომელნიც მას XI საუკუნის მოღვაწედ მიიჩნევდნენ.

დასასრულ, არ შეიძლება არ აღინიშნოს ვ ა რ ძ ი ი ს სახელგანთქმული გამოქვაბული ქალაქი, რომელიც სწორედ შუაფეოდალურ ხანას ეკუთვნის და ჯეროვნად არის აღწერილ-დახასიათებული ვრცელ მეცნიერულ მეგზურებში.

ჰიდროტექნიკური ნაგებობანი. ამ ჯგუფში ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და ბეჯითად შესწავლილი ძეგლია ს ხ ა ლ ტ ბ ა-შ ი ო მ ღ ვ ი მ ი ს წ ყ ა ლ ს ა დ ე ნ ი (მცხეთის რ.). სათანადო სიგელის მიხედვით კარგად იყო ცნობილი, რომ სარკინეთის ქედის სამხრეთ, უშულო კალთაზე მდებარე შიომღვიმის ხალხმრავალი მამათა მონასტერი „ურწყულობის ჭირსა და იწროებას“ განიცდიდა და ამიტომ XIII საუკუნის დამდეგს, თამარის ბუიგნობართუხუცესის ანტონ ქყონდიდელის თაოსნობითა და სახსრით გაუყვანიათ იქ წყალსადენი, ქედს გადაღმა, ტყიან-წყაროიან ადგილს მდებარე სოფელ სხალტბიდან 2 კილომეტრ მანძილზე. სიგელისავე ცნობით, წინასწარ გულმოდგინედ გამოუკვლევიათ გეოლოგიური პირობები და მოუნახავთ ახალი წყარო, რომ თვით სხალტბისათვის არ მოეკლოთ წყალი. ექსპედიციამ წყალსადენის სამი წყარო აღმოაჩინა. შიომღვიმეში წყლის გამოსაყვანად დასჭირებიათ მთის გახვრეტა და მარჯვედაც დაუ-

ძლევიათ ეს ამოცანა (თხრილები, ძელებით გამაგრებული გვირაბები საამისოდ შერჩეულ რბილ ქანებში). თხრისას ამ გვირაბში ნაპოვნია მეწყალსადენეთა მიერ ნახმარი რკინის ნიჩბის ნაშთები, აგურისა და კრამიტის ნატეხები, მოჭიქული თუ მოუჭიქავი თიხის ჭურჭლის ნატეხები (XI — XIII საუკუნეთათვის დამახასიათებელი) და მათ შორის — მოჭიქული თიხის ჭრაქი (დმანის-თბილისი-რუსთავში მრავლად აღმოჩენილთა მსგავსი), რომლითაც ალბათ გვირაბს იშუქებდნენ მუშაობისას. თვით წყალსადენის მილები კარგადაა გამომწვარი, დამუხლულია, ერთიმეორეზე უდუღაბოდ წამოცმული, მაგრამ თიხით ამოლესილი. მისახვევ-მოსახვევებში გამოყენებულია მოღუნული „მკლავები". მილსადენს ალაგ-ალაგ დატანებული აქვს სათვალთვალო „თანგირები".

ამ ჰიდროტექნიკური ნაგებობის ყოველმხრივ მაღალი ხარისხი უეჭველია და ამდენად იგი იმ ხანის ქართული ნივთიერი კულტურისა და საინჟინრო ხელოვნების ერთერთი მჭევრმეტყველი მოწმობაა. სიგელის მიხედვით, წყალსადენი 3 წელიწადს (1199 — 1202 წწ.) უშენებიათ და ორ კომლ გლეხს დაკისრებია „სამსახური მის წყაროისი", ისე რომ თითო სახლიდან თითო შვილი „ქუქანკად" უნდა განსწავლულიყო და მათ უნდა „ეკაზმათ" ხოლმე წყარო. დიდი ქვეყნის ერთერთი ცენტრალური მონასტრის წყლით მომარაგებაზე ზრუნვის ღარდა, ამ გადაწყვეტილებაში ჩანს საერთოდ გონივრული დაყენება უკვე განხორციელებული ჰიდროტექნიკური ნაგებობის მოვლა-პატრონობის საქმისა.

გამოირკვა, რომ სხალტბა-შიომღვიმის მილსადენში წყალს დაწნევით არ უმოძრავია, მხოლოდ კვეთი ყოფილა სრულიად სავსე. მისი გამტარუნარიანობა წამში 2,82 ლიტრს უდრიდა, ხოლო დღეღამეში 243 000 ლიტრს; იმავე დროს გამართული სხალტბის სასოფლო წყალსადენისა კი შესაბამისად — 1 და 86400 ლიტრს.

სხალტბა-შიომღვიმის წყალსადენის შესწავლასთან დაკავშირებით აღნუსხულია იმგვარივე და ტექნიკურად ისევე მარჯვედ გამართული ნაგებობანი: ნიჩბისში, ოქროყანაში, ვეძისში, ველისციხეში, დმანისისა და გეგუთის ციხედარბაზთა აბანოებში და სხვაგან, რომელთა ნაწილიც სხალტბის წყალსადენის თანადროულია. ამათ რიცხვს უნდა დაემატოს თბილისის კერამიკულ სახელოსნოსთან დაკავშირებული წყალსადენის ნაშთიც.

სხვაგვარი გამოდგა იმავდროული სასახლის, ნ ა დ ა რ ბ ა ზ ე ვ ი ს წ ყ ა ლ ს ა დ ე ნ ი. იგი შემოდიოდა სასახლის გალავანს ქვეშ, 15-ოდე მეტრით წინ გაუვლიდა სასახლეს და ერთვოდა ქართული აგურით ამოშენებულ აუზს. გაკვლეულ იქნა, რომ წყალსადენის სათავე მდებარეობს ნადარბაზევიდან 6-ოდე კმ მანძილზე, მთაში. წყალსადენი გამოივლის მცირე ჭაობიან დაბლობს და შემდეგ ამოდის დავაკებულ მაღლობზე, რომელზედაც სასახლე მდებარეობს. ამიტომ მასში წყალს წნევით უნდა ედინა: სათავე 60 — 70 მეტრით უფრო მაღლა ძევს, ვიდრე სასახლე. ამის გამო თავისებურია მილსადენიც: მისი კვეთი მთელ სიგრძეზე თანდათან მცირდება; იგი შედგენილია ცალკეული კერამიკული მილებისაგან, რომლებიც ერთიმეორის მილძაბრებში შედიან. ქანთა კლდოვანების გამო მილები შედარებით ზერელედ (0,5 — 0,9 მ) არიან ჩაყრილი. გალავნამდე მილსადენი სწორხაზობრივ მოემართება, ხოლო შემდეგ შეგუებულია კლდის ნაპრალის მოყვანილობასთან და მიმოკლაკნილია. მილები მშვენივრადაა გა-

მომწვარი, წვრილია და ძალზე სქელი, ისე რომ წყლის სადენად 2—2,5 სმ-ღა რჩება ისედაც მცირე დიამეტრიდან. ეს გააადვილებდა წყლის აღმა დენას, რადგან წნევას მოუმატებდა მას. მეორე მხრივ, სქელი კედლები უკეთესად გაუძლებდა ძლიერ წნევას. ამით ეს წყალსადენი არსებითად გამოირჩევა სხალტბა-შიომღვიმისა და სხვა მსგავსი წყალსადენებისაგან, რომელთაც მხოლოდ ბუნებრივი დაქანებით მომდინარე წყალი მოჰყავდათ და დაწნევა არ სჭირდებოდათ. ამათგანვე განსხვავებით, აქ ვერც იხმარდნენ და არც უხმარიათ თანგირები, ხოლო მკლავები კი ხშირადაა. მილსადენი ჩადებულია ვიწრო, ფილაქვებით შემოღობილ-გადახურულ ღარში, რომელსაც ძირზე დუღაბი უფენია. იქ, სადაც ნიადაგი რბილია, მილსადენი ღარისებრი კრამიტით გადაფარული და დუღაბით გარშემოლესილია.

ნადარბაზევის წყალსადენი — თავისებური პირობების შესაბამისად, თავისებური ტიპისა და ასეთივე ტექნიკით აგებული — კიდევ ერთხელ გვიმტკიცებს, შიომღვიმის, დმანისის, თბილისისა და გეგუთის თანადროულ წყალსადენებთან ერთად, ნივთიერი კულტურის, საინჟინრო ხელოვნების სათანადო დარგის მაღალ დონეს. ამასთანავე არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ეს რთული ღონისძიება განხორციელებულია მხოლოდ საზაფხულო სასახლის წყლით მოსამარაგებლად.

უნდა გავიხსენოთ კიდევ ერთი შესანიშნავი ნიმუში იმდროინდელი წყალსადენთმშენებლობისა — ვ ა რ ძ ი ი ს გამოქვაბულთა წყაროს წყალსადენი, რომლის სათავეც ვიწრო ხევშია, ზედა ვარძიის ნასოფლართან, გამოქვაბულიდან 6 კმ მანძილზე. მილსადენი თითქმის მთელ სიგრძეზე მიუყვება კლდეში გაჭრილ გვირაბს, ე. ი. მტრისათვის უჩინარი იქნებოდა. გვირაბის ძირას, ორ, ოდნავ სხვადასხვა დონეზე, დაგებულია სხვადასხვა დიამეტრის მქონე კერამიკული მილები. გვირაბი საკმაოდ ფართოა, რათა წყალსადენის მოვლა ძნელი არ ყოფილიყო. წყალსადენის მომსახურეთათვის საგანგებოდ გამოყოფილი ყოფილა გამოქვაბულთა ჯგუფი („დასაყუდებელა"). წყალს თავისით უდენია.

ს ა რ წ ყ ა ე ი ა რ ხ ე ბ ი დ ან მეტ-ნაკლები არქეოლოგიური დაკვირვებისა და საინჟინრო-ჰიდროტექნიკური თვალსაზრისით შესწავლის ობიექტებად იქცა ორი: ალაზნისა (რომლის გაყვანასაც თამარ მეფეს მიაწერენ წყაროები) და გრემისა.

ა ლ ა ზ ნ ი ს ა რ ხ ი ს სათავე მრკვლეულ იქნა მდინარის მარჯვენა ნაპირზე, ალავერდის ტაძრის მახლობლად. არხის კვალი ალაგ-ალაგ წაშლილია, მაგრამ მიმართულება მაინც გაიკვლევა: ალავერდი — გულგულა — კონდოლი — ველისციხე — ბაკურციხე — წნორისწყალი — არხილოსკალო (სადაც არხი ისევ ალაზანს ერთვის). არხის სიგრძე 119 კმ უდრის, იგი მორწყავდა უზარმაზარ ფართობს — 53 000 ჰექტარს. ამოდენა არხის ტრასის გამართვა დღესაც კი არაა მარტივი ამოცანა და მოწმობს იმდროინდელი ქართველი მელიორატორების ნამდვილ ოსტატობას. არხის ვარდნა მთელ სიგრძეზე 116 მეტრს უდრიდა, ისე რომ წყალი მასში მდორედ იდენდა და კალაპოტს არ წალეკავდა. გზადაგზა, ხევებზე გადასაყვანად, რუსხმულები და სხვა ნაგებობანი იქნებოდა. თან ცდილან რაც შეიძლებოდა მარჯვე ადგილებში გადაეკვეთათ ხევები, რომელთა შფოთიანობა კახეთში საყოველთაოდ ცნობილია. არხის გამტარიანობა სათავეში უდრი-

და 24 კუბ. მეტრს, ე. ი. თითო ჰექტარზე საშუალო ხარჯი იქნებოდა 0,45 ლიტრი წამში. ასეთივე მაჩვენებლები აქვს ალაზნის თანამედროვე არხს.

გ რ ე მ ი ს ა რ ხ ი გაყვანილი ყოფილა ლოპოტის ხევიდან, ნაფარეულ-ლა-ფანყურის მიდამოებზე და გრემის მინდვრებზე გავლით. იგი ალაგ-ალაგ წაშლილია. სათავესთან 80-ოდე მეტრის სიგრძე ჯებირი ჰქონია, რომ მდინარეს არ წაელეკა. გზად შეხვედრილ ხევებს გადალახავდა რუსხმულების ან, ეგეგ, საგუბრების მეშვეობით. დაქანებულ ფერდობზე არხისთვის 200-ოდე მეტრის სიგრძე სამაგრი კედელი ამოუშენებიათ. არხს შეეძლო 4 000 ჰექტარის მორწყვა, მაგრამ მის არეში მოქცეული სარწყავი ფართობი მხოლოდ 2900 ჰექტარს შეადგენს, დანარჩენი წყალი კი მიდიოდა გრემში, სახარჯოდ. არხის გამტარუნარიანობა წამში 1,56 კუბ. მეტრს უდრიდა, ხოლო გვალვაში მას ერთერთი ხევის წყალსაც მიუმატებდნენ. არხის სათავის მეთვალყურეთა ნამოსახლარი და სადარაჯო ციხის ნაშთებიც არის აღრიცხული გონჯახევში.

გრემის არხის ჰიდროტექნიკის დიდ სირთულეს მოწმობს ის გარემოება, რომ აქ წყალი ერთი ხეობიდან მეორეშია გადაყვანილი, ე. ი. გზაზე უღელტეხილია გადალახული. არხის ტრასაზე მდებარეობს VII — XV საუკუნეთა ძეგლები. თვით გრემიც ქალაქად იხსენიება უკვე XII საუკუნეში. ყოველივე ამის გამო არხს მიაკუთვნებენ XII — XIII საუკუნეებს და დასაჯერებლად მიიჩნევენ ხალხურ გადმოცემას იმის შესახებ, თითქოს იგი თამარ მეფის გაყვანილი იყოს.

ასეთია ის სხვადასხვაგვარი ძეგლები, რომლებსაც არქეოლოგიური კვლევა-ძიება მეტად თუ ნაკლებად შეხებია და რომელთა მიხედვითაც მრავალი ახალი სიტყვაა უკვე ნათქვამი შუაფეოდალური ხანის საქართველოს კულტურის შესახებ.

1) მიუხედავად იმისა, რომ XI—XIII საუკუნეები ცნობილია როგორც სოციალური ჭიდილის ერთერთი ძლიერი გამწვავების ხანა შუა საუკუნეთა საქართველოში და ჩვენი მასალაც ცხადყოფს მძაფრ სოციალურ კონტრასტებს, მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა ნ ი ვ თ ი ე რ ა დ შ ე დ ა რ ე ბ ი თ მ ო ღ ო ნ ი ე რ ე ბ უ ლ ი ჩ ა ნ ს. ამის ახსნა ქვეყნის საერთო აღმავლობაში, ძლევამოსილსა და ალაფიან ომებში და სახელმწიფო შემოსავლის უჩვეულო ზრდაში უნდა ვეძიოთ.

2) ამასთან მჭიდროდ დაკავშირებული ჩანს და ხალხის კულტუროსნობის საკმაოდ მაღალ დონეზე მიგვითითებს ის გარემოება, რომ წ ე რ ა-კ ი თ ხ ვ ი ს ც ო დ ნ ა ს რ უ ლ ი ა დ ა ც ა რ ა ა შ ე მ ო ფ ა რ გ ლ უ ლ ი ვ ი წ რ ო, დ ა წ ი ნ ა უ რ ე ბ უ ლ ი წ რ ე ე ბ ი თ.

საფლავებზე წარწერიანი ქვების აღმართვის ტრადიცია სავსებით ფეხმოდგმული უნდა იყოს ამ ხანაში (რუსთავი) და, ამდენად, დასაზუსტებელია დმანისის თხრისას შექმნილი შთაბეჭდილება, თითქოს ეს წესი მხოლოდ გვიანფეოდალურ ხანაში ვრცელდებოდეს.

3) ფ უ ლ ი ს მ ი მ ო ქ ც ე ვ ი ც ხ ო ვ ე ლ ი დ ა ა გ რ ე თ ვ ე ხ ა ლ ხ შ ი ფ ა რ თ ო დ გ ა მ ჯ დ ა რ ი ყ ო ფ ი ლ ა. ოღონდ, რა თქმა უნდა, უმთავრესად მაინც ქალაქ ადგილებში.

მონეტების დიდი უმეტესობა ქართულია და მათი მომჭრელი მეფეები წარმოდგენილი არიან უწყვეტლივ, დემეტრედან რუსუდანამდე, ჩათვლით. უცხო-

ური ფული შედარებით იშვიათად გამოერევა, ხოლო უცხო დამღანაკრავი ქართული — უფრო ხშირად. ესეც ერთი აშკარა მოწმობაა ქვეყნის ნივთიერი აღმავლობისა.

4) ქალაქებში ძლიერ განვითარებული ჩანს ხელოსნური წარმოება. შეგვიძლია ვიმსჯელოთ კერამიკული წარმოების შესახებ (თბილისში, დმანისში, რუსთავში და ეგებ გუდარეხის მონასტერში), მინის წარმოების შესახებ (იმავე ქალაქებში და თან სოფელ ადგილებში) და ოქრომჭედლობის შესახებ. ნაწარმის რაგვარობის მიხედვით გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ წარმოება ტექნიკურადაც და მხატვრულადაც მაღალ დონეზე მდგარა. თბილისში გათხრილი საწარმოს ნაშთების შესწავლა ადასტურებს და ეძლიერებს ასეთ შეფასებას. იგივე ნაშთები ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნიან ხელოსანთა „ამქრული“ საქმიანობის შესახებ.

5) საინტერესო სურათს გვიხატავს იმდროინდელი კერამიკული, მინისთუსხვანაწარმის გავრცელება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. არსებითად ყველა ეს მასალა ერთგვაროვანია და მკაფიოდ გამოხატულ კულტურულ მთლიანობას გვანიშნებს. ჩანს, რომ ცალკეულ ფეოდალურ სამთავროთა გაერთიანებას ამაოდ არ ჩაუვლია და სულ უფრო და უფრო დაუახლოვებია ერთიმეორესთან საქართველოს სხვადასხვა მხარეები. განსაკუთრებით ითქმის ეს შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, კახეთ-კუხეთისა და ჰერეთის შესახებ. სხვა კუთხეებიდან ჯერჯერობით მასალა ნაკლებ მოგვეპოვება, მაგრამ მით უფრო საინტერესოა, რომ აღმოსავლურ-ქართულის მსგავს მოჭიქულ კერამიკას ეხედავთ, მაგალითად, ზუგდიდშიცა და სოხუმშიც.

ამასთანავე, რასაკვირველია, კერამიკაცა და მინაც მოწმობენ ერთგვარ ურთიერთობას მეზობელ ქვეყნებთან, უპირველეს ყოვლისა, სომხეთთან და აზერბაიჯანთან.

ჩვენში სრულიადაც არა ჩანს ისეთი სურათი მინის სამაჯურთა გავრცელების მხრივ, როგორსაც რუსეთის არქეოლოგები აღნიშნავენ: ისინი მხოლოდ ჩვენი ქალაქელი ქალების სამკაულს კი არ წარმოადგენდნენ, არამედ ადგილობრივ დამზადებული სამაჯურები სოფლელ ქალებსაც მრავლად უტარებიათ.

ყურადღებას იქცევს საყოველთაო გავრცელებულობა მოხატულ-მოჭიქული ჯამ-ჭურჭლისა და მინის სამაჯურებისა, აგრეთვე სამშენებლო კერამიკის ზოგი სახეობისა („ყვავილოვანი კრამიტი“, მოჭიქული შორენკეცები, კრამიტი და სხვ.).

„ყვავილოვანი კრამიტის“ ასეთი გავრცელება იმის ნიშნადაც კია მიჩნეული, რომ მისი წარმოება სამეფო მონოპოლიას შეადგენდა. გაცილებით უფრო ფართოდა ჩანს გავრცელებული დიდრონ, საზეიმო ნაგებობათა (ეკლესია-მონასტრების, სასახლეების) გადახურვა ფერადი მოჭიქული კრამიტით — ისეთით, როგორიც თბილისის სახელოსნოშიც მზადდებოდა (თბილისის „ლურჯი მონასტერი“, ოშკი, ხახული, გეგუთი და სხვ.), და მოჭიქული შორენკეცებით შემკობა. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ათონის მონასტრის აღაპი, რომლის მიხედვითაც საეკლესიო ნაგებობის შემკობის ერთერთი აუცილებელი პირობა ყოფილა მისი „გამოჭიქვა“.

6) დმანისისა და რუსთავის გათხრამ გარკვეული წარმოდგენა შეგვიქმნა იმდროინდელ ციხე-ქალაქთა საცხოვრებელი უბნების აღნაგობა-რაგვარობის შესახებ. ერთი ციცაბოკალთებიან, ვრცელ ზეგანზე და მის ძირობაზე გაშენებული ქალაქი ყოფილა, მეორე — ვაკეზე, მდინარის პირას, მცირე ბორცვის გარშემო. დმანისში ვიწრო ქუჩები და ერთიმეორეზე მიყრილი შენობებია, ჭყორდუღაბითა და უსწორმასწორო ნაგლეჯი ქვით ნაგები (მხოლოდ წარჩინებულთა სახლებს ეტყობა შენების მეტი სიბეჯითე და შემკობაზე ზრუნვა); რუსთავში — ფაქიზროდ მიჯრილი, რიყის ქვით ნაშენი სახლები, რომელთა საცხოვრებელი და სამეურნეო უჯრედები გაუმიჯნავია, მხოლოდ წარჩინებულთა სახლებს აქვთ კრამიტის სახურავი. იქაც და აქაც ყოველ ნაბიჯზეა ქვევრები (ზოგჯერ — მარნები), თონეები, მარცვლეულის ორმოები, კერები, ხელსაფქვავები, დერგები, ქილები, ჯამ-ჭურჭელი, კოკები, დოქები, ნასუფრალი ძვლები. რუსთავში ამას ემატება შემონახული ბოსტნეულის თესლი და კვერცხის ნაჭუჭი. ცალკე აღსანიშნავია წისქვილის ქვები რუსთავში და ზეთსახდელი გელაზები დმანისში.

ბევრი რამ გვაფიქრებინებს, რომ ამ ქალაქთა მოსახლეობა ჯერ კიდევ საკმაოდ ფართოდ მისდევს მიწათმოქმედებას, მიუხედავად იმისა, რომ უკვე აშკარად განვითარებულია ხელოსნობა, როგორც სასაქონლო წარმოების ერთერთი არსებითი დარგი.

7) დმანისის მოსახლეობა ეროვნულად და სარწმუნოებრივ ჭრელი ჩანს. რუსთავში, პირიქით, ერთგვაროვანი და ქართულად მოუბარი მოსახლეობა უნდა იყოს.

8) თითქმის ყველა გათხრილი ობიექტი ამოწმებს წერილობითი წყაროების ცნობებს იმის შესახებ, რომ მონგოლთა შემოსევები (ოღონდ არა პირველნი) საქართველოს მოსახლეობისათვის, და განსაკუთრებით კი დიდრონი პუნქტებისათვის, გამანადგურებელი თუ არა, ამაოხრებელი და ამაწიოკებელი მაინც იყო. რუსთავი მართლაც ბერქა ყაენის ლაშქრობის მსხვერპლი ჩანს; დმანისიც მონგოლების შემდეგ ძლიერ ქვეითდება; ქვემო ქართლის ბევრი ნასოფლარიც მონგოლების შემდეგ წარმოქმნილა (ასევე ჩანს ლოჭინის ნასოფლარი); თბილისის განაპირა უბანი, სადაც კერამიკული საწარმოები ყოფილა, ერთი დაკვრით განადგურებული და გადამწვარი ჩანს და ა. შ.

ამასთანავე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ჯალალედინის შემოსევასა და ხანმოკლე ბატონობას, აგრეთვე მონგოლთა პირველ, შედარებით მშვიდობიან შემოსევებს არ დაუტოვებიათ აშკარა კვალი არც ნგრევა-განადგურებისა და არც მოსახლეობის ეკონომიური დაქვეითების მხრივ. უკანასკნელი განცხადების საფუძველს ის გვაძლევს, რომ თბილისისა და რუსთავის თხრისას მოპოვებულ განძებში თუ მიმობნეულ მონეტებში საკმაოდ ბევრია ჯალალედინის დამღანაკრავი ფულიცა და პირველდელი მონგოლური მონეტებიც, რაც იმას მოწმობს, რომ ფულის ტრიალისა და დაგროვების შესაძლებლობა ძალიან არ შემცირებულა. უნდა გავიხსენოთ აგრეთვე ნატბეურის მინის საწარმო, რომელსაც XIV საუკუნის დამდეგს ჯერ კიდევ უმუშავია.

რუსთავში, გარდა ხაბოლოო და თითქმის გამოუსწორებელი განადგურებისა, შეიმჩნევა რამდენიმე ადრინდელი, X — XI სს. დროინდელი ნგრევისა და ხელ-

ახლა აშენების ნიშნებიც (ნაგებობათა ფენები), რაც, შესაძლოა, თურქობის დროინდელი საომარი მოქმედების ანარეკლი იყოს.

9) თითო-ოროლა სასახლის ნანგრევი (გეგუთი, ნადარბაზევი) გვამცნობს, რომ ფეოდალური საზოგადოების ზედა ფენას, როგორც მოსალოდნელიც იყო, შესძლებია და კიდევაც უშენებია მეტ-ნაკლებ დიდებული საზეიმო-საცხოვრებელი ნაგებობანი, რომლებიც ყოველმხრივ კონტრასტს ქმნიან სოფლურ საცხოვრებელ ნაგებობებთან. წარჩინებულთა სასახლეები, გარდა აუცილებელი დამხმარე-სამეურნეო შენობებისა, აღჭურვილია სხვადასხვა მოწყობილობით, რომელიც კარგად ახასიათებს იმდროინდელ კომუნალურსა თუ სანიტარულ-ჰიგიენურ კულტურას (აბანო, წყაროს წყლის მომყვანი მილსადენი, ბუხარი და სხვ.). შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სასახლეებს თან ახლდა ხოლმე მრავალრიცხოვანი მომსახურე პერსონალი, რომელიც იქვე ახლოს ცხოვრობდა (საკმაოდ კარგად ჩანს ეს ნადარბაზევში, სადაც მათი ნასახლარები გალავანს გადაღმაა, ასიოდე მეტრის მანძილზე).

მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთვის ცნობილი სასახლეები (გეგუთისაც კი), რომლებიც თავისთავად საერო ხუროთმოძღვრების საუკეთესო ნიმუშებია, ჩამოუვარდებიან იმავდროული საეკლესიო ხუროთმოძღვრების პირველხარისხოვან ძეგლებს.

ამ მხრივ ეგეგ უფრო უახლოვდებოდეს საეკლესიო ნაგებობებს ისეთი საერო ნაგებობა, როგორიცაა გელათის აკადემია, რომელსაც თითქოს უკეთესი გარეგანი სამკაული უჩანს. შესაძლოა ამის მიზეზი ისიც იყოს, რომ აკადემია სამონასტრო კომპლექსში შედიოდა და მის ასე შემკობას თუნდაც მხატვრული მთლიანობის საჭიროება მოითხოვდა.

შინაარსი

წინასიტყვაობა. 3

შესავალი

არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 5

თავი I

ქვის ხანის არქეოლოგიური ძეგლები 21— 67

§ 1. ქვედა პალეოლითი 21
§ 2. ზედა პალეოლითი 35
§ 3. ახალიქვის ხანა . . 53

თავი II

ენეოლითური ხანის არქეოლოგიური ძეგლები . . . 68— 88

§ 4. ენეოლითური კულტურა 68

თავი III

ბრინჯაოსა და რკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლები . 89—222

§ 5. ადრეული ბრინჯაოს ხანა 89
§ 6. შუაბრინჯაოს ხანა 107
§ 7. გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლები დასავლეთ საქართველოში 129
§ 8. გვიანბრინჯაოს და ადრეული რკინის ხანის ძეგლები აღმოსავლეთ საქართველოში 155
§ 9. განვითარებული რკინის ხანის ძეგლები რიონის სათავეებში 190
§ 10. ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის საწყისი საფეხური 206

თავი IV

ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები . . . . 223—329

§ 11. ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები დასავლეთ საქართველოში . 223
§ 12. ანტიკური ხანის ძეგლები აღმოსავლეთ საქართველოში 251
§ 13. გვიანანტიკური ხანა 301

თავი V

ფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები . . . . 330—393

§ 14. ადრეფეოდალური ხანა 330
§ 15 შუაფეოდალური ხანა 361

შინაარსი 395

რედაქტორი ა. აფაქიძე

გამომცემლობის რედაქტორი ც. ცერცვაძე

ტექნიკური რედაქტორი შ. დოლიძე
კონტროლიორ-კორექტორი მ. ინასარიძე
კორექტორი ლ. გამცემლიძე

Апакидзе Андрей Мелитонович, Бердзенишвили Нина Захарьевна, Гобеджишвили Герман Феодорович, Джапаридзе Отар Михайлович, Каландадзе Александр Несторович, Ломтатидзе Георгий Александрович, Хоштариа Нина Виссарионовна

Археология Грузии

(На грузинском языке)

Изд-во ТГУ им. Сталина
Тбилиси
1959

შეკვეთის № 1462 უე 01593 ტირაჟი 5.000

გადაეცა წარმოებას 16/X-59 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/XII-59 წ. ანაწყობის ზომა 7×11. ქაღალდის ზომა 70×108. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 40,25. საალრიცხვო-საგამომცემლო ფორმათა რაოდენობა 33,28.

ფასი 20 მან.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.

Типография Издательства ТГУ им. Сталина, Тбилиси, проспект И. Чавчавадзе, 1.

შეცდომების გასწორება

გვერდი	სტრიქონი ზემოდან	სტრიქონი ქვემოდან	არის	უნდა იყოს
14	—	12	სკანდენსა	სკანდენსა
18	—	10	ე. ი. ყველაზე	ე. ი. ერთერთი ყველაზე
20	—	8	ზედა პალეოლითი, სპილენ-ძის ხანა	ზედა პალეოლითი, ნეოლი-თი, სპილენძის ხანა
36	14	—	ფორნეს	ფრონეს
59	—	17	კამპანიის	კამპინის
95	7,22	—	აბაძეესკაია	აბაძეხსკაია
147	—	1	ოთხი	თოხი
260	1	—	თაზარული	თარაზული
302	—	9	ან	ამ